კავკასიის ხალხთა ფოლკლორი



თბილისი
2008

UDC (უაკ) 821.35-91+398 (479)
კ 146

წიგნში თავმოყრილია „კავკასიური ფოლკლორის“ სერიაში 1995 – 2007 წლებში „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემული 19 წიგნი. აქ წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები. მართალია, იგი ამომწურავი ვერ იქნება, მაგრამ მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის კავკასიელთა სულიერ სიახლოვეზე, რაც მათ ფოლკლორში მსგავსი თემებისა და სიუჟეტების არსებობით არის განპირობებული.

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ნაირა გელაშვილი

კრებული შეადგინა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო სპეცრედაქტორმა
ლია ჩლაიძემ

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ უჯუხუ

მხატვრები
ნინო ჭილაშვილი
კოტე სულაბერიძე

ISBN 978-9941-400-10-0

სარჩევი

წინათქმა 5

ქართული ფოლკლორი

პოეზია. 11
პროზა 44
ანდაზები 76

აფხაზურ-ადიღური ფოლკლორი

აბაზური:

პოეზია. 79
პროზა 90
ანდაზები 118

ადიღურ-ჩერქეზული:

პოეზია. 119
პროზა 146
ანდაზები (ასი მართალი სიტყვა) 198

აფხაზური:

პოეზია. 202
პროზა 217
ანდაზები 279

უბიხური:

პროზა 280
ანდაზები 313

ჯაინახთა ფოლკლორი

ინგუშური:

პოეზია. 317
პროზა 339

ჩეჩნური:

პოეზია. 368
პროზა 397

დაღესტნის ხალხთა ფოლკლორი

დარგუული:

პოეზია. 421
პროზა 459

თაბასარანული:

პოეზია. 642
პროზა 660

ლაკური:

პოეზია. 478
პროზა 491
ანდაზები 523

ლეზგიური:
ჰოეზია 525
ჰროზა 551
ანდაზები 582
ხუნძური:
ჰოეზია 583
ჰროზა 610
ანდაზები 641

კავკასიაში მცხოვრებ ინდოევროპელ ხალხთა ფოლკლორი
სომხური:
ჰოეზია 697
ჰროზა 715
ანდაზები 750
ოსური:
ჰოეზია 751
ჰროზა 780
ანდაზები 828
თათური:
ჰოეზია 830
ჰროზა 840
ანდაზები და გამოცანები 891

კავკასიაში მცხოვრებ თურქულენოვან ხალხთა ფოლკლორი
აზერბაიჯანული:
ჰოეზია 895
ჰროზა 915
ანდაზები 942
ყარაჩაულ-ბალყარული:
ჰოეზია 943
ჰროზა 963
ყუმუხური:
ჰოეზია 983
ჰროზა 1004
ანდაზები 1029
ნოღაური:
ჰოეზია 1030
ჰროზა 1043

Synopsis 1073
შენიშვნები 1074
გამოყენებული ლიტერატურა 1101

წინათქმა

„კავკასიის ხალხთა ფოლკლორი“ თავს უყრის იმ ცხრამეტ პატარა წიგნს, „კავკასიურმა სახლმა“ ქართულ და რუსულ ენებზე რომ გამოსცა სერიაში „კავკასიური ფოლკლორი“ (წიგნების ჩამონათვალი იხილეთ სარჩევში).

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1974 წელს თბილისში ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის — ოთარ ნოდიას თაოსნობით დაარსდა უნიკალური დაწესებულება „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია“, რომელიც კოორდინაციას უწევდა და აფინანსებდა ქართული ლიტერატურის შედევრების თარგმნას უცხო ენებზე, აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლების ქართულად თარგმნას. „კოლეგიის“ თანამშრომლების, განსაკუთრებით, ჩერქეზი ქალბატონის – თამარ უჯუხუს ღვაწლის შედეგად თბილისში თავი მოუყარეს ჩრდილო კავკასიის ყველა ხალხის ფოლკლორის ნიმუშებს. ამ საშვილიშვილო საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს ადგილობრივმა სამეცნიერო ცენტრებმა: იქ მომუშავე ფოლკლორისტებმა შეარჩიეს მასალა, დაურთეს რუსული პწკარედული თარგმანი, ვრცელი შესავალი. თბილისში გაკეთდა ამ მასალის ფილოლოგიური თარგმანი და გამოსაცემად მომზადდა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოლკლორის მრავალტომეული ორიგინალის, რუსულ და ქართულ ენებზე. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა შეუძლებელი გახადა მისი განხორციელება.

1992 წელს „კოლეგიის“ ბაზაზე შეიქმნა კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“, რომელმაც გააფართოვა ფოლკლორის ფონდი – სამხრეთი კავკასიის მასალით შეავსო იგი. „კავკასიური სახლის“, პირადად მისი ხელმძღვანელის, ქალბატონ ნაირა გელაშვილის მეცადინეობით და ევროპული ფონდის HORIZON-ის თანადგომით შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ კავკასიური ფოლკლორის კრებულის, არამედ თურქულ-აზერბაიჯანული ფოლკლორის უმნიშვნელოვანესი ძეგლის – ქოროღლის ეპოსის ქართული თარგმანისა და საერთო კავკასიური კულტურის საგანძურის – ნართების ეპოსის აფხაზური ვერსიის ქართული თარგმანის გამოქვეყნება (აზერბაიჯანული ეპოსი ქოროღლი, აზერ-

ბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, თბილისი, 2003; „ამბავი ნართებისა“, აფხაზური ხალხური ეპოსი, თარგმნეს გიორგი ბაქანიძემ და ჯემალ აჯიაშვილმა. პწკარედული თარგმანი მოამზადა გიორგი ამიჭბამ. მეორე გამოცემა, თბილისი, 2007).

კავკასიის ფოლკლორით დაინტერესებულთ საჭირო დახმარებას გაუწევს „კავკასიურ სახლში“ HORIZON-ის დახმარებით მომზადებული მონოგრაფია „კავკასიური ფოლკლორი“ (ლია ჩლაიძე, კავკასიური ფოლკლორი, თბილისი, 2006), რომელშიც წინა პლანზეა წამოწეული კავკასიელთა ის კულტურული ერთობა, რომელიც დედამიწის ამ პატარა ნაჭერზე ერების, ენების, რელიგიების სიმრავლის მიუხედავად, ზოგჯერ თვალშისაცემია, ზოგჯერ – სიღრმეში საძიებელი.

* * *

კავკასიელთა საცხოვრისი — შედარებით მცირე ტერიტორია, რომელსაც კავკასიონის ქედი ორ ნაწილად — ჩრდილო და სამხრეთ კავკასიად ჰყოფს, მაღალი მთებით არის შემოჯარული და ღრმა ხეობებით დასერილი. ასეთი ლანდშაფტი აფერხებდა მის ბინადართა ურთიერთკავშირს, იწვევდა ეთნიკურ და ენობრივ დაქუცმაცებულობას, უძველესი საზოგადოებრივი ფორმების კონსერვაციას. ამით ხსნიდნენ ეთნოლინგვისტურ სიჭრელესაც და წარმართობისდროინდელ რწმენა-წარმოდგენის არსებობასაც კავკასიაში, თუმცა ის კულტურული ერთობა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, იმის დასტურია, რომ მაღალი მთები და ღრმა ხეობები არც ისეთი გადაულახავი უნდა ყოფილიყო. არც რელიგიური სხვაობა ქმნიდა დიდ დაბრკოლებას.

მართალია, ჩრდილო კავკასიის ხალხებში VIII საუკუნეში საქართველოდან და ბიზანტიიდან შესული ქრისტიანობა XII-XIII საუკუნეებში მომძლავრებულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო პოლიტიკურად დასუსტდა, ქრისტიანობის პოზიციებიც შესუსტებულა და XVI – XVIII საუკუნეებში იგი ისლამის სუნიტურ მიმდევრობას შეუცვლია. თუმცა, შეიძლება ითქვას, ისლამი კავკასიელთა ტრადიციულ რწმენა-წარმოდგენებს ძალიან თხელ ფენად გადაჰკვრია. ამან ათქმევინა თავის დროზე ა. დირს: „ოდესღაც კავკასიაში ერთი რელიგია არსებობდა, რომელიც შემდეგ დაჩრდილული აღმოჩნდა ისტორიული რელიგიების მიერ, მაგრამ გადარჩა კავკასიის მრავალ ხალხში გადმონაშთების, ცრურწმენის სახით და აღიბეჭდა მათ ფოლკლორშიც.“ (Дирр А. Божество охоты и охотничий язык у ковказских горцев, СМОМИК, 1915, т. 44. отд. IV).

დიახ, ასე ინება განგებამ: კავკასიის ხალხებს ღმერთისაკენ მიმავალი

სხვადასხვა გზა დაუსახა, მაგრამ ის ბილიკებიც დაუტოვა, კავკასიონის ქედზე რომ გადადიოდა და ერთი ხალხის სულიერი თუ მატერიალური კულტურის მონაპოვარი მეორესთან მიჰქონდა. ამაში იოლად დარწმუნდებით, როცა შემოთავაზებულ წიგნში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხილავთ მთელი კავკასიის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. მასალა ენობრივი პრინციპით დავალაგეთ: ეთნიკურად და ენობრივად მონათესავე მასალა ერთად წარმოვადგინეთ. ხალხთა შორის გენეტიკური თუ ენობრივი ნათესაობა კულტურის ნათესაობასაც ხომ დიდად განაპირობებს.

კავკასიაში ორმოცდაათამდე ერი და ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს. ისინი ენათა სამ ოჯახს განეკუთვნებიან: იბერიულ-კავკასიურს, ინდო-ევროპულსა და ალთაურს.

იბერიული ანუ ქართული ქართების, სვანებისა და მეგრელების ენაა. მათი ფოლკლორი ერთიანი ქართული ფოლკლორია, რაშიც კრებულში წარმოდგენილი მასალაც დაგარწმუნებთ.

იბერიულ-კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლური, ანუ აფხაზურ-ადიღური შტო მოიცავს: აბაზურს, ადიღურს, ყარაჩაულს, ჩერქეზულს, აფხაზურსა და უბიხურ ენებს. აბაზური იმ მცირერიცხოვანი ხალხის ენაა, თავის თავს *აბაზს* რომ უწოდებს და ძირითადად თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთში სახლობს. ადიღურ ენაზე მეტყველებენ ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ეთნიკურად და ენობრივად ერთი ხალხი: ყაბარდოელები, ადიღეელები და ჩერქეზები. ისინი სახლობენ ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთსა და ადიღეში. მათი თვითდასახელებაა ადიღები, თუმცა ძველთაგან ჩერქეზებსაც უწოდებენ. *აფხაზები* (თვითდასახელება აფსუა), ხალხი, რომელიც საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობს. რაც შეეხება *უბიხურ* ენას, მან არსებობა შეწყვიტა. კავკასიაში უბიხთა სახსენებელი მაშინ გაქრა, როდესაც ისედაც მცირერიცხოვანი ხალხი XIX საუკუნის შუა წლებში იძულებული გახდა თურქეთში გადასახლებულიყო, სადაც სრული ასიმილაცია განიცადა. კრებულში წარმოდგენილი მასალა თურქეთშია ჩაწერილი ჟ. დუმეზილისა და მისი მოწაფეების მიერ აქა-იქ შემორჩენილი უბიხებისაგან, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი ენა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცენტრალური, ანუ ვაინახური შტო ჩეჩნებისა და ინგუშების ენაა. ეთნიკურად და ენობრივად ერთი ხალხი 1992 წელს პოლიტიკურად გაიყო ინგუშეთისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკებად.

ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი – დაღესტანი – არა მხოლოდ

მთების ქვეყანაა („დაღესტანი“ მთების ქვეყანას ნიშნავს), არამედ ენებისაც. იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდა, აქ თურქული და ირანული ენებიც გვხვდება. დაღესტნურ ენაზე შექმნილი ფოლკლორიდან კრებულში შედარებით მრავალრიცხოვანი ხალხების – ავარების (ხუნძების), დარგუელების, ლაკების, ლეზგების, თაბასარანელების ფოლკლორი შევიტანეთ.

ჩვენს კრებულში ინდოევროპულ ენებზე შექმნილი ფოლკლორი სომხური, ოსური და თათური ფოლკლორით არის წარმოდგენილი. აქედან ოსური და თათური ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ შტოს განეკუთვნება. თათები აზერბაიჯანსა და დაღესტანში სახლობენ. მათი ენა ახალი სპარსული ენის დიალექტია. თათების ნაწილი მუსლიმია, ნაწილი – ქრისტიან-გრიგორიანელი, ნაწილი – იუდეველი. ჩვენს კრებულში წარმოდგენილი ფოლკლორი დაღესტნელ თათებში – „მთის ებრაელებშია“ შეკრებილი.

ალთაური ენების ოჯახი კავკასიაში წარმოდგენილია თურქულ ენათა ოღუზური და ყივჩაყური შტოებით. პირველზე ლაპარაკობენ აზერბაიჯანელები, მეორეზე – ყარაჩაელები, ბალყარები, ყუმუხები, ნოღაელები. ყარაჩაელები და ბალყარები ეთნიკურად და ენობრივად ერთი ხალხია, პოლიტიკური ნიშნით გაყოფილი ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთს შორის. მათი ფოლკლორი ერთი, განუყოფელი მთელია. ამიტომ ჩვენს კრებულში იგი ერთად წარმოვადგინეთ.

ყუმუხები ძირითადად დაღესტანში სახლობენ, ნოღაელები – ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში (ძირითადად სტავროპოლის მხარესა და დაღესტანში).

როგორც დავინახეთ, ჩვენი კრებული კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის ფოლკლორს მოიცავს. რასაკვირველია, ერთი კრებული ვერ გასწვდებოდა იმ ზღვა მასალას, რომელსაც თითოეული ხალხი ფლობს. ეს მასალა ზოგჯერ განსხვავებულია, ზოგჯერ – საერთო ისე, როგორც ნართების მონუმენტური ეპოსი, რომლის შემოქმედის საპატიო სახელზე თანაბრად დასაბუთებულ პრეტენზიას აცხადებენ აფხაზები, ადიღეები, ოსები, რომელიც გაუთავისებიათ ყარაჩაელებს, ბალყარებს, ინგუშებს, ჩეჩნებს, დაღესტნელებს.

განსხვავებულიცა და საერთოც ერთიანი კავკასიური კულტურის ნაწილია, სულიერი სიახლოვის მაჩვენებელი, რასაც ერთსა და იმავე ბუნებრივ პირობებში ცხოვრებით განპირობებული ბევრი მსგავსი ტრადიციაც უწყობს ხელს.

ლია ჩლაიძე
თბილისი, 2008.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორი

ქართული ფოლკლორი

მზე, მთვარე და ვარსკვლავები

მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამა ჩემი,
წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ლილე*

ოი, ლილე, შენი დიდებითა სავსეა, ოი, ლილე!
ოი, ლილე, დიდება, დიდება მთავარანგელოზს, ოი, ლილე!
ოი, ლილე, შევსთხოვთ შეწევნას, ოი, ლილე!
ოი, ლილე, შეგვეწიოს მისი ძლიერება! ოი, ლილე!
ოი, ლილე, სალოცავი გქონიათ შესაწირავი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, ხარები გყავდათ შეთქმული, ოი, ლილე!
ოი, ლილე, რქები ედგათ ოქროსი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, ვერძები გყავდათ შესაწირავი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, რქები ედგათ დაგრეხილი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, ბუღრაობენ ქედიდან ქედამდე, ოი, ლილე!
ოი, ლილე, შენს საძირკველთან ირმები იწვნენ, ოი, ლილე!
ოი, ლილე, შენს ქონგურებს შავარდენი არტყია, ოი, ლილე!
ოი, ლილე, ზღუდე გარტყია ოქროსი, ოი, ლილე!
ოი, ლილე, სახლი გედგა უზადოდ აგებული, ოი, ლილე!
ღმერთმა დაგლოცოთ ყველა აქ მყოფნი.

მზე დაღმა ჩამავალია

მზე დაღმა ჩამავალია,
ჩავა, ჩაჯდება ბუდესა;
ოქროსი კვერცხი დაუდევს,
ჭუჭული მარგალიტისა.

მზე შინა და მზე გარეთა

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევ, შინ შემოდიო!
უყივლია მამალსაო,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენებულაო,
მზევ, შინ შემოდიო!
გათენდი თუ გათენდები,
მზევ, შინ შემოდიო.
გათენებულხარო,
მზევ, შინ შემოდიო
ძილო, რასა მეძინები,
მზევ, შინ შემოდიო.
მე საბრალოსაო,
მზევ, შინ შემოდიო.
ტანს, ფეხს არა არ მაცვია,
მზევ, შინ შემოდიო.
თითისტარო, კვირისტავო,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
მზევ, შინ შემოდიო!
მალე პერანგს შეგიკერავ,
მზევ, შინ შემოდიო!
წითელ კაბას შეგიკერავ,
მზევ, შინ შემოდიო!
სანატრელსა, ფრიალასა,
მზევ, შინ შემოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
მზევ, შინ შემოდიო!

შუქურვარსკვლავი*

ამოდი, შუქურვარსკვლავო,
მანათობელო ღამისა!
ამოდი და გამინათე
ხშირი სიბნელე ზამთრისა,
თორემ ნამქერში მოვკვდები,
დაგრჩები დასაძრახისად.

ლაზარე* — წვიმის მომყვანი

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა!
ცხავი* აცხავებულა,
წვიმა გაჩქარებულა!
ღმერთო, მოგვე ცის ნამი,
აღარ გვინდა მზის თვალი!
ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი!

ლაზარე — დარის მომცემი

ახ, ლაზარე, ლაზარე!
ცას ღრუბლები აჰყარე!
აღარ გვინდა ცის ნამი,
ღმერთო, მოგვეც მზის თვალი!
აღარ გვინდა ტალახი,
ღმერთო, მოგვე გორახი!

ბინდისფერია სოფელი

ბინდისფერია სოფელი
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არი ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.
წამოგეწევა სიბერე,
მგელივით წამოგვარდება,
სიკვდილი გზაში გიყელებს,*
თვალებში გაავდარდება.
მოგიგონებენ შვილები,
მზეს შეჰხედავენ მაღლითა:
სოფელში შემოაღამდა,
ბინდმა ძაღლივით დაფლითა.
ნეტა, სიცოცხლის მამგონი
ღმერთი თუ ჯოჯოხეთია?
ბევრი სიმწარე მინახავს,
ბევრიც სხვა გადამხდენია.

* * *

წუთისოფელი ასეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია.

წუთისოფლის სტუმრები ვართ

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
რასაც ერთურთს გავახარებთ,
იმის მეტი რა შაგვრჩება,
სამი ადლი* ტილოს მეტი
სამარეში რა ჩაგვყვება?

* * *

„რა ვქნისა“ ციხე ავაგე,
ჯავრი შევაბი კარადა,
საიქიოდან მოვიდნენ
ამ ციხის სანახავადა.
ბევრი უარეს ციხესა,
კარ ვერ გატეხეს ძალადა,
მემრე თქვეს, დრო რო მოალის*
კარ გაიღების თავადა.

* * *

სახლ გვიდგა საგონებელი,
კარი ჯავრისა გვიბია,
უძილობისა ლოგინი,
შიგ ნარი-დ ეკალ* გვიგია.
წინ გვიდგა სუფრა სევდისა,
ზედ ნაუღელი* გვიწყვია.
მოველით ღვთის ბრძანებასა
საჭმელად არ მოგვიცლია.

* * *

ნეტა რო ჩემი სასახლე
მაღლა მთაზედა აღმეგო,
გამვლელ და გამომვლელისთვის
დღე ყოველ კარი გამეღო.
სიტყვა არვისთვის მეწყინა,
სულყველას გული მომეგო,
რაც მეშოვნა და მეპოვნა,
სრულ გლახაკებზედ გარდმეგო.

* * *

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რაწამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
საცა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი,
შუაში არი ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.
ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი,
ჩვენსა და სომხების შუა
განყოფილება რა არი?
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არის.
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არის,
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?

სიკვდილი და ობოლი

სიკვდილმა ჩამაიარა, ბერკაცი დახვდა შინაო;
შაუჭახუნა ბერკაცმა, სიკვდილმა შააშინაო.
იმას გამასცდა სიკვდილი, ობოლი შახვდა წინაო.
— „მე მამკალ, ჩემო სიკვდილო! ობლობა მამეწყინაო“.
— „შენ არას მოგკლავ, ობოლო, შენი პატრონი ვინაო?
არცა გაქვ სანთელ-საკმელი, არც სუდარაი შინაო“.

დალი*

„დედა ძვირფასო, საგზალი მომიმზადე,
არჩვი და შუნი* მომენატრა“.
მოუმზადა დედამ საგზალი
მონადირეს, თავის საყვარელ შვილს.
დილაადრიან ავედი,
ავედი მთაზე.
საუზმის ჭამას რომ ვაპირებდი,
საშინელი კივილი შემომესმა.
ყურადღება არ მივაქციე.
მეორედაც შემომესმა კივილი.
„წყეულიმც ვიყო, თუ არ გავიგო,
რას ნიშნავს ეს კივილი!“
ავიხედე — თეთრი კლდეა.
კლდეზე დალი მშობიარობს,
ძირს მგელია დადარაჯებული.
დალს შვილი კლდიდან გადმოვარდნია,
მგელს გაუქროლებია იგი.
მონადირე კლდის ძირას მივიდა,
ასძახა დალს:
— დიდება შენდა, ვინც უნდა ბრძანდებოდე,
მიბრძანე რამე, ძალიან მინდა!
— მე კლდის დალი ვარ,
შვილი წამართვა მგელმა!
— ნურაფრისა გეშინია,
ცბიერ მგელს მე გავეკიდები.
მგელი ქედს გადადიოდა.
დალის შვილი პირით ეჭირა.
ერთ ქედზე დავიგულე,
მეორე ქედზე ჩავუსაფრდი.
დაიქუხა ჩემმა კუთხვამ.*
მგელს ხახა ღია დარჩა,
დალის შვილი დავატოვებინე;
მხარზე შევისვი და ისე მივგვარე
დედამისს, კლდის დალს.
„— დედაჩემო, ნაწნავი ჩამოუშვი!“

დალმა გადმოიხედა კლდიდან.
კლდის ძირას თავისი შვილი დაინახა.
ჩამოუშვა ოქროს ნაწნავი,
აიყვანა თავისი შვილი.
— ჩემი სალოცავი შეეწიოს
შენს მშველელ მონადირეს!
— მონადირევ, თუ რამე სათხოვარი გაქვს,
მთხოვე და შეგისრულებ.
გერჩიოს და — ჩემი დედობა,
გერჩიოს და — დობა, სიყვარული!
— იმის დიდება მისვლოდეს!
ამას ვერ გკადრებ!
— თუ არადა, ყოველ სექტემბერს მოგცემ
რვა ისეთ ჯიხვს,
სამი მტკაველი რქა რომ ექნეს.
ყოველ ბარბარობას* — შვიდ ჯიხვს,
წვრილ არჩვს კი — ყოველ კვირას.
იცოცხლე მარად,
ყველა მონადირეს, რომელიც შენი
მოგვარე იქნება,
მარჯვენა მხარში ამოვუდგები!

ბეთქილი*

ბაილ,* საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ, იკრიბება მულახი და მუჟალი.
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ, ლენტეხურ ფერხულს უვლიან,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ, გამოხტა თეთრი შუნი;
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ, ლაჯებში გაუძვრა ბეთქილს,
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,
ბაილ, ეგ ბეთქილის მისანი იქნება!
ბაილ ილბა, ილბა ბაილ,

ვინ გაედევნება შუნს?
ვინ გაედევნება და ბეთქილი!
ბეთქილი ბანდულებს* იბანდავს,
მისდევს მის ნაკვალევს;
წინ კარგად აჩნია მისი ნაკვალევი.
უკან მიხედავ მის ნაკვალევს და
ნაკვალევი აღარსად ჩანს.
ეს ბეთქილის წერა იქნება.
მიადგნენ შავ კლდეს,
დალის საბრძანებელს.
— გამარჯვება!
— როგორ გამარჯვებულსაც გაგიშვებ,
ამას ახლავე დაგანახებ.
რად უღალატე ჩემს პირობას?
ჩემი ნაჩუქარი მძივი რა უყავი?
— სასთუმალქვეშ დამრჩა.
— როგორც შენ ის სასთუმალქვეშ დაგრჩა,
ისე დაგაბრუნებ უკან!
თვალს მიეფარა.
ბეთქილი კლდეზე შერჩა:
მარჯვენა ხელის მოსაკიდი
მარცხენა ფეხის დასადგამი.
საბრალო ბეთქილი, საცოდავი ბეთქილი!
„მე უკან ვეღარ დავბრუნდები.
ჩემს ტოლებს უთხარით,
ნუ დაივიწყებთ-თქო ბეთქილს.
დედაჩემს უთხარით,
თავის გამოცხობილ ხაჭაპურსა და ჭიშდვარს*
საკურთხად მიდგამდეს დღისით და ღამით.
ჩემს ცოლს უთხარით,
სხვაზე არ გამცვალოს“...
ბეთქილი გადმოვარდა კლდიდან,
ძირს ტოლებმა აიღეს მისი ცხედარი.

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემ თქვა პირშიშველამა,
შიბნ* გავიარენ კლდისანი,
მოვინადირენ, დავლახენ
ბილიკნი ჭიუხისანი.*
შამამხვდეს კლდისა თავზედა
ხორონი* ჯიხვებისანი.
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,*
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
შავვარდი ვეფხვის ნაწოლსა,
დრონ იყვნენ შუაღამისანი.
ვეფხვი რომ წამომიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.
შაიბნენ ვეფხვი მოყმეი,
მაშინ დაიძრეს მიწანი,
კლდეები ჩამაანგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი.
გაზით* გაართვნა კალთანი
ჯაჭვისა, ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადაეკიდა,
ჩამოაწითნა ქვიშანი.
თავად კლდის თავზე შემოწვა
მოყმე სულამდინარი,
ქვიშას მიჰღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი,*
უერთოდ კი რა იხარჯნეს

ჩვენ მონადირის ისარნი.
იარებოდა დედაი
ტირილით თვალცრემლიანი,
ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს — ხმლით,
იმას — ტოტითა*
დღე დაულამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შაჰხვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩნენ სირცხვილიანი.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
შვილო, არ მოჰკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა.
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნევაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტებით,
ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია.
ერთი შვილ მაინც გაგზარდე
ვეფხვებთან მეომარია.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი

ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ ვუთხრა ჭირისა.
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც ვუთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა.

ქალსა ვისმე...

ქალსა ვისმე, ქალსა ვისმე
ერქვა შროშანიო.
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა
ეცვა ბეჭედიო.
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა
მოლი მოსულაო,
მოლის თავსა, მოლის თავსა
ნაძვი ასულაო.
ნაძვის წვერსა, ნაძვის წვერსა
ქორს ბუდე ედგაო.
ბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისაო.
კვერცხი ჰქონდა, კვერცხი ჰქონდა
იაგუნდისაო;
გადმოსჩეკა, გადმოსჩეკა
მარგალიტისაო,
ღმერთო, ერთი, ღმერთო, ერთი
ჩემთვის გაზარდეო,
სხვა ათასი, სხვა ათასი
სხვას გაუზარდეო.
სანადიროს, სანადიროს

გზა გაუწარდეო.*
ინადიროს, ინადიროს,
მოკლას ირემიო;
ეიკიდოს, ეიკიდოს,
შინ მოიტანოსო;
მაგ ირემსა, მაგ ირემსა
ბეწვი შეგლიჯეო;
მაგ ბეწვისა, მაგ ბეწვისა
ჩოხა დამირთეო.
ნაგულარი,* ნაგულარი
წინდა-პაჭიჭიო,*
ჩემო ქმარო, ჩემო ქმარო,
ლომო და გმირო.
მაგ ალვის ხეს, მაგ ალვის ხეს
ტოტი შესტეხეო,
მაგ ტოტისა, მაგ ტოტისა
სახლი დამიდგიო;
ნაფოტარის, ნაფოტარის —
წისქვილ-ბოსელიო.

ჯარჯო

ჯიხვების გადავლილი კლდე
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ ნაწოლსა, ნადგომსა
თოლი არ მაეკიდება.
ფეხ რო მაუსხლტეს ტიალსა,
კლდეზე რქით დაეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაჟკაცსა
რა კარგი წაეკიდება?!
ჯარჯო ჩაჰხედავს ჯიხვებსა,
რა მშვენიერნი წვანანო,
რქა რქაზე გადაუხვევან,
ანგელოზებსა ჰგვანანო.
ჯარჯო, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
მოგინელებენ ტიალნი.

არ დაიჯერა ჯარჯიმა,
— სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი.
ჩამაუქადლა* ვაჟკაცმა
ხირიმი* სპილოს ძვლიანი,
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა
კლდეზე გადიღეს გრიალი.
არახლოს ჭალას* ჩაცვივდნენ,
არახლოს პერანგიანი.
ჩაბანოს ჭალას გავარდა
მოყმე ფეხწრიაპიანი.
ამაიტანეს მამკვდარი,
ტირის ქალი და რძალია.
შამააწვინეს კარზედა,
კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი,
ყორნის დათხრილნი თვალნია.
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
დააკრნეს ჯიხვის რქანია.
ერთ გვერდზე თოფი სიათა,*
მეორე გვერდზე ხმალია
ზედ დააწერეს წერილი:
ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია.

შვიდს ძმათა, მერვეს ბიძასა

შვიდს ძმათა, მერვეს ბიძასა
მთას ვეფხვი გადმოგვეკიდა.
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხვს ერთიც არ მოეკიდა.
ესროლა ბერმა ბიძამა,
ვეფხვი ბწკლით* ჩამოეკიდა.
ნეტამც ჩვენ თოფ-იარაღნი
ჭალას მურყანზე დაჰკიდა.
ანამც გვაქცია ქალადა,
უნდაურ* ქმრებიმც აგვკიდა,
ანამც გვაქცია ხუცადა,
გულზე ოლრებიმც* დაგვკიდა.

გაზაფხულ იყო მაშინა

გაზაფხულ იყო მაშინა,
როცა ყვაოდნენ იანი,
საძოვრად ჩამოსულიყვნენ
ხარი, ირემი რქიანი.
— ირემო, რქებით მშვენარო,
ყურებით ლამაზიანო.
ნუ იარები ველადა,
თავი არ დაიზიანო,
არ გაახარო მოყმეი,
თოფი არ გაახმიანო.
გამოჩნდა მოყმე პირქუში,
ჩამოვა მშვილდისრიანი.
წამოფრთხა ხარი ირემი,
გუნებამძიმე, რქიანი,
გაფრინდა ნიავ-ქარივით
რქებმა წაილო ზრიალი,
წამააყოლა მოყმემა:
— შორს ველარ ივლის ტიალი.
— რას სჩადი, კაცო, რადა მკლავ!
შენთვის რა მიქნავ ზიანი?
ჩემის დღის დამბნელებელსა
შენ კი შაგჭამენ ჭიანი.
შენ ჯოჯოხეთში ჩავარდე,
ჩემთვის მზა სამოთხე არი.

* * *

სამშობლოს არვის წავართმევთ.
ჩვენს ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ვაჟკაცი

მტერსა რომ მტრობას უწევდეს
— ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მაუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენდების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.

ხოგაის მინდი

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა.
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა,*
მაღლის ჭიუხის ნადირი
სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი, ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა,*
ცოლი იმისი, ბეჩავი
სულ შავად იმოსებოდა,
დედის იმისას, საბრალოს,
ტირილს აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი, საბრალო,
თმა-წვერით იხოშებოდა.

გამაგრდით, არხოტიონნო*

გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა,
ვისაც მოგვიკვლენ, დავმარხოთ,
სხვა კიდევ გაიზრდებისა.

* * *

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შაჭამონ მტრისანი.

* * *

ვაჟკაცსა — გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო,
თვალნი — ქორებულ მხედავნი,
მუხლები შევარდნისაო.

* * *

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია,
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია!
მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის მკვესია,
სულ წმინდად მოგამკევინო,
რაც ჩემთვის დაგითესია.

* * *

სალ კლდეში ორბი ბუდობდა,
სალი კლდის თავზე — არწივი.
ორბი შესძახის: „ამიშვი!“
„არ ამოგიშვებ!“ — არწივი.
ერთურთის სისხლსა ნუ დაღვრით,
ნებისად* გქონდეთ ადგილი.

მთიელი

მთიელ ვარ — მთაში გაზრდილი,
გულადი, გაუტეხელი.
არწივი ზეცით მოსული,
სპილო ვარ მოუდრეკელი.
სამშობლოს მოსიყვარულე
ვარ მისი დაუთმობელი,
მე მირჩევნია მყინვარი,
სულ მუდამ ყინულიანი.
სალი კლდეები ყუროსი*
და იქვე ჯიხვთა ტრიალი.

* * *

შავი ხარ შავსა ცხენს ზიხარ,
შავი თოქალთო* გიგია,
კუპრის პერანგი გაცვია,
ზედ ნავთის ღილი გიბია.
გამოხვეულხარ ფარ-ხმალში,
შუბლზე ალმასი გიგია.

შემომეყარა ყივჩაყი

შემომეყარა ყივჩაყი
სამზღვარს მუხრანის გზისასა.
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოჰხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი ცოლს ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა,
მაგრამ დაუცთა მუხთალსა,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა.
ახლა მე შემოვუქნივე,
ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიც მომიხვდა ქვიშასა.
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა.
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

ვახტანგ მეფე*

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა.
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

თამარ დედოფალი ვიყავ

თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ზეცამდის ავიღე,
სტამბოლს ხმალი ვკარ, დარუბანდს,
შამს* საბალახე ავიღე.
ზღვაში სამნები ჩავყარე,
ხმელეთი ჩემსკენ მავიღე,
უსიერი მთა გავკაფე,
დიდი შარაგზა გავიღე.
ღადაღუდა* ტყე ვიარე,
ქედზედ საყდარი ავიგე.
ამდენი საქმის მოქმედმა
ცხრა ადლი ტილო წავიღე.

ბატონიშვილ ერეკლესა

ბატონიშვილ ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია.
საჩალეში გადაეგდოთ,
მონადირეს უპოვნია.
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია.

თაფარავნელი* ჭაბუკი

თაფარავნელი ჭაბუკი
ასპანას* ქალსა ჰყვარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულძაღლი ბებერი
ბიჭისთვის ავსა ლამობდა,
სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა,
თანაც ქალს ეუბნებოდა:
წინათაც ეგა გყვარობდა.
ბიჭი მიარღვევს ტალღებსა,
გულ-მკერდი არა ჩქამობდა,
ცალ ხელში დოლაბი* ეპყრა,
ცალ ხელით ნიავქარობდა,
ზღვას იქით ენთო სანთელი,
ზღვას აქეთ კელაპტარობდა.
ჩამოწვა ღამე წყვდიადი,
უკუნ ღამესა ჰგვანობდა.
ტალღა ტალღაზე ნახეთქი
ბიჭის ჩანთქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შესჭირდა,
ქვესკნელი ბობოქარობდა.
გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა.
ბიჭი ჩაენთქა მორევსა
ჭოროხზე ეგდო, ქანობდა,
იმისი მოვის* პერანგი
ზემოდან დაჰფარფარობდა,
ზედ დასჯდომოდა ორბი და
გულს უკორტნიდა, ხარობდა.

* * *

იამა გშობა შობითა,
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
შეგამკო სურნელებითა.

* * *

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები* ვნახეო,
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
ცისკრის ლოცვაზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
ფარსაგ* ვერ დაგინახეო.

* * *

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო!
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ წმინდავ, ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა.
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

* * *

ვერცხლისამც თასად მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა წითლადცა,
შამსვემდი — შეგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზედ ჩაგეგებოდი,
ან შენის ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზედ შაგეჭრებოდი.
ანამც მქნა ვარდი — ყოილი,
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი,
ან ვიყო მოვის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი.
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,
ანამც ძმა ვიყო მოწილე,
ცოცხალს არ გაგეყრებოდი.

* * *

ნეტავი, მოვკვდე ხის ძირსა,
ფოთოლი დამედინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი,
თვალს ცრემლი მოედინოსა.

* * *

ქალმა თქვა: ნეტავ, მზე ვიყო,
თრიალეთს მოვეფინები...
გამვლელ-გამომვლელ მწყემსებსა
ზედ მკერდზედ დავეფინები...

მეფეო, შენსა გვირგვინსა

მეფეო, შენსა გვირგვინსა
ღვთისაგან ჯვარი სწერია!
ვერცარა მტერმა იხარა,
ნურცა რამც გაუხარია!

* * *

მეფეო, შენსა გვირგვინსა
გამჩენმა ჯვარი გწეროსა,
შენა და შენი მეუღლე
ერთ მკლავზე შეგაბეროსა.

მაყრული

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგვყავს დედალი ხოხობი.
ლამაზი ქალი, რა ქალი,
ლერწამა, ძუძუკოკობი.
მაყრიონსაც და დამხვდურსაც
სუყველას გაუხარია.
მოგვყავს დედალი ხოხობი,
მოვდივართ, მოგვიხარია.

ლაზური მაყრული

პატარძალო, საით მიხვალ
ნება-ნება, ჩამავალი მზესავით?
პატარძალო, ლამაზ ქოშებს შეგიკერავ,
მაგ პატარა ფეხთათვის.
ჩქარა-ჩქარა არ იარო, პატარძალო,
ნელა მომიახლოვდი.
ჩადრიდან, როგორც ახალი მთვარე,

გამოჭვივის შენი ლამაზი სახე.
შენგან დამწვარი და დადაგული,
საით წავიდე, პატარძალო?
სხვისა მძივებს მაგ თეთრ ყელზე
ნურასოდეს დაიკიდებ,
პატარძალო.

იავნანა

იავ, ნანა, ვარდო, ნანა,
იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე,
იავნანინაო,
ჯერ არ გაოენებულაო,
იავნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა,
იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო,
იავნანინაო,
მანანოები* მოდიან,
იავნანინაო,
ძილი მოაქვთ გუდითაო,
იავნანინაო,
ამას ჩემს ყმაწვილს მივუტანო,
იავნანინაო,
თვალებს გავუვსებ ძილითა,
იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო,
იავნანინაო.

* * *

იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
აქ ბატონები* მობრძანდნენ, ვარდო, ნანინაო,
ბატონების მამიდასა, იავნანინაო,
ქვეშ გავუშლი ხალიჩასა, ვარდო, ნანინაო.
იმასაც არ დავაჯერებთ, იავნანინაო,
ზედ გავუფენთ ორხოვასა,* ვარდო, ნანინაო.
ამ ბატონების დედასა, იავნანინაო,
უდგია ოქროს აკვანი, ვარდო, ნანინაო,
შიგ უწევს ბატონიშვილი, იავნანინაო,
უსხიათ ოქროს ქოჩორი, ვარდო, ნანინაო,
ატლასის საბანი ხურავს, იავნანინაო,
ზარბაბთისა* არტახები, ვარდო, ნანინაო,
მოვის პერანგი უცვიათ, იავნანინაო,
მთვარე გრეხილად უვლიათ, ვარდო, ნანინაო,
ვარსკვლავი ღილად უბიათ, იავნანინაო,
ლალის ჩანჩხურა* უბიათ, ვარდო, ნანინაო,
გადაჰკვრენ, გადაარწევენ, იავნანინაო,
ამაოდ ბრძანებენ ნანასა, ვარდო, ნანინაო,
შვიდი ბატონი და-ძმანი, იავნანინაო,
შვიდ სოფელს მოვეფინეთო, ვარდო, ნანინაო,
შვიდგანვე დავცით კარავი, იავნანინაო,
შვიდგანვე მოვილხინეთო, ვარდო, ნანინაო,
იაგუნდის მარანშია, იავნანინაო,
ღვინო დგას და ლალი სჭვივსო, ვარდო, ნანინაო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, იავნანინაო,
ტოტები აქვს ნარგიზისო, ვარდო, ნანინაო,
ზედ ბულბული შემომჯდარა, იავნანინაო,
შევარდენი ფრთასა შლისო, ვარდო, ნანინაო,
ია ვკრიფე, ვარდი ვშალე, იავნანინაო,
ბატონებს წინ გავუშალე, ვარდო, ნანინაო.

რკინის კარის შეხსნა

ვერ გაიგეთა, ქართველნო?
შეგეხსნათ რკინის კარიო,
მზე ჩაგვივიდა უკუღმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო.
ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო.
აღარ გვყავს მეფე ერეკლე,
არც იმის საომარიო.
არ გიფრიალებთ დროშები,
არცა სჭექს ზარბაზანიო.
ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია.
შვილებს დაუგდო* ბეგთარი,*
ფხასისხლიანი ხმალია.
„სანამდი ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მივძრენ და მოვძრენ ზღვანია.
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქი, მეიდანია“.
მცხეთას რომ ვერცხლის კუბო დგა,
უნთია კელაპტარიო,
შიგა წევს მეფე ერეკლე,
ბაგრატიონის გვარიო.
ატირდა ერეკლეს ცოლი
იმერთა მეფის ქალიო:
„ეს ჩემნი თვალნი რასა ჰგვან?
მოღრუბლულნია ცანიო,
მალ-მალე ისე დასწვიმენ,
როგორც ნაღვარნი წყალნიო.
ეს ჩემი გული რასა ჰგავ?
— ცხენთა ნაგალი ნალია.*
ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგეხსნათ რკინის კარია?
იმისა სამეფოზედა

იცილებიან სხვანია.
ვაჟიმც მქნა, ქალი არ ვიყო,
თავზედ არ მესხნას თმანია!
ტანზედ ჩამაცვა ბეგთარი,
საჭირო საომარია!
მაშინის გაიგებოდა,
ვისიც გასჭრიდა ხმალია!
რა მალე ვინადირებდი,
შორით გეჭირა თვალია“!

* * *

სიკვდილო, შვილი გაგიზარდე.
მე სხვა დედებს კი არა ვგავარ.
ძალიან დაღონებული ვარ,
სისხლის და ცრემლის ტბორში ვზივარ.
აქამდე ბედნიერი ვიყავ,
ახლა კი მწუხარების მზე ვარ,
დაღონების მზე, გადახრილი,
გორს იქით გადაფარებული.
ვაჰმე, სიკვდილო, რა ყოფილხარ?!
ხანჯრებით ჩამიკაფე გული.

* * *

ღამეო, შენამც გენაცვლები,
შენაც ჩემ დარდი გაგიგავის:*
ძალიან ბევრი გიტირნავის,*
ვარსკვლავნი ცრემლად დაგიღვრავის!*
გათენებაო, შენამც გენაცვალე,
ჩემ დარდი შენაც გაგიგავის:
მთის ლამაზ-ლამაზ ყოილებზე*
ცვარ-ნამის ცრემლი დაგიღვრავის...
ჩემ შვილს რად უნდან სამოსელნი, —
ჩოხა გაჰხადეთ, გადაუგდეთ,

მიწის სამოსელ შაუკერეთ,
სარჩულად ტირილ დაუდევით,
ღილად ცრემლები დაუკერეთ,
სამარეს პირი გაუკერეთ
ჩემის ცრემლების ძაფებითა,
ხავერდოვანის ბალახითა...
სამარევ, პირი დაიბანე
მწუხარე დედის ცრემლებითა,
მიწაო, შვილი შემინახე,
შენ შემოგჩივი ვედრებითა!

* * *

დედილამ,* შვილო, დედილამა,
ამას კი გეტყვის შენი დედა:
შენ მამკლავს ცოცხალს არ ვავლევდი,
ხეს რო მეეკალ, ხეს დავწოვდი,
ქვას კი რა ვუყვა, ქვა — ოხერსა?!
დავტეხო, უფრო გაბევრდების.

* * *

დედაშენს რა აქვ სატირალი?
სატირალი აქვ თემ-სოფელსა!
ხმალსა რო ჰგვანდი გალესილსა,
ციხესა — რკინისკარიანსა,
მთის ზოვსა* ჰგვანდი დასხლეტილსა,
ვეფხვსა კლდისასა — ზავთიანსა.*
უშენოდ დარჩა თემ-სოფელი
ციხე-გალავან მორღვეული.
ახლა მე იმას გეხვეწებით,
მამკლავს ნუ დასწყევთ ამისასა.
მამკლავის მამკლავ ესეც არი!
იმის დედასაც დაუბარეთ...
იმასაც შააკლდება გულსა,
ცოდვას ცოდვას ნუ მიუმატებთ...

* * *

დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა,
დავბერდი, სიტყვაც დამიბერდა,
ვარ ორის ჯოხით მოარული...
აბა, გაჰხედნეთ ჩემ ნავალსა.
ცრემლით არიან დასეტყვილნი;
აბა, დაჰკვლიეთ გზა — გზის პირთა —
ცრემლით არიან დარეცხილნი!
ცეცხლი მაქვს გულზე მოდებული,
ტუსის* სუნ ასდის ჩემს ცრემლსაცა.
დავდივარ დამწვარ-დადაგული...
ღმერთმა დასწყიოს ცრემლი ჩემი.
ღორღივით არი, ხალხო, მძიმე!
მე თავადა ვარ სატირალი,
მე თავადა ვარ დაღონება —
ხმელეთზე ფეხით მუარული...

* * *

მაჰკვდია, ბეჩაო იერემო,
დასდევა.სიღარიბის ჯოხი?
მიწანიმც დაილოცებიან —
შიშველნი დაგიმალნა ხორცნი...

* * *

ნეტავ მაქცია სიკვდილადა —
სიკვდილსა შვილსა მაუკლავდი,
ამავიყრიდი იმის ჯავრსა —
დავაკვნესებდი ჩემსავითა!

* * *

თქვენებიანთ კამეჩები
კაცმა ნახოს, ეამება,
ერთი ბრმა და ერთი კოჭლი,
ორივ ერთად იარება.

* * *

ლიახვი ადიდებულა,
ეხეთქება კიდესა,
დედაჩემი ბევრს იშოვის
შენისთანა სიძესა.

* * *

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოველ — მაჭარი:
ნეტავი, გოგო, გაგყიდონ,
მე ვიყვე შენი ვაჭარი.

* * *

ნეტავ, გოგოვ, შენმა ქმარმა
აიღოს და ქვა დამცესა;
ის ციხეში დაიჭირონ,
შენი თავი მე დამრჩესა.

კაფიები

საქორწილო ტრადიციით, დედოფალს კალთაში ბავშვი უნდა ჩაუსვან. ბოწახლებს* კალთაში ჩასასმელი ბავშვი დროზე ვერ მოუყვანიათ. მაშინ ნიწოთ კარატიელს უთქვამს:

საწყლებო, ვაჟის მაყრებო,
თქვენ საქმე არის ცერადა.
ბოწახს ბალღ ვეღარ იშოვნეთ
კალთაში ჩასასმელადა.
ერთ ბალღის დედა მამგვარეთ,
ბალღს გაგიკეთებთ ხელადა.

* * *

— მოდი, ფრუშკავ, ერთ ქალს მოგცემ,
აარჩიე შიგაითა.
— ბებერ-ბებრებიღა ყრილან,
სათრევლები ციგაითა.
— მაშ, შენ კაი ქალს ვინ მოგცემს,
გაზრდილ იყოს წმინდაითა?*
— ჩვენ ისეთ გოდრები გვიდგია,
ვერ გადაზომ შიმშაითა.*
— გიდგათ ცარიელაები.
რა ამოგაქვთ შიგაითა?
ორივ შიმშილს დაუხოცავ
თაგვებიც და ციცაიცა.

ურმული

აღზევანს* მივალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო,
ჯერ დედას გადავეხვევი,
მერე შვილსა და ცოლსაო.
გაუწი, შვინდავ, გაუწი,
ნუღარ ჰღალატობ ტოლსაო,
აღზევანს მივალ მარილზე,
მარილს მოვიტან ბროლსაო.

* * *

გასწიე, ხარო, გასწიე,
გრძელი გზა გვიმოკლდებაო,
აგერ გამოჩნდა ცისკარი,
ეტყობა, გათენდებაო.
ღამეა, მთვარე კაშკაშებს,
ვარსკვლავნი კრთიან ცაზედა,
ურემიც მიდის ჭრიჭინით
გატკეცილ შარაგზაზედა.
ბნელს ღამეს წასვლა ძნელია,
ისმის კივილი ჭოტისა,
ურემს უხდება სიმღერა,
თან ტყლაშატყლუში შოლტისა.

ლერწმის ქალი

იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყავდა ერთი ვაჟი. ერთ მშვენიერ დღეს ხელმწიფის ვაჟი გავიდა ბიჭებში საკოჭაოდ. ამ დროს წყალზე გამოიარა ერთმა ქალმა, კოკა ეჭირა ხელში. ხელმწიფის ბიჭმა ესროლა ქვა და კოკა გაუტეხა. ქალი წავიდა სახლში ტირილით და დედას უთხრა: ხელმწიფის შვილმა კოკა გამიტეხაო. დედამ უთხრა: წაიღე, შვილო, მეორე კოკა. თუ კიდევ გაგიტეხა, ნუ დასწყევლი, რადგან დედისერთაა, მხოლოდ უთხარი: ისეთი ქალის სიყვარული ჩაგივარდეს გულში, რომ ადამიანის ნაშობი არ იყოს-თქო.

ქალმა აიღო კოკა და წავიდა წყაროზე. ხელმწიფის ვაჟმა ის კოკაც გაუტეხა, მაშინ ქალმა უთხრა: შენამც გულში ჩაგვარდნოდეს ისეთი ქალის სიყვარული, ადამიანის ნაშობი არ იყოსო.

ეს რომ გაიგონა ვაჟმა, ადგა მაშინვე და წავიდა სახლში. გახდა ავად. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერაფერი უშველეს. ერთხელ ბიჭმა ნებართვა სთხოვა თავის მამას, შემჯდარიყო ცხენზე და გაევლო. მამამ ნება დართო. შეჯდა ცხენზე ხელმწიფის ვაჟი და წავიდა, წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა.

დიდი ძებნის შემდეგ ხელმწიფემ შვილი რომ ვერ იპოვა, თავისი სახელმწიფო შავებით შემოსა.

ხელმწიფის ვაჟმა ბევრი იარა, მივიდა ერთ კოშკთან, გარეთ დახვდა ერთი ქალი და უთხრა: დაძმობას, ამაღამ შემინახეო. ქალმა უთხრა: მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო. ვაჟი გადმოვიდა ცხენიდან, დააბინავა ცხენი, შევიდა სახლში და ნახა ერთი ბებერი კაცი წვერზე ხავსმოკიდებული. გამარჯობა რომ უთხრა, ძლივსღა გააგებინა. ხელმწიფის ვაჟმა ამ ბებერ კაცს უთხრა: ჩემი საქმე ესეა, ისეთი ქალის სიყვარული მაქვს გულში ჩავარდნილი, რომელიც ადამიანის ნაშობი არ უნდა იყოსო.

ბებერმა კაცმა უთხრა:

— ასეთი არაფერი გამიგია რა, მხოლოდ აქედან რომ წახვალ, ნახავ ერთ კოშკს, იქა ცხოვრობს ჩემი უფროსი ძმა, თუ ეცოდინება, იმასაო.

გათენდა დილა. შეკაზმა ცხენი, შეჯდა ხელმწიფის ვაჟი და გაუდგა გზას. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მივიდა იმ კოშკთან, დაინახა ერთი ქალი და უთხრა:

— დაძმობას, ამაღამ შემინახე, თუ შეიძლებაო.

ქალმა უთხრა:

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო.

ვაჟი გადმოვიდა ცხენიდან, ცხენი დააბინავა. თვითონ შევიდა სახლში, დაინახა ერთი ბებერი კაცი, წვერზე ხავსმოკიდებული. გამარჯობა რომ უთხრა, ძლივსღა გააგებინა. შემდეგ კი უამბო თავისი თავგადასავალი. ამ ბებერმა კაცმა უთხრა: ასეთი არაფერი გამიგია, მხოლოდ ჩემს იქით ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს, თუ ეცოდინება, იმასაო.

გათენდა დილა. წავიდა ბიჭი და გზაში ფიქრობდა: ეს უმცროსი ძმები ესე დაბერებულები არიან, იმას ხომ სულ ვერაფერს გავაგებინებო. მივიდა იმ კოშკთან. დაინახა ქალი, დაუძახა: დედაშვილობას, ამაღამ შემინახეთო. ქალმა უთხრა: დიდი სიამოვნებით, ჩემს ქმარს ვეტყვი და რას იტყვისო.

ჩამოვიდა ბიჭი ცხენიდან, ელოდებოდა ქალის პასუხს. ქალი სახლში შევიდა, დიდხანს დაიგვიანა, რადგან ქმარს სძინებოდა და ვერ უბედავდა გაღვიძებას. ბოლოს ჩაიცვა ოქროს ქოშები, ატეხა ერთი ბრახაბრუხი და ასე გამოაღვიძა თავისი ქმარი.

ქმარმა უთხრა: რატომ გამაღვიძეო. — ერთი სტუმარი მოგვივიდა, მთხოვა ამაღამ შემინახეთო და ამიტომ გაგაღვიძეო. ქმარმა უთხრა: წადი, დაუძახე, მოვიდესო. დაუძახა ქალმა: მობრძანდი სახლშიო.

ვაჟმა ცხენი დააბინავა, შევიდა სახლში, დაინახა ქალის ქმარი, ძალიან ახალგაზრდა კაცი იყო, დაჯდა და საუბარი გაუბა. თავის თავზე უთხრა: ასეთი და ასეთი ქალის სიყვარული მაქვს ჩავარდნილი გულში და ხომ არსად გაგიგონიათო.

კაცმა უპასუხა: ეგეთი ქალი არ გამიგონია, მხოლოდ ჩვენს საზღვარზე ცხოვრობენ დევები, სამნი ძმანი არიან, ერთი დედა ჰყავთ, ძმები დილით მიდიან სანადიროდ, დედა კი მატყლს ართავს ხოლმეო. დედას პირი იქითკენ აქვს ყოველთვის, საიდანაც მზე არის. შენ იმდენს უნდა ეცადო, უკანიდან მოექცე და უთხრა: დედაშვილობას, წყალი მწყურია და წყალი დამალევინეო, მაშინ არ შეგჭამს და მას ელაპარაკე. თუ ეცოდინება, იმას, თუ არადა, სხვას არავის ეცოდინებაო. ამით დაამთავრეს ლაპარაკი. შემდეგ თავის ცოლს უთხრა: პური გვაჭამეო. ცოლმა უპასუხა: რა გავაკეთოო. სხვენში რომ გოგრა გვაქვს, ის გოგრა მოხარშეო. ჩამოიტანა გოგრა ქალმა. ქმარმა უთხრა: ეს გოგრა ისევ აიტანე და მეორე გოგრა რომ არის, ის ჩამოიტანეო. წავიდა ქალიც და ჩამოიტანა ისევ ის გოგრა.

ქალმა ვახშამს დაუწყო მზადება. ხელმწიფის ვაჟმა უთხრა: კაცო, შენი ორი ძმა ვნახე შენზე უმცროსები, ისინი ისე არიან დაბერებულები,

ძლივს ვაგონებდი, რომ ველაპარაკეო. შენ იმათზე უფროსი ყოფილხარ და ასე ჯეელი ხარო? ამ კაცმა უპასუხა: ჩემს ერთ ძმასა ჰყავს ცოლად ვირის გვერდი, მეორე ძმას — ძაღლის ყბაო. იმ ცოლებმა დააბერეს ისინი, თორემ ასე ადრე არ დაბერდებოდნენო. ჩემი ცოლი კიდევ ისეთი ადამიანია, რომ ახლა სხვენში ერთი გოგრის მეტი არა გვქონდა, მაგრამ მე რომ ვუთხარი, აიტანა გოგრა უკან და ისევ ჩამოიტანაო. იმათი ცოლები რომ ყოფილიყვნენ, შიგ თავში დაარტყამდნენ და ეტყოდნენ: ერთი გოგრის მეტი როდისა გვაქვსო! რომ დავწვები და დავიძინებ, ვიდრემდის არ გამომეღვიძება, სახლში არ შემოდის, ფეხის ხმაზე არ გავაღვიძოო. ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემი გაღვიძებისაო. ჩაიხედა სარკეში და დაინახა, რომ ერთი თეთრი თმა უკვე ამოსულიყო, იმ ერთ გაღვიძებაზე. აი, ამიტომ არიან ჩემი ძმები ბებრებიო.

ლაპარაკს როდესაც მორჩნენ, ივახშმეს და დაიძინეს. მეორე დილას ადგა ხელმწიფის ვაჟი, შეკაზმა ცხენი და გაუდგა გზას. როგორც ამ კაცმა უთხრა, დევების დედას მიეპარა და მუდარით უთხრა:

— დედი, დედაშვილობას, წყალი მწყურია და დამალევინეო.

დედაბერმა სწრაფად მოიხედა უკან და უთხრა:

— დედაშვილობა რომ არ გეთქვა, რა კარგი ვახშამი იქნებოდიო.

დედაბერმა გამოუტანა წყალი და დაალევინა. მერე უთხრა ხელმწიფის ვაჟს:

— ჩემი შვილების შიშით ქვესკნელს ჭიანჭველას ვერ გაუვლია, ზეცაში ფრინველი ვერ გაფრენილა და შენ აქ რამ მოგიყვანაო.

ხელმწიფის ვაჟმა უპასუხა:

— მე ისეთი სატკივარი მაქვს ატეხილი, რომ გინდა დევების შვილებმა შემჭამონ და გინდა, ვინც უნდა იყოს, თუ საწადელს ვერ მივაღწევო.

დედაბერს უამბო თავისი თავგადასავალი. დედაბერმა უთხრა:

— ასეთი ქალი მე არ გამიგია, ოღონდ.მაინც ვეცადოთო.

საღამომ მოაწია, დედაბერმა დამალა ხელმწიფის შვილი. მოუვიდნენ შვილები და უთხრეს დედას:

— დედი, ადამიანის სუნი მოგვდისო.

დედამ უპასუხა:

— შვილებო, მზით უკან ვინმე გადმოყრიდა ნაგავს ქრისტიანი და მისი სუნი მოვიდოდაო.

დედამ დააჯერა თავისი შვილები, შემდეგ გაატყავეს თავიანთი ნანადირევი, მოხარშეს და ჭამეს.

გათენდა დილა. დევის შვილები წავიდნენ სანადიროდ. ბებერმა დედაკაცმა გამოიყვანა ხელმწიფის ვაჟი, მისცა ერთი დანა და უთხრა:

— წადი აგერ იმ ტყეში შენი ცხენით, მოსჭერი სამი ხე და მოიტანე აქაო.

წავიდა ეს ვაჟიც, მოსჭრა სამი ხე, ისეთები, რომ ძლივს მოიტანეს თვითონ და მისმა ცხენმა. ბებერმა დედაკაცმა მოსწია ხეები მუხლზე და სამივენი დაამტვრია:

— როგორებიც მინდოდა, ვერ მომიტანეო.

წავიდა თვითონ ტყეში, მოსჭრა სამი ხე, მოიტანა სახლში. მერე ხელმწიფის ვაჟს უთხრა:

— შეჯექი ცხენზე და მომყევიო.

დედაბერს სამი ხე მიჰქონდა ხელით, ისე გარბოდა, რომ ვაჟი ცხენით ძლივს მისდევდა. მივიდნენ ზღვის პირას, გადმოვიდა ხელმწიფის ვაჟი ცხენიდან. მისცა ბებერმა ერთი დანა და ქასური* ბიჭს და უთხრა: ეს დანა ისე უნდა გალესო, ამ ხეს რომ დავადო, გადასჭრასო. ბიჭმა დაუწყო დანას ლესვა, ბოლოს ხელები აუკანკალდა: შეეშინდა ბიჭს, უთუოდ იმისათვის მალესვინებს დანას, რომ მე მომჭრას თავიო. ეს რომ შენიშნა ბებერმა, უთხრა: რატომ გიკანკალებს ხელებიო. ბიჭმა უპასუხა: მეშინია, ვაითუ თავი მომჭრაო. ბებერმა უთხრა: რად მინდა, რომ თავი მოგჭრა, მაშინვე შეგჭამდი, თუკი მნდომოდა, მაგრამ დედაშვილობამ გიშველაო.

ბიჭმა დანა გალესა, ამ ბებერმა ეს სამივე ხე გადაყარა ზღვაში და დაჰკივლა. მთელი წყალი იქით გაქანდა და სამი ლერწმის ხე გამოჩნდა წყალში. ბებერმა უთხრა: გაიქე, ეს ხეები მოსჭერ ძირში და მალე გამოიტა, წვიმამ არ მოგისწროსო. შევარდა ბიჭი, საჩქაროდ მოსჭრა ლერწმის ხეები და როდესაც ნაპირზე გამოვიდა, ზღვამ ცოტათი დაჰკრა ტალღა. გამოიტანა სამივე ხე ბიჭმა. ბებერმა დედაკაცმა დაუკვერცხა ხეებს თავი და დაიწყო ლოცვა. როდესაც ილოცებოდა, გასკდა ერთი ლერწმის ხე შუაზე და გადმოვარდა ისეთი მშვენიერი ქალი, რომელსაც თვალი აღარ მოშორდებოდა. წამოიყვანეს ქალი ამ ბებრის სახლში. როცა სახლში მოვიდნენ, ბებერმა გამოუცხო ერთი თონე პური, მისცა ერთი ცხენი, ერთი კოკა წყალი და უთხრა: წადით ახლა, სანამდე შინ არ მიხვიდეთ, არ ჩამოხვიდეთ ცხენებიდანაო.

წავიდნენ, მართლაც, ასე იქცეოდნენ. როდესაც სახლს მიუახლოვდნენ, მაშინ ვაჟმა უთხრა:

— ახლა უკვე მამაჩემის სახელმწიფოში ვართ მოსული და როგორც ჩემს სახლში, ისე ვგრძნობ თავსო. მოდი, ჩამოვიდეთ ცხენებიდან და ცოტა დავისვენოთო.

ქალმა უარი უთხრა:

— გახსოვს, იმ ბებერმა დედაკაცმა რა გვითხრაო?

ბიჭმა მაინც შეაცდინა და ჩამოვიდნენ. ცხენები საძოვარზე გაუშვეს, თვითონ ერთი მდინარის პირას ჩრდილში დასხდნენ. ვაჟს ქალის კალთაში ჩაეძინა. მოვიდა ერთი შავი არაბის ქალი, მიესალმა ამ ქალს და დაუწყო ლაპარაკი. ამ ქალს შავმა არაბმა უთხრა: მოდი, ვიბანაოთო. ლერწმის ქალმა უარი უთხრა ბანაობაზე, რადგან მის ქმარს კალთაზე ედო თავი და ისე ეძინა. არაბის ქალმა მაინც შეაცდინა და თავქვეშ უნაგირი დაუდეს ვაჟს. ჩავიდა, ჯერ არაბის ქალმა იბანავა, შემდეგ უთხრა ლერწმის ქალს: ახლა შენ იბანავე და მე გიდარაჯებ, არავინ მოვიდესო. ქალმა გაიხადა ტანისამოსი, ჰკრა არაბის ქალმა ხელი, გადააგდო წყალში და უთხრა: შენამც იქცევი თევზადაო.

ლერწმის ქალი იქცა თევზად. არაბის ქალმა ჩაიცვა ლერწმის ქალის ტანისამოსი, გამოაცალა უნაგირი და თავის კალთაში დააძინა. როდესაც გამოეღვიძა ვაჟს, შეხედა ქალსა, ელდა ეცა: ეგ რა მოგსვლია, როგორ გაშავებულხარო?! ქალმა უთხრა: გახსოვს, ბებერმა რომ გვითხრა: სანამდის სახლში არ მიხვალ, ცხენებიდან არ გადმოხვიდეთო, შენ რომ გადმომიყვანე ცხენიდან, ალბათ, იმიტომ გავშავდიო.

შეკაზმეს ცხენები, გაუდგნენ გზას და მივიდნენ მამის სახლში. მამას, ერთი მხრით, გაუხარდა, სახელმწიფოს შავები გადააძრო, მაგრამ, მეორე მხრით, ძალიან ეწყინა, და უთხრა:

— შვილო, მაგისთვის იკლავდი თავსო?

შვილმა უთხრა თავის მამას:

— ეჰ, მამი, ალბათ ბედი ესა ყოფილა და რას ვიზამდიო.

გადაიხადეს ქორწილი.

ეს თევზი წამოვიდა წყალდაწყალ და სადაც ხელმწიფის ნახირი სვამდა წყალს, იქ ამოვიდა. წყალზე რომ მირეკენ საქონელს, თევზი გაიფრთხიალებს და საქონელი ფრთხება, უწყლობით იხოცებიან, წყალს ვერა სვამენ. მწყემსებმა მოახსენეს ხელმწიფეს ეს სამწუხარო ამბავი.

იმ წყალზე თევზაობა აკრძალული იყო, მაგრამ ხელმწიფემ მაშინვე ბრძანა, მთელი მებადურები გასულიყვნენ სათევზაოდ. ბევრი თევზი დაიჭირეს მებადურებმა, მაგრამ ის თევზი მაინც ვერ დაიჭირეს.

როდესაც წყლიდან ამოდიოდნენ მებადურები, ერთმა კოჭლმა მებადურმა თქვა: — მოდი, ერთხელ კიდევ გადავაგდებ ბადეს, დავიჭერ კარგია, არადა ჯანი გავარდესო. გადააგდო ბადე და მოჰყვა ეს თევზი. დაიჭირა და წამოიყვანა. შავი არაბის ქალმა უთხრა: — ეგ თევზი მოხარშეთ, ჭამეთ, მხოლოდ ფხა, რაც იქნება, ცეცხლში ჩაყარეთო. მართლაც, ასე იქცეოდნენ. მოხარშეს თევზი, დაუწყეს ჭამა, ფხას კიდევ ცეცხლში ყრიდნენ.

ბოლოს ერთი ნაქეიფარი კაცი მოვიდა და უთხრა: თუ შეიძლება, თე-

ვზი მინდა, ცოტა მაჭამეთო. უთხრეს: თევზს გაჭმევთ, მხოლოდ ფხა რაც შეგხვდეს, ცეცხლში ჩაყარეო. მართლაც, ასე იქცეოდა ეს კაცი. ბოლოს გადაავიწყდა და თევზის ერთი ფხა გადაუვარდა გომურის კარების უკან.

თევზი შეჭამეს, ხალხი წავიდა სახლში, საქონელი დააბინავეს. დილა რომ გათენდა, ნახეს ერთი დიდი ხე ამოსულა, საქონელი კარში ვერ გამოუშვიათ. როდესაც უნდა გამოვიდნენ კარში, ხე დაიბრიალებს და მთელი საქონელი სულ ერთიმეორეს მიეხლება. შავი არაბის ქალმა უთხრა: ააგეთ ერთი საკირე, მოჭერით ეგ ხე და როგორც გინდა პატარა ნაფოტი იყოს, სულ საკირეში ჩაყარეთ და დაწვითო. მართლაც, ასე მოიქცნენ: დაუწყეს ჭრა, შეუკეთეს საკირეს. ბოლოს, ხეს რომ სჭრიდნენ, მოვიდა ერთი კაცი და უთხრა: დღეს სამჭედლოში ცული გავაკეთებინე და თუ შეიძლება, ვცადო ამ ხეზე, გასჭრის თუ არაო. ხის მჭრელებს კიდეც გაუხარდათ და დაუწყო ხეს ჭრა. ხის ჭრის დროს მოსკდა ერთი ნაფოტი და წავიდა მაღლა ჰაერში. ეს ხე მოჭრეს და სულ დაწვეს, გარდა იმ ერთი ნაფოტისა, რომელიც ჰაერში წავიდა.

ეს ნაფოტი ჩამოვარდა დაბლა ერთ სახელმწიფოში, შუა გზაზე. ერთ მშვენიერ დღეს ხალხი წავიდა ხატში სალოცავად. მათ შორის ერთი ქვრივი დედაკაცი იყო. ეს ქვრივი დედაკაცი ხატიდან რომ დაბრუნდა, დაუწყო ფიჩხს შეგროვება და ნახა ეს ნაფოტი. წამოიღო ნაფოტი სახლში, დასაწვავად ვერ გაიმეტა და თქვა: ეს გამოდგება ქოთნის საფარებლადაო.

დედაბერი რომ წავიდოდა სადმე, ეს ნაფოტი იქცეოდა ქალად, დაგვიდა, დაასუფთავებდა სახლს, მოუმზადებდა კერძს ბებერს და ისევ ნაფოტად იქცეოდა. ამ ბებერმა დედაკაცმა უთხრა თავის რძლებს: ვიდრე გავიყრებოდით, ყურს არ მიგდებდით, ახლა რამ შეგაყვარათ ჩემი თავი, ყოველდღე მისუფთავებთ და კერძსაც მახვედრებთო?! რძლებმა უთხრეს: ჩვენო დედამთილო, ძველი ანდაზა ხომ გაგიგონია, ცეცხლიდან გავიყარენით, განა ძმობიდანაცაო. ჩვენი საქმეც ეგრე იყო. ერთად რომ ვიყავით, ჩხუბი მოგვდიოდა, ახლა კი რაღაზე მოგვივა ჩხუბი, თანდათან ერთმანეთი უფრო შეგვიყვარდებაო.

ამ ბებერმა დედაკაცმა ბოლოს გადაწყვიტა: მოდი ვუთვალთვალებ, რომელი რძალია, რომ მისუფთავებს ოთახსაო.

იქვე ოთახთან დაიმალა. იქცა ნაფოტი ქალად, დაგავა სახლი, გადმოყარა ნაგავი გარეთ, თვითონ კარში არ გამოვიდა. ამ დროს ბებერმა დაიჭირა ეს ქალი. ქალს ძალიან შეეშინდა და დაიწივლა:

— ნუ მომკლავ, შენი ჭირიმე, ქრისტიანი ვარო.

ბებერმა ჰკითხა ვინ იყო, საიდან მოვიდა. ამ ქალმა უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა და ბოლოს უთხრა, რომ მე ის ნაფოტი ვარ, რომელსაც

შენ ქოთნის დასახურავად იყენებო. ბებერმა არ დაიჯერა. მაშინ ეს ქალი იქცა ნაფოტად და ქოთანს დაეფარა. ბებერმა წაიშინა მუხლებში ხელი: რაზე დავღუპე ჩემი თავი და ამისთანა ქალი ნაფოტად რაზე ვაქციეო.

ამ დროს ნაფოტი იქცა ისევ ქალად და დაიწყეს ტკბილად საუბარი. ამ ქალმა ბებერს უთხრა: დღეის შემდეგ ვიცხოვროთ როგორც დედამ და შვილმაო. მართლაც, ასე ცხოვრობდნენ. ერთხელ ჰკითხა ქალმა:

— დედი, ოჯახში რა გვყავს ისეთი, რომ ბაზარზე გავყიდოთო?

— შვილო, აი ეს ერთი ქათამიაო.

ამ ქალმა უთხრა:

— წაიყვანე, დედი, ეგ ქათამი, რომ გაჰყიდო, ერთი აბაზის აბრეშუმის ძაფი მიყიდეო.

წავიდა ბებერი ბაზარზე და წაიყვანა ქათამი. გაყიდა ხუთ შაურად. აბაზის ძაფი უყიდა და დარჩა ერთი შაური. ამ ქალმა ძაფისაგან მოქსოვა ერთი ხალიჩა. ერთხელ უთხრა ბებერსა:

— წაიღე, დედი, ეს ხალიჩა გაყიდე ბაზარზე და ორი აბაზის ძაფი წამომიღეო.

ბაზარში რომ წაიღო ხალიჩა, შეევაჭრა სამი გენერალი:

— რას აფასებ ხალიჩასაო?

— განა თქვენ არ იცით ამის ფასი, რა ღირსო?

გენერალმა უთხრა:

— ას თუმანს მოგცემო.

ამ დედაკაცს კი ეგონა სასაცილოდ მიგდებსო, ეს ხალიჩა ბევრი, ბევრი ღირდეს ორი მანეთიო, და უთხრა:

— რა სასაცილოდ მიგდებო?!

მეორე გენერალმა უთხრა:

— ორას თუმანს მოგცემო.

იმასაც უთხრა:

— სასაცილოდ ნუ მიგდებო, რაცა ღირს ის მომეციო.

მესამემ მისცა სამასი თუმანი და გაიქცა: არ შემეშალოს ბებერიო. ბებერი კიდევ აქეთ გამორბის სახლისკენ: ფული არ წამართვანო.

მოვიდა სახლში, მოიტანა ფული და თავის შვილს უთხრა:

— შვილო, არ ვიცი რამ დააგიჟა იმ ხალიჩაზე ხალხი, სამასი თუმანი მომცეს. თუ სამი კაპიკი ეგონა, ხელში მაინც როგორ არ ებევრაო.

ამაზე უთხრა თავისმა ქალმა:

— დედი, შენ არ იცი მაგ ხალიჩის ფასი, ათასი თუმანი რომ დაგეფასებინა, მაინც გაიყიდებოდაო.

ასეთი ხალიჩა რამდენიმე მოქსოვა და გაყიდა.

შემდეგ ამ ფულით აიშენეს დიდი სასახლეები. მოქსოვა ერთი ხურჯინი, რომელზედაც ამოქარგა ხელმწიფის ვაჟის დასაპატიჟებელი წერილი: თუ გვიკადრებთ, მთელი შენი სახელმწიფოთი მობრძანდი ჩვენთანაო. თავისი სურათიც ჩააკრა ხურჯინში. ქალმა თავის დედობილს უთხრა: ერთ ალაგას უნდა გაგზავნოო. ზოგან მოგიხდება ფეხით სიარული, ზოგან ცხენით. გაისარჯე ჩემი გულისათვის, თხოვნაზე უარს ნუ მეტყვიო. დედობილმა უპასუხა: სადაც უნდა მითხრა, წავალ, შვილო, თუნდაც ვიცოდე, რომ იქიდან ცოცხალი ველარ დავბრუნდებიო. მისცა ეს ხურჯინი ამ დედაკაცს და უთხრა: ეს ხურჯინი უნდა წაიღო ამა და ამ ხელმწიფის ვაჟთან, შენი ხელით უნდა მიუტანო. ვინც არ უნდა გითხრას, რომ მე შევუტან ხურჯინსაო, არავის დაანებოო.

წავიდა ბებერი დედაკაცი. წაიღო ხურჯინი. ქალმა გაატანა ბლომად ფული. იარა ბებერმა, ხან ფეხით, ხან ცხენით და ბოლოს მივიდა სახელმწიფოში, სადაც ის ხელმწიფის შვილი ცხოვრობდა. სახლთან რომ მივიდა, შავი არაბის ქალი დახვდა კარში, ბებერს უთხრა: სად მიდიხარო? ბებერმა უთხრა: ხელმწიფის შვილის ნახვა მინდა, უნდა გადავცე რამეო. არაბის ქალმა უთხრა: მომეცი, მე შევუტანო. ბებერმა არ მისცა, თვითონ შეუტანა. მაგრამ ქალმა ისე ჩაარტყა კისერში, რომ ერთ წლამდე სულ გაშეშებული კისერი დაჰქონდა. ხურჯინი გადასცა ხელმწიფის ვაჟს. როცა წაიკითხა წერილი, დასწერა პასუხი, რომ ამა და ამ დროისთვის იყავი მზად და მოვალო.

დედაბერი რომ მივიდა ქალთან, უთხრა:

— რა ჰქენიო?

ბებერმა უპასუხა:

— ხურჯინი შევუტანე, ერთი შავი არაბის ქალი იყო იქ, ისეთი ჩამარტყა კისერში, რომ ახლაც მტკივაო, და აი, ეს წერილი გამოგიგზავნა. წაიკითხა ქალმა წერილი. დანიშნული დროისათვის შეუდგა მზადებას, რომ მოაწყოს კარგი ვახშამი, არ შერცხვეს.

როდესაც მოვიდა დრო, რომ უნდა მისულიყვნენ, ამ ქალმა ჩაიცვა ვაჟური ტანისამოსი. მოვიდნენ კიდეც მოწვეული სტუმრები და დაიწყეს ქეიფი. ხელმწიფის შვილი და შავი არაბის ქალი დასხდნენ ერთად, დანარჩენი ხალხი, ვისაც სად ეკუთვნოდა, ყველა ისე გაანაწილა. როცა ქეიფი დაიწყეს, თვითონ დადგა თამადად, ბოლოს ხალხს გამოუცხადა:

— მე ცოტა ცუდად გავხდი, ცოტა ხანს ოთახიდან უნდა გავიდე და ჩემს დას გამოგიგზავნით, რომელიც ჩემზე უკეთეს თამადობას გაგიწევთო.

გავიდა მეორე ოთახში, გაიხადა ვაჟური ტანისამოსი, ჩაიცვა ქალის

ტანისამოსი, გავიდა ხალხში ისევე და დაიწყო სადღეგრძელოების თქმა. როცა ხალხს სმისა და ჭამის თავი აღარა ჰქონდა, მაშინ ამ ქალმა უთხრა:

— მოდი, ახლა ყველა თავის თავგადასავალს მოვყვეთო.

მაშინ სთხოვეს: ჯერ თქვენი თავგადასავალი გვიამბეთო. ქალი დასთანხმდა და გამოაცხადა, ორი კაცი დაეყენებინათ კარებში, რომ კარში არავინ გასულიყო. დაიწყო ქალმა დაწვრილებით თავგადასავალის მოყოლა. როდესაც ახსენა შავი არაბის ქალი, წყალში რომ გადააგდო და თვითონ ხელმწიფის ვაჟთან იჯდა, არაბის ქალი მაშინვე წამოიწია ფეხზე, მაგრამ ხალხი რას გაუშვებდა. ქალმა რომ დაამთავრა თავისი თავგადასავალი, გამოიყვანეს შავი არაბის ქალი, მოაბეს ცხენის კუდზე, გააქციეს ცხენი და სულ დააჩქლეთინეს. ხელმწიფის ვაჟმა უთხრა თავის მამას:

— აი, ამ ქალის გულისთვის ვიკლავდი თავსაო და რა მექნა, რომ ვერ გავიგე, როგორ გამომეცვალაო.

დაიწერა იმ ლერწმის ქალზე ჯვარი, ერთი კაი ქორწილი გადაიხადეს და დაიწყეს ტკბილი და საამური ცხოვრება.

წიქარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. დედა ადრე მოუკვდა და მამამ მეორე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალი ერთი ავი და აშარი ქალი გამოდგა. გერს დღემუდამ სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა.

ბიჭს ერთი ხარი ჰყავდა, სახელად წიქარა ერქვა, ძალიან უყვარდა. ყოველდღე მინდორში დაჰყავდა, დაბინდებამდე აძოვებდა, აბანავებდა, ჩრდილში ასვენებდა, რომ სიცხეს არ შეეწუხებინა და მისი მოვლით თვითონაც ერთობოდა.

დედინაცვალი კი არა ცხრებოდა, გერის თავიდან მოშორება უნდოდა.

სხვაფრივ რომ ვერას გახდა, ადგა და ერთხელ თავი მოიავადმყოფა, დაიწყო ტყუილი კვნესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

— რა გიშველისო?

— წიქარას გულ-ღვიძლის გარდა ვერაფერი მომარჩენსო, — უთხრა ქალმა. იცოდა, წიქარას დაკვლა ბიჭს დარდით დაასნეულებდა და ბოლოს მოუღებდა.

მამა შეწუხდა ამ სიტყვების გაგონებაზე, მაგრამ რას იზამდა, ქალი რომ ლოგინიდან აღარა დგებოდა, გადაწყვიტა, დაეკლა წიქარა.

მეორე დილას ვაჟი ხედავს, მამა დანასა ლესავს.

— რად გინდა, მამავ, ეგ დანა, რისთვისა ლესავო? — ჰკითხა ვაჟმა.

— წიქარა უნდა დავკლაო, — უთხრა მამამ.

დაღონდა ბიჭი, მაგრამ რა უნდა ექნა!

— წავალ, წყალს მაინც დავალევინებო, — უთხრა ბიჭმა.

წიაყვანა წიქარა წყალზე, ასმევს წყალსა და ტირის. ტირის ისე, რომ მისი ცრემლები წყალს ეწევიან.

— რა გატირებს, ჩემო მეგობარო? რაზე ითხრი თვალებს, შემოგევლოს შენი წიქარაო.

ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, ეგონა, მომესმაო, შეშინებული და განცვიფრებული დიდხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს მიხვდა, რომ თავისი წიქარა ელაპარაკებოდა.

— დაკვლას გიპირებენ, დაკვლასაო, — მიუგო ვაჟმა.

— ვიცი, ვიცი, ჩემო მეგობარო, მაგრამ არც შენ მოგელის კარგი დღე. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი. შემაჯექი ზურგზე და გავიპაროთო.

ვაჟმა მოიტანა ყველაფერი და მოვიდა. წიქარამ შეისვა ვაჟი ზურგზე და გაქუსლეს. მამა ელოდა, ელოდა და ბიჭი რომ აღარ მობრუნდა, წავიდა წყალზე. ბიჭი იქ არ დაუხვდა, აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ შვილისა და წიქარას ასავალ-დასავალი ვერ შეიტყო. დედინაცვალმა გერის დაკარგვა არად ჩააგდო, მაგრამ როცა ქმარმა უთხრა, წიქარაც თან წაუყვანიაო, ერთი წყეული ღორი ჰყავდა და ის გამოუყენა.

მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს, მისდევს ეშვებდალესილი ღორი. ეს არის, უნდა დაეწიოს, რომ წიქარამ უთხრა ბიჭს:

— რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგას, გადაღვარე ბოთლი წყალიო.

გადაღვარა წყალი ბიჭმა, გაჩნდა საშინელი ზღვა. ღელავს ზღვა შავად, სიკვდილს უქადის ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მიცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურავდა, წიქარამ და იმისმა მეგობარმა კარგა გზა გაიარეს... ბოლოს გამოვიდა ღორიც. წიქარამ უთხრა ვაჟს:

— თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნა ბიჭმა თავი:

— შორს ბუზისოდენად რაღაც მორბის თუ მოფრინავსო, — უთხრა წიქარას.

— ეგ ღორიაო, — მიუგო წიქარამ.

მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს, მორბის ღორი, ცოტა კიდევ და, დაეწევა წიქარას.

— გადააგდე სავარცხელიო! — შესძახა ბიჭს წიქარამ.

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი. უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა. ჭრა ეჭვებით ღორმა ტყე, ჭრა და გავიდა. მირბის წიქარა, მიაქროლებს ბიჭს. კარგა გზა გაიარეს. მოიხედა ბიჭმა, შორს ბუზივით ისევ რაღაცა მოჩანდა.

— ბუზის ტოლა რაღაცა ჩანსო, — უთხრა წიქარას.

— ღორი მოგვდევსო, — მიუგო წიქარამ.

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება თვალუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. ჭრის ღორი, ჭრის რაც ძალი და ღონე აქვს კლდეში საფეხურებს და ადის ზემოთ. შუა ადგილზე რომ მივიდა ღორი, დაუსხლტა ფეხი და უფსკრულში ჩაინთქა. წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც.

ბიჭსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ. იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს. წიქარამ გაიყვანა ბიჭი ერთ ტრიალ მინდორზე. იქ ერთი ალვის ხე იდგა, მისი კენწერო ცასა სწვდებოდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირვარამო, ერთი სალხინო და უთხრა:

— მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრად, ბალახს მოვძოვ და ვირჩენ თავს. შენ აქ იჯექი, თუ რამე გაგიჭირდეს, საჭირვარამო სალამური დაუკარი და მაშინვე აქ დავიბადები. თუ გილხინდეს, სალხინო სალამური დაუკარი, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაცაო, — გამოეთხოვა და წავიდა წიქარა.

ბიჭი იჯდა ალვის ხეზე და უკრავდა სალხინო სალამურს. გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, ძალიან მოეწონა და მიჰყვა ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ხედავს, ბიჭი სალამურს უკრავს, პეპლები კი გარს შემოხვევიან, სალამურის ხმაზე თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით აევსო თვალები და გადაწყვიტა, ხელთ ეგდო სალამური.

— ჩამოდი ერთი ძირს, მაჩვენე ეგ სალამური, რისგან არის გაკეთებულიო! — დაუძახა ვაჟს. მგარამ ვაჟი არ ჩამოვიდა. წიქარას ჰქონდა ნათქვამი, ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ადგა შურიანი მეცხვარე, წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ამა და ამ ადგილას ერთი ბიჭი ზის ალვის ხეზე და ისე უკრავს სალამურს, რომ იმისი დაკვრით მთელი ქვეყანა ხარობსო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა, ან თქვენ უნდა მომგვაროთ ის ბიჭი, ან კაცი იშოვოთ იმისი მომყვანიო. ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფესთან ერთი მოხუცი ქალი მიიყვანეს.

— მე მოგგვრით იმ ბიჭსაო, — უთხრა ხელმწიფეს დედაბერმა.

ადგა დედაბერი, წაიყვანა ერთი თხა, წაიღო სადგისი და მივიდა ალვის ხესთან. ბიჭი ზის თავისთვის ალვის ხეზე და უკრავს სალამურს. დედაბერი ალვის ხის ძირში დადგა, ამოიღო სადგისი და ჩხვლეტა დაუწყო თხას. ჩხავის საწყალი თხა. ვაჟმა რომ დაინახა, მოხუცი თხას აჩხავლებდა, დაუძახა:

— რასა შვრები, დიდედო, რად აჩხავლებ მაგ თხასაო?

— დაკვლა მინდა, შვილო, და ვერ დამიკლავს, იმდენი სიკეთე მიყავი, ჩამოდი და დამიკალიო.

ბიჭი რას მოიფიქრებდა, რომ მოხუცს ღალატი ედო გულში. ჩავიდა ძირს. დედაბერმა რაღაც ჯადოთი გააბრუა და დააძინა. ასწიეს და წაიყვანეს მძინარე ბიჭი ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ბიჭს გამოეღვიძა, ხედავს დატყვევებულია. დაღონდა, დაიწყო ტირილი, ინატრა თავისი სალამურები, მაგრამ მისი სალამურები ალვის ხეზე ეყარნენ ოხრად დარჩენილები. ბიჭი ფანჯარასთან დაჯდა და ცას მიაცქერდა. ამ დროს ცხრაკლიტულს ყვავმა ჩამოუფრინა, დაინახა ვაჟმა და შესძახა:

— ყვავო, ყვავო, სად მიფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი, შენი შვილების მზესა, მინდორში რომ ალვის ხე დგას, ზედ ჩემი სალამურებია და აქ მომიტანეო!

— მე რომ ლეშსა ვჭამდი და შენ ქვებს მესროდი, აღარ გახსოვსო? — უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზასა. გააყოლა თვალი ბიჭმა და ჩამოყარა ცრემლები.

გადმოიფრინა ბეღურამ.

— ჩიტო, ჩიტო, შენი ბარტყების გაზრდასა, მინდორში ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და მომიტანეო!

— შენ რომ მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი? ვერა, მე ვერ მოგიტან. სხვასა სთხოვეო, — უთხრა ბეღურამ და გასცილდა. გააყოლა იმასაც თვალი ბიჭმა და ჩამოსცვივდა ცრემლები. ბოლოს მერცხალი დაინახა ბიჭმა და შესტირა:

საით მიფრინავ, მერცხალო,
საითკენ მიეშურები?
მინდორთ რომ ალვის ხე ხარობს,
ცივნი წყარონიც დიანო,
პეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ მხრებსა შლიანო,
შეიყრებიან ჩიტები,
ყვავილნი შეკრბებიანო,
წიქარაც იმათთან მოდის,

იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო მხრიანო.

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირვარამო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა თუ არა სალამურის ხმა, მაშინვე გაეშურა ვაჟისკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი რომ უნდა გაეტეხა, ცალი რქა მოსტყდა! დაღონდა წიქარა, თავის რქას ისე არ ჩიოდა, როგორც მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა, უცებ ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა:

— რას მომცემ, რქა რომ მოგაბა, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— გაჭმევო, — უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუმთელა რქა, ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც, შევიდა ბიჭთან, შეისვა ზურგზე მეგობარი და გაეშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ბიჭი ალვის ხეზე და თავად ისევ მინდორში წავიდა.

იჯდა ბიჭი ალვის ხეზე, უკრავდა სალხინო სალამურს და ერთობოდა. უცებ წიქარა მოაგონდა და ნახვა მოუნდა. დაუკრა საჭირვარამო სალამური, მაგრამ წიქარა არ გამოჩნდა. რაღას იზამდა. წამოვიდა საძებნელად. ბევრი ეძება. ბოლოს ერთ კორდზე მკვდარი იპოვა. დაემხო ბიჭი წიქარას და ატირდა. ისე გულსაკლავად ტიროდა, რომ მისი ცოდვით ბალახნიც ტიროდნენ, აღარ ირხეოდნენ, პეპლები აღარ ფრინავდნენ და ცრემლსა ღვრიდნენ.

— ვაიმე, ჩემო წიქარა, — მოსთქვამდა ბიჭი, — უშენოდ ახლა რაღა მეშველებაო.

ამ დროს საიდანღაც ის თაგვი გამოძვრა, წიქარას რომ რქა გაუმთელა, წიქარას ლეშის საჭმელად მოსულიყო თურმე. რომ დაინახა ბიჭი ასე საცოდავად ტიროდა, უთხრა:

— რას მომცემ, წიქარა რომ გაგიცოცხლო, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— ოღონდ კი ჩემი წიქარა გააცოცხლე და გაჭმევო, — უთხრა ბიჭმა.

გაიქცა თაგვი, იქვე მიკრიფ-მოკრიფა რაღაც ბალახი, მოარბენინა. წიქარას წაუსვა-წამოუსვა და გააცოცხლა. მოეხვია ბიჭი ხარს, ეალერსება, თვალებს უკოცნის, წიქარაც პირს უთათუნებს ბიჭსა და ლოკავს.

— აბა, გეყოფათ, — უთხრა თაგვმა ბიჭს, — მე უკვე კარგად მომშივდა, შენი სიკვდილის დროაო.

გაიქცა თაგვი, მოკრიფა სასიკვდილო ბალახი, მოიტანა და ბიჭს გაუ-

წოდა. ბიჭს არ ეთმობოდა წიქარა, მაგრამ პირობა ხომ უნდა შეესრულებინა და თავისი მეგობრისათვის მომკვდარიყო!

ის იყო ბიჭი უნდა შეხებოდა ბალახს, რომ თაგვმა უთხრა:

— მიპატიებია სიკვდილი, თქვენნაირი მეგობრები ჩემს დღეში არ მინახავს! იცოცხლეთ მარადო! — ბიჭი გონს ვერ მოსულიყო, რომ თაგვი გაქრა.

გახარებულმა წიქარამ შეისვა თავისი მეგობარი ზურგზე, წამოიღო სალამურები, გააქროლა ბიჭი ახლა სხვა ადგილას, სხვა მხარეში, სადაც არც შურიანი მეცხვარე იყო და არც კუდიანი დედაბერი, შესვა ერთ ალვის ხეზე და მისცა სალამურები, თვითონ კი მინდორში წავიდა. ბიჭი ახლა იმ ალვის ხეზე ზის, უკრავს სალხინო სალამურს, თვითონაც ხარობს და მთელ ქვეყანასაც ახარებს. როცა წიქარას ნახვა მოუნდება, დაუკრავს საჭირვარამო სალამურს და წიქარაც მაშინვე იმასთან გაჩნდება ხოლმე.

დედინაცვალი და გერი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი. მომაკვდავმა დედამ მას ერთი ფინია და ერთი ძროხა დაუტოვა. თან ანდერძად დაუბარა: ვინიცობაა, შვილო, მამაშენმა მეორე ცოლი შეირთოს და ძროხა დაკლას, შენ ამ ძროხის ხორცი არ ჭამო, ძვლებს კი თავი მოუყარე და ორმოში ჩაყარეო.

მამამისმა მართლა მეორე ცოლი შეირთო. დედინაცვალი გერს გადაეკიდა, სულ იმის ფიქრში იყო, რა ხერხი ეხმარა, რომ დაეჩაგრა. ადგა და ავადმყოფობა მოიგონა, ლავაშები დააცხობინა, ზედ ლოგინი გაიშალა და დაწვა. გადაბრუნდ-გადმობრუნდებოდა და ლავაშებს მტვრევა გაჰქონდა. ქმარმა რომ ნახა, ჰკითხა: ქალო, ავად რითი ხარო?

— გვერდები მტკივა და მემტვრევაო, — მიუგო ცოლმა.

— მერე რა უნდა იწამლოო? — ჰკითხა ქმარმა.

— ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველას არ დალევ, არა გეშველება რაო, — უთხრა ცოლმა.

კაცმა იწყინა: დედამ ერთი ძროხა დაუტოვა თავის ქალს და როგორ დავუკლაო.

რაკი აღარაფერი გაეწყობოდა, ძროხა დაკლეს. მაშინ ადგა გერი, ერთ დედაბერთან წავიდა და შესჩივლა: დედაჩემის დატოვებული ძროხა დამიკლესო.

— დედაშენმა რა გითხრაო? — ჰკითხა დედაბერმა.

ქალმა მიუგო:

— ასე მითხრა, ძროხის ხორცს ნუ ჭამ და ძვლებს კი თავი მოუყარეო.

დედაბერმა დაარიგა:

— წადი, შვილო, ბაგის ქვეშ ორმო გათხარე და ის ძვლები შიგ ჩაყარეო.

გერი დაბრუნდა, ბაგის ქვეშ ორმო გათხარა, ძროხის ძვლები, ტყავი და თავ-ფეხი შიგ ჩაყარა და ზედ ფიცრები დაახურა.

დედინაცვალმა ნაღველა დალია და მორჩა. ადგა და გერი სამწყემსურში გაგზავნა. ერთი პური გაატანა და უთხრა:

— ეს პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო.

გერი წავიდა. ტყეში რომ შევიდა, მაღლობზე შედგა, ტირილი დაიწყო და აბრეშუმის რთვას მოჰყვა. მაღლობიდან გადმოიხედა და ერთი სახლ-კარი დაინახა, შიგ დედაბერი იყო. მივიდა სახლის ბანზე, ჩამოჯდა და აბრეშუმის რთვა დაიწყო. გერს კვირისტავი ჩაუვარდა და ჩასძახა: დედაშვილობას, ეგ კვირისტავი მომაწოდეო.

დედაბერმა ასძახა: აჰა, შვილო, კვირისტავიო; მერე უთხრა: ჩამოდი ძირს, ერთი სახლი დამიგავეო.

გერი ჩავიდა, სახლი დაუგავა, დაუწმინდა.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო, — უთხრა დედაბერმა.

დაურეცხა, დაუსუფთავა და დაულაგა.

— ერთი, ქვევრებსაც დამიხედეო.

წავიდა, დახედა და მოახსენა: უჰ, რა კარგი და სუფთა ქვევრები გქონიაო.

ბოლოს უთხრა: შვილო, რათა ტიროდიო?

— დედინაცვალმა ეს აბრეშუმი და ეს პური გამომატანა. პური გამვლელსაც აჭამე, გამომვლელსაც, შენცა ჭამე და შინაც ბევრი მოიტანეო; აბრეშუმიც დამირთეო.

დედაბერმა თავისი პური აჭამა, მისი კი უკანვე მისცა, აბრეშუმის დართვაშიც მიეხმარა. დაღამებისას კი შინ დაბრუნდა. გერი დედაბერს მიეჩვია და ყოველთვის, როცა სამწყემსურში წავიდოდა, იმას ესტუმრებოდა.

ერთხელ, გერი რომ მორჩა სახლ-კარის დაგვა-დალაგებას, დედაბერმა, თითქო მადლის გადასახდელადაო, უთხრა:

— წადი, შვილო, აგერ მდინარე წყალი მოდის, ნაპირას დაჯექ, თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს, არ იბანაო, არც შავში, არც ვირის ფერში; ოქროსფერმა რომ ჩამოიაროს, იმაში კი თავი დაისველე და ჩემთან მოდიო.

გერმა ოქროსფერ მდინარეში თავი დაისველა და დედაბერთან მოვიდა.

ოქროს თმა ამოსვლოდა. თავი მაგრად შეუხვია და საღამოს შინ გაისტუმრა. გერი დედინაცვალს ემალებოდა, ვაითუ თმა დამინახოს და მომკლასო.

მაგრამ მისი თმის ბრწყინვას დედინაცვალმა თვალი მოჰკრა. მივარდა, თავს გადახადა, დახედა, გაოცდა და შურით გლეჯა დაუწყო.

მერე დაწვრილებით გამოჰკითხა და როცა გერის თავგადასავალი შეიტყო, იმის მაგივრად ახლა თავისი საკუთარი ქალი გაგზავნა სამწყემსურში, თანაც დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო. პური და აბრეშუმთითისტარი გაატანა და რაც თავის გერს, იმასაც ისე დააბარა.

წავიდა ქალი. ტყეში შევიდა, შედგა დედაბრის სახლის ბანზე და ხელი მიჰყო აბრეშუმის რთვას, კვირისტავი ჩაუვარდა და გადასძახა:

— შე ქოფაკო დედაბერო, ეგ კვირისტავი მომაწოდეო!

— ჩამოდი და აიღეო, — უთხრა დედაბერმა.

ქალი ჩავიდა.

— აბა, ერთი სახლი დამიგავეო, — უთხრა დედაბერმა.

შევიდა სახლში და ყველაფერი მიუმტვრ-მოუმტვრია.

— ერთი ჭურჭელი დამირეცხეო.

ჭურჭელი სულ დაუმტვრია.

— ერთი ქვევრებს დამიხედეო.

— ფუჰ! ფუჰ! რა მყრალი ქვევრები გქონია, უწმინდურობით არის სავსეო.

— აბა, შვილო, წადი, — უთხრა დედაბერმა, — და ამა და ამ ადგილას დაჯექი: რამდენიმე წყალი ჩამოივლის, მაგრამ თავი არ დაისველო, სანამ ვირისფერმა წყალმა არ ჩამოიაროსო.

ქალი წავიდა, ვირისფერ წყალში დაისველა თავი და ვირის ყურები გამოება. ადგა და დედასთან გაეშურა ტირილით და თავისი ამბავი შესჩივლა.

დედამ რომ ნახა, თავში ხელი იცა და ბევრი იდარდა, მაგრამ რაღას გააწყობდა.

ხანი გავიდა. დღესასწაულმა მოატანა. დედინაცვალი თავისი ქალით თემობაზე* წავიდა და გერი კი შინ დატოვა, ერთი კოდი* ფეტვი დაუყარა და საცეხველი დაუდგა: ეს ფეტვი ცრემლით ისე აკრიფე, ერთი მარცვალიც არ დარჩესო.

გერმა ტირილი მორთო, წავიდა და დედაბერს შესჩივლა:

— ასეა ჩემი საქმე და რა ვქნაო?

— ნუ გეშინია, შვილო, წამოვალ და მაგ საქმისა მე ვიციო.

წამოჰყვა, დაუძახა, რაც ქვეყანაზე ფრინველი იყო და უთხრა: ეს მარცვლები აკრიფეთო.

ფრინველებმა აკრიფეს და საბათმანოში ჩაყარეს; მერე დედაბერმა საცეხველში წყალი ჩაასხა, მარილი ჩაყარა და უთხრა გერს: — ადე, შვილო, ხელ-პირი დაიბანე, წადი და საცა ძროხის ძვლები ჩაყარე, იმ ორმოს ახადე და ასე თქვი: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანე-თქო.

გერი წავიდა, ორმოს თავს დადგა, ყველაფერი უთხრა, როგორც დედაბერმა დაარიგა. რაში შეკაზმული ამოვიდა და გერის ტანისამოსიც ამოიტანა. ჩაიცვა გერმა და რაშზე შეჯდა. დედაბერმა უთხრა: წადი ახლა დღეობაში, ცალ ხელში თვალ-მარგალიტი დაიჭირე, ცალ ხელში ნაცარიო.

გერი წავიდა. რაშიანი ქალი რომ ნახეს, გაუკვირდათ. თვალ-მარგალიტი მამისკენ გადაყარა, ნაცარი — დედინაცვლისკენ და საჩქაროდ გამობრუნდა, რომ შინაურებისათვის შინ მიესწრო, მაგრამ მდინარე წყალში გასვლის დროს ცალი ქოში ჩაუვარდა. შინ რომ მივიდა, ტანთ გაიხადა, ტანისამოსი შეახვია და რაშს დააკრა, ბაგაზე შეიყვანა და უთხრა:

— რაშო, ჩაბრძანდი შენს ადგილასო.

რაში ჩავიდა, გერმა ორმოს თავი დახურა, შემობრუნდა შინ, ძველებურადვე მობუდნული დაჯდა კერასთან და დაიწყო ტირილი.

დედინაცვალი რომ დაბრუნდა, გერს თავში ჩაჰკრა და უთხრა: შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენა ბგავდა, დღეობაში რომ ქალი ვნახეო!

იმ მდინარე წყალზე, სადაც გერს ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეებმა ცხენები ჩაიყვანეს წყლის დასალევინებლად. ცხენები დაფრთხნენ და წყალი აღარ დალიეს, რაკი შიგ ოქროს ქოში ბრწყინავდა.

ხელმწიფეს ამბავი მიუვიდა: მდინარეში რაღაცა გდია, ცხენები დაფრთხნენ და წყალი არ დალიესო.

ხელმწიფემ მაშინვე მცურავები გაგზავნა. მცურავებმა ქოში ამოიღეს და ხელმწიფეს მიართვეს.

ხელმწიფემ ქოში იასაულებს მისცა და უბრძანა: რკინის ქალამნები ჩაიცვით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დაიარეთ, სადაც ქალამანი გაგიცვდეთ და ჯოხი გაგიტყდეთ, იქ იქნება ამის ჩამცმელი ქალი და ის ქალი წამოიყვანეთო.

ქვეყანა მოვლეს, მივიდნენ იმ გლეხისას, სადაც ის ქალი იყო. ჯოხიც იქ გატყდა და ქალამნებიც იქ გაცვდა.

— სახლში შეგვიშვით, უნდა შევამოწმოთო, — უთხრეს იასაულებმა.

დედინაცვალმა არ შეუშვა, ხელი ჰკრეს, შეცვივდნენ და ძებნა დაუწყეს. დედინაცვალმა გერი საჩქაროდ თონეში ჩააგდო, ჭილობი გადააფარა, ზედ სიმინდი დააყარა და კრუხ-წიწილს დაუძახა. მივარდა თავის ქალს, ქოშის ცმა დაუწყო, მაგრამ არ მოერგო. იასაულები გავიდნენ ეზოში, ნახ-

ეს, ფინია თონეს გარშემო ურბენდა და იძახდა: თეთრი ქალია თონეში, თეთრი ქალია თონეშიო!

მივიდნენ, თონეს ახადეს და მშვენიერი ქალი კი ამოიყვანეს. ქოში რომ ნახა, თქვა ჩემიაო, ჩაიცვა და მოერგო. წაყვანა დააპირეს, მაგრამ გერმა მოახსენა:

— აქ მომიცადეთ და ახლავ გიახლებითო.

წავიდა, ორმოს თავს დადგა, ახადა და უთხრა: რაშო, ყველაფრით გაწყობილო, ამოდი და ჩემი ტანისამოსიც ამომიტანეო. რაში მაშინვე ამოვიდა. ქალმა ტანთ ჩაიცვა, მზეს დაემსგავსა, შეჯდა რაშზე და იასაულებს წაჰყვა. დედინაცვალი მოახლედ წაიყვანეს და მასთან მისი ქალიც.

გზაში მდინარე წყალი დახვდათ გასავლელი. დედინაცვალს თურმე კალთაში კატა გაეხვია. წყალს რომ მიუახლოვდნენ, კატა გაუშვა და დაიყვირა:

— არიქა, კურდღელი, კურდღელიო!

იასაულები გამოუდგნენ. დედინაცვალი მაშინვე გერსა სწვდა, ტანსაცმელი გახადა, თავის ქალს ჩააცვა და რაშზე შესვა, გერს კი ხელი ჰკრა და წყალში ჩააგდო. გერი თევზმა ჩაყლაპა. დედინაცვლის ქალი ხელმწიფეს მიჰგვარეს. იქორწილა. ვირის ყურები რომ უნახა ქალს, არ იამა, მაგრამ რას იზამდა.

ერთი მებადური თურმე იმ მდინარეზე თევზაობდა; ბადე ისროლა, ნახა, რომ დიდი თევზი მოედო, გამოიტანა, თევზი გამოფატრა და ცოცხალი ქალი გამოიყვანა.

მებადური თვითონ უშვილო იყო და თქვა: ღმერთმა შვილი მომცაო.

ქალმა უთხრა:

— რადგან წყლიდან გამომიყვანე და ქვეყნიერება დამანახე, წამიყვანე და ბედსა გწევო.

მებადურმა ცოლს მიჰგვარა: შვილი მაინც არა გვყავდა და ახლა ღმერთმა ეს ქალი მოგვცა შვილადო.

კარგად მოუარეს, ჩააცვეს და დაახურეს. გერი თუ უწინ კარგი იყო, ახლა ერთიორად უკეთესი გახდა. კარგა ხანმა რომ გაიარა, მებადურს უთხრა:

— მამავ, ესა და ეს ხელმწიფე დამიპატიჟეო.

— შვილო, ჩვენ რა გვაქვს მისი საკადრისი, ან რა ღირსი ვართ ხელმწიფე დავპატიჟოთო.

შვილობილმა დაამშვიდა: ნუ გენაღვლება, მხალს გავაკეთებ და იმაზე მოვიწვევო.

ხელმწიფე სანადიროდ დადიოდა. მებადური შემოეყარა და მოახსენა: ხელმწიფევ, გთხოვთ, ღარიბის ოჯახში მობრძანდეო.

ხელმწიფემ თქვა: რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან, რომ მპატიჟებსო, და ეწვია. სახლში რომ შევიდა, სკამი მიართვეს. ხელმწიფე დაბრძანდა. ქალმა მხალი, პური და ღვინო მიართვა. ქალს პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული.

— ჩემო ხელმწიფევ, მე ამის მეტი შეძლება არა მქონდა, რომ გაგმასპინძლებოდიო.

ხელმწიფეს გაუკვირდა: პირახვეული რად არისო?

— სიტყვა მაქვს მოსახსენებელი, იმიტომ გავბედე და გავკადნიერდი, შენ დაპატიჟებას მამაჩემი ვერ ბედავდა, მაგრამ ძალა დავატანეო.

— აბა, პირს აიხადე და მითხარი, რა გაქვს სათქმელიო.

ქალმა პირბადე აიხადა. ხელმწიფემ რომ შეხედა, მისი მშვენიერებით გაოცდა და ოქროს თმამ გააკვირვა.

ქალმა უამბო თავისი თავგადასავალი.

ხელმწიფემ მაშინ გაგზავნა იასაულები, ორივე დედა-შვილი მოაყვანინა, ცხენის კუდს გამოაბმევინა და ისე ათრევინა.

ქალი წაიყვანა, მეთევზე და მისი ცოლი თან გაიყოლა.

შინ რომ მივიდა, იქორწილა და იწყეს ბედნიერი ცხოვრება. მათი ნახვა მტერსაც კი უხაროდა.

ელასა, მელასა,
ძილი გაამოთ ყველასა.

მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იყო, იყო ერთი გამოჩენილი მონადირე. მონადირე ნადირს მუდამდღე ხოცავდა და მოჰქონდა სახლში. ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. უცებ ერთი თეთრი ირემი ამოუხტა, დაუდგა წინ და უთხრა: — მესროლე, თუ დამკარ, ნეტავი შენ, და თუ ვერ დამკარ — ვაი შენაო!

ესროლა მონადირემ და დააცდინა. ირემი გაქრა. დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს უთხრა:

— დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოვკვდები, სუდარა მომიმზადეო. — მართლაც, იმ ღამეს მოკვდა მონადირე. მონადირის ცოლი ორსულად დარჩა. გაუჩნდა ვაჟიშვილი, ისეთი ღონიერი და ყოჩაღი, რომ იმის დარი იმ ქვეყანაში არავინ იყო. ერთხელ ჩამოიღო თოფი შვილმა,

გატენა, შევიდა დედასთან და ჰკითხა:

— დედავ, მამაჩემი რამ მოკლაო?

— წერამ, შვილო, — უპასუხა დედამ.

— არა, უნდა მითხრაო, — გადაეკიდა შვილი.

ბოლოს დედამ უამბო ყველაფერი.

მონადირის შვილი ადგა, ჩამოათალა ერთ ხეს, ესროლა სამი და ნატყვიარი ნატყვიარში გაატარა. გადაიკიდა მერე მხარზე თოფი და გასწია იმ ირმის საძებნელად.

გაიარა ტყეები, ხევები და იმ მინდორზე გამოვიდა, სადაც მის მამას ესროლა ირმისათვის თოფი და დაეცდინა. უცებ გამოუხტა მასაც თეთრი ირემი, დაუდგა წინ და უთხრა: — მესროლე, თუ დამკარ, ნეტავ შენ, და თუ დამაცდინე — ვაი შენაო! დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახედა. წაიქცა ირემი და მოკვდა. მივიდა ვაჟი, ხორცი ამოაჭრა, გადაყარა, ტყავი თავისი კუდით, ფეხებით და თავით წამოიღო შინ და მოვიდა დედასთან; დადო ტყავი და დაისვენა. შევხედოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალ-მარგალიტი ასხია, დადის და დააჟღარუნებს. მონადირის შვილი გაკვირვებულია. შეიყვანენ მაშინვე ირემს სახლში და დასტრიალებენ თავს. შეიბერტყება ირემი, სულ მარგალიტი და თვალი სცვივა: ერთ კვირაში ერთ სახლს ავსებს. გამდიდრდა ძალიან მონადირის შვილი; ისეთი სახლები დადგა, რომ ხელმწიფეს ეკადრება. ბოლოს შვილი ეტყვის დედას:

— დედავ, რად გვინდა ამდენი სარჩო და ქონება, თუ ან ხალხში არ გამოვალთ და ან ქვეყანაში არ გამოვჩნდებითო; დავპატიჟოთ ხელმწიფე და ერთი ჩვენი სიმდიდრე ვაჩვენოთო.

— არა, არ გვინდა ხელმწიფეო, — უთხრა დედამ შვილს, — ის ჩვენ აქ სიკეთეს არ მოგვიტანსო.

არა ქნა შვილმა:

— უთუოდ უნდა დავპატიჟოო.

— როგორც გინდოდესო, — უთხრა დედამ.

მაშინვე მოამზადებინა მშვენიერი სადილი, ვაჟმა ჩაიცვა მდიდრულად და წავიდა ხელმწიფესთან საპატიჟოდ. ხელმწიფე როგორც იყო წამოიყვანა, აჭამა კარგი სადილი და მერე თავისი ირემი უჩვენა. ხელმწიფეს თვალები დაებრიცა ირმის ცქერით.

— ეგ ირემი მე უნდა წავიყვანოო, — უთხრა ხელმწიფემ ვაჟს.

ვაჟი უარზე შედგა, მაგრამ რა გაეწყობოდა? — წაართვეს და წაიყვანეს.

დარჩა ხახამშრალი მონადირის შვილი. გავიდა რამდენიმე ხანი და, აი, ერთ დღეს ეძახის ხელმწიფე ვაჟს თავისთან. ვაჟი წავა. ხელმწიფე ეტყვის:

— აი, ეს ოთახები სავსეა თვალ-მარგალიტით (ოთხი ოთახი სავსე იყო და მეხუთე ნახევარზე). ისეთი სახლები უნდა ამიშენო, რომ კაცს არ ენახოსო.

ვაჟი შეწუხდა, ხელმწიფეს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, მე არც ხურო ვარ, არც კალატოზი, არც სხვა რამ ხელოსანი და საიდან აგიშენოთ სახლიო?

— როგორც გინდა, ისე ააშენეო, — უთხრა ხელმწიფემ. ვაჟმა იფიქრა და უთხრა:

— კარგი, ორასი ურემი კირი მომიტანეთ, ორასი ურემი ლამი და მე ვიციო.

მოუტანეს ყველაფერი. ვაჟმა ალების* ერთი ტბა იცოდა. იმ ტბაზე სასმელად მთელი ალების ჯარი მიდიოდა. წაიღო ეს იმოდენა კირი და ლამი, ჩაყარა შიგ და ამოლესა ტბის ძირი და გვერდები, მერე მიუშვა შიგ ბანგი.*

მოვიდნენ ალები, დალიეს ეს წყალი, დათვრნენ და დაეყარნენ იქვე. მიუსია კაცები მონადირის შვილმა მთვრალ ალებს და ყველასათვის კბილები დაახერხინა. წამოიღო ეს კბილები, მოიწვია ხელოსნები და ისეთი სახლი დადგეს ალების კბილებისა, რომ იმაზე საკვირველი აღარა იქნებოდა რა. გამოვიდა ხელმწიფე, ნახა ეს სახლი და იქვე წაიქცა, ძლივძლივობით მოაგონეს გულწასული ხელმწიფე და შეაბრძანეს შინ.

ერთი ბებერი იყო ამ ხელმწიფის მოსამსახურეებში. ის ადგა და ხელმწიფეს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ! დროს ნუ ჰკარგავ, ეგ ბიჭი ყოჩაღი ყოფილა, მაგას შეუკვეთე, რომ აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მოგიყვანოსო!

დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა:

— შენ უნდა წახვიდე და აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მომიყვანოო.

მონადირის შვილი ეტყვის:

— დიდებულო ხელმწიფევ! თუ გინდა აღმოსავლეთის ხელმწიფის ქალი მოგიყვანო, ათასნაირი ფარჩა მომეცი და ერთი ხომალდიც გამიკეთეო. — უშოვა ხელმწიფემ ათასნაირი ფარჩა, ისეთი ჭრელი, რომ კაცს თვალს მოჰკვეთდა. ჩააწყო ხომალდში და გასწია ზღვით. კარგა გზა რომ გაიარა, უცებ ერთ ქუხილი და ჭექა მოესმა, შეხედა და ნახა: თეთრ ქორს გამოუგდია წინ მტრედი და მოსდევს. მტრედი შევარდება ხომალდში — ნუ მიმცემო, ეხვეწება ვაჟს. მომეციო, ეტყვის თეთრი ქორი მონადირის შვილს და გამოგადგებიო. მისცემს ვაჟი მტრედს და გასწევს ქორიც. გაივლის კიდევ და უცებ ერთი საშინელი შხაპუნი და წყლის ხმა მოისმის. მოიხე-

დავს ვაჟი და დაინახავს, რომ ერთ თეთრ თევზს გამოუგდია წინ ერთი წითელი თევზი და მოსდევს. ამოხტება თევზი და შევარდება ხომალდში. თეთრი თევზი შეეხვეწება მონადირის შვილს: — ეგ თევზი მომეცი და, თუ დაგჭირდეს ჩემი თავი, გამოგადგებიო. მისცა თევზი თეთრ თევზს და გასწია თავის გზაზე.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ქალის სახლთან. ამოალაგა რაც ფარჩა ჰქონდა და გაფინა ქალის კარებზე. გამოვიდა ქალი და შლის გაკვირვებით ფარჩას. ვაჟმა უთხრა:

— ქალბატონო, ეგ რა არის, საქმე იქაა, მე რომ გემი მაქვსო. თუ გნებავთ, წამობრძანდით და ნახეთო. ჩაიტყუა ამრიგად ვაჟმა ქალი, ჩასვა ხომალდში და გააქანა.

გზაზე ქალმა უთხრა:

— რა არის, რომ ერთი სანათურიც არ გიქნია, რომ ცა დაინახოს კაცმაო. — ვაჟმა მაშინვე ამოჰკრა ზევით ხომალდს, იქცა ქალი მტრედად და გაფრინდა. დარჩა ცარიელი მონადირის შვილი.

ერთიც ვნახოთ, დაუჭერია თეთრ ქორს ეს მტრედი და მოუყვანა ვაჟს. ამრიგად, გაიარეს ქალმა და ვაჟმა კარგა გზა. ბოლოს ქალი ეტყვის:

— ამ ცის ლაჟვარდს ხომ არ მაჩვენებ, ეს ზღვის ტალღები მაინც მაჩვენეო.

ამოჰკრა ვაჟმა ხომალდს; ქალი დგას და უცქერის ვითომ ზღვას; უცებ იქცევა თევზად და დაიკარგება ზღვაში. დაიწყებს მონადირის შვილი თავპირში ცემას, მაგრამ რაღას გააწყობს. უცებ ტყლაშუნი მოესმის, გაიხედავს და ნახავს, რომ თეთრ თევზს დაუჭერია ეს თევზი და მოჰყავს. მოუყვანა თევზმა და შეუგდო ხომალდში. ქალმა ჰკითხა მონადირის შვილს:

— ვისთვის გინდივარო?

— ხელმწიფისთვისაო, — უპასუხებს ვაჟი.

— არა, მე ხელმწიფის ცოლად არ გამოგყვებიო, — ეტყვის ქალი, — შენ ქმარი და მე ცოლიო!

— ეგ როგორ მოხერხდება, ხელმწიფე წამართმევს შენს თავსო.

— ეგ მე ვიციო, — უპასუხა ქალმა, — შენ მარტო ის წაუღე ხელმწიფეს, რაც გაგატანოო. უთხარი: საჩუქარია ქალის გამოგზვნილი, თქვენა და თქვენმა ნაზირ-ვეზირმა გახსენითო.

წაიღო ვაჟმა, რაც ქალმა გაატანა და წავიდა. მიუტანა ხელმწიფეს და უთხრა:

— თქვენმა კაცებმა გახსენით, ქალმა მოგართვათო. თვითონ კი გაერიდა. ხელმწიფემა და მისმა ნაზირ-ვეზირმა დაუწყეს ხსნა ქალის

საჩუქარს. უცებ გატყვრა და იქვე მიაწვინა ყველანი. ქალიც მონადირის შვილს დარჩა და სახელმწიფოც.

ჭირი იქ დავაგდე,
ლხინი აქ მოვიტანე,
ქატო იქ დავაგდე,
ფქვილი აქ მოვიტანე.

მიწა თავისას მოითხოვს

იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი იზრდებოდა და ხედავდა, რომ მის გარდა ყველას მამა ჰყავდა, მარტო ის ვერავის ეტყოდა მამობას. შვილი გადაეკიდა დედას: — დედავ, ყველას მამა ჰყავს და მეც რატომ არა მყავსო.

დედამ უთხრა:

— მოკვდა, შვილოო.

ჰკითხა შვილმა:

— მაშ აღარ მოვაო? ან რა არის სიკვდილიო?

— ის კი აღარ მოვა, შვილო, და ჩვენ კი წავალთ მასთანო; სიკვდილს ვერავინ გადავურჩებით, ყველა მიწად ვიქცევით, დავიხოცებითო.

— მე არ მითხოვია ღმერთისათვის გამაჩინეო და რაკი გამაჩინა, რადღა უნდა მომკლასო? — თქვა ვაჟმა, — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც სიკვდილი არ არისო.

დედამ დააბრუნა შვილი, მაგრამ მან არ დაიშალა. მოიარა მთელი ქვეყანა, სადაც მივიდოდა, ჰკითხავდა, არის აქ სიკვდილიო? ყველასგან ერთი პასუხი ესმოდა, „არისო“. დაღონდა ვაჟი, ადგილი არ იყო, რომ სიკვდილი არ ყოფილიყო.

ამ დროს ვაჟი ოცი წლისაც გახდა. ერთხელ ერთ მინდორზე მიდიოდა, გაიხედა წინ და შორს ერთი ირემი დაინახა. მისი რქები ღრუბლებში იყო აწვდენილი. ვაჟი მიუახლოვდა ირემს, მოეწონა ძალიან მისი რქები და ჰკითხა:

— შენი გამჩენის მადლს, არ იცი იმისთანა ქვეყანა, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ირემმა უთხრა:

— მე ღვთის მოციქული ვარ და ღვთის დანაწესებს ვასრულებ, სანამ ჩემი რქები ცას არ მიეხირება, მეც ვიცოცხლებ, მისწვდება ჩემი რქები ცას და მეც მოვკვდებიო. თუ გინდა, შენც ჩემთან იყავი და სანამ მე ვიქნები, შენც იცოცხლებო.

— თუ ვიცოცხლებ, მუდამ უნდა ვიცოცხლო, თორემ აქ მოუსვლელადაც მოვკვდებოდიო.

გასცდა ვაჟი და გაუდგა გზას. გაიარა მინდორი, ველები და გავიდა ტყიან და კლდიან ადგილს. ერთ ხევს მიადგა: სულ პიტალო კლდე იყო და ისეთი ღრმა, რომ თვალი ვერ ჩასწვდებოდა მის ძირს. ხევის პირზე, კლდეზე იჯდა ყორანი და ასკინტლებდა ხევში. ეს ყორანიც ღვთის მოციქული იყო. ვაჟმა ჰკითხა ყორანს:

— არ იცი იმისთანა ქვეყანა, სადაც სიკვდილი არ არისო?

ყორანმა უთხრა:

— მე ღვთისგან დაწერილი მაქვს სიცოცხლე მანამდის, სანამ სკინტლით ამ ხევს არ ამოვავსებო. თუ გინდა ჩემთან იყავ და შენც ცოცხალი იქნები, სანამ მე არ მოვკვდებიო. არაფერზე არ დაგვჭირდება ზრუნვა, ყველაფერი მზა გვექნებაო.

ვაჟმა ჩაიხედა ხევის უფსკრულში, მაგრამ მაინც ცოტად ეჩვენა. გასწი, გასწი შორსაო, — ეუბნებოდა რაღაც.

ამასაც გასცდა ვაჟი და მოათავა ხმელეთიც და მიადგა ზღვის პირს; აუარა და ჩაუარა ზღვას. ერთი დღე იარა, მეორე და ვერაფერს შეხვდა. მესამე დღეს დაინახა შორს სადღაც მბრჭყვინავი სარკე. ვაჟი წავიდა მისკენ და ნახა, რომ ის მბრჭყვინავი სარკე სალი მინის სახლი იყო. შემოუარა ვაჟმა და ვერსად უპოვა კარები. ბოლოს ერთგან შენიშნა პატარა ხაზი, მივიდა იმასთან და ნახა, რომ კარი იყო; გააღო და შევიდა. ოთახში ისეთი ლამაზი ქალი იწვა, რომ მზეს შეშურდებოდა მისი სილამაზე. ვაჟს ძალიან მოეწონა ქალი და ქალსაც ვაჟი. ვაჟმა ჰკითხა: — მშვენიერო, მე სიკვდილს გამოვექეცი, და არ იცი იმისთანა ადგილი, რომ სიკვდილი არ იყოსო?

ქალმა უთხრა:

— მაგისთანა ადგილი არსად არ არის, რას ეძებ, ჩემთან იყავიო.

ვაჟმა უთხრა:

— მე შენთან კი არ წამოვსულვარ, იმისთვის წამოვედი, რომ იმისთანა ადგილი ვიპოვო, სადაც სიკვდილი არ არისო.

ქალმა უთხრა:

— მიწა თავისას მოითხოვს, შენ მაინც უკვდავებას ვერ შეიფერებო. აბა მითხარ, რამდენი წლისა ვიქნები მეო?

ვაჟმა დახედა: ქალს ახლად აკოკრებული მკერდი აქვს, ვარდისფერი ლოყები ისეთი საუცხოო, რომ ვაჟს ერთ წუთში დაავიწყდა სიკვდილი. ვაჟმა უთხრა:

— ბევრი-ბევრი თხუთმეტი წლისა იყოო.

— არა, — უპასუხა ქალმა, — მე შექმნის* პირველ დღესა ვარ გაჩენილი და აქამდე სულ ასე ვარო; „ტურფა“ მქვიან და არც როდის დავბერდები, მუდამ ასე ვიქნები და არც მოვკვდებიო. შენ აქ იქნებოდი ჩემთან, მაგრამ ვერ შეიფერებ, ისევ მიწა მოგითხოვსო. ვაჟმა პირობა დაუდო, რომ არასდროს მოშორდებოდა. დაიწყეს ქალმა და ვაჟმა ერთად ცხოვრება. წლები წუთებივით მიფრინავდა. ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი მოკვდა, ბევრი დამიწდა, ბევრი გაჩნდა, დედამიწა იცვლიდა პირს, მაგრამ ვაჟი ვერ ამჩნევდა დროის ფრენას. ქალი ისევ ისეთი ლამაზი იყო და ვაჟიც ისეთივე ახალგაზრდა.

გაფრინდა ათასი წელი. ვაჟს მოუნდა თავისი ქვეყნის ნახვა; თავისი დედისა და ნათესავების დანახვა მოსწყურდა. ქალს უთხრა:

— უნდა წავიდე და ვნახო ჩემი დედა და ნათესავებიო.

ქალმა უთხრა:

— ახლა მათი ძვლებიც აღარ იქნებაო.

ვაჟმა უთხრა:

— რას ამბობ, ეს სამი-ოთხი დღეა, რაც მოვსულვარ და როდის დაიხოცებოდნენო?

ქალმა უთხრა:

— აკი გითხარ, მიწა თავისას მოითხოვს-მეთქი. კარგი, წადი და, რაც მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო.

მისცა სამი ვაშლი და უთხრა, როდესაც იქ მიხვალ, მაშინ შეჭამეო.

წავიდა ვაჟი და შემოხვდა ნაცნობი ადგილები. აი, ხევიც, ის უძირო უფსკრული. ყორანი მაშინღა მომკვდარიყო. ამოევსო ხევი და თვითონაც გამხმარი ეგდო კლდის წვერზე. ვაჟს თვალთ დაუბნელდა, მოაგონდა ქალის სიტყვები, გაბედა უკან დაბრუნება, მაგრამ მიწა, ბედისწერა არ უშვებდა. ისევ წინ წავიდა. გასცდა კლდეებს და გავიდა ნაცნობ მინდორზე. გაიარა, გაანახევრა და ნახა, რომ ირმის რქა ცას მიჰყუდებოდა. ის იყო, მაშინღა მომკვდარიყო ირემიც. ახლა კი დარწმუნდა ვაჟი, რომ მართლა კარგა ხანი გასულიყო.

მაინც გასწია თავისი ქვეყნისაკენ. მივიდა, მაგრამ ნაცნობი კი აღარავინ იყო. იკითხა დედა, მაგრამ მისი გამგონიც კი აღარავინ მოიპოვებოდა. ბოლოს ერთი ბერიკაცი ნახა. ჰკითხა თავისი დედის ამბავი და უამბო ყველაფერი, მაგრამ ბერიკაცმა არ დაუჯერა:

— ის დედაკაცი, როგორც მამა-პაპას უთქვამს, ათასი წლის წინათ ყოფილა და როგორ შეიძლება, რომ მისი შვილი ახლა ცოცხალი იყოსო. ხალხს არა სჯეროდა და ამბობდა: ეგ ღმერთისაგან არის მოგზავნილი საიქიოდანაო. გავარდა ამაზე ხმა სოფლებში და ხალხი კალიასავით ედებოდა

ამ ვაჟს სანახავად. ბოლოს ვაჟი მივიდა იმ ადგილს, სადაც მათი სახლი იყო; სახლის ყვითელი ხავსმოკიდებული ქვითკირის კედლები კიდევ დახვდა.

ვაჟს მოაგონდა ყველაფერი, თავისი დედა, თავისი ბალღობა, დაღონდა; ბოლოსა თქვა:

— მოდი, ერთი შევჭამ ერთ ვაშლსაო. ამოიღო, შეჭამა, და ხავსივით წვერი ერთ წამში დაეკიდა წელამდე, შეჭამა მეორე და მოეშვა მუხლები, ველარ გაანძრია ხელი, გახდა კუტი მოხუცი. თავი შეზიზღდა; დაინახა ახლოს ერთი ვაჟი და დაუძახა, მოდი, ჯიბეში ერთი ვაშლი მაქვს, ამომიღეო. ბალღმა ამოუღო ვაშლი, შეჭამა ბერიკაცმა და განუტევა სული. გაიტანა სოფელმა და სამადლოდ დამარხა.

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო. არაფრის გაკეთება არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამისთვის ნაცარქექია დაარქვეს. რძალი ეუბნებოდა:

— კაცო, აქეთ მოდექ, იქით მიდექ, იმუშავე და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ მე შენი რჩენის თავი არა მაქვსო!

რძალმა მაინც ვერაფერი გააწყო. მაზლი სულ ბუხართან იჯდა და კარში ვერასგზით ვერ გაიტყუა.

აღდგომა დღეს ნაცარქექია ძლივს წავიდა წირვაზე და წირვის შემდეგ რომ დაბრუნდა, რძალმა კარი მაგრად ჩაუკეტა და შინ აღარ შეუშვა.

ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დიდ წყალს მიადგა. მეორე ნაპირზე უშველებელი დევი დაინახა. დევი წყალს დასწაფებოდა და სვამდა. ნაცარქექია ძალიან შეშინდა, მაგრამ რა ექნა, ერთი გზის მეტი არ იცოდა. იმ გზით ისევ შინ, რძალთან უნდა დაბრუნებულიყო, თუ არადა, დევის საუზმე გამხდარიყო.

იფიქრა, იფიქრა და, ბოლოს, ეს მოიგონა, აბა, გავივლი და მტვერს დავაყენებო.

ნაცარქექიამ გუდას სადგისი უჩხვლიტა, გახვრიტა და რომ გაიარ-გამოიარა, საშინელი მტვერი დადგა.

დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც, ქვა აიღო და გამოსძახა:

— აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო!

ნაცარქექიამ უცბად ახალი ყველი ამოიღო, თან დაიხარა, ვითომ ქვა ავიღეო, მაგრად მოუჭირა ხელი, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა:

—აბა, აქეთ გამოდი, მხარზე შემისვი და წყალს გამიყვანე, ფეხის დასველება არ მინდაო.

დევი მაშინვე გამოვიდა. ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა:

— ოჰ, რა ძალიან მსუბუქი ყოფილხარო!

— ეს იმიტომ, რომ ერთი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებული და, თუ ხელი გავუშვი, მაშინ ვეღარც კი დამძრავო.

— რაკი ეგრეა, აბა, გაუშვი ხელიო, — უთხრა დევმა.

ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო, დევს კისერში ჩაურჭო. დევმა საშინელი ყვირილი მორთო და სთხოვა, ხელი ისევ ცისათვის მოეკიდა.

როდესაც წყალს გავიდნენ, დევმა უთხრა:

— წამოდი, დღეს სადილად მეწვიეო.

ნაცარქექია შეშინდა, მაგრამ რას იზამდა, უთუოდ უნდა წაჰყოლოდა.

დევისას რომ მივიდა, ნაცარქექიას დევის სახლი ძალიან მოეწონა. დაინახა, ვეება კეცი ბუხარში იყო შედგმული.

დევი სადილის მოსამზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადისთვის ყური ეგდო, არ დამწვარიყო. ნაცარქექიას უნდოდა კეცი მოებრუნებინა, რადგან დაინახა, ერთი გვერდი ძალიან შეწითლებულიყო. როგორც კი კეცს ხელი ახლო, მაშინვე გადმობრუნდა და ნაცარქექია ქვეშ მოჰყვა. ბევრი ეწვალა, მაგრამ კეცის ქვემოდან ვერ გამოძვრა. დევები შემოვიდნენ ოთახში და სტუმარი კეცქვეშ მოყოლილი ნახეს. გაჰკვირდნენ.

— კაცო, ეგ რა გიქნიაო? — შეეკითხა ერთი დევი.

— მუცელი ამტკივდა და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ეგება როგორმე ტკივილმა გამიაროს-მეთქი. ახლა კარგადა ვარ და აიღე კეციო, — უთხრა ნაცარქექიამ.

სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოელიათ. აიღეს დიდი კოკა და ნაცარქექიას უთხრეს:

— თუ ძმა ხარ, გადი, ეზოში ქვევრია, ამ ხელადით ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო.

ნაცარქექიას შეეშიდა, უშველებელი დიდი კოკა რომ დაინახა, მაგრამ მაინც გავიდა ეზოში და დიდხანს აღარ დაბრუნდა. დევებს ლოდინი მოსწყინდათ, გავიდნენ და ნახეს, ნაცარქექიას ბარი აეღო ხელში და ქვევრის გარშემო მიწას თხრიდა.

— მაგას რას შვრებიო? — ჰკითხეს დევებმა.

— სჯობია, მთლად ამოვიღო ქვევრი და ისე დავლიოთ, თორემ პაწაწინა ხელადით მოტანა ადამიანს მოსწყინდებაო.

დევებმა იფიქრეს: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს ჩავსვით ცარიელი ქვევრი და ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასაო.

თვითონ დევებმა აავსეს ხელადა ღვინით და შეუდგნენ სადილს.

ამ დროს ერთმა დევმა დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა. დევებმა მაღლა აიხედეს და ნახეს, ნაცარქექია ჭერის კოჭს ეჭიდება.

— კაცო, მანდ რამ აგიყვანა, რას აკეთებო?!

— როგორ გაბედეთ ჩემ წინ დახველება, — უთხრა ნაცარქექიამ, — ეს წკეპლა უნდა ჩამოვიღო და სულ გვერდები აგიწვათო!

დევები ძალიან შეშინდნენ: ჩვენ, ცხრა ძმათ, ძლივს მოვიტანეთ თითო ხე და ეს კი წკეპლას ეძახისო!

შეშინებული დევები სახლიდან გაცვივდნენ და გაიფანტნენ. ნაცარქექია, როგორც იყო, ჩამოძვრა და დევების ოჯახს დაეპატრონა.

ერთ დევს გზაზე მელა შეხვდა და ჰკითხა: დევო, სად მირბიხარ, რა დაგმართნიაო?

— რაღა სად მივრბივარ, ჩვენთან ერთი კაცი მოვიდა, კინაღამ დაგვხოცაო, — და უამბო დევმა ყველაფერი.

მელიას გაეცინა: ის ხომ ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი, რადგან არას აკეთებდა, რძალმა სახლიდან გამოაგდო. მე იმათ კარგად ვიცნობ: რაც ქათმები ჰყავდათ, სულ მე გავუჩანაგე. წამოდი, როგორ შეგაშინა მაგ ლაჩარმაო.

— ვერ გენდობიო, — უთხრა დევმა.

მელია ბევრს ეხვეწა.

— მაშ, რომ არ მიღალატო, მოდი, ამ თოკით წელზე გამომებიო.

მელიამ თვითონ მოიბა თოკი, მეორე ბოლო დევს გამოაბა და ასე გასწიეს დევის სახლისაკენ.

ნაცარქექიამ დაინახა მელია და დევი, ძალიან შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა? მაშინვე კარში გამოეგება და მელიას დაუძახა: აჰ, შე საძაგელო! ჩემი თორმეტი დევი გემართა და ბედ მარტო ერთი მოგყავს?!

დევს ისე შეეშინდა, რომ თოკი დაგლიჯა, მელია სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადიკარგა.

ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, სულ მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო. რძალი გაამდიდრა და ისევ დაიწყეს ტკბილი ცხოვრება.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონივრად მიაძღა. გაუჭირდა მონელება. შეეხვეწა მწყერჩიტას:

— მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, ჩემს დღეში შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო!

— კარგიო! — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო.

აფრინდა და გაედევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, სანამ ფერდებს დაიხეთქავდა.

— ნათლიმამ, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ.

— მონელებით მოვინელე, — უპასუხა მელიამ, — მაგრამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანო; ერთი გულიანად მაცინე და შენს შვილიშვილებსაც არას დავუშავებო.

— კარგი, ეგეც ადვილი სამსახურია, გამომყე უკან და სიცილით გაგაძღობო, — უთხრა მწყერჩიტამ. მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად გასრიალდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მწყერჩიტა მერე მაწვნის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს, მწყერჩიტამ აიცდინა, მოხვდა ქოთანს, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, უნდოდა მოეკლა, მოირტყა თავში და მორთო ღრიალი. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილითა.

მოფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა:

— კაი სეირი გაჩვენე თუ არაო? ამ დროს მელიას კიდეც მოშივნოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა:

— ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო.

მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიცდინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა. აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინისაკენ და მელას მიაძახა: სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო!

ამგავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა, სანამ ხელობას არ ისწავლიო

იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი შვილი. ხელმწიფე დაბერდა და შვილის დაქორწინება მოინდომა. ხელმწიფის შვილმა უთხრა თავის მამას: სოფლები დამატარეთ და ვინც მომეწონება, იმას შევირთავო.

წაიყვანეს, მოატარეს, მაგრამ არავინ მოეწონა.

ბოლოს, ერთი საწყალი კაცის ქოხის წინ ერთი ქალი ნახა. ხელმწიფის შვილს ის ქალი ძალიან მოეწონა. ქალს უთხრა: უნდა ცოლად გამომყვეო!

— ჩემი მამა და დედა აქ არ არიან, საღამოზე მოვლენ და თვითონ იციანო, — უთხრა ქალმა.

მოუცადა ხელმწიფის შვილმა. მოვიდნენ გლეხი და იმისი ცოლი.

— უნდა თქვენი ქალი მე მომათხოვოთო, — უთხრა ხელმწიფის ვაჟმა.

— აბა, ჩვენ რა შენი საკადრისები ვართ, თუ გნებავთ, მოსამსახურედ გამოგყვებითო.

— ხელობა იცი რამეო? — ჰკითხა ქალმა ხელმწიფის შვილს.

— არაფერი! არაფერი! და ხელმწიფობა ხელობა არ არისო? — უპასუხა ვაჟმა.

— დღეს შეიძლება ხელმწიფედ იყო, ხვალ აღარა, მერე რიღათი გნებავს იცხოვრო? წადი, ერთი რამე ხელობა ისწავლე და მერე გამოგყვებიო!

დაღონდა ხელმწიფის შვილი: ასე უცებ ხელობა როგორ ვისწავლოო?

წავიდა მამასთან: ესეა, ესე ჩემი საქმე და როგორ მოვიქცეო?

დაიბარა ხელმწიფემ ყველა ხელოსანი. დურგალსა ჰკითხა:

— რამდენ წელიწადში ასწავლი შენს ხელობასო?

— ხუთშიო.

— უჰ, ხუთ წელიწადში ის ქალი კიდევაც გათხოვდება და მერე რაღად მინდაო, — თქვა ვაჟმა.

ზოგმა ოთხი უთხრა, ზოგმა სამი, ზოგმა ორი, ზოგმა მეტი. ბოლოს ერთი მენაბდე წამოდგა:

— მეც ხელოსნებში ვიხსენები, მე მომაბარეთ, ერთ დღესა და ღამეში ვასწავლიო.

მართლაც, გაჰყვა ხელმწიფის შვილი და ისწავლა ნაბდების თელვა, შეირთო ის ქალი და დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. ხელმწიფე რომ მოკვდა, ის დაჯდა ტახტზე.

ერთხელ თქვა: მოდი, წავალ, დავივლი ჩემს ქვეყანას, იქნება რა უჭირს ხალხს, ან რა ულხინს, რას ამბობს ჩემზე ხალხიო.

ჩაიცვა უბრალოდ და წავიდა. ერთ ქალაქში ჩამოიარა. ისეთი საჭმლის სუნი მოუვიდა, რომ მეტი აღარ შეიძლება. თქვა: მე ამდენსა ვხარჯავ მზა-

რეულებზე, ასეთ საჭმელს ვერ მიმზადებენ, აბა, ჩავალ, ვნახავ, როგორ აკეთებენო.

ჩავიდა ერთ სარდაფში, კაცის ხორცს ამუჟუჟებდნენ, ხელმწიფემ უთხრა: მოიტათ, ერთი კერძი დამისხითო.

დაუსხეს. რომ შეჭამა, ამ ურჯულოებს ჰკითხა: ამ სარდაფში რა არისო?

ახადეს და ჩააგდეს შიგა. სამი სხვა კაცი იყო იქ დამწყვდეული.

— მე ხვალ დამკლავენო! — უთხრა ერთმა.

— მე ზეგაო! — თქვა მეორემ.

— მე მაზეგო! — თქვა მესამემ, — შენ რაკი მსუქანი ხარ, კვირას დაგკლავენო.

შეწუხდა ძალიან ეს ხელმწიფის შვილი. როცა ისინი დაკლეს და ჯერი იმაზე მიდგა, ხელმწიფის შვილმა უთხრა:

— მე ისეთ ნაბადს მოვთელავ, რომ ორას თუმნად გაყიდით. იმის ყიდვას ვერავინ შეძლებს, თუ არა ამა და ამ ხელმწიფის ცოლიო.

მოუტანეს მატყლი. ისეთი მშვენიერი, აყვავებული ქეჩა მოთელა, რომ თვალს მოსტაცებს კაცს. ყვავილსა და ყვავილს შუა დააწერა: ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ქუჩაზე ვარ ასეთ გაჭირვებაში, ამ ორ დღეში თუ არ მიშველეთ, მერე გვიანღა იქნებაო.

დაიდო ურჯულომ ეს ქეჩა თავზე და მიიტანა ხელმწიფის ცოლთან. გამოართვა ქეჩა, წაიკითხა ზედ, რომ ამისთანა და ამისთანა გაჭირვებაში ვარ და თუ ორ დღეში არ მომეშველებით, მომკლავენო, მისცა ორასი თუმანი ხელმწიფის ცოლმა და წავიდა ურჯულო.

ის რომ წავიდა, თვითონაც დაუძახა ჯარისკაცებს და შორიახლოს გაჰყვა ურჯულოსა. ხელმწიფის ცოლმა შემოარტყა ჯარი ამ დუქანს და დაარიგა: მე შიგ შევალ და ჯამს გავტეხ, როცა ხმა გაიგონოთ, მაშინვე შემოდითო.

ჩავიდა ხელმწიფის ცოლი. დაასხმევინა ერთი კერძი, დაახეთქა ძირს ჯამი, გატეხა, მაშინვე ჩაიჭრნენ სარდაფში ჯარისკაცები, დაიჭირეს ურჯულოები და სულ დახოცეს. ხელმწიფე გაათავისუფლეს და წამოიყვანეს.

ცოლმა უთხრა: — აბა, ახლა შენ რომ ხელობა არა გცოდნოდა, შენი ხელმწიფობა რას გიშველიდა, დაგკლავდნენ და შეგჭამდნენო.

წამოვიდნენ და იცხოვრეს ბედნიერად.

ამის შემდეგ ძალიან ხელს უწყობდნენ ხელოსნობის გავრცელებას ხალხში.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მეფის შვილობილი

ერთმა უშვილო მეფემ გამოუცხადა თავის ნაზირ-ვეზირებს: მოიარეთ ქვეყანა და ნახეთ სადმე ლამაზი, ჭკვიანი ბავშვი, რომ ვიშვილო და მემკვიდრედ დავტოვოო.

ნაზირ-ვეზირებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ერთ სახლში წააწყდნენ ერთ ბავშვს. ჰკითხეს:

— მამაშენი სად არისო?

ბავშვმა მიუგო:

— ჩხუბს თესავსო.

— დედაშენი სად არისო?

— ცრემლს ავალებსო.

— ღვინო დაგვალევინეო.

— ცხენები ვაზებზე გამოაბით და მერე დაგალევინებთო.

ვეზირებმა იარეს, იარეს, მაგრამ ვაზი ვერ იპოვეს. ბავშვს უთხრეს:

— ვაზი არსად ჩანსო.

— აბა, ღვინო საიდან გვექნებაო.

— მამაშენი როგორ თესავს ჩხუბსაო? — ჰკითხეს ვეზირებმა.

— ყანას თესავს და თუ ვინმე ზედ გადაივლის, წაეჩხუბებაო.

— დედაშენი როგორ ავალებს ცრემლებსო?

— როგორ და, მეზობელი გარდაიცვალა და იმას ტირის. ჩვენც დავიხოცებით და ისინი გვიტირებენო.

ვეზირებს მოეწონათ ბავშვის მოსწრებული სიტყვა-პასუხი. წაუყვანეს ეს ბავშვი მეფეს. მეფესაც მოეწონა და იშვილა.

ანდაზები

ადამიანი ადამიანის წამალიაო;

ადამიანის პირის კანი ხახვის ფურცელზე თხელია, მაგრამ თუ ერთი გაიხა, კამეჩის ტყავზე უფრო გასქელდებაო;

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო;

ბავშვი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო;

ბედის მორჩილი მონობაში მოკვდაო;

გიჟი ქორწილში შევიდა, ჩემს სახლს ესა სჯობიაო;

დათვი საძაღლედ გახდაო და იმისი საქმე წახდაო;

დიდ ხეს დიდი ნაფოტი სცვივაო;

ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვაო;

ვარდი უეკლოდ არვის დაუკრეფიაო;

ვინ გამლანძღავს და — ჩემი გაზრდილიო;

ვირი მორბოდა ცხენთანა, მეც იორღა ვარ შენთანაო;

ზოგი მკვდარი ცოცხალს სჯობიაო;

თაგვი სულ წისქვილშია, მაგრამ მეწისქვილე არ არისო;

თოფი მეთოფესაო, მეთოფე — სოფელსაო;

კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო;

მგლებში მაცხოვრებელმა ყმუილი უნდა იცოდესო;

ნუ გეშინის სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისაო;

პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო;

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ხ ა ლ ხ თ ა ფ ო ლ კ ლ ო რ ი

აფხაზურ-ადიღური ფოლკლორი

პოეზია

სოსრიყვა და ექვსი კაცი
(ნაწყვეტები)

სამოგზაუროდ იყო სოსრიყვა
ბევრი იარა, დაბრუნება დაუგვიანდა.
. . . . . .
თავის სახლიდან ძალზე შორს იყო,
ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა.
უკან დაბრუნდა ხუთი თვის შემდეგ.
მოდის... ერთი მთა გადმოიარა,
ნიბნაც* გაიარა, ტყისპირს მიადგა.
აქ საოცრებას გადაეყარა:
მის ფეხებთან ცხენის თავის ქალა დაეცა.
ქალა დაიმტვრა, დანამცეცდა
და იქიდან ექვსი კაცი გადმოვარდა —
ექვსი კაცი — მთელი თავისი ბარგი-ბარხანით.
ის ექვსი კაცი აქეთ-იქით მიმოიფანტა.
სოსრიყვა იდგა და უყურებდა.
მერე კი გამოედევნა და
ექვსივე იქ მოაგროვა,
სადაც ცხენის თავი დაეცა.
ეკითხებოდა: — ვინა ხართო?
ერთმა თქვა: მარჯვე მსროლელი ვარ,
ჩემი ისარი ცაში მფრინავ
პატარა ჩიტს თავს აგდებინებს,
ჩემი ისარი დანის პირს ორად გააპობსო;
მეორემ: ჩემი თვალები შორს იყურება,
ხალხი თვალმახვილს მეძახისო;

მესამემ: სულ უმცირესი ჩქამიც კი მესმის,
ხალხი ყურმახვილს მეძახისო;
მეოთხემ: ღონიერი ვარ,
ექვსივეს ტვირთს მე ვეზიდები,
ხალხი ტვირთმზიდავს მეძახისო;
მეხუთემ: მე ხურო ვარ, კარგი ოსტატი.
თვალის დახამხამებაში ციხესიმაგრეს ვაშენებო;
მეექვსემ: დახოცილ ნადირს
გავატყავებ, დავამარილებ და გავაშრობო.
. . . . . .
მერე იკითხა: — ცხენის ქალა საიდან გაჩნდა?
— კოკისპირულმა წვიმამ მოგვისწრო,
სულ გავილუმპეთ.
თვალმახვილმა თქვა:
— შორს რაღაც დიდი ძვალი გდიაო.
მივირბინეთ. ქალა იყო. შიგ ჩავსხედით,
გამოდარებას ველოდებოდით.
ამ დროს მოვიდა ვიღაც კაცი,
ქალას ჯოხი გაუყარა,
მხარზე გაიდო და თან წაიღო.
ჩვენ ვსხედვართ თავის ქალაში და
შიშით ვკანკალებთ.
კაცი კი მიდის, ჯოხზე წამოცმულ
თავის ქალას მიათამაშებს,
თან ლაპარაკობს.
ბოლოს გაბრაზდა, თავის ქალა მოისროლა.
თავად ნახე, როგორ დაიმსხვრა.
ჩვენც მატლებივით გადმოვცვივდით.
— ეს ყველაფერი ხეირად გექცეთ, — უთხრა სოსრიყვამ. —
ის კაცი როგორიღა იყო?
— ძალიან დიდი კაცი იყო.
სიმაღლით ხუთი წყრთა იქნებოდა.
კისერზე ორი წყრთა ძლივს შემოსწვდებოდა.
თვალის გუგა ჩემი თვალისხელა ჰქონდა.
თვალები ალისფერი ჰქონდა,
რომ დადიოდა, ფეხქვეშ მიწას ატორტმანებდა.

ქამარზე ორი გურზი ეკიდა.
— კეთილი, ესეც ხეირად გექცეთ,
მაგრამ მითხარით, რომ მიდიოდა,
გზაში რაზე ლაპარაკობდა, რას ამბობდაო?
— ასე ამბობდა: „ჩემი ცხენის მძორისაგან
შენღა დამრჩი და გულს მიხეთქავ,
ახლა შენც მოგსპობ“, —
თქვა და ქალა შორს მოისროლა.
. . . . . .
— კეთილი. ესეც ხეირად გექცეთ.
თვალმახვილო, ბილიკს გაჰხედე!
თვალმახვილმა ბილიკს გაჰხედა.
თქვა: — ბილიკზე ვიღაც კაცი ზის.
ეს იმ კაცსა ჰგავს, ვინც
ცხენის ქალა მოისროლა.
ზის და თავისთვის ლაპარაკობს.
— ყურმახვილო, რაო? რას ამბობს?
— ამბობს: „სოსრიყვა კიდევ არ ჩანს.
აქამდე უნდა მოსულიყოო,
ამ ბილიკზე ამოივლიდა,
მაშინვე ალიფს წავართმევდიო.
— კეთილი, ესეც ხეირად გექცეთ!
ახლა მისკენ გავემართები.
თქვენც შორიახლო გამომყევით.
რომ გამოჩნდება, თქვენ შეჩერდით.
გზას გავაგრძელებ, ახლოს მივალ.
ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებრძოლებით.
თუ ვიგრძნობ, რომ ღონე მეცლება,
დავიძახებ: „მოდი, მარჯა,* ძალა მოიკრიბე!“
ამის გამგონე მარჯვე მსროლელმა
ისარი ჯერ კოჭში მოარტყას, მერე — მაჯაში.
ასე მოილაპარაკეს და გზას გაუდგნენ.
როცა სოსრიყვა იმ კაცს მიადგა,
კაცი წამოხტა და შეიბნენ.
დიდხანს იბრძოდნენ.
თითისტარივით ატრიალებდნენ ერთიმეორეს.
სოსრიყვას ძალა გამოელია.

— მოდი, მარჯა, ძალა მოიკრიბეო! — დაიძახა.
მარჯვე მსროლელმა ისარი სტყორცნა —
კოჭში მოარტყა. კაცმა ერთი წაიფორხილა,
არ დაცემულა, დადგა ცალ ფეხზე,
მეორე ფეხი აიკანჭურა.
ცხელი სისხლი სდის.
იმ სისხლით მიწა ლბება და
წითელ თიხად იზილება.
. . . . . .
სოსრიყვამ ძალა მოიკრიბა,
კაცი ზვინივით წამოაქცია, გულზე დააჯდა.
— მონადირენო, ჩქარა მოდითო!
ხელად მივიდნენ.
— ტვირთის მზიდავო, სწრაფად მოიღე კერის ჯაჭვი.
ორივე ფეხი შეუკარი!
მართლაც შეუკრეს.
. . . . . .
— ხუროვ, ოდნავ გაპობილი მორი მომეცი,
მორის ნაპრალში მოუქციე ხელები ამ კაცს!
მართლაც, მოუქციეს ხელები ნაპრალში.
სოსრიყვა წამოდგა. ის კაცი კი ილანძღება,
ფხარკალებს, თან სისხლად იღვრება.
. . . . . .
მერე სოსრიყვამ თვალმახვილს უთხრა:
— გაიხედე, ნახე, სად არის ამისი ქოხი!
გაიხედა და დაინახა ქოხი,
ქოხში — დიდი ქვაბი, ერთი სკივრი.
. . . . . .
სკივრი ოქრო-ვერცხლით სავსეა.
გოლიათი, სადაც ეგდო, იქვე დატოვეს.
სოსრიყვამ მისი ორი გურზი აიღო,
ქოხისაკენ წავიდნენ. მივიდნენ და
სკვირი გატეხეს.
ოქრო და ვერცხლი გაინაწილეს.
სოსირყვამ მხოლოდ ერთი საყურე წამოიღო,
ცოლს წამოუღო...

სოსრიყვა და სოთრაში
(ნაწყვეტები)

სოთრაში მაღალ მთაზე ასულა,
შავ ღრუბლებში გახვეული
დგას და სოსრიყვას ელოდება.
ისიც მოვიდა, მთაზე აიჭრა.
სოთრაშის ცხენი დაფრთხა, გავარდა
და პატრონიც თან გაიტაცა.
გაბრაზებულმა სოთრაშმა ცხენს
ცხვირ-პირში სცემა, სისხლი ადინა,
ისე მოსწია აღვირი, რომ ყბა აახლიჩა.
თავად ზურგზე დაეცა, გდია.
ჩამოქვეითდა სოსრიყვა, სოთრაშს გულზე დააჯდა.
— ჰეი, ძარღვმაგარო, რკინისთვალებავ,
ფოლადის მხედარო, გმირო სოსრიყვა,
მე ხომ გუშინ დრო მოგეცი,
დღეს შენ მადროვე! — სთხოვა სოთრაშმა.
— შენ რომ მადროვო, მეც რომ გადროვო...
განა ამისთვის ამოვედით ნართების მთაზე?
სოსრიყვამ აწრთო თავისი ხმალი —
ნართ სოთრაშს თავი წააცალა,
წამოიღო, შინ მიიტანა.
— შვილო, ჩემო თვალის სინათლევ,
სად იყავი, რა ნახე, რა თქვი, რა გააკეთე?
— სადაც ვიყავი, იქ ვაკეთე საკეთებელი —
სოთრაშის თავი მოგიტანე.
— არსაქნელი საქმე გიქნია.
— მერედა, განა ჩემი ბრალია?
შენ არ მითხარი, მოიტანეო?
მეც მოგიტანე.
ახლა თუ მეტყვი წაიღეო,
ავიღებ და უკან წავიღებ.
თავის მიბმა შენი საქმეა.
— სოთრაშის თავი არა მჭირდება.
სოთრაშის დედას მიუტანე,
ერთადერთი შვილის თავია.

სოსრიყვა სოთრაშის დედას ესტუმრა,
შვილის თავი კალთაში ჩაუდო.
— ვაი, მხედარო — შავო ჭირო!
შე მენახირის ნაშიერო! შე მკვლელო, შენა!
შენ სათანეის* შვილი არა ხარ,
არც არასოდეს ყოფილხარ იგი!
შე ნაბიჭვარო, ძაღლო, შე მგლის არჩივო!
როგორ ამოაგდე ჩემი ოჯახი!
ესა თქვა და წამოიჭრა სოთრაშის დედა,
შვილის მკვლელს შამფური ესროლა
შამფურმა ციხის კარიბჭე გაანგრია.
— ფოლადის სისხლი მიდუღს ძარღვებში,
მეც ფოლადის შენადნობი ვარ.
მე ნართების სოსრიყვა მქვია!
ვისი ბრალია? თქვენვე დაგღუპათ გრძნეულებამ,
რომელიც თავად გააჩინეთ!

სოსრიყვა და სოსრანფა

(შემოკლებით)

გმირმა სოსრიყვამ საჯინიბოდან
გამოიყვანა თავისი ცხენი,
გამოიყვანა თავისი ალიფი,*
დაადგა სპილენძის უნაგირი,
ალიფზე შეჯდა და გზას გაუდგა.
ამაყად მიდის, შიში არა აქვს.
თითქოს ცა და მიწა შეერთდა,
სიჩუმეა, ჩქამიც არ ისმის,
ყველაფერი დაყრუებულა.
მიწას ღრუბელი გადაეფარა.
სოსრიყო ცაში ღრუბლებს უყურებს.
ერთბაშად ვერც კი შეამჩნია —
ვიღაც მხედარი უახლოვდება.
წონოლა მუზარადი ჰხურავს,
ელვის სისწრაფით მოაჭენებს.
ერთმანეთს ჩაუქროლეს და შედგნენ.

მერე მობრუნდნენ და შეიბნენ.
სოსრიყვა მხედარს უნაგირიდან გადმოიღებს,
ძირს დაანარცხებს,
მერე თავადაც დაქვეითდება
და ძირს დაგდებულს
გულზე დააჯდება, ყელზე დანას მოუღერებს.
— ვაი, ნუ მომკლავ, გევედრები!
ჩემი სისხლით გულს მაინც ვერ მოიოხებ.
სოსრიყვა ჯერ შეყოყმანდება,
მერე კი ეტყვის:
— მხეცის ნაშობო, ადექი, წადი,
შენც იარე ამ ქვეყანაზე!
წამოდგება, დანას ჩააგებს,
ცხენზე შეჯდომას დააპირებს.
მხედარიც დგება, ტანისამოსს ჩამოიბერტყავს,
ძალას მოიცემს და სოსრიყვას დაეტაკება.
მაგრად იბრძვიან.
მათი ფეხებით ამოყრილი დიდი ბელტები
ჰაერში დაფრენს, თავზე აცვივათ.
სოსრიყვა ჯიქურ ერკინება.
ასე სჩვევია — ხერხს არა ხმარობს.
მისი მეტოქე კი ფანდს მიმართავს —
კვანტს გამოსდებს და სოსრიყვას
ბეჭებზე დასცემს. თანაც დასცინის:
— ახლა კი ღმერთმა შენი თავი მე მაჩუქაო.
სოსრიყვას ძალის მოკრება უნდა,
ცდილობს, წამოდგეს,
ვერ ახერხებს, ეუბნება მტერს:
— გთხოვ, ამ ერთხელ წამომაყენე.
მესამედაც დავეჭიდოთ.
ვინც დამარცხდება, დაე, მოკვდესო!
— შენ უკვე მოკვდი!
უჭკუო და ბრიყვი ყოფილხარ.
ნეტავ, რატომ წამომაყენე?!
სოსრიყვა ლამის ბოღმამ დაახრჩოს.
ყამისკენ მიაქვს ხელი, ვერ სწვდება.
მაშინ დანას დააძრობს და

იმ მეტოქეს, გულზე რომ აზის,
ფერდში გაუყრის.
— წყეულიმც იყავ! მაინც მაჯობე.
დღეიდან ჩემი სისხლი გადევს,
არ მოგასვენებს!...
იტყვის და სულიც ამოუვა.
ამასობაში ალიფი და იმ მხედრის ცხენი
ერთმანეთის პირისპირ დგანან.
შესჩერებიან პატრონებს და
თითქოს ფიქრობენ:
„ერთი ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს!“
ძმებივით დგანან...

კტიმის, კტიშისა და კაკანას ამბავი
(ნაწყვეტი)

[ძმის საძებრად] წასული კტიში
სოფელს გასცდა და მთისკენ მიმავალ გზას დაადგა.
მთის ძირში მისულს
თეთრი ბაჭია წამოუხტა,
კტიშმა სროლა გადაიფიქრა,
მშვიდად შეუყვა მთას.
თან აქეთ-იქით იხედებოდა.
ბევრი იარა, მაგრამ საეჭვო
ვერა ნახა რა, ვიდრე
მთის წვერზე არ ავიდა.
მოშიშვლებული ადგილი იყო,
ხე, ბალახი არ იზრდებოდა.
მიწაც ამობურცული ჩანდა.
მიუახლოვდა. ამ დროს
შეირყა ნიადაგი. გამოჩნდა
დიდი, მძლავრი ხელი.
კტიშმა ხმალი მოუქნია
და ხელს თითები წააცალა.
ხუთივე თითი სტაფილოებივით
ძირს დაცვივდა.

ხელი მაშინვე გაუჩინარდა,
თითები კი მიწაზე ხტოდა.
კტიში თითებს აგროვებდა,
როცა მოესმა ყრუ, ბუხუნა ხმა:
„აჰა, შენი ძმა. წაიყვანე და
დამიბრუნე ჩემი თითები!“
მართლაც, იქ, საიდანაც
ხელი ამოჩრილიყო,
თავისი ძმა დაინახა —
კტიმი იდგა და მას უყურებდა.
კტიშმა თითები დაყარა და
ძმასთან მიიჭრა.
თითები თეთრმა ბაჭიამ
წამოკრიფა, გაუჩინარდა...

ქინას ქალი მინათი

ქინას მესტები* სულ დაჰხევია.
ავიღე მატყლი, ტყავის ნაჭერი,
საცხი წავუსვი, გამოსაჭრელად გავამზადე.
ამ დროს მოიჭრა ლოუ ბითნეი.
— მინათ, გამოდი, საქმე მაქვსო! —
დამიძახა და მეც გავედი.
ბითნეიმ ხელი მტაცა
და სახლის ყურესთან მიმაყენა.
პირზე ხელი ამაფარა,
მუქარით მითხრა:
— კრინტი არ დაძრა!
მინდა, ვიღაცას მიგათხოვოო.
ეზოში ცხენოსნებიც შემოიჭრნენ,
ხელი დამტაცეს, ჯგვათს* წამიყვანეს.
ჯგვათელო ქალებო!
ღმერთმა დაგწყევლოთ!
არ გელირსოთ პირის დაბანა
და თმის დავარცხნა!
მიყურებდით და არა მშველოდით.

რაც ღაწვებზე ხორცი ვიგლიჯე,
თქვენი სოფლის ძაღლებს აძღობდა.
რაც თმა ვიგლიჯე,
ცხენის ფაფარის ტოლი იყო.
ეჰ, მამაჩემო, საბრალო ქინავ!
ლოუს გვარის ქალი მქნა, ნეტავ.
ამას ხომ ვერ გამიბედავდნენ?
ბევრი მატარეს. ჯგვათის ტყეებში შემიყვანეს.
იქ კაცი დაგვხვდა,
იალბუზივით თავი ედგა,
თივის ზვინივით ქუდი ეხურა,
დოლაბივით თვალები ჰქონდა,
სახნისივით ცხვირი ეკიდა.
პირი დესეტინაზე* ჰქონდა გახეული.
დათვის ტორებივით ფეხები ჰქონდა.
ლოუს ძეო, რუსების კერძით გამაძღარო!
შენს დიდ ქონებას
რას შემატებს ჩემი ურვადი?
არხაგის ძეო, ცხელი ტყვია
მოგხვდეს ხახაში!
აჟი ისავ, უბედურთა ხორცით მაძღარო,
ყველას, ვისაც წილი გიდევთ
ჩემი ბედის გამრუდებაში,
თავის მოკვეთა არ აგცდებათ!
ყუბანის წყალს უტოლდებოდა
ჩემი თვალებიდან ნადენი ცრემლი.
ბევრი მატარეს მე უბედური.
ბოლოს ერთ ქოხში დამიდეს ბინა.
აი, შენი დედამთილიო, — მითხრეს
და ქოხში აინიჟვი* შემოიყვანეს.
ხბოს თავი დადეს —
ეს შენი ქმრის ჩიბუხიაო.
ერთი დიდი მორი დააგდეს —
ეს ამ ჩიბუხის ტარიაო.
გამოღრუტნული გოგრა დააგდეს, —
ეს თუნგიაო.
როვანდის ფოთოლი დადეს —
ეს ხელსაბანი ტაშტიაო.

თივის ტომარა დადეს და —
ლეიბიაო, — თქვეს.
რა უნდა ვქნა მე უბედურმა?!
ერთი ხარი ჰყავთ —
შავია, კუდა, ცალი რქა
და სამი ფეხი აქვს.
იმ ხარით მოხნეს —
სამი სვრელი გაიტანეს.
მოსავალი სამმა კალიამ შეუჭამათ.
დავრჩი ცარიელ ქოხში
უბედურ დღეზე გაჩენილი...

წარაკუჟვი

— ჰეი, ჰეი!
— ვინა ხარ?
— წარაკუჟვი.
— სად იყავი?
— ჰათოში.
— რა გაჭამეს?
— ჩიბლაბასთა.*
— ჩემი წილი სად არის?
— ჭუჭრუტანაში.
— ჭუჭრუტანა სად არის?
— ზედ თხა დაახტა.
— თხა სად არის?
— ხეზე ახტა.
— ხე სად არის?
— ცულმა მოჭრა.
— ცული სად არის?
— მინდორშია, ცეცხლში გდია.
— ცეცხლი სად არის?
— წყალმა ჩააქრო.
— წყალი სად არის?
— ხბომ დალია.
— ხბო სად არის?
— მთაში ბალახობს.

პროზა

აინიჟვფა*

ერთ დიდ, უღრან ტყეში, თვალჩაუწვდენელ უფსკრულში ერთი აინიჟვი* ცხოვრობდა.

ერთხელ აინიჟვი ერთ სოფელს დაეცა, ერთ სახლში შეიჭრა, გამოიყვანა ახალგაზრდა ქალი და თავის ბუნაგში წაიყვანა. ცოტა ხანში ცოლადაც შეირთო. სხვა რა გზა ჰქონდა ქალს? უნდოდა თუ — არა, აინიჟვის ცოლი გახდა და ერთი ვაჟიც გაუჩინა. პატარას აინიჟვფა დაარქვეს. მალე აინიჟვი მოკვდა. ბიჭი დედასავით ლამაზი, მამასავით დიდი და ღონიერი დადგა.

ერთხელ აინიჟვფამ დედას უთხრა:

— დედა, თუ შენი ნებაც იქნება, სამოგზაუროდ წასვლა მინდაო.

— წადი, შვილო, ოღონდ გახსოვდეს, ადამიანს არაფერი ავნოო, — უთხრა დედამ, საგზალი გაუმზადა, გზა დაულოცა და გაისტუმრა.

აინიჟვფამ ბევრი იმოგზაურა. ერთხელაც გზად ვიღაც კაცს გადაეყარა. კაცს მუხლზე წისქვილის დოლაბი დაედო და საფქვავს ფქვავდა.

აინიჟვფა მიესალმა. კაცმაც სალმით უპასუხა.

— მოდი, დავმეგობრდეთ, ერთად ვიცხოვროთ, ერთად ვიაროთ, ერთმანეთს მოვეხმაროთო, — უთხრა აინიჟვფამ.

— არა, მე თუ ვისმე დავუმეგობრდები, მხოლოდ აინიჟვფას. სხვა არავინ მინდაო, — უპასუხა კაცმა.

— აინიჟვფა მე ვარო.

დამეგობრდნენ და გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს და ერთ კაცს მიადგნენ. ეს კაცი დგას, ცერა თითზე უზრმაზარი მორი უდევს და ატრიალებს. მიესალმნენ და

— დავმეგობრდეთო, — უთხრეს.

— არა, მე თუ ვისმე დავუმეგობრდები, მხოლოდ აინიჟვფასო.

— აინიჟვფა მე ვარო, — უთხრა.

დამეგობრდნენ და სამივენი ერთად გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს და ერთ უსიერ ტყეში პატარა მდელოზე გავიდნენ. იქ დაიდეს ბინა და დაიწყეს ცხოვრება.

რიგრიგობით დადიოდნენ სანადიროდ. როცა ორი ტყეში ნადირს ხო-

ცავდა, მესამე შინ იყო და სადილ-ვახშამს ამზადებდა.

ერთხელაც ბინაზე ის კაცი დარჩა, მუხლზე დოლაბი რომ ედო და ფქვავდა. ქვაბში ირმის ხორცი ჩაეყარა, იჯდა და ხარშავდა.

ამ დროს მამალზე ამხედრებული მოვიდა ის — ვისი სახელიც ითქმება, მაგრამ თავად არავის უნახავს — წვერმეჩხერი და მხედრისფეხება.

მოსულმა მამალი ხეზე მიაბა და ბინაში შევიდა.

— ახლავე მაჭამეო! — თქვა.

— ჩემი ამხანაგების კერძია. სანადიროდ არიან წასულები. შენ რომ გაჭამო, იმათ რაღა დავახვედრო? მოიცადე და როცა მოვლენ, ერთად ვჭამოთო.

— არაფერი ვიცი, ჩქარა მაჭამეო! — იყვირა ჟაკიახრიცამ.*

დამხვდური თავისაზე იდგა:

— არაფერსაც არ გაჭმევო!

ჩხუბი მოუვიდათ, ეცნენ ერთმანეთს. ჟაკიახრიცამ იმარჯვა, გამოიძრო წვერიდან ერთი ბეწვი, გაკოჭა კაცი, თავად ქვაბს მიუჯდა, სულ ამოჭამა, მერე გაკოჭილი გახსნა, შეჯდა მამალზე და წავიდა.

დაბრუნდნენ მეგობრები ნადირობიდან. საჭმელი არ დახვდათ.

— რატომ არაფერი გაგიკეთებიაო? — ჰკითხეს შინ დარჩენილს.

— როგორ არ გავაკეთე?! ერთი ქვაბი ხორცი მოვხარშე, მაგრამ ჟაკიახრიცა მოვიდა, მაჭამეო, მითხრა. არ ვაჭამე. გაბრაზდა, გამოიძრო წვერიდან ერთი ღერი, იმითი გამკოჭა, მთელი ქვაბი ხორცი შეჭამა, გამიხსნა ხელ-ფეხი, შეჯდა მამალზე და წავიდაო.

მეორე დღეს შინ ის კაცი დარჩა, ცერა თითზე მორს რომ ატრიალებდა. იჯდა და ხორცს ხარშავდა, როცა ჟაკიახრიცა მოვიდა. ამასაც გადაეკიდა:

— გინდა თუ არა, მაჭამეო. როცა უარი მიიღო, გამოიძრო წვერიდან ერთი ღერი, გაკოჭა მასპინძელი, რაც ქვაბში ხორცი იყო, სულ შეჭამა და წავიდა.

დაბრუნდნენ მონადირეები. მეგობარმა უამბო, რაც მოხდა. რაღას იზამდნენ?!

მესამე დღეს ბინაზე აინიჟვფა დარჩა. ქვაბი ხორცით გაავსო, ცეცხლზე შემოდგა. სად იყო, სად — არა, გაჩნდა ჟაკიახრიცა.

— ჩქარა მაჭამეო.

აინიჟვფამ მისცა ცოტა ხორცი. ჟაკიახრიცამ შეჭამა და ისევ მოითხოვა.

— კიდევ მაჭამეო!

კიდევ მისცა. ჟაკიახრიცამ შეჭამა და ისევ მოითხოვა:

— კიდევ მომეციო!

— არა, ველარ მოგცემ. დაბრუნდებიან ჩემი მეგობრები და ერთად ვჭამოთო.

ჟაკიახრიცას ეს პასუხი არ მოეწონა, ეცა აინიჟვფას, მაგრამ აინიჟვფაც მარჯვედ დაუხვდა. სტაცა ხელი ჟაკიახრიცას, მაგრად მოჭმუჭნა, გაიყვანა, მოიწოდა მაღალი ხის ტოტი, ჩამოხლიჩა, ნახლეჩში მისი წვერი მოაქცია, ხელი გაუშვა და ჟაკიახრიცა ხეს მიება.

დაბრუნდნენ მონადირეები. აინიჟვფამ ხორცით სავსე ქვაბი შემოდგა სუფრაზე. ჭამას რომ მორჩნენ, აინიჟვფამ მეგობრებს ჟაკიახრიცას დატყვევების შესახებ უამბო. ისიც უთხრა:

— წამოდით, გაჩვენებთ, სადაცა მყავს მიბმულიო.

წავიდნენ, მაგრამ რა დახვდათ?! აღარც ჟაკიახრიცაა და აღარც ხე — ძირფესვიანად ამოუთხრია და წასულა.

— თუ ეგ ჟაკიახრიცა არ ვიპოვეთ, უკან აღარ დავბრუნდებითო, — თქვეს მეგობრებმა და გზას დაადგნენ.

იარეს, იარეს და ერთ დიდ მინდორზე გავიდნენ. მინდვრის პირას უფსკრული ჩანდა. უფსკრულზე მსხვილი ხე იყო გადებული. მეგობრებმა ხე იცნეს — ეს ის ხე იყო, რომელზედაც აინიჟვფამ ჟაკიახრიცა წვერით მიაბა. ჟაკიახრიცა არსად ჩანდა. ხე ბოგასავით გაედო უფსკრულზე, თავად კი უფსკრულში ჩასულიყო.

— ვისაც ჩვენ ვეძებთ, აქ, უფსკრულში იქნება. ჩავალ და სადაც არ უნდა დაიმალოს, ვიპოვიო, — თქვა აინიჟვფამ.

აინიჟვფა და მისი მეგობრები ტყეს შეერივნენ, უზომო დომბა, ჯიხვი და სხვა ნადირი დახოცეს, იქვე დაატყავეს, ტყავი ღვედებად დაჭრეს, ერთმანეთზე გადააბეს, აინიჟვფას იღლიებში შემოუჭირეს და უფსკრულში ჩაუშვეს.

ჩავიდა აინიჟვფა უფსკრულში, მიიხედ-მოიხედა, დაინახა ვიღაც დედაბერი.

— აქ რა ამბებია, რა ხდება, ვინ ცხოვრობსო? — ჰკითხა დედაბერს.

— აქაურობის პატრონი ჟაკიახრიცაა, მაგრამ ახლა წევს და სულს ღაფავსო, — უპასუხა დედაბერმა და ჟაკიახრიცას სახლი მიასწვლა.

— სულს მე ამოვხდიო, — თქვა აინიჟვფამ და იქ მივიდა, სადაც სულთმობრძავი ჟაკიახრიცა იწვა. მაშინვე ამოჰხადა სული. მერე მიმოიხედა, ერთი ქალი დაინახა, მიუახლოვდა.

— ვინა ხარ, აქ რამ მოგიყვანაო? — ჰკითხა.

— შენ რომ მოკალი, იმ ჟაკიახრიცამ მომიყვანა, მოსამსახურედ დამიყენა და რასაც არა მგონია, მაკეთებინებდაო.

— კეთილი და პატიოსანი, გინდა, გეძმობი, გინდა ცოლად გამომყევიო, — უთხრა აინიჟვფამ.

— ცოლად გამოგყვებიო.

— კარგიო, — თქვა აინიჟვფამ და ერთი დიდი გოდორი დაწნა. მოაგროვეს, რაც ჟაკიახრიცას სასახლეში სიმდიდრე და ქონება იყო: ოქროვერცხლი, თვალ-მარგალიტი, გაავსეს გოდორი და აინიჟვფას მეგობრებს ზემოთ აატანინეს.

როცა ყველაფერი აზიდეს, აინიჟვფამ ქალს უთხრა:

— გოდორში ჩაჯექ და ადი. შენ შემდეგ მეც ამოვალო.

— არა, ასე არ ივარგებს. შენზე უწინ რომ ავიდე, ვაითუ, შენ აღარ აგიყვანონ. სჯობს, ჯერ შენ ახვიდე და მერე მე ამიყვანოო, — უთხრა ქალმა.

— არამც და არამც! აქ არ დაგტოვებ და შენზე ადრე არ ავალო.

ბევრი იდავეს, მაგრამ აინიჟვფა თავისაზე იდგა. სხვა გზა არ იყო და — ქალი გოდორში ჩაჯდა.

— თუ ჩემს შემდეგ შენც აგიყვანენ, მაგას რა სჯობია, მაგრამ, თუ ვინიცობაა, არ აგიყვანონ, დაიმახსოვრე — შედი ჟაკიახრიცას ბოსელში, იქ ორ ერკემალს* ნახავ: თეთრსა და შავს. თუ თეთრს დაახტები, მაღლა ამოგიყვანს, მაგრამ თუ თეთრი გაგისხლტა და შავს დაახტი, ქვესკნელის მეშვიდე ფენაში ჩაგიყვანსო.

ამის შემდეგ ქალი გოდორში ჩაჯდა. აინიჟვფას მეგობრებმა ასწიეს და აიყვანეს. ისევ ჩაუშვეს გოდორი აინიჟვფას ამოსაყვანად, მაგრამ ლამაზი ქალისა და დიდი განძის დანახვამ აცდუნა აინიჟვფას მეგობრები. თქვეს, ნუ ამოვიყვანთ და ყველაფერი ჩვენ დაგვრჩებაო.

მართლაც, აინიჟვფა გოდორში ჩაჯდა, მისმა მეგობრებმა გოდორი ამოსწიეს, მაგრამ შუამდე რომ ამოიტანეს, დაჰკრეს ღვედს, გადაჭრეს და აინიჟვფა ისევ უფსკრულში ჩააგდეს.

იქ კი ისე მოხდა, როგორც ქალმა უთხრა.

აინიჟვფამ თეთრ ერკემალზე დაჯდომა რომ დააპირა, ერკემალი გაუსხლტა და შავზე აღმოჩნდა გადამჯდარი. შავმა კი მეშვიდე ქვესკნელში ჩაიყვანა და იქ დატოვა. დადის აინიჟვფა ჩაფიქრებული, თან აქეთ-იქით იყურება. ერთი დედაბერი დაინახა. მიუახლოვდა.

— შიმშილით ვკვდები, გენაცვალე, რამე მაჭამეო, — სთხოვა.

დედაბერმა აიღო ქვაბი და ძროხას შეუდგა, რომ მას ქვაბში მოეშარდა.

— ეს რა არის, დედავ, რას აკეთებო?

— რა ვქნა, შვილო, წყალი არ მიდგას, საჭმელი ძროხის შარდით უნდა მოგიხარშოო.

— რა მოხდა, წყალი სად წავიდაო?

— არსადაც არ წასულა. წყალი გვაქვს, მაგრამ გველეშაპმა დაიჭირა და თუ ლამაზ ქალს არ მივუყვანთ, არ გვაძლევს. როცა ქალს მივუყვანთ და წყალს გამოუშვებს, ვისაც ბევრი ჭურჭელი აქვს, ბევრს ეზიდება და დიდხანს ჰყოფნის. მე კი ამ ქვაბისა და ერთი ხაპის გარდა ჭურჭელი არა მაქვსო.

— სად არის ის გველეშაპიო?

დედაბერი განა დაუმალავდა, სად იყო გველეშაპი?

— დღეს ერთი ქალწული გაუმზადეს შესაჭმელად. საცაა მიუყვანენ. თუ წახვალ, ნახავო, — უთხრა დედაბერმა და აინიჟვფაც წავიდა.

მიდის აინიჟვფა. წინ ხალხი შემოეყარა. ხალხს გველეშაპისთვის მისართმევი ქალწული ურემზე დაესვა და მიჰყავდა. ქალი ცრემლად იღვრებოდა.

აინიჟვფა წინ გადაუდგა.

— ქალი უკან გააბრუნეთ და თქვენც წაჰყევითო, — უთხრა ხალხს.

თავად კი იქით წავიდა, სადაც გველეშაპი ეგულებოდა. მივიდა, თავში ხელი სტაცა, წყლიდან ამოათრია და მიწაზე ხეთქებით მოკლა. მოკვდა თუ არა გველეშაპი, წყალიც წამოვიდა, ხალხმაც გაიხარა.

— ეს ვაჟკაცი, ვინც გველეშაპი მოკლა და წყალი მოგვცა, უნდა ვაქეიფოთო, — თქვეს და აინიჟვფას პატივსაცემად დიდი პურმარილი გაიმართა.

— შენ დიდი სიკეთე გვიყავი და ჩვენც სიკეთით გვინდა გადაგიხადოთ. რაც გინდა, გვთხოვე, შეგისრულებთო, — უთხრა ხალხმა აინიჟვფას.

— ჩემს ქვეყანაში დაბრუნების მეტი არა მინდა რაო, — უპასუხა აინიჟვფამ.

ბევრი ითათბირეს, ესა თქვეს, ისა თქვეს, ბოლოს აინიჟვფას უთხრეს:

— შენი აქედან გამყვანი მხოლოდ ერთი ბებერი არწივია, მაგრამ ჩვენში მისი დამჭერი არავინ არისო.

— ეგ ძნელი საქმე არ არის, თქვენ მისი ბუდე მიმასწავლეთო.

მიასწავლეს. ისიც წავიდა. არწივის ბუდეს რომ მიუახლოვდა, დაინახა, ბუდეში ორი მართვე ზის და ბუდისაკენ უზარმაზარი გველეშაპი მიცურავს. თურმე ეს გველეშაპი ყოველ წელიწადს უჭამდა არწივს მართვეებს. აინიჟვფამ გველეშაპი მოკლა. ახლა გველეშაპის მოკვლით გახარებული მართვეები ჟივჟივებდნენ. ამ დროს გამოჩნდა ბებერი არწივი. ბუდისაკენ მოფრინავდა. მართვეებმა აინიჟვფას უთხრეს:

— ჩვენ ფრთებქვეშ დაიმალე, თორემ დედაჩვენი შეგჭამსო.

მართლაც, აინიჟვფა მართვეების ფრთებქვეშ გაინაბა.

მოფრინდა ბებერი არწივი.

— აქ რა ამბავია, რატომ მცემს ადამიანის სუნიო? — ჰკითხა მართვეებს.

მათაც უამბეს, რაც მოხდა. გახარებულმა არწივმა აინიჟვფას უთხრა:

— გველეშაპი მართვეებს ვეღარ შემიჭამს. რაკილა გველეშაპი მოკალი, რასაცა მთხოვ, შეგისრულებო.

— მხოლოდ ის მინდა, რომ აქედან გამიყვანო და ჩემს ქვეყანაში დამაბრუნოო.

— ეგ ადვილია. დააკვლევინე ათი კამეჩი. ტყავი რუმბებად ამოაღებინე. ხუთი რუმბი ხორცით გაავსებინე, ხუთი — წყლითო.

დაბრუნდა აინიჟვფა ხალხთან. უთხრა, ხუთი რუმბი ხორცით გამივსეთ, ხუთი — წყლითო.

მართლაც, აუვსეს რუმბები.

ბებერი არწივი ერთ დიდ მოედანზე დაჯდა, ზურგზე რუმბები დააწყეს, აინიჟვფაც შეაჯდა. ვიდრე აფრინდებოდნენ, არწივმა გააფრთხილა:

— რამდენჯერაც ვიტყვი „ყურთ“-მეთქი, პირში ერთი ლუკმა ხორცი ჩამიდე და ერთი ყლუპი წყალი ჩამასხიო.

აფრინდნენ. იტყვის არწივი „ყურთ“, ჩაუდებს აინიჟვფა პირში ხორცს, ჩაასხამს წყალს.

ის იყო, უკვე უნდა ამოსულიყვნენ სამზეოზე, რომ ხორცი გამოილია. „ყურთ“, — თქვა არწივმა. რა ექნა აინიჟვფას? გამოიგლიჯა ბარძაყიდან ხორცი და არწივს პირში ჩაუდო. ამ დროს კიდევაც ამოვიდნენ ქვესკნელიდან.

— ბოლოს რომ ხორცი მომეცი, რისი იყო? სხვანაირი გემო ჰქონდაო, — უთხრა არწივმა.

— ეგ ჩემი ბარძაყიდან გამოგლეჯილი ხორციაო.

ბებერ არწივს თურმე აინიჟვფას ხორცი არ გადაუყლაპავს, ენის ქვეშ შეენახა. ახლა გამოიღო, ბარძაყზე მიადო, ენა აუსვა და გაუმთელა.

არწივი გაფრინდა. აინიჟვფა ჩქარი ნაბიჯით წავიდა. გზად თავის ნაცნობ დედაბერს გადაეყარა.

— ჩემი მეგობრები ხომ არ გინახავს, ხომ არ იცი, სად ცხოვრობენო? — ჰკითხა.

დედაბერმა უთხრა, სადაც ცხოვრობდნენ მისი მეგობრები. აინიჟვფა თავისი მეგობრების სახლში მივიდა. აქ ის ქალი დახვდა, ჯაკიახრიცას უფსკრულიდან რომ ამოიყვანა. აინიჟვფამ მაშინვე იცნო ქალი, მაგრამ ქალმა ვერ იცნო თავისი მხსნელი.

— ვერ მიცანიო? — ჰკითხა აინიჟვფამ.

— ვერაო.

— მე აინიჟვფა ვარ. ჩემი მეგობრები სად არიანო?

— სანადიროდ წავიდნენ, საცაა დაბრუნდებიან. მე იმათი მოახლე ვარ — ნაცრის მგველი და ქვაბის მხეხავიო.

ამ დროს აინიჟვფას მეგობრებიც მოვიდნენ. აინიჟვფას დანახვაზე ძალიან შეწუხდნენ — შერცხვათ, იდგნენ თავჩაღუნულები და თვალს ვერ უსწორებდნენ.

აინიჟვფამ კი ორივენი გაკოჭა, ურა ცხენის კუდზე გამოაბა და ველზე მიუშვა.

თვითონ კი ქალი ცოლად შეირთო და დედას დაუბრუნდა.

მზისა და მთვარის ასული

ერთ სოფელში მოხუცი კაცი ცხოვრობდა. კაცს ისხაკი ერქვა. სამი ვაჟი ჰყავდა. უფროსს ჰაჯიბექირი ერქვა, შუათანას — მჰამათი, უმცროსს — სოლმანი.

ისხაკი ყოველ წელს ფეტვს თესავდა, მაგრამ მოსავალს ვერ იღებდა: როგორც კი ფეტვი შემოვიდოდა და ისხაკი შვილებს ეტყოდა: „ხვალ ან ზეგ ფეტვი უნდა ავიღოთო“, ვიღაც მოვიდოდა და ისე მოასუფთავებდა ყანას, რომ დილით პატრონს მარცვალიც არა ხვდებოდა. ვერც მამა, ვერც შვილები ვერ იგებდნენ, ვის მიჰქონდა მათი მოსავალი.

ერთ წელსაც, როცა ფეტვი დამწიფდა, ისხაკმა უფროს შვილს უთხრა:

— ჰაჯიბექირ, ამაღამ ყანას უყარაულე, თორემ წელსაც ხელცარიელი დავრჩებით, გათენდება და მოვმკათო.

წავიდა ჰაჯიბექირი ყანაში, წამოწვა და დაიწყო ყარაულობა, მაგრამ ჩაეძინა. დილას გაიღვიძა და — ფეტვი აღარ არის!

მეორე წელს ყანის სადარაჯოდ მჰამათი წავიდა, მაგრამ იმასაც ჩაეძინა. დილით ფეტვი აღარ იყო.

მეტის ატანა აღარ შეიძლებოდა და ნაბოლარა ძმამ — სოლმანმა მამას სთხოვა:

— გაისად მე გამიშვი ფეტვის საყარაულოდო.

ისხაკს გაეცინა:

— შე საწყალო, დედაშენის ფეხთით რომ წევხარ, მაშინაც შიშით ილევი და ყანის ყარაულობა სად შეგიძლიაო?

დადგა გაზაფხული და ისევ დათესეს ფეტვი. როცა მომკის დრო დადგა, ისხაკმა იფიქრა: „რაც იქნება, იქნებაო“ და სოლმანს უთხრა:

— სოლმან, ამაღამ შენ უყარაულე ყანას. აბა, შენ იციო!

სოლმანს ძალიან გაუხარდა: „უკვე კაცად მაგდებენო“, იფიქრა. წავიდა, ცხენის ძუით ქამანდი დაწნა, წაიღო და ყანაში წავიდა. იქ ერთ მოფარებულ ადგილას ჩაუსაფრდა. ზის, ელოდება. შუაღამე გადავიდა. ერთბაშად ცხენის ფეხის ხმა მოესმა. მოიხედა — ცხენების რემა მოქრის, წინ ლურჯა ულაყი მოუძღვის.

ცხენები ყანის პირას მიჭენდნენ, ლამაზად დაეწყნენ.

— ახლა, ამ ყანას ისე გადავძოვთ, რომ მიწა გაშიშვლდეს. ოღონდ, ცოტა მაცალეთ, აქაურობას მოვათვალიერებ, არავინ იყოსო, — უთხრა ლურჯა ულაყმა რემას და იქით წავიდა, სადაც სოლმანი იყო ჩასაფრებული. მიუახლოვდა თუ არა, სოლმანმა ქამანდი ესროლა და ულაყი დაიჭირა.

ულაყმა გაიწია, ყალყზე შედგა, ზურგზეც გაგორდა, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვერ გაითავისუფლა. როცა ქამანდმა ისე მოუჭირა, რომ ცოტაც და — დაახრჩობდა, ულაყი ადამიანივით ალაპარაკდა:

— ძმაო, შენ გარდა ჩემ მომრევ კაცს არ შევხვედრივარ. გამიშვი და სამ საუკეთესო ცხენს მოგცემ, თქვენს ფეტვსაც ხელს აღარ ვახლებთ. ფაფრიდან ერთი ღერი ბეწვი გამომაცალე და შეინახე. როცა დაგჭირდე, ცეცხლზე შეათბე და სადაც არ უნდა ვიყო, მაშინვე შენთან გავჩნდებიო.

სოლმანი დათანხმდა. გამოართვა შეპირებული სამი ცხენი, ფაფრიდან ერთი ღერი ბეწვი გამოაცალა და ჯიბეში ჩაიდო. ულაყი გაუშვა. თავად შინ დაბრუნდა.

გაიხარა ისხაკმა — აიღო მოსავალი, აღარ ეკარგებოდა თავისი ლუკმა.

გავიდა ხანი. ერთმა ბატონმა თავისი ხალხი გაგზავნა — „სოფელ-სოფელ ჩამოიარეთ და სადაც კარგი ცხენი ნახოთ, მიყიდეთო“. წავიდნენ ბატონის კაცები ცხენების საყიდლად. სოლმანის სოფელში რომ მივიდნენ და მისი სამი ცხენი ნახეს, ჩააცივდნენ: „გინდა თუ არა, მოგვყიდეო“. მიჰყიდა სოლმანმა. ცხენები წაიყვანეს და ბატონს მიჰგვარეს.

ბატონმა ცხენები რომ დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა:

— სად იყიდეთო?

უთხრეს, ამა და ამ სოფელში სოლმანისაგან ვიყიდეთო.

ბატონმა სოლმანს მისწერა: „როგორც კი ამ წერილს მიიღებ, ჩემთან გაჩნდიო“.

რა ექნა სოლმანს? აიღო საგზალი და წავიდა. გზაში ლურჯა ულაყის

ბეწვი გაახსენდა. ამოიღო, ასანთი გაკრა, ბეწვი ალზე მოატარა. მაშინვე გაჩნდა შეკაზმული ულაყი.

— შემაჯექიო! — უთხრა სოლმანს. სოლმანიც შეაჯდა.

ცხენი გრძნეული რაში იყო. როცა მიქროდნენ, სოლმანმა შორს, გზაზე დაგდებული რაღაც დაინახა, იქაურობას ანათებდა. „ავიღებო", — იფიქრა, მაგრამ რაშმა უთხრა:

— ეგ არწივის ფრთის ბუმბულია. ძალიანაც რომ მოგწონდეს, არ აიღოო.

სოლმანმა არ დაუჯერა. რომ მიუახლოვდნენ, ჩამოქვეითდა, ბუმბული აიღო, ჩოხის ქილებთან ჩაიდო. ბუმბული მზესავით ანათებდა.

სოლმანი ბატონთან მივიდა, ცხენი თავლაში დააყენა, თვითონ შინ შევიდა.

სოლმანი ბატონთან სტუმრობდა. ბატონის კარისკაცებმა იფიქრეს, ჩვენს ბატონს თავისი სტუმარი ძალიან შეუყვარდაო, მივიდნენ და უთხრეს:

— სოლმანს რომ ჩოხის საქილეში ბუმბული უდევს, თქვენი უნდა იყოს. სოლმანი რა მაგის ღირსია. თუ მართლა უყვარხართ, რატომ არ გაძლევთო?

ბატონი მაშინვე მივიდა სოლმანთან.

— საქილეში რომ ბუმბული გიდევს, რა შენი შესაფერია, მომეცი, ჩემი იყოსო.

სოლმანმა უსიტყვოდ მისცა.

მაგრამ კარისკაცებმა ვერ მოისვენეს, შეუჩნდნენ ბატონს:

— თუ სოლმანს მართლა უყვარხარ, რატომ იმ არწივს არ გჩუქნის, ეგ ბუმბული რომ მოსძვრაო?

ბატონმა მაშინვე მოაყვანინა სოლმანი.

— შენს ნაჩუქარ ბუმბულს რა თავში ვიხლი?! ის არწივი მომგვარე, ეს ბუმბული რომ მოსძვრაო!

ამის გამგონე სოლმანმა თავში ხელი შემოიკრა. ბატონს ვერაფერი უპასუხა. მივიდა რაშთან.

— რატომ მოგიწყენიაო? — ჰკითხა რაშმა.

სოლმანმა ყველაფერი უამბო.

— აი, რატომ გეუბნებოდი, ბუმბული არ აიღო-მეთქი. არ გამიგონე და ჯერ სადა ხარ? ეგ ბუმბული კიდევ ბევრ ხიფათს გადაგყრის. ახლა მიდი ბატონთან და უთხარი: „არწივს მოგიყვან, ოღონდ შვიდი გზის გასაყარზე პატარა ორმო ამოათხრევინე, ორმოს გარშემო კი ყველა სახის მარცვლეული დააყრევინე-თქო".

მარცვლეულს რომ დაყრიან, რაც ქვეყანაზე ფრინველია, იქ მოიყრის თავს, მაგრამ პირს არაფერს დააკარებენ, ვიდრე არწივი არ მოფრინდება. არწივი იმათი უფროსია. როცა არწივი გამოჩნდება, ირგვლივ ყველაფერი განათდება. არწივი ისეთი ხმაურით მოფრინდება, იქაურობას გააყრუებს. შენ ამ დროს ორმოში იქნები დამალული. არწივი რომ დაფრინდება, სწვდი და დაიჭირე, ჩემთან გაჩნდი და შემაჯექი. სხვა ფრინველები დაგინახავენ და შემოგესევიან, ფრთების ცემას დაგიწყებენ, დაგკბენენ კიდეც, მაგრამ არ შეუშინდე, არწივს ხელი არ უშვაო, — დაარიგა რაშმა.

სოლმანი ბატონთან მივიდა და რაც რაშმა უთხრა, სიტყვასიტყვით გაუმეორა.

ბატონმა თავის კაცებს უბრძანა, ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც სოლმანმა თქვაო.

სოლმანი შეჯდა რაშზე და შვიდი გზის გასაყართან მივიდა. რაში დამალა, თავად ორმოში ჩაჯდა და არწივს ლოდინი დაუწყო. გაისმა გრუხუნი. სოლმანმა გაიხედა და დაინახა, რაღაც მოფრინავს — ცასა და მიწას აზანზარებს. ეს არწივი იყო. როგორც კი არწივი მოფრინდა, ადრე მოფრენილმა ფრინველებმა მარცვლის კენკვა დაიწყეს. სოლმანი ამოხტა ორმოდან, დაიჭირა არწივი და რაშს მიაშურა. ფრინველები დაედევნენ, მაგრამ სოლმანს არწივი ვერ დააგდებინეს. მიირბინა რაშთან, შეჯდა და გააჭენა. მივიდა ბატონთან, რაში თავლაში დააყენა და არწივი მიჰგვარა.

კარისკაცებმა დაინახეს, რომ სოლმანმა არწივი მოიყვანა, თქვეს: „არაფერი გამოგვივიდაო“. ისევ მივიდნენ ბატონთან და უთხრეს: „ამა და ამ წყალში, ერთი ცხვარი ცხოვრობს. თუ სოლმანს მართლა უყვარხარ, იმ ცხვრის დუმა მოგიტანოს. დუმა ოქროსია. რატომ არ უნდა გქონდესო?

ბატონმა მაშინვე მოაყვანინა სოლმანი და უთხრა:

— ამა და ამ წყალში ერთი ცხვარია. იმის დუმა მომიტანეო.

რა ექნა სოლმანს?!

მივიდა რაშთან.

— ახლა რაღა მოხდაო? — ჰკითხა რაშმა.

სოლმანმა უთხრა, რაც აწუხებდა.

— ეს დიდი არაფერია, — უთხრა რაშმა, — მაგ ცხვარს თავის დღეში მარილი არ უჭამია. ყოველ შუადღეს წყლიდან გამოდის, მარილს ეძებს. თუ იქ, სადაც გამოდის, ბევრ მარილს დავუყრით, ცხვარი შეჭამს, გაბრუდება და როცა წყალში შევა, თავდაყირა დადგება. იმარჯვე, ხანჯალი იძრე, დუმა მოაჭერი, შემაჯექი და გავიქცეთ. თუ სწრაფად არ გაისარჯე და ცხვარმა ჩვენსკენ მობრუნება მოასწრო, სიკვდილი არ აგვცდება. ახლა ბატონთან მიდი და თორმეტი ფუთი* მარილი მოსთხოვე. უთხარი: მომეცი

თორმეტი ფუთი მარილი და დუმას მოგიტან-თქო.

სოლმანმა ბატონს მარილი მოსთხოვა, ბატონმაც მისცა. აჰკიდა მარილი რაშს, თვითონაც ზედ შეჯდა და წავიდა. წყალთან რომ მივიდა, ცხენიდან ჩამოხტა, ცხვრის სავალ ბილიკზე უზომო მარილი დაყარა, ხანჯალი მოამზადა და დაუდარაჯდა.

მოშუადღევდა და ცხვარიც გამოვიდა წყლიდან. დაიწყო მარილის ჭამა. გაძღა. შევიდა წყალში და თავდაყირა დადგა. ამ დროს სოლმანიც გამოხტა, მოჰკვეთა ცხვარს დუმა, მოახტა რაშს და გააჭენა.

მივიდა სოლმანი ბატონთან და მიართვა ცხვრის დუმა.

„კიდევ არ დაიღუპა“, — თქვეს კარისკაცებმა, მივიდნენ ბატონთან და უთხრეს:

— ორ წყალს შორის, ბარდებში ერთმა ძაღლმა ლეკვები დაყარა. თუ სოლმანი მართლა ასეთი გულადია, წავიდეს და ერთი ლეკვი მოგიყვანოსო.

ბატონმა დაიბარა სოლმანი და ლეკვის მოყვანა უბრძანა.

როცა დაღონებული სოლმანი რაშთან მივიდა, რაშმა უთხრა:

— ბატონს უთხარი თორმეტი არშინი თეთრი და თორმეტი არშინი შავი ქსოვილი მოგცეს. ბარდებთან რომ მივალთ, თქვი: აი, შენი პერანგი, აი, შენი ნიფხავი-თქო და ქსოვილები ბარდებზე გადაფინე, ზედ გაიარე, ლეკვი აიყვანე და ჩემსკენ გამოიქეციო.

სოლმანი მივიდა ბატონთან, გამოართვა ქსოვილები, შეჯდა რაშზე და წავიდა. როცა იმ ბარდებს მიუახლოვდა, სადაც ლეკვები იყვნენ, ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც რაშმა დაარიგა, აიყვანა ერთი ლეკვი, შეახტა რაშს და შინისაკენ გააჭენა.

მიჰგვარა ლეკვი ბატონს. დაინახეს კარისკაცებმა და უფრო შეშინდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და უთხრეს ბატონს.

— კეთილო ბატონო, ცოლი არა გყავს. ქვეყანაზე შენი შესაფერი ქალი არ იქნება, მაგრამ სოლმანი შეძლებს და მოგიყვანს. ზღვაში ერთი ვეშაპი ცხოვრობს, იმ ვეშაპის მუცელში კი — მზისა და მთვარის ქალი. აი, ის ქალი იქნება შენი საკადრისიო.

ამის გამგონე ხარბმა ბატონმა მოსვენება დაკარგა. სოლმანის მოყვანა ბრძანა. მოუყვანეს.

— ზღვაში ერთ ვეშაპს უცხოვრია. იმ ვეშაპის მუცელში მზისა და მთვარის ასული მჯდარა. ის ქალი უნდა მომგვარო. მომგვრი — ცოლად შევირთავ, არ მომგვრი და — სიკვდილი არ აგცდებაო.

რა ექნა საწყალ სოლმანს? შემოიკრა თავში ხელი და თავის რაშთან დაბრუნდა. მივიდა და ბაგასთან ჩამოუჯდა.

— სოლმან, კარგო ვაჟკაცო, რატომ მოგიწყენიაო? — ჰკითხა რაშმა.

სოლმანმა ყველაფერი უამბო. მაშინ რაშმა უთხრა:

— მიდი ბატონთან და უთხარი, რაც კი დუქანში ქალის ტანსაცმელია, გამოგატანოს. თანაც ზღვის ნაპირას ერთი დუქანი გაამართვინოს. იმ ტანსაცმელს დუქანში გამოვფენთ. მზისა და მთვარის ასული დუქანში შემოვა და ტანსაცმლის თვალიერებას მოჰყვება. აი, მაშინ სტაცე ხელი და წამოიყვანე.

ყოველ დღე, შუადღისას, ვეშაპი ნაპირთან მოდის და თავს ქვიშაზე დებს. მაშინ მისი თავიდან გამოდის ქალი და ნაპირზე ორ საათს რჩება. გაგრილდება და ისევ ვეშაპის გულ-მუცელს უბრუნდება. ვეშაპიც ზღვაში შეცურდება. როცა ქალის გამოსვლის დრო მოახლოვდება, ძილი მოგერევა, მაგრამ, გახსოვდეს, არ დაიძინოო.

სოლმანმა უთხრა ბატონს და ბატონმაც ზღვის ნაპირას დუქანი დაადგმევინა; მისცა, რაც მოითხოვა.

სოლმანი ზღვის ნაპირას მივიდა, რაში გაუშვა, საქონელი დუქნის თაროებზე ჩამოალაგა, დაჯდა და ქალს ლოდინი დაუწყო.

ქალის გამოსვლის დრო რომ დადგა, ძილს თავი ვეღარ წაართვა. დაეძინა. ასე გაგრძელდა სამი დღე — ქალის გამოსვლაზე სოლმანს დაეძინებოდა და მაშინ ეღვიძებოდა, როცა ის უკვე წასული იყო. მაშინ რაში მოვიდა და უთხრა:

— ფაფრიდან ბეწვი გამომაძრე და ქუთუთოს ქვეშ დაიდე. ყოველთვის, როცა ძილი მოგერევა და თვალს დახუჭავ, ბეწვი თვალში შეგერჭობა და არ დაგანებებსო.

მეორე დღეს სოლმანი მართლაც ისე მოიქცა, როგორც რაშმა უთხრა. აღარ დაეძინა და დაინახა, როგორ გამოვიდა ქალი, როგორ შევიდა დუქანში და როგორ დაიწყო ნელსაცხებლების თვალიერება. ქალი ძალიან ლამაზი იყო — ისეთი ლამაზი, როგორც მზე და მთვარე. მზესავით ნათელს გამოსცემდა.

სოლმანი დუქანში შევარდა, ქალს ხელი დაავლო, რაშზე შემოისვა და ბატონს მიჰგვარა. ბატონს მაშინვე ნიშნობის გამართვა ეწადა, მაგრამ ქალი უარზე დადგა:

— ვიდრე ჩემს სკივრს არ მომიტანთ, ნუ გამართავთო.

სკივრი ვეშაპის მუცელში იდგა.

ბატონმა სოლმანს უბრძანა:

— ახლავე მოიტანე მზისა და მთვარის ასულის სკივრი. თუ არ მოგიტანია, თავს წაგაცლიო!

სოლმანი რაშთან მივიდა და ყველაფერი უამბო.

რაშმა უთხრა:

— ეგ ადვილი საქმეა, ოლონდ, არ უნდა შეშინდეო: ვეშაპი ისევ ნაპირზე წევს. პირდაღებული, ქალის დაბრუნებას ელოდება. შეუძვერი ვეშაპს ხახაში. ვეშაპი ზღვაში დაბრუნდება. ხვალ ისევ მოცურდება ნაპირთან. აიღე სკივრი და გამოდი ვეშაპის გულ-მუცლიდანო.

შეჯდა სოლმანი რაშზე და ზღვისკენ წავიდა. მივიდა, ხედავს, ვეშაპს დაუღია ხახა და წევს. სოლმანი ჩამოქვეითდა, „კარგად იყავიო", — უთხრა ცხენს და ვეშაპის ხახაში გაუჩინარდა. ვეშაპი ზღვაში შეცურდა და წავიდა.

მეორე დღეს სოლმანმა ბატონს სკივრი მიუტანა.

დაინახა თუ არა სკივრი, ბატონმა ბრძანა: „ახლავე ნიშნობა მოამზადეთო!" მაგრამ ქალი ისევ უარზე იყო:

— მზესა და მთვარეს — ჩემს მშობლებს — უნდა შევატყობინოთ, თანაც მათ ჩემი ბეჭედი უნდა გამოვართვათო.

ბატონმა ისევ დაიბარა სოლმანი:

— სოლმან, უნდა მზესა და მთვარეს ეახლო და გააგებინო, რომ მათი ასული თხოვდება. თანაც ბეჭედი უნდა მოიტანოო.

რა ექნა სოლმანს? მივიდა რაშთან და ყველაფერი უამბო.

— ოჰ, სოლმან, ველარაფერში გამოგადგები. მაგრამ მომისმინე, ერთ რჩევას მოგცემ: ზღვის ნაპირზე მიგიყვან. იქ ერთმანეთს დავშორდებით — გამიშვებ. დაინახავ, რომ ზღვაზე ერთი თევზია ხიდივით გადებული — თავი გამოღმა ნაპირზე უდევს, ბოლო — გაღმა. ზედ გავლა არ შეიძლება, მაგრამ ისე მოიქეცი, როგორც თევზი მოგთხოვს, რასაც გეტყვის, ყველაფერზე დასთანხმდი, არაფერზე უპასუხო, ვიდრე ზღვას უკან არ გადმოივლი. როცა თევზზე გადახვალ, დაინახავ, როგორ ებრძვიან ერთმანეთს ზაფხული და ზამთარი. რასაც ისინი გეტყვიან, ყველაფერზე დაეთანხმე. პასუხს მაშინ გასცემ, მზისა და მთვარის სამყოფელიდან რომ დაბრუნდებიო, — უთხრა რაშმა.

— რა მეშველება, ჩემს გვერდით რომ აღარ იქნებიო, — შეწუხდა სოლმანი. მერე შეჯდა რაშზე და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა ზღვასთან. ჩამოქვეითდა, ცხენს გადაეხვია და ატირდა. მერე აკოცა და გაუშვა.

მივიდა თევზის ხიდთან და სთხოვა, გადამატარეო. თევზმა უარი უთხრა. არ მოეშვა სოლმანი, ეხვეწა, ემუდარა და, როგორც იქნა, დაიყოლია.

— გაგატარებ, ოლონდ ერთი პირობით: მზესა და მთვარესთან რომ მიხვალ, ჰკითხე: როდემდე უნდა ვიყო აქ ხიდად გადებული. თუ პირობას მომცემ, რომ პასუხს მომიტან, გაგატარებო, — უთხრა თევზმა.

სოლმანმა პირობა მისცა და თევზმაც გაატარა. მიდის სოლმანი, მიდის და ხედავს, შეჰბმიან ერთმანეთს ზაფხული და ზამთარი.

— სალამ ალეიქუმ!

— ალეიქუმ სალამ! ჩვენს შორის ნუ ჩადგებიო, — უთხრეს ზაფხულმა და ზამთარმა.

სოლმანმა თავის გასაჭირი უთხრა.

— გაგატარებთ, მაგრამ ერთი პირობით: მზესა და მთვარეს რომ ნახავ, ჰკითხე, კიდევ დიდხანს უნდა ვიყოთ ამ დღეშიო?

სოლმანი დაჰპირდა, ვკითხავო და გაატარეს.

იარა, იარა და მივიდა მთვარესთან. მზე შინ არ იყო. მთვარე შეწუხდა:

— რა გიყო მე საწყალმა, სად დაგმალო? საცაა, ჩემი ქმარი — მზე დაბრუნდება და მოგკლავსო.

სოლმანმა მთვარეს ასულის ამბავი უთხრა. მთვარემ ასვა-აჭამა სტუმარს და როცა მზის მოსვლის დრო დადგა, სკივრში დამალა. მოვიდა მზე, იკრა ადამიანის სუნი და ისეთი ყვირილი მორთო, ლამის ქვეყანა დაინგრა:

— ეს რა სუნი მცემსო?!

— აბა, რა სუნია? არაფერი სუნიც არ არისო! — დაამშვიდა მთვარემ. მერე დასვა და თავიანთი ასულის ამბავი უთხრა. ისიც ჰკითხა:

— ის კაცი რომ განახა, ვინც ჩვენი შვილის ამბავი მოგვიტანა, ხომ არ მოკლავდიო?

— არ მოვკლავდი მე უბედური! ვითომ ჩემი შვილი მენახოსო!

მაშინ მთვარე ადგა, სკივრს თავი აჰხადა და სოლმანი ამოუშვა. მზემა და მთვარემ სოლმანი ერთ კვირას ისტუმრეს, ბეჭედიც მისცეს.

როცა სოლმანი უკან დასაბრუნებლად მოემზადა, მზესა და მთვარეს თევზის, ზამთრისა და ზაფხულის დანაბარები გადასცა.

მზემა და მთვარემ თქვეს:

— თევზი მთელი ცხოვრება ეგრე იქნება ხიდად გადებული, ზამთარი და ზაფხულიც გამუდმებით ბრძოლაში იქნებიანო.

იქიდან წამოსული სოლმანი ჯერ ზამთარსა და ზაფხულს მიადგა.

— ვიდრე არ გვეტყვი, რა გითხრეს მზემა და მთვარემ, არ გაგატარებთო.

სოლმანმა დაიფიცა, გეფიცებით, „თუ გამიშვებთ, გეტყვითო“, გაატარეს და როცა უკვე გაიარა და თავი სამშვიდობოს დაიგულა, უთხრა:

— მთელი სიცოცხლე ბრძოლაში იქნებითო.

გზა გააგრძელა. თევზსაც უთხრა: „გადამატარე და მზისა და მთვარის დანაბარებს გეტყვიო“. გადაიარა და დანაბარებიც უთხრა.

მივიდა თავის რაშთან, ამხედრდა და შინ დაბრუნდა. ბატონს ბეჭედი გადასცა:

— ჩქარა მოამზადეთ ნიშნობაო!

მაგრამ ქალმა თქვა:

— მზისა და მთვარის შვილი ვარ და მთელი სიცოცხლე ზღვაში მაქვს გატარებული. როდი ვამბობ, ბატონი არ მიყვარს-მეთქი, მაგრამ ცოლად რომ გავყვე, ჩემსავით სუფთა უნდა იყოს. ამისათვის კი მდუღარე რძეში უნდა განიბანოს. როცა განიბანება, ნიშნობის თადარიგსაც დაიჭერთო.

მაშინვე ჩაასხეს რძე თორმეტტვედროიან ქვაბში, არყის ხის შეშა შეუკეთეს და როცა ადუღდა, ბატონს უთხრეს, „იბანავეო“.

— არა, ჯერ სოლმანმა იბანაოსო.

წაიყვანეს სოლმანი ქვაბისაკენ. ამ დროს ქალმა მოასწრო და თავისი ბეჭედი ხელში ჩაუდო. თან უჩურჩულა, — არავის დაანახვო. როცა ტანთ გაიხდი, ჯერ ბეჭედი ჩაუშვი რძეში და მერე თავად ჩადიო.

სოლმანი ისე მოიქცა, როგორც ქალმა დაარიგა. გაიბანა და რძიდან უვნებელი ამოვიდა. ამის დამნახავი ბატონი მაშინვე ქვაბში ჩახტა. ჩახტა და ჩაიხარშა კიდეც. როცა ქვაბის ზედაპირზე მისი ფეხები გამოჩნდებოდა, კარისკაცები ტაშს უკრავდნენ, უხაროდათ, „ბატონი ერთობაო“.

ბოლოს წამოდგა მზისა და მთვარის ქალი და იქ თავშეყრილ ხალხს უთხრა:

— მე ბატონს არ მოვუყვანივარ, სოლმანმა მომიყვანა. დღეიდან თქვენი ბატონი სოლმანი იქნება. მან კი, ვინც მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, რისი ღირსიც იყო, ის მიიღოო.

სოლმანმა და ქალმა ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

ქალების წყალობა

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ლამაზად ცხოვრობდნენ და ხალხიც დიდ პატივს სცემდა. მარჯვე ადამიანებად თვლიდნენ.

ცოლ-ქმარი სულ იმაზე კამათობდა, რომელი უკეთესი იყო. ქმარი ამბობდა: „მე ვარ კარგი და ხალხი პატივს ამიტომ გვცემსო“. „შენ კი არა, მე ვარ კარგი და ხალხი ამიტომ გვიყურებს კარგი თვალითო“, — უმტკიცებდა ცოლი.

ხვნის დრო იდგა. ქმარი დილაადრიან მიდიოდა სახნავად, სადილიც

თან მიჰქონდა. შინ გვიან ბრუნდებოდა.

ერთ დღეს, როცა კაცი შინიდან გადიოდა, ქალმა უთხრა:

— დღეს სადილს ვერ გაგატან, მზად არა მაქვს, გავამზადებ და მე თვითონ გამოგიტანო.

ცოლმა ეს რომ უთხრა, ქმარს ძალიან გაუხარდა. ცოლს არასოდეს მიეტანა მისთვის სადილი.

წავიდა კაცი სახნავში. რომ მოაგონდებოდა, ცოლმა სადილი უნდა მომიტანოსო, გულგახარებული ხნავდა.

ამასობაში შინ დარჩენილმა ცოლმა სადილი მოამზადა, სადღაც ერთი ნედლი თევზიც იშოვა და შუადღე რომ წამოვიდა, ქმართან წავიდა, სადილიც წაიღო და ერთი ცალი ნედლი თევზიც.

იმ დროს მივიდა, როცა ქმარს კარვის მოშორებით გაჰქონდა სვრელი. ქალმა იქ, სადაც გუთანს უნდა გაევლო, მიწა მოჩიჩქნა და შინიდან მოტანილი ნედლი თევზი დაფლა. კაცმა სვრელი გამოიყვანა. ცოლის მოსვლით გახარებულმა ცხენები გამოუშვა, თავადაც კარგად ისადილა. ჭამას რომ მორჩა, ცოლს უთხრა:

— დაღლილი ხარ, შინ წადი, რომ მზემ არ დაგწვასო.

— მეც რა ყოველდღე აქა ვარ! ცოტა ხანს დავრჩები, ვიდრე ერთ-ორ სვრელს კიდევ გაიტან. თან აქაურობის ცქერით თვალს გავახარებო.

კაცი ადგა, საქმეს დაუბრუნდა, გაიტანა ერთი სვრელი,* მეორე და — გუთანმა მიწიდან ნედლი თევზი ამოაგდო!

— ღმერთო, აი, სასწაული! ნახე, რა ამოჰყვა ბელტს! — თქვა ქალმა და ქმარს თევზი აჩვენა.

— ეს რა ვიპოვე! — შეჰყვირა გახარებულმა კაცმა.

— ნუ ყვირი, გაჩუმდი! არავის არაფერი უთხრა. სად გაგონილა მინდორში თევზის პოვნა. რა იცი, იქნებ სადმე თვალ-მარგალიტიც ემარხოს? — თქვა ქალმა, — იცი, რა მოვიფიქრე? დაღამებამდე არაფერი თქვა. რომ დაღამდება, ახლომახლო რომ კაცები ხნავენ, წამოიყვანე. ამ თევზს შევწვავ და გავუმასპინძლდებიო.

— რა კარგი რამ მოიფიქრეო! — გაიხარა ქმარმა.

შეთანხმდნენ. ქალმა თევზი კალათში ჩადო და შინ წაიღო.

ეშმაკმა ქალმა თევზი საგულდაგულოდ დამალა, კარი და ფანჯრები ღია დატოვა და სადღაც წავიდა.

შებინდდა. კაცმა, როგორც ცოლმა დაარიგა, შეკრიბა ის კაცები, მის მეზობლად რომ ხნავდნენ, დასხა ურემზე და თევზის საჭმელად შინ წაიყვანა.

მივიდნენ, ხედავენ, სახლი ძაღლებით, ქათმებით, ბატებით არის სავსე

— კარი ღია დაუნახავთ და შესულან. ერთს ნაცარი გაუქექავს, მეორეს ფქვილი დაუპნევია, მესამეს თეფში გაუტეხავს. ერთი სიტყვით, სახლი თავდაყირა დგას, დიასახლისი კი არსად ჩანს.

ამის შემხედვარე სტუმრებმა კაცი მასხრად აიგდეს და ეზოდან გადავიდნენ.

მაშინვე ქალიც შემოვიდა ეზოში.

— ვაი მე უბედურს! რა მოხდა, რატომ იყო ამდენი ხალხი ჩვენს ეზოშიო?! — მორთო ყვირილი.

ქმარი გაცეცხლდა. ცოლს მოკვლა დაუპირა.

— ქალო, მაგას კი ნუ ამბობ, ისა თქვი, რატომ გამხადე ხალხის დასაცინი? რატომ არ გვაჭამე მე და ჩემს სტუმრებს ის თევზი, ნახნავში რომ ვიპოვეო.

— ვაიმე, რაღა მეშველება მე უბედურს! ჩემს ქმარს ჭკუა აერია. რაღაც დაემართა. ვის გაუგონია ნახნავში თევზის პოვნა? გესმით, რას ამბობს? ნახნავში თევზი ვიპოვეო?!

ამან ქმარი უფრო გააბრაზა.

— მიდით, დაიჭირეთ! დაიჭირეთ! — იყვირა ქალმა და ხალხს ქმარი დააჭერინა და გააკოჭვინა. ბოლოს ლოგინშიც ჩააწვენინა. საწყალი კაცი საწოლზე დააკრეს.

კაცი ყვირის, რაც ძალი და ღონე აქვს, ცოლი კი წუწუნებს:

— ვაიმე, რა მეშველება? ეს კაცი უფრო ცუდად არის, ვიდრე მგონია. მოლა თუ არ მოვიყვანეთ, ჩვენი საშველი არ იქნება.

მოიყვანეს მოლა.

— ამის საქმე ცუდადაა. რაც შეგიძლია, ყველაფერი გაუკეთე, ვალში არ დაგრჩებითო, — უთხრა ქალმა მოლას.

მოლა მივიდა და კაცს თავთით დაუჯდა. ქალი საწოლის ბოლოსთან დადგა. ხელში თევზი უჭირავს, მალავს, რომ არავინ დაინახოს.

მოლა კაცს ულოცავს, შელოცვილ წყალს ასმევს და სხეულზე უსვამს.

ქალი კი დგას და კაბის სახელოში დამალულ თევზს მალმალ აჩვენებს ქმარს. თევზის დანახვაზე კაცი ყვირის:

— ჯანსაღი ვარ, არაფერი მჭირს! ეგერ, ეგერ, სადა აქვს თევზი!

რაც უფრო მეტს ყვირის კაცი, მით უფრო მეტს იხვეწება ქალი:

— უშველეთ, კარგად უმკურნალეთ! ეგ რომ შეიშალოს, მთლად დავიღუპები.

მოლაც ავგაროზებს უბოლებს, ყურანს ურტყამს.*

ქალმა ბევრჯერ ააყვირა ქმარი. თუ თევზს არ ხედავდა, კაცი ოდნავ მშვიდდებოდა.

ქალმა შეწყვიტა თევზის ჩვენება, კაციც ცოტათი ჩაწყნარდა. იწვა და კვნესოდა.

ქალმა მოლას უთხრა:

— ღმერთი გიშველის, ჩემი ქმარი უკეთ არის. შენც დაიღლებოდი. წადი, დაისვენე. თუ ისევ დაგვჭირდებით, ხალხს გამოგიგზავნით და მოგიყვანთ, გენაცვალე, შენი იმედი მაქვს.

მოლა წავიდა. ქალმა მეზობლებიც გაისტუმრა:

— წადით, დაღლილები ხართ. იქნებ ამასაც ჩაეძინოსო.

მარტონი რომ დარჩნენ, ქალმა ქმარს უთხრა:

— სტუმრები ისე როგორ გაუშვი ეზოდან, რომ მასხარად აგდება გაკადრეს, რატომ ვერ დაარწმუნე შენს სიკეთეში? როგორ გგონია, ხალხი ახლაც შენ გამო გვცემს პატივს, თუ ჩემ გამო? შენა ხარ კარგი, თუ მეო?

ქმარი დასთანხმდა:

— მართალია, შენა ხარ კარგიო.

ეს კაცი, რომლის ამბავიც ახლა მოგიყევით, ერთ თავისნაირ კაცთან ერთად საქურდლად დადიოდა. გზაზე დადგომისას ლოცულობდა: „ალაჰ, ღვთის მადლი და ქალების წყალობა გვიბოძეო“. მეგობარი დასცინოდა: „ღვთის მადლი კიდევ ჰო, მაგრამ ეს ქალების წყალობა რაღა არისო?“

ჰოდა, ამ კაცმა, თევზის ამბავი რომ გადაჰხდა, ცოლს უთხრა:

— ყური მიგდე. როცა საქურდლად ან სხვა რამ საქმეზე წასვლის წინ ალაჰს ღვთის მადლსა და ქალების წყალობას ვთხოვ, ჩემი მეგობარი სულ დამცინის. არ შეგიძლია, იმასაც ისეთი რამ დამართო, მე რომ დამმართეო?

ქალმა: „კარგი, რამეს მოვიფიქრებო“.

ერთ საღამოს ცოლ-ქმარმა იმ მეგობართან სტუმრობა გადაწყვიტა. ცოლმა ქმარი დაარიგა, უთხრა, რა უნდა ექნა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

წავიდნენ. მასპინძელს მათი მისვლა ძალიან გაუხარდა: „რა კარგია, რომ მოხვედითო“.

ქალი ძალიან ლამაზი იყო. კარგადაც ეცვა. ცოტა ხანში მასპინძლის მოხიბვლას ეცადა. რამდენჯერაც დიასახლისი სამზარეულოში გავიდოდა, სტუმარი კაციც გადიოდა, ვითომ თამბაქოს მოსაწევად. ამასობაში კი მისი ცოლი მასპინძელს ეკურკურებოდა. ისე მოხიბლა, სულ აურია თავგზა.

როცა ერთხელ კიდევ დარჩნენ პირისპირ, მასპინძელმა უთხრა:

— ღმერთმა ქნას და მე და შენ ისეთ ადგილზე შეგვახვედროს, სადაც ხელს არავინ შეგვიშლისო.

— ღმერთმანი, მაგაზე უარს არც მე ვიტყოდიო, — უპასუხა ქალმა.

— მაშ, მოვიფიქროთ, როგორ ავისრულოთ სურვილიო.

— ეგ მხოლოდ მაშინ გამოვა, როცა ჩემი ქმარი სადმე წავა და ღამით შინ არ დაბრუნდება. მაშინ გაგაგებინებ და მოხვალო.

სტუმრები ღამით შინ დაბრუნდნენ. გზაზე ქმარი ეკითხება:

— რისთვისაც წავედით, იმ საქმისა რამე გაარიგეო?

— გავარიგე და ეგრე?! ვერა ნახე, როგორ გავაგიჟე? დავაიმედე, მალე უფრო ახლოს ვნახავთ ერთმანეთს-მეთქი. მართლაც, ცოტა ხანში შეხვედრასაც მოვაწყობ. მომავალ კვირას ბაზარში წახვალ და ღამე იქ დარჩები. მე კი კაცს ჩემთან დავიბარებ. გახარებული და თავგზააბნეული მოვარდება. როგორც დავთქვით, შუაღამისას ფანჯარაზე მომიკაკუნე. ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც დაგარიგეო.

კვირა ღამეს ქალმა იმ კაცს შეუთვალა: ჩემი ქმარი შინ არ არის და მოდიო. კაცი სიხარულით აღარ იყო: რა ბედი მეწია! ამაღამ ლამაზ ქალს ჩავეხვევიო, — ფიქრობდა.

კარგად რომ დაღამდა, მივიდა ქალის სახლში. ქალი მორთულ-მოკაზმული ზის და ტკბილ სურნელს აფრქვევს.

— ოჰ, როგორ მოზოზინებ! სად იყავი? ველარ მოაღწიეო? — უსაყვედურა ქალმა. ვითომ ძალიან გაუხარდა კაცის დანახვა.

— რომ იცოდე, როგორ გავატარე ეს ერთი კვირაო, — უთხრა კაცმა და გადახვევა დაუპირა, მაგრამ ქალი ხელიდან გაუსხლტა.

ქალი ოთახიდან გადის, შემოდის — დრო გაჰყავს, ვითომ საჭმელს ამზადებს.

გაშალა კარგი სუფრა. ჭამეს, სვეს, კარგი დრო ატარეს, მაგრამ ქალი ახლოს არ იკარებს კაცს:

— ჯერ მოითმინე, კარგად დანაყრდი, ამ დიდ ღამეში ბევრ რასმე მოვასწრებთო, — ამბობს ქალი.

ჭამას რომ მორჩნენ, ქალმა ლოგინი გაშალა. კაცმა გაიხადა და დაწვა. ქალი სუფრის ალაგებას მოჰყვა.

— მოეშვი, აღარ წვებიო? — ჩქარობს კაცი.

— ახლავე, ცოტას მოვწესრიგდები და მოვალო, — ფეხს ითრევს ქალი.

კაცი გახდილი წევს ლოგინში. ქალი ტრიალებს, რაღაცას საქმიანობს. ამ დროს ქმარმა ფანჯარაზე დააბრახუნა. თან ყვირილი მორთო.

— ვაიმე, რა გვეშველება?! დაგვხოცავს, — აწრიალდა ქალი, — რა მეშველება, სად დაგმალო?! — ამბობს და აქეთ-იქით აწყდება.

ბოლოს:

— მოდი, ამაში ჩაგსვამ. უკეთეს სამალავს ვერ ვიშოვითო, — თქვა და კაცი დიდ სკივრში ჩასვა, ბოქლომიც დაადო.

ამასობაში ქმარი გარეთ დგას და ყვირის, ქვეყანას აქცევს. ქალმა, როგორც იქნა, კარი გააღო და ვითომ ნამძინარევმა იკითხა:

— ვაიმე, რა ამბავია ჩემს თავსო?

— ნურც ამდგარხარ ლოგინიდან! ერთი საათია ვაბრახუნებ, ქვეყანა დავაქციე. შენ რა, ლოგინში ჩაკვდიო?

— ღრმა ძილით მძინებია. არაფერი გამიგია. რა მოხდა? რატომ დაბრუნდიო?

— შენგან ხეირი არ იქნება! აჩქარდი, ამხანაგებს ნუ ჩამომარჩენ, ბაზრის ახლოს ერთ ხუტორში მელოდებიან. ვუთხარი, ახლავე დაგეწევითმეთქი და დავბრუნდიო.

— რატომო?

— იმიტომ, რომ ეს დიდი სკივრი ბაზარში უნდა წავიღო გასაყიდად. ფული მჭირდება. სხვა რამ, ხელის წამოსაკრავი არაფერი გვაბადია. იმ ხუტორში ამბობდნენ, სკივრს დიდი გასავალი აქვს და ძვირიც არისო. მოდი, ურემზე დამადებინეო.

— ვაიმე, ამას რას სჩადი? ამ სკივრის გარდა რა გვაქვს, რომ ამასაც გასაყიდად იმეტებო?

— ბევრს ნუ ლაპარაკობ! მომეხმარე, ურემზე დავუდოთო! — იყვირა კაცმა.

მიეხმარა ცოლი, სკივრი ურემზე დადგეს და ქმარმა ბაზარში წაიღო.

მივიდა ქმარი ბაზარში. ცხენები გამოხსნა. ურემი დატოვა, თავისი ორი ამხანაგი ყარაულად დაუყენა.

— აქ იდექით, თუ სკივრის მუშტარი გამოჩნდეს, უთხარით, პატრონი ახლავე მოვა-თქო. გავივლი, მაზანდას გავიგებო.

სკივრის პატრონი რომ წავიდა, სკივრში დამწყვდეულმა კაცმა დაილაპარაკა:

— ჰეი, ვინა ხართ მანდ? თქვენ გენაცვალოთ ჩემი თავი! ერთი თხოვნა შემისრულეთ და რასაცსა მთხოვთ, მოგცემთო.

— ვინა ხარ? მანდ რა გინდაო?

— ჩემი სახლი აქვეა, მიდით ჩვენსა და ჩემს ცოლს უთხარით: შენი ქმარი სკივრში ჩაუსვამთ და ყიდიან, სხვა გზა არ არის, ის სკივრი უნდა იყიდო, თუნდაც მთელ ქონებად დაგიჯდეს-თქო.

ერთი კაცი წავიდა და ქალს ქმრის დანაბარები გადასცა.

— კარგი, წადი და უთხარი, ახლავე მოვა და იყიდის-თქო.

დატრიალდა ქალი, აიღო, რაც ფული ჰქონდათ, ზოგიც ისესხა და ბაზარში მივიდა. თან ერთი ჩანთა ფულიც მიიტანა.

სკივრის პატრონი შორიახლო დგას, თვალს ადევნებს. სკივრის საყ-

იდლად მოსული ქალი რომ დაინახა, მივიდა და ვიღაც კაციც მიიყვანა, ვითომ მყიდველი.

— აი, ნახე ჩემი სკივრი, თუ მოგეწონებაო, — უთხრა იმ კაცს და სკივრი აჩვენა.

ამ დროს სკივრში გამომწყვდეული კაცის ცოლი კი გულის კანკალით უვლიდა გარს სკივრს.

— რას აფასებ მაგ სკივრსო?

— ღმერთმანი, იაფად ვერ მოგყიდი. ნახე, რა ფასი ადევს სკივრებსო, — უთხრა სკივრის პატრონმა და ისევ თავის მოყვანილ კაცს მიუბრუნდა, აქაო და, არ მაინტერესებს, ეს ქალი რას იტყვისო. მოყვანილი კაცი კი ამბობს:

— ვხედავ, შენი სკივრი მართლაც კარგია. ასეთი ნახელავი ამ ბაზარში სხვა არ არის. მოდი, ფასზე მოვრიგდეთო.

თან დიდი ფასი შეაძლია.

იმ კაცის ცოლი წუხს. ამან ფასს აუწია, იმ, ვითომ მყიდველზე მეტი შეაძლია.

იმ კაცმაც აუწია ფასს. რა ენაღვლება? მართლა ხომ არა ყიდულობს?

ქალმა და კაცმა ერთმანეთის ჯიბრზე სკივრს არნახული ფასი დაადეს.

ქალს სხვა რა გზა ჰქონდა? რაც უნდა ღირებულიყო სკივრი, უნდა ეყიდა.

მართლაც, გადაიხადა შინიდან მოტანილი ერთი ჩანთა ფული, ცოტა იქაც ისესხა და დაამატა.

იყიდა სკივრი. პატრონს არ სთხოვა ურემი. სხვა ურემი დაიქირავა და წაიღო.

სკივრის გამყიდველმა აიღო ერთი ჩანთა ფული და გახარებულმა თქვა:

— ეგ უბრალო სკივრი არ გეგონოთ. როცა ქალი შინ მიიტანს და გახსნის, იქიდან თვალ-მარგალიტს ამოიღებსო.

ქალმა სკივრი შინ მიიტანა, გახსნა და ხედავს, ზის შიგ გაცეცხლებული მისი ქმარი. საცვალიც კი არ აცვია.

— შე ოჯახდასაქცევო, ამ სკივრში როგორ ჩავარდი? აღსასრულის დღე დაგიდგა? რა დაგმართნიაო?

— აღსასრულის დღე რომ არ დამდგომოდა, ეს ხომ არ დამემართებოდა? ნურაფერს მკითხავ. რისი ღირსიც ვიყავი, მივიღე. შენს მტერს, რაც გადამხდა! საკუთარი ხელით გამოვიჭერი ყელი. კიდევ კარგი, პატრონმა ვერ გაიგო, სკივრში რომ ვიყავი, რომ გაეგო, სასწაულს მერე ნახავდი. შენ გენაცვალე, თავი რომ არ მომჭერი და მიყიდეო.

რამდენიმე დღის შემდეგ სკივრის პატრონი იმ კაცს ესტუმრა. ისე ეჭირა თავი, თითქოს მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა. მოიკითხეს ერთმანეთი. დათქვეს, როდის წავიდოდნენ საქურდლად.

საქურდლად მიმავალები გზას რომ დაადგნენ, ორივემ შესთხოვა ალაჰს: „ალაჰ! ღვთის მადლი და ქალების წყალობა მოგვეციო“.

საიქიოდან მოსული კაცი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა მოხუცი ცოლ-ქმარი. მოხუცები უშვილ-ძირონი იყვნენ.

ერთ საღამოს ბერიკაცმა ნამაზი* რომ შეასრულა, შინიდან გავიდა. ცოტას გავივლი, მეზობელს დაველაპარაკები, გულს გადავაყოლებო. ცოლი შინ მარტო დარჩა.

ბერიკაცი მეზობელთან მუსაიფს შეჰყვა და კარგად შეაგვიანდა. როცა დაბრუნდა, ხედავს, მისი ცოლი ზღურბლზე დამჯდარა და გულამოსკვნით ტირის.

— რა მოხდა, რა გატირებსო? — შეუყვირა ქმარმა, მაგრამ ქალმა არაფერი უპასუხა — უფრო ამოუჯდა გული.

ბერიკაცმა მთელი ღამე თეთრად გაათენა. წუხდა, უნდოდა, გაეგო, რა ატირებდა მის ცოლს.

რომ გათენდა, ისევ ჩააცივდა:

— თუ არ მეტყვი წუხელ რა შეგემთხვა, თავს არ ვიცოცხლებო.

მიხვდა დედაბერი, რომ ქმარი ადვილად არ დაეხსნებოდა და უთხრა:

— ოჰ, შე უღმერთო შენა! სანამ არ მათქმევინებ, არ დამეხსნები? მეზობლებთან რომ გადახვედი და მარტო დამტოვე, ჭასთან მივედი, შიგ ჩავიხედე. მერე იქვე რომ მაღალი ხე გვიდგას, იმას ავხედე და გული მეტკინა, ტირილი მომინდა. მე და შენაც იმ ჭისა და ხის მსგავსად მარტონი ვართ ამ ქვეყანაზეო.

ბერიკაცს ცოლის ნათქვამი არ მოეწონა.

— რაკილა მეტი ჭკუა არა გაქვს, შენთან გამჩერებელი აღარა ვარ. წავალ და მხოლოდ მაშინ დავბრუნდები, როცა შენზე ბრიყვს ვიპოვი ვისმეო, — თქვა. აბგაში საგზალი ჩაიდო და იქით წავიდა, საითაც თავისმა ფიქრმა და გონებამ წაიყვანა.

იარა, იარა და ერთ სოფელში მივიდა. მთელი სოფელი ბატონის ვაჟის სიკვდილზე ლაპარაკობდა. ერთნი ამბობდნენ: ალაჰი ავ კაცს კარგ გზაზე არ გაატარებსო. დაილოცოს ის ცხენი, რომელმაც ბატონს შვილი მოუკლა. რამდენი უბედურება მოგვიტანაო! მეორენი — „ღმერთმა დასწყევლოს! რომ არ

მომკვდარიყო, მის ქორწილში ერთხელ მაინც გამოვძღებოდითო“. მესამენი — „როგორც მისი ქელეხი არ გვარგუნეს, ისე არც ქორწილს გვარგუნებდნენ, ალბათ, ალაჰმა ჯოჯოხეთის ყველაზე ცხელ ქვაბში ჩაუძახაო“.

ბერიკაცმა გამოიკითხა და გაიგო, სად ცხოვრობდა ბატონი, სად დადიოდა, რა ნივთები დარჩა მიცვალებულს.

ერთ დღესაც დაინახა, რომ ბატონი ცხენზე შეჯდა და სოფლიდან გავიდა.

ბერიკაცმა მაშინვე თავისი ქურქი უკულმა პირზე ჩაიცვა და ბატონის ეზოს მიადგა. მსახური ეზოს გვიდა.

— ქალბატონს დამიძახეო, — უთხრა ბერიკაცმა.

ამ დროს ქალბატონმა ფანჯრიდან გამოიხედა.

— ვინ არის ეს მათხოვარი, ამ პაპანაქებაში ქურქით რომ დაბრძანდება?! ჩვენს ეზოში რა უნდაო? — იფიქრა და მსახურებს უბრძანა:

— ახლავე დაიჭირეთ, გაკოჭეთ და ფარეხში შეაგდეთ. დაბრუნდება ბატონი და ის გაუჩენს სამართალსო!

— ღვთისნიერო ქალბატონო, ალაჰის წყალობა ნუ მოგეშალოს. მე ალაჰის მოციქული ვარ. ახლავე უკან წაიღე შენი სიტყვები, მოინანიე, თორემ ალაჰს გრძელი ქამანდი აქვს. დღეს თუ არა, ხვალ მოგაწვდენს და ვაი, შენი ბრალი! ალაჰმა გამომგზავნა. შენი გარდაცვლილი შვილის ამბავი მოგიტანე. შენი შვილი მე მაბარია. ძალიან კარგად არის და გითვლის: ჩემი ცხენი და ოქროს ნივთები გამომიგზავნეო.

ქალბატონი მაშინვე ბოდიშებად დაიღვარა, ალაჰს შეევედრა, ჩემს ცოდვებს ჩემს ჯამირბაქს ნუ აზღვევინებო. „საიქიოდან მოსულ კაცს“ ასვა, აჭამა, გამოუყვანა თავისი შვილის ცხენი, ოქროს უნაგირიც მისცა და ორი აბგა ოქროც. გზა დაულოცა და გაისტუმრა.

ბერიკაცმა გულში თქვა:

— ღმერთმანი, ეს ქალბატონი ჩემს დედაბერზე ბრიყვიაო, — ჰკრა ცხენს ქუსლი და შინისაკენ გააჭენა.

საღამოს ბატონი დაბრუნდა. ცოლი გახარებული შეეგება.

— რა ნახე? რა გიხარიაო? — გაუკვირდა ბატონს.

ქალმა დაწვრილებით უამბო, რაც მოხდა.

— დაგექცეს ოჯახი! სად გაგონილა საიქიოდან კაცის მოსვლაო?! — უყვირა ბატონმა ცოლს.

ბატონმა ის ღამე თეთრად გაათენა. როგორც კი ირიჟრაჟა, ცხენი შეკაზმა, დაიბარა, „საიქიოს კაცის“ მოსაძებნად მივდივარო და გზას დაადგა.

კითხვა-კითხვით მივიდა ბერიკაცის სოფელში.

ამასობაში ბერიკაცმა იფიქრა, ბატონი ამას არ შემარჩენს, უეჭველად დამედევნებაო. ეს ორი აბგა ოქრო საჩქაროდ უნდა მოვაფარო

თვალიდანო.

სოფლიდან გავიდა და მდინარისკენ წავიდა. უნდოდა იქ, სადმე ჩაეფლა ის ოქროები.

მდინარეს რომ მიუახლოვდა, დაინახა, დიდი ხის ძირას ურემი იდგა. იქვე ორი მხვნელი იჯდა. ბერიკაცი მიუახლოვდა და მიესალმა. მათაც სალმით უპასუხეს, ცხენიდან ჩამოსვლაში მიეხმარნენ, მიიპატიჟეს — „მობრძანდი, ალაჰის სტუმარი ხარო“, — უთხრეს, თან ჰკითხეს: — ახალი ამბავი რა იციო?

ბერიკაცმა დაინახა, რომ ორივე მხვნელი ქაჩალი იყო და უთხრა:

— ღმერთმანი, კარგი ამბავი არ მომიტანია. ამა და ამ სოფელში ბატონის ვაჟი მოუკლავთ. მკვლელები ქაჩლები ყოფილან. ამიტომ ბატონი დაქრის სოფელ-სოფელ და საცა ქაჩალსა ნახავს, კლავსო.

ამის თქმა იყო და, დაინახეს მათკენ მომავალი ბატონი, გაცეცხლებული მოაქროლებდა ცხენს.

— ვაი, თქვე საცოდავებო, თქვენი აღსასრულის დღე დადგა, მოდის ის სამგზის წყეული ბატონიო, — უთხრა ბერიკაცმა.

ვიდრე ბატონი მოუახლოვდებოდა, ქაჩლები იმ მაღალ ხეზე აცვივდნენ, რომლის ქვეშაც ურემი იდგა. ამასობაში ბერიკაცმა მოასწრო და ოქროთი სავსე აბგები ურემზე დაყრილი თივის ქვეშ ამოდო.

ბატონი ურემთან მიიჭრა, ცხენი ჭალზე გამოაბა, ხანჯალი იძრო და ხეზე ასვლა დაიწყო.

— მოვიდა თქვენი აღსასრული! ყმების მასხარად ასაგდები კაცი ვარო?! — ღრიალებდა.

საბრალო ქაჩლები შეშინებულები დგანან ხის კენწეროზე და აქეთ-იქით ირხევიან.

ბერიკაცმა თივაში დამალული აბგები ამოიღო, აჰკიდა ბატონის ცხენს, თავადაც ზედ შეჯდა, თავისი ცხენიც თან გაიყოლა და ჭენებით გაეცალა იქაურობას.

მიხვდა ბატონი, რომ მოტყუვდა და ქაჩლები უბრალონი იყვნენ. ჰკითხა:

— ხეზე რად ახვედითო?

— იმ ბერიკაცმა გვითხრა, სადაც ქაჩალსა ნახავ, თურმე თავსა სჭრი. არ ვიცოდით, სად წავსულიყავით და აქ ამოვედითო.

რაღას იზამდა ბატონი? ცხენით მოსული შინ ქვეითად დაბრუნდა: ერთი კვირა იარა თავის სოფლამდე. შინ დაბრუნებული ქმარი რომ დაინახა, ქალბატონმა ჰკითხა:

— აქამდე სად იყავი? ასე სად ამოიგანგლე მტვერში, ან ქვეითად რატომ მოხვედი, ცხენი რა უყავიო?!

— დაიქცეს შენი ოჯახი! საიქიოს კაცს წამოვეწიე, ვთხოვე და თან წამიყვანა. მთელი ეს ხანი ჩვენს ბიჭთან ვიყავი. ცხენიც იმას დავუტოვე. ვთქვი, ლხინში სასიარულოდ დასჭირდება-მეთქი, — უპასუხა ბატონმა.

დარჩნენ მოტყუებულები ბატონი და ქალბატონი, ბერიკაცი კი თავის დედაბერს დაუბრუნდა და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

სამი ძმის სამი სახედარი

იყო სამი ძმა. ძმები ძალიან ღარიბები იყვნენ. სამი სახედრის გარდა არაფერი ებადათ. ერთ დღესაც აიშალნენ, ერთად ცხოვრება აღარ ინდომეს და გაიყარნენ. გაიყვეს სახედრები და დაიწყეს ცალ-ცალკე ცხოვრება.

გავიდა ხანი. ერთ დღეს უფროსი ძმის ცოლმა ქმარს უთხრა:

— სახედარი გავყიდოთო.

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი?! მთელი ჩვენი ქონება ეს ერთი სახედარია. ესეც რომ გავყიდოთ, ხომ ამოვწყდით?! შეშა რითღა მოვიტანოთო? — უთხრა ქმარმა.

ქალმა არა და არ დაიშალა: გინდა თუ არა, უნდა გავყიდოთო.

ქმარმა ველარაფერი გააწყო და წაიყვანა სახედარი გასაყიდად. მიჰყავს. შემოხვდა ერთი მდიდარი კაცი — ძალიან ეშმაკი და გაიძვერა.

— საით გაგიწევია, ყმაწვილო, რა საქმე გაქვსო? — ჰკითხა.

— სახედრის გაყიდვა მინდა და მუშტარს ვეძებო.

— შენს სახედარს მე ვიყიდი, ოღონდ, რასაც გეტყვი, გააკეთეო.

— მითხარიო.

— თუ ქუდს ზღაპრებით ამივსებ, ერთ ქუდ ოქროს მოგცემ და შენს სახედარს ვიყიდი. თუ ვერ ამივსებ, ეგ სახედარი მუქთად დამრჩებაო.

— მეტს თუ არაფერს მთხოვ, ერთს კი არა, შვიდ ქუდს აგივსებო, — იფიქრა სახედრის პატრონმა და დაიწყო ზღაპრების მოყოლა. მოჰყვა ერთი, მეორე, მესამე...

თან ეკითხება მდიდარს:

— არ აივსო შენი ქუდიო?

— ჯერ არა. კიდევ თქვი, რაც იციო.

საწყალმა უფროსმა ძმამ მეტი აღარაფერი იცოდა და რაღა ეთქვა?

— თუ მეტი აღარ იცი, შენი სახედარი მე დამრჩებაო, — უთხრა მდიდარმა, გამოართვა სახედარი და გაუშვა შინ ხელცარიელი.

მიდის უფროსი ძმა. თან ცოლისა ეშინია. — რა ვუთხრა, რით ვიმართლო თავიო, — ფიქრობს.

ბევრი იფიქრა და მოიფიქრა: მოაგროვა კენჭები, აბგაში ჩაყარა და ცოლს მიუტანა.

— ნახე, რამდენი ოქრო მოგვცეს ჩვენს სახედარში! კარგად შეინახე, არავისთან წამოგცდეს, ამდენი ოქროს პატრონები რომ ვართ, თორემ თავს წაგაცლიო, — უთხრა.

გახარებულმა ქალმა „ოქრო“ სკივრში შეინახა, მაგრამ ენას კბილი ვერ დააჭირა, შუათანა მაზლისცოლთან დაიტრაბახა:

— ჩვენი სახედარი ერთ აბგა ოქროდ გავყიდეთო. მაზლისცოლი თავის ქმარს ჩააცივდა:

— ჩვენც გავყიდოთ ეს სახედარი. ხომ ხედავ, როგორი დაქცეულები ვართ. შენმა ძმამ კი ერთი აბგა ოქრო იშოვაო.

როგორც იქნა, გააგდო ქმარი სახედრის გასაყიდად, მაგრამ იმასაც იგივე დღე დაადგა.

ახლა უმცროსი ძმის ცოლმა აიჩემა: ჩვენც გავყიდოთ სახედარი. ხომ ხედავ, შენი ძმები როგორ დამდიდრდნენ, ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთო.

უმცროსმა ძმამაც წაიყვანა სახედარი. ისიც გადაეყარა იმ მატყუარა მდიდარს. მდიდარი უმცროს ძმასაც ისე მოურიგდა, როგორც უფროსებს.

უმცროსი ძმა დათანხმდა, ოღონდ ერთი პირობით — თუ ჩემი ზღაპრები შენს ქუდში ვერ ჩაეტევა, ჩემს სახედარს კი არა, საკუთარ ქონებასაც გამოეთხოვებიო.

— ჯერ ისეთი კაცი არ დაბადებულა, ქუდს ზღაპრებით რომ გამივსებსო.

— მაშ, მომისმინე. აი, ჩემი ზღაპარიო, — და დაიწყო უმცროსმა ძმამ:

ერთი ძროხა იყო. მთაში ძოვდა. იმ ძროხას არავინ წველიდა. რომ მოშუადღევდებოდა, ძროხა ხევის სათავეში მიდიოდა და იქ თავისით იწველებოდა. მისი რძე ხევში მდინარედ მოედინებოდა. ჩვენი სახლი ხევის ბოლოს იდგა. ვიდრე რძე ჩვენამდე მოაღწევდა, ნახევარი კარაქად იქცეოდა. ორი ქვაბი გვქონდა შედგმული. ერთში კარაქი ჩაედინებოდა, მეორეში — დანარჩენი რძე. რძიდან ყველი ამოგვყავდა.

ერთხელ სათიბად წავედით. ბევრნი ვიყავით. თან დიდი თავი ყველი წავიღე. შუადღისას, საჭმელად რომ დავსხედით, ნაჯახი ავიღე და ყველის ჭრა დავიწყე. შუამდე რომ ჩავედი, ყველიდან ერთი მგელი გამოვარდა.

— ყველში მგელს რა უნდოდაო? — გაიკვირვა მდიდარმა.

— რძე ხევში რომ მოედინებოდა, მგელი ნაპირს მისდგომია. რძის დალევა მოუნდომებია, მაგრამ ფეხი დასცდენია და შიგ ჩავარდნილა. ჩვენ კი ყველი ისე ამოვიყვანეთ, მგელი არ შეგვიმჩნევიაო.

მგლის დანახვაზე მთიბავები დაფრთხნენ, ველარაფერი გააწყეს და

ცელი ესროლეს. ცელის ტარი მგელს თეძოში ჩაერჭო. გამწარებული მგელი აქეთ-იქით დარბის, თეძოში გარჭობილი ცელით კი ბალახი ითიბება. მგელმა პირით ფიწალი აიტაცა და თივა აზვინა.

— კარგი, ერთი! მორჩი! შენი ზღაპარი ჩემს ქუდში აღარ ეტევაო! — იყვირა მდიდარმა.

უმცროსმა ძმამ ოქროც წაართვა, თავისი ძმების სახედრებიც გამოირეკა და გახარებული შინ დაბრუნდა. მდიდარს კი გული გაუსკდა და მოკვდა.

ქონება და ჭკუა

იყო ერთი ბერიკაცი, ჰყავდა ოთხი ვაჟი. ერთ დღეს ბერიკაცმა შვილებს უთხრა:

— დავბერდი, საცაა მოვკვდები. ოჯახის უფროსად ერთი თქვენგანი უნდა დარჩეს. ოღონდ ის, ვინც ყველაზე ჭკვიანი იქნება. აბა, მითხარით, რით მოიწონებთ თავსო?

უფროსმა ძმამ მამას ხელი გაუშვირა. თითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა.

— აი, ჩემი ქონება. ვისაც ქონება აქვს, იმას ჭკუაც ექნებაო.

მისმა მომდევნო ძმამ ოქროს ტანსაცმელი ჩაიცვა და მამას გამოეჭიმა:

— ვინც ასეთ ტანსაცმელში გამოწყობილს დამინახავს, მიხვდება, რომ ქონებაც მაქვს და ჭკუაცო.

მესამე ძმამ ოქროს სარტყელი შემოირტყა:

— ვინც დაინახავს, რამდენი ოქროა ჩემს ქამარზე, მაშინვე მიხვდება, რომ არც ქონება მაკლია, არც ჭკუაო.

ბერიკაცმა სამივე შვილს უსიტყვოდ მოუსმინა. მერე მეოთხეს მიუბრუნდა:

— შვილო, რატომ არაფერს იტყვი, თავს ვერაფრით იქებო?

— მე არც ოქროს ბეჭედი მაქვს, არც ოქროს ტანსაცმელი, არც ოქროს სარტყელი. გამრჯე ხელების, უშიშარი გულისა და გონიერი თავის მეტი არაფერი მაბადიაო.

ბერიკაცს ძალიან მოეწონა მეოთხე შვილის სიტყვები.

— ოჯახის უფროსი ეს იქნება. თქვენ ყველანი ამის მორჩილნი იქნებითო, — ბრძანა.

იყო ერთი ძალიან ღარიბი, წვრილშვილი ქალი. ერთ დღეს საწყალ ქალს ცოტა მატყლი ეშოვა, დამჯდარიყო თავისი ქოხის წინ და ართავდა. ქოხის თავანზე მერცხალს ბუდე ჰქონებიყო. უცებ, ბუდიდან ბარტყი გადმოვარდა, დაეცა და ფეხი მოსტყდა. ქალმა მერცხლის ბარტყი აიყვანა, ფეხი შეუხვია და ისევ ბუდეში ჩასვა.

შემოდგომა დადგა. მერცხლები თბილი ქვეყნებისაკენ გაფრინდნენ. ის ბარტყიც გაჰყვა. გავიდა ზამთარი, გაზაფხული დადგა და მერცხლებიც მოფრინდნენ.

ერთ დღეს ღარიბი ქალი ისევ თავისი ქოხის წინ იჯდა და მატყლს ართავდა. ამ დროს მოფრინდა ერთი მერცხალი, ქალს კალთაში გოგრის თესლი ჩაუგდო და გაფრინდა.

ქალი მიხვდა, რომ ეს ის მერცხალი იყო, რომელსაც ფეხი შეუხვია. ქალმა აიღო თესლი და დათესა. ამოვიდა გოგრა, გაიზარდა, მაგრამ რა გაიზარდა! რომ დამწიფდა და მოწყვეტა მოუნდომეს, ძვრა ვერ უყვეს. ქალმა იფიქრა: ცულით გავჩეხავ და ნაწილ-ნაწილ შევიტან შინო. მოიტანა ცული, დაჰკრა, გოგრა გაიპო და იქიდან უზომო ოქრო გადმოიპნა.

გახარებულმა ქალმა მეზობლის ქალს უთხრა, რა ბედიც ეწია. მეზობლის ქალი ერთი ავგული, შურიანი ვინმე იყო. შეშურდა ღარიბი ქალისა. ღმერთო, არც მე დავრჩები ხელცარიელიო, — თქვა და როცა მერცხლებმა ბარტყები დაჩეკეს, ამოიყვანა ერთი ბარტყი ბუდიდან, მოსტეხა ფეხი, მერე შეუხვია და ისევ ბუდეში ჩასვა. თავისი ჭკუით, ღარიბი ქალის საქციელი გაიმეორა.

მეზობლის ქალი ოქროს ელოდება. დადგა გაზაფხული. მოფრინდნენ მერცხლები. მეზობლის ქალი თავისი სახლის წინ იჯდა. ამ დროს მოფრინდა ერთი მერცხალი, ქალს კალთაში გოგრის თესლი ჩაუგდო და გაფრინდა. ქალმა თესლი დათესა. ამოვიდა გოგრა, უზარმაზარი გახდა. ახლა კი გავმდიდრდებიო, — თქვა ქალმა, დაჰკრა გოგრას ცული. გოგრა გაიპო და იქიდან სამი დიდი გველი ამოსრიალდა. გველები ეცნენ ქალს, დაკბინეს და სული გააფრთხობინეს.

ნათქვამია: სიკეთე სიკეთით მოგეზღვება, სიავე — სიავითო. თუ ფეხმოტეხილ ჩიტს დაინახავ, ფეხი შეუხვიე და ისევ ბუდეში ჩასვი, მაგრამ ჯანსაღ სულიერს ნუ დაიჭერ და ფეხს ნუ მოამტვრევ, თორემ შენც ის დაგემართება, რაც ბოროტ ქალს დაემართა.

ანდაზები

ავი ძაღლი სადგომს ვერ იშოვნისო;
ვინც ვირმა გადმოაგდო, იმას ცხენზე ნუ შესვამო;
ზაფხულში გველის შეშინებულს, ზამთარში ქამანდისა ეშინოდაო;
თუ ჭკუის საკითხავი არავინ გყავს, ქუდი დადე და იმას შეეკითხეო;
კაცს სახელი კი არა, საქმე ამშვენებსო;
როგორც იცეკვებ, ტაშსაც ისე დაგიკრავო;
რკინის ჭიშკრის პატრონს, ლურსმანიც რკინისა უნდა ჰქონდესო;
საბანს დაჰხედე და ფეხი ისე გაჭიმეო;
სადაც ფუტკარი არ არის, იქ არც თაფლიაო;
სიმართლის გზა ფართოაო;
სიტყვას დიდხანს ნუ დაღეჭავ, გამწარდებაო;
ტკბილი სიტყვა ძროხას გამოწველის, როყიო კი — გულს დაკოდავსო;
ცას კიბეს ვერ მიადგამ, ერბოს შამფურზე ვერ ააგებო;
ცხენის სათქმელს უნაგირი ამბობსო;
ძაღლი ყეფს, ცხენი ძოვსო;
ხანჯლით დაჭრილი მორჩება, ავი სიტყვით დაჭრილი — ვერაო.

პოეზია

ძველი ადიღეური სიმღერა
(ადიღეელი მამლუქების სიმღერა)*

კავკასიონის მაღალი მთები
ამ ქვყენის მუზარადებია.
იქ თავჩაჩქნიანი ადიღეელები,
თავჩაჩქნიანი ადიღეელები
კავკასიონზე დაიარებიან,
ჭაბუკ მხედრებს კი ჯიშიანი ცხენები აღვირით მოჰყავთ.

ჭაბუკ მხედრებს
ჯიშიანი ცხენები აღვირით მოჰყავთ.
მას კი, ვინც მეომრებს მიუძღვის,
დიდი, ნათელი ვარსკვლავი უწევს მეგზურობას.

ვინც მეომრებს მიუძღვის,
დიდი, ნათელი ვარსკვლავი უწევს მეგზურობას.
ჩვენს მეგზურ მხედრებს ასაჩუქრებენ.

ჩვენს მეგზურ მხედრებს
ასაჩუქრებენ,
ზღვიდან მოსული უწმინდური თურქები გვებრძვიან.

ზღვიდან მოსული
უწმინდური თურქები გვებრძვიან.
უწმინდური თურქები ჩვენს ქალებს მუცლებს უფატრავენ,

უწმინდური თურქები ჩვენს ქალებს მუცლებს უფატრავენ.
და იქიდან ამოგლეჯილ ბავშვებს
თავიანთ თურქულ ძაღლებს უყრიან.

უძლეველ ნართთა* სიმღერა

ცოფიანი ძაღლის კბილივით, უეი დუნეი,* ბასრი მახვილი მაქვს.
ო-ო.
სისხლი მოწვეთავს, უეი დუნეი, ბასრი მახვილიდან.
ო-რა, ო-რა, ო-რი-რა-რი.
წყალს გავხედავ, უეი დუნეი, აბორგებულს,
დიდი, შავი ხომალდი, უეი დუნეი, გვიახლოვდება,
შავი, მამაცი მეომრები, უეი დუნეი, გადმოყავს,
სამ რაზმად, უეი დუნეი, იყოფიან.
მებრძოლთა ბელადი, უეი დუნეი, თოთარეშ პირქუში,
მოსვენებას, უეი დუნეი, არ გვაძლევს.
ჰიმიშის ვაჟი, უეი დუნეი, ჩვენი ბათარაზი,
იმ მეომრებს, უეი დუნეი, თავზარს სცემს.
შვიდი ძეხვისხელა, უეი დუნეი, ულვაშები აქვს,
სპილოსავით, უეი დუნეი, ზორბა არის,
როცა ჩვილი იყო, უეი დუნეი, დედამიწა,
როცა ჩვილი იყო, უეი დუნეი, მწვანე მიწა,
იმ დროს, უეი დუნეი, აკვანში ვიწექი.
მახეს როცა აგებდნენ, უეი დუნეი, დედამიწაზე,
ცხვრები როცა თელავდნენ, უეი დუნეი, მწვანე მიწას,
იმ დროს, უეი დუნეი, პატარა მეხბორე ვიყავი.
კოლბოხივით როცა იყო, უეი დუნეი, ბეშთაუ-მთა,
სარიც რომ არ იდგა, უეი დუნეი, ბეშთაუს* ტყეში,
იმ დროს, უეი დუნეი, ჭაბუკი ვიყავი.
ერთი გადაბიჯება როცა იყო, უეი დუნეი, დიდი ინდილი,*
იმ დროს, უეი დუნეი, ნახევრად ჭაღარა ვიყავი.
ურვამ, უეი დუნეი, სულ მთლად გამაჭაღარავა.

ყარაყაშყატაუ*

სისხლის მდინარემ იდინოს ყარაყაშყატაუში!
უკან მოხედვაც ვერ მოასწრეს ჩვენმა ნართმა მხედრებმა, რომ
მახვილს დაეყრდნო მამაცი ყადირშუყო, მერე დაეცა.
თვალი უჭირავს მის ჯაჭვის პერანგზე ყირიმელ შამხალს,*
თვალი უჭირავს.
მაცნე იჩქარის ყირიმის ხანისკენ, იჩქარის.
დიდი ჯარი მოდისო, შეშფოთდა ჩვენი ჩელიმათი, შეშფოთდა,
ფიცხია ჩვენი წინამძღოლი, ულჯიროყო, ფიცხია.
მხარბეჭიანმა კატისთვალა მეომრები გაჟლიტა.
ძაღლისმჭამელებს* დაზიროყო გამოუძღვა, გამოუძღვა.
მწყრის კაკანათში შევიყუჟეთ ყარა-ყუდენ მამაცის
ბრძანებით, ბრძანებით.
იდარის ვაჟები თავისი თოფებით, თავისი საჭურველით მოდიან,
მოდიან.
მშვილდ-ისრით ებრძვიან მტერს.
მათი ნასროლი ფრთიანი ისარი
მარჯვენა ფერდში რომ ხვდება (მტერს) მარცხნიდან გამოდის.
ოქროს იარაღი დაყარეს იდარის ვაჟებმა (დაიღუპნენ).
მათი ცხენები ირმებთან ერთად იზრდებოდნენ,
თავად კი მტერს იოლად აყრევინებდნენ თავებს.
თათართა ხოცვით იქცევდა თავს,
მტერს თავზარს სცემდა ჩვენი ბორა, ჩვენი ბორა.
გავასქელ წაბლას დააჭენებდი,
მოკლე ხმალს ათამაშებდი, ათამაშებდი.
მტერს იმედი გადაეწურა.
მობრუნდა და ისარი ისროლა
ბიდაშმა, ბიდამ აშაბუყომ.
მედროშე ჩამოაგდო, ჩამოაგდო.
ღამე ჯანღისფერ ჩოხასავით გაიშალა,
განთიადზე დიდი ჯარი შეყარა.
ყურიძა ძლიერის ვაჟის — ორდაშაოს ისარმა
სამი მამაცი განგმირა, განგმირა.
უროს დარტყმასა ჰგავს
ყურიძა ძლიერის ვაჟის ორდაშაოს ისრის ხმა.
ამ ბრძოლის დღეს დედაბოძივით დგახარ,
შენი ვაჟკაცობით მეომრებს შთააგონებ, შთააგონებ.

კუდმოკლე თეთრონი* ჰყავს (ჰაფაჯას),
მთელი ჰოროლით* ბრუნდება, ბრუნდება,
ქეჩის საისრე აქვს,
მშვილდი არგნადა აქვს, არგნადა აქვს.
საცალფეხო ბილიკით მიდის
ჟურთა ბებერის ვაჟი ჰაფაჯა, ჰაფაჯა.

დამალეი*

„უარა, უარადა, მამაცია დამალეი.
დამალეისთან არიან
ტყაპუჭიანი მეომრები.
ფშიყანია მათი მეთაური.
უარყოებს* ფეხქვეშ ვეგებით,
დაჩაგრულები ვართ...
ცხოვრება ჰქვია ამას?“ —
ბობოქრობს ფშიყანი.
ფშიყან-დამალეი მამაცი
ამ დღეს აშკარად
გამოდის საბრძოლველად,
უშიშარ მხვნელ-მთესველთაგან
დიდ ჯარს აგროვებს.
ერთს შესძახებს და უორყებს თავგზას უბნევს.
თათბირობენ შეშფოთებული თავადები.
დიდი ომი იწყება.
შეშინებული თავადები,
უეი, ძაღლებივით იყეფებიან.
პირი იბრუნეს უორყებმა,
ტყეში გარბიან.
დამალეი მამაცმა ქვეყანა,
უეი, მარჟა,* ხელში ჩაიგდო.
ჩურჩულებენ შეშფოთებული თავადები,
მეორე ბრძოლას აჩაღებენ.
სათათბიროდ იკრიბებიან თავადები, მამაც მეომარს
უეი, უხმობენ.

გოშაღაღი*

კაკლის ფჰავაკებით*
მივდივარ, წინ ვიხედები.
მზერას მოვატარებ
ამ უძველს ქვეყანაზე,
სადაც თვალი მიმიწვდება,
ჭაბუკ ყანშობის ვერ ვხედავ.
სალაშქროდ მიმავალ მხედრებს.
ჩემს სიმღერას, გოშაღაღის სიმღერას
როცა დავიწყებ, ბანი მომეცითო, მარჟა!
კოჭებამდე მცემს
ოქროსფერი ნაწნავები.
როცა ყანშობზე დარდი შემომაწვება
ეს წყეული ციხესიმაგრე მევიწროება.
ჯობს, ამ დაწყევლილ ციხესიმაგრეში
სისხლი იღვრებოდეს.
კაცი აღარ დარჩა, უორ, მტვრით დაიფარა ყველაფერი.
გულში ვიკრავ ჩემს პატარებს,
გული ტირის ყანშობიზე.
ჩემი ოქროს კულულები
ყურებზე გადავიწიე.
დავქვრივდი თუ არა,
ჩემთან სიარულს მოუხშირეს თავადებმა, აზნაურებმა.
თოლიასავით ყელთეთრა ვარ,
თეთრი ქვის სახლში ვიტანჯები.
ვინმე რომ დამიბრუნებდეს ყანშობის,
დედის თეთრი რძით გადავუხდიდი.*
შენი ლაღუნის* ბაჯაღლო კარს
ვაღებ და შიგ ვიხედები.
შენი თეთრი აბრეშუმის გაშლილი ლოგინი
ამაოდ გელის გათენებამდე.
თეთრი ხელები, თეთრი ფეხები
წყაროს ცივ წყალში მეყინება.
მზერა შემეყინა
საცალფეხო ბილიკით მიმავალ ეულ მხედარზე.
წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო ყარაშაშ,
ყანშობი ხომ არ დაბრუნდა, ვნახოთ...

რადგან არ ბრუნდება ყანშობი,
ვიტიროთ, სანამ ეს შავი ქვაც არ დადნება.
შავი ქვა არ დადნა,
დაწითლებული ქუთუთოები კი დაგვისკდა.

სიმღერა ოშნეუს ბრძოლაზე

აი-ეი, ცას ახედავ, — ერთი ობოლი ვარსკვლავია,
აი-ეი, მიწას დახედავ, — საცალფეხო ბილიკია.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია* ჩვენი მფარველი,
რაზმის ბოლოს დგას მამაცი ბორეყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

დაგწვავს და დაგდაგავს მათი მზე,
ძაღლივით იკბინებიან მათი ბუზანკლები.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.
რაზმის ბოლოს დგას მამაცი ბორეყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

ნისლი ღრუბლად ადგას მინდორს,
სისხლი ღვარად დის ოშნეუში.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.
რაზმის ბოლოს დგას მამაცი ბოროყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

ერთადერთი ბილიკი, ოშნეუს ბილიკი
ბებერი ხეებით ჩახერგა შვიდი გვარის ხალხმა.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.
რაზმის ბოლოს დგას მამაცი ბოროყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

ოქროს ძენკვები შვენით მათ ქალიშვილებს,
მათი ჭაბუკები თავს არ იზოგავენ.

ოი-ოი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
თავდები აუშეჯის მოწაღეა.
ზურგის რაზმშია მამაცი ბოროყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

მაღლა, ხევის პირას, თეთრონი ტრიალებს,
ღოუ მახვილით ჩეხავს ხეებს.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.
რაზმის ბოლოში დგას მამაცი ბორეყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

მეგობრებს ამხნევებს დაჭრილი ბორეყო,
ხეებს ძირკვავს მამაცი შიგოთიჟი.

აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.
რაზმის ბოლოში დგას მამაცი ბორეყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

მზეზე ელვარებს მათი იარაღი,
ძვალს გაკვეთს მათი მახვილი.
აი-ეი, რაც უნდა მოხდეს, არ გვეშინია!
აუშეჯია ჩვენი მფარველი.

რაზმის ბოლოში დგას მამაცი ბორეყო,
მოვა და გვიხსნის გულადი შიგოთიჟი, —
ტყვიით დაგცხრილავთ.

შიბლეს* ცეკვა

ელე,* ელე, ჩვენს აულს ნუ ერჩი,
ელე, ელე, დაიფარე ჩვენი სიცოცხლე.
ელე, ელე, თჰაშაგ-ტყეს ცეცხლს ნუ წაუკიდებ.
ელე, ელე, მსხლის წვენი დავლიოთ.
ელე, ელე, თაფლუჭი დალიე.
ელე, ელე, კალოზე ექვსი ქვა დაგვიტოვე.
ელე, ელე, ვცეკვავთ, ვცეკვავთ.
ელე, ელე, თჰაშაგ-ხეს გარს ვუვლით.
ელე, ელე, იცეკვე, შიბლე.
ელე, ელე, ვინც ჩვენთან არ იცეკვებს, შიბლემ წიაყვანოს,
ელე, ელე, თჰაშაგ-წყალმა წაიღოს.
ელე, ელე, ისიც წყალმა წაიღოს, ვინც მისი გადარჩენა მოინდომოს.

ფშიმაზითხა*

ვისაც ფშიმაზითხად უხმობენ, მას ცეცხლისფერი ულვაშები აქვს,
შუშხუნა სასმელს ინახავენ მისთვის,
მსხვილრქიან, თეთრ თხას სწირავენ ფშიმაზითხას,
წუხს პატარძალი, ორედა, შფოთავს,
მას, ვინც შენთვისაა განკუთვნილი, თეთრი მკლავები აქვს.
უძლეველია ფშამაზითხა, წინ ვერვინ აღუდგება,
ირმის რქებით ირთობს თავს ფშიმაზითხა.
მისი ხურჯინი ირმის ტყავისაა.
სპილოსოდენა ტანი აქვს ფშიმაზითხას,
ყალყზე უდგას ოქროს ქოჩორი,
ირმის ტყავისაა დიდებული ფშიმაზითხას ლოგინი.

სიმღერა აიდამირყანზე

ვისი მარჯვენა იმორჩილებს მამაც მეომრებს,
თავზე ლაფს ასხამს,
ვისაც სატევარი თვით დიადმა თლეფშმა* გაუჭედა,
ვისაც მშვილდი და ისრები ყოვლისშემძლე აუშჯერლემ* დაულოცა,
ვინც ასპარეზობისას პირველი მოიჭრება,
ვინც შავ ღრუბლად მოიჭრება,
ბუღს აადენს და შუაგულ წრეში სარივით ჩაერჭობა,
როცა მახვილს იშიშვლებს, მისი მახვილი მტრის გულისკენ
მიიკვლევს გზას,
როცა ველად გადის, დამშეული ეძებს საკბილოს,
ვისაც თვალს დაადგამს, ჯემანშერიყს* ვერსად გაასწრებს,
მტერს რომ დასჭყივლებს, მაშინვე სულს გააფრთხობინებს.
თავისი მწარე ენით ამაყობს აიდემირყანი.

იკრიბებიან დიდ ფშისთან* დიდებულები,
მთიელებს მიჰყავთ ფურირმები მისთვის,
მარცხენა მხარეს ლაშქრის უფროსს უთმობენ ადგილს,
მახვილს იშიშვლებს აიდემირყან, დასცინის ფშიებს.
თლეფშმა რომ გამოუჭედა ფოლადის მახვილი,
იმ მახვილს უღუნავენ, ბოჭავენ აიდემირყანს.

ჩორთით მიდის ყაბარდოს ლაშქარი ასტრახანს,
შენ ყველაზე უკეთესი აბჯარ-უნაგირი გაქვს, აიდემირყან,
ჰათუყვაელთა დიდ ფშის გაეჯიბრე, უკან მოიტოვე,
მეწინავე რაზმს გაუსწარი, მდინარეები გადალახე,
ლაშქარს თავში ჩაუდექი და ლაშქრის უფროსი შურით აღავსე.
შენი სათნო სატრფო — ფში ალბეჩის ასული დაგტირის.
მამაცია და ახოვანი აიდამირყან,
ლეგენდად იქცა მისი სახელი.
ძველი ნართივით ანაწილებს ნადავლ-ქონებას,
ბრძოლაში ერთი ასზე მიდის,
შველას თუ სთხოვენ, ერთს ძალუძს ასის გადარჩენა.

„ყამბოლეთი, ჰეგაჭის ფში, ჩემი მეგობარია,
ყამბოლეთმა მეგობრობის ფიცი გატეხა,

შიშველ ტრამალზე გამიყვანა,
ხევში შემიტყუა.
წინ გავიხედე, ჩემი მოსისხლე შევნიშნე — მამა მოვუკალი.
უკან გავბრუნდე, სამუდამო შერცხვენა არ ამცდება.
მარცხნიდან ჭენებით მიახლოვდებიან მკვლელები,
რუსული ჭაკით მათ ვერ გავექცევი.
ჩორთით წავიდე, ჩემი ჯემანშერიყი* შორსაა,
შევებრძოლო, თან არ მაქვს ჩემი ფოლადის მახვილი.
რომ ვერ გავქცეოდი, თხრილი გათხარეს,
მე მაინც ზედ გადავევლე.
ფში ყოლოთუყო გამოეყო მხედრებს,
მახვილის ტრიალით მიახლოვდება,
ბითიუმ ცხენი მოაჭენა, ბასრ მახვილს ფერდში მიმიზნებს".
მიუბრუნდა აიდამირყანი ბითიუს, წვერი შეაკვეცა,
შენც ვითომ რაინდი ხარო, უთხრა და
წარბსზევით ნაჭდევი დაადო,
უკან გააქცია, თხრილებზე ბორძიკ-ბორძიკით ახტუნავა,
მტერს მეხად დაატყდა აიდამირყანი.
ტყვიებს უშენენ, ასე ჰგონია — ოქროს ფულებს აყრიან ტანზე,
ყველას გასაოცრად, ნეშუ ხანი დაჭრა და ცხენიდან ჩამოაგდო.
ტყვიებს უშენენ — ჯაჭვის პერანგის სახელოთი იფარავს სხეულს,
ბოლოს კი თავში დაუშინეს ურიცხვი ტყვია.
„სანამ ვიყავი, ვჭაბუკობდი ჩემი მახვილით,
უღვთოდ გამწირეს.
ვინც მეგობრობის ფიცი გატეხა, მას ღმერთი დასჯის!"

ღირსეული დედის ორი ვაჟიშვილი

ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო.
ჯაჭვის პერანგს რომ სისხლი სდის,
იცოდეთ, ომია გაჩაღებული.
ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო.
თუ ხმლის პირზე სისხლი არ ჩერდება,
იცოდეთ, კარგად არის ნაწრთობი.

ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო.
მტრის ტყვია ვისაც ზურგში მოხვდება,
იცოდეთ, ჭაფშეს* არ ვაღირსებ.
ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო.
მტრის ტყვია ვისაც მკერდში მოხვდება,
მე მას მოვუწყობ არნახულ ჭაფშეს.
ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო.
თუ დაიჭრებით და დაიკვნესებთ,
იცოდეთ, შინ არ დაგხვდებიან თქვენი ცოლები.
ღირსეული დედის ვაჟკაცებო,
არავის ათქმევინოთ, მხდალები ხართო,

ლაბისპირელთა ტირილი

ღმერთმა დაგწყევლოს, ბებერო ლაბავ!*
ლაბას ხეობიდან ქაფიანი სისხლი მოჩქეფს.
ო-რა, ო-რი-რა-რი,
ჩვენს მოთქმას ვინც გაიგონებს,
აუყა, რაუაიეი,* სირმაჰო, ველარ დაგვივიწყებს
ყარამურზას შვილის ჩადენილ ცოდვას,
აუყა, რაუაიეი, ჩვენი შთამომავლები ნუ დაივიწყებენ.
ლაბას სათავეს გავხედავ, —
აუყა, რაუაიეი, ქაფიანი სისხლი მოჩქეფს.
ქვემო ლაბასკენ ვიბრუნებ პირს,
აუყა, რაუაიეი, ყრმათა გვამებმა დააგუბა მდინარე.
საწოლში დატოვებული ბავშვები,
აუყა, რაუაიეი, დენთის კვამლმა გამურა.
ცრემლად იღვრება ელმისხანი,
აუყა, რაუაიეი, საროსტანიანი ხანიც ქვითინებს.
ლაბის მხრიდან მოსულ მხედარს
აუყა, რაუაიეი, შემზარავი ამბები მოაქვს.
დღეს გავიხდი
აუყა, რაუაიეი, ჩემს კაკლის ხისგან ნაკეთებ ფჰავაკებს.*

მოსირმულ ქუდებს,
აუყა, რაუაიეი, კონდახით გვაძრობენ (თავიდან).
ქვედა საცვლებს,
აუყა, რაუაიეი, ჩექმის ჭვინტით გვიხევენ,
ანადოლას კოსტიუმებს,
აუყა, რაუაიეი, ხიშტებით გვიგლეჯენ.
ნამუსს, უორყის ვაჟებისათვის რომ ვინახავდით,
საღამომდე გვართმევენ.
ბრჭყვიალა სამკერდულებს,
აუყა, რაუაიეი, თეთრი აბრეშუმით ვქარგავდით.
პირველი თოვლივით (მოულოდნელი) ტყვიები,
აუყა, რაუაიეი, გვცხრილავს.
მოვის ლოგინში ვანცობდით,
აუყა, რაუაიეი, ოქროსულვაშიანებთან.
ახლა კი უფროსი, ნებაზე რომ მიუშვა ჯარისკაცები,
ჩვენს სახლში ჩვენითვე ერთობა.
როცა დიდ ლაბასთან ვცხოვრობდით,
აუყა, რაუაიეი, ჭაბუკი უროყები თავს დაგვტრიალებდნენ,
ვინც აღარაა ამქვეყნად,
აუყა, რაუაიეი, ღმერთო დიდებულო, ჩვენც იმათ მიგვაწიე.
გენერლის დიდ სახლში,
აუყა, რაუაიეი, ქალბატონს მეძახდნენ.
მძევალი გავხდი და
აუყა, რაუაიეი, შერცხვენა არ ამცდა.
სარკმლიდან გავიხედავთ,
აუყა, რაუაიეი, ჭაბუკი ფში მელანდება.
გაშლილ საწოლში,
აუყა, რაუაიეი, ბანჯგვლიანი დათვი მელოდება.
მამაშენს, შუმაჰო შოჯენ,
აუყა, რაუაიეი, ცხოვრებაში ცხენი უკან არ მიუბრუნებია.
მიბრუნდა და თავიც დაიღუპა,
აუყა, რაუაიეი, შოჯენის ასულმა გოშაჰარიამ.

ჰათხის შვილის, მჰამეთ ღუაზას დატირება ცოლის მიერ

როცა სალაშქროდ მიდის, ყოველთვის იმარჯვებს,
როცა ბრუნდება, სიხარულით ვტირით, —
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
იყავი ჩვენი ბედნიერი მეთაური!
ახლა რომ შეგხვდე, დაგაძინებდი
ჩემს თეთრ ძუძუ-მკერდზე, ჩემს რბილ ძუძუ-მკერდზე,
როგორც თეთრი აბრეშუმის, რბილი აბრეშუმის სარეცელზე.

ვინც ინდილიდან ერეკება ცხენების რემას,
ვის დანახვაზე თვით ლაჩრებიც კაზმავენ ცხენებს, —
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
იყავ ჩვენი ბედნიერი მეთაური!
ახლა რომ შეგხვდე,
ამქვეყნად ყველაზე დიდი ვაჟკაცი მეყოლებოდი გვერდით.

ვისაც თოვლივით თეთრთმიანი ბებია ჰყავს,
ვინც მოგრიალებს თოვლის ზვავივით,
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
იყავ ჩვენი ბედნიერი მეთაური!
ახლა რომ შეგხვდე,
ჩემს გულმკერდზე დაგაძინებდი,
წყვილ ძუძუს შორის, წყვილ რქებს რომ ჰგავს.
ვის თეთრონსაც თოვლივით თეთრი ფეხები აქვს,
ვის საცოლესაც თოვლივით თეთრი გულმკერდი აქვს, —
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
იყავ ჩვენი ბედნიერი მეთაური!
ახლა რომ შეგხვდე,
დაგაძინებდი ჩემს თეთრ ძუძუ-მკერდზე,
ჩემს რბილ ძუძუ-მკერდზე,
როგორც თეთრი აბრეშუმის, რბილი აბრეშუმის სარეცელზე.

ომში ერთმანეთს ეჯიბრებიან მამაცი მხედრები,
ნოღაელი ხანის შვილი რომ შებოჭილი მოჰყავს, —
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
იყავ ჩვენი ბედნიერი მეთაური!

ახლა რომ შეგვხდე,
ამქვყენად ყველაზე დიდი ვაჟკაცი მეყოლებოდი გვერდით.

აზვირთებული მოდის ინდილი,
მაინც გადადის ინდილზე და დახსნილი ტყვეები მოჰყავს, —
ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი.
ახლა რომ შეგხვდე,
ჩემს გულმკერდზე დაგაძინებდი,
წყვილ ძუძუს შორის, წყვილ რქებს რომ ჰგვანან.
ვისი მიშიყვა,* ვერცხლით შავად მოჭედილი,
შიშის ზარს სცემდა შავ ხომალდებს, სამტროდ მოსულებს,

ეს მჰამეთ ღუაზაა, ჰათხის შვილი,
იყავ ჩვენი ბედნიერი მეთაური!
ახლა რომ შეგვხდე,
დაგაძინებდი ჩემს თეთრ ძუძუ-მკერდზე,
ჩემს რბილ ძუძუ-მკერდზე,
როგორც თეთრი აბრეშუმის,
რბილი აბრეშუმის სარეცელზე.

სათანაის მოთქმა

ორე — ორედე — ადე,
ორე — ორედე — ადე!..
ფშიზეს* გაღმა
ორედე — ადე,
სანადიროდ გავგზავნე, ის კი იგვიანებს,
ორედე — ადე,
მდინარის პირას ვდგავარ,
ორედე — ადე,
გული მიშფოთავს,
ორედე — ადე,
ამდენი დგომით
ორედე — ადე,
მუხლებამდე ჩავეფალი მიწაში,
ორედე — ადე,

მისი ცხენი კი
ორედე — ადე,
მგლოვიარედ დგას მიწურში,
ორედე — ადე,
მისი ჯაჭვის პერანგი
ორედე — ადე,
ცარიელ სკივრში იჟანგება,
ორედე — ადე,
მის სიკვდილს, ვაი,
ორედე — ადე,
ვინ იტყვის, ვაი,
ორედე — ადე...

ადიიფ

შენი ოთახის წინ კარი ღიაა, ჩემო ადიიფ,
უკანა კართან კი არავინ ჩანს, ჩემო ადიიფ.
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
უკანა კართან კი არავინ ჩანს, ჩემო ადიიფ.
ტყეში ხოხობმა შეიფრთხიალა, ჩემო ადიიფ,
ცხენი განზე გახტა, გადმოგაგდო, ჩემო ადიიფ.
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
ცხენი განზე გახტა, გადმოგაგდო, ჩემო ადიიფ.
ტყეში მიწას მიგაბარებდი, ჩემო ადიიფ,
მაგრამ მხეცები დაგფლეთენ, ჩემო ადიიფ,
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
მხეცები დაგფლეთენ, ჩემო ადიიფ,
ხის ტოტებზე მიგასვენებდი, ჩემო ადიიფ,
მაგრამ ფრინველნი დაგკორტნიან, ჩემო ადიიფ.
უკანა კართან კი არავინ ჩანს, ჩემო ადიიფ.
ფრინველნი დაგკორტნიან, ჩემო ადიიფ.
უბეში დაგმალავდი, ჩემო ადიიფ,
მაგრამ ვიწროა უბე, ჩემო ადიიფ,
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
ვიწროა უბე, ჩემო ადიიფ.
შენი მამის სახლში წაგიღებდი, ჩემო ადიიფ,

მაგრამ რიდი მაქვს შენი ნათესაობისა, ჩემო ადიიფ.
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
რიდი მაქვს შენი ნათესაობისა, ჩემო ადიიფ.
ჩემს სახლში წაგიღებდი, ჩემო ადიიფ,
მეტყვიან, სხვისი მკვდარიაო, ჩემო ადიიფ.
ე-ო-ოი, ე-ო-ოი, ჩემო ადიიფ,
რა ვქნა, რა გიყო, ჩემო ადიიფ?

ადიუჰ

ბავშვობიდან გვიყვარდა ერთმანეთი,
ო, ჩემო ადიუჰ.
ყრმობიდან გეტრფოდი,
ო, ჩემო ადიუჰ.
შენზე ვფიქრობდი,
ო, ჩემო ადიუჰ.
ვიტანჯებოდი,
ო, ჩემო ადიუჰ.
ერთი წლის ვადა დამიდე,
ო, ჩემო ადიუჰ.
მთელი წელი გელოდე,
ო, ჩემო ადიუჰ.
პარასკევ საღამოს
ო, ჩემო ადიუჰ.
შავკაზმე ჩემი შავრა,
ო, ჩემო ადიუჰ.
შენს სარკმელს ვუახლოვდები,
ო, ჩემო ადიუჰ.
სარკმელს ვაღებ,
ო, ჩემო ადიუჰ,
ჩქარობ ჩემს შავრაზე შეჯდომას,
ო, ჩემო ადიუჰ.
მივდივართ,
ო, ჩემო ადიუჰ.
უცხო ბილიკით ვიარეთ,
ო, ჩემო ადიუჰ.

შავი ნაბადი მოგახურე,
ო, ჩემო ადიუჰ.
ხოხობმა შეიფრთხიალა,
ო, ჩემო ადიუჰ.
ცხენი დაფრთხა და ჩამოგაგდო,
ო, ჩემო ადიუჰ.
სისხლი გდის,
ო, ჩემო ადიუჰ.
ჩემს ხელში სული ამოგდის,
ო, ჩემო ადიუჰ.
მიწაზე დაგტოვო, —
ჭიანჭველები დაგესევიან,
ო, ჩემო ადიუჰ.
ხეზე მიგასვენო, —
ყვავები დაგკორტნიან,
ო, ჩემო ადიუჰ.
მიწას მიგაბარო, —
მხეცები დაგჯიჯგნიან,
ო, ჩემო ადიუჰ.
რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე,
ო, ჩემო ადიუჰ.
რა ვქნა, რა ვიღონო,
ო, ჩემო ადიუჰ!

რას იზამ, კარგო?

— თავს ვერ იქებ და,
რაც ხელში არა გაქვს, ვერ დააკავებ.
რას იზამ,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— წამიერი სურვილი არა ხარ, —
ჩემი სინათლე ხარ.
ჩემო თეთრხელებავ, ჩემო თეთრფეხებავ,
რა უნდა მოიფიქრო, რომ ვერ გადავლახო?
— ყელთეთრა მტრედად რომ ვიქცე,
ცაში გავფრინდე,

რას იზამ,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— ძერად რომ ვიქცე,
ზევით გაგაქანო,
ჩემი გაგხადო,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— ირმად რომ ვიქცე,
ულრანში გავიქცე,
რას იზამ,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— ფეხმარდად რომ ვიქცე,
ჩემი გაგხადო,
რას იზამ, კარგო?
— ავად რომ გავხდე,
ლოგინად ჩავვარდე,
რას იზამ,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— ყველა სენთა მცოდნე
მკურნალად რომ ვიქცე,
მოგარჩინო და თან წაგიყვანო,
რას იზამ, კარგო?
— კუბოში რომ ჩავწვე და
საუკუნოდ დავიძინო,
რას იზამ,
რას იზამ, ჩემო კარგო?
— სუდარად რომ ვიქცე, ლამაზო,
რას იზამ,
შემოგეხვიო, სულო ჩემო,
რას იზამ,
ჩემი არ გახდები, კარგო?
კაცში ჭკუას უნდა აფასებდე,
— ჭკვიანს ბედმა უნდა გაუღიმოს.
აი, შენი ბედნიერება, — აიღე,
ის შენს გვერდითაა, — აიღე!

მაყრული

უორედადე,* მოგვყავს ლამაზი ქალი,
უორედადე, უკან ვბრუნდები, ლამაზო ქალო,
უორედადე, ბედნიერია ჩვენი გზა.
უორედადე, ერთად ვიმღეროთ.
უორედადე, ლამაზი ქალი მოგვყავს,
უორედადე, ლამაზ ქალს თეთრი ყელი აქვს.
უორედადე, ლამაზ ქალს თეთრი ფეხები აქვს,
უორედადე, ყირიმულ მტრედს ჰგავს ლამაზი ქალი.
უორედადე, სირმის მკერავია ლამაზი ქალი.
უორედადე, ვაჟკაცი, ვისთვისაც მიგვყავს ლამაზი ქალი,
უორედადე, ოქრომკედითაა მოკაზმული.
უორედადე, მამაცია ლამაზი ქალის საქმრო,
უორედადე, მერცხალს ჰგავს ლამაზი ქალის საქმრო.
უორედადე, მერცხალივით დაქრის ლამაზი ქალის საქმრო,
უორედადე, ვერავინ შეედრება მას.
უორედადე, ლამაზი ქალი, რომელიც ჩვენ მიგვყავს,
უორედადე, ოქროა თვითონ.
უორედადე, ყველაზე ლამაზია ჩვენი პატარძალი.
უორედადე, ყველაზე ლამაზი კაბა აცვია ჩვენს პატარძალს,
უორედადე, ვაჟკაცი, რომელიც მას შეირთავს,
უორედადე, ახალგაზრდა ლომსა ჰგავს.
უორედადე, მხედრების წინამძღოლია იგი.
უორედადე, მოვიყვანეთ ლამაზი პატარძალი.

დედოფლის დალოცვები

ბედნიერი იყოს ის ოჯახი,
საიდანაც გამოვიდა,
ბედნიერი იყოს მისი ფეხი იმ ოჯახში,
სადაც შევიდა,
ბედნიერი რძალი იყოს,
სიხარული დაებედოს,
პატივი დაებედოს,
დაანათესავოს ოჯახები,
ბედნიერ მოყვრებად აქციოს!

რკინასავით ჯანმრთელი ყოფილიყოს,
მტკიცე სული ჰქონოდეს,
დიდხანს იცოცხლოს,
მტრედივით იღუღუნოს,
ბატკანივით უწყინარი და ალერსიანი ყოფილიყოს,
ფრთხილად გვიდეს ცოცხით იატაკს.
ოჯახის ამბები გარეთ არ გაჰქონდეს,
ბევრი ყრმა ჰყოლოდეს,
ბიჭები აჩინოს.
ბარაქიანი ოჯახი ჰქონოდეს,
ნასუქ ხარებს კლავდნენ მის სახლში.
შინიდან გასულს სიმდიდრე შემოჰქონდეს.
ზედიზედ ცხრა ლეღუნე* ედგას,
შუაში თავისი უნეშხუე* ედგას.
ცხრა ლაღუნიდან
ცხრა რძალი გამოდიოდეს,
ზღურბლზე გამოჩნდებოდეს.
გულისწადილი ასრულებოდეს,
ეპოვნოს, რასაც ეძებდეს,
ისე ეცხოვროს, როგორც სურდეს,
თავისუფლად ეცხოვროს ქვეყანაზე.
შეეწიე, ო, ღმერთო დიდებულო!
სულ განიერი კაბა სცმოდეს,
ვაჟები ეჩინოს,
თავისი გაჩენილები
თავადვე დაეზარდოს.
მისი შეკერილი არ დარღვეულიყოს.
ფრთხილად გვიდეს ცოცხით იატაკს,
ოჯახის ამბები გარეთ არ გაჰქონდეს,
ცხვარივით წყნარი ყოფილიყოს,
ძაღლივით ერთგული და კეთილი ყოფილიყოს,
დროულად წვებოდეს,
დროულად დგებოდეს,
დედამთილი ჰყვარებოდეს,
ქმრის სული და გული ყოფილიყოს,
ერთსულ და ერთხორც ყოფილიყვნენ,
ერთმანეთს ჩაჰკვროდნენ,

როგორც ფიჭა და თაფლი.
ასე ეცხოვროთ.
ბედნიერი იყოს ის ოჯახი,
საიდანაც გამოვიდა,
ბედნიერი იყოს მისი ფეხი იმ ოჯახში,
სადაც შევიდა.
ღმერთო დიდებულო,
შეეწიე!

საქორწილო სიმღერა

ოჰ, ორიდადე, რიდადე,*
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა,
ურემი სავსეა მოვით, ოქროთი,
ვერცხლითაა მოჭედილი ურემი, ორიდა.
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.

ატლასის კაბა აცვია,
ვერცხლის ღილებით გაწყობილი,
მისი გზაც მოფენილია ყვითელი ატლასით, ორიდა.
ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მისთვის წიგნია,
ის ფურცლავს იმ წიგნს, ორიდა.

იმან შეგირთო, ვინც შევარდენივით ტრიალებს,
იმას შეაბერდი, ვინც აქ მოგიყვანა, ორიდა,
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.
მოხუც დედამთილებს მოეფერე,
კარგად მოექეცი მულებს, პატარძალო, ორიდა,
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.

ფოლადის ნემსით კერავ,
მტრედივით ზიხარ, ორიდა,
ოჰ, ორიდადე, რიდადე,

ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.
დუბასარული* მოვივით* ირხევა შენი კაბის კალთა,
სტუმარი თუ შემოვა, გაუთხოვარი ეგონები, ორიდა.
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.

თოვლივით თეთრი ფეხები აქვს ჩემს პატარძალს,
ქათქათა მკერდი აქვს ჩემს პატარძალს, ორიდა.
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.
კარგი ოჯახიდან გამოხვედი,
კიდევ უკეთეს ოჯახში შეხვედი, ორიდა.
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.
სახელოვანი გვარის რძალი გახდი, ორიდა,
ყველას საკუთარი სულივით ეყვარები, ორიდა.
ოჰ, ორიდადე, რიდადე,
ორიდადე, ბედნიერია ჩვენი პატარძალი, ორიდა.

ცხენზე ჯდება ჩემი შვილი

უა, გზას გაუდგა
შავრაზე ამხედრებული ჩემი შავგვრემანი ვაჟი.
მაჩანჩალა ნუ იქნები,
აღმა-დაღმა დაქროდნენ შენი მორეკილი შავრა ცხენები.
მდევარმა ახლოს მოსვლა ვერ გაბედოს,
განთქმულმა უორყებმა* მოახლოება ვერ გაბედონ,
არ დაგჩლუნგებოდეს მახვილი,
მაისას* წვერი ჰქონდეს შენს მახვილს!
ჩემო ვაჟო,
ღმერთმა ქნას,
ჩვენს მხარეში ყველას მჯობნი ყოფილიყავ!
ირმის ტყავით გადაგეხუროს ქოხი,
დომბის ტყავით გადაგეხუროს სახლი,
ულვაშები დაგინამოს
მათრობელა თაფლუჭმა,
ფშათა ქალები

გეტრფოდნენ,
წერწეტა ქალების
ნებიერი იყო!
ღმერთსა ვთხოვ,
ჩვენს მხარეში განთქმული აზატი ყოფილიყავ,
აი, რას გისურვებ, ჩემო შვილო!

მონადირის სიმღერა

მონადირე, მონადირე თვალმახვილი,
რასაც შენიშნავს, ხელიდან არ გაუშვებს.
მისი რუხი, გრძელკუდა ძაღლები,
რასაც მოარბენინებენ — შუაზე ვიყოფთ.
რაც სოროშია — შუაზე გავიყოფთ,
რაც ყანაშია — შუაზე გავიყოფთ,
რაც ტყეშია — ვერც კი შეგვეძლოს მისი გაყოფა...
ფარი თეთრფეხა ცხენებზე ვსხედვართ,
ბომბორა ნაგაზები დაგვყვებიან.
დაეწევა ჩემი ფეხმარდი და მელას ყელში ჩააფრინდება.
ვისაც მელის ტყავი სურს, თავის ძაღლს კარგად ჰპატრონობს.
თუ დათვს მოკლავენ, ტყავი — გუაშეს* საჩუქარია,
ირემს მოკლავენ, ხორცი — ფშის საჩუქარია.
უძლეველ დაუშჯერჯის* თანამგზავრია დიდი ნაგაზი,
რბილდრუნჩაც მისი თანამგზავრია, თეთრი ქალი უკან უზის,
მჭლე ცხენით მელაზე ვინადიროთ,
ნაპატივებით — ირემზე.
ჩვენს ამუუყში* წნელსა დრეკენ,
გამოყვანილი ტყავი მთებივით აწყვია ურმებზე.
ჩვენ დიდ არიყში* შავმუხლება
მსუქანი ირმები დაქრიან.
შავ თოფს ვუმიზნებთ,
რასაც თვალს მოვკრავთ, ფშარიჰს* მიუვა!
უო, დიდ უერჯინზე* შავი გველები დასრიალებენ.
ვისია ცისფერთვალება, ოქროთი მორთული?
საკუთარ თავს არ ეკუთვნის,
ხელში აყვანილი გამოჰყავს
გმირ დაუშრეჯის მღვიმიდან.

მგზავრთა დასალოცი

ღმერთმა
მშვიდობით გატაროთ!
გზას დაადგეთ და
ლარივით სწორი იყოს,
წყალს მიადგეთ და ღრმა არ იყოს,
ლურჯი ცა დაგყურებდეთ,
მწვანე მდელოზე გევლოთ,
თეთრფაფრიან ლურჯა რაშებზე მსხდარიყავით,
ხმლით კვეთდეთ ურჩხულებს.
ჩამოქვეითდეთ და ოქროს იხვეჭდეთ,
დაბრუნდეთ და
ბარაქიანი ოჯახი დაგხვდეთ.
სახელოვანი სტუმრები გყოლოდეთ,
შინიდან გასულს სიმდიდრე მოჰქოდნეს,
სტუმრად მოსული სიმდიდრეს ტოვებდეს,
შეგეწიოთ ეს სადღეგრძელო!
რკინის სული გქონოდეთ,
ჯან-ღონე არ მოგაკლდეთ,
იდღეგრძელეთ, ღმერთმა გაცოცხლოთ!
ღმერთმა ქნას —
დანა ვერ მოგეკაროთ და
სენი ვერ მოგერიოთ!

პირველი ხნულის გავლებისას სათქმელი დალოცვა

ო, ჩვენო თხაგალეჟ!*
შენ, ვისი ხელებიც სასწაულს სჩადის,
ბარაქა მიეც ჩვენს დაწყებულ საქმეს!
ზღაპრული მოსავალი აგვაღებინე,
გოდრებს ვერ ვუთავდებოდეთ,
ზედაშეც ბევრი დაგვრჩენოდეს.
მჭედლები არ მომცდარიყვნენ!
ამრავლე ჩვენი ავლა-დიდება!
ო, ჩვენო თხაგალეჟ!

ჩვენს სახნისს ბედნიერება დააბედე,
პირველი ხნული ბედნიერი ყოფილიყოს,
მიწის სითბოთი გამთბარიყოს!..
ბარაქიანი ყოფილიყოს ეს მიწა!
ო, ჩვენო თხაგალეჟ!

კალოური

ო-რე-და, ო-რე-და...
დიდებული ხარ შენ, კალოურო სიმღერავ!
მწყობრი ნაბიჯით გარს უვლიან კალოს ხარები!
ხარის ოთხი ჩლიქი ვერცხლისაა,
ვერცხლისვე რქები ადგას თავზე, —
ყველას რომ სჯობნის, ვინც კალოზეა,
ლომივით რომ ლეწავს.
მძიმედ ტრიალებს კევრი კალოზე,
ფიწალი ძნას ზვინებად აწყობს,
მშვენიერ მდელოზე აძოვებენ ხარს.

გაზაფხულის დღეს ხარი ბღავის,
ყველაზე ქორფა ბალახი სადაც იზრდება, იქ აძოვებენ,
ვისი ჩლიქებიც ბასრი ფოლადივითაა,
ყველას რომ სჯობნის, ვინც კალოზეა!
მძიმედ ტრიალებს კევრი კალოზე,
ფართო ფიწლები გორა-გორად აწყობს თავთავებს.
ასობით მათეს* შეაგროვებდე,
ათასობით კალათაში გადაანაწილებდე,
წუთით არ ცდებოდეს შენი ნიჩაბი!

თელის ჩივილი

თელას მეძახიან,
მთის კორტოხზე ვიზრდები,
ჩემი კენწერო ცას სწვდება,
ნამი მბანს პირს,

მიწას თუ რამ ტკბილი აქვს, მე ვწოვ,
დედა, რომელსაც ვწოვ — შავი მიწაა.
მაგარი ვარ — გლეხკაცის ვაჟივით,
ყველაზე კარგ იფანს მამსგავსებენ,
პატარძალივით მორთული ვარ.
ხალხს უყვარს ჩემს ახლოს გავლა,
დაუნდობელნი ხშირად ცრემლს მადენენ,
მტირალს დედის მკერდს ამაგლეჯენ,
გამომათრევენ უსიერი ტყიდან,
ჩარხზე, სადაც თვლებს აკეთებენ, მამაგრებენ,
ჩემგან ბოძს აკეთებენ,
ჯოხით მზომავენ,
წელში მოხრილ მონასავით მღუნავენ,
იოლად მიმორჩილებენ,
მოხრილს ჩარხში მტოვებენ,
დღის სინათლეს მწყვეტენ,
თვალებიდან სისხლის ცრემლები მცვივა;
ხარობენ ჩემი მტრები,
მე უსიხარულო ტყვე ვარ.
მძიმეა ჩემი ხვედრი,
მე ამ მოხუცს ნიკაპში ამოვარტყამდი,
ერთხელ კიდევ რომ ამომესუნთქა თავისუფლად,
მერე მშვიდად მოვკვდებოდი.

ნანა

ჩემს სიცოცხლეს ვაძინებ,
ჩემს შავთვალას ვაძინებ,
ჩემს ხუჭუჭას ვაძინებ,
ჩემი პატარა შავთვალწარბაა,
ჩემი პატარა ფუნჩულაა,
გაიზრდება, მსხვილ ტყვიას გაისვრის,
ტყვიას გაისვრის — არ ააცდინოს,
ვისაც მოხვდება — ვერ მომჯობინდეს.
მის ცხენს ოქროსი ჰქონდეს სადავე,
ჩამოქვეითდება და ცხენი პატივით ჩამოართვან,

წინ ვერავინ გადაეღობოს.
კოკუშუალზე* იჯდეს,
სადაც კაცები თავს მოიყრიან, პირველი იყოს!
მხედრები გზას გაუდგებიან, ეს წინ უძღოდეს;
როცა ლაშქარი შემობრუნდება,
ეს იყოს ბოლო მხედარი.
ნადავლს როცა გაყოფენ, არ ახირდეს,
ბოროტებას არ შეურიგდეს.
მზე ანათებდეს მისი თვალებიდან,
ტკბილად შეერგოს დედის ძუძუ!
ერჯიბს* რომ გაისვრის ჩემი პატარა
ყველას აჯობოს,
მშვილდ-ისარი ადვილად მოზიდოს,
დაჯაბნოს სამოცი მხედარი,
მამის მსგავსი გაიზარდოს!
ლაუ,* ლაუ, ლაუ,
ჩემს პატარას ვაძინებ.

ავყია ფში*

იყო ერთი ავყია ფში. ერთხელ, სანამ ლაშქრად წავიდოდა, დაიბარა ერთი ფშითლი* და უთხრა:

— ლაშქრად მივდივარ. სანამ დავბრუნდები, ქვას ყელი გამოსჭერით და გაატყავეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალიო!

დაღონდნენ ფშითლები. დიდხანს იდგნენ ყურებჩამოყრილები. ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრეს, სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

დარდიანი დაბრუნდა მოხუცი ფშითლი.

— რამ დაგაღონაო? — ჰკითხა ასულმა.

— რამ დამაღონა და ჩვენი ფში ლაშქრად მიდის. სანამ დავბრუნდები ქვას ყელი გამოსჭერით და გაატყავეთო. სად გაგონილა ქვის დაკვლა? რა ვქნათ? რა წყალში ჩავვარდეთო?

— ამან როგორ დაგაღონა! კაცი გააგზავნეთ ფშისთან და უთხარით, ყელი თვითონ გამოსჭერი და ტყავს მერე ჩვენ გავაძრობთ-თქო. თუ გკითხავს, ვინ გითხრაო, კრინტი არ დაძრა.

წავიდა ბერიკაცი ფშითლებთან და უთხრა:

— ნეტა რა თავს ვიმტვრევთ? ვინმე წავიდეს და უთხრას, რომ ყელი თვითონ გამოსჭრას, ტყავს კი ჩვენ გავაძრობთო.

— რაც მართალია, მართალია! ასეთი წესიაო! — გაუხარდათ ფშითლებს. — წასვლით კი შენ უნდა ნახვიდე, შენ არ მოიფიქრეო?!

სადილობისას დაადგა ბერიკაცი ფშის. მდუმარედ იდგა, სანამ სასმელ-საჭმელს შეექცეოდა თავადი, ბოლოს უთხრა:

— ფშითლებმა გთხოვეს, ქვა დაკალი და ტყავს ჩვენ გავაძრობთო.

განრისხდა ფში, ვინ გითხრაო, ჩააცივდა, მაგრამ მერე გული მოულბა და ბერიკაცს დაჯდომა შესთავაზა.

ფშის ვაჟმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა. ფშის ვაჟი ფშის ასულზე უნდა დავაქორწინოთო, — თქვეს და ასეც მოიქცნენ.

მოხუცმა ფშიმ პატარძლის გამოცდა გადაწყვიტა.

— შვიდი გზის გასაყარზე ვიქნები, ვაჟი გამომიგზავნეო, — უთხრა რძალს.

წავიდა ყმაწვილი, შეხვდა მამას და ერთად გამოსწიეს შინისაკენ.

— გზა შეამოკლეო, — უთხრა მამამ შვილს.

— როგორ შევამოკლო უნიჩბოდ და უძალაყინოდო! — შეიცხადა ვაჟმა.

— ნიჩბით და ძალაყინით ამოკლებენო? — შეუღრინა ფშის და წაარტყა და წაარტყა.

შევიდნენ ეზოში და გამოეგებათ რძალი.

— ვინა გცემაო? — ჰკითხა ქმარს.

— ოჯახი აუშენდეს, ვინც მამაჩემი ფშიდ დასვა! გზა შეამოკლეო, მითხრა. უნიჩბოდ და უძალაყინოდ როგორ შევამოკლო-მეთქი, ვუპასუხე. ადგა და ერთი მაგრად მიმტყეპა.

— ღმერთო დიდებულო, ფში უნდა ერქვას მაგასო! — ჩაილაპარაკა რძალმა.

გაიგონა ფშიმ და გააგდო რძალი.

ადგა ჭაბუკი და სხვა ფშის ასული ითხოვა. რძალი რომ გამოეცადა, შვიდი გზის გასაყარზე წავიდა ფში. მერე ვაჟმა გასწია მამასთან, იქიდან ერთად წამოვიდნენ.

— შვილო, გზა შეამოკლეო, — უთხრა ფშიმ.

— როგორ შევამოკლო უნიჩბოდ და უძალაყინოდო?

— ნიჩბით და ძალაყინით ამოკლებენ, შე ძაღლიშვილო?! — შესძახა ფშიმ და ერთი კარგად მიჟეჟა.

დაბრუნდა სახლში, დაინახა ცოლმა და ჰკითხა:

— ვინა გცემაო?

— როცა ვბრუნდებოდი, გზა შეამოკლეო, მითხრა მამაჩემმა. უნიჩბოდ და უძალაყინოდ როგორ შევამოკლო-მეთქი, ვუპასუხე. ადგა და მცემაო. ეგეც თუ ფშია!

— ღმერთო მაღალო, ფშიდ ვინ დასვა ეგაო! — ჩაილაპარაკა ქალმა.

გაიგონა ფშიმ, ადგა და გააგდო.

— ვინ ვითხოვოო? — საგონებელში ჩაცვივდნენ. ვერავის მოყვანას ვერ ბედავდნენ. ბოლოს მოხუცი ფშითლის ასული გაახსენდათ.

არც ჰკითხა ვაჟს, ისე მოუყვანა ფშიმ ფშითლის ქალი. ადგა მერე და შვიდი გზის გასაყარზე წავიდა. შინ ბრუნდება მამა-შვილი.

— გზა შეამოკლეო, შვილო ჩემო, — ფში ეუბნება.

— უნიჩბოდ და უძალაყინოდ როგორ შევამოკლოო? — მესამედაც იცემა.

მივიდნენ სახლში და ცოლი ეკითხება:

— ვინ მიგჟეჟაო?

— შინ ვბრუნდებოდით. გზა შეამოკლეო, მითხრა მამაჩემმა. უნიჩბოდ და უძალაყინოდ როგორ შევამოკლო-მეთქი. სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, რომ ძვალი და რბილი გამიერთიანაო.

— კარგი უქნიაო! — უთხრა ქალმა. — სად გაგონილა ნიჩბით და ძალაყინით გზის შემოკლებაო.

— აბაო?

— გითხრეს, შეამოკლეო და შენც რამე უნდა მოგეყოლა. მოყვებოდი და გზასაც შეუმჩნევლად გალევდითო.

— აი, ეს მესმისო, — თქვა ფშიმ და პატარძალი სახლში დატოვა.

როგორ წაიყვანეს სალაშქროდ ყმაწვილი ანდემირყანი

თხუთმეტ-თექვსმეტი წლის იყო ანდერმირყანი, როცა სალაშქროდ მიმავალმა მხედრებმა მის გამზრდელ დედას სთხოვეს, თან წავიყვათო. ანდემირს შვილი არ ჰყავდა. ობოლი ანდემირყანი ეპოვა და გაეზარდა.

მშვენიერი ყმაწვილი იყო ობოლი. სწრაფად იზრდებოდა. თავს ევლებოდა მას ანდემირის ცოლი, ცივ ნიავს არ აკარებდა.

ძველად თავზეხელაღებული მხედრები ცხოვრობდნენ, სამეკობრეოდ დადიოდნენ და ძირითადად ნაალაფევით ირჩენდნენ თავს. მეურნეობას ნაკლებად მისდევდნენ. შვილის გატანებაზე მხედრებმა ძლივს დაითანხმეს ანდემირყანის დედა.

ქალმა გამოცდილებით იცოდა, რა უნდა გაეტანებინა ლაშქარში წამსვლელისათვის. საგზალი, ტანისამოსი და ხამლები — ორი წყვილი ხბოს ტყავის გონშირიყი* ჩაუწყო ხურჯინში.

მხედრები ღამღამობით მიდიოდნენ სალაშქროდ. შეუარეს შუაღამისას ანდემირს, მისი აღზრდილი შესვეს ცხენზე და წაიყვანეს. შემოდგომის პირველი თვე იყო. დღე ისვენებდნენ, ღამე კი მიდიოდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, დანიშნულ ადგილას მივიდნენ და ლერწმიანში დაბანაკდნენ. ანდემირყანი ცხენებს დარაჯობდა, წყალი მიჰქონდა, საჭმელს აკეთებდა. უცებ თოვლი მოვიდა და ქარბუქი დატრიალდა. მხედრებმა გზა ვერ გაიგნეს და ორი კვირა შეფერხდნენ. როგორც კი დათბა, საალაფოდ წავიდნენ, ანდემირყანს კი ქოხი ჩააბარეს.

ღამღამობით უკან ბრუნდებოდნენ მხედრები. შეჯდებოდა ანდემირყანი ცხენზე და მოლაშქრეებს ნაალაფარი რემის ლერწმიანის ბილიკზე გაყვანაში ეხმარებოდა. დაბრუნებულებს ყოველთვის ცეცხლსა და ცხელ კერძს ახვედრებდა. სანამ დაღლილი მხედრები ცეცხლზე სამოსს იშრობდნენ და თბებოდნენ, ანდემირყანი ცხენებს აძოვებდა.

ბევრი ალაფი იშოვეს და შინისკენ გამობრუნდნენ. დიდთოვლობა იყო. ციოდა. ანდემირყანი რემას მიერეკებოდა. მიუახლოვდნენ თავის ქვეყანას და შეისვენეს. გზაზე ისე გაიყინენ, რომ კბილს კბილზე აცემინებდნენ. ცეცხლიც ვერ დაანთეს. ანდემირყანმა ფიჩხი მოაგროვა და გააჩაღა ცეცხლი.

გათბნენ მხედრები, ტანისამოსიც გაიშრეს, მაგრამ ახლა შიმშილმა იძალა, საჭმელი კი აღარ ჰქონდათ. ამოიღო ანდემირყანმა ხურჯინიდან თავისი საჭმელი და დააპურა მხედრები.

ხამლები შემოცვეთოდა მეთაურს — ერთ ჯეილ ნოღაელს, მამაც, გამბედავ, ჩინებულ მეგზურს. მივიდა ანდემირყანთან და უთხრა: „იამან შერიყ“, ხამლები დაგხვევიაო. ამოიღო ყმაწვილმა ანდემირყანმა შავი, რბილი გონშირიყები, ერთი წყვილი უფროსს მისცა, მეორე კი თვითონ ჩაიცვა.

გზა განაგრძეს. ჩავიდნენ სამშობლოში და ბაკში შერეკეს ცხენები, აქ უნდა გაეყოთ. ანდემირყანმა დაინახა, რომ ერთმა ძალზე დაღლილმა ლურჯა ფაშატმა ფეხზე მდგარმა შობა კვიცი. დაბადებისთანავე კვიცი ფეხზე წამოხტა და დედა გალოკა, მერე ძუძუ მოწოვა. თავი აიქნია და ფაფარზე კვამლი აუვიდა. გაიქცა, გამოიქცა, დედას გადაახტა. კიდევ იკუნტრუშა ცოტა ხანს და ისევ გადაახტა დედას. მთვარიანი ღამე იყო. ანდემირყანი რემას დარაჯობდა. თვალს ადევნებდა კვიცს. გადაწყვიტა, რომ იმ ნადავლის განაწილებისას უთუოდ ეს ლურჯა ფაშატი და კვიცი ეთხოვა.

იკრიბებიან დილით მხედრები და წილსაც ჰყრიან. სანამ წილისყრას დაიწყებდნენ, დაუძახეს ანდემირყანს და უთხრეს:

— აირჩიე სამი ცხენი!

არც ერთი არ ისურვა ანდემირყანმა, ლურჯა ფაშატისა და კვიცის გარდა. მისცეს ორივე.

კარგად აჭმევდა ფაშატს, კვიციც იზრდებოდა. ჯამანშერიყი დაარქვეს, ნოღაელის ნათქვამი გაახსენდა — „იამან შერიყ“. ალპის ჯიშის ბედაური გაიზარდა, გედივით ლურჯა, გრძელკისერა, თავაღერილი. თავის დროზე ყაბარდოში იმაზე კარგ ცხენს ვერ ნახავდით. ანდემირყანიც, როცა დავაჟკაცდა, ტოლს არ უდებდა თავადებსა და აზნაურებს.

შეშინდნენ თავადები, ძალაუფლებას შეგვეცილებაო მამაცი ანდემირყანი, მოკვლა დაუპირეს. ეს ბესლანეი-სქელისა და მის ამფსონების საქმე იყო. შეიტყო ანდემირყანმა და დატოვა ყაბარდო, რათა ხელში არ ჩავარდნოდა ბესლანეი-სქელს.

თქმულება ანდემირყანზე

ანდემირყანი დაიბადა სადღაც ორ ზღვას შუა. ქალი, რომელმაც ის შობა, წყლისთვის წავიდა ზღვის პირას და იქ იმშობიარა. ქალმა გაიხადა კაბა, ბავშვი შიგ შეახვია და იქვე დააწვინა, თვითონ კი წყალში შევიდა დასაბანად.

ამ დროს არწივმა ბავშვი აიტაცა და ზღვას გადაატარა.

ცხოვრობდა ერთ ქვეყანაში სახელგანთქმული კაცი, ანდემირი, მხედრების მეთაური. მას არ ჰყავდა თავისი შვილი. ერთხელ ანდემირი ნადირობიდან ბრუნდებოდა. ამ დროს მისმა მხედრებმა ხის კენწეროზე არწივის ბუდეში იპოვეს ბავშვი. რადგანაც ანდემირს შვილი არ ჰყავდა, მათ ის ბავშვი მას მისცეს.

ბავშვი მალე წამოიზარდა.

ალიხოს შვილი ყოველთვის ანდემირთან ერთად ნადირობდა ხოლმე. ერთხელ ის მივიდა ანდემირთან და უთხრა:

— წამო, სანადიროდ წავიდეთ.

როდესაც ისინი წასასვლელად ემზადებოდნენ, გამზრდელ ანდემირს, რომელმაც თავის შვილს ანდემირყანი უწოდა, სთხოვა:

— მეც წამიყვანეთ სანადიროდ.

— შენ სად წაგიყვანოთ, ცხენზეც ვერ აფოფხდები, — უთხრეს მას და წავიდნენ.

მეორე დღეს ანდემირყანმა სადღაც ერთი ჯაგლაგი ცხენი დაიჭირა, შეკაზმა და მათ კვალს გაჰყვა. მალე წამოეწია კიდევაც მათ, ვინც ის სანადიროდ არ წაიყვანა. ერთი მათგანი გაწიწმატდა, რომ ის უკან გამოჰყვა მათ, მეორე გაჩუმდა. დარჩა მათთან ანდემირყანი, ღამით ცხენებს მწყემსავდა, დღისით საჭმელს აკეთებდა. მალე შენიშნეს, რომ ის მარჯვე ბიჭი იყო. ის კი არა და, ანდემირს უხაროდა კიდევაც, აქაოდა ჩემი გაზრდილი დავაჟკაცდაო.

სამი-ოთხი დღის განმავლობაში ანდემირყანმა შენიშნა, რომ დილით ადრე ორი ულაყი და ერთი კვიცი ზღვაში ხტებიან და ბანაობენ. ერთ დილით ანდემირყანმა დაინახა, როგორ თბებოდნენ ისინი მზის პირველ სხივებზე. მიეპარა ერთ-ერთ მათგანს და ზედ მოახტა. ცხენები წამოხტნენ, გადაეშვნენ ზღვაში და ისიც თან გაიყოლეს. ცხენები დაბრუნდნენ თავიანთ პატრონთან, გადაახტნენ ჭიშკარს და ეზოში შეცვივდნენ. გამოცვივდნენ სახლის პატრონები და ჰკითხეს ყმაწვილს.

— შენ აქ საიდან გაჩნდი, როგორ შეჯექი ჩვენს ცხენზეო?

ანდემირყანმა უამბო ყველაფერი, როგორც მოხდა.

— საიდანაც არ უნდა იყო, შენ ჩვენი ხარ. ეს მამაშენია, ეს — დედაშენი. ესენი კი — შენი დებია. შენი თავი არწივმა მოგვტაცა. ასე რომ არ იყოს, სხვა ვერა კაცი ჩვენს ცხენზე ვერ შეჯდებოდაო.

— მე არაფერი ვიცი! — თქვა ანდემირყანმა.

მაშინ გოგონებმა გაიძვრეს ტანსაცმელი და აჩვენეს ხალები, რომელიც მათ დაბადების დროს დაჰყვათ. გაიხადე შენც და თუ ასეთივე ხალი

არ აღმოგაჩნდა ზურგზე, მაშინ შენ მართლა არ ყოფილხარ ჩვენიანიო.

ანდემირყანმა გაიხადა. მასაც ზურგზე ისეთივე ხალი ჰქონდა, როგორიც იმ გოგოებს. მაშინ ანდემირყანმა თქვა:

— როგორც არ უნდა იყოს, უნდა წავიდე იქ, საიდანაც მოვედი, მაგრამ ისევ დავბრუნდები.

მისცა სიტყვა, მათ კი შესვეს ცხენზე ანდემირყანი და ის დაბრუნდა მონადირეებთან, მაგრამ არ გაუმხელია, რა გადახდა თავს. მან გაუშვა ის ცხენი, რომლითაც ზღვა გადაცურა. მერე იპოვა ის ცხენები ისევ. ისინი ახლა უფრო ბევრნი იყვნენ. შეაგროვა ისინი ერთად და წამოიყვანა.

გაირეკეს ეს ცხენები მონადირეებმა სახლში. გზად ანდემირყანმა შენიშნა, რომ ერთმა ფაშატმა კვიცი მოიგო, რომელიც იქვე, ჯერ კიდევ სველი, რამოდენიმეჯერ გადაახტა ზურგზე დედას. „რა კარგი იქნებოდა, რომ გაყოფის დროს ის კვიცი მე შემახვედრონო, — გაიფიქრა ანდემირყანმა. მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ნადავლი უნდა გაეყოთ და კვიცი დედასთან ერთად ერთ ნორაელ თავადს ერგო, რომელიც იმ დროს მათთან ერთად იმყოფებოდა.

შემოდგომა იდგა და ის ნოღაელი, ვისაც კვიცი ერგო, ფეხშიშველი დარჩა. ანდემირყანს უნაგირის კუთხეში ეკიდა ერთი წყვილი გუანშირიყი.* მან დაუთო ფეხსაცმელი ნოღაელს და გამოართვა კვიცი დედასთან ერთად. მან იქვე დაარქვა კვიცს გუანშირიყა, რაც „გუანშირიყით ნაყიდს“ ნიშნავს.

ზრდიდა ანდემირყანი კვიცს, ვიდრე ის ძალიან ლამაზი ცხენი არ დადგა. გაიზარდა თვითონაც. ორივემ სახელი გაითქვეს მთელ მხარეში.

ალხოს შვილი ანდემირის მეგობარი იყო და სთხოვა მას:

— შენმა გაზრდილმა თავისი ცხენი მე დამითმოსო.

როდესაც ამის შესახებ უთხრეს ანდემირყანს, ის არ დათანხმდა, რის გამოც ალხოს შვილი გადაემტერა. რადგან ალხოს შვილი მისი გამზრდელის მეგობარი იყო, ანდემირყანს ის ძალიან უყვარდა. ამიტომაც არ უნდოდა მტრის მოკვლა. ანდემირყანმა მიატოვა ჯილისტანეი* და გადავიდა ყაბარდოში.

ამ დროს აუშიგერას* მთელი მიდამო დაფარული იყო ტყით. კეცუყო ასლამბიის შვილი არავის უშვებდა ამ ტყეში სანადიროდ. ანდემირყანი კი ამ ტყის გავლით მიდიოდა და უკან ცხენის კვალს სტოვებდა. ყველაფერი ეს დაინახა კეცუყოს შვილმა. ანდემირყანის სახელი იდგა ზარა გიაჟემთან,* იქ, სადაც ქვემო ფსიჟაა.*

ბესლენკი ჰცანცა (სქელი ბესლენი) ცხოვრობდა ახლანდელი დაბა ურვანის ადგილას. ჰოდა, ანდემირყანი იმ ტყეში ნადირობდა, იმ ორს რომ

ეკუთვნოდა და შიგ არავის უშვებდნენ. ამიტომაც ისინი გადაემტერნენ ანდემირყანს.

ერთხელ ბესლენკი ჰცანცა თავის ხალხთან ერთად სანადიროდ გამოვიდა. სწორედ იმ დროს ტყეში ნადირობდა ანდემირყანი ორი მწევრით.

როდესაც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, ანდემირყანი მიუახლოვდა ბესლენკის ჯგუფს. ანდემირყანისა და ბესლენკის ძაღლები დაეტაკნენ ერთმანეთს. ანდემირყანის ძაღლებმა დაჯაბნეს ბესლენკის ძაღლები. დაიანხა თუ არა ეს, ბესლენკი ჰცანცამ თქვა:

— რამდენი უჯიშო თავადი და უჯიშო ძაღლი გაჩნდა ჩვენშიო.

ანდემირყანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ამ დრო მარეკებმა გარეული ტახი გამოაგდეს. ბესლენკი ჰცანცამ ესროლა, მაგრამ დააცილა, განგებ, ვითომდა არაფერი შემიძლიაო. გარეული ტახი ანდემირყანისკენ გაუშვა. დაინახა თუ არა, რომ ტახს ისევ მისკენ უშვებდნენ, ბესლენკი ჰცანცამ ისევ თქვა იქედნურად:

— უგვაირშვილო თავადი თავადი არ არის ისე, როგორც უჯიშო ძაღლი კარგი ვერ დადგება. გაიგონა თუ არა ეს ანდემირყანმა, გამოეკიდა ტახს და აქოშინებული ისევ ბელსენიკის ურემზე მიაგდო. მან ისევ ესროლა და კვლავ ააცია. ანდემირყანმა ისევ მოაბრუნა ტახი და ისევ ბესლენკისკენ გააგდო. ბესლენკიმ ისევ ააცილა. მაშინ ანდემირყანმა მოზიდა მშვილდი და ისე სტყორცნა ისარი, რომ ტახი ურმის ბორბალს მიაჭედა.

მაშინ ანდემირყანმა დაუყვირა:

— ეჰეი, ბესლენკი ჰცანცა, ურმით რომ ძლივს დაგაგორებენ, როგორ მოგეწონა ჩემი ნატყორცნი ისარი?

ამ შეხვედრამ უფრო გაამწვავა მათი მტრობა. ვინაიდან ბესლენკის თვითონ არ შეეძლო დაემარცხებინა ანდემირყანი, ისინი შეპირდნენ ბევრ ოქროს, ვინც მას მოკლავდა. ეძებეს ასეთი კაცი, მაგრამ ვერავინ იპოვეს, ვინც მას მოკლავდა. მაშინ მათ დაუძახეს კანიბოლატს, ანდემირყანის ძმადნაფის და უთხრეს:

— ანდემირყანი შენი მეგობარია, შენს გარდა ვერავინ დაგვეხმარება მის მოკვლაში. ისე ჰქენი, რომ უხმლოდ და უცხენოდ ვნახოთ იგი, მაშინ ჩვენ მოვკლავთ მას. თუ არა და, ვფიცავთ, სიცოცხლეს გაგიმწარებთო.

კანიბოლატმა ასეც ჰქნა. წაიყვანა მეგობარი სანადიროდ. იმათ მოკლეს (ანდემირყანი), ვისი მოკვლაც უნდოდათ.

ანდემირყანის ვერაგულ სიკვდილზე შეიქმნა სიმღერები.

როგორ მოახდინეს სასწაული შუმახო შოჯენმა და ხარციჟმა

(ამბავი)

ადრე ვაჟკაცები ცხოვრობდნენ. ალპებზე* ისხდნენ, ისეთებზე კი არა, დღეს რომ გვყავს.

იყო ერთი კაცი, შოჯენ შუმახო უმცროსი და კიდევ ერთი — ხარციჟი.

ამბობენ, შევიდაო ეს შოჯენ შუმახო უმცროსი ხარციჟთან და ეუბნება:

— მოდი, ისეთი სასწაული მოვახდინოთ, კაცს რომ არ უნახავსო.

— მოდიო.

შეჯდა ცხენზე ხარციჟი და გზას გაუდგა, არც უკითხავს, რა გავაკეთოთო. მაშინ ამ მხარეს (ყუბანის მარცხენა ნაპირი) რუსის ხსენება არ იყო; არც ნევინსკის რაიონში იყვნენ. იქით, შორს, სტავროპოლისკენ, მარცხნივ არის სტანიცა პროშნოკოპი, სადაც გენერალი და ჯარისკაცები იყვნენ დაბანაკებული.

— გადავიდეთ და გენერლის ქალი მოვიტანოთო, — თქვა ხარციჟმა.

— გადავიდეთო, — უპასუხა შუმახომ.

ადგნენ და გადაცურეს ფსიჟი. დიდი მდინარე იყო მაშინ. ვერც ერთმა რუსმა ვერ გადმოცურა.

გადავიდნენ წყალზე მხედრები და შევიდნენ პროშნოკოპში. ხედავენ, ჯარისკაცები ვარჯიშობენ. მათ თვალწინ გაიარეს.

საიდან გაჩნდნენ ეს ტყიურები? — ყველა გაოცდა.

ნაბდები ჰქონდათ მოხურული, შაშხანებით და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულნი.

— გენერალი უნდა ვნახოთო, — თქვეს და გზა განაგრძეს.

— სად არის გენერლის სახლი? — ჰკითხეს ვიღაცას. გაიგეს და პირდაპირ ეზოში შევიდნენ. ჩამოქვეითდნენ, დააბეს ცხენები, გამოიყვანეს გენერლის ქალი, თავად გენერალი, ალბათ, შინ არ იყო, შესვეს ცხენზე და პირი იბრუნეს.

ერთი ამბავი ატყდა. მდევარი გამოუდგა.

— არ გაუშვათ!

რას დაეწეოდნენ რუსის ჯაბანი ცხენები ადიღეურ ალპებს! ვერ დაეწივნენ. ფსიჟთან მივიდნენ. ერთი (ადიღეველი) ისროდა, მეორეს იფარავდა, — ქალი გადაჰყავდა წყალზე. მერე მეორემ ატეხა სროლა და იმანაც (ნაპირზე დარჩენილმაც) გადაცურა. ჩამოიყვანეს ქალი და ჩერქეზული სამოსი ჩააცვეს: ოქროს ქამარი შემოარტყეს, ოქროს ქუდი დაახურეს,

ოქროსღილებიანი კაბა ჩააცვეს. ყანად* დასვეს, — ამიტომაც ჩამოიყვანეს, თორემ ქალი არ ენახათ, თუ რა!

გავიდა ერთი-ორი წელი. ცივ ნიავს არ აკარებდნენ, კარგად აჭმევდნენ და ასმევდნენ. კარგად აცმევდნენ.

— მოდი, უკან დავაბრუნოთო, — თქვა ერთმა.

— მოდიო.

დასვეს ცხენზე, გადაცურეს ფსიჟი და შევიდნენ გენერალთან. შევიდნენ ეზოში, ჩამოქვეითდნენ, შეიყვანეს სახლში, გენერალიც იქ დახვდათ. ქალმა ყველაფერი უამბო მამას.

— მამაჩემო, ქალად თუ დამბადე, ქალი ვარ, ქალწულად თუ დამბადე — ქალწული. როგორიც ვიყავი, ისეთი ვარ. არავის უწყენინებია. ჩამაცვეს და დამახურეს. ამათი ყანი და დაი ვარ. ასე და ასეა საქმე. ვერასოდეს დავიჯერებდით, თუ ასეთი კეთილები იყვნენ ეს ტყიურებიო, — ჩერქეზების ადამიანობაზე ილაპარაკა.

— თუ ასეა, რითი შემიძლია, გადაგიხადოთ? წიაყვანეთ და მომიყვანეთ შვილი, კარგად მოეპყარით. მეგობრები ვართ ახლა. რას ისურვებთ? ქონებას, საგზალს?

— ყონაღობის* მეტი არაფერი გვინდაო.

ამის შემდეგ დაამყარეს ერთმანეთთან ურთიერთობა რუსებმა და ჩერქეზებმა.

შოყოთლი

იყო ერთი და-ძმა, ბჟაუ და შოყოთლი. დედა მოუკვდათ. მამამ დედინაცვალი მოუყვანა. ვერ შეეწყვნენ დედინაცვალს. „მეტი რა გზა გვაქვს, უნდა გავერიდოთო“, — თქვა ჭაბუკმა, შემოისვა ცხენზე და და წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ ტყეს მიადგნენ. ძაღლის ყეფა შემოესმათ. „სადაც ძაღლია, კაციც იქნებაო, ხეზე შეგსვამ, მე კი წავალ, იქნებ საჭმელი ვიშოვოო“, — უთხრა შოყოთლმა ბჟაუს. შესვა ხეზე და წავიდა. იარა, იარა სიბნელეში და ერთ დიდ სახლს მიადგა. არყიანში იდგა, ღობე ერტყა. ჭიშკარი დაკეტილი იყო. გადაუჭირა ცხენს მათრახი და გადაევლო ჭიშკარს. ეზოში დააბა ცხენი და სახლში შევიდა. კაცის ჭაჭანება არ არის, ნეტა ვინ მიატოვა სახლ-კარიო? — გაუკვირდა ყმაწვილს. ერთ ოთახში მოხარშული ხორცი დაინახა, მიუჯდა მშიერი და კარგად დანაყრდა, დისთვისაც წამოიღო.

— იქნება ვინმე მითვალთვალებსო? — თვალი მოავლო ეზოს. უცებ მძინარე გოლიათს ჰკიდა თვალი. მოკვლა დაუპირა.

— ოღონდ ნუ მომკლავ და, თუ გინდა, ხუნდები დამადეო, — უთხრა გოლიათმა.

ასეც მოიქცა ჭაბუკი — ხუნდები დაადო და დასთან დაბრუნდა. შემოისვა ბჟაუ ცხენზე და სახლში მიიყვანა. შენაწილდნენ და დაიძინეს. გავიდა დრო. ერთხელ ყმაწვილმა უთხრა:

— ყველაფერი შევუჭამეთ გოლიათს. წავალ ტყეში, იქნებ ირემი მოვკლაო. შენ კი, რაც გინდა, ისა ჰქენი, ოღონდ სარდაფში არ ჩახვიდეო.

„ნეტა, რატომ არ მიშვებს ჩემი ძმაო?“ — თქვა ქალმა და სარდაფის კარი შეაღო. შეაღო და დიდ ქვაზე მიბმული ხუნდდადებული გოლიათი დაინახა.

— გამათავისუფლე და, გინდა მამობას გაგიწევ, გინდა ძმობას და გინდა ქმრობასო.

— არც მამა მინდა და არც ძმა. ქმარი მინდაო, — უპასუხა ბჟაუმ.

გაათავისუფლა გოლიათი და გახდა მისი ცოლი. როცა შოყოთლი ბრუნდებოდა, გოლიათი სარდაფში ჯდებოდა, წავიდოდა და — გამოდიოდა.

გავიდა დრო. დაორსულდა ბჟაუ. შეამჩნია შოყოთლმა, მაგრამ სიტყვაც არ დაუძრავს. ერთხელ, სანადიროდ როცა იყო წასული, ქალს ვაჟი ეყოლა.

— გაიგებს ჩემი ძმა და არ მაპატიებსო, — თქვა ბჟაუმ.

— თუ ასეა, მოვკლათო, — უთხრა გოლიათმა.

— არაო. ძალიან უყვარს ბავშვებიო. წავალ, გზაზე დავაგდებ. დაბრუნდება, ნახავს და მომიყვანს, გაზარდეო.

ასეც მოიქცა. შემოახვია ბავშვს ჩვარი და გზაზე დატოვა.

დაბრუნდა ჭაბუკი, დაინახა ბავშვი, აიყვანა და შინ მოიყვანა. მიხვდა, რომ მისი დისწული იყო. ფაბჟაჰასი* დაარქვა. შევიდა ეზოში და დაუძახა დას.

— ეი, ბჟაუ, მოდი აქ!

— რა მოხდა?

— მოდი, ნახე!

მივიდა და ბავშვი დაინახა.

— გაზარდე, ჩვენი უმცროსი ძმა იქნება.

— მაგას რა გამაზრდევინებსო! — ჩაიბუზღუნა დამ. გამოართვა ბავშვი და შეიყვანა სახლში.

გავიდა დრო. ბიჭმა ენა ამოიდგა.

— უკვე მოიზარდა ბავშვი, ავსა და კარგს არჩევს. შენს ძმას ეტყვის აქ რომ მოვდივარ და ცოცხალს არ გამიშვებს. რამე უნდა მოვიფიქროთ,

თავიდან უნდა მოვიცილოთო, — უთხრა გოლიათმა ცოლს.

— მხოლოდ საწამლავით თუ მოკლავ, თორემ ისე ვერ მოერევიო.

მოიტანა გოლიათმა საწამლავი და საჭმელში ჩაუსხა. დაინახა ყმაწვილმა და ყველაფერი უთხრა შოყოთლს.

— საჭმელად როცა დავჯდები, ფეხი წაჰკარი მაგიდასო, — უთხრა ჭაბუკმა.

მიუჯდა მაგიდას და გადააყირავა კიდეც ბავშვმა.

დაღონდა შოყოთლი, მოკვლას მიპირებენო, პირი არ დააკარა საჭმელს, ადგა და დაწვა.

— საგზალი გამიმზადეო, — უთხრა დილით დას. წაიღო საგზალი და წავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და გოლიათს დაადგა თავზე.

— ჰამარაოშხოზე* გელოდებიო, — უთხრა გოლიათს და გაბრუნდა. დაფიქრდა ცოლ-ქმარი.

— ძალით რას გახდები, შუაზე გაგგლეჯს. ხმლითა და მახვილით კი მასზე კარგად არავინ იბრძვის. მხოლოდ ტყვიაზე სხლტება მისი მახვილიო, — უთხრა ქალმა.

— მაშინ ტყვიით დავიფარავ ტანსო, — თქვა გოლიათმა.

ასეც მოიქცნენ.

ჰარამაოშხოზე გამოცხადდა დილით გოლიათი.

— რითი ვიბრძოლოთ, მერე არ თქვა, ასეო და ისეო.

— მახვილითო, — უპასუხა გოლიათმა.

— ჯერ შენ შემომიქნიე, — უთხრა ყმაწვილმა გოლიათს.

— არა, შენაო, — შეესიტყვა გოლიათი.

შემოუქნია შოყოთლმა და შუაზე გააპო.

გუდაბერდი

ყოველდღე ნადირობდა ერთი ნართი და არასოდეს ბრუნდებოდა ხელცარიელი, ან თხა მოჰქონდა, ან — ირემი, ან — შველი.

ერთხელ მონადირემ მარილზე ჩამოსული თხა დაინახა. ის-ის იყო უნდა აელოკა მარილი, რომ მონადირემ ესროლა და მოკლა. მივიდა და გაატყავა, მერე გამოშიგნა, ცეცხლი გააჩაღა და შეწვა გულ-ღვიძლი. ტყავი მიწაზე გდია, ხორცი ტოტზე ჰკიდია, გულ-ღვიძლი კი შამფურზეა. ის იყო მწვადი პირთან უნდა მიეტანა, რომ ხელიდან გამოეცალა. ჩახტა ხორცში, ხორცმა ტყავი მოისხა და საღ-სალამათი თხა მონადირეს წინ დაუდგა. ნართს გაუკვირდა:

— რაც თავი მახსოვს, სულ ვნადირობ, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავსო.

— ეს რა არის! საკვირველი ის არის, რაც გუდაბერდს შეემთხვა, — უთხრა თხამ და ტყეს შეაფარა თავი.

— შინ რა დამაბრუნებს, სანამ იმ კაცს არ ვიპოვი, რომელსაც ამაზე საოცარი რამ შეემთხვაო, — გაიფიქრა მონადირემ. გაისწორა მშვილდ-ისრებით სავსე კაპარჭი, ქამარზე დაიმაგრა და გუდაბერდის საძებნელად გასწია. აულიდან აულში გადადიოდა, კითხულობდა, აქ ხომა რომ ცხოვრობს გუდაბერდიო, მაგრამ კაცი ვერ იპოვა იმის მნახველი.

მრავალი დღე და ღამე, თვე და წელი ეძება. ბოლოს მიუახლოვდა იმ აულს, სადაც გუდაბერდი სახლობდა. აი, იმ აულში ცხოვრობსო, — მიუთითეს. მივიდა და იკითხა, სად არის გუდაბერდის სახლიო?

— აი, იქ, შუა აულშიო, — უპასუხეს. იპოვა გუდაბერდის სახლი და შევიდა ეზოში.

ერთი კაცი კალოს ლეწავდა ფაშატი და ულაყი ვირებით. მონადირე მასპინძელს მიესალმა.

— გუდაბერდის სახლიაო? — ჰკითხა.

ჯერ მისალმებაზე უპასუხა მასპინძელმა და მერე უთხრა:

— დიახ, კეთილი იყოს შენი მოსვლაო.

— გმადლობ, შემოვალ.

გუდაბერდმა სახედრების გამოხსნა დაიწყო. ამ დროს ფაშატი დაიხარა და ერთი თავთავი დაითრია. ისე დაარტყა პატრონმა მარგილი, რომ ნესტოებიდან სისხლი წასკდა. მთელი დღე ამუჭავა. ოფლი აღვრევინად ა ბოლოს ერთი თავთავიც არ გაიმეტა. გამოხსნა სახედრები და ლაფიან საჯინიბოში შერეკა. კარს ურდული დაადო და ერთი სოლიც მიაჭედა. უყურა მონადირემ, უყურა და თავი გააქნია, ალბათ, ეს სისასტიკეა გასაკვირიო.

ესე რომ დააბინავა გუდაბერდმა ვირები, სტუმარს მიუბრუნდა.

— ახლა სახლში შევიდეთ. ჩემო სტუმაროო!

შეიყვანა და დასვა. სასმელ-საჭმლით სავსე ტაბლა დაუდგა წინ. დაანაყრა, სული მოათქმევინა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

— ესა და ეს დამემართა. მითხარი, ამაზე საკვირველი შენ რა შეგემთხვაო.

— მოგიყვები, — უთხრა გუდაბერდმა, — ვცხოვრობდით მე და ჩემი ლამაზი ცოლი. სასმელ-საჭმელი არ გვაკლდა და ჩასაცმელ-დასახური. რამდენიმე წელი ვიცხოვრეთ ერთად, შვილები არ გვყავდა. ერთ დღეს ყურში ჩამაწვეთეს, შენს ცოლს საყვარელი ჰყავსო. დრო გადიოდა, მე კი მითქმა-

მოთქმის გარდა საეჭვოს ვერაფერს ვამჩნევდი. რამდენჯერმე ვუთხარი, ასეა და ასეა საქმე, ხალხს ნუ ალაპარაკებ-მეთქი. ერთ დღეს წავასწარი კიდეც. გავთათხე და ისიც სემპირდა, მეტს არ ვიზამო. გავიდა დრო.

მამაჩემმა ერთი სპილენძის მათრახი დამიტოვა. ვისაც დაარტყამ და იტყვი, ამად და ამად იქეციო, გადაიქცევა. ერთხელ, როცა მეძინა, აიღო ჩემმა ცოლმა მათრახი, დამკრა და ძაღლად მაქცია. გავიღვიძე და ძაღლი ვიყავი. აღარც ენა მქონდა ჩემი და აღარც ხელ-ფეხი. მალე ქუჩაში აღმოვჩნდი, არც მაჭამა და აღარც სახლში დამაყენა, მისი საყვარელი კი ჩვენსა გადმობარგდა და ჩემი სარჩო-საბადებლის განიავებას მიჰყო ხელი. ბოლოს ეზოდანაც გამაგდეს. მეც ველარ ავიტანე, ცალკე ცემამ ამომხადა სული და ცალკე შიმშილმა, ავდექი და გავიქეცი, თავს ვუშველე.

მთელი ზამთრი ეზოდან ეზოში დავიძურწებოდი. თუ ვინმე რამეს მოიგდებდა, ვჭამდი, არადა მშიერი ვიყავი. ძლივს მივატანე გაზაფხულამდე. როცა საქონელი მთაში გარეკეს, მეც ავედევნე. გაუხარდათ მწყემსებს, კარგი ნაგაზი ვიშოვეთ, ხეირს არ დააყრის მგლებსო. როცა ძაღლებს საჭმელი დაუსხეს გობში, ახლოსაც არ გავეკარე, არ ვისურვე ძაღლებთან ჭამა.

ერთმა ჯეილმა მწყემსმა თავისი საჭმლის ნახევარი დამიდო თეფშზე. მივედი და მოვასუფთავე. ამის შემდეგ თეფშიდან მაჭმევდნენ. მთელი ზაფხული მწყემსებთან გავატარე, გულმოდგინედ ვდარაჯობდი ფარას, ჩემს იქ ყოფნაში ერთი ბატკანიც არ დაკარგულა. მთლად გავაწყვე მგლები იმ მხარეს, ძაღლებს არ ვუშვებდი, მარტო ვდარაჯობდი. უბრალო ძაღლი არა ჩანსო, ჩემზე ამბობდნენ, ძალზე ჭკვიანია, ძაღლის ჯიშისა არ უნდა იყოსო. მე კი არაფრის თქმა შემეძლო, ენა არ მომერჩილებოდა. ასე გავატარე მთელი ზაფხული.

შემოდგომაც დადგა. მთიდან წამოვედით. გზად შემოგვაღამდა და ერთი სოფლის მახლობლად გავჩერდით ღამის გასათევად. მწყემსები სოფელში წავიდნენ. მობრუნებულებმა ამბავი მოიტანეს: სოფლელები ფშის* ეზოში შეკრებილან და ერთ ამბავში არიან. თავადის ცოლი ყოველწლიურად შობს ბავშვს, რომელიც მაშინვე იკარგებაო. ამაღამაც უნდა შობოს და შიშობენ, არ დაიკარგოსო. მოუსმინა მოხუცმა მწყემსმა და მერე უსაყვედურა ჯეილებს: რატომ არ უთხარით, რომ საკვირველი ნაგაზი გვყავს-თქო. მაშინვე დაბრუნდა სოფელში მწყემსი და შეკრებილებს ყველაფერი უთხრა. მალე მოვიდნენ და თავადს მიმგვარეს. შევედი იმ ოთახში, სადაც ქალბატონს უნდა ემშობიარა და კუთხეში მივჯექი. შუაღამისას იმშობიარა თავადის ცოლმა. იმშობიარა თუა რა, ყველა გავყარე ოთახიდან კუდის ქნევით, მხოლოდ ორი მოახლე ქალი დავტოვე. მიხურეს

კარი და დაადეს ურდული. მე კი ისევ კუთხეში დავცუცქდი.

მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. დაიძინეს ქალბატონმაც და მოახლეებმაც. როგორც კი ინათა, ვიღაცამ შემოაღო კარი, შემოიპარა ოთახში, აიყვანა შეხვეული ბავშვი და ის იყო უნდა გამსხლტარიყო, რომ კბილებით ჩავაფრინდი. შევხედე და ჩვენი სოფლელი ბებერი ჯადოქარი ვიცანი. იმანაც მიცნო: „გუდაბერდი, არ გამცე, ერთხელაც იქნება, მეც გამოგადგები, გამიშვი, ბავშვი არ მინდა“. დავატოვებინე ბავშვი და გავუშვი. ნახეს დილით, რომ ბავშვი ისევ იქ იყო და გარს შემომერტყნენ, ზოგი მეხვევა, ზოგი მკოცნის, ზოგი ხელს მისვამს, რითი დავაჯილდოოთო? — ერთმანეთს ეკითხებიან.

— სიმდიდრე რომ ვუბოძოთ, რად უნდა, ძაღლია, ერთხელ გავაძღოთ და გავუშვათ, არ ივარგებს, აქ რომ დავტოვოთ, თავისი სახლი მოენატრება და წავა. ყველაფერს სჯობია, რომ მთელი სოფლის ყმაწვილმა ქალებმა ყოველ ღერ ბალანში მას ოქროს ძაფი ჩააწნან, მერე კი უნდა, წავიდეს, უნდა, არჩეს, — თქვა თავადმა.

ასეც მოიქცნენ: შეიკრიბნენ და ბალანში ოქროს ძაფი ჩამაწნეს, მერე მაჭამეს. ვიფიქრე, ახლა კი შინ შემიშვებს-მეთქი ჩემი ცოლი და გზას გავუდექი. მივედი სახლში. ჩემი ცოლი ფეტვს აშრობდა. ჭიშკართან გავჩერდი. დამინახა და მითხრა: „ო, შენ საწყალო, ცოცხალი ხარ? დამნაშავე ვარ შენს წინაშე, მაპატიე! მოდი აქ!“ მიმიყვანა და ბეწვზე ხელი გადამისვა. შევიდა სახლში, გამოიტანა მამაჩემის დანატოვარი მათრახი. სიხარულით ფეხზე არა ვდგავარ, ან ახლა ვიქცევი კაცად, ან ახლა-მეთქი.

— ძაღლად ვაქციე, მაგრამ მაინც გარე-გარე დაწანწალებს, ხალხს ენახვება და სასუსნავს არ ილებს. ბუდ იქცეს, ხალხს რომ ვეღარ ეჩვენოს, — თქვა, დამკრა მათრახი და ბუდ მაქცია.

ასეთ ყოფნას ძაღლობა ჯობდა, რაღაცას მაინც მომიგდებდნენ. ბუდ ვიქეცი და ვიღას უნდა ვჩვენებოდი?! ვაი-ვაგლახით მივათრევდი წუთისოფელს მშიერ-მწყურვალი. როცა მთლად დავუძლურდი, ავდექი და ვიღაცის საქათმეში შევძვერი. როგორც კი დავითრიე აკრიახებული ქათამი, მაშინვე ის ბებერი ჯადოქარი წამომადგა თავს.

— არ შეჭამო, ჩემი ქათამია, გუდაბერდ! გითხარი, გამოგადგები-მეთქი და გამოგადგები კიდეც. სახლში გაფრინდი, მეც ახლავე მოვალო, — მითხრა.

მივფრინდი სახლში. ჯადოქარიც მალე უკან მომყვა. შეიპარა ჩაკეტილ ოთახში, სკივრიდან ამოიღო მამაჩემის სპილენძის მათრახი და ისევ ჩემთან გაჩნდა. „ისევ გუდაბერდად იქცეს“, — თქვა, დამკრა მათრახი და კაცად მაქცია. „აჰა, მათრახი, დანარჩენი შენ იცი, ერთმანეთი არ გვინახ-

ავს". მომცა მათრახი, გააღო კარი და გაუჩინარდა. შევედი ოთახში, საბანი გადავხადე ჩემს ცოლსა და მის საყვარელს, შიშვლები იწვნენ. დავკარი მათრახი და ორივე ვირებად ვაქციე, რომ მემუშავებინა. ჩემო სტუმარო, ალბათ, დაინახე, როგორ დავარტყი, როცა დედალი ვირი თავთავის ასაღებად დაიხარა. ისიც ნახე, აჭუნჭუხებულ თავლაში რომ შევრეკე, თივაც არ დავუყარე. ალბათ, იფიქრე, საოცრება ამის სისასტიკეშიაო. დედალი ვირი ჩემი ცოლია, მამალი კი მისი საყვარელი. აი, რატომ ვექცევი მათ ულმობლად, — დაამთავარ გუდაბერდმა.

— მართალია, ეს უფრო საკვირველია, ვიდრე ის, რაც მე შემემთხვა, — თქვა ნართმა მონადირემ და უკან გაბრუნდა.

ყუიცუყო და ინიჟი

იყო ერთი ღარიბი დედაკაცი, ჰყავდა ერთი შვილი, სახელად ყუიცუყო.*

— დედაჩემო, უთხრა ყუიცუყომ დედაკაცს, — ასე ცხოვრება აღარ შეიძლება. წყალი დაგვდის თავზე, დაგვილპა ჩალის სახურავი. წავალ მოჯამაგირედ დავუდგები ვინმეს, ოღონდ ცოტა საგზალი გამატანე, — ერთი გუდა მჟავე რძე და ყველიო.

გაიქცა ბებერი მეზობელთან, მოიტანა გუდა, ჩაუსხა მჟავე რძე, გამოუტანა ყველი, ერთი-ორი ღვეზელიც გამოუცხო. საგზალთან ერთად ორი დიდ-პატარა სადგისიც გაიყოლა ყუიცუყომ. თოკიც ნაიღო, გამომადგებაო.

იარა, იარა და ერთ ტყეს მიადგა. გადაჭრა ტყე და დასასვენებლად ჩამოჯდა. ამოიღო ღვეზელი და ის იყო პირთან უნდა მიეტანა, რომ ინიჟი* დაინახა.

— დასწყევლოს ღმერთმა! საიდან მოეხეტა? ცუდის ნიშანიაო!

შორს იყო ინიჟი. ადგა და თოკი ერთგან ჩაფლა, რძიანი გუდა მეორეგან, — არ დამილიოსო.

— გამარჯობა, ყუიცუყო! — მიესალმა ინიჟი.

— გაგიმარჯოს, ინიჟო! — უპასუხა ყუიცუყომ.

— საიდან მოდიხარ? ასე შორს რამ წამოგიყვანაო?

— საშოვარზე ვარ გამოსულიო.

— რისი მშოვნელი ხარ, დაიხედე, რასა ჰგავხარო?

— დამეხსენე, შენ რა იცი, მე რა შემიძლიაო?

— რა შეგიძლიაო?

— რაც შენ შეგიძლია, მეც შემიძლიაო.

— მოდი, ხატა-ხასაში* შევეჯიბროთო.

— ასეთი ბრიყვები როგორა ხართ, როცა ხატა-ხასას მეტი არაფერი გახსოვთო. ღონე თუ გაქვსო?

— მაქვსო.

— თუ ასეა, დაჰკარი ფეხი გორაკს და ტვინი ამოასხმევინეო.

ახტა, დახტა ინიჟი, მუხლამდე ჩათხარა მიწა, მაგრამ ტვინისა რა მოგახსენოთ.

— ეგ არის, ღონე მაქვსო? — ახლა მე მიყურეო.

დაუმიზნა გუდას ფეხი, დაარტყა და რძემაც ამოასხა.

— ხედავ, აი, მიწის ტვინიო.

შეშინდა ინიჟი.

— ჯან-ღონე თუ გაქვს, მიწას ჭიპი ამოაძრეო! — უთხრა ყუიცუყომ.

დაიკაპიწა ინიჟმა სახელოები, სწვდა ბებერ ხეს და ფესვებიანად მოგლიჯა.

— არა, ეს ჭიპი არ არის. ტრაბახს უნდები, ღონე კი არა გაქვს. მე გაჩვენებ სად არის ჭიპიო.

დაარტყა ფეხი იმ ადგილს, სადაც თოკი ჰქონდა შენახული და ნელ-ნელა ამოაძრო.

„ეს რა უბედურებაში ჩავიგდე თავი? რამ შემახვედრა ამ ღვთისპირისაგან დაწყევლილსო!“ — გაიფიქრა გოლიათმა.

— რას ისურვებ, ყუიცუყო?

— კისერზე შემისვი და შენს სახლში წამიყვანეო.

უარს როგორ ეტყვის! შიშისგან სული მისდის.

მდინარეზე გადადიოდა, — მუხლამდე სწვდებოდა წყალი, როცა ყმაწვილს უთხრა:

— ყუიცუყო, ამხელა ძალა გაქვს და ასეთი მჩატე რატომა ხარო?

— მჩატეო? ციდან ჩამოშვებულ თოკს ვეჭიდები, თორემ ხელი რომ გავუშვა, მდინარეში მოადენ ზღართანსო.

— გაუშვიო.

ამოიღო პატარა სადგისი და წაუყარა კისერში.

— ო, ღმერთმა სიმდიდრე მოგცეს, მძიმე ხარ, მაგრამ ისეთიც — არაო.

იარა, იარა და ჰკითხა:

— სულ ეს არის შენი სიმძიმეო?

— არაო, ცალი ხელით ისევ თოკს ვეჭიდებიო.

— გაუშვიო.

ამოიღო დიდი სადგისი და წაუყარა კისერში.

— ვაი, ვაი, დაგრისხოთ ღმერთმა, თოკს მოეჭიდე, თორემ მოვკვდებიო. მიიყვანა ყუიცუყო და დასვა სასტუმროში.

შვიდნი ძმანი იყვნენ. სტუმარი ვინც მიიყვანა, უფროსი იყო. დანარჩენები სანადიროდ წასულიყვნენ. მალე დაბრუნდნენ.

— ერთი ეშმაკი გვესტუმრაო, — მიახარა ინიჟმა ძმებს.

— აქ რამ მოიყვანაო?

— მე მოვიყვანეო.

— დაგექცეს ოჯახი! რატომ მოიყვანეო?

— ოჯახიც დაგექცეს და... მთხოვა, წამიყვანეო და რა უნდა მექნა? დაარტყა მიწას ფეხი და ჭიპი ამოაძრო, ხელი რომ მოექნია, ბუზივით გამსრესდაო.

— ბრიყვო, შენი გასრესა თუ შეუძლია, ჩვენც ამოგვხოცავსო.

— მოუმზადეთ საჭმელი. ხომ ხედავთ, სხვა გზა არა გვაქვსო.

ადგნენ და ერთი კარგი ნასუქი ხარი დაუკლეს. ამხელა ძალა აქვს და ცოტას ხომ არ შეჭამსო.

დიდ ქვაბში მოხარშეს, ერთი ქვაბი ღომიც მიუმატეს.

— მთლიანად მივუტანოთ თუ...

— მთლიანად! კარგი იქნება, თუ ეყო!

ჩაეჭიდნენ ქვაბს და შეიტანეს ქშენა-კვნესით. ღომიც მიაყოლეს.

— თავისუფალი ხართო, — უთხრა ყუიცუყომ.

სულ ორი ოთახი ჰქონდათ ინიჟებს. ყუიცუყო ერთში იჯდა, ისინი — მეორეში. ყველაფერი ესმოდა სტუმარს. ერთი დიდი ორმო ამოთხარა კუთხეში. ცოტა შეკიკნა ხორცი და დანარჩენი ღომთან ერთად ორმოში გადაუძახა. მერე საწოლი დაადგა.

— ცარიელია ჭურჭელი, გაიტანეთო! — დაიძახა.

— მიდი, გამოიტანეო! — ხელსა კრავენ უფროსს. შენი მოყვანილია და შენვე გამოიტანეო.

შევიდა და გამოიტანა.

— შე ასეთო და ისეთო, გინდა, რომ ჩვენც შეგვჭამოსო?— თქვეს ძმებმა და ერთი მაგრად მიჟეჟეს ინიჟი.

დაფიქრდნენ გოლიათები:

— რა ვქნათ, რა ვიღონოთო?

— როგორ მოვკლათო?

ჯერზე ერთ ხარსა ჭამს, მაგას ვინ მოერევაო?!

— მოდით, წყალი დავდგათ ცეცხლზე, დაიძინებს და დავმდუღრავთო, — ამბობს ერთი. ყუიცუყოს კი ყველაფერი ესმის.

როგორც კი თვალი მილულა სტუმარმა, ვაი-ვაგლახით აათრიეს სხვენზე ერთი დიდი ქვაბი.

ადგა ყუიცუყო და ფეხაკრეფით მივიდა მეორე კუთხეში, გადმოასხეს ძმებმა მდუღარე. მივიდა ყუიცუყო, გადასწია საბანი და ჩაწვა ლოგინში.

გათენდა.

— წამოდით, მკვდარი თუა, გამოვათრიოთო, — თქვეს გოლიათებმა.

შევიდა უფროსი და რას ხედავს, — მთელი და საღ-სალამათია ქაჩალი.

— თქვენ არ გაიხარეთ! სახლი ჰქვია ამას? ხან — თბილი წვიმა, ხან — ცივი დამდიოდა. არა გრცხვენიათ? ამ სახლში როგორ ცხოვრობთ? ღმერთს ვფიცავ, ჩემი სახლი სჯობია. თბილმა წვიმამ არ დამაძინაო, — თქვა სტუმარმა.

— რას ამბობსო? — ჰკითხეს ძმებმა ინიჟს.

— თბილმა წვიმამ არ დამაძინაო.

ადგნენ და ერთხელაც მიჟეჟეს გოლიათი.

— რა ვქნათო?

— ავდგეთ და ერთი დიდი ქვა რომ გვიგდია ეზოში, ავიტანოთ სხვენზე და იქიდან დავუშვათო.

ასვეს, აჭამეს ყუიცუყოს და დააწვინეს. როცა იფიქრეს, დაიძინაო, აიტანეს ქვა სხვენზე.

ადგა ყუიცუყო და მეორე კუთხეში გადაინაცვლა. ჩამოაგდეს ქვა და ჩაანგრიეს საწოლი. ადგა ყუიცუყო, გადასწია საბანი და როგორღაც მოიკუნტა ლოგინზე.

— მიდი, მკვდარი იქნება. გამოათრიე და სადმე ჩაფალი, ნუღა დაგვანახვებო, — უთხრეს ძმებმა გოლიათს.

შევიდა გოლიათ და რასა ხედავს?! — ცოცხალია ქაჩალი.

— ღმერთმა თქვენც დაგწყევლოთ და თქვენი სტუმარიც! კრაზანებმა არ მომასვენეს. ეს ქვა კი საიდან გაჩნდა, არ ვიცი. ალბათ, სხვენიდან ჩამოვარდა. გვერდზე გავწიე, ცოტას დარჩა, ფეხი მომყვა. სინდისი აღარა გაქვთ? ერთი სტუმარი ვერ შეგინახავთ? ამხელები ხართ და ამ სახლში როგორ ცხოვრობთო? — ამბობს ყუიცუყო.

რაოო? — მისცვივდნენ ძმები.

— ღმერთმა რომ თვალები აგიბათ და არ გაიხაროთ! კრაზანებმა დამკბინესო.

— როგორც მოიყვანე, ისე წაიყვანე. რაც გინდა, ისა ქენი. თუ გინდა, მოეკვლევინე. ჩვენ კი წავალთო, — გაცხარდნენ ძმები. ადგნენ და წავიდნენ, მარტო დატოვეს უფროსი.

— ყუიცუყო, ხომ არ მოიწყინეო? — ეკითხება ინიჟი.

— ფეხსაც არ მოვიცვლი, სანა ოქროთი სავსე ქისას არ მომცემ! თანაც ფეხით რა წამიყვანს? შენ წამიყვანეო!

შეაჯდა ინიჟს და გზას გაუყენა. ეზოსთან გააჩერა და უთხრა:

— აი, ჩემი სახლი. აქ იყავი, შევალ და ახლავე გამოვალო.

შევიდა.

— დედა!

— რაო, შვილო?

— ერთი ინიჟი მოვიყვანე. აქ დავსვამ და გეტყვი, აჭამე-მეთქი. „ნახევარი გოლიათი მქონდა და ისიც შევჭამე, ჩიტი ხომ არა ვარ, ჭამა მეც მინდა-თქო", — მიპასუხე.

— კარგი, შვილო.

— ინიჟო, შემოდი!

ისე ეშინოდა ინიჟს, როგორც კატას — ცეცხლის, მაგრამ მაინც შევიდა.

— დედა, დააპურე სტუმარიო!

— რა ვქნა, ნახევარი ინიჟი მქონდა და ისიც შემომეჭამა, მეც მინდა ჭამა, ჩიტი ხომ არა ვარო, — უპასუხა დედამ.

— ინიჟის ხორცს ჭამთო?

— ვჭამთ რომელიაო?

შეშინდა გოლიათი, ქშენა აუტყდა, ყუიცუყო კი ადგილს მოსწყდა და ჭერში ავარდა.

— რა მოგივიდაო?

— შენი შეჭმა მინდა, ყველა კარი უნდა ჩავკეტოო.

წამოხტა ინიჟი, თავით გაამტვრია კარი და გავარდა. კარი კისერზე ეკიდა და ისე გარბოდა. ყუიცუყო უკან გაეკიდა.

უცებ მელა გადაუდგა გოლიათს:

— დაგექცეს ოჯახი! ბრიყვი ხარ და ბრიყვად დარჩები! ერთი დატყმით გააბრტყელებ მაგ საძაგელს...

— შენც ჩემი მოკვლა გინდა! — დაიღრიალა ინიჟმა.

დაიჭირა მელა, დაახეთქა მიწაზე და სული გააფრთხობინა. მივიდა ყუიცუყო, მელას ტყავი გააძრო.

ამბობენ, ყუიცუყო დღესაც ბედნიერად ცხოვრობსო.

დაუშჯერჯი და მაზითლი*

იყო ერთი მშვენიერი და გონიერი ქალი ჰაფცა ნაჰო. სოფლის თვალი იყო, ყველას ჭკუის დამრიგებელი.

შეკრიბნენ ერთ დღეს მთელი სოფლის ყმაწვილი ქალები და უთხრა:

— დედებს ქათმები დააკვლევინეთ, ჰალცა* და ჟამუყი* გააკეთეთ. ჭაბუკები გავიყვანოთ მინდორზე და ქუდში სროლა, შურილასი* და თხრილზე ხტომა გავმართოთო.

ქალიშვილები წავიდ-წამოვიდნენ და მაშინვე საქმეს შეუდგნენ. მალე მთის ძირას შეიკრიბნენ მხედრებთან ერთად. იპურმარილეს, ითამაშეს, იმხიარულეს, ტყეში წავიდნენ, თხილი მოაგროვეს. ბოლოს განცალკევდნენ ქალები და ჭაბუკები.

ტყის პირას ანწლი ხარობდა. ქალიშვილებს ხელში ყმღანი* ეჭირათ და რიგრიგობით შედიოდნენ ანწლიანში. მოვიდა მაზითლი, ყველაზე ლამაზ ასულს დაადგა თვალი და ანწლიანში დაიმალა. როგორც კი ნაჰო ანწლიანში შევიდა, მაზითლი მიეპარა, ქალიშვილს პირზე ხელი დააფარა, რომ არ ეყვირა, და გაიტაცა.

ნაჰოს დიდხანს ელოდნენ მეგობრები, რატომ არ მოდისო? მხრებს იჩეჩავდნენ. მერე დაუძახეს. როცა არავინ გამოეპასუხათ, შევიდნენ და მიწაზე დაგდებული ყუმღანის მეტი ვერაფერი ნახეს.

— ვაი, ნაჰო დაიკარგა! — დაიძახეს შეშფოთებულებმა. მხედრები ცხენებს მოახტნენ და ტყისკენ გაქუსლეს, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს.

— დათვმა თუ მოიტაცა, ძვლებს მაინც რატომ ვერ ვპოულობთ? — უკვირდათ.

დაუშჯერჯიც ეძებდა ნაჰოს.

გავიდა რამდენიმე წელი, დაივიწყა ხალხმა ნაჰო.

ერთხელ დაუშჯერჯი სანადიროდ წავიდა. მთის ძიას დაუღამდა. ცეცხლი გააჩაღა. ნანადირევი გაატყავა და ტყავი გასაშრობად გადაჭიმა. დიდი შამფური გამოთალა, ხორცი აასხა და შეწვა დაიწყო. ამ დროს ხმაური მოესმა. დაინახა, რომ მაზითლი უახლოვდებოდა.

— მშვიდობის ცეცხლი! — მიესალმა მაზითლი.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! კეთილი იყოს შენი მოსვლა! დამეწვიე! — ამოიღო დაუშჯერჯმა ხანჯალი, ვეება შამფური გამოთალა, ზედ ააგო შვლის ბეჭი და ფერდი და მაზითლს გაუწოდა.

შეათბო მაზითლმა ხორცი და ისე ჭამა, რომ სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა ტუჩებზე.

— კიდევ ხომ არ გინდაო?

— რატომაც არაო, — უპასუხა მაზითლმა.

კიდევ მისცა დაუშჯერჯმა. კიდევ შეათბო და შეჭამა, ისევ შესთავაზა, მაგრამ მაზითლმა უკვე იუარა, დავნაყრდიო.

— იქნებ თვალი მოგვეტყუებინა? — გამოსაცდელად თქვა დაუშჯერჯმა.

— კარგი იქნებაო.

— როცა გძინავს, რასა გრძნობო? — ჰკითხა მაზითლმა დაუშჯერჯს.

— არ ვინძრევი და გონი დაკარგული მაქვს. შენ როგორღა ხარ?

— ნესტოებიდან ნაპერწკლები მცვივაო.

— რა იციო?

— ერთი თანამგზავრი მყავს, იმან მითხრაო.

— კარგი, დავიძინოთ, — თქვა დაუშჯერჯმა და ორივე დასაძინებლად მიწვა.

დაუშჯერჯი ერთი ჯირკის უკან დაწვა, რათა ქარს არ შეეწუხებინა, ჰარციგიც* ნაიფარა.

თვალზე რული არ ეკარებაა დაუშჯერჯს, გვერდით თოფი უდევს. გამაძღარმა მაზითლმა კი არხეინად დაიძინა. მალე ნესტოებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. ადგა დაუშჯერჯი და ჰარციგი ჯირკს გადააფარა, თვითონ კი ხეზე ავიდა, თოფი ჯირკს დაუმიზნა.

მალე მაზითლმა გაიღვიძა. ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ფეხაკრეფით მივიდა ჰარციგგადაფარებულ ჯირკთან, იშიშვლა ფოლადის მახვილი და დაარტყა. ესროლა დაუშჯერჯმა და თავში მოარტყა.

— ერთხელაც მესროლე, წვალებით რომ არ მოვკვდეო, — უთხრა მაზითლმა.

— არა, მეორედ არ ვისვრიო.

მოსცილდა ჯირკს დასისხლიანებული მაზითლი და ტყეში წალასლასდა. ჩამოვიდა ხიდანდაუშჯერჯი, დიდი ცეცხლი გააჩაღა და დილამდე იქ იჯდა.

დილით სისხლის კვალს გაჰყვა. კვალმა ორ კლდეს შუა მოქცეულ ვიწრობში მიიყვანა. ერთ გამოქვაბულს მიადგა და დაინახა ქალი. იგი იჯდა და ტიროდა, თავბედს იწყევლიდა. ხის აკვანი ედგა წინ, შიგ ყრმა ეწვინა.

— აქ რომ ვიჯდე, რა ვჭამო, — ჩიოდა, — წავიდე და ან მგელი შემჭამს, ან დათვი დამფლეთს. ხალხს კიდევ როგორ ვეჩვენო?!

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა დაუშჯერჯი.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კეთილო კაცო. ყაბარდოულად ლაპარაკობო?

— ყაბარდოელი ვარ და აბა როგორ ვილაპარაკო! ვინა ხარო?

— ადამიანი ვარო.

— აქ რა გინდაო?

— ერთ დროს ადამიანებთან ვიყავი, მერე მაზითლმა მომიტაცაო.

— სად არის მაზითლი?

— აი, იქ წევს, ვიღაცას დაუჭრიაო.

მივიდა დაუშჯერჯი და ნახა, რომ მაზითლი უკვე მკდარი იყო.

— სიმდიდრე ხომ არ დაუტოვებიაო? — იკითხა დაუშჯერჯმა.

— არა, კაცს თუ მოიგდებდა ხელში, კლავდა, ტანისამოსს ხდიდა და თვითონ იცვამდა, ერთ გამოქვაბულში ძველი, წართმეული თოფები უყრია, ესაა და ეს.

— ადექი, წავიდეთო!

— როგორ წამოვიდეო?

— სანამ ხალხს გავაგებინებ, ჩემთან დაგმალავო.

— ბავშვს რაღა ვუყოო?

— ბავშვიც წავიყვანოთო.

აიყვანა დაუშჯერჯმა ბავშვი, შეჯდა ცხენზე და წავიდა. სიარულში ბავშვი მაგრად მიიხუტა.

— კვდება, საწყალი, — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

დამარხეს ბავშვი და ღამე შევიდნენ სოფელში. დაუშჯერჯმა თავის დედას სთხოვა, რომ ეჭმია ქალისთვის და სუფთა ტანსაცმელი მიეცა.

მალე დაუშჯერჯმა ერთ-ერთ ეზოში შეიყვანა ურემი.

— რაშია საქმე? როდის აქეთ დადის ურმითო? — გაუკვირდა ხალხს.

გამოხსნა დაუშჯერჯმა ხარები, ჩამოსვა ნაჰო ურმიდან და შინ შეიყვანა. პატივით შეხვდნენ სახელგანთქმული ვაჟკაცის თანამგზავრს, ლოგინზე დასვეს. დასხდნენ და ისაუბრეს. ცოცხალია ნაჰოს დედა, ისიც იქ ზის, დაუშჯერჯი უზის გვერდით.

— რამდენი წელია, რაც ნაჰო დაიკარგა? — ჰკითხა სტუმარმა.

— მეცამეტე.

— თუ ნახავ, იცნობ?

— ხელისგულზე სათითისტოლა ხალი აქვსო.

ადგა ყმაწვილი და ხელი ააწევინა ქალს.

— ო, ღმერთო, ეს ხომ ნაჰოა! — წამოიყვირა ქალმა.

— ჰო, ნაჰო ვარ, — უპასუხა ქალმა და დედას მოეხვია.

ერთი მხედარი გაუშვეს სოფელში. დადიოდა და იძახდა: ეჰეი, ნაჰო ვიპოვეთ!

შეიკრიბნენ ყველანი. ჰკითხეს დაუშჯერჯს, როგორ იპოვეო ნაჰო. ერთმა თქვა:

— ღმერთს ვფიცავ, შენი არა მჯერა. არა მგონია, მაზითლი მოგეკლასო.

— ფეხს არ მოგაცვლევინებ აქედან, თუ იქ არ წამომყვები, საიდანაც ქალი მოვიყვანეო, — გაბრაზდა დაუშჯერჯი.

— ჩვენც წამოვალთო, — აყაყანდნენ სხვებიც.

— როგორც კი ინათებს, წავიდეთო, — განკარგულება გასცეს უფროსებმა.

მეორე დღეს დაუშჯერჯმა სოფლელები მაზითლის გვამთან მიიყვანა. მიიხედ-მოიხედეს, წამოკრიფეს თოფები და წამოვიდნენ. თოფის ლულებიდან გველის წიწილები გადმოცვივდნენ.

ყარბეჩი

იყო ერთი ბერიკაცი, ჰყავდა სამი ვაჟი. უმცროსი სულელად მიაჩნდათ, არაფრად აგდებდნენ. როცა მოხუცი დასნეულდა, მხოლოდ უფროსი ვაჟები დაიბარა:

— ამ სატკივარს ვერ გადავურჩები, მოვკვდები. პირველ სამ ღამეს რიგრიგობით უდარაჯეთ ჩემს საფლავსო, — უთხრა და სული დალია.

მიწას მიაბარეს. მოსაღამოვდა. უფროსმა ძმებმა ითათბირეს:

— მამის საფლავზე ვინმე რომ არ იყოს მოსასვლელი, არ გვეტყოდა, საფლავს უდარაჯეთო. ასე რომ, შეიძლება ხიფათსაც გადავეყაროთ. მოდი, ნუ წავალთ! ჩვენი უმცროსი ძმა სულელია, არც შიში იცის და არც სირცხვილი. პირველ ღამეს ის გავგზავნოთ, გავიგოთ, რაშია საქმე და მერე ჩვენ წავიდეთო, — თქვა უფროსმა.

— რომ არ წავიდეს? — შეესიტყვა შუათანა.

— ერთი ასხმა ბლითისთვის ყვლაფერზე დაგვთანხმდება. ბლითები გამოვუცხოთ და საფლავზე გავგზავნოთო, — თქვა უფროსმა ძმამ. ამაზე შეთანხმდნენ.

გამოაცხეს ერთი ასხმა ბლითი და უფროსმა ძმებმა უმცროსს უთხრეს:

— ყარბეჩ, ამაღამ მამის საფლავს თუ უდარაჯებ, ერთ ასხმა ბლითს მოგცემთო.

— კარგი, ვუდარაჯებო.

უმცროსი ძმა სულელად კი მიაჩნდათ, შინ და გარეთ არაფრად აგდებდნენ, მაგრამ სულელი სულაც არ იყო. მიხვდა, რომ მამის საფლავზე ვიღაც უნდა მისულიყო, ამიტომაც მოემზადა. ერთი კარგი მათრახი გაა-

კეთა და ეკლიანი რკინის მავთული შემოახვია. მათრახი ისეთი მაგარი გამოვიდა, რომ ერთი გადაკვრით ტყავს ხეთქავდა. რომ დაღამდა, ვაჟმა აიღო ერთი ასხმა ბლითი, წაიღო მათრახი და სასაფლაოზე წავიდა.

ზის ყარბეჩი და მიირთმევს ბლითებს, წინ კი მათრახი უდევს. შუაღამე გადავიდა, ის იყო ცისკრის ვარსკვლავი უნდა ამოსულიყო, რომ ხმაური მოესმა. ადგა, აიღო მათრახი და დასახვედრად მოემზადა. ხმაური უფრო ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა. და აი, მხედარიც გამოჩნდა. მისი თეთრონი ნესტოებიდან ცეცხლს ყრის და არემარეს წვავს, უკან კი ღრმა ნაფეხურებს ტოვებს. მხედარც ნაპერწკლებს აფრქვევს.

— შეჩერდი, არ გაბედო ახლოს მოსვლა, არ მიეკარო მამაჩემის საფლავს, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო! — შეუძახა მხედარს ყარბეჩმა.

ცხენოსანმა ყური არ ათხოვა, თავს დააცხრა ყმაწვილს, მაგრამ ყარბეჩი არ შეუშინდა, წაეტანა და მავთულშემოხვეული მათრახით დაუწყო ცემა. მაგრად სცემა, დაასისხლიანა, დააფრთხო და გააქცია. ისე სწრაფად გაუჩინარდა მხედარი, რომ ყარბეჩმა ვერც კი დაინახა, საით წავიდა.

ამასობაში კიდეც გათენდა. უმცროსი ძმა შინ დაბრუნდა. მიეგებნენ ძმები:

— როგორ არის საქმე? რა ნახეო? — ჰკითხეს.

— რა უნდა მენახა?! საფლავის ბოძების მეტი არაფერი მინახავს, ვიჯექი და ვჭამდი ბლითებსო.

ჭაბუკი დაწვა და მთელი დღე იძინა. როცა დაღამდა, ისევ სასაფლაოზე წასვლა დაავალეს.

— ერთ ასხმა ბლითს თუ მომცემთ, წავალო, — კვლავ მოისულელა თავი.

მისცეს ბლითი და წავიდა მამის საფლავზე. ზის და ფიქრობს: ნეტა რა უნდა იმ მხედარს? რატომ მოდის მამაჩემის საფლავზეო. ისევ მოისმა საშინელი ხმაური, თეთრონზე მჯდარი მხედარიც გამოჩნდა. ცხენი ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევს და გზისპირებზე ამოსულ ბალახს წვავს, მიწას აზანზარებს, ღრმა ნაფლოქვარს ტოვებს. მხედარი შეუჩერებლად დააცხრა ჭაბუკს. ყარბეჩიც მაშინვე წაეტანა, გადაუჭირა მავთულშემოხვეული მათრახი, ურტყა და ურტყა. მხედარი მიხვდა, რომ სიკვდილი არ ასცდებოდა, შეშინდა და გაიქცა. გზას ცხენის ნესტოებიდან გამოსული ცეცხლი უნათებდა. როგორც უეცრად გამოჩნდა, ისევე გაუჩინარდა. ყარბეჩს ძალზე ეწყინა მხედრის გაქცევა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მესამე ღამეს მაინც გაეგო ყველაფერი, ვინ იყო იგი და რა უნდოდა. ან მოვკლავ, ან მომკლავს, ისე არ გავუშვებო, — თქვა.

ინათა თუ არა, ყარბეჩი შინ დაბრუნდა. ძმები ეზოშივე შეეგებნენ და ჰკითხეს:

— რას იტყვი, რა ნახეო?

— არაფერი. ვზივარ და შევექცევი ბლითებს. ინათებს და ვბრუნდებიო, — ისევ ისე უპასუხა თავის ძმებს, მაგრამ ამჯერად აღარ დაუჯერეს.

— ეტყობა, რაღაც ნახა, მაგრამ არ გვეუბნება ეს ბრიყვი, თუმცა, შეიძლება შეაშინეს კიდეც, სიტყვა ჩამოართვეს, რომ არაფერი თქვასო, — შეეჭვდნენ ძმები.

მესამე ღამესაც მიაჩეჩეს ყარბეჩს ერთი ასხმა ბლითი და საყარაულოდ გაგზავნეს. იჯდა საფლავთან ყარბეჩი, ისევ ატყდა საშინელი ხმაური, ისევ მოვიდა თეთრონზე ამხედრებული კაცი, ცხენის ნესტოებიდან გამოსული ცეცხლი უნათებდა გზას. როგორც კი მიუახლოვდა საფლავს, ყარბეჩი მაგრად ჩაეჭიდა მოსართავს და მავთულშემოხვეული მათრახით დაუწყო ცემა. ნისლივით ასდიოდა ცხენს ოხშივარი. მხედარი მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო და ხელიდან დასხლტომა დააპირა, მაგრამ ყარბეჩს გოლიათის მხარ-მკლავი ჰქონდა. დაჯაბნა პირქუში მხედარი, აღარ გაუშვა და გამეტებით სცემა. მხედარი მიხვდა, საშველი არ იყო.

— გამიშვი და შვიდჯერ დაგეხმარები! — პირველად ამოიღო ხმა — აი, ამ სალესავს მოგცემ, როცა გაგიჭირდეს, გალოკე და მაშინვე შენთან გავჩნდებიო.

— თუ ასეა, დაიფიცე, რომ აქ აღარ მოხვალ და მამაჩემის საფლავს არაფერს ავნებ.

მხედარმა დაიფიცა და ყარბეჩმაც გაუშვა. მხედარი ელვასავით გაუჩინარდა.

დილით ეზოში შესულ ყარბეჩს ძმებმა ჰკითხეს:

— რა ნახე, რა გაიგონეო?

— რა უნდა მენახა? შავი სამარისა და ორი ბოძის მეტი არაფერი მინახავს. თუ მეტყვით, წადიო, ისევ წავალო, — უპასუხა ყარბეჩმა.

— არა, მამის ანდერძი უკვე შესრულებულიაო, — უთხრეს დამშვიდებულმა ძმებმა. უმცროსი მათ თვალში ისევ ბრიყვად დარჩა.

ერთ დღეს ერთმა მდიდარმა ფშიმ ჯეგუ[35] გამართა. ჯეგუზე წასასვლელად ყარბეჩის ძმები საგანგებოდ შეიმოსნენ.

— ჩვენ მივდივართ, შენ სახლს უდარაჯეო, — დაუბარეს ძმებმა და წავიდნენ. ყარბეჩმა უფროსი ძმები რომ გაისტუმრა, თვითონაც წავიდა. გასცდა აულს, ერთ მოფარებულ ადგილას ნაჩუქარი სალესავი ამოიღო. გალოკა და მხედარიც მაშინვე ელვასავით გაჩნდა.

— რა გაგჭირვებიათ? — ჰკითხა მან.

— აი, რა გამჭირვებია: ერთმა მდიდარმა ფშიმ ჯეგუ მოაწყო. მთელი ქვეყნის ვაჟკაცები იქით მიეშურებიან. ისეთი ცხენ-უნაგირი და ტანისა-

მოსი გამიჩინე, რომ ჯეგუზე არ შევრცხვეო, — უთხრა ყარბეჩმა.

— თუ ასეა, ფეხი არ მოიცვალოო, — უთხრა მხედარმა და გაუჩინარდა.

ცოტაც და, თეთრი ცხენიც მოაგელვა უნაგირზე დამაგრებული ტანსაცმლით.

— როცა ყველაფერს მორჩები, ტანსაცმელი ისევ ასე დააკარი უნაგირს და ცხენი გაუშვი. სადავე კარგად აუკრიფე, რომ არაფერს წამოედოსო, — დაარიგა მხედარმა და ისევ გაუჩინარდა.

გაიძრო ყარბეჩმა ძველი ტანსაცმელი და ჩაიცვა ვერცხლისმასრებიანი მაუდის ჩოხა. იარაღიც აისხა. ძველი ტანისამოსი კი ჯაგებში დამალა. მოახტა თეთრონს და გავიდა მინდორში. ვნახოთ, რა ცხენია ან მე რა შემიძლიაო, — თქვა და სამჯერ გადაუჭირა მათრახი. ცხენი მიწას მოსწყდა და ღრუბლებში აიჭრა, მაგრამ რადგან ძალა ერჩოდა მხედარს, მოსწია სადავე და ძირს დაუშვა, მუხლამდე ჩაფლო მიწაში. ჰაერში აცვივდა ცხენის ფლოქვების ანასხლეტი მიწა და ყვავების გუნდივით დაფარა ცა. აი, ასე დაიმორჩილა ცხენი.

ყარბეჩი ჯეგუზე მივიდა. ჯეგუს მონაწილეები თვალს არ აშორებდნენ ყარბეჩს, მაგრამ ვერავინ იცნო. ჯეგუ თავადის ასულის გულის მოსაგებად გაემართათ. ქალს იმ ვაჟკაცს მიათხოვებდნენ, რომელიც მოეწონებოდა. ორი დღე ცეკვა-თამაშში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, მესამე დღეს კი იმართებოდა ჯირითი ტყავისა და ბაირაღისათვის. ყველას თავის გამოჩენა უნდოდა. ყველა აქ მოსულ ფშის იმედი ჰქონდა, რომ ის გახდებოდა ქალის რჩეული. პირველ დღეს ყარბეჩი მშვიდად იდგა ხალხში. მოსაღამოვდა, ხალხი ჯერ არ დაშლილიყო, ყარბეჩი კი ჩუმად გაეცალა იქაურობას, ვერავინ გაიგო, საიდან მოვიდა ან სად წავიდა. ყარბეჩმა ისევ თავისი ძველი ტანისამოსი ჩაიცვა და, როგორც მხედარმა დაარიგა, ისე გაუშვა ცხენი.

ჯეგუდან დაბრუნებული უფროსი ძმები მთელი საღამო თეთრცხენიან მხედარზე ლაპარაკობდნენ.

მეორე დღეს უფროსი ძმები კვლავ ჯეგუზე წავიდნენ, ყარბეჩი კი სოფლის გაღმა გავიდა და სალესავი გალოკა. მაშინვე თეთრონზე ამხედრებული კაცი გაჩნდა.

— რას ისურვებო? — ჰკითხა.

— ისევ ის ცხენი და სამოსი გამიჩინეო.

— კარგი, ახლავეო!

მხედარი გაქრა. მალე შეკაზმული ცხენი და სამოსი გამოჩნდა. ყარბეჩმა ტანსაცმელი გადაიცვა, ცხენს უნაგირი დაადგა და გასწია ჯეგუზე.

მეორე დღესაც ყველა მას უყურებდა. მოსაღამოვდა თუ არა, კვლავ ვერავინ გაიგო, საიდან მოვიდა ან სად წავიდა.

მესამე დღეს ყარბეჩი ისევ იმ თეთრონით* გამოჩნდა. ისეთი ლამაზი იყო, რომ ყველა მას შესცქეროდა. „ვინა ხარ? საიდან მოხვედიო?“ — უნდოდათ ეკითხათ, მაგრამ ვერ უბედავდნენ.

ჯეგუაკომ ცეკვა შეაჩერა და ყარბეჩის მისამართით თქვა:

— კაცებს ვუსურვებ, მათ ცოლებს არ ეტიროთ, ტყვედ არ ჩავარდნილიყვნენ. ქალები ჯანმრთელები და მორიდებულები ყოფილიყვნენ, რათა კეთილ ოჯახებში შევიდნენ. იმას თუ მივირთმევ, რასაც მაწვდიან, მსუნაგი როდი ვარ! იმას თუ ვიმეორებ, რასაც მეუბნებიან, მაბეზღარა როდი ვარ! გეტყვით, რაც მითხრა თავადის ასულმა. დროა, თამაში და ჯირითი დავიწყოთო. მაშ მისმინეთ: ვინც აქ მოვიდა და თავი მხედრად მოაქვს, გვაჩვენოს, რა შეუძლია. გარდა ამისა, მიბრძანეს, თხილის ბაირაღი თეთრონის მხედარს გადავცე. ასე რომ, გვიჩვენე შენი ცხენის ფეხისგულები! — და კაკლებიანი დროშა ყარბეჩს გაუწოდა.

— არა, აქ ჩემზე უფროსი და ღირსეული მხედრებიც არიან. კაკლის ბაირაღი იმას გადაეცი, ვინც ამას იმსახურებს. მე კი ნუ მარცხვენ.

— მართალი ხარ, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, თავადის ასულმა შემაცდინა, — თქვა ჯეგუაკომ და ბაირაღი გადასცა ერთ ჭარმაგ მხედარს, რომელიც, მისი აზრით, ამას იმსახურებდა.

დიდხანს იასპარეზეს, ყარბეჩი კი ადგილიდან არ დაძრულა.

— ჭაბუკო, ცხენიც კარგი გყავს და თავადაც კარგი ხარ. თუ ფიტული არა ხარ და ის ხარ, როგორიც ჩანხან, ჩაერთე თამაშში, გვაჩვენე შენი ცხენის სიმარდეო, — უთხრა ერთმა ბერიკაცმა.

— რა გაეწყობა, მამილო, ვითამაშებო! — თქვა ყარბეჩმა და ეზოდან გავიდა. თვალის დახამხამებაში წამოეწია დაწინაურებულ მხედარს და ბაირაღი ხელიდან გამოსტაცა. რამდენს არ ეცადნენ, მაგრამ ვერც ერთი მხედარი ვერ დაეწია. ბოლოს ყარბეჩი მობრუნდა, „ითამაშეთო!“ — თქვა და მხედრებს ბაირაღი დაუბრუნა. მერე დაიწყეს ტყავისათვის შეჯიბრი. აქაც თხოვნით ჩაერია თამაშში. მიყარ-მოყარა ხალხი, წაეტანა ტყავს და ყველა მეტოქე მიწაზე მოფინა. მოიტაცა ტყავი და ერთხანს აულის შორიახლო ატარა, მერე მობრუნდა და მხედრებს დაუბრუნა. ყველა მიხვდა, რატომ არ უნდოდა თამაშში ჩაბმა.

ბოლოს ცხენი იმ შაღინდაყისკენ გააჭენა, რომელშიც თავადის ასული იჯდა. ცხენი მკერდით აძგერა შაღინდაყს და ბოძი გამოაცალა. როგორც კი ასული გადმოვარდა, მაშინვე შებრუნდა, არწივივით გაექანა და ჰაერში დაიჭირა. გაიტაცა და წავიდა.

— ალაჰ, თეთრცხენიანმა თავადის ასული მოიტაცაო! — ატეხეს წივილ-კივილი. დაედევნენ, მაგრამ მხედარი აღარ ჩანდა. ვერავინ დაინახა, საით წავიდა. „საოცრება იყო, უბრალო მოკვდავი ამას ვერ იზამდაო“. პირი იბრუნეს მდევრებმა.

ყარბეჩმა ქალი თავისი მამის მეგობართან მიიყვანა, თან გააფრთხილა:

— ქალს ნუ დაელაპარაკები, ჩემი სახელი არ წამოგცდეს. ქალსაც ნუ ახსენებ სხვებთან, მიმიხედე ჩემს დაბრუნებამდეო, — და წავიდა. როცა სოფელს მიუახლოვდა, თეთრონი გაუშვა.

საღამოს ძმები ჯეგუდან დაბრუნდნენ და ისევ უცნობ მხედარზე დაიწყეს ლაპარაკი.

— საოცარი კაცია, ნეტა ვინ არისო? — თქვეს.

ყარბეჩს გულიანად გაეცინა.

— რა გაცინებს, შე საცოდავოო? — შეუტიეს ძმებმა.

— თქვენს სიბრიყვეზე მეცინებაო.

— ხედავ, რას ამბობს ეს მართლა ბრიყვი?! არ იცის, რაზე ვლაპარაკობთ და მაინც ყბედობსო.

— თეთრონზე ამხედრებულ კაცზე ლაპარაკობთ, ჯეგუზე რომ მოვიდა. ის კი ჩვეულებრივი მოკვდავია, ჩვენი სოფლელია, უფრო მეტიც, ჩვენი ოჯახის წევრიაო, — უთხრა ყარბეჩმა.

— ნახე, ნახე, რას ამბობს ეს სულელი? საიდან იცის იმ მხედრის ამბავიო?

— ან მართლა სულელი ვარ, ან ის მხედარი, ვისზეც ლაპარაკობთ, მე ვარო.

ახლა კი იხარხარეს ძმებმა, მაგრამ ყარბეჩმა მხედრის გარეგნობა რომ აღუწერა და მის ნამოქმედარზეც ილაპარაკა, ისიც რომ უთხრა, სად იშოვა ცხენი, რა გადახდა მამის საფლავზე, დაუჯერეს.

— აქამდე არ ვიცოდით, რა ძმა გვყოლია, უსამართლოდ ვექცეოდით, შევცდითო, — თქვეს შერცხვენილმა ძმებმა.

ყარბეჩმა მამის მეგობართან გასწია. როცა მივიდა, ქალს პატივისცემითა და თავაზიანად ელაპარაკა.

— შენ თუ ფიქრობ, რომ ცოლად გამოგადგები, მეც იმედი მაქვს, რომ ქმრად ივარგებ. თუ გინდივარ, მეც მინდიხარო! — უთხრა ქალმა.

ყარბეჩმა ქალი შინ წამოიყვანა, რადგან ქვეყანაზე არაფერი იმალება, ეს ამბავი მალე ფშის ყურამდე მივიდა.

— უვარგისია შენი სიძე. სამნი ძმანი არიან და კინკლაობას უნდებიან, ერთმანეთს ჭამენ. შენი სიძე ბრიყვია, შენი ქალის ღირსი არ არისო, — ჩააწვეთეს ფშის.

— წადით და უკან მომგვარეთ ქალიო! — უბრძანა ფშიმ თავის ვაჟებს.

— არ დაგიმალავთ, დის წასაყვანად მოვედითო, — უთხრეს ცოლის ძმებმა ყარბეჩს.

— თუ ასეა, შედით თქვენს დასთან და ჰკითხეთ. თუ ხელს აიღებს ჩემზე და შინ დაბრუნებას ისურვებს, წაიყვანეთ, მაგრამ თუ ჩემთან დარჩენას ინდომებს, არ გაგატანთ. ძალას თუ იხმართ, გაფრთხილებთ, ცუდად წაგივათ საქმეო, — უპასუხა ყარბეჩმა.

ძმები ყარბეჩთან ერთად მივიდნენ დასთან.

— თუ შენი ნებით წამოხვალ, წამოდი, თუა რა და ძალით უნდა წაგიყვანოთო.

— როგორც მოხვედით, ისე წადით, მამა კი დამშვიდდეს და შემინდოს. თავი დაგვანებეთო, — უპასუხა ქალმა.

— კეთილი, შენ თუ კარგად იქნები, ჩვენც ეგ გვინდაო! — თქვეს ძმებმა და შინ დაბრუნდნენ.

ქალის მამა გაბრაზდა:

— ვნახოთ, ვინ უფრო ძლიერიაო!

შეკრიბა უორყები სათავადოს ყველა აულიდან, სალაშქროდ გაამზადა და უბრძანა, სამ ძმას თავს დაესხით, დახოცეთ და ქალი წამოიყვანეთო. ლაშქარს ის კაციც გააყოლა, ვისთვისაც ქალის მითხოვებას აპირებდა.

როცა სოფელს მიუახლოვდნენ, კაცი აფრინეს ძმებთან. შეეგება ყარბეჩი მხედარს და უთხრა:

— სამივესთან ბრძოლა რა საჭიროა, უმცროსი მე ვარ და მე შეგებრძოლებით. მოახსენე, ახლავე მოვდივარო, — და უკან გააბრუნა მაცნე.

გასცდა ყარბეჩი სოფელს, გალოკა სალესი ქვა, მაშინვე გაჩნდა თეთრონზე ამხედრებული კაცი და ჰკითხა, რა გაგჭირვებიაო?

— სასწრაფოდ მჭირდება თეთრონი, ჯაჭვის პერანგი, ისეთი შუბი და მახვილი, რომელიც ერთი დაკვრით მოსპობს მტერს, — უთხრა ყარბეჩმა.

მხედარმა სწრაფად გაუჩინა, რაც სთხოვა.

— ამ იარაღის იმედი გქონდეს, არ იფიქრო, დაარტყა ვინმეს და ცოცხალი გადარჩეს, ეს ჯაჭვის პერანგიც არაფერს მიიკარებს. შენ თუ ივაჟკაცებ, იარაღი არ გიმტყუნებს, — უთხრა და გაქრა.

შეიარაღდა ყარბეჩი და სიმამრის გამოგზავნილ უორყთან მივიდა.

— ძალით თუ გამოგგზავნათ ფშიმ, არას გავნებთ, თქვენის ნებით თუ მოხვედით, მზად ვარ, შეგებრძოლოთ. არ მინდა, რომ ტყუილუბრალოდ დაიღვაროს სისხლიო, — უთხრა უორყებს.

— გესმით, რას ამბობს ეს თავხედი?! როგორ, ძალით გამოგვრეკა-

ვდა ფში?! ჩვენი ფშის სირცხვილი ჩვენი სირცხვილია. ძაღლად გაჩენილი ძაღლივით უნდა მოკვდეს. შენი თავის წასაღებად მოვედით. შენ თუ შეგიძლია, თავი დაიცავიო!

— თუ ვაჟკაცები ხართ, გამიმაგრდითო! — შესძახა ყარბეჩმა და მახვილი იშიშვლა. სასიკვდილოდ არ დაუჭრია, მაგრამ ცხენებიდან პანტა-პუნტით ჩამოყარა მხედრები, ერთმანეთზე მიაწყო.

გაუშვა ცხენი, მიბრუნდა შინ და დაჯდა ისე, ვითომც არაფერი მომხდარიყოს.

რის ვაი-ვაგლახით მივიდნენ დაჭრილი მხედრები ფშისთან.

— უფრო ბევრნი რომ ვყოფილიყავით, მაინც ვერას დავაკლებდით. ჩვენი დახოცვა რომ მოენდომებინა, არც ეს გაუჭირდებოდა. ცხენს შესანიშნავად იმორჩილებს, ერთი დარტყმით სამ მხედარს კაფავს. ერთდროულად ხმარობს შუბსა და მახვილს. ვისაც ხელს შეავლებს, ზურგსუკან გადაისვრის. არ ვიცით, როგორ ვძლიოთო, — მოახსენეს საქციელწამხდარმა უორყებმა.

— ვერ მოვისვენებ, სანამ თავს არ წავაგდებინებო! — თქვა ფშიმ და ისევ შეაგროვა უორყები და უბრძანა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ყარბეჩის თავი მოეტანათ.

— ეს რა აიჩემა ფშიმ! ვაი მაგის ბრალიო! — თქვა ერთმა ჭკვიანმა ბერიკაცმა.

მაშინვე მიუტანეს ფშის ამბავი. იმანაც ბერიკაცი სიკვდილით დასაჯა.

როგორც ადრე, მხედრები მივიდნენ აულის ბოლოს და მაცნე გაგზავნეს ყარბეჩთან. ყარბეჩი გამოვიდა აულიდან, გალოკა სალესი ქვა და მაშინვე გაჩნდა მხედარი თავისი თეთრი ცხენით. ყარბეჩმა უთხრა:

— გუშინდელი ცხენ-იარაღი გამიჩინეო.

ეს თქვა თუ არა, თეთრონის მხედარმა ყველაფერი მოართვა. თან ერთი ჯაჭვის პერანგიც დაუმატა.

— ახლა ორი პერანგი უნდა ჩაიცვაო, — უთხრა თეთრონის მხედარმა, — ჯერ იმ ულმობელ ფშის გაუსწორდი, ამდენ ხალხს რომ მოერეკება შენს მოსაკლავად, შენ კი ნუ გეშინია, ვერც ტყვია მოგეკარება და ვერც შენს ცხენს დაეწევიანო.

ადგა ყარბეჩი და გაემართა ფშისაკენ. თავადს კაცი მიუგზავნა, შენი სიძე მოვიდა და გიხმობსო. შიშით სული გასძვრა ფშის და უარი შეუთვალა.

ყარბეჩმა შეუთვალა:

— არ იქნება, მტრებმა არ ნახონ ერთმანეთიო.

ამის პასუხად ფშიმ თქვა:

— ვაჟკაცი ჯარს უნდა შეებრძოლოს და არა იმას, ვინც მარტო ზის

სახლში და განკარგულებებს იძლევაო.

— თუ ასეა, შეიარაღდი და მებრძოლებს შეუერთდიო, — შეუთვალა ყარბეჩმა.

სიმამარმა შეატყო, რომ სიძე თავს აღარ დაანებებდა. შეიარაღდა და თავის მხედრებს შეუერთდა. მოვიდა ფში და ბრძოლაც დაიწყო. ყარბეჩი შეიჭრა ლაშქარში და შუაზე გააპო იგი. გამოინაპირა ფში, კურდღელივით წინ გაიგდო, უწვდინა მახვილი და მოკლა. ხმალამოწვიდლი რომ დაბრუნდა ლაშქართან საბრძოლველად, ყველა მიხვდა, რომ ფში ცოცხალი აღარ იყო.

— რა ძალა გვადგას, რისთვის ვიბრძოლოთ? ფში ცოცხალი აღარ არის, რისთვის შევაკლათ თავიო, — თქვეს უორყებმა და შინ წავიდ-წამოვიდნენ.

გაუშვა ყარბეჩმა თეთრონი, დაბრუნდა შინ და ვითომც არაფერი, საოჯახო საქმეებს მიუბრუნდა.

ახლა, როცა მტერთან საქმე აღარ ჰქონდა, ქორწილზე დაიწყო ზრუნვა. მაგრამ რადგან არაფერი ებადა, დაფიქრდა, რა ეღონა. როცა გამოსავალი ვერ იპოვა, ადგა და მივიდა აულის განაპირას, სადაც ჩვეულებრივ დადიოდა და სალესი ქვა გალოკა. მაშინვე არ გაჩნდა მხედარი. მან უკვე შეასრულა თავისი პირობა, შვიდჯერ დაეხმარა. კიდევ ერთხელ გალოკა სალესი ქვა. მხედარი მაინც არ გამოჩნდა. მესამედაც გალოკა. მაშინ კი გაისმა საშინელი ხმაური და მხედარიც მოვიდა. გზისპირებზე ამოსულ ბალახს წვავდა მისი ცხენის გამონასუნთქი. ღრმა კვალს ტოვებდა მისი ნაფეხურები.

— რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხდა მხედარმა.

— სიტყვა კი შეასრულე, მაგრამ ერთხელ კიდევ დამეხმარე, ცხენ-უნაგირი მათხოვეო.

— ეს ცხენი ზედმეტია ჩემთვის. რადგან დაიმსახურე, გაჩუქებო, — უთხრა კაცმა, — ახლა კი მომისმინე, შვილო, აი, რატომ დავდიოდი მამაშენის საფლავზე: მე მამაშენს შევპირდი, რომ მის შვილებში იმას მივცემდი იარაღს და ცხენ-უნაგირს, ვინც ყველაზე გამბედავი აღმოჩნდებოდა. როცა უკანასკნელად სიკვდილის პირას მისული ვნახე მამაშენი, ვთხოვე, ანდერძი დაეტოვებინა, რომ რიგრიგობით ედარაჯათ ვაჟებს საფლავისათვის. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ გამომეცადეთ. მამაშენზე მამაცი ქვეყანაზე არ დადიოდა. ბევრი საგმირო საქმე ჩაიდინა. ბევრჯერ მოხვდა ისეთ ადგილას, სადაც უნდა ევაჟკაცა და ივაჟკაცა კიდეც, ბევრჯერ დაჯაბნა მტერი. მე ვიცოდი, რომ ერთ-ერთი თქვენგანი მამასავით მამაცი იქნებოდა. მას შემდეგ, რაც შვიდჯერ შეგისრულე თხოვნა, ცხენ-იარაღიც უნდა მეჩუქებინა. ასე რომ, ღმერთმა მოგახმაროს. აჰა, ყველაფერი შენი იყოს,

ამის შემდეგ ველარ მიხილავ, ჩემი იმედი ნუ გექნება, — თქვა მხედარმა, გადაუჭირა ცხენს მათრახი. ისეთი ხმა გაისმა, რომ ზარბაზნის გასროლას ჰგავდა და ისევე სწრაფად გაუჩინარდა, როგორც მოვიდა.

უმცროსი ძმა — ყარბეჩი პირველად შევიდა ეზოში თეთრონზე ამხედრებული, ძვირფას სამოსში გამოწყობილი, იარაღასხმული, ისეთივე მშვენიერი, როგორიც ჯეგუზე იყო.

ადგა ყარბეჩი და ღარიბებს დაურიგა თავადის ქონება, — მაინც ხომ მათი ნაამაგარი იყო! შეკრიბა ხალხი და შვიდდღიანი ქორწილი გადაიხადა. საუკეთესო ვაჟკაცად მიაჩნდათ იმ ქვეყანაში, ხალხსაც უყვარდა და მასაც უყვარდა ხალხი. დიდხანს ცხოვრობდა ჯანმრთელად და ბედნიერად.

კაცი, რომელმაც ჭკუა იყიდა

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი ვაჟი. ერთ წელსაც დიდი გვალვა დაიჭირა და შიმშილობა ჩამოვარდა. ხალხს ძალზე გაუჭირდა, მათ შორის ამ ოჯახსაც. ვაჟმა მეტი რომ ვერაფერი იღონა, მოჯამაგირედ დადგომა გადაწყვიტა და გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ გრძელულვაშებიანი მდიდარი კაცის სახლს.

კაცმა შეხედა და უთხრა:

— მობრძანდი, გეტყობა, დაღლილი ხარო.

— კი, დაღლილიც ვარ და მასპინძელიც მჭირდებაო.

ცოტა ხანს ისაუბრეს. სანამ მასპინძელი ჰკითხავდა, თვითონვე გაუმხილა თავისი მგზავრობის მიზანი.

— ცოლ-შვილი მყავს სარჩენი, ჩვენსკენ დიდი შიმშილობაა. სამუშაოს ვეძებ, თუ ვიშოვი, მოჯამაგირედ დავდგებიო.

— მე დაგეხმარებიო, — უთხრა გრძელულვაშებიანმა კაცმა, — თუ პირნათლად შეასრულებ, რასაც დაგავალებ, გასამრჯელოს გადაგიხდიო.

აი, ასე იშოვა სამუშაო. ერთხანს ცხენებს მწყემსავდა, მერე — ხარებს. მიიწურა მესამე წელი და ოჯახზე ფიქრმა შეაწუხა.

— რატომ მოიწყინე, ჩვენო სტუმარო? — ჰკითხა მასპინძელმა.

— დარდი შემომაწვა, უკვე სამი წელია, შინიდან წამოვედი. საჭმელს კი ვშოულობ, მაგრამ ყელში არ გადამდის. არ ვიცი, რა დღეშია ჩემი ცოლ-შვილი. ოჯახზე ფიქრმა დამაღონაო.

— თუ ასეა, — თქვა გრძელულვაშამ, — დილით გასამრჯელოს მოგცემ და შინ დაბრუნდებიო.

მისცა დილით სამი ოქრო, მოამზადებინა მისთვის საგზალი და გაისტ-

უმრა. მიდის კაცი, მაგრამ გასამრჯელო ეცოტავება. რა ტყუილუბრალოდ ვიშრომე ეს სამი წელიო, ფიქრობდა.

დიდი გზა გაიარა, საგზალი შემოელია, ფულისთვის ხელის ხლება კი ვერ გაუბედავს. ბევრი სოფელი და ქალაქი გაიარა. ბოლოს ერთ დიდ ბაზარში შევიდა. ძალზედ მოშივდა, მაგრამ ფულს დასახარჯავად ვერ იმეტებს. აქეთ-იქით დადის. უცებ დაინახა ერთი მაღალი კაცი, რომელიც განუწყვეტლივ იმეორებდა: ვყიდი, ვყიდი, ვყიდი! არ კი ამბობდა, რას ყიდდა, არც წინ ედო რამე.

— ნეტა, რას ყიდისო? — გაუკვირდა კაცს. მივიდა და ჰკითხა:

— რას ყიდი, რომ ამბობ, ვყიდიო, გასაყიდი კი არაფერი გიდევს წინ?

— ჭკუას ვყიდიო, — უპასუხა მან.

— ჭკუა რომ არ იყიდებაო?!

მშიერმა მოჯამაგირემ აქეთ-იქით სიარული განაგრძო. ის მაღალი კაცი კი, ვყიდი, ვყიდი, ვყიდიო, გაიძახის განუწყვეტლივ. მოდი, კიდევ ერთხელ მივალ, გაიფიქრა მოჯამაგირემ და ჭკუის გამყიდველთან მივიდა.

— რა ღირს ის ჭკუა, შენ რომ ყიდიო? — ჰკითხა.

— ერთი ოქროო.

ამოიღო ერთი ოქრო და მისცა.

— თუ მომყიდე, ბარემ მომეცი ჭკუაო, — უთხრა მოჯამაგირემ.

— გზაზე მიმავალი მდინარეს თუ მიადექი, სანამ ფონს არ იპოვი, არ შეხვიდეო, — დაარიგა კაცმა.

— ეს ღირს ერთი ოქროო? — ჰკითხა მან, რადგან რაღაც მეტს მოელოდა.

— ერთი ოქროს საფასური უკვე გითხარიო, — უპასუხა მაღალმა კაცმა.

— ერთი წლის ნაშრომი ტყუილუბრალოდ დავკარგეო, — ჩაილაპარაკა მოჯამაგირემ და გაშორდა. დაღონებულმა ისევ ბაზარში დაიწყო ხეტიალი. მაღალი კაცი კი არ ჩუმდება, ვყიდი, ვყიდი, ჭკუას ვყიდიო, გაიძახის.

— ბარემ ერთხელაც მივალ იმ ახმახთანო, — თქვა და მივიდა. მივიდა და მეორე ოქროს მანეთიანიც მისცა.

— მითხარი, რას მომყიდიო!

— რასაც უნდა აკეთებდეს კაცი, სანამ არ გთხოვს, მისი საქმეში არ ჩაერიოო, — უთხრა მაღალმა.

— სულ ეს არისო?!

— ეს არისო.

— მეორე წლის ნაშრომიც წყალს გავატანეო, — ჩაილაპარაკა მოჯა-

მაგირემ და გაბრუნდა. ყურებჩამოყრილმა განაგრძო წინ და უკან სიარული. ჯიბეში ერთი ოქროღა ედო. მაღალი კაცი კი არ ცხრება, ვყიდი, ვყიდი, ჭკუას ვყიდიო, გაიძახის. მოჯამაგირე მესამედაც მივიდა.

— კიდევ მომყიდეო, — უთხრა და უკანასკნელი ოქროს მანეთი დაუდო.

— აი, რა უნდა მოგყიდო: როცა გაბრაზდები და კაცის ცემას დააპირებ, ჯერ ასამდე დაითვალე, გული დაიმშვიდე და მერე რაც გინდა, ის გააკეთეო.

ჯიბედაცარიელებულმა მოჯამაგირემ ბაზარი დატოვა და გზას გაუდგა. მალე დიდ მდინარეს მიადგა. მდინარეზე ხიდი არ იყო. იდგა და ფიქრობდა, როგორ გადავიდეო. ამ დროს ერთი მდიდრულად ჩაცმული, ძვირფასად შეკაზმულ ცხენზე ამხედრებული კაცი წამოადგა თავს.

— რას უდგახარო? — ჰკითხა მოჯამაგირეს.

— არ ვიცი, ფონი სად არისო.

— თუ ვაჟკაცი ხარ, ფონი რა საძებარიაო! — თქვა, გადაუჭირა ცხენს მათრახი და წყალში შეაგდო. ორივე წყალმა დაფარა, მერე ისევ გამოჩნდნენ, მაგრამ შორს ვერ წავიდნენ. მდინარის ფსკერი შლამიანი იყო, ცხენი ჩაითრია და ორივე დაიხრჩო. ამ ამბის მნახველმა მოჯამაგირემ ბაზრისკენ მომავალი ცხენოსნები დაინახა. მათმა წინამძღოლმა ჭაბუკი გამოგზავნა.

— აქ რატომ დგახარო? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— ფონი არ ვიცი, სად არის. აქ შესული ცხენ-მხედარი კი დაიხრჩოო, — უპასუხა მოჯამაგირემ.

მხედარი გაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ჭაბუკი ისევ მოვიდა:

— მოიყვანეო, მიბრძანა წინამძღოლმა და შენთან გამომგზავნაო, — თქვა მან.

მოჯამაგირე წინამძღოლთან მივიდა.

— ფონი იქ კი არ არის, სადაც შენ დგახარ, არამედ, აი, იქ. გადახვალ მდინარეზე და აულს მიადგები. სხვა ადგილას თუ გადალახავ, დაიღუპებიო, — უთხრა წინამძღოლმა.

მოჯამაგირემ დაუჯერა, ფონზე გავიდა და სოფელში შევიდა. დაინახა ეზო, სადაც მკვიდრად ნაგები შენობები იდგა და იქით გასწია. ჭიშკართან კაცი იჯდა. მის დანახვაზე წამოდგა და უთხრა:

— შემოდი, სტუმარი ხარო.

— ძალიან მჭირდება მასპინძელიო, — მიუგო მოჯამაგირემ.

— მობრძანდიო! — თქვა მასპინძელმა და ეზოში შეუძღვა.

მერე სასტუმრო ოთახში შეიყვანა და დასვა. თვითონაც სტუმარივით იჯდა, ხმას არ იღებდა.

როცა მოსალამოვდა, ერთიმეორეზე უკეთესი საჭმლით სავსე შვიდი

ტაბლა* შემოიტანეს.

— მშვიდად მიირთვი, სტუმარო. მე კი იქ უნდა წავიდე, საიდანაც ეს ტაბლები მოიტანესო, — თქვა კაცმა და გავიდა.

მიუჯდა საწყალი კაცი ერთ ტაბლას და კარგად დანაყრდა, სხვა ტაბლებისთვის ხელი არ უხლია.

ცოტა ხნის შემდეგ მასპინძელი სასტუმრო ოთახში შემობრუნდა.

— ჩვენო სტუმარო, რატომ არაფერი მიირთვიო? — ჰკითხა.

— მე ერთი ვარ, აქ კი შვიდი ტაბლაა. შვიდივედან ხომ არ შევჭამდი?! უკვე დავნაყრდიო, — უპასუხა მოჯამაგირემ.

მასპინძელი უკან გაბრუნდა, გამოაღო კარები, სტაცა ხელი ბოლო ტაბლის ფეხს და ეზოში მოისროლა. დანარჩენებიც ასე გადაყარა, იმ ტაბლის ჩათვლით, რომელზეც კაცმა ისადილა. ერთი სიტყვაც არ უთხრა სტუმარს. ოჯახის წევრებმა ტაბლები აკრიფეს, მთელიც და დამტვრეულიც. სტუმარი და მასპინძელი დაძინებამდე ისხდნენ და საუბრობდნენ. როცა ძილის დრო დადგა, ერთმანეთზე უკეთესი შვიდი ლოგინი გაშალეს.

— ძილი ნებისა, ჩვენო სტუმარო, — უთხრა მასპინძელმა და გავიდა.

კაცი ერთ ლოგინში დაწვა და დაიძინა. დილით ადგა თუ არა, მასპინძელიც შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა, ჩვენო სტუმაროო!

— გმადლობ! — უპასუხა.

— ეს ლოგინები რისთვისაა გაშლილი? მხოლოდ ერთში გეძინაო? — ჰკითხა.

— კეთილო მასპინძელო, ერთი კაცი ვარ და შვიდ ლოგინში როგორ დავწოლილიყავიო? მე ერთი ლოგინი მეკუთვნის და ერთში ვიწექიო, — უპასუხა სტუმარმა.

— რაც მართალია, მართალია! — თქვა მასპინძელმა, გამოაღო კარი და ყველა ლოგინი, რომელშიც სტუმარი იწვა თუ არ იწვა, ეზოში გადაყარა. დაინახეს გარეთ გამოყრილი ლოგინები, მივიდნენ და წაიღეს.

რაც არ უნდა ეთქვა და გაეკეთებინა მასპინძელს, სტუმარი მის საქმეში არ ერეოდა, ხმას არ იღებდა.

დილით, ჩაის სმის დრო რომ დადგა, შვიდი ტაბლა მოიტანეს. მეშვიდეზე ჩაი იდგა.

— მიირთვი, ჩაიც დალიე, — უთხრა მასპინძელმა და გავიდა.

დაჯდა სტუმარი, ერთი ტაბლიდან მიირთვა საჭმელი და ერთი ჭიქა ჩაიც დააყოლა. ცოტა შეშინებული ზის, რაღაცას ეჭვობს. მალე მასპინძელიც შემოვიდა.

— ეჰ, ჩვენს სტუმარს არაფერი უჭამია, — თქვა მან.

— ჩემო მასპინძელო, მე ერთი კაცი ვარ. რამდენიც შემეძლო, იმდენი ვჭამე, ერთი ჭიქა ჩაიც დავაყოლე!

მასპინძელმა კარი გამოაღო და ბოლო ტაბლიდან დაწყებული, ყველა გარეთ გაისროლა. ოჯახის წევრებმა ტაბლები აკრიფეს.

სტუმარს თავისი გზით წასვლა უნდა, მაგრამ სანამ მასპინძელი არაფერს იტყვის, წამოდგომა ერიდება. ცოტა ხანს ასე ისხდნენ, მერე მასპინძელმა თქვა:

— სტუმარო, წასვლას თუ აპირებ, დროაო.

— თუ ასეა, წავალო, — თქვა სტუმარმა და წამოდგა.

მასპინძელი ადგა, ხელი ჩამოართვა, კეთილი მგზავრობა უსურვა და გააცილა. სტუმარი, სანამ ეზოს გაივლიდა, უკან იყურებოდა.

— მობრუნდი, ჩვენო სტუმარო! — შინ შებრუნებამდე დაუძახა მასპინძელმა. ძალზე შეშინებული სტუმარი უკან მობრუნდა.

— ერთხელაც შემოდი შინ, — უთხრა, ჰაჭეშში შეიყვანა და დასვა. — ახლა კი მომისმინე: დედ-მამა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა, როცა ცოლი მოვიყვანე და ცალკე დავსახლდი. დავტოვე მშობლები და ჩემთვის სახლი ავიშენე. შესახლება რომ დავაპირე, მოვიდნენ და მითხრეს: სახლი კი დაამთარე, მაგრამ სწორად არ აგიშენებია. ეს კარი სხვა მხარეს უნდა შეგებაო, მერე სხვები მოვიდნენ და მითხრეს: ეს ფანჯარა კარგად არ გაგიკეთებიაო. ყველა ამბობდა, სახლი სწორად არ აუშენებიაო. მეც ავიღე ნაჯახი და სახლი დავანგრიე. მეორედ როცა ავაშენე, კარ-ფანჯარა ისე ჩავსვი, როგორც მითხრეს. შესახლებას ვაპირებდი, მაგრამ ისევ ალაპარაკდნენ: ასე გაგიკეთებია, ისე გაგიკეთებიაო. ავიღე ნაჯახი და ისიც დავანგრიე. ამის შემდეგ აღთქმა დავდე: ვინც ჩემს საქმეში ჩაერევა, გინდ აქაური იყოს და გინდ შორიდან მოსული სტუმარი, მოვკლავ, ხოლო ვინც ჩემს საქმეში არ ჩაერევა და ამით გამათავისუფლებს ამ აღთქმისაგან, ოქროთი სავსე ქისას ვუბოძებ-მეთქი. ამის შემდეგ ის სახლი ავაშენე, მაგრამ არც აქაური და არც სტუმარი ამ სახლში არ შემოდის, არავინ მელაპარაკება. შენ გამათავისუფლე ამ აღთქმისაგან, ისევ ხალხთან დამაბრუნე და საჩუქარიც შენია, — თქვა და ოქროთი სავსე ქისა მისცა.

— ახლა თუ იტყვი, დავმეგობრდეთო, სანამ ცოცხლები ვიქნებით, ვიმეგობროთ. თუ იტყვი, შინ წავალო, წადი, მშვიდობით გევლოსო, — თქვა და გაუშვა სტუმარი. გახარებული კაცები ერთმანეთს დასცილდნენ. მოჯამაგირე გზას გაუდგა და თავის აულში დაბრუნდა.

როცა თავის ეზოში შევიდა, უკვე ბნელოდა. მისი ცოლი ფეტვს ცეხვავდა, ხოლო ვიღაც კაცს ყველი ჩამოჰქონდა ონჯაყიდან.[38] ცოლი ზურგით იჯდა. იფიქრა, ქურდი იპარავს ყველსო და მოკვლა დაუპირა. თოფი

დაუმიზნა, მაგრამ სანამ ჩახმახს გამოჰკრავდა, ნაყიდი ჭკუა გაახსენდა. გაახსენდა და შეჩერდა, გულში ასამდე დაითვალა. დაითვალა ასამდე და თქვა: ასე არ ვარგა. ჯერ გავიგებ, რაშია საქმე. თუ ეს კაცი მართალია, კარგად შევხვდები და თუ არა, საკადრისს მივაგებო.

როგორც კი კარზე დააკაკუნა, საცეხველი გაჩერდა.

— ბიჭო, კარი გააღე, მამაშენი დაბრუნდაო, — თქვა ქალმა.

ბიჭმა მიირბინა და კარი გააღო.

ასე დაბრუნდა თავის სახლში და დიდხანს ცხოვრობდა ჯანმრთელად და ბედნიერად ცოლ-შვილთან ერთად.

ბესლანუყოს ცოლი

ერთხელ შეიკრიბნენ ფშიები, რომლებსაც ყველაზე დიდ ვაჟკაცებად მიაჩნდათ თავი და გამართეს საუბარი შინაურ საქმეებზე.

— მოვედით აქ და ვსხედვართ, ჩვენმა ცოლებმა კი, ალბათ, სხვა კაცები მოძებნეს. ბაიბურში არა ვართ, რა ხდება. მივატოვეთ და წამოვედითო!..

ასე წამოიწყეს ცოლებზე უკადრისი ლაპარაკი. კარგა ხანს ილაპარაკეს. ბესლანუყოს კი სიტყვაც არ დაუძრავს.

— ბესლანუყო, ყოველთვის ჩვენთან ხარ საქმითაც და სიტყვითაც! ახლა რატომ არ გვაწევ სიტყვას? იქნებ სიმართლეს არ ვამბობთ?

ბესლანუყოს გაეღიმა:

— ვისაც ცოლის არ სჯერა, შემოისვას ცხენზე და სადაც წავა, თან ატაროს. მე შინ ვიქნები თუ არა, დიდად არ მადარდებს. ცოლის დამამცირებელი საუბარი ვერაფერი ვაჟკაცობაა. მე, ჩემდათავად, ცოლს ვენდობიო.

ბესლანუყოს ნათქვამში ეჭვი შეიტანეს, ზოგმა იწყინა კიდეც:

— გამოდის, რომ მისი ცოლი ყველაზე პატიოსანია, თვითონ კი ყველაზე უკეთესი. ვითომ რატომაო? თუ ხალხი ხუმრობს, შენც უნდა იხუმრო, თუ ლაპარაკობს, შენც უნდა ილაპარაკო.

— ჩემი აზრი უკვე გითხარითო, — თქვა ბესლანუყომ. მაშინ წამოდგა ერთ-ერთი ფში და თქვა:

— გამჩენს ვფიცავ, ჩვენს შორის არ არის ბესლანუყოზე თავლაფდასხმული კაცი, არც ერთ ჩვენგანს არა ჰყავს ისეთი ორგული ცოლი, როგორიც ბესლანუყოს, და აი, რატომ: როცა მისი ცოლი მომისურვებია, ბესლანუყო შინ ყოფილა თუ არა, ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა ჰქონია: მასთან ისევე მივდიოდი, როგორც მისი ქმარი. ასე რომ, კარგად ვიცნობ,

რა პატიოსანიც ბრძანდება ბესლანუყოს ცოლი და თვითონ კი აი, რას გვეუბნებაო.

— სიმართლეს ამბობო? — ჰკითხა ფში-თჰამათამ.*

— სიმართლეს ვამბობო.

— ღმერთი დაიფიცეო.

— დავიფიცავ, ჩემი მხლებელი ორი უორყიც დაიფიცავსო.

— კარგი, ვნახოთო, — თქვეს და დააფიცეს.

— დღისით მივალ თუ ღამით ბესლანუყოსთან, ისე მოიქცევა მისი ცოლი, როგორც მე მსურსო, — თქვა და ღმერთი დაიფიცა. უორყებმაც დაუდასტურეს:

— როცა ჩვენი ფში ცხენს მოახტება და გზას დაადგება, ჩვენც მასთან ერთად ვადგებით გზას და როცა ჩამოდის ცხენიდან, ჩვენც ჩამოვდივართ. ვადასტურებთო, — ღმერთი დაიფიცეს.

— გრცხვენოდეს, ბესლანუყო! შენს თავს ასეთი ამბავი ყოფილა და შენ კი ყველაზე ვაჟკაცად მოგქონდა თავიო.

სანამ შენს საქმეს გავარჩევდეთ, დილეგში იჯდები; თუ ნათქვამი მართალი აღმოჩნდა, დაგსჯით. ვნახოთ, რა იქნებაო, — თქვეს და ჩააგდეს ადიღურ ფიცრულ ჰამბარში.*

როცა ასეთი რამ ხდება, საიდუმლოდ არ რჩება. როგორც ამბობენ, კედლებსაც თვალი და ყური აქვსო. ამ ამბავმა ბესლანუყოს ცოლამდეც მიაღწია.

ყველაფერი უამბეს, რაც იქ ითქვა და ისიც, თუ როგორ ჩასვეს ბესლანუყო დილეგში.

ერთი კი თქვა, ახია მასზე, თავის მეინახეებისათვის რომ ეთქვა, მეც თქვენნაირი ვარო, ეს არ დაემართებოდა. ღირსია, რაც თავს დაატყდაო, მაგრამ ისე კი ცეცხლი წაეკიდა ქალს. ხუმრობა ხომ არ იყო, ასეთი ცილი დასწამეს! — მასთან კი, ვინც ეს ამბავი მოუტანა, არაფერი შეიმჩნია.

როცა დაღამდა და დადგა ისეთი დრო, გარეთ გასულს რომ ვერავინ იცნობდა, სუფთად ჩაიცვა, იხმო თავისი მეურმე, ჩაჯდა ურემში და წავიდა. წავიდა და იმ სოფელს მიადგა, სადაც ისინი ისხდნენ, ვისაც ვაჟკაცებად მოჰქონდათ თავი. მივიდა და, ვინ იცის, პირველი ვინ შეხვდა, მწყემსი თუ მენახირე. ვინც შეხვდა, ჰკითხა:

— შვილო, რაღაც მინდა გკითხო: ვინ არის ამ სოფელში ისეთი, ვისაც შეუძლია გაჭირვებულს დახმარების ხელი გაუწოდოსო.

— გეტყვი, დედაჩემო, ასეთია ფში-თჰამათა, რომელსაც ახლა სტუმრები ჰყავს. მის ეზოში თუ მიხვალ და შენს გასაჭირს შესჩივლებ, დაგეხმარება. აი, მისი ეზოო.

— გმადლობთ, შვილო, — უთხრა და ეზოში შეიყვანა ურემი. შევიდა და რადგან ქალი ქალებმა უნდა მიიღონ, ქალები მიეგებნენ და ოჯახის დიასახლისთან შეიყვანეს. არავინ იცოდა, ბესლანუყოს ცოლი რომ იყო. დიასახლისმა ძალზე კარგად მიიღო ქალი, კარგადაც გაუმასპინძლდა.

საღამოს, როცა ისხდნენ და საუბრობდნენ, ბესლანუყოს ცოლმა უთხრა მასპინძელს:

— ჯერ ქალის არ შემშურებია ისე, როგორც შენი. სიმდიდრეც შესაშური გაქვს, გარშემოც ბევრნი გეხვევიან. რაც ამ მხარეში ღირსეული და გონიერი ადამიანია, ყველა თქვენსკენ მოეშურება. რასაც ამბობენ — გესმით, რასაც აკეთებენ — ხედავთ, ამდენი რამ ხდება თქვენს თვალწინ!

— მართალია, როგორც ამბობ ისეა, თითქოს შესაშურია ჩემი ცხოვრება, — თქვა დიასახლისმა, — ყოველ წელს, შემოდგომაზე, ჩემთან იკრიბებიან. მეც კარგად ვხვდები, მაგრამ ახლა ნაწყენი ვარ. რომ შემეძლოს, ყველას დავხოცავდი, პირველ რიგში კი ჩემს ქმარს, მაგრამ ვერ მოვერევი. დიდად არ მეპიტნავებიანო.

— ღმერთო, მომკალი, რა დაგიშავეს, რა ხდება ამისთანაო?

— ერთი კარგი კაცი, ბესლანუყო ჩააგდეს დილეგში. ის კაცი მეცოდება. დანარჩენებზე კი გაბრაზებული ვარო.

— რა მოხდაო?

— ადგა ერთი ფში და თქვა, ბესლანუყოს ცოლი უნამუსოა; თითქოს ჩემთან ისე იქცევა, როგორც მინდაო. ის კი, ბესლანუყო არ დაეთანხმაო.

— რატომ არ დაეთანხმაო?

— დაეთანხმებოდა და ისიც იმათნაირი იქნებოდაო. ვინც მოვიდა, ყველას ცოლი უნამუსო და ქმრის მოღალატე ხომ არ არის! უბრალოდ, მათი ხუმრობისათვის ხუმრობითვე რომ ეპასუხა, ეს აღარ მოუვიდოდა. რაც დაიმსახურა, ის მიიღოო, — უთხრა.

ცოტა ხნის შემდეგ სტუმარმა ქალმა იმ კაცის ნახვა ისურვა, რომელიც ამბობდა ბესლანუყოს ცოლთან მაქვს კავშირიო.

— ღმერთმა დააბრმავოს! არ მინდა მისი ნახვაო, — თქვა დიასახლისმა და საუბარიც ამაზე შეწყდა.

ძილის დრო რომ მოვიდა და ქალები ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ, ბესლანუყოს ცოლმა უთხრა დიასახლისს:

— ერთი პატარა თხოვნა მაქვს, ძალიან გთხოვ, შემისრულო.

— თქვი, თქვი, რა გაწუხებსო.

— მეჩქარება და იმიტომ ვწრიალებო... — თქვა სტუმარმა. ლოდინის დრო არა მაქვს. ვინ იცის, როდის მორჩებიან კაცები საქმეს! ერთი თხოვნა შემისრულე, ღმერთმა სიკეთე მოგცეს. რჩევა-დარიგება მინდა ვთხოვო

აქ თავმოყრილ ფშიებს! — სწორედ იმიტომ მოვედი. მინდა, რომ დილით, ჩაის შემდეგ შევიდე, თუ ნებას დამრთავენ ბატონები და ჩემი გასაჭირი ვუამბოო.

— შეგისრულებო, — თქვა დიასახლისმა და ქმართან წავიდა. გავიდა და მაშინვე ქმარს მიაშურა.

— კაცო, დაძინებამდე რაღაც მინდა გითხრაო, — უთხრა, — ხომ დაინახე, დღეს ურემი რომ შემოვიდა? იმ ურემში ქალი იჯდა. რაღაც საქმე აქვს, თანაც ძალიან ჩქარობს. რჩევისთვისაა მოსული და ხვალ დილით თქვენთან აპირებს შემოსვლასო.

ის ღამეც გავიდა. დილით ჩაის შემდეგ, როცა სტუმრები გარეთ გამოიშალნენ, ქალს ის კაცი დაანახვეს, რომელმაც თქვა, ბესლანუყოს ცოლთან მაქვს საქმეო.

— ღმერთმა დასწყევლოსო! — თქვა სტუმარმა.

დაბრუნდნენ სტურმები სასტუმრო ოთახში და სოფლის ფშა-თჰა-მათამაც განაცხადა:

— სტუმარი ქალი მყავს, რჩევა-დარიგება უნდა გთხოვოთო.

— ძალიან კარგი, შემოვიდესო, — თქვენს და ბესლანუყოს ცოლი შევიდა.

— მობრძანდი, მობრძანდიო, — უთხრეს და ფეხზე წამოდგნენ.

ისე იყო ქალი გამოწყობილი, ისეთი ტანადი იყო და სანდომიანი, ისეთი სახის კანი ჰქონდა, რომ ძნელად თუ მოიძებნებოდა მასზე თვალადი ქალი.

— დაჯექიო, — უთხრეს, მაგრამ არ დაჯდა.

— ისეთი სტუმარი არა ვარ, რომ დასაჯდომად მეცალოსო.

— აბა, რა საქმე გაქვს. დაჯექი და გვიამბეო.

— ვერა, ვერ დავჯდები, საქმე მაქვსო. როცა ფეხზე დგახარ და იმაზე ლაპარაკობ, რაც გაწუხებს, უფრო მშვიდდებიო. ზიხარ და ისე ჩანს, თითქოს არც ღელავო, — თქვა ხუმრობით.

— ქმარი თუ გყავს, ან მფარველი და პატრონი ვინმე, სირცხვილია იმაზე ილაპარაკო, რისთვისაც მოვედი, — დაიწყო ქალმა, — მე კი არც მფარველი მყავს და არც არავინ, ჩემს საქმეზე რომ ილაპარაკოსო. მე უნდა გიამბოთ; უნდა მერიდებოდეს თქვენი, მორიდებითაც შემოვედი აქ, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს. ღმერთმა ქნას, რომ კეთილი თვალით შემომხედოთ. ძალიან გთხოვთ, ნუ განმსჯითო.

— თქვი, თქვი, არაფერი დატოვო უთქმელიო!

— მაშინ დავიწყებო, — თქვა.

არავინ იცოდა, ბესლანუყოს ცოლი რომ იყო.

— ერთი საწყალი ქალი ვარ. ქალი გონიერიაო, უთქვამთ, მაგრამ ზოგჯერ ისე უბედურდება, რომ თავს ლაფი ესხმება. თქვენ ვერ შეგედრებოდათ, მაგრამ მეც მყავდა ქმარი, რომელსაც ვაჟკაცად მოჰქონდა თავი. ერთ ბრძოლაში დაიღუპა. დაიღუპა და ორი შვილი დამიტოვა. იმხელა ქონება დარჩა, რომ მეც მეყოფოდა და ჩემს შვილებსაც, მაგრამ მფარველი თუ არა გყავს, ღატაკი ხარ. ორი წელი გავიდა. ვინც მოკვდა, მოკვდა, მაგრამ ვინც დარჩა, როგორ შეიძლება არ გაიცინოს ან არ დაილაპარაკოს! საცეხველთან ან ჭასთან მისული წამით თუ გავიღიმებდი ან სიტყვას დავძრავდი. ამასობაში ერთი კაცი, რომელთანაც შეხვედრასაც თავიდან გავურბოდი, რამდენჯერმე შემხვდა და გამომელაპარაკა. ვინც შენს თვალწინ ტრიალებს, თვალისჩინივით ძვირფასიაო, ამბობენ. კაცი უშნო არ იყო. ვიფიქრე, არც გულბოროტი იქნება-მეთქი. მე და ჩემს შვილებს მფარველი გვეყოლება, უფრო ადვილადაც დაიზრდებიან და ქონებაც შერჩებათ-მეთქი. ის — ქმარი და მე — ცოლი, — ასე მოვილაპარაკეთ მე და იმ კაცმა. ის აღზრდის შვილებს და განაგებს ჩემს ქონებას. ასეც შევთანხმდით. გავიდა ერთი-ორი წელი. მისგან ორი ბავშვი მეყოლა. თუ კაცი შენი ქმარია, მთელი ქონებაც მის ხელშია. „ეს არ გვჭირდებაო“, იტყოდა ერთ დღეს და გააჩუქებდა. „ეს ზედმეტიაო“, და გაყიდდა. არ ვიცი, რამდენი რამ გააჩუქა, მაგრამ ჩემი ქონება კი გაანიავა. ორი ბავშვის ქონება შეჭამა, ჩემს ობლებს ორიც მიუმატა და მიმატოვა... ხალხი თქვენს აზრს ანგარიშს უწევს, დიდ პატივს გცემენ, მტკიცე კანონები გაქვთ. ვინც შემარცხვინა, ხელიდან ვერ წაგივათ...

— ვინ არის ის კაცი? როგორ გავიგოთ, რომელია? — ჰკითხეს.

— აი, ესააო! — თქვა და იმ კაცს დაადო ხელი, რომელიც ამბობდა, ბესლანუყოს ცოლთან მაქვს საქმეო.

წამოხტა კაცი და აურზაური ატეხა:

— არ ვიცნობ! თვალითაც არ მინახავს! აქ რომ შემოვიდა, პირველად მაშინა ვნახე. ყველა დამემოწმება, რომ არასოდეს მინახავსო!

— თვალიც არ მოგვიკრავსო. როცა ჩვენი ფში ცხენს მოახტება, ჩვენც მოვახტებით და როცა ქვეითდება, ჩვენც ვქვეითდებითო, — თქვეს მისმა თანამგზავრებმა, — არა გვჯერა, მოწმე მოიყვანოსო.

— ჩემი ქმარია, მორჩა და გათავდაო! — თქვა ქალმა, — ვისაც სურვილი აქვს ქმარი ჰყავდეს, მოწმეებს თან არ ატარებსო. ქონება გამინიავა და მიმატოვა. იმას არ გთხოვთ, რომ ძალით დამიბრუნოთ. მე ღმერთის გარდა მოწმე არა მყავსო.

— რაც არ გამიკეთებია, იმას მაბრალებსო! — წამოიძახა მატყუარა ფშიმ, — ვფიცავ ღმერთს, რომ მე ეს ქალი არასოდეს მინახავსო. ჩემი უორყებიც დაიფიცებენ. ეს ქალი ჩემი ცოლი რომ იყოს და მასთან დავდიოდე,

ჩემს უორყებსაც ეცოდინებათო.

წამოდგნენ უორყები და ღმერთი დაიფიცეს, ეს ქალი არასოდეს გვინახავსო. შეცბუნებულმა ხალხმა ერთმანეთს გადახედა.

— შენ მოწმე არა გყავს, ამ ორმა კი ღმერთი დაიფიცა. ვისაც ხელი დაადე, იმანაც ღმერთი დაიფიცა. როგორც ჩანს, მათ ფიცს უნდა ვენდოთო, — განუცხადა სოფლის ფში-თჰამათამ.

— ტყუილად არ იფიცავენ! — თქვა ქალმა, — მაგრამ მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. თქვენ დამეხმარეთ, რომ თვალდახრილს არ მეველო. გმადლობთ! მათ ადრე ტყუილად დაიფიცეს. ამ კაცმა გითხრათ, ბესლანუყოს ცოლთან მაქვს საქმეო. მე ბესლანუყოს ცოლი ვარ...'

ხალხი გაოგნდა.

ასე იხსნა ქალმა თავისი სიბრძნით უდანაშაულო ქმარი.

როგორ იხსნა მეზობელმა მეზობელი გაჭირვებისგან

იყო სამი მეგობარი. ერთ-ერთი მოკვდა. ორნი მისასამძიმრებლად მივიდნენ და ღამე მიცვალებულის ვაჟთან გაატარეს.

— სტუმართმოყვარე და გულუხვი კაცი იყო მამაშენი, ოჯახიც ბარაქიანი ჰქონდა. მასზე ნაკლები ნუ იქნებიო, — უთხრეს და წავიდნენ.

გავიდა სამი წელი. გაიგეს, რომ ვაჟმა ცოლი შეირთო.

— მეგობრის ვაჟი მოვინახულოთო, — თქვეს, ადგნენ და წავიდნენ. მამაზე ნაკლებად როდი ცხოვრობდა ვაჟი, დიდი წვეულება გამართა. გამხიარულდნენ სტუმრები.

— აბა, გვეყო ამდენი ჭამა-სმაო! — თქვეს ბოლოს.

— კიდევ მიირთვითო, — ჩააცივდა ვაჟი.

— საკმარისად დავლიეთ, არც ჩვენ და არც შენ მეტის დალევა არ შეგვიძლიაო, — უპასუხეს.

— რას ამბობთ! დალევა თუ მოვინდომე, ზღვასაც დავლევო, — თქვა შეზარხოშებულმა მასპინძელმა. — თუ ვერ დავლევ, მაშინ, რაც სიმდიდრე მაქვს, თქვენი იყოს.

ასე იყო თუ ისე, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაენიძლავა.

— თუ ზღვას დალევ, რაც სიმდიდრე გვაქვს, ოჯახის გარდა, შენი იყოს, — უთხრეს სტუმრებმა.

სამი თვის ვადა მისცეს ვაჟს. უნდა მომზადებულიყო და ზღვის პირას მისულიყო, ისინიც იქ დახვდებოდნენ. თუ ზღვას დალევდა, მთელი ქონება უნდა მიეცათ, ვერ დალევდა და საკუთარ სიმდიდრეზე ხელს აიღებდა.

წავიდნენ სტუმრები. გავიდა რამდენიმე დღე და გონს მოვიდა ვაჟი, გაახსენდა თავისი ნათქვამი და ელდა ეცა. რაც უფრო ახლოვდებოდა დათქმული დრო, მით უფრო კარგავდა ფერს. შეამჩნია ცოლმა და ჰკითხა:

— რატომ ხარ გულშემოყრილი? ხომ არაფერი გტკივა? შეგემთხვა რამეო?

— არა, არაფერიო.

— ნუ დამიმალავ, იმედი თუ გაგიცრუე და ისეთი არ აღმოვჩნდი, როგორიც გეგონე, ჩემს სახლში დავბრუნდები, თავს არ შეგაწყენო, — უთხრა ცოლმა.

— შენი რა ბრალიაო, — უთხრა ვაჟმა.

რაც უფრო ახლოვდებოდა დათქმული დრო, მით უფრო მეტად ნაღვლობდა.

— მითხარი, რა გაწუხებსო, — აღარ მოეშვა ცოლი.

— ერთი პირობა მაქვს დადებული და ის მაწუხებსო, — თქვა და უამბო ყველაფერი. ცოლმა ვერაფერი ურჩია. კიდევ უფრო დაღონდა ვაჟი. შეამჩნია მეზობელმა და ჰკითხა:

— ფერი რას დაგიკარგავს, რა გაწუხებსო?

— რომც გითხრა, რას მიშველიო, — თქვა ვაჟმა.

— რა ვიცი, იქნებ გიშველო კიდევაცო, — უთხრა მეზობელმა.

— ზღვა უნდა დავლიო, პირობა მაქვს დადებული ორ კაცთანო.

— ამან დაგაღონა?! ხერხს გასწავლი, როცა დრო მოვა, მე მითხარი და თან წამოგყვებიო, — დაამშვიდა მეზობელმა.

დათქმული დროც დადგა. შეატყობინა მეზობელს და ერთად მივიდნენ ზღვასთან. ის ორი კაციც იქ დახვდა.

— მიდი და მხიარულად მიესალმე, — უთხრა მეზობელმა, — ცოტაზე გასცდი მათ და შეჩერდი. ტანს გაიხადე, მუხლებამდე დაიკარწახე საცვლის ტოტები, დაიმკლავე სახელოები და შედი ზღვაში. შედი და იქიდან ამოსძახე, ზღვას კი დავლევ, ოღონდ ის წყალი შეაჩერეთ, რაც აქ ჩამოდისო.

ასეც მოიქცა. შევიდა ზღვაში და ამოსძახა:

— რაც აქ წყალი ჩამოდის, შეაჩერეთო!

— იმას რა შეაჩერებსო!

— მე ზღვის დალევას ვაპირებდი, თორემ ის კი არ მითქვამს, რაც დუნიაზე წყალია, იმას დავლევ-მეთქი, — თქვა ზღვაში მდგარმა და ბრალი იქით დასდო.

დაშორდნენ ერთმანეთს, სადავო აღარაფერი დარჩათ. ასე იხსნა მეზობელმა თავისი მეზობელი.

ფშერიხიჟაცე

ფშერიხიჟაცედ* წოდებული ერთი ვინმე ავგულა თავადი ხშირად ნადირობდა ტყეში. „მარეკები მომეცით!“ — ყვიროდა ხოლმე და აულში მარეკ ბიჭებს აგროვებდა. დაღამდებოდა თუ არა, თვითონ ირმის ტყავზე დაიძინებდა, მარეკ ბიჭს კი უბრძანებდა:

— როცა ირემი გამოვა და ბღავილს დაიწყებს, მაშინ გამაღვიძეო.

როგორც კი ირემი ბღავილს დაიწყებდა, ბიჭი დაუძახებდა თავადს, ის წამოდგებოდა და ჰკლავდა ბიჭს, ძილი რატომ დამიფრთხეო.

აული საგონებელში იყო ჩავარდნილი, აღარავის უნდოდა მარეკად წასვლა. ერთმა ცბიერმა ქაჩალმა თქვა, გამიშვით, მე წავალ მარეკად თავადთანო.

თქვა და აასრულა კიდევაც.

მარეკმა დღისით ნანადირევი მოიმარაგა, საღამოს კი მოუმზადა თავადს საჭმელი, დაბრუნდა თავადიც, შეჭამა და დაწვა დასაძინებლად.

— როცა ირემი გამოვა მინდვრად და ბღავილს დაიწყებს, გამაღვიძეო! — დაუბარა ბიჭს.

მარეკი კოცონთან იჯდა და ირმის მწვადს სწვავდა. დაიწყო ირემმა ბღავილი, ზედ ტახის ღმუილიც დაერთო.

მარეკმა სიმღერა წამოიწყო:

მე არ გეძახი, ჰეი, ფშერიხიჟაცე,
ზევით ირემი ბღავის,
ქვევით კი ტახი ღრიალებს.
ნეტავ ადგებოდე, შენი ჭირი შემეყაროს,
შენს მრისხანე ბაძალეს დააქუხებდე,
ირმის წინამძღოლს მოგვიკლავდე,
ორი წლის ტახს
მოგვინადირებდე!

როცა მარეკმა დაამღერა: „ჰეი, ვისი კეფაც ოქროსია, ვისი შუბლი და პირისახე — ოქროს ზანზალაკებია“, — თავადი ადგა და მოკლა ირემი, შემდეგ შემობრუნდა და მოკლა ტახი.

ეს ქაჩალი დარჩა თავადთან და ამით იხსნა აული განსაცდელისაგან.

ამბავი იმისა, თუ როგორ მოინდომეს ნართებმა ზეცამდე მიეღწიათ

როცა ხიმიშიკო ფეთერეზმა დაავალდებულა ნართები მამის სისხლის საფასური გაეღოთ, ისეთი პირობები დაუდო, რაც მათ არ შეეძლოთ შეესრულებინათ.

მოგვიანებით ნართებმა თვითონ ფეთერეზს ჰკითხეს: „შენ როგორღა მოახერხებდი ზეცაში ასვლას?"

— კიბე დადგით და ზეცაში ადით,
ერთმანეთს შეადექით და ზეცაში ადით,
მეტს მე არაფერს გეტყვით! —
ამბობს მრისხანედ ხიმიშიკო.
ნართებმა ერთმანეთს გადახედეს,
ნართებმა ერთმანეთს რჩევა ჰკითხეს.
— ვუყურებთ — ვხედავთ,
მივდივართ — ვერ ვწვდებით,
რა შეიძლება იქ იყოს გარდა ზეცისა?! —
ეუბნება მათ სათანეი-გუაშე.
— ზეცას მთა ებჯინება,
ზეცის კიდეს ვხედავთ,
ღრუბლები მიწამდე აღწევენ,
ერთმანეთზე შევდგეთ და მივაღწევთ! —
ითათბირეს, გამოცოცხლდნენ,
ბრგე ნართები ერთმანეთზე შედგნენ.

მაგრამ ზეცამდე ვერ ავიდნენ. მაშინ ადამიანებიც, გოლიათებიც, ჯუჯებიც, ცხოველებიც, ფრინველებიც, ხეებიც, ქვებიც და ყველაფერი, რაც ქვეყანაზეა: მთელი ზღვა და ხმელეთი ერთმანეთზე შეადგეს, ხოლო სულ ზევით ფეთერეზი შეაყენეს.

ფეთერეზმა ასწია ხელი ზევით, მაგრამ... ზეცამდე კატის კუდის ოდენა მანძილი კიდევ იყო დარჩენილი.

სოუსირიყოს დაბადება

თუ სიცრუეს გადმოგვცემენ, ჩვენც სიცრუეს გიამბობთ, თუ სიმართლეს გადმოგვცემენ, ჩვენც სიმართლეს გიამბობთ.

სეთენეი-გუაშე* მოვიდა მდინარე ფსიჟთან. გაღმა ნაპირიდან მწყემსმა დაინახა.

— ხა-ხაი, სეთენეი, — დაუძახა მწყემსმა და გადმოუშვა თავისი ნეპსი.* თესლმა გადმოლახა მდინარე და დაეღვარა სეთენეის გვერდით მდებარე ქვას. სეთენეიმ ყველაფერი დაინახა. თესლი ქვას გაუჯდა.

— ვნახოთ, რა გამოვა აქედან! — თქვა სეთენეიმ და ქვა შინ წამოიღო.

დადო და იმდენ ხანს ელოდა, რამდენიც საჭირო იყო. როცა დრო დადგა ქვა გაირღვა და იქიდან გამოვიდა ბავშვი.

რადგანაც ის ქვიდან იშვა, ნაპერწკლები სცვიოდა და წაიყვანეს სამჭედლოში თლეფშთან. თლეფშმა მარწუხი ჩაავლო თეძოებში და ჩაუშვა წყალში, რის გამოც ბავშვი რკინასავით გამაგრდა. მარწუხებში მოქცეული მისი თეძოები კი ისევ რბილი დარჩა.

მჭედელმა ბავშვს სახელად სოუსირიყო* დაარქვა.

სოუსირიყო მდინარე ფსიჟის ნაპირას დაიბადა.

როგორ მოკლეს სასრუყო

ერთმანეთს მტრობდნენ ნართები და ინიჟები. სოსრუყო თავზარს სცემდა ინიჟებს. ბევრი გაისტუმრა საიქიოს.

— როგორ მოვკლათ სასრუყო? — ინიჟები კუდიან დედაბერს მიადგნენ, — რა არ ვიღონეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით.

— გეტყვით, ოღონდ გასამრჯელო უნდა მომცეთ.

მისცეს გასამრჯელო და რჩევაც მიიღეს.

ინიჟები მწვერვალზე ავიდნენ, ნართი სასრუყო მთის ძირას დარჩა.

— მიდი, დაარტყი! — ჩამოსძახეს ინიჟებმა სოსრუყოს და ურმის თვალი დააგორეს.

სოსრუყომ შუბლი მიუშვირა და ისევ მთაზე აისროლა.

— მხარი, მხარი დაახვედრე! — ჩამოსძახეს მეორე დღეს. შეაგება მხარი და უკანვე ააგორა.

მესამე დღესაც იგივე განმეორდა. ინიჟებმა ბოლოს გაიგეს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ახლა კი დაგიდგა აღსასრულიო, დაექადნენ.

— ბარძაყი დაახვედრე!

სასრუყომ ბარძაყი შეაგება და გადაუტყდა ძვალი.

„გმირის სისხლს ვინ დალევს, ტყავს ვინ გააძრობს?“

მოირბინა კურდღელმა.

— ღმერთმა ნუ დამალევინოს შენი სისხლი!

— გემრიელი ხორცი გქონდეს, მაგრამ ვერავინ მოგიხელთოს! — დალოცა ნართმა.

მერე მწყერი მოფრინდა. იმანაც უარი თქვა სისხლის დალევაზე.

— მათრახის ტყლაშუნივით აფრთხობდეთ შენი ფრთების ხმა! — დალოცა ნართმა მწყერიც.

მწყერს ყვავი მოჰყვა.

— მე დავლევ, — თქვა მან, — სოსრუყოს ბარძაყზე ჩამოჯდა და სისხლის სმა დაიწყო.

— ო, ალაჰმა გაწყვიტოს შენი ჯიში, ორ კვერცხს დებდე და იმასაც შენვე ჭამდე, — დასწყევლა სოსრუყომ.

ინიჟებს მტერი აღარ ჰყავდათ. სასრუყო აღარ იყო და მათ ვინ რაღას დააკლებდა.

გუ

იყო ერთი ყმაწვილი, რომელმაც ფრინველთა ენა იცოდა. მისმა ცოლმა ალაო გაფინა გასაშრობად. ჩამოფრინდნენ ბელურები და კენკვა დაიწყეს. მამალი ბელურა ამბობს:

— ერთი მარცვალი შეჭამეთ, ორი მიწაზე დააგდეთ.

გაიგონა ჭაბუკმა და გაეცინა. ცოლი გაუბრაზდა:

— რას დამცინი?

— შენ არ დაგცინი, გავიგონე, რა თქვა ბელურამ და იმაზე მეცინებაო, — უპასუხა.

— რაც ქვეყანაზე ფრინველია, ყოველი მათგანის ბუმბულს თუ არ მომიტან და იმ ბუმბულით ბალიშს არ დავტენი, იცოდე, მოვკვდები, — უთხრა ცოლმა.

შეფიქრიანდა ყმაწვილი, ყველა ფრთოსანი იხმო. მხოლოდ ბებერმა ბუმ დაიგვიანა.

— სადა ხარ აქამდე? — ჰკითხა ვაჟმა.

— მიწაზე ქვებს ვითვლიდი, ცაზე — ვარსკვლავებს, — უპასუხა ბუმ.

— რომელია მეტი?

— ქვები.

— შემდეგ რას აკეთებდი?

— ცოცხლებს და მკვდრებს ვითვლიდი.

— რომელი მეტია?

— მკვდრები.

— არა მჯერა, — შეეპასუხა ყმაწვილი.

— ვისაც საკუთარი ჭკუა არა აქვს, ისიც მკვდრებში ჩავრიცხე. მერე ქალები და კაცები ვითვალე.

— მერე, რა გამოირკვა?

— ქალები მეტია.

— ეს როგორღაა! — გაუკვირდა ვაჟს.

— ქალებს ის კაცებიც მივათვალე, ვინც ცოლის ჭკუას აჰყოლია.

დაფიქრდა ჭაბუკი. ისე გაუშვა ფრინვლები, რომ ხელიც არ უხლია არც ერთის ბუმბულისთვის.

ასე იხსნა ბუმ ფრინველები. იგი ყველაზე ბრძენ ფრთოსნად ჩათვალეს და გადაწყვიტეს, მისთვის მადლობის ნიშნად ფეხები დაებანათ.

— რა რბილი ფეხი აქვს! — თქვა ერთმა.

— გულიც რბილი ჰქონია! — გამოეპასუხა მეორე.

შეშინდა ბუ, გაფრინდა და ბუჩქებში დაიმალა. ამის შემდეგ მხოლოდ ღამღამობით თუ გამოჩნდება, დღისით საფარში ზის.

როგორ გააკეთა პირველად თლეფშმა ნამგალი

(შაფსულური ტექსტი)*

ეს მოხდა ძალზედ შორეულ წარსულში. მაშინ ამ ადგილებში ნართები ცხოვრობდნენ. მდინარე უბინის გადაღმა მრავლადაა მათი საფლავები. ნართები ზღვის ნაპირას ბადით თევზს იჭერდნენ, დაოსტატებული იყვნენ თეთრი სანეს* გამოხდაში, მინდორშიც მუშაობდნენ.

ყველაზე მეტი ნართებს ფეტვი მოჰყავდათ. თესდნენ ფეტვს, ხოლო როცა დამწიფდებოდა, ხელით გლეჯდნენ. მაგრამ ასე როდემდე უნდა გაგრძელებულიყო?

— თლეფშ! — უთხრეს ნართებმა.

— რა გინდათ?

— რაიმე გააკეთე, რითაც ფეტვს მოვმკით, შიშველი ხელებით ფეტვის

გლეჯა მოგვბეზრდა და თანაც დიდი დრო მიაქვსო, — უთხრეს ნართებმა.

— რა უნდა გავაკეთო, მაინც რისი მსგავსი უნდა იყოს ის იარაღი? — ჰკითხა თლეფშმა.

— ჩვენ არ ვიცით, — უპასუხეს ნართებმა, — მაგრამ ხელში თავისუფლად უნდა დავიჭიროთ, ისე, რომ ერთი მოქნევით ბევრის მოჭრა შეიძლებოდეს.

— მაშინ, — თქვა თლეფშმა, — თხაგელიჯის* დედაბერს ჰკითხეთ.

— კარგი, — თქვეს და თხაგელიჯის დედაბერთან მივიდნენ და ჰკითხეს.

ნართმა დედაბერმა თქვა:

— ო, ცაო, ამას ხომ ყველაზე უკეთ ისპ-გუაშე* გეტყვით, — თქვა და ისპ-გუაშეს მოსაყვანად გაგზავნა ნართები.

ისპ-გუაშე, ფეთერების* დედა, ავი ქალი იყო.

სანამ ნართები საუბრობდნენ, ისპ-გუაშეც მოვიდა. კარის ზღურბლი მაღალი იყო და გადმობიჯებისას დედაკაცმა წაიფორთხილა.

თხეგელიჯის დედაბერი მწარე ენის პატრონი იყო და ამიტომ მაშინვე დასცინა:

კეთილი იყოს შენი მობრძანება.
ო, ისპ-გუაშე, ჩვენო საყვარელო,
მოსვლაც ვერ მოასწარ, მაშინვე წაიქეცი!

ისპ-გუაშეს ეს ხუმრობად არ მიუღია, ეწყინა, მაგრამ უცხო ხალხის შერცვა და თავი შეიკავა.

— აი, რისთვის დაგიძახე, — უთხრა თხაგელიჯის დედაბერმა და უამბო, რაც სურდათ.

ისპ-გუაშემ არაფერი უპასუხა, შებრუნდა, ფრთხილად გადააბიჯა კარის ზღურბლს და წავიდა.

ნათქვამია, მადლი ჰქენი, ქვაზე დადე და წინ დაგვხვდებაო!

თხაგელიჯის დედაბერი ბრძენი, წინდახედული იყო, იცოდა ისპ-გუაშეს ხასიათი და უთხრა ნართებს:

— ახლა, სჯობს, ვინმე უკან მიჰყვეს, შეიძლება რამე თქვას თავისთვის ისპ-გუაშემო.

მაშინ მისაყურადებლად ერთი ყველაზე ახალგაზრდა ნართი მიუჩინეს ისპ-გუაშეს.

მიდის ისპ-გუაშე და მიჰყვება უკან ახალგაზრდა ნართი.

უსმენს ნართი, რომ ისპ-გუაშე რაღაცას ბრაზიანად ამბობს სხაპასხუპით:

მე თქვენ არ გეტყვით,
თქვენ თვითონ ვერ მიხვდებით!
უნდა მოხაროთ მამლის ბოლოსავით,
გველის კბილებს უნდა დაამსგავსოთ!
მე თქვენ არ გეტყვით,
თქვენ თვითონ ვერ მიხვდებით!

ახალგაზრდა ნართმა მეორედაც მოისმინა ისპ-გუაშეს სიტყვები:
უნდა მოხაროთ მამლის ბოლოსავით,
გველის კბილებს უნდა დაამსგავსოთ!
მე თქვენ არ გეტყვით,
თქვენ თვითონ ვერ მიხვდებით! —
ამბობდა თავის ქნევით და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა.

აჰა, ახლა გაიგეს ნართებმა, როგორი უნდა ყოფილიყო ეს იარაღი და გახარებულნი დაბრუნდნენ თლეფშთან:

— მამლის ბოლოსავით უნდა მოხარო და პირი გველის კბილებს დაამსგავსო, — უთხრეს ნართებმა თლეფშს.

თლეფშის ბადალი მჭედელი ქვეყნად არ იყო, რაც არ უნდა შეგეკვეთა, ერთს ეტყოდი და მაშინვე მზამზარეულს ჩაგაბარებდა. ამიტომ დიდხანს არ უწვალია, მამლის ბოლოსავით მოხარა, პირი გველის კბილებს დაამსგავსა და ისეთი ბასრი ნამგალი გამოჭედა, რასაც მიეკარებოდა, მაშინვე სხეპდა.

— აი, ნართებო, ღმერთმა იმდენი ფეტვი მოგცეთ, რამდენსაც ეს ნამგალი მომკის! — უთხრა მათ. — იმუშავეთ და დაპურდით.

არაფერი დაჰკლებიათ ნართებს, სანამ ცოცხალი იყვნენ, მკიდნენ ფეტვს, რამდენიც შეეძლოთ, მაგრამ თლეფშის გაკეთებული ნამგალი ოდნავადაც არ დაბლაგვებულა.

ასეთი იყო თლეფშის ნამგალი!

არ შეგიმჩნევიათ, ჩასვლისას როგორ შეყოვნდება ხოლმე მზე ცის კიდურზე?

აი, რატომ ხდება ეს:

სეთენეიმ და ერთმა ნართმა სარაჯმა* გადაწყვიტეს ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ.

— მე ერთ დღეში შემიძლია საე* შევკერო.

ამბობენ, მხოლოდ სეთენეის შეეძლო ასე სწრაფად კერვა.

სარაჯმა თქვა:

— მე ერთ დღეში შემიძლია უნაგირი დავამზადო.

მთელი დღე ისხდნენ და თავის საქმეს აკეთებდნენ.

ნართი შესანიშნავი ოსტატი იყო. დაამთავრა საქმე და დაჯდა.

როცა მზემ ცისკიდურს მიაღწია, სეთენეი შეშინდა, ვაითუ მზის ჩასვლამდე ვერ მოვრჩე კერვასო და თქვა:

— ო, მზეო, ცოტა ხანს დადექიო.

ამბობენ, იმ დროს ნართების ყველა სურვილი სრულდებოდაო და ამიტომ მზე ცოტა ხნით მართლაც შეჩერებულა, სანამ სეთენეიმ საეს კერვა არ დაასრულაო.

სეთენეი მთელი დღე უჯდა საკერავს, და, ალბათ, დაიღალა.

ადგა, წელში გაიმართა, ახალი საე გადაიცვა და სარაჯს აჩვენა.

მართალი ყოფილა, რასაც შენზე ამბობენო, სეთენეი. მშვენიერი საე შეგიკერავსო, — უთქვამს ნართს.

მას შემდეგ, საღამოობით, მზე ცოტა ხნით ჩერდება ხოლმე ჩასვლის წინ.

თუ ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა, დაე, ჩვენი დიდება იყოს ხანგრძლივი

მამაცნი, გულადნი და კეთილნი იყვნენ ნართები. ერთხელ ღმერთმა პატარა მერცხალი გამოუგზავნა.

— რა გსურთ: ცოტა ხანს იცოცხლოთ, მაგრამ თქვენს დიდებაზე ქვეყანა ლაპარაკობდეს და თქვენი ვაჟკაცობა სამაგალითოდ გადადიოდეს საუკუნეებში, თუ — დიდხანს იცოცხლოთ, ჭამოთ, სვათ, გამრავლდეთ, უწყინრად, უზრუნველად იყოთ, მაგრამ სახელი და დიდება არ გეღირ-

სოთ? — ჰკითხა მერცხალმა ნართებს.

ნართებს ბჭობა არ გაუმართავთ, დიდხანს არ უფიქრიათ, მაშინვე უპასუხეს:

— ჩვენ არ გვინდა საქონელივით გავმრავლდეთ, ჩვენ ღირსეულად ცხოვრება გვინდაო.

თუ ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა,
დაე, ჩვენი დიდება იყოს ხანგრძლივი.
სიმართლისთვის არ გვეღალატოს
სულ წინ გვიძღოდეს ჭეშმარიტება.
რა უბედურებაც უნდა შეგვემთხვეს,
თავისუფლება არ დაგვეკარგოს!

ნართებმა გმირული სიცოცხლე ირჩიეს. ასეთი პასუხით გაისტუმრეს პატარა მერცხალი ღმერთთან.

ნართების დიდება სამუდამოდ დარჩა ხალხში. ნათიყუაჯები* დატოვეს მათ თავიანთ მემკვიდრეებად.

ასე ჰყვებოდნენ ადიღები.

ვინ უფრო ადრე თვრება

დასხდნენ დათვი, მგელი და მელა ხის ქვეშ და იკითხეს, ვინ ადრე თვრება ჩვენს შორისო.

— ბევრს ვერ ვსვამ, — თქვა დათვმა, — დავლევ რვა სათლს და გულისრევაც მეწყება. მალე ვთვრები.

— ეგ რა გასაკვირია! — თქვა მგელმა, — როგორც კი ღვინის სუნი მეცემა, მაშინვე მთვრალი ვარ!

შეხედეს მელას და რას ხედავენ: ფეხზე ძლივს დგას, თვალები მიულულავს და იღიმება.

— შენ რაღა მოგივიდაო? — მისცვივდნენ მელას.

— უჰ, უჰ, — ძლივს ამოილუღლუღა მელამ, — ღვინოზე ლაპარაკმა დამათროო.

ასი მართალი სიტყვა

იყო ერთი მამაცი კაცი, ყუმან შირა. ქვეყნიერება მოევლო, ბევრი ენახა და ბევრი გაეგონა. ერთხელ, ლაშქრობიდან დაბრუნებისას, უღელტეხილზე რომ გადადიოდა, გამოქვაბულს მოჰკრა თვალი და გაოცდა. ნაკვალევიც შენიშნა, რომელიც გამოქვაბულთან წყდებოდა.

— აქედან წამსვლელი არა ვარ, სანამ არ გავიგებ, ვისია ეს ნაკვალევიო, — გაიფიქრა და გამოქვაბულში შევიდა. იქ ერთი დიდი, შავი, ბანჯგვლიანი კაცი დახვდა. შესვლისთანავე საყელოში ჩაავლო ხელი იმ კაცმა. შირა უსიტყვოდ დაჯდა.

— რა კარგია, რომ ხელში ჩამივარდი, ღმერთი თუ ინებებს, ჩემი მსახური იქნები მთელი სიცოცხლე, — უთხრა გახარებულმა შავმა კაცმა.

— ღმერთმა თუ ინება, ჩემს გზაზე წავალ, შენი მსახური არ ვიქნები, — უპასუხა შირამ.

შეხედა შავმა კაცმა, გაიკრიჭა და უთხრა:

— თუ ას მართალ სიტყვას მეტყვი, გაგიშვებ, თუ არა — აქედან ფეხსაც ვერ მოიცვლი!

რა უნდა ექნა შირას! დაიწყო:

უხვი ნამი — ავდრის ნიშანიაო;
წვიმიან ამინდში კარგია კანაფის გასუფთავებაო;
ქალის ნეტარება — გოგრის ჭამაშიაო;
ცუდი ცოლი ქმრის ადრე დამბერებელიაო;
კარგი ცოლი ქმრის გამაბედნიერებელიაო;
ირემს განთიადზე კლავენო;
ბასრი ნესტარი შავ გველსა აქვსო;
ძველ მეგობარს აწყენინებ — სამუდამოდ დაკარგავო;
თვალი თუ არ ვარგა, — ურემი გადაბრუნდებაო;
ქვრივი ქალი იოლი გასაჭორიაო;
ღორმუცელა ქალი ქმარს ვერ უერთგულებსო;
კაცს თუ არ უეშმაკე, შენი ვერ გახდებაო;
სახლი უადამიანოდ ძველი ფარდულიაო;
ცარიელი ტაბლა — ფიცარიაო;
თუ ზედ კაცი არ ზის — უნაგირი შეშააო;
დაუტენავი თოფი ჯოხიაო;
ხარებშეუბმელი გუთანი ჯირკიაო;

ზვინის წვერებს თუ დაინახავ — შემოდგომა მოსულაო;
ბატკნის თავს თუ დაინახავ — გაზაფხული მოსულაო;
ჭამა რითიო და კუჭითო;
უნაყოფო ცოლს ნაყოფიერი თხა სჯობსო;
ბრმას მახვილი ყური აქვსო;
შენი თუ არა სჯერათ, ფიციც არა ჭრისო;
კვეხნა - საძრახისიაო;
ვისაც ქალი არა ჰყავს, არც დამტირებელი ჰყავსო;
ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო;
სხვისი გეგემრიელებაო;
მართალი თუ ხარ, ძლიერი ხარო;
თუ სახლში მოხუცი არ არის, ბარაქაც არ არისო;
ძნელია იყო დამარცხებულიო;
მეგობრები ერთი ჭკუისანი არიანო;
პირველად მხდალი ისვრისო;
მდინარეს თუ ვერ გადალახავ, დინებას მიენდეო;
ვისაც ბედი სწყალობს, იმისი ძაღლიც კი ბალახს ძოვსო;
პური ცეცხლზე ცხვებაო;
ქალს ქმარი აბერებსო;
მოხუცებულს პატივი უნდა სცე, თუ გინდა შენც პატივი გცენო;
წნელს თუ ვერ მოხრი, სარსაც ვერ მოხრიო;
ცუდ ძმას კარგი მეგობარი სჯობსო;
დარდი და სიხარული და-ძმანი არიანო;
კაცს მიწა არჩენსო;
არავინ იცის, ვინ რამდენს იცოცხლებსო;
მიწას ერთს აძლევ, ორს გიბრუნებსო;
სიკვდილი არ გაფრთხილებს, მოვდივარო;
შინ თუ ვერას აწყობ, მთელი აულის დამორჩილებას ნუ ეცდებიო;
ბრმა ლამაზი ველარ იქნებაო;
ცუდი საჭმელი არ არსებობს, არსებობს ცუდი მუცელიო;
სადაც კატა არ ჭაჭანებს, იქ თაგვები გალაღებულები არიანო;
ერთ-ერთი რომ არ პატიობდეს, გაუთავებელი სისხლისღვრა იქნებაო;
მუცელი როცა შეგაწუხებს, ნათესაობაც გავიწყდებაო;
ვისაც წყენის ატანა შეუძლია, პატივის ღირსიც ის არისო;
ყოველ ადათს თავისებური მიდგომა უნდაო;
ხელებმა ერთმანეთისა არა იციან, სანამ ერთმანეთს არ დაბანენო;

უდანაშაულო ძაღლს ნუ მოკლავ, უდანაშაულო ქალს გარეთ
ნუ გააგდებო;
ბებერი მგელი ხორცის ჭამას არ მოიშლისო;
ძველი კარგია, ახალი — ლამაზიო;
ნორჩი ყველაფერი გემრიელიაო;
უნათესაო კაცს საძაღლისკენ უდევს გზაო;
თავის ოსტატურად მოსულელებაც დიდი საქმეაო;
ენა ყველაფერს იტყვის, რის ნებასაც სინდისი მისცემსო;
მოუთმენელს ცხელი საჭმელი უყვარსო;
ბრიყვი ზრდილობას მლიქვნელობას ეძახისო;
ძაღლს ღვეზელის იმედი აქვსო;
ბრიყვი კვდება და იმედს არ კარგავსო;
ქურქს თავის შესაფერი საკერებელი აქვსო;
ცხენს თუ არ ურბენია, მინდვრისა არა იცის რაო;
არც დაბადება იცი, არც სიკვდილი გეცოდინებაო;
ქურდმა ზომა არ იცისო;
უპატრონო ძაღლი გამვლელს აედევნებაო;
ცულით დაკოდილი შუშდება, ენით დაკოდილი — არაო;
ორი სხვადასხვა ხასიათის კაცი ერთმანეთს ვერ ეგუებაო;
კარგი ომი არ არსებობსო;
ორი შვილი — ვითომ შვილი, ერთი შვილი — არაშვილიო;
თუ თავი მთელი გაქვს, ფაფახს იპოვისო;
სიჩქარეში დაბორკილ ცხენზე ნუ შეჯდებიო;
ცუდ თანამგზავრს კარგი ძაღლი სჯობიაო;
ძაღლი კვდება და მაინცა ყეფსო;
რაც საშო, ის ბავშვიო;
ობოლს ბევრი დარდი აქვსო;
რასაც თვალი ხედავს, თავზე ძვირფასიაო;
ოფლი უშედეგოდ არ იღვრებაო;
ხბოს ეტყობა, რა ხარი დადგებაო;
მოკლე ძაფს ნუ გადააგდებო;
მაზლს ნუ გააბრაზებ, თუნდაც ახალგაზრდა იყოსო;
კუდიანი მახეში თავადვე ებმებაო;
ერთ ენაზე მოლაპარაკეთ ერთი სული აქვთო;
ვისაც კაცისა და გზისა არა გაეგება, გაჭირვების ჟამს ნუ იახლებო;
ქათამს საკენკი ელანდებაო;

მორევში ნუ შეხვალო;
ძაღლი თავის სახლშია ძლიერიო;
ერთხელ ვინც ჩავარდება ორმოში, ახლომხედველია,
ვინც მეორეჯერ — ბრმა არისო;
ურემს კოლბოხიც გადააბრუნებსო;
ყველაფერი პატარა საცობად გამოდგებაო;
ვისი იმედიც გაქვს, მისი მოვალეცა ხარო;
ისე რომ წაგსვლოდა საქმე, როგორც გეგონა, რა დაგაქცევდაო;
წინასწარ ნათქვამს ბოლოს ნათქვამი სჯობიაო;
სულზე და წყალზე ტკბილი არაფერიაო.

შირას კიდევ სამი მართალი სიტყვა უნდა ეთქვა, სათქმელი კი აღარაფერი ჰქონდა, ამიტომ დაუმატა: რაც თავი მახსოვს, შენზე საშინელი არა მინახავს, ამაზე უარეს დღეში არასოდეს ვყოფილვარ, აქედან რომ გამაღწევინა, პირს აღარ ვიზამდი აქეთ.

— ყველაფერი რიგზეა, — თქვა შავმა კაცმა და გაუშვა შირა.

პოეზია

აჟვეიფშაას* სიმღერა

1.
ვინც ერთად არის და ერთად მღერის,
მას სიხარულიც საერთო უნდა...
გამთენიისას გაგვახარე.
დედის მოცემული თაფლია
გულის დამატკბობელი,
მამის მოცემული — ბევრი ნადირია.
ოქროს აჟვეიფშაა,
ოქროს სახელო გადაგვაფარე,
ოქროს კალთის ქვეშ შეგვიფარე.
მოგვეც თოთხმეტი ან თხუთმეტი სული ნადირი.
გამთენიისას გაგვახარე,
დაბურულ ტყეში გვაძებნინე,
ციცაბო კლდეზეც გვაძებნინე,
ნადირის ტყავი დაგვაჭერინე.
თუ ტყავი ძველი ნადირისაა,
გრძელბეწვიანი უნდა იყოს...
თუ გრძელფეხებას* მოგვაკვლევინებ, მსუქანი იყოს!
მოგვეცი არჩვი წვერიანი!
თუ გვაძლევ, დიდი ჯიხვი მოგვეცი!
ღირსი გაგვხადე დათვისა და გვაჩუქე ტახი!

2.
ჰეი, ოქროს აჟვეიფშაა, დიდო ოქროს-ჟვეიფშირყან!*
დადი, დადი დაადი!
მოგვეც თოთხმეტი, მოგვეც თხუთმეტი და ოცდაათი!
დადი, დადი დაადი!

თუ ძველი ჯიხვია, გასახმობად ჩელტზე გასდებენ.
დადი, დადი დაადი!
თუ გრძელფეხებაა, გასაშრობად ჩამოკიდებენ
დადი, დადი დაადი!
თუ არჩვია, ტყავის თვლას ვერ ავუდიოდეთ,
დადი, დადი დაადი!
თუ იქნება შუბლთეთრა შველი, მსუქანი იყოს!
დადი, დადი დაადი!
თუ გვაძლევ, მოგვეც დიდი ნადირი
დადი, დადი დაადი!
დე, პატარებმა იკუნტრუშონ, ნუ გვახოცვინებ!
დადი, დადი დაადი!
გარეული ღორის ტყავი — ყურგახვრეტილი.
დადი, დადი დაადი!
თუ დიდ დათვს მოგვცემ, ტყავს ძირს გავშლით
დადი, დადი დაადი!
თუ რბილბეწვაა, ტყავის თვლას ვერ ავუდიოდეთ!

ხმით ნატირლები

დის ნატირალი

მზე ჩადის, უკვე საღამოვდება, ვაი, შენს დას!
შენი მზეც ჩაესვენა, ვაი, შენს დას!
დღე შეგიმოკლდა, ვაი, შენს დას!
შენს დასაც დაუბნელდა მზე, ვაი, შენს დას!
სად წავიდე, ვისღა მივმართო? ვაი, შენს დას!
ვაი მე, კერაჩაშრეტილს! ვაი, შენს დას!
ასე უღმერთოდ რად მომექეცი? ვაი, შენს დას!
რატომ მოსწყდა ცას შენი ვარსკვლავი? ვაი, შენს დას!
გამიქრე კერა, დააქციე ჩემი ოჯახი, ვაი, შენს დას!

ვაი, მე ბედშავს, ვაი!
ვაი, ამ უბედურების მომსწრეს!
ვაი, ბიჭები გყავდა გამოზრდილი—
მთელი სოფელი...
შვილები სასწავლებლად გყავდა გაგზავნილი,
ვაი, შინ მოსვლა აღარ უნდათ...
ვინ შემიბრალებს მე უბედურს?!
შენ სიკვდილი როდი გინდოდა,
მაგრამ გამჩენმა დღე შეგიმოკლა.
სულ მარტო დავრჩი ქვეყანაზე მე უბედური!
სახლ-კარის დარაჯად დავრჩი...
ვიდრე პირში სული მიდგას,
შენს დანატოვარს არ წავახდენ!
ვაი, შენ, თორემ აქ დარჩენილთ
არა უჭირთ რა!
აქ არიან შენი და-ძმანი,
არიან შენი ძმისშვილები და დისშვილები...
ბევრია შენი მოყვარული, დამფასებელი...
სადაც იქნები, დალოცვილი გამყოფოს ღმერთმა!
შვილების დარდი არ გაიყოლო!
ჩვენს მონაგარს გავუფრთხილდები,
მოვუვლი, ვიდრე სული მიდგას, ვაი!
მაგრამ დიდხანს მედგება სული? ვაი!
მეყოფა ძალა? ვაი...

* * *

— დედაჩემო, დედაჩემო, ოჩამჩირეს უნდა გამგზავნონ!
— ჩემო სათბეი, შენს მეტი ვიღა დარჩენია საწყალ დედაშენს?
— ჩემი ტოლები, ნათესავები ხომ გყვანან კიდევ?
— დედაშენს შენი თანატოლები რას უშველიან?
— დედაჩემო, ხომ დაგრჩება ორღობე, სადაც დავდიოდი?
— რა თავში ვიხლი იმ ორღობეს, სადაც შენ ვეღარ გაივლი, შვილო?!
— დედაჩემო, მომიკლეს ორი მეგობარი, ორიც დამიჭრეს.

— კერაჩამქრალმა დედაშენმა რა უნდა ვქნა, ჩემო სათბეი?
— დედაჩემო, მეც იმათ გზას გამიყენებენ.
— გამოეჯარა დედაშენს კარი, გულს რატომ უკლავ, ჩემო სათბეი?
— დედაჩემო, თუ ოჩამჩირეს წამიყვანენ, იქიდან მხოლოდ ჩემი
სამოსი დაგიბრუნდება.
— უდედოდ საით აპირებ წასვლას, ჩემო სათბეი?
— დედაჩემო, ხალხისათვის გავწირე თავი.
— მოგიკვდეს დედა! ის ხალხი არ დაგივიწყებს.
— დედაჩემო, ჯგერდას თემში დიდი სახელი მოვიხვეჭე...
— ვაი დედაშენს! სად უნდა მოკვდე, ჩემო სათბეი?!

ურმული

უო, უო, აშა! ია, უო, უაა!
ლომა და ბუსკა ჯიშიანი საქონელია —
ფერ-ხორცით სავსე.
უოო, უაა!
ვისაც არ დაეზარება, უღელს დაადგამს.
არავინ არის მათი გარჯის დამფასებელი.
ცოტა ჩალას თუ მიუყრიან,
ანდა გუბეში შერეკავენ გასაგრილებლად.
მერე ყურით მოათრევენ, ურემში შეაბამენ.
აპეურებსაც მოუჭერენ, ძალიან მაგრად მოუჭერენ.
მერე მეურმე კოფოზე რომ შემოსკუპდება,
ზურგზე სახრესაც გადაუჭერს.
უო, უაა! ლომა და ბუსკა
დიდი კამეჩები არიან და სარგებელიც დიდია მათგან.
მაგრამ ვინა სცემს საკადრის პატივს?
სამოცდაათი ფუთი ტვირთი მოაზიდვინეს,
აბაზის ჩალა დაუყარეს.
როცა დაღამდა, დამშეულებმა
ვიღაცის ყანა გადაძოვეს.
გაასამართლეს და მათ პატრონს
მთელი ზარალი აზღვევინეს.
ბუსკა და ლომა
და ბრტყელბორბალა მათი ურემი.

აბათაა ბესლანი

აფხაზეთში იყო გაზრდილი, აფხაზი იყო აბათაა —
მარჯვე ვაჟკაცს ქვეყანაზე ტოლი არ ჰყავდა.
შესახედავად, ჩაცმულობით, თოფ-იარაღით მზისებრ ბრწყინავდა.
მხედარი იყო, ცალს რომ ვერავინ დაუდებდა.
ათას კაცში გამოარჩევდით
ხმალ-ხანჯლითა თუ ჩაცმულობით.
აფხაზ ვაჟკაცს, აბათაა ბესლანს
მხარზე ეკიდა შიშველი თოფი,
რომელიც მის თვალს არ ატყუებდა,
რომელიც მის გულს არ აშინებდა.
გაფრენილ ჩიტს დაუმიზნებდა —
თვალს ამოსთხრიდა; .
გაქცეულ ტახს წელს მოსწყვეტდა.
თუ ვინმე იყო უშიშარი, აბათაა ბესლანი იყო.
ყორნისფერი ცხენი ჰყავდა და
უნაგირიც — ყორნისფერი,
მთელ კავკასიას მოსდებოდა
აბათაა ბესლანის ქება.
ახან-იფებსაც და მათ ჰანიფასაც გაეგონათ იმის ქება.
უცოლშვილო იყო აბათაა. ხნიერიც იყო.
ესიზმრა, ვითომ ახან-იფების ტკბილი ასულის
ჰანიფას შერთვას აპირებდა.

ტყუის, ვინც ამბობს, ასეთი რამ არა ხდებაო.
ახან-იფების საცხოვრისამდე
ექვსი დღე-ღამის სავალი იყო.
სამ დღე-ღამეში გაიარა და იქ მივიდა.
ახან-იფების ასულის ქებას უფლისწულამდე მიეღწია.
ჩამოსულიყო, დაენიშნა, ცოლად მიჰყავდა.
ყოველ კუთხეში უფლისწულის მცველები იდგნენ.
სასახლის ირგვლივ ჯარი ერტყა.
ღარიბი ქვრივი ქალის სახლში
დაიდო ბინა აბათაა ბესლანმა.
ოი, ნან, ნან მანათობელო, რამ მოგიყვანა ჩემს ეზოშიო?
უთხრა ბესლანმა, რა საქმეზეც იყო მოსული.

— ნან, იქ ვერ მიხვალ, მთელ სასახლეს ჯარი არტყია.
— შენ მიდი და თუ არ შეგიშვან, თქვი:
„აბათაა ბესლანს ვიფიცავ,
მაინც შევალ-თქო!“
ხმამაღლა თქვი, რომ ყველამ გაიგოს.
რაღა არ ხდება ამ ქვეყანაზე!
თურმე იმ ღამეს, როცა ბესლანმა სიზმარი ნახა,
ჰანიფას ბესლანი დასიზმრებოდა.
გათხოვება აღარ ინდომა. ავადა ვარო, — ლოგინში ჩაწვა.
ქორწილის დღე გადაიტანეს.
ქალს ბესლანზე ბევრი სმენოდა, არკი ენახა.
მოხუცმა ქალმა, სასახლეში რომ არ შეუშვეს,
ერთი ხმამაღლა დაიძახა: „აბათაა ბესლანს ვფიცავ, უნდა შევიდე!“
ჰანიფას ყურს მისწვდა მოხუცის სიტყვა.
„შემოუშვითო“, — უბრძანა მცველებს.
„— მოხუცო, ბრძანე, აბათაას საიდან იცნობ?!
ის ხომ ჩემი გაზრდილიაო“, —
და ქალმა ჰანიფას ბეჭედი მისცა.
ზუსტად ჰანიფას ზომისა იყო,
მისი სახელიც ეწერა ბეჭედს.
ჰანიფმაც მისცა ქალს ბეჭედი, აბათაასთან გაატანა.
რომ ირიჟრაჟა, ახან-იფების სასახლესთან
ყორნისფერი ბედაური მიაჭენა აბათაა ბესლანმა.
ცხენმა ფლოქვებით გადათელა და მიმოფანტა
სასახლის ირგვლივ თავმოყრილი მათი მცველები.
ქალს შეუძახა:
„— სიკვდილს ნუ შეუშინდები,
შენ თუ ქალი ხარ, მე ვაჟკაცი ვარ!“
და დადგა ქალის აივნის ქვეშ.
როგორც მიმინო, გადმოეშვა ქალი აივნიდან.
ჰაერშივე დაიჭირა იგი ბესლანმა,
შემოისვა ტახტაზე და თვალს მიეფარა.
მცველები გაწყრნენ: „როგორ მოგვტაცა ბესლანმა ქალი?!“
შუა გზაზე ქალის მამა წამოეწია გაქცეულებს.
„— თუ გიყვარვარ, მამას სირცხვილი არ მიჭმიოო“, — ეხვეწა ქალი.
ბესლანმა ჰანიფს დაუფინა თავის ნაბადი.
დასვა და მამის შესახვედრად ემზადებოდა.

ისიც მოვიდა და სასიძოს თოფი ესროლა.
ტყვიამ უმტყუნა — მიზანს ასცდა.
ბესლანი ეცა სასიმამროს, გაკოჭა და ცხენზე დააკრა, ცხენი გააგდო.
ცხენი წავიდა, შინ მიიყვანა ჰანიფას მამა, ცხენზე დაკრული.
ამის მნახველმა უფლისწულმა ძალზე იწყინა.
ბესლანს შინ და და დედა ელოდებოდნენ.
შინ მობრუნებულს დიდი ქორწილი გადაუხადეს.
ექვსი დღისა და ღამის შემდეგ, გამთენიისას გამოეღვიძა
და დაინახა, რომ მისი სახლი
ალყაში ჰქონდა მტერს მოქცეული.
მაშინვე ცოლი გააღვიძა: „ჩქარა ადექი,
ძველი ღორები თავს დაგვსხმიანო!"
„ჯერ დედასა და დას მიხედე, მტერს არ ჩაუგდო ხელთ".
ბესლანმა და და დედაც გააღვიძა:
„— ჩქარა, ადექით, თავს დაგვსხმიან ბილწი ღორები!"
„ნან, პატარძალი არ მიატოვო, მტერს არ დაუთმო", —
დედამ მოასწრო ამ სიტყვების თქმა,
ვიდრე მის შვილს ტყვიას ესროდნენ.
სასიკვდილო იყო ნასროლი.
მტერმა, გარს რომ შემოსდგომოდა ბესლანის სახლ-კარს,
მისი ჯალაბი, მისი ხალხი დაატყვევა, გზას გაუყენა.
ბესლანს ჯერ კიდევ სული ედგა, როცა მოვიდა ბათაყუა.
გმირ ბათაყუას შვიდი მთის იქით,
იალაღზე გაერეკა თავისი ჯოგი.
კაცმა ამბავი მიუტანა: „ბესლანი მოკლეს,
მისი ოჯახი ტყვედ წაასხესო".
სამი დღე და სამი ღამე თოფის წამალი რწყა ბათაყუამ.
შვიდი მთის იქით მტერს გზა მოუჭრა, მუსრი გაავლო.
ვინც გადაურჩა, დაატყვევა.
მტერს რომ მიჰყავდა, ის ტყვეებიც გამოიხსნა, შინ დააბრუნა.

ახან-იფების მშვენირ ჰანიფას
მშობლები ძალზე ახაფიფებდნენ:
რძეში მოხარშულ ძუძუთა კრავს
წითელ შაქარს მოაყრიდნენ, ისე აჭმევდნენ,
რათა ნაზი და სათუთი ჰქონოდა ყელი.
ბეწვგამოდებულ ფეხსაცმელებს თუ უყიდიდნენ,

შიგ ფაფუკ ბამბას ჩაუფენდნენ, ისე აცმევდნენ,
რათა ნაზი და სათუთი ჰქონოდა ფეხი.
აბრეშუმის პერანგსაც კი არ ჩააცმევდნენ,
თუ ბაღდადს არ გამოაკრავდნენ,
რათა ნაზი და სათუთი ჰქონოდა ტანი.
ახან-იფების ნაზი ქალი ტყვედ რომ მიჰყავდათ,
რეზინის უხეშ ფეხსაცმელებს ძლივს მიათრევდა.
ოქროს საკინძე ჩამოჰგლიჯეს, ჩექმის ქუსლებით გაუთელეს.
აბათაა ბათაყუას ადამიანად არ აგდებდნენ,
არც კი ახსოვდათ, ვისი რა იყო,
მაგრამ როცა რძალი დაიხსნა,
ბევრი გამოჩნდა შურიანი, ავის მდომელი.
ჭორი დაყარეს: „ბათაყუა ჰანიფას შერთვას აპირებსო“.
„ვინც პირველი მოვა და მითხოვს, იმას გავყვები“, —
ხალხის ჭორებით გაბეზრებულმა ჰანიფამ ბრძანა.
გამოჩნდა თურქი, ითხოვა და ჰანიფაც გაჰყვა.
ერთ დღეს იმ თურქმა
მხაჯირხუა — აბათაა ბესლანის ცხენი — მაღაზიაში წაიყვანა.
იყიდა ბევრი ტკბილეული და ცხენს აჰკიდა.
შინ დაბრუნდა და როცა ჭიშკარში შედიოდა,
დაინახა ჰანიფამ და მწარედ ატირდა. თქვა:
„როცა მტერმა დამატყვევა და წამიყვანა,
როცა ჩექმებით მითელავდნენ ოქროს საკინძეს,
როცა მხოლოდ შავ პურს მაჭმევდნენ,
მაშინ სად იყვნენ ყაბარდოელი ვაჟკაცები? რატომ არ ჩანდნენ?
ჩვენ ხომ მათი ტანსაცმლის კერვით
თითები გვქონდა დაჩხვლეტილი?!
დატყვევებულებს ბათაყუა გვყავდა ქომაგად.
სხვას არავის გავხსენებივართ. ბოროტი ენის გადამკიდე
ასე გავთხოვდი და ახლა ვგლოვობ საკუთარ თავს.“

სალუმან ბღაჟბა

დილით მოკლული თავის ძმის სისხლი
შუადღემდე უკვე აიღო
სალუმან გმირმა,
ვინც ერთი თოფის ნასროლ ერთ ტყვიას
არ გაურბოდა შეშინებული.
სალუმან გმირი!
ვინც ერთი ქალის ნაშობ ერთ კაცს
არ გაურბოდა შეშინებული.
სალუმან გმირი!
გზად მიმავალი თუ ავისმდომს შეეყრებოდა,
გეზს არ შეშლიდა, არ აუქცევდა.
სალუმან გმირი!
ხალხის მტანჯველებს, თავის ძმის მკვლელებს
წამოეწია, სისხლი აიღო
სალუმან გმირმა.
სისხამ დილით მოუკლეს ძმა.
შუადღემდე სისხლი აიღო
სალუმან გმირმა.
ტანთ აფხაზური ჩოხა აცვია,
თავი შეკრული აქვს ყაბალახით
სალუმან გმირს.
ხან ცეკვით მოჰყავს, ხან მოაგელვებს
თავის ლურჯა ცხენს
სალუმან გმირი.
მის სამშობლოში რა გამოლევს მასზე სიმღერას,
ვინაც სახელი მოუხვეჭა თავის ხალხს?!
სალუმან გმირი!
ვინაც დილით მოკლული თავის ძმის სისხლი
შუადღემდე უკვე აიღო.
სალუმან ბღაჟბამ!

ლაშქრული

აჰა ჰაი, ამარჯაქუა,* ნუ შეშინდებით!
ერთ დღეს ნაშობი
ერთ დღეს მოკვდება!
აჰა ჰაი, მაშ სიკვდილს
ნუ შეუშინდებით!
ვაჟკაცო, გახსოვდეს
გმირი წინაპრები!
ლაჩრებს ნურასდროს გაიხსენებ!
მანამ ისროლე,
სანამ თოფი არ გაგისკდება!
ზუსტად თექვსმეტჯერ გაისროლე!
შენი თოფი მტერს ისე ცელავს,
ვით ცელი — ბალახს.
ცელე და წადი! წინ იარე!
ნუ ჩამორჩები!
აფხაზო გმირო,
დედის მუცლიდან
ვაჟკაცობა რომ დაგყოლია,
საიქიომდე გიტარებია!
შენ სიკვდილი ვერ შეგაშინებს!
შიში ეშმაკის ნაშობია,
უშიშრობა კი — ნართებისა!
უშიშრობა გმირთა შორის დაგამკვიდრებს,
შიში კი საშიშ ადგილს გიმზადებს.

ქალ-ვაჟის გაბაასება

ვაჟი:
ჩემო დილავ და ჩემო საღამოვ!
ჩემო მზეო და ჩემო სინათლევ!
ჩემო თაფლო და ჩემო შაქარო!
ჩემო თვალნათელო და წარბხშირო!
ჩემო სიტკბოებავ!
მომიახლოვდი, ჩემო ბურსეულო!*

თავს როდი შეგაწყენ ბევრი ლაპარაკით.
საერთო გვქონდეს ავი და კარგი,
ტკბილი სიტყვები ვუთხრათ ერთმანეთს!

ქალი:
ღმერთო ჩემო! ზედმეტად მაქებ,
თითქოს არავინ შეგხვედროდეს ჩემი სადარი.
ამ სიტყვებს, ალბათ, სხვებთანაც ამბობ,
სხვას კიდევ რამდენს აუბნიე, ნეტავ, გზა-კვალი?
მირჩევნია, არ მესმოდეს სულაც შენი ხმა,
მირჩევნია, არ ჩავიხედო სულაც შენს გულში.
მეც იოლად ვერ მომატყუებ,
ზედმეტ სიტყვებს ტყუილად ხარჯავ.
ნუ გგონია, რომ იოლად გადამიბირებ!
მშვიდობით, ღმერთმა სიკეთე მოგცეს,
ამაყო ვაჟო!

ვაჟი:
ღმერთო ჩემო!
ნუთუ საწყენი წამომცდა რამე?
რა ვთქვი ისეთი,
რაც ერთმანეთს დაგვაშორებდა?
თურმე ამაოდ მეიმედები.
თურმე სულაც არ აპირებ ჩემს გადარჩენას,
თურმე ტყუილად გაქვს ნაზი ხელი,
თურმე ტყუილად ხარ მშვენიერი.
თურმე მხოლოდ თვალს ატყუებს ეგ სილამაზე.
დღეის შემდეგ
კარგი დღე გქონდეს.

ქალი:
ღმერთო, ეს რა დამემართა!
მე უბედურს რა მეშველება?!
არ მეგონა, თუ იოლად შემელეოდი.
თურმე მაკლია მე საცოდავს გამოცდილება.
რაში მარგია ეს სილამაზე,
თუ ვერ შევძელი შენი გულის მონადირება?

დე, დავისაჯო,
დე, ჩემზე თქვან, მოთმინება არა ჰყოფნისო...
შორს ნუ გადასწევ ნიშნობის დროს...

ვაჟი:
გული რაღატომ გამიხეთქე, რად შემაშინე,
თუ ბოლოს მაინც დამთანხმდებოდი?
გადამარჩინე, სული ჩამიდგი,
ამ ხუთშაბათს დავთქვათ ქორწილი.

ზარმაცი ქალი

როცა ჩაიცვამს და სადმე მიდის,
პირის დაბანა ეზარება.
სველ პირსახოცს მიისვ-მოისვამს და ისე წავა.
მთელ დღეს უბან-უბან დაეხეტება.
შინ თუ დაბრუნდა,
კარდალით წყალს ჩამოჰკიდებს და ღომს მოხარშავს.
იმასაც თუ მოხარშვა ჰქვია!
სანახევროდ უმი იქნება!
სახლს გვის, ნაგავი უკან რჩება.
ეზოს კი სულაც არ ალაგებს.
თუ შინ არის, სძინავს და სძინავს.
თუთიყუშია, სიტყვას არ გაცლის.
თუ სიტყვის თქმა ვერ დაასწარი,
მორჩა, კრინტს არ დაგაძვრევინებს.
გაუთავებელ ტრაბახს მოჰყვება.
თუ არ იცნობ, შეიძლება, მოტყუვდე კიდეც.

* * *

ყოყლოჩინაა, საკუთარ თავზე შეყვარებული
შორს წასვლა რომ ეზარება, მეზობლებს სტუმრობს.
სხვები შრომობენ, მას წელი სწყდება.
მხოლოდ ჭამაში აჯობებს ყველას.
სხვები რომ ჭამენ, ის დიდრონ ლუკმებს მიერეკება.
სხვის სახლში შედის შუბლგახსნილი, გახარებული,
თუ თავის სახლში მისული გნახა, დაგემალება.
დაწყევლილი იმისი კერა ქალს ვერ ელირსა.
ერთი მარცვალიც არ უგდია სასიმინდეში.
ლაზღანდარაა, მეხეტეა.
სადაც არავინ ეპატიჟება, მიეხეტება.
თუ დაპატიჟეს არ წავა, წასვლა დაეზარება.
ყველა იცნობს, რა კაციც არის.
თავი ვაჟკაცი ჰგონია, მაგრამ
მკვდარია ფეხზე მოსიარულე.

მამლაყინწას სიმღერა

— ყიყლიყოოო!
— სადა ხარ?
— შუაგულ ტყეში.
— ფეხთ რა გაცვია?
— ქალამნები.
— ვინ ამოგისხა?
— ხურაშამ.
— აკი მოკვდაო?
— ქელეხსაც ვუხდით.
— რა უნდა დაკლა?
— ცხვრები, ძროხები.
— მეც დამპატიჟებ?
— რატომაც არა!
— სად დამსვამ?
— სუფრის თავში.
— წინ რას დამიდებ?
— ცხვრის ფეხებს.

ავი თვალისა

1.
მეფე, მეფე, მხოლოდ მეფე...
შენთვისაც, მისთვისაც არის იადკია,
იადკია ჯინჯ, ვინაც თავი გამოიჩინა.
პატარძალი, პატარძალი, კაბაწითელი პატარძალი.
სქელი კაცი ქედმაღალი.
მისი ავი თვალი,
მისი ავი პირი
წითელ თვალს
წითელი ჩხირი ეცეს,
თეთრ თვალს მრუდე ჩხირი ეცეს,
ავი თვალი, ავი პირი
შავ ტალახში გავატარე.
შვიდ ზღვას იქით გადავკარგე.
ვინც წყაროს წყალი თბილ წყლად აქცია,
ვინც ირმის ნუკრი დაამაკა,
ვინც პანტა ბეწვად აქცია და
მაჟალოს კვირტი გამოუნასკვა,
აითარის* ეზოში შავი ცხენი დაუმწყვდევიათ.
შაშიის* კანს მათი ხმა აქვს,
თავქვეშ ანანას* მათრახი უდევს.

2.
ვინც მთიდან ნასროლ ქვას
ზღვის ნაპირს უწვდენს,
ვინც ზღვის ნაპირიდან
ნასროლ ქვას
მთას უწვდენს.
ვინც ღმერთების ხბო დაამაკე,
ვინც ღმერთების ხბო ააბღავლე.
ვინც წყარო დამპალ წყლად აქციე, ბოროტო თვალო,
ვინც ავი თვალი ყორნად აქციე, ბოროტო თვალო,
მუხის ყლორტი ვინც გაახმე, ბოროტო თვალო,

ვისია ბოროტი თვალი?
შენი ბოროტი, ავი თვალი
მაგ ჯამში გიდევს.

წითელასი

წითელი კაცი წითელ ცხენზე ზის,
წითელ კაცს წითელი ყაბალახი ახვევია,
წითელ კაცს წითელი წუღა აცვია.
წითელი კაცი წითელ უნაგირზე ზის,
წითელ კაცს წითელი მათრახი უჭირავს,
გაიქცა — გავიქეცი,
შეხტა — შევხტი.
ასინისები გავიარეთ,
მირის სოფელიც გავიარეთ,
წითელ კლდეზე წითელი გველი მოვკალით.

გველის ნაკბენისა

ვისიც თავი ხორცია და
ვისაც კუდი გაჭრილი აქვს,
ახთი, ახთი, მამის კისერი.
ზღვაზე ვინ გადო ხიდი?
ზღვიდან ვინ ამოიღო თესლი?
ზეცის თავანს ვინ მიადგა კიბე?
წითელი ღორი ვინ ჩამოკიდა,
ანდა ვინ აქნა?
წითელი თხა ცეცხლზე ვინ შერუჯა?
შვიდი მთის გადაღმა გადაგრეკავ,
შვიდ მთაზე შვიდი ციხე დგას,
მათი კარები ჩაკეტილია.
შაშის თხის ფარაში შეგრეკავ,
თუ გაუშვებ, მეც გაგიშვებ,
თუ არ გაუშვებ, არც მე გაგიშვებ.

აწანები

ძველად მთაში ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც აწანებს ეძახდნენ. ისინი იმდენად პატარები იყვნენ, რომ გვიმრაზე ადიოდნენ. მაშინ მთაში თოვლი, წვიმა, სეტყვა არ მოდიოდა, ქარი არ უბერავდა. ცხოვრობდნენ აწანები უდარდელად — არავისი ეშინოდათ, ანგარიშს არავის უწევდნენ, არც ღმერთი ჰყავდათ, არც ხატი. თავი ყველაზე უკეთესი ეგონათ.

ერთხელ, შუადღისას, აწანგუარაში* ციდან ჩამოეშვა კალათი, რომელშიც ოქროს აკვანი იყო. მასში ჩვილი იწვა. აწანებს ძალიან გაუხარდათ ბავშვის დანახვა და დაიწყეს მისი აღზრდა. ბავშვი დღითი დღე იზრდებოდა. ერთხელ თავის გამზრდელებს ჰკითხა:

— თქვენ არაფრის გეშინიათ. თუ არსებობს თქვენი მომრევი ძალაო.

აწანების 300 წლის პაპამ თქვა: — აი, რა არის ჩვენი მომრევი: თუ მოვა ბამბის თოვლი და ცეცხლი გაუჩნდება, ალბათ, დავიწვებითო. ქვეყანაზე სხვა რამ ჩვენი მომრევი არავინააო.

ამ დროს ბიჭი სადღაც გაქრა. აქეთ ეძებეს, იქით ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ცოტა ხნის შემდეგ აწანების უფროსმა დაინახა ერთი ვაცი. ვაცს წვერი უცანცარებდა.

— უიმე, ჩვენი გადაშენების დრო დამდგარა. ჩვენ მოკეთე კი არა, ჩვენი მომსპობი გაგვიზრდიაო. ნახეთ, როგორ უცანცარებს ვაცს წვერიო!

— მერე ეს რას ნიშნავსო? — ჰკითხეს.

— როგორც მოგეხსენებათ, ჩვენთან დღემდე ქარს არ დაუბერავს. ახლა ამ ვაცის წვერს აქანავებს ქარი. უთუოდ უნდა გადავშენდეთო!

ქარი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ბამბის თოვლი წამოვიდა, ერთიორი საჟენი* დადო, მერე ცეცხლი გაუჩნდა და ყველაფერი გადაბუგა.

ასე გადაშენდნენ აწანები.

დღესაც მთაში არის ადგილი, რომელსაც აჩაგილარას უწოდებენ. აი, რატომ: თურმე აწანი დადევნებია ირემს დასაჭერად. აჩაგილარას რომ მიუღწევია, ირმისთვის კუდში წაუვლია ხელი და გაუჩერებია. ასე რომ, აწანები მუხლმაგრები და უშიშრებიც ყოფილან.

ამბობენ, იმ ადგილზე, სადაც დღეს რიწის ტბაა, ოდესღაც ხალხით დასახლებული ლამაზი ველი იყოო. აქაურობის ტბად გადაქცევა ასე მომხდარა:

ამ ადგილას ფშისებს უცხოვრიათ. შეძლებულები ყოფილან, გარდა ერთი ქვრივი ქალისა. ქვრივს ბევრი ვაჟიშვილი ჰყოლია, ოღონდ პატარები, „მაჭამეს“ გარდა არაფერი სცოდნიათ.

ქვრივი დღე და ღამეს ასწორებდა, თავაუღებლად ემსახურებოდა მეზობლებს. გასამრჯელოს ძალიან ცოტას აძლევდნენ, მაგრამ რა ექნა? სხვა რა გზა ჰქონდა?

სამშიერო ლუკმას აჭმევდა ქვრივი შვილებს. ერთხელ ეს ლუკმაც შემოელიათ. ბავშვები „მშია, მშიას“ ძახილით გარს ეხვეოდნენ დედას. ქვრივმა რამდენიმე მეზობელს მიაკითხა. მათთან საჭმელი ეგულებოდა, „იქნებ ხელი გამიმართონო“, — ფიქრობდა, მაგრამ ზედაც არავინ შეხედა.

დაბრუნდა შინ. აიღო ქვაბი, ჩაყარა შიგ ქვები და ცეცხლზე შემოდგა. ბავშვები ცეცხლს შემოუსხდნენ „მშია, მშიას“ ძახილით.

— ახლავე, შემოგევლოთ ნან,* ახლავე მოგიმზადებთ საჭმელსო, — ეუბნებოდა ქვრივი შვილებს და თან თავზე ხელს უსვამდა.

ბავშვებიც ისხდნენ და ელოდნენ „ღომის“ მოხარშვას. დაღამდა. ზოგ ბავშვს ცეცხლთან ჩაეძინა, ზოგი კი ძილს თავს ართმევდა და მწარედ ტიროდა. დედა კი ამშვიდებდა:

— ახლავე, ახლავე იქნება, ნუ ტირითო.

ტირილით დაოსებულ ბავშვებს ჩაეძინათ. დედა კი იჯდა ცეცხლის პირას, ჩაჰყურებდა ქვაბს და მწარე ფიქრებს მისცემოდა.

— მასპინძელო! — დაიძახა ამ დროს ვიღაცამ.

— აუ, — შეეხმიანა ქვრივი და კარში გავიდა. მოსული შინ შემოიპატიჟა.

სტუმარი შემოვიდა, დაჯდა და თქვა:

— რაღა დაგიმალო და ძალიან მშია. ცოტა რამეს ხომ არ მაჭმევდიო.

— უი, ახლავე მოგართმევთ, — უთხრა ქვრივმა და ქვებით სავსე ქვაბს შეხედა.

სტუმარმა ისევ თქვა:

— მეჩვენება, თუ ქვაბში ქვები ყრია? იქნებ გადანახული გაქვს რამე და მაჭამოო?

— გადანახული არაფერი მაქვს, მაგრამ ვნახოთ, ღმერთი რას მომცემსო, — უპასუხა ქალმა.

ამ დროს ქვები ფქვილად იქცა და ქვაბში ღომი ათუხთუხდა. ქალმა

ამოზილა ღომი, სტუმარი დააპურა, შვილები გააღვიძა, მათაც აჭამა და დააძინა.

ქვრივი დილას უთენია ადგა. ხედავს სტუმარი წასულა, ქოხში კი ლამის წყალი შემოვიდეს.

— ნეტავ, რა ხდებაო?!

გაიხედ-გამოიხედა და ხედავს, ირგვლივ ყველაფერი წყლით არის დაფარული. მხოლოდ ერთი ბილიკი დარჩენილა მისი სახლიდან გასასვლელი.

მაშინვე გააღვიძა შვილები.

— ეს ბილიკი იმიტომ არის, რომ ღმერთს ჩვენი დახრჩობა არ უნდაო.

ვისაც სიარული შეეძლო, წინ გაუშვა, პატარები ხელში აიყვანა და ბილიკს გაჰყვა. მიდიოდნენ წინ ქვრივი და მისი შვილები, მათ უკან კი ბილიკი წყლით იფარებოდა. სამშვიდობოს გავიდნენ თუ არა, წყალი აზვირთდა და ყველაფერი დაფარა.

ასე გაჩნდა რიწა.

ქვრივი ქალის შვილების შთამომავალთ ფშისებს ეძახიან.

ამბობენ, თუ რომელიმე ფშისბა რიწასთან მოხვდა, თუ არ დაიჭირე, წყალში გადაეშვებაო.

გველი, მერცხალი და ხოჭო

ძველად ერთი ბრძენი კაცი იყო. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი უჯერებდა ამ ბრძენკაცს. ცუდი ამინდი იდგა. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ბრძენი მიხვდა, რომ ზღვა ნაპირს გადმოლახავდა. შეკრიბა ოსტატები და დაავალა, ორმოც დღეში გემი აეშენებინათ. მართლაც, ააშენეს. უფრო მალეც დაასრულეს.

ბრძენმა დედამიწაზე არსებული ყველა სულდგმულის თითო წყვილი შეიყვანა გემში, რომ გადაერჩინა. მარტო კამეჩი დაავიწყდა.

სანამ კამეჩს გემზე აიყვანდნენ, წყალდიდობაც დაიწყო. გემი წავიდა. ეს რომ კამეჩმა დაინახა, გემს „ნოე, ნოეს“ ძახილით გამოეკიდა (ბრძენკაცს ნოე ერქვა). ახლაც თუ ყურს მივუგდებთ, მივხვდებით, რომ კამეჩი როცა ბღავის „ნოე, ნოეო“, — იძახის.

გემი მიცურავდა. თაგვს მოშივდა და ხვრელი გააკეთა. გემში წყალი შემოვიდა. ბრძენმა თქვა:

— ვინც გადაგვარჩენს, რასაცა მთხოვს, მივცემო.

გველმა ხვრელი კუდით დაგმანა, მაგრამ მალე შესცივდა და გემში ისევ დაიწყო წყალმა დენა.

ბრძენმა იცოდა, გველის ნდობა არ შეიძლებოდა და ფრინველებს სთხოვა, დამეხმარეთო.

გაფრინდნენ ფრინველები, მაგრამ მხოლოდ მტრედმა მოიტანა ნისკარტით თიხა.

— მტრედო, გაგვიძეხ და გვიჩვენე, საიდან მოიტანე თიხაო, — უთხრეს მტრედს.

მტრედიც გაუძღვა. იმ ადგილამდე რომ მივიდნენ, გემი გაჩერდა. ბრძენმა ყველანი გამოუშვა გემიდან.

ერცახუს* ყველაზე მაღალ ადგილას, უარშაჰიმუას* რომ ეძახიან, ახლაც ყრია გემის ნამსხვრევები. იმ მთაზე ვერავინ ადის, მიუდგომელია.

— გველმა გადაგვარჩინა და რასაც მთხოვს, მივცემო, — თქვა ბრძენმა და მერცხალი და ხოჭო გაგზავნა, — მიდით და გველს ჰკითხეთ, რა უნდაო.

გველმა:

— ადამიანის ხორცი მინდაო.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, მერცხალმა თქვა:

— ნუ ვიტყვით, გველი ადამიანის ხორცს რომ თხოულობს. ვთქვათ, ბაყაყის ხორცის ჭამის უფლება უნდა-თქო.

— არა, რაც გავიგეთ, ის უნდა ვთქვათო, — დაიჟინა ხოჭომ.

მერცხალმა ხოჭოს ენა ამოაგლიჯა და ბრძენთან რომ მივიდნენ, ვეღარაფერი თქვა.

ბრძენმა მერცხალს მოუსმინა და უთხრა:

— გველს გადაეცი, რომ ბაყაყის ხორცის ჭამის უფლება მიმიციაო.

გველმა ეს რომ გაიგო, მიხვდა, რომ მერცხალმა რაღაც იეშმაკა. ახტა და მერცხალს კუდში სწვდა. მერცხალმა გაფრენა მოასწრო, მაგრამ მისი კუდის რამდენიმე ბუმბული გველს პირში შერჩა. ამიტომ აქვს მერცხალს კუდი ორად გახლეჩილი.

ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ღრუბლებში შეხვდნენ. ამიტომ არის, რომ კაცს მუხლები აქვს ცივი, ქალს — საჯდომი.

ქალსა და კაცს ოცდაათი ქალი და ოცდაათი ვაჟი ეყოლათ.

— ქვეყანა რომ გავავსოთ, ჩვენი შვილები უნდა შევაუღლოთო, — თქვეს ქალმა და კაცმა.

შვილები გაჯავრდნენ:

— გაგიჟებულან ჩვენი მშობლები. და-ძმის შეუღლება სად გაგონილა?! ჩვენი მშობლები უნდა დავხოცოთო.

ამის გამგონე მშობლები შეწუხდნენ:

— ეს რა უფიქრიათ ჩვენს შვილებსო?! — ადგნენ და შვილებს ენა შეუცვალეს.

რაკიღა ერთმანეთისა არ ესმოდათ, კიდევაც შეუღლდნენ.

ბრძენმა კაცმა კამეჩი დალოცა: ცხოველთა შორის ყველაზე კარგად იცურავებ და არ ჩაიძირებიო.

რატომ არ კლავენ საძბები გველს

ეს ამბავი საძბებში მოხდა. საძბები დღესაც არ კლავენ გველს და აი, რატომ:

ერთხელ, ორ მაზლისცოლს ჩრდილში ეძინა. უცებ ერთს გაეღვიძა და რას ხედავს?! მის მაზლისცოლს პირში გველი უძვრება. რა ქნას? რა მოიმოქმედოს? წაავლოს გველს კუდში ხელი და გამოსწიოს, ვაითუ, მოუბრუნდეს და უკბინოს ან ქალს გაეღვიძოს და შიშით გული გაუსკდეს. დარჩა გახევებული.

გავიდა ხანი. ქალი დაორსულდა. მშობიარობის დრო რომ დადგა, მისმა მაზლისცოლმა დედამთილს უამბო, როგორ ჩაუძვრა ქალს პირში გველი. რძალ-დედამთილმა მოილაპარაკეს, რომ არავისთვის არაფერი ეთქვათ. მშობიარესთანაც მარტო თვითონ დარჩნენ. ქალი ჩრდილში დააწვინეს, ფერხთით ბალიში დაუდეს, ბალიშზე ერთი თოფი თეთრი აბრეშუმი გადაფინეს, გაშალეს და ფიანდაზად დააგეს.

დაიბადა ბავშვი. ყელზე გველი ჰქონდა შემოხვეული. როგორც კი ბავშვი ხელში აიყვანეს, გველი თავისით შემოეხსნა. არც ბავშვისათვის უვნია რამე და არც ქალისათვის, გასრიალდა, წავიდა.

დიდი ხანი არ გასულა. გველი დაბრუნდა, დაჯდა აკვანთან და რწევა დაუწყო. იჯდა და არწევდა. ოჯახის წევრები სამუშაოდ რომ მიდიოდნენ, გველი ბავშვთან რჩებოდა და არავის აკარებდა მას.

ამიტომ არ კლავენო საძბები გველს.

რატომ ყმუიან მგლები

იყო ერთი კაცი. ერთ დღეს ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. მიდის. ხედავს, ვიღაცას ტყე გაუკაფავს. გასხეპილი ტოტებისათვის ცეცხლი მოუკიდებია, მაგრამ ცეცხლი ტყესაც მოსდებია. ერთ ცეცხლწაკიდებულ მუხაზე გველი ასულა და კენწეროსაკენ მიცოცავს, ცეცხლიც უკან მისდევს, ხან წამოეწევა, ხან უკან იხევს.

გველი შემოეხვია ხის კენწეროს, მაგრამ თავს ვერ იმაგრებს, საცაა ჩამოვარდება.

ცხენოსანმა ეს რომ დაინახა, უზანგზე შედგა და გველს მათრახი აუქნია. ისიც მათრახს შემოეხვია და კაცის მხრებზე დაეშვა.

ცხენოსანმა გზა გააგრძელა. ეგონა, გველი ძირს ჩავაო, მაგრამ ნურას უკაცრავად — გველი ყელზე შემოეხვია და კბენა დაუპირა.

— რას აკეთებ, შე უმადურო?! იწვოდი, ცეცხლიდან გამოგიყვანე, შენ კი სიკეთეს რითი მიხდიო.

— ვიცი, რასაც ვაკეთებ, — უპასუხა გველმა.

— მაშინ სამჯერ დავსვამ ერთ შეკითხვას და ვიდრე პასუხს არ მივიღებ, ნუ მიკბენო, — სთხოვა ცხენოსანმა.

— კარგიო.

მიდიან. ერთი მსხმოიარე კაკლის ხის ქვეშ კაცმა ცხენი შეაჩერა და ხეს მიმართა:

— ასე და ასე მოხდა, იქნებ ჩვენი საქმე გაარჩიოო.

— შენ თვითონ განსაჯე, თუ არსებობს სიკეთეო, — უთხრა კაკლის ხემ, — სიყვარულით ვზრდი ჩემს ნაყოფს, თქვენ კი მოდიხართ და კეტით ყრით, ფეხით თელავთ, ჭამთ. ეს არის სიკეთე?

გაეცალა მხედარი კაკლის ხეს. გველმა ისევ დაუპირა კბენა.

— ნუ მიკბენ, ორჯერ კიდევ დამასმევინე კითხვაო.

ამ დროს ორლობეში მომავალი უზარმაზარი ხარი დაინახეს.

— გეხვეწები, ცოტა ხანს გაჩერდიო, — სთხოვა ხარს.

ხარი შეჩერდა, თავი ასწია.

— ასე და ასეა ჩვენი საქმე. გაგვირჩიე. ზიანს ნუ მომაყენებს, სიკეთე დაინახოსო.

— რა სიკეთეზე ლაპარაკობ. ლუკმა პურს გაჭმევ, შენ კი ცხვირ-პირში სახრეს მირტყამ, მაგასაც არ სჯერდები და ტაბიკებითაც მცემ. აბა, განსაჯე, არსებობს სიკეთე? — უთხრა ხარმა და გზა გააგრძელა.

გველმა ისევ რომ დააპირა კბენა, — ერთი შეკითხვა კიდევ მაცალეო, — შეევედრა კაცი.

გააგრძელეს გზა. ტყეში შევიდნენ, მიდიან ტყის ბილიკზე. ერთბაშად ტყიდან მგელი გამოვარდა.

— თუ შეიძლება, გაჩერდიო, — სთხოვა კაცმა.

მგელი შეჩერდა.

— ასე და ასე დაგვემართა. იქნებ საქმე გაგვირჩიოო.

— ჩამოქვეითდიო.

ცხენოსანი ჩამოქვეითდა. გველი ისევ კისერზე ჰყავს მოხვეული.

— შენც ჩამოდიო.

გველი დაემორჩილა.

— მრგვლად დაეხვიეო, — უბრძანა მგელმა და ისიც დაეხვია, მხოლოდ თავი აქვს აწეული.

— მაშ, იწვოდი და ამ კაცმა ცეცხლიდან გამოგიყვანაო?

— დიახო.

— შენც ხომ სიკეთე ჰქენი? — ახლა კაცს მიუბრუნდა მგელი.

— დიახო. — უთხრა კაცმაც.

— ჰოდა, გეყოფა, რაც სიკეთე გიქნია, ახლა მე მომბაძეო.

ახტა მგელი, დაახტა გველს და თავი გაუჭეჭყა. კაცმაც იგივე გაიმეორა.

— ახლა თავისუფალი ხარ, შენს გზას ეწიეო, — უთხრა მგელმა.

შეჯდა კაცი ცხენზე და გაუდგა გზას. მგელი წინ მიუძღვის. „ეს ჩემს წინ რატომ უნდა მიდიოდესო“, — იფიქრა კაცმა და მგელს თოფი ესროლა. მგელმა მწარედ დაიყმუვლა. მას ტყიდან სხვა მგლებიც გამოეხმაურნენ.

— ხედავ, სიკეთე როგორ გადამიხადა. მე სიკვდილისაგან ვიხსენი, მან კი რა გამიკეთაო?! — თქვა მგელმა.

ამ დღის შემდეგ დაიწყეს მგლებმა ყმუილი.

აბრსკილი*

ძველად აფხაზეთში ერთი ძალიან ლამაზი, დიდგვაროვანი ქალი ცხოვრობდა.

ქალს ფიცი ჰქონდა დადებული, არასოდეს გავთხოვდებიო. მშობლებიც მის ნებას დაჰყვნენ.

გავიდა ხანი. ქალი მოიწიფა და, კაცმა არ იცის, როგორ, დაორსულდა. მშობლები, შვილის უბიწოებაში დარწმუნებულები, მოთმინებით ელოდნენ ბავშვის დაბადებას, იცოდნენ, რომ ამ საქმეში არაამქვეყნიური ძალები იყვნენ გარეული. მართლაც, დაიბადა ბიჭი, მაგრამ რა დაიბადა?! ერთი კვირისა ერთი წლისას ჰგავდა, ერთი წლისა — ათი წლისას, ათი წლისა — ოცი წლისას. გულადი და მუხლმაგარი ვაჟკაცი დადგა. აბრსკილი დაარქვეს. ამბობენ, სოფელ გუფში ცხოვრობდაო.

იმ დროში ხშირი იყო თავდასხმები, ძარცვა. დაესხმოდნენ სოფელს და იტაცებდნენ ყველაფერს: ადამიანებს, საქონელს.

აბრსკილი რომ წამოიზარდა, მისი შიშით ყაჩაღები ველარც მთიდან ჩამოდიოდნენ, ველარც ზღვიდან შემოდიოდნენ.

ყველა აფხაზს — დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს აბრსკილზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. მისით აყვავდა და აღორძინდა აფხაზეთი.

აბრსკილი რაშზე ამხედრებული დადიოდა. თან თავის განუყრელ ალაბაშას* დაატარებდა.

მალე მისი სახელი და დიდება აფსნის* საზღვრებს გასცდა. ვინც იცნობდა, ყველა პატივს სცემდა, მისით ხარობდა, მისით ამაყობდა. მტერი კი შიშით მიწაში ძვრებოდა.

აბრსკილი აფხაზეთში ბოროტ კაცსა და შხამიან ბალახს არ აჭაჭანებდა, სადაც გადაეყრებოდა, სპობდა. შხამიანი ბალახი ძალას ართმევს მიწას, მოსავალს ამცრობსო. გამორჩევით გვიმრას ემტერებოდა. გვალვაში ერთი ნაპერწკალიც საკმარისია, რომ ცეცხლი წაეკიდოს და დიდი უბედურება დაატეხოს ქვეყანასაო. ამიტომ აბრსკილი ხშირად დადიოდა ზღვაზე, ეძებდა ზღვაში სარეველას ფესვებს და ძირკვავდა. მშრომელი ხალხი კი უყვარდა, გვერდში ედგა და მათ მჩაგვრელებს თავებს აყრევინებდა. არც უსურვაზი უყვარდა აბრსკილს. გზაზე გაბმულ ლერწს თუ გადაეყრებოდა, ხმლის ერთი მოქნევით ჩაკაფავდა. ამპარტავნობა ნებას არ აძლევდა თავი დაეხარა, აქაოდა, თავის დახრა ღმერთის თაყვანისცემაში არ ჩამეთვალოსო.

საკუთარმა ძალ-ღონემ, ხალხის სიყვარულმა თანდათან გაადიდგულა აბრსკილი. ღმერთთან გატოლებაც კი მოინდომა, „რითი ვარ ღმერთზე ნაკლებიო“, — ამბობდა. რაც ღმერთს შეუძლია, ის მეც შემიძლიაო. ელვა მეც შემიძლია გავაჩინოო. მოახტებოდა თავის რაშს, ზეცას ავიდოდა, იქნევდა ორლესულს და აელვებდა. გამხმარ ძროხის ტყავში ქვებს ჩაყრიდა, რაშს გამოაბამდა და ცაში დააჯირითებდა — ქვების რაჩხარუჩხი მართლაც ქუხილს მოგვაგონებდა.

აბრსკილის დროს აფხაზეთში დოვლათი და სიმდიდრე იყო. ძროხებსა და კამეჩებს სამჯერ, ხოლო თხებს ხუთჯერ წველიდნენ.

აბრსკილი მწითურ და ჭრელთვალება ხალხსაც არ ინდობდა — თარსები არიანო. თვალბოროტიანებად და ავის მომტანად მიაჩნდა ისინი. ასევე სდევნიდა იაშბებსა და ქაცბების გვარის ხალხს. სადაც ეგენი ცხოვრობენ, სოფელი ვერ გაიხარებსო, — ამბობდა.

ამბობენ, აბრსკილს დევიც ჰყავს მოკლულიო. დევი მაღლა მთაზე მჯდარა, თურმე მარჯვენა ხელით ზღვაში თევზს იჭერდა, მზეზე წვავდა და ჭამდა. შორიახლო მომავალ აბრსკილს დაუნახავს და:

— მანდ რას აკეთებო? — დაუძახია.

— რას ვაკეთებ და ვჭამ, — აგდებულად უპასუხა დევმა.

— კიდევ რა შეგიძლიაო?

— რა შემიძლია და, თუ ზღვაში ჩავხტი, ზღვა ნაპირზე გადმოვა და ყველაფერს ისე წალეკავს, რომ ცოცხალი არავინ გადარჩება. აი, ნახე!

აბა, მიყურე! — თქვა დევმა და ზღვაში ჩასახტომად მოემზადა. მაგრამ აბრსკილმა დაასწრო და დევს კოჭში ისარი ესროლა. დევი დაეცა. აბრსკილი უზანგებზე წამოიმართა. უნდოდა დაენახა, სად უნია დევს ისარმა, მაგრამ დევი ისეთი იყო, რომ თავთან მდგარმა აბრსკილმა თვალი ვერ უწვდინა დევის დასისხლიანებულ ფეხს. ჭრილობიდან სისხლის მდინარე მოედინებოდა. გამვლელებმა რომ გაზომეს, დევის ფეხის გულიდან კოჭამდე 120 აუარგია* აღმოჩნდა.

აბრსკილს მკლავიც ძლიერი ჰქონდა. ასფუთიან ქვებს ბურთივით ათამაშებდა. სწორედ ასეთი ქვა დაინახა ერთხელ აბრსკილმა მინდორში. დაენიძლავა ღონიერ კაცებს, ამ ქვას მთაზე ავიტანო. დაავლო ხელი და აიტაცა. სამი-ოთხი ნაბიჯიღა ჰქონდა დარჩენილი, რომ ქვა გაუვარდა. შეურაცხყოფილმა აბრსკილმა მოიქნია ხმალი და ქვა შუაზე გააპო. სოფელ ჭლოუსთან, ანდროუს უბნის ერთ-ერთ გორაკზე დღესაც გდია ეს ქვა. ამიტომ დაერქვა იმ გორაკს ახაჰუ ეიუსა.

აბრსკილმა ღმერთთან ჭიდილი არ მოიშალა.

ღმერთმა იფიქრა, ტკბილი სიტყვით მოვიყვან ჭკუაზეო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მაშინ განრისხდა, დაიბარა ფაიმბარები* და დაავალა: თავხედი, ურწმუნო და უღმერთო აბრსკილი დაიჭირეთ და გამოქვაბულში შეაგდეთ. სანამ ღმერთს არ იწამებს, იქ ამყოფეთო.

გაიგო აბრსკილმა, რომ ღმერთი ურისხდებოდა. ამოირჩია ორი ადგილი — ერცახუს მთა და ზღვის სანაპირო. მშვიდად ისვენებდნენ აბრსკილი და მისი რაში ამ ადგილებში. როცა ფაიმბარები მთაზე ავიდოდნენ და აბრსკილის დაჭერას დააპირებდნენ, რაში აბრსკილს აღვიძებდა და ხელად სანაპიროზე ჩახტებოდნენ. იქ აბრსკილი ჩრდილში ნაბადს გაშლიდა, დაჯდებოდა, ჭამდა, ისვენებდა, რაში აბიბინებულ ბალახს ძოვდა და ზღვის წყალს სვამდა. როგორც კი ფაიმბარები აქაც მოაღწევდნენ, ისევ ერცახუს მთაზე ახტებოდნენ.

შეწუხდნენ ფაიმბარები: ვერ იქნა და ღმერთის დავალება ვერ შეასრულეს. ბოლოს ერთ მოხუც ჯადოქართან მივიდნენ და სთხოვეს, გვიშველე რამეო.

ჯადოქარმა უთხრა:

— დახოცეთ ბევრი საქონელი, დაატყავეთ, ტყავი გადმოაბრუნეთ და ერცახუს მთას დააფინეთ ისე, რომ მთა დაფაროს. ზღვის ნაპირიც დაფარეთ და მარცვალი დაყარეთ. ორად განაწილდით: ზოგნი მთაზე ჩაუსაფრდით, ზოგნი — ზღვის ნაპირას. აბრსკილის ძალა რაშშია. მხოლოდ მაშინ შეძლებთ მის დაჭერას, თუ რაშს ფეხი დაუსხლტება, წაიფორხილებს და მხედარს ძირს ჩამოაგდებს.

ფაიმბარები ისე მოიქცნენ, როგორც ჯადოქარმა დაარიგა:

აბრსკილს სანაპიროზე ეძინა. საფრთხე რომ იგრძნო, რაშს მოახტა და ის იყო ერცახუს მთაზე უნდა აჭრილიყო, რომ რაშს ფეხი დაუსხლტა, წაფორხილდა, მხედარი გადმოვარდა და ხევში ჩავარდა. ჩასაფრებულმა ფაიმბარებმა აბრსკილი დაატყვევეს.

აბრსკილის შეპყრობის ამბავს სხვანაირადაც ყვებიან.

აბრსკილის ძალა და ღონე მის კვერთხში ყოფილა, რომელსაც ეყრდნობოდა და მთის წვერზე ხტებოდა. როცა ფაიმბარებმა ვერ შეძლეს მისი დაჭერა, კოდალას თხოვეს დახმარება — თუ შენ მაგის კვერთხს გახვრეტ, წითელ ქუდს დაგახურავთო. კოდალას გაუხარდა. ფრენა-ფრენით წავიდა და დაინახა, რომ აბრსკილს ნაბადი გაეშალა და ეძინა, თავთან კი კვერთხი ედო. კოდალამ იცოდა, რომ თუ აბრსკილი დაიძინებდა, დიდხანს არ გაიღვიძებდა და მშვიდად მიუჯდა კვერთხს. ორი დღე-ღამე უკაკუნებდა და როცა თითქმის გახვრიტა, გაფრინდა. ფაიმბარებმა დაფარეს მთა ახლად დატყავებული საქონლის ტყავით და მიაშურეს იმ ადგილს, სადაც აბრსკილს ეძინა. აბრსკილს გაელვიძა, წამოხტა, სტაცა ხელი ალაბაშას, ჩაარჭო მიწაში და რომ უნდა ამხტარიყო მთაზე, ალაბაშა გატყდა და აბრსკილი სოფელ ჭლოუში, მდინარე დვაბის აქეთ, ჟანუხს რომ ეძახიან, იქ დაეცა. იქ ფაიმბარებს წინასწარ ჰქონდათ დაფენილი ძროხის ტყავები. ამიტომ ფეხზე ვეღარ დადგა. ადგა — წაიქცა, ადგა — წაიქცა. ამ დროს ფაიმბარებიც მოვიდნენ და დაიჭირეს.

აბრსკილმა კოდალა დასწყევლა: „ღმერთმა სხვა სარჩო ნუ გაღირსოს. დამპალ ხეზე თავის ხათქუნით გეშოვოს ლუკმაო“.

ეს ამბავი მთელ აფსნის მოედო. ყველა გლოვობდა და მოთქვამდა. ვინ გაუწევს საწყალ აფსნის აბრსკილობას, ვინ მოიგერიებს მძარცველებს და თავდამსხმელებსო. ბუნებამაც კი მოიწყინა, გვიმრისა და სარეველას გარდა. მწითურმა, ჭრელთვალება ხალხმა, იაშბებმა და ქაცბებმაც გაიხარეს. რა არ იღონა ხალხმა აბრსკილის გამოსახსნელად, მაგრამ ღმერთთან რას გახდებოდნენ?!

ღმერთმა უთხრა ფაიმბარებს:

— სადმე გამოქვაბულში დააბით, რომ ვერვინ მიაგნოსო.

ბევრი იფიქრეს ფაიმბარებმა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს და ისევ ჯადოქარს მიაკითხეს:

— შენ გეცოდინება, რომელ გამოქვაბულში დავაბათ აბრსკილიო.

— სოფელ ჭლოუსთან ერთი გამოქვაბულია. იქ ძველად ერთი გოლიათი იყო დამწყვდეული, ვიდრე ღმერთმა არ შეიწყალა და არ გამოუშვა. უკეთეს ადგილს ვერ იპოვითო, — უთხრა ჯადოქარმა.

შეიყვანეს ფაიმბარებმა აბრსკილი და მისი რაში გამოქვაბულში, ძალიან შორს გაიყვანეს და ცალ-ცალკე დააბეს რკინის პალოებზე, წავიდნენ და ღმერთს მოახსენეს ყველაფერი. ყოვლისშემძლე უფალმა დედაბერს დააკისრა აბრსკილის დარაჯობა — ახლოს არავინ გააკარო, სასმელ-საჭმელი არავინ მისცესო. დაჯდა დედაბერი გამოქვებულის წინ. ასე იყო აბრსკილი დიდხანს დამწყვდეული მშიერ-მწყურვალი. მაგრამ მოხუც ჯადოქარს შეეცოდა იგი და საჭმლის მიწოდება დაუწყო. თბილი რძე და მოხარშული კვახი დაჰქონდა აბრსკილთან, რაშს კი ფოლადის ნაჭრებს მიუგდებდა.

გაიგო ღმერთმა, რომ დედაბერი საჭმელს უზიდავს აბრსკილს, განრისხდა და დასწყევლა: — დედაბერი ძაღლის ლეკვად იქცეს და სამუდამოდ იმ გამოქვაბულში დარჩეს მშიერ-მწყურვალი აბრსკილთან და მის რაშთან ერთადო. მშიერი ლეკვი მთელი წლის განმავლობაში ლოკავდა აბრსკილის ჯაჭვს, სანამ ჯაჭვი აბრეშუმის ძაფის სისქემდე არ დაილეოდა. ამ დროს ლეკვს საჭმელს გამოუჩენდა ღმერთი. როგორც კი ლეკვი პირს დააღებდა, ჯაჭვიც მრთელდებოდა და ასე იწყებოდა თავიდან ყველაფერი.

არის აბრსკილი გამოქვაბულში, ეჯაჯგურება პალოს, რომელზედაც მიჯაჭვულია. ის არის, უნდა ამოაძროს, რომ საიდანღაც მოფრინდება პატარა ჩიტი და ჭიკჭიკით დასკუპდება პალოზე. დაღლილ-დაქანცული აბრსკილი მთელი ძალითა და ღონით მოუქნევს უროს, ჩიტი გაფრინდება, ურო პალოს მოხვდება და კიდევ უფრო ღრმად ჩაასობს მიწაში.

ასე გრძელდება გაუთავებლად.

ამბობენ, ჩიტის ბრალია, თორემ აბრსკილი აქამდე თავს დაიხსნიდაო. იმასაც ამბობენ, რომ აბრსკილი ისე შეიცვალა, ვეღარ იცნობო. ჯაჭვთან ჭიდილში მთელ ტანზე ხორცი ამოჭმული აქვსო, თმა და წვერი მიწამდე წვდებაო.

ასე იტანჯება აბრსკილი გამოქვაბულში, მაგრამ თავისი გასაჭირი არაფრად მიაჩნია. თავის თავზე მეტად სამშობლოს ბედი აწუხებს. „ნეტა გამაგებინა, აფხაზეთს რა ბედი ეწიაო“, მაგრამ ვინ გაბედავს ასეთ მიუვალ ადგილზე მისვლას?

ერთხელ აბრსკილის მეგობრებმა 12 ჯორს აჰკიდეს საჭმელ-სასმელი, დაიჭირეს ხელში სანთლები და გამოქვაბულში შევიდნენ. შევიდნენ თუ არა, ამინდი შეიცვალა, ატყდა ჭექა-ქუხილი და საშინელი წვიმა წამოვიდა.

მეგობრები სანთლებით ინათებდნენ გზას, მაგრამ აბრსკილის კვალს ვერ პოულობდნენ.

ერთბაშად კვნესა მოესმათ. კარგად რომ მიაყურადეს, რაშის კბილების ღრჭიალი და ლეკვის ყეფა გაიგონეს.

— ჰეი, მანდ ვინა ხარ? — დაიძახეს მეგობრებმა.

— მე ვარ, აბრსკილი. თქვენ ვინა ხართ?

აბრსკილმა რომ გაიგო, მისი მოკეთეები იყვნენ, იკითხა, რა ხდება ჩემს სამშობლოშიო. მას შემდეგ, რაც მე აფხაზეთს მომაშორეს, ცუდი ადამიანები ხომ არ დაეპატრონენ ქვეყანას და სარეველა ხომ არ მოედო იქაურობასო. მწითურები და ჭრელთვალებანი ხომ არ მომრავლდნენო. ქურდები და მძარცველები ისევ აწუხებენ ქვეყანასო?

როცა გაიგო, რაც მის სამშობლოში ხდებოდა, ძალიან დამწუხრდა.

— როგორ განადგურებულა, გათავებულა ჩვენი ქვეყანა. რამ გადაგატანინათ ასეთი ტანჯვა?! ნუღარაფერს მეტყვით, ვერ ავიტან. ახლა წადით, ჩემამდე მაინც ველარ მოაღწევთ, ჩვენ ერთმანეთს ველარ შევხვდებით. გაბრუნდით. თუ სანთელი გამოგელიოთ, ჯორებს კუდებზე მოეჭიდეთ და ისინი გაგიყვანენო. ჩემი ტანჯვა-წამების ამბავი ხალხს გააგებინეთ, — თქვა ეს აბრსკილმა და თავი ჩაქინდრა. დაღონდა, რაკი ნახა, რომ თავის ქვეყანას ვერაფრით შველოდა.

გამოვიდნენ აბრსკილის მეგობრები გამოქვაბულიდან. კიდეც გამოიდარა.

ამის შემდეგ აბრსკილის ამბავი არავის გაუგია.

ამბობენ, ბოლო ხანებამდე იმ გამოქვაბულიდან ნაკადულის წყალს ცხენის ჩონჩორიკი გამოჰქონდაო. თითქოს ამის გამო უნდა იყოს, რომ ამ გამოქვაბულს აჩუაც თიზგოს ეძახიან.

როგორ მოსწყვიტა სასრიყუამ ცას ვარსკვლავი

ასეთი ზნე სჭირდათ ნართებს: ერთ ადგილას არ დადგებოდნენ, სულ გზაში იყვნენ, მთა-ბარი ჰქონდათ შეჯერებული. ხშირად მიდიოდნენ სალაშქროდ და საჭაბუკოდ.

ერთ მშვენიერ დღესაც, დილაუთენია, ჯიქურ წამოდგა ოთხმოცდაცხრამეტივე ნართი, საგზალი და აბჯარ-სამოსი წინასწარ ჰქონდათ გამზადებული, ქვის გალავნით შემოზღუდულ საძოვარზე ისვენებდნენ მათი რაშები.

გავარდნენ ძმები, რაშებს ლაგამი ამოსდეს, ჩაიყვანეს ყუბინაზე, ფერებ-ფერებით დაბანეს, დაასუფთავეს, ცივი წყლით გაახალისეს. მერე წამოიყვანეს და საბმურზე მიაბეს ყველა.

დასხდნენ ძმები ნართები, ჭამეს, სვეს.

მოვიდა სათანეი-გუაშა, ჩაჯდა შვილებში. ბედნიერი გზა გქონდეთო, ნან, — დალოცა სალაშქროდ გამზადებულნი. მერე ოთხმოცდაცხრამეტი ვაჟკაცი წამოდგა გრიალით, ოთხმოცდაცხრამეტივემ მათრახი ჩამოიღო. პირველად სითი მოახტა რაშს, მერე უფროს-უმცროსობის წესსა და რიგზე ამხედრდნენ ყველანი. მოიქნია სითმა მათრახი, რაშს სწყვიტა და ქუხილივით გახმიანდა ტკაცანი, ტყვიასავით გავარდა ეზოდან სითი. ერთბაშად მიჰყვნენ სხვებიც. კიდევ დიდხანს, შორს და შორს ისმოდა მათი ცხენების თქარათქური, გრიალ-გრიალი.

დაცარიელდა ნართების ეზო, აგერ ახლა ხალხის ჟრიამულით აღსავსე მათი კარ-მიდამო. ერთადერთი სასრიყუა იდგა შუა ეზოში. იდგა დაღონებული, სადავით ეჭირა თავისი ბზოუ, იდგა და შორს მიმქროლავ ძმებს გასცქეროდა.

ძალზე შეწუხებული ჩანდა. ძმებმა არ უთხრეს, საით მიდიოდნენ, რა გზებით ივლიდნენ — ამით იყო შეჭირვებული.

ყველასთან ერთად წამოდგა ისიც,
ცხენი დაბანა, შეკაზმა უხმოდ,
კაცმა არ უთხრა — ერთად დავსხდეთო,
პური ვჭამოთო, — არავის უთქვამს.
მათრახს რომ მისწვდნენ უფროსი ძმები,
ხელში აიღო მათრახი მანაც,
მაგრამ არ უთქვამთ — ცხენზე შეჯექო,
არც წაყოლაზე ეტყოდნენ არას...
წავიდნენ ძმები, სიმღერა სჭექეს,
შემოუძახეს ნართების ჰანგი,
ხოლო სასრიყუა, გაწბილებული,
დასტოვეს, როგორც ზედმეტი ბარგი.
მიდიან ძმები, გრგვინვით მიდიან,
მიდიან ძმები საგმირო გზებზე,
აქ კი სასრიყუა დამდგარა მარტო...
ვინ გამკითხავი, რომელი შემწე!
რატომ დააგდეს უფროსმა ძმებმა,
ვინ სთქვას გარჩევა მართლის და ბრუნდის?
იქნებ, მეხბორედ დასტოვეს იგი,
ან დასაფრთხობად ჩხიკვების გუნდის?

იდგა სასრიყუა, თითქოს მიწას ჩაზრდიაო. მიეფარნენ ნართები თვალს და, მიბრუნდა სასრიყუა, „დედაო" დაიძახა.

— აქა ვარ, შვილო, რა გინდოდა?

— დედი, წავიდნენ ჩემი ძმები, სახელის მოსახვეჭად წავიდა ყველა, მე აქ დამტოვეს. ერთმაც არ მითხრა, წამოდიო. ნეტავი, რატომ? რა დავაშავე?

— არაფერი დაგიშავებია, საყვარელო ჩემო სასრიყუა, ისინი ხომ უფროსები არიან, როგორ გეტყოდნენ, წამოდიო. სადაც შენი ძმები მიდიან, შენც უნდა წახვიდე, რად გინდა იმათი თქმა?

დაუჯერა დედას სასრიყუამ, უმალ მოახტა თავის ბზოუს, გავარდა ეზოდან და გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

მზე უკვე კარგა დიდზე შემაღლდა, როცა დაეწია ძმებს.

— საქონელიმც დაგლოდებოდეთ! — მიესალმა ყველას.

მაგრამ არავინ არაფერი უთხრა, ყურიდან ყურში გაუშვეს მისი სალამი. მიდიოდნენ თავის გზაზე, მიჰყვა ძმებს სასრიყუაც.

მაშინ მობრუნდა სითი და გამოსძახა:

— სადაური ხარ, ვინა ხარ, ასე ჩუმ-ჩუმად რომ მოგვდევ?

— როგორ თუ ვინა ვარ, ძმა ვარ თქვენი! — თქვა სასრიყუამ.

— ძმები აქა ვართ ყველანი. სხვა ძმა ჩვენ არ გაგვიგია! — მიახალა ხნიშმა.

— წა, გაგვეცალე, შე ნაბიჭვარო! — დასძახეს ერთობლივ დანარჩენებმაც, — სახელოვან ნართებს არ ეკადრებათ, უცხო თესლი მოგვდევდეს გზაში. წადი, გაგვცილდი!

რაღას იზამდა სასრიყუა, უკან გამობრუნდა თავჩაქინდრული. შინ მივიდა, დინჯად ჩამოხდა ცხენიდან, საბმურს მიაბა ბზოუ, ჩამოჯდა დაფიქრებული.

— ნან, რატომ დაბრუნდი, რა დაგემართა? — ჰკითხა სათანეი-გუაშამ.

— არაფერი დამმართნია, დედი, საგზალი დამავიწყდა, მომშივდა. გამიკეთე საჭმელი! — მიუგო სასრიყუამ.

— ახლავე, დედა შემოგევლოს, ახლავე! ოღონდ, რას მიირთმევ, რა გინდა?

— ელარჯი გამიკეთე, დედი, ელარჯი!

სათანეი-გუაშამ მაშინვე ჩაუდგა ვაჟიშვილს ღომი, ჭყინტი ყველი ბლომად გაურია. დაუდო ტაბლაზე თბილი, ორთქლადენილი.

— მოდი, დედი, შენც ჩემთან ჭამე რამე! — სთხოვა სასრიყუამ.

თვითონაც ელარჯი დაიგო სათანეი-გუაშამ ტაბლაზე, შვილს გვერ-

დით მიუჯდა. ის იყო მიეტანა ელარჯს, რომ წამსვე ხელი დაუჭირა სასრიყუამ, ცხელ ელარჯში ჩააყოფინა. უჭირავს ასე, აღარ უშვებს.

— ახლავე მითხარ, ვისი შვილი ვარ! — უთხრა.

— რას ამბობ, შვილო, აკი ძმა ხარ ნართებისა! — მიუგო დედამ.

— ნაბიჭვარი ხარო, ასე მითხრეს ძმებმა; შენ თუ ჩვენს მარაქაში გაერიე, სახელი გაგვიტყდებაო. ამიტომაც დავბრუნდი. ახლა, ჩქარა მითხარ, ვინაა მამაჩემი! — შესძახა სასრიყუამ და უფრო მაგრად დააჭირა ხელი.

— რა მოგდის, შვილო, ნართების ძმა ხარ, ყველას უმჯობესი!

— რა ბედენაა, უმჯობესი ვარ თუ უარესი! — გაჯავრდა სასრიყუა, — ის მითხარი, მამაჩემი ვინ არი!

— ვინც შენ ასე გაგამწარა, ვინც შენ არ გიკადრა, ნეტავ გასაჭირში ჩავარდეს, საშველი არ მისცემოდეს! და შენს მეტი არც არავინ ჰყავდეს მშველელი! — თქვა სათანეი-გუაშამ და, წყევლას როცა მორჩა, ასე უთხრა სასრიყუას:

— შვილო, ქალის მუცლიდან არა ხარ შენ ნაშობი, სასწაულით შექმნილხარ, კლდიდან ხარ გამოკვეთილი. ჰკითხე აინარ-მჭედელს და იგი გეტყვის ყველაფერს!

მაშინ კი გაუშვა სასრიყუამ ხელი. შეჯდა ცხენზე სასრიყუა, უკვე მხნედ ირჯებოდა, გახალისებულიყო, მჭექარე ხმა ასმინა ბზოუს და ქარივით გავარდა ჭიშკარში.

იდგა სათანეი-გუაშა, შვილს გასცქეროდა. მერე ცას ახედა და წარმოსთქვა ჯადო სიტყვები:

— ყველას, ვინც კი ჩემი საყვარელი, ჩემი პატარა სასრიყუა გააჯავრა, ფათერაკი შეგხვდეთ გზაზე: დაგატყდეთ წვიმა — წვიმის უმეტესი, ქარი — ქარის უმეტესი, სეტყვა — სეტყვის უმეტესი, ყინვა — ყინვის უმეტესი, კაციშვილი არ გყავდეთ სასრიყუას გარდა თქვენი შემწე და გადამრჩენელი!

ამასობაში მიჰქრის და მიჰქრის ფეხმარდი ბზოუ, ველარც წყალი აბრკოლებს, ველარც ქარიშხალი. მხრებგაშლილი ორბივით გადაიარა ვრცელი ველები და ხრიოკი ტრამალები, ჯეირნის ნახტომით გადავლო მთები და კლდეები. გზაზე ადვილად ჩანდა ნართების კვალი — ოთხმოცდაცხრამეტმა კაცმა ერთად გაიარა! ორი დღე და ღამე იარა სასრიყუამ, ჰა და ჰა, დავეწევიო — ეგონა, მაგრამ ამასობაში თანდათან დაკარგა ძმების ნაკვალევი. ხრიოკი, პირქუში მთები დაიწყო, საშინელი ავდარიც შეესწრო. ისეთი ქარაშოტი ქროდა, ლამის კლდეები ჩამოენგრია. საშინლად თოვდა, შავი ბურუსი ეფინა არე-მიდამოს. მიდიოდა სასრიყუა ამ პირქუშ მთებში, ეძებდა ძმებს, მაგრამ აღარსად ჩანდნენ ისინი. მერე თოვა შეწყდა,

ღრუბლებიც აიყარა და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გამოჩნდა. დაიწყო უჩვეულო ყინვა, ყინავს, მაგრამ რას ყინავს! ისეთი ყინვაა, გეგონებათ კლდეს გახეთქავსო.

მიდის სასრიყუა, არად აგდებს სიცივეს. ბოლოს გაიხედა და შორს კიდეც დალანდა ძმები ნართები. მაგრამ აღარ იკითხავთ, რა დღეში არიან? ისე მიჰკვრიან ერთმანეთს, რომ ყველას ერთ ქუდს დაახურავდა კაცი. გათოშილან ამ ყინვაში, კბილს კბილზე აცემინებენ, გათოშილ წვერებზე ყინულის ლოლუები ჰკიდიათ, მიწას უწვდენენ თავებს. აღარ იყო მათი საშველი, სიკვდილის პირას მისულიყვნენ.

— ეჰეი, ვაუკაცნო! ეს რა მოგსვლიათ? — გასძახა აქედან სასრიყუამ.

— სასრიყუა, ჰოი, სასრიყუა! ჩვენი ძმაცა ხარ და ყველას გვჯობიხარ კიდეც! ვიღუპებით, ძმაო, რამე გვიშველე! — მუდარით შეჰბღავლეს ძმებმა.

— ნურაფრისა გეშინიათ, აქა ვარ! — გაამხნევა სასრიყუამ ნართები. მერე მობრუნდა და ცას ახედა. კრიალა ცა იყო, კაშკაშა ვარსკვლავებით გადაჭედილი. მშვილდ-ისარი შემართა სასრიყუამ, სტყორცნა ერთ მოზრდილ ვარსკვლავს და ძირს ჩამოაგდო იგი ვარსკვლავი; სხივთა ფრქვევით დაეშვა ძმებს შორის. მაშინვე ვარსკვლავს შემოეხვივნენ ძმები, გათბნენ.

— ამით ჩემს მოსვლამდე სულს მოითქვამთ, — უთხრა ძმებს სასრიყუამ და უკან გამობრუნდა. მერე ქვევით, ბარში გადაიხედა და დაინახა: რაღაც გრძელი, შავი კვამლი ამოდიოდა ერთგან.

მაშინვე იქითკენ გააჭენა ცხენი. მივიდა, მაგრამ დახეთ საკვირველება: ვეებერთელა, თავფეხჩახლართული გოლიათი გდია მორკალული. ჯღრდეებად აწყვია შეშა, გიზგიზებს სათემო ცეცხლი. ცეცხლს შემორტყმია გოლიათი, აღარ დაუტოვებია მისასვლელი ადგილი.

მათრახი სტკიცა სასრიყუამ თავის ბზოუს, ასკუპა ცხენი, მაგრამ ვერა და ვერ გადაახტა გოლიათს, ვერ მიაღწია ცეცხლის პირამდე — აი, რამოდენა იყო ის წყეული.

მობრუნდა სასრიყუა, ბზოუს უთხრა:

— ციყვის თათივით რბილი იყოს შენი ფლოქვები, მეც ბუმბულივით ავმჩატდე!

ხელახლა ასკუპა ცხენი, გოლიათის ყურის ხვრელში შეძვრა, მეორე ყურში გამოძვრა და კიდეც გავიდა ცეცხლის პირას. დაავლო ხელი ერთ მომსხო მუგუზალს და გამობრუნდა.

მოდის, საცაა კიდეც გამოძვრება გოლიათის ყურიდან. ამ დროს ჩინჩხლი გაჰყარა მუგუზალმა, გოლიათის ყურის ბანჯგვლს მოედო ცეცხლი და ისიც წამსვე წამოფრინდა.

— ცეცხლი ვინ წამიკიდა? — დაიძახა, ხელი მოაფათურა და კიდევ მისწვდა უკვე კარგა შორს წასული სასრიყუას ცხენის ძუას.

— ვაი, შე საცოდავო აფხაზო, აქ რამ მოგიყვანა? — თქვა და თავის ცხენიანად დაისვა სასრიყუა ხელის გულზე.

— ვინა ხარ? — ჰკითხა.

— სასრიყუას მსახური ვარ, ბატონო, მისი მეუზანგე, — მიუგო სასრიყუამ.

— მაშ, მითხარ, შე ბეჩავო აფხაზო, შენა; ვინ არის ის სასრიყუა, თქვენს მხარეს რომ მოვლენია? ამბობენ, რაც კი დაიბადა, სულ არნახულ გმირობას ჩადისო, მართალია? აბა, მაჩვენე ერთი მისი ვაჟკაცობა.

— ვინ მოსთვლის სასრიყუას საგმირო საქმეებს, რომელი ერთი გითხრა? — მიუგო სასრიყუამ. არადა, თვითონ არის სასრიყუა. ცუდ დღეშია: იცის, ადვილად არ გაუშვებს გოლიათი. აქეთ, ძმების ამბავიც აწუხებს. მალე თუ არ მიუტანა ცეცხლი, სიცივისაგან დაიღუპებიან. რა უყოს ამ გოლიათს, როგორ მოკლას?

— თუ ეგრე ძალიან გინდა, ზოგ რამეს გეტყვი მისი ვაჟკაცობისას, — თქვა უბედურებაში ჩავარდნილმა.

— თქვი, — მიუგო გოლიათმა.

— სასრიყუა უაიდაგუს კლდეზე სახლისტოლა ლოდს აიტანდა და დადებდა. ისე დადებდა, ოდნავი შეხებისთანავე დაძრულიყო. თვითონ ქვევით დადგებოდა, მე კი ლოდს დავაგორებდი. დაუხვედრებდა სასრიყუა თავს და სულ იფშვნებოდა იგი ლოდი. ამას მაშინ შვრებოდა, თავის მოფხანა როცა მოუნდებოდა.

— იმ გლახაკმა სასრიყუამ თუ ამდენი ქნა, მე როგორ ვერ შევძლებ! — თქვა გოლიათმა, სახლისოდენა ლოდი აიტანა გორაზე, მიუყენა საბრალო აფხაზი, თვითონ კი ძირს დაუდგა, დაღმართზე.

— აბა, ჰე! — დაიძახა გოლიათმა და სასრიყუამაც დაუშვა ლოდი. გრიალ-გრიალით წამოსულ ამოდენა ლოდს თავი მიუშვირა გოლიათმა და სულ ნამცეც-ნამცეც დაფშვნა.

— მართლაც კაი რამეა თავის მოსაფხანად! — თქვა კმაყოფილმა.

ეწყინა სასრიყუას, გოლიათს რომ არაფერი მოსვლია, მაგრამ რა უნდა ექნა.

— კიდევ რა იცი სასრიყუას ვაჟკაცობისა? — კვლავ ჰკითხა გოლიათმა.

— კიდევ ეს იცოდა: ვეება ქვაბს რკინით აავსებდა, ცეცხლზე შემოდგამდა, ადუღებდა შუადღემდე, გაადნობდა, მერე დაავლებდა ქვაბს ხელს და ერთბაშად სვამდა ამ გამდნარ რკინას. ამას მაშინ იქმოდა, გულის გახურება რომ მოუნდებოდა.

— სასრიყუამ თუ ეს ქნა, მე როგორ ვერ შევძლებ! — თქვა გოლიათმა.

მოიტანა რკინის ზოდები, ჩადო ცეცხლში და ისე გაახურა, სულ წითლად გაჰქონდათ ღადღადი. მერე ერთ დიდ ქვაბში ჩაყარა რკინის ზოდები და შუადღემდე ადუღა. ბოლოს დაავლო ქვაბს ხელი და უმალ პირში გადაუძახა ეს ამდენი გამდნარი რკინა.

— მართლაც, რა კარგი გულის გასახურებელი წამალი სცოდნია მაგ ყოჩაღ სასრიყუას: ნეტავ იცოდე, როგორ მესიამოვნა! — ამბობდა გოლიათი და ნეტარებისაგან გულზე ხელს ისვამდა.

ნახა სასრიყუამ, რომ ამით არაფერი ეშველა საქმეს, მაგრამ რაღა ექნა?

— აბა, მითხარ, მხედარო, კიდევ რა იცი შენი ბატონის ვაჟკაცობისა?

— კიდევ ერთი რამ იცოდა, — მიუგო სასრიყუამ გოლიათს, — იანვრის ყინვები რომ დაიწყებოდა, კისრამდე ჩადგებოდა წყალში, შვიდი დღე-ღამე იყო ასე. ის წყალი იყინებოდა, მაგრამ სასრიყუა მანამ არ გატოკდებოდა, სანამ მთელი წყალი არ შემოეყინებოდა კისრიდან ფეხებამდე. მერე კი დაიძვრებოდა და სულ ჭახაჭუხს აუტეხდა ხოლმე იმ ყინულს, ამოდიოდა ნაპირზე. ამას მაშინ იქმოდა, ტანის გაგრილება რომ მოუნდებოდა ხოლმე.

— სასრიყუამ თუ ეს ქნა, მე როგორ ვერ შევძლებ? — თქვა გოლიათმა.

მართლაც, იანვრის ყინვაში მივიდა და კისრამდე ჩადგა წყალში. შვიდ დღე-ღამეს უნდა მდგარიყო ასე.

ამასობაში გულთამხილავმა სათანეი-გუაშამ იგრძნო, განსაცდელში იყო მისი ვაჟი. წინასწარ გრძნობდა იგი ყველაფერს. დადგა და კვლავ წარმოთქვა ჯადო სიტყვები:

— მოვიდეს ყინვა — ყინვის უმეტესი, თავიდან ფეხებამდე ყინულში ჩაიჭიროს და გააქვავოს დევი-გოლიათი, ჩემს შვილს საშველი დაადგეს!

ამის თქმა და, მართლაც გაფიცხდა ყინვა, მაგრად შემოსალტა წყალში ჩამდგარი ბუმბერაზი. ასე გავიდა შვიდი დღე-ღამე.

ყავლი რომ გაუვიდა, „ეჰეი"! — წამოიძახა გოლიათმა და ყინულს მაშინვე ლაწალუნი დააწყებინა.

— დაიცა, დაიცა! — დაუყვირა სასრიყუამ. — კიდევ ერთი დღე-ღამეც უნდა დაუმატო, ასე შვრებოდა სასრიყუა!

გოლიათიც დათანხმდა.

დატრიალდა მაშინვე სასრიყუა, ახლომახლო ზვინებად დამდგარი თივა ნახა, მიიტანა ეს თივა, წყალში ჩააწიაწა გოლიათის გარშემო. ყინვამაც უფრო იძალა და კვლავ შესალტა ყინული.

გავიდა ერთი დღე-ღამეც.

— აბა, მიდი, ახლა მოსინჯეო, — შესძახა გოლიათს სასრიყუამ. გაიძ-

აბა გოლიათიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, არ გაუშვა ყინულმა, ხელიც კი არ გაატოკებინა.

— ვაჰმე, ხერხით მაჯობე, თორემ გაჩვენებდი სეირს! — ამოიგმინა გოლიათმა. — ახლა კი მივხვდი: თავად ყოფილხარ სასრიყუა.

— არ შემცდარხარ, შე გადაღრძუებულო, შენა, მართლაც სასრიყუა გახლავარ! — შესძახა სასრიყუამ და ხმალამოწვდილი ეცა გოლიათს, თავი უნდა წაეგდებინებინა.

— ჰოი, სასრიყუა! — დაიყვირა ბუმბერაზმა. — მაგ შენი ჩლუნგი ხმლით ნუ მომდგები, კისრის ძარღვსაც ვერ გადამიჭრის ეგ შენი ხმალი. მიდი, მანდა ძევს ჩემი ხანჯალი. ვერ მოერევი, შე ბეჩავო აფხაზო, ვერ ასწევ, მაგრამ ქარქაშიდან მაინც გამოაძვრე როგორმე და ჩემსკენ დააცურე, თავისით გამომჭრის ყელს. ოღონდ, ყური მიგდე, რა უნდა გითხრა: ჯერეთ ჭაბუკი ხარ, მრავალი ხიფათი გელის ცხოვრებაში, თუკი შენს მოხერხებას ჩემი ძალაც მიემატა, კაციშვილი არ იქნება შენი მომრევი. ჰოდა, ყელს რომ გამომჭრი, ერთ ძარღვს ნახავ ჩემს კისერზე. აიღე ის ძარღვი, ნახევარი დედაშენს, სათანეი-გუაშას წაუღე ქამრად, ყველაზე ლამაზ, ყველაზე ბრძენ ქალს, მეორე ნახევარი შენ შემოირტყი წელზე; მერე ნახავ, რა ვაჟკაციც იქნები!

მივიდა სასრიყუა, გოლიათის ხანჯალს დაეჯაჯგურა, ძლივს ამოიღო ქარქაშიდან, დააცურა ყინულზე და ხანჯალმაც ისე პირწმინდად წააცალა თავი გოლიათს, იფიქრებდით: არასდროს დგმიაო კისერზე. შავი სისხლი გადმოსკდა ყელიდან, ამოჩნდა ის დაჯორჯილი ძარღვიც, გოლიათმა რომ უთხრა.

— რაღაც ფარსაგი არ იყოს, — გაიფიქრა სასრიყუამ. — როდის იყო, კეთილ საქმეს აკეთებდა ეს ბილწი!

ხანჯლის წვერზე ამოარიდა ძარღვი, მიიტანა და ერთ ვეებერთელა წიფლის ხეს შემოახვია. ისე უცებ გადასხიპა ის ვეება ზრო, თითქოს ბალახის ღეროს ალესილი მახვილი შემოჰკრესო.

— ჰაიტ, მოგიკვდეს გამომჭედელი! — თქვა სასრიყუამ, დააგდო ის ძარღვი და ხანჯლით დაკეპა.

ასე მოკლა ის ბილწი გოლიათი.

მერე დაავლო ხელი ერთ ალმოდებულ მუგუზალს და ცხენს მოახტა. გაქანდა ბზოუ, მაგრამ რა გაქანდა! ლამის მიწას გაჰკვროდა მუცლით, შევარდენივით მიგელავდა. მოწყვეტილი ვარსკვლავივით ბრწყინავდა მუგუზლით მიმქროლავი ვაჟკაცი. ღადაღუდა მთა-ღრანტეები ვაკედ ეჩვენებოდა, ვეება მდინარეები — პატარა ღელეები ეგონა! მივიდა ძმებთან —

კვლავ იმ ვარსკვლავთან მიჭუჭკულიყვნენ. თოვლში ეგდო ვარსკვლავი, უკვე ქრებოდა, ცივდებოდა. ისევ შეცივნულიყვნენ ძმები ნართები, ძაგძაგებდნენ ყინვაში.

— ჰეი, ვაჟკაცებო, აწ ნუღარაფრის გეშინიათ, აგე, ნამდვილი ცეცხლი მოგიტანეთ! — შესძახა სასრიყუამ და უმალ ჩამოქვეითდა.

მიიტანა მუგუზალი, მაგრამ რაღაი, არსად ღერი შეშა არ იპოვება, — სულ ხრიოკი მთებია ირგვლივ, ერთი ჩირგვიც არსად დგას, თოვლით გადალესილა იქაურობა.

— აბა, თქვენ-თქვენი მასრები ამოიღეთ ყველამ! — უთხრა ძმებს სასრიყუამ. — დახლიჩეთ მასრები, დაანაფოტეთ!

მართლაც ასე ჰქნეს, დაიორთქლეს გათოშილი ხელები, მასრები აიღეს, ცაცხვის ჩხირებივით დაანაფოტეს თავიანთი სატევრებით, ერთად დაახორეს. მიადო სასრიყუამ მუგუზალი და ცეცხლი ააბრიალა.

კვლავ დატრიალდა სასრიყუა, გაღმა მხარეს გადავიდა და მოკლა ირემი, გამოღმა გადმოვიდა და მოკლა ჯიხვი, ქვევით ჩავიდა და მოკლა შველი, ზევით აიარა და ქურციკი მოკლა.

ყოველ ბილიკზე მისი ნანადირევი ეკიდა, ყოველ კლდეზე სტვენდა მისი ნასროლი ისარი. ჩადო ხორცი ქვაბებში, მოხარშა. დასხა ძმები, აჭამა და ასვა ყველას, ხუმრობა თქვა — ყველას გული გაუხალისა. მოცოცხლდნენ ძმები ნართები, შესხდნენ ცხენებზე, სიმღერ-სიმღერით წამოვიდნენ შინისაკენ. მხიარულ გუნებაზე იყო ყველა, იფიქრებდით, ლხინის მეტი არაფერი უნახავთო.

ეს დღე იყო და ეს დღე — უკვე დიდ პატივს სცემდნენ სასრიყუას, უფროსიცა და უმცროსიც მას უთმობდა პირველობას, ყველა თავისზე წინ აყენებდა. ოღონდ რა ბედენა იყო ასეთი პატივი, შიშით იქმოდნენ ამას, გულში კი ჯავრი სჭირდათ მისი, შურდათ მისი ვაჟკაცობა, ნაბიჭვარს ეძახდნენ პირს უკან. მის სწორუპოვრობა ვერ მოენელებინათ.

როგორ იქცა ვაჟად ხელმწიფის ქალი

იყო ერთი ხელმწიფე, ჰყავდა ათი შვილი, ათივენი ქალები.

როცა ხელმწიფის ცოლი კიდევ დაორსულდა, ქმარმა უთხრა:

— კმარა, რაც აქამდე მომითმენია! თუ კიდევ ქალი გაგიჩენია, ორივეს დაგხოცავთო.

რა ექნა საწყალ ქალს? ბარემ თავადაც უნდოდა, რომ ვაჟი გაეჩინა, მაგრამ ღმერთი არ აძლევდა. ქმრის მუქარაზე ცხარე ცრემლით ტიროდა.

მშობიაროზის დრო რომ მოახლოვდა, მოაყვანინა სანდო ბებია ქალები და უთხრა:

— რამე მიშველეთ, თორემ ჩემი ქმარი მომკლავსო.

— ნუ გეშინია, ჯერ ხომ არ იცი, რა იქნება? ეგებ ღვთის მადლით, ბიჭი გიჩნდება და წინასწარ გულს რას იხეთქავ? მოვიცადოთ, მოილოგინე და რამე საშველი გამოჩნდებაო, — უთხრეს ბებია ქალებმა.

ასე იყო თუ ისე, მეფის ცოლს დრო მოუვიდა, შვილი გაუჩნდა, მაგრამ ამჯერადაც გოგო. აკი მომზადებული ჰყავდა ხალხი! მოატყუეს ხელმწიფე — „ვაჟი გაჩნდაო“. დედა-შვილი სიკვდილს გადაურჩა.

იზრდებოდა გოგო, უკვე თორმეტი წლისა იყო და ყველას ბიჭი ეგონა.

ერთ დღეს ხელმწიფემ ბრძანა:

— ყმაწვილი უკვე დიდია, სუნეთი* უნდა გავუკეთოთო.

გოგომ გაიგონა მამის ნათქვამი, შეშინებული გაიქცა, თავლას ამოეფარა და ტირილი მორთო. თავლაში ერთი ცხენი ება. ცხენმა გაიგონა, ვიღაც რომ ტიროდა და შეეხმიანა.

— ჰეი, უარა,* ვინა ხარ და რა გატირებსო?

— როგორ არ ვიტირო, როცა მამაჩემს ბიჭი ვგონივარ და სუნეთის გაკეთებას მიპირებს. გაიგებს, რომ გოგო ვარ და მეც მომკლავს და დედაჩემსაც.

— ა, ჰა, ჰაი! ნუ გეშინია! მამა სუნეთის გაკეთებას რომ დაგიპირებს, უთხარი, ცხენის ჭენება მინდა-თქო, მოდი, შემაჯექი და მერე მე ვიცი შენი გადარჩენის ხერხიო, — უთხრა ცხენმა.

გოგომ გულში ჩაიდო ცხენის ნათქვამი, გაიხარა, დედასთან მიირბინა და უთხრა, ცხენმა ასე და ასე დამარიგაო. დედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ხელმწიფემ დიდი ქეიფი გამართა.

— ბაბა, უარა, ახლა კი დაწექიო, — უთხრა მამამ შვილს.

— კარგი დავწვები, მაგრამ მანამდე ერთი სათხოვარი მაქვს: ნება მომეცი, ცხენი ვაჭენოო (ამიერიდან „ბიჭი“ ვუწოდოთ. ბიჭი კი არა, გოგოა, მაგრამ მამამ ხომ არ იცის?).

— კარგი, აჭენე, — უთხრა ხელმწიფემ.

რაკიღა ნება დართეს, „ბიჭი“ შევიდა თავლაში, გამოიყვანა ცხენი, მოახტა და ხან აღმა აჭენა, ხან დაღმა აჭენა, მაგრამ რა აჭენა! ხალხი გააკვირვა. გული რომ იჯერა, ცხენი უცებ გაქანდა, წაიყვანა „ბიჭი“ და თვალიდან დაიკარგა.

ხელმწიფემ ხალხი დაადევნა, მაგრამ ვინ დაეწეოდა?!

იარეს, იარეს ცხენმა და „ბიჭმა“ და კარგა შორს წავიდნენ. ბოლოს,

ერთ ქალაქში ჩავიდნენ. ცხენი ერთ დიდ სახლთან გაჩერდა და „ბიჭს“ უთხრა:

— აქ ჩამოდი, კუდიდან ორი ღერი ძუა გამომაძრე და აი, იმ დიდ სახლში შედი. როცა დაგჭირდე, ძუის ღერები ერთმანეთს გაუხახუნე და მაშინვე შენთან გავჩნდებიო.

„ბიჭი“ ჩამოქვეითდა, გამოაცალა ორი ღერი ძუა და იმ დიდ სახლში შევიდა.

ხედავს, სახლი ხალხით არის სავსე. სხედან და რაღაცას ელოდებიან.

— აქ რა ხდება? ამდენი ხალხი რისთვის შეყრილხართო? — ჰკითხა „ბიჭმა“.

— რა ხდება და, დევი უნდა მოვიდეს და ჩვენი ხელმწიფე უნდა შეჭამოსო.

ამის გაგონებაზე „ბიჭი“ გაბრუნდა, გარეთ გავიდა და ძუის ღერები ერთმანეთს გაუსვა. მისი ცხენი მაშინვე იქ გაჩნდა.

— რა ნახე, რა გაიგეო? — ჰკითხა ცხენმა.

— უზომო ხალხი შეყრილა. სხედან და ელოდებიან. დევი უნდა მოვიდეს და მათი ხელმწიფე უნდა შეჭამოს. არ იციან, რა ქნან, რა გზას დაადგნენ, — უპასუხა „ბიჭმა“.

— აი, რა უნდა ქნა. აჰა, ეს ხმალი გამომართვი, ხელში დაიჭირე, ხელმწიფის ოთახში შეიპარე და კუთხეში დაიმალე. დევი ქუხილითა და ელვის ტყორცნით მოვა. მაგრამ, რაც არ უნდა იქუხოს და ელვა ყაროს, არ შეგეშინდეს, შენ არაფერი მოგივა. როგორც კი დევი ხელმწიფის ოთახში შემოვა, ეს ხმალი თავში დაჰკარი. მაშინვე არ მოკვდება, შეგეხვეწება: „თუ ვაჟკაცი ხარ, ერთხელ კიდევ დამკარიო“, მაგრამ არამც და არამც არ დაჰკრა. „რატომ, რისთვის უნდა დაგკრა“-თქო, უთხარი (თურმე, მეორედ თუ დაჰკრავდა, დევს სული ჩაედგმებოდა).

აიღო „ბიჭმა“ ხმალი და შევიდა ხელმწიფის სასახლეში. ვიდრე მის საძინებელში შევიდოდა, ჯერ სხვა ოთახები დაიარა. ნახა, ხელმწიფის სამი ასული სამ ოთახში იჯდა. ორს ძაძები ეცვა, მესამეს — თეთრი ტანსაცმელი და ძალზე გახარებული ჩანდა.

„ბიჭს“ მათთვის არაფერი უთქვამს, წავიდა, ხელმწიფის ოთახი მოძებნა და იქ დაიმალა. იქ, იმდენ ხალხში ვინ შეამჩნევდა?!

შუაღამისას ატყდა საშინელი გუგუნი, ელვა-ქუხილი. „ბიჭი“ მიხვდა, რომ დევი მოდიოდა, მაგრამ სულაც არ შეშინებია.

დევმა კარი შეგლიჯა და ოთახში შევარდა. „ბიჭმა“ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაჰკრა ხმალი.

— ერთხელ კიდევ თუ დამკრავ, ნამდვილი ვაჟკაცი იქნები, — უთხრა დევმა, მაგრამ „ბიჭს“ მეორედ დარტყმა არც უფიქრია.

დევს იქვე სული ამოსძვრა და ძირს ბრაგვანი მოადინა. „ბიჭმა“ ყური მოაჭრა, ჯიბეში ჩაიდო და იქაურობას გაეცალა.

— საწყალი ხელმწიფე! ალბათ, დევმა შეჭამა, ახლა რა გვეშველებაო! — წუხდა ხალხი.

ხელმწიფემ გაახილა თვალი და ხედავს, მის წინ მკვდარი დევი გდია.

— ბიჭოს! ვინ შემინარჩუნა სიცოცხლე, ვინ მოსჭრა თავი ჩემს მტერს? — თქვა ხელმწიფემ და ხალხს გამოკითხვა დაუწყო.

ერთი-ორი კაცი გამოჩნდა, რომელმაც „მე მოვჭერიო“, თქვა. იფიქრეს, იქნებ, რამე ქონებას გამოვკრათ ხელიო, მაგრამ, ვინც მართლა მოკლა დევი, უკვე სასახლიდან გასულიყო.

გასულიყო, ამოეღო ძუის ღერები და ერთმანეთს უხახუნებდა.

სად იყო, სად არა, გაჩნდა ცხენი.

— ახლა რაღა ვქნაო? — ჰკითხა „ბიჭმა“.

ცხენმა დაარიგა, რაც უნდა ექნა. „ბიჭიც“ წავიდა, დევის ლეშთან შეკრებილ ხალხში გაერია და თქვა: — მომკვლელს ჯიბეში დევის ყური უდევსო.

დააკვირდნენ დევს. ხედავენ, მართლაც არა აქვს ცალი ყური.

ვინც ამბობდა, „დევი მე მოვკალიო“, — არ აღმოაჩნდა ყური. „ბიჭმა“ კი ამოიღო ჯიბიდან დევის ყური და თქვა:

— დევი ჩემი ხმლით მოვკალიო.

მერე ქარქაშიდან ამოიღო ხმალი და ხალხს სისხლით მოსვრილი პირი უჩვენა.

— აი, ვის გადავურჩენივარ! — თქვა ხელმწიფემ და „ბიჭს“ მიუბრუნდა:

— სიკვდილამდე შენი მოვალე ვარ. იმდენ ქონებას მოგცემ, რამდენსაც მთხოვო.

— არა, ქონება არ მინდა. თუ თანახმა იქნები, შენი თეთრკაბიანი ქალი მომეცი, აი, იმ ოთახში რომ ზის, ისაო.

ხელმწიფე შეწუხდა:

— შენთვის ქალი არ მენანება, მაგრამ ეგ ძალიან ცუდი ვინმეა, მაგაზე უკეთესი სხვები მყვანან, შეხედე და რომელიც გერჩიოს, წაიყვანეო.

— არა, სხვა არ მინდა, თუ მაძლევ, ის მომეციო, — დაიჟინა „ბიჭმა“.

მივიდა ხელმწიფე თავის თეთრკაბიან ქალთან და უთხრა:

— შვილო, ეს ბიჭი ჩემი გადამრჩენია. ვეუბნები, რა ქონებასაც მთხოვ, მოგცემ-მეთქი, მაგრამ შენს თავს მთხოვს, სხვა არაფერი მინდაო, ამბობს.

— კარგი, მამავ, ვისაც მეტყვი, იმას გავყვები, ოღონდ დასაფიქრებლად ერთი ღამე მომეციო, — უთხრა ქალმა.

— აკი გეუბნებოდი, ეს გოგო დიდი უვარგისი ვინმეა-მეთქი. რომ ვუთხარი ამ ბიჭს გაჰყევი-მეთქი, დასაფიქრებლად ერთი ღამე მთხოვა, — უთხრა ხელმწიფემ „ბიჭს“.

— არა უშავს, ამისთანები უფრო მომწონს, — თქვა „ბიჭმა,“.

რომ დაღამდა, „ბიჭი“ იმ გოგოს ოთახთან მივიდა და გასაღების ჭუჭრუტანიდან დაუწყო თვალთვალი.

შუაღამე რომ გადავიდა, ქალმა შუა ოთახში ოქროს ტაშტი დადგა და შიგ წყალი ჩაასხა. მერე სარკმელი გააღო, ოთახში მტრედი შემოფრინდა, წყლიან ტაშტში ჩაეშვა, ფრთები ააფართხუნა და ერთ ლამაზ და კოხტა ჭაბუკად იქცა. ქალმა ტირილი დაიწყო.

— რა გატირებსო?

— აქ ვიღაც ბიჭი მოვიდა და ის დევი მოკლა, მამაჩემს რომ ემტერებოდა. ახლა იმ ბიჭმა მე მინდომა ცოლად. რა ვქნა?

— ოჰ! მე, ეშმაკების ხელმწიფის ვაჟს, ვიღაც ბიჭი შენს თავს როგორ წამართმევს?! იმას როგორ ვერ მოვკლავ?!

— მე რა ვქნა? ხვალ პასუხი უნდა გავცე, — თქვა ქალმა.

— ხვალ მამაშენს უთხარი, ამა და ამ ადგილას (ერთი დიდი ბორცვი დაასახელა) დიდი ქვა რომ დევს, ის ქვა მომიტანოს-თქო.

„ბიჭმა“ ყველაფერი გაიგონა. ჭაბუკი ისევ მტრედად იქცა და სარკმლიდან გაფრინდა.

დილას მივიდა ქალი მამასთან და უთხრა:

— მამაჩემო, თანახმა ვარ გავყვე იმ ბიჭს, თუ იმ ლამაზ ქვას მომიტანს ამა და ამ ბორცვზე რომ დევსო.

რაღა უნდა ექნა ხელმწიფეს?! იხმო „ბიჭი“.

— აკი გითხარი, ამ გოგოს მოეშვი-მეთქი? შენს ცოლობაზე უარს არ ამბობს, მაგრამ ერთი პირობით: ამა და ამ ბორცვზე რომ დიდი, ლამაზი ქვა დევს, ის მომიტანოსო.

— ჩემო ხელმწიფევ, თუ ნებას მომცემ, იმ ქვას მოვიტანო, — უთხრა „ბიჭმა“.

— ნებას როგორ არ მოგცემ, მაგრამ იმის მოტანა ადვილი არ გეგონოსო.

„ბიჭი“ გარეთ გავიდა, გამოიძახა ცხენი და უთხრა რაშიც იყო საქმე.

— იმ ქვას დევები დარაჯობენ, მაგრამ წამოდი, ვცადოთ, იქნებ მოვიტანოთ. ოღონდ, იცოდე, იქ რომ მივალთ, დააკვირდი, თუ დევებს თვალები გახელილი აქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სძინავთ. უცბად აიტაცე ქვა და

გავიქცეთ. თუ დევებმა გაგიგეს, იყვირებენ, იღრიალებენ, მაგრამ არაფრისდიდებით უკან არ მიიხედო. თუ თვალები დახუჭული ექნათ, იცოდე, ჰღვიძავთ. ახლოს არ მიეკარო, არ დაენახო, არ დაიწყო: „მივალ, არ მეშინიაო", — უთხრა ცხენმა.

წაიყვანა ცხენმა „ბიჭი" და იმ ბორცვთან მივიდნენ, სადაც დიდი, ლამაზი ქვა იდო. „ბიჭმა" შორიდანვე დაინახა, რომ დევებს თვალები გახელილი ჰქონდათ. მიიპარა, დაავლო ქვას ხელი და გაიქცა. დევებს გაეღვიძათ. ატეხეს ყვირილ-ღრიალი, მაგრამ „ბიჭი" ცხენს მოახტა და გაქუსლა. „ბიჭი" მივიდა სასახლეში და ქვა ხელმწიფეს გადასცა:

— აი, შევასრულე შენი ქალის პირობაო.

ხელმწიფემ ქვა თავის ქალს მისცა და უთხრა:

— ახლა კი გაჰყევი იმ ბიჭსაო.

— გავყვები, მაგრამ ერთი ღამე კიდევ მადროვეო, — თქვა იმ თავმოსაჭრელმა.

— ეგრე იყოსო, — უთხრა მამამ.

იმ ღამეს „ბიჭმა" ისევ ჭუჭრუტანიდან უყურა. იმ ღამესაც, შუაღამე რომ გადავიდა, ქალმა შუა ოთახში ოქროს ტაშტი დადგა, გააღო სარკმელი, შემოფრინდა მტრედი, წყალში გაევლო და ჭაბუკად იქცა.

ხელმწიფის ქალი ზის და ტირის.

— რა გატირებსო?

— იმ ბიჭმა დავალება შეასრულა, დევების ქვა მოიტანაო.

— მავან ადგილას დევები ცხოვრობენ. იმ დევებს ერთი სარკე აქვთ. უთხარი, ის სარკე მოგიტანოს. იმ სარკის მომტანი კაცი ჯერ არ დაბადებულაო, — თქვა ჭაბუკმა, ისევ მტრედად იქცა და გაფრინდა.

„ბიჭმა" ყველაფერი გაიგონა.

დილას მივიდა ქალი მამასთან.

— ამა და ამ ადგილას დევები ცხოვრობენ. იმათ ერთი სარკე აქვთ, თუ იმ სარკეს მომიტანს, ცოლად გავყვები, თუ არადა — არაო.

რაღა უნდა ექნა ხელმწიფეს? დაიბარა „ბიჭი" და უთხრა:

— ამ თავმოსაჭრელმა მითხრა, ამა და ამ ადგილას დევები ცხოვრობენ. იმ დევებს ერთი სარკე აქვთ. თუ იმ სარკეს მომიტანს, გავყვები ცოლად, თუ არადა — არაო.

— მოვიტანო, — თქვა „ბიჭმა", გარეთ გამოვიდა და ცხენს ყველაფერი უამბო.

— ქვის პატრონი დევებიც ღონივრები იყვნენ, მაგრამ ესენი უფრო ღონივრები არიან, მაგათი ბადალი არავინ არის. თუ დაინახე, რომ თვალები გახელილი აქვთ, გამოსტაცე სარკე და გამოიქეცი. გაგიგებენ, იყვირე-

ბენ, იღრიალებენ, წყევლა-კრულვას დაგაყრიან, მაგრამ არამც და არამც უკან არ მიიხედო, სიტყვა არ შეუბრუნო. ოღონდ ერთი არ დაგავიწყდეს, იმათი ნათქვამი გულით მიიღეო, — დაარიგა ცხენმა.

„ბიჭი" მოახტა ცხენს. ცხენმაც სარკის პატრონ დევებთან მიიყვანა. „ბიჭი" ჩამოქვეითდა, მიეპარა დევებს და ხედავს, თვალები გახელილი აქვთ. გამოსტაცა სარკე და გაიქცა. დევებმა გაუგეს, იყვირეს, იღრიალეს, წყევლა-კრულვა დააყარეს;

— ჩვენი სარკის წამღები თუ კაცია, ქალად იქცეს, თუ ქალია — კაცადო.

მიირბინა ბიჭმა ცხენთან. ცხენმა ჰკითხა:

— რა გითხრეს, როგორ დაგწყევლესო?

— ჩვენი სარკის წამღები თუ კაცია, ქალად იქცეს, თუ ქალია — კაცადო.

ამის თქმა იყო და „ბიჭი" კაცად იქცა. სარკე ხელმწიფეს მიუტანა. იმანაც მაშინვე თავისი ქალი იხმო:

— აი, შვილო, ამ ბიჭმა ის სარკე მოგიტანა. ახლა გაჰყევი, თუ მიჰყვებიო.

— თუ შეიძლება, ერთი ღამეც მადროვეო.

— გადროვებო, — უთხრა მამამ.

მტრედი იმ ღამესაც მოფრინდა, ისევ ჭაბუკად იქცა და დაიწყეს ლაპარაკი.

— იმ ბიჭმა სარკე მოიტანაო, — უთხრა ქალმა.

— ეს როგორ შეძლო? იქ წასული უკან არავინ დაბრუნებულა! — გაუკვირდა ჭაბუკს.

— მაშინ, მამაშენს უთხარი, მავანი ხელმწიფის ბაღში რომ მტირალი ბროწეული და მცინარი კომში დგას, ის მოიტანოსო.

რომ გათენდა, მივიდა ქალი მამასთან და უთხრა:

— მავანი ხელმწიფის ბაღში რომ მტირალი ბროწეული და მცინარი კომში დგას, ის მომიტანოს და გავყვებიო.

„ბიჭი" წავიდა და ყველაფერი ცხენს უთხრა.

— ოო, ეს ძნელი საქმეა. ის კომში და ბროწეული ეშმაკების ბაღში დგას. რას ვიზამთ, წავიდეთ, ესეც ვცადოთ, იქნებ მოვიტანოთო, — თქვა ცხენმა.

წავიდნენ. გზად სამ ძმას გადაეყარნენ. ძმები მამის დანატოვარ მათრახს, ბოხოხსა და ნაბადს იყოფდნენ და ვერ გაეყოთ. ჩხუბობდნენ, ერთმანეთს თვალებს უბრიალებდნენ.

— რა გაჩხუბებთო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ამ მათრახზე, ბოხოხსა და ნაბადზე ვჩხუბობთო.

— მერე, ეგ რა საჩხუბარიაო?

— შენ ესენი უბრალო რამ არ გეგონოს. ეს ბოხოხი უჩინმაჩინის ქუდია. ვინც ამას დაიხურავს, მაშინვე უჩინარი გახდება, ველარავინ დაინახავს, ნაბადი კი მფრინავი ნაბადია. თუ გაშლი და ზედ დაჯდები, საითაც გინდა იქით წაგიყვანსო.

— ყური მიგდეთ: ტყუილად უბრიალებთ ერთმანეთს თვალებს. მაგ ნივთებს მე გაგიყოფთო, — უთხრა ბიჭმა.

— როგორ გაგვიყოფო?

— ისარს ვისვრი და ვინც პირველი მოიტანს, მათრახიც იმისია, ბოხოხიცა და ნაბადიცო.

— კარგიო, — დათანხმდნენ ძმები.

ბიჭმა გასტყორცნა ისარი. ძმები მის მოსატანად გაიქცნენ. ბიჭი მართლა ხომ არ დაუცდიდა, როდის მოიტანდნენ ისარს? მათრახი, ბოხოხი და ნაბადი წაიღო და ცხენს მიუტანა.

— ნაბადზე თუ დაჯდები, საითაც გინდა, იქით გაგაფრენს, ბოხოხს თუ დაიხურავ, უჩინარი გახდებიო.

წავიდნენ. იარეს, იარეს და მიადგნენ იმ ბაღს, სადაც მტირალი ბროწეული და მცინარი კომში იდგა. ბიჭმა გაიხედა და რას ხედავს! მისი საცოლეც იქ არ არის! ეშმაკთა ხელმწიფის შვილიც იქვეა. კომშსა და ბროწეულს ჯარი არტყია და ღობეც აქვს შემოვლებული.

ბიჭმა ბოხოხი დაიხურა. ვინღა დაინახავდა? შევიდა ბაღში, ამოთხარა ხეები და წამოიღო. დააგო ნაბადი, ცხენიან-კაციანად ზედ შედგნენ და გაფრინდნენ. მივიდნენ ხელმწიფესთან:

— დიდო ხელმწიფევ, შენი ნათქვამი შევასრულე: მცინარი კომში და მტირალი ბროწეული მოგართვიო, — უთხრა.

ხელმწიფემ მოაყვანინა თავისი ქალი, რომელიც უკვე შინ მობრუნებულიყო.

— აი, შვილო, ამ ბიჭმა მცინარი კომში და მტირალი ბროწეულიც მოიტანაო, — უთხრა.

— ეჰ, სხვა რა გზა მაქვს, გავყვები ცოლადო, — თქვა ქალმა.

დიდი ქორწილი გადაიხადეს. ქორწილზე ბიჭი წამოდგა და იქ შეკრებილებს წვრილად უამბო თავისი თავგადასავალი. ქალის მამამ ბიჭის მამას წერილი მისწერა: „შენს ვაჟს ცოლი მოჰყავს და სახელიანი გიბრუნდებაო“.

ბიჭმა წაიყვანა ცოლი. მამასთან მისულს ქორწილი გაუმართეს. დაე, თქვენც სიკეთეს გადაჰყროდეთ.

იყო ერთი ცოლ-ქმარი. კარგა ხანს შვილი არ ეძლეოდათ. ბოლოს, როგორც იქნა, მიეცათ ვაჟი. ბიჭი შვიდი წლისა მშვილდ-ისარს ისე კარგად ხმარობდა, მამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. — ჩემზე უკეთესი მონადირე დადგებაო, — ამბობდა.

მართლაც, თხუთმეტ-თექვსმეტი წლისა უკვე კარგი მონადირე იყო. დადიოდა სანადიროდ. უზომო ნანადირევი მოჰქონდა. ერთხელაც, სანადიროდ წასული, დიდ, ლამაზ შველს გადაეყარა. ესროლა. შველი წაიქცა. ბიჭმა მიირბინა, მაგრამ შველი წამოხტა და გაიქცა.

იმ დღიდან ხშირად ხვდებოდა ბიჭი შველს, ესროდა, შველი ვარდებოდა, მაგრამ როგორც კი მონადირე მიუახლოვდებოდა, წამოხტებოდა და გაიქცეოდა.

გავიდა შვიდი წელიწადი. ბიჭის ცოლის შერთვის დრო დადგა და ერთი გოგო დანიშნა. ვაჟს ერთი მეგობარი ჰყავდა, ძმასავით უყვარდა და ენდობოდა. ქორწილამდე შვლის ამბავი უამბო მეგობარს. თურმე, ვაჟის დანიშნული მის მეგობარს ჰყვარებოდა. ერთხელ, მივიდა გოგოსთან და უთხრა — ვის მიჰყვებიო! შვიდი წელიწადია ერთ შველს დასდევს და ვერ მოუკლავს, ჩემი ნადირობის ამბავი, ალბათ, გაგონილი გექნება, მე არ მომყვები და იმას მიჰყვებიო!

ქორწილამდე სამი დღით ადრე მონადირე დანიშნულთან მივიდა, სასიყვარულო სიტყვები უთხრა.

— ლამაზ-ლამაზ სიტყვებს კი მეუბნები, მაგრამ, აბა, როგორ გამოგყვები, თურმე შვიდი წელიწადია ერთ შველს დასდევ და ვერ დაგიჭერიაო!

— ასე არ არისო, — მიუგო მონადირემ. ერთ მეგობარს გამოსაცდელად ვუთხარი და სანდო არ ყოფილაო. ეგ ტყუილია, მაგრამ მე მაინც მოვძებნი და მოვკლავო. ოღონდ, ჩემს დაბრუნებამდე ნურც პირობას მისცემ ვინმეს და ნურც გათხოვდებიო.

ქალმაც შეჰფიცა.

მონადირე დაბრუნდა შინ, აიღო საგზალი და სანადიროდ წავიდა. იმ ადგილას რომ მივიდა, დაინახა შველი და ესროლა. შველი წაიქცა, მაგრამ მონადირე რომ მიუახლოვდა, წამოხტა და გაიქცა. მონადირე დაედევნა. რამდენჯერაც ესროლა, იმდენჯერ წაიქცა შველი, რამდენჯერაც მიუახლოვდა, იმდენჯერვე წამოხტა და გაიქცა. ასე მიადგნენ კლდეს. კლდე გაიღო და შველი შიგ შევარდა. სანამ კლდე დაიხურებოდა, მონადირემაც მოასწრო შესვლა. მონადირემ შეხედა შველს, მაგრამ სადაა შველი! მის ადგილას ქალი დგას, მაგრამ რა ქალი!

— სად არის შველი, ან შენ ვინა ხარ, ქალღმერთი ხარ თუ თვალი მატყუებსო? — ეუბნება მონადირე.

ქალმა ტანი შეარხია და შვლად გადაიქცა. კვლავ შეარხია და ქალად იქცა.

— ყველაფრის მჯერაო, — უთხრა მონადირემ და თავისი ამბავიც უამბო.

— ის ადამიანის შვილია. მე გამოგყვები ცოლად. ისიც დაინახავს, რომ კარგი ვაჟკაცი და კარგი მონადირე ხარ. მე შვიდი დევის ერთადერთი და ვარ. წავიდეთ ჩემს ძმებთან, ოღონდ იცოდე, რომ ისინი ადამიანს ვერ იტანენ. მე მივალ და ვთხოვ, არაფერი დაგიშავონ.

მივიდნენ დევებთან ერთ გამოქვაბულში. ქალმა მონადირე გარეთ დატოვა და თვითონ შევიდა. დაიჩოქა და შეევედრა ძმებს: — ერთი კარგი მონადირე, შორეული ქვეყნიდან, ადამიანის შვილი, შვიდი წელიწადია დამდევს და ბოლოს შეძლო ის, რაც არავის გაუკეთებია. ახლა აქ მოვიყვან, მე თქვენი ერთადერთი და ვარ, ჩემს ამორჩეულს უარს ნუ ეტყვითო. იცოდეთ, თქვენ რაც უნდა მითხრათ, მე მაინც გავყვები.

დაითანხმა ძმები და შემოიყვანა მონადირე. დევებმა დაინახეს ძლიერი ადამიანი, რომელსაც ვერაფრით დაიწუნებდი. მას არც დევების შეშინებია. დევებმა, ჩვენი დის მთხოვნელი უნდა გამოვცადოთო და მისცეს სამი დავალება.

დევების უმცროსი ძმა სამ ფიჭვის ხეზე ასულა. იქ მჯდარ მტრედებს, ერთს რომ ბუმბულს ამოაცლიდა, მეორეს ჩაუდებდა, შემდეგ მესამეს და ამას ისე სწრაფად აკეთებდა, რომ მტრედები ვერც კი გრძნობდნენ. ან ასეთი საქმის ჩამდენი კაცი მოძებნე, ან შენ თვითონ გააკეთეო, — უთხრეს.

ჩაკეტილი კურდღელი გამოუშვეს. შუათანა ძმა დაედევნა და ორ ნაბიჯზეც არ იყო წასული, რომ დაეწია და დაიჭირა. ან ასე დაეწევი კურდღელს, ან მოძებნი ადამიანს, რომელიც ამას გააკეთებსო, — უთხრეს.

— მე და ჩემი და გამოქვაბულის ქვეშ, მიწაში ჩავძვრებით და რასაც ვილაპარაკებთ, უნდა გაიგო ან უნდა მოძებნო კაცი, რომელიც ამას შეძლებს. თუ ამას შეძლებ, ჩავთვლით, რომ შენ ჩვენი დის შესაფერისი ხარო, — უთხრა უფროსმა დევმა.

ქალმა მონადირე კლდის ნაპრალში გაატარა და გამოქვაბულიდან გაუშვა. თან უთხრა: რაც ამათ დაგავალეს, შეუძლებელია, მაგრამ ნუ გეშინია, მე დაგეხმარებიო.

წავიდა მონადირე. მიდის. ხედავს, ვიღაც კაცს ყური დაუდვია მიწაზე და რაღაცას უსმენს.

— რას აკეთებ, რას უგდებ ყურსო.

— მიწის სიღრმეში ჭიანჭველები საუბრობენ, ვუსმენ და ნუ მიშლიო.

— თუ ასეა, ერთ ადგილას მივდივარ, შენნაირი სმენამახვილი კაცი მჭირდება და გამომყევიო.

— ძალიან კარგი, მზად ვარ გემსახუროო, — უთხრა კაცმა.

— ოღონდ იცოდე, დევებთან მივდივართ. ჩემი ამბავი ასე და ასეაო.

— დევებთან კი არა, სადაც გინდა, იქ წამოვალო, — და გვერდით დაუდგა.

წავიდნენ. გზაზე შეხვდათ კაცი, რომელსაც ფეხებზე დოლაბები ჰქონდა წამოცმული. გაქცეულ კურდღელს წამში დაეწია და დაიჭირა. დოლაბები რომ არ სცმოდა, გაუსწრებდა და ველარ დაიჭერდა.

— შენ ჩემი შველა შეგიძლიაო, — უთხრა მონადირემ.

— როგორ არ გამოგყვებიო, — უთხრა დოლაბიანმა კაცმა.

ახლა უკვე სამნი გაუდგნენ გზას. დაინახეს სამი ჭადარი, რომელზედაც სამი მტრედი იჯდა. მტრედებს ქვევით კი ზის ვიღაც. მათთვის შეუმჩნევლად, ერთს გამოაძრობს ბუმბულს, მეორეს ჩაარჭობს, მეორეს გამოაძრობს, მესამეს ჩაარჭობს. მტრედები კი ვერაფერს გრძნობენ. ამ კაცების ხმაურზე მტრედები აფრინდნენ, კაცმა — რატომ შემიშალეთ ხელი, უქმად ვიყავი და ამით ვერთობოდიო.

— ორი მეგობარი უკვე ვიპოვე, შენ მესამე უნდა გახდე. მეგობრობა უნდა გაგვიწიო და ჩვენთან ერთად წამოხვიდეო.

— სიამოვნებითო, — უთხრა კაცმა.

მონადირე სამივე მეგობართან ერთად მივიდა გამოქვაბულთან და, როგორც ქალმა ურჩია, გაისროლა. კლდე გაიხსნა, ყველანი შიგ შევიდნენ და მივიდნენ დევებთან. დადგა პირობის შესრულების დროც. სამი მტრედი მოფრინდა და სამი ხის კენწეროზე დაჯდა. ის კაცი, რომელიც ბუმბულს აცლიდა, ხელად აცოცდა ხეზე და მტრედებს შეუმჩნევლად დაუწყო ბუმბულის ამოცლა. ასე გააკეთა ასჯერ.

დევებს გაუკვირდათ. მერე ერთ-ერთმა დევმა კურდღელი გაუშვა. ფეხებზე დოლაბმობმულმა კაცმა უცებ დაიჭირა. ხელმეორედ გაუშვეს კურდღელი და ისევ დაიჭირა. მერე უფროსმა დევმა მოიხმო თავისი და და ერთად ჩავიდნენ გამოქვაბულის ქვეშ, მიწის სიღრმეში. ის კაციც მზადაა, ჭიანჭველების საუბარს რომ უსმენდა. დამ ძმას უთხრა, ამ კაცს აუცილებლად უნდა გავყვეო.

— ჩვენი ერთადერთი დის ამორჩეულს უარს ვერ ვეტყვით, ქორწილს გადავიხდითო, — თქვა უფროსმა დევმა. — ჩვენ, შვიდივე გამოგყვებით, ვნახავთ, როგორ მიგვიღებენ და პატივს გვცემენ ადამიანებიო.

რომ დაბრუნდნენ, იკითხეს — რა ვილაპარაკეთო.

სმენამახვილმა კაცმა უთხრა, რაც ილაპარაკეს.

დევები წავიდნენ და უამრავი ნადირი დახოცეს. სასიძომაც ინადირა. ამან კიდევ უფრო მეტი დახოცა. დიდი ქორწილი გადაიხადეს. ბლომად მზითევი გაატანეს. თვითონაც გაჰყვნენ სიძეს ოჯახში. დიდი პატივი სცეს. ერთი გოგო და ბიჭი გაგზავნეს მონადირის დანიშნულ ქალთან და მოიყვანეს. ის მეგობარი ბიჭიც მოიყვანეს. ესენი რომ მოვიდნენ, ჰკითხეს მონადირეს, სად არის შენი მოკლული შველიო. ქალი შეირხა და შვლად გადაიქცა, მერე ისევ შეირხა და ქალად იქცა.

— აი, ამ შველს დავდევდი მე შვიდი წელიწადი. შენ გაგანდე საიდუმლო, შენ კი მიღალატე, წახვედი და შუღლი ჩამოაგდე ჩვენს შორის. დღეიდან შენ ჩემი მეგობარი არა ხარო! შენც თავისუფალი ხარო, — უთხრა ქალს.

მონადირემ საკადრისი პატივი სცა ცოლისძმებს. დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

მიცვალებულისთვის სიკეთის მქნელი

იყო ერთი ძალიან კარგი კაცი. კარგი კაცი იმას ჰქვია, ღონიერი გლეხი რომ იქნება, დიდი ქონება რომ ექნება. სწორედ ასეთი იყო ეს კაცი. სამი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ არ იცოდა, რომელი უკეთესი იყო, რომ ის დაეყენებინა თავისი ქონების გამგებლად. თვითონ უკვე ასაკში იყო შესული.

ბევრი იფიქრა და გადაწყვიტა, იმისთვის მიეცა უფროსობა, ვინც უფრო გონიერი და ღონიერი აღმოჩნდებოდა.

ერთ დღეს იხმო შვილები და უთხრა:

— ერთნაირი ცხენ-უნაგირი აირჩიეთ, ერთნაირი ტანსაცმელი ჩაიცვითო.

წავიდნენ ვაჟები და აირჩიეს ერთნაირი ცხენ-უნაგირი, ჩაიცვეს ერთნაირი ტანსაცმელი.

მამამ მოიხმო უფროსი შვილი, ჩაუდო ჯიბეში ხუთასი მანეთი ოქრო და უთხრა:

— წადი, იმოგზაურე, ხალხი ნახე, მოკეთე და ტოლი შეიძინე, კარგი ჭამე, კარგი სვი, შემხვედრს პატივი ეცი, საწყალი კაცი თუ ნახო, ხელი გაუმართე. მოკლედ, კაცად იქეცი და ისე დაბრუნდი, რომ მოხვალ, ჩემი მოცემული ფული უკლებლივ დამიბრუნეო.

— ეგრე ვიზამ, მამა, გავიგე, რაც მითხარიო, — უთხრა უფროსმა შვილმა, მოახტა ცხენს და წავიდა.

მერე მომდევნო შვილი მიიხმო.

— აჰა, შენ, ხუთასი მანეთი. წადი, იმოგზაურე, ხალხი ნახე, მოკეთე და ტოლი შეიძინე, კარგი ჭამე, კარგი სვი, შემხვედრს პატივი ეცი, საწყალი კაცი თუ ნახო, ხელი გაუმართე, მოკლედ, კაცად იქეცი და ისე დაბრუნდი. რომ მოხვალ, ჩემი მოცემული ფული უკლებლივ დამიბრუნეო.

— ეგრე ვიზამ, მამა, გავიგე, რაც მითხარიო, — უთხრა შუათანა შვილმა, მოახტა ცხენს და წავიდა.

თუმც მესამე ვაჟი ჯერ პატარა იყო, მაინც დაიბარა მამამ:

— დად,* შენც ამხედრდი და წადი. უკვე დიდი ხარ. წაიღე ეს ხუთასი მანეთი, იმოგზაურე, ხალხი ნახე, ტოლ-ამხანაგი შეიძინე, კარგი სვი და კარგი ჭამე, შემხვედრს პატივი ეცი, საწყალი კაცი თუ ნახო, ხელი გაუმართე. მოკლედ კაცად იქეცი და ისე დაბრუნდი. რომ მოხვალ, ჩემი მოცემული ფული უკლებლივ დამიბრუნეო.

— ეგრე ვიზამ, მამა, — უთხრა უმცროსმა შვილმაც, მოახტა ცხენს და გაქუსლა.

წავიდნენ ძმები. უფროსმა ბევრი იარა აქეთ-იქით, ხალხიც ნახა, ბევრსაც ესაუბრა, მაგრამ ფულისთვის ხელი არ უხლია. შეეშინდა, ვაითუ, მამას ვალი ვეღარ დავუბრუნოო. არაფერი უჭამია, არაფერი უსვამს, არც ამხანაგი შეუძენია (თუ არავის არაფერს აჭმევ, არაფერს დაალევინებ, მეგობარს როგორღა შეიძენ?!). დაბრუნდა შინ.

— მოხვედი, დად?

— ჰო, მოვედიო.

— რა ჰქენი? რა ნახე იქ, სადაც იყავიო?

— რას ვიზამდი?! ვიმოგზაურე, ხალხი ვნახეო.

— მე რომ ფული მოგეცი, რა უყავიო?

— შენი მოცემული ფულისთვის არაფერი მომიკლია, უკან მოგიტანე, მამაჩემო, გამომართვიო, — უთხრა შვილმა, ფული ამოიღო და მისცა.

— ყოჩაღ! ღმერთმა შენა და შენი საქმე ერთმანეთს ნუ დაგაშოროთო! — უთხრა მამამ, ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

მერე შუათანა ძმა მოვიდა.

— დად, სად იყავი, რა ნახე, რა გაიგეო? — ჰკითხა მამამ.

— ხალხი ვნახე, მათი მოვისმინე, ჩემი ვუთხარი, შენი მოცემული ფულისათვის კაპიკიც არ მომიკლიაო, — უთხრა შუათანამ, ამოიღო ფული და მისცა.

— კეთილი. ღმერთმა შენა და შენი საქმე ერთმანეთს ნუ დაგაშოროთო, — უთხრა მამამ, ფული გამოართვა და ჯიბეში ჩაიდო.

ამათი მოსვლის შემდეგ მამამ უცადა, უცადა უმცროს შვილს, მაგრამ იგი არ ჩანდა. გავიდა დიდი ხანი და, ბოლოს, ისიც მოვიდა, დაღლილ-დაქანცული, გვარიანად შეფერთხილი.

— მოხვედი, დად? — გაუხარდა მამას.

— მოვედი, მამა, — უთხრა შვილმა.

— მადლობა უფალს, უვნებლად მოსულხარ. სად იყავი, რა ნახე? ხალხი ნახე? მეგობრები შეიძინე?

— ხალხი ნახეო, მეკითხები. მე რომ ხალხი ვნახე, იმათ შენი მოცემული ფული რას გასწვდებოდა?! ჩემიც ბევრი მივახარჯე. მაშ, რა უნდა მექნა? მარტო ერთგან ხომ არ ვყოფილვარ? თუ არაფერი გაქვს, არავის უნდიხარ. აქეთ-იქით სიარულითაც დავიღალე, გამოვბრუნდი და წამოვედი, — უთხრა შვილმა.

— ფული როგორ და რაში დახარჯე, დად?

— რაში დავხარჯავდი?! ბევრი ვიარე თუ ცოტა, აქედან ძალიან შორს წავედი. ერთ ქვეყანაში ვხედავ, ვიღაც მომკვდარა და მიწას აბარებენ. ხალხი შეკრებილა. მეც იმათში გავერიე. მესმის, ვიღაცეები ამბობენ: „ძაღლმა და ღორმა ათრიოს ამისი ლეში! ჩვენი ვალი ჰქონდა. ისე მოკვდა, არ გადაიხადა. მაგისი დამარხვა არ იქნებაო“.

— ხალხო, რას ამბობთ?! მკვდარს რას ემართლებით? მოკვდა და ახლა მისი ვალიც მკვდარია. მოეშვით, ცოდვაა. უკვე სუნიც ასდის. მივაბაროთ მიწას და მოვრჩეთ, — ამბობენ სხვები.

ამ დროს წავადექი თავს:

— რა მოხდა, ხალხო, რატომ დავობთ-მეთქი, — ვკითხე.

ასე და ასეა საქმეო, მითხრეს. მკვდარი შემეცოდა.

— განა რამდენი მართებს-მეთქი.

წამოდგა ოთხი კაცი.

— ასე, ოთხასიოდე მანეთი. სანამ ცოცხალი იყო, არაფერი ებადა. ახლა როგორმე ჩვენი კუთვნილი თუ არ მივიღეთ, არ დავამარხვინებთო, — მითხრეს მევალეებმა.

ჩამოვუარე მევალეებს. სათითაოდ გამოვკითხე, ვისი რამდენი ემართა. ვინც რამდენი მითხრა, იმდენი მივეცი. ყველა მევალე გავისტუმრე. ასი მანეთიღა დამრჩა. ისიც იქ დავტოვე. „ცოდოა, სუდარა გაუკეთეთ, გააპატიოსნეთ, ქელეხი გადაუხადეთ და ადამიანურად მიაბარეთ მიწას-მეთქი. ასე გათავდა ჩემი ხუთასი მანეთი. რაღა უნდა მექნა, იქ ხომ არ დავრჩებოდი? შინისაკენ წამოვედი.

— ყოჩაღ! — უთხრა მამამ, — ამიერიდან ჩემი ქონებისა და მამულის პატრონი შენ იქნები. მეცა და შენი უფროსი ძმებიც შენს სიტყვაზე ვივლით. როგორც გინდოდეს, ისე მოიქეციო.

ბიჭმა ცოტა დაისვენა და კვლავ სამოგზაუროდ გაემზადა და გზას გაუდგა. ვინ დაუშლიდა, აკი ოჯახის უფროსი იყო?!

იარა, იარა და სამი გზის გასაყართან მივიდა. იქ ვიღაც კაცი დახვდა.

— გამარჯობა! — მიესალმა ბიჭი.

— გაგიმარჯოს! — უპასუხა დამხვდურმა.

ერთმანეთი მოიკითხეს.

— სად მიდიხარო? — ჰკითხა დამხვდურმა.

— სამოგზაუროდ გამოვედი, მაგრამ არ ვიცი, საით წავიდე. შენ გეცოდინება, ამ სამი გზიდან რომელი უკეთესია, რომელს დავადგეო? — ჰკითხა ბიჭმა.

— იცი, რას გეტყვი, დად? აღმოსავლეთისაკენ წასული ბევრი მინახავს, დაბრუნებული — არავინ. პირდაპირ წამსვლელიც ჯერ არავინ დაბრუნებულა. დასავლეთისკენ წამსვლელები უვნებელიც დაბრუნებულან და დიდი ქონებაც უშოვიათო.

— მაშ, მეუბნები, რომ დასავლეთის გზა უკეთესია? ახლა ისიც მითხარი, რომელია ყველაზე უარესიო?

— ყველაზე უარესი ის გზაა, რომელიც მთისაკენ მიდის. თუ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გზიდან ათასში ერთი ბრუნდება, ჯერ არ ყოფილა, რომ მთის გზიდან უკან მოეღწიოს ვისმეს. მაინც დასავლეთის გზა გერჩიოს. იქით წადიო! — უთხრა კაცმა.

— არა, უარეს გზას გავყვები და სანამ ბოლომდე არ ჩავალ, არ დავბრუნდებიო! — თქვა ბიჭმა და გზას დაადგა.

— დად, მოიცა, რაღაც უნდა გითხრაო! — დაუძახა კაცმა.

— რა უნდა მითხრაო?

— კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, მაგრამ ამხანაგი მაინც გჭირდება. თუ არ გეწყინება, ერთად ვიაროთ, ამხანაგობას გაგიწევო.

— თუ ამხანაგობას გამიწევ, უარს როგორ გეტყვი. კარგი ამხანაგი მჭირდება. წამოდი, ერთად წავიდეთო.

შეთანხმდნენ და მთისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

გზაზე კაცი ეუბნება:

— კი შევამხანაგდით და გზას ერთად დავადექით, მაგრამ არ შეიძლება, რამე არ შეგვემთხვეს, რამეზე არ ვიჩხუბოთო.

— რა უნდა შეგვემთხვეს, რატომ უნდა ვიჩხუბოთო?

— მეგობრებში ტყუილი არ უნდა იყოს. სიტყვაც მართალი უნდა ჰქონდეთ და საქმეც. ვინ იცის, იქნებ ღმერთმა უვნებლად დაგვაბრუნოს. თუ რამე ვიშოვეთ, თანაბრად უნდა გავიყოთო.

— ამას რატომ ამბობ? არ მენდობი? გეშინია, რომ ვერ გიმეგობრებ? ყველაფერი საერთო გვექნებაო, — უთხრა ბიჭმა.

— იცოდე, რასაც ღმერთი მოგვცემს, ყველაფერი თანაბრად უნდა

გავიყოთ: ერთი ქათამი იქნება თუ ერთი კაპიკი. თუ ამ პირობით შემიამხანაგებ, მაშინ ერთად ვიაროთო, — უთხრა კაცმა.

გაუდგნენ გზას. კარგა მანძილი გაიარეს. დაიღალნენ. იფიქრეს, გზიდან გადავუხვიოთ და სადმე შევისვენოთო. ამ დროს ერთი ძალზე ლამაზი ეზო დაინახეს. სწორედ რომ ხელმწიფის საკადრისი ადგილი იყო. შევიდნენ ეზოში და გაოცდნენ: იქაურობა ძაძებით იყო მოფენილი. ეზოც კი გლოვობდა.

— მასპინძელო! — დაიძახეს მგზავრებმა. დაძახილზე ეზოს პატრონი მეფე და მისი ცოლი გამოვიდნენ. ისინიც მგლოვიარენი, თითქო მიცვალებული უსვენიათო.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო.

— ღმერთმა სიკეთე განახოთ. საღამო მშვიდობისაო.

მასპინძლებმა სტუმრებს ცხენები ჩამოართვეს.

— აქეთ მობრძანდითო, — მიიწვიეს.

სტუმრები დასხდნენ. მიიხედ-მოიხედეს და საგონებელში ჩაცვივდნენ.

— მასპინძლებო, შემოგევლოთ ჩემი თავი, ერთ რამეს გკითხავთო, — თქვა ბიჭმა.

— ბრძანეო.

— თუ შეიძლება, გვითხარით, რა დაგემართათ? ამისთანა ეზო-მიდამოს პატრონები, ღვთის წყალობითა და წინასწარმეტყველის ლოცვით სავსენი, რატომ ხართ მოწყენილები? ვის გლოვობთ, ვინ მოგიკვდათო?

— ეჰ, ვინმე რომ მოგვკვდომოდა, რა უშავდა. სიკვდილი სიკვდილია. მოვრჩებოდით და ის იქნებოდა. მკვდარს მოვუვლიდით, ცოცხლები ვიცოცხლებდით, ჩვენ არ ვიხოცებით, მაგრამ ერთი ღვთისაგან დაწუნებული ქალი გვყავს. დუნია რომ მოიარო, მის მსგავს სახიერ, ზნეკეთილ, ტკბილ გოგოს ვერსად ნახავ. აი, მოდიან თქვენისთანა ყმაწვილები, ნახავენ ჩემს ქალს, ძალიან მოსწონთ. მოსწონთ რომელია, სული მისდით. ცოლად შეირთავენ, მაგრამ იმავე ღამეს იხოცებიან. დახოცილი სიძეების მარხვამ გამათავა, ქონება გამინახევრა. ცალკე დახოცილების საცოდაობა მკლავს. აი, ამიტომ ვგლოვობთ, დად, — თქვა მასპინძელმა.

— ასეთ გოგოს მე შევირთავ, მაჩვენეთ. თუ მოვკვდები, მოვკვდეო, — თქვა ბიჭმა.

— არა, დად, რას ამბობ?! ვინც მოკვდა, ისინი ვერ მოგვინელებია და ახლა შენი სიკვდილი გვინდა? შეწყვიტე ამაზე ლაპარაკი. შენ და შენი მეგობარი გამვლელები ხართ. სული მოითქვით და თქვენი გზით წადით, — უთხრა მასპინძელმა.

— თუ თქვენს ქალს არ მაჩვენებთ და ცოლად არ გამატანთ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო, — თქვა ბიჭმა.

სხვა გზა არ იყო. მოიყვანეს ქალი. ბიჭს ძალიან მოეწონა.

მეფემ მოპატიჟე ცხენზე შესვა და გაგზავნა:

— ხვალისთვის კიდევ ერთი კაცია დასამარხი. ისევ სიძე ვიშოვე და ამაღამ შეიკრიბენითო, — აცნობა ხალხს.

მოგროვდნენ მეზობლები, მოკეთეები, ნათესავები. საკლავი დაკლეს და დიდი ქორწილი გადაიხადეს.

ნეფე-დედოფალი ღამით გოგოს ოთახში — კოშკის წვერში — წაიყვანეს. ბიჭის მეგობარიც იქვეა. მან ბიჭს უთხრა:

— შენ და შენი ცოლი წადით და დაწექით, მაგრამ კარებს ნუ ჩაკეტავთ. მე და შენ მეგობრები ვართ და ერთმანეთს უნდა ვენდოთ. კარი ოდნავ მოხურე, გარედან გაღება რომ შევძლო. მშვიდად დაიძინე. ოღონდ, იცოდე, თუ კარი არ გაიღო, დაიღუპებიო.

როგორ არ დაიჯერებდა მეგობრის ნათქვამს! ნეფე-დედოფალი სანთიობოში რომ შევიდნენ, ბიჭმა კარები ისე მიხურა, რომ მის მეგობარს ადვილად გაეღო.

როგორც კი ცოლ-ქმარმა დაიძინა, ბიჭის მეგობარმა კარი გააღო, შევიდა, ამოიღო ხმალი და ქალს პირთან მიუტანა. უცებ, მძინარე ქალის ყელიდან წითელი გველი ხრიალით ამოცურდა. კაცმა დაჰკრა ხმალი და გველს თავი წაასხიპა. აიღო თავი, ქაღალდში გაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

ქალის ყელიდან კვლავ ამოსრიალდა სხვა გველი. კაცმა ისიც მოკლა, მისი თავიც ჯიბეში ჩაიდო. მძინარე ქალის ყელიდან მესამე გველიც ამოძვრა. კაცმა იმასაც წააცალა თავი და ჯიბეში ჩაიდო.

გველებს რომ თავები დააჭრა, კაცი ფეხაკრეფით გავიდა და თავის ადგილას დაწვა. არც ცოლს გაუგია რამე, არც ქმარს, ქალმა რა იცოდა, რომ მის ყოველ გათხოვებაზე მისი პირიდან ამოსული გველები ქმრებს ჰკბენდნენ, ხოცავდნენ და ისევ უკან, მის სხეულში ბრუნდებოდნენ.

დილით ცოლ-ქმარმა გაიღვიძა და გარეთ გამოვიდა.

— ეს რა სასწაული მოხდა! ჩვენს ქალს გათხოვება ეღირსა და რაღა გვიჭირსო, — თქვეს ქალის დედ-მამამ, ძმებმა, ნათესავებმა, ყველამ გაიხარა. ხელახლა გადაიხადეს ქორწილი. მთელი კვირა გაგრძელდა ლხინი.

— თუ მატანთ ქალს, გამატანეთ. ჩემი მშობლები მელოდებიან, შინ უნდა წავიდეო, — თქვა ბიჭმა.

— გზა მშვიდობისა! წადითო, — უთხრეს ქალის მშობლებმა, სიძეს დიდი ფული და ქონება მისცეს, ასი მხედარი გააყოლეს და შინ გაისტ-

უმრეს. მხედრებმა მაყრიონი ხმაურით გააცილეს, სადამდეც წესი იყო და უკან მობრუნდნენ.

მეგობრები მიდიან და მიჰყავთ პატარძალი (ახლა უნდა მოხდეს მოსახდენი).

მივიდნენ იმ გზაგასაყარზე, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს.

— მე ამ ადგილს ვერ გავცდები, მშვიდობის გზა გქონოდეთ. წადი შენი გზით. ჩვენ პირველად აქ შევხვდით ერთმანეთს და აქვე დავმეგობრდითო, — თქვა კაცმა.

— კარგი, შენ კი მიშვებ, მაგრამ არ გახსოვს, ამ ადგილზე რა ვუთხარით ერთმანეთსო? — ჰკითხა ბიჭმა.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მაგრამ შენც გაიხსენეო.

— აკი ვთქვით, რასაც ვიშოვით, ყველაფერი თანაბრად გავიყოთო. რადგან ასეთი პირობა გვაქვს, მოდი, ეს გოგო, ღმერთმა მოგვცა, თანაბრად გავიყოთო, — თქვა ბიჭმა (ნახეთ, რა ვაჟკაცია?! შეეძლო, არც შეეხსენებინა პირობა და ბედნიერი ყოფილიყო, მშვიდობით რომ დაბრუნდა უკან, მაგრამ არ იკადრა!).

— კეთილი და პატიოსანიო.

დააყენეს ქალი. კაცმა ერთ მხარში ჩაავლო ხელი, ბიჭმა — მეორეში.

— მე დავკრავ ხმალსო, — თქვა ქმარმა.

— შენ თუ დაჰკრავ, უკეთეს ნაწილს შენსკენ მიითლი. მე უნდა დავკრაო, — თქვა კაცმა.

— კარგი, შენ დაჰკარიო, — თქვა ქმარმა.

კაცმა ხმალი შემართა, რომ ქალისთვის თავში დაეკრა. ქალს შეეშინდა, „ოჰ!“ იყვირა და პირიდან გველის ტანი გადმოუვარდა.

— ოი, ძაღლებმა შემჭამონ! ვერ დავკარი. ხედავ, ხმალი ვერ მოვიმარჯვე, მე კაცი ვარ?! — თქვა კაცმა და მეორედ მოუღერა ხმალი. ქალი ისევ შეშინდა, შეჰკივლა და მეორე გველის ტანიც გადმოუვარდა.

— ხედავ? მეორედაც ვერ დავკარი! მაგრამ, თუ კაცი ვყოფილვარ, ახლა დავკრავო! — თქვა კაცმა და ისევ მოუღერა, აღმართა ხმალი, შეშინებულმა ქალმა ისევ იკივლა და ისევ გადმოაგდო პირიდან გველის ტანი.

— მადლობა უფალს! ხედავ, რა ამბავი იყო? შენ რომ მითხარი, მთისკენ მიმავალ გზას უნდა გავყვეო, ვიცოდი, რაც გელოდა. მეგობრობა გაგიწიე. გადაგარჩინე. ღმერთმა ამ ქალთან ბედნიერი გამყოფოს. ვისაც ეს ქალი ცოლად გაჰყვებოდა, გველები ყველას დახოცავდნენ. ახლა ქალი უკვე განწმენდილია. მისი ორად გაჩეხვა რომ არ დამეპირებინა, გველების შხამი შენც მოგკლავდა. ახლა ნურაფრის გეშინია. წაიყვანე შენი ცოლი და

ბედნიერად იცხოვრეთ, სანამ სასუფევლის გზას არ დაადგებით. მშვიდობით გევლოთ. წადით, წადითო, — თქვა კაცმა და ცოლ-ქმარს გადაეხვია.

გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. კაცმა კიდევ თქვა:

— მე აქაურობას ვერ გავცილდებიო.

ბიჭი გზას უნდა გასდგომოდა და ცოლიც უნდა წაეყვანა, მაგრამ ვერ მიდიოდა.

— ამდენი სიკეთე რომ მიყავი, რით გადაგიხადოო?

კაცმა გაიცინა:

— მე კარგა დიდხანს ვერ შევძლებ შენი სიკეთის გადახდას. მართალია, გგონია, რომ ჩემთვის სიკეთე არ გიქნია, მაგრამ ეგრე როდია. შენ იმაზე მეტი გამიკეთე, რისი გაკეთებაც მე შევძელი. გახსოვს, გზაზე მიდიოდი, კაცი მომკვდარიყო, მევალეები დაჰხვეოდნენ და არ ამარხვინებდნენ, „ჩვენი ვალი აქვს, სანამ ვალს არ გადაიხდის, მიწას არ მივაბარებთო?“ ისიც გახსოვს, ხალხი რომ იძახდა: „მიცვალებულია, ვალს როგორ მოგცემთ, ცოდვაა, დავმარხოთ, სანამ არ აქოთებულაო?“

— ჰო, მახსოვს, როგორ არ მახსოვს, — თქვა ბიჭმა.

— მიცვალებულის ვალები ხომ შენ გაისტუმრე?

— ჰო, მე გავისტუმრე.

— მკვდრის გასაპატიოსნებელი ფულიც ხომ შენ გაიღე? აკი უთხარი, „ცოდვაა, გააპატიოსნეთო?“

— ეგრე იყო.

— ხოდა, ის მიცვალებული, ვისაც ამდენი სიკეთე უყავი, მე ვარ. შენი სიკეთე ჩემმა სულმა იგრძნო, აქ მოვიდა და შეგხვდა. ერთმანეთს ველარ ვნახავთ. ღმერთმა სიკეთე არ მოგიშალოსო, — უთხრა კაცმა და გაქრა.

ბიჭმა კი გზა გააგრძელა. მიჰყავდა ცოლი, მიჰქონდა ქონება და შინ ბრუნდებოდა.

ეს ზღაპარიც აქ დამთავრდა.

ქალიშვილი, რომელმაც მზე შეაჩერა

ერთი უფლისწული თავისი ამალით გზას გაუდგა, უნდოდა, ისეთი ქალიშვილი ეპოვა, რომელიც მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ერთ ხელ ტანსაცმელს შეუკერავდა. გზაზე დაინახა ერთი მოხუცი კაცი, რომელიც ხეს ჭრიდა.

— რას ეძებთო? — ჰკითხა მოხუცმა.

უთხრეს, რასაც ეძებდნენ.

მოხუცმა მიიპატიჟა უფლისწული თავისი მხლებლებითურთ ერთ ოჯახში. ამ ოჯახის ქალიშვილი სიხარულითა და პატივისცემით მოემსახურა სტუმრებს. ღამე მოასვენეს, დააძინეს. ქალიშვილმა სტუმრებისა და მამამისის საუბარი მოისმინა. მეორე დღეს ქალიშვილმა დედ-მამას დაუბარა, რომ ახლა უკვე თქვენზეა მაგათი პატივისცემაო. უფლისწული თვალით აზომა და ტანსაცმლის შესაკერად წავიდა. მზის ამოსვლისას დაიწყო და მზის ჩასვლისას ცოტაღა დარჩა. მზეს შესთხოვა, შეჩერდიო. ტანსაცმლის კერვა დაამთავრა, მიუტანა უფლისწულს, რომელსაც კარგად მოერგო.

ძებნით დაღლილ უფლისწულს გაუხარდა, რომ ასეთი ქალიშვილი იპოვა.

ქორწილი გადაიხადეს. უფლისწულმა და მისმა მეგობრებმა პატარძალი წაიყვანეს. მეფის სახლშიც დიდი ქორწილი გადაიხადეს. ღამით უფლისწული ამჰარაში* იწვა და ამ დროს ვიღაცამ დაუძახა. გავიდა და აღარ დაბრუნებულა. პატარძალმა უცადა, უცადა და ბოლოს ჩონგური აიღო და სიმღერით გააგებინა მშობლებს, რაც მოხდა.

დაუწყეს უფლისწულს ძებნა, მაგრამ ვერსად იპოვეს. გავიდა ხანი. მეზობელი დაკარგულ დეკეულს ეძებდა ტყეში, უცებ პირისპირ შეხვდა უფლისწული, მაგრამ უცებ გაქრა. მეზობელმა ეს ამბავი მშობლებს აცნობა. მამა წავიდა ტყეში და ჩაუსაფრდა თავის ვაჟს და დაინახა კიდეც.

— სადა ხარ, შვილოო? — მოხუცმა და ხელი მოავლო. მოხუცი ცეცხლის ალში გაეხვია და იწვის. ვერ გაუძლო, შვილს ხელი გაუშვა და დამწვარი შინ დაბრუნდა.

— შე კაი კაცო, როგორ ვერ მოითმინეო, — უსაყვედურა ცოლმა. და ახლა თვითონ წავიდა შვილთან შესახვედრად. შვილი რომ დაინახა, გაჩერება დაუპირა, მაგრამ მასაც ცეცხლი მოეკიდა, ვეღარ გაუძლო და იძულებული გახდა ხელი გაეშვა.

— მაპატიეთ, მაგრამ ამაღამ მე წავალო, — თქვა პატარძალმა.

მესამე ღამეს მივიდა დანიშნულ ადგილას, როგორც კი დაინახა, ორივე ხელი მოხვია. — გამიშვი, თორემ არც შენ დაგადგება კარგი დღეო, — მაგრამ ქალმა ხელი არ გაუშვა. ქალი ცეცხლის ალში გაეხვია, სამჯერ ფერფლად იქცა, სამჯერვე ადამიანად იქცა. მესამეჯერ ცეცხლი უკვე მოეშვა. ქალმა ხელი მოჰკიდა ქმარს და დიდ მინდორზე გავიდნენ.

ერთი ქალბატონი ძაფს ართავდა. ქმართან ერთად მიმავალი ქალი რომ დაინახა, გაბრაზდა და დაუძახა: — შე უსინდისო, მე ერთი სული მქონდა, რომ ჩავსულიყავი, შენ კი ღმერთს სთხოვე და შემაჩერე. წაიყვანე, თავში გიხლია, მაინც არ ეშვებიო (თურმე ეს ქალბატონი მზე ყოფილა).

ქალი ქმართან ერთად დაბრუნდა სახლში. ხელახლა გადაიხადეს ქორწილი. მზეც თავის ადგილას დაბრუნდა.

ქალის სიყვარული

ამბობენ, ძველად მიქელ-გაბრიელი არ იმალებოდა, თავისუფლად დადიოდა ხალხშიო. არც ბედის გამრიგეები იმალებოდნენო.

ყოფილა ერთი თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი, ჯერ კიდევ ბედდაუწერელი. მოსულან ბედის გამრიგეები, დამსხდარან და დაუწყიათ ბჭობა. „ცოლს რომ მოიყვანს, მეორე დღეს მოკვდესო“, — გადაუწყვეტიათ.

ბიჭიც იქვე ყოფილა და ყველაფერი გაუგია. „სულაც არ მოვიყვან ცოლსო“, — უფიქრია.

გავიდა ხანი. არ მოჰყავს ბიჭს ცოლი. დედა და და ჩააცივდნენ, თუ დროზე არ მოგიყვანია ქალი, თავებს დავიხოცავთო. რა ექნა?! მოიყვანა. დიდი ქორწილი გადაიხადეს. მეორე საღამოს გამოეცხადა მიქელ-გაბრიელი.

— საღამო მშვიდობისაო, — მიესალმა.

— აი, დედაჩემო, ხომ გეუბნებოდი! ახლა რაღას იზამ?

— მე აქ არა ვარო? — უთხრა დედამ.

— თუ აქა ხარ, გააკეთე, რის გაკეთებასაც აპირებო, — უთხრა შვილმა.

მიუჯდა მიქელ-გაბრიელი დედას და დაუწყო სულის ამოხდა. მუხლებამდე რომ ამოხადა, ველარ გაუძლო დედამ და იყვირა:

— წაიყვანე, ვინც უნდა წაგეყვანა, მე თავი დამანებეო!

მიქელ-გაბრიელმა უკან ჩაუბრუნა სული დედას. ამ დროს დამ იკივლა:

— შენ თუ ვერ შეძელი, მე აქ არა ვარო?!

მიუჯდა მიქელ-გაბრიელი დას და დაუწყო სულის ამოხდა. წელამდე რომ ამოხადა, ველარ გაუძლო დამ და იყვირა:

— მეტი აღარ შემიძლიაო!

მიქელ-გაბრიელმა დასაც უკან ჩაუბრუნა სული.

— ჩემთან მოვიდეს მიქელ-გაბრიელიო, — თქვა ცოლმა, თუმცა ჯერ ცოლ-ქმარი ერთადაც კი არ ყოფილიყო.

მიუჯდა მიქელ-გაბრიელი ქალს და დაუწყო სულის ამოხდა. ყელამდე რომ ამოხადა, მიატოვა და სადღაც წავიდა, ღმერთმა იცის, ვისთვის რა უნდა ეკითხა. მაგრამ იქ, სადაც იყო, ასეთი რამ უთხრეს:

— მაგ ქალს კიდევ ორმოცდაათი წლის სიცოცხლე აქვს, გაუყავი ეს ორმოცდაათი წელი ცოლ-ქმარს და თავი დაანებეო.

იყო ერთი გლეხი, ჰყავდა ცოლი და ერთი ბიჭი. ასე იყო თუ ისე, გლეხს ცოლი მოუკვდა. დიდხანს იგლოვა და ივაგლახა, მაგრამ ბოლოს, სხვა საშველი რომ აღარ ჰქონდა, მეორე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალმა გერი პირველი დღიდანვე ამოიძულა.

— კაცო, მოდი, ეს ბიჭი მოვკლათ. რამე საქმე რომ გამოგვიჩნდეს და აქედან წასვლა დაგვჭირდეს, ხელს შეგვიშლისო, — დღედაღამ ჩასჩიჩინებდა ქმარს.

ერთხელ უთხრა, ორჯერ, სამჯერ, მაგრამ საცოდავ გლეხს საკუთარი შვილი მოსაკლავად არ ემეტებოდა. არ იცოდა, რა ექნა. თან იმისიც ეშინოდა, რომ ვერ გავიმეტო, ვაითუ, ცოლი გამექცესო.

ბოლოს, ცოლმა გული რომ შეუჭამა, იფიქრა: „ეს ერთადერთი შვილი გინდა მყოლია, გინდა — არა, ცოლი მომემსახურებაო“ და დაიწყო დანის ლესვა.

ამ კაცს ერთი ხარი ჰყავდა. ხარს ბიჭი უვლიდა: საძოვარზე დაუდიოდა, აძოვებდა, არწყულებდა. იმ დღესაც ბიჭმა ხარი აძოვა. შინ რომ დაბრუნდნენ, ხედავს, მამამისი დანას ლესავს.

— მამაჩემო, დანას რატომ ლესავ, რად გინდაო?

— ჩვენი ხარი უნდა დავკლათ, ხორცს შევჭამთ. დანას ამიტომ ვლესავო.

ამის გაგონებაზე ბიჭმა ტირილი მორთო.

— რა იყო, რა გატირებს?! მორჩი ტირილს და ღვლერჭი მომიტანე! — უყვირა მამამ.

ბიჭი ტირილ-ტირილით წავიდა ღვლერჭის მოსატანად. ხარმა დაინახა და ჰკითხა:

— რა გატირებსო?

— როგორ არ ვიტირო, როცა მამაჩემი შენს დასაკლავ დანას ლესავს? მითხრა, წადი, ღვლერჭი მომიტანე, ხარი უნდა დავკლათო.

— მე კი არა, შენ გიპირებენ დაკვლასო. შენმა დედინაცვალმა საშველი არ მისცა, სულ იმას უჩიჩინებს, „შენი შვილი დავკლათ, რაში გვჭირდება, უიმისოდ უკეთესად ვიქნებითო“. მამაშენსაც მობეზრდა ამდენი ჩხუბი და დათანხმდა, ახლა იმ დანას შენთვის ლესავსო.

— რაღა მეშველება, რა უნდა ვქნაო? — უარესად ატირდა ბიჭი.

— აი, რა უნდა ქნა: იქ, სადაც მე მაბამ ხოლმე, ერთი ქვა გდია, იქვე ერთი სავარცხელი, ბოთლი და აჭარპინია.* ყველაფერი აიღე და მოდი. სანამ მამაშენი და შენი დედინაცვალი მოგკლავენ, მე გაგაქცევ, ნუ გეშინიაო, — უთხრა ხარმა.

წავიდა ბიჭი, იპოვა ქვა, სავარცხელი, ბოთლი და აჭარპინი, აიღო და ხართან მიიტანა.

— ახლა ზურგზე შემაჯექიო, — უთხრა ხარმა.

შეაჯდა ბიჭი. ხარი გავარდა, გაიქცა. გაიგო დედინაცვალმა ეს ამბავი და ღორად იქცა. ბიჭის მამა შეჯდა ამ ღორზე და შვილს დაედევნა. მირბის ხარი, მისდევს ღორი და ის არის, უნდა წამოეწიოს, რომ ხარი ეუბნება ბიჭს:

— აგე, შენი სიბერეგაოხრებული დედინაცვალი ღორად ქცეულა, ზედ მამაშენი ზის და მოგვდევენ. საცაა დაგვეწევიან. ბოთლში რომ წყალი გიდგას, გადაღვარეო.

ბიჭმა მაშინვე გადაღვარა წყალი. გაჩნდა ზღვა. ზღვა კი გაჩნდა, მაგრამ ღორს ზღვა შეაჩერებდა? გადაეშვა და ცურვით დაედევნა წინ წასულებს. გადაცურა ზღვა, წამოეწია ხარს.

— ღორი გვეწევა, გადააგდე სავარცხელიო, — თქვა ხარმა.

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი და გაჩნდა გაუვალი ტყე. მაგრამ ღორს რა ტყე შეაჩერებდა?! დაჰკრა ფეხი, გადაიჯლიგინა ტყე და ხარს წამოეწია.

— შენი ღორი დედინაცვალი გვეწევა, მიბრუნდი და ქვა გადააგდე! — უთხრა ხარმა.

გადააგდო ბიჭმა ქვა და მათ უკან მაღალი ყორე გაჩნდა. იწია ღორმა ზევით, იწია, მაგრამ ყორეზე ვერ გადავიდა და იქ დარჩა. მამა სადღა წავიდოდა? ისიც იქვე დარჩა.

ხარმა კი წაიყვანა ბიჭი და ატარა, ვიდრე შეეძლო. დაღლილ-დაქანცულები ერთ ღრმა ხეობაში გაჩერდნენ.

— ახლა კი ძირს ჩამოდი. მეც ცოტას მოვძოვ. შენ იჯექი. აქაურობას მივივლ-მოვივლი და ისევ აქ მოვალ. არ შეგეშინდეს, შიმშილით არ მოგკლავო.

— აქ რომ ვიჯდე, ერთიც ვნახოთ, ნადირი მოვიდეს და შემჭამოს?

— ხეზე ადი და იქ იჯექი. როცა მოგშივდება, შენი აჭარპინი დაუკარი, მის ხმას გავიგონებ და მაშინვე შენთან გავჩნდები. საჭმელსაც მოგიტან. იცოდე, ჩემს მოსვლამდე ხიდან არ ჩამოხვიდეო.

ეს უთხრა და წავიდა ხარი საძოვარზე. იჯდა ბიჭი ხეზე. როგორც კი მოშივდებოდა აჭარპინის დაკვრას დაიწყებდა. ხარი გაიგონებდა და ხვდებოდა, რომ ბიჭს შიოდა. მოჰქონდა საჭმელი და აჭმევდა.

გავიდა კარგა ხანი.

იმ ხეობაში ბევრი ნადირ-ფრინველი იყო. იმათ არასოდეს სმენოდათ აჭარპინის ხმა. როგორც კი ბიჭი დაკვრას დაიწყებდა, ხის გარშემო მო-

გროვდებოდნენ და გაკვირვებითა და მოწონებით უგდებდნენ ყურს.

იქვე ახლო თურმე ერთი მეფე ცხოვრობდა. ერთხელ იმ მეფის ყმა ხეობაში სანადიროდ ჩასულა და აჭარპინის ხმა გაუგონია. უფიქრია, „მივალ, გავიგებ, რა არის, საიდან მოდის ეს ხმაო“, მაგრამ ბიჭის სამყოფელს ვერ მიუახლოვდა თურმე — მხეცებმა არ მიუშვეს.

ასე რომ, ვერ გაიგო, ვინ უკრავდა.

მონადირე გაბრუნდა, მეფესთან მივიდა და მოახსენა:

„— მეფეო, ბევრი მიმოგზაურია, ბევრი რამის მნახველი ვარ, მაგრამ ასეთი საოცრება ჯერ არ მინახავს: შუა ტყეში აჭარპინის ხმა გავიგონე. იქით წავედი, რომ მივუახლოვდი, დავინახე, უამრავი ნადირი ირეოდა. ახლოს არ მიმიშვეს. შორიდან თვალი მოვკარი, რომ ერთი ხარი მოვარდა და ყველანი გარეკა. ძლივს გავარჩიე, რომ ხიდან ლამაზი ბიჭი ჩამოვიდა. მომეჩვენა ხარი ბიჭს საჭმელს აჭმევდა, მაგრამ ნანახისა და გაგონილის უკეთ გასარკვევად ახლოს ვერ მივედიო“.

— როგორ გავიგოთ რა ხდება, რა ხერხი ვიხმაროთო, — ფიქრობდა ხალხი, მაგრამ ვერაფერი მოეფიქრებინათ. იქვე ერთი კუდიანი დედაბერი ცხოვრობდა. მონადირე მასთან მივიდა და უთხრა: „ასე და ასე იყო, ესა და ეს ვნახე და გავიგონე, მაგრამ ვერ გამიგია, რა ხდება. იქნებ, შენ გვითხრა, რა ხერხით გავიგოთო“.

— ეგ იოლი საქმეა. ვისზეც შენ ლაპარაკობ, ან ადამიანის შვილი იქნება, ან ეშმაკი. ვინც არ უნდა იყოს, დავიჭერ და აქ მოგგვრით, ოღონდ უნდა გასამრჯელო მომცეთო.

— ოჰ, ღმერთო, ამას თუ გამიკეთებ, რას არ მოგცემ! რასაც ისურვებ, უარს არაფერზე გეტყვითო, — უთხრა მონადირემ.

— ერთ ცხვარს თოკი ჩააბი და მომიყვანე, ერთი დანაც მომეცი და ტყეში რომ ბიჭი გინახავს, ახლავე აქ მოგგვრიო.

მონადირე დანას ვერ იშოვიდა? დანაც მიუტანა და თოკჩაბმული ცხვარიც მიუყვანა დედაბერს.

დედაბერმა ცხვარი წაიყვანა და იმ ტყეში მივიდა, სადაც ხეზე შემომჯდარი ბიჭი აჭარპინს უკრავდა. დედაბერმა ცხვარი სწორედ იმ ხის ქვეშ წამოაქცია და ვითომ დაკვლა დაუპირა, მაგრამ ყელში კი არა, ფეხებზე უსვამდა დანას — სათითაოდ დავაჭრი ფეხებს და ისე დავკლავო.

ბიჭი ხიდან უყურებდა დედაბრის საქციელს.

— დი, რას აკეთებ, ასე დაკვლა გაგონილა? ცხვრის დაკვლა თუ გინდა, თავი უნდა მოაჭრაო, — ჩამოსძახა ხიდან.

— ჰო, ნან, ცხვრის დაკვლის წესი კი ვიცი, მაგრამ ძალა არ მომდევს. თუ ამდენი იცი, ჩამოდი მომეხმარეო.

ბიჭმა რა იცოდა, რომ დედაბერს გულში ღალატი ედო? ჩამოვიდა ხიდან, ხელად დაუკლა ცხვარი. დედაბერს რაღაც სასმელი ჰქონდა — ღმერთმა იცის, არაყი იყო თუ სპირტი.

— ნან, ეს დალიე, ცხვრის დაკვლის გასამრჯელო იყოს, დალიე, აღარ მოგწყურდებაო.

ბიჭმაც ცოტა მოწრუპა და ერთ წუთში დათვრა, მოიღვენთა. ჯერ ბავშვი იყო, სასმელს როგორ აიტანდა?

სტაცა ხელი დედაბერმა ბიჭს, იმ თოკით შეკრა, რითაც ცხვარი მოიყვანა, გასწია და მეფესთან წააჩანჩალა. ბიჭს ძალა წართმეოდა, წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია.

მეფემ ბრძანა და ბიჭი შვიდი კარის მიღმა ჩაამწყვდიეს. რა ექნა საწყალს?! მისმა ხარმა კი, რომ დაინახა, ბიჭი იქ არ იყო, სადაც დატოვა, აქეთ ეცა, იქით ეცა, აღმა გავარდა, დაღმა ჩავარდა, ქვეყანას ტყავი გადააძრო, მაგრამ მისი კვალიც კი გამქრალიყო.

შვიდი კარის მიღმა ჩაკეტილ ბიჭს არ აშიმშილებდნენ, აჭმევდნენ და ასმევდნენ, მაგრამ ეს რას უშველიდა? ხარის დარდი აწუხებდა. უნდოდა, ხარისთვის თავისი ამბავი შეეტყობინებინა, მაგრამ როგორ? იჯდა თავჩაქინდრული და ფიქრობდა. უცებ ერთი ყვავი მოფრინდა და სარკმელზე ჩამოჯდა. ყვავმა დადარდიანებული ბიჭი რომ დაინახა

— რა დაგემართაო? — ჰკითხა.

— ამა და ამ ადგილას ღრმა ხეობაში ერთ წაბლის ხეზე ჩემი აჭარპინი დამრჩა და იმას ვწუხვარო. აქ რომ მქონდეს, ასე აღარ მოვიწყენდი. აქედან რომ ვიყურები, გარეთ ხალხს ვხედავ, მაგრამ ვერავის დავლაპარაკებივარ, მეფე არ მანებებს. ვარ ასე გატანჯულიო.

— მე მოგიტან შენს აჭარპინსო, — უთხრა ყვავმა, გაფრინდა და ცოტა ხანში ნისკარტში აჭარპინგაჩრილი დაბრუნდა. აჭარპინი სარკმელში შეუგდო ბიჭს.

ბიჭმა აიღო აჭარპინი, შემოჯდა სარკმლის რაფაზე და დაუკრა. უნდოდა, ხარი მოეყვანა.

აჭარპინის ხმაზე რაც ახლომახლო ნადირ-ფრინველი იყო, ყველამ მეფის ეზოში მოიყარა თავი. ხმამ ხარამდეც მიაღწია. მაშინვე გამოიქცა და მეფის ეზოში მოვარდა. ეცა და შელეწა ერთი კარი, შელეწა მეორე, მესამე. ოთხი კარი რომ დარჩა, ხარს ცალი რქა მოსტყდა, მაგრამ არ შეჩერებულა, დანარჩენი კარებიც შელეწა, ბიჭი ზურგზე შეისვა და გააქცია.

მაგრამ კარების მტვრევისას ტვინი შეერყა.

მიიყვანა ბიჭი ისევ იმ ხეობაში, ისევ შესვა ხეზე და უთხრა:

— აკი გითხარი, ძირს არ ჩამოხვიდე-მეთქი, რატომ ჩამოხვედი? ადი,

დაჯექი შენს ადგილზე და ჩემს მოსვლამდე ფეხი არ მოიცვალო!

ხარი ერთი-ორჯერ კიდევ წავიდა და ბიჭს საზრდო მოუტანა, მაგრამ თავი დაზიანებული ჰქონდა და ერთ დღესაც ღელეში რომ გადიოდა, თავბრუ დაესხა და წყალში ჩავარდა. ველარ წამოდგა, იქ ჩაიხრჩო.

ზის ბიჭი ხეზე და ელოდება ხარს. მოშივდა. დაუკრა თავისი აჭარპინი, მაგრამ ხარი არ გამოჩნდა.

მოფრინდა ერთი ყვავი და ბიჭს უთხრა:

— შენი გამზრდელი ხარი ამა და ამ ადგილას ღელეში ჩავარდა და მოკვდაო.

რა ექნა საწყალ ბიჭს? ქვეყანაზე იმ ხარის მეტი არაფერი ებადა. მისი მოკეთეც ის იყო და ნათესავი. ზევით ცასა და ქვემოთ დედამიწაზე მისი პატრონი არავინ იყო. წავიდა, მოძებნა ის ადგილი, სადაც მისი გამზრდელი ხარი დაიღუპა, გაუჭრა ხარს მუცელი და შიგ შეძვრა. მალე თვითონაც მოკვდა.

ასე დაღუპა ავმა დედინაცვალმა საწყალი ბიჭი.

ქურდობაც მრავალნაირია

იყო ორი ძმა, ერთი ქურდი, მეორე მიწის მუშა. ქურდი საპარავად დადიოდა და რაღაც-რაღაცეები მოჰქონდა, მაგრამ თუ გაუგებდნენ, შინ მიუცვივდებოდნენ და ერთიორად აზღვევინებდნენ. ისედაც ბევრი არაფერი ებადათ და რაც ჰქონდათ, ისიც მიჰქონდათ.

ითმინა ძმამ, ითმინა და ველარ მოითმინა. მივიდა ქურდთან და უთხრა:

— ძმაო, რას სჩადი? მოგაქვს ნაქურდალი, მოჰყვება პატრონი და ორჯერ მეტი მიაქვს. თუ უპარავად ვერ გაგიძლია, ადექი და ჩემი ნივთები მოიპარეო.

— ძმაო, მაპატიე, რაც შეგაწუხეო, — უთხრა ქურდმა, გამოიყვანა თავისი ცხენი, შეკაზმა, შეჯდა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ლამაზ მინდორზე გავიდა. შუა მინდორში ხე იდგა. ხის ჩრდილში ქალი იჯდა და კერავდა. ქურდმა ცხენი იფარა და ქალს მიუახლოვდა. ქალს წინ ერთი ჭიქა ედგა. ქურდმა ის ჭიქა მოპარა (გაუჭირდებოდა თუ რა? ქურდობაში ხომ ბადალი არ ჰყავდა!).

ქალი დაღამებამდე იქ იჯდა. საღამო ხანს შეიყარა ღრუბლები მის წასაყვანად. ქალმა ეძება, ეძება, მაგრამ ჭიქა ველარ იპოვა.

— ეი, ჩემი ჭიქის წამღებო, ნამდვილად კარგი ვაჟკაცი იქნები. მაგ

ჭიქაში წყალს თუ ჩაასხამ, ვერცხლად იქცევა, ღვინოს თუ ჩაასხამ — ოქროდ, — თქვა ქალმა და ღრუბლებს გაჰყვა.

ქურდმა გაიგონა მისი სიტყვები და იფიქრა: „ვნახავ ერთი, რას ნიშნავს ქალის ნათქვამიო". ცხენს მოახტა და წავიდა. ერთ სოფელში შევიდა.

— მწყურია, წყალი დამალევინეთო, — ითხოვა. მოუტანეს წყალი. ქურდმა წყალი ჭიქაში ჩაასხა. წყალი მაშინვე ვერცხლად იქცა.

— ღვინო მენატრებაო, — თქვა.

მოართვეს ღვინო. ჩაასხა ჭიქაში. ღვინო ოქროდ იქცა.

ქურდმა გზა გააგრძელა და ერთ ჭიშკარს მიადგა.

— წყალი დამალევინეთო, — ითხოვა. ღვინო მოართვეს.

ჩაასხა ღვინო ჭიქაში და ოქროდ აქცია.

— გმადლობთო, — თქვა ქურდმა და წასვლა დააპირა, მაგრამ ეცნენ და დაიჭირეს, ჩვენი ჭიქა მოგვეციო.

— ჭიქა ჩემია, თან დავატარებო, — თქვა ქურდმა, მაგრამ არაფერი გაუვიდა — ძაღლების ხროვასავით წაესივნენ. ატყდა დავა და დავიდარაბა.

ამ ამბავმა ხელმწიფის ყურამდე მიაღწია. ხელმწიფემ მომჩივნებს მოუსმინა. წამოდგა მასპინძელი და თქვა:

— მეფეო, სად გაგონილა, რომ მასპინძელს წყალი სთხოვო და ჭიქა არ მოგაწოდოს. გინახავთ სადმე, რომ კაცს თავისი ჭიქა თან დაჰქონდეს?

ქურდს ჭიქა წაართვეს და გააგდეს. რა უნდა ექნა? წასვლა დააპირა, მაგრამ მეფემ უთხრა:

— თუ ამნაირ ჭიქას კიდევ მომიტან, ჩემს ხალხს, თავისი მიწა-წყლით შენ მოგცემო.

ქურდი გაჯავრებული და დადარდიანებული მიდიოდა, „ეს რა დამემართაო", ფიქრობდა. მოსაღამოვდა. დაიღალა. ერთი სახლი დაინახა, გზიდან გადაუხვია და ძალიან ლამაზ ეზო-კარს მიადგა. ეზოში სასახლე იდგა, მაგრამ ყველაფერი ძაძით იყო შემოსილი. თურმე მასპინძელი იმ სოფლის თავადი ყოფილა, ვაჟი მოჰკვდომოდა და მგლოვიარე იყო.

— საღამო მშვიდობისაო, — თქვა ქურდმა.

— სიკეთე გენახოსო, — უპასუხა მასპინძელმა, მაგრამ ქურდმა შეატყო, რომ მასპინძელი ცუდ გუნებაზე იყო.

— რა მოხდა, დარდიანი რატომ ხარო?

— დარდიანი როგორ არ ვიქნები, ვაჟი მომიკვდაო, — უთხრა მასპინძელმა.

— ეს მართლაც დიდი უბედურება დაგმართნია. ძალიან მეწყინაო, — თქვა სტუმარმა და მიუსამძიმრა.

— შვილის სიკვდილი ძნელია, მაგრამ ღმერთმა ეს არ მაკმარა და ჩემი ხალხიც ჩემი შვილის საფლავს დააკვდაო, — თქვა მასპინძელმა.

— ოჰ, ეს რა მოგსვლია?! განა შვილის სიკვდილი არ კმაროდა, ხალხიც რომ არ ამოგწყვეტოდა? ისინი რამ დახოცაო?

— ყოველღამ ხუთ-ხუთი კაცი მიდის და ჩემი ვაჟის საფლავს სდარაჯობს. დილით მივალთ და ვხედავთ, ყველანი დახოცილები ყრიან. ამას ვერაფერი ვუსაშველეთო.

— ოჰ, ბატონო, ეგ როგორ იქნება! ამაღამ ნურავის გაუშვებ სასაფლაოზე, მე წავალ, მე გავუთევ შენს შვილს ღამესო.

— რას ამბობ, დად? რატომ წუხდები, ან თავს რად იფუჭებ? სტუმარი ხარ, მგზავრი. თუ იქ წახვალ, სხვებივით მოკვდები. გირჩევნია, დაწვე, დაიძინო და რომ გათენდება, შენი გზით წახვიდეო, — უთხრა მასპინძელმა, მაგრამ სტუმარმა დაიჟინა და საფლავზე წავიდა.

შუაღამისას ვიღაც ქალი გამოჩნდა. ხელში მოკლე მათრახი ეჭირა. გადაჰკრა საფლავს მათრახი, საფლავი გაიხსნა და შიშველი მიცვალებული წამოდგა. ქალმა მიცვალებულით თამაში დაიწყო: ხან ზევით ააგდო, ხან იქით გადააგდო, ხან აქეთ... სანამ ის ასე ერთობოდა, ქურდმა მათრახი მოჰპარა.

ქალმა თამაშით გული იჯერა, მიიტანა მიცვალებული და ისევ კუბოში ჩაასვენა. მობრუნდა და მათრახი ვეღარ იპოვა.

— ჩემი მათრახის მომპარავო, ნამდვილად კარგი ვაჟკაცი იქნები და ისიც გეცოდინება, რა შეუძლია ჩემს მათრახს. წაიღე და მოიხმარეო, — თქვა ქალმა და თვალდახელშუა გაქრა.

ქურდი მივიდა, მიცვალებულს მათრახი მოუქნია. მიცვალებული ძველებურად ჩაესვენა აკლდამაში და საფლავი ისევ ისეთი გახდა, როგორიც მანამდე იყო.

ქურდი გათენებამდე იქ დარჩა. არაფერი მოსვლია. რომ ინათა, მივიდა მიცვალებულის მამასთან.

— უვნებლად დაბრუნდი? ადრე ყველა, ვინც კი ღამისთევა დააპირა, კვდებოდა. ახლა კი ეშველება ჩემს ხალხს. რაც გინდა მთხოვე და შეგისრულებო, — უთხრა მიცვალებულის მამამ, მაგრამ სტუმარმა არაფერი ინდომა. ჭამა, დაისვენა, აიღო თავისი მათრახი და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, ზღვის ნაპირზე გავიდა. ხედავს, ნაპირს გემი უახლოვდება. იქვე, რიყეზე უზომო ხალხი შეყრილა და ტირის.

— რა დაგემართათ, რა გატირებთო? — ჰკითხა ქურდმა.

— როგორ არ ვიტიროთ? ამ გემზე ჩვენი ხალხია. გემიდან ნაპირამდე კანჯოთი უნდა მოცურდნენ, მაგრამ როგორც კი კანჯოში გადასხდებიან,

ძირიდან რაღაც ეტაკებათ, კანჭო გადაბრუნდება და ხალხი იხოცება. ამ საქმეს ვერაფერი ვუსაშველეთო.

— აბა, ერთი მე გამიშვით, იმ კანჭოში ჩავჯდებიო.

ჩასვეს და გაუშვეს. უცებ კანჭოს რაღაც ეცა და გადააბრუნა. ქურდი წყალში ჩავარდა, მაგრამ არ დაიბნა, უშიშრად გაიქნია ხელი. ხელთ ერთი ცული მოხვდა, წაავლო ხელი, მაგრად მოქაჩა და ამოიღო. თურმე ეს ცული იყო კანჭოს რომ აბრუნებდა და ხალხს ხოცავდა. ქურდმა ეს ცული ვიღაცას წაართვა.

გემით მოსულებსაც აღარაფერი ემუქრებოდათ. ჩასხდნენ კანჭოში და უხიფათოდ გამოვიდნენ ნაპირზე. მგზავრები და მათი მოკეთეები გახარებულები შემოეხვივნენ ქურდს, არ იცოდნენ, რა პატივი ეცათ, ლამის სალოცავად გაიხადეს.

— შენა ხარ ჩვენი გადამრჩენი, გვითხარი, რა გსურს და ყველაფერს მოგცემთო, — ეუბნებოდნენ, მაგრამ ქურდმა თქვა:

— არაფერი მინდაო, — და გზა გააგრძელა. ზღვის ნაპირს გაჰყვა. ხედავს, ზღვის ნაპირზე ერთადერთი ფაცხა დგას. ირგვლივ არაფერია. მიუახლოვდა. ნახა, ბოქლომი ადევს. თავისი მოკლე მათრახი აუქნია ბოქლომს და კარი ჭრიალით გაიღო. ქურდი შიგ შევიდა. კარი ჭრიალით მიიკეტა. ქურდმა მიიხედ-მოიხედა: ფაცხა კარგად იყო მილაგებული. შუაში მაგიდა იდგა, მაგიდაზე — ისეთივე ჭიქები ელაგა, ხის ქვეშ მჯდომ ქალს რომ მოჰპარა. იქვე სამი საწოლი იდგა გაწყობილ-დალაგებული.

— ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, რომ არ ვნახო და არ გავიგო, ეს რა არისო, — თქვა ქურდმა და საწოლის ქვეშ შეძვრა.

დაღამდა. ჩამობნელდა. შუაღამე გადასული იყო, კარი რომ გაიღო და ფაცხაში სამი ქალი შემოვიდა. საჭმელი გაიმზადეს, მაგიდას შემოუსხდნენ და ჭამა-სმა დაიწყეს.

ესენი დები ყოფილან.

წამოდგა უფროსი და თქვა:

— ამა და ამ ადგილას ხის ქვეშ ვიჯექი და ვკერავდი. ამ დროს ვიღაცამ ჭიქა მომპარა. ჩემი ჭიქის წამღები ნამდვილად კარგი ვაჟკაცი იქნება და დამილოცეთ. ძალიან შემიყვარდა. ღმერთმა ბედნიერი ამყოფოს, სადაც არისო, — ასწია ღვინით სავსე ჭიქა და დალია. მისი დებიც წამოდგნენ და ჭიქის წამღები დალოცეს.

მერე შუათანა დამ თქვა:

— ასე და ასე იყო, ერთ ადგილას მიცვალებული ემარხა. მივდიოდი, ყარაულებს ვხოცავდი, მიცვალებულს ვთხრიდი და იმით ვერთობოდი ხოლმე. ერთხელაც, მიცვალებულით რომ ვთამაშობდი, ვიღაცამ მათრახი

მომპარა. მათრახის მომპარავი კარგი ვაჟკაცი იქნება. ღმერთმა დალოცოს, მეც შემიყვარდაო.

ყველამ დალოცა და დალია.

უმცროსმა დამ თქვა:

— ამა და ამ ადგილას ხალხი კანჯოთი დაცურავდა. მე ჩემი ცულით კანჯოს ვაყირავებდი და ამით ვერთობოდი. ხალხი ზღვაში რომ ცვიოდა და ფართხალებდა, სიცილით ვკვდებოდი, მაგრამ ვიღაცამ ცული წამართვა და წაიღო. ჩემი ცულის წამღები ნამდვილად კარგი ვაჟკაცი იქნება და ღმერთმა დალოცოსო.

ეს სადღეგრძელოც ყველამ დალია.

ამ დროს ქურდი წამოდგა, თავს დაადგა დებს და უთხრა:

— საღამო მშვიდობისაო!

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს:

— უი, დედა! ვინა ხარ? აქ რამ მოგიყვანაო?

ქურდმა სათითაოდ უთხრა:

— შენი ჭიქა მე წავიღე; შენი მათრახი მე წავიღე; შენი ცული მე წავიღეო.

— გლოცავდით და შენ კი აქ ყოფილხარო, — უთხრეს დებმა. დატრიალდნენ და უმასპინძლეს: ასვეს, აჭამეს, დააწვინეს.

ქურდმა რომ დაიძინა, დებმა მოილაპარაკეს: „ვუთხრათ, რომ ერთი ჩვენგანი აირჩიოს და ცოლად წაიყვანოსო“.

დილით სტუმარი ასაუზმეს, მერე უთხრეს:

— აბა, ერთი დაგვაკვირდი, რომელიც მოგეწონებით, ცოლად წაგვიყვანეო.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა ერთგან თუ არ მივედი, არ ივარგებს. მალე მოვბრუნდები, ოღონდ, ერთი ჭიქა უნდა მომცეთო.

— ჭიქას როგორ დაგიჭერთო, — უთხრეს დებმა და მისცეს.

ქურდმა ჭიქა მეფეს წაუღო, მეფემ სანაცვლოდ ოცი კომლი აჩუქა. იმან ეს ოცი კომლი თავის ძმას მიუყვანა და უთხრა:

— მართალია, გაწუხებდი, მაგრამ ახლა ესენი მომიყვანიაო.

იქიდან დაბრუნებული, როგორც შეპირებული იყო, დებთან მივიდა. დებმა უთხრეს:

— აბა, შემოგვხედე, რომელს წაგვიყვანო?

— უფროს-უმცროსობის წესით უფროს დას წავიყვანო, — თქვა ქურდმა და უფროსი და შეირთო.

სამი დღე-ღამე ქორწილი ჰქონდათ. მეც იქ გახლდით. გვარიანად გამობრუჟული წამოვედი.

მატყუარა და მართლის მთქმელი

იყო ერთი კაცი. სულ ტყუილს ლაპარაკობდა, ერთ მართალ სიტყვას არ იტყოდა. ამ კაცს ერთი მართლის მთქმელი მეზობელი ჰყავდა. თავიც რომ მოეკვეთათ, ტყუილს ვერ ათქმევინებდით. მხოლოდ სიმართლეს ლაპარაკობდა.

მატყუარა თავს ტყუილებით ირჩენდა: დადიოდა სოფელ-სოფელ, ხალხს ატყუებდა, ქურდობდა, ყაჩაღობდა და ასე შოულობდა ქონებას, მისი ალალ-მართალი მეზობელი კი სიმართლით ცხოვრობდა, მაგრამ ბევრი არაფერი ებადა.

— სულ იტყუები, ხალხი აღარ გენდობა და ამ ქონებას საიდანღა შოულობო? — ჰკითხა ერთხელ მართლის მთქმელმა თავის მატყუარა მეზობელს. იმას გაეცინა.

— რა გაცინებსო?

— სულ რომ სიმართლეს გაიძახი, გგონია, შენი სიმართლე რამედ ღირს? სიმართლით კაცი თავს ვერ ირჩენს, მისი მარჩენალი ტყუილიაო, — უპასუხა მატყუარამ აგდებულად მართლის მთქმელს.

— რასაც ამბობ, სწორი არ არისო.

— ეგრე გეგონოსო!

— გამიგონია, ერთხელაც იქნება, ტყუილი ადამიანს დაღუპავს, სიმართლე კი ოდესმე სიკეთესთან მიგიყვანსო.

— გაიძახი, ტყუილს არ ვიტყვიო, თუ არ იტყვი, შენ დაგაკლდება. შენ ვერ გაგიგია, თორემ ქვეყანა ტყუილს უპყრია. შენს სიმართლეს სწორედაც რომ ტყუილი სჯობსო.

— რადგან შენსაზე დგახარ, მოდი, ვცადოთ, ვნახოთ, რომელია ჩვენში მართალი. წავიდეთ, ერთად ვიაროთ. რამდენიც გინდოდეს, იმდენი ტყუილი თქვი, მე კი ჩემს სიმართლეს არ დავაგდებ. ვნახოთ, ვინ დარჩება მოგებულიო.

— კეთილი და პატიოსანიო, — უპასუხა მატყუარამ.

გაუდგნენ გზას. ერთი დღე იარეს, ორი დღე იარეს, სამი დღე იარეს, ბევრი იარეს, მაგრამ გაუჭირდათ ერთად ყოფნა, ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ. როგორ არ გაუჭირდებოდათ, ერთი სულ ტყუილს ლაპარაკობდა, მეორე — სიმართლეს.

— არა, ჩვენ ერთმანეთთან ვერ მოვალთ. შენ მხოლოდ ცრუობ, მე კი სიცრუის ატანა არ შემიძლია. შენი ტყუილები ორივეს დაგვღუპავსო, — უთხრა მართლის მთქმელმა.

— არც მე მარგია შენი სიმართლე. საითაც გინდა, იქით წადი, სიმართლით თავს ვერ ვირჩენო, — უთხრა მატყუარამ.

სხვა საშველი აღარ იყო და დასცილდნენ ერთმანეთს. ცალ-ცალკე გაუდგნენ გზას.

მიდიოდა მართლის მთქმელი თავის გზაზე. შემოაღამდა ერთ უკაცრიელ ადგილზე. მდინარეზე გადადგმული პატარა წისქვილი ნახა. ამ ღამით სხვაგან სადღა წავიდეო, თქვა და ღამის გასათევად წისქვილში შევიდა. შუაღამე რომ გადავიდა, გარედან რაღაც ლაპარაკი მოესმა, ვიღაცები ბურდღუნებდნენ. ვინმე რომ შემოვიდეს და მნახოს, ვაითუ, ხიფათს გადავეყაროო, იფიქრა და იქვე სიმინდის კოდში* ჩაძვრა და დაიმალა.

წისქვილის კარი გაიღო და ვიღაცები ხმაურით შეცვივდნენ შიგ. მართლის მთქმელი მათმა ხმამ დააფრთხო. შეშინებულმა გამოიჭვრიტა კოდიდან. ხედავს, ეშმაკები არიან! სულ ოთხნი იყვნენ. საშინელი შესახედაობა ჰქონდათ, მათი უფროსი ხომ ისეთი მახინჯი იყო, ნუ იკითხავთ!

დასხდნენ. უფროსმა ყველას სათითაოდ გამოჰკითხა:

— სადაც გაგაგზავნეთ, რა ნახეთ, რა გაიგეთ, რა ამბავი მოიტანეთ და რა მოიმოქმედეთო?

წამოდგა ერთი ეშმაკი და დაიწყო:

— სადაც ვიყავი, იმ ქვეყნის ხელმწიფე ისეთ დღეში ჩავაგდე, რომ თვალში ვეღარ იხედება. წამალი კი იქვე აქვს სასახლის გვერდით რომ დიდი ხე დგას, იმ ხის ფესვებია მისი წამალი, მაგრამ ეს არავინ იცის და ვერც ვერავინ გაიგებს. იყოს ასე, სულაც ნურაფერი დაუნახავსო.

— ყოჩაღ! ეგრე მოუხდება! — თქვა ეშმაკების უფროსმა.

ახლა სხვა ეშმაკი წამოდგა და თქვა:

— ერთი ქვეყნის მეფეს მზეთუნახავი ქალი ჰყავს. ამ ქალს მკერდი დავუჩირქე. წამალი კი იქვე, სასახლის საძირკველში დავმალე. ვერავინ ვერასოდეს იპოვის და მეფის ასული ნელი სიკვდილით მოკვდებაო.

— ესეც ძალიან კარგიო, — თქვა ეშმაკების უფროსმა.

მესამე ეშმაკმაც თქვა:

— სადაც ვიყავი, იქ ერთ ტრიალ მინდორში ძალიან ბებერი გამხმარი მუხა დგას. ამ მუხის ფესვებში ოქროთი სავსე ქვევრი მარხია და ის ახმობს. თუ მიუახლოვდები, კვნესას გაიგონებ. „ნეტავ, ვინმე გამოჩნდებოდეს და ცულს შემომკრავდეს, მაშინვე წავიქცეოდი და ის მადლიანი ჩემს ფესვებში ჩაფლულ ოქროს წაიღებდაო“, — კვნესის მუხა, მაგრამ მე მუხის კვნესას არავის გავაგონებ. ვერც ოქროს წაიღებს ვინმეო.

— ყოჩაღ! კვლავაც ასეთი საქმეები აკეთეთო! — თქვა ეშმაკების უფროსმა.

მართლის მთქმელი თვალდაჭყეტილი იჯდა კოდში და ეშმაკების ნალაპარაკებიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენია, ყველაფერი დაიმახსოვრა.

ეშმაკები წავიდ-წამოვიდნენ, დამთავრდა მათი შეკრება. ამასობაში კიდეც ინათა. მართლის მთქმელი ამოხტა კოდიდან და გაიქცა. სულ სირბილით მივიდა იმ ხელმწიფის სასახლემდე, ეშმაკმა თვალისჩინი რომ წაართვა.

ხედავს, ეზოში ხალხი ირევა, არ იციან, რა ქნან. ხელმწიფე უკვდებათ და წამალი ვერ უპოვიათ. ლამის ვარსკვლავები მოწყვიტონ ციდან, მაგრამ არაფერი შველის.

მართლის მთქმელი მიადგა ამ ხალხს და ჰკითხა:

— რა მოხდა, რატომ შეკრებილხართო?

— ჩვენს ხელმწიფეს თვალისჩინი დაეკარგა, სულს ლევს და წამალი ვერ გვიპოვიაო.

— ერთი წამალი ვიცი, ეგებ უშველოს და მოახედოსო, — თქვა მართლის მთქმელმა.

— თუ რამეს უშველი, თუ ტკივილებს დაუამებ, თავის ქონებას მოგცემსო.

მაშინვე შეატყობინეს ხელმწიფეს: „ასე და ასეა, ერთი კაცი მოვიდა, ამბობს, ხელმწიფის წამალი ვიციო".

მართლის მთქმელი დატრიალდა, მივიდა იმ ადგილას, ეშმაკმა რომ თქვა, ხე დგას და იმ ხის ფესვები ხელმწიფის წამალიაო. ამოთხარა ფესვები, დანაყა, ხელმწიფეს თვალებზე დაადო, შეუხვია და დააწვინა. მეორე დღეს ხელმწიფემ საღსალამათმა გაიღვიძა. თვალები უბრწყინავდა.

— რაკი ქვეყანა დამანახე, შენთვის არაფერს დავიშურებო, — უთხრა ხელმწიფემ მართლის მთქმელს, დიდი ქონება მისცა, ზედ ხალხიც დაურთო და გაისტუმრა.

წაიღო მართლის მთქმელმა თავისი ქონება, წაიყვანა თავისი ხალხი და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, იმ ქვეყანაში მივიდა, სადაც მკერდდაჩირქებული ქალი ცხოვრობდა. ქალის კივილი ცასა სწვდებოდა. გარს ხალხი შემოჰხვეოდა. მისი ტანჯვით ხალხიც იტანჯებოდა. შველით კი ვერაფერს შველოდნენ.

მართლის მთქმელმა იკითხა:

— რა მოხდაო?

— რაღა რა მოხდა? კარგა ხანია, ასე იტანჯება, ჩვენ კი ვერაფერს ვშველითო.

— ერთი წამალი ვიცი, იქნებ, იმან უშველოსო.

— თუ რამეს უშველი, მამამისი მთელ თავის ქონებას მოგცემსო.

მართლის მთქმელი მივიდა, ამოთხარა ეშმაკის მიერ სასახლის საძირკველში ჩადებული წამალი, ხელმწიფის ქალს მტკივან ძუძუზე დაა-

დო და მოურჩინა. გაიხარა ხელმწიფემ. თავისი ქალის გადამრჩენს დიდი ქეიფი გაუმართა, დიდი ქონებაც მისცა, ხალხიც გააყოლა, გააცილა და გაისტუმრა.

წავიდა მართლის მთქმელი და ახლა იმ მუხასთან მივიდა. მუხა კვნესოდა. მართლის მთქმელმა ცული შემოჰკრა, ხე წაიქცა და მის ფესვებში ჩაფლული ოქროთი სავსე ქვევრი გამოაჩინა.

მართლის მთქმელმა ის ოქრო ცხენებს აჰკიდა და შინ დაბრუნდა. დაიწყო ბედნიერად ცხოვრება.

ამ დროს მატყუარა სადაც წავიდა, ყველგან იქურდა და იმამაძაღლა, მაგრამ მართლის მთქმელის ოდენა ქონება ვერ იშოვა. ანდა, საიდან უნდა ეშოვნა? უკვირდა, მართლის მთქმელმა ამოდენა სიმდიდრე როგორ შეიძინაო. ერთხელაც ჰკითხა:

— რაც თავი გახსოვს, სულ სიმართლეს ლაპარაკობ და სიმართლით ამხელა ქონება როგორ შეიძინეო?

— განა ტყუილი ხეირს დაგაყრიდა? ტყუილის თქმას ტყუილის ქმნამდე მიჰყავს კაცი და საბოლოოდ ღუპავს. არ გეუბნებოდი, სიმართლე ძლევამოსილი რამ არის-მეთქი?

— თუ ასეთი მართლის მთქმელი ხარ, მითხარი, როგორ იშოვე ამხელა ქონებაო.

— რატომაც არ გეტყვიო.

— მითხარი, გისმენო.

— თუ მისმენ, ასე იყო, — დაიწყო მართლის მთქმელმა, — მე და შენ რომ გავიყარენით და წავედი, გზაზე შემომაღამდა. ახლომახლო თავშესაფარი ვერაფერი ვნახე ერთი ძველი, მიტოვებული წისქვილის მეტი. შევედი. ამ დროს ვიღაცების ფეხის ხმა შემომესმა. შემეშინდა და კოდში დავიმალე. მალე წისქვილში ეშმაკები შემოცვივდნენ, დასხდნენ და კრება გამართეს. ოთხნი იყვნენ. ერთი უფროსი იყო. დანარჩენი სამი იმ უფროსს თავიანთ ნამოქმედარს უამბობდნენ. ერთმა თქვა: „სადაც ვიყავი, იმ ქვეყნის ხელმწიფეს თვალისჩინი წავართვი. წამალიც იქვეა, სასახლის გვერდით, ერთი ხის ფესვებში, მაგრამ ამას კაციშვილი ვერ გაიგებსო“. ახლა სხვა ეშმაკი წამოდგა და თქვა: „ერთი ქვეყნის ხელმწიფის ქალიშვილს ძუძუ დავუჩირქე, წამალი კი სასახლის საძირკველში ჩავფალი, რომ ვერავინ მიაგნოსო“. მესამე ეშმაკმა თქვა: „სადაც ვიყავი, იმ ქვეყანაში ერთ ტრიალ მინდორში ბებერი, ხმელი მუხა დგას. თუ მიუახლოვდები, მუხის კვნესას გაიგონებ. მუხას ის აკვნესებს, რომ მის ფესვებში ოქროთი სავსე ქვევრია ჩაფლული და იმის გამო ხმება. ამბობს: „ნეტავი ვინმე მოვიდოდეს და ცულს შემომკრავდეს, წავიქცეოდი და ის კაცი ჩემს ფესვებში ჩაფლულ

ოქროს ამოიღებდა და წაიღებდაო". მუხა კი ამას ამბობს, მაგრამ მე მის კვნესას არავის გავაგონებო".

მოვისმინე ეშმაკების ნალაპარაკები. მერე, როცა ეშმაკები დაიშალნენ და როცა გათენდა კიდეც, გამოვედი წისქვილიდან, წავედი და თვალმტკივანი ხელმწიფეც მოვარჩინე, სხვა ხელმწიფის ქალის ძუძუსაც ვუწამლე. იმ ხალხმა, გახარებულმა ჩემი სიკეთის სანაცვლოდ დიდი ქონება მიბოძა. მერე მუხასაც შემოვკარი ცული და ოქრო ამოვიღე. აი, ასე შევიძინე ეს ქონებაო.

— შეიძლება, მეც წავიდე? — იკითხა მატყუარამ.

— მე ყოველ ღამე იქ კი არა ვზივარ. რა ვიცი. ხომ გითხარი, ერთადერთხელ, ერთი ღამე დავყავი იმ წისქვილში, შეიძლება, ისინი იქ ხშირად იკრიბებიან და თუ წახვალ, იქნებ, რამე გაიგოო, — როგორც ყოველთვის ახლაც სიმართლე უთხრა მართლის მთქმელმა.

მატყუარა წამოხტა და წავიდა. იარა, იარა და იმ წისქვილში მივიდა. კოდში დაიმალა. შუაღამისას წისქვილში ეშმაკები შემოცვივდნენ. მატყუარა კოდში იჯდა და სულგანაბული უსმენდა, იქნებ, საჩემო რამე თქვანო.

ეშმაკები დასხდნენ და დაიწყეს: „შენ რა გააკეთე, მე ეს გავაკეთეო..."

ერთმა თქვა:

— დავიღუპეთ, ვერაფერს გავხდით. შრომამ ფუჭად ჩამიარა. ხელმწიფის თვალის წამალი ისე დავმალე, რომ ადამიანს ვერ ეპოვა. მაგრამ არ ვიცი, როგორ და, უპოვიათ, ხელმწიფისთვის თვალისჩინი დაუბრუნებიათო.

წამოდგა მეორე ეშმაკი:

— ჩემი შრომაც ფუჭი გამოდგა. ხელმწიფის ქალის ძუძუს წამალი უპოვიათ, მოურჩენიათ. ვეღარაფერი გავაწყვეო.

— მე რომ ვამბობდი, მუხის ფესვებში ერთი ქვევრი ოქროა-მეთქი, ისიც უპოვიათ და წაუღიათო, — თქვა მესამე ეშმაკმა.

ამის გამგონე ეშმაკების უფროსი გაცოფდა, წამოხტა და იყვირა:

— იმ ღამეს აქ რომ ვლაპარაკობდით, ნამდვილად ვიღაც გვისმენდა. გაიგო თქვენი ნალაპარაკები, წავიდა და ყველაფერი წაგართვათ. ვინ იცის, იქნებ, ახლაც მოვიდა, რომ სასარგებლო რამეს მოჰკრას ყური. აქაურობა კარგად მოათვალიერეთო!

ეშმაკებმა უფროსს სიტყვა არ გაამეორებინეს. დაიწყეს ძებნა და კოდში არ მიაგნეს თვალებდაჭყეტილ მატყუარას? ამოათრიეს და იქვე სული გააფრთხობინეს. დაიშალნენ და წავიდნენ თავთავიანთ გზაზე.

გავიდა ერთი დღე, ორი დღე, სამი დღე. მატყუარა არსად ჩანს. შეწუხდნენ ნათესავები, ძებნა დაუწყეს. არ იცოდნენ, ვისთვის ეკითხათ მისი

ასავალ-დასავალი და მართლის მთქმელს მიადგნენ:

— თქვენ ერთად მოგზაურობდით და იქნებ იცი, სად უნდა იყოსო?

— ამა და ამ ადგილას ერთი ძველი წისქვილი დგას. თუ დაიღუპებოდა, იქ დაიღუპებოდა. ჩემთან მოვიდა, მკითხა, ამოდენა ქონება სად იშოვეო. სიმართლე ვუთხარი, ვუამბე, როგორ შემომაღამდა გზად მიმავალს, როგორ შევედი ძველ წისქვილში და როგორ მოვისმინე ეშმაკების ნალაპარაკები, ამის წყალობით როგორ ვიშოვე ქონება. მან მკითხა, შეიძლება, მეც წავიდე და წისქვილში დავჯდეო? ყოველღამ იქ კი არ დავდივარ, ერთხელ ვიყავი-მეთქი. მაინც წავიდა. თუ რამ შეემთხვა, იქ შეემთხვეოდა, — უთხრა მართლის მთქმელმა მატყუარას ახლობლებს. ისინიც წავიდნენ, იმ წისქვილში მივიდნენ და ნახეს, იქ ეგდო მკვდარი. წაიღეს ცხედარი, მიწას მიაბარეს.

ასე დაიღუპა მატყუარა, მართლის მთქმელი კი გადარჩა და ბედნიერად ცხოვრობდა.

რომელს გვეკუთვნის?

ერთხელ ერთი ხურო სამოგზაუროდ მიდიოდა. გზაზე თერძი შემოეყარა.

— საით გაგიწევიაო?

— სამოგზაუროდ მივდივარო.

— შენი თანამგზავრი ვიქნებიო.

— კეთილი, წამოდიო.

გაუდგნენ გზას. შემოხვდათ ოქრომჭედელი.

— საით გაგიწევიათო?

— სამოგზაუროდ მივდივართო.

— მეც მოგზაური ვარ, ამხანაგები ვიყოთო.

— ძალიან კარგიო, — უთხრეს და გზა განაგრძეს.

გზად ერთი ხოჯა* შემოეყარათ.

— სად მიდიხართ?

— ვერა ხედავ, სადაც მივდივართ? სამოგზაუროდო.

— მეც მოგზაური ვარ, ამხანაგები ვიყოთო, — თქვა ხოჯამ და გზას გაუდგნენ.

საუბარ-საუბარში შემოაღამდათ. ღამის გასათევად ერთი ტყიანი ადგილი შეარჩიეს. რაკი ღამე ტყეში უნდა გაეთიათ, ვინმეს ხომ უნდა ეფხიზლა? ყარეს კენჭი. პირველი კენჭი ხუროს შეხვდა, მეორე თერძს, მესამე ოქრომ-

ჭედელს, ბოლო — ხოჯას. გადაწყდა, ოთხ-ოთხი საათი უნდა ეფხიზლათ.

ხურო ფხიზლობდა, სხვებს ეძინათ. მოეწყინა ხუროს, მოჭრა ერთი ხე და მისგან ძალიან ლამაზი ქალი გამოთალა, ვერც კი მიხვდებოდით, ცოცხალი რომ არ იყო. ამასობაში ოთხი საათიც გავიდა. გააღვიძა თერძი, თავად კი დასაძინებლად დაწვა.

გაახილა თერძმა თვალი და რას ხედავს?! გვერდით დედიშობილა ქალი უდგას. „თვალი ხომ არ მატყუებს, ამ შუაღამისას აქ რა უნდაო?" — თქვა და წამოხტა, მაგრამ ქალს ხელი რომ შეახო, მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

— უჰ, ხუროს გაუკეთებია იმ დაწყევლილსაო.

დაჯდა თავისთვის. მერე იფიქრა: „ეს ქალი ხურომ გააკეთა, მე კი ტანთ ჩავაცმევო. დაჯდა და მართლაც შეუკერა ტანსაცმელი, ჩააცვა და ოთხი საათიც გავიდა. გააღვიძა ოქრომჭედელი, თვითონ მიწვა და დაიძინა.

ოქრომჭედელი წამოხტა და რას ხედავს? გვერდით კოპწია ქალი უდგას. „სიზმარში ხომ არა ვარო?" თვალები მოიფშვნიტა, მიუახლოვდა და ხელთ ხის ქალი შერჩა. „ეჰ, რა ტყუილად გამხარებია! შენცა და შენი გამკეთებელიცაო", — თქვა და გამობრუნდა. მერე იფიქრა, ხუროს ქალი გამოუთლია, თერძს შეუმოსავს, მეც ავდგები და სამკაულებს გავუკეთებო".

დაჯდა და ქამრიდან დაწყებული — ყველა სამკაული გაუკეთა და ზედ შეაბა. ამასობაში ოთხი საათიც გავიდა. გააღვიძა ხოჯა, თვითონ დაწვა და დაიძინა.

გაიღვიძა ხოჯამ და რომ გამოფხიზლდა, დაინახა განზე მდგარი კეკლუცი ქალი. ისიც კი მოეჩვენა, რომ ქალმა ხელი დაუქნია და თვალი ჩაუკრა.

— ჰაი, შენი! ეს რა არის? ეშმაკი მამასხარავებს თუ ყოვლად ძლიერი ალაჰის წყალობაა? ღმერთო, თუ ეშმაკია, ცეცხლში ჩაბუგე, თუ მართლა ქალია, ჩემს ბედქვეშ მოაქციე! — თქვა ხოჯამ, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და ნამაზი შეასრულა. მერე გადაშალა თავისი ყურანი, ჩაიხედა. „ქალია, ღმერთს მოეწონე და შენთვის შექმნაო", — უთხრა წიგნმა.

ხოჯამ ყურანი გადადო, ქალთან მივიდა, ხელი მოჰხვია და უთხრა:

— ბედის ვარსკვლავზე მწერებიხარ, ღმერთმა მოწყალებით გადმომხედა და შენისთანა მშვენიერება გამომიგზავნაო. კოცნაც დაუპირა, მაგრამ ტუჩები შეახო და ხე არ შერჩა!

— ღმერთო, მიშველე, ამას რას ვხედავ! — იყვირა ხოჯამ, ასანთი გაკრა და დაინახა, რომ მის წინ ხის ქალი იდგა.

„ამის გამკეთებლები ჩემი ამხანაგები არიან. ხურომ ხის ქალი გამოთა-

ლა, თერძმა ტანთ ჩააცვა, ოქრომჭედელმა სამკაულებით მორთო. მე? მე რაღა გავაკეთო?“ — ფიქრობდა ხოჯა. მთელი სამი საათი იფიქრა, იფიქრა და მეოთხე საათი რომ დაიწყო, კიდევაც მოიფიქრა: „სულს ჩავუდგამო!“.

დაიწყო ლოცვა. „ღმერთო, ამ ქალს სული ჩაუდგიო“, — ევედრებოდა ღმერთს. ამასობაში მეოთხე საათიც გავიდა და კიდეც გათენდა. ხის ქალს სული ჩაედგა და თვალისმომჭრელ ასულად იქცა. სხვებმაც გაიღვიძეს, წამოდგნენ. ხოჯას არ ესიამოვნა. ცოტა ხანს კიდევ რომ სძინებოდათ, ამ ქალს წავიყვანდი და წავიდოდიო“, — ჩაილაპარაკა.

რაღას იზამდა?

დაიწყეს ცილობა. არა, მე უნდა წავიყვანო ქალი, არა მეო.

— ქალი მე გამოვთალე და მე მეკუთვნის, თქვენ რა გესაქმებათო? — თქვა ხურომ.

— არა, ქალი მარტო მე მეკუთვნის. შენ თუ ხისაგან გამოთალე, მერე რა? დატოვებდი და წახვიდოდი. მე კი ტანსაცმელი შევუკერეო, — თქვა თერძმა.

— ვინც ხისგან ქალი გამოთალა, შეშას დატოვებდა და წავიდოდა. თერძიც თავის შეკერილ ტანსაცმელს ხურჯინში ჩაილაგებდა და წაიღებდა. მე კი ოქროს სამკაულები შევაბი, ხუმრობა საქმე ხომ არ გგონიათო? — თქვა ოქრომჭედელმა.

— ყველანი მართალს ლაპარაკობთ, ნამდვილად ფასეულია თქვენი სიტყვები, მაგრამ მე რომ ამ ქალისთვის სული არ ჩამედგა, ხომ წახვიდოდით თქვენს გზაზე ხურჯინებმოკიდებული? ქალი ჩემია, თქვენ არაფერი გესაქმებათო, — თქვა ხოჯამ.

ბევრი იდავეს, ამხანაგებმა ხოჯას მოკვლაც კი დაუპირეს, ბოლოს თქვეს, პირველსავე ყადისთან* მივიდეთ, იმან გაარჩიოს მტყუან-მართალიო. ასეც მოიქცნენ. ერთ ყადის მიადგნენ: „ასე და ასეა ჩვენი საქმე, გვითხარი, რომელს გვეკუთვნის ეს ქალიო?“

ყადიმ ქალი ხოჯას მიაკუთვნა. გახარებულმა ხოჯამ ქალი წაიყვანა და წავიდა.

იყო ერთი ხანშიშესული გლეხი. ჰყავდა ხუთი ვაჟი. ღვთის შეწევნით, გლეხის ჯალაბი გამრავლებულიყო. დიდი დრო არ გასულიყო, რაც უმცროს ვაჟსაც ცოლი მოეყვანა. უმცროსი რძალი დედამთილ-მამამთილის თანდასწრებით ჯერ არ ლაპარაკობდა. ოჯახში დოვლათი და ბარაქა ტრიალებდა, არავის არაფერი აკლდა — ქონება ბევრი ჰქონდათ, საქონელი ულევი ჰყავდათ, ერთმანეთის სიყვარული და პატივისცემა ჰქონდათ.

ერთხელ, ახალი წლის ღამეს, დიდი თოვლი მოვიდა. მუხლამდე დადო. როგორც ყოველთვის, იმ დღესაც ოჯახის უფროსი ადრე ადგა, ილოცა და საქონლის დასახედად გავიდა. გავიდა და ისეთი საოცრება იხილა, თავის დღეში რომ არ ენახა: ზღურბლიდან მოყოლებული მთელ ეზოზე ბავშვის ნაკვალევი გადადიოდა.

გლეხმა აიღო თავისი ალაბაშა.

— ისე არ მოვბრუნდები, თუ არ გავიგე, ეს კვალი სად მიდისო, — თქვა და გაჰყვა კვალს.

იარა, იარა და კარგა შორს წავიდა. ხედავს, ერთ ტრიალ მინდორში ფაცხა დგას, საიდანაც კვამლი ბოლქვებად ამოდის. კვალი სწორედ ამ ფაცხისაკენ მიდიოდა. გლეხმა ნაბიჯს უმატა და ფაცხას მიუახლოვდა, მაგრამ კარი ვერ უპოვა. არადა, შიგნიდან ლაპარაკი ისმის. ცოტა ხანში კარი თავისით გაიღო და გლეხი უშიშრად შევიდა. ხედავს, მოგიზგიზე ცეცხლს სამი კაცი შემოსხდომია. ერთმა თქვა:

— ეს ის კაცია, ვისთანაც ამ დილით ვიყავი. დაგვდევნებია და აქ მოსულაო.

დამხვდურები გლეხს ფეხზე წამოუდგნენ და ცეცხლთან მიიპატიჟეს. ეს კაცები, თურმე, ფაიმბარები ყოფილან. რასაც იტყოდნენ, უეჭველად ახდებოდა. მათ შორის უფროსი გლეხს მიუბრუნდა:

— დად, შენ აქამდე ისე გიცხოვრია, რომ არაფერი დაგკლებია: არც მონაგარი, არც პირუტყვი, არც ქონება. ასე აღარ შეიძლება. გვერდს ვეღარ აგივლით, შენს სახლს თუ არ შევეხეთ. რამე ზიანი უნდა მოგაყენოთ, მაგრამ რაკი გამოგვედევნე და აქამდე მოხვედი, ერთი სიტყვის თქმის უფლებას გაძლევთ. აირჩიე, რას შეელევი, რა მოგაკლოთ და რა დაგიტოვოთო.

გლეხი დაფიქრდა, მაგრამ ვერაფერი აირჩია. მერე ფაიმბარებს სთხოვა:

— ერთი დღე მომეცით, შინ წავალ, ეგებ, იქ რამე მოვიფიქროო.

— წადი, ხვალ დილამდე იფიქრე, მაგრამ თუ ხვალინდელ დილას გადააცილე, ყველაფერს დაკარგავო.

წავიდა გლეხი მწარედ ჩაფიქრებული, მივიდა შინ, მთელი ჯალაბი შეკრიბა და უამბო რაც ნახა, რაც მოისმინა, რაც თავს გადახდა. მერე რჩევა ჰკითხა, რა ვთხოვოთ ფაიმბარებს, რა ავირჩიოთო? ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტეს.

გლეხი ყველას სათითაოდ დაეკითხა: ცოლს, ვაჟებს, მაგრამ ყველა თავისას ამბობდა. წამოდგა უფროსი ვაჟი და

— რემა დაგვიტოვონ. ცხენი ყოველთვის დაგვჭირდება და გამოგვადგებაო.

წამოდგა მომდევნო ძმა:

— რემა რემაა, მაგრამ მეწველი პირუტყვის გარეშე არ ვივარგებთ. ისინი ხომ რძეს, მაწონს, ხორცს გვაძლევენ!

წამოდგა მესამე ძმა:

— რასაც თქვენ ამბობთ, კარგია, მაგრამ პირუტყვი რას გვიზამს თავშესაფარი თუ არ გვექნა? ამიტომ სახლ-კარი უნდა დავიტოვოთო.

ყველამ თავისი არახუნა, მაგრამ ერთ აზრზე ვერ მოვიდნენ.

ბოლოს, უმცროსი რძალი მივიდა მამამთილთან და უთხრა:

— მაპატიეთ, თქვენთან დალაპარაკებას ვერ უნდა ვბედავდე, მაგრამ რაკი დღეს ჩვენი ოჯახის ბედი წყდება, უნდა ჩემი სათქმელიც მოგახსენოთ: ჩემი ფიქრით, ხვალ ფაიმბარებთან რომ მიბრძანდებით და ფაიმბარები რომ გკითხავენ, რა აირჩიეო, უნდა ბრძანოთ: ყველაფერი თქვენი იყოს: სახლ-კარი, ქონება, პირუტყვი. ოღონდ, ერთსა გთხოვთ: ოჯახში თანხმობას ნუ მოგვიშლით, თანხმობა შეგვინარჩუნეთ-თქო. ასე თუ ეტყვით, ვნახოთ, ისინი რას იზამენო.

ოჯახის უფროსს რძლის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა. სხვების რჩევაზე უფრო ეს მოეწონა.

გლეხი მეორე დღეს უთენია წამოდგა და ფაიმბარებისაკენ გასწია.

ფაცხის კარი ისევ თავისით გაიღო. გლეხი შიგ შევიდა. ფაიმბარები ისევ ცეცხლთან ისხდნენ. გლეხს ფეხზე წამოუდგნენ.

— მოხვედითო? — ჰკითხეს.

— დიახ, მოვედიო.

— აბა, რას გვთხოვ, შენს ბოლო სიტყვას ველითო.

— მე, დად, ჩემი ქონების დარდი არა მაქვს, გინდათ სახლ-კარი წაიღეთ, გინდათ პირუტყვი წაასხით, ოღონდ ერთსა გთხოვთ: ოჯახში თანხმობას ნუ მომიშლით, თანხმობა შეგვინარჩუნეთო.

ფაიმბარებს გაეცინათ, თან გაუკვირდათ. უფროსმა ფაიმბარმა თქვა:

— თანხმობა თუ არ მოგიშალეთ, ქონებას როგორღა წაგართმევთ. თანხმობით თუ იცხოვრებთ, თქვენი ქონება თქვენვე დაგრჩებათ. გვინდოდა თქვენში უთანხმოება ჩამოგვეგდო და ქონებაც გაგეყოფოდათ, მაგრამ სიტყვა სიტყვაა და თხოვნას შეგისრულებთ. წადი, ხელს არ გახლებთ. ერთმანეთს ნუ მოჰკლებოდეთ შენა და შენი ოჯახიო.

გახარებული გლეხი დაბრუნდა შინ. მის ოჯახსა და საქონელს არაფერი დამართნია. ცხოვრობდნენ თანხმობითა და სიამტკბილობით.

როგორ გაიყო ორმა ძმამ ქონება

იყო ორი ძმა. ცხოვრობდნენ ღვთის ბრძანებით: ასი სული საქონელი ჰყავდათ. ცოლიანები იყვნენ, მაგრამ არც ერთს შვილი არ ეძლეოდა.

ძმები ასე კეთილად ცხოვრობდნენ. მაგრამ ასე იყო თუ ისე, უფროსმა გაყრა მოინდომა. უხმო უმცროსს და უთხრა: „მე ცალკე ცხოვრება მსურს, გეყრებიო". უფროსის ნათქვამზე უმცროსი რას იტყოდა?! — დათანხმდა.

უფროსი ძმა ადგა და საცხოვრებელი ადგილი ამოირჩია, სახლი აიშენა, საქონლის სადგომი გააკეთა, ყოველმხრივ მოაწყო. მერე მივიდა უმცროსთან და დასხდნენ მოსალაპარაკებლად.

— ხვალ რომ გათენდება, ჩვენი საქონელი გავყოთ, — თქვა უფროსმა.

— მოიცა ერთი! — უთხრა უმცროსმა.

„მოიცა ერთიო" კი თქვა, მაგრამ მეტს არაფერს ამბობს, ზის დაფიქრებული. უფროსმა ვეღარ მოითმინა მისი სიჩუმე:

— რას შვრები? „ერთი მოიცაო", მითხარი და მეტს არაფერს ამბობ, ზიხარ ისე. რა მოხდაო? — ჰკითხა.

— ამაღამ გავყოფ ჩვენს საქონელსაო, — თქვა უმცროსმა.

— ამაღამ როგორ გაყოფ, ამ სიბნელეში, საქონელი სადგომშია დამწყვდეული. მერე და, რატომ ვიწვალოთ, რა ძალა გვადგას. მე გითხარი, დილით გავყოთ-მეთქი. დილით კარგად დავინახავთ და თანაბრადაც გავიყოფთ, — თქვა უფროსმა.

— არა, ხვალისთვის რატომ გადავდოთ? რაკი გაუყრელად არ შეიძლება, ამაღამ უნდა გავყოთ, — თქვა უმცროსმა და გაჩუმდა, კრინტს აღარ ძრავს, ზის დაფიქრებული. დიდხანს იჯდა ასე და ბოლოს თქვა:

— ააჰაჰ, მორჩა, გავყავი, წაიღე, რაც გსურსო.

— როგორ გაყავი, რა გაყავი, მე რა უნდა წავიღო?

— აი, რა: ასი კაცი ნათესავი გვყავს, ასი სული საქონელი. თუ ინდო-

მებ, ჩვენი ასი ნათესავი შენ გყავდეს, თუ არადა, ასივე სული საქონელი შენი იყოს. არჩევანს შენ გითმობ, — უთხრა უმცროსმა.

— ნათესავები მე მყავდეს? რა სისულელეს ამბობ! ნათესავები სად წავიყვანო, რაში გამომადგება? რადგან ასე მოგწონს, საქონელი ჩემი იყოს, — თქვა უფროსმა.

— კეთილი, გყავდეს, — თქვა უმცროსმა.

მეორე დღეს გამთენიისას წამოდგა უმცროსი, მთელი საქონელი გამორეკა სადგომიდან და უფროსს მისცა, თვითონ გამობრუნდა და შინ დაჯდა. ზის ასე ერთი დღე, მეორე, მესამე. ისა და მისი ცოლი ჭამენ იმ მცირედს, რაც დარჩათ. სახლში ერთი ჭრელი ფინიაღა შერჩათ, სხვა — ზევით ცა და ქვევით მიწა — ოთხფეხი მათ ეზოში არაფერი დადის. ის ჭრელი ფინიაც იმათთან არის. გაიგეს მეზობლებმა, ნათესავებმა ძმები გაყრილან და ქონება გაუყვიათო, გაიკითხ-გამოიკითხეს, ერთმა ძროხა მისცა, ერთმა ცხენი, ერთმა კამეჩი და ასე შეიძინა უმცროსმა ასი სული საქონელი, თან ნათესავებიც ნათესავებად შერჩა.

უფროსმა კი წაასხა მთელი საქონელი, მაგრამ ზოგი უფსკრულში ჩაეჩეხა, ზოგი ქურდმა წაიყვანა, ზოგი მუნმა გაუწყვიტა. ასე გამოეცალა ხელიდან ასივე და ის და მისი ცოლი დარჩნენ უსაქონლოდ, უნათესაოდ, დამუნიანებულ-დასნეულებულები.

უმცროსი კი ღვთის შეწევნით მოღონიერდა და მსუყედაც ცხოვრობდა.

ასეა, ადამიანობა ბევრს ნიშნავს, დად. ასეთი ამბავი მესმა ადამიანობისა და არაადამიანობის შესახებ. ქვეყნად ისეთი არაფერია, რაც არ შეიძლებოდეს რომ მოხდეს. ბევრს იტანს ეს დედამიწა, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ.

აფხაზი და ეშმაკი

გზაზე ერთმანეთს შეხვდნენ ქუაბლუხი და ეშმაკი. ეშმაკმა ჰკითხა ქუაბლუხს:

— ქუაბლუხ, მათხოვარო, რა ამბავია თქვენშიო?

— ჩვენში ასეთი ამბავია: ერთი კოლოს ბეჭს რვა ძაღლი ვერ ჭამსო, — უპასუხა ქუაბლუხმა.

— ალბათ, იმიტომ, რომ ძაღლები არიან პატარებიო.

— ძაღლები პატარები როგორ არიან, თუკი მეფის ეზოში გამოსულნი ძერებს იჭერენ და ჭამენო.

— ძერები იქნებიან პატარებიო.

— ძერები პატარები როგორ იქნებიან, როცა სასახლის გუმბათზე შემომსხდრები ფრთებს მოლზე სცემენო.

— სასახლე იქნება პატარაო.

— პატარა როგორ იქნება, როცა თითო ოთახი რვა აქლემს იტევსო.

— აქლემები იქნებიან პატარებიო.

— პატარები როგორ იქნებიან, როცა მეფის ეზოში დარგული სოჭის კენწეროებს სწვდებიან და ახრამუნებენო.

— სოჭები იქნება პატარაო.

— პატარა როგორ იქნება, როცა ჩემი ძმა თავს რომ ასწევს და სოჭის კენწეროს შეხედავს, თავიდან ქუდი სძვრებაო.

— შენი ძმა იქნება პატარაო.

— ჩემი ძმა როგორ იქნება პატარა, როცა ჭაში ხელს ყოფს და ფსკერიდან ქვას იღებსო.

— ჭა იქნება პატარა, ფსკერი ახლოს ყოფილაო.

— ჭის ფსკერი როგორ ყოფილა ახლოს, როცა დილით ჩაგდებული ქვა საღამომდე ფსკერს ვერ უწევსო.

— დღე იქნება მოკლეო.

— დღე როგორ იქნება მოკლე, როცა დილით დაგრილებულ ძროხას საღამოს ნაშიერი უთამაშებს ფეხებთანო.

— ჰაიტ, მათხოვარო აფხაზო, სიტყვაში როგორ მაჯობეო!

ანდაზები

არ არსებობს ყვავილი, ფუტკარი რომ არა ჯდებოდეს.
კაცი კაცით არის ძლიერი, ხე — ფესვებით.
კაცი სიტყვითა და საქმით იცნობა, ვირი — ყურებით.
მეგობრის სახლში ჯდომას მის გულში ჯდომა გერჩივნოსო.
მოჩქარეს მოუგვიანდესო.
სიმდიდრე და ბედნიერება ერთად არ მოდის.
სტუმარი ღვთისაა.
სტუმარს რასაც გულით მიართმევ, საიქიოს წინ დაგხვდება.
სტუმარს რასაც დაუმალავ, ეშმაკისაა.
სულელიც კი ჭკუას ისწავლის, თუ ჭიანჭველისა და ფუტკრის შრომას დაუკვირდება.
სხვისი ხელით თავს ვერ მოიფხან.
უქონელს შენს ნალიაში ნუ ჩაახედებო.
ცხენი კვდება — მინდორი რჩება, კაცი კვდება — სახელი რჩება.
ჭკვიანი კაცი მეგობრადაც კარგია და მტრადაც.
ჭკუა თვალზე შორს იხედებაო.
ჭკუა სჯობია ღონესაო.
ხალხის წყევლა ხესაც გაახმობსო.

უბიწური ფოლკლორი

სასრიყვას სიკვდილი

ნართების დროში* იყო ერთი პატარა ტანის კაცი, სასრიყვა* ერქვა. ძალიან ჭკვიანი და მარჯვე იყო. როცა უნდოდა, მაშინ იცვლიდა სახეს: ხან მხეცად გადაიქცეოდა, ხან — გზაზე დაგდებულ ქალამნად, ხან — ხურჯინად. თუ ცუდ გუნებაზე დადგებოდა, ნისლში გაეხვეოდა, ნართებს დაერეოდა და შიშის ზარს სცემდა, მუსრს ავლებდა. რადგან ნისლში იყო გახვეული, ნართები ვერ ხედავდნენ და, რაღა თქმა უნდა, ხელსაც ვერ უბრუნებდნენ.

ნართების დედა, ცაუნაჟი, ბრძენი ქალი იყო. ერთ დღეს ნართებმა დედას უთხრეს:

— სასრიყვა თუ არ მოვკალით, ცოცხალს არ გაგვიშვებს. გვირჩიე, როგორ მოვკლათ, რომ მშვიდად ვიცხოვროთო.

— თუ იმ კაცის მოკვლა აუცილებელია, აიღეთ რკინის ბორბალი, მის სახლთან მაღლობზე აიტანეთ და იქიდან დააგორეთ, თან სასრიყვას დაუძახეთ: „ჩვენ ახლა ამ ბორბალს დავაგორებთ, თუ ვაჟკაცი ხარ, მუშტი ჰკარი და უკან ამოაგორე-თქო“, — დაარიგა დედამ.

მართლაც, დააგორეს ნართებმა რკინის ბორბალი. სასრიყვამ კი იგი მუშტის დაკვრით უკან დააბრუნა.

ნართები ისევ მივიდნენ დედასთან:

— ბორბალი უკან ამოგვიგდო. ახლა რაღა ვქნათო? — ჰკითხეს.

დედამ უთხრა:

— ხელახლა დააგორეთ ბორბალი და უთხარით, იდაყვის დაკვრით ამოაგდოს უკანო.

ნართები ისე მოიქცნენ, როგორც დედამ დაარიგა. აიტანეს ბორბალი მაღლობზე, დააგორეს, თან სასრიყვას დაუძახეს: „თუ ვაჟკაცი ხარ, იდაყვი ჰკარი და უკან ამოაგორეო!“

სასრიყვამაც ჰკრა ბორბალს იდაყვი და უკან დაუბრუნა ნართებს.

ნართები ისევ მივიდნენ დედასთან:

— საუბედუროდ, ჩვენ სასრიყვას მომკვლელები არა ვართ. რასაც ვეუბნებით, ყველაფერს აკეთებს. თუ არ დავღუპეთ, ცოცხალი ვერავინ გადავურჩებითო.

— ყური მიგდეთ: სასრიყვას ბარძაყის ძვალი არა აქვს, მხოლოდ ხორ-

ცი კი რკინის ბორბლის დარტყმას ვერ გაუძლებს. ბორბალი ბარძაყს მოჰკვეთს, სასრიყვა მოკვდება და თქვენც გადარჩებითო, — უთხრა დედამ.

ნართებმა დაუძახეს სასრიყვას:

— ბარძაყი ჰკარი და ისე ამოაგდეო!

დააგორეს ბორბალი. ჰკრა სასრიყვამ ბარძაყი და ბორბალმა ბარძაყი მოჰკვეთა.

მაშინ სარიყვამ დაიძახა:

— რაც კი ტყეში მხეცია, ყველა აქ მოგროვდეს ჩემი ხორცის საჭმელადო!

პირველი მგელი მოვიდა, მაგრამ შეებრალა სასრიყვა და ხორცისთვის პირი არ დაუკარებია, ჭრილობას ულოკავდა. როცა მგელმა წასვლა დააპირა, სასრიყვამ უთხრა:

— დაე, ამიერიდან შენი გული ჩემსას ჰგავდეს, სადაც არ უნდა იყო, ისე ეშინოდეთ შენი, როგორც ჩემი ეშინოდათ, მაგრამ თუ უკან დაიხევ, გული ძაღლის გულად გექცესო!

მგელი ტყეში დაბრუნდა.

შემდეგ კურდღელი მოვიდა. იმასაც გული სიბრალულით აევსო, არც მან დააკარა პირი სასრიყვას ხორცს.

— როგორც მე გავექეცი იმ კაცებს, მოტყუებით რომ გადამიჭრეს გზა, დაე, შენც ისე გადაურჩე შენს მდევრებსო, — დალოცა სასრიყვამ.

კურდღელიც ტყეში დაბრუნდა.

რიგ-რიგობით მოდიოდნენ მხეცები, მაგრამ ებრალებოდათ სასრიყვა და მის ხორცს პირს არ აკარებდნენ.

ბოლოს შავი ორბი მოფრინდა, დაითრია სასრიყვას ბარკალი და ძიძგნა დაუწყო. სასრიყვა გაბრაზდა და ორბი დაწყევლა:

— კვერცხი მაღალ მთებში დაგედოს, იქ, სადაც ადამიანს ვერ მიესვლება. კვერცხს პირიდან დებდე და თუ გამოჩეკას დააპირებ, მუცელი ზემოდან მოგექცესო. ორი ბარტყი გამოიჩეკოს და თითომ თითო თვალი ამოგკორტნოსო.

ორბი ცაში აფრინდა.

ასე დაიღუპა სასრიყვა.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი, მოხუცი ცოლ-ქმარი. ერთხელ ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, ხომ ხედავ, როგორი ღარიბები ვართ. დევებთან წადი და შინ ცოტა ოქრო მოიტანეო.

— რამდენიმე წველა ყველი გამიმზადეო.

ქალმა ამოიყვანა ყველი. ჩაიდო ბერიკაცმა ყველი გუდაში და გასწია დევების ქვეყნისაკენ. დიდ მდინარეს მიადგა. დაინახა, გაღმა ნაპირზე დევი ჩამომჯდარიყო.

— გამოდი და ამ წყალზე გადამიყვანეო! — გასძახა ბერიკაცმა დევს.

დევი გაბრაზდა:

— ვინა ხარ, რაებს მიბედავო?!

ბერიკაცმა გუდიდან ერთი წველა ყველა ამოიღო და დევს დაანახვა:

— ხედავ, ამ ქვას? ამასავით გამოგადენ წვენსაო — და ყველს ხელი მოუჭირა, წვენი გამოადინა და მოისროლა.

დევმაც აიღო ქვა, მოუჭირა ხელი, მაგრამ ვერ იქნა და, წვენი ვერ გამოადინა. შეეშინდა დევს, გადმოვიდა მდინარეზე, ბერიკაცი ზურგზე შეისვა, დევების ქვეყანაში წაიყვანა და თავის დედის ძმებს მიჰგვარა.

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს. კარგად მოექეცით, თორემ რამეს დაგვიშავებსო.

— გადი, დაიკარგე! ასეთი კაცი რაში გვჭირდებაო, — უთხრეს დედის ძმებმა.

დევმა ბერიკაცი ისევ ზურგზე შეისვა და ახლა თავის მამის ძმებს მიჰგვარა.

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს. არაფერი აწყენინოთ, თორემ ხიფათს გადაგვყრისო.

— ასეთი კაცი რაში გვჭირდება, საიდანაც მოგიყვანია, ისევ იქ წაიყვანეო, — უთხრეს მამის ძმებმა.

შეისვა დევმა ბერიკაცი ზურგზე და თავის შვიდ ძმასთან მიიყვანა. უთხრა:

— ეს კაცი ქვებს წვენს ადენს, კარგად მოექეცით, არაფერი აწყენინოთ, თორემ ხიფათს გადაგვყრისო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხეს ძმებმა, — შვიდი ქვაბი წყალი ავადუღოთ და რომ დაიძინებს, დავმდუღროთო.

ბერიკაცმა ყველაფერი გაიგონა. ღამით დასაძინებლად რომ დაწვა, დევებმა წყალი ასადუღებლად ცეცხლზე შემოდგეს. ბერიკაცი ადგა,

ოთახიდან ჩუმად გავიდა და დაიმალა. დევებმა მდუღარე წყალი მის ოთახში შეასხეს.

გათენდა. ბერიკაცი ოთახში ისე შებრუნდა, რომ დევებს არ დაუნახავთ. შევიდნენ დევები ოთახში, ხედავენ, ბერიკაცი ზის თავისთვის.

— წუხელ ხომ არაფერს შეუწუხებიხარო? — ჰკითხეს.

— არაფერს, ოღონდ კისერი მექავებაო.

დევები შეშინდნენ.

— რაკი ასეა, ხვალ ტყეში წავიდეთ შეშის მოსატანადო, — უთხრეს ბერიკაცს.

— კარგი, წავიდეთ, ოღონდ, თოკი წამოიღეთო.

მართლაც, წავიდნენ ტყეში. დევებმა ძირფესვიანად მოგლიჯეს თითო ხე და უკან დაბრუნება დააპირეს.

— მოიცათ, ერთი ხის კენწერო მომიწიეთო, — უთხრა ბერიკაცმა დევებს. მოუწიეს დევებმა ხის კენწერო. ბერიკაცმა ჩაავლო ხელი და დევებს უთხრა:

— გაუშვითო.

გაუშვეს დევებმა ხელი, ტოტს ჩაჭიდებული ბერიკაცი ხეს კენწეროში მოექცა და ჩიტიც დაიჭირა. დევები უარესად შეშინდნენ. ბერიკაცი ხიდან ჩამოვიდა და დევებს უთხრა:

— თითო ხის ამარა უკან როგორ დავბრუნდეთ. აიღეთ თოკი და ერთი ორმოციოდე ხე ერთად შეკარით, ბარემ ერთად მოვგლეჯ და წამოვიღებო.

— ამდენი ხე რომ წამოიღოს, ჩვენს ეზოში სად უნდა დააწყოს, სახლს დაგვინგრევს. რასაც მოგვთხოვს, მივცეთ და დაბრუნდეს თავის ქვეყანაშიო, — თქვეს დევებმა.

— ჩვენო სტუმარო, გვითხარი, რა გსურსო? — ჰკითხეს ბერიკაცს.

— თუ გუდას ოქროთი გამივსებთ, შინ დავბრუნდებიო.

გაუვსეს დევებმა გუდა ოქროთი და შინ გაისტუმრეს. იმ დევმა ისევ შეისვა ბერიკაცი ზურგზე და გზას გაუდგნენ.

დევზე შემომჯდარი ბერიკაცი შინ დაბრუნდა. დევს მისი სახლი ძალიან პატარა ეჩვენა. შინ შესულმა ბერიკაცმა ცოლს უთხრა:

— მოგვშივდა, ღომი მოგვიხარშეო!

დედაბერმა მოხარშა ერთი კარდალა ღომი, ამოაგო მაგიდაზე და წინ დაუდგა.

— მისატანებელი არაფერი გვაქვსო, — უთხრა.

მოხუცმა უპასუხა:

— კერაზე დაკიდულ დევებში ყველაზე მსუქანი ამოარჩიე და შეგვიწვიო.

ამის გაგონებაზე დევი უკანმოუხედავად გაიპარა, „მეც არ დამკლან და არ შემჭამონო".

მიდის დევი. შემოეყარა მელა.

— საიდან მოდიხარო? — ჰკითხა დევს.

— იმ ბერიკაცის სახლიდან მოვდივარ, აქვე რომ ცხოვრობს და სახლი დახოცილი დევებით აქვს სავსე. მეც დამიპირეს შეჭმაო.

— იმან როგორ შეგაშინა? ყოველღამ თითო ქათამს ვპარავ და ვერა და ვერ დამიჭირაო.

გაბრაზებული დევი შებრუნდა და გაქანდა ბერიკაცისაკენ. მელაც უკან მიჰყვა.

ბერიკაცმა შორიდანვე დაინახა მელა და დაუძახა:

— ეგ დევი თუ გამხდარია, არ მინდა, მაგრამ თუ მსუქანია, მოიყვანეო!

ამის გამგონე დევმა იფიქრა, ეტყობა, ამათ პირი აქვთ შეკრული, მატყუებენ და შეჭმას მიპირებენო. დაავლო მელას ხელი, შუაზე გახლიჩა და მოისროლა. შემდეგ შეტრიალდა და თავისი ქვეყნისაკენ მოკურცხლა.

ბერიკაცსა და დედაბერს კი სიკვდილამდე ეყოთ დევებისაგან წამოღებული ოქრო.

აიდემირ ხანი

დიდი ხნის წინათ ერთი ბეგის* ცოლს ბავშვი ეყოლა. ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ქალმა ზღვაზე სარეცხი წაიღო გასარეცხად. ვიდრე დედა სხვა ქალებთან ერთად სარეცხს რეცხავდა, ბავშვს იქვე ეძინა. ამ დროს მოფრინდა დიდი, შავი ორბი, აიტაცა მძინარე ბავშვი და ზღვისკენ წაიღო. მშობლები მიხვდნენ, რომ შვილს ვეღარ იპოვნიდნენ და ხელი აიღეს მის ძებნაზე.

ფრინველმა ბავშვი ზღვის გაღმა ერთ ქვეყანაში გაიყვანა, ძირს დაეშვა და თავისი ნადავლის შეჭმა დააპირა. ამ დროს ერთი ბეგი თავისი რაზმით ლაშქრობიდან ბრუნდებოდა. დაინახა ორბს კლანჭებით რაღაც მოჰქონდა და თავის რაზმს უბრძანა:

— ახლავე ნახეთ, რა მოიტანა ფრინველმაო.

ათიოდე მხედარმა მაშინვე იმ ადგილს მიაშურა, სადაც ორბი დაეშვა. რომ მიუახლოვდნენ, ფრინველი დაფრთხა და თავს უშველა. ბავშვი მიწაზე დარჩა. მხედრებმა დაინახეს, რომ ბავშვი ცოცხალი იყო, აიყვანეს და ბეგს მიჰგვარეს.

— წავიყვანოთ და გავზარდოთო, — თქვა ბეგმა.

ორბს ბავშვისათვის მუცელზე ჭრილობა მიეყენებინა. უწამლეს და მოარჩინეს. ბავშვს აიდემირი დაარქვეს. იგი ბეგმა გაზარდა. კარგი ვაჟკაცი დადგა, ბეგს ყველგან თან დაჰყვებოდა. ომში რომ წავიდოდნენ, ყველაზე უკეთ აიდემირი იბრძოდა.

ერთხელ ბეგმა კაზაკთა* ქვეყანაში სალაშქროდ ხალხი შეკრიბა. ლაშქრობის წინ სამი ბრძენი იხმო, ცალ-ცალკე ოთახებში შეაყვანინა, რათა ცალ-ცალკე დალაპარაკებოდა მათ.

— საომრად მივდივართ. მებრძოლებში ისეთი კაცი დამისახელე, ლაშქარს რომ დროშით ხელში გაუძღვესო, — უთხრა ბეგმა პირველ ბრძენს.

— ამას მხოლოდ აიდემირი შეძლებს, ლაშქარში მასზე მამაცი არავინ არის. სწორედ მან უნდა დაიჭიროს დროშაო.

იხმო ბეგმა მეორე ბრძენი.

— თუ კაზაკთა სამყოფელს მივაღწევთ და მათ ციხესიმაგრეს დავიპყრობთ, ამოირჩიე ის მოლაშქრე, ვინც ციხესიმაგრეში პირველი შეიჭრება და იქ დროშას აღმართავსო.

— ლაშქარში აიდემირზე მამაცი არავინ არის. ციხესიმაგრეზე დროშის აღმართვას ის შეძლებსო.

ბეგმა ახლა მესამე ბრძენს ჰკითხა:

— როცა მეციხოვნეებს დავამარცხებთ, ციხეს ავიღებთ, მოვკლავთ კაზაკთა მეთაურს, ციხის მთელ ქონებას წამოვიღებთ, არაფერს ფასეულს არ დავტოვებთ და ციხესიმაგრეს გადავწვავთ, მდევარი თუ დაგვედევნა, ჩვენს ლაშქარში ვინ იქნება ის კაცი, მდევარს რომ შეაჩერებს და დაამარცხებსო?

— რასაც შენ ამბობ, მაგის გამკეთებელი მარტო აიდემირიაო, — უპასუხა ბრძენმა.

მაშინ ბეგმა ბრძანა:

— რაკი ასეთი მამაცი ყოფილა, დღეიდან აიდემირ ხანი დაუძახეთო.

წავიდა ლაშქარი. აიდემირის წინამძღოლობით კაზაკთა ქვეყანაში შევიდნენ. ციხესიმაგრეზე საიერიშოდ რომ მოემზადნენ, აიდემირს უთხრეს:

— აიდემირ, აიღე დროშა, შედი ციხეში და იქ აღმართეო!

მიიტანეს ციხეზე იერიში და აიღეს. აიდემირმა დროშა აღმართა. მოკლეს ყაზახთა მეთაური, წამოიღეს, რაც ციხესიმაგრეში იყო. აიდემირს უთხრეს:

— ჯარს უკან გამოჰყევი, თუ მდევარი წამოგვეწიოს, დახოცე, არ დაინდოო.

გაჰყვა აიდემირი ჯარს უკან. წამოწეული მდევრები დახოცა, ერთიც არ გაუშვია ცოცხალი. ასე დატოვეს კაზაკთა ქვეყანა და სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ ბეგს აიდემირ ხანის შური ჩაუვარდა გულში. ერთხელ აიდემირი ზღვის ნაპირას სეირნობდა. უცებ დაინახა, რომ ლელქაშიდან ცხენების რემა გამოვიდა და ზღვაში შეცურა. აიდემირმა დაათვალიერა ის ადგილი, საიდანაც ცხენები გამოვიდნენ და სამი ახლად დაბადებული კვიცი იპოვა. აიყვანა ის კვიცები და შინ მიიყვანა. გამოზარდა. ორი კვიცი ბეგმა წაიყვანა. ერთი, ყველაზე სუსტი, აიდემირს დაუტოვა. გაზარდა აიდემირ ხანმა ის კვიცი. ზედ რომ შეჯდებოდა, მის ნახვას არაფერი სჯობდა. ხალხი ცხენ-მხედრის ყურებით ვერ ძღებოდა. ბეგს უფრო მოეძალა შური, აიდემირი შინიდან გააგდო და იმაზეღა ფიქრობდა, როგორ მოეკლა.

ბეგს ერთი სიძე ჰყავდა. აიდემირი საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ისევ მიდიოდა ხოლმე ზღვის ნაპირას. ყოველთვის, როცა თავისი ცხენით ზღვის ნაპირს ჩაუვლიდა, ცხენი ზღვაში იწევდა. ერთხელაც იფიქრა, ვნახოთ, სად წავაო და ცხენი ზღვაში შეუშვა. ცხენმა ზღვა გადალახა და ერთ ქვეყანას მიადგა. ხმელეთზე რომ გავიდნენ, აიდემირმა თქვა, ვნახოთ, სად წავაო და ცხენს სადავე მიუშვა.

ცხენმა ერთი სოფლისკენ აიღო გეზი. ამ დროს ერთი მოხუცი ქალი თავს იბანდა, იქვე მისი ქალიშვილი იდგა. იმან ზღვიდან გამომავალი მხედარი რომ დაინახა, დედას უთხრა:

— ზღვიდან ვიღაც მხედარი გამოვიდა და აქეთ მოდისო.

— შვილო, ეს მხედარი შენს ძმებსა ჰგავს, მისი ცხენი კი მამაშენის ერთ-ერთი ცხენიაო, — უთხრა დედამ.

ვიდრე ისინი ლაპარაკობდნენ, მხედარი პირდაპირ მათ ეზოს მიადგა და ქალებს უთხრა:

— თქვენი სტუმარი ვარო.

ქალებმა ცხენი საჯინიბოში შეიყვანეს, სტუმარი კი შინ შეიპატიჟეს. გავიდა რამდენიმე დღე. „ნეტავ, ის ბავშვი ხომ არ არის, ფრინველმა რომ მოგვტაცა, ძალიან ჰგავს ჩვენს შვილსო“, — ფიქრობდნენ მასპინძლები. ერთხელაც სტუმარს თეთრეული და ტანსაცმელი მისცეს, გამოიცვალეო. გაიხადა სტუმარმა და ვიდრე იცვლიდა, მასპინძლები კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ. დაინახეს, მუცელზე ჭრილობა ჰქონდა, ეს ის ჭრილობა იყო, ორბმა რომ მიაყენა. ასე დარწმუნდნენ, რომ სტუმარი მათი შვილი იყო.

ოჯახის დედამ ჰკითხა:

— საიდან მოდიხარ, ვისი ოჯახიდან ხარო?

— მე „ფრინველის მოყვანილი ბიჭი დამარქვეს“. ერთ ქვეყანაში ვცხოვრობ, მშობლები არა მყვანან, თვითონაც არ ვიცი, ვინა ვარ და ვისი შვილიო.

მოხუცმა ქალმა უთხრა:

— ზღვაზე სარეცხს რომ ვრეცხავდით, ერთმა დიდმა ფრინველმა მოგიტაცა. აქ არის შენი სამშობლო, მე კი დედაშენი ვარ, ეს გოგო შენი დაა, შენი ძმები კი მალე მოვლენო.

აიდემირმა ძალიან გაიხარა. საღამო ხანს ძმები დაბრუნდნენ. მათაც გაიხარეს.

ცოტა ხნის მერე ყმაწვილმა უკან დაბრუნება მოინდომა.

— ამ ქვეყნის წყალი არ მისვამს, იქ წავალ, სადაც გავიზარდეო.

— თუ დარჩენა არ გინდა, რა გაეწყობა, წადიო, — უთხრეს და რომელი ცხენითაც მოვიდა, იმაზე უკეთესი ცხენი მისცეს. ამ ცხენს ყველანაირი დაბრკოლების დაძლევა შეეძლო.

— თუ მოგკლეს იმ ქვეყანაში, სადაც ბრუნდები, ეს ცხენი შენს ცხედარს მოგვიტანსო, — უთხრეს და გაისტუმრეს.

შეჯდა აიდემირი ცხენზე, შეცურა ზღვაში, მეორე ნაპირზე გავიდა და იმ კაცთან დაბრუნდა, ვისთანაც ადრე ცხოვრობდა.

ამასობაში ბეგი სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოვკლა აიდემირიო. ძალიან ეშინოდა მისი და არ იცოდა რა ექნა. აიდემირის მასპინძელი ხომ ბეგის სიძე იყო! ხოდა, მივიდა ბეგი თავის სიძესთან, კარში გამოიხმო და უთხრა:

— ან შენს თვალებს მომცემ, ან სიცოცხლესო.*

— თვალებს ვერ მოგცემ, სიცოცხლეს კი, მიიღებ, რაკი ასე გინდაო.

— შენს სიცოცხლეს რა ვაქნევ, შენი თვალები მჭირდებაო.

— ვხედავ, სხვა გზა არ არის, მოგცემ თვალებსო, — უთხრა სიძემ.

— ხვალ დილით სტუმარი თავის ცხენზე ნუ შეჯდება, სხვა ცხენზე შესვი, ნურც იარაღს იქონიებს თან. ერთად გამოჰყევით გზას, იქ ჩავუსაფრდებიო, — თქვა ბეგმა და წავიდა.

მეორე დღეს ბეგის სიძემ უთხრა სტუმარს:

— გავიდეთ, ცოტა გავიაროთ, გულს გადააყოლებო.

— კარგიო.

— შენს ცხენზე ნუ შეჯდები, ნურც იარაღს წამოიღებ, აქვე ცოტას გავივლით და მალე დავბრუნდებითო.

აიდემირ ხანს ეჭვმა გაჰკრა, მაგრამ მასპინძელს არაფერი აგრძნობინა. წასასვლელად რომ გაემზადნენ, მაინც შეკაზმა თავისი ცხენი, ლაგამი ამოსდო და საჯინიბოში დაამწყვდია. თვითონ კი წავიდნენ, გაიარეს, მტრის სამზირთან მივიდნენ. გამოცვივდნენ ბეგის კაცები, თავს დაესხნენ

აიდემირ ხანს და მოკლეს. საჯინიბოში გამომწყვდეულმა ცხენმა კარი გაამტვრია, ცხედართან მიიჭრა, ზურგზე შეიგდო და სამშობლოში წაიყვანა. დამარხეს აიდემირ ხანი თავისმა მშობლებმა.

ასე მოკვდა აიდემირ ხანი. რაც ახლა გიამბეთ, სიმართლეა.

გლეხის შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხის შვილი. ერთ ღამეს ესიზმრა, ვითომ ახალ მთვარესა და მზეს შორის იჯდა. დილით ადგა და სასტუმრო სახლში* შევიდა.

— სიზმარი ვნახეო.

— გვიამბეო.

— ვერ გიამბობთ, ეს ხომ ჩემი ბედიაო.

ატყდა ჩხუბი. ჩხუბში გლეხის შვილს ერთი კაციც კი შემოაკვდა. ჩაფრებმა გლეხის შვილი დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს.

ამასობაში კაზაკთა ბეგმა უბიხთა ბეგს ერთი ჯოხი გამოუგზავნა. თან შიკრიკს წერილი გამოატანა. წერილში ეწერა: „გამოიცანით, რომელია ამ ჯოხის თავი და რომელი — ბოლო. თუ ვერ გამოიცნობთ, ომს გიცხადებთო“.

დახედეს ჯოხს, ხელში ატრიალეს, მაგრამ, აბა, რას გამოიცნობდნენ?! მეფის ხაბაზი ამბის მისატანად ციხეში აფრინეს.

— რა არის ახალი ქვეყანაზეო? — ჰკითხეს ციხეში ხაბაზს.

— კაზაკთა ბეგმა ჯოხი და წერილი გამოგვიგზავნა. იწერება, თუ გამოიცნობთ, ამ ჯოხს სად თავი აქვს და სად ბოლო, ხომ კარგი, თუ არადა თქვენზე მოვდივარო. ჩვენმა ბეგმა შეყარა ყველა ცნობილი ხალხი და წერილი წაუკითხა. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, სად ვიპოვოთ ამის გამომცნობიო. მაგრამ ვერავინ იპოვესო, — თქვა ხაბაზმა.

— ჩემთვის რომ ეკითხათ, გამოვიცნობდიო, — თქვა გლეხის შვილმა.

მართლაც, მიჰგვარეს გლეხის შვილი ბეგს.

— აიღეთ ერთი ქვაბი, გაავსეთ წყლით და ჯოხი შიგ ჩააგდეთ. ის, რომელიც წყლიდან ამოტივტივდება, თავი იქნება, რომელიც წყალში დარჩება — ბოლოო, — თქვა გლეხის შვილმა.

ასეც მოიქცნენ. ჯოხის ერთ ბოლოს, რომელიც წყლიდან ამოტივტივდა, თეთრი ნაჭერი შემოახვიეს, წყალში დარჩენილს — წითელი. კაზაკების ბეგს წერილი მისწერეს: თეთრი თავია, წითელი — ბოლოო. გლეხის შვილი კი ციხეში დააბრუნეს.

რამდენიმე წელი მშვიდობიანად იცხოვრეს. მაგრამ ერთხელაც კაზაკების ბეგმა სამი აქლემი გამოგზავნა და მოიწერა: „გამოიცანით, რომელია დედა, რომელი — შვილი და რომელი — შვილიშვილი. თუ ვერ გამოიცნობთ, ომს გამოგიცხადებთო“.

უბიხთა ბეგმა ისევ შეყარა თავისი ხალხი. ბევრი იფიქრეს, მაგრამ პასუხს ვერ მიაგნეს. ბეგმა თავისი ხაბაზი ისევ ციხეში აფრინა.

— რაო, რა ამბებიაო? — ჰკითხეს.

— კაზაკთა ბეგს სამი აქლემი გამოუგზავნია. უნდა გავიგოთ, რომელია დედა, რომელი — შვილი და რომელი — შვილიშვილიო. თუ ვერ გამოვიცნობთ, ომს გვიპირებსო.

ამის გაგონებაზე გლეხის შვილმა თქვა:

— მე გამოვიცნობო.

მიუტანეს ბეგს ამბავი. ბეგმა ისევ თავისთან მიაყვანინა გლეხის შვილი.

— საქონლის ბაკი გააკეთეთ და მხოლოდ ერთი კარი დააყოლეთო.

გააკეთეს ბაკი, შეყარეს აქლემები, კარი გამოუკეტეს. შემდეგ კეტებით მისდგნენ და ცემა დაუწყეს. აქლემები გაიქცნენ, კარი გაანგრიეს. პირველი დედა გამოვარდა, მას შვილი მიჰყვა, ბოლოს შვილიშვილი აედევნა.

დედა აქლემს კისერზე თეთრი ნაჭერი შეაბეს, შვილს — წითელი, შვილიშვილს — შავი. აქლემები კაზაკთა ბეგს დაუბრუნეს. თან წერილიც გააყოლეს. გლეხის შვილი კი ციხეში დააბრუნეს.

კიდევ რამდენიმე წელმა მშვიდობიანად გაიარა. ერთხელაც კაზაკთა ბეგმა შვიდად დაკეცილი რკინა გამოუგზავნა უბიხთა ბეგს. თან წერილიც მოაყოლა. იწერებოდა: „თუ ამ რკინას ისრის ერთი გასროლით გახვრეტთ, ხომ კარგი, თუ არა და, საომრად მოვდივარო“.

უბიხთა ბეგმა ისევ შეყარა თავისი ხალხი, წერილი წაუკითხა და ჰკითხა:

— რა ვქნათო?

პასუხი ვერავინ მოიფიქრა. ბეგის ხაბაზი ისევ მიადგა ციხეს.

— რა ამბავიაო? — ჰკითხეს.

— კაზაკთა ბეგმა ასეთი და ასეთი რკინა გამოგზავნა. თუ ერთი დარტყმით გახვრეტთ, ხომ კარგი, თუ არადა, ომს გვიპირებსო.

— თუ აქედან გამომიშვებთ, მე გავხვრეტო, — თქვა გლეხის შვილმა.

ხბაბაზმა ბეგს ამბავი მიუტანა. გამოუშვეს გლეხის შვილი ციხიდან და ბეგს მიჰყვარეს.

— აი, ეს რკინა ერთი დარტყმით უნდა გახვრიტოო, — უთხრეს და რკინა უჩვენეს.

გლეხის შვილმა თქვა:

— თუ ღმერთი მოწყალე თვალით გადმომხედავს, გავხვრეტო.

ესროლა და რკინა გახვრიტა.

ამის შემდეგ ბეგმა თავისუფლება უბოძა და ორი-სამი თვე თავისთან სტუმრად დატოვა.

კაზაკთა ბეგმა ახალი წერილი მოსწერა უბიხთა ბეგს: „შენ რომ ჭკვიანი და განათლებული კაცი გყავს, გამომიგზავნეო".

ბეგმა გლეხის შვილს უთხრა:

— კაზაკთა ბეგი შენს თავსა მთხოვსო.

— გამგზავნე და წავალო.

— კარგი, წადიო.

— ჩაკეტონ თავლაში ხუთი ცხენი და ოცდაათი დღე ასუქონო, — ითხოვა გლეხის შვილმა.

მართლაც, ჩაკეტეს ხუთი ცხენი თავლაში და ოცდაათი დღის განმავლობაში ასუქებდნენ. რომ გასუქდნენ, გლეხის შვილმა ცხენები შეკაზმა, ბეგს ხელზე აკოცა, ერთ ცხენზე შეჯდა, დანარჩენი ოთხი თან გაიყოლა და გზას გაუდგა.

გზად ერთ მხვნელ-მთესველს შეხვდა, ფეხებზე წისქვილის ქვები ება.

— ბარაქა შენს საქმესო, — მიესალმა.

— აგაშენოს ღმერთმაო, — უპასუხა მხვნელ-მთესველმა.

— ფეხებზე წისქვილის ქვები რად შეგიბამს? ეტყობა, დიდი ძალღონის პატრონი ხარო.

— ეს რა გასაკვირია? აი, გლეხის შვილი, კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტა, ჩემზე ძლიერიაო.

— იმ კაცმა რომ შეგიამხანაგოს, გაჰყვები, სადაც წავიდოდა?

— ყველგან გავყვებოდიო.

— მე ვარ ის კაცი. მიდი, ამოირჩიე ცხენი, შეჯექი და წავიდეთო.

მიატოვა მხვნელ-მთესველმა მინდორში გუთნეული, შეჯდა ცხენზე და გაჰყვა.

ერთი დღის სავალი რომ გაიარეს, მიწაზე გაწოლილი ვიღაც კაცი დაინახეს.

— მიწაზე რატომ წევხარო? — ჰკითხეს.

— ვუსმენ, რასაც ამ ქვეყნად ლაპარაკობენო.

— მახვილი ყური გქონიაო.

— ეს რა გასაკვირია?! საკვირველი ის არის, გლეხის შვილმა კაზაკთა

ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტა. აი, ვინ არის ქების ღირსიო.

— იმ გლეხის შვილმა რომ შეგიამხანაგოს, გაჰყვები, სადაც წაგიყვანსო?

— გავყვებიო.

— თუ ეგრეა, ის გლეხის შვილი მე ვარო.

— მოვდივარო.

— ამ ცხენზე შეჯექი და წავიდეთო.

გაუდგნენ გზას. ერთ დიდ ტბას მიადგნენ. ტბასთან კაცი იწვა.

— აქ რას აკეთებო? — ჰკითხეს.

— ამ წყალს ერთს მოვსვამ და სულ დავლევ. მერე, როცა მომეპრიანება, უკან ამოვუშვებო.

— რა ძალა გქონიაო?!

— ეს რა ძალაა! ძალა იმ გლეხის შვილსა აქვს, კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა რომ გახვრიტაო.

— იმ გლეხის შვილმა რომ შეგიამხანაგოს, გაჰყვები, სადაც წაგიყვანსო?

— გავყვებიო.

— ის გლეხის შვილი მე ვარ, შეჯექი ამ ცხენზეო!

— ძალიან კარგიო, — თქვა, შეჯდა ცხენზე და გაჰყვა.

იარეს ერთი-ორი დღე და გზაზე ერთ კაცს გადააწყდნენ. კაცი მთას მისდგომოდა და წერაქვით თხრიდა.

— რას აკეთებო? — ჰკითხეს.

— ამ მთას ვანგრევ. მიწას კი ასი ათას ნაბიჯზე ვისვრიო.

— რა ძალ-ღონე გქონიაო!

— ეს რა არის! აი, გლეხის შვილმა რომ კაზაკთა ბეგის გამოგზავნილი რკინა გახვრიტა, ის არის, რაც არისო.

— იმ გლეხის შვილმა რომ შეგიამხანაგოს, გაჰყვებოდი, სადაც წავიდოდაო?

— გავყვებოდიო.

— ის გლეხის შვილი მე ვარ. შეჯექი ამ ცხენზეო.

ასე გახდნენ ხუთნი.

ერთი-ორი დღე კიდევ იარეს და ჩავიდნენ კაზაკთა ქვეყანაში. მცველებმა გააჩერეს:

— საიდან მოდიხართო? — ჰკითხეს.

— თქვენმა ბეგმა წერილი მოგვწერა და უბიხთა ქვეყნიდან ვესტუმრეთო.

— ძალიან კარგიო, — და ბეგთან მიიყვანეს.

— ესენი შენი სტუმრები არიანო.

ბეგმა სტუმრები კოშკში დააბინავა. იქ ოც დღეს დარჩნენ.

ამასობაში კაზაკთა ბეგმა შეყარა თავის დიდებულები და უთხრა:

— რა ვუყოთ ამ ხალხს? მე მგონია, კარგი იქნება, თუ უკან აღარ გავუშვებთ. თქვენ რაღას იტყვითო?

— უკეთესი იქნება, თუ დავხოცავთო. ოღონდ ისე, რომ მათი სიკვდილი ჩვენ არ დაგვბრალდესო.

ერთმა დიდებულმა თქვა:

— წყლის მოტანა ვუბრძანოთ. სათითაოდ გავგზავნოთ ბაღში წყაროსთან და გველეშაპს შევაჭამოთო.

ბეგი დათანხმდა.

— ძალიან კარიგო.

ყურმახვილამ ყველაფერი გაიგონა და მეგობრები გააფრთხილა. ფეხებზე დოლაბები რომ ჰქონდა ამოკრული, იმ მხვნელ-მთელსველმა თქვა:

— წავალ და მოვკლავ იმ გველეშაპსო.

როცა სტუმრებს საჭმელი მიართვეს, მათ წყალი მოითხოვეს. მისცეს თუნგი და უთხრეს:

— ბაღიდან მოიტანეთ წყალიო.

მხვნელ-მთესველმა აიღო თუნგი და ბაღისკენ წავიდა. ერთბაშად გამოჩნდა გველეშაპი. წყაროსთან დიდი ქვა ეგდო. მხვნელ-მთესველმა ქვას ხელი დაავლო და გველეშაპს ესროლა, შიგ თავში მოარტყა და მოკლა. თუნგი გაავსო, მოუტანა წყალი თავის მეგობრებს და დაალევინა.

ბეგს ეს ამბავი მაშინვე გააგებინეს. მან ისევ შეყარა თავისი დიდებულები და ჰკითხა:

— ახლა რა ვქნათო?

— შვიდი ქვაბი წყლით ავავსოთ, ჩავყაროთ შიგ ფქვილი და მარილი, ვადუღოთ, მერე პური დავუმატოთ და დავალევინოთ. ასე დავხოცავთო.

ასეც გადაწყვიტეს.

ყურმახვილამ ყველაფერი გაიგონა და თავისი მეგობრები გააფრთხილა. ტბის მსმელმა თქვა:

— არაფერია, მაგას მე დავლევო.

მეორე დილას მსახურებმა შვიდი ქვაბი წვნიანი მოხარშეს და სტუმრებს მიართვეს.

— უსათუოდ უნდა დალიოთო.

ტბის მსმელმა:

— ოთხი ფიალა მომიტანეთო.

მოუტანეს. ტბის მსმელმა თავის მეგობრებს თითო ფიალა დაალევინა. თავად კი ქვაბები მოიყუდა და ერთმანეთის მიყოლებით გამოცალა.

რამდენიმე დღე მშვიდად გაატარეს. კაზაკთა ბეგმა ისევ შეყარა დიდებულები:

— ახლა რაღა ვქნათ, რა არ ვიღონეთ, არაფერმა გაჭრაო.

ძალიან შეშინდნენ.

— ხმლის ერთი დაკვრით მოვაჭრევინოთ ჩვენი დიდი ხეო.

ყურმახვილამ გაიგონა და მეგობრები გააფრთხილა. გლეხის შვილმა თქვა:

— ღვთის მადლით, მე მოვჭრი ხესო.

მეგობრები დაეთანხმნენ.

კაზაკთა ბეგმა ათი დღის ვადა მისცა. მეათე დღეს სეირის საყურებლად მთელი ქვეყანა დიდი ხის ქვეშ შეყარეს.

გლეხის შვილიც მოვიდა თავისი მეგობრებით. ხელ-ფეხი, პირი დაიბანა და დიდხანს ლოცულობდა. მერე აიღო ხმალი, ღვთისაგან ნაბოძები მთელი ძალითა და ღონით დაჰკრა ხეს. დაჰკრა და ერთი დარტყმით მოჭრა. ხე წაიქცა და უამრავი ხალხი ქვეშ მოიყოლა.

მეგობრები კი ცხენებს მოახტნენ და გაქუსლეს. შეცვივდნენ ბეგის სასახლეში, მოიტაცეს ბეგის ასული და გზას გაუყენეს. ჯარი დაადევნეს. მესამე დღეს დაეწიათ მდევარი. გლეხის შვილის ის მეგობარი, წერაქვით მთას რომ ანგრევდა, ცხენიდან ჩამოხტა, მოთხარა ერთი მთა და მიწა მდევარს შეაყარა. იმდენი შეაყარა, რომ ჯარი დამარხა კიდეც.

როცა უკანა გზაზე იმ ადგილს მიადგნენ, სადაც წერაქვიანი კაცი შემოხვდათ, მან წასვლა აღარ ინდომა და იქ დარჩა. მახვილი ყურის პატრონის სახლთან რომ მივიდნენ, აღარც ის გაჰყვა მეგობრებს, შინ დარჩა. ტბასთან რომ მივიდნენ, წყლის მსმელმაც აღარ ინდომა გზის გაგრძელება. შემდეგ მხვნელ-მთესველის მინდორს მიადგნენ, გუთანში შებმული მისი ორი ხარი ისევ იქ იყო.

მხვნელ-მთესველმაც:

— მე აღარსად წამომსვლელი არა ვარო, — და დარჩა.

გლეხის შვილი და კაზაკთა ბეგის ასული უბიხთა ბეგის სახლში მივიდნენ. დიდი სიხარულით მიიღეს. მთელი ქვეყანა მოდიოდა მათ სანახავად. გლეხის შვილს კაზაკთა ბეგის ასულიც შერთეს და უბიხთა ბეგისაც. ასე აუხდა სიზმარი — მზესა და ახალ მთვარეს შორის რომ იჯდა. ახლა ცხადში იჯდა მზესა და მთვარეს შორის და საკუთარი თვალით ხედავდა ორივეს.

ქორწილი თხუთმეტ დღეს გაგრძელდა. იმ ქვეყანაში არავინ დარჩე-

ნილა, რომ არ მოსულიყო. მეც დამპატიჟეს. ქორწილი რომ დასრულდა, ვუთხარი:

— შინ მივდივარ-მეთქი.

საგზლად სამი მსხალი მომცეს. შინ რომ ვბრუნდებოდი, ერთი მსხალი ამ ამბის მომყოლმა შეჭამა, მეორე — მე შევჭამე, მესამე — ილიასმა. სადაც გუშინ გახლდით, დღეს იქ აღარა ვარ.

სამი რჩევა

იყო ორი ბეგი. მოკვდა ერთი მათგანი და შვილს დიდი ქონება დაუტოვა. ვისაც ქონება აქვს, მეგობრები არ მოაკლდება. ბეგის შვილმაც მთელი ქონება მეგობრებს შეაჭამა. ცარიელ-ტარიელი ვიღას უნდოდა და, ნელ-ნელა მეგობრებიც შემოეცალნენ, დარჩა მარტო. გაახსენდა მამის მეგობარი ბეგი:

— ჰო, მართლა, მამაჩემს ხომ ერთი მეგობარი ბეგი ჰყავდა, მივალ, ვთხოვ რასმე. თუ ფულს მომცემს, გამოვართმევო, — იფიქრა.

ადგა და წავიდა. მივიდა ბეგთან. ბეგმა თავისი მეგობრის შვილი რომ ნახა, გაიხარა, დალოცა.

— ღმერთმა კარგად გამყოფოს. მამაჩემი შენი მეგობარი იყო, ვიფიქრე, წავალ, დახმარებას ვთხოვ-მეთქი, — უთხრა ვაჟმა.

— რა დახმარება გინდაო?

— თუ ქონებას მიწყალობებ, უკან დავბრუნდებიო.

— თუ ჩემთან მხოლოდ ქონებისთვის მოსულხარ, რაც ამ მინდორზეა, ყველაფერი შენი იყოს, მაგრამ ამის ნაცვლად სამ რჩევას მოგცემ. სამი დღის ვადა მომიცია, იფიქრე და აირჩიე — ქონება თუ სამი რჩევაო?

გავიდა სამი დღე. ბეგი სასტუმრო სახლში შევიდა და სტუმარს ჰკითხა:

— რა აირჩიეო?

— სამ რჩევას თუ მომცემ, წავალო.

— ყური მიგდე. პირველი: დღეს გზას რომ დაადგები და იმედი გაქვს, დაღამებამდე სოფელში ჩახვალ, გახსოვდეს: თუ დაგიღამდეს, გზას ნუღარ გააგრძელებ, გაჩერდი და თავშესაფარი ეძებეო; მეორე: თუ ნახო, რომ კაცს მოსაკლავად მისდევენ, არ მიეშველო, არ ეცადო მის გადარჩენას, ეს საქმე ღმერთს მიანდეო; მესამე: კაცის მოკვლა თუ დააპირო, ნუ აჩქარდები, კარგად იფიქრე, აწონ-დაწონე და ისე გადაწყვიტეო, — დაარიგა ბეგმა.

დაადგა სტუმარი გზას და წავიდა. შემოაღამდა. გაჩერდა. თავშესაფარი მოძებნა, ცეცხლი დაანთო და ღამე კოცონთან გაატარა. მეორე დღეს გზად ცხენი შემოხვდა. ზედ არავინ იჯდა, მაგრამ უზომო ოქროთი იყო დასაპალნებული. ვაჟმა დაიჭირა ცხენი, შეჯდა და გზა გააგრძელა. ერთი ცხენი კიდევ შემოეყარა, ისიც უმხედრო, ისიც ოქროთი დასაპალნებული. ცხენი უნაგირზე მიიბა და წაიყვანა. ცოტა რომ გაიარა, მესამე ცხენიც შემოხვდა. ისიც უმხედრო და ოქროთი დასაპალნებული. ის ცხენიც თან წაიყვანა. გზაზე სამი გაყინული კაცი ნახა. ესენი ცხენების პატრონები იყვნენ. „ბეგის რჩევა რომ არ დამეჯერებინა, მეც ხომ გავიყინებოდიო“, — თქვა ვაჟმა.

უკან რომ ბრუნდებოდა, ერთ სოფელში შევიდა. სასტუმრო სახლში ჩამოხტა, სამ დღეს დარჩა. სოფელში მამაკაცის ჭაჭანება არ იყო. სტუმარსა და ცხენებს სამი გათხოვილი ქალი ემსახურებოდა. როცა ერთი ქალი ლოგინს უშლიდა, ვაჟმა ჰკითხა:

— დაო, მამაკაცები სად არიან, რატომ არ ჩანანო?

— საუბედუროდ, იქ, ქვემოთ, ერთი გზა გადის. ყველანი იმ გზით წავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან. ჩვენი ქმრებიც უკან გაჰყვნენ და აღარც ისინი მობრუნებულანო, — უპასუხა ქალმა.

სტუმარმა დაიძინა. მეორე დღეს თქვა:

— მეც იმ გზით წავალ. ჩემ დაბრუნებამდე ამ სამ ცხენს მიმიხედეთო, — ადგა და წავიდა იქით, საითაც კაცები წასულიყვნენ და აღარ დაბრუნებულიყვნენ.

გზად ციხესიმაგრეს მიადგა. ციხესიმაგრის კართან ხალხს მოეყარა თავი. ერთ მხარეს თხუთმეტიოდე წლის ლამაზი ქალი იყო მიჯაჭვული, მეორეზე — ღორის მსგავსი რაღაც არსება. ხალხი ქალს უყვიროდა:

— ამ ურჩხულს გაჰყევ ცოლად, თორემ მოგკლავთო!

თან მათრახს ურტყამდნენ.

— რა დააშავა ამ ქალმაო? — იკითხა ვაჟმა.

— ამ ურჩხულს უნდა მივათხოვოთო.

ვაჟს შეეცოდა ქალი, მაგრამ ბეგის ნათქვამი გაახსენდა:

— რას იზამ, ღმერთს ასეთი ბედი მოუცია შენთვის, გაჰყევიო, — უთხრა.

ამის თქმაც და ღმერთმა მაშინვე მოხსნა ჯადო: ის ურჩხული, ღორს რომ ჰგავდა, ლამაზ, ტანად ვაჟკაცად იქცა. ქალი და ვაჟი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— შენ გვიხსენიო, — უთხრეს ვაჟს, — წამოდი ციხესიმაგრეშიო.

გალავანში რომ შევიდნენ, ვაჟმა ფანჯარაში შეიხედა. დაინახა,

გრძელწვერა და გრძელფრჩხილებიანი კაცები.

— ესენი ვინ არიანო? — იკითხა.

— ესენი შენზე ადრე მოვიდნენ აქ. ისინი კითხულობდნენ: „რატომ სცემთ ამ ქალსო?“ ამიტომ ჩავყარეთ დილეგში. შენც რომ ასე გეთქვა, დაგიჭერდით, მაგრამ რაკი ღმერთი ახსენე, ამით ჩვენც გადაგვარჩინე და ესენიცო.

— გამოუშვით ეს ხალხიო, — უთხრა ვაჟმა. მართლაც, გამოუშვეს.

ვაჟი სამ დღეს დარჩა სტუმრად, შემდეგ თქვა, მივდივარო.

— გვითხარი, რა გინდა, რა მოგცეთ, ძვირფასი რომ იყოს და წაღებაც არ გაგიჭირდესო.

— რაც თქვენ გინდათ, ის მომეცითო, — თქვა ვაჟმა. მისცეს სამი ცხენის საპალნე თვალ-მარგალიტი და გაისტუმრეს. წამოიყვანა ვაჟმა გათავისუფლებული ხალხი და იმ სოფელში დაბრუნდა, სადაც ცხენები ჰყავდა დატოვებული. იქაც სამი დღე დარჩა.

— ახლა კი შინ უნდა დავბრუნდეო, — თქვა ვაჟმა.

— სადაც შენ წახვალ, ჩვენც იქ წამოვალთო, — უთხრეს და ყველანი გაჰყვნენ.

— თქვენ ნელა წამოდით, მე ავჩქარდები, ვნახავ, რა ხდება სოფელშიო, — თქვა ვაჟმა და დაწინაურდა.

გზაზე შემოაღამდა. უკვე შუაღამე იყო, თავის ეზოში რომ შევიდა. სახლი დანგრეული დახვდა. მხოლოდ სასტუმრო სახლი გადარჩენილიყო. მიუახლოვდა და ფანჯრიდან შეიხედა. დაინახა, ერთად იწვნენ ქალი და კაცი. დააკვირდა და თავისი ცოლი იცნო. ეს ქალი ნამდვილად ჩემი ცოლია. ის კაცი ვინღაა?! ორივეს ერთად დავხოცავო! — თქვა და იარაღი შემართა, მაგრამ ბეგის ნათქვამი გაახსენდა. დაფიქრდა. ყური მიუგდო. ქალთან მწოლარე კაცმა გაიღვიძა:

— დედა, მამა სად არის, სად წავიდაო?

— მამაშენი მალე მოვა, დღე-დღეზე გამოჩნდება და დიდ სიმდიდრეს მოგიტანსო, — უპასუხა დედამ.

ვაჟი გზას რომ დაადგა, ცოლი ფეხმძიმედ დატოვა. იმდენ ხანს იყო სამშობლოდან გადახვეწილი, რომ ბიჭი უკვე თხუთმეტი წლისა გამხდარიყო.

მამამ კარზე დააკაკუნა.

— სტუმარი მოვიდა, ადექი, კარი გაუღეო, — უთხრა დედამ.

ბიჭმა კარი გააღო. ქალი ადგა.

— მე მეზობლებთან გადავალო, — თქვა.

— ნურსად წახვალ, მე შენი ქმარი ვარო, — თქვა სტუმარმა და შევიდა. დილამდე იქ დარჩა. დილით კი წავიდა თავისი ამხანაგების შესახვედრად.

სოფელში ყველანი ერთად დაბრუნდნენ და დიდი ლხინი გამართეს. მეც იქ გახლდით. რომ წამოვედი, სამი ვაშლი მომცეს. ერთი მე შევჭამე, მეორე ზღაპრის მთქმელს მივეცი, მესამე ილიასს მივართვი.

კაცი, რომელმაც ირჩია, ახალგაზრდობაში ყოფილიყო უბედური

იყო ერთი მდიდარი ახალგაზრდა კაცი. ჰყავდა ცოლი და ორი ბიჭი. ერთხელ სიზმარში ვიღაცამ ჰკითხა: — ერთხანს უბედური იქნები. როდის გირჩევნა, უბედური რომ იყო — სიბერეში თუ ახალგაზრდობაშიო?

კაცმა ვერაფერი უპასუხა. მეორე ღამეს ისევ გაუმეორეს კითხვა, მაგრამ ისევ ვერაფერი ირჩია. მესამე ღამეს კი იფიქრა, თუ ისევ მკითხავენ, ვეტყვი, რომ უბედურება ახალგაზრდობაში მირჩევნია. სიბერეში ვაითუ, ვერ გადავიტანოო.

იმ ღამეს, ცოლის გვერდით რომ ეძინა, ისევ დაესიზმრა, ეკითხებოდნენ:

— უბედურება სიბერეში გირჩევნია, თუ ახალგაზრდობაშიო?

— თუ უბედურება მელის, მირჩევნია, ახალგაზრდობაში გადავიტანოო, — უპასუხა მძინარმა, თან ცოლის მკერდზე მოუხვდა ხელი. ცოლს გაელვიძა:

— რას სჩადი, გაგიჟდი? რაშია საქმეო?

ქმარს სიზმრის მოყოლა არ უნდოდა და უთხრა:

— არაფერია, ბავშვობა დამესიზმრა და უნებურად მუშტი მოვიქნიეო.

რამდენიმე დღის შემდეგ შინიდან რაღაც საქმეზე გავიდა. ერთბაშად ყვირილი გაიგონა და დაინახა, როგორ ავარდა ცეცხლის ალი იმ მხარეს, სადაც მისი სახლი იდგა. ხალხის ყვირილიც მოესმა:

— აჰმედ ბეგის სახლი იწვისო!

ხალხი გარბოდა. კაცი ფეხს არ იცვლიდა, უყურებდა, როგორ იწვოდა მისი სახლი. ცეცხლი ვერ ჩააქრეს, მაგრამ აჰმედის ცოლ-შვილი კი გადაარჩინეს. სახლი ისე დაიწვა, კოვზის გამოტანაც ვერ შეძლეს. ხალხმა მიატოვა ალმოდებული სახლი და აჰმედს მიეჭრა:

— შენ რა კაცი ხარ?! სახლი გეწვის, შენ კი მშვიდად ზიხარ. ცოლ-შვილი კი გადაგირჩინეთ, მაგრამ სხვა — ვერაფერიო.

— მადლობა მომიხსენებია. მე რომ მოვსულიყავი, მაგასაც ვერ მოვახერხებდიო. ღმერთის წყალობით ცოლ-შვილი ხომ გადამირჩაო.

აჰმედ ბეგი რამდენიმე დღე კიდევ დარჩა სოფელში, მაგრამ დაინახა, რომ ის ხალხი, ვისთვისაც სიკეთე გაეკეთებინა, პირს არიდებდა.

ერთი დღის სავალზე საძოვრები ჰქონდა. იქ დიდძალი ცხვარი და ცხენი დაუდიოდა. წაიყვანა თავისი ცოლ-შვილი და იქ წავიდა, მაგრამ თავისი მწყემსები შუა გზაზე შემოხვდნენ.

— საით გაგიწევიათ? მე თქვენთან მოვდიოდიო.

— დიდი წვიმა მოვიდა. ნიაღვარი მოვარდა და შენი ცხვარი და ცხენი ერთიანად ზღვაში ჩაიტანაო, — უპასუხეს მწყემსებმა.

— თუ ეგრეა, თავისუფალი ხართ! მე აღარაფერში მჭირდებით. თქვენს თავს მიხედეთ. მე კი ვნახავ, კიდევ რა მინერიაო, — თქვა და ისევ თავის სოფელში დაბრუნდა.

— ხან სად ათევდნენ ღამეს, ხან სად. ბოლოს კაცმა უთხრა თავის ცოლს:

— ასე ყოფნა აღარ შეიძლება. ჩვენი ბედ-იღბალი არც მოყვარეს აწუხებს, არც — მტერს. რომ დაბინდდება, მოვკიდოთ ხელი შვილებს და ისე წავიდეთ, რომ არავინ დაგვინახოს. ვიაროთ, სანამ ლუკმაპურის საშოვნელად რამე საქმეს ვიპოვით, სადაც არავინ გვიცნობსო.

მართლაც, დაითითოეს ბავშვები, ხელში აიყვანეს და გზას გაუდგნენ. იარეს, იარეს და ერთ სოფელში შევიდნენ. ერთი კაცი შემოხვდათ.

— ღამეს ვინ გაგვათენებინებსო? — ჰკითხეს.

— სოფლის მამასახლისთან მიდით. ის გარეთ არ დაგტოვებთო, — უთხრა კაცმა, გაუძღვა და მამასახლისთან მიიყვანა. მამასახლისმა აჰმედ ბეგი სასტუმრო სახლში შეიყვანა, მისი ცოლ-შვილი კი — სამზად სახლში.

საღამოობით სოფლელები სასტუმრო სახლში იყრიდნენ ხოლმე თავს. უცხო კაცი რომ დაინახეს, ჰკითხეს:

— ვინა ხარ, საიდან მოდიხარ და საით გაგიწევიაო?

— ვივლი, სანამ რამე სამუშაოს არ ვიშოვიო.

— რა შეგიძლიაო?

— რას გამაკეთებინებთო?

— მენახირე გვჭირდება. თუ შეგიძლია, დარჩი და მენახირედ დაგაყენებთო.

— თანახმა ვარ. მაჩვენეთ თქვენი ნახირი და ჩემი საქმისა მე ვიცი, ოღონდ ცოლ-შვილისათვის რამე თავშესაფარი გამომინახეთო.

— ძალიან კარგიო.

მეორე დღეს სოფლის ბოლოს, იქ, სადაც ნახირს მოერეკებოდნენ, ერთი ცარიელი სახლი აჩვენეს. ცოლ-შვილი იქ დააბინავა. თვითონ ნახირი გარეკა. შრომობდა და სოფლელების გულს იგებდა.

ერთხელაც, როცა ნახირი გარეკა, იმ გაშლილ მინდორზე, სადაც მისი სახლი იდგა, ჯარი დაბანაკდა, კარვები დასცეს. სოფლელები ჯართან შესახვედრად მივიდნენ. ჯარის უფროსმა სთხოვა, ცეცხლი დამინთეთო.

— ცეცხლი რად გინდაო?

— ჩაის ადუღება მინდაო.

მამასახლისმა უთხრა:

— მაგას აქვე, ამ სახლში გავაკეთებთო.

ჯარის უფროსს მოეწონა ეს ამბავი. სოფლელები მენახირის ცოლს მიადგნენ:

— ჩაი აგვიდუღეო.

ქალმა აადუღა ჩაი და გაატანა. ჯარის უფროსმა დალია და იკითხა:

— ვინ აადუღაო?

უთხრეს, ვინც აადუღა.

— მინდა, იმ ქალს ცოტა ფული მივცეო.

სოფლელებს გაუხარდათ:

— კარგს იზამთ, ღარიბები არიან. მოგვეცით ფული და წავუღებთო.

— არა, ჩემი ხელით მინდა მივცეო.

შეჯდა ცხენზე, ჯარსაც ცხენებზე შესხდომა უბრძანა, მეგზურად რამდენიმე სოფლელი გაიყოლა და ქალის სახლისაკენ წავიდნენ. სახლს რომ მიუახლოვდნენ, დაუძახეს:

— გამოდი, ჯარის უფროსი ფულს მოგცემსო!

— თქვენ გამოგატანოთო! — გამოსძახა ქალმა სოფლელებს.

ჯარის უფროსი თავისაზე იდგა:

— კარებიდან ხელი გამოყოს და ფულს მუჭში ჩავუდებო.

ქალმა ხელი გამოყო. ჯარის უფროსმა ჯიბეზე ხელი გაიკრა, ფული ამოიღო, ქალს მუჭში ჩაუდო, მაგრამ მაშინვე მაჯაში სტაცა ხელი, გარეთ გამოათრია, უნაგირზე შემოიგდო, ცხენს დეზი ჰკრა და გააჭენა. ჯარიც გაჰყვა. დარჩნენ ბავშვები უდედოდ და მორთეს ტირილი.

ამის შემყურე სოფლელებმა აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მოსაღამოვდა. ბავშვები ტირილით შეეგებნენ მამას.

— რა მოგივიდათო? — ჰკითხა მამამ.

— დღეს ჯარი მოვიდა. იმ ჯარიდან ერთმა დედა წაიყვანა. ტირილის მეტი სხვა რა დაგვრჩენიაო.

— ნუ ტირით. დედას მე ვიპოვიო.

მერე შინ დაბრუნებულმა მეზობლებში გაიკითხა და გაიგო, რაც მომხდარიყო. მერე იფიქრა: „აქ რომ დავრჩე, სოფლელები წამომძახებენ: ლაჩარი რომ არ ყოფილიყავი, ცოლს ვერ მოგტაცებდნენო“. სჯობს, ჩემი

შვილებიანად აქედან გადავიკარგოო".

რომ დაღამდა, წაიყვანა შვილები და წავიდა. იარეს, იარეს და ერთ მდინარეს მიადგნენ. ამასობაში მზეც ამოვიდა. კაცმა დაათვალიერა მდინარე და თქვა: „ამაზე გადასვლა ძნელი არ უნდა იყოსო". ერთი ბავშვი ნაპირზე დასვა, მეორე მხრებზე შეისვა და მეორე ნაპირზე გაიყვანა. გამობრუნდა და ახლა მეორე შვილი შეისვა მხრებზე. შუამდე რომ შევიდა, დაინახა, რომ მეორე ნაპირზე დათვი მივიდა და მისი შვილი წაიყვანა. მამა, შიშისაგან ენაჩავარდნილი, წყალში იდგა და ფეხს ვერ იცვლიდა. ბოლოს დადევნება დააპირა, მაგრამ ბავშვმა თავი ველარ შეიკავა, წყალში ჩავარდა. წყალმა ბავშვი წაიღო. დარჩა აჰმედ ბეგი მარტოდმარტო.

გავიდა ნაპირზე, დაჯდა და ფიქრს მიეცა: „რა ვქნა, როგორ მოვიქცე. ანდა, რა აზრი აქვს ფიქრს, მაინც ვერაფერს გავხდებიო". აიღო თავი და წავიდა. დღე და ღამე მიდიოდა. თუ იშოვიდა რამეს, შეჭამდა, თუ არადა, მშიერი აგრძელებდა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ჩაიხანას მიადგა. შევიდა და კუთხეში მიიყუჟა. ჩაიხანის პატრონმა უცხო კაცი რომ დაინახა, დაუძახა:

— რა კუთხეში მიმჯდარხარ? მოდი, გვერდით მომიჯექი, ვინა ხარ და საით გაგიწევიაო?

— ლუკმაპურის საშოვნელად ვარ წამოსულიო.

— ჩემთან თუ იმუშავებო?

— რასაც მიბრძანებ, გავაკეთებო.

— მაშ, ქურასთან დადექიო!

გავიდა ხანი. აჰმედი ისე დაოსტატდა, რომ თავის პატრონზე უკეთეს ჩაის ადუღებდა. ამასობაში რამდენიმე წელიც გავიდა.

ერთხელ იმ ქვეყნის ბეგმა გამოაცხადა:

— ვინც საუკეთესო ლექსს დაწერს, ბევრ ფულს მივცემო.

ხალხი ერთმანეთს ეუბნებოდა: ამის შემძლებელი ჩვენში ვინ იქნებაო? ვერავინაც ვერ დაწერსო.

გაიგო აჰმედ ბეგმა ეს ამბავი და თქვა:

— ამას მე შევძლებო.

მართლაც, დაჯდა და დაწერა. თავისი სახელიც მიაწერა. ბეგს მიართვეს. იმან წაიკითხა და სხვების დაწერილზე უფრო აჰმედ ბეგის ლექსი მოეწონა. თავისთან დააძახებინა და უთხრა:

— დღეიდან ჩემს სასახლეში იცხოვრებო.

დარჩა აჰმედი და ცხოვრობს ბეგის სასახლეში. სასახლის ბაღში ხეზე ქალი იყო მიბმული. ქალს დღე და ღამ ორი კაცი ჰყარაულობდა. ერთხელ ერთმა უთხრა მეორეს:

— მოდი, რამე მიამბე, როგორმე დრო გავიყვანოთო.

— გიამბობ, მაგრამ იცოდე, ჩემი ნაამბობი გულს დაგწვავსო.

— მაინც მიამბეო.

— მე მდიდარი კაცის — აჰმედ ბეგის შვილი ვარ. დედას ორი ბიჭი ვყავდით. ჯერ იყო და სახლ-კარი გადაგვეწვა, მერე — ნიაღვარმა დიდძალი საქონელი მოგვტაცა და ზღვაში ჩაიტანა. მაშინ მამაჩემმა ჩვენ და დედაჩვენი ერთ შორეულ სოფელში წაგვიყვანა, სადაც მამაჩემს არავინ იცნობდა. მენახირედ დადგა. მამა ნახირს რომ გარეკავდა, ჩვენ სოფლის განაპირას ერთ სახლში ვრჩებოდით.

ერთხელ ჩვენი სახლის ახლოს ჯარმა კარვები დასცა. ჯარის უფროსმა სტაცა ხელი დედაჩემს, უნაგირზე შემოიგდო და გაიტაცა. ბავშვები მწარედ ვტიროდით, საღამოს მამა შინ რომ დაბრუნდა, ყველაფერი ვუამბეთ. იმავე ღამეს მამამ სოფლიდან წაგვასხა. დილით ერთ მდინარეს მივადექით. მამამ მითხრა, აქ მომიცადეო, შემოისვა მხრებზე ჩემი უმცროსი ძმა და გაღმა გაიყვანა. მობრუნდა და მე რომ გადავყავდი, გაღმა ნაპირზე დათვმა ჩემი ძმა მოიტაცა. მამამ ფეხს აუჩქარა. მე თავი ვეღარ შევიმაგრე და წყალში ჩავვარდი. საწყალმა მამაჩემმა ჩემი დაჭერა ვერ შეძლო. წყალმა წამიღო, წისქვილის ღარისაკენ გამაქანა. იქ კი წისქვილის ფრთას ჩამოვეკიდე. ამ დროს მეწისქვილეც მოვიდა, დამინახა და გადამარჩინა. თავისთან წამიყვანა და შვილივით გამზარდა. ჯარში წასვლამდე მასთან ვცხოვრობდიო.

მეორე ყარაულმა უთხრა:

— დათვმა რომ შენი უმცროსი ძმა გაიტაცა, მე ვარო. ის დათვი მონადირეებმა მოკლეს, მე კი ამიყვანეს და გამზარდესო. ბოლოს, მეც ჯარში წავედი. ხედავ, ძმები ვყოფილვართ, მაგრამ ჩვენი დედ-მამა როგორღა ვიპოვოთო?

ამ დროს ხეზე მიბმულმა ქალმა თქვა:

— თქვენ რომ ჰყარაულობთ, ის ქალი დედათქვენია. იმ კაცმა რომ მოიტაცა, ჩემი ცოლად შერთვა მოინდომა, მაგრამ უარი ვუთხარი. სანამ არ დავთანხმდები, ასე ვიქნები ხეზე მიბმულიო.

ამის გაგონებაზე ბიჭები მისცვივდნენ და დედა გაათავისუფლეს. ბეგს ამბავი მიუტანეს. ბეგი გაჯავრდა:

— დახოცეთ ის ბიჭებიო! — ბრძანა.

მაშინ აჰმედ ბეგმა უთხრა:

— თვითონ მივიდეთ და ვნახოთ, რაშია საქმეო.

ბიჭებმა ყველაფერი უამბეს.

ამის გაგონებაზე აჰმედმა თქვა:

— ხეზე მიბმული ქალი ჩემი ცოლია. ეს ბიჭები კი ჩემი შვილები არი-

ანო. ბეგო, რაც მოისმინე, მართალია. ახლა თვითონ გადაწყვიტე, როგორ მოიქცეო.

ბეგმა ბრძანა:

— რაკი ოთხივენი ერთნაირად ლაპარაკობთ, მეც სათქმელი აღარაფერი მაქვს და დაგლოცავთო.

ბეგმა აჰმედს დიდძალი ფული და საქონელი მისცა. მთელი ცხოვრება თავის დანაშაულს ინანიებდა და რაც შეეძლო, ეხმარებოდა.

აჰმედი ბედნიერად ცხოვრობდა. უწინდელზე უფრო მდიდარი იყო.

აი, ჩვენ ეს გაგვიგონია. თუ სხვას უკეთესი რამ გაუგონია, გვიამბოს.

მოხუცთა დახოცვის დასასრული

(ლეგენდა)

ჩვენი წინაპრები მოხუცებს ეუბნებოდნენ: „ღმერთმა ველური ვაზის ლერწით გათრიოსო".* აი, რატომ ეტყოდნენ ასე:

ძველად ხალხი დიდხანს ცოცხლობდა. თუ ღრმად მოხუცებული კაცი თავისი სიკვდილით არ მოკვდებოდა, მას ველური ვაზის ლერწს ჩააბამდნენ და ხევში ჩაიყვანდნენ.

ერთხელ ერთმა კაცმა მოხუც მამას ლერწი რომ ჩააბა და ხევში თრევა-თრევით ჩაჰყავდა, ბერიკაცმა თავი ქვას მიარტყა და გაიცინა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა შვილმა.

— როცა მამაჩემს ამ გზაზე მივათრევდი, იმანაც სწორედ ამ ქვას მიარტყა თავიო.

შვილი შეჩერდა და დაფიქრდა.

— რაზე ფიქრობ, ხევში აღარ მიგყავარო? — ჰკითხა მამამ.

— იმაზე ვფიქრობ, რომ ხვალ, ალბათ, მეც ამ ქვას მივარტყამ თავსო, — უპასუხა შვილმა, მამა ხელში აიყვანა და შინ დაბრუნდა. რამდენიმე წელი სახლში ჰყავდა დამალული.

ერთ დღეს ამ ქვეყნის ხალხი შეიკრიბა. ბეგი მოჰკვდომოდათ და ახალი უნდა აერჩიათ. ვინც გამთენიისას მზის სხივს პირველი მოჰკრავდა თვალს, ბეგადაც იმას აირჩევდნენ. შვილი შინ რომ დაბრუნდა, მამას უთხრა:

— ხვალ დილას, მზის ამოსვლისას, საკრებულო შეიყრება და ვინც პირველი დაინახავს მზის ამოსვლას, ბეგიც ის გახდებაო.

— დილაზე ყველა აღმოსავლეთისაკენ დაიწყებს ყურებას, შენ კი დასავლეთისაკენ გაიხედე და მათზე უწინ დაინახავ მზის სხივსო, — უთხრა მამამ.

მეორე დილით შეიყარა ხალხი. ყველამ აღმოსავლეთისაკენ დაიწყო ცქერა. ბერიკაცის შვილმა კი დასავლეთით გაიხედა და პირველმა დაინახა მზის ანარეკლი მაღალ კლდეზე.

— აი, მზეო! — შესძახა. ხალხი იმ მხარეს მიბრუნდა და ყველამ დაინახა მზე.

— ეს საიდან იცოდიო? — ჰკითხეს კაცს.

— მამაჩემმა მასწავლაო.

მაშინ მიხვდა ხალხი, რომ თურმე მოხუცები საჭირონი ყოფილან. აღარავინ მიათრევდა ლერწჩაბმულებს, პატივისცემით ექცეოდნენ.

ყელწითელა

ოდესღაც ჩერქეზეთში ცხოვრობდა ერთი კაცი, კაცს ჩანჩა ერქვა. ბევრი ამხანაგი და მეგობარი ჰყავდა. მისი სასტუმრო სახლის კარი სულ ღია იყო გამვლელ-გამომვლელისათვის. დაუპურებელს არავის გაუშვებდა. ერთხელ მის კარ-მიდამოში ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და მასპინძელს დაუძახა. ჩანჩა სტუმარს გაეგება.

— შემოდიო, — შეიპატიჟა.

— ძალიანაც მინდა შემოსვლა, მაგრამ არ შემიძლია. მტერი კვალში მიდგას, საცაა დამეწევა. თუ გავუმკლავდი, შემოვალ, თუ არა და, შენს სახლს გვერდზე ჩავუვლიო.

— თუ სტუმრად მოსულხარ, შემოდი. შენს თავს არავის დავანებებ, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდესო.

მხედარი ჩამოქვეითდა და სასტუმრო სახლში შევიდა. ცოტა ხანში მდევარიც გამოჩნდა. მასპინძელს დაუძახეს. ჩანჩა გაეგება.

— თუ სტუმრად მოსულხართ, შემოდითო.

— ვერ შემოვალთ. ვიცით, ვისაც ვეძებთ, მანდ იმალება. ის გვინდაო.

— ის ჩემი სტუმარია და სტუმრის ღალატი კი არ იქნებაო, — უპასუხა ჩანჩამ, მაგრამ, როცა შეატყო, რომ მომხდურებმა მისი ნათქვამი ვერ გაიგეს, დაუმატა:

— უწინამც თავს გავწირავ, ვიდრე სტუმარს ვუღალატებო.

მაშინ მდევარი გაბრაზდა. კარისაკენ წაიწია. ჩანჩა წინ გადაუდგა და:

— აი, ჩემი თავიო! — შეუყვირა.

ეცნენ ცხენოსნები ჩანჩას და თავი მოჰკვეთეს, მაგრამ, ღვთის ნებით, ჩანჩა ყელწითელა (სისხლისაგან) პატარა ჩიტად იქცა და ცაში აფრინდა. იმავ წუთს ცხენოსნებიც ფრინველებად იქცნენ. ყელწითელა პატარა ჩიტი

ზამთრობით სოფელში მოფრინდება ხოლმე, სახლებში შეფრინდება და გამოფრინდება. ცხენოსნები კი ღამის ფრინველებად იქცნენ, ტყეში ემალებიან ადამიანის თვალს, ღამღამობით დაფრინავენ, ნანობენ ჩადენილ ცოდვას და იძახიან: „ჰუ-ჰუ-ჰუ-ჰუ!“

ამიტომ კარგად მოექეცი სტუმრად მოსულ კაცს, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს.

ერთხელ მეც ვიყავი ჩანჩას სოფელში. დიდი დღესასწაული იყო. ხალხში გავერიე, ვიცეკვე და ვიმღერე, ვჭამე და ვსვი. წამოსვლისას საქონლის ნახევარი თავი მომცეს. წამოვიღე, ვიფიქრე, ვინც ჩემს ზღაპარს მოისმენს, იმას ვაჭმევ-მეთქი, მაგრამ გზაში ავი ძაღლი შემომეფეთა. ის ნახევარი თავი იმას მივუგდე, გზა რომ დაეთმო. ასე მოვედი შინ. ესეც ზღაპრის დასარული. გუშინ რომ იქ ვიყავი, დღეს აქა ვარ.

ქუშიკუ ბეგი

იყო ერთი ბეგი. გამუდმებით ომობდა. წავიდოდა სადმე სალაშქროდ და ორი-სამი წლით დაიკარგებოდა, დალაშქრავდა კაზაკთა ქვეყანას, წამოასხამდა ტყვეებს და ასე გრძელდებოდა წლიდან წლამდე. დღედაღამ იბრძოდა. სხვა საქმე არცა ჰქონდა და არც იცოდა რამე.

ბოლოს დაბერდა და სალაშქროდ წასვლა ვეღარ შეიძლო. მის მეზობლად ერთი ახალგაზრდა ბეგი ცხოვრობდა, ქუშიკუ ერქვა. იხმო მოხუცმა ბეგმა ქუშიკუ და უთხრა:

— მე უკვე დავბერდი. ამიერიდან ბეგის მოვალეობა შენ უნდა იკისრო. მე რაც ვიცოდი, ყველაფერი გასწავლე. ახლა შენ იცი, როგორ დაიცავ ქვეყანასო.

დაიწყო ახალმა ბეგმა სალაშქროდ სიარული. თავს ესხმოდა კაზაკთა ქვეყანას, იბრძოდა და საკუთარ მიწა-წყალს იცავდა. შინ დაბრუნებული ჯერ მოხუც ბეგთან შეივლიდა და უამბობდა ყველაფერს, რაც ენახა და გაეგონა.

ერთხელაც ქუშიკუმ სამი წელი გაატარა ლაშქრობაში. შინ დაბრუნებისას თავის მხლებლებს გამოასწრო და პირდაპირ მოხუცი ბეგის სასტუმრო კარავში მივიდა. იქ მეზობლებს მოეყარათ თავი. ქუშიკუ ხელზე ემთხვია მოხუც ბეგს და განზე გადგა.

— კეთილი იყოს შენი დაბრუნება. რა ამბები ჩამოიტანეო? — ჰკითხა მასპინძელმა.

— რაც ვნახე, დიდი არაფერია. მხოლოდ ერთმა ამბავმა გამაოცა.

გუშინწინ დილას გზად ერთ ხესთან გავიარე. ხეზე სამი წყვილი ფეხსაცმელი დავინახე. ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. სამივეს ხის კენწეროზე ასვლა უნდოდა და ერთმანეთის გადმოგდებას ცდილობდნენ.

— რას იზამ, ხდება ხოლმეო, — თქვა მოხუცმა ბეგმა.

— გუშინ დილას კი, — განაგრძო ქუშიკუმ, — ძალზე ლამაზი არსება ვნახე. ასეთი სილამაზის შექმნა მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლია. ვიფიქრე, შევისვენებ და ამ სილამაზით დავტკბები-მეთქი, მაგრამ რომ მივუახლოვდი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს არსება მხოლოდ კისრის ზემოთ იყო ლამაზი. კისრის ქვემოთ კი ჭუჭყსა და სიბინძურეს აევსო. ამ დილით კი დიდი ველი გადავიარე. ველზე ხალხი შეკრებილიყო. ვნახავ, რაზე შეკრებილან-მეთქი, ვთქვი და მივუახლოვდი. ვხედავ, ღვთის მიერ ჩვენთვის ნაბოძებ წიგნებს ხევენ და ტალახში ყრიან. ამანაც ძალიან გამაოცაო.

მოხუცმა ბეგმა დიდხანს იფიქრა, შემდეგ თქვა:

— ქუშიკუ ბეგ, ამ ქვეყანაზე ბევრი მივლია. დიდხანს ბეგიც ვიყავი და ვიცავდი ჩვენს მიწა-წყალს, მაგრამ მაინც ვერ შევძელი იმდენი რამის ნახვა და გაგება, რაც შენ ნახე და გაიგე. რაც უნდა გენახა, ნახე, რაც უნდა გაგეგო, გაიგე. დღემდე ყველა ბეგი იხდიდა თავის მოვალეობას, მაგრამ ბეგობასაც აქვს დასასრული და ეს დასასრული დღეს დადგა. ახლა დროა, შენც დაკიდო შენი ხმალი კედელზე. დღეს ბეგების უკანასკნელი დღეა. დღეიდან ბეგები აღარ იქნებიან. წადი და ყველაფერს თავი დაანებე. შენ გაიგე ის, რისი გაგებაც მე ვერ შევძელი და ვერც სხვები შეძლებენო, — ამ სიტყვებით შეწყვიტა მოხუცმა ბეგმა საუბარი.

მაშინ იქ მყოფმა მეზობლებმა ჰკითხეს მოხუც ბეგს:

— ქუშიკუ რომ მოვიდა, შენ მას ახალი ამბები გამოჰკითხე. მანაც თითქოს ყველაფერი მოგახსენა, მაგრამ მისი ნათქვამისა ვერაფერი გავიგეთ. გაგვაგებინეო.

— მან ხომ სიმართლე თქვა, რატომ ვერ გაიგეთო?

— თუ აგვიხსნი, ჩვენც გავიგებთო, — უპასუხეს.

— გუშინწინ, როცა ბეგი შინ ბრუნდებოდა, ხეზე სამი წყვილი ფეხსაცმელი ერთმანეთს ეჩხუბებოდა, ხის კენწეროსაკენ მიიწევდნენ და ერთმანეთის ჩამოგდებას ცდილობდნენ. დადგება დრო, როცა ადამიანები ბეგის ადგილისათვის ერთმანეთს ბრძოლას გაუმართავენ და ვერ მორიგდებიანო.

— ეს როგორ იქნება?! თუ ადამიანები ერთმანეთს ანგარიშს არ გაუწევენ, როგორღა უნდა იცხოვრონო? — გაუკვირდათ მეზობლებს.

— თუნდაც რომ ვეღარ იცხოვრონ, ასეთი დრო მაინც დადგება. მეორე

დღეს ქუშიკუმ რომ მშვენიერი არსება დაინახა და მიუახლოვდა, ნახა, რომ ეს არსება მხოლოდ კისერს ზემოთ იყო ლამაზი, კისერს ქვემოთ კი ათასი სიბინძურის ტიკად ქცეულიყო.

— ეს რაღააო?

— ეს ის არის, რომ ამქვეყნად ადამიანზე მშვენიერი არაფერია, თუ მას თავში ჭკუა აქვს, მაგრამ თუ ჭკუა აკლია, სიბინძურით სავსე ტიკად იქცევა. ამ დილით აქეთ მომავალი ქუშიკუ ველზე თავშეყრილ ხალხში რომ გაერია, ნახა, რომ ყველაფერს, რაც კი ღმერთს რწმენისათვის უბოძებია, ყველაფერს, რაც ცხოვრების წესს გვასწავლის, ყველა წიგნს, მათ შორი ყურანსაც კი, ხევდნენ და ტალახში ყრიდნენო.

— ეს რაღააო?

— მოვა დრო და ჩვენს წიგნებს, ჩვენს ყურანს, რომელიც ჩვენი ცხოვრების საფუძველია, ტალახში გადაისვრიანო.

— თუ მართლა დადგება ასეთი დრო, როცა ტალახში გადაისვრიან იმ წიგნებს, რომლებიც ცხოვრებას გვასწავლის, როგორღა ვიცხოვროთო?

მოხუცმა ბეგმა თქვა

— ასეთი დროც დადგებაო.

ქალის ჭკუა

იყო ერთი კაცი. ფულის საშოვნელად სხვა ქვეყანაში წავიდა. იქ ერთ წელიწადში ხუთას ლირას* მოუყარა თავი.

„სად შევინახო ეს ფული? მოდი, ყადის* მივაბარებ და როცა დამჭირდება, გამოვართმევო“, — იფიქრა კაცმა.

მაგრამ შინ დაბრუნება რომ დააპირა და ყადის მიაკითხა, მან ფულზე უარი უთხრა:

— შენ ჩემთვის არაფერი მოგიბარებიაო.

კაცმა აღარ იცოდა, რა ექნა. „ხომ ვერ მოვკლავ. რაღა ვქნა, რა ვიღონოო“, — ფიქრობდა.

მწარე ფიქრებში წასული გზის პირას რომ იჯდა, ვიღაც ქალი მიუახლოვდა.

— რამ დაგაღონაო?

— ყადის ხუთასი ლირა მივაბარე და აღარ მიბრუნებს, მეუბნება, არ მოგიციაო.

— მაგაზე ნუ დარდობ, ხვალვე მივაკითხოთ და ფული დავიბრუნოთო.

მეორე დღეს ქალმა აიღო ფუთა, წაიყვანა თან ერთი გოგო, ფულის პატრონი კაცი და ყადისთან მივიდნენ.

— თქვენ აქ მომიცადეთ, მე მარტო შევალო, — თქვა ქალმა.

შევიდა და უთხრა ყადის:

— ჩემი ქმარი მეზღვაურია და ახლა შორს, ზღვაშია წასული. მე კი ბევრი ოქრო და ბრილიანტი, ლალი და მარგალიტი მაქვს, მოკლედ, დიდი სიმდიდრის პატრონი ვარო, — და რაც ფუთაში ჰქონდა, ყადის აჩვენა. მერე უთხრა:

— მინდა, მთელი ეს თვალ-მარგალიტი შენ მოგაბარო. როცა დამჭირდება, დამიბრუნეო.

ეს უთხრა და ფეხი დააბაკუნა. გარეთ რომ მოტყუებული კაცი ელოდებოდა, იმას ანიშნა, შემოდიო. კაციც შევიდა და ყადის უთხრა:

— ჩემი ხუთასი ლირა მომეციო.

— დაბრძანდი, ახლავე მოგართმევო, — უთხრა ყადიმ, გავიდა და კაცს ფული შემოუტანა. კაციც მაშინვე წავიდა. ამ დროს გოგო შემოვარდა:

— ჩქარა წამოდი, მამა დაბრუნდაო!

ქალმა საჩქაროდ შეკრა თავისი ფუთა და გავიდა.

— ახლა ხომ ხედავ, რა შესძლებია ქალსაო. ქალი ბევრ ისეთ რასმე მოიფიქრებს, კაცის ჭკუა რომ ვერ გასწვდებაო, — უთხრა კაცს.

დიღუ დიდარიყუს თავგადასავალი

დიდარიყუს ფილოსოფია

ერთხელ დიდარიყუ ერთ ოჯახს ესტუმრა. მეორე ოთახში კერძს ამზადებდნენ. ოჯახის უფროსი სტუმარს უნდა გამასპინძლებოდა. ისმოდა ჯამში ჩატეხილი კვერცხების ტკაცანი. დიდარიყუ წამოხტა და „ტალაფარიშუ“* ჩამოუარა. შემოვიდა მასპინძელი და ჰკითხა:

— რას აკეთებო?

— გვერდით ოთახში ტაშს უკრავენ, მე კი აქ ვცეკვავო.

ამ დროს ზღურბლზე მამალი გამოჩნდა. დიდარიყუ მაშინვე წამოხტა, ხელი ხელს მიადო და მამალს მოწიწებით მიესალმა.

— რას აკეთებო? — ისევ ჰკითხა მასპინძელმა.

— ეს მამალი რომ არ ყოფილიყო, რა უნდა გვეჭამაო? — გაიცინა დიდარიყუმ.

შემდეგ სუფრაზე ერბოკვერცხი და სიმინდის ღომი შემოიტანეს და მადიანად მიირთვეს.

დიდარიყუს თურქული

ერთხელ დიდარიყუ მეზობლებში რომ იჯდა, ერთმა მეზობელმა უთხრა:

— ბალიქესირის* ვალისთან* წადი და უთხარი, ერთი ხარი მოგცეს. ნამდვილად უარს არ გეტყვის. მერე ბურსის* ვალი ნახე და ერთი ხარიც იმას სთხოვე. უარს არც ის გეტყვის. ორი ხარი რომ გეყოლება, ყანას დაგიხნავ და უშრომლად მიიღებ მოსავლის ნახევარსო.

დიდარიყუს ჭკუაში დაუჯდა.

— ეს რა კარგი აზრი მომაწოდე, სწორედ ეგრე ვიზამო.

მივიდა ბალიქესირის ვალისთან.

— რა გინდაო? — ჰკითხა ვალიმ.

დიდარიყუმ თურქულად უპასუხა:

— სენ ბირ ოქუზ.*

ვალის გაეცინა და ერთი ხარი უყიდა.

დაბრუნდა დიდარიყუ სოფელში თავისი ხარით. ხარი მეზობელს მისცა, თვითონ კი ცხენზე შეჯდა და ბურსას წავიდა. ვალისთან რომ შევიდა, იმან ჰკითხა:

— რა გინდაო?

რადგან დიდარიყუმ თურქული ცუდად იცოდა, ვალის დამტვრეული თურქულით უთხრა:

— ბალაქესირის ვალი ერთი ხარი, შენც ხარიო.

ამის გაგონებაზე ვალი გაჯავრდა და ჩაფრებს უბრძანა:

— ეს კაცი დაიჭირეთო!

დიდარიყუ გარეთ გავიდა და შინ წასვლა დააპირა, მაგრამ ჩაფრები შემოეხვივნენ და დაიჭირეს. ამ ამბავს მისი ერთი ნაცნობი შეესწრო. ის შევიდა ვალისთან და უთხრა:

— ამ კაცმა თურქული არ იცის და კარგად ვერ გითხრა თავისი სათქმელი. მაგას უნდოდა ეთქვა, ბალიქესირის ვალიმ ერთი ხარი მომცა, ერთს შენ რომ მომცემდე, კარგად ვიმუშავებო.

მაშინ ბურსის ვალიმაც სიცილი დაიწყო.

— კარგიო, — თქვა და იმანაც უყიდა ერთი ხარი. დიდარიყუ დაბრუნდა თავის სოფელში და ის ხარიც მეზობელს მისცა. მეზობელმა ხარები

უღელში შეაბა და მუშაობას შეუდგა. ხნავდა, თესავდა დიდარიყუს მინდორს და მოსავლის ნახევარს მას აძლევდა. დიდარიყუს წყალობით სიკვდილამდე სარჩო არ მოჰკლებია.

დიდარიყუს მეგობარი

დიდარიყუს ბევრი მეგობარი ჰყავდა. ჩვევად ჰქონდა: შეჯდებოდა ცხენზე და ჩამოივლიდა თავის მეგობრებს. ედრემიტში ერთი მეგობარი ჰყავდა. ერთ დღეს თქვა, „წავალ ედრემიტში და ცოტა ზეითუნის ზეთს წამოვიღებო“. მართლაც წავიდა. მეგობარი სიხარულით შეეგება. ერთ დღე-ღამეს დარჩა.

— მეგობარო, ჩემი წასვლის დროა. ცოტა ზეითუნის ზეთს რომ მომცემდე, წავიღებდიო.

— მოგცემო, — უთხრა მეგობარმა და ორი თუნგი ზეთი მისცა. წამოიღო დიდარიყუმ ზეთი და სოფელში დაბრუნდა. როცა იშოვიდა რასმე, აუცილებლად მეზობლებსაც უნაწილებდა ხოლმე. ახლაც გახსნა ერთი თუნგი და ცოლს უთხრა:

— ეს მეზობლებს გაუნაწილე, ჩვენ ერთი თუნგიც გვეყოფაო.

ცოლმა ერთი თუნგი ზეთი ყველა მეზობელს არგუნა.

— ახლა მეორეს ავხადოთო, — თქვა ქმარმა. აჰხადეს და რას ხედავენ! თუნგში ზეთის ნაცვლად წყალი დგას. დიდარიყუ ძალიან გაჯავრდა. აიღო წყლით სავსე თუნგი და უკან მიუტანა პატრონს. მის ეზოში დააგდო.

ამ დროს პატრონიც შემოვიდა ეზოში.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, შინ შემოდიო, — უთხრა დიდარიყუს.

შენისთანა მეგობრის სახლში რა შემიყვანსო, — უთხრა დიდარიყუმ, — უსირცხვილოდ წყალს მაძლევ და მეუბნები, ზეთიაო, დამცინი არა?

მაშინ მეგობარმა უთხრა:

— ეჰ, დიდარიყუ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ? ვიცოდი, წყალს რომ ნახავდი, გაბრაზდებოდი და უკან მოხვიდოდი. მინდოდა, ერთხელ კიდევ მენახე. ახლა კი ამის სამაგიეროდ ორ თუნგ ზეთს მოგცემო. შეიყვანა შინ დიდარიყუ, აღარ გამოუშვა, იმ ღამეს კარგად სვეს, ჭამეს. რომ გათენდა, მეგობარმა ცხენს ორი თუნგი ზეთი აჰკიდა. დიდარიყუც ამხედრდა და თავის სოფელში დაბრუნდა.

სალოცავად წასული დიდარიყუ

ერთხელ დიდარიყუმ დაინახა, რომ შეყრილიყვნენ მისი სოფლელები და მექას* მიმავალ კაცებს ტირილით ეთხოვებოდნენ — ხელებსა და თვალებს უკოცნიდნენ.

— რა გატირებთ? იქ წასული უკან აღარვინ დაბრუნებულა? ქალებისა და ბავშვებისა მაინც შეგრცხვეთო, — გაუწყრა დიდარიყუ.

— შენ რა გესმის? იცი, სად არის ქააბაო?*

— თუ ამ ცხენით ამათ იქ არ ჩავასწრო და უკანაც არ ჩამოვასწრო, მაშინ დამცინეთო, — უთხრა დიდარიყუმ.

ხალხმა სიცილი დააყარა. დიდარიყუ კი ცხენზე შეჯდა და წავიდა. იარა, იარა და ქააბაშიც ჩავიდა. მისი სოფლელები რომ ჩავიდნენ, იქ დახვდა. გაუკვირდათ.

— როდის ჩამოხვედიო? — ჰკითხეს.

დიდარიყუმ მათთან ერთად ილოცა, შემდეგ დაწინაურდა და სოფელში სხვებზე ადრე ჩამოვიდა. მლოცველები კარგა მოგვიანებით დაბრუნდნენ და რომ დაინახეს, დიდარიყუ ისევ სოფელში იყო, გაოცებულებმა თქვეს:

— ქააბაში რომ ჩავედით, ეს კაცი იქ დაგვხვდა, აქაც ჩვენზე ადრე ჩამოვიდაო.

აი, ასეთი საკვირველი კაცი იყო დიდარიყუ.

დიდარიყუ წისქვილში

ერთ დღეს დიდარიყუმ ტომარაში სიმინდი ჩაყარა, ცხენს აჰკიდა და წისქვილში წაიღო. მისი ჯერი რომ მოვიდა, ტომარა ხვიმირაში მოაპირქვავა, თავად იქვე ჩამოჯდა და ფქვილის ჩამოსვლას დაელოდა, მაგრამ ვინ დააცადა?! როგორც კი ფქვილი ჩამოვიდა, მოვიდა ერთი მეწისქვილე, გაივსო ერთი ჯამი და წაიღო მინდი. მერე მეორე მეწისქვილე მოვიდა და იმანაც ერთი ჯამი ფქვილი წაიღო. ასე, რომ ოთხმა მეწისქვილემ ოთხი ჯამი მინდი წაიღო. მერე უფროსი მეწისქვილე მოვიდა და იმანაც ერთი ჯამი მინდი აიღო. მანამდე დიდარიყუ ჩუმად იჯდა, ხმას არ იღებდა. ბოლო მეწისქვილე რომ მოვიდა, ფქვილიც გამოილია. ცოტაღა დარჩა.

— ესეც აიღეთ და სადაც გინდათ, იქ წაიღეთ, თავზე გადაიყარეთო! — უთხრა გაჯავრებულმა დიდარიყუმ.

— რა მოხდა, დიდარიყუ? — ჰკითხა უფროსმა მეწისქვილემ.

— რა უნდა მომხდარიყო?! ყველამ სათითაოდ აიღეთ მინდი, ყველამ წაიღეთ თითო ჯამი ფქვილი და მე აღარაფერი დამრჩაო.

— ეს როგორ შეიძლებაო? — უთხრა მეწისქვილემ.

— თუ არ შეიძლება, შენს მუშებს ჰკითხეო.

მეწისქვილემ სათითაოდ მოიყვანა მუშები.

— ამ კაცისაგან მინდი აიღეო?

— ავიღე. რა ვიცოდი, სხვებმაც თუ აიღესო.

მიხვდა მეწისქვილე, რომ დიდარიყუ მართალი იყო და სიცილი დაიწყო.

— რა გაცინებსო?

— რატომ ხმას არ იღებდიო?

— მინდოდა, მენახა, რას იზამდითო.

— სხვას არავისა აქვს შენისთანა მოთმინება. ახლა იმასაც დაგიბრუნებთ, რაც ავიღეთ და რაც მოიტანე, ერთ იმდენსაც დაგიმატებთო.

მართლაც, ტომარა გაუვსეს და ისე გაისტუმრეს შინ. ცოლმა სავსე ტომარა რომ დაინახა, ჰკითხა:

— ნახევარი ტომარა წაიღე და სავსე მოიტანეო?

— შენც ჩემისთანა მომთმენი რომ ყოფილიყავი, ორი ტომარა გვექნებოდაო, — უთხრა ქმარმა სიცილით.

კარდალა ღომით გაავსეს, სუფრას მიუსხდნენ და გემრიელად მიირთვეს.

დიდარიყუ, მისი ვალი და მოწმე

დიდარიყუს ხარი მოუკვდა. იფიქრა, „წავალ, ერთ ხარს ვიყიდი და ცალად დარჩენილ ხართან უღელში შევაბამო“. მიადგა ერთ მდიდარ მეზობელს და უთხრა:

— ერთი ხარი მომიკვდა. შენ ბევრი საქონელი გყავს. იაფად თუ მომყიდი, ერთ ხარს ვიყიდიო.

— ძალიან კარგი, — უთხრა მეზობელმა, — ფული თუ გაქვსო?

— არა მაქვს, მაგრამ გირაოდ რამეს მოგცემო.

— მაინც რას მომცემო?

— ჩემი გირაო ჩემი წვერიაო, — წვერზე ხელი წაივლო დიდარიყუმ, — ღმერთმა იცის, არ ვიტყუებიო.

— კარგი, — უთხრა მეზობელმა და ხარი მისცა. დიდარიყუმ ხარი წაიყვანა.

გავიდა ერთი წელი, მაგრამ დიდარიყუმ ხარის საფასური ვერ გადაიხადა. ხარის პატრონმა ერთი-ორჯერ მიაკითხა.

— ფულს მე თვითონ მოგიტანო, — უთხრა დიდარიყუმ და გაისტუმრა.

გავიდა კიდევ წელი. ხარის პატრონმა იფიქრა: „ერთხელ კიდევ მივალ. თუ გადამიხდის, ხომ კარგი, თუ არა და, ვეტყვი, ხალხში გამოგაჭენებ-მეთქი და უკან წამოვალო". შეჯდა ცხენზე და დიდარიყუსკენ გასწია. მის სახლს რომ მიუახლოვდა, დიდარიყუმ ფანჯრიდან დაინახა და გამოეგება.

— მობრძანდიო, — უთხრა, ცხენიდან ჩამოსვა, სასტუმრო სახლში შეიპატიჟა. იმ საღამოს სვეს, ჭამეს. რომ გათენდა, დიდარიყუმ სტუმარს ჰკითხა:

— ძმაო, მითხარი, რისთვის მოსულხარ? თუ რამის თქმა გინდა, თქვიო.

სტუმარმა უთხრა:

— სათქმელი ბევრი არაფერი მაქვს. მე შენ ადრე ხარი მოგყიდე. ორ-სამჯერ ფულისათვის მოვედი. ახლაც იმის სათქმელად მოვსულვარ, თუ მომცემ ფულს, ხომ კარგი, თუ არა და ხალხში თავს მოგჭრი-მეთქი.

ამაზე დიდარიყუმ უპასუხა:

— ძმაო, რა კარგი რამ გიფიქრია. მე კი სულ იმაზე ვფიქრობდი, ეს ჩემი გირაო — წვერი — რატომ გამითეთრდა-მეთქი. ოღონდ გთხოვ, ხალხში რომ გავერევი, გვერდიდან არ მომშორდე, თორემ თან რომ მაქვს, იმ ფულს იმას მივცემ, ვინც შენზე ადრე მოვაო.

ამის გაგონებაზე ხარის პატრონს სიცილი აუტყდა.

— რა გაცინებს? სიმართლეს გეუბნები, რადგან ძალიან მიყვარხარო.

ხარის პატრონმა უპასუხა:

— აღარ მინდა ხარის საფასური. დედის რძესავით შეგარგოს ღმერთმაო.

— ღმერთი სიკეთით გადაგიხდისო, — უთხრა დიდარიყუმ და სტუმარი შინ გაუშვა.

ამის შემდეგ, სადაც ნახავდნენ ერთმანეთს, სიყვარულს ეფიცებოდნენ. ასე იყო, ვიდრე ორივე არ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ავი საქმის მკეთებელი სიკეთეს არ უნდა ელოდეს.
ბებერ თხას თუ სიკვდილი არ უწერია, ეკლის ბუჩქიც გადმოეხრება.
გადმოფურთხებულ წყალს ნუღარ დალევ.
გამზადებულ კერძს ცივ წყალს ნუ გადაასხამ.
გველი იმას კბენს, ვინც მას ათბობს.
გულს თუ არ უნდა, თვალი ვერ დაინახავს.
დიდ მდინარეებს ნაკადულები ქმნიან.
დიდი პირი საჭმელად გააღე და არა საყბედადო.
ერთ იღლიაში ორი ნესვი ვერ მოთავსდება.
ერთი პირიდან გამოსული ას პირში შევაო.
ვინც დაჭრილი არა ყოფილა, ჩემს ჭრილობა იმას ნუ შეახვევინებ.
ვინც შენ არა გგავს, იმას მოსაუბრედ ნუ გაიხდი.
ვინც სახლიდან ხშირად გადის, ერთხელ ოქროთი სავსე ქისას იპოვის.
ვისაც უყვარხარ, გატირებს, ვისაც სძულხარ — გაცინებს.
თაფლი ტკბილია, მაგრამ ყველას როდი უყვარს.
თმა გრძელი და ჭკუა მოკლეო.
თუმც პირს იშაქრავ, გული სუფთა არა გაქვს.
იმ ურმის სიმღერა თქვი, რომელზეც ზიხარ.
კაცი ცხენზე რომ ვერ შეჯდება, უნაგირს დაუწყებს ცემას.
კაცს თავისი სიავე დაღუპავს.
კაცს თუ ბედი არ სწყალობს, აქლემზე შემჯდარსაც ძაღლი უკბენს.
კეთრი ღარიბის ხვედრიაო.
მამაზე გაბრაზებულმა დედა მოკლაო.
მართალი კაცი სიცრუის მსხვერპლი შეიძლება გახდეს.
მარილიდან მარილიანი წყალი გამოვა.
მაცნეს არ კლავენ.
წყალში რომ ქვებია, ისინიც ეჯახებიან ერთმანეთს.
მეგობართან ვაჭრობას ნუ გამართავ.
მოახლე გოგოსგან ქალბატონი არ დადგებაო.
მოიქეც ისე, როგორც უფროსი დაგარიგებს, ჭამე ის, რასაც უმცროსი გააკეთებს.
მოკლულ ნადირს ორჯერ არ ატყავებენო.
ნუ გაანდობ საიდუმლოს სტუმარს, რომელიც ვითომც სიკვდილამდე შენთან ყოფნას აპირებს.
როგორც ქუხს, არც ისე წვიმს.

გამორთმევისას სიხარულით გამოართვი, დაბრუნებისას — ფეხი დაგიმძიმდაო.

სადაც კატა არ არის, იქ თაგვი ცეკვავსო.

სადაც ფუტკარია, თაფლიც იქ არისო.

სანამ ფონს არ მიაღწევ, შარვალს ნუ აიწევ.

სანამ ხელი მუშაობს, პირი ჭამს.

სხვისი ტყავი კაცს არ სტკივა.

ტოტი რომ გახმება, მერე ვეღარ მოხრი.

უდროოდ ძაღლიც დაყეფსო.

ქათამი იმას გამოქექავს, რაც თავს დააკარგვინებს.

ქვას რომ დაგარტყამს, ყველი დაარტყიო.

ქვასაც წვენს გამოადენ.

ცხენის მტერი მისივე ფეხია.

ცხენს თუ ნებაზე მიუშვებ, კუდზე ნუღარ ჩამოეკიდები.


ძაღლის ლეშს ჭაში ნუ ჩააგდებ.

ძაღლს თავზე ნუ გადაუვლი, გიკბენს.

ხანჯლით დაკოდილი მორჩება, ენით — არა.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორი

ვაინახთა ფოლკლორი



პოეზია

ჰაი, ჰალა, ჰალა

ჰაი, ჰალა, ჰალა!
წვიმა მოგვეც, დეელა!*
ყანები ახარე, სიელა!*
კატის კუდისხელა თავთავი მოასხმევინე!
მარცვალი ირმის კუდისხელა გახადე!
ჰაი, ჰალოა, ჰალოა!
ჰაი, ჰალოა, ჰალოა!
ჰაი, ჰალა, ჰალა!

თესვისას...

თესვისას გერდებით* რომ აწყვეს,
მკისას ურმებით გამოსაზიდი გახდეს,
გერდზე ურემი მოვიდეს,
კვალს კვალი გაჰყვეს,
ურემს ურემი მიჰყვეს,
ჯალაბი ოჯახში სიამტკბილობაში იყოს!

ძველი ინგუშური სიმღერა

იმ ვერან ქვეყანაში, დამტირებელი დედა სადაც არა გყავს,
იმ მტრების ქვეყანაში, მოზარე და სადაც არა გყავს,
განა დამტირებელი დედა არ არის მშიერი მგელი,
განა მოზარე და არ არის შავი ყორანი,
სადაც დაულამდება, ლურჯი ფრინველი იქ იდებს ბინას,
სადაც მრისხანე ომია, შენც უმალ იქ ჩნდები ხოლმე,

ლომგულო ვაჟო!
ლურჯი ზეცა, თავზემოთ რომ ვხედავთ,
ნაბდად ვინ მოისხა და ვინ გაცვითა, ანდა ვინ გაცვეთს?
შავი მიწა, ფეხქვეშ რომ ვხედავთ,
წუღის ძირივით ვინ გაცვითა, ანდა ვინ გაცვეთს?

ჩვენ თუ არ ვიმღერეთ, თავი თუ არ შევიქციეთ,
ვიწრო სამარეში, გვერდსაც რომ ვერ მოინაცვლებ,
სიმღერა ვინ თქვა, ანდა ვინ იმღერებს?
ჩვენ თუ არ ვიმღერეთ, თავი თუ არ შევიქციეთ,
სიელა-სათა მისრეთის ნემსით არას დაკემსავს,
ჩვენ თუ არ ვიმღერეთ, თავი თუ არ შევიქციეთ,
მოციქულთა გუთანი კვალს ვერ გაიტანს,
ხარირემი ყვირილით ფურირემს იხმობს,
შევარდენი ყივილით სოლსას მტრედებს იხმობს,
თურმე ეს ხარირემი არ ყოფილა,
თურმე ეს შევარდენი არ ყოფილა,
ესენი საომრად შეყრილი ლომგული ბიჭები იყვნენ.

სიმღერა მოჩაყაზე

მოჯარდით, დებო,
სიმღერა ვიმღეროთ.
ვისაც მკერდში გული უდევს,
გული რომ შეუძრას, ისე ვიმღეროთ.
ვისაც გულში ნაღველი აქვს,
ნაღველი რომ გაუფანტოს, ისე ვიმღეროთ.
ზემოთ მზე ანათებს,
ქვემოთ მიწას აწვიმს
ორ მთას შორის ხეობას.
მზეს მიფიცხებული
გოროზი ირმებივით
მზის გულზე შეყრილხართ,
სალხენად შეყრილხართ,
ყმაწვილკაცებო.
ყური დაუგდეთ, ვაჟებო,

სიმღერას, რომელსაც მღერიან.
კეთილშობილ წინაპართა
შთამომავალი ხარ,
დიდებულო მოჩაყა.

მშვიდობით გევლოს,
საწადელი აგსრულებოდეს,
რაც შენს გულს მოესურვოს,
სულს მისცემოდეს.
ნუ შეგშურდება, მოჩაყა,
ამ ხალხის სიმრავლე,
განა ღორები
მრავლად არ არიან?
შენი ბედაურის ნალები
ოქროსი იყოს,
ნალის ყაირი*
ვერცხლისა იყოს.
შენ რომ გაღმა გახვედი
ლურჯთვალა თერგზე,
ნეტავ, ძალა მომცა და
მუხის ხიდი გამადებინა.
მაგრამ განა მუხის ხიდი არ არის
ბედაური, შენ რომ აჭენებ?
განა ხიდის ბოძები არ არის
მაგ ცხენის ფეხები?
სადაც შენ ისვენებ,
იმ ტრიალ მინდორზე,
ნეტავ ძალა მომცა და
ბამბის ლოგინი დამაგებინა.

უშიშარი სოსი

ფლოქვი მგლის თათისხელაც რომ არა აქვს,
იმ გაუხედნავი კვიცის
სალ კლდეზე გამხედნავი
უშიშარი სოსი

ჩიტი ფრთას რომ ვერ გაშლის
ამ შოვხალის ტყეში —
უბელო ცხენს ათამაშებს
უშიშარი სოსი!
ჭენებით მავალ მხედართა ჯგუფში
სიარულზე იცნობა შენი ქურანი ცხენი,
მჭიდროდ შეკრულ ქვეითთა ჯგუფში
თამაშით იცნობა შენი ლომებრი მხრები.
მდინარის ფონებში, მამაცნი რომ გადიოდნენ,
უშენოდ ვერ ბედავენ გასვლას,
სადაც ხვნას იწყებენ,
იმ ვაკე ადგილებში,
კაცები ვერ თანხმდებიან საქმეზე,
შენ წინ თუ არ გაუძღვები.
ილდარ*-ქალაქის ქვემოთა სანახებს
ომით აზანზარებ, უშიშარო სოსი,
ილდარ-ქალაქის ზემოთა სანახებს
ნადავლით ანებივრებ, უშიშარო სოსი,
ნადავლს რომ ფხიზლად დარაჯობ,
მდევარს რომ ყურადღებას არ აქცევ,
სატრფოს გახსენებაზე ცხენს მათრახს შემოჰკრავ,
ამხანაგის გახსენებაზე იარაღს ხელს ჰკიდებ,
დედიკო მოუკვდეს შენს მწველ თვალებს,
იდი* მოუკვდეს შენს სარო ტანს.

ხარაჩოელი ზელიმხანი

სალამი შენდა,
ხარაჩოელო* ზელიმხან!*
საკუთარ ოჯახზე მეტად
ჩვენს ოჯახებსაც რომ პატრონობდი.

* * *

ზელიმხანის მხედრები აღსდგნენო, ამბობენ,
ყოველი კუთხით აღსდგნენო, ამბობენ,
ბარში, ლელქაშში, გამოჩნდნენო, ამბობენ,
მაგრამ ლელქაში მოჭრესო, ამბობენ,
კარგი ცხენის პატრონი მოვიდესო, ამბობენ,
კარგი იარაღის პატრონი მოვიდესო, ამბობენ,
ცხენზე ამხედრება ქუხილს რომ უგავს,
ცხენიდან ჩამოსვლისას მიწას რომ აზანზარებს,
მწვანე მდელოზე ნაბადს რომ გაშლის
და მასზე ფულს ანაწილებს,
მათრახის ტარით სარჩოს რომ ანაწილებს,
უნაგირზე ტკბილად რომ სძინავს,
ის ზელიმხანი მოდისო, ამბობენ.

ძველებური დალოცვის სიმღერა

დაე, ის მთა სპილენძად იქცეს,
მთიდან მოჩუხჩუხე წყალი ვერცხლად იქცეს,
ქვიშა იმ წყალში ოქროდ იქცეს,
შენი ცხენის ნალები ვერცხლისა იყოს,
ნალის ყაირი ოქროსი იყოს,
შენი მოსასხმელი ნაბადი ანდიური* იყოს,
შენი ბაშლიყი* ბუმბულისა იყოს,
შენი გზა-სავალი ოქროსი იყოს.

გადასახლების დროინდელი სიმღერა

ჩვენი უბედურება რომ იცოდეს
ციურმა მნათობმა,
ჩვენი ცოდვით დამწვარი
ხომ ჩაქრებოდა!
ბადრი მთვარე
ჩვენი ცოდვით დამწვარი

ხომ გაილეოდა!
ჩვენი უბედურება რომ გაიგოს
ცის ლურჯმა გუმბათმა,
ჩვენი ცოდვით დამწვარი
ხომ ჩამოიქცეოდა!
დედამიწის გარშემო
მბრუნავო მზეო,
მზისკენ რომ ისწრაფვი,
ბადრო მთვარევ,
მოციმციმე ნათელო
ციურნო ვარსკვლავნო,
მიუსაფარი ობლებივით
რისთვის დავწანწალებთ?
ბუდიდან ამოყრილი
ბარტყებივით
რატომ გვაფართხალებთ?
თვალებიდან მოჩუხჩუხე
ცრემლის ღვართაგან
უძირო ზღვა ხომ გაჩნდებოდა!
დაჭრილი გულიდან ამოხეთქილი
სისხლით ლურჯი წყლის სივრცე
ხომ წითლად შეიღებებოდა!
სასიკვდილოდ დაჭრილმა მგელმა
კვნესა არ იცის,
ასე რომ არ იყოს,
მგელი კი არა, ძაღლი იქნებოდა.
დედა-შვილის განშორების
ამ შავ დღეს,
როცა ქალწული უბედურებად იქცევა,
ხოლო ვაჟიშვილი — ტყვედ,
სულით არ დაეცეთ,
მამაცნო ვაჟნო!
სევდამ არ დაგიმონოთ,
კეთილშობილნო ქალწულნო!

დის დატირება ძმაზე

ღვიძლი და მოგიკვდეს,
შენს დანატოვარ საწყალ ობლებს
რა უნდა ვუყო?!
ღვიძლი და მოგიკვდეს!
ტრიალ მინდორზე დავრჩით,
რა გზას უნდა დავადგეთ.
ღვიძლი და მოგიკვდეს,
ვინ იზრუნებს ჩვენზე,
ვინ შეგვინახავს,
ღვიძლო ძმაო,
ღმერთო, გაამრავლე
აბედნიერე მისი დანატოვარი, ღმერთო,
ეზო-კარს მოვწყდით,
ღმერთო,
რატომ გამოგვაკლდი,
ღვიძლო ძმაო!

დას დავავიწყდები

დას დავავიწყდები,
საკუთარი შვილები რომ წამოეზრდებიან,
ძმას დავავიწყდები,
თანატოლებს რომ გადააწყდება,
მშობელ დედას კი
არასოდეს დავავიწყდები,
მწარედ იქვითინებს
სიცოცხლის ბოლომდე.

თანხმობის გარეშე გათხოვილი ქალწულის სიმღერა

ამბობენ, ყინულს დაუფარავს ლურჯი თერგიო,
ამბობენ, ჭირხლი დასდებია ბაშლამის* მთასაო,
ჭირხლს ქარი გაფანტავს,

ყინულს მზე დაადნობს,
ჩემს თავზე დაფენილ ჭირხლს კი ვიღა გაფანტავს,
ჩემს გაყინულ გულს ვიღა გაალღობს?
უსიყვარულოდ მათხოვებენ, მოგიკვდეთ ნოვრაღაზი,*
უსიყვარულოდ მათხოვებენ, მოგიკვდეთ ნოვრაღაზი.

ჭირხლით დაიფარაო

ჭირხლით დაიფარაო,
ამბობენ,
ბაშლამის წვერი,
ღმერთო, მომკალი,
ჩემს თავზე
ჩამოწოლილ
ჭირხლზე მძიმე, ნეტა,
თუ არის?
ყინულით დაიფარაო,
ამბობენ,
თერგის ტალღები,
ღმერთო, მომკალი,
გულს რომ მიყინავს,
იმ ყინულზე
ცივი, ნეტა,
თუ არის?

ქმართან გაყრილი ქალის სიმღერა

ქალწული როცა წყაროზე მიდის,
იქ უმალ ვაჟი გაჩნდება ხოლმე,
ქალ-ვაჟის ალერსის მხილველი,
წყალი კისკასით გარბის.
ნეტა, წყაროს თავზე ახლა იდგე
და იმ წყაროსკენ მოვდიოდე,
ნეტა, დღეს მეფიცებოდე სიყვარულს,
დღეს, როცა ბევრი რამ გავიგე.

— იმ მზეს ვფიცავარ, — მეტყვი შენ,
მე ჩემთვის: — ნუთუ არ გრცხვენია?
მორჩა, გათავდა, შენი არ მჯერა,
ჩვენი შეხვედრა არ ჰგავს პირვანდელს.
ყინული მიდევს მკერდის ცალ მხარეს,
მეორე მხარეს ცეცხლი გიზგიზებს,
შენი მიზეზით, ინგუშო ბიჭო,
დაჭრილ გულიდან სისხლი ჩუხჩუხებს.
არ დავიჯერე მამის ნათქვამი,
ყურად არ ვიღე დედიკოს რჩევა,
შენ ხარ მიზეზი, ინგუშო ბიჭო,
საკუთარ გულს რომ სენი შევყარე.
ახლა აღარ დგახარ შენ წყაროს თავზე,
სულ დაგავიწყდა ჩემი გზა-კვალი,
ჩემს სილამაზეს ჭკნობა რომ დაეტყო,
მაშინვე მიმატოვე.
ნეტავი შეიძლებოდეს
წარსულის ახლად დაწყება,
როგორც დღეს, ისე მცოდნოდა
ცრუ სიყვარულის ბოლო.

ქალწულის ნამღერი ვაჟისთვის

შორ გზაზე
ქართული ქამარი
არ გაგიწყდეს, მეშინია,
მწვანე მდელოზე
აბრეშუმის მანდილი
არ დაგრჩეს, მეშინია.
მაღალი მთა
რომ ვერ გადმოლახოს
და ცხენი დაეცეს, მეშინია,
ჩემს წასაყვანად
ძალა რომ არ გეყოს
და ვერ მოაღწიო, მეშინია.

ნუ დარდობ, ვაჟკაცო

დამტირებელი და რომ არ ჰყავდა
მტრის ქვეყანაში,
მოზარე დედა რომ არ ჰყავდა
მტრის ქვეყანაში,
რამდენი ისეთი ვაჟკაცი დარჩა
მტრის ქვეყანაში.
დამტირებელი და არ არის განა
ის ლურჯი ფრინველი?
მოზარე დედა არ არის განა
ის შავი ყორანი?
ნუ დარდობ, ვაჟკაცო,
შენს მარტოობას,
გულს ნუ გაუტეხ დას, რომელსაც ძმა აღარა ჰყავს,
გულს ნუ აუტირებ ქალწულს, რომელსაც დედა აღარა ჰყავს.

სიმღერა სატრფოზე

შავ ქუდს ნუ აწვალებ,
მიწას სევდიანად ნუ დაჰყურებ,
ნუ ნაღვლობ, ძვირფასო, ასე ძალიან,
შემოდგომაზე შენს საწადელს მიაღწევ.
შავი ქუდი გვერდზე მოიგდე,
რუხი ჩოხა კოხტად მოირგე,
იფიქრე, ძვირფასო, ხვალინდელ დღეზე,
ჩვენ ხომ ერთად უნდა ვიცხოვროთ.
შენი მოსვლით მზე ამოდის,
შენი წასვლით მზე ჩადის,
მოგიკვდეს შენი შეყვარებული,
შენ ხომ ნათელი დაგდევს.
დილას ამშვენებს შენი სილამაზე,
საღამოს ალამაზებს შენი მშვენება,
როგორც მწვანე მდელო წითელმა ყაყაჩომ,
ქვეყანა დაამშვენა შენმა სილამაზემ.
მომავალს რომ დაგინახავ, მიხარია,

მიმავალს რომ დაგინახავ, მიხარია,
შენს ღიმილს რომ დავინახავ, მიხარია,
რა შეუშლის ხელს ჩვენს სიყვარულს?

სიმღერა მერცხლებისა, ბელურებისა

მერცხლების, ბელურების
ბუდობის დროა,
ახლა შემოდგომაა,
შემოდგომის ჟამია,
თუ ერთ საღამოს
ჩვენთან გამოივლი,
მზად ვარ, სიკვდილამდე
თქვენთან გადმოვსახლდე.

საღამოს ბინდივით

საღამოს ბინდივით
მოუთმენელო ბიჭო,
უხვ შემოდგომასავით
მოხდენილო ბიჭო,
ყვავილოვანი გაზაფხულივით
საყვარელო ბიჭო,
თუ წაყვანას აპირებ,
წაიყვანე ქვრივის ქალწული.

მთვარე რომ ილევა

მთვარე რომ ილევა,
სინათლეს ხომ კარგავს,
თხუთმეტი წელი თუ შემისრულდა,
ჩემი დროც ხომ გადის,
შენი ლამაზი თვალები
გულს მიტირებენ ხოლმე.

წამალი არაა, დედას ბიჭო,
შენს გარდა ჩემთვის,
წამალი არაა, დედას ბიჭო,
შენს გარდა ჩემთვის.

მეზობლის ბაღიდან

მეზობლის ბაღიდან
მოთმინებადაკარგული,
ჩვენს ფანჯარას შესცქერიs
ჩემი შეყვარებული.
მე რომ გავიდე,
ფაიტონზე თუ დამსვა,
გაჩერებას არ ფიქრობს
ჩემი შეყვარებული.
რა სკამს დაეწებე,
ბებერო მამიკო,
რა ძლიერ გვიშლი ხელს
კერიის პირას,
განზრახვას მიმიხვდი, ვითომ და
შინიდან აღარ გადიხარ.
სიყვარული, მამიკო,
შენც გამოგიცდია,
როგორ გეწყინებოდა,
დათქმულ დროს
შეყვარებული რომ არ მოვიდეს
და მოტყუებული დარჩე,
რამდენად მძიმე იქნებოდა?
გარეთ გადი, მამიკო,
ჩემს გზას ნუ გაამრუდებ,
ამ საღამოს თუ ვერ წავალ,
ხვალ ხომ უნდა წავიდე?

მზის ამოსვლას

მზის ამოსვლას შენზე ფიქრით ვხვდები,
მზის ჩასვლას შენზე ფიქრით ვხვდები,
შენი მოსვლის მოლოდინში გულს ვასკდები,
დამავიწყდა ცხოვრების სხვა სიტკბო.
შენ შორიდან უთვალთვალებ ჩემს ეზო-კარს,
შენ შორიდან თვალით ზომავ ჩემს ნაბიჯებს,
ახლოს მოდი, ჩემო შეყვარებულო,
ჩვენიანნი სიყვარულს ვერ შეგვატყობენ.
ენა გაუხმეს, ვინც ჩვენზე
ჭორს გაავრცელებს ხალხში.
მოდი ჩემთან, ჩემო შეყვარებულო,
ჩვენები შენზე არ იეჭვიანებენ.
ვიცი, ძალიან გიყვარვარ,
მე უფრო ძლიერ მიყვარხარ,
ახლოს მოდი, ჩემო შეყვარებულო,
ერთმანეთს გულს გადავუშლით.
წყაროზე წავალ ალიონზე,
წყაროზე წავალ შებინდებისას,
მოდი, მოდი, ჩემო შეყვარებულო,
ერთმანეთს გული გადავუშალოთ.

თეთრ კაბას ჩავიცვამ

თეთრ კაბას ჩავიცვამ,
გავემზადები,
წითელ საცხს წავისვამ,
გავლამაზდები,
აბრეშუმის თავსაფარს
ავაფრიალებ,
ვინმე ყმაწვილკაცს
გულით შევიყვარებ.
მწვანე მოლზე კარავს გავშლით —
ერთად ვიცხოვრებთ,
ჩვენი მთების ეხებს

ერთად დავლახავთ,
რაც დრო გადის,
ახლოს მოდის აღსასრული,
რაც დრო გადის,
ილევა ახალგაზრდობა.

ლურჯ ცაზე გუგუნით

ლურჯ ცაზე გუგუნით
თეთრი თვითმფრინავი მოფრინავს,
შავი მიწის ზანზარით
მატარებელი მოდის,
გარეთ გამოდი, ბიჭო,
შენი შეყვარებული მოდის,
გარეთ გამოდი, ბიჭო,
შენი პატარძალი მოდის.

ცაზე რომ მიფრინავს

ცაზე რომ მიფრინავს,
განა თეთრი თვითმფრინავი არ არის?
მიწაზე რომ მიირწევა,
განა მატარებელი არ არის?
ზვრებში რომ მუშაობს,
განა ჩემი სატრფო არ არის?
ჩემს ყურს რომ ესმის,
განა მისი ხმა არის?

დედამიწას რომ არტყია

დედამიწას რომ არტყია
ლურჯ ზღვასავით,
ჩემი გული შეუბოჭავთ
მძიმე დარდებს.

კალოს შესეული
თოლიებივით,
გულს შემომაწვა
მძიმე ნაღველი.
მშობლების გარიგებით
შემდგარი ჯვარისწერა,
ღმერთო, გვაშორე,
ღმერთო, შეისმინე.
ჩვენით რომ გადავწყვეტთ
ჩვენს შორის სიყვარულს,
ღმერთმა აგვისრულოს,
ღმერთო, გვისმინე!

შენი მოსვლის მოლოდინში

როცა შენზე მეტყვიან, მოდისო,
პირზე ნერწყვი მადგება,
როცა შენზე მეტყვიან, არ მოდისო,
ცრემლად ვიღვრები.
თვალებში რომ მიყურებ,
გული მიდნება,
ჩემს სატანჯველად გაჩენილხარ,
დედამკვდარო.
ჩემი საიქეთო გზა ოქროსი არისო, — ამბობდი,
ჩემი სააქეთო გზა ვერცხლისა არისო, — ამბობდი,
ჩემი ოჯახი სინათლეს აფრქვევსო, — ამბობდი,
ამით მომატყუე, დედამკვდარო.

ძლიერ ქარში

ძლიერ ქარში
ყაბალახის ფრიალით,
თოვლსა და თქეშში
ცხენის თამაშით,
გაყინული ხელების

ზელით
მოვა ახმედი,
მე თუ ვუყვარვარ.
მის მოლოდინში
ფანჯარას შევაკვდი,
აბრეშუმის თავსაფარი
ძონძად იქცა,
მის მოლოდინში
ეზოში სირბილით
უძიროები
გამიცვდა.
არ ჩანხარ, არ ჩანხარ,
შენ, ახმედ,
გელოდები, გელოდები,
შენ, ახმედ!

გაზაფხულის თბილმა

გაზაფხულის თბილმა
ნიავმა როცა დაბერა,
მდელოზე ნაზი ყვავილები
როცა ალივლივდნენ,
ჩემს გულის სწორს
დრო დავუთქვი, დედა,
დათქმული დრო
ახლოვდება და
ჭიშკართან გასვლა
მინდა, დედა,
ჩემი შეყვარებული
დათქმულ დროს მოვა.

სატრფოს

ბუნების მშვენებას —
მაღალ მთებს —
ჭრელ-ჭრელი ფრინველი
ხომ ამშვენებს?
წვეულებაზე,
დიდ ქორწილში ქალწულთა ჯგუფს
ჩემი სატრფო ხომ ამშვენებს?
ჩუმად შემოპარულ
წყნარ ღამეში
ტბაში მოლივლივე
მთვარის ათინათივით
შენი სახე თან დამდევს
ყველგან — აქაც, იქაც,
მზის სხივად გარდასახულო
ჩემო გულის სწორო.
ყვავილებით დამშვენებული
ლამაზი გაზაფხულივით
სიყვარულმა ჩემს გულს
შენი სიტკბო შეჰყარა.
როგორც ზაფხულის ხვატს
ჟუჟუნა წვიმა სჭირდება,
სიყვარულით დამთვრალს
შენი თავი მჭირდება.

ღამის მნათობივით

როგორც ღამის მნათობი
ამშვენებს ქვეყანას,
ისე გამშვენებს იარაღი,
წელზე რომ გარტყია.

მთის ჭიუხებში გაზრდილი
მგლის ლეკვივით
ბუროს* საპყრობილეებში
გაზრდილო მშვენიერო ჭაბუკო!

ხნიერი მამა

ხნიერი მამა
ავაჩქარო,
მინდა,
არ გამჩენოდიო,
დედამ რომ თქვას,
მინდა,
ღვიძლი ძმა
მიწას დასცქეროდეს,
მინდა,
ბებრებმა ხელჯოხებით
მიწა ჩიჩქნონ,
მინდა,
ტოლ-სწორებმა რომ თქვან,
შეყვარებულს
ჩუმად გაჰყვაო,
მინდა.

წუნია პატარძლის სიმღერა

უცხოური საქონელი
შენ არა გაქვს,
მაღაზიის ტკბილეული
შენ არა გაქვს,
ჩემი შესანახი
ფულიც კი
არა გაქვს,
მე რომ მიმიყვანო,
ეზო-კარიც
არ გაგაჩნია,
ხელი რომ დამატყო,
ისეთი ვაჟკაციც
არა ჩანხარ,
ასე რომ, ჯობია,
თავი დამანებო.

მძახლობა

მგელივით მამაცს,
დათვივით ძლიერს,
მაშინ რომ გაჩნდა,
როცა მგელი ყრიდა ლეკვებს,
სუსხიან დილას
სახელი რომ დაარქვეს,
მონავარდე მგლის
მეგობარი რომ არის,
შენს მშობლებს
შვილად რომ შეჰფერის,
ფოლადის ფერისა,
რკინის გულიანი,
ნამის წყლით გაზრდილი
ერთი მგლის ლეკვია
ეს ჩვენი ომარი.
მაშ, ამ ბიჭს
სწუნობ შენ?
სილამაზისა და სათნოების
მეტი, აბა, რა გაბადია?
ეს კი გასართობად
გამოსული ლომივით
მტერს აფრთხობს.
მერე ასეთ ბიჭს
უარს ეუბნები?
ომარი
შენი ცოლობით
არც გაამაყდება,
ომარი
შენი უარით
არც თავს ჩაქინდრავს
და მაინც
ასეთ ბიჭს უარს ეუბნები?

ქალიშვილისა და ჭაბუკის პაექრობა

— წითელი ძროხის თეთრ რძეს
ყვითელ ოქროდ რომ აქცევს, იმ დედის შვილი ვარ.
— წითელი ძროხის თეთრ რძეს
ყვითელ ოქროდ რომ აქცევს, თუ იმ დედის შვილი ხარ,
მე კიდევ თეთრი სომხური აბრეშუმის მბეჭველი
მამის შვილი ვარ.
— შენ რომ თეთრი სომხური აბრეშუმის მბეჭველი
მამის შვილი იყო,
მე ლურჯ მტრედად ვიქცეოდი და ცაში ავფრინდებოდი.
— შენ თუ ლურჯ მტრედად იქცეოდი და ცაში აფრინდებოდი,
მე მეწამულ ღრუბლად ვიქცეოდი და ჩაგეხვეოდი.
— შენ თუ მეწამულ ღრუბლად იქცეოდი და ჩამეხვეოდი,
მე თბილ წვიმად ვიქცეოდი და მიწაზე ჩამოვიდოდი.
— შენ თუ თბილ წვიმად იქცეოდი და მიწაზე ჩამოხვიდოდი,
მე ბალახის ფესვად ვიქცეოდი და დაგიდარაჯდებოდი.
— შენ თუ ბალახის ფესვად იქცეოდი და დამიდარაჯდებოდი,
მე ფეტვის მარცვლად ვიქცეოდი და დავიფანტებოდი.
— შენ თუ ფეტვის მარცვლად იქცეოდი და დაიფანტებოდი,
მე კრუხ-წიწილად ვიქცეოდი და აგკენკავდი.
— შენ თუ კრუხ-წიწილად იქცეოდი და ამკენკავდი,
მე გული გამისკდებოდა და მოვკვდებოდი.
— შენ თუ გული გაგისკდებოდა და მოკვდებოდი,
მე მუხის ფიცრად ვიქცეოდი და გადაგეფარებოდი.
— შენ თუ მუხის ფიცრად იქცეოდი და გადამეფარებოდი,
მე ნითელ მელად ვიქცეოდი და გავიქცეოდი.
— შენ თუ წითელ მელად იქცეოდი და გაიქცეოდი,
მე მწევრად ვიქცეოდი, გამოგეკიდებოდი და დაგიჭერდი.

სალამ-ქალამი

ნელი ნიავივით
ნაზი რომ არის,
ალიონივით
ლამაზი რომ არის,
ამომავალ ოქროს მზესავით
ნათელი რომ არის,
თარქელთა* მარილივით
მძიმე რომ არის,
ქართული კამეჩი რომ ვერ დაძრავს,
კამეჩის ტყავის თასმა
რომ ვერ დაიჭერს —
ასეთი სალამ-ქალამი
გაუგზავნა ისრაფილმა* დუშას.*
დუშამ პასუხად გაუგზავნა
სამი ხინკალი და
შემწვარი ქათმის ბარკალი.

სახუმარო სიმღერა

ჩვენი მტერი გახდეს
მოლას ცოლი —
მუდამ ლოცვაში მყოფს
ალერსის დრო არ ექნება.
ჩვენი მტერი გახდეს
მოლას შეგირდის ცოლი —
სწავლის სიძნელეზე წუწუნში
ალერსის თავი არ ექნება.
ჩვენი მოყვარე მისთხოვდეს
ქვრივის ვაჟიშვილს,
მზე მთას რომ მიეფარება,
უმალ ლოგინისაკენ გაიწევს.

ქალწულის სახუმარო სიმღერა

საქართველოდან მომავალი
გრძელი გზა ოქროთი მოფინე,
მე თუ გიყვარვარ,
კვირის თავზე ცხენებს
რომ იცვლიან, იმ მხედრებივით,
ყოველი თვის ბოლოს დუქნები იცვალე,
მე თუ გიყვარვარ.
მეფის დაბეჭდილი
ბევრი თეთრი ფული
ჩემს ძმებს დაურიგე,
მე თუ გიყვარვარ.
რუსების დუქნებიდან
თხელი თეთრი აბრეშუმი
ჩემს დებს დაურიგე,
მე თუ გიყვარვარ.

როგორ გაჩნდნენ მზე, მთვარე და ვარსკვლავები

ეს მართალი არ არის. მაგრამ მაინც, აი, რას ყვებიან იმაზე, რაც ძველისძველად მოხდა. იყო ერთი ჭაბუკი, კალმით დახატულივით ლამაზი, სახელგანთქმული ოსტატი-მჭედელი. ამბობენ, როცა ის მუშაობდა, მის სამჭედლოში მოგუგუნე ცეცხლი მთელ ქვეყნიერებას ანათებდაო. მის მიერ მოქნეული უროსაგან ელვა კრთებოდა, ხოლო ქუხილისაგან ქვეყნიერება ზანზარებდაო.

იმავე დროში ერთი ქალწული ცხოვრობდა მაღალ კოშკში. კოშკს ფანჯარა არ ჰქონდა. ქალწული კოშკიდან არასოდეს არ გამოდიოდა, მაგრამ იგი ისეთი ლამაზი ყოფილა, ისეთი, რომ მისი ბრწყინვალება შორიდანაც კარგად ჩანდა.

— მე ვითხოვ იმას, — გულში მტკიცედ გადაწყვიტა ჭაბუკმა და მაჭანკლები გაგზავნა ქალწულთან. ჭაბუკმა არ იცოდა, რომ ქალწული მისი და იყო, ქალწულს კი ამის თქმის უფლება არ ჰქონდა.

— მისი ცეცხლისა და ნაცრისაგან ჩემი შუქი ჩაქრება და სახე დაჭკნება. არ გავყვები იმას ცოლადო!

ასეთმა პასუხმა დაანაღვლიანა ჭაბუკი. მან გაავარვარა ოქროს კომბალი, რომელიც მთელი კვირა ცეცხლზე ედო, აიღო იგი და ბნელ ღამეში ქალწულთან წავიდა. ეს რომ დაინახა, ძმასთან შეხვედრის შიშით ქალწულმა გაქცევა სცადა. ჭაბუკი გამოეკიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ დაეწია. ასე ირბინეს, სანამ არ დაიხოცნენ.

ნაპერწკლები, რომლებიც ცვიოდნენ გავარვარებული კომბლიდან, ვარსკვლავებად იქცნენ, ქალწულისაგან კი დარჩა კაშკაშა ნათება (ბადრი სახე). კაცი იქცა მზედ, ქალწული — მთვარედ. ამბობენ, რომ ჭაბუკი ახლაც წრეს წრეზე აკეთებს, რომ ქალწულს დაეწიოსო.

მზე და მთვარე

მზესა და მთვარეს დედები ჰყავთ. მზის დედას აზოი ჰქვია, მთვარისას — ქინჩი. მზე დილით ზღვიდან ამოდის და საღამოს ისევ ზღვაში იძირება. როცა მზე ჰორიზონტზე ამაღლდება, მას შავი რაღაცა გამოეყოფა. ამბობენ, ეს რაღაცა ზღვის ქაფი არისო. სწორედ ამ დროს შეიძლება მზისთვის

თვალის გასწორება — ცივ ზღვაში ნაბანავები მზე ჯერ კიდევ გახურებული არ არის.

ზაფხულსა და ზამთარში, მზის ბუნიობის დროს, მზე სტუმრად მიდის თავის დედასთან. ზამთარში იგი სტუმრადაა სამი დღით, ზაფხულში — სამი კვირით. შინიდან გამოსული მზე ექვსი თვე მოგზაურობს, მერე შინ ბრუნდება და ისევ გაემართება ექვსთვიან მოგზაურობაში. მზე და მთვარე ძმები არიან. მათი და ავი ქალია, მას ჰქვია მუოჟი. მუოჟმა ცაში მობინადრე ყველა თავისი ნათესავი შეჭამა და ახლა მუდმივად დასაჭერად დასდევს მზეს და მთვარეს. როცა იგი დაეწევა მათ და გადაეფარება, მზისა და მთვარის დაბნელება ხდება.

დაბნელებისას მთვარეზე ძაფისმაგვარი რაღაცა ჩანს. ამბობენ, რომ იგი ყარაულის თოფია. ყარაული მთვარეს იცავს დის მიხტომისაგან. მთვარის შუაგულში შავი ლაქა ცხენია, რომელსაც მთვარე ზურგით ატარებს. თუ ცხენმა პირი ფართოდ გააღო, ზაფხული მოკლე და ზამთარი ხანგრძლივი იქნება, პირის მოკუმვისას და ცხენის გამუქებისას კი ზაფხული ხანგრძლივი და წვიმიანი, ზამთარი კი ხანმოკლე იქნება.

ალმასი და მონადირე მეთვითონ

ტყეში წასული ერთი მონადირე ალმასს* გადაეყარა. ალმასს მკერდზე ამოზრდილი ბასრპირიანი ცული ჰქონდა. ალმასი მონადირეს თვალს არ აშორებდა, ღამით მისი მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მონადირე მიხვდა მის ჩანაფიქრს და საგონებელში ჩავარდა, ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაეღწია თავი ალმასისაგან. ბოლოს მან ალმასს უთხრა, წყალი მწყურიაო.

— აქ ახლოს წყაროა, წადი და დალიეო, — თქვა ალმასმა.

— არა, ვერ წავალ, მეშინია და არც ვიცი, წყარო სად არის, — უპასუხა მონადირემ.

— კარგი, — თქვა ალმასმა, — წყალს მე მოგიტან, ოღონდ შენი სახელი მითხარი, იქნება დაძახება დამჭირდესო.

— მეთვითონ მქვია, — უპასუხა მონადირემ.

ალმასი რომ წავიდა, მონადირემ ხის კუნძს, იქვე რომ იდო, ნაბადი გადააფარა, ცალ მხარეს კი ჯირკი მიუჩოჩა, ვითომ ბალიში არისო. ამის შემდეგ ხეზე ავიდა და ლოდინი დაიწყო. ალმასი წყაროდან მობრუნდა, კუნძთან მივიდა და თქვა: კარგად მოქცეულა, სიკვდილისათვის წინასწარ მომზადებულაო. გახარებული ალმასი ისე ძლიერად დაეტაკა კუნძს, რომ ცული კუნძში ღრმად ჩაერჭო. სანამ იგი ცულის ამოღებას ცდილობდა, მონადი-

რემ თოფი დაუმიზნა და ესროლა. ალმასმა საზარელი ღრიალი მორთო. მის ყვირილზე ყველამ და ყველაფერმა (მხეცებმა, ფრინველებმა, მცენარეებმა) მის გარშემო მოიყარა თავი. ჰკითხეს, თუ ვინ დაჭრა იგი. მეთვითონო, — უპასუხა მათ ალმასმა. შენ თუ თვითონ მოიკალი თავი, ჩვენ ვერაფრით გიშველითო, თქვეს მათ და დაიშალნენ. ალმასი კი მოკვდა.

ბარაქის მომტანი ჩიტი

მეცხალის მიდამოებში ძველად ბუდე აიშენა ერთმა ბარაქის მომტანმა ჩიტუნიამ. ამიტომ იქ მოსავალიც არ იღუპებოდა: მდინარე არმხის* ორივე მხარეზე მიწები უხვმოსავლიანი იყო და მცხოვრებნი საქონელსაც აბალახებდნენ.

ერთხელ ადამიანებმა, არაფერს რომ არ თაკილობდნენ, დაანგრიეს ბარაქის მომტანი ჩიტის ბუდე. იგი იმ მიდამოებიდან გაფრინდა. გზად ბარაქის მომტანი ჩიტი ფრთით შეეხო ლიაჩხოელთა* მიწასა და ბალთის* კოშკებს.

ეს ადგილები დღემდე ბარაქიანია. ბარაქის მომტანმა ჩიტმა ღამე ლარსში* გაათენა და ბუდე საქართველოში აიშენა.

როგორ გაჩნდა სოფელი ერზი*

ხეობაში, სადაც არმხი მიედინება და ახლა ტყით დაფარული მთებია, ძველად სახნავები და სათიბები ყოფილა. ტყეებში ახლაც ჩანს მიტოვებული სახნავ-სათესი ადგილების კვალი. არმხის საპირისპიროდ აღმართული მთა უსიერი ტყით ყოფილა დაფარული. ახლა რომ ერზია, მის ზემოთ მდებარე ნასოფლარი კირბიტი ძველად ხალხმრავალი იყო. ეს სოფელი მიუდგომელ ადგილზე იყო გაშენებული.

ზოვრამ, რომელმაც ახალ გვარს სათავე დაუდო, გადაწყვიტა, უკეთეს ადგილზე გადასახლებულიყო. მან კირბიტიდან დააგორა დიდი, მრგვალი ქვა: სადაც გაჩერდება, იქ დავსახლდებიო. ფერდობზე დაგორებული ქვა ქვემოთ ტყეში შეევარდა და გაჩერდა. სწორედ იქ, სადაც ლოდი გაჩერდა, ახლა ყველაზე მაღალი კოშკი დგას. მაშინ ეს ადგილი ტყიანი იყო და ხეთა კენწეროებზე არწივები ბუდობდნენ, ამიტომ დაერქვა ამ სოფელს ერზი.

ჭაბუკი ბორღა და ქალიშვილი სუვი

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ნესარში იმ დროს ორსთხოელები ცხოვრობდნენ. გარეშე და შინაურ მტრებთან ხშირი ომები ჰქონდათ ორსთხოელებს. იმ დროში ორსთხოელებს შორის იყო ერთი სახელგანთქმული გულადი ყმაწვილკაცი ბორღა. იგი მტრებს იტაცებდა და ბარის ბინადარ თავის თვისტომებში ჰყიდდა. ბორღა ყოველთვის წინ უძღვოდა ხოლმე ლაშქარს გარეშე მტრებთან ბრძოლებში.

ერთ ასეთ ბრძოლაში ბორღა დაიღუპა. მისი დამარხვისას ნესარში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ამ ხალხს დიდი უბედურება დაატყდა თავს. სილამაზით განთქმულ ქალწულ სუვის ძალიან ჰყვარებია ბორღა, ბორღასაც ასევე ჰყვარებია იგი. ბორღას დაღუპვა რომ გაიგო, შეყვარებულმა გულში დანა ჩაიცა და თავი მოიკლა.

ნათესავებმა მათი საფლავები ორ მოპირდაპირე ბორცვზე გათხარეს და დაკრძალეს.

ფჰილიეყონგი-იურთის განაპირას ახლაც არის ბორღას საფლავი. სოფელ ღეზექოვსა და სოფელ იანდარიეს შორის საფლავის ბორცვის მსგავსი დიდი ყორღანია, სადაც მარხია სუვი. მას სუვის ყორღანს ეძახიან. სუვის ყორღანის ძირში წყაროა. ამბობენ, თავის დროზე სუვის პატივსაცემად გაჭრეს ეს წყარო, რომ ორსთხოელ მეომრებს წყალი ესვათო. მას სუვის წყარო ჰქვია. წყაროს წყალი ახლაც მოჩუხჩუხებს.

ორი საფლავი

იყო ერთი ქალ-ვაჟი. მართალია, ერთმანეთის ნათესავები არ იყვნენ, მაგრამ გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ. მათი ეზო-კარი მდინარის ღრმა ხევით იყო გაყოფილი. ქალ-ვაჟის ნათესავებს შორის შუღლი ჩამოვარდნილიყო და მტრობდნენ. ხევის ერთი ნაპირიდან მეორეზე თვალებით დაეძებდა ქალ-ვაჟი ერთმანეთს, ზოგჯერ კი ძახილით გულის ნადებსაც აცნობდნენ.

ვაჟმა თავის ახლობლებს უთხრა, ის ქალი მიყვარს, თუ არა იმას, სხვას არავის შევირთავო.

— ამ სიტყვებს თუ კიდევ გაიმეორებ, შენი სახელი „სიკვდილი“ იქნებაო, — დაემუქრნენ ვაჟს.

ერთხელ ქალის მშობლებს უცხო ხალხი ესტუმრა — შვილი მოგვათხოვეთო. იმათ არ იცოდნენ, რომ ქალი შეყვარებული იყო და სიტყვა

მისცეს მთხოვნელებს. ქალი ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. ერთი კვირის შემდეგ დედას დაუძახა და უთხრა:

— როცა მოვკვდები, გთხოვთ, ხევის პირას, კლდესთან დამმარხოთო.

— რას ამბობ, შვილო, სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს, მალე კარგად გახდებიო, — დაუყვავა დედამ და აქეთური, იქითური უამბო, გაამხნევა.

დედა რომ გავიდა, ქალმა დანა ჩაიცა და სული უფალს ჩააბარა. ანდერძი შეუსრულეს — კლდის პირას გაუთხარეს საფლავი და დამარხეს.

ეს ამბავი რომ გაიგო, მწარედ დაღონდა ვაჟი. ბინდთან ერთად საფლავთან გაჩნდებოდა ხოლმე და დილამდე მწუხარედ იჯდა. არც სვამდა, არც ჭამდა, გახდა, გაშავდა, სიკვდილის პირამდე მივიდა. ბოლოს დაიბარა, ხევის პირას დამმარხეთო და სული განუტევა.

ორი საფლავი თითქოს ერთმანეთს უყურებდა, მათ მხოლოდ ხევი და მდინარე ყოფდა. ხევის ორივე მხარეს გლოვა გრძელდებოდა.

ერთხელ წყალი აიმღვრა, ადიდდა და ქალის საფლავს ძირი გამოუთხარა. წყალმა რომ დაიწია, საფლავის შესაკეთებლად მივიდნენ, თავი რომ ახადეს, საფლავი ცარიელი იყო. გაოცებულებმა მისანს ჰკითხეს. ვაჟის საფლავი გათხარეთო, — ურჩია მათ მისანმა. ვაჟის ახლობლებს უფლება გამოსთხოვეს, გათხარეს საფლავი. ქალ-ვაჟი ერთმანეთს ჩახუტებული იწვა, სრულებით არ შეცვლილიყვნენ, ახლახან დამარხულებს ჰგავდნენ.

საფლავი ამოავსეს, ორი ქვა დაადგეს. ამას იქით ჩვენს შორის ნათესაობა იყოსო, შერიგდნენ მტრები.

ამბობენ, იმ საფლავზე ორი ქვა ახლაცა დგასო.

გიერგალ მეფე

ძველად ქართველების მეფე გიერგალი* ყოფილა. მას ბევრი ბრძოლები გადაუტანია. ამ მეფის ჯარში ერთი ინგუში ყოფილა. ყველა ბრძოლაში ინგუში მეწინავეებში იყო და მტერს მუსრს ავლებდა, თვითონ კი ყოველთვის უვნებელი გამოდიოდა ბრძოლებიდან. ასე იყო ყოველთვის.

ერთხელ გიერგალ მეფე ყაზბეგში მოვიდა და ინგუშებიც იქ მიიწვია. მეფემ იქ წვეულება გამართა და ინგუშებთან მეგობრობა დაამყარა, ზოგს კი თავადობის სიგელები გადასცა.

გიერგალ მეფემ და ჩვენმა ხალხმა გადაწყვიტეს: ომის დროს ინგუშები ქართველებს დაეხმარებიან, ქართველები კი — ინგუშებსო.

ვაჟკაცობისა და ზრდილობის, პატიოსნებისა და მამაცობის, ერთგულებისა და სანდოობის გამო გიერგალ მეფე ჩვენს ხალხს ძალიან აფასებდა.

შამილმა თქვა

ერთ ოჯახში სუფრასთან იჯდა შამილი. ერთმა თანამესუფრემ მას ჰკითხა:

— შამილ, ისეთი არაფერი ჩაგიდენია, სანანებლად რომ დაგრჩენოდაო?

— არა, — თქვა შამილმა, — სანანებელი არაფერი მაქვს, თუნდაც ახლავე სული ამომხდეს. ერთი რამ კია, რასაც ვნანობ და სიკვდილამდე არ დამავიწყდება.

ახალგაზრდობაში ერთი კალმით ნახატი ქალი შემიყვარდა. იმასაც ვუყვარდი. იმ ქალს სამი ძმა ჰყავდა. რაც არ უნდა მეღონა, ისინი თავიანთ დას არ მომათხოვებდნენ. რა უნდა მექნა — მოვიტაცე ის ქალი. ო, მის ძებნაში რა დღეში ჩაცვივდნენ ძმები! ძმებს რომ არ მიეგნოთ, შორეულ ტყეში გადავმალე ქალი. როცა სამალავში მეორედ მივედი, იგი ვერ ვიპოვე. იმ ტყეში მცხოვრებ გველეშაპს წაეყვანა ქალი. ბევრი ვეცადე, მაგრამ მის გზა-კვალს ვერ მივაგენი. ეს ამბავი რომ გამახსენდება, სინანული უფრო და უფრო მემატება, — თქვა შამილმა.

ღირსება

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. ერთ მშვენიერ დილას ერთმანეთს შეხვდნენ წყალი, ქარი, ცეცხლი და ღირსება. ქვეყნიერების დასათვალიერებლად ერთად წავიდეთო, დათქვეს და წავიდნენ.

ყველგან, სადაც კი წყალი მივიდოდა, ნაირნაირი ყვავილი და ბალახი ცოცხლდებოდა, ჩნდებოდა ნამი, მდინარეები იწყებდნენ დენას.

ყველგან, სადაც კი ცეცხლი მივიდოდა, წყვდიადი იფანტებოდა, გაყინული ტბები თბებოდნენ და ყინულისაგან თავისუფლდებოდნენ.

ყველგან, სადაც კი ქარი მიაღწევდა, ლელქაშის ღეროები თავს ხრიდნენ, თითქოს ერთმანეთს სალამს აძლევენო, ხოლო სათიბებსა და ველ-მინდვრებში ბალახები აბრეშუმის თავსაბურავის ფოჩებივით ლივლივებდნენ.

ცეცხლი, ქარი და წყალი აქეთ-იქით დანავარდობდნენ, თამაშ-თამაშით მირბი-მორბოდნენ, თავაწეული ღირსება კი მათსავით წინ და უკან არ დარბოდა, არამედ ამაყად მიაბიჯებდა წინ.

ქვეყნის მცველი ბუმბერაზები ღირსების დანახვაზე აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ.

მეგობრები — წყალი, ქარი, ცეცხლი და ღირსება — ბოლოს ჩვენი ქვეყნის, ინგუშეთის, ერთ უდაბურ მთასაც მიადგნენ.

ქარმა მთის შემოვლა დაიწყო, თან პატარ-პატარა კენჭებს აქეთ-იქით ისროდა, მათთან თამაშით ერთობოდა.

წყალი ნაკადულს შეუერთდა, მთიდან რომ მოჩქეფდა.

ცეცხლმა იმ ცეცხლთან გააბა მასლაათი, მთის ქვეშ, მიწაში რომ გიზგიზებდა.

— მეგობრებო, — თქვა მოუსვენარმა ქარმა, — გახედეთ ჩვენს წინ გადაშლილ თვალუწვდენელ ველ-მინდვრებს. ძალიან მინდა, გასართობად გავინავარდოო.

მდინარე დაეთანხმა, მოიწონა ნათქვამი. ცეცხლმაც დაუდასტურა, ღირსებას ხმა არ ამოუღია.

— კარგი იქნებოდა, შევთანხმებულიყავით, თუ სად იქნება თითოეული ჩვენგანი, — თქვა ცეცხლმა.

— კარგიო, — თქვეს დანარჩენებმა.

— თუ სადმე დაინახავთ, რომ სახლი ან თივის ბულული იწვის, იცოდეთ, რომ მე იქა ვარ, — თქვა ცეცხლმა.

— თუ შუა მინდორში ლელქაშს დაინახავთ, იცოდეთ, რომ მე იქა ვარ, — თქვა წყალმა.

— ფოთოლთა შრიალი, გზაზე ამოვარდნილი მტვერი ჩემს თავს გაპოვნინებთო, — თქვა ქარმა.

ღირსება მათ საუბარს ყურს უგდებდა და ჩუმად იდგა.

— ღირსებავ, რატომ დგახარ ჩუმად? — ჰკითხა ქარმა, — შენ როგორ უნდა მოგნახოთ?

— მომიტევეთ, მეგობრებო, — უხალისოდ თქვა ღირსებამ, — ჩვენ ერთმანეთს უნდა დავცილდეთ. ვინც მე წამითაც კი დამტოვებს, მას ჩემთან მობრუნების ნება არასოდეს აღარა აქვსო...

ყველაზე ძნელი

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ოთხი მოხუცი ჩამომჯდარიყო და ბაასობდა. იქვე ყმაწვილკაცები ირეოდნენ, ყველა მზად იყო მოხუცთა მოსამსახურებლად. ერთ-ერთმა ყმაწვილმა მოხუცებს უთხრა:

— გვითხარით ისეთი რამ, ცხოვრებაში რომ გამოგვადგესო.

ერთმა მოხუცმა თქვა:

— კაცს რომ საცოლეს წაართმევენ, რომელიც ძალიან უყვარს, ამაზე უარესი არაფერი იქნებაო.

მეორემ თქვა:

— ბოსლიდან ბედაურს რომ მოგპარავენ, ამაზე უარესი რა უნდა იყოსო.

მესამე მოხუცმა თქვა:

— უდანაშაულო კაცის მოკვლაზე უარესი არაფერიაო.

ბოლოს მეოთხე მოხუცმა თქვა:

— რაც თქვენ ჩამოთვალეთ, თქმა არ უნდა, ძნელი რამეებია, მაგრამ ისიც მართალია, რომ მათ გამო შურისძიება შეიძლება. აი, შურსაც რომ ვერ იძიებ, ვერაფერსაც რომ ვერ გააწყობ, მაშინ მოხდება, თუ ულირსი შთამომავალი გეყოლება. ამისაგან ღმერთმა დაგიფაროთო.

ღირსება თუ შურისძიება

ერთ მთიელს კაცი შემოაკვდა და შურისძიების შიშით ქვეყნიდან გადაიხვეწა. მდევრებმა იქაც მიაგნეს ამ კაცს, მაგრამ ისევ გაექცათ, ისევ მიაგნეს, ისევ გაექცათ... აღარ იცოდა ამ კაცმა, სად დამალულიყო. ბოლოს თურქეთში დასახლდა. ერთხელ მკვლელმა თავის ცოლს უთხრა:

— წადი, წყალი შემოიტანე, ხელ-პირი დამაბანინეო.

— გეყოფა, კაცო, — უთხრა ცოლმა ქმარს, — ახლა დასამალი არაფერი გაქვს, შორეულ თურქეთში ვინ მოვა და ვინ დაგიწყებს თვალთვალსო.

— რაც არ იცი, იმას ნუ ლაპარაკობ, — თქვა ქმარმა, — შენ რომ გგონია, ისეთი ხალხი კი არ არის, ქვესკნელშიც მომძებნიანო.

შურისმაძიებლები თურმე მკვლელის კარის უკან იყვნენ ჩასაფრებული. ამის გაგონებაზე საფარიდან გამოვიდნენ და თქვეს:

— რადგან ასეთ ღირსეულ ხალხად გვთვლი, დანაშაული გვიპატიებიაო!

შურისმაძიებლებმა მკვლელს თავი გადაპარსეს და დანაშაული აპატიეს.

ჩა და ჩერბაჟი

სოფელ ერზიში ცხოვრობდა ორი ძმა — ჩა და ჩერბაჟი. ერთხელ ძმები ორცხოი-ჭოჟაის ხეობაში სანადიროდ წავიდნენ. შუადღემდე იარეს და ძლივს ერთი კურდღელი მოკლეს. უფროსმა ძმამ უმცროსს უთხრა, კურდღელი შეწვი, მანამდე მე გავივლი, იქნება ნადირს გადავეყაროო.

ჩერბაჟმა ცეცხლი დაანთო, კურდღელი შეწვა და შეჭამა, შემდეგ წამოწვა და ძილი მოერია. სიზმარში ნახა, ერთი მოხუცი კაცი ტყიდან გამოვიდა და თავს წაადგა. კაცი თოვლივით თეთრ სამოსელში იყო, წარმოსადეგი შესახედაობისა. მან ჯოხით შეანჯღრია ჩერბაჟი და უთხრა:

— ხალხს რომ იტაცებენ, ის ყაჩაღები მოდიან, იარაღი მოამზადეთო.

ჩერბაჟი წამოხტა, მიმოიხედა, ირგვლივ არავინ ჩანდა. ეშმაკი თუ იყოო, ჰაერში თოფი ისროლა და ისევ წამოწვა. ამასობაში ისევ ჩაეძინა. ძილში მოხუცი კაცი ისევ გამოეცხადა, ჯოხის წვერით ზურგზე უჩხვლიტა ჩერბაჟს და კვლავ უთხრა: ნუ წევხარ! ყაჩაღთა ჯგუფი მოდის, ხალხს რომ იტაცებს, თოფ-იარაღი აისხითო.

— საკვირველიაო, — თქვა მან და წამოჯდა. ახლომახლო ისევ არავინ იყო. — ღმერთი გაუწყრეს ეშმაკის საქმესო, — თოფი ისევ გაისროლა და კვლავ დაწვა. ყმაწვილ კაცს ისევ დაეძინა. მესამედაც მოვიდა მოხუცი, ჯოხით შეანჯღრია ჩერბაჟი და უთხრა:

— თქვენთვის სიკეთე მინდა და ის მალაპარაკებს. ადამიანებს რომ იპარავენ, იმ ყაჩაღებთან საბრძოლველად გაემზადეთო, — ამის თქმა და მოხუცის გაქრობა ერთი იყო.

უმცროს ძმას ძილი გაუკრთა — ნეტა რას ნიშნავს ეს ყველაფერიო. სწორედ ამ დროს ტყიდან გამოვიდა მისი უფროსი ძმა, მხარზე მოკლული ჯიხვი ეკიდა.

— თოფს რატომ ისროდი, ხომ არაფერი მოხდაო, — იკითხა მან.

ასე და ასე იყოო, რაც სიზმარში ნახა და რაც მოხუცმა კაცმა უთხრა, ყველაფერი უამბო უმცროსმა ძმამ უფროსს.

— ახლოს მოიწიე, — უთხრა მან ჩერბაჟს და პერანგი აუწია. ჩერბაჟს ზურგზე სამი ლაქა აჩნდა.

ძმებმა ჯიხვის მწვადები შეჭამეს, კარგად დაისვენეს და წავიდნენ. საღამო ხანი იყო, თერგის ხეობიდან მომავალი ყაჩაღები რომ დაინახეს. ძმები ხეობის ვიწრობში შორიშორს ჩასაფრდნენ, ყაჩაღებს შეუტიეს და დახოცეს. მხოლოდ ერთი კაცი დატოვეს ცოცხალი, რომელსაც ქუდი წაართვეს და უთხრეს:

— არ დაგავიწყდეს, რატომ გიშვებთ ცოცხალს. ჩვენ რომ ყაჩაღები დავხოცეთ, ყველას უნდა უამბო, თუ არა და შენს ქუდს ყველას ვაჩვენებთ და შეგარცხვენთო.

ეს ამბავი ყაჩაღმა ყველას უამბო, ბოლოს კი ხელმწიფემდეც მივიდა. ხელმწიფე ყაჩაღებისგან ძლიერ შეწუხებული იყო, აღარ იცოდა, რა ექნა. ამიტომ ჩა და ჩერბაჟი თავისთან მიიწვია.

— რასაც ინებებთ, თქვენი სურვილი შესრულდება, გვითხარითო, — თავაზიანად ეუბნებოდნენ ნაზირ-ვეზირები ძმებს. — გინდათ დროშა, რომელზეც დამოწმებული იქნება, რომ თქვენს შთამომავლებში კაცები — ვაჟკაცები და ქალები — ცეცხლოვანები არიანო.

ძმებმა თქვეს:

— ჩვენ არაფერი გვინდა. თავადობაც არ გვინდა, რადგან მონები არასოდეს ვყოფილვართ. თუ ჩვენი დასაჩუქრება გინდათ, მამული გვაჩუქეთო.

ხელმწიფემ ძმებს მამული აჩუქა, სწორედ ის, ახლა რომ გელთი* არის. ძმები თავიანთი ნათესავებით ამ მიწაზე დასახლდნენ.

მზე და მთვარე ვერ გაიყვეს

იყო და არა იყო რა. იყო ორი ძმა. ერთხელ, უსაქმოდ რომ ისხდნენ, ძმები წაიჩხუბნენ:

— მზე ჩემია, მთვარე — შენიო, — იტყოდა ხოლმე ერთი მათგანი.

— არა! მზე შენი არ არის! მთვარეა შენი, მზე ჩემიაო, — იძახდა თურმე მეორე.

ბევრი იდავეს, მაგრამ ვერას გახდნენ. კარგიო, თქვეს ბოლოს, გავიდეთ ქვეყნად, გავიკითხოთ, გამოვიკითხოთ და ჩვენი დავა გადავჭრათო. თქვეს და შინიდან გავიდნენ. იარეს, დიდხანს იარეს და დაიღალნენ. ერთი წიფლის ხის ქვეშ დასასვენებლად დასხდნენ. სწორედ ამ დროს ხიდან უზარმაზარი მცურავი ჩამოვარდა. იგი მაშინვე უფროს ძმას ტანზე შემოეხვია და მისი მოგუდვა დააპირა. იხრჩობოდა ბიჭი. მაშინ უმცროსმა ძმამ ყელში წაუჭირა მცურავს და განზე გასწია. მცურავი ახლა მას შემოეჭდო. უფროსმა ძმამ კი ხმლით აჩეხა მცურავი, მაგრამ შემთხვევით უმცროსი ძმაც ყელში დაჭრა. კვდებოდა უმცროსი ძმა. უფროსი ძმა გაშტერებული იდგა, არ იცოდა, რა ექნა, რითი ეშველა ძმისთვის. სიკვდილი მაინც გავუადვილოო, იფიქრა, ძმას ტანიდან ურჩხული მოაშორა და შორიახლოს მდებარე ჭაობში ჩააგდო. ჭაობის წყალს რომ შეეხო, მცურავი მაშინვე გაცოცხლდა და გაიქცა. გაოცდა უფროსი ძმა. უცბად მარცხენა ხელის ნეკი მოიტეხა და წყალში ჩაყო. ნეკი იმწამსვე გამთელდა. შემდეგ წაიღო წყალი და თავის ძმას დააპკურა. მომაკვდავი მაშინვე გაცოცხლდა. მიხვდნენ ძმები, რა ჭაობიც იყო.

— რომ ვიცოდეთ, ჩვენთვის ოქროს ტბად გადაიქცევა ეს ჭაობი, — უთხრა უმცროსმა უფროსს.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა უფროსმა.

— შენ მკურნალი იქნები. მომაკვდავს აცოცხლებსო, სახელი გაგივარდება. მე წყლის ზიდვას დავიწყებ. სამკურნალო არის-თქო და ასხურე წყალი. ეს საქმე ყველას გამოგვადგებაო.

ასეც მოიქცნენ. უკეთესი მკურნალი დუნიაზე არ არის, მკვდარსაც კი

აცოცხლებსო, სახელი გაუვარდა უფროს ძმას. უმცროსი ძმა კი მუდმივად მისთვის წყლის ზიდვაში იყო.

ერთხელ, როცა უმცროსი წავიდა წყლის მოსატანად, ჭაობიდან გველეშაპმა ამოჰყო თავი და უთხრა:

— ოჯახიდან ჩემი გაგდება გინდა? რას უშვრები ამ წყალს, ძალიან ბევრს კი ეზიდები!

შეშინებული უმცროსი ძმა გაიქცა.

— შეჩერდი, — იყვირა გველეშაპმა, — კიდევ ერთი ნაბიჯი თუ გადადგი, გადაგყლაპავ. მოდი ახლოს და რასაც შეგეკითხები, მიპასუხე.

ვაჟი მივიდა და მოყოლა დაიწყო: როგორ ჩამოვარდა ხიდან მცურავი, როგორ მოკლა იგი უფროსმა ძმამ, თავისი სიკვდილის შესახებაც უამბო, მოუყვა მცურავის გაცოცხლების შესახებ, თუ როგორ გააცოცხლა იგი ძმამ, იმ წყლით კი როგორ მკურნალობდნენ მომაკვდავებს. გველეშაპმა თქვა:

— შენს გამო არ დამშრალა ეს ჭაობი. ადამიანები თუ არ დაიხოცებიან, ეს წყალი დაშრება. ამ ჭაობიდან წყალი თუ დაშრა, ქვეყანაც დაიღუპება. აბა, მამის სული დაიფიცე, რომ შენს ძმასთან ერთად ჩემთან მოხვალ.

— მე უფლება არა მაქვს, რომ დავიფიცო, — უპასუხა უმცროსმა ძმამ, — ძმის მაგიერ ვერაფერს გეტყვი, ის ჩემზე უფროსია და ჩემი ნათქვამი იქნებ არც შეისმინოს. უნდა წავიდეთ-მეთქი, ამას კი ვეტყვი, სიტყვას გაძლევ, რომ ჩემდათავად ხვალ შენთან მოვალო.

— მართალი ხარ, — თქვა გველეშაპმა, — ხვალ შენს ძმასთან ერთად ჩემთან მოდიო.

გველეშაპი წყალში გაუჩინარდა. უმცროსი ძმა უფროს ძმასთან წავიდა და გველეშაპთან თავისი შეხვედრის ამბავი უამბო. უთხრა, უნდა წავიდეთო.

— მე შენსავით სულელი არა ვარ, გველეშაპთან საკუთარი ფეხით მივიდე. თუ არ დაიშლი, შენ თვითონ წადი.

ძმასთან, რომ ვერას გახდა, უმცროსი მარტო წავიდა გველეშაპთან.

— სადაა შენი უფროსი ძმა? — ჰკითხა მას გველეშაპმა.

— არ წამოვიდა, — უპასუხა მან.

— ისიც რომ მოსულიყო, აქედან მშვიდობით გაგიშვებდით, მომაკვდავთა მკურნალობასაც თავიდან აგაცილებდით. სახლიდან იმიტომ გამოხვედით, რომ მზე და მთვარე ვერ გაიყავით. თქვენს საქმეს მე განვსჯიდი. შენ პატიოსანი კაცი ხარ, ამიტომ მზეს შენ გაკუთვნებ. დღეის შემდეგ შენ შევარდნად გადაიქცევი, შორსმჭვრეტელი და პატივსაცემი იქნები, დღისით ინავარდებ. შენი ძმა უღირსებო კაცია. მთვარე მაგისია. დღეის შემდეგ ახლომხედველ ბუდ გადაიქცევა და მხოლოდ ღამე გამოვა სანადიროდ.

ასეც მოხდა. გველეშაპმა შელოცვა რომ დაიწყო, უმცროსი ძმა ღირსე-

ბიან შევარდნად იქცა. უმცროსი ძმა კი ახლომხედველ ბუდ, ბავშვებიც კი ქვებით რომ დასდევდნენ.

თუ დღისით შევარდენმა ბუ დაინახა, მისკენ საჩხუბრად გაიწევს ხოლმე, ეს იმიტომ, რომ უმცროსი ძმა გაბრაზებულია უფროს ძმაზე. უფროსი ძმა ნაწყენია, მზე რომ წაართვეს. ამის გახსენებაზე ზის და თავისთვის ბუზღუნებს.

მეფეს მეფე რად უნდა?

მედი ღონიერი კაცი იყო. მას ჰქონდა გრძელი ულვაშები, განიერი მხრები, სრული ტანი. რადგან ძალ-ღონე ერჩოდა, ცოროელებს, ღულოელებს, გალაშქელებს ბავშვებს ართმევდა. ბავშვის ფასი კი ერთი ფუთი პური და ახალი მარხილი იყო. ახლა მერჟოელებთან წავალო, თქვა მედიმ, გაუდგა გზას და მერჟოელთა თავშესაყარს მიადგა. იქ ნაბადი მოიხსნა და თქვა: დაუძახეთ ყველას, მეფე თქვენც გჭირდებათ, მეფედ მე უნდა ამირჩიოთო. მე თქვენს მხარეზე დავდგები, თქვენ კი ბავშვებს მომცემთო.

ამ დროს მერჟოელთა მეთაური შინ არ ყოფილა. მას მოსვლისთანავე უამბეს ეს ამბავი. მეთაურს ესირცხვილებოდა მედისთან მისვლა, მიუსვლელობაც არ იქნებოდა — ზოგი ამბობდა, მეფე გვინდაო. მეთაურმა ვირს უნაგირი დაადგა, ცხენს — ვირის ქოჭი, ვირზე შეჯდა და საფიხვნოსაკენ გასწია. იქ ბევრი ხალხი შეგროვილიყო. ვირზე შემჯდარი მეთაური რომ დაინახა, გაოცებულმა ხალხმა იყვირა:

— რას შვრები, რატომ ირცხვენ თავს და ჩვენც გვარცხვენო.

— ვირს უნაგირი უხდება? — იკითხა მეთაურმა.

— არა, — უპასუხეს მათ.

— ცხენს უხდება ქოჭი?

— არ უხდება, — ისევ უპასუხეს შეკრებილებმა.

— მე ვირზე ჯდომა მიხდება?

— ეგ როგორ შეიძლებაო, — თქვეს მათ.

— სწორედ ასე მოგვიხდება მეფე, — თქვა მეთაურმა. მერე მივიდა მედისთან, რომელიც მეფესავით იჯდა:

— მე თვითონა ვარ მეფე, სხვა მეფე არ მჭირდებაო, — უთხრა, სტაცა ხელი ნაბდიან მედის და უფსკრულში გადააგდო.

მედის მეფობა იქვე დამთავრდა.

ჯაჭვის პერანგს აღარ მოვქსოვ

სოფელ ნელხიში ერთი კაცი ცხოვრობდა. ამ კაცს მერში ერქვა. იგი ცნობილი ოსტატი ყოფილა. იმ დროს ხელმწიფე ციმბირში იყო. ინგუშები ჯორებითა და ცხენებით საქართველოდან ეზიდებოდნენ ფარჩას, რკინას და დანარჩენ ყველაფერს. მერშის საქართველოდან რკინა ჩამოჰქონდა ხოლმე. რკინისაგან იგი მავთულს ამზადებდა, მავთულისაგან კი — ჯაჭვის პერანგებს. მერშის ნახელავი ძალიან ლამაზი იყო და ინგუშეთში კარგ ფასადაც იყიდებოდა. მყიდველი მოდიოდა ჩეჩნეთიდან, ხევსურეთიდან. მერში თანდათან გამდიდრდა — დიდი ქონება შეიძინა. ერთხელ იფიქრა: — მოდი, ერთი გავიგო, რაში იყენებენ ჩემს ჯაჭვის პერანგებსო.

მერში ჩუმად გაჰყვა იმ მყიდველებს, მისგან ახლახან რამდენიმე ჯაჭვის პერანგი რომ იყიდეს. მყიდველები აინუნშიაც არ იყვნენ, მერში კი მათ უთვალთვალებდა. და რა დაინახა: მყიდველებმა ყაჩაღობა დაიწყეს — ერთგან კაცი ტყვედ წაიყვანეს, მეორეგან ოჯახი გაძარცვეს, მის ჯაჭვის პერანგს კი ისარი და ხმალ-ხანჯალი ვერაფერს აკლებდა — ისეთი მაგარი იყო.

— ყაჩაღები ჩემი ჯაჭვის პერანგით გათამამებულან და მრავალ ბოროტებას სჩადიან. ჯაჭვის პერანგს მეტად აღარ მოვქსოვო, — თქვა მერშიმ და მას შემდეგ ჯაჭვის პერანგი აღარ მოუქსოვია.

ვინ დასახლდა პირველად ნესარ-ქერთში

ახლანდელი ნესარ-ქერთის დასავლეთით ერთ-ერთ ბორცვზე პირველად სახლი აიშენა და დასახლდა ერთი მთიელი ინგუში, სახელად ნესარგი. ამ ინგუშს ისეთი გრძელი ულვაშები ჰქონდა, კისერთან რომ გაეკვანძა, ბოლოების ქამარში ჩატანებასაც შეძლებდა. მასთან იყო აგრეთვე რამდენიმე მეგობარი მხედარიც.

ნესარგზე უფრო ფიცხი ბუნებისა იყო ახლანდელი ექაჟ-ყონგი-იურთის დამაარსებელი აჩამაზი, რომელსაც ჯგუფად შეკრული ბრბო ზურგს უმაგრებდა. აჩამაზის სახლი იდგა აჩამაზ-ბორცვზე, ხოლო სასტუმრო სახლი — ქალიის ბორცვზე.

აჩამაზს ხალხი დიდ შიშში ჰყავდა, საყაჩაღოდ დადიოდა და ხალხს იტაცებდა, ადამიანებს ხოცავდა, ყველას დიდ ზიანს აყენებდა. ერთხელ თავში მოუვიდა, მოდი, ადამიანთა წვერისაგან ჩემთვის ტყაპუჭს შევიკერავო. ვინც კი მოიხელთა, წვერი კანიანად ააგლიჯა და თავისთვის ტყაპუჭი შეაკერინა. ამ საქმეს რომ მორჩა, ყველა ქვეშევრდომს თავი მოუყარა და ჰკითხა:

— აბა, ვინ მეტყვის, რა აკლია ჩემს ტყაპუჭსო.

შეკრებილებში იყვნენ იმათი ძმები, დები, დედები და მამები, აჩამაზმა რომ ნვერები დააგლიჯა და დახოცა. ვერავინ გაბედა, ეთქვა, თუ რა აკლია ტყაპუჭს. აჩამაზმა კიდევ იკითხა: რა აკლია ამ ტყაპუჭს, თუ ნაკლი აღმოაჩნდა, არ ჩავიცვამო. იქ იყო ერთი ქალი, რომლის ძმასაც აჩამაზმა წვერი დააგლიჯა და მოკლა. მან თქვა:

— მე ვიცი, რა აკლია ამ ტყაპუჭს, მაგრამ ჩემი ნათქვამით რა გამოვა?

— თქვი, ერთის ნათქვამიც საკმარისი იქნება, — უთხრა აჩამაზმა.

— ტყაპუჭს ნესარგის ულვაშისაგან გაკეთებული საყელო აკლიაო, — თქვა ქალმა.

— ვინ წავა ნესარგის ულვაშების მოსატანად? — ჰკითხა შეკრებილთ აჩამაზმა.

ყველა დადუმდა. აჩამაზმა კითხვა გაიმეორა, მაგრამ არავინ უპასუხა. მესამედაც იკითხა: ვინ წავა ნესარგის ულვაშების მოსატანადო. ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

მაშინ აჩამაზმა მშვილდ-ისარი აიღო და თვითონ გასწია ნესარგის სახლისაკენ.

ნესარგის სახლს შესასვლელ კარზე ჭილობი ეკიდა, რომელსაც შესვლისას ასწევდნენ, შემდეგ კი დაუშვებდნენ ხოლმე. მეორე ოთახს კარი არც ჰქონდა.

უკარო ოთახის კუთხეში ეყუდა ამოღებული ხმალი, იქვე ნესარგი იჯდა და ხელებს იბანდა. ნესარგის დას ცალ ხელში თუნგი ეჭირა და ძმას წყალს უსხამდა, მეორე ხელში კი კვარი ჰქონდა.

რაღაც ხმაურიაო, მოესმა ქალს და რომ გაიხედა, აჩამაზი დაინახა, რომელსაც ისრის სასროლად მშვილდი მოზიდული ჰქონდა. გაშეშდა ქალი, ძმას რომ უთხრას, ეშინია, ვაითუ ერთმანეთს შეაკვდნენო. უცბად მოაფიქრდა და კვარი ჩააქრო. აანთე კვარიო, — უთხრა ნესარგმა და ქალმა კვარი აანთო. ქალმა დაინახა, რომ აჩამაზი ისევ იქვე იყო დამიზნული მშვილდ-ისრით ხელში.

ქალმა მეორედაც ჩააქრო კვარი.

მაშინ ნესარგმა დას უთხრა:

— თუ ერთხელ კიდევ ჩააქრობ, ხმლით აგკუწავო.

ნესარგმა იცოდა, რომ აჩამაზი ისრის სროლას უპირებდა, მაგრამ მეტისმეტი სიამაყის გამო მისკენ არ იხედებოდა. მესამედაც რომ აანთო კვარი ქალმა, აჩამაზმა ისარს ხელი გაუშვა. ნესარგს მკერდში მოხვდა ისარი და რკინის წვერმა ზურგიც გაუხვრიტა. სროლისთანავე გაქცევას შეეცადა აჩამაზი. ნესარგმა ისარს თავი და ბოლო სწრაფად მოატეხა, ხელი დასტაცა კუთხეში მიყუდებულ ხმალს და სანამ ეზოდან გავიდოდა, აჩეხა აჩამაზი.

რა არის?

ბატონი და ერთი კაცი შეკამათდნენ, ჩვენს შორის ვინ უფრო ჭკვიანიაო. გადაწყვიტეს, ერთმანეთს კითხვები დავუსვათ და კამათი გადავჭრათო. ბატონის ყველა კითხვას კაცმა პასუხი გასცა. ახლა თავის მხრივ კაცმა ჰკითხა ბატონს:

— ურბილესი რა არის? უტკბილესი რა არის? უსწრაფესი რა არის? უმსუქნესი რა არის? უდიდესი რა არის?

ბატონმა ვერც ერთ კითხვას პასუხი ვერ გასცა. მაშინ კაცმა თვითონ უპასუხა თავის შეკითხვებს:

— ურბილესი ხელია. რაც არ უნდა რბილი იყოს ბალიში, თავქვეშ ხელს რომ ამოიდებ, უფრო რბილი გეჩვენებაო.

— ყველაზე ტკბილი ძილიაო.

— ფიქრზე უსწრაფესი არაფერიაო.

— უმსუქნესია მიწა, იგი იძლევა ქვეყნად ყველაფერსო.

— ყველაზე დიდიც დედამიწაა. რასაცა გასცემს, ყველაფერს ადრე თუ გვიან უკან იბარებს და ისევ მიწად აქცევს ხოლმეო.

ბატონს სათქმელი რომ არ ჰქონდა, გაჩუმდა.

დედის ხელი

ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი დედა-შვილი. ყველაფერი საკმარისი ჰქონდათ, არაფერს უჩიოდნენ. გავიდა ხანი. დედა დაბერდა და მოკვდა. შვილმა ის აკლდამაში დამარხა.

მას შემდეგ შვილი თანდათან გახდა. ყოველდღე წონა აკლდებოდა და წელში იხრებოდა. სადარდებელი თითქოს არაფერი ჰქონდა ვაჟს — საუკეთესოს სვამდა და ჭამდა, მაგრამ მაინც სუსტდებოდა. ვერავითარი წამალი ვერ შველოდა.

ბოლოს სიარულიც ვეღარ შეძლო, შველა კი არსაიდან ჩანდა. ერთხელ თავისი ამბავი ერთ მისანს უამბო. ყველაფერი რომ მოისმინა, მისანმა თქვა: დედის სიკვდილის ბრალია ყველაფერი. მისი გამზადებული საჭმელი ყოფილა შენი წამალი. მხოლოდ მაშინ გამოკეთდები, როცა დედის ხელი შეეხება შენს საჭმელს. სხვა წამალი შენთვის არ არსებობსო.

ყმაწვილმა კაცმა საჭმელი გაამზადებინა და აკლდამისაკენ გასწია. მკვდარი დედის ხელი შეახო საჭმელს, შინ დაბრუნებულმა კი შეჭამა იგი. მას შემდეგ ვაჟი გამოკეთდა, საჭმელიც შეერგო.

დედის ხელი უებარი წამალია. რასაც იგი შეეხება, ყველაფერი ლამაზდება.

როცა კოჭლი თიმარი პატარა ბავშვი იყო, მამამისს ბევრი ცხვარი ჰყავდა. ერთხელ თიმარმა დაინახა, რომ თოხლებში ერთი კურდღელი გარეულიყო. თიმარის დანახვისას კურდღელი გაიქცა. თიმარი კურდღელს გამოეკიდა, დაიჭირა და თოხლებში გაუშვა. კურდღელი ისევ გაიქცა, თიმარმა ისევ დაიჭრა და ისევ გაუშვა თოხლებში. კურდღელი გარბოდა, თიმარი იჭერდა და თოხლებში უშვებდა. ასე ტანჯვაში გავიდა დღე. საღამოს, როცა თიმარმა თოხლები შინისაკენ გარეკა, კურდღელიც თან წაიყვანა. თიმარმა მამას უთხრა: ჩვენს თოხლებში ერთი ბატკანია, სულ რომ გარბის, იმაზე ფეხმარდი არაფერი მინახავს, დღეს მის დევნაში სული ამომხდა, ის უნდა დავკლათო. როცა ცხვარი უნდა გამოეშვათ, მამამ თიმარი წაიყვანა და ჰკითხა, სადაა ის ბატკანიო. ეს არისო, აჩვენა მამას თიმარმა თოხლებში მყოფი კურდღელი.

— აბა, დაიჭირეო, — უთხრა მამამ. ეცა თიმარი, დაიჭირა, ყელში ჩაავლო ხელი და მიუყვანა. მამამ კურდღელს მაშინვე ყელი გამოსჭრა, თიმარს კი ფეხი მოსტეხა: შენ რომ საღი იყო, არ შეიძლება, ქვეყანას დააქცევო. ასე დაკოჭლდა თიმარი.

მოკვდა თიმარის მამა. ყაჩაღებმა თიმარს ვაჟიშვილი მოჰპარეს, დიდ გასაჭირში ჩავარდა იგი. ერთხელ, ხეტიალში რომ იყო, ერთ სამჭედლოში შევიდა და დაჯდა. თიმარის იქ ყოფნაში მჭედელს თვლემა მოერია. თიმარმა დაინახა ბუზი, მჭედლის ცხვირიდან რომ გამოძვრა. ბუზი იატაკზე დაჯდა, იარა, გადაევლო მაშას, რომელიც წყლიან გეჯაზე იდო და, რომელსაც მჭედელი ცხელი რკინის ამოსაღებად იყენებდა. ბუზი სამჭედლოს იატაკის ერთ ხვრელში ჩაძვრა. თიმარს თურმე წინასწარმეტყველების უნარიც ჰქონია.

ბუზი უკან ამოძვრა და მჭედლის ცხვირში შეძვრა. მაშინ მჭედელსაც გამოეღვიძა.

— ოი, თიმარ, შენს აქ ყოფნაში ჩამძინებია! — თქვა მჭედელმა, — სიზმარი ვნახე და უნდა გიამბო: აქედან რომ დავიძარი, ერთი ვრცელი ვაკე ქვეყანა გავიარე და ზღვას მივადექი. ზღვაზე რკინის ხიდი იდო და ხიდით ზღვის მეორე მხარეს გავედი. ისე მეგონა, თითქოს ხვრელში ჩავძვერი-მეთქი. იქ, ქვემოთ, მომეჩვენა, თითქოს ძალიან ბევრი ოქრო-ვერცხლი იყო.

თიმარი მიხვდა, რომ მჭედლის ეზო-კარში, მიწის ქვეშ, ბევრი ვერცხლი და ოქრო იყო დამალული. მჭედელს კი უთხრა, რას არ ნახავ სიზმარშიო და შინ წავიდა. ორი-სამი დღის შემდეგ ისევ მივიდა მჭედელთან და უთხრა, ჩემი კოშკების გაყიდვას ვაპირებო.

— ვინ იყიდის შენს კოშკებს, ისინი მაშინაა აშენებული, როცა მამაშენი მდიდარი იყო, ახლა ვის ეყოფა სახსარი იმათ საყიდლადო, — უთხრა მჭედელმა.

— შენ რომ ჩემთვის სამჭედლო მოგეცა და ცოტა რაღაცრუღაცაც დაგემატებინა, შენ მოგცემდიო, — უთხრა თიმარმა.

მისცა თიმარმა მჭედელს თავისი კოშკები და მისგან სამჭედლო იყიდა. სამჭედლოს სახლი დაადგა და თავის ცოლთან ერთად მიწის თხრას შეუდგა. მოთხრილი მიწა ღამით გაჰქონდათ. როგორც იქნა, იმ ადგილს მიადგნენ, სადაც ვერცხლი და ოქრო იყო. ვერცხლი და ოქრო ხელთ რომ იგდო, თიმარი თხრილების გაჭრას შეუდგა.

თხრილებს გავჭრი, სახელი გამივარდება, მოპარულ შვილს ასე უკეთ მოვძებნი, თუ ცოცხალია, დაბრუნდებაო, ფიქრობდა იგი.

ჩვენს ქვეყანაში — შავ მთაზე, ყოზაშქაზე და სხვაგან — საქართველოში, თურქეთში, აღმოსავლეთშიც ბევრია მისი გაჭრილი თხრილი.

ამ თხრილებს თიმარის მიერ ვაჟის ძებნისას გაყვანილ თხრილებს ეძახიან. მთელმა ქვეყნიერებამ გაიგო, რომ თიმარი თხრილებს ჭრის და თავის ვაჟიშვილს ეძებსო.

თიმარის ვაჟი იმ ბატონის ხბორებს მწყემსავდა, რომელმაც იგი მოიტაცა. იმ დროს იგი ბავშვი ყოფილა. იმასაც გაუგია, თიმარს თხრილები გაჰყავს და ვაჟს ეძებსო. ისიც იცოდა, რომ თიმარი მამამისი იყო. ერთხელ მან გადაგდებული ცხენის თავის ქალა იპოვა. ბავშვებს, მას რომ ახლდნენ, უთხრა: ეს თავი გოლიათი ცხენის თავია, გოლიათი ცხენი მინდაო. მას შემდეგ ხშირად ტიროდა ბავშვი. ამბობენ, ისიც, როგორც მამამისი თიმარი, წინასწარმეტყველი ყოფილა. მასთან მყოფმა ბავშვებმა ბატონს უამბეს: იქ, რომ ცხენის თავის ქალა დევს, იმაზე თქვა, გოლიათი ცხენის თავიაო და, ნეტა, გოლიათი ცხენი მყავდესო, ტირის.

ბატონმა თავისთან იხმო ბავშვი და ჰკითხა:

— გოლიათ ცხენს გამოიცნობ?

— გამოვიცნობო.

ბატონმა ანახა ბავშვს თავისი რჩეული რაშები, მაგრამ ბავშვმა თქვა, ამათში გოლიათი არც ერთი არ არისო. სულ ბოლოს თვალი მოჰკრა კაცს, რომელსაც წელზე ხისტარიანი ხმალი ერტყა და კვიცზე ამხედრებული შორიდან მოდიოდა. მაშინ ბავშვმა თქვა: აგე, ის კვიცი, რომლითაც კაცი მოდის, გოლიათია, იმას რომ ხისტარიანი ხმალი არტყია, საუკეთესოაო. მაშინვე იყიდეს კვიციც და ხმალიც. კვიცი იალაღებზე გაუშვეს სამ ფაშატთან ერთად.

ერთი წლის შემდეგ ბიჭმა ერთი ფაშატი შინ მოაყვანინა, დააკვლევინა

და წვივის ძვალში ჩახედა. ძვალში ნემსის სისქის ტვინი ჩანდა. მეორე წელს მეორე ფაშატი მოაყვანინა და იმის წვივის ძვალში ჩახედა. ძვალში მახათის სისქის ტვინი აღმოჩნდა. მესამეც რომ მოაყვანინა და წვივის ძვალში ჩახედა, ძვალი ტვინით იყო სავსე. კვიცი უკვე გაზრდილიაო, თქვა ბიჭმა და შინ მოაყვანინა. ცხენის გამჩერებელი იქ არავინ აღმოჩნდა იმ ბიჭის მეტი.

ეზოს თხუთმეტი წყრთის სიმაღლის ღობე შემოავლეს და ბიჭს დაავალეს, ბატონის ცხენი გახედნეო.

ერთხელაც მან ბატონს დაუძახა და უთხრა:

— ბატონო, აქამდე პატიოსნად გემსახურე და მადლობა მითხარიო!

როგორც კი ბატონმა თქვა, არ მიღალატოო, ბიჭმა ცხენი მაღალ ღობეს გადააფრინა და გაქრა. იმ დროს მამამისი თიმარი უკვე ჯარის სარდალი ყოფილა.

ბიჭი რომ გაიქცა, ბატონმა მდევარი დაადევნა მის დასაჭერად.

გრძელი კუდებისა და სქელი ფაფრების მქონე რაშები როცა დაწევაზე იყვნენ, ბიჭი ქარის საპირისპირო მიმართულებით გააჭენებდა ხოლმე თავის ბედაურს, როცა დაწევაზე რუხი რაშები იყვნენ, მაშინ ქვიშნარზე გადადიოდა, ქურანი რაშების დაწევისას კი პირს მზისკენ იზამდა ხოლმე.

— ახლა სამშვიდობოსა ხარ, ვერავინ ვერაფერს დაგიშავებს, — უთხრა ერთმა მდევარმა, — როცა გრძელკუდიანი და სქელფაფრიანი რაშები გეწეოდნენ, რატომ მიაჭენებდი ქარის საპირისპიროდ? როცა რუხი რაშები გეწეოდნენ, რატომ მიაჭენებდი ქვიშნარზე? ქურანი რაშები როცა გეწეოდნენ, რატომ მიაჭენებდი მზის საპირისპიროდ?

მაშინ ბიჭმა უპასუხა:

— გრძელკუდებიან და სქელფაფრებიან ცხენებს კუდებისა და ფაფრების გამო ქარი იჭერს და ვერ გარბიან, რუხ ცხენებს ფლოქვები თხელი აქვთ და ქვიშნარზე სიარული უჭირთ, ქურანა ცხენებს შუბლის ძვალი თხელი აქვთ და მზის მიმართულებით ვერ გარბიანო.

მდევრებში ერთი კაცი იმ ბიჭივით ჭკვიანი ყოფილა, თუმცა ხალხს იგი ბეჩავად მიაჩნდა. ყველამ ხელი რომ ჩაიქნია, მან თქვა, მაგას მე დავიჭერო. მაშინ ის გაუშვეს მდევრად. როცა ბიჭმა მდინარეს მიაღწია, მდევარიც დაეწია, ისარი სტყორცნა და განსაცდელში ჩააგდო ბიჭი.

მართალია, ბიჭი განსაცდელში იყო, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ მდევარს საომარი გამოცდილება არ ჰქონდა. ბიჭმა კაცს უთხრა: ხომ ხედავ, ცუდ დღეში ჩამაგდე, მშვილდ-ისარი წყალში რომ დაგესვრებინა, მეც და ჩემს ცხენსაც ნაკუწებად გვაქცევდიო. კაცმა მშვილდ-ისარი წყალში ჩაჰყო და სასროლად რომ მოზიდა, მშვილდმა ჭახანი გაიღო. ასე ხერხიანად გაუსხლტა იმ კაცს თიმარის ვაჟი. შეიტყო, სად იყო მამამისი და წავიდა

მასთან. როცა მამის სამყოფელს მიუახლოვდა, ცხენები ახვიხვინდნენ, თიმარის იარაღმა ბორგვა დაიწყო.

იმ დილას თიმარმა ხალხი გაუშვა, წადით, ყველა ჯარისკაცს ჰკითხეთ, ამ ოქროთი, ჭურჭელში რომ არის, რამდენი ადამიანის შენახვა შეიძლებაო. წასულები უკან დაბრუნდნენ და თქვეს: ზოგი ამბობს, ასი კაცის შენახვა შეიძლება, ზოგი — ხუთი ათასისა და მეტისაცო.

— ყველას შეეკითხეთ, ვინმე ხომ არ გამოგრჩათო? — ჰკითხა მათ თიმარმა.

— ერთადერთი ყმაწვილი დაგვრჩა, თავქვეშ უნაგირი უდევს და სძინავსო, — თქვეს იქ ნამყოფებმა. იმასაც ჰკითხეთო. ჰკითხეს იმასაც, მან თქვა: მშიერი კაცისათვის ერთხელ საჭმელად სამყოფი არ არისო. რაღაც სისულელეს ლაპარაკობს, ასე თქვაო, მოახსენეს თიმარს.

— წადით, მოიყვანეთ ის ყმაწვილიო, — თქვა თიმარმა და მის მოსაყვანად ხალხი გაგზავნა. მიხვდა, რომ იგი მისი შვილი იყო.

თიმარს თხრილის გაჭრაც იქ შეუწყვეტია.

ცაგენი

ცაგენს ერთი ზღვისპირა სოფელი ძალიან მოეწონა და საცხოვრებლად იქ დარჩა. შემოდგომობით მდიდრები ამ სოფლის ღარიბებს ხან მოსავალს, ხან კიდევ მიწას ართმევდნენ, ჩვენიაო.

ტყეც ჩვენიაო, სამ ურემს თუ მიუტანდნენ, მეოთხე ურემ შეშას ღარიბებს ატანდნენ მდიდრები.

ერთხელ ცაგენმა ღარიბები ტყეში შეკრიბა და უთხრა:

— თქვენს შორის კაცი ვინმე არის?

— ჩვენ, ყველანი, კაცები ვართ, კაცები რომ არ ვიყოთ, ცოლი და შვილი საიდან გვეყოლებოდაო, — თქვეს ღარიბებმა.

— ცოლის მოყვანა და ბავშვების გაჩენა კაცობაა? — თქვა ცაგენმა.

— აბა, მაშ რა არის? — იკითხეს ღარიბებმა.

— არ არისო, — თქვა ცაგენმა.

— აბა, რა ჰქვიაო.

— მამალი ჰქვია, — თქვა ცაგენმა, — თქვენ კაცები, ვაჟკაცები არა ხართ. თქვენ კურდღლები ხართ. კურდღლებსაც ჰყავთ ოჯახები. მაგრამ, რაც მართალია, მართალია, მგელს ან მელას თუ დაინახავენ, ოჯახს თავს ანებებენ და გარბიანო, — თქვა ცაგენმა.

— ჩვენ კურდღლები არა ვართ, ვაჟკაცები ვართ. აბა, სად დაინახე,

ოჯახი რომ მხეცებს დავუტოვეთ და გავიქეცითო, — თქვეს ღარიბებმა.

— გაქცეული არ დამინახიხართ, იმიტომ რომ თქვენ არავინ არ მოგდევთ. ერთი კი მართალია, თქვენს ცოლ-შვილს შიმშილით ხოცავთ, მთელი წლის ნაგრამს კი მდიდრებს აძლევთ. აბა, რა ხართ, თუ არა კურდღლები? — უთხრა მათ ცაგენმა.

ღარიბებს შერცხვათ, დაიბნენ და თქვეს:

— მდიდრებს ძალა აქვთ, მაგრები არიან. აბა, ჩვენ? ჩვენ უვარგისი ტყავისაგან შეკერილი ქურქებივით ძველი და უღონო ვართ. ჩვენ როგორ მოვერევით მდიდრებსო.

— ხომ ხედავთ, სულ ახლახანს ამბობდით, კურდღლები არა ვართო. ეს არის კურდღლობაც. ჩვენ როგორ მოვერევით ღონიერ მგელსო, ისინიც ამბობენ, — თქვა ცაგენმა.

— კურდღლები არ ვიქნებით და დავიხოცებით, რა ვუყოთ მდიდრებს? — თქვეს ღარიბებმა.

— მე არ ვამბობ, ეჩხუბეთ-მეთქი. თქვენ რომ თესავთ, ოფლს ღვრით და მოსავალი მოგყავთ, მდიდრებს ნუ აძლევთ, თქვენს ცოლ-შვილს მიუტანეთო, — უთხრა მათ ცაგენმა.

— დღეის შემდეგ ერთ მარცვალს ჩვენგან ვერ წაიღებენო, — გადაწყვიტეს ღარიბებმა და დაიშალნენ.

შემოდგომა რომ დადგა, მდიდრებმა თავიანთი ბეღლები გაასუფთავეს, განაახლეს.

— რას შვრებით, ამ ბეღლებში თოვლის ჩაყრას ხომ არ აპირებთ? — ჰკითხა მდიდრებს ცაგენმა.

— არა და არა, მოსავლის ჩაყრას ვაპირებთო, — თქვეს მდიდრებმა.

— სადა გაქვთ მოსავალი, დათესეთო, — იკითხა ცაგენმა.

— რაც ველ-მინდვრებზეა, სულ ჩვენი არ არისო, — თქვეს მდიდრებმა.

— თუ თქვენი დათესილია, რა თქმა უნდა, თქვენია.

— რა განსხვავებაა, ჩვენ დავთესეთ, თუ სხვამ დათესა, მოსავალი თუ ჩვენს ბეღლებს აავსებსო, — თქვეს მდიდრებმა.

— არ არის განსხვავება, თუ მოსავლის პატრონმა დაგითმოთ იგიო.

— აქამდე გვითმობდნენო, — თქვეს მდიდრებმა.

— მე ხშირად ვარ ხოლმე იმათთან. ზაფხულში ტვინს თუ არ აიდუღებ, ზამთარში ქვაბს ვერ აადუღებო, იტყვიან ხოლმე და უქნარა ცოლს ან შვილს საჭმელს არ აძლევენ. თუ ხელს არ გამოიღებენ თესვაში, მოსავლის აღებაში, არ გიშრომიათო. ვინც ცოლ-შვილს საზრდოს არ აძლევს, ის კაცი მოსავალს თუ დაგითმობთ, საოცარი იქნება, — თქვა ცაგენმა.

— შემოდგომამდე თუ მოითმენ, გაიგებ, რომ ეგ საოცრება არ ყოფილა, — თქვეს მდიდრებმა.

— აბა, ვნახოთო, — თქვა ცაგენმა და წავიდა.

დადგა შემოდგომაც. ყველა ღარიბმა თავისი მოსავალი შინ წაიღო.

— ცაგენია დამნაშავეო, — თქვეს მდიდრებმა და ცაგენის ზღვაში ჩასაგდებად შეიკრიბნენ.

— ჩემი თხოვნაა, ფიცრებზე ნუ დამსვამთ, კისერზე ქვა ჩამაბით და ისე გადამაგდეთ ზღვაშიო, — სთხოვა მათ ცაგენმა.

— გვატყუებს, თავის დახსნა უნდაო, — თქვეს მდიდრებმა, ოთხი ფიცარი შეკრეს, ზედ ცაგენი დასვეს და ზღვას გააყოლეს.

ცაგენმა სიმღერა წამოიწყო. ზღვამ იგი შორს წაიღო. სოფელს დიდად რომ მოშორდა, დაინახა, მდიდარი კაცის ვაჟი ნაპირზე ცხვარს აბალახებდა.

— ეი, ვინა ხარ, სად მიდიხარო, — ჰკითხა მას მდიდრის შვილმა.

— ულამაზესი ორი ქალწული მელოდება, ვჩქარობ, რაც შეიძლება მალე მათთან მივიდეო, — თქვა ცაგენმა.

— გეხვეწები, ორნი თუ არიან, შენ ხომ მარტო ხარ, მეც თან გამიყოლეო, — უთხრა ცაგენს მდიდრის ვაჟმა.

— კარგი, — თქვა ცაგენმა და ჯოხით, როგორც იქნა, ფიცრები ნაპირთან მიაცურა, — დაჯექი, მაგრამ ცხვარს ვის უტოვებ?

— ცხვარს არაფერი მოუვაო, — თქვა ვაჟმა.

— როგორ არ მოუვა, უპატრონოდ მათი დატოვება არ შეიძლება. ნადირმა ცხვარს თუ წაასწრო, ხომ დახოცავს? არ იციო? — თქვა ცაგენმა.

— ისინი წყალსაც წაუღია, მე ქალწულებთან მივდივარო, — თქვა ვაჟმა.

ცხვართან დარჩენის მსურველმა ცაგენმა თქვა:

— მე ცხვართან დავრჩები, შენ წადი იმ ქალებთან, უთხარი, რომ იმათ მოლოდინში ვარ, ორივე წამოიყვანე და მოდიო.

— კარგი, გადმოდი ნაპირზეო, — თქვა მდიდრის ვაჟმა.

— არ მომატყუო, ორივე წამოიყვანე და მალე მობრუნდიო, — მიაძახა ცაგენმა, ჯოხი აიღო, ფიცრებიდან გადავიდა, დასვა ზედ ვაჟი და ზღვის შუაგულისკენ შეაცურა.

— სად ვიპოვი ქალწულებს? — იკითხა მდიდრის ვაჟმა.

— იმდენხანს იარე, სანამ წაადგებიო, — უთხრა მას ცაგენმა, ვაჟი ზღვას მიანდო და თავისი ფარით შინისაკენ წავიდა.

შინ მიმავალი ცაგენი, რომელიც ცხვარს მიერეკებოდა, მდიდრებმა დაინახეს.

— ე, ზღვაში რომ გადავაგდეთ, აგერ ცხვრის ფარით უკან მოდისო, — თქვეს მათ და ცაგენთან წავიდნენ.

— საიდან მოგყავს ცხვარი? — ჰკითხეს მას მდიდრებმა.

— ღმერთო ჩემო, რა ბევრი ცხვარი იყო ზღვაში, — თქვა ცაგენმა.

— გვასწავლე, საიდან უნდა შევიდეთ, რომ ცხვარი გამოვრეკოთო, — იკითხეს მათ. ცაგენმა მიასწავლა. მდიდრები ზღვისკენ გაქანდნენ.

— ზღვაში ჩამხტარი სანამ ბუშტუკებს არ ამოუშვებს, მეორე არ გადახტესო, — გააფრთხილა ისინი ცაგენმა.

გადახტა ზღვაში ერთი. მალე ბუშტუკები ამოუშვა. საწყალი იმის თქმას ცდილობდა, ცაგენი გვატყუებს, არ გადმოხტეთო.

— რას ამბობსო, — იკითხეს კლდის თავზე მდგომებმა.

— სწრაფად გადმოხტითო, — თქვა ცაგენმა.

ერთის გარდა ყველა გადახტა. ის კაცი არ ენდობოდა ცაგენს.

— რას დგახარ, ვერა ხედავ, ცხენების ჯოგებს იყოფენ ზღვის ქვეშ, — თქვა ცაგენმა, ხელი ჰკრა იმ ერთსაც და გადააგდო. თვითონ კი შინისაკენ წავიდა.

— სად არიან ჩვენი ქმრები? — ჰკითხეს ცაგენს მდიდართა ცოლებმა.

— მოიცადეთ, დღეს-ხვალ ურიცხვი ცხვარ-ძროხით დაბრუნდებიანო, — ამბობდა ცაგენი და ამასობაში დრო გაჰყავდა.

— გვატყუებსო, — თქვეს მდიდართა ცოლებმა, დაიჭირეს ცაგენი, ტომარაში ჩასვეს და ზღვაში გადაგდება დაუპირეს. ზღვას რომ მიადგნენ, თქვეს, თუ არ მოვკალით და ცოცხალი ჩავაგდეთ, უკან დაბრუნდება. ჯერ კეტების ცემით უნდა მოვკლათო და კეტების მოსატანად იქვე ტყეში წავიდნენ.

ამ დროს ნავაჭრი საქონლით სავსე ურმით მომავალი მედუქნე თავს წაადგა ცაგენს, ცაგენი კი ტომარაში იყო გახვეული.

— რას აკეთებ ამ ტომარაში? — ჰკითხა მედუქნემ და ურემი გააჩერა.

— შვიდი ქალი დავობს, ჩემი და ჩემი ქმარი გახდიო, უარი რომ ვთქვი, ტომარაში ჩამსვესო, — თქვა ცაგენმა.

— ჰა, რატომ არ გინდა მათი ქმრობა, შეუხედავები არიანო? — იკითხა მედუქნემ.

— აბა, ლამაზები არ არიან?

— ჩემი უშნო ცოლი მემუქრება, ისინი თუ ითხოვე, მოგიგდებ შენს ორ ჩვილ ბავშვს და წავალო. ბავშვები მეცოდებიან, აი დედასა, ეს რომ ასე არ იყოს, ვნახავდიო, — თქვა ცაგენმა.

— სად არიან ის ქალები? — იკითხა მედუქნემ.

— ახლავე მოვალთ, შენ კი გადაწყვიტეო, თქვეს და აგერ იმ ტყეში შევიდნენო, — თქვა ცაგენმა.

მედუქნემ ტომარას სწრაფად პირი მოუხსნა და:

— აბა, ჩამსვი ტომარაში, მე გავუწევ მაგათ ქმრობასო, — თქვა მან და ტომარაში ჩაძვრა.

ცაგენმა ტომარას პირი მოუკრა.

— თუ წაგეჩხუბებიან, იყვირე, ვიქნები თქვენი ქმარი-თქო, მერე ამოგიშვებენო, — თქვა ცაგენმა და მედუქნის ურმით შინისაკენ წავიდა.

განრისხებულმა დედაკაცებმა მძიმე და გრძელი კეტები დაუშინეს მედუქნეს.

— თანახმა ვარ, თანახმა ვარ, ვიქნები თქვენი ქმარი, ყველას შეგირთავთ, ახლა კი გამიშვითო, — ყვიროდა მედუქნე.

— აი, შე სასიკვდილე, ვისი ქმარი გინდა რომ გახდე! ვის უნდა შენი ქმრობა, ვინ გთხოვა, ქმარი იყავიო! — იმდენი ურტყეს კეტები ქალებმა, რომ მედუქნეს სული გააფრთხობინეს, შემდეგ კი ზღვაში გადააგდეს. ცაგენმა კი მეორე დღესვე დუქანი გახსნა და ფარჩის გასაყიდად დაჯდა.

— ეი, ცაგენ, შინაც მოსულხარ, ჩვენი ქმრები თუ შეგხვდნენ? — ჰკითხეს ცაგენს მდიდართა ცოლებმა.

— ღმერთმანი, შემხვდნენ, — თქვა ცაგენმა.

— რას აკეთებენ? — იკითხეს მათ.

— დიდი ქონება შეუძენიათ, ზღვა ქალები ჰყავთ და ბედნიერად ცხოვრობენო, — უთხრა მათ ცაგენმა.

— ჩვენზე არაფერი გკითხეს?

— რა თქმა უნდა, მკითხეს. ამბობდნენ, რაში გვჭირდებიან ისინიო.

— დაგვაცადონ, ერთი იქ მივიდეთო, — თქვეს ქალებმა და კეტების მოსაჭრელად ტყისკენ წავიდნენ. ამ კეტებით უნდა ეცემათ ის ქალები, რომლებიც მათ ქმრებს ცოლობას უწევდნენ ზღვაში. მდიდართა ცოლები კეტებით ხელში ზღვაში დაიხრჩვნენ. მათი ქონება ცაგენმა ღარიბებს დაურიგა და მას შემდეგ ყველა კარგად ცხოვრობს.

საბანქვეშ დაზრდილი ძმები

იყო ერთი ქალი. ამ ქალს სამი ვაჟი ჰყავდა. ვაჟებს ჩასაცმელი არა ჰქონდათ, ამიტომ საწოლიდან არ დგებოდნენ. შვილებს სასმელ-საჭმელს დედა უზიდავდა, ისინი კი იწვნენ და ეძინათ. დედას მათი შენახვა ძალიან უჭირდა. ქალი ხელმწიფის შინამოსამსახურე იყო და ჯამაგირით არჩენდა ოჯახს. ბიჭები კი ისევ და ისევ ერთი საბნის ქვეშ იზრდებოდნენ, ერთ ლოგინში. იმ ხელმწიფესაც სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთხელ შინ დაბრუნებულმა დედამ თქვა:

— ხელმწიფეს ქალიშვილის გათხოვება უნდა და ხალხი შეყარაო.

დედა სამუშაოდ რომ წავიდა, ბიჭები წამოდგნენ, საბნისაგან სამოსი

შეაკონინეს და გარეთ გაცვივდნენ. მათ დათქვეს, ხელმწიფის ასული ჩვენი უნდა გახდესო. ხალხი გაოცებული მიაჩერდა უცნობ ბიჭებს, დახეულ-დაგლეჯილი ტანსაცმელი რომ ეცვათ. ხელმწიფის ასულის მოსაპოვებლად ერთი დავალება იყო შესასრულებელი: შველი, რომელსაც სამი წელი მზე არ ენახა, უნდა დაეჭირათ და მთის მწვერვალზე აეყვანათ, იქ კი სამი დღე-ღამის განმავლობაში მისთვის უნდა ეყარაულათ. ეს ამბავი ხელმწიფემ ხალხს რომ გამოუცხადა, ყველამ თავი ჩამოუშვა — ბევრი ვერ შეძლებდა ხელმწიფის დავალების შესრულებას. ძმებიც დაფიქრდნენ. უმცროსმა თქვა:

— დაჭერით დავიჭერ, მაგრამ მთაზე ვინ აიყვანსო.

— აი, სამი დღე ვინ უყარაულებს, თორემ მთაზე აყვანა ადვილი საქმეაო, — თქვა შუათანამ.

— მაგ საქმეს თქვენ თუ შეძლებთ, მგონი, შველს მე ვუყარაულებო, — თქვა უფროსმა.

— ამ ამბავს რომ მოვრჩებით, ქალი ვის უნდა დარჩესო, — იკითხა შუათანამ.

— ის ქალი ხელმწიფის უმცროსი ასულია, მეც უმცროსი ვარ და მე უნდა დამრჩესო, — თქვა ნაბოლარამ.

შეთანხმდნენ, ხელმწიფის ასული უმცროსი ძმისა უნდა ყოფილიყო. ხელმწიფის ნათქვამი მეორე დღეს უნდა შესრულებულიყო, ამიტომ შინ წავიდნენ და დედის დაბრუნებამდე ტანისამოსი ისევ საბნად აქციეს და დასაძინებლად დაწვნენ. საღამოს შინ დაბრუნებულმა დედამ თქვა:

— შვილებო, სადა გვაქვს ბედი, რომ ხელმწიფის ასული შეგვხვდეს, მაგრამ მის სანახავად კი უნდა წასულიყავითო.

ბიჭები ჩუმად იყვნენ, ჩუმადვე ივახშმეს და დაიძინეს. დილას, დედა რომ წავიდა, სწრაფად აქციეს საბანი სამოსად და ხელმწიფის სასახლისაკენ გასწიეს. ხელმწიფე თავმოყრილი ხალხის წინ გამოვიდა, დავალება კიდევ ერთხელ გაიმეორა და შველი გაუშვა. ყველაზე უწინ შველთან უმცროსი ვაჟი გაჩნდა, დაიჭირა იგი და შუათანა ძმას გადასცა. იმან ზურგზე მოიგდო შველი, ერთი ისკუპა და მთის მწვერვალზე გაჩნდა. შველი იქ დატოვა. უკან დაბრუნდა და ახლა თავისი უფროსი ძმა აიყვანა მთაზე. უფროსი ძმა სადარაჯოდ დაჯდა. მესამე ღამეს შვლის შესაჭმელად ურჩხულები მოგროვდნენ. დილამდე ებრძოდა ურჩხულებს უფროსი ძმა, ხოცავდა და გვამებს ხევში ყრიდა. დილას კი შველთან ერთად ხელმწიფესთან გაჩნდა. ძმებმა წაიყვანეს ხელმწიფის ასული. მეორე დღეს პატარძლის მამამ დიდი ქორწილი გადაუხადა თავის ასულს, ძმებს კი თავისი სამეფოს ნახევარი აჩუქა.

ძმებს ბედი ეწიათ. არ გასულა დიდი დრო, რომ უფროსმა ძმებმაც შეირთეს ხელმწიფის ასულები.

წინათ, როცა ყაჩაღთა ბანდები ტყვეებს იტაცებდნენ, ხამხოის თემში ცხოვრობდა ერთი მეფე. ამ მეფეს ძალიან ბევრი ქონება ჰქონდა, მის ცხვარ-ძროხას მთები ველარ იტევდნენ.

მეფემ დაიპყრო ცჰოროის თემი, სხვა მეფეებს წაართვა ამ თემზე ბატონობის უფლება, ჰყავდა მრავალრიცხოვანი და ძლიერი ჯარი.

ღამით, როცა დასაძინებლად წვებოდა, თხუთმეტი წყრთის სისქის ბატის ბუმბულის ლოგინს უშლიდნენ. ერთხელ მეფემ მონას ღამით ლოგინი დააგებინა და გაბრაზებული დასაძინებლად დაწვა, თან მძიმედ ოხრავდა.

დილას რომ ადგა, ლოგინი სამი წყრთის სისქისა გამხდარიყო.

გაოგნებულმა ლოგინის დამგებმა მონამ მეფეს ჰკითხა:

— ჩემო კეთილშობილო, ძლიერო მეფევ, საკვირველია, ღამით, რომ გავშალე ლოგინი, თხუთმეტი წყრთის სისქე ჰქონდა, ახლა კი სამი წყრთის სისქისა გამხდარა. რა მოხდა, ნეტავი?

— ჩემო ერთგულო მონავ, ხამხოისა და ცჰოროის თემების პატრონი ვარ, ქონება იმდენი მაქვს, ვერავინ დათვლის. მაგრამ რად მინდა ეს ქონება და ეს ქვეყანა, ერთი დიასახლისი არა მყავს, რომ შემეგებოს ან დილით შინიდან გასულს გზა დამილოცოსო. მეცხალოის თემში, სოფელ ერზიში ცხოვრობს შვიდი ძმის ერთადერთი და — მოციაგე მისალმათი. იმ თემში მისალმათის ძმებს ვერავინ შეედრება ძალ-ღონით, მამაცობით, შესახედაობით. ისეთი ცხენი ჰყავთ, ნადირი რომ ვერ გაექცევა და ფრინველი რომ ვერ გაასწრებს. მზეს და მთვარეს სილამაზეში ეცილება ასული. დღისით, როცა იგი გარეთ გამოდის, მზეს ჰგონია, ჩემზე ლამაზიაო და მის სილამაზეს თვალს რომ ვერ უსწორებს, ღრუბლებს უკან იმალება. ღამით კოშკის სარკმლიდან რომ გამოიხედავს, მთებს ანათებს და მთვარეც იმალება. მისი სილამაზით მოხიბლული მდინარე არმხი ქალწულს ჰანგებს უმღერის. ბევრს ვფიქრობ და არ ვიცი, როგორ, რა ხერხით შევირთო ასული. ფიქრებით დამძიმებულმა სხეულმა სამი წყრთის სისქისა გახადა ლოგინი, გაშლისას თხუთმეტი წყრთისა რომ იყო. ჩემო კარგო, მეცხალოის თემისაკენ მიმავალ გზას უნდა დაადგე და ქალის ძმებს ყველაფერი უნდა უთხრა. უთხარი, ან ნებით მომეცით თქვენი და, ან ძალით წაგართმევთო.

მუდამ მზად მყოფი ყაბარდოული ჯიშის გოლიათი ცხენი შეკაზმეს და მონა შვიდ ძმასთან წავიდა.

დილას გასული ბინდისას ჰულხოის მთას მიადგა.

როცა სოფელ ჰულიში შევიდა, საფიხვნოზე ხალხი შეკრებილიყო. სოფელში მარულა გაემართათ, მშვილდ-ისარს ნიშანში ისროდნენ, ერთმანეთს სიჩაუქეში ეჯიბრებოდნენ.

— ასალამ ალეიქუმ, შორეულო უცხო სტუმარო. მდევარიც რომ მოგდევდეს, იმდენი ვაჟკაცობა გვყოფნის, რომ დაგიცვათ, ისეთი მასპინძლობა ვიცით, რომ ვერაგებსაც მოვუვლით. ჩამოდი ცხენიდან, დაისვენე, დაასვენე ფეხმარდი ჩერქეზული რაში, — უთხრა ერთმა ლერწამტანიანმა ჭაბუკმა, რომელსაც სახე ისე უბრწყინავდა, როგორც ბნელ ღამეში გაბადრულ მთვარეს.

— გმადლობთ, მეჩქარება, ისეთი საქმეა, გადადება არ შეიძლება. თქვენს შორის არის ვინმე ისეთი, სოფელ ერზიმდე რომ მიმაცილებს, სადაც მანათობელი მისალმათი ცხოვრობს თავის შვიდ ძმასთან ერთად?

— არც ისეთი უძლურნი არიან მეცხალოის ბიჭები, სტუმარს სურვილი არ შეუსრულონ! — თქვა ელვარე სახიანმა ლომ-ედალბიმ და სასწრაფოდ თავისი ცხენი შეკაზმა.

სტუმარი სტუმრობის მიზეზს არ ამბობდა, ელვარესახიანი ლომ-ედალბი კი არ ეკითხებოდა. ასე, აქეთურ-იქითურის ლაპარაკში, ერზიშიც მივიდნენ.

— ასალამ ალეიქუმ...

— ვა ალეიქუმ სალამ, მშვიდობა თქვენს მოსვლას, შორეულო სტუმრებო, გადმოდით ცხენებიდან, — სტუმრებს შეეგება შვიდი ძმა.

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა, აუცილებლად ჩამოვქვეითდები, საქმისათვის მოვედით.

— საქმეზე მერე ვილაპარაკებთ, თავისუფლად რომ დავსხდებით. ჰეი, შენ, შენ რატომ არ ჩამოდიხარ ცხენიდან, ჩვენი სტუმარი განა შენიც არ არის? — უსაყვედურა შვიდმა ძმამ ელვარესახიან ლომ-ედალბის, რომელსაც ძმები იცნობდნენ და პატივსაც სცემდნენ.

ძმებმა და ელვარესახიანმა ლომ-ედალბიმ სტუმარი შინ შეიპატიჟეს, ხელდახელ ცხვარი დაკლეს და გაუმასპინძლდნენ.

ასე გავიდა სამი დღე და სამი ღამე. ყოველ საღამოს იკვლებოდა ცხვარი, მოსვლის მიზანს სტუმარი არ ამბობდა და მასპინძლებიც არ ეკითხებოდნენ. სამი დღე-ღამის შემდეგ უფროსმა ძმამ სტუმარს ჰკითხა:

— აბა, სტუმარო, სამი დღე-ღამეა, რაც ჩვენთან ხარ, რა საქმეზე მოხვედი, არ გითქვამს. ახლა უკვე სტუმარი აღარა ხარ. გვიამბე, რამ მოგიყვანა ჩვენთანო.

— კეთილშობილნო ჭაბუკნო, ეს სამი დღე-ღამე ისე გავლიე, ვერ გავბედე მეთქვა, რისთვისა ვარ მოსული. ახლა დრო დადგა, სათქმელი უნდა ვთქვა. ვიტყვი და თქვენ ვერ გადაგირჩებით, არ ვიტყვი და ჩემს ძლიერ მეფეს ვერ გადავურჩები. მზისა და მთვარის მეტოქის, მანათობელი მისალმათის გარეშე ვერ ვიქნები, ან ნებით გამომატანეთ, ან ძალით წაგართმევთო, დამაბარა ჩემმა ძლიერმა მეფემ. აი, ამისათვის მოვედიო, — თქვა სტუმარმა.

ელვარესახიანმა ლომ-ედალბიმ ჩამოწოლილი სიჩუმე დაარღვია და თქვა:

— სტუმარო, შენ სამი დღე ისე დაყავი, მოსვლის მიზეზი არ გითქვამს. ადრევე მაინც გეთქვა. კი ვართ ისეთი ვაჟკაცები, შენთვის საკადრისი პასუხი რომ გაგვეცა. ჩვენი შიშით რომ არაფერი თქვი, შენი სიმხდალე გამოაჩინე. ასეთი ლაჩარი რომ ხარ, შენი მეფეც შენი მსგავსი იქნება. ქალს ნებით ვერ წაიყვანთ. აბა, ახლა ძალით წაგვართვითო, — თქვა ელვარესახიანმა ლომ-ედალბიმ, რომელსაც მანათობელი მისალმათი უყვარდა.

მეფის თავდასხმის შიში გულშიც არ გაივლეს და დროსტარება გააგრძეს ძმებმა სტუმართან ერთად.

დილას მანათობელი მისალმათი ძროხას წველიდა. მან კოშკის სარკმლიდან დაინახა მეფის ლაშქარი, კოშკი სამმაგ ალყაში რომ მოექციათ. სანამ ის ძმებს გააფრთხილებდა, ჩასაფრებული ელვარესახიანი ლომ-ედალბი მტერს ეკვეთა.

მარჯვნივ რომ მოიქნევდა ხმალს, ერთი სოფლის სამყოფ ადგილს ათავისუფლებდა, მარცხნივ რომ მოიქნევდა — ქალაქის სამყოფს. დილიდან საღამომდე, ოქროს მზის ჩასვლამდე, იბრძოდნენ მეფის ჯარისკაცები და ელვარესახიანი ლომ-ედალბი. შვიდ ძმას ბრძოლაში ჩაბმის უფლება არ მისცა ლომ-ედალბიმ. ბოლოს, როცა მტერმა ძალ-ღონე და მხნეობა დაკარგა, ჯარის სარდალმა იყვირა:

— ვისაც შეუძლია, თავს უშველეთ!

როცა მეფის ლაშქარი ჰულხოის მთას გადადიოდა, ელვარესახიანმა ლომ-ედალბიმ ხმალი ესროლა გაქცეულებს.

ნასროლმა ხმალმა ხერხივით შუაზე გაკვეთა მთა.

ახლაც დგას ის მთა, თითქოს ორ ბუმბერაზს უშველებელი ხერხით გაეხერხოს და ნაწილი ამოეღოს.

მეფის ძალა რომ გატეხა, გმირმა ლომ-ედალბიმ მზისა და მთვარის მეტოქე მანათობელი მისალმათი შეირთო და ახალ ცხოვრებას შეუდგა.

კვალი არ გამოდის

ლომი დაბერდა. ძველებურად ველარ ნადირობდა და იწვა მშიერი. მხეცებს ის უკვე ველარ დაეწეოდა. ამიტომ გადაწყვიტა, მოეხმო ისინი თავისთან, ვითომ საქმე ჰქონდა და შეეჭამა. მგელი და მელაც მიიწვია ლომმა — მოდით, თქვენთან საქმე მაქვსო.

მგელი მაშინვე გაეშურა ლომთან. მელა შორიდან უთვალთვალებდა

ლომის სამყოფელს. ერთი-ორი დღის შემდეგ კი თვითონაც გაემართა ლომთან. კარებს რომ მიადგა, ძირს დაიხედა:

— მგლის ფეხის კვალი ჩანს, ლომთან რომ შევიდა, აი, გარეთ გამოსულისა კი — არაო. უნდა გავიქცეო, — თქვა მელამ და იქიდან მოკურცხლა.

როგორ მოატყუა კურდღელმა მგელი

კურდღელმა, ტყეში რომ დაცანცარებდა, გაიგო, ტყისკენ ზურგზე ტომარამოკიდებული მოლა მოდისო. ეს ამბავი კურდღელმა არად ჩააგდო და თავისი გზა განაგრძო. ამ დროს წინ მგელი შემოეყარა:

— უნდა შეგჭამოო, — უთხრა მგელმა.

— ნუ შემჭამ, — უთხრა კურდღელმა, — ამბობენ, ჩვენს ტყეში მოლა დადისო, საჭმელებით სავსე ტომარა ჰქონია, ჩავუსაფრდეთ და წავართვათო.

მგელს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ჩასაფრდნენ იქ, სადაც მოლას უნდა გაევლო და ლოდინი დაიწყეს. მოლა მათ რომ დაუპირისპირდა, კურდღელი წამოხტა და გაიქცა. მოლამ ტომარა მოისროლა და კურდღელს გამოეკიდა. ამით ისარგებლა მგელმა, ტომარას ჩაავლო კბილი და თვალს მიეფარა.

კურდღელმა თავს უშველა, ორივეს, მოლასაც და მგელსაც, ხელიდან გაუსხლტა. მგელს უხაროდა, კარგი ვახშამი მექნებაო, მაგრამ ტომარა რომ გახსნა, შიგ ანაფორის, კრიალოსნისა და ერთი ტყავის მეტი არაფერი იყო. მიხვდა მგელი, რომ კურდღელმა მოატყუა, მაგრამ რაღას იზამდა.

ქორი და ყვავი

ქორი და ყვავი დაძმობილდნენ და გზას გაუდგნენ. შორეულ ქვეყანაში მიმავალ გზაზე ყვავი დაიღალა. ყვავმა თქვა:

— დავიქანცე, ფრენა აღარ შემიძლიაო.

ამ დროს ერთი თავადი ფრინველებზე ნადირობდა თურმე. მას ხარის მძორზე მახე ჰქონდა დაგებული. ყვავმა უთხრა ქორს: იმ ხარის ხორცს თუ არ მომიტან, გზის გაგრძელებას ვეღარ შევძლებო. მძორთან მიფრენილი ქორი მახეში გაება. ამის დამნახავი ყვავი ისე გაფრინდა, სიტყვაც კი არ უთხრა თავის ძმობილ ქორს. თავადმა ქორი რკინის გალიაში დაამწყვდია.

დამწყვდეულ ქორთან ყოველდღე მოფრინავდა ხოლმე სხვა ქორი და გალიას ზედ აწყდებოდა. ორივე ფრინველი ფრთებითა და ბრჭყალებით

ცდილობდა გალიის გარღვევას და საშინლად წიოდა. ამ ამბავმა ძლიერ გააოცა თავადი და მოიწვია კაცი, რომელმაც ყველა სულიერი არსების ენა იცოდა. მან ქორების საუბარი მოისმინა და თქვა:

— ქორი, რომელიც გარეთაა, გალიაში მყოფს ეუბნება: შენ რომ ქორისთვის მიგეცა მხარი, ახლა დამწყვდეული არ იქნებოდი, ყვავთან დაძმობილებამ გალიაში ჩაგსვაო.

თავადმა ქორი გალიიდან გაუშვა.

პოეზია

* * *

იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
დილით დაგვარქვეს სახელები ლომის ღრიალში,
მთის არწივების საბუდარში გვზრდიდნენ დედები,
ხოლო მამები გვასწავლიდნენ ხართა მოთოკვას.
ამ მიწა-წყლისთვის, მამულისათვის გვზარდეს დედებმა.
და განსაცდელში ჩვენს სამშობლოს მტკიცედ დავიცავთ,
მთის თავისუფალ არწივებთან ერთად დავზრდილვართ,
სიძნელეები ღირსეულად დაგვიძლევია.
ეს გრანიტის კლდე ტყვიასავით დადნება უმალ,
ვიდრე ბრძოლაში დავკარგავდეთ კაცურ ღირსებას,
უმალ გასკდება დედამიწა მზის სიმხურვალით,
ვიდრე მიწაში ჩავიდოდეთ სულგაყინულნი.
ქედს არ მოვიხრით არასოდეს არვის წინაშე,
ჩვენ ერთი გზა გვაქვს: სიკვდილი ან თავისუფლება!
ჭრილობებს დები სიმღერებით მოგვიშუშებენ,
ხოლო სატრფონი აღგვანთებენ ისევ საომრად.
ხის ფესვებს დავღრღნით, შიმშილმა თუ შემოგვიტია,
ცვარ-ნამს შევსრუტავთ, წყურვილმა თუ დაგვრია ხელი,
იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი,
უფალს, ჩვენს მოდგმას, ჩვენს მიწა-წყალს ვემსახურებით!

* * *

ღამეს გაჰყმუის ბექობიდან ეული მგელი,
იყმუვლე, მგელო, მუხლმაგარო, მიდი, იყმუვლე!
მე გისმენ, გისმენ და გაყურადებ,
რადგან მგონია, შენც ჩემს დღეში ხარ.
ჯერ გავიფიქრე — იმ მუხლმაგარ მგელს,
ალბათ, შიმშილი აყმუვლებს-მეთქი,
არადა, თურმე თავის ხროვას ჩამორჩენია.
ძნელი ყოფილა, ბიჭებო, ძნელი,
ტოლ-სწორებსა და ძმებს რომ მოსწყდები.
დათვი ბღუოდა ლელიანში ჩახეტებული,
იბღუვლე, დათვო, ბრაზიანო, მიდი, იბღუვლე!
მე გისმენ, გისმენ და გაყურადებ,
რადგან მგონია, შენც ჩემს დღეში ხარ.
ჯერ გავიფიქრე — იმ მძვინვარე დათვს,
ალბათ, სიცივე აბაბანებს, აბღუვლებს-მეთქი.
არადა, თურმე ბეჩო*-ბუნაგი
აუოხრეს და გაუნადგურეს.
ეეჰ, ბიჭებო, რისთვის ნატრობთ ხანგრძლივ სიცოცხლეს,
ყველაზე უფრო ხნიერიც ხომ ას წელს ვერ ცოცხლობს!

* * *.

ჰეი, ბიჭებო, ნუმც დავხოცილვართ
ერთმანეთის ნდობადაკარგულნი,
ჰეი, ბიჭებო, ნუმც დავხოცილვართ
ერთმანეთის სიყვარულდაკარგულნი,
მშობლებს ნუმც გასჩენიათ ვაჟი უღირსებო
და თუ გაუჩნდათ, გაზრდა არ ელირსოს,
მშობლებს ნუმც გასჩენიათ უნდო ვაჟიშვილი
და თუ გაუჩნდათ, შუადღემდე ნუმც უცოცხლია!

* * *

მთის ფერდობებზე
ქარბუქი ავარდა,
ეხებში* შერეკა
ფერწმინდა ნადირი.
ნადირს გააფრთხობს
ტყავჭრელი ვეფხვი:
— ჭიუხის ეხში
ბოკვრები მყავსო!
სვავ-ორბებს აფრთხობს
ლეგა შევარდენი:
— მწვერვალზე ბუდეში
მართვენი მყავსო.
ჩვენ კი, ჯიგიტებს,*
გვემუქრება მოსკოვის მეფე:
— დიდი რუსეთის
მბრძანებელი ვარო!
პატრონიმც ნუ მოგიკვდება,
მზიურო სამშობლოვ, —
უცხომ ვერავინ მოგიხმაროს
თავის ნებაზე!
ერთი ანგელოზია
უფრთოდ შობილი:
— ღმერთმა ფრთა რომ მიბოძოს,
გავფრინდებოდიო!
ერთიც ვარსკვლავია,
უშუქოდ შობილი:
— ღმერთმა შუქი რომ მიბოძოს,
გავბრწყინდებოდიო!
სულ იმათ არა ჰგავს
ჩვენი გულები!
— ღმერთმა უნარი რომ მოგვცეს,
ვიბრძოლებდითო!
პატრონიმც ნუ მოგიკვდება,
მზიურო სამშობლოვ!
უცხომ ვერავინ მოგიხმაროს

თავის ნებაზე!
როგორაც თაფლი
ჩაბინდული მინანქრის თეფშზე,
ასე ტკბილი ხარ,
მზიურო სამშობლოვ.
ღვიძლი რომ მწარდება
შიგანის აქნისას ნაღველგადასხმული,
ასე გამიმწარდი,
მზიურო სამშობლოვ!

* * *

აგრემც მოგიკვდეს ჩემი თავი,
ტკბილო სამშობლოვ,
განა ვინ გაძღა შენი ტრფობით,
ვინ მოგისურვილა?!
აჰა, გალაღდი,
ჩემო დუშმანო!
მე კი შევრჩები სიკვდილამდე
ამ ტიალ ციმბირს.
დედა მყავს
მშობლიურ სოფელში,
დედას დავავიწყდები,
როცა ჩემს საფლავს ბალახი დაფარავს.
მამა მყავს
მშობლიურ სოფელში,
მამას დავავიწყდები,
როცა საფლავზე ქვას დამადებენ.
ძმა დამრჩა
მშობლიურ სოფელში,
ძმა ვერ დამივიწყებს,
ვიდრე გვერდით არ მომიწვება.
დაე, ლურჯი ცა,
თავზე რომ გვახურავს,
ყვითელ ოქროდ იქცეს და
ვისაც უნდა, მისი იყოს.

მე კი, ნეტავ, სატრფოსათვის
თვალი შემავლებინა.
დაე, ეს შავი მიწა
ჩვენს ფერხთა ქვეშ რომ ვხედავთ,
თეთრ ვერცხლად გადიქცეს
და ვისაც უნდა, მისი იყოს,
მე კი, ნეტავ, ძმასთან ერთად,
ერთი სადმე გამევლო.
წინ მაღალი მთა რომ ჩანს,
წითელ სპილენძად იქცეს,
და, ვისაც უნდა,
მისი იყოს.
მე კი, ნეტავ, თუნდაც ერთხელ,
მეგობართან მასაუბრა.
ნეტავ, არ გაგეჩინე,
მშობელო დედავ!
ნეტავ, სულ არ მენახა
ეს მზიანი ქვეყანა!

ჩორას სევდიანი სიმღერა

წვრილ წელზე
შემორტყმული ტყავის ქამარი.
გარსაკრით შეცვალეო,
მეფის მთავრობამ!
ტანზე მორგებული
მაუდის ჩოხა
კაბა-ჯუბით შეცვალეო, —
მეფის მთავრობამ!
კრაველის ქუდი,
თავზე რომ მეხურა, —
ჩაჩით შეცვალეო, —
მეფის მთავრობამ!
მამაპაპეული
ფოლადის იარაღი
ჯოხზე გაცვალეო, —

მეფის მთავრობამ!
ცხენს რომ შეეზარდე,
ცხენიდან გადმოდი და
ქვეითად გამწესდიო, —
მეფის მთავრობამ!
ჩემი ძმების მკვლელებს,
იმ ღვთის მოძულეებს,
დაემონე და დაშოშმინდიო, —
მეფის მთავრობამ!
იმათთან მოისვენე
საერთო ბაგაში,
ერთი გობიდან თქვლიფეთო, —
მეფის მთავრობამ!
მამაჩემმა — არამიაო!*
რომ ამიკრძალა, —
ღორი ჭამეო! —
მეფის მთავრობამ!

* * *

მინდორზე ალამს რომ ააფრიალებ
და ჯარს ააზვირთებ, შამილ*
ლაშქარს რომ წაუძღვები
და ბედაურს ათამაშებ, შამილ,
თუ იპყრობს, დააპყრობინე
ეს ვრცელი ბაღნარები,
თუ არადა, ნუ ტანჯავ
ამ ჩეჩენ ბიჭებს!
ბიჭებს გულში ჩავარდნიათ
თავმრგვალი კოშკი,
კოშკის ფანჯარასთან
შვიდი ძმის და დგას.
რჩეულის ხვედრიაო,
გაგვიგონია,
მის მოსაპოვებლად გავემზადოთ,
ეჰეი, ჩეჩენო ბიჭებო!

დაი მოგიკვდეს,
ენაწართმეულო,
ტანგაციებულო,
ნათელ თვალებში ნათელჩამქრალო!
გულშეწუხებული, ცრემლად ქცეული
დაი მოგიკვდეს!
იქნებ, დილამდე გასტანოს-მეთქი,
იქნებ, საღამომდე გასტანოს-მეთქი, —
დილის საქმეს შუადღეს ვაკეთებდი,
შუადღისას კი — საღამოს ჟამზე,
ცხელი საჭმელი მიცივდებოდა
შენს მოლოდინში,
დაი მოგიკვდეს!
ამ ქვეყნად, სადაც შენ იარებოდი,
როგორღა ვიარო,
დაი მოგიკვდეს!
ქვითინით უნდა ვიარო,
უშენოდ დარჩენილო ქვეყნიერებაზე,
დაი მოგიკვდეს!

* * *

ხომ მაგარია რკინა-ფოლადი,
მაგრამ ადნობს ცისფერი ალი,
შენ კი რისგან ხარ ნაჭედი, გულო,
ასე მაგარი?!
როცა წყარონი ყინულად იქცნენ,
კენწეროები ჭირხლმა დაფარა,
როცა ჩეჩნეთში და ინგუშეთში
თავზარდამცემი ხმები დაირხა,*
არ დაიფერფლე, არ მოკვდი, გულო!
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!
როდესაც მოხუც დედებს და მამებს
მუჯლუგუნებით ერეკებოდნენ,

თან ანგელოზებს გულმკერდიდან აგლეჯდნენ დედებს,
როცა აგვყარეს მშობელ მიწიდან
იმ დილით, გულო, არ დაიფერფლე,
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!
რკინის ხახიდან ლურჯ ალს რომ აფრქვევდა,
ცოდვიან გზაზე გრძელ ტანს მიარხევდა,
მატარებელი რომ მიირწეოდა,
არ ჩაიბუგე, არ მოკვდი, გულო!
რისგან ხარ ქმნილი ასე მაგარი?!

ირემი

მთის ძირიდან მოჩუხჩუხე ცივი წყაროს წყლით
გახურებულ მკერდს რომ არ იგრილებს, წყურვილს არ იკლავს,
ტყის ნაპირას მობიბინე ნაზი ბალახით
სალუქ მუცელს რომ აღარ ივსებს,
ტყეთა მდელოებზე მგელივით რომ დაძრწის,
დაბურულ ხევში ჩაეშვება, ვეძას* დაეწაფება,
მთის თხემზე მოექცევა, ფხიზლად ყურს მიაპყრობს,
ეშინია, მონადირის ტყვიამ არ გაგმიროს,
სალ კლდეს რქის ტოტებს რომ უხახუნებს,
წიფლის ფესვებს ჭრელ ფლოქვებს რომ უბათქუნებს,
ყურებს დაცქვეტს, რქებს უკან გადიყრის,
ჩამოივაკებს, ფურ-ირმებს მოუხმობს.
რამდენი ასეთი ქორბუდა დაეხეტება, ფურ-ირემს მოწყვეტილი,
განა მარტო ჩვენა ვართ, ბიჭებო, წყურვილმოუკვლელნი?!

* * *

როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება,
ისე კაი ყმას უკან დასდევს სიტყვა მკილავი,
როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება,
ისე უძმო ქალს უკან დასდევს სიტყვა მკილავი.
ერთი ასული ყოფილა და ძმა არ ჰყოლია, —
„ძმა რომ მყოლოდა, ჩემი რიდიც ექნებოდათო!“

ცამოწმენდილზე ვის უნახავს თქორი და წვიმა,
უძმო ქალწულს კი გული უძგერს, მალ-მალ უტირის.
— ჩემი ტოლები ცხოვრებამ გაალაღა,
ცხოვრება ამეწენა, მე ბედშავს,
სპილენძის თუნგით წყალზე რომ წავიდე,
ცივი წყაროც დაშრება, ისეთი ბედი მაქვს!
ერთი მტრედი ყოფილა უფრთოდ დაბადებული,
უფრთო მტრედია უძმო ქალწული.

* * *

ნუ იტყვი, ძმა არისო, ნუ იტყვი, და არისო,
ღვძლი თუ არ არის შენი.
ბიძაშვილიაო, ნურც ამას ნუ იტყვი,
მამაშენის ღვიძლი ძმისა თუკი არ არის.
უმწყემსო ნახირის გარეკვა ადვილია, იცოდე,
უმწყემსო ნახირი უძმო ქალია,
ნედლი ყლორტის გადატეხაც ადვილია, იცოდე.
ნუმც შევსწრებივარ, წყაროსთან მივიდე
და წყაროსთავზე ძმა ვერ დავლანდო,
ღმერთო, ნუ მომასწრო, საფიხვნოს* შევხედო
და იქ მამაჩემს ვერ მოვკრა თვალი.

* * *

ირგვლივ მთებია, — ასე უთხარი,
მთაზე მე ვდგავარ, — ასე უთხარი!
იმ ვაჟს, რომელიც ჩემზე ოცნებობს,
ჩემს წასაყვანად მოვიდეს, — უთხარი.
ჩემს სიტყვაზე ვდგავარ, — ასე უთხარი,
მშვიდობის გზა ექნება, — ასე უთხარი,
მის გარდა არავის გავყვები, — უთხარი,
ჩემს წასაყვანად მოვიდეს, — უთხარი,
ქარი ამოვარდა, — ასე უთხარი,
ქარი და თქეშია-თქო, — ასე უთხარი,

გულის სწორს ელის-თქო, — უთხარი,
ქარიშხალში დგას-თქო, — უთხარი,
მდინარე გაიყინა, — ასე უთხარი,
ყინულზე ვდგავარ, — ასე უთხარი,
მწყურვალს წყალიც კი დაავიწყდა-თქო
სატრფოს მოლოდინში, — ასე უთხარი.

* * *

ნუ იტყვი, დღე ღრუბლიანიაო,
ადექ და წამოდი!
ღრუბლები რომ გაფანტოს,
მზეს შევიპირებ.
ნურც იმას იტყვი,
ღამე ბნელიაო, —
მაინც წამოდი!
სიბნელე რომ გაიფანტოს, —
მთვარეს შევიპირებ.
წვიმიანი დღეც იყოს,
მაინც წამოდი!
წვიმამ რომ არ დაგასველოს,
შენს თავს ზემოთ მანდილს დავიჭერ,
მაგრამ რომ აღარ მოდიხარ,
ეს მხარე რომ სულ დაივიწყე!
სილამაზემ თუ გაგათამამა,
თუმც მაგ ქედმაღლობით
მე ნირს ვერ შემიცვლი.
გულის სწორს ბრალს ვერ დავდებ,
უფლება არ მაქვს,
ალბათ ღამე იყო ბნელი და
შიშს ვერ მოერია.

* * *

როგორ გავბედე,
რომ შეგიყვარე?
მოულოდნელად
ფიქრი შენზე რისთვის დავიწყე?
ეს ფიქრები აღარ მეხსნება.
ვიდრე არსებობს ეს ქვეყანა
და მეც ვარსებობ,
ჩემი გული ვერ დაგივიწყებს.
მითხარ, საყვარელო, გიყვარვარ თუ არა,
ხომ არ მატყუებენ შენი ღრმა თვალები?
გემუდარები, ჩემო თვალისჩინო,
გამიზიარე გულისნადები.
თუნდაც ერთი დღე რომ ვერა გნახო,
ყმაწვილი გული სიყვარულში აღარ მიდგება.
შენს გარდა არავინ მჭირდება, იცოდე,
თავიდან მოიცილე უჟმური ფიქრები.
ტრფობას ნუ ჩააქრობ, მოდი სიყვარულით
და მაშინ მეც გეტყვი, ჩემო გულის სწორო:
„იყავ ბედნიერი ამ ლამაზ მხარეში,
დე, შენი ცხოვრება მუდამჟამს ბრწყინავდეს
და ნუ დაივიწყებ, ვისაც შენ უყვარდი!“
მე შენი ერთი სიტყვაც გამაცოცხლებს,
ოღონდ სიყვარულით მოდი ჩემს სოფელში.
სიყვარული ძნელია, სანატრელო,
მაგრამ ათასჯერ ძნელია იქ ყოფნა,
სადაც შენ არა ხარ!

* * *

სული რისთვის მიწრიალებს, ნეტავ,
სული რისთვის შემომტირის, ნეტავ,
უბედურება მემუქრება თუ
ბედნიერი ვიქნები, ნეტავ?
საღამო გელისო, მეუბნებიან,
დილა გელისო, მეუბნებიან,

ლამაზი ვაჟი — „თუ გამომყვები,
ბედნიერი იქნებიო“, — მეუბნება.
საღამოსაც მომწყვიტეს, დედა,
დილის ნათელსაც მომწყვიტეს, დედა,
ლამაზმა ვაჟმა — „გამომყევიო“ —
ბედნიერებას მომწყვიტა, დედა.
მზეზე ლამაზი შენა ხარ-მეთქი,
მთვარეზე ლამაზი შენა ხარ-მეთქი,
გეუბნებოდი, გულის რჩეულო,
შენ კი შენივ სიტყვა გატეხე.
საღამო ტანჯვად გადამიქციე,
დილა ტანჯვად გადამიქციე,
ბედნიერი იქნებიო, მეუბნებოდი,
უბედურება დამატეხე თავს.
ა, იმ მაღალ მთას შორით ხომ ხედავ?
ა, იმ მაღალ მთას შეავლე თვალი?
იმ მთისოდენა სიამაყე მაქვს,
უშენოდაც გავიკვლევ გზას.

* * *

ლოგინს მიჯაჭვული სნეული არა ვარ,
აღარც ჯანმრთელი ვარ, ძლივსღა დავაბიჯებ,
შენმა გაცნობამ სნება რომ შემყარა,
ის სნება არადა აღარ მეხსნება.
ყოველ დილას ფხიზლად გდარაჯობ,
ყოველ საღამოს ფხიზლად გდარაჯობ,
ვუთვალთვალებ შენს გამოჩენას,
რომ ეს გული გადაგიშალო.
სიყვარული მძიმე სენია,
უსიყვარულოდაც რომ არ გეცხოვრება!
მკვდარი გენახო, მშობელო დედავ,
თუკი ჩემს სიყვარულს წინ გადაუდგები.
უსაღამოოდ დილა ვერ იქნება,
უგანთიადოდ მწუხრი ვერ იქნება,
უსიყვარულოდ ქვეყანა ვერ იქნება,

რად მტანჯავ ამაო ფიქრებით?!
დილა არ გათენდებაო, ვინც იტყვის,
ბინდი არ ჩამოწვებაო, ვინც იტყვის,
შენი არ იქნებაო, ვინც ჩემზე იტყვის,
მდინარე აღმა სურს შეატრიალოს.
ლოგინს მიჯაჭვული სნეული არა ვარ,
აღარც ჯანმრთელი ვარ, ძლივსღა დავაბიჯებ,
შენი გაცნობის დღეს რომ შემეყარა,
ის სნება არადა აღარ მეხსნება.

მარჭანა

გაზაფხულის ყვავილებს სილამაზე ატირებთ,
საკუთარი სიმწვანით ველ-მინდვრებიც ტირიან.
ამ თვის მეთოთხმეტე დღე მიილევა, მარჭანა,
და შენი მეთოთხმეტე წელიწადი იწყება...
შემოდგომის ყვავილებს ჭირხლი უსპობს სიცოცხლეს,
ზამთრის ცივი ქარები არემარეს თოშავენ,
ბადრი მთვარის ნათელსაც მილევა დაუწყია,
შენ თოთხმეტის ხდები და შენი დროც იწურება...
ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს შენი თავი დედაშენს,
შენდამი სიყვარულმა ეს გული დამიკოდა,
მარჭანა, უშენობას გული ვეღარ გაუძლებს,
ხანძარი მოსდებია, ზღვაც კი ვეღარ ჩააქრობს.
ჩემი უბედურება სხვას ვის უნდა შევჩივლო,
შენს იქით სხვა მკურნალი, აღარა მყავს, მარჭანა.
მშვიდობა შენს შემოსვლას, მშვენიერო მარჭანა.
გაზაფხულს ეჯიბრები? — გაზაფხული გაივლის,
ხოლო შენი სინორჩე არსად წავა, მარჭანა.
დილის გრილი ნიავი მწვანე ბალახს ათრთოლებს,
მჭმუნვარებას აზვირთებს, მწუხრის ჟამის ფიქრები,
მაგ ლამაზი თვალებით გული რომ დამიკოდე,
შენს იქით სხვა მკურნალი აღარა მყავს, მარჭანა.
გაზაფხულის სამივ თვეს ჩემს ცხენს შემოვევლები,
და ზაფხულის სამ თვეში ბროლის ქიმს დავამსგავსებ,
მოგიტაცებ, წაგიყვან, მშვენიერო მარჭანა,
გევედრები, გამომყევ, ნუღარ დააგვიანებ.

* * *

წვიმა წამოვა და მიწა შეისრუტავს,
წყლები წავლენ და ქვები დარჩებიან,
მაგრამ, ვაი, რომ აღარ მოშუშდება
ეს გული შენგან დაიარებული.
შენმა სიყვარულმა ტანი დამიშალა,
შენმა სიყვარულმა გული დამინაცრა,
ეს ჩემი ფიქრები შენგან დანამქრული
ჯიუტობენ და აღარ იდარებენ.
უსაღამოოდ არ იქნებაო,
უგანთიადოდ არ იქნებაო,
აბა, უშენობა როგორღა იქნება,
ვაი, რა სატანჯველს გადამკიდე.
სადაც მთაა — მთაზე ავალ,
სადაც ხევი — ხევში ჩავალ,
რა საკირეში ჩამაგდე!
ეგებ ტყეში გავიჭრა და
მოთქმით გული მოვიოხო.
მთის მდინარე რომ მოჰქუხდეს,
იმის ტალღებს რომ მივქონდე,
დე, წამიღონ, დობილებო,
წყალს უბედური მიაქვს-თქო.
კოცონი რომ გიზგიზებდეს,
ცეცხლში რომ ვიფერფლებოდე,
დე, დავიწვა, დობილებო,
გოგო იწვის ბედკრული-თქო.

* * *

ნუ დაეშვები, მწუხრო ლამაზო, მზის მიდრეკისას ბინდი ნუ მოგაქვს,
შინ რომ ვბრუნდებით, ბინდში მშობლებს ველარა ვხედავთ.
ნუ, ნუ მოდიხარ, დილავ ლამაზო, მზის ამოსვლისას შუქი ნუ მოგაქვს,
დღის სინათლეში გარეთ რომ გავალთ, ნამდვილ მეგობრებს
ველარსად ვხედავთ.
ნუ, ნუ მოუხვალ ოქროვან ტახტით, მზეო, ქვეყანას, ნუ გაანათებ,

აქაურობას ნათელს რომ მოჰფენ, ათასნაირი საწუხარი წამოგვეშლება.
ნუ, ნუ ეწვევი შენ, გაზაფხულო, ქვეყნიერებას პირმშვენიერი,
პირმშვენიერი რომ მობრძანდები, გულებს მკერდში ველარ ვიოკებთ,
ნუ დამშვენდებით მინდორ-ველებო, ნორჩი ბალახით ნუ ამწვანდებით.
თქვენ რომ მწვანდებით და ხასხასდებით, ცრემლები მოგვდის,
ველარ ვიკავებთ.
ნუ, ნუღარ ყმუი, შენ, რუხო მგელო, ასეთნაირად მწარედ, მწუხარედ,
თუ ის გაყმუვლებს, ხროვას რომ მოსწყდი — დედისერთა ბიჭს
მიუგდე ყური.
შავ სამარეში მარტოდ დარჩენა ძნელზე ძნელია, ასე ამბობენ,
უფრო ძნელია, შენსავ ოჯახში უმეგობროდ და მარტოდ რომ რჩები.
ნუ, ნუ ქვითქვითებთ ასე მწუხარედ, თქვენ, ოფოფებო,
მინდორ-ჭალებში,
ასე მწუხარე თქვენი ქვითქვითი მეგობრებსა და ტოლებს
გვახსენებს.
ნუ, ნუღა გალობთ, შავო შაშვებო, და ჩვენს ფანჯრებთან ნუღარ
ჭახჭახებთ,
თქვენს გალობაზე ახლობლები და ნათესავები გაგვახსენდება.
ნუ დასთამაშებ, ჟღალო პეპელავ, მწვანე მინდორზე ფერად
ყვავილებს,
შენი თამაშის შემხედვარენი, ხანდაზმულები ჩუმად ტირიან.
ნუ დაზუზუნებთ, ნუღარ, ფუტკრებო, მწვანე მდელოზე ფერად
ყვავილებს,
მაგ თქვენ ზუზუნზე ობლად დარჩენილ ჩვილთა ტირილი გაგვახსენდება.
ნუ ეპარები, ბებერო ვეფხვო, წინანდებურად ტყეში სამსხვერპლოს.
ვაჟკაცს დარჩენილს უშთამომავლოდ ხელი შენსავით მოეცარება.
შენ, შევარდენო, გაუმაძღარო, ამ სიბერეში რისთვის სუქდები,
ასე ეკარგვის შნო და ლაზათი ვაჟკაცს, რომელსაც ძე არ ელირსა.
ფურირმებს ნუღარ უხმობ, ქორბუდავ, უკვე სიბერემოძალებული,
ასე შენსავით გაწბილებულა მამა უძეოდ გადაგებული.
ნუ, ნუღარ ლამობ, ფრთამოტეხილო, ცისფერო მტრედო, ცაში
აფრენას,
ასე უქრება ხოლმე სილაღე მარტოხელა, უძმო ქალიშვილს.

* * *

შენ, ჰოგალაი,* ჰოგალაი,
მოგვეც წვიმა, უფალო,
ციდან სწრაფად დაეშვას,
მიწას ნელა შეეხოს.
ჰოგალაი, ჰოგალაი,
ციდან მადლი წამოვიდეს,
ძირს ბარაქად ჩამოვიდეს,
გაავსოს მამის ნალია,
დაზნიქოს დედის ამბარი.

სიმღერა ქვრივის ვაჟიშვილსა და ქართველ ჭაბუკზე

I

ასე ჰყვებიან: მზის ჩასვლისას, შესაღამურზე,
სპეტაკ ბეშმეტში და მაუდის კოხტა ჩოხაში
ლაზათიანად გამოწყობილ-გამოკვართული,
რუხი ფაფახი, ბეწვიანი და პეწიანი,
თავს რომ ეხურა დარდიმანდულ-მოცერებულად, —
ქურანა ცხენით საფიხვნოზე გავიდა, წყლისპირს,
და სოფლის ჯეელთ მიესალმა ვაჟი ქვრივისა:
— სალამი თქვენდა, გამარჯვება, სოფლის ჭაბუკნო!
მაღალმა ღმერთმა მშვიდობისა მოგცეთ საღამო!
— შენც გაგიმარჯოს, ქვრივის ვაჟო, მოხვედ მშვიდობით!
არამც მოგაკლოს შემოქმედმა თვისი წყალობა! —
მიუგეს ღირსად ერთსოფლელმა ღირსმა ვაჟებმა.
მალედვე, იმ ჟამს, ქარბორბალა როგორც ნამქრისა,
ცხენზე მოფრინდა თოისამი ძე უსუპისა,
წყლისპირს, ფეხონზე* შეაჩერა თვისი ქურანი
და ამ სიტყვებით მიესალმა თანასოფლელებს:
— სალამი თქვენდა, გამარჯვება, სოფლის ჭაბუკნო,
მაღალმა ღმერთმა მშვიდობისა მოგცეთ საღამო!
— შენც გამარჯვება, ქვრივის ვაჟო! ოღონდ, ხომ იცი,
სინორჩის გამო ადვილია ყლორტის მოტეხა,
შევარდენს კიდევ — ფრთამოტეხილს — ქორიც ერევა!

ჰოდა, საქმე მაქვს, სათქმელი მაქვს რაღაც ბიჭებთან,
შენ გაგვეცალე, ქვრივის ვაჟო, განზე მიდექი!
— შენც გაგიმარჯოს, ჰე, თოისამ უსუპის ძეო!
მოხვედ მშვიდობით, შენც გამჩენი ღმერთი გფარავდეს!
სინორჩის გამო, ვიცი, ყლორტი ტყდება ადვილად,
შევარდენს კიდევ — ფრთამოტეხილს — ქორიც ერევა!
მიდი ბიჭებთან, რამდენიც გსურს, ელაპარაკე,
მე ხელს არ გიშლი! — ასე უთხრა ვაჟმა ქვრივისამ
და შინისაკენ გამობრუნდა დაღონებული.

II

მივიდა სახლში, მიაშურა სასტუმრო ოთახს,
ჩამოჯდა ხუნძურ სამფეხაზე ვაჟი ქვრივისა,
სამძალიანი* გადმოიღო, თვისი ფანდური,
თლილი თითები ჩამოჰკრა და მიეცა ფიქრებს.
ნაღვლიან მოთქმას, ფანდურისას, თურმე, გარედან
უსმენდა დედა, ითმინა და ვერ მოითმინა,
შევიდა შვილთან და, სევდიანს, ასე მიმართა:
— შენამც იხარე, ჩემო ბიჭო, ჩემო ობოლო,
ეგ, რა ნაღვლიან ჰანგზე უკრავ, რამ დაგაღონა?
რა გაგჩენია საფიქრალი, მითხარ შენს მშობელს!
— არ გაგაწბილებ, მოგიყვები, დედი ჩემს ამბავს,
არ ვარგა იმის უთქმელობა, რაც უნდა ითქვას:
წეღან, წყლის პირას საფიხვნოზე ვიყავ გასული,
იქ უსუპის ძე თოისამიც მოვიდა მალე,
სალამი თქვა და მე, პირადად, მომმართა ასე:
— არ გაწბილდეო, მოდი, ქვრივის პატარა ბიჭო, —
სინორჩის გამო ადვილია ყლორტის მოტეხაც,
შევარდენს კიდევ — ფრთამოტეხილს — ქორიც ერევა!
აქ პატარა რამ საქმე მაქვსო სოფლის ბიჭებთან,
შენ დაგვტოვეო, — ასე მითხრა, — ქვრივის პატარავ!
მე მას სალამი ჩამოვართვი, ვით ადათია,
როგორც ყმაწვილმა, მოვითმინე და წამოვედი.
ერთი ქართველი ჭაბუკია სახელგანთქმული,
უნდა წავიდე, ის ჭაბუკი გავიცნო-მეთქი, —
ვიფიქრე გულში, ვიფიცე და ვირისხე ღმერთი, —

ჰოდა, რაკიღა გადავწყვიტე, ასე იცოდე,
თუ მას არ ვეძმე, ისე მე შინ არ მოვბრუნდები!
სანამ არ ვნახავ, არ გავიცნობ და არ ვეძმობი,
პურს — საჭმელად და წყალს — სასმელად არ გავიკარებ,
ღმერთია მოწმე საშინელი ჩემი ფიცისა!
ახლა მივდივარ და თუ ვინმემ სახლში მიკითხა, —
დილითა გკითხონ — საღამოთი მოვა-თქო, უთხარ!
საღამოს გკითხონ — ხვალ დილაზე შინ იქნება-თქო!
ეს თქვა და ქვრივის ვაჟიშვილი გარეთ გავიდა,
ვით დაისის მზემ, ქვეყანას რომ ტოვებს და ჩადის,
ისე დატოვა ქვრივის ვაჟმაც თვისი სოფელი.

III

— ძილი არ მქონდა მე შენს გამო და მოსვენება,
დღე-ღამ გივლიდი, ჩემო კოხტა, ქურანა ცხენო,
ამ დღისთვის გზარდე და შენი ფხაც მიჩვენე ახლა,
ახლა იფრინე შევარდნულად, შეჰკარ კამარა,
ლომივით მხტომმა გადასჭერი გზა და მანძილი! —
თქვა ქვრივის ვაჟმა და სადავე მიუშვა ქურანს,
წვრილი მათრახით გააფიცხა ტანმომცრო ცხენი,
მზის აბრძანების ჟამი იყო, როცა დაიძრა,
ალაზნის ველზე შეხვდა უკვე მზის ჩაბრძანებას.
კვლავაც იარა. მზეც ჩავიდა, კიდევ იარა,
მიაჭენებდა ქურანა ცხენს ქართველთა ველზე
და, როგორც იყო, იმ სოფელსაც მიადგა ბოლოს,
სადაც ცხოვრობდა ის ჭაბუკი ვინმე, ქართველი.
სიგრძივ გადაჭრა ის სოფელი შმაგი ჭენებით,
კივილ-ყვირილით, თან ყასიდად, მშველელს უხმობდა.
რადგანაც გულში, თურმე, ერთი ფიქრი დაესკვნა:
„თუ ვაჟკაცური ბიჭი არის, როგორც აქებენ,
თუ მართლა არის ქართველებში სახელგანთქმული,
მაშინ საშველად ყველაზე წინ გამოვარდება!
მართლაც, შეესმა ქართველ ვაჟკაცს ვაჟის კივილი
და ცოლს მიმართა, ჯერ ერთი თვის ახალპატარძალს:
— აგრემც გენაცვლე, ღირსეულო ჩემო მეუღლევ,
მშველელს უხმობენ, კივილის ხმა მესმა გარედან,

მოდი, გადი და ერთი, ნახე, ვინ ითხოვს შველას,
რომ გავიდე და დავეხმარო გაჭირვებულ კაცს.
გარეთ გავიდა პატარძალი, მალევ შებრუნდა
და ეუბნება ქართველ ვაჟკაცს, თავის მეუღლეს:
„ნურას ინაღვლებ, ნუ იჯავრებ, ჩემო ლომკაცო,
არვის რა უჭირს, გარეთ დიდი არა მომხდარა,
მშვიდად იწექი ამ თბილსა და ფაფუკ ლოგინში!
თქვა ეს თუ არა ტკბილმა სატრფომ იმ ვაჟკაცისამ,
იგი ვაჟკაცი ლოგინიდან ზე წამოიჭრა,
ვითარცა ლომი სასიკვდილოდ ტყვიანაკრავი.
საუკეთესო ტანსაცმელი ტანზე მოირგო,
სულ ნახელავი ჩერქეზთა და ქართველთა ქალთა,
გარეთ გავარდა, უბელო ცხენს მოახტა ხელად,
იძრო ხმალი და ვინმე უცხო კაცის საშველად
ღამის სიბნელეს შეერია ვაჟი ქართველი.
— გამარჯვებაო, ღამეულო ჩვენო სტუმარო, —
უთხრა, როდესაც გზად შემოხვდა იგი ქვრივის ვაჟს, —
ვხედავ, თითქოსდა საგანგაშო არფერია,
რემა არავის არ წაუსხამს, აქ სხვა, შენს მეტი,
არავინ ჩანს და ვინ ითხოვდა შველას, ნეტავი?
— შენც გამარჯვება, ჰე, ქართველო, კარგო ჭაბუკო!
როგორცა ხედავ, მე არც რემა მომიტაცნია,
არცა მდევარი მომდევს უკან, არც რა მომხდარა,
ეს მე ვიყავი მოკივარიც, შველის მთხოვნელიც!
ჰოდა, ახლა კი, აქეთ მოდექ, ქართვლის ნასხლეტო,
ჩემს წინ იარე, საჩეჩნოში რომ წაგიყვანო
და ქათმის ფასად იქ გაგყიდო, ჩეჩნურ ბაზარზე! —
ეს უთხრა ქვრივის ვაჟიშვილმა საშველად მოსულს.
უბელო ცხენით, ხელხმლიანი, ვაჟი ქართველი
წინ გაიგდო და უკან მიჰყვა ვაჟი ქვრივისა —
ქურანა ცხენზე ანამხედრი, ხმალშემართული.
ბევრი იარეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია,
ბოლოს ქართველმა ყმაწვილკაცმა ეს უთხრა ჩეჩენს:
— ერთი ეს მითხარ, ტაბარუკო* ჩეჩენო ბიჭო,
როგორცა ხედავ, წამოვვარდი ნამძინარევი,
კაცის საშველად გამოვვარდი, ისევ რულში ვარ
და ვერას ვხედავ, სადა ვართ ან საით მივდივართ?

— ქართვლის ნასხლეტო, ხმა გაკმინდე, მორჩი ყბედობას!
— კვლავ კადნიერად შეუტია ვაჟმა ქვრივისამ, —
უნდა გაგყიდო, ხომ გითხარი, ჩეჩნურ ბაზარზე!
იმ ქართველ ვაჟკაცს მეტად აღარ გაუღია ხმა
და გზა განაგრძეს, მიდიოდნენ ერთხანს მდუმარედ.
ცოტა ხნის შემდეგ მეორედაც ჰკითხა ქვრივის ვაჟს,
სად მივდივართო, და იგივე ესმა პასუხად.
კვლავაც იარეს მცირე ხანს და კვლავაცა ჰკითხა —
უკვე მესამედ — იმ ქართველმა ქვრივის ვაჟიშვილს:
— თავს ნუ იღუპავ, ჩეჩენო ბიჭო,
მითხარ, გეთაყვა, სად ვიმყოფებით?
— ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, თავს თვით იღუპავ,
ჩვენ ახლა იქ ვართ, სადაც მორჩა შენი სამშობლო,
აქ უკვე ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარი გადის!
ალაპარაკდა მაშინ უკვე ვაჟი ქართველი:
— თავს რატომ ირცხვენ, ჰე, ჩეჩენო ყმაწვილო კაცო,
რად დაარღვიე, ანდა მე რად დამარღვევინე
განთქმული წესი ჩვენი სტუმარ-მასპინძლობისა?
ამ შუაღამეს ჩემს სამშობლო საქართველოდან
ამოდენა გზა, რაც უბრალოდ აქეთ მატარე,
ღმერთია მოწმე, გაგატარებ ისევ უკანვე!
აბა, მიბრუნდი და გამიძეხ, ჩეჩნის ნასხლეტო! —
უთხრა ქვრივის ვაჟს ეს სიტყვები ვაჟმა ქართველმა
და ამნაირად უპასუხა ვაჟმა ქვრივისამ:
— ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, მისმინე კარგად,
ნუ გეგონება, შემაშინებ შენი ქადილით;
გიამბობ ახლა მე ჩემს ამბავს, ყური დამიგდე,
ჩემს საღონებელს და გასაჭირს ჩასწვდი ბეჯითად.
არა მყოლია ჯერ ძმობილი, ვინმე სანდობი,
არცა ღვიძლი ძმა, დედით, მამით ერთსისხლ-ერთხორცი.
ჰოდა, ერთხელაც, წყაროს პირას, ჩვენს საფიხვნოზე,
როს მთის წვერებზე ოქროსფერი იდგა დაისი,
როს თავმომწონედ მეც ვიდექი რჩეულ ბიჭებში,
საფიხვნოს მოდგა თვით თოისამ, ძე უსუპისა,
და შეკრებილებს ღირსეული მისცა სალამი.
მე კი, რატომღაც, დამცინა და ამითვალწუნა
უძმობისა თუ, შეიძლება, ასაკის გამოც,

განზე გადიო, ასე მითხრა კბილში გაცრილად,
მე აქ ბიჭებთან საქმე მაქვსო სალაპარაკო!
მე უმცროსობით დავთმე წყენა, მაგრამ მაშინვე
შენ მომაგონდი, — შორს გასულა შენი სახელი,
სუყველა გაქებს, სადაც შენზე სტყვა ითქმება:
ერთგულიაო, პირიანი! — შენზე იტყვიან.
ჩემ თავს აღვუთქვი, მანამ, სანამ შენ არ გნახავდი,
სანამ მე და შენ მეგობრები არ გავხდებოდით,
არც წყალი მესვა და არც პური მეჭამა ლუკმა.
ახლა მოვსულვარ სამეგობროდ შენს სამყოფელში
და, ჰა, გიამბე ხვაშიადიც ჩემი გულისა! —
ასე უთხრა და დაასრულა თვისი სათქმელი
კარგმა ჭაბუკმა ვაჟმა ქვრივისამ.
— შენ თუ საძმოდ და სამეგობროდ მოხვედი, მაშინ
შინ წამომყევი! — ეუბნება ვაჟი ქართველი, —
მოაბრუნა და ქვრივის ვაჟი შინ წაიყვანა.

IV

თავლაში ცხენებს ჩამოხადეს უნაგირები,
მისცეს საკვები, დაარწყულეს, მერე თვითონაც
შევიდნენ სახლში და სასტუმრო ოთახში დასხდნენ.
დასხდნენ ხალვათად, მსწრაფლ მოართვეს მსუქანი ხორცი,
დადგეს არაყი ფერგამჭვირვალე
და ლხინს მიეცა ორი ჭაბუკი.
ქართველი ვაჟი სახელგანთქმული
თავისთვის არაყს ცოტას ისხამდა
და ქვრივის ვაჟს უსხამდა ჭარბად.
დაათრო ბოლოს, მთვრალი ტახტზე წამოაწვინა,
ფეხებზე რკინის ბორკილები დაადო, ხოლო
ხელები მტკიცე აბრეშუმის ბანდით გაუკრა.
დატოვა ასე გაკოჭილი, გავიდა გარეთ
და გენერალთან გაეშურა იგი პირდაპირ.
მიადგა სახლში, დაუძახა მოხუც გენერალს,
გამოიყვანა და აუწყა თვისი სათქმელი:
— ჰე, გენერალო, მოგახსენებ ჯერ — გამარჯვებას,
მერე — ამბავიც მსურს გაუწყო საგულისყურო.

ახლა, მოხუცო გენერალო, აქეთ მობრძანდი,
ყური დამიგდე, რასაც გეტყვი, კარგად მისმინე:
იმ შენს ოფიცრებს ქალაქგარეთ ვინც არ ასვენებს,
თავადთა სახლ-კარს, იმათ ცოლ-შვილს ვინც აწიოკებს,
მდიდრებისა და კიდევ ბევრის სისხლის მწოველი,
მართლაც წურბელა ანუ თევზი უხელთებელი,
ანუ იგივე — ქვრივის ვაჟად სახელდებული,
სახლში მყავს ამ წუთს გაკოჭილი, დატყვევებული.
შვიდი ყოჩაღი ოფიცერი გამომაყოლეთ,
წამოიყვანონ ის ტყვე, ოღონდ ჯილდო-პატივად,
მგონი, მერგება, მეც ჩამაცვათ ოფიცრის ფორმა.
მაშინ ქართველს ოფიცრისა უბოძა ფორმა,
შვიდი ყოჩაღი ოფიცერიც გამოატანა
და გაისტუმრა შინისაკენ იმ გენერალმა
ვაჟი ქართველი, რომ ჩეჩენი წამოეყვანათ.
მივიდნენ სახლში და ქართველმა ის ოფიცრები
ვინ — ფანჯარასთან, ვინ — კარებთან დააყენა და
თავად საკუთარ სახლში შევიდა.
მივიდა, ფრთხილად შეანჯღრია ტახტზე მძინარი,
გამოაღვიძა იმ ქართველმა ვაჟი ქვრივისა.
— კარგად შემხედე, ქვრივის ვაჟო, არა გიკვირს რა?
იმ ხანში, შენ აქ რბილ ლოგინში რომ ნებივრობდი,
აბა, უყურე, მე როგორი ვაჟკაცი დავდექ!
შეხედე-მეთქი: ხომ მიხდება ოფიცრის ფორმა?
ქუდსაც შეხედე, ხომ მიხდება ოფიცრის ქუდი?
ახლა წამოდექ და ფანჯრიდან გადაიხედე,
ფანჯრის წინაც და კარის წინაც თვალი მოავლე, —
ხომ არ დგას შვიდი ოფიცერი ურჩეულესი
და თუკი დგანან, ვისი უნდათ, ნეტავ წაყვანა?
დიახ, საშენოდ მოვიდნენ აქ, შენს დასაჭერად!
ეს კოხტა ფორმაც ოფიცრისა, იმ გენერალმა
მისთვის მაჩუქა, შენი თავი ხელთ რომ ჩავუგდო.
ახლა, რას ფიქრობ, ქვრივის ვაჟო, მითხარ, ამაზე?
— კარგია, კარგი! — ქვრივის ვაჟმა უთხრა პასუხად, —
შენ თუკი გინდა ოფიცრობა, ფორმაც გიხდება!
კმაყოფილი ვარ, თუ ჩემს გამო მოხდა ეგ საქმე, —
ლხინში გეცვითოს! ბედნიერად გეტარებინოს!

კვლავაც ჰკითხა იმ ქართველმა ქვრივის ვაჟიშვილს
და ქვრივის ვაჟმაც კვლავ იგივე პასუხი გასცა.
აი, მაშინ კი, ვნახოთ, რა თქვა ვაჟმა ქართველმა:
— ჰეი, ჩეჩენო ყმაწვილკაცო, აბა შემხედე!
ჩემს შავ თვალებს და ჩემს განიერი მხარ-ბეჭს შეხედე!
მე რა მეტყობა ისეთი, რომ დოსტი გავყიდო,
სტუმარი გავცე, მეგობარი ჩინზე გავცვალო,
და ამის შემდეგ თავი ისევ კაცი მეგონოს? —
თქვა ეს თუ არა, ის ქართველი გარეთ გავარდა,
გაყარა შვიდივ ოფიცერი თავის ეზოდან,
შემობრუნდა და ეუბნება ასე ქვრივის ვაჟს:
— ეს ოფიცრები ხომ გავყარე, ვერც ჯარისკაცის
ჭაჭანს ვერ ნახავ ჩემს ეზოში, ნუ გეშინია!
ახლა, სოფელში მე გამიჩნდა მცირე რამ საქმე,
უნდა გავიდე! შენ აქ დარჩი, როგორც შენს სახლში! —
მერე კი ახსნა ხელ-ფეხიდან ბორკილ-ბანდები
და ის ქართველი გაეშურა თავის საქმეზე.

V

ასე ამბობენ: წავიდაო ვაჟი ქართველი,
მიადგა, თურმე, ერთ დიდ თავადს, სიმდიდრით განთქმულს,
ვისაც ჰყოლია ქალიშვილი მზეთუნახავი,
ცნობილი თავის ჭკუითა და გონიერებით.
მარტოდ ესტუმრა, ერთი სიტყვით, იმ კუთხის თავადს,
დაუძახა და გამოიხმო იგი სახლიდან,
მიესალმა და მოახსენა თვისი სათქმელი.
— სალამი შენდა, ჩვენი მხარის ქართველთ თავადო!
დღე მშვიდობისა დაგიბედოს გამჩენმა ღმერთმა!
— შენც სალამი და გამარჯვება, ვაჟო ქართველო!
მოხვედ შვიდობით! შენც გამჩენი ღმერთი გფარავდეს!
საქმე გაქვს რამე, თუ უბრალოდ შემოგვიარე?
— ჩემთვის არას გთხოვ, არ მჩვევია მიკიბვ-მოკიბვა, —
ჩეჩენ ვაჟისთვის ვარ მთხოვნელი შენი ქალისა;
თუ ქალს გამატან — ხომ, რა კარგი! წავიყვან, წავალ,
არ გამატან და გავბრუნდები ხელცარიელი.
კეთილშობილი ვაჟისათვის — კეთილშობილი

ქალი ნამდვილი განძია და საჩუქარია.
მენდე, თავადო, არაფერში არ გაწბილდები! —
ამგვარად ჰკადრა ვაჟმა სიტყვა და სათხოვარი.
აღარა უთხრა იმ კარგ ვაჟკაცს ქვეყნის თავადმა,
რადგან იცოდა ხალხში მისი სიტყვა-სახელი,
თან არც უნდოდა გამწვავება ურთიერთობის, —
გამოუყვანა ქალის მთხოვნელს ასული თვისი
და გაისტუმრა უსიტყვოდ და ულაპარაკოდ.

VI

სარძლოს მზითევი გამოუწყო მეტად ძვირფასი,
ჩასვა ლამაზი პატარძალი რბილ ოთხთვალაში,
გვერდით მიუსვა საქმრო მისი — ვაჟი ქვრივისა,
სამცხენიანი რბილი ეტლი აავსო მზითვით,
მეგობრის ცხენიც ზედ მიაბა, მიასადავა,
თავად ამხედრდა ქურან ცხენზე და გვერდით მიჰყვა,
ჩეჩენთისაკენ გზას დაადგა ვაჟი ქართველი.
ქალ-სიძეს, ჩანდა, მოეწონათ ფრიად ერთურთი,
ისხდნენ თანხმობით, ერთმანეთის ტკბილად შეფრფენით.
როგორც ღრუბლებში იმალება მზე ოქროსფერი,
ეტლის სიღრმეში ქალი ისე იყუჟბოდა,
ეფერებოდა ხელით შუბლზე, ნაზად, ქვრივის ვაჟს,
ბრწყენდა მზესავით, მთვარესავით იბადრებოდა,
შუქელვარებდა თბილისური ვაშლის სადარად
და სიხარულით შესცქეროდა ქვრივის ვაჟიშვილს.
რაც შორს გავიდნენ და რაც უფრო გაიმანძილეს,
ცოლის ხელებში თავჩარგული ვაჟი ქვრივისა,
ასე ამბობენ, რაღაც მტანჯველ ფიქრებს მიეცა.
რაკი შეატყო მას გუნების რაღაც ცვალება,
ქართველი ვაჟი მას მაშინვე შეეხმიანა:
— შენამც იქნები ბედნიერი, ჩემო გულის ძმავ,
ვხედავ, უჟმური რამე ფიქრი აგკიდებია!
გადამიშალე, მითხარ შენი გულის ვარამი
და მე გიშველი, მე დავადგენ მართალ სამართალს
ჩემი მაჟარით,* ანდა ჩემი ბასრი მახვილით!
მე შენთანა ვარ და მოწყენა არ გეკადრება,

მით უმეტეს, რომ ცოლი გიზის გვერდში მზესავით.
მე ვარ ძმობილი, გულით გენდე, გულით მიგინდე,
ჰოდა, გაანდე, გენაცვალე, გულის წუხილი!
— ჰეი, ქართველო ყმაწვილკაცო, შენამც იცოცხლე,
ბედს შენ შემყარე! უსაფუძვლოდ ბრალს ნუკი დამდებ.
თავმომწონარი ვაჟკაცისთვის — ასე ლამაზი
მზისა და მთვარის დასადარი, კეთილშობილი
ქალი საცოლედ — საოცნებო საჩუქარია!
მე რაზეც ვფიქრობ, რაც ამ წუთში გულს მიტრიალებს,
სულ სხვა რამეა და რაც არის, ახლავე გეტყვი.
თვალწინ მიდგება მშობლიური ჩემი სოფელი
და ფიქრში ვხედავ მე ორნაირ, სხვადასხვა სურათს:
ჩემს ოჯახშია ტირილი და გლოვა-წუხილი,
ხოლო — ქორწილი თოისამთან, უსუპის ძესთან.
რაც გსურს, იფიქრე, ჩამომართვი გულჩვილობაშიც, —
აი, ესა მაქვს საწუხარი! — თქვა ქვრივის ვაჟმა.
— მაშინ წუხილი არას გვარგებს, ვაჟო ქვრივისა, —
უთხრა ქართველმა ყმაწვილკაცმა იმას პასუხად, —
იმ შენს სოფელში მე ახლავე გავემგზავრები,
შენ კი ამ ეტლით ნება-ნება უკან მომყევი.
ჩამოქვეითდა იგი თავის ბედაურიდან
და ქვრივის ვაჟის ბედაურზე ამხედრდა ხელად,
მერე მიუშვა სადავე და სხარტი ქურანით
მალე მიადგა ქვრივის ვაჟის სოფლის სანახებს.
ჯიქურ მიადგა ის ქართველი დოსტის ეზო-კარს
და დედამისი იქ იხილა თვალცრემლიანი.
— მეგობრის დედავ, აგრემც ბედი ნუ მოგიშალოს,
რატომ ტირიხარ, როცა არ ჩანს მიცვალებული?
— მშვიდობა აქ შენს მობრძანებას, უცხო სტუმარო,
ამ ქვეყანაზე რაც კი მოხდა, სულ ჩემთვის მოხდა:
ჯერ ის იყო, რომ — ვაჟი მყავდა და დაიჭინა,
საქართველოში ყოფილაო ვინმე ქართველი
ვაჟკაცი, დიდად სახელგანთქმული,
თუ არ წავედი, არა ვნახე და არ გავეძმე,
ვერ მოვისვენებ, პურს არ შევჭამ, წყალს არ დავლევო!
ღმერთი იფიცა, აღთქმა დადო და გზას დაადგა,
რომ ის ქართველი გაეხადა თავის მეგობრად.

იმ ქართველმა კი უღალატა ჩემს პატარა ბიჭს
და, როგორც მითხრეს, ვერაგულად მოკლა ღალატით.
— რას ამბობ, დედი, შენი ვაჟის ის მეგობარი,
სწორედ ის კაცი, ის ქართველი, მე ვარ, იცოდე.
რაც შენთვის უთქვამთ, ტყუილია შენს ბიჭს ამ წუთში
შენთვის რძლად მოჰყავს მშვენიერი თავადის ქალი,
მე წინ წამოველ, ის კი ეტლით მოეშურება.
აწ ნუღარ ტირი, მხოლოდ მამცნე, თუ სადა ცხოვრობს
ის თოისამი, უსუპის ძე! — უთხრა ქართველმა.
— მექორწილეთა ჟრიამული ხომ გესმის, შვილო,
ეგ, თოისამის ოჯახშია ქორწილის სუფრა,
ქალი მომტაცა და ის უზის ახლა პატარძლად, —
უთხრა მეობრის დედამ ქართველს, ისიც მაშინვე
უკან გაბრუნდა, ცხენიდანაც არ ჩამომხდარა.
წავიდა მარტოდ თოისამის იმ დიდ ქორწილში.
მიიღეს, შეხვდნენ — „გვეწვიაო ღირსი სტუმარი!“
— ჩამობრძანდიო შენი კოხტა ბედაურიდან,
ჰოი, ქართველო ყმაწვლკაცო, დაგვაფასეო, —
პატივისცემით მიესივნენ ახალუხლები.
— ჩამოვალ, თუკი ჩვენნაირი ადათ-წესი გაქვთ,
თუკი არადა, — ვერც დავჯდები და ვერც დავრჩები!
ჩვენა გვაქვს წესად პატარძალთან გასაუბრება.
ეს ჩვეულება თუ თქვენცა გაქვთ, თქვენთან მიგულეთ! —
უთხრა ქართველმა ყმაწვილკაცმა თავის მასპინძლებს.
— ეგ ჩვეულება ჩვენცა გვაქვსო, მოდი, დაბრძანდი!
უთხრეს და ლხინში მიიწვიეს ვაჟი ქართველი.
ახალგაზრდებმა წამოიწყეს ცეკვა-თამაში
და ცოტა ხანში საცეკვაოდ გადაიწვიეს
სტუმრად მოსული ყმაწვლკაცი ვაჟი ქართველიც.
ჩამოუარა იმ ქართველმა, თურმე, კისკასად,
ხან ძირს ცეკვავდა, ხან სუფრაზე შეფრინდებოდა,
მაგრამ კი ისე, რომ იმ ნავარდში
არ გაატოკა მაგიდაზე ერთი ფიალაც.
ისე გაფიცხდა ის ქართველი ცეკვა-თამაშში,
გაშტერებულმა მეგარმონემ შეწყვიტა დაკვრა
და მედოლემაც გააჩერა დოლი თავისი,
მექორწილენიც განაცვიფრა ყველა ერთიან.

თავისი ცეკვით რომ მოხიბლა ის ჯამაათი,
პატარძლის ნახვა მოისურვა ქართველმა ვაჟმა.
შევიდა, თურმე, მეგობრის და იჯდა მტირალი,
წარუდგა იგი პატარძალს და ასე მიმართა:
— სვებედნიერიმც ყოფილიყავ, მეგობრის დაო,
მაგრამ მითხარი, რა გატირებს ამ სალხინო ჟამს,
თანაც, რომ ვხედავ, არსადა ჩანს მიცვალებული?
— ძმა აღარა მყავს, დედით, მამით ჩემი სისხლ-ხორცი,
არც მეგობარი არავინ მყავს, გულით რომ ვენდო.
ერთი ძმის მეტი არვინ მყავდა მე, შავი დღისას,
ადგა, წავიდა, გადიხვეწა საქართველოში,
იქ კარგ ჭაბუკთან მინდა, ერთთან, დამეგობრება
და ის ქართველი ყმაწვილკაცი თუკი არ ვნახე,
თუკი არ ვეძმე, უკან აღარ მოვბრუნდებიო.
არც პურს შევჭამ და არც წყალს შევსვამ მის გაცნობამდე,
თუ ეს არა ვქნა, მრისხავდესო გამჩენი ღმერთი!
ასეთი ფიცით გაეშურა საქართველოსკენ,
ხოლო იმ ქართველს ჩემი ძმისთვის უღალატნია,
მოუკლავს ის და რად გიკვირს, რომ ახლა ვტირივარ? —
მორჩა სათქმელს და ამცნო ქართველს დარდი თავისი
ქვრივის ლამაზმა ქალიშვილმა თვალცრემლიანმა.
— თუკი ეგ არის მხოლოდ შენი ცრემლის მიზეზი,
ნუღარ იტირებ! — ასე უთხრა ქართველმა ვაჟმა, —
მე ვარ ქართველი ის ჭაბუკი, შენი ძმის დოსტი,
შენს საყვარელ ძმას ცოლად შევრთე თავადის ქალი
და რბილი ეტლით მოგაყენებს მალე პატარძალს;
შენი ძვირფასი ძმის ერთგული მეგობარი ვარ
და ნუ დამალავ, მომიყევი მთელი სიმართლე:
შენ იმ თოისამ უსუპის ძეს შენი სურვილით
გამოჰყევი თუ რამე ძალა იხმარა შენზე?
— მე მომიტაცეს ძმის სახლიდან წასვლისთანავე,
უძმოს, უმამოს, ობოლ-ოხერს რაღა შემეძლო! —
ქართველ კარგ ჭაბუკს ასე ამცნო ქვრივის ასულმა.
ადგა ქართველი, გოგო გარეთ გამოიყვანა
მექორწილეთა მარაქაში მივიდნენ ისევ.
უხმეს თოისამ უსუპის ძეს და მოიყვანეს,
ქართველმა ვაჟმა საყვედურით აავსო იგი:

— თავს რად იღუპავ, ჰე, თოისამ უსუპის ძეო,
ხალხი გიცნობდა კარგ ვაჟკაცად, სახელიანად,
შენ კი, როგორც კი გაიგულე გარეთ ქვრივის ძე,
მიუვარდა და, და მოსტაცე, წამოიყვანე!
არა გრცხვენია? სახელიან კაცად გიცნობდნენ,
შენ კი მიხველ და მიემძლავრე უმწეო ობოლს?
ძალოვანება არა ჰყოფნის ნამდვილ კაცობას,
ვერც გაიძვერა ვერ იქნება სანდო ვაჟკაცი!
ნდობით, სიკეთით, მოთმინებით, გონიერებით,
ჭკუით, ზრდილობით, თავაზით და მსგავსი სიქველით
ადამიანმა მოიხვეჭოს უნდა სახელი!
სირცხვილი შენი! ჩაიდინე დიდი შეცდომა,
რომ უთანხმურად, მიმძლავრებით დაეცი ობოლს,
მოიტაცე და ძალდობით შინ მოიყვანე
შენ — ამ სოფლელმა, მეზობელმა და მეგობარმა!
ამ სიმუხთლისთვის გადაგიხდის სამაგიეროს
ის, ვის სიტყვასაც ამ წუთში ისმენ!
აბა, ახლა კი დროა, შენს ძმებს დაემშვიდობო! —
ასე უთხრაო, — გვიამბობენ, — თურმე ქართველმა,
იძროო, მერე, მყის თავისი ბასრი მახვილი
და ძირს გაგორდა ხელად თავი თოისამისა.
ამოიყენა მეგობრის და, თურმე, ზურგს უკან,
და იმ ქართველმა გარეთ ისე გამოიყვანა.
— ვერ წაგვიხვალო გადაუხდელად, ქართვლის ნასხლეტო! —
თქვეს და დაედევნენ, თურმე, ძმები თოისამისა.
— თავს ნუ იღუპავთ, თოისამის სახლიკაცებო,
ეგ ერთი ლეში დღეს გეყფოათ დასამარხავად!
ნულარ მიჰქარავთ, ის გეყოფათ, რაც რომ მიჰქარეთ, —
ვინ გაპატიებთ ქვრივ-ობოლთა შევიწროებას! —
ეს თქვა ქართველმა ყმაწვილკაცმა და თოისამის
სახლიკაცები დატევებით უკან მიჰყარა.
დასვა ქორწილში შეკრებილნი სამგლოვიაროდ,
სახლს დაუბრუნა მეგობრის და, მოტაცებული,
განრისხებულმა იმ ქართველმა კარგმა ჭაბუკმა.

VII

ძმობილის სახლში,თურმე, დიდი ლხინი გამართა,
თვითონ წავიდა, ქვრივის ვაჟს რომ გზად დახვედროდა.
— ბედნიერი გყოს, გულითადო ჩემო ძმობილო,
შენ რომ გდაღავდა ორნაირი ფიქრი მდაღველი,
ერთიც არ ახდა, — რისი ჭმუნვა, რა მწუხარება! —
რძალი მოგიდისო! — შენს ოჯახში ახლა ლხინია.
ის ძმები კიდევ სახელგანთქმულ თოისამისა
წაჰკიდებიან თურმე ერთურთს და დაღუპულან! —
ასე ამცნოო, — გვიამბობენ, — ვაჟმა ქართველმა
მისი ოჯახის ვითარება ქვრივის ვაჟიშვილს.
მივიდნენ სახლში, გააჩაღეს ქორწილი, თურმე,
სამ დღეს და ღამეს სუფრა ჰქონდათ აუღებელი,
ამის შემდეგაც, — გადმოგვცემენ, — მათი ცხოვრება
გაგრძელდა ისევ ნდობით, ძმობით, შეხმატკბილებით.
ვით ადათია, სტუმარსა სცეს დიდი პატივი
და პატივითვე გააცილეს საქართველოსკენ.

ნუმც დავხოცილვართ ერთმანეთის უნდობლად, ძმებო,
ნუმც დავხოცილვართ ერთმანეთის უსიყვარულოდ!

ფჰარმათი*

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დიდხანს გაცოცხლოს, ავი გაშოროს, სიკეთე მოგცეს! სათქმელ-საამბობი ბევრი მაქვს შენთვის. ერთი ზღაპარი უნდა გითხრა, ერთი საოცრება მოგიყვე, შვლის ყურები დაცქვიტე, მგლის თვალები ფართოდ გაახილე!

გიამბობ, აგე, იმ ბაშლამის* თავზე თოვლი როდიდან დევს. თვალუწვდენელ ველებსა და მთათა კალთებს სურნელოვანი ბალახი და ნაირ-ნაირი ყვავილები როდის აქეთ ფარავს...

ძველად, უხსოვარ დროში, აგერ, მაღალ მთებს რომ ხედავ, ეგენი უფრო მაღლები ყოფილან. მწვერვალებზე, როგორც ახლა, თოვლი და ყინული კი არა, ლამაზი ბალახი და ყვავილი ხარობდა. ძველ დროში მარადიული თოვლ-ყინული ღრმა ხეობებში, მთათა კალთებზე და ტრიალ ველებზე იდო.

იმ დროში ჩვენს წინაპრებს — ნართ-ერსთხოელებს* ხეობებში, გამოქვაბულებში, მაღალ კოშკებზე უცხოვრიათ. მაღლები ყოფილან, როგორც, აგერ, ის მთებია. ბედაურებიც გოლიათები ჰყოლიათ. დათვებივით ღონიერებიც ყოფილან ნართ-ერსთხოელები, მგლებივით გულადები, ვეფხვებივით მოქნილები და მელიებივით ცბიერები.

ხელით იოლად ფშვნიდნენ კლდის ლოდებს და შორს ისროდნენ, იმათი ყვირილი მთებს, ძახილი კი ცას აზანზარებდა და, მაინც, უძლურნი ყოფილან — ცეცხლი არ ჰქონიათ.

ღონიერი სიელა* სასტიკი და შეუბრალებელი ყოფილა. ის ცის მეუფე იყო და ცეცხლიც მას ჰქონდა.

რის მაქნისია ძალა, თუ ხალხს არ გამოადგება?

რის მაქნისია ღონე, თუ იგი ხალხს რისხვად მოევლინება?

ნართ-ერსთხოელებისათვის თავისი ძალ-ღონის საჩვენებლად სიელა მაშხალაზე შემოჯდებოდა და საზარელ ღრიალს მორთავდა ხოლმე, ცაზე ისეთ ხმაურს ატეხდა, გეგონებოდა ნამსხვრევებად ქცეული ცა, საცაა, ჩამოიქცევაო. მისი სამყოფელი ცაზე მუდმივად შავ ღრუბლებში იყო გახვეული. სიელა ღრუბლებს წვიმით გაავსებდა და ხმელეთისაკენ დაუშვებდა, წვიმას მოყოლილი სეტყვითა და ხოშკაკალით კი უფრო დიდ

უბედურებას დაატეხდა ხოლმე ადამიანებს. ხშირად სინათლისა და ცეცხლისაგან ნაკეთებ ცისარტყელას ხელში აიღებდა, ძირს მიწას ესროდა და გარშემო ყველაფერს გადაბუგავდა ხოლმე.

ავიცა და კარგიც სიელას ხელში იყო. ავზე ხელგაშლილი იყო სიელა, კარგზე — ხელმოჭერილი.

სიკეთე დიდი ტანჯვის ფასად ეძლეოდათ ადამიანებს, ხოლო ბოროტებას უხვად არიგებდა.

ცასა და მიწას შორის მუდმივი შუღლი იყო!

სიელასა და ადამიანებს შორის ნიადაგ ქიშპობა იყო! რაც უფრო დიდი ტანჯვა-ნამება დაატყდებოდათ ნართ-ერსთხოელებს, მით უფრო ნეტარებდა სიელა. რაც უფრო ნეტარებდა სიელა, მით უფრო მეტ კაეშანს ეძლეოდა სათა.* სათას ძალიან უნდოდა, ნართ-ერთსხოელებს დახმარებოდა, მაგრამ სიელას შიში ჰქონდა.

იმ დროს მთაში ცხოვრობდა ლომკაცი ნართი* ფჰარმათი. ის თავის სამჭედლოში მუშაობდა და ხალხს ემსახურებოდა. მარჯვე ოსტატი ყოფილა.

თავაზიანი, ხელგაშლილი, ღონიერი ნართი ცოტას ლაპარაკობდა და ძალიან ბევრს მუშაობდა. იგი ბევრს ფიქრობდა, ჭირი როგორ შეემსუბუქებინა ადამიანებისათვის. იმის განსჯაში იყო, როგორ წაერთმია სიელასათვის ცეცხლი და მიეტანა ხალხისათვის. ხვეწნა-მუდარა სიელასთან არ ჭრიდა.

ქვეყნად თავისი გაჩენის დღიდან ხალხში გაბნეულ ცოდნასა და სიბრძნეს ეწაფებოდა ფჰარმათი.

მისი ბედუარი თურფალი იალაღებზე მუდამ თავისუფლად დანავარდობდა.

ნართები ეტყოდნენ ხოლმე ფჰარმათს:

— ბედაური მხედრის ხელში უნდა გამოიწვრთნას, ვაჟკაცი — ბრძოლაში. რატომ დადის შენი ბედაური თავისუფლად?

ფჰარმათი პასუხობდა:

— ჩემი ბედაური გაწვრთნილია, დრო მოვა და იგი ციდან ცეცხლს ჩამოიტანსო.

ერთ დღეს ფჰარმათმა თავისი თურფალი* იხმო. მისმა ხმამ არღუნის* ხეობა ააგუგუნა, მთები შეაზანზარა, მძინარე სიელა გამოაღვიძა და გვერდი აცვლევინა. ბედაურს, შორეულ მთაზე რომ ძოვდა, ესმა პატრონის ხმა და ჭიხვინით უპასუხა. ელვასავით გაფრინდა თურფალი თავის პატრონთან. ფჰარმათმა ჯაჭვის პერანგი ჩაიცვა, წელთ ხმალ-კაპარჭი შემოირტყა, მხარიღლივ მშვილდი გადაიკიდა, ხელთ ფარი გადაიცვა — დომბისტყავისა, მოიხელსადაგა თავხვედა კომბალი და წვეტიანი შუბი.

ამის შემდეგ ფჰარმათმა თავის თურფალს უნაგირი დაადგა, ლუდით

სავსე ჯიხვის ყანწი გადაჰკრა, როგორც ფეხი ცხელ ფისსა და ხელი — სველ ცომსა, ისე დავკვროდე უნაგირსაო, ესა თქვა, ბედაურს მოახტა და იმ გზას დაადგა, რომელზედაც ჯერ არავის გაევლო, ან თუ გაევლო, უკან ველარ მობრუნებულიყო. ნართ-ერსთხოელებმა ფჰარმათის კვალზე ფეტვი მოაბნიეს — მშვიდობიანი გზა ჰქონდესო, ქერით სავსე თასი დადგეს: იქითობას — მსუბუქი და ლაღი, აქეთობას — ბარაქიანი გზა ჰქონდესო!

ბევრი იარა ფჰარმათმა. შვიდი დღისა და შვიდი ღამის სავალი გზა გაიარა. შვიდი ხეობა და შვიდი მთა გადალახა. ბოლოს ბაშლამის ძირს მიადგა. ბაშლამს თავით ეჭირა ცა,რომელზედაც სიელა ცხოვრობდა. ციცაბო, მეტად საშიში და ძნელი აღმართები აიარა ფჰარმათმა. ბაშლამის წვერი კი ძალზე სურნელოვანი ბალახებითა და ფერად-ფერადი ყვავილებით იყო მოფენილი.

იმ ჟამს ბაშლამის წვერზე დასასვენებლად ეშვებოდა თურმე მზის სხივოსანი სათა.

იგი თეთრ ფრინველად იქცა, შეეგება ფჰარმათს და ადამიანის ენაზე უთხრა:

— ჰეი, ღონიერო ნართო! შენ ტყუილუბრალოდ არ მოხვიდოდი ბაშლამის წვერზეო.

— მართალია, კეთილო ფრინველო, მე გასართობად არ ამოვსულვარ ბაშლამის წვერზე, ცის კერიდან ხალხს ცეცხლის მუგუზალი უნდა წავუღო, ამისთვის მოვსულვარ. უამისოდ უკან არ გავბრუნდებიო, — უპასუხა თურმე ფჰარმათმა.

— კეთილი საქმისათვის გამოსულს კეთილი გზა რომ არ ჰქონდეს, არ შეიძლება, მე დაგეხმარებიო, — უთქვამს სიელ-სათას.

და შემდეგ ჰკითხა:

— ბედაური კარგი გყავსო?

— ქარზე უსწრაფესიაო, — უპასუხა ფჰარმათმა.

— ღონიერიაო?

— ჩემი ბედაურის ნაფლოქვარზე წყალი მაშინვე ამოდგაფუნდებაო.

— თავად თუ ხარ ღონიერიო?

— ჩემს ხელში მაგარი ბრინჯაო ფისზე და ცვილზე რბილი ხდებაო, — მიუგო ფჰარმათმა.

სიელა-სათამ დაარიგა ფჰარმათი, რა გზით მოხვედრილიყო სიელას კერასთან და როგორ ჩაეგდო ხელში ანთებული მუგუზალი.

— ახლა სიელა დაძინებული იქნება. ეგ ქარივით სწრაფი ბედაური გააჭენე და სიელას კერაზე გადააფრინე. ცეცხლს რომ წაადგები, დასწვდი და ცეცხლმოკიდებულ მუგუზალს ხელი დასტაცე, შემდეგ კი ბაშლამის მიმართულებით გაქუსლე. სიელას თუ გაეღვიძა, ცოცხალს არც შენ გა-

გიშვებს და არც შენს ცხენს. მაშინ ვერც ხმელეთზე წაიღებ მუგუზალს.

როგორც სათამ დაარიგა, ისე მოიქცა ფჰარმათი.

ჭენებით გადაუფრინა ბედაურმა სიელას კერას. დაიხარა ფჰარმათი, მუგუზალს დასტაცა ხელი და ბაშლამის წვერისაკენ მიუშვა ბედაური.

სწრაფად მიჰქროდა ბედაური, მუგუზლიდან ასხლეტილმა ნაპერწკლებმა დიდი კუდი გაჭიმეს ფჰარმათის უკან. ნაპერწკალი ცხვირში ჩაეყარა სიელას და გამოაღვიძა. დაინახა, როგორ მიჰქონდა მამაც ნართს მისი კერიდან მუგუზალი. იცოდა სიელამ, ცეცხლს ხელში თუ ჩაიგდებდა, ადამიანს ძალა მიეცემოდა, შიშს დაჰკარგავდა, შემდეგ კი თვით მის წინააღმდეგ აღსდგებოდა.

დიდ ძალას იგდებდა ადამიანი ხელში. შეშინდა ძლიერ სიელა. ბევრი მდევარი დაადევნა მამაც ნართს. გახსნა სიელამ გუდა, შიგ რომ შავი ღამე ჰყავდა გამომწყვდეული. ისე ჩამობნელდა, ფჰარმათი საკუთარი ხელის თითებს ვერ ხედავდა. გზას ვეღარ იკვლევდნენ ფჰარმათი და მისი ბედაური. კლდიდან გადავარდნა და დაღუპვა ემუქრებოდათ, მაგრამ გზას უკვლევდა ლამაზი ფრინველი სიელა-სათა მშვენიერი სიმღერით.

შავმა ღამემ ვერ შეძლო ნართის და მისი ბედაურის შეჩერება. მაშინ სიელამ გახსნა ქარიშხლით სავსე გუდა. ქარიშხალი დაადევნა ფჰარმათს. შავი ღამე და გრიგალი დაეძგერა ფჰარმათსა და მის ბედაურს. მაშინაც ლამაზმა ფრინველმა — სიელა*-სათამ თავისი ფრთებით ქარიშხლისაგან დაიფარა ისინი და სიმღერით გზა გაუკვალა.

ფჰარმათმა დაინახა, როგორ აქრობდა გრიგალი მის მოგუზგუზე მუგუზალს. უცეცხლოდ მიწაზე დაშვება არ ეგებოდა, ამიტომ უბეში შეინახა იგი. მამაცი ნართის გარშემო მომაკვდინებლად როკავდა მრისხანე ქარიშხალი, კუნაპეტმა ღამემ დააბრმავა, უბეში დამალულმა მუგუზალმა მკერდი დაუწვა. ძლიერი რყევისაგან არღუნის წყალი კალაპოტიდან ამოვარდნილიყო, ხოლო ძირფესვიანად მოთხრილი მუხის ხეები ბალახის ღეროებივით ჰაერში ფარფატებდნენ.

მიხვდა სიელა, რომ არც შავ ღამეს, არც ძლიერ ქარიშხალს ძალა არ ჰყოფნიდა ნართისა და მისი ბედაურის შესაჩერებლად. ცის მდევარს ნართი უვნებლად უსხლტებოდა ხელიდან.

მაშინ გახსნა სიელამ მესამე გუდა, რომელშიც ყინვა-სიცივე ჰქონდა.

ძლიერმა ყინვამ მთათა სალი კლდეები დახეთქა და მთები შეკუმშა, ფჰარმათი კი თავისი ბედაურით მაინც წინ მიიწევდა.

ძალზე შეშინდა სიელა. მან დაინახა, როგორ უახლოვდებოდა მამაცი ნართი ბაშლამს. საცაა სამშვიდობოზე გავიდოდა. გამწარებულმა აიღო თავისი ცეცხლოვანი ცისარტყელა და ნართს ცეცხლი დაუშინა.

დაშენილმა მეხმა მთები შეაზანზარა, გაყინული მიწიდან წყლებმა

ამოხეთქეს. არღუნის ტალღები დამფრთხალ ცხვრის ფარასავით მოედვნენ მთის კალთებს, მთათა უშველებელი კლდეები სულდგმულებივით ირწეოდნენ.

მაგარმა ყინვამ, ძლიერმა ქარიშხალმა, ბნელმა ღამემ, მეხთატეხამ ვერ გააჩერა ნართი ფჰამართი. მალე მიადგა იმ გამოქვაბულს, სადაც ნართები ელოდებოდნენ.

— აჰა! აი, ეს არის ცეცხლი! — უთხრა მან გაოცებულ ნართებს.

— ყოველ კოშკში, ყოველ ეხში, ყოველ სიმაგრეში დაანთეთ ცეცხლი! ავარდეს დიდი ალი! ცეცხლი ყოველ სამყოფელში უნდა იყოს! იყოს სითბო! იყოს სინათლე! ცეცხლი არ ჩაქრეს არასოდეს! თავისუფლებას გისურვებთ!

სწორედ იმ დროს დიდი ხმაური ატყდა, სიელა იბრძოდა... ცა მიწას მუდმივ მტრობას უცხადებდა. ადამიანს კი სიელას მუდმივ ბრძოლაში იწვევდა. სიელა მრისხანებდა!

— გაგიმარჯოთ! თქვენს მაგიერ სიელას სატანჯველში მე უნდა ჩავდგე! ბედნიერებას გისურვებთ! ჩემზე ნუ იდარდებთ!

მამაცი ნართი ფჰამართი მეხის, ყინვის, ქარიშხლისა და შავი ღამის დასახვედრად წავიდა ბაშლამზე. ნართს თავზე მეხი გადასდიოდ-გადმოსდიოდა, ქარიშხალი არყევდა, ყინვამ ხელ-ფეხი დაუზრო. განრისხებული სიელა არ ეშვებოდა მას.

ბაშლამზე, ცის ტატნობზე, მისკენ მიმავალი მამაცი ნართი რომ დაინახა, სიელამ დაიწყო ქარიშხლის, სიცივისა და ღამის ნელ-ნელა ჩალაგება გუდებში. ველებიდან, ხევებიდან თუ მთათა კალთებიდან ფჰამართის კვალდაკვალ, თანდათან, ბაშლამის თხემზე აიკრიფა, იქ დაისადგურა თოვლმა და ყინვამ.

სიელამ დაიძახა:

— შენ მიერ ციდან მოტაცებული ცეცხლის ნატრულიმც გახდე! სითბოს ნატრულიმც გახდეო!

თავისი ერთგული მსახური, ცალთვალა უჟა გაგზავნა სიელამ რკინის ჯაჭვებით ფჰარმათთან. იმ ჯაჭვებით ბაშლამის წვერზე მიაბა უჟამ ფჰარმათი.

ფჰარმათის საწამებლად სიელას მოხმობილმა სიციველმ, ყინვამ და თოვლმა ბაშლამის თავი გაყინა და შებოჭა.

ფჰარმათის მოტანილმა ცეცხლმა მთელი ქვეყანა გაათბო, ველები, მთათა კალთები, ღრმა ხეობები ხშირმა სურნელოვანმა ბალახებმა, ფერად-ფერადმა ყვავილებმა დაფარა.

ყოველ დილას მიჯაჭვულ ფჰარმათთან მიფრინავს ფრინველთა მეფე იდა, ფჰარმათს მუხლებზე დააჯდება და ყოველთვის ერთსა და იმავეს ეუბნება:

— ჰოი, უბედურო ფჰარმათ! ჰოი, ცოდვიანო ფჰარმათ! არ ნანობ შენს საქციელს? თუ ნანობ, აღარ შეგაწუხებ, თუ არა, ღვიძლს ამოგკორტნი!

ფჰრმათი საშინელ წამებას არად აგდებს და ყოველთვის ერთსა და იმავეს პასუხობს:

— არა, არ ვნანობ! მე ადამიანებს ბედნიერება მივუტანე, სითბო და სინათლე ვაჩუქე! კარგი საქმე გაკეთდა და ამის გამო სინანული არ შეიძლება!

მაშინ ფრინველთ მეფე იდა თავის ფოლადის ნისკარტს კაჟის ქვაზე ალესავს და ფჰარმათის ღვიძლის კორტნას შეუდგება ხოლმე.

ფჰარმათს ერთი კვნესაც არ ამოხდება. იმის თვალებში ცრემლი არასოდეს დაისადგურებს, დიდ ტანჯვა-წამებას ქედუხრელად უძლებს.

იმ დროიდან ნართ-ერსთხოელმა ვაჟკაცმა ტირილი არ იცის. იმ დროიდან მთათა მწვერვალებზე მუდმივად დევს თოვლი და ყინული, რომელიც არასოდეს დნება, ქრის ქარიშხალი. ბაშლამის წვერზე ფჰარმათის მიჯაჭვის შემდეგ მის საწამებლად სიელამ თოვლს, ყინულს, ქარს იქ მოუყარა თავი, ფჰარმათი სულ სითბოსა და ცეცხლის ნატვრაში რომ იყოს.

სწორედ იმ დროიდანაა ტრიალ ველებზე, ღრმა ხეობებში, მთათა კალთებზე სურნელოვანი ბალახები, ფერად-ფერადი ყვავილები. იმ დროიდანაა მიწაზე სითბო, ბარაქა, სინათლე. ის სითბო ადამიანებს ფჰარმათმა აჩუქა! ფჰარმათი კი ბაშლამის წვერზეა მიჯაჭვული. იგი მუდმივად იტანჯება, მაგრამ ის უკვდავია. გმირი არ კვდება. გმირი საუკუნოდ ცოცხლობს!

ორეული

აქეთ-იქით დაეხეტებოდა თურმე ორეული. ვერავისთან ეპოვნა თავშესაფარი. ძროხასთან მივიდა, იმან კუდის ქნევით გააგდო. კურდღელთან მივიდა, იმან ყურები დაუქნია. ცხენთა მივიდა, ცხენი კბილებით ეცა და გააგდო. ქათამმა კი ფრთების ცემით დააფრთხო.

ვიღაც კაცი წამოწოლილიყო, „ნეტავ, როგორ მიმიღებსო?“ თქვა ორეულმა და იმასთან მიცუნცულდა. წამოდგომისთანავე კაცმა ხელი გადაუსვა ორეულს. „მე იქ მირჩევნია, სადაც თავზე ხელს მისვამენო“, თქვა და მას აქეთ კაცს არ მოშორებია, დღეს მასთან ერთად დაიარება ორეული.

ნადირთა მფარველები

უწინ თურმე, დედის მუცლიდანვე იტაცებდნენ ბავშვებს. თუ მოტაცებულ ბავშვს ხმელ ხეზე დასვამდნენ, დედას მეტი შვილი არ ეძლეოდა. თუ ნედლ ხეზე დასვამდნენ, სხვა შვილებიც ჩნდებოდნენ თურმე. ბავშვებს იტაცებდნენ გაჩენამდე ერთი-ორი დღით ადრე.

ამბობენ, დედის მუცლიდან ამგვარად მოტაცებულ ბავშვებისგან ნადირთა მფარველები ჩნდებიანო. ამბობენ, რომ მათ ფოლადის მკერდი აქვთ და ძალიან ღონიერი, ვეება ტანის, გოლიათი ადამიანები არიან. თუ მონადირემ სამოცდასამი ნადირი მოკლა და თოფის კონდახი არ დაწვა, ნადირთა მფარველები თავიანთი ფოლადის მკერდით ორ ნაწილად აპობენ მონადირეს.

ნადირთა მფარველები ახლაც კვებავენ ხარის ხორცით ბაშლამის მწვერვალზე მცხოვრებ ჰურ-ამის* ქალწულებს. მწვერვალზე ნადირთა ძვლების კალოებია, ისინი რომ ქალწულებს აჭმევდნენო.

როგორც ამბობენ, უწინ ხევის კლდის გამოქვაბულში მცხოვრები ქალწულები სოლსა სოსქას ძეს გაერიდნენ და ბაშლამის მწვერვალზე დასახლდნენ.

ნადირთა მწყემსი

ერთმა სანადიროდ წასულმა კაცმა მოკლული ნადირის ყურზე სერი* შენიშნა. ის უზომოდ ბევრ ნადირს ხოცავდა თურმე, როცა ხალხი იტყოდა, ნადირს პატრონი ჰყავსო, არ იჯერებდა და ამის მთქმელს დასცინოდა.

ერთხელ, როცა ისევ სანადიროდ იყო წასული, თავისი ნაბადი ნედლი წიფლის დიდ კუნძზე გადაფინა და ნადირს ჩაუსაფრდა. უცებ დაინახა, ნადირთა პატრონმა მკერდით ორად როგორ გააპო ნაბადგადაფარებული კუნძი. ნადირთა პატრონი მიხვდა, რომ ის კუნძი იყო და არა ადამიანი. კაცმა კუნძს დახედა და შინ წავიდა.

როცა შინ მივიდა, თავისი თოფის კონდახი ცეცხლში დაწვა და მეტად სანადიროდ აღარ წასულა.

თურს!

ნადირთა პატრონები ჟამი-ჟამ ნადირს თავს უყრიან ხოლმე.
თურს! ამ შეძახილით უხმობენ მათ.

ამბობენ, ისინი დათვლიან ხოლმე ნადირთ და მათ შორის დაძაბუნებულსა და დავრდომილს უვლიან.

ნადირთა ასეთი პატრონები ახლაც ცხოვრობენ თურმე ტყეებში.

სოლსა სესქას* ძის ამბავი

თუმსოევების* მთაზე, გალანჭოჟის* მიმართულებით, არის სოფელი, სახელად ფიეშა. იმ სოფლის შორიახლო ქვის ლოდი ძევს, რომლის შესახებაც ამბობენ, სოლსა სესქას ძემ ხმალი დაჰკრაო. სახლის სიმაღლეზეა აღმართული ლოდი. მის გარშემო არც ერთი სხვა ქვა, ყორექვაც კი არ მოიპოვება. მხოლოდ ბალახია მოდებული.

ხმალი კი იმიტომ დაუკრავს ლოდისათვის, გაეგო, როგორ მიჭრისო. ხმალმა ლოდი ორად გააპოო, ამბობენ.

იმისგან არცთუ ისე შორს სხვა ადგილიც არის. იქ ხვრელია, შაქრის ნატეხი რომ ჩაეტევა, იმოდენა, სადაც სოლსა სესქას ძის ცხენმა ფეხი დაჰკრა, იმ ალაგას გაჩნდაო, ამბობენ. ადამიანსა და პირუტყვს ფეხი რომ არ ჩაუვარდეს, მიწით ამოუვსიათო ის ხვრელი.

შატოის* რაიონის სოფელ ზონახის ახლოს ერთი ხევია, ამბობენ, მრავალი ასწლეულის წინათ იმ ხევში წყაროს წყალი ამოდიოდაო. გზიდან ოცდაათი ნაბიჯის ზემოთ ერთი ეხია, კაცი რომ თავს შეაფარებს. იმ ეხში სამი ასული ცხოვრობდა (ახლაც სამი ასულის ნაცხოვრები ადგილი ჰქვია).

სამი ასული თურმე ნაწნავებზე თუნგს გამოიბამდა და საჭიროების დროს ასე ამოჰქონდათ წყალი ოცდაათი ნაბიჯის სიღრმეზე ამოხეთქილი წყაროდან.

ამ მთის პირდაპირ, სადაც სამი ასული ცხოვრობდა, ვარანდიდან* დასავლეთით, სხვა მთაა. ამბობენ, სამი ასული რომ გამოჩნდებოდა, იმ მთიდან მეორეზე ელვისებურად გადაფრინდებოდა ხოლმე სოლსა სესქას ძე თავისი რაშითო.

ამბობენ, სოლსა სესქას ძე თავისი მთიდან სამი ასულის საბრძანებელ მთაზე რაშს რომ გადაახტუნებდა, იმ რაშის ფლოქვების ნაკვალევი ახლაც აჩნიაო იმ ადგილს.

სოლსა სესქას ძისაგან საშველი რომ აღარ ჰქონიათ, შეშინებული სამი ასული იმ მთიდან ბაშლამზე გაქცეულა.

„ჩემზე უფრო ღონიერი ვინ არის, გავიგებო", — თქვა და გამოვიდა სოლსა სესქას ძე. თავისი ღონის გამოსაცდელად თაშქიჩიდან ხარი ისროლა ზღვის გადაღმა, ირანელთა ქვეყანაში. აბა, ჩემსავით ღონიერ კაცს კიდევ თუ ვნახავო და საძებნელად გზას დაადგა. იარა, იარა და წაადგა სამ ძმას — ნართ-ერსთხოელს, რომლებიც ბალახს თიბავდნენ.

ის სამი ძმა სოლსა სოსქას ძეზე უფრო ღონიერი ყოფილა. იმათ თავიანთ დედასთან გააგზავნეს სოლსა. ქალმა უთხრა, ჩემი შვილები რაღაც ავს გიპირებენო და ჩუმად გააპარა სოლსა. შინ დაბრუნებულმა ვაჟებმა დედას ჰკითხეს, ჩვენი გამოგზავნილი სტუმარი სად არისო.

დედამ თქვა, სტუმარი ჩვენთან არ გაჩერებულა, წავიდაო. მაშინ სამივე ძმა გაქცეულ სოლსა სოსქას ძეს დაედევნა.

ღონიერი სამი ძმა სასიკეთოდ რომ არ მოსდევდა, იცოდა სოლსა სოსქას ძემ და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გარბოდა. წაადგა ცალთვალა ნართ-ერსთხოელს, ცხვარს რომ მწყემსავდა.

— დამეხმარეო, — სთხოვა სოლსამ.

— რა ჩაიდინე? — ჰკითხა ცალთვალა ნართმა სოლსას.

— ძალის გამოსაცდელად ზღვის გადაღმა ხარი ვისროლე, ამასობაში სამმა ძმამ ნართმა დამინახა და მოსაკლავად მომდევენ. იმათი დაშინებული მოვდივარო, — უთხრა სოლსამ.

— სულელი კაცი ყოფილხარ, — მიუგო ნართმა მწყემსმა, — ერთხელ სისულელე ჩავიდინე და რაც გადამხდა, მოგიყვებიო, — და მწყემსმა ნართმა ეს ამბავი უამბო:

— ჩვენ შვიდნი ძმანი ვართ. მამაჩვენმა, შენი არ იყოს, დაიჟინა, ნეტავ, ჩვენზე ღონიერი კაცი თუ სადმე იქნებაო და საძებნელად გავედით.

სიარულში დიდი დრო რომ გავიდა, წვიმამ დააპირა, მთას მივადექით და ეხში შევედით. ეხში რომ ვიყავით მოკალათებული, ცხვრის ფარის წინ მომავალმა ვაცმა ეხის კლდე რქებით აათამაშა. მწყემსმა ვაცი გააგდო და ეხის კლდე ჯოხით შორს მოისროლა.

როცა გონს მოვეგეთ, ეხი რომ გვეგონა და შიგ დავიმალენით, ცხენის თავის ქალა აღმოჩნდა. ჩვენი სამალავი კი იმ თავის ქალის ფოსო ყოფილიყო.

მწყემსმა ქალა რომ მოისროლა, მამაჩემი და ექვსი ძმა დაიღუპნენ, მე, როგორც მხედავ, ცალი თვალი ამომეთხარა. ჩვენზე უფრო ღონიერის საძებნელად გამოსულებს დიდი უბედურება დაგვატყდა. სისულელეა, რაც შენ განგიზრახავსო, — უთხრა ცალთვალა ნართმა სოლსას.

— ამბავს კი ნუ მიყვები, დამეხმარეო, — იწყინა სოლსამ.

— თუ ასეა, მოდი, პირში ჩამიძვერიო, — პირში ჩაისვა და ენის ქვეშ დამალა ნართ-ერსთხოელმა სოლსა.

ნართმა ძმებმა მოსვლისთანავე ჰკითხეს მწყემსს, ცალთვალა ნართს:

— შენთან რომ იდგა ყმაწვილი კაცი, სად წავიდაო?

მწყემსმა, არ ვიცო. მივარდა სამი ნართი და დაეჭიდა.

თავიდან რომ ვერ მოიცილა, ცალთვალა ნართმა ზურგიდან ბალანი ამოიგლიჯა და ძმები ბალნით მაგრად შეკრა.

— აბა, ჰე, ყმაწვილო, ამას იქით აუტკივარი თავი აღარ აიტკიო. შენზე ღონიერი ადამიანებიც არიან დუნიაზე! — უთხრა ცალთვალა ნართ-ერსთხოელმა და სოლსა სოსქას ძე თავის გზაზე გაუშვა.

მგელი

ძალიან დიდი ხნის წინათ, უხსოვარ დროში ქვეყანაზე საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. ქარიშხალმა ძირფესვიანად მოთხარა ხეები, ზღვა-მდინარეებიდან წყალი ხმელეთზე გადმოინთხა, მთები ჩამოიქცნენ და დიდი უბედურება დატრიალდა.

ყველა სულდგმული თავგზააბნეული დარბოდა აქეთ-იქით, თავს ვუშველოთო. ერთადერთი, მგელი არ შეუშინდა გრიგალს, დაჯდა და უშიშრად დაუპირისპირდა.

გრიგალმა ტყავი შემოაფლითა, დაასისხლიანა, მაგრამ ადგილიდან ძვრა ვერ უყო ძარღვმაგარ მგელს.

ქარიშხალი ჩადგა, მზე გამობრწყინდა, ვითომ არაფერიც არ მომხდარყოს, სიმშვიდემ დაისადგურა დედამიწაზე.

ცხოველებმა ისევ ერთად მოიყარეს თავი, მივიდნენ მგელთან და უთხრეს:

— მგელო, ქარი რომ ხეებს გლეჯდა, ხმელეთი რომ წყალმა დაფარა, მთები რომ ჩამოიქცა და ყველა თავშესაფარს ეძებდა, შენ ადგილიდან არ დაძრულხარო.

მგელს სისხლი სწვეთდა სხეულიდან, თვალები სივრცისთვის გაეშტერებინა, ამაყად იჯდა და ისე მიუგო მათ:

— მიწა, რომელზედაც დავიარები, ჩემი სამშობლოა, რა უბედურებაც არ უნდა დამატყდეს თავს, სამშობლოს იქით წასასვლელი ქვეყნიერებაზე არსად არა მაქვსო.

ნათქვამმა ჩააფიქრა ცხოველები, სირცხვილმა შეიპყრო და უხმოდ გასწიეს ბუნაგებისაკენ.

დარჩა მგელი იქვე, თავისი დასახიჩრებული, დაფლეთილი სხეულით, მიმავლებს თვალი გააყოლა.

მგელს სხვა სამშობლო არ ჰქონდა...

სამი ძმა და გველეშაპი

მამა შვილს ცუდს არ ურჩევს.

ერთ კაცს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა. მამამ სიკვდილის წინ ასე დაარიგა თავისი ვაჟები:

— ამ ქვეყნიდან სამი გზა გადის. იმათგან ძველ გზაზე არ იაროთო.

დრო რომ გავიდა, ერთხელ, მამის სიკვდილის შემდეგ, უფროსი ძმა იმ ძველ გზას მიადგა. იფიქრა, მოდი, წავალ და ვნახავ ამ გზაზე რა არისო და გასწია. ვაჟს წინ გველეშაპი შეხვდა და ჰკითხა:

— საით გაგიწევია, ბიჭო?

— არსად არ მივდივარ, მამაჩემმა სიკვდილის წინ ანდერძი დამიტოვა, ამ გზაზე არ გაიაროო. საცდელად წამოვედი! — თქვა ვაჟმა.

— მამის ნათქვამი არ დაიჯერე და წამოხვედი? მე გიჩვენებ სეირს! სიმღერაში თუ ვერ მაჯობებ, ვაი შენს დღეს! იცი სიმღერა? — ჰკითხა გველეშაპმა.

ბიჭმა უთხრა, არ ვიცი სიმღერაო, და — გადაყლაპა ის ბიჭი გველეშაპმა.

მაშინ მეორე ძმა წავიდა იმ ძველ გზაზე, ერთი ვნახო, რა გზაა ასეთიო.

იმასაც ჰკითხა გველეშაპმა, სიმღერა იციო?

— არ ვიციო, — ბიჭმა — და ისიც გადაყლაპა ურჩხულმა.

ძმებმა შინ მისვლა რომ დააგვიანეს, მესამე, ყველაზე უმცროსი წავიდა მათ მოსაძებნად.

იარა და მიადგა იმ გველეშაპს. გველეშაპმა, როგორც წინა ორ ძმას, ამ ბიჭსაც უთხრა:

— სიმღერის თქმაში ან ზღაპრის მოყოლაში შენ თუ არ მაჯობებ, ვაი შენს დღესო.

— კარგი, მოგიყვები ზღაპარს, — უთხრა ბიჭმა, — ოღონდ შევთანხმდეთ, თხრობისას ერთმანეთს ხელს ნუ შევუშლით, ერთმანეთს ბოლომდის თქმა ვაცალოთ. ვინც ამ პირობას დაარღვევს, წაგებული იქნება. თუ მე გავიმარჯვე, ჩემ ორ ძმას დამიბრუნებო.

ამაზე შეთანხმდნენ და ვაჟმა თხრობა დაიწყო:

— შარშან ზამთარში, გაყინულ ზღვაზე ცხენების რემას ვაძოვებდი. ბალახით რომ დაძღნენ, წყალი უნდა დამელევინებია. ის ცხრა ადლის* სისქე ყინული ცულით ვერ გავტეხე, ცულს ცეცხლი შევუნთე ყინულის

დასადნობად, ცეცხლმოკიდებულმა ცულმა ყინული გახვრიტა და წყალში ჩავარდა ისე, რომ ტარი ხელში შემრჩა.

მივიხედ-მოვიხედე, წყლის ამოსაღები ვერაფერი ვნახე, ვტაცე ხელი ჩემს თავს, მოვიძრე და იმით დავალევინე ცხენებს. საღამოს რომ აცივდა, ჩემი რემა სასწრაფოდ გავრეკე ცისკენ, ღრუბლებზე ღამის გასათევად წავასხი.

შემდეგ რომ ვნახე, თავი აღარ მება, ეს რა არის-მეთქი — გამიკვირდა. სირბილით უკან დავბრუნდი, გავიხედე, ჩემს თავის ქალაში მწყერი ჩაბუდებულიყო, ვტაცე ხელი, ის მწყერი დავიჭირე, ჩემი თავის ქალა ისევ კისერზე მოვირგე, მოვაჯექი მწყერს და მწყერმაც ხელად მომაფრინა ჩემს რემასთან, ღრუბლებზე ცეცხლი დავანთე, შვიდასი შამფური გამოვთალე, იმ მწყერს თავი წავაცალე და როცა იმ მწყრის ხორცს შამფურზე ვწვავდი, რაღაც მღვრიე ერბომ იწყო დენა, იმ ერბოს სუნზე შენ მოხვედი, პირდაღებული მაღლა ხტებოდი, რომ ერბო ხახაში ჩაგესხა.

— სად ვიყავი? სად ვიყავი? — თქვა გველეშაპმა და წამოხტა, წეღანდელი პირობა დაავიწყდა.

— ო-ო-ო! — სიცილი წასკდა ბიჭს, — წააგე! წააგე! შენ დაარღვიე ჩვენი წეღან დათქმული პირობა, დამიბრუნე ჩემი ძმები!

თავისი ოსტატური სიტყვა-პასუხით გამარჯვებულმა ბიჭმა ბოლოს შინ წამოიყვანა ის ორი სულელი ძმა, რომლებმაც მამის ნათქვამი ანდერძი ყურად არ იღეს. მიიყვანა სახლში და ასე უსაყვედურა ორივეს:

— ასე ხდება ხოლმე, როცა მამის ნათქვამს არ ასრულებენო.

ამის შემდეგ იმ ორ ძმას აღარასოდეს უვლია ძველი გზით.

სამი ძმის ამბავი

I

ძველ დროში ერთ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. ის კაცი როცა კვდებოდა, თავის ვაჟიშვილებს დაუბარა:

— აბა, ჩემო ვაჟებო! მე სიკვდილის პირას ვარ, ერთ ადგილას ჩამარხული მაქვს სკივრი, იმისი გასაღები ამა და ამ ადგილას ინახება. ჩემი სიკვდილიდან ხუთი-ექვსი დღე რომ გავა, სამივემ ერთად ის გასაღები ამოიღეთ და სკივრში ჩაიხედეთ.

დიდი დრო არ გასულა. ის კაცი მოკვდა. ძმებისაგან მალულად უმცროსი ძმა წავიდა და გასაღები ამოიღო. ჩაიხედა ვაჟმა სკივრში და იქ სამი მეტად ძვირფასი მარგალიტი დაინახა.

ერთი მოიპარა, სკივრი ჩაკეტა, გასაღები კი, ადრინდებულად, თავის ადგილას დადო.

ხუთი-ექვსი დღის შემდეგ უფროსმა ძმამ უთხრა თავის ორ ძმას:

— მოდი, გასაღები ავიღოთ და იმ სკივრში ჩავიხედოთ.

გასაღები აიღეს, სკივრში ჩაიხედეს და ორი მარგალიტის მეტი ვერა ნახეს. უფროსმა ძმამ თქვა:

— მამაჩვენი ჭკვიანი კაცი იყო და ეცოდინებოდა, რომ მარგალიტების გაყოფაზე ერთმანეთს წავეჩხუბებოდით, ამიტომაც სამს დატოვებდა.

ძმები ვერ შეთანხმდნენ და ერთ უცხო ქვეყნის გზას დაადგნენ, რადგან გაეგოთ, იქ სამსჯავრო საქმის კარგი მცოდნენი არიანო.

II

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, უფროსმა ძმამ თქვა:

— ამ გზაზე უპატრონო აქლემს გაუვლიაო.

შუათანამ თქვა:

— ჰო, თანაც მარცხენა უკანა ფეხით კოჭლი ყოფილაო.

უმცროსმა ძმამ დასძინა:

— მარჯვენა თვალიც ამოთხრილი ჰქონიაო.

ამ საუბარში გზაზე აქლემის პატრონი შემოხვდათ. უფროსმა ძმამ ჰკითხა:

— აქლემს ხომ არ დაეძებო?

— დიახ, დავეძებო.

მაშინ შუათანამ ჰკითხა:

— უკანა მარცხენა ფეხით კოჭლი ხომ არ იყოო?

პატრონმა:

— დიახ, იყოო.

ახლა უმცროსმა ჰკითხა:

— მარჯვენა თვალი ამოთხრილი ჰქონდაო?

— კიო, ამოთხრილი ჰქონდაო, — პატრონმა.

მაშინ ძმებმა უთხრეს:

— ჩვენ არ გვინახავს შენი აქლემიო.

აქლემის პატრონმა კი:

— თქვენ მოგიპარავთ ჩემი აქლემი და უნდა დამიბრუნოთ!

ძმებმა მიუგეს:

— ჩვენ შენი აქლემი თვალითაც არ გვინახავს, როგორ უნდა დაგიბრუნოთ? რაკი ასეა, გამოგვყევი, ერთ სოფელში სამსჯავრო საქმის მცოდნე, სადავო საქმეთა მარჯვედ გამრჩევი კაცი ყოფილა. ჩვენც იმასთან მივდივართ ერთი სადავო საქმის გასარჩევად. თუ ის კაცი შენი აქლემის ქურდობას დაგვაბრალებს, ზარალს აგინაზღაურებთო.

ის კაციც ძმებს შეუერთდა და წავიდნენ სამართლის მცოდნე კაცთან.

III

იარეს, იარეს და მივიდნენ ადგილზე.

— რა საქმეზე მოსულხართ? — ჰკითხა მისულებს იმ მოსამართლე კაცმა.

— ჩვენ, სამნი, ძმები ვართ, ჩვენ შორის ჩამოვარდნილი დავის გასარჩევად მოგაკითხეთ. ეს კაცი კიდევ გზაზე შემოგვხვდა, აქლემი დავკარგე და უეჭველად თქვენი მოპარული იქნებაო, ჩვენ გვაბრალებს. ასე რომ, ამ საჩივრით მოვიდა შენთან. ჯერ ამის საჩივარი გავარჩიოთ, შემდეგ ჩვენ ჩვენსას გიამბობთ.

მოსამართლე კაცმა ჰკითხა აქლემის პატრონს:

— რა საბუთით აბრალებ აქლემის ქურდობას?

— აქლემი დავკარგე. დავდიოდი და დავეძებდი. ამათ რომ შევხვდი, სანამ რამეს ვკითხავდი, უფროსმა ძმამ თავად მკითხა: „აქლემს ხომ არ დაეძებო?“ შუათანამ: „უკანა ფეხით კოჭლი ხომ არ იყოო?“ უმცროსმაც: „მარჯვენა თვალით ბრმა იყო, არაო?“ ჩემი აქლემი ჩემზე კარგად ამათ სცნობიათ, ამიტომ ვიფიქრე, რომ მათი მოპარულიაო. მაშინ სამართლის მცოდნე კაცმა ძმებს მიმართა:

— თქვენ რას იტყვითო?

უფროსმა ძმამ უპასუხა:

— ამისი აქლემი, რა თქმა უნდა, არ გვინახავს, მაგრამ უპატრონოდ რომ იყო, იმით მივხვდით, გზის ნაპირებზე ბალახი აქა-იქ იყო მოძოვილი.

მეორე ძმამ თქვა:

— აქლემი თვალითაც არ გვინახავს, მაგრამ უკანა მარცხენა ფეხით რომ კოჭლი იყო, ნაკვალევით მივხვდი.

მესამე ძმამ დასძინა:

— ამ კაცის აქლემი თვალითაც არ მინახავს, მაგრამ მარჯვენა თვალით ბრმა რომ იყო, იმით მივხვდი, სიარულში მხოლოდ მარცხენა მხარეს მისტანებოდა ბალახს.

საქმეში ჩახედულმა კაცმა აქლემის პატრონს უთხრა:

— შენი აქლემი ამათი მოპარული არ არის, სხვაგან უნდა ეძებო. ესენი დაკვირვებული, ჭკვიანი ხალხი ყოფილა, იმიტომ უცვნიათ შენი აქლემიო.

აქლემის პატრონი წავიდა.

IV

იმ კაცის საქმე რომ გაარჩია, მოსამართლემ ძმებს მიმართა:

— ახლა მიამბეთ თქვენი ამბავიო.

უფროსმა ძმამ უამბო თავიანთი საქმე, მამის ანდერძი და ყველაფერი, მერე დასძინა, უეჭველად ჩვენთაგან ერთმა მოიპარა ის ერთი მარგალიტიო.

საქმეში ჩახედულმა კაცმა დაიწყო:

— მე ერთ ამბავს მოგიყვებით, მერე ძმებს რაღაცას შეგეკითხებით და როცა თქვენს პასუხებს მოვისმენ, ამის შემდეგ ჩემს პასუხსაც მოგახსენებთო.

მოუყვა ასეთ ამბავს:

„ერთ ვაჟსა და ქალიშვილს ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ. ის ქალიშვილი ნათესავებმა ერთ სხვაქვეყნელ ვაჟს მიათხოვეს. ქორწილი რომ დამთავრდა, ქალიშვილის წამყვანი ვაჟი იმ ღამეს ქალის სამყოფელში მივიდა. ქალი მტირალი დაუხვდა. ქმარმა ჰკითხა: რატომ მოგიწყენია? რა გატირებს? თუ მე ვარ შენი დარდის მიზეზი, მაშ, მე ვყოფილვარ შენთვის ვარამი და მწუხარება. მოდი, დედაშენთან ნაგიყვან, რომ გამხიარულდეო.

ქალმა უთხრა: იმიტომ კი არ ვტიროდი, თითქოს შენ იყო ჩემი ჯავრი და მწუხარება, მე ის მატირებდა, რომ ჩემს სოფელში ერთი, დიდი ხნიდან შეზრდილი მეგობარი ვაჟი მყავდა, რომელსაც ვუყვარდი და რომელიც მიყვარდა. გულში გადაწყვეტილი მქონდა, ქამარს ჩემს წელზე იმის მეტს არავის შევახსნევინებ-მეთქი. ჩემი პირობა მომაგონდა და იმან დამამწუხრაო.

ქმარი დაჰპირდა, მე დად ჩაგთვლი, შენ კი ძმად მიგულე და ნუ გეშინია, იმ ვაჟთან მე თვითონ მიგიყვანო.

ჩემთვის არამი ყოფილიყავ, იმისთვის ალალიო, — უთხრა, ქალი ცხენზე შემოისვა და იმ ვაჟის სამყოფელში წაიყვანა. მან ჭიშკართან ქალი ძირს ჩამოსვა და თვითონ შინ დაბრუნდა.

წავიდა ქალი და თავისი ძველი შეყვარებული ვაჟის ოჯახში მივიდა. იმ ვაჟს შეყვარებული ქალიშვილის გათხოვება რომ გაეგო, ხელთ ფანდური აეღო, დამჯდარიყო, ძუის ლარებს აჟღერებდა და ნაღვლიანად ღიღინებდა. ქალი რომ შევიდა, ვაჟმა გაკვირვებულმა ჰკითხა, შენ აქ საიდან გაჩნდიო.

ქალმა უპასუხა:

— ასე და ასე იყოო. ჩემმა ნათესავებმა სხვა ვაჟს მიმათხოვეს. საქმრო რომ ჩემს სამყოფელში შემოვიდა და მისუსტებულ-თვალცრემლიანი დამინახა, მწუხარების მიზეზი მკითხა. მე ვუამბე ჩემი აღთქმისა და პირობის ამბავი. მან კი ასე მითხრა:

— მე ღვიძლ ძმად მიმიღე და როგორც ცოლი — ჩემზე არამი ყოფილიყავ, იმ ვაჟზე კი, ვიზეც შენ მომიყევი — ალალიო.

მერე წამომიყვანა, აქ, თქვენი სახლის წინ ჩამომსვა, თვითონ შინ წავიდა და მე შენთან მოვედიო.

ეს რომ უამბო, იმ ვაჟმა ფანდური გადადო, მივიდა ისე რომ, ქალიშვილს ხელით არ შეხებია, წელთ ქამარი შეხსნა და პირობა რომ შეასრულა, ქალს უთხრა:

— ასე ყვარებიხარ და მაინც ისეთი კარგი ვაჟი ყოფილა, რომ შენი თავი მომგვარა. ახლა მე რომ იმაზე ნაკლები ვაჟკაცი გამოვდგე, ჩემთვის დიდი სირცხვილია და ამიტომ აუცილებლად ისევ იმასთან უნდა მიგიყვანოო.

ეს უთხრა ვაჟმა და ქალი ისევ თავის საქმროსთან წაიყვანა. გზად ერთ ქალაქს მიადგნენ. აქ ქალაქში ვარ გათხოვილიო, უთხრა ქალმა ვაჟს. ვაჟმა: მარტოდ მისვლა თუ შეგიძლია, მე შინ დავბრუნდებიო. შემიძლიაო, უთხრა ქალმა ვაჟს და ვაჟიც შინ გაბრუნდა.

შინ მიმავალ ქალს ბნელ ღამეში შემოხვდა უკეთურებითა და ბოროტებით განთქმული ერთი ქურდი. რომელმა ღმერთმა მომცა შენი თავიო, ეუბნება ქალს. ქალმა ქურდს თავისი თავგადასავალი უამბო: იმ შეყვარებულისაც, თავისი ძალად გათხოვებისაც, ქმრის პატიოსნად მოქცევისაც, ძველ შეყვარებულთან მიყვანისაც და ახლა მისგან უკანვე, ქმართან დაბრუნებისაც. ერთი სიტყვით, აქამდე რაც კი გადახდენოდა, ყველაფერი უამბო. ქურდმა თქვა: იმ ორზე უარესი ვაჟკაცი რომ გამოვდგე, ჩემთვისაც დიდი სირცხვილიაო და ქალს დაუძმობილდა, ცხენზე შემოისვა, წაიყვანა და ქალი საქმროს ჭიშკართან ჩამოსვა.

ამ ამბის მოყოლა რომ დაამთავრა, მოსამართლე კაცმა ძმებს მიმართა:

— ახლა, უფროს-უმცროსობის კვალობაზე, რიგრიგობით მითხარით, იმ სამიდან რომელი უფრო კარგი ვაჟკაცი იყო და მერე თქვენს კითხვასაც პასუხს გავცემ!

— იმ სამიდან მე უფრო პირველი მგონია კარგი ვაჟკაცი, რომელსაც ქალი მიათხოვესო, — თქვა უფროსმა ძმამ. — იმოდენა პირუტყვი ჰყავდა გაწყვეტილი საქორწილოდ, იმ მეორე ვაჟისგან ზარალის ანაზღაურების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა და მაინც წაუყვანა ქალიო.

— მე უფრო მეორე ვაჟი მომწონსო, თქვა შუათანამ, — ბავშვობიდანვე რომ უყვარდა ქალი და მაინც უკან დაუბრუნა იმ ვაჟს.

უმცროსმა ძმამ თქვა:

— ის ორი ვაჟკაცობაში ეჯიბრება ერთმანეთს, იმ ორივეზე უკეთესი ვაჟი მესამე მგონია – ქურდი. რატომ და, ყველაფრის მკისრებელმა უსინდისო ქურდმა ბნელ ღამეში, როგორც ალალმა ძმამ, ქალი დაინდო და შინ მიიყვანა. ამიტომ ქურდი უფრო კარგი ვაჟკაცი მგონია.

მაშინ საქმეში ჩამწვდარმა კაცმა თქვა:

— უფროსო ძმებო, თქვენ ორმა თქვენი თითო მარგალიტი აიღეთ! უმცროსო ძმაო, შენი მარგალიტი უკვე ხელთა გაქვს, იმიტომ, რომ ქურდის მხარე დაიჭირე, ქურდი რომ სწორედ შენა ხარ, ამ წუთში თვითონვე გამოამჟღავნეო.

თქვა მოსამართლე კაცმა და დავაც ამით გადაწყვიტა.

პატიოსანი კაცი ქურდს მხარს არ დაუჭერს.

ამბავი სიყვარულისა

მართალია თუ არა, ვინ იცის. შაროის* მთებში ცხოვრობდა თურმე ერთი მოხუცი, სიბერეს მისთვის თვალისჩინი წაერთმია. მოხუცს სილამაზით სახელგანთქმული ქალწული ჰყოლია, მზრუნველი და მეთვალყურე მამისა. ბევრი ყმაწვილი კაცი ყოფილა მისი მსურველი, მაგრამ ასულს მხოლოდ ერთი ვაჟი უყვარდა. ყველა მდიდარი მშობელი ნატრობდა იმ ასულის რძლობას, მაგრამ ვერავინ დაითანხმა.

ერთმა, უარით განაწყენებულმა, სამაგიერო მიუზღო — მთებში მცხოვრებ კუდიანს უამბო მისი ამბავი.

ეწვია კუდიანი ლამაზი ასულის ოჯახს. დანახვისთანავე გულში ჩაუვარდა ის ასული. დღედაღამ თვალს არ აცილებდა, გადაწყვიტა მისი მოტაცება. ერთხელაც, როცა იყო, დრო დაიგულა, წყაროზე მიმავალს ჩაუსაფრდა და მოიტაცა.

ეს რომ გაიგო, გამოეკიდა კუდიანს ასულის გულის სწორი. მთათა აღმართებზე მირბოდა კუდიანი, უკან ბედაურით მისდევდა ვაჟი. მიხვდა კუდიანი, საცაა ვაჟი დამეწევაო, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და შაროიის მთის წვერზე ავიდა. ის-ის იყო, უნდა დასწეოდა ვაჟი, მწვერვალის თხემზე შედგა კუდიანი. მდევარი რომ დაეწია, ასული უფსკრულში გადაუშვა. გმინვა აღმოხდა ვაჟს. ასულის კვალდაკვალ კლდიდან გადაფრინდა. შეყვარებულები ტკივილს მოერივნენ, ერთმანეთს მიაღწიეს, ჩაეკონნენ და ასე აღმოხდათ სული კლდის ძირას.

იელვა მთებში. ცამ დაიქუხა. წვიმა წამოვიდა. ბოლოს შეიკრა და დამშვიდდა კლდე. მისი ძირიდან ამოხეთქა წყაროს-თვალმა. ეს ვერ აიტანა კუდიანმა და კლდეს თხრა დაუწყო, მაგრამ რაც უფრო მეტად შედიოდა სიღრმეში, მით უფრო იწყებდა წყალი ჩქეფას. მიხვდა კუდიანი, სიყვარულს რომ ვერ აჯობებდა, ბუნებამაც სიყვარულს რომ დაუჭირა მხარი. გული გაუსკდა და მოკვდა.

ასულს რაღაც ხიფათი რომ შეემთხვა, მიხვდა მოხუცი და მის საძებნელად წავიდა. მიდიოდა და ასულს უხმობდა, უცბად ნაკადულის ხმა შემოესმა, „ვაი, ჩემო შვილო, ნეტა სადა ხარ?“ — ამოთქვა დაღლილმა მოხუცმა და წყლის პირას ჩაიმუხლა. წყლის ხმაურში ასულის კვნესა შემოესმა მოხუცს, მოეჩვენა, თითქოს ვიღაც ემუდარებოდა, წყალი დალიეო. პეშვით წყალი დალია. სხეულში ძალა ჩაუდგა, როგორც ყმაწვილს. მერე ისევ მოეჩვენა, თითქოს ვიღაც ასული შველას სთხოვდა. „ნეტა, ვინ არისო“, — თქვა და საიდანაც ხმა შემოესმა, იქით გახედვა დააპირა, დაავიწყდა, რომ ბრმა იყო, წყალში დასველებული ხელები თვალებში ამოისვა და თვალისჩინი დაუბრუნდა.

წყლის მოსახვევში მამამ ერთმანეთს ჩახუტებული ასული და ვაჟი იპოვა. შორიახლოს ესვენა კუდიანის გვამიც. მიხვდა მამა, რაც მომხდარიყო. ერთ საფლავში დაკრძალა ქალ-ვაჟი. ამბობენ, მას შემდეგ შაროი-არღუნის ხმაურში ორნაირი ხმა ისმის: ასულის ნაზი და ვაჟის ომახიანი ძახილი.

ვისაც არ სჯერა, მოუსმინოს არღუნის ხმაურს.

ჭკუის ხიდი

ერთი პატარა ქვეყნის ხელმწიფეს წერილი გაუგზავნა მეორე ძლიერი ქვეყნის ხელმწიფემ. წერილში სწერდა: ზღვის ფსკერზე მყოფმა შენმა ულაყმა რო დაიჭიხვინა, შვიდი მთის აქეთ, მერვე მთის უკან მყოფ ჩემს ჭაკებს მუცელი მოეშალათ. თუ ჩემთან ომი არ გინდა, შესარიგებლად გრძელწვერა მოხუცი გამომიგზავნე სამოცდასამი ჭაკის ნამატით, არც ფეხით მოვიდეს და არც ცხენით, არც ცაზე იყოს და არც მიწაზე, შინაც არ იყოს და გარეთაც არაო.

ამ წერილის მიღების შემდეგ გულგასენილი ხელმწიფე ფიქრებში ჩაეფლო.

იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერ მონახა ხელმწიფესთან გასაგზავნი შესაფერი ჭკვიანი კაცი. მაშინ თქვა, პირველსავე შემხვედრს რჩევას ვკითხავო. გადაიცვა მათხოვრის სამოსი და გზას გაუდგა. გზაზე ბავშვებს წაადგა, რომლებიც კოჭს თამაშობდნენ. ხელმწიფეს თვალი რომ მოჰკრეს, ბავშვებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

— მათხოვარს ქვა დავუშინოთო.

ერთმა კნაჭა ბიჭმა ბავშვები გააჩერა:

— არ ესროლოთ, ეგ მათხოვარი კი არა, მეფეაო.

მის ნათქვამზე ხელმწიფე გაოცდა.

— მითხარი, ყმაწვილო, კონკებში გამოწყობილი როგორ მიცანიო?

— გასულ პარასკევს მეჩეთში მიმავალი დაგინახე, სიარულით გიცანიო, — უპასუხა ბიჭმა.

ხელმწიფემ ბიჭს უამბო წერილის ამბავი. ბიჭმა უთხრა:

— ეგ სულ უბრალო რამეა, დროს ნუ მაკარგვინებო.

— ოი, რანაირად არის უბრალო რამე? მითხარი, როგორ უნდა მოვიქცე? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ნუ დარდობ, ხვალ დილას შენთან მოვალ. მანამდე სამოცდასამი რჩეული ბედაური და სამოცდასამი მხედარი გაამზადე, სათითაოდ ყველასთვის — რჩეული ხმალი, ჯორი და ვაცი.

როცა ყველაფერი გამზადდა, ბიჭი გზას გაუდგა ძლევამოსილ მეფესთან.

— ხელმწიფის ქალაქში რომ შევალთ, ყველა ძაღლს სული ამოხადეთ, — უბრძანა ბიჭმა თავის მხედრებს.

ძაღლების ჟლეტით რომ მიიწევდნენ, გაოცებული ქალაქის მცხოვრებლები ეკითხებოდნენ: რას შვრებით, რასაო?

— ხელმწიფესთან მივდივართო! — უპასუხა მხედართა უფროსმა.

ეს ამბავი მეფეს აცნობეს.

— მოვიდნენ, ხელს ნუ შეუშლითო, — ბრძანა ხელმწიფემ.

— რას შვრებით, ძაღლებს რატომ ხოცავთ? — ჰკითხა მან მხედრებს.

— წუხელ, შვიდი მთის იქით, მერვე მთის უკან მყოფ ცხვრის ფარას მგელი დაეცა და გაანადგურა, საშველად რომ ვუხმობდი, ერთმა მათგანმაც კი არ დაიყეფა, — უპასუხა ბიჭმა.

— ვა, შვიდი მთის იქით მერვე მთის უკან მყოფი შენი ცხვრის გაწყვეტა აქაურ ძაღლებს როგორ უნდა გაეგოთ? — გაოცდა ხელმწიფე.

— ჩვენი ხელმწიფის ზღვის ფსკერზე მყოფი ულაყის ჭიხვინი შვიდი მთის გადმოღმა მერვე მთის უკან მყოფმა შენმა ჭაკებმა ხომ გაიგონეს?! — მიუგო ბიჭმა.

— შენ მისი გამოგზავნილი ხარ? ხომ შევუთვალე, გრძელწვერიანი მოხუცი გამომიგზავნე-მეთქი.

— წვერი ამასაცა აქვს, — უთხრა ბიჭმა და ვაცი წინ წამოუყენა ხელმწიფეს, — წვერი საკმარისი არ არის, ჭკუა თუ არ იქნა.

გაოცებულმა ხელმწიფემ გამოსაცდელად კითხვები დაუსვა ბიჭს:

— ხომ ვთქვი, კაცი გამომიგზავნე, ფეხით არ იყოს, ცხენით არ იყოს, არც ცაზე, არც მიწაზე, არც შინ, არც გარეთ-მეთქი, სადაა ის კაცი?

ბიჭმა სტაცა ჯორს ხელი და ზღურბლზე წააყენა. ჯორს ორი ფეხი გარეთ ჰქონდა, ორი შიგნით, თვითონ ზედ უკუღმა შეჯდა.

— ფეხითაც ხომ არა ვარ და ცხენითაც, ცაზე ხომ არა ვარ და მიწაზეც? შიგნითაც ხომ არა ვარ და გარეთაც?

ხელმწიფეს გამარჯვების იმედი გადაეწურა, გვერდზე ვარსკვლავივით კამკამა წყლით სავსე ოქროს თასი დაიდგა. ბიჭმა იმ თასში ნაფოტი ისროლა.

— ეგ მაინც რაღას ნიშნავს? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ოქროს თასი რომ დადგი, ამით მანიშნე, ოქროზე მეტად ხალხი პატივს მე მცემსო. კამკამა წყლით მანიშნე, რომ ჭკუა დიდი მაქვსო. გონებაზე ხიდი გავდე და ჩემი ჭკუა გაღმა გავა-მეთქი.

რომ ვერაფერი გააწყო, გამტყუნდა ხელმწიფე.

ეს იყო დიდი ხნის წინათ. ჭიანჭველამ ზამთარი ბუდეში რომ გაატარა, გაზაფხულზე იქიდან გამოსვლა სცადა, მაგრამ ბუდის თავზე ბალახის ღერო იდო და ვერ შეძლო. მერე, როგორც იყო, გვერდების ხეხვით ძლივს გამოძვრა. ჭიანჭველამ ბალახის ღეროს უთხრა:

— გადადი ჩემი ბუდიდან, გზა დამიცალე ბევრი საქმე მაქვსო.

ბალახის ღერომ ყურიც არ შეიბერტყა. მაშინ ჭიანჭველა თხასთან მივიდა:

— თხაო, გაზაფხული დადგა, ჩემს ბუდეს ბალახის ღერო ადევს და შიგ ვეღარ შევდივარ, ნეტა წამოხვიდოდე და შეჭამდეო.

— ე, იქ წამოსვლას მირჩევნია აქ ვიყო, მწვანე ბალახს მივირთმევ და სასმელად ცივი წყაროც მაქვსო, — უთხრა თხამ.

— მაშინ შენს შესაჭმელად მგელს გამოვგზავნიო.

— ჰეი, მგელო! — დაუძახა ჭიანჭველამ, — ჩემს ბუდეზე ბალახის ღერო დევს, ვეუბნები, მოშორდი-მეთქი და არ მიდის, იმის შესაჭმელად თხაც არ მოდის, ნეტა წამოხვიდოდე და თხას შეჭამდეო.

— იქ წამოსვლას არ მირჩევნია, მსუქანდუმიანი ცხვრების ჭამაში ვიყოო?!

— მაშინ შენთან დასაჭიდებლად ქოფაკებს გამოვგზავნიო.

— ჰეი, ქოფაკებო, — დაუძახა ჭიანჭველამ, — ჩემი ბუდის თავზე გაწოლილი ბალახის ღერო არ მიდის, იმის შესაჭმელად თხა არ მოდის, თხის შესაჭმელად მგელი არ მოდის, ნეტა, მგელთან საჩხუბრად წამოხვიდოდეთო.

— იქ წამოსვლას არ გვირჩევნია, მწყემსის გადმოგდებული ძვალი ვღრღნათ, რაც გვევალება, ის ვაკეთოთ, არ მოვდივართ მგელთან საჩხუბრადო, — უპასუხეს ქოფაკებმა.

— მაშინ მწყემსს გამოგიგზავნით, ჯოხით რომ გაგბერტყოთო.

— ჰეი, მწყემსო, ჩემი ბუდის თავზე გაწოლილი ბალახის ღერო არ მიდის, იმის შესაჭმელად თხა არ მოდის, თხის შესაჭმელად მგელი არ მოდის, მგელთან საჩხუბრად ძაღლები არ მოდიან, წამოსულიყავ და ძაღლები ჯოხით გეცემაო.

— იქ წამოსვლას არ მირჩევნია, ფანდურის ლარს ჩამოვკრა და ვიღიღინოო.

— მაშინ შენი ფანდურის ლარის გასაწყვეტად თაგვს გამოვგზავნიო.

— ჰეი, თაგვო, ჩემი ბუდის თავზე გაწოლილი ბალახის ღერო არ მიდის, იმის შესაჭმელად თხა არ მოდის, თხის შესაჭმელად მგელი არ მოდის,

მგელთან საჩხუბრად ძაღლები არ მოდიან, ძაღლების საცემად მწყემსი არ მოდის, ნეტავ წამოსულიყავი და მწყემსებისთვის ფანდურის ლარი გაგეწყვიტაო, — სთხოვა ჭიანჭველამ თაგვს.

— იქ წამოსვლას მირჩევნია, ამ ხვრელიდან იმ ხვრელში შევვარდეო, — უთხრა თაგვმა.

გაბრაზებულმა ჭიანჭველამ უთხრა:

— შენს შესაჭმელად კატას გამოვგზავნიო და ყვირილი მორთო:

— ჰეი, კატავ, ჩემი ბუდის თავზე გაწოლილი ბალახის ღერო არ მიდის, იმის შესაჭმელად თხა არ მოდის, თხის შესაჭმელად მგელი არ მოდის, მგელთან საჩხუბრად ძაღლები არ მოდიან, ძაღლების საცემად მწყემსი არ მოდის,მწყემსის ფანდურის ლარის გასაწყვეტად თაგვი არ მოდის, იმის შესაჭმელად გამომყევიო.

— იქ წამოსვლას მირჩევნია, დედაჩემის ბეწვიან საფენზე ვიწვეო.

— დედაშენის ბეწვიანი საფენის გასაწეწად ქარს გამოგიგზავნიო.

— ჰეი, ქარო, წამომყევი ქომაგად, ჩემი ბუდის თავზე ბალახის ღერო დევს, წასვლა აღარ უნდა, შეჭამე-მეთქი და თხა არ მოდის, თხა შეჭამე-მეთქი, მგელი არ მოდის, მგელთან საჩხუბრად მოდით-მეთქი და ძაღლები არ მოდიან, ძაღლების საცემად მოდი-მეთქი, მწყემსს ვთხოვე და ისიც არ მოვიდა. შემდეგ მწყემსის ფანდურის ლარის გასაწყვეტად თაგვი არ მოვიდა, თაგვის შესაჭმელად კატა არ მოდის, კატის დედის ბეწვიანი საფენის გასაწეწად იქნებ წამოხვიდეო.

ქარმა უპასუხა:

— დამელოდე, სტუმარს გავაცილებ, ღმერთს ვახსენებ და წამოვალო.

სტვენით დაუბერა ქარმა, დაინახა კატამ მომავალი ქარი და გაიქცა თაგვის შესაჭმელად, დაინახა თაგვმა მომავალი კატა და გაიქცა მწყემსის ფანდურის ლარის გასაწყვეტად. გაბრაზებული მწყემსი წავიდა ძაღლების საცემად. ეს რომ დაინახეს, ძაღლები მგელთან საჩხუბრად გაქანდნენ, მგელი თხის შესაჭმელად გაიქცა, თხა — ბალახის ღეროს შესაჭმელად, ბალახის ღერო შეირყა, წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ თხამ იგი სწრაფად გადაყლაპა.

ბუდე გათავისუფლდა, ყველა გაბრუნდა, ჭიანჭველა თავისი ბუდის გარშემო დატრიალდა. იგი ახლაც მადლობას სწირავს ქარს.

მცურავის* ნათქვამი

სოფელი რომ გადაწვა, დაბურულ ტყისპირას გასულმა ნართმა ცხოველებსა და მწერებს გასძახა:

— ვისაც გაქცევა შეუძლია, გაიქცეს, ვისაც ფრენის ძალა შესწევს, გაფრინდეს, ტყე ხანძარს უნდა მივცეო.

ამის შემდეგ აღარ გაუფრთხილებია, ერთი კუთხიდან ტყე ცეცხლს მისცა ნართმა. ვისაც თავის შველა შეეძლო, თავს უშველა, ცეცხლის ტკრციალის გარდა, ტყეში ხმა აღარ ისმოდა.

გადაიწვა ტყე. ნართმა ნახანძრალი ჩამოიარა, ვნახო, რა მოხდა და რა არაო. ტყის ერთ კიდეზე ნართმა მცურავი დაინახა, რომელიც ცეცხლის ალისაგან თავის დაღწევას ლამობდა.

— ვაი, შე უბედურო მცურავო, ნუთუ ცეცხლის გაჩენამდე ჩემი ყვირილი ვერ გაიგონე? ნეტავ, რატომ შეყოვნდი ამ ცეცხლში? — ჰკითხა ნანახით გაოცებულმა.

— მოსმენით კი მოვისმინე, ნართო, შენი ძახილი, ყველაფრი გავიგონე, მაგრამ ამ ტყეში დაბადებული და ამ მიწით ნასაზრდოები ვარ, ამიტომ სხვაგან პატარძლობას ჩემს ქვეყანაში სიკვდილი მიჯობს. ეს მიწა-წყალი ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია, ეს მამაჩემის დანატოვარი კერაა. აქედან წასვლას ჩემი ნებით აქ სიკვდილი მირჩევნიაო, — უთხრა მომაკვდავმა მცურავმა გაოცებით შემყურე ნართს.

სესქა სოლსას ოინები

— ჩეჩნეთში მცხოვრები ყველა ადამიანი უნდა გავწყვიტოო, — ამბობდა თურმე შორიდან დაგორებული, მთასავით დიდი ლოდი. სესქა სოლსას მისთვის უკითხავს:

— რა გინდა, სად მიექანები?


— ხალხი უნდა გავჟუჟო! — უთქვამს თურმე ლოდს.

— არ წახვიდე! ადგილიდან არ დაიძრა! — უთხრა სესქა სოლსამ.

— ვერ გამაჩერებო, — თქვა ლოდმა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჩეჩნეთის მოსპობას იქადნებოდა.

მაშინ გაბრაზებულმა სესქა სოლსამ სატევრით ორად გაკვეთა ლოდი. ამბობენ, გაჭრილი ლოდი ახლაც მთის წვერზე დევსო. სესქა სოლსას რომ არ გაეჩერებინა, ადამიანებს დიდ უბედურებას მოუტანდაო. შუადღის პირზე მთა-ლოდი ცხენის თავს ემსგავსებაო.

დაღესტნის ხალხთა ფოლკლორი



პოეზია

დარგუელებზე

სიმღერა საინტერესოა იმით, რომ გამოხატავს
დარგუული აულების საქმიანობის სპეციფიკას

მახვილი ხანჯლით — ხარბუკელები,
ოქროს ხელებით — კუბაჩელები,
ქვის მთლელები — სუთბუკელები,
სიმღერის მთქმელები — ურახელები,
კარაქის მდღვებავნი — ხურშლელები,
მიწის მხვნელები — მოკიჰელები,
ხის მთლელები — სურგელები,
მეთუნეები — სულევქენთელები,
ჩონგურის ოსტატები — კიშელები,
ბევრი ხორცის პატრონები — ურქაჩახელები,
მაღალი ქუდის მფლობელები — მუსინელები,
კარგი თერძები — შადლინელები,
ნამუსიანები — წიზღელები,
ჯამის ოსტატები — ვიხრელები,
სიტყვის ოსტატები — სირაჰელეჰი,
მუშაობაში უბადლონი — მუგრელები,
ბარში მცხოვრებლები — გერგინელები,
დიდი მიწა-წყლის პატრონები — გუბდენელები,
აუჩქარებელნი — აყუშელები,
ტყის პატრონები — ღულილელები,
ბაღის პატრონები — ხაიდაყელები.

სანადიროდ წასულიყო
ერთი დედის სამი ვაჟკაცი.
მაღალ კლდეზე ავიდნენ, დადგნენ.
კლდის ციცაბოზე ბუდე ჰქონდა
თურმე შევარდენს.
ძმებს შევარდენის დაჭერა სურდათ.
— შენ ჩადი და ამოიყვანე, —
უთხრა უფროსმა ძმამ შუათანას.
— არა, შენ ჩადი, — თქვა შუათანამ.
რომ არ ეჩხუბათ, გადაწყვიტეს,
კენჭი ეყარათ.
— ძმებო, რად გინდათ, ნეტავ, კენჭისყრა, —
თქვა უმცროსმა ძმამ — სულთან-ახმედმა,
თოკი მოიბა, კლდიდან დაეშვა.
— დავიჭირე შევარდენი, ამომიყვანეთ!
— სულთან-ახმედო, უმცროსო ძმაო,
ამოგიყვანთ, თუ შენს ფარას შეელევი
და ჩვენ გვაჩუქებ.
— ეგრე იყოს, ასწიეთ თოკი!
— თოკს მაშინ ავწევთ, სულთან-ახმედო,
როცა მამის ქონებიდან
წილს არ მოითხოვ.
— კარგი, თქვენ დაგრჩეთ ყველაფერი,
ასწიეთ თოკი, ამომიყვანეთ!
— თოკს ავწევთ, თუკი უარს იტყვი
საყვარელ ქალზე,
რომელსაც ისე უვლიან და ეფერებიან,
როგორც შევარდენს,
რომელსაც ისე ურჩევენ საჭმელს,
როგორც ფეხმარდ კვიცს.
— როგორც არ უნდა დამემუქროთ,
თუნდაც დამკლათ და
ჩემი ხორცი ჩამოარიგოთ,
როგორც ხბოს ხორცი,
ყურბან ბაირამზე მსხვერპლად დაკლულის,

თქვენნაირ ლაჩრებს არ დავუთმობ
ჩემს საყვარელ ქალს!
არ ამოსწიეს ძმებმა თოკი,
კლდის ციცაბოზე მიატოვეს სულთან-ახმედი.
შინ დაბრუნდნენ სიმღერ-სიმღერით.
როცა აულს მიუახლოვდნენ,
შემოეგებათ თავიანთი და,
და მასთან ერთად ციცაბო კლდეზე მიტოვებული
ძმის ნანდაური.
— ძმებო, სად არის სულთან-ახმედი?
— მაღალი კლდის ციცაბოზეა,
იქ, სადაც ბუდე ჰქონდა შევარდენს.
დარჩა, თამაშობს, როგორც ბატკანი.
და შინ დაბრუნდა,
შაქრით გაავსო ერთი ხურჯინი,
სულთან-ახმედის ნანდაურმა კი
შარბათით — ბოთლები.
წაიღეს და გზას დაადგნენ მაღალი კლდისკენ.
— მოგიკვდეს და, სულთან-ახმედო,
ძმებს რად ჩამორჩი?
და მათთან ერთად
საკუთარ კერას არ დაუბრუნდი?
— აბა, როგორ დავბრუნებოდი,
როცა ძმებმა მიღალატეს და მიმატოვეს?
— ცოტა კიდევ გაუძელ, ძმაო,
მთელ აულს შევყრით და გიშველით.
თუ გშია, აჰა, შაქარი ჭამე, —
დამ ხურჯინი გადაუგდო,
სულთან-ახმედმა დაჭერა სცადა,
მაგრამ ვერ შეძლო.
ვერ დაიჭირა ვერც შარბათით სავსე ბოთლები,
ნანდაურმა რომ გადაუგდო.
— სხვა გზა არა მაქვს!
ანუგეშეთ დედაჩემი,
ვითომ სულაც არა ვყოლივარ.
შენც, დაო, ვითომ არცა გყოლივარ.
შენც, ჩემო გულის საყვარელო,

სხვა მეგობარი გაიჩინე.
ფეხს წავდგამ და ღრმა უფსკრულია,
უკან გადავდგამ — ციცაბო კლდეა.
დაბარბაცდა სულთან-ახმედი
და ღრმა უფსკრულში გადაიჩეხა.
ერთ მხარეს მისი ტანი დაეცა,
მეორე მხარეს დაიღვარა იმისი სისხლი.
საწყალმა დამ და ნანდაურმა
კლდე შემოვლეს, უფსკრულში ჩავიდნენ,
მისი სისხლით დაავსეს ბოთლები,
მისი ძვლებით გაავსეს ხურჯინი.
სიმწრით ყმუოდნენ, როგორც ტყის მგლები
და შინისაკენ მიდიოდნენ.
უკვე შუაღამე იდგა, შინ რომ მივიდნენ.
უფროსი ძმები ინაწილებდნენ მამის ქონებას.
— თუ ქონება ეცოტავებათ,
აჰა, გაიყონ ძვლები და სისხლი!
უნდა მოკვდეს მოღალატე,
თუნდაც ღვიძლი ძმა იყოს იგი!
მისგან მხოლოდ ღალატია მოსალოდნელი!
დიდხანს უნდა იცოცხლოს გმირმა
სადაც საჭირო გახდება,
ყველგან ექნებათ მისი იმედი!

მამაცი ბეკბულათი

— დედავ, ჩემო საყვარელო,
მომგვარე ცოლი.
რა ხანია, დაქორწინდნენ
ჩემი ტოლები.
— შვილო, ჩემო საყვარელო,
ცოლს მაშინ მოგგვრი,
როცა აიღებ მამის სისხლს და
მოკლავ იმის მკვლელს.
— დედავ, ჩემო საყვარელო,
აბა, როგორ მოვკლა მოსისხლე,

როცა არც კი ვიცნობთ ერთმანეთს.
— ცხენს ცხენი იცნობს,
იარაღი იცნობს იარაღს,
მტერს გული იცნობს.
— დედავ, ჩემო საყვარელო,
საგზლად პური გამომიცხვე,
ოღონდ ისეთი,
ცხენს მისი ზიდვა არ გაუძნელდეს,
მე — მისი ჭამა.
გამოუცხო დედამ პური,
ჩაუწყო ხურჯინში, გაუმზადა.
— დედავ, ჩემო საყვარელო,
მომეცი მამაჩემის თოფი,
რომლითაც შორი მანძილიდან
ვაშლსაც კი არ ააცდენს კაცი.
შეკაზმა ცხენი ბეკბულათმა,
აიღო თოფი მამამისის დანატოვარი,
შეჯდა ცხენზე და გზას დაადგა.
— შვილო, ბეკბულათ, გზაჯვარედინზე,
სადაც მაღალი ხეებია,
წყარო გადმოდის.
იმ წყაროსთან დაისვენე,
შენი ცხენიც იქ აბალახე.
ბეკბულათი ისე მოიქცა,
როგორც დედამ დაარიგა.
წყაროსთან შეხვდა მამამისის მკვლელს.
— ასსალამუ ალეიქუმ,*
გმირო ბეკბულათ!
ვაალეიქუმ სალამ,
მამაჩემის მტერო!
თოფი ესროლა მამის მტერმა
მამაც ბეკბულათს
და დაჭრა იგი.
ბეკბულათმა მტერს დაუმიზნა
მამამისის კაჟიანი თოფი
და ამოუტენა ტყვიით მუცელი,
როგორც ტენიან თივით მგლის ტყავს.

— გმირო ბეკბულათ,
მამაშენის მკვლელი კი ვარ,
მაგრამ დედაშენის მეგობარი ვარ.
ძალიან ნუ დამასახიჩრებ.
ბეკბულათმა მამამისის მკვლელს
ყურში ხელი წაავლო და — თავი მოჰკვეთა,
თითში ხელი წაავლო და ხელი მოჰკვეთა,
ფეხის თითში ხელი წაავლო — ფეხი მოჰკვეთა.
ასე აქნილი ჩადო ხურჯინში —
დედას საჩუქრად უნდა მიართვას.
ღონემიხდილმა ბეკბულათმა
უთხრა თავის ცხენს:
— ჩემო კეთილო, ლამაზო ცხენო,
ჩემო ერთგულო მეგობარო!
ნელა, ხარივით დაწექ მიწაზე,
ნელა წამოდექ, როგორც აქლემი.
წამიყვანე, ფრთხილად მატარე,
რომ ჭრილობები არ მეტკინოს.
ძალიან ვარ დასუსტებული,
ძალა არ შემრჩა,
თუ ვიცოცხლე, ოქროს ნალებს დაგაჭედებ
ვერცხლის ლურსმნებით,
ბაგას დარჩეული ბრინჯით გაგივსებ.
მიუახლოვდა ცხენი ბეკბულათს,
ნელა დაწვა, როგორც ხარი,
ნელა წამოდგა, როგორც აქლემი.
წაიყვანა, ფრთხილად ატარა,
შუაღამისას უკვე შინ იყვნენ.
— დედავ, ჩემო საყვარელო,
კარი გამიღე,
მთელი სხეული ტყვიით მაქვს სავსე.
— ღამის ტკბილ ძილს ვერ გავიტეხ,
შენს დასთან მიდი.
— დაო, ჩემო საყვარელო,
ისე ვარ ტყვიით გამოტენილი,
როგორც მგლის ტყავი — ჩალით.
გამიღე კარი.

— ვერა, ჩემო ძმაო ბეკბულათ,
დილაადრიან თბილ ლოგინს როგორ მივატოვებ
შენი გულისთვის.
შენს საცოლეს მიაკითხე.
— საყვარელო, ისე ვარ ტყვიით ამოტენილი,
როგორც მგლის ტყავი — ჩალით.
კარი გამიღე.
საცოლემ კარი გაუღო.
მისცა ხურჯინი ბეკბულათმა,
სთხოვა, დედაჩემს გადაეციო.
საცოლემ ლამპა აანთო და
რბილი ლოგინი გაუშალა,
მოლებს დაუძახა, სამი სურა წააკითხა.
შუაღამისას მოკვდა ბეკბულათი.
სუდარაში გაახვიეს, ისე დამარხეს.
მწარედ ტიროდა მისი საცოლე.
მწარედ ატირდა დედამისიც.
როცა გადასცეს შვილის ხურჯინი,
როცა „ბისმილა“* თქვა და
ხურჯინში ხელი ჩაჰყო.
ჩაყო ხელი და თავი ამოიღო.
— რამდენ ბნელ ღამეს ჩემს ლოყას შეხებიხრ,
შენს მომჭრელს მოეჭრას თავი!
ისევ ჩაჰყო ხელი ხურჯინში.
თითი დაიჭირა, ხელი ამოიღო.
— რამდენ ბნელ ღამეს მომხვევია შენი ხელები,
შენს მომჭრელს მოეჭრას მარჯვენა!
მესამედ ჩაჰყო ხელი ხურჯინში
სწვდა ფეხის თითს და ფეხი ამოიღო.
— შენს მომჭრელს მოეჭრას ფეხები!
რამდენჯერ ამ ფეხებს სირბილით გამოუვლიათ
ჩემკენ მავალი გზები!

ყუმუხელი ჭაბუკი და აზაინელი ქალი

ყუმუხელ* ჭაბუკს და აზაინელ* ქალს
ერთმანეთი შეჰყვარებიათ.
ყუმუხელ ჭაბუკს ქალისათვის
სამაჯური მიურთმევია.
ძვირი ღირდა სამაჯური —
ოცდაათ მანეთს
მხოლოდ ხუთი კაპიკი აკლდა.
ბეჭდებიც მიურთმევია —
ის ბეჭდებიც ძვირი ღირდაო —
სამ მანეთს ხუთი კაპიკი აკლდა.
— ჩემო გულით საყვარელო,
უნდა წავიდე, შინ დავბრუნდე.
— ჩემო გულით საყვარელო,
შინ თუ მიდიხარ,
შენი ლამაზი სახის ნაწილი —
შენი თვალები — ძვირფასი ქვები —
მე დამიტოვე.
— ჩემი თვალები, ძვირფასი ქვები
რომ დაგიტოვო,
შენ ურიცხვ დებს
შარბათი ეგონებათ,
ხელად დალევენ.
ვერ დაგიტოვებ.
— ჩემო გულით საყვარელო,
თუ მაინც წახვალ, არ დაიშლი,
შაქარივით ტკბილი გული მე დამიტოვე.
— შაქარივით ტკბილი გული რომ დაგიტოვო,
შენ ურიცხვ ძმებს მართლა შაქარი ეგონებათ
და შეგიჭამენ.
თუ მაინც წახვალ, არ დაიშლი,
როცა აზაინის მხარეს დატოვებ,
ცხენს მათრახი სამჯერ გადაჰკარ,
სამჯერვე უკან მოიხედე.
გასცდა სანახებს აზაინისას,
ცხენს მათრახი სამჯერ გადაჰკრა,

სამჯერვე უკან მოიხედა და დაინახა:
ვიღაც მხედარი წამოსწევია.
— ასსალამუ ალეიქუმ, ყუმუხელო ჭაბუკო!
— ვაალეიქუმ ასსალამ, ლამაზი ცხენის მხედარო!
— აზაინელი მოლები შენს ლამაზს
სატრფოს მიასვენებენ,
უკან დაბრუნდი!
ჩამოქვეითდა, ცხენი გაუშვა,
ხედავს, მართლაც დასამარხად მიჰყავთ
მოლებს იმისი სატრფო.
— ასსალამუ ალეიქუმ, აზაინელო მოლებო!
— ვაალეიქუმ სალამ, ჭაბუკო!
— ალაჰს გაფიცებთ, ძირს დაუშვით მისი ცხედარი,
სუდარა გაუხსენით, უკანასკნელად დამანახეთ.
უსმინეს და ძირს დაასვენეს,
მერე სუდარაც მოაშორეს,
უკანასკნელად დაანახეს.
ჭაბუკმა სატრფოს თვალი შეავლო
და იქვე სული ამოუვიდა.
სატრფოს თვალებმა შესვა მისი თვალები,
სატრფოს გულმა გადაყლაპა იმისი გული.
აზაინელმა მოლებმა ყუმუხელ მოლას
წერილი მისწერეს, შეუთვალეს:
— როგორ დავმარხოთ
ერთნაირი სიყვარულით მიცვალებულნი,
ერთნაირი გრძნობით დამწვარნი?
— ერთი სუდარით, ერთ საფლავში დამარხეთო, —
იყო პასუხი.
მართლაც დამარხეს ერთ საფლავში,
ერთი სუდარით.
მათ საფლავზე შაქრისა და ბროწეულის
ხეები ხარობს.
როცა ზენა ქარი უბერავს,
ხეები ერთმანეთს ეხუტებიან,
როცა ქვენა ქარი უბერავს,
ხეები ერთმანეთს შორდებიან.

გაყიდული მესედუ

საშინელი სიზმარი ნახა.
გულგახეთქილს გამოეღვიძა.
დედის ხმა ესმის.
რა მოხდა, დედა? — იკითხა და
ლოგინიდან წამოფრინდა ქალი მესედუ.
უცნაური რამ დაინახა.
მათი სახლის დიდი ოთახი
წარჩინებულ სტუმრებს გაევსოთ,
აივანზე გაეშალათ ალისფერი აბრეშუმები,
ეზოში ნაპატი... კვიცები დახტოდნენ.
— დედავ, მითხარი, ვინ არიან უცხო სტუმრები,
რატომ ადრე არ მინახავს?
დედავ, მითხარი, ვისია ეს აბრეშუმები,
ვინ გაშალა ჩვენს აივანზე?
დედავ, მითხარი, ვისი კვიცებით
გავსებულა ეზო-მიდამო?
— უცხო სტუმრები, ჩვენი სასტუმრო ოთახი
რომ გაუვსიათ,
შუშის* ხანის მოხელეები არიან, შვილო,
შენს წასაყვანად ხანის მიერ გამოგზავნილნი.
ალისფერი აბრეშუმები,
აივანზე რომ გაუშლიათ
შენი მზითვია, შუშის ხანმა რომ გამოგზავნა.
ის კვიცები კი, ეზოში რომ დაკუნტრუშებენ,
შუშის ხანის საჩუქარია შენი ძმებისთვის.
— გამოდის, რომ ჩემი გასაყიდი ფასი
ალისფერი აბრეშუმია?
ბედნიერი როგორ იქნება ეს ქორწინება?
— მე რა ვქნა, შვილო, ჩემო მესედუ,
უკვე გაგყიდა მამაშენმა.
მესედუ მამას მიეჭრა და
მის წინ თავშალი მოიხადა,
მერე მუხლებზე დაეცა და ხვეწნა დაუწყო.
— ნუ მიმათხოვებ, მამაჩემო,
წყეულ შუშის ხანს.

იმ გიაურს სახელიც კი საზიზღარი აქვს.
ნუ გამგზავნი ყარაბაღში!
როგორ ვიცხოვრო უცხო მიწაზე,
სხვა რჯულის ხალხში!
— არა, არ მითხრა!
ყველაფერი გადაწყვეტილია —
უნდა წახვიდე ყარაბაღში.
ანდა რატომ არ უნდა მიგათხოვო
შუშის ხანს, თუკი ქონებით
სახლ-კარს ამივსებს?!
თუკი ჩემს სამ ვაჟს
უკვე აჩუქა სამი კვიცი!
როცა იმედი გადაეწურა,
საბრალო ქალმა ფანჯარა გამოაღო,
გაიხედა და მეზობელ სახლში
თავისი გულის საყვარელი დაინახა.
თვალით ანიშნა:
ჩემთან მოდიო.
და ფანჯრიდან გადაიყვანა
თავის ოთახში.
მათ აისრულეს გულის წადილი,
შეყვარებულებმა ნატვრა აისრულეს.
— მოდით, ხანის მოხელეებო,
წამიყვანეთ, უკვე არაფერს აღარ ვნანობ!
ხანის კაცები ამხედრდნენ და
ყარაბაღის გზას დაადგნენ.
თან წაიყვანეს ხანისათვის ნაყიდი ქალი მესედუ.
მიუყვებოდნენ გზებს ღორების კოლტებით სავსეს.
გაიარეს სოფლები, სავსე ეკლესიებით.
აი, მივიდნენ ყარაბაღში.
ლოცვის დრო იყო.
მესედუმ წყალი მოითხოვა,
რათა ლოცვის წინ ხელ-პირი დაებანა,
წყლის ნაცვლად
ღვინით სავსე დოქი მიართვეს.
სალოცავი ნოხის ნაცვლად
შავი ტახის ტყავი გაუშალეს.

— ჩემო მაყრებო, რომლებმაც
აქამდე მომაცილეთ და შინ ბრუნდებით.
ჩემს მშობელ დედას
ჩემგან სალამი გადაეცით,
ასე უთხარით:
ჩემს ურვადში* აღებული ცხენები
მამაჩემის ქელეხში დაკლან!
ალისფერი აბრეშუმი კი —
ხალხს იმ დღეს დაურიგონ
ჩემი ძმების სულის მოსახსენებლად,
როცა ისინი დაიხოცებიან.
დედაჩემმა კი სამასი ქალი
კიდევ გაუჩინოს მამაჩემს,
რათა მან შუშის ხანს
ქონებაში გაუცვალოს.

კუბაჩელი ბიჭის ამბავი

საყვარელი ქალისათვის
სისხლი დაიდო.
სხვა რა გზა ჰქონდა?!
მიატოვა თავის სახლ-კარი
და კუბაჩელი საბრალო ბიჭი
ხიბარაიში გადასახლდა.
ხელოსნობით ირჩენდა თავს.
მოკლულის დედამ
რომ გაიგო, —
ცოცხალიაო ჩემი მოსისხლე —
მოუხშირა მის საყვარელ
ქალთან სიარულს.
ეუბნებოდა:
„სამი ვაჟკაცი კიდევ მყავს და,
ოღონდ აულში შემოიტყუე
ჩემი მოსისხლე,
უეჭველად რძლად წაგიყვანო“.
კუბაჩელი ხელოსნები

თავიანთი ნახელავის გასაყიდად
გზას რომ დაადგნენ,
საწყალი ბიჭის გულის სწორმა
აი, რა უთხრა:
„— ჩემგან მოკითხვა გადაეცით
ჩემს გულის სწორს,
უთხარით, შენმა ორმა მტერმა
ერთმანეთი ამოხოცა-თქო.
მესამე კი, რა ხანია,
აულიდან გადაიკარგა.
თუ სიტყვაზე არ დაგიჯეროთ,
ეს ბეჭედი გადაეცით.
იცნობს, მისი ნახელავია.
კიდევ უთხარით, თუ ვაჟკაცი ხარ,
დროა, აულს დაუბრუნდე-თქო".
კუბაჩელმა ხელოსნებმა
ბევრი აული მოიარეს,
ბოლოს აულ ხიბარაისაც მიაღწიეს.
— ასსალამუ ალეიქუმ, კუბაჩელო!
— ვაალეიქუმ სალამ, ხელოსნებო!
მხიარულად შეეგება თანასოფლელებს.
თან ფიქრობს, „იქნებ
ამბავი რამ მომიტანესო".
— გულის სწორმა მოგიკითხა.
აი, ბეჭედიც გამოგვატანა,
რომ დაგვიჯერო.
შემოგითვალა: „შენმა ორმა მტერმა
ერთმანეთი ამოხოცა,
მესამე კი, რა ხანია,
აულიდან გადაიკარგა".
საწყალმა ვაჟმა — კუბაჩელმა
ოცდაათი ვერცხლის ფულით
საყვარელ ქალს ყელსაბამი გაუკეთა.
ოცი ვერცხლის ფული გაადნო და
სამაჯურები გაუკეთა,
ათი ვერცხლის ფული გაადნო,
ათი ბეჭედი გაუკეთა.

შუადღის ლოცვამდე
უკვე აულ ურქარახთან იყო,
საღამოს ლოცვამდე —
საყვარელი ქალის ჭიშკართან.
ფილთა თოფით
ქალს ჭიშკარზე მიუკაკუნა.
ქალი ისე გამოიზლაზნა ლოგინიდან,
ვით გველი — წყლიდან.
ნელი ნაბიჯით მივიდა კართან,
ნელა გააღო.
„— შე უხეიროვ, რას მიბარებდი,
თუ არ მელოდი,
არც კარს მიღებდი?“
„— ღმერთო მაღალო!
რა ვიცოდი, თუ შენ იყავი?“
ფართოდ გაუღო ჭიშკარი და შეიპატიჟა.
„ალბათ, გზაში დაიღალეო“, — უთხრა,
დაუგო ბალიში და პატივით დასვა.
„ალბათ, გზაში მოგშივდებოდაო“, — უთხრა
და მლაშე კერძი მიართვა.
„ალბათ, წყალი გეწყურებაო“, — უთხრა
და მარილწყალი მიართვა.
მუხლზე დაუჯდა,
ტკბილი ენით ელაპარაკა.
„ალბათ უკვე გეძინებაო“,
რბილი ლოგინი გაუშალა,
ჩააწვინა, გვერდით მიუწვა,
გულში ჩაეკრა.
ბიჭმა იმ ხელებს,
რომელიც ყელზე ეხვეოდა,
სამაჯურები წამოაცვა,
იმ თითებს, რომლებიც მას ეფერებოდა,
ათი ბეჭედი გაუკეთა.
ყელზე შეაბა ყელსაბამი —
ოცდაათი ვერცხლის ფული:
„ჩემგან საჩუქრად მიიღეო“.
ვიდრე ეძინა, ქალი წამოდგა,
ფილთა თოფში წყალი ჩაუსხა,

ხანჯლის ქარქაშში წებო ჩაუსხა.
ვაჟს გაეღვიძა:
„— საყვარელო, მწყურია,
წყალი მომაწოდე“.
„— მეცა მწყურია, მაგრამ
წვეთი წყალი არ მიდგას.
წავალ, მოვიტან.
სანამ წყაროდან დავბრუნდებოდე,
იწექ, არ ადგე!“
ქალი შინიდან გავიდა და
საფიხვნოსაკენ* გაემართა.
იქ მისულმა მთელი კუბაჩის გასაგონად
ასე იყვირა:
„— ჰეი, გაიდარის ვაჟკაცებო!
თქვენს მოსისხლეს
ჩემს სახლში სძინავს!“
ქალის ყვირილზე გამოცვივდნენ
კუბაჩელი ახალგაზრდები,
მათზე ადრე — გაიდარის სამი ვაჟკაცი.
თავზე დაადგნენ მძინარე ყმაწვილს.
საწყალ ყმაწვილს გაეღვიძა, წამოხტა ფეხზე.
თუმცა ქარქაშში წებო ესხა,
მაინც იძრო ხანჯალი და
მოკლა ორი ძმა;
თუმც ფილთა თოფში წყალი ესხა,
მაინც ისროლა,
მოკლა მესამეც.
მერე ცეცხლს მისცა ქალის სახლ-კარი
და კუბაჩელმა საწყალმა ბიჭმა
ასე იმღერა:
„კუბაჩელო ვაჟკაცებო,
ნუ ენდობით ვერაგ დედაკაცს!
მე გულის სწორმა მიღალატა.
მთელი ღამე გულში ვიკრავდი,
დილით კი გამცა“.
ამბობენ, დღესაც ცოცხალია მოღალატეო,
აულიდან აულში დაძრწის და
ძაღლიც კი არ ეკარებაო.

ყალა-ყორეიშელი ქალი

ერთი ხანია, მოსვენება დაჰკარგვია ყალა-ყორეიშს* —
მაღალ მთებში შეყუჟულ აულს.
ნადირ შაჰის ჯარი დაღესტანს თელავს,
მთიელები ყაჯართან ბრძოლას ეწირებიან.
ამუზგური ხმლები შეიბეს,
თავლებიდან გამოიყვანეს
და შეკაზმეს შავრა ცხენები,
დაემშვიდობნენ თანასოფლელებს:
— „კარგად იყავით“,
და საბრძოლველად წავიდნენ ძმები.
შვიდივე ძმა წავიდა ომში.
უკვდავია სამშობლოსთვის თავდადებული,
თავისუფლებისათვის მებრძოლთ
გზის პირას ძეგლებს დაუდგამენ.
ლომებივით იბრძოდნენ ყალა-ყორეიშელი ძმები.
გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე.
როცა მათი დაღუპვის ხმამ ყალა-ყორეიშს მიაღწია,
ხალხმა საქმე მიატოვა, შეიკრიბა მთელი სოფელი.
მიცვალებულთა სახლში ქელეხია.
თვალი ვერ მოჰკრეს, როგორ წავიდა დაღუპულთა და —
ყალა-ყორეიშელი ქალი.
მიდიოდა. თვალცრემლიანი იმ სახლისკენ იყურებოდა,
სადაც თავისი გულის სწორი ეგულებოდა.
და აი, ისიც.
„ვიზიარებ შენს მწუხარებას შვიდი ძმის დაო“, —
უთხრა მან ქალს.
„ჩემო ნანდაურო, გამამწარეს
ყაჯარებმა, ძმები დამიხოცეს.
წყეულიმც იყვნენ!
მოვალე ვარ, შური ვიძიო.
თუ ნამდვილი მეგობარი ხარ,
უნდა წამომყვე“.
უთხრა ვაჟმა: „ჩემო ნანდაურო,
ბევრნი არიან ყაჯარები, ძალაც დიდი აქვთ.
მწარედ ატირეს ჩვენი მთები,
სისხლით შეღებეს მდინარეები.

ჩვენ რას გავხდებით, რას მოვერევით?“
„დამიდგეს შენსკენ მზირალი თვალი!
როცა ქვეყანას ვაჟკაცები ეწირებიან,
შენ დედის კალთას ეფარები.
ალბათ, ეს არის შენი ხვედრი.
აიღე და მოიხვიე ჩემი თავშალი,
აჰა, აიღე ჩემი კოკა, წყაროზე წადი.
ჩემი ძმების სისხლს თავად ავიღებ“, —
თქვა ყალა-ყორეიშელმა ქალმა და გზას დაადგა.
ყაჯართა ჯარმა მთა დაიპყრო,
ხალხს სისხლის ცრემლი აღვრევინა,
ბევრი ქალი დააქვრივა,
ბევრი ბავშვი დააობლა.
ბანაკი დასცა გაშლილ ადგილას,
თეთრ შაქარს ჭამდა,
ზედ წითელ ღვინოს აყოლებდა.
როცა ყალა-ყორეიშელი ქალი გალეშილ ლაშქარს მიუახლოვდა,
ყაჯარებს ქალის სილამაზემ თვალი მოსტაცა.
„ოი, ალაჰ, ეს ხომ შენი სასწაულია!
ალბათ, ციდან მოგვივლინე ეს მშვენიერი“.
„მე მოვსულვარ თქვენს მეთაურთან.
ბევრი მსმენია მის გმირობაზე.
ასე ამბობენ: მზესავით არის,
ყველას აწვდენს თავის სითბოსო,
ბევრი სიკეთის მოქმედიაო“.
„სწორედ ეგრეა, — თქვენს ყაჯარებმა —
ეგეთიაო ჩვენი ხანი.
გაუხარდება, თუ გიხილავს თავის კარავში“.
ლამაზი ქალის დანახვაზე ვალი-ხანი ფეხზე წამოდგა,
საპატიო ადგილზე დასვა.
„აბა, სიმართლე თქვი, ლამაზო, ნუ მერიდები.
საიდან და რისთვის მოსულხარ?
ვისი ქალი ხარ?
ჩვენს კარავში რამ მოგიყვანა?“ —
ასე უთხრა ქალს ყაჯართა მეთაურმა,
შაჰის ღვიძლმა ძმამ.
თავი ასწია ყალა-ყორეიშელმა ქალმა,
სიყვარულით შეხედა ხანს.

ხანი სულ დადნა, მოეწონა ქალი ძალიან.
ისურვა მასთან მარტო დარჩენა,
ყველა გაუშვა.
„ჩემო ლამაზო, აიღე თასი, ერთად დავლიოთ,
თასში ღვინოა. დალიე და ჩემთან იყავი“, —
ასე უთხრა ყაჯართა ხანმა.
ქალმა აიღო თასი, მაგრამ
კი არ დალია, ჩუმად უბეში ჩაისხა.
რამდენჯერმე ასე მოიქცა.
ხანს ატყუებდა.
ხანი კი დათვრა.
ქალმა მთვრალ ხანს თავი მოჰკვეთა,
თავის თავშალში გაახვია,
ხურჯინში ჩადო.
როცა დაღამდა, მტრის ტანსაცმელი გადაიცვა,
გამოვიდა ხანის კარვიდან.
მშვიდად ეძინათ მთვრალ ყაჯარებს.
შავრა ცხენმა ქალი ყალა-ყორეიშში მიიყვანა.
„დედაჩემო, ჩამო ეზოში და ნახე ჩემი საჩუქარი!
აჰა, მტრის თავი, ვინც შენ შვილები დაგიხოცა.
აიღე და ცეცხლში ჩააგდე!"
ყალა-ყორეიშელი ქალის სახელი
დარგუულ მინა-წყალს გადასწვდა
მთები აქებდნენ მის გმირობას.
თუ დედამ ქალი შვას,
მხოლოდ ისეთი, როგორიც იყო ყალა-ყორეიშელი ქალი!
ნურა დედას ნუ ჰყოლია ისეთი ვაჟი,
როგორიც მისი ნანდაური იყო.

ᲝᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

თურმე ჩემი გულის სწორი
ავად გამხდარა.
შვიდი დღეა, ავად ყოფილა.
შვიდი ტყვია მომხვდეს,
თუ მცოდნოდა.

— ჩემო ერთგულო მეგობარო,
შეიარე ჩემს გულის სწორთან.
გამიგე, ერთი, რით არის ავად?
მართლაც, წავიდა მეგობარი.
სამფერი შაქრით პარკი გაავსო,
სასმლით — ფაიფურის ბოთლები.
წაუღო ავადმყოფს.
— გამარჯობა, ჩემი მეგობრის
გულის სწორო,
რა გტკივა, რა სენი შეგყრია?
— მოურჩენელი სენი შემყრია,
არ მიხორცდება მოტეხილობა.
თავად რატომ არ მოვიდა,
შენ რომ გგზავნიდა?
— როგორ მოვიდეს?
შინ არიან იმისი ძმები
და მამა — ძაღლის ხორცის მჭამელი.
— თუ ასეთი ქედმაღალია,
რომ ჩემთან მოსვლა ეთაკილება,
მაშინ ამაყად გარს უაროს
ჩემს შავ სამარეს.
თუ ნახვის ღირსად არ ჩამთვალა,
ალბათ, გულგრილად გვერდს აუვლის
ის ჩემს კუბოსაც.
ქალს შინ გული აღარ დაუდგა,
ვერ დაუცადა თავის მეგობრის დაბრუნებას,
წავიდა, რათა გაეგო რამე.
ხედავს, მოაქვთ ოქროს საკაცე.
— ღმერთო მაღალო, ნეტავ სად მიაქვთ?
ხედავს, თხრიან შავ სამარეს.
— მეზობლებო, ვისთვის ითხრება შავი სამარე?
ერთმა ქვრივმა ეს უპასუხა:
— შენს მეგობარს უთხრიან საფლავს,
საკაცესაც მას უმზადებენ.
ქალი მივიდა სასაფლაოზე.
— ნუ უთხრით საფლავს
ჩემს გულის სწორს.

მე მას ჩავაწვენ ვერცხლის კუბოში.
თუ მაინც უნდა გაუთხაროთ შავი სამარე,
მიწას მაინც ნუღარ დააყრით.
მიწის ნაცვლად მე თვალ-მარგალიტს გადავაყრი,
თუ მიწას მაინც გადააყრით,
ძეგლს ნუ დაადგამთ.
ძეგლად მე თავად დავდგები,
ყიბლისაკენ* პირშექცეული.
თუ არ დაიშლით
და ძეგლს დაადგამთ,
ლოცვებს მაინც ნუ წაუკითხავთ,
ლოცვების ნაცვლად
სიყვარულზე სიმღერებს ვეტყვი.

მურთუზა ალი და მესედუ

ყაზიყუმუხის* ხანისაგან ბრძანება მოვიდა,
ხანი ბრძანებდა: „ახლავ საომრად მოემზადეთო!
ყველას, ვინც არ მოემზადება,
ხარს დავუკლავო;
ყველას, ვინც ცხენზე არ შეჯდება,
თავს მოვკვეთავო!“
— ცხრა წელი მიყვარდა,
მხოლოდ მეათე წელს მივთხოვდი.
როცა მის მკერდზე მიკრულს
ტკიბლად მეძინა,
ეზოდან მესმა ერთი
ქვრივი ქალის ძახილი.
ვიდრე ქმარი წამოდგებოდა,
ცოლი წამოხტა,
ფანჯარა გამოაღო,
ეზოში გაიხედა. ხედავს,
დამდგარა ქვრივი ქალი, ამბობს:
„ნუთუ, ისევ სძინავს მურთუზა ალის,
როცა საომრად ემზადება მთელი სოფელი?“
ქალმა მიხურა ფანჯარა და

ლოგინში ჩაწვა,
ქმარს ჩაეხუტა.
— გარეთ რა ხდება, ჩემო რჩეულო?
— არაფერი, ვიღაც ქვრივი
რაღაცას ყვირის.
შემოგევლე, მომეხვიე,
მაგრად ჩამიკარ!
ერთი საათიც არ გასულა,
ისევ აყვირდა ქვრივი ქალი.
ვიდრე კაცი ადგებოდა,
ქალმა მოასწრო და გადამალა
იმისი ვერცხლის იარაღი,
შვიდფერი ბედაური,
ეზოში რომ ება,
გომურში შეიყვანა,
ისიც დამალა.
ქმარი ადგა, კარში გავიდა
ხედავს, ცხენი აღარ აბია.
— შე უხეირო დედის გაზრდილო,
სად დამიმალე ჩემი შვიდფერი ბედაური?!
სად წაიღე ჩემი ვერცხლის იარაღი?!
ვიდრე ჩავიცვამ,
იარაღი მომიმზადე!
ვიდრე იარაღს ავისხამდე,
ცხენი მომგვარე!
ვიდრე ქმარი ჩაიცვამდა,
ცოლმა იარაღი მოუტანა.
სანამ იარაღს აისხამდა,
ცოლმა ცხენი შეუკაზმა.
იმ აულის მამაკაცები
უკვე მზად იყვნენ.
უკვე სალაშქროდ გამოსულიყვნენ.
ცხენს მოახტა მურთუზა ალიც.
— ჩემს თეთრ მანდილს,
დედის ნაჩუქარს
თეთრი ოქროთი გავავსებ
და ყაზიყუმუხის ხანს მივართმევ.

იქნებ, ინებოს, დამიტოვოს
ჩემი რჩეული?!
ისევ მოვიდა ალიბეი ხანის წერილი.
ხანი ბრძანებდა:
„ღმერთს გეფიცებით!
ვინც საომრად არ წამოვა,
ყველას თავს მოვჭრი!"
ქალმა ქმარი გააცილა,
აულის ბოლომდე მიჰყვა,
მერე უზანგი დაუჭირა,
ხელი მოხვია:
— ნუ დამივიწყებ, საყვარელო,
მეც არასოდეს დაგივიწყებ,
ჩემო შავთვალავ.
თანაც ილოცა.
— ღმერთო მაღალო,
წაიყვანე და დამიბრუნე!
ბედაურო, წაიყვანე და
უკანვე წამოიყვანე.
შინ დაბრუნდა, მაგრამ
იქაც ვერ მოისვენა.
გული არსად უდგებოდა.
გზაზე დააწყდა თვალები.
ოქროს კიბე მიადგა
და ბანზე ავიდა.
როგორც ქანდაკი.
ხედავს, ბრუნდებიან მოლაშქრეები,
მაგრამ მათ შორის
არ ჩანს მისი გულის სწორი,
არ ჩანს შვიდფერი ბედაურიც.
ქალი გზაზე გამოვიდა,
მოლაშქრეებს წინ გადაუდგა,
თავის ქმრის ამბის
გაგება სურდა.
— ასსალამ ალეიქუმ,* მურთუზა ალის გულის სწორო.
— ვაალეიქუმ სალამ, ცხენოსნებო!
სად მიატოვეთ მურთუზა ალი?
— მურთუზა ალი მტრის ტყვიამ მოკლა,

კაზაკების ხიშტმა დაცხრილა.
მაღალი მთის ფრინველები
ლამაზ, შავ თვალებს უკორტნიან,
ტყის ტურები გულს უძიძგნიან.
— ნეტავ ენა გამხმობოდა
და არ მეკითხა.
მადლობელი ვარ,
პასუხის ღირსად რომ გამხადეთ.
მერე წავიდა,
შინ დაბრუნდა საწყალი ქალი.
გამწარებულმა თმები იგლიჯა,
ვერცხლივით თეთრი მკერდი
სულ დაიკაწრა.
შავი, ლამაზი თვალებიდან
სისხლის ცრემლები მოსდიოდა.
— ასსალამ ალეიქუმ, დედაჩემო.
ვიდრე მზე და მთვარე ანათებს,
ჩემი რჩეულის სიკვდილს
ვინმე თუ იფიქრებდა?
დედავ, დამიგე რბილი ლოგინი.
ჩავწვები და გვერდს არ ვიცვლი,
სანამ ხორცი არ შემომალპება.
დედავ, დამიდე რბილი ბალიში.
თავს არ გავანძრევ,
სანამ თმები სულ არ დამცვივა.
— შვილო, ძალიანაც თავს ნუ მოიკლავ.
სხვაც ბევრია შავჩოხიანი.
— შავჩოხიანი, იქნებ, სხვაც არის,
მაგრამ როგორღა დავივიწყო
მისი ხელების სითბო, ალერსი?
სულიც გასძრობია
მეზობლიანთ ქვრივ დედაკაცს!
მან დამიღუპა გულის სწორი,
მან ამაგლიჯა იგი მკერდიდან.
სულაც გამწყდარა საკაცეთი ალირასტაში.
იმათ ატეხეს ომი და იმათ
შეინირეს ჩემი რჩეული.

მშვენიერი ბიქას ამბავი

რიჟრაჟზე ადგა
მშვენიერი ბიქა,
კართან მივიდა
მშვენიერი ბიქა.
კართან იდგა
მისი რჩეული.
— ცხენზე შევჯექი,
იარაღი ავისხი.
შორი ქვეყნის
გზას დავადექი.
— ჩემო თვალისჩინო,
მეც წამიყვანე.
— რომ წაგიყვანო,
ხალხი რას იტყვის?
რომ წაგიყვანო,
აულში თავი მოგეჭრება.
— როცა დაბრუნდები,
ხომ ვიქორწინებთ?
— რომ დავბრუნდები,
თუ არ შეგირთო,
მეხმა დამნაცროს!
ცხენი მოწყვიტა,
ელვასავით გაიჭრა გზაზე.
სამმა თვემ ისე გაიარა,
გულის სწორი აღარ უნახავს.
მაშინ, როცა უიმისოდ
სამ დღეს ვერ ძლებდა.
წყალზე წავიდა
ლამაზი ბიქა
ვერცხლის სურით და
ოქროს ხაპიით.
უნდა აევსო ვერცხლის სურა
ყინულივით ცივი
წყაროს წყლით.
ოქროს ხაპიით

უნდა აევსო.
წყაროსთან ოთხი
ქალი დახვდა.
რაღაცაზე ჩურჩულებდნენ.
— შეგსრულებოდეთ ყველა სურვილი.
გამაგებინეთ, რაზე ჩურჩულებთ?
— არაფერზე, ისე,
ჩვენთვის ვლაპარაკობდით.
შევიდა ბიქა
წყაროს ღრუდოში.
იქ გადააწყდა
ჭაღარა ქალებს.
— მოხუცებო, ალაჰს გაფიცებთ,
გამაგებინეთ, რაზე ჩურჩულებთ?
— რომ გაიგო, რაზე ვჩურჩულებთ,
სისხლის ცრემლებით
აგევსება შავი თვალები.
რომ გაიგო, რაზე ვჩურჩულებთ,
მოჭრილი ლელივით
დაეცემი დედამიწაზე.
ძირს დაანარცხა
ბიქამ სურა,
გატეხა იგი.
ოქროს ხაპია
ქვას დაახეთქა
და დაამსხვრია;
ფეხთ გაიხადა,
შორს მოისროლა
ფეხსაცმელები;
აულისაკენ გაიქცა ბიქა.
მშვენიერი ბიქა
აულს მიადგა
და დაინახა:
მოდიოდა პროცესია,
მას შავრა ცხენი
მოუძღოდა.
შავრა ცხენზე —

შავი ნაბადი.
— ალაჰს გაფიცებთ,
შეჩერდით და შემისრულეთ
ეს სათხოვარი:
ნაბადს კალთა
გადაუწიეთ.
— რატომ აღარ მიყურებენ
შენი თვალები?
შენს ვერცხლის ტანზე
გამობმული ოქროს ხელები
რატომ აღარ მომეხვევიან.
რას დაინახავს
შენი თვალები,
როცა ისინი
სისხლით გაქვს სავსე?
ოქროს ხელები
როგორ უნდა შემომეხვიოს,
როცა მტრის ხმალს
სულ დაუჩეხავს?
მოსცილდა ცხედარს
ლამაზი ბიქა,
თავჩაქინდრული
შინ დაბრუნდა.
კედლიდან ჩამოხსნა
ბასრი ხმალი,
საჯინიბოდან გამოიყვანა
ფეხმარდი ცხენი
და გააჭენა,
რათა შავ მტერზე
ჯავრი იყაროს.

ნადირ შაჰი* და ხარტუმი*

ხაიდაყს მიახლოებულმა ნადირ შაჰმა მაჯალისში კაცი გაგზავნა, დააბარა: „ყველაზე ჭკვიანი და მამაცი მთიელი მეახლოს მოსალაპარაკებლადო“. ხალხმა იფიქრა და გადაწყვიტა — შაჰს ყველაზე მახინჯი და ენამწარე ხარტუმი აახლოს.

შაჰმა თავის მოლაშქრეთაგან
ყარაბაში გამოარჩია.
სიმამაცითა და სისასტიკით
იყო განთქმული ყარაბაში.
გაგზავნა შაჰმა ყარაბაში დარგუელებთან.
თან დააბარა:
— ხაიდაყელებს გადაეცი ჩემი ბრძანება:
გათენებამდე თავიანთი
ელჩი მაახლონ.
აი, გამოჩნდა ყარაბაში
მაჯალისის საფიხვნოზე
და იქ შეკრებილ ხალხს
გადასცა შაჰის ბრძანება.
ხაიდაყში ბევრი იფიქრეს
და გადაწყვიტეს,
ირანის დიდი შაჰისათვის
ზარმაცი და ხელთუყარი,*
კოჭლი, ელამი,
კისერმრუდე და ენამწარე
ხარტუმი ეახლებინათ.
შაჰის კარვის წინ დადგა ხარტუმი
დაინახა შაჰმა და ჰკითხა:
— შენზე მახინჯი ვერავინ ნახეს,
რომ შაჰისთვის გამოეგზავნათ?
შაჰისთვის რომ ეამებინათ,
მისმა მხლებლებმა
პირი დააღეს და ახარხარდნენ.
ხარტუმმა კი, აი, დიდ შაჰს
რა უპასუხა:
— დარგუელებმა იფიქრეს, რომ
თქვენნაირ ძაღლებს

ელჩიც სწორედ
ჩემნაირი ეკადრებოდათ.
— რა დაგაბარეს დარგუელებმა?
— დარგუელებს გულით სწადიათ,
რომ წაშავდეთ ჩვენი ქვეყნიდან,
რომ შეგახმეთ ის ხელები,
რომლითაც ხმალი აღმართეთ ჩვენზე,
რომ გაგიხმეთ ის ფეხები,
რომლებმაც ჩვენთან მოგიყვანათ.
პირადად შენ კი, დიდო შაჰო,
დარგუელები გისურვებენ,
რომ დაკარგო თვალის სინათლე,
რომ დაგეფანტოს ლაშქარი და
ვეღარ გაიგნო გზა შინისაკენ.

მუჭალები

მთებს მოედო ბრძოლის ამბავი.
სახლ-კარი მიატოვეს ხუნძებმა.
ცხენები მოაჭენეს
მოძმეთა დასახმარებლად;
ლაკებმაც აღმართეს მახვილი;
ურახელებმაც, ახუშელებმაც
შეკაზმეს ცხენები.
აღდგა მთელი დაღესტანი,
რათა მტრისაგან დაეცვა
„მთების ქვეყანა“.
ჯერ ისევ ღამე იწვა
ღრმა ხეობებში,
როცა ნადირ-შაჰის ლაშქარი
ციცეს მთაზე ავიდა.
გაღმა აული კუბაჩი
ჩანდა, როგორც ხელისგულზე.
მტერი ყიჟინით მოედო აულს.
მაგრამ ფხიზლობდნენ კუბაჩელებიც.
თორმეტი ზარბაზნის ქუხილმა

შეძრა გარშემო მთები.
ზარბაზნის ჭურვმა
ნადირ-შაჰის ბევრ მეომარს
დღე დაუმოკლა.
შაჰის ლაშქარი გაიქცა
და მთას მოეფარა.
მაგრამ დახეთ, შაჰის გაოცებას!
თვალები გაუფართოვდა,
ყბა ჩამოუვარდა.
„ერთ ღამეში რა დატრიალდა ამ აულში?“
თითო სახლის ბანზე
თითო ზარბაზანი დაუდგამთ.
„სიზმარში თუ ვარ...
ამათ რომ ზარბაზნები აქვთ,
მე იმდენი დამბაჩაც კი არ გამაჩნია!
შეხედეთ, ყველა სახლის ბანზე
ზარბაზნები არ ულაგიათ?“
შაჰის მსახურებმა
ენები მოიკვნიტეს
და ცას ახედეს —
მაღალ ღმერთს შველას ეხვეწებოდნენ.
„ფრთხილად იყავით!“ —
ბრძანა შაჰმა და ისევ იქუხა ზარბაზნებმა,
ნადირ-შაჰს ბევრი მებრძოლი მოაკლდა.
„ნახეთ, კუბაჩელ მეზარბაზნეებს
ერთ ღამეში ათასობით
ზარბაზანი ჩამოუსხამთ!“
სინამდვილეში კი კუბაჩის ბანებზე
წყლის ჭურჭელი დგას —
მუჭალები და ნუყნუსები —
სპილენძის ჭურჭელი,
ისე რომ ჰგავდა ნამდვილ ზარბაზნებს,
მადლობა მამაც კუბაჩელებს,
ასე მარჯვედ რომ მოატყუეს ვერაგი მტერი.
მთაში ისევ
მოწმენდილ ცაზე
ქულა ღრუბლები

ცხვრის ფარასა ჰგავს.
მზე კვლავ ანათებს,
ჰაერი ისევ სუფთაა და
მინდორი — მწვანე.
ისევ უჭირავთ კუბაჩელებს
მჭრელი საჭრისი
და გამოჰყო ყვავილები,
სულევქენელთა მარჯვე ხელები
ნატიფ სურებად აქცევენ თიხას.
ამუზგელები ისევ ისე
კვერავენ ნამგლებს,
რათა მოიმკან მოსავალი.
გარშემო ისევ არის ყანები,
ცაში ისევ ფრენენ მტრედები.

შამილი

მთიელები ამ სიმღერებს
ამუზგური* ხმლების წკრიალით
დიდხანს ამბობდნენ.
ტყვიის ზუზუნს და
ხმლების ჩახაჩუხს
უერთდებოდა ეს სიმღერა
დაღესტნის მთებში.
დიდხანს ებრძოდა მეფე
მთების გმირს —
ამ კლდეებს შორის დაბადებულს.
ვერ შეძლო მისი დამორჩილება,
რადგან ის გმირი
ხალხს ეკუთვნოდა.
შამილი თავისუფლების მოსაპოვებლად
აუჯანყდა მეფეს და იხმო მთიელები,
ამ კლდეებიდან გამოიყვანა.
უთხრა: „გვიჯობს დავეცეთ ბრძოლის ველზე,
ვიდრე ვიცოცხლოთ მეფის მონებად.
ცოტანი კი ვართ,

მაგრამ, მერე რა?
სამაგიეროდ, მართლები ვართ.
ჩვენს მთას ვიცავთ და
ჩვენს მკაცრ ცხოვრებას,
გაჩენილს თავისუფლებისათვის
და გაფრინდა წერილები თეთრი მეფისკენ.*
თბილისიდან იწერებოდა მეფისნაცვალი,
ლევაშიდან* იწერებოდნენ,
თემირ-ხან-შურადანაც* იწერებოდნენ,
იწერებოდა ყველა, ვისაც
შამილი გულზე არ ეხატა.
იწერებოდნენ: „შეიპყარით
მთების გმირი და
ცოცხლად მიჰგვარეთ
თეთრ მეფესაო“.
იპოვეს კიდეც საამისო საშუალება, —
დედოფალმა მიაგნებინათ:
„სად უძლურია ჯარისკაცი,
სად უძლურია მთელი ლაშქარი,
იქ ოქრო და ვერცხლი იმარჯვებს —
შეიძლება ხალხის მოსყიდვა“.
ვერაგი იყო თეთრი ხელმწიფე,
უფრო ვერაგი — დედოფალი.
მან გაუგზავნა ოქრო-ვერცხლი მოღალატეებს.
კარგად იცოდა, ღარიბია მთიელი კაცი,
უსასრულო ომებისგან ქანცგამოცლილი.
სუსტ ადამიანს სული წასძლევს
ოქრო-ვერცხლსა და სიმდიდრეზე.
დასძრეს ჯარები ღუნიბისაკენ* —
იმამის ბოლო თავშესაფრისკენ.
უთვალავი იყო ჯარი,
როგორც ბალახი
ჩვენი ქვეყნის იალაღებზე.
მიდიოდნენ და მიდიოდნენ
ასობითა და ათასობით
თეთრი მეფის გამოგზავნილნი
მეფის ჯარებმა ალყაში მოიქციეს

ღუნიბის — მაღალ მთებში შეყუჟული
აული და ციხესიმაგრე.
ჯარს მოღალატეც დაეხმარა.
დაე, დარჩეს ხალხის ხსოვნაში
წყევლა-კრულვა იმათ მიმართ,
ვინც გაყიდა თავისუფლება.
წყეულიმც იყოს, ვინც უღალატა
„მთების ქვეყნის"* გმირს.
შუაღამისას თოკებით, თოკის კიბეებით,
ერთმანეთის მხრებზე შედგომით
ღუნიბის ციხესიმაგრეზე ავიდა მტერი.
ისე ავიდა, შამილს არა გაუგია რა.
გამთენიისას ჩვეულებრივად გამოვიდა
პირის, ფეხების დასაბანად,
რათა ელოცა.*
ხედავს, მტრით არის გარშემორტყმული!
მაინც ილოცა.
ლოცვის შემდეგ კი
შეუძახა თავის ნაიბებს,*
იშიშვლა ხმალი —
ორლესული და ბასრზე ბასრი;
ქამარში გაირჭო დამბაჩა —
საბრძოლველად მოემზადა შამილი.
„ვისაც გძინავთ, გაიღვიძეთ!
ვისაც გღვიძავთ, წამოდექით!
უღირსებმა გვიღალატეს,
მტერს შემოუძღვნენ.
ბრძოლაში გავწყდეთ ღირსეულად!"
წინ გაიჭრა იმამი* შამილი,
ბოლომდე ბრძოლა გადაეწყვიტა,
მაგრამ შვილებმა გზა გადაუჭრეს:
— იმამო, შენს გმირობაზე
ამ კლდეებს ბევრი სიმღერა უთქვამთ,
მაგრამ, დაფიქრდი,
ამ მძიმე ჟამს საფრთხეში აგდებ
მთის მომავალს.
თუ მტერს უფრო განარისხებ,

შენ მოგკლავს და ჩვენც ამოგვჟუჟავს.
იფიქრე და გადაწყვიტე
ჩვენც შენს ნებას დავმორჩილდებით,
მაგრამ, დაე, შენი დიდება
ემსახუროს ქვეყნის მომავალს.
თავი ჩაქინდრა შამილმა,
ფიქრს მიეცა,
საომარი ჩოხა გაიძრო,
ფაფახიც მოიხადა, ხელში ჩაბღუჯა,
დაჰყვა მათ ნებას.
იარაღის დაყრა ძნელია მეომრისთვის,
უფრო ძნელია იმამისათვის.
მაგრამ შამილი ბრძენი იყო
და ძალიან უფრთხილდებოდა
ხალხის სიცოცხლეს.
არ უნდოდა მთის ამოწყვეტა.
შამილი მტერს არ შეუპყრია,
თავად დაყარა იარაღი,
რათა ისინი გადაერჩინა,
ვის ხელშიც უნდა დარჩენილიყო,
„მთების ქვეყანა“,
ვის გულშიც უნდა დარჩენილიყო
სამარადისო წყველა მათ მიმართ,
ვინც დაივიწყა, თავის სიხარბეს ანაცვალა
სამშობლოც, მთებიც, ჩვენი იმამიც.

სიმღერა ერმოლოვის* ლაშქრობაზე

როცა ბაშლიქენთი* დაარბია
და შამხალიც* დაიმორჩილა,
როცა დარგუს* დალაშქრა დააპირა,
აი, რა მისწერა ერმოლოვმა
თეთრ მეფეს, იარმულა ფაშას:*
„დავიპყარი ყუმუხების ველ-მინდვრები,
დავიპყარი ავართა* მთები.
მათი აულების* ადგილზე

აულები დავტოვე,
აყვავებული მათი მინდვრები
ცეცხლს მივეცი და გადავბუგე.
ბევრ დედას თავი
დარდით დავახრევინე,
ბევრი ქალი დავაქვრივე
და ბევრი ბავშვი დავაობლე.
თარქის* შამხალი დავიმორჩილე.
ახლა ვაპირებ დარგუს აღებას.
თუ მოგვაშველებ რუსულ იარაღს,
კარგი იქნება“.
სულ იოლად აიღეს დარგუ.
მტერს ამ საქმეში
ახუშელი* ყადიები* ეხმარებოდნენ.
წუდარახელი* მოლები,
სუფიები,* სხვა უფროსობაც
ეხმარებოდნენ.
მათი ღალატი ძალიან ჰგავდა
შამხალის ღალატს.
დარგუელები ერმოლოვის
წინაშე ძრწოდნენ,
როგორც კრავი ძრწის
მგლის წინაშე.
მეფის ფაშავ! მეფის გიაურო!*
ძალიან ნუ იამაყებ!
სპარსეთის შაჰი აბასი ხომ
შენზედ ბევრად ძლიერი იყო,
მაგრამ, დაღესტანს როცა ტოვებდა,
უნდა იცოდე, რა ბრძანა შაჰმა:
„ვინც გინდა იყოს
ჩემს შემდგომად ირანის შაჰი,
ხელს ნუ აღმართავს დაღესტანზეო“.

— ჩემო კეთილო დედავ,
კვერი გამომიცხვე,
სანადიროდ უნდა წავიდე.
— შვილო, სულეიმან,
იქნებ, სჯობდა, სანადიროდ არ წასულიყავ?
ვინ იცის, ვის გადაეყრები.
არ დაუჯერა დედას, წავიდა,
შეკაზმა თავისი წითელი ცხენი,
გაიყვანა ეზოდან და გზას გაუდგა.
დატოვა შინ დედა და და დამწუხრებული.
გზაზე მოსისხლე მტერს გადააწყდა.
სულეიმანი დასცა მტრის ტყვიამ.
მკვლელმა აჰყარა იარაღი,
მისი ცხენიც თან წაიყვანა.
სულეიმანის და წავიდა წყლის მოსატანად.
მხარზე შეუდგამს ვერცხლის სურა,
ხელში უჭირავს ოქროს ხაპია —
წყაროდან წყლის ამოსაღები.
აი, მივიდა კიდეც წყაროსთან,
მაგრამ წყარო მთლად გაყინულა.
სუსხიანი ზამთარი არ არის,
მზიანი გაზაფხული დგას,
რამ გაყინა, ნეტავი წყალი?
ნუთუ სასწაულია? უბედურების ნიშანია?
მივიდა ქალი ბრძენ ბერიკაცთან,
იმან წიგნებში ჩაიხედა
და გაიგო, მოუკლავთო სულეიმანი.
და არ მოჰყვა მოთქმა-გოდებას,
ცრემლები გულში ჩაიბრუნა,
შინ დაბრუნდა და დედას უთხრა:
— ჩემო კეთილო დედავ,
კვერი გამომიცხვე,
ძმის საძებრად უნდა წავიდე.
ნუ სწუხარ, მალე დავბრუნდები.
— მაშ, არ ვიწუხო? ვაჟი წავიდა,

აღარ დაბრუნდა.
ახლა შენც წახვალ, მარტო დავრჩები.
გზას გაუდგა სულეიმანის და.
მდინარეები გადალახა,
მთები გადაიარა,
ტყე გაირბინა ვით ფურირემმა.
მიაგნო ადგილს,
სადაც მისი ძმა იყო მკვდარი.
დამ ძმის ცხედარი
ხურჯინში ჩადო,
თან წაიღო.
რომ მიდიოდა,
შემოხვდა მკვლელი.
დამ შეხედა — იცნო ძმის თოფი,
იცნო ძმის ცხენიც, ტანსაცმელიც.
— ვინა ხარ, საიდან მოდიხარ,
საით გიდევს გზა? — ჰკითხა მკვლელმა.
— იქ მივდივარ, სადაც ვიპოვი
ჩემი ქმრობის ღირსს.
— ლამაზო, მე ვარ შენი ღირსი.
— შეიძლება. თანახმა ვარ,
ერთი პირობით:
შენი თოფის ნახვა მინდა,
უნდა მაჩვენო.
აიღო ქალმა ძმის თოფი და
აი, რა უთხრა:
— თოფო, ოქროთი მოჭედილო,
რატომ გაჩუმდი მაშინ,
როცა პატრონს გიკლავდნენ?
შუაზე უნდა გადატყდე ახლა.
დამ გაჰკრა ხელი ჩახმახს.
მტერი დაეცა. მოკლა ძმის მკვლელი.
შემდეგ ყურში წაავლო ხელი —
თავი მოჰკვეთა.
მერე თითში წაავლო ხელი —
მკლავი მოჰკვეთა,
ფეხის თითში წაავლო ხელი —

ფეხი მოჰკვეთა.
ყველაფერი ხურჯინში ჩადო —
დედას მიართმევს,
როგორც საჩუქარს.
შემდეგ ასე მიმართა ძმის ცხენს:
— კარგად მოვლილო ბედაურო,
რატომ ფეხები არ დაგახმება!
ვიდრე მოკლავდნენ სულეიმანს,
წასულიყავ, გაქცეულიყავ!
ახლა გაჭენდი, მიდი ჩვენსა,
თუ ვიცოცხლე, ოქროს ნალებს
დაგაჭედებ ვერცხლის ლურსმნებით.
ბრინჯით აგივსებ ბაგას.
ცხენი ჭიშკართან როცა გაჩერდა,
ქალმა მიართვა დედას
მკვლელის ნაწილები
და ძმის ცხედარი.
სულეიმანი აბრეშუმის სუდარაში გაახვიეს
და დამარხეს დიდი პატივით.

* * *

— ცხელი ტყვია მოგხვდეს,
ჩემო რძალო!
წუხელის რატომ გიჭრიალებდა
ოთახის კარი?
— დედავ, ჩემო დედავ,
ჩემო დედამთილო!
კარს ის ქარი მიჭრიალებდა,
შუაღამისას რომ ამოვარდა.
— წარღვნამ ჩაგყლაპოს,
ჩემო რძალო!
გუშინღამ შენი ოთახიდან
რა ხმაური გამოდიოდა?
— დედავ, ჩემო დედავ,
ჩემო დედამთილო!

სადაც თაგვები იქნებიან,
იქ კატებიც იხმაურებენ.
— გულზე მარილი დაგეყაროს,
ჩემო რძალო!
წუხელის შენი ლოგინიდან
ოთხი ფეხი გამოჩრილიყო.
— დედავ, ჩემო დედავ,
ჩემო დედამთილო,
ეგ ხომ ჩემი ფეხები იყო,
გვერდით — ჩემი ფეხსაცმელები.
— ღვიძლი დაგეწვას,
ჩემო რძალო!
შენს ბალიშზე ორი თავი
რატომღა იდო?
— დედავ, ჩემო დედავ,
ჩემო დედამთილო,
ერთი ჩემი თავი იყო,
მეორე კი — ჩემივე ჩიხტი.
— მისმინეთ, ხალხნო!
როდის ჰქონია ჩიხტს
ულვაში ერთი არშინი?
ნეტავ ქვეყნად თუ ვისმე ჰყავს
რძალი ასეთი უნამუსო?

ოქროს ფული

ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი კაცი. სამი ვაჟი ჰყავდა. როცა სიბერე მოუახლოვდა, თავისი ქონება შვილებს გაუნაწილა. მამას უფროსი და შუათანა ვაჟები მეტად უყვარდა და ამიტომ ქონების დიდი ნაწილი მათ შეახვედრა. ნაბოლარა შვილს კი თითქმის არაფერი არგუნა. ეს იმით გაამართლა, უფროს შვილებთან ვაპირებ ცხოვრებასო.

უმცროს შვილს ასეთმა უსამართლობამ გული ატკინა, მაგრამ მამას არაფერი უთხრა.

ძმებმა თავ-თავიანთი წილი მიიღეს და გაიყარნენ. მამა უფროს შვილთან დასახლდა. მაგრამ უფროსი შვილი, გაყრამდე კეთილი და მოსიყვარულე რომ იყო, ძალიან უხეშად ექცეოდა მამას, ლუკმას აყვედრიდა და ებუზღუნებოდა: „ქონება სწორად არ გაყავი, მე ცოტა მარგუნეო“.

განსაკუთრებით გაუმწარდა მოხუცს სიცოცხლე მას შემდეგ, რაც შვილმა ცოლი მოიყვანა. ცოლი და ქმარი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ატკენდა მოხუცს გულს.

ველარ მოითმინა მოხუცმა და სთხოვა, შუათანა შვილთან წამიყვანეო.

მაგრამ არც იქ იყო უკეთეს დღეში. როცა შუათანა ძმამ ცოლი მოიყვანა, დაავლო მამას ხელი და უფროს ძმას დაუბრუნა.

ამის შემდეგ წესად დაიდეს — დაჰყავდათ მამა აქეთ-იქით და თან იმას ცდილობდნენ, რაც შეიძლება, მალე მოეშორებინათ თავიდან.

მოხუცის ცხოვრება დღითი დღე აუტანელი ხდებოდა.

ერთხელაც, ერთ ძმას მიეყვანა მამა მეორესთან. მას კი მიღება არ უნდოდა და ჩხუბობდნენ. ამ დროს მოვიდა უმცროსი ძმა.

— რას სჩადით? არა გრცხვენიათ? მამის თანდასწრებით ასე ჩხუბი შეიძლება? დაგავიწყდათ რომ თქვენი მამაა და სიცოცხლითა ხართ მისგან დავალებული?

— წადი, შე მათხოვარო! გირჩევნია, უკანალი დაიფარო. იქნებ შენ წაიყვანო და რწყილებით გამოკვებო?!

— რატომაც არ წავიყვან. მუშაობაში სულიც რომ გამძვრეს, მამას მაინც არ მოვაშიებ, — უპასუხა უმცროსმა ძმამ.

საყვარელი შვილებისაგან გაგდებული ბერიკაცი იძულებული გახდა, უმცროს შვილს წაჰყოლოდა. როცა მივიდნენ უმცროსი ვაჟის ღარიბულ

ქოხში, ვაჟმა ცეცხლი დაანთო, წყალი გააცხელა, მამა აბანავა, წვერი გაპარსა, ახლად გარეცხილი ტანსაცმელი ჩააცვა.

დაიწყეს ცხოვრება. შვილი ყოველ დილით სამუშაოდ მიდიოდა და გვიან ბრუნდებოდა. წასვლის წინ, აჭმევდა, ასმევდა მამას, საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებული, კიდევ დააპურებდა და მერე მოხუცს რომ თავი მარტოდ არ ეგრძნო, დიდხანს ემუსაიფებოდა. მაგრამ არასოდეს კრინტიც არ დაუძრავს უფროს ძმებსა და ქონების გაყოფაზე.

მამა ძალიან ნანობდა, შვილი რომ დაჩაგრა და შვილსაც ეუბნებოდა ამას, მაგრამ შვილი თავს არიდებდა ლაპარაკს და არწმუნებდა, სულაც არა ვარ დაჩაგრულიო.

— არ იქნება, რომ ალაჰმა შენი სიკეთისათვის არ დაგაჯილდოვოს. მჯერა, ერთხელაც იქნება, ბედნიერი ცხოვრება დაგიდგება. სულ ამას ვეხვეწები ღმერთსო, — ეუბნებოდა მამა.

მალე მამა ავად გახდა და მოკვდა. შვილს რაც ებადა მამის ქელეხს მოანდომა. ორმოცი დღის განმავლობაში სულ მის საფლავზე იყო. მხოლოდ ორმოცი დღის შემდეგ დაუბრუნდა სამუშაოს. უფროსი შვილები კი ერთხელაც არ გასულან მამის საფლავზე.

გავიდა კარგა ხანი. უმცროსი ძმა ისევ ღარიბულად ცხოვრობდა, მაგრამ ეს არ აწუხებდა. ერთი იყო — სიღარიბის გამო ცოლის შერთვა ვერ მოეხერხებინა.

ერთხელაც დაესიზმრა მამა.

— როგორ ცხოვრობო? — ჰკითხა მამამ. თან მადლობა უთხრა მისთვის გაწეული სიკეთისათვის და დაამატა:

— ამა და ამ ადგილას ოქროს ფული დევს, წადი და აიღეო.

— ნაარმი ხომ არ არის, მამა, ის ფული? — ჰკითხა შვილმა.

— ვერ გეტყვი, რომ ნაარმი არ არის, — უპასუხა მამამ.

— მაშინ არ ავიღებ, — თქვა შვილმა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ დაესიზმრა მამა.

— ამა და ამ ადგილას მანეთი დევს და აიღეო, — უთხრა მამამ, მაგრამ შვილმა უარი თქვა, როცა გაიგო, რომ ის მანეთიც ნაარმი იყო.

მესამედ ისევ ესიზმრა მამა:

— ამა და ამა ადგილას ერთი ოქროს ფული დევს. ფული დალოცვილი და ძალიან ბარაქიანიაო.

დილას მივიდა შვილი, მამამ რომ მიასწავლა იმ ადგილზე და მართლაც, იპოვა ერთი ოქრო. მოიტანა შინ, მაგრამ არ იცოდა, რაში დაეხარჯა.

ერთხელაც გაიგო, რომ მათი ქალაქელი ვაჭარი შორეულ ქვეყნებში მიდიოდა. ამ ვაჭარს ერთი კარგი წესი ჰქონდა: თავისი ქალაქელებისაგან

უცხოურ საქონელზე დაკვეთას იღებდა. ამიტომ გამგზავრების წინ მის სახლში მთელი ქალაქი იყრიდა თავს. ზოგი რას აბარებდა, ზოგი რას.

აიღო უმცროსმა ძმამ თავისი ერთი ოქრო და მივიდა ვაჭართან. ვაჭართან დიდი ფულით მოსულმა მდიდრებმა მასხარად აიგდეს:

— ერთი ამას დამიხედეთ, ამასაც რომ მოუნდომებია უცხოური საქონელი. იქნებ გგონია, რწყილებში გაგიცვალონ?

სხვებს მისი ძმებიც არ ჩამორჩნენ. მაგრამ ვაჭარმა დაფარა თავისი გაკვირვება და ჰკითხა:

— ამ ფულით რა ჩამოგიტანოო?

— შენ არჩევანს ვენდობიო, — უთხრა უმცროსმა ძმამ და წავიდა.

წავიდა ვაჭარი, მოიარა ქვეყნები. იყიდა, რაც უნდოდა, მაგრამ უმცროსი ძმისათვის გამოსადეგი ვერაფერი ნახა.

უკან დაბრუნებას რომ აპირებდა, ბაზარში დაინახა, უზარმაზარ თევზს ჰყიდნენ.

— რა ღირსო? — იკითხა.

— ორი ოქრო, — უპასუხა გამყიდველმა.

— ღარიბი კაცის ერთი ოქრო მაქვს, მეორეს ჩემი ჯიბიდან დავუმატებ, საწყალს მთელი ზამთრის სარჩოს გავუჩენ, — თქვა ვაჭარმა. მართლაც დაუმატა ერთი ოქრო, უყიდა თევზი.

როცა ვაჭარი ქალაქში დაბრუნდა, მის სახლში თავი მოიყარა ყველამ, ვისაც კი რამე დაებარებინა. მხოლოდ უმცროსი ძმა არ მისულა.

საწყალს გამოჩენა რცხვენოდა. ვაჭარმა კაცი გაუგზავნა და დაიბარა. ისიც მივიდა. მისცა ვაჭარმა მისთვის ნაყიდი დიდი თევზი. მანაც აიკიდა და წაიღო, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო მძიმდებოდა თევზი. ქანცგამოლეულმა ძლივს მიიტანა შინამდე. დააგდო და გაკვირვებულმა თვალიერება დაუწყო. „ნეტავ რატომ არის ასეთი მძიმეო". მერე მოიტანა დანა და თევზი გაფატრა. მაშინვე სახლს სინათლე მოეფინა და თევზის მუცლიდან წკრიალ-წკრიალით წამოვიდა ოქრო და თვალ-მარგალიტი. მთელი ქოხი გაივსო.

გამდიდრდა უმცროსი ძმა, მაგრამ სიმდიდრემ ავ ძაღლად როდი აქცია.

დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდა. კარგი ცოლი და შვილები ჰყავდა და ქალაქში ყველა პატივს სცემდა.

ზილპიპიპი*

ერთ ქვეყანაში ერთ გლეხს პატარა ბიჭი ჰყავდა. მამას ძალიან უყვარდა შვილი, წუთითაც კი არ იშორებდა გვერდიდან.

ერთხელ სახნავად წავიდა და შვილიც თან წაიყვანა. — მისი მარტო დატოვება არ უნდოდა, თანაც მთელ დღეს უიმისოდ რა გააძლებინებდა!

შუადღისას მამამ შვილს ხარები წყალზე გაატანა: წყალი დაალევინე, მაგრამ გახსოვდეს, აქეთ-იქით ცქერა არ დაიწყოო.

გარეკა ბიჭმა ხარები წყალზე და ვიდრე ისინი წყალს სვამდნენ, თვითონ მიმოიხედა და რას ხედავს! წყაროს მახლობლად მწიფე ვაშლებით დახუნძლული ხე დგას. ბიჭმა თავი ვერ შეიკავა, ავიდა ხეზე და დაიწყო ვაშლების კრეფა. თურმე ხეს კუდიანი დედაბრის ქალიშვილი დარაჯობდა. გაიქცა იგი დედამისთან და ამბავი მიუტანა: ვაშლის ხეზე ვიღაც ბიჭი აძვრაო.

ბიჭმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ მოვარდა კუდიანი დედაბერი, სტაცა ხელი ბიჭს, ჩააგდო გუდაში, მოიკიდა და წაიყვანა.

— დღეს კარგი მწვადები მექნება, — გუნებაში ამბობდა დედაბერი.

დიდ ტყეს რომ მიუახლოვდა, დედაბერმა იფიქრა, „ბარემ ფიჩხს მოვაგროვებ, რომ მერე უკან მობრუნება აღარ დამჭირდესო“. მოიხსნა გუდა, დადო ბილიკზე და ტყეში შევიდა.

ამ დროს გზაზე მწყემსებმა გამოიარეს. ხედავენ, რაღაც გუდა დევს. გახსნეს და გუდიდან ბიჭი ამოვიდა. ბიჭმა უამბო მწყემსებს, როგორ ჩასვა გუდაში კუდიანმა დედაბერმა.

— ახლავე გაიქეცი მამაშენთან, — უთხრეს მწყემსებმა ბიჭს, გუდაში კი დედაბერს ლოდი ჩაუდეს.

დაბრუნდა კუდიანი დედაბერი ფიჩხის გუდურით, გუდაც აიკიდა და წავიდა.

მიდიოდა და თან ბუზღუნებდა:

— ჭირმა წაგიღოს, რამსიმძიმე ხარო.

მივიდა შინ ოფლად გაღვრილი და გუდა პირდაპირ ქვაბში მოაპირქვავა.

ბიჭის ნაცვლად იქიდან ლოდი გადმოვარდა.

კუდიანმა დედაბერმა სიმწრით კბილები დააკრაჭუნა, მაგრამ რაღას იზამდა?!

მეორე დღეს გლეხმა ისევ წაიყვანა შვილი სახნავში, ისევ გაატანა ხარები წყალზე და ისევ დაარიგა: აქეთ-იქით ცქერას ნუ მოჰყვებიო.

მაგრამ ბიჭმა ისევ გაიხედ-გამოიხედა, დაინახა მსხმოიარე ვაშლის ხე და ავიდა ზედ. კუდიანი დედაბერი იქვე იყო დადარაჯებული.

— ახლა კი ვერსად წამიხვალ! — იყვირა დედაბერმა, სტაცა ხელი ბიჭს, ჩააგდო გუდაში და წაიყვანა.

ტყესთან რომ გაიარა, ისევ მოინდომა ფიჩხის მოგროვება, ისევ დატოვა გუდა და ტყეში შევიდა. გამოიარეს მწყემსებმა, დაინახეს გუდა, მოხსნეს თავი, გამოუშვეს ბიჭი და მის მაგივრად დიდი, ავი ძაღლი ჩაუსვეს.

კუდიანმა მოაგროვა ფიჩხი, მიბრუნდა გუდასთან, აიკიდა და წაიღო. მივიდა შინ.

— აბა, არამზადავ, დღეს ვერსად გამექცევიო, — თქვა და გუდა ქვაბში ჩაბერტყა, მაგრამ იქიდან ბიჭის ნაცვლად ღრენით გამოვარდა დიდი ძაღლი.

კუდიანი სიბრაზისაგან კინაღამ გასკდა.

მესამე დღესაც წაიყვანა მამამ ბიჭი სახნავში. შუადღისას ისევ გაატანა წყალზე ხარები და ისევ უბრძანა, აქეთ-იქით არ გაიხედოო. ბიჭმა ისევ ვერ შეიკავა თავი, ვაშლით პირის ჩატკბარუნება მოინდომა და ხეზე ავიდა, მაგრამ მაშინვე გაჩნდა კუდიანი დედაბერი და ბიჭი მოიტაცა.

ამჯერად არსად გაჩერებულა. შინ რომ მივიდა, ბიჭი მაშინვე ქვაბში ჩააგდო. ქვაბს მძიმე ხუფი დაახურა, მეორე ოთახში შევიდა და კბილების ლესვას შეუდგა.

ბიჭმა ამ დროს ქვაბიდან დაიყვირა: — ზილპიპიპი!

კუდიანი დედაბრის ქალს ძალიან მოეწონა მისი ხმა და სთხოვა, ერთხელ კიდევ დაიძახეო.

— დავიძახებ, თუ ცოტათი გადაწევ ქვაბის სახურავს, — უთხრა ბიჭმა.

გადაწია ქალმა სახურავი, დაიძახა ბიჭმა:

— ზილპიპიპი!

— ღმერთი დიდ დღეს მოგცემს, ერთხელ კიდევ დაიძახე! — სთხოვა ქალმა.

— თუ ქვაბს ხუფს სანახევროდ გადახდი, დავიძახებ, — უპასუხა ბიჭმა.

ქალმა სანახევროდ გადახადა ქვაბს ხუფი, ამოხტა ბიჭი ქვაბიდან, სტაცა ქალს ხელი, ქვაბში ჩააგდო. თვითონ კი ჭერში ავიდა და იქ გადებული კოჭის უკან დაიმალა.

გამოვიდა მეორე ოთახიდან კუდიანი დედაბერი. კბილების ლესვა მოეთავებინა, ნერწყვმორეული დაადგა ქვაბი, რომელშიც ხორცი უკვე მოხარშულიყო და ჭამა დაიწყო.

შეჭამა ხელი, ფეხი და ჯერი მიდგა თავზე. ამოიღო თავიც და ნაწნავებით იცნო თავისი ქალი. გამწარებული კბილების ღრჭიალს მოჰყვა.

— ზილპიპიპი! — გაისმა ამ დროს.

დედაბერმა იცნო ბიჭის ხმა.

— გენაცვალე, სადა ხარ?

— ჭერზე, კოჭის უკან ვიმალები, — უპასუხა ბიჭმა.

— მანდ როგორ ახვედი? — ჰკითხა დედაბერმა.

— რკინის კეტი გათეთრებამდე გავახურე, ჭერს მივადგი და ზედ ამოვცოცდიო, — უპასუხა ბიჭმა.

კუდიან დედაბერს ძალიან უნდოდა ბიჭის დაჭერა. აიღო რკინის კეტი, გაახურა, მიადგა ჭერს და აცოცება დაიწყო, მაგრამ ვიდრე ჭერს მიაღწევდა, ხელ-ფეხი, მუცელი დაეწვა და გუდასავით მოადინა ზღართანი მიწაზე.

ბიჭი დარწმუნდა, რომ დედაბერი ვეღარ ადგებოდა, ჩამოვიდა ჭერიდან, აიღო ნაჯახი და მოკლა კუდიანი დედაბერი. მერე შინ დაბრუნდა და მამას ყველაფერი უამბო.

ბიჭი და მამამისი მივიდნენ კუდიანი დედაბრის სახლში და მთელი მისი ქონება წაიღეს. ქონება კი დიდი ჰქონდა: ყველაფერი, კედელში გაჩრილი პალოც კი, ოქროსი იყო.

მამა-შვილმა ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

ისინი იქ დავტოვე და მე აქ მოვედი.

იღბალი

ერთ დარგუულ აულში შეხმატკბილებული ოჯახი ცხოვრობდა. მოულოდნელად გარდაიცვალა ოჯახის უფროსი — მამა. დარჩა სამი ვაჟი.

მამის ქონების გაყოფაზე ძმები ერთმანეთს მტრად მოეკიდნენ. ერთხელაც, დილით, თავიანთი სახლის ახლოს თოვლზე კვალი შეამჩნიეს. კვალი მთისკენ მიდიოდა. უფროსი ძმა კვალს გაჰყვა და ადამიანის მსგავს რაღაცას წამოეწია.

— იღბალი ვარ, მამაშენის კეთილდღეობის მფარველი. ახლა გტოვებთ, მივდივარ, რადგან ოჯახში თანხმობა და სიამტკბილობა არ არის.

უფროსმა ძმამ ხვეწნა დაუწყო: დაბრუნდი მამაჩემის სახლში, სადაც ახლა მისი შვილები ცხოვრობენო. იღბალი უარზე დადგა, ბოლოს უთხრა:

— მამაშენის ხსოვნისათვის ერთ თხოვნას შეგისრულებო.

უფროსმა ძმამ ცხვრის ფარა სთხოვა. მისცა იღბალმა ფარა.

კიდევ სთხოვა უფროსმა ძმამ:

— შუათანა ძმასაც აუსრულე თხოვნაო.

აუსრულა იღბალმა შუათანა ძმას თხოვნა და მისცა ბევრი საძოვარი.

— უმცროს ძმასაც აუსრულე თხოვნაო, — შეეხვეწნენ ძმები იღბალს.

— დააბრუნე ჩვენს ოჯახში სიყვარული და ნათესავ-მეგობრებთან კეთილი ურთიერთობაო, — სთხოვა უმცროსმა ძმამ.

დარწმუნდა იღბალი, რომ ძმები ისევ დაუტკბნენ ერთმანეთს და დაბრუნდა მათ ოჯახში.

ერთხელ, თოფიც არ გამისვრია ისე, ერთი პატარა ჩირგვის ძირში ჯერ არდაბადებული კურდღელი მოვკალი. მოვიტანე შინ, ჩავდე უძირო ქვაბში და შემოვდგი უცეცხლო კერაზე. ქვაბიდან კურდღლის ქონი გადმოიღვარა, მთელი სახლი გაავსო.

რა ვუყო ამ ქონს? ვიფიქრე, ჩექმებს გავპოხავ-მეთქი. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ქონი მხოლოდ ცალ ჩექმას ეყო. დარჩა მეორე ჩექმა გაუპოხავი. გავიხადე ჩექმები და დასაძინებლად დავწექი. შუაღამისას საშინელმა ხმაურმა გამომაღვიძა — ჩემი ჩექმები ჩხუბობენ. სამკვდრო-სასიცოცხლო ომი აქვთ, ორივენი სისხლში ცურავენ.

— ეი, რა გაჩხუბებთ?! — ვიყვირე, რაც ძალი და ღონე მქონდა.

თურმე ჩხუბი გაუპოხავ ჩექმას წამოუწყია, უპატივცემულოდ რატომ დამტოვესო. გავბრაზდი და ჩექმები სხვადასხვა მხარეს მოვისროლე. გაპოხილი იქით, სადაც ზღვაა, გაუპოხავი — იქით, სადაც მთებია.

როგორ მოვახერხე, რომ გაპოხილი ჩექმა თერექემეში,* პირდაპირ მირხას ეზოში ჩამეგდო?

გავიდა ხანი და გაპოხილი ჩექმის წერილი მივიღე. მწერდა, ბრინჯი წაიღეო.

დავიწყე წასასვლელად მზადება. ამოვიღე ქურქი და გავბერტყე. ქურქიდან კამეჩისხელა რწყილი გადმოვარდა, ვიფიქრე, კარგი იქნება, თუ ამ რწყილით წავალ-მეთქი. მივადექი ფეტვის ბარდს და უპირო ცულითა და უტარო ჩაქუჩით უნაგირი გავაკეთე. მივიტანე შინ, დავადგი რწყილს და თერექემესაკენ გავაჭენე. ჩავედი, ვხედავ, ალაგია ოცდაათი ტომარა ბრინჯი. ავკიდე ეს ტომრები რწყილს და გამოვბრუნდი. ერთბაშად რწყილს ფეხში ხიჭვი შეერჭო. ბევრი ვიწვალე, მაგრამ ვერ ამოვუღე. სხვა გზა არ იყო, დავბრუნდი თერექემეში და ოთხმოცი უღელი კამეჩი მოვიყვანე. ჩავუბი ხიჭვს და ძლივს ამოიღეს.

რწყილი ცოტას კოჭლობდა. მივედი შინ. მოვხსენი რწყილს ტომრები, მტკივან ფეხზე კაკლის ზეთი წავუსვი და მთაში გავუშვი, დე, გამოჯანმრთელდეს-მეთქი.

გავიდა ხანი და რწყილისაგან წერილი მივიღე. მთხოვდა, ჩემთან მოდიო. წავედი. თან ვფიქრობ, ნეტავ რა მოხდა-მეთქი.

მივედი და ვხედავ, რწყილს ფეხზე სამასი კაკლის ხე ამოსვლია. დავბერტყე ეს ხეები, ავკრიფე კაკალი, ავკიდე რწყილს და შინ დავბრუნდი.

გავყიდე კაკალი და აღებული ფულით დღესაც ბედნიერად ვცხოვრობ.

ესეც ასე!

სოფლის განაპირას თეთრკაბიანი, თმაგაშლილი ქალი გამოჩნდა, როგორც ნისლში გახვეული მოჩვენება. ქალს არაჩვეულებრივი ნათელი ემოსა.

ნათელმოსილმა ქალმა, ქუნი-ხუნულმა* უთხრა წინ რომ შემოხვდა, იმ ქალს: — აზაიანში ზური მოკლესო.

ეს უთხრა და გაუჩინარდა.

დაბრუნდა ქალი შინ და თავის ქმარს უამბო არაჩვეულებრივი შეხვედრის შესახებ. ცოლზე უფრო გაკვირვებულმა ქმარმაც თქვა:

— ჩვენი დედაბოძი აჭრაჭუნდა და იქიდან კაშკაშა ალით გაბრწყინებული ქალი გამოვიდა, ფანჯრიდან გადახტა და წავიდაო.

ქუნი-ხუნულმა რომ სახლი მიატოვა, მეორე დღეს ამბავი მოვიდა — სახლის პატრონს შვილი მოუკვდაო. ბიჭი მეზობელ სოფელში მედრესეს* მოსწავლე იყო. კარგა ხნის შემდეგ სოფელში შავი ჭირი გაჩნდა და სახლის პატრონს სხვა შვილებიც დაეხოცა.

აულ ურახში,* იმ სახლის წინ, სადაც ქუნი-ხუნული იმყოფებოდა, ვეებერთელა გათლილი ქვა იდო. ქვა შუაზე გაბზარული იყო. ამბობენ, ქვა მაშინ გაიბზარა, როცა სახლის პატრონს შვილები დაეხოცაო. სახლის პატრონს ქვა შორიდან მოეტანა და თავის ფანჯრების წინ დაედო. მეზობლის ქალს უკითხავს:

— რად გინდა ეს ქვაო?

— შვიდი ბიჭი მყავს, ამ ქვაზე დასხდებიან და დაისვენებენო, — უთქვამს კაცს.

ბოროტ ქალს პასუხი არ მოსწონებია:

— ერთიც ვნახოთ და, სოფელში შავი ჭირი გაჩნდეს და შვილები დაგეხოცოს, მაშინ ვის უნდა ეგ ქვაო?

ამბობენ, სახლის პატრონი ძალიან გააბრაზა ქალის სიტყვებმაო, მაგრამ მართლაც, ახდა ბოროტი ქალის სიტყვები.

როგორც ვთქვით, სახლის პატრონს შვიდი ბიჭი ჰყავდა. მის ოჯახში მისი ობოლი ძმისწულიც იზრდებოდა — სუსტი, ავადმყოფი ბიჭი. ბიძაშვილები აბუჩად იგდებდნენ ბიჭს. მათ მამას არ მოსწონდა შვილების საქციელი და ეუბნებოდა:

— შვილებო, ობოლს ნუ აწყენინებთ, მის უღონობას ნუ დასცინით. ვინ იცის, ვის რა მოელის? იქნებ, ჩვენ ყველანი დავიხოცოთ და გვარის გამგრძელებლად ეს ობოლი ბიჭიღა დაგვრჩესო.

მართლაც, ასე მოხდა. შავმა ჭირმა რომ ამოწყვიტა ოჯახი, მხოლოდ ობოლი ძმისწული გადარჩა მათი გვარიდან.

აბულის შეხვედრა გოლიათებთან

ერთხელ აბული წავიდა წისქვილში, ხორბალი დაფქვა და უკან რომ ბრუნდებოდა, „შვიდი კაკლის ეზოსთან“ შეჩერდა დასასვენებლად. აქაურობა კლდეებს შორის გამავალი ბილიკი იყო, რომლის ქვეშ, ხშირი ტყე, მდინარე მიედინებოდა.

ერთბაშად კლდიდან თეთრად ჩაცმული უზარმაზარი კაცები გამოვიდნენ.

— წამოგვყევი, ქორწილში ვიცეკვებთ! — დაუძახეს აბულს.

— არ შემიძლია, ეს ტომარა შინ უნდა მივიტანო, ფქვილი აღარ გვაქვსო.

— მე მიგიტანო, — უთხრა ერთმა გოლიათმა, დანარჩენებმა დაავლეს ხელი, შვიდი კარი გაატარეს და კლდეში შეიყვანეს. იქ ქორწილი იყო გაჩაღებული. შვიდი თავი საჭმელი მიართვეს და კარგად რომ გამოაძღეს, საცეკვაოდ გაიყვანეს. ტაშს უკრავდნენ, თან დასძახოდნენ:

ეი, აბულ, ეი, აბულ,
ფეტვის მარცვალივით პატარა აბულ!
ერთიც დაუარე, პატარა აბულ!

დილამდე აცეკვეს. დილით აბულმა უთხრა გოლიათებს:

— ახლა ჩემი შინ წასვლის დროაო.

გოლიათებმა აბულს შვიდი კარი გამოატარეს და იქ დააბრუნეს, საიდანაც წაიყვანეს.

— გადაეცი, რომ უწრანმა შუფრანი მოკლაო.

აბულს უნდოდა ეკითხა, ვის გადავცეო, მაგრამ გოლიათები გაუჩინარდნენ.

დაბრუნდა შინ საგონებელში ჩავარდნილი. შემოხვდა ცოლი.

— ჩემი ტომარა მოიტანეს? — ჰკითხა აბულმა.

— გავიგონე, ვიღაცამ თქვა, აიღე ეს ტომარა, შენი აბულისააო, ვხედავ, კიბეზე ტომარა დევს, მომტანი კი არა ჩანს. აქამდე სად იყავი?

აბულმა ცოლს ყველაფერი უამბო და დაამატა:

— არ ვიცი, ვის უნდა გადავცე გოლიათების დანაბარები, რომ უწრანმა მოკლა შუფრანი.

ამის თქმა იყო და, ერდოდან შავად ჩაცმული ოთხი კაცი ჩამოხტა. „ოი, ოის“ ყვირილით სტაცეს ხელი მუგუზლებს და სახლიდან გაცვივდნენ.

შეშინებულმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გადახედა:

— კიდევ კარგი, დანაბარები გადავეციო, — თქვა აბულმა.

აბულის ცოლი იმ ფქვილით პურს აცხობდა, კერძს აკეთებდა. ფქვილს კი არაფერი აკლდებოდა. მთელი ზამთარი ხარჯეს ფქვილი. წისქვილშიც

კი არ წასულან. ეს არ გამოპარვიათ მეზობლის ქალებს?

— ბაზარში თქვენ არ დადიხართ და წისქვილში. საიდანა გაქვთ ფქვილიო? — ეუბნებოდნენ აბულის ცოლს.

— აბული ბაზარში ყიდულობსო, — პასუხობდა ქალი, მაგრამ მეზობლის ქალები არ ეშვებოდნენ და ბოლოს დააცდენინეს.

აბულის ცოლმა ყველაფერი უამბო ქალებს და შინ რომ დაბრუნდა, ფქვილის ტომარა ცარიელი დახვდა, ცოტა მტვერიღა ეყარა ძირში.

იშბინა ხავა

სულეფას,* ადაგსა* და სხვა სოფლებს გარს ხშირი ტყე აკრავს. ადრე იქ ტყის ხალხი ცხოვრობდა.

ერთხელ ერთი სოფლელი კაცი ტყეში წასულა და იქ ტყის ქალს — იშბინა ხავას გადაჰყრია. ქალი შიშველი ყოფილა. თურმე იჯდა და ბავშვს ძუძუს აწოვებდა.

ქალს უთხოვია, არავის უთხრა, რომ მნახე, არავის გააგებინო ამ ტყეში რომ ვცხოვრობო.

მაგრამ ამ კაცმა არ შეასრულა ტყის ქალის თხოვნა. ეს გაიგო იშბინა ხავამ და დაწყევლა: „დაინგრეს სოფელი სულეფა, ადაგაში კი ოთხი უღელი ხარი დარჩესო.

ამის შემდეგ იშბინა ხავა სოფელ კუბაჩის მიდამოებში გადასახლდა. ტყის ქალის მფარველობით კუბაჩელები გამდიდრდნენ.

თუ ადრე სოფელი სულეფა დიდი იყო, ქალაქს ჰგავდა და განგაშის დროს ამ სოფლიდან ერთდროულად ორმოცი ცხენოსანი გამოდიოდა, იშბინა ხავას დაწყევლის შემდეგ სოფელი ქოლერამ ამოწყვიტა.

სოფელი ადაგაც ძალიან შემცირდა, მასში ოთხი უბანი და ოთხი უღელი ხარიღა დარჩა.

კვიბილისის* შურისძიება

სოფელ კიშაში ცხოვრობდა ერთი ძალზე გაწაფული მქსოველი ქალი. ქალს აშურა ერქვა. ის რომ დაზგასთან დაჯდებოდა და სელის ქსოვას დაიწყებდა, საიდანღაც გამოჩნდებოდა თეთრყელა კატა, შემოუვლიდა დაზგას, აშურას წინ უკანა თათებზე დადგებოდა და წინა თათებით ზუსტად იმეორებდა ქალის ხელების მოძრაობას. ამ დროს სელი ძალიან სწრაფად

იქსოვებოდა. საერთოდაც აშურას ყველა საქმე ძალიან სწრაფად გამოსდიოდა ხელიდან.

ვიდრე აშურა კატაზე არავის არაფერს ეუბნებოდა, ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთხელ ქმარს კატის ამბავი უამბო, ქმარმა კი საფიხვნოზე შეყრილ ხალხს უამბო.

უამბო და, იმავე საღამოს კამეჩის მოსაწველად ბოსელში რომ შევიდა და ჭრაქი თაროზე შემოდგა, გარედან მეზობლის ქალის ძახილი შემოესმა. არადა, ის ქალი აგერ უკვე რამდენი წელი იყო, ლოგინიდან ვეღარ დგებოდა.

აშურა მიხვდა, რომ რაღაც ამბავი იყო მის თავს. ხმა არ გასცა და ლოცვა დაიწყო. ჭრაქი ჩაუქრა. აშურამ ხელახლა აანთო იგი. თან ლოცვა არ შეუწყვეტია. ისევ დაუძახეს მეზობლის ქალის ხმით, ისევ ჩაუქრა ჭრაქი, მაგრამ არც ამჯერად ამოუღია ხმა. ასე განმეორდა რამდენჯერმე.

როგორც იქნა, მოწველა ქალმა კამეჩი და ბოსლიდან გამოვიდა. საწველელით ხელში თავის სახლის კიბეზე რომ ადიოდა, რაღაცამ ჯუბის საყელოზე მოქაჩა და კიბეზე დააგორა. ქალმა ფილაქანს დაჰკრა თავი და გრძნობა დაჰკარგა. გონს რომ მოვიდა და ფეხზე წამოდგა, დაინახა, სპილენძის საწველელი სულ დაჭყლეტილიყო, მაგრამ წვეთი რძეც კი არ დაღვრილა.

მიხვდა აშურა, ყბედობისათვის მსჯის კვიბილისიო. მიხვდა, რომ კატის სახით კვიბილისი ეცხადებოდა ხოლმე. ამის შემდეგ ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ ერთხელ წყაროზეც წაიქცა, კეფა დაჰკრა და ერთ თვალში სინათლე დაკარგა. ხელებიც აღარ ემორჩილებოდა, დაზგასთან ვეღარ მუშაობდა.

არადა, მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო.

რაც არ უნდა თქვათ...

იყო ერთი ოჯახი: მამა, დედა და ქალიშვილი. ყველას ყურს აკლდა. ერთ უქმე დღეს მამა მეჩეთში წავიდა დილის ნამაზზე. მეჩეთიდან გამოსულს შეხვდა ერთი კაცი, რომლისაც ფული ემართა. იფიქრა: ნეტავ, ახლა ვალზე არაფერი მითხრასო. იმ კაცს ვალი არც გახსენებია. მიუახლოვდა და უთხრა:

— ღმერთმა მიიღოს შენი ლოცვაო.

ყრუს კი ეგონა, ვალის დაბრუნებას მთხოვსო. არაფერი უპასუხა. მიდიოდა და ფიქრობდა: ხომ არ შევუჭამდი იმ ფულს, ყველას გასაგონად რომ არ გაეხსენებინაო.

მივიდა შინ და ცოლს უთხრა:

— ეჰ, ქალო, რომ იცოდე, დღეს რა მომივიდა! დღეს მევალე შემხვდა და მთელი ხალხის წინაშე, ალაჰის დღეს ვალი მომთხოვა. ალბათ, ჰგონია, მისი ვალის გადაუხდელად მოვკვდები.

ცოლს ეგონა, ქმარი მსაყვედურობს, სადილი რატომ არ დამახვედრეო.

— სტუმრები ხომ არ მყავდა, გელოდებოდი. რა ვიცოდი, როდის მოხვიდოდი, — უპასუხა გაჯავრებულმა.

ქალიშვილი სკივრზე იჯდა და მშობლების ლაპარაკს უსმენდა. ეგონა, ჩემი მშობლები ჩემს გათხოვებაზე ლაპარაკობენ და ამბობენ, ახლა, ბაირამზე, კარგი იქნებოდა ჩვენი ქალისათვის საქმრო შეგვერჩიაო.

— რაც არ უნდა თქვათ, მე მხოლოდ იმას გავყვები, ვინც მომეწონებაო! — წამოიძახა გაცხარებულმა.

ოჰ, რა ცუდი იქნება...

იყო ერთი ქალი. ქალს ფათიმათი ერქვა. ერთ დღეს ფათიმათმა კოკა მხარზე შეიდგა და თავის მეგობრებთან ერთად წყაროზე წავიდა.

ერთბაშად ტირილი მორთო, ცხარე ცრემლები ღვარა.

— რა გატირებს? — ჰკითხეს მეგობრებმა.

ფათიმათმა არაფერი უპასუხა. უფრო გულამოსკვნით ატირდა. არ მოეშვნენ მეგობრები და როგორც იქნა ათქმევინეს.

— რომ გავთხოვდები და შვილი მეყოლება, ერთი ვნახოთ, მომიკვდეს, რა მეშველებაო?!

ფათიმათის მწუხარება მისმა მეგობრებმაც გაიზიარეს. ჩამოდგეს კოკები, დასხდნენ და ატირდნენ. ტირილით გული რომ იჯერეს, წაიყვანეს შინ ფათიმათი ერთი ზარითა და მოთქმით.

დედამ რომ დაინახა მოტირლებით გარშემორტყმული შვილი, გულგახეთქილი გამოეგება და როცა მათი მწუხარების მიზეზი გაიგო, თავადაც შეიცხადა.

ამასობაში ფათიმათის მამა შინ არ იყო. ცალი ხარი ჰყოლოდა და ახლა მეორე ხარის საყიდლად წასულიყო. მის დაბრუნებამდე დედა-შვილმა ხარი დაკლა და ჯერ არდაბადებული ბავშვის ქელეხი გადაიხადა.

დაბრუნდა შინ მამა. უხარია, წყვილი ხარი მყავსო, მაგრამ რას ხედავს! მისი ხარისა მხოლოდ ტყავი და რქებიღა დარჩენილა.

ისმაილის ძროხა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხი. ისეთი ღარიბი იყო, რომ თავისი ერთადერთი ძროხისათვის ერთი მტკაველი საძოვარიც კი არ გააჩნდა. მთელ მიწას მდიდრები ეპატრონებოდნენ.

ბევრს ფიქრობდა ისმაილი, ეძებდა გამოსავალს და ბოლოს მოიფიქრა: თავის ძროხას ფეხებზე ფეხსაცმელები წამოაცვა, კუდთან თოფრა დაჰკიდა და გაუშვა მდიდრის ყანაში. მოძებნა ძროხამ შემოდგომის საუკეთესო ნათესი და მთელი დღე ძოვდა. პირწმინდად გადაძოვა ყანა.

მოვიდა საღამოს ყანის პატრონი და რას ხედავს! ყანა ძირფესვიანად გადაძოვილია. ნაწვერალიც კი არ დარჩენილა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არსად არის საქონლის ნავალი, არც ნაკელი. მხოლოდ ადამიანის ფეხსაცმლის ნაკვალევი ჩანს.

გაოცებული და შეძრწუნებული პატრონი დაუდარაჯდა და მეორე დღეს დაიჭირა უცნაური ძროხა. ჯერ შეშინდა, მერე კი იცნო ისმაილის ძროხა. წაიყვანა, მიიყვანა სოფლის მოედანზე და ხალხი შეყარა, რათა ისმაილი შეერცხვინა. მოგროვდა მთელი სოფელი, მოვიდა ისმაილიც. თავისი ძროხა რომ დაინახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ძროხას შეუტია:

— ოი, ოი! რატომ არ გესმის ჩემი სიტყვა? მე სად გაგზავნე და შენ სად წასულხარ?!

— როგორ თუ არ ესმის შენი სიტყვა? სად გაგზავნე? — ჰკითხა ყანის პატრონმა.

— სად გავგზავნე და — მეჩეთში. ხალიჩები რომ არ დაესვარა, ფეხსაცმელები ჩავაცვი და კუდთან თოფრაც დავკიდე.

მოედანზე თავშეყრილმა ხალხმა თქვა:

— რაკი ძროხა მეჩეთში გაუგზავნია, ჯეჯილის გაფუჭება უნდა ვაპატიოთო.

ასეც მოიქცნენ.

გუბდენი და თემური

თქმულება გვიამბობს:

როცა თემურის ჯარმა გუბდენის რაზმს ალყა შემოარტყა, გუბდენმა ემირ* თემურს ხალხი მიუგზავნა: „სამყაროს მბრძანებელთან შეხვედრა მინდაო“.

თემურმა გუბდენს მასთან მისვლის ნება დართო.

შეჯდა გუბდენი კამეჩზე და თემურს ეახლა: — მე, ბრუციანს, მინდა, შენ, კოჭლს გკითხო: ვინა ვართ ჩვენ, ანდა რას წარმოადგენს ჩვენი ადგილ-მამული, ან ისეთი რა სიმდიდრე გვაბადია, რომ შენ, ქვეყნიერების მპყრობელ ემირს, ჩვენთან ომი გეკადრებოდეს? მაინც რის წართმევას გვიპირებ?

თემურმა ჰკითხა:

— შენ, ვინც მიბედავ ასეთ ლაპარაკს, მცირე რაზმით რამ მოგიყვანა!

— მართლაც მცირეა ჩემი რაზმი, მაგრამ ირგვლივ ბევრი გულადი ხალხი ცხოვრობს.

თემურს მოეწონა გუბდენი. დაასაჩუქრა. მისი ხალხიც შეიწყალა. გუბდენი გახდა იმ მიწა-წყლის პატრონი, ახლა სოფელ გუბდენს რომ აკრავს.

გუბდენელებს თავი იმ უსინათლო გუბდენის შთამომავლებად მიაჩნიათ, მრისხანე თემურს სიტყვა რომ შეჰბედა.

დღისით სიბრმავე, ღამით ჯოჯოხეთი

ზირეხგერანთა* სამეფოს წინააღმდეგ ერთ ომში სპარსეთის შაჰმა ნადირმა თავისი ჯარი აულის სამხრეთით, ერთი კილომეტრის მოშორებით დააბანაკა მთაზე, რომელსაც წიცცილა ერქვა. იმ მთიდან მთელი აული ჩანდა.

ორმოცი დღის განმავლობაში სპარსელებმა ბანაკიდან ფეხი ვერ მოიცვალეს აულს აქედან უშენდნენ ტყვიას, მაგრამ ვერ უწვდენდნენ.

ზირეხგერანელები კი ნისლსა და წვიმას ფარად იყენებდნენ, შეუმჩნევლად უახლოვდებოდნენ სპარსელების ბანაკს და ესროდნენ. ტყვია ბანაკს უწევდა და სპარსელებს მუსრს ავლებდა.

ნადირ შაჰმა ბევრი მეომარი დაკარგა და იძულებული გახდა, დამარცხებული გაბრუნებულიყო. როცა თავის ქვეყანაში ჩავიდა, ჰკითხეს:

— რა ნახეთ შენა და შენმა ლაშქარმა ზირეხგერანელთა სამეფოშიო?

— დღისით სიბრმავე და ღამით ჯოჯოხეთიო, — უპასუხა შაჰმა.

„სიბრმავეში" შაჰი იმ ნისლს გულისხმობდა, რომელიც ამ მხარეში თვეობით არის ჩამოწოლილი, „ჯოჯოხეთში" კი — ორმოცდღიან ტანჯვას ზირეხგერანთელთა დაუსრულებელი ცეცხლის ქვეშ რომ გაატარეს.

აიდემირის ხმალი

დაღესტანში იარაღის საუკეთესო ოსტატად ამუზგელი აიდემირი ითვლებოდა. მან დამასკური ფოლადის საიდუმლო იცოდა. ყოველი მთიელი ოცნებობდა ცნობილი ოსტატის მიერ გამოჭედილ ხმალზე.

აიდემირის ნახელავი ხმლის გამოცნობა სულაც არ იყო ძნელი. მას არაბული ჩახუჭუჭებული წარწერა ამშვენებდა: „მტრის წინაშე მუხლის მოყრას, სახელოვანი სიკვდილი სჯობს“.

აიდემირის იარაღი დაღესტნის ბაზარზე ძალიან ძვირად ფასობდა. თუ ჩვეულებრივი ხმალი ერთი ცხვარი ღირდა, აიდემირის ხმალში კამეჩს იძლეოდნენ.

ერთი ვაიოსტატი უწრთობელი, უბრალო რკინის ხმლებს ჭედდა და ჰყიდდა, როგორც აიდემირისას.

ერთხელ აიდემირი შეესწრო, როგორ იწვევდა მყიდველს ვაიოსტატი: „ხუნძებო, დარგუელებო, ლეზგიელებო, მობრძანდით, იყიდეთ სახელოვანი აიდემირის საუკეთესო ხმლები!“.

აიდემირმა ხმლის ფასი იკითხა. მატყუარას ეჭვიც კი არ გასჩენია, ისე დაასახელა დიდი ფასი. აიდემირმა ხმალი იყიდა, მარცხენა ხელში დაიჭირა, მარჯვენა ხელით თავისი ხმალი ამოიღო ქარქაშიდან, დაჰკრა ყალბ ხმალს და შუაზე გადაჭრა. მიუბრუნდა ყალბისმქმნელს და უთხრა:

— არაფერს ვამბობ იმაზე, უსინდისოდ რომ მიტეხ სახელს, არაფერს ვამბობ იმაზე, ცრუ და მატყუარა რომ ხარ. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ მთიელებს უვარგისი იარაღით ამარაგებო.

ალი-სულთანის ოინები

ერთხელ ალი-სულთანი აულ უთამიშში ერთ კაცთან მოჯამაგირედ იდგა. ოჯახის პატრონი მოჯამაგირეს ძალიან ცუდად აჭმევდა.

ალი-სულთანმა მისი დასჯა გადაწყვიტა.

ერთ დღეს მივიდა უთამიშის მეჩეთში და ხალხს მიმართა: „მე კარგი მოლა ვარ, თუ გინდათ, დილის ლოცვას წავიკითხავო“.

ხალხს გაუხარდა.

ალი-სულთანი ავიდა მინარეთზე და დაიწყო: „ამა და ამ კაცს შინ გამხმარი ღორის ხორცი აქვს“.

აღელვებული ხალხი ოჯახის პატრონს შინ მიუცვივდა. ხედავენ — აივნის კედელზე, ლურსმანზე ღორის ხორცი კი არა, გამხმარი ცხვრის ხორცი ჰკიდია.

— ეს ხომ ცხვრის ხორცია! — თქვა ხალხმა.

— ცხვრის ხორცია? თუ ცხვრის ხორცია, მაშინ რატომ არ გვაჭმევს? — ვითომ გაიკვირვა ალი-სულთანმა.

ასე შეარცხვინა ალი-სულთანმა თავისი პატრონი და იძულებული გახადა კარგად ეჭმია მუშებისათვის.

მუგეელი* და კუბაჩელი

შეხვდნენ ერთმანეთს მუგელი და კუბაჩელი. ჩვეულებისამებრ, მოიკითხეს ერთმანეთი:

— რა არის ახალი მუგეში? — ეკითხება კუბაჩელი.

— ერთმა მუგელმა თავის ბოსტანში სტაფილო დათესა. იმხელა გაიზარდა, რომ მთელი ბოსტანი დაიჭირა. ახლა შეყრილა სოფელი და მის ამოთხრას ცდილობს.

— თქვენში რაღა ამბავია? — ჰკითხა ახლა მუგელმა.

— ჩვენში ყველა ოსტატი გაერთიანდა და თქვენი სტაფილოს მოსახარშად ქვაბს აკეთებენ. ქვაბი ნამდვილად სტაფილოს შესაფერი იქნება — როცა ერთი ოსტატი ქვაბის ერთ მხარეს მუშაობს, მისი ჩაქუჩის კაკუნი ქვაბის მეორე მხარეზე მომუშავემდე არ აღწევს.

ძუნწი ბუზი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბუზი. შემოჯდა ერთხელ ეს ბუზი ბოძზე და რის ვაი-ვაგლახით ლუდი მოადუღა. დასალევად ვერ გაიმეტა და ბოძის ძირას დადგა. ბოძიდან ლუდში ხირცლები ცვიოდა. ამიტომ აიღო ბუზმა და ლუდი სათივეში გადაიტანა. იქ კი თივის მტვერი ჩაცვივდა და ლუდი სულ დაბინძურდა. მაშინ წაიღო ლუდის ქვაბი და ბოსელში დადგა. აქ უარესი მოხდა: ლუდს ნაკელი შეერია.

რა ექნა ბუზს? წაიღო თავისი ლუდი და შორს გაფრინდა. მიფრინდა საფიხვნოზე და ლუდის ქვაბი ქვაზე დადგა.

საფიხვნოზე შეკრებილმა ახალგაზრდებმა საწყალ ბუზს ლუდი სულ დაულიეს. ასე რომ, ძუნწმა ბუზმა თავისი მოხარშული ლუდი ვერც კი გასინჯა.

ფრთხილი კურდღელი

ერთხელ კურდღელმა დაინახა, რომ აქლემს ჭედავდნენ. დამფრთხალმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. ბევრი ირბინა თუ ცოტა, შემოხვდა მელა.

— საით გარბიხარო? — ჰკითხა მელამ.

— ვერა ხედავ, აქლემს რამსიგრძე ლურსმნებით აჭედებენ ნალებს?

— სულელო, შენ რა, აქლემი ხომ არა ხარ, კურდღელი ხარ.

— სანამ დაუმტკიცებ, რომ კურდღელი ხარ და არა აქლემი, ტყავს გაგაძრობენ, — უპასუხა კურდღელმა და გაიქცა.

სახედრის სიკვდილი

ერთ წუდახარელ კაცს სახედარი უფსკრულში გადაეჩეხა და დაეღუპა. ამის დანახვაზე პატრონმა საშინელი ყვირილი მორთო და მთელი სოფელი შეყარა. მოცვივდნენ შეშინებული სოფლელები, რა მოხდაო.

კაცმა აჩვენა დაღუპული სახედარი და უთხრა: — ახლახან ამ ადგილიდან ჩემი სახედარი გადაიჩეხა და როგორც ხედავთ, დაიღუპა. იმიტომ შეგყარეთ, რომ თქვენი თვალით ნახოთ ყველაფერი და თავი აღარ მომაბეზროთ შეკითხვებით: როგორ? რატომ? სად? საიდან?

როგორ ჭამდნენ ყურძენს

ორი მთიელი იჯდა და ყურძნით პირს იტკბარუნებდა. ერთი თითო მარცვალს აცლიდა მტევანს და აუჩქარებლად ჭამდა. მეორე კი, ფათაფუთით, მუჭებით იტენიდა ყურძენს პირში.

პირველი ბრაზობდა, მაგრამ ვერაფერი ეთქვა, ერიდებოდა, არ იფიქროს, მენანებაო.

ბოლოს ველარ მოითმინა:

— ხილს თითო-თითოდ ჭამენ.

— ვიცი, თითო-თითოდ ატამს ჭამენ, — უპასუხა მეორემ და ჭამა განაგრძო.

სცადეთ და დამაცდენინეთ

ერთი მთიელი კაცი სულ ქურდობდა. ყოველი მარჯვე ქურდობის შემდეგ საფიხვნოზე დაჯდებოდა, ყველას უყვებოდა თავის „გმირობაზე“. მაშინ დაზარალებული მოდიოდა მასთან და უკან მიჰქონდა ნაქურდალი.

ერთხელ უთხრეს:

— ან თავი დაანებე ქურდობას და იცხოვრე ისე, როგორც ცხოვრობენ სხვები, ანდა, რადგან უკვე ქურდი ხარ, ნუ გვიამბობ შენს ქურდობაზეო.

— თქვენ გგონიათ ყველაფერს გიამბობთ ხოლმე? აბა, ახლა სცადეთ, თუ ერთი სიტყვა დამაცდენინოთ იმაზე, რაც გუშინ მოვიპარე და ჩილქი პაპას ბოსელში დავმალე, — უპასუხა ქურდმა.

ჩამოდი, ლურჯსახიანო!

ერთ ღარიბ ქალს ქმარი მოუკვდა, მერე დაეღუპა ვირი, ამის შემდეგ დაინგრა და ხეობაში გადავარდა წივის აგურებით* დიდი შრომით აშენებული კედელი. ქალი ძალიან გაჯავრდა ალაჰზე, ავიდა ბანზე, აიხედა ცისაკენ და დაიყვირა:

— ჯანსაღი ქმარი მომიკალი, ოჯახის ბურჯი ვირი დამიღუპე, ჩემი სათბობი წივის კედელი დამინგრიე, ძირს ჩამოდი, ლურჯსახიანო, საქვეყნო საკითხები რა შენი გადასაწყვეტია!

ვინ გითხრა?

დილით ადრე ოჯახის პატრონი შევიდა ბოსელში და ნახა, რომ კამეჩები აღარ არიან. ეჭვი არ იყო, ისინი მოუპარავთ. ცოლს არაფერი უთხრა, მხოლოდ სთხოვა, ბოქლომი მომიტანეო.

— რად გინდა ბოქლომი? — ჰკითხა ცოლმა.

— მინდა ბოსელი დავკეტო, რომ კამეჩები არ გამოვიდნენ, — უპასუხა ქმარმა.

პატრონმა დაკეტა ბოსელი და წავიდა საფიხვნოზე. ვითომ აქ არაფერიაო, დაიწყო საუბარი სოფლელებთან. ამ დროს მიუახლოვდა ერთი კაცი, გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— გუშინ შენს ბოსელში ქურდი შესულა.

— შენ ვინ გითხრა? — ჰკითხა კამეჩების პატრონმა.

— ჩემმა ცოლმა.

— მე ჩემი ცოლისათვის არ მითქვამს, რომ კამეჩები დავკარგე, ამიტომ შენს ცოლს ვერავინ ეტყოდა. ესე იგი, შენა ხარ ჩემი კამეჩების ქურდი. ისინი, ალბათ, ახლა შენს ბოსელში არიან!

საფიხვნოში თავშეყრილი გლეხები წავიდნენ იმ კაცის სახლში, და მართლაც, მის ბოსელში აღმოჩნდნენ მოპარული კამეჩები.

წამოირეკა პატრონმა თავისი კამეჩები და დაბრუნდა შინ.

— ქალო, — უთხრა ცოლს, — ვიპოვე ჩვენი კამეჩები. მე რომ შენთვის მათი დაკარგვის შესახებ მეთქვა, მთელ სოფელს მოსდებდი და ველარ ვიპოვიდიო.

პოეზია

ლალურ-ბაი

ხელს ხელში ჩაგკიდებდი,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.
მაგრამ ხელში ეკლები მაქვს,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.

მხარზე შეგისვამდი,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.
მაგრამ სანთლის ქონისაა,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.

სისხამ დილით დედა წისქვილში წავიდა,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.
მამაშენი არ დაბრუნდა,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.

დედა კოკორს მოგიტანს,
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.
მამა ცხვრის ფეხს მოგიტანს.
ლალურ-ბაი, ლალურ-ბაი.

დედი, მალე დამიბრუნდი,
წინსაფარი კარტოფილით აივსე.
დედი, მალე დამიბრუნდი,
ჯიბე ცერცვით აივსე.

მამი, მალე დამიბრუნდი
ცხვრის დიდი გუდითა.
ნახევარი ცხვარი მხარზე მოიგდე,
მამი, მალე დამიბრუნდი!

შენ საით?

„ჰეი, მგზავრო, შენ საით?“
„მთების გავლით ბარადა!“

„იქ რა გინდა, შორს არის?“
„მსურს ვიყიდო ფიცარი.“

„ეგ ფიცარი რად გინდა?“
„სახლის შენება მინდა.“

„სახლი გინდა რისთვისა?“
„ჩემი შვილებისთვისა.“

„შვილი გინდა რისთვისა?“
„ადგნენ დილა-ბინდისად,
ძაფი დაართან საქსოვად,
დადგნენ ხორბლის დარაჯად.“

კაჭკაჭი

ერთი კაჭკაჭიო, ამბობენ,
შორეულ აულშიო, ამბობენ,
მდიდრულ სუფრაზეო, ამბობენ,
იყო მისულიო, ამბობენ,
დოლს აბრახუნებდნენო, ამბობენ,
დაირა წკრიალებდაო, ამბობენ,
ქვაბები თუხთუხებდაო, ამბობენ,
ძროხები მღეროდნენო, ამბობენ,
იქ თამადობდაო, ამბობენ,
ცხენი ქურანაო, ამბობენ.

თაგვი და ბაყაყიო, ამბობენ,
მერიქიფეობდნენო, ამბობენ,
სტუმრებს მსახურობდნენო, ამბობენ,
ტკბილად ცხოვრობდნენო, ამბობენ,
ამას ამბობენო, ამბობენ.

დასუნსულობს მინდვრის თაგვი

დასუნსულობს მინდვრის თაგვი,
ცრემლის დასდის მდინარე.
დარდით კვნესის საცოდავი.
„შენ რომ ასე გაწყენინა, ვინ არი?“

„ჟაის მამამა მცემა.“
„იმას შენგან რა უნდოდა?“
„რად შეჭამე ხორბალიო,
დამიბრუნე მე ვალიო!“

„წადი ახლა თავისუფლად,
ხანის მინდორს მიადექი!“
„მეშინია, არ გავცივდე,
სველ მიწაზე ფეხშიშველი.“

„ფეხშიშველი?
მაშ, რა უყავ,
ქოში შენი?“

„ბიჭს მივეცი“.
„ეგ ბიჭი რაღა იქნაო?“

„ხარმა გაიტაცაო.“
„ხარი რა იქნაო?“
„მგელმა შეჭამაო.“
„მგელი რა იქნა, ბუნძგულაო?“
„მახეში გაება ძუნძულაო.“

„მგლის ტყავი სად გაქრაო?“
„პაპამ შინ გააქანაო.“

„პაპა რა იქნაო?“
„შინა ზის ახლაო.“

ციკნის გამოცანა

გინდა, გითხრა
გამოცანა,
ფისო, ფისო?
— მითხარ, ხარი,
ამაყი და უშიშარი,
რატომ არი?
— რქა აქვს მყარი,
ფეხი მსხვილი,
მტკიცედ მდგარი.
ხოლო შენ კი:
რქა — პატარა, დაკლაკნილი,
ფეხი — წვრილი, დაწლოწნილი.

ბავშვის ბანაობა

წყალი ქვევით მიდისაო,
ბიჭი ზევით მიდისაო,
წყალი წყაროსაო,
თეთრი სხივისაო,
დავასხი ბიჭსაო,
წვიმად იარაო,
ვახარე ბიჭსაო.
ჩემი ბიჭი თეთრი არი,
ქათქათაა ყველაზეო,
თოვლივითაო,
ჩემმა ბიჭმა იბანაო,
ტანიც აიყარაო.

ჩანგის სიმღერა

მოვკვდები და ვიქცე
ჩანგად — ტოტგაშლილი,
ფოთოლხშირი,
ვიშრიალო.

მთიდან მობერილმა
ქარმა მარწიოს და მანანაოს;
მწუხარებით ტკბილ სიმღერებს ვაკვნესებდე.

და ჰა, მომჭრეს,
გამატყავეს,
გამახმეს და
გამაქვავეს.

ვწევარ ზოგჯერ გაუნძრევლად
მე ხორასნის ხალიჩაზე,
ზოგჯერ ლხინში დასამღერად
მატარებენ.

ვმღერი? არა! ვკვნესი, ვტირი.
ჩემს გარშემო ყველა ილხენს,
ხარხარებენ, ბუქნაობენ,
ჩემი ვიში მათ სიმღერის
ხმად ჩაესმით.

სად ვნახო, ნეტავ, ადგილი,
გულის დარდისა საოხი?
ცრემლის ღვარით
მიწა რომ მოვრწყა.

ნეტავ, სად ვნახო, მთის წყარო,
წყურვილს რომ მოკლავს, ისეთი.
მივალ და უკან არ მოვალ,
დავრჩები მასთან, მის გვერდით.

გლახის ნამღერი

სიმღერას დარდით ვიმღერი,
ეგებ დავბერდე დარდითა.
ეს გული ლაღად მქროლავი,
მაბია დამპალ ბაწრითა.

ბევრი მინახავს ვარამი,
მთხოველსა ხმელა პურისა.
ქვეყანა მთლად ვიწრო არის,
ყვავი დაგვჩხავის დილისად.

ერთად ხარობენ ტყიურნი,
ერთად სძოვენ და ტირიან.
აქ ჯოჯოხეთის წყვდიადში
ბოროტ კაცთ უდგათ ლხინია.

ვისა შევჩივლო ტკივილი,
მეტად არ ძალმიძს სიმძიმე
მხრებით ვატარო მარტომა,
მიწას დავცქერი, დავშვერი.

ქვეყნად ვეძებე ძმა, კაცი,
ვერავინ ვნახე, ოღონდა.
ჩემი გაიგოს რომელმა,
ეგებ, ფუტკარმა მშრომელმა?!

იგია დიდი ოსტატი,
უხვიც და ბრძენიც ერთადა.
ჭრელ ყვავილების ნექტარს სვამს,
ჩვენი სიცოცხლის შველადა.

ეგებ მასმიოს ყვავილი,
ჭირის კურნების მომცემი,
ეგება მომცეს მეც ნიჭი,
დარდის თაფლისად მომქცევი.

მარტო მივიდოდი და

მარტო მივიდოდი და
დავდგებოდი წყლის პირას,
რომ ვიცოდე ზღვის კიდე
გამორიყავს ჩემს ალმასს.

მარტო მივიდოდი და
მთის მწვერვალებს ვივლიდი,
რომ მჯეროდეს
ყინულზე ამოსული ყვავილის.

ვაი, ჩემო ალმასო,
ზღვის ტალღას მოყოლილო,
ალმასს თუ ამოვიღებ,
ბედს რას ვუბამ ჩავლილსო?!

ჰოი, ჩემო არწივო,
ჩემს თავზე გადავლილო!

შენი ორთავ თვალის მშვილდი

შენი ორთავ თვალის მშვილდი
შენი ორთავ თვალთა სხივი
ტკბილია და სანატრელი.
შენი ორთავ თვალის მშვილდი,
შენი ორთავ თვალის სხივი
ტანჯვაა და სატკივარი.

ცხენს ვაქროლებ უბელოს,
ქარმა ბევრი უბეროს,
ძნელი არის სმა თასით
ღამით შენი ბადაგის.
მე დარდებით მთევარი
შენს კარს ვარ მათხოვარი.

მოდის სიყვარული

სიყვარულის წვიმა დასდის
წვიმა აწვიმს მიწას მწყურვალს,
წვიმა აწვიმს კლდეს არმწყურვალს.
სიყვარულის წვიმა დასდის ყველას ერთად:
კაცს მწყურვალს
და კაცს არმწყურვალს.

სისხამ დილაზე

„— რად მოღუშულხარ, მთაო,
ყოველთა თავზე მდგარო?
პირველ მზის სხივის წყარო
შენს მაღალ თავსა ჰბანსო.“
„— პირველ მზის სხივის წყარო,
ჩემს მაღალ თავსა ჰბანსო,
მაგრამ ბარს როცა ყვავილს
სითბო ახარებს ნაზად,
მე ვიყინები მაღლა,
თოვლის ფაფახი მადგას.“

მხოლოდ ყლუპი

ა, იმ წყლის პირას
წყალი ვსვი დილას,
წყალი წყაროსაო,
ყმანვილს საწყალსაო,
შხამად შემერგოო.

ა, იმ ბაღნარშია,
მზის პირის არშიად,
შეველ ყვავილისთვისა,
ყვავილმა ცეცხლი მომდო,
დამწვა, დამაქცია.

ცოდვის ჩამოსარეცხად,
გთხოვე „მაპატიეო“.
ცეცხლის ჩასაცხრობელად
გიხმე „მომიტევეო“.
ცეცხლის ალში ვეხვევი,
არ ჩანს ცეცხლის მომრევი.
ახლა რა ვქნა,
ნეტავ მე?
შვება ვერსად
ვერ ვნახე.
მაღლა არწივს
ვხედავ, ჰე.
ცას არწევს
და ყაშყაშებს.
მე იმ არწივს ვეძახი:
შენ ჩამიქრე გენია!

წყაროს პირას

შინ კოკით წყალიც
რომ ჰქონდეს,
ქალი წყაროსთან მივა,
იქ ეგულება ყმაწვილი,
წყლის დასალევად მისული
თავის იორღა ცხენით.

ეტყვიან სალამ-ქალამსა,
იტყვიან მიეთ-მოეთის,
„შენ რომ ოქროში ჩამჯდარხარ,
მე სად მაქვს მაგოდენაო,
ოქრო ჩემს ქამარ-ხანჯალსაც,
სწორედაც, მოუხდებაო!“

„მე მაგ შენს ქამარ-ხანჯალსა
ოქროსამც შემოვავლებო
და შენი არა მინდა რა,
ცოლად კი წამიყვანეო.“

„შენი კოკა ვერცხლის არის,
შიგ მთების ჩანს მწვერვალები,
მე კი ამ ჩემს უნაგირზე
ვერცხლის შებმა ვერ შევძელი.“

„მაგ უნაგირს ვერცხლად გიქცევ,
შენი არა მინდა რაო,
ოღონდაც, წამიყვანე“.
„ხო, წაგიყვან, მაგრამ მანამ
უნდა ვკითხო ჩემს მშობლებსა,
მოვალ, გეტყვი „ხოს“ ან „არას“,
გოგოვ, შინ მომიცადეო“.

„მე ახლავე „არას“ გეტყვი,
მე ის კაცი არად მიჩანს,
ვისაც ცოლის მოსაყვანად
სხვისი რჩევა, კითხვა უნდა.

არწივს რად უნდა რჩევა მშობლების,
გულის სწორს შესვამს ჯიგიტი ცხენზე
და სადაც უნდა იქ გააქროლებს.“

დილით ტყეში წავალ

დილით ტყეში წავალ
და ვნახავ მე ჩემს ჩინარსა,
მოვჭრი, შინ წამოვიღებ,
დავუძახებ შენს სახელსა:
„ჩემო ტკბილო, ძვირფასო,
დავწვეთ ერთად ბალახზე“.

დილით, გარეთ გავალ და
იქ დამხვდება ბაღნარი,
მოვწყვეტ მე ერთ ყვავილს
და დავუძახებ შენს სახელს.

ვეტყვი ასე: „ნუ იწყენ,
ნახე, დღე რა კარგია!
ვეტყვი ასე: „გულ-მკერდზე
მომეკარი, მადლია".

იქ, ლელიანს
ლელს მოვჭრი.
ტუჩს დავადებ,
ჩავბერავ და
ვუბრძანებ მიმღეროს,
მე შენი ხმით
მარადის.

მე თვითონ ვარ დამნაშავე

უღრუბლო წვიმა არ არის,
ტალღა უქაფო არ არის,
რად დუმხარ, მტერო,
მზაკვარო,
ქვას ვერ დამალავ უბეში.

მე თვითონ ვარ დამნაშავე,
სიყვარული არ დავფარე.
შეგიკერე ჩოხა,
ტანის სიმახინჯე დაგიფარე.

ჩინარს ჰგევხარ იმისთანას,
ექვს თვეში ხუთჯერ ფერს რომ იცვლის,
არა ჰგევხარ მას სიმაღლით,
ჰგევხარ მხოლოდ ღალატობით.

შენი სიყვარული ღრუბელია მოჯანღული,
მოსავალს რომ მოუხდება, ის კი არა,
ღრუბელი ხარ, ქარის მიერ
აღმა-დაღმა წაღებული.

ეგებ ჩვენ, ორივე, ერთად
მოვკვდეთ ერთ და იმავ დღეს,
მოვკვდეთ ერთ და იმავ დღეს.
ეგებ ერთად ჩაგვაწვინონ
ერთ და იმავ სამარეში,
ერთ და იმავ სამარეში.

ერთ და იმავ სამარეში
ვერ ველირსოთ ეგებ წოლას,
ვერ ველირსოთ ეგებ წოლას.
ჩვენ შუაში ჩაგვიწვინონ,
ჩაგვიწვინონ ჩვენ შუაში,
ჩაგვიწვინონ მესამე.

მომპარე

ძვირფას ლითონს ვინც იპარავს,
სცოდავს ღვთის და კაცის მიმართ.
შენ, წყეულო, მე მომპარე,
რაც ოქროზე ძვირფასია.

ავი ენით

ღრუბლის ჯანღი მთებს რომ აკრავს,
არა ყველას, შიგადაშიგ,
ასე არის ზოგი კაცი,
გოგოს გასვრის ავი ენით,
გოგოს სვრიან ავი ენით.

მე რა ვუყო?

მე რა ვუყო შენს სიყვარულს?
სიყვარულს რა ვუქნა ჩემსას?
მე რა ვუყო სხვისა ნებას,
რომ გაგვყარა ერთმანეთსა?!

ჭანგა

გაზაფხულზე ხორბლებ შუა ჭანგა ამოიმართება,
ახრჩობს ხორბალს, კლავს მოსავალს.
ჩვენს სიყვარულს უკლებელად —
მტერ-მოყვარე — ახრჩობს ყველა.

თუკი თვით ჩანგი ტირის

თუკი თავად ჩანგი ტირის —
ხისტანა და უსიცოცხლო, —
მე რა ცრემლი უნდა ვღვარო,
სიყვარულის სიმწრის გამო.

ენძელა

ენძელამ თოვლში ამოყო თავი.
გაზაფხულია.
ღმერთსა ვთხოვ დღეს მე
რომ შენი ტუჩის ქარაფებიდან
წამოსკდეს სიტყვა დიდად ნანატრი:
„მიყვარხარ, ჩემო“.

გუგურჩი

ეს ამბავი ერთხელ ერთ ქვეყანაში, ერთ სამეფოში მოხდა. დილით ქალები წყლის მოსატანად წავიდნენ კოკებით და წყალი შინ ვერ მოიტანეს. წყალზე გველეშაპი გაწოლილიყო და ახლოს არავის უშვებდა. გავიდა რამდენიმე დღე, ხალხს წყურვილით ხახა უშრებოდა. მეფეს მოახსენეს, ასეა და ასეაო. მეფემაც წყაროსთან ჯარი გაგზავნა. გველეშაპი ჯარს არ შეება, უთხრა:

— თქვენს მეფეს სამი ქალი ჰყავს. იქიდან ერთს თუ ცოლად შემრთავს, აქაურობას მშვიდობით გავეცლები. გველეშაპებს ცოლად ყოველთვის მეფის ქალი მოჰყავთ, ასეთია ჩვენი წესიო.

ჯარი უკან ხელცარიელი დაბრუნდა. მეფეს მოახსენეს, ასეა და ასეაო. გველეშაპს ჩვენთან ომი არა ნებავს, მხოლოდ შენი ქალი უნდა ცოლადო.

მეფე ჩაფიქრდა. ზის ოქროს ტახტზე და დარდისაგან აღარ არის. დილით უფროსი ქალი მივიდა მამასთან მისასალმებლად.

— ჰოი, ალაჰ! რამ გაგისია დარდით გული, მამი? რამ დაგაღონა? — დაიძახა ქალმა.

მეფემ დარდის მიზეზი გაუმხილა და ჰკითხა:

— შვილო, გაჰყვები იმ გველეშაპს ცოლად?

— შენ რა, გაგიჟდიო? — იყვირა უფროსმა ქალმა, — მიწაც გასკდომია და თან ჩაუტანია, ეგ შენი გველეშაპი! ჩემთვის რა, კარგი ვაჟი გაწყვეტილაო, — კარი გაიჯახუნა და გავიდა.

მეფე გაბრაზდა და ოქროს ტახტიდან ვერცხლის ტახტზე გადაჯდა.

უფროსის შემდეგ შუათანა ქალი მივიდა მამასთან და მოჭედილ ლანგარზე საუზმე მიართვა.

— ჰოი, ალაჰ! მამი, — გაიკვირვა, — ოქროს ტახტიდან ვერცხლისაზე რატომ გადამჯდარხარ?

მამამაც გველეშაპის ამბავი მოუყვა და ჰკითხა:

— მის ცოლობას ხომ არ ინებებ, შვილო?

— ღმერთმა შენც დაგწყევლოს და ეგ შენი გველეშაპიც, — გაბრაზდა შუათანა ქალი, — რა, დუნიაზე მაგაზე კარგი საქმრო ჩემთვის არ მოიძებნებაო?

ადგა და წავიდა, კარიც გაიჯახუნა.

მეფეს წყენისაგან, ცოტა დარჩა, ცრემლები გადმოსცვივდა და ახლა ვერცხლის ტახტიდან სპილენძისაზე გადაჯდა.

ბოლოს მამასთან უმცროსი ქალი მივიდა, შეხედა მამას სახეზე და მიტკლის ფერი დაედო.

— ჰოი, ალაჰ! ეგ რა დაგმართნია, მამი? თავს რა დაგატყდა? სპილენძის ტახტზე რატომ გადაჯექი?

მამამ გველეშაპის ამბავი იმასაც უთხრა:

— შენმა უფროსმა დამ გაგიჟებულხარო, მაკადრა, შუათანამ კი დამწყევლა. — მეფე თავს მაღლა ვერ წევდა, — ახლა ისღა დამრჩენია, შენ გაგიბედო, გველეშაპს ცოლად გაჰყვები თუ არა?

— შენი დარდი მარტო ეს თუ არის, მე გიშველი, — დაამშვიდა უმცროსმა ქალმა, — გველეშაპმა რომც გამფატროს და შემჭამოს, თანახმა ვარ მწყურვალი ხალხის გულისთვის და შენთვისაც, ჩემო საყვარელო მამი, ცოლად გავყვები, თანახმა ვარ.

უმცროსმა ქალმა მამას სპილენძის ტახტიდან ოქროსაზე გადაჯდომა სთხოვა.

მეფემ იხმო ნაზირ-ვეზირნი და ბრძანა, ხალხისთვის შეეტყობინებინათ, რომ მის ყველაზე საყვარელ უმცროს ქალს გველეშაპს ცოლად აძლევდა და ბრძანა, რომ საქმროს საცოლესთვის საჩუქრები გამოეგზავნა: ისეთი თხელი აბრეშუმის კაბა, რომ ნაჭუჭში ჩატეულიყო და თვალმარგალიტებიანი ყელსაბამი მოეტანა. მიუტანა გველეშაპმა მეფის ქალს ტანსაცმელი: ისეთი თხელი, ობობას ქსელივით, ყელსაბამი — ძვირფასი თვალმარგალიტებით და ყმაწვილი ქალის მოსაწონი ბევრი რამ.

მეფემ შვილი გველეშაპს მიათხოვა. ქალი მათთვის განმარტოებულ სახლში დასახლდა. მეფემ მათ ერთი მსახური მიუჩინა. საღამოობით გველეშაპი კარწინ იწვა და ბაღში მოსეირნე ლამაზი ცოლის ცქერით ტკბებოდა. მეფის ქალი შიშით ჩუმ-ჩუმად ქმრისკენ თვალს აპარებდა.

ერთხელაც გველეშაპი მის საწოლ ოთახთან მივიდა და იქ კართან წამოწვა. მოსამსახურე ქალმა თვალი მოჰკრა და შიშისაგან მოკურცხლა, იფიქრა, ახლა კი შეჭამს მეფის ქალსო. მეფის ქალსაც ასევე ეგონა, მაგრამ, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა გველეშაპს, ისე აღარ ეშინოდა, რადგანაც ქმარს კეთილი თვალები ჰქონდა. ქალმა უთხრა:

— გველეშაპო, ჩემი შეჭმა თუ არ გინდა, მითხარი რამე?

— ზურგზე ფეხი დამადგიო, — სთხოვა გველეშაპმა.

მეფის ქალი შიშით მივიდა და თხოვნა შეუსრულა. უცებ ზურგზე გველეშაპს ტყავი გადასძვრა და შიგნიდან მზეჭაბუკი გამოვიდა. ყმაწვილმა ტყავი ფანჯრებზე ჩამოაფარა, შეამოწმა, კარს ჭუჭრუტანა ხომ არსად

ჰქონდა. რაცა ჰქონდა, სანთლით ამოქოლა. მიუჯდა ამის შემდეგ ცოლს გვერდით და თავისი საიდუმლო დაწვრილებით უამბო.

— მე ვარ, გუგურჩი, მიწის ქვეშეთის მეფის ვაჟი. მამამ ჩემთვის ცოლის შერთვა უჩემოდ გადაწყვიტა, ჩემსავე ბიძაშვილზე დაქორწინება დამიპირა. მე არ მინდოდა. ამიტომ ბიცოლაჩემმა, იმ გოგოს დედამ, გველეშაპად მაქცია. მამას სახლიდან გამოვექეცი. ახლა მამაჩემის მსახურები ყველგან დამეძებენ. იცოდე, რაც გითხარი, არამც და არამც არავისთან წამოგცდეს.

გათენდა. გუგურჩი ისევ გველეშაპის ტყავში შეძვრა და ისევ კარწინ დაწვა. დილით მოსამსახურე გოგო მიიპარა სახლთან, კარს ყური მიადო, გველეშაპს ქალბატონი ხომ არ შეუჭამიაო. ქალბატონის ხმა რომ მოესმა, კარზე დააკაკუნა. კარი მეფის ქალმა გაუღო, თანაც გაუღიმა. ქალბატონს თვალები უციმციმებს, სახე მზესავით უბრწყინავს. გველეშაპი კი თავისთვის წყნარად წევს კარს მიღმა, გეგონება, თვლემსო. ეს რომ ნახა, გოგო სასახლისკენ გაიქცა და რაც რომ ნახა, ჩაუკაკლა მეფის ქალიშვილებს.

— რაც არ უნდა დაგიჯდეს, გაიგე, ვინ არის ეგ გველეშაპი! — უბრძანეს დებმა, მეფის ქალებმა. — ე მანდ, რაღაც სხვა ამბავია. გაიგე, გაგვაგებინე და მეფურად დაგაჯილდოებთო.

დაიწყო გოგომ ჩუმ-ჩუმად თვალთვალი. თვალი გველეშაპზე უჭირავს, მაგრამ ვერაფერს ატყობს. მერე და მერე ქალბატონს გული გაახსნევინა. გამოსტყუა საიდუმლო. როგორც კი გაიგო, დრო არ დაახანა, ადგა, სასახლეში გაიქცა და ქალბატონის დებს მოახსენა, რაც შეიტყო.

შეშურდათ დებს დისა. თითებს იკვნეტდნენ ბოლმით. შეუჩნდნენ მამას, ნუკერებს გველეშაპის ტყავი მოაპარვინეო. მეფე დიდხანს უარობდა. უმცროსი ქალისთვის მყუდროობის მოშლა არ უნდოდა. მაგრამ უფროსმა შვილებმა ისე შეაღონეს, ხელი ჩაიქნია, რაც არის არისო და დათანხმდა. ნუკერები ღამით ქურდულად შეიპარნენ ცოლ-ქმრის საწოლ ოთახში და გველეშაპს ტყავი მოპარეს. უფროსმა დებმა ის ტყავი ცეცხლში დაწვეს. ტყავს ცეცხლი რომ წაეკიდა, გუგურჩიმ შინ გაიღვიძა, წამოხტა და დაიყვირა:

— ოხ, ოხ, რა ახლობელი სუნი მცემს!

გაიღვიძა მეფის ქალმაც. ხედავენ, ტყავი არ არის.

— მოუყევი ჩემი ამბავი ვინმეს?! — დარდიანად ჰკითხა გუგურჩიმ.

მეფის ქალი ტირილით გამოუტყდა, მოსამსახურემ ეგ საიდუმლო გამომტყუაო.

გუგურჩიმ ფეხი დაჰკრა, ახლა ლურსმნად გადაიქცა და მიწაში ჩაძვრა. დარჩა დარდიანი მეფის ქალი მარტოდმარტო. დასამდურიც არავისთან ჰქონდა, დამნაშავე თვითონ იყო. ელოდა ერთი, ორი, სამი დღე.

გავიდა კვირა, თვე. გუგურჩი არა ჩანს. მერე ადგა და მამას მიადგა.

— ჩემი ბედი ცეცხლში დაიწვა, გული გამიტყდა, მითხარი, მამი, რა გზას დავადგეო?

— მაპატიე, შვილო. შენმა დებმა არ მომასვენეს, ისინი შემომიჩნდნენ, მეუბნებოდნენ, აშდაგი ჩვენ დას მიწის ქვეშ, თავის ქვეყანაში წაიყვანსო, მეგონა, დამეკარგებოდი, — შეწუხდა მამა, — მაგათ მომატყუესო.

მეფის ქალი კაცივით გამოეწყო, თმა ცხვრის ფაფახში ჩამალა და გზას გაუდგა, გზადაგზა გუგურჩის კითხულობდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გუგურჩის მნახველი ვერავინ ნახა.

ერთხელ, ერთ ავადმყოფ დედაბერს შინ მიადგა ღამის გასათევად. დედაბერს ქალმა საიდუმლო გაუმხილა.

— თავს ნუ იკლავ, — დაამშვიდა მოხუცმა, — რაღაცას მოგიხერხებ, — მეფის ქალს თავზე ხელი გადაუსვა. — მე ამქვეყნად დიდი დრო არ დამრჩენია. შენთვის ერთ სიკეთეს კიდევ მოვასწრებ.

დილით მოხუცმა იგრძნო, რომ კვდებოდა და მეფის ქალს უთხრა:

— იმ წყაროსთან მიხვალ, თეთრი ქვის ძირიდან რომ მოჩხრიალებს, ჩემი ქოხის უკან. დაბლა დაიხრები და დაიყვირებ: ოხ-ვაი! — ეს თქვა და სული განუტევა.

მეფის ქალმა დედაბერი მიწას მიაბარა, დაიტირა. მივიდა წყაროსთან, დაიხარა წყლის პირას და დაიძახა: — ოხ-ვაი!

იმწამს წინ გოლიათი წამოეჭიმა და უთხრა:

— მე ვარ ოხ-ვაი, მიბრძანე, მეფის შვილო.

— მიწის ქვეშა სამეფოში წამიყვანე, — სთხოვა ქალმა.

— მესმისო, — უპასუხა ოხ-ვაიმ, — ოღონდ წასვლის წინ თეთრი ქვის წყაროში უნდა იბანაოო.

ქალი ასეც მოიქცა. მერე ოხ-ვაიმ ხელი ჩაავლო და გაფრინდნენ. მაღლა, ღრუბლებქვეშ დიდხანს, დიდხანს იფრინეს. თოვლიანი მთის ძირას ოხ-ვაი დაეშვა. კლდე დამსკდარი იყო, იქიდან ბოლი და ცეცხლი გამოდიოდა. ოხ-ვაიმ მეფის ქალი დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, გამომყევი. ჩვენ რომ წყაროში ვიბანავეთ, ის წყალი ჯადოსნური იყო. ცეცხლი ჩვენ არ დაგვწვავს.

დაეშვნენ ქვემოთ, ბილიკს გაჰყვნენ. სულ ქვემოთ და ქვემოთ მიდიოდნენ, სიღრმეში. მიადგნენ მიწისქვეშეთის სამეფოს. სამეფოს კართან ოხ-ვაი გაჩერდა.

— მე მანდ ვერ შევალ. აი, შენ, ჭიშკრის გასაღები, ესეც სხვა შვიდი ათასი გასაღები მიწისქვეშეთის დედაქალაქის სახლებისა. შედი და მოძებნე შენი გუგურჩი. თუ დაგჭირდეს, დამიძახე, ოხ-ვაი-თქო.

მეფის ქალმა გასაღებები გამოართვა, ჭიშკარი შეაღო და ქალაქში შევიდა. ხედავს, ყველა სულდგმული: კაცი, ცხოველი, ფრინველი — ქვად არის ქცეული. გაქვავებული ვაჭრები დგანან დახლის უკან. ქვის ბავშვები წვანან აკვანში, ქვისაა ცხვარ-ძროხა ფარეხ-გომურში, ქვა-მტრედები სხედან აივნებზე. ცოცხალი არაფერი ჭაჭანებს და მკვდარი სიჩუმეა გარშემო. მეფის ქალმა ყველა კარი გააღო და გუგურჩი ვერსად ნახა. ბოლოს პირთამდე გაღებული კარი დაინახა. შევიდა ერთ ოთახში. იქ მერცხალი შეფრთხიალდა და მხარზე დააჯდა. მერცხალმა თვალებში ჩახედა. მეფის ქალმა აკოცა ფრინველს, ჩიტმა ფრთა ოდნავ გაშალა და იატაკს შეეხო, ზედ იმ ადგილიდან მეფის ქალის თვალწინ გუგურჩი ნამოიჭიმა. სიხარულისაგან ორივე კრინტს ვერ ძრავდა. გადაეხვივნენ ერთმანეთს და გუგურჩი მოუყვა ცოლს, თავს რაც გადახდა.

— მამაჩემმა რომ გაიგო, გველეშაპის ტყავი შენმა დებმა დაწვეს, ისევ იმ ქალის ცოლად შერთვა დამიპირა. უარი ვუთხარი, გაბრაზდა და მერცხლად გადამაქცია. რაც ცოცხალი იყო დედაქალაქში, გააქვავა. ახლა გარშემო მიიხედ-მოიხედე! ნახე, შენმა გაბედულებამ, უშიშარმა გულმა, სიყვარულმა ბოროტი ჯადო როგორ დაამსხვრია.

მართლაც, მიიხედა მეფის ქალმა გარშემო და ნახა, ირგვლივ ყველა გაცოცხლებულა, ცხოვრება ჩქეფს. ხალხი მუშაობს, მწყემსები ფარას აძოვებენ. სხვენზე მერცხლები ფრთხიალებენ.

გუგურჩიმ მეფის ქალი წაიყვანა და მამასთან მივიდა. ფიქრობდა, მამა მაპატიებსო, მაგრამ არც მიწისქვეშეთის მფლობელმა, არც მისმა ცოლმა, არც მისმა ნათესავებმა გუგურჩის ცოლი არ მიიღეს.

გუგურჩის დედამ უთხრა:

— შენი დაქორწინება ვინდომეთ და დაგაქორწინებთ. მაგ გოგოს კი, შენ რომ მოიყვანე, მოსამსახურედ დავაყენებთ: შენი ქორწილის დღისთვის ჩვენ ქალაქში ყველა ქუჩა დაასუფთაოს და გარეცხოს ზღვის წყლით. თუ ამას არ იზამს, მამიდაშენი გააქვავებს.

მეფის ქალი მწარედ ატირდა. ზღვის ნაპირას მივიდა. ცაზე ღრუბლებს შეეცოდათ ქალი. ზღვიდან წყალი აკრიფეს და თავსხმა წვიმით გარეცხეს დედაქალაქის ქუჩები. გადათეთრდა, გაქათქათდა ქუჩაში ყველა ქვა.

გაუკვირდათ ეს სასწაული გუგურჩის ნათესავებს და იმას ფიქრობდნენ, სხვა რა დაევალებინათ. იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს.

გუგურჩის დედამ მეფის შვილს ყვირილით უბრძანა:

— დღეს საღამოს ჩემს შვილს საცოლე მოუვა და სასახლეში ისეთი სინათლე უნდა დახვდეს, როგორიც დღისით არის. საცოლეს შენ დახვდები და თავზე მაზუთიანი ჩირაღდანი გედგმევაო.

რა უნდა ექნა?! და მეფის ქალმა მოიფიქრა. რომ დაღამდა, აანთო მაშხალა, ჩირაღდანი სასახლის ყოველ კუთხეში, კიბეზე, ეზოში, თავზე მრგვალი სარკე დაიდგა და მიიბა. სარკიდან ცეცხლის ანარეკლი მიწისქვეშეთის დედოფალს თვალსა სჭრიდა. სარკეს თვალს ვერ უსწორებდა, ჭუტავდა და ვერ ამჩნევდა, რა ედგა მეფის ქალს თავზე, მაშხალა-ჩირაღდანი, თუ — არა.

ამ ერთხელაც მეფის ქალმა გუგურჩის ნათესავებს პირში ჩალა გამოავლო.

გუგურჩის დედა მაინც არ გაჩერდა. მეფის ქალს უბრძანა:

— ახლა მესამე დავალება შეასრულე! საქორწილო ჰალვისთვის ჭიდან ექვსი ქილა ერბო უნდა ამოიღო!

წყლის მაგივრად ჭიდან ერბო მეფის ქალს როგორ უნდა ამოეღო, არ იცოდა. მივიდა ჭასთან. ჩაიხედა შიგ, ამ დროს მიეპარა მიწისქვეშეთის დედოფალი და ჭაში ჩააგდო.

გუგურჩიმ ფანჯრიდან დაინახა ეს. ჭისკენ გაიქცა, ცოლი ჭიდან ამოიყვანა და იქიდან გაიპარნენ. გუგურჩიმ თან ჭურჭლით ზღვის წყალი, ბასრი დანა და ნემსები წაიღო.

გაქცეულებს ბოროტი მამიდა დაედევნა. მამიდა კი არ მირბის, მიფრინავს. სადაცაა დაეწევა და დაიჭერს, რომ გუგურჩიმ მხარს უკან ნემსები გადაყარა და დაიძახა:

— ჩვენს უკან და შენს წინ ჯაგნარი მოედოსო.

ამოვიდა ეკლიანი ჯაგები, ხშირი და გაუვალი.

ჯადოქარი მამიდა შვიდ დღეს გადიოდა ეკალ-ბარდში. გასისხლიანებული და დაკაწრული სამშვიდობოს გავიდა და უფრო სწრაფად დაედევნა სწორ გზაზე. ცოტა დარჩა, არ დაეწია. მაგრამ გუგურჩიმ ახლა მჭრელი დანა გადააგდო უკან და დაიყვირა:

— ჩვენს უკან და შენს წინ ამ დანასავით მჭრელი კლდეები გაჩნდესო!

მათ შორის მაღალი და მჭრელი კლდეები ჩადგა.

მამიდა კბილებით შეება კლდეს, დაიჭრა, დაისერა და მაინც გავიდა. ცოტაც და დაეწია. მეფის ქალი დაიღალა, ფეხები დაუსისხლიანდა, დასუსტდა. აიყვანა ხელში გუგურჩიმ ქალი. და, როცა მამიდას რამდენიმე ნაბიჯი დარჩა და ის იყო, უნდა დაწეოდა, გუგურჩიმ ცოლი დასასვენებლად ძირს ჩამოსვა, ზღვის წყალი გადაღვარა და დაიძახა:

— ჩვენს უკან და შენს წინ ტბა გაჩნდესო!

და მათ შორის მლაშე ტბა გაჩნდა. ცურვა ჯადოქარს არ შეეძლო და იმ ტბაში დაიხრჩო.

— ოხ-ვაი! — დაუძახა მეფის ქალმა.

მაშინვე გოლიათი წამოიჭიმა მის წინ და უთხრა:

— აქ ვარ. მიბრძანე, ქალბატონოო.

— მალე მამაჩემთან მიგვიყვანე!

აიყვანა ოხ-ვაიმ ორივე ღრუბლებქვეშ და მიიყვანა ზედ სასახლესთან. მეფეს გაუხარდა საყვარელი შვილის დაბრუნება. სიძე კი დანახვისთანავე შეუყვარდა.

სასახლეში ქორწილი გადაიხადეს. ცხოვრობდნენ ტკბილად. ვაჟები შეეძინათ მამის მსგავსები, ქალები ეყოლოთ, სულ დედას რომ ჰგვანდნენ.

ასე დამთავრდა ზღაპარი.

ზაზა, ლამაზი ძროხუნა

ეს ამბავი ან მოხდა და ან — არა. ამბობენ, ერთ სოფელში ცხოვრობდა ქალი ღვიძლ შვილთან. ქალიშვილს დედა არაფერს აკეთებინებდა, არ დავღალოო, იმას ტკბილ ქადებს აჭმევდა, გერს კი — ხმელ პურის ქერქს მიუგდებდა, მიაჩეჩებდა საჩეჩელს და ძროხის სამწყემსავად გააგდებდა.

ძროხა ლამაზი ჰყავდათ, ზაზას ეძახდნენ. გოგონა მზეზე მიაბამდა ძროხას, პურის ქერქს მარილს დააყრიდა და აჭმევდა. თვითონ კი საღამომდე მშიერი იყო.

ერთხელაც ზაზამ, ლამაზმა ძროხუნამ, ადამიანის ხმაზე დაილაპარაკა:

— მოდი, ჩემთან, გულკეთილო, კარგო, შესვი ჩემი რქებიდან, — თავი დახარა ზაზამ და გოგონამ შესვა მარჯვენა რქიდან თაფლი, მარცხენიდან — ერბო.

ასე გრძელდებოდა. გოგო ძროხას მარიალინ პურის ქერქს აჭმევდა, ძროხა თაფლსა და ერბოს ასმევდა. დედინაცვალი ხომ გერს მარტო ძროხას არ ამწყემსინებდა, თხის მატყლსაც ატანდა და ართვევინებდა. ერთხელაც ზის გოგო, ართავს მატყლს, ძროხა ძოვს, ამოვარდა ქარი და მთელი მატყლი გაიტაცა. გოგო დედინაცვალთან გაიქცა და საცოდავად ატირდა:

— დედი, დედი, რა ვქნა ქარმა ჩვენი მატყლი მოიტაცა.

დედინაცვალმა გოგო გალახა და უბრძანა, ჩქარა მატყლი მოძებნეო.

— თუ არა ნახავ, მოგკლავ, ცოცხალს არ დაგტოვებო.

გოგო საძოვარზე დაბრუნდა და ძროხას ჰკითხა:

— მითხარი, რა ვქნა, ზაზა, ჩემო ლამაზო ძროხუნა?

— ნუ იტირებ, — უთხრა ლამაზმა ძროხამ, — გასწავლი, როგორ უნდა იპოვო მატყლი. ცრემლები მოიწმინდე და მისმინე. აი, იმ გზაზე ფართო მინდვრებია, იმ მინდვრებში ხალხს ნახავ, რომლებიც მარჯნის მოსავალს

იმკიან, თავს დაუკრავ და ეტყვი, მშვიდობა და ბარაქა თქვენ და თქვენს ოჯახს! ერთ ნიჩაბ ხორბალს ხომ არ მაჩუქებთ? თან ეტყვი, ქარების დედოფლის ჩასაჟაის გზასაც ხომ არ მიმასწავლითო? ისინი მეორე კალოზე გაგიშვებენ, სადაც მსხვილ მარგალიტს აგროვებენ. იქაც ხალხს იგივეს შეეკითხები. აქედან სხვა კალოზე გაგაგზავნიან, იქ ბაჯაღლო ოქროებს აგროვებენ. იმათაც მიესალმები და იგივეს ჰკითხავ — ისინი ქარის დედოფლის გზას მიგასწავლიან.

ივლი ასე იმ გზით, გზაში ძაღლებს შეხვდები, იმ ძაღლების წინ თივა ყრია. ნახავ ცხენებს. ცხენებს წინ ძვლები უყრიათ. აიღე ძვლები და ძაღლებს დაუყარე, ცხენებს კი თივა. შეიცოდე, ასე უთხარ, „თქვე საცოდავებო-თქო". გაუხარდებათ და გზას გაჩვენებენ. მერე გზაზე ჩქარი მდინარე შეგხვდება, შესვი იქიდან პეშვი წყალი. შეაქე: „ოხ, რა ტკბილი ხარ-თქო". გაუხარდება იმასაც და გზას გაგიხსნის. ამ მდინარის იქით ჩასაჟაის სახლი დგას. შეაღებ კარს, ახვალ კიბეზე, დაიძახებ: „ქარების დედა, ჩასაჟაი, შემიბრალე, მატყლი დამიბრუნე, თორემ დედინაცვალი მომკლავს!" ჩასაჟაი გეტყვის: „მოდი ჩემთან ახლოს, ვერაფერი გავიგეო". ნუ შეგეშინდება. მიდი ახლოს. გეტყვის, აბა რაც სახლში მაქვს, დაბერტყეო!" ადგები შენც გადაუთეთრებ სახლს. თეთრეულს გაურეცხავ, აულაგებ ლოგინს. მოეწონება ეს ჩასაჟაის და ასე გეტყვის: „ამიწეწე თმა და შემომახიე კაბა!" შენ, რა თქმა უნდა, ამას არ იზამ. კაბა დაუუთოე, აბანავე, თმა დავარცხნე და ლოგინში ჩააწვინე. რომ ჩაეძინება, მოჰკიდე მატყლს ხელი და უკანმოუხედავად მოკურცხლე, თუ არადა, ჩასაჟაი საუკუნოდ დაგიმონებს.

მადლობა გადაუხადა გოგონამ ზაზას და გზას გაუდგა. გზად ფართო ველ-მინდორი ნახა. დაინახა, ხალხი წითელ მარჯნებს რომ კრეფდა.

— ხვავი და ბარაქა, მარჯვენა დაგელოცოთ, — უთხრა გოგომ, — ერთ ნიჩაბს მეც ხომ არ მიწილადებთ და გზას ქარის დედოფალ ჩასაჟაისთან ხომ არ მიმასწავლით.

გოგონას ხურჯინში ნიჩბით წითელი მარჯნები ჩაუყარეს და მეორე კალოზე გაგზავნეს, მსხვილ მარგალიტებთან.

— ხვავი და ბარაქა არ მოგეშალოთ! — უთხრა გოგონამ, — რა ლამაზი მარგალიტია! ერთ ნიჩაბს ხომ არ მაჩუქებთ და ხომ არ მიმასწავლით გზას ქარის დედოფალ ჩასაჟაისთან?

ჩაუყარეს ხურჯინში ნიჩბით მარგალიტი და იქ გაგზავნეს, სადაც ბაჯაღლო ოქროს იმკიდნენ.

— ხვავი და ბარაქა არ მოგეშალოთ! — ხელის აწევით მიესალმა გოგონა, — ერთ ნიჩაბ ბაჯაღლო ოქროს ხომ არ მომცემთ და გზას ქარის დედოფალ ჩასაჟაისთან ხომ არ მიმასწავლით?

ჩაუყარეს ბაჯაღლო ოქრო ნიჩბით ხურჯინში და უთხრეს:

— წადი და ეგ აგერ, იმ ცხენებსა და ძაღლებს ჰკითხე.

წავიდა გოგო და ხედავს, ვიღაცას ძაღლებისთვის თივა დაუყრია, ცხენებისათვის — ძვლები. მოუტანა და დაუყარა თივა ცხენებს, ძვალი — ძაღლებს. თავზე ხელიც გადაუსვა, მიუალერსა, შეიბრალა: როგორ მეცოდებითო. მათ კიდევ გზა მიასწავლეს.

გზაზე გოგონას ჩქარი მდინარე დახვდა. დალია მდინარის წყალი. შეაქო: ოხ, რა ტკბილი ხარო!

მდინარე შედგა, დაიხია, ფსკერი გამოუჩნდა და გოგო გაატარა.

მივიდა ის ჩასაჟაის სახლთან, კარი გააღო, კიბეზე ავიდა და დაიძახა:

— ქარის დედავ, ჩასაჟაი, შემიბრალე, მატყლი დამიბრუნე, თორემ დედინაცვალს ვერ გადავურჩებიო.

— ყურში ცუდად მესმის, — დაუყვირა ჩასაჟაიმ, — ახლოს მოდი!

გოგო მივიდა. ჩასაჟაიმ უბრძანა:

— აბა, ჩემს სახლში ყველაფერი ამოაბრუნე!

— კარგიო, — უპასუხა.

მიიტანა წყალი, სახლი გადაათეთრა, ყველაფერს ადგილი შეუცვალა.

— ახლა თმა ჩამომიშალე და კაბა შემომახიე! — უბრძანა ჩასაჟაიმ.

გოგომ დაუკემსა ტანსაცმელი. აბანავა, დავარცხნა და დააწვინა.

ქარის დედოფალს ძალიან მოეწონა ეს.

— მოდი ჩემთან, შვილო, — დაუძახა. გოგოს თავზე დოქით წყალი დაასხა და თმა გაუოქროსფერდა.

სტუმარს რამდენიმე დღეს შინიდან არ უშვებდა ქარის დედოფალი. მას კი მშობლიური მხარე ენატრებოდა, ენატრებოდა თავისი ლამაზი ძროხუნა.

სტუმარი შინიდან რომ არ გაპარვოდა, ჩასაჟაი მატყლს ბალიშის ქვეშ მალავდა. ერთხელაც, როცა ჩასაჟაიმ დაიძინა, გოგომ ბალიშის ქვეშიდან მატყლი ამოიღო და იქიდან მოკურცხლა. ქარების დედოფალმა გაიღვიძა. ხედავს, გოგო იქ არ არის. მოხუცი დასაჭერად გამოეკიდა. ყვირის:

— ჰოი, ამღვრეულო მდინარევ, არ გაუშვაო! ჰეი, ძაღლო და ცხენო, დაიჭირეთო! ჰოი, მინდორში მომუშავეებო, თქვენი გაწყვეტა იყოს, არ გაუშვათ, დაიჭირეთო!

გოგონა ჩქარ მდინარეს მიადგა, მდინარემ დაიხია, თან ტალღით ოქროს ქუსლებიანი ქოშები გადმოუყარა. ქოშები ჯადოსნური იყო, ქუსლებზე მარჯვნივ და მარცხნივ გოგონას სურათი ჩანდა. გამოართვა მდინარეს ქოშები, მადლობა გადაუხადა და სირბილით განაგრძო გზა.

— შეგარგოთ ეგ თივა! — უთხრა ცხენებს, თივას რომ ჭამდნენ. ძაღ-

ლებსაც უთხრა, შეგერგოთო, ძვლებს რომ ღრღნიდნენ. მათაც გზა დაუთმეს და გზა მშვიდობისა უსურვეს.

გაირბინა გოგონამ მესამე, მეორე და პირველი კალო, ყველა მშვიდობით მოიკითხა და ყველამ გზა მშვიდობისა უსურვა.

გაბრაზდა და განრისხდა ქარების დედოფალი ჩასაჟაი.

— ჰოი, შენ მდინარევ, ჰოი, თქვენ ძაღლებო და ცხენებო, ჰოი, თქვენ მინდორში გასულო კაცებო, ეგ როგორ გამიბედეთ და ჩემი ბრძანება არაფრად ჩააგდეთ.

მდინარემ ასე უპასუხა:

— შენ მე მღვრიეს მეძახდი, გოგონამ მითხრა, რა ტკბილი ხარო!

ძაღლებმა და ცხენებმა უპასუხეს:

— ცხენებს ძვლებს, ძაღლებს თივას გვიყრიდი. შიმშილით სული გვძვრებოდა. გოგონამ კუჭი გაგვიძღოო.

ხალხმა ასე უპასუხა:

— შენგან სიკეთე სიტყვითაც არასდროს გვღირსებია. ტკბილი სიტყვა ჩვენთვის ერთხელაც არ გითქვამს. მაგ კეთილმა გოგომ ჩვენ ბედნიერება, ხვავი და ბარაქა გვისურვა და აბა, არ გავუშვებდითო?!

ქარების დედოფალი უკან ხელცარიელი დაბრუნდა.

წავიდა და წავიდა. ჩვენ, მოდით, ისევ გოგოს მივუბრუნდეთ.

ობოლმა შინ მიირბინა და თავის ლამაზ ძროხუნას ჩაეხუტა.

— გამარჯობა, ჩემო ძროხუნა, ლამაზო; აჰა, ოქრო და მარჯანი მოგიტანე. ესეც შენ — ქოშები ჩემი სურათებით.

გოგომ ზაზას სულ დაწვრილებით მოუყვა, რაც ნახა, რაც თავს გადახდა. მერე დედინაცვალთან მივიდა და მატყლი მიუტანა. გერის ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. ისევ მწყემსავდა ზაზას, თავის წითელა ძროხას მინდორში, თხის მატყლს ჩეჩავდა და რთავდა.

დედინაცვლის ღვიძლი შვილებიც ისხდნენ შინ და ძველებურად უსაქმობდნენ.

ერთხელაც დედინაცვალმა გერს ჰკითხა:

— ხილაბანდქვეშ თმას რატომ მალავო?!

— თმა მტკივა და იმიტომო.

— მოდი, ვნახავო, — იყვირა დედინაცვალმა და ხილაბანდი თავიდან გადააცალა.

ოქროს თმა დაუნახა დედინაცვალმა და შურისგან აცახცახდა. შეუჩნდა:

— მითხარი, მითხარი, ეგ ოქროს თმა საიდანო?!

სხვა გზა არ იყო, ისე ბრაზობდა, ისე ჩხუბობდა, რომ ობოლმა გოგომ არ დაუმალა:

— ქარების დედოფალმა ჩასაჟაიმ მაჩუქა ეს ოქროს თმები.

— ვინ მიგასწავლა გზა ჩასაჟაისთანო?

— ზაზამ, წითელა ძროხამო.

დედინაცვალმა კრინტი აღარ დაძრა. შევიდა ოთახში, თავის გოგოს ხელი ჩაავლო, მინდორში გაიყვანა და ძროხის დამწყემსვა და თხის მატყლის გაჩეჩვა დაავალა. სად იყო და სად არა, ამოვარდა ქარბორბალა, შავად აბრიალდა და მატყლი სულ ერთიანად წაგლიჯა, გაიტაცა.

დედინაცვლის ქალმა ძროხას უბრძანა:

— მითხარი, ძროხავ, მატყლი სად არის?!

უთხრა ზაზამ ის, რაც მანამდე ობოლს. გაიქცა დედინაცვლის ქალი ქარების ქალბატონის საძებრად. გზად კალოს მიადგა, სადაც ხალხი მარჯნებს აგროვებდა.

— მეხი თქვენც დაგაყარეთ და თქვენს მარჯნებსაც. ხურჯინში ჩამიყარეთ ეგ მარჯნები და გზა ქარის ქალბატონითან მალე მასწავლეთ!

— ე, როგორი თავხედია?! — გაუკვირდათ კაცებს. გაბრაზდნენ, დასვეს ნიჩაბზე და მეორე კალოზე გადააგდეს, სადაც მსხვილ მარგალიტებს აგროვებდნენ.

— მეხი თქვენც დაგაყარეთ და ე, მაგ თქვენ მოსავალსაც! — იკივლა დედინაცვლის ქალმა, — აბა, ჩქარა ჩამიყარეთ ნიჩბით ეგ მარგალიტები და გზა ქარის დედოფალთან მალე მიმასწავლეთ!

შესვეს ნიჩაბზე და მესამე კალოზე მოისროლეს, სადაც გოდრებით ბაჯაღლო ოქროს აგროვებდნენ.

— თქვენც ამოწყდით და ეგ თქვენი მოსავალიც გაქრეს! — აღრიალდა დედინაცვლის ქალი. — ჰა, მალე ოქრო მომეცით და გზა მიმასწავლეთ ქარების დედოფალთან.

აი, აქ მოხვდა, თუ მოხვდა ქოთები. და ნიჩბით ცხენებთან და ძაღლებთან გადააგდეს. იქ კიდევ ყველაფერი აურია. ცხენებს თივა წაართვა და ძაღლებს დაუყარა, ძაღლებს ძვალი წაართვა და ცხენებს დაუყარა.

— აი, ამოწყდით და არმად გექცეთო! — დააყოლა.

ძაღლებმა დაკბინეს, ცხენებმა ტლინკი ჰკრეს. ამათ თავი ძლივს დააღწია. მიადგა მდინარის პირს. შესვა მდინარის წყალი და ზედ მიაფურთხა: ფუ, რა ჭუჭყიანი ხარო. გაბრაზდა, აღრიალდა მდინარე და არ გაატარა.

რის ვაი-ვაგლახით გადავიდა დედინაცვლის ქალი მდინარის გაღმა. მიადგა დასვენებულ-გაჭუჭყიანებულ-დალურჯებული ქარების დედოფლის სახლს. ავიდა კიბეზე, შეაღო კარი და შეჰყვირა:

— მინა დაგაყარე, ბოროტო ჩასაჟეი! ახლავე დამიბრუნე მატყლი, თორემ დედაჩემის წყევლას ვერ გადაურჩები.

— ვერ გავიგე! — ყვირილითვე უთხრა ჩასაჟეიმ, — ახლოს მოდექი.

მიდგა დედინაცვლის ქალი ახლოს და ჩასაჟეის ეუბნება:

— ჩემს სახლში ყველაფერი თავდაყირა დააყენე!

— კარგი, მაგას კი ვიზამ, — გაუხარდა გოგოს. მიამსხვრ-მოამსხვრია, რაც ხელში მოხვდა, დაამტვრია, ქვა ქვაზე არ დაუტოვა.

ჩასაჟაიმ არც წყევლა და არც აგინა, ერთი ბრაზიანად კი შეხედა.

— რა ვქნა, მოდი, თმა დამაგლიჯე და კაბა შემომახიე! — უბრძანა სტუმარს.

დედინაცვლის ქალი ეცა, თმა დააგლიჯა და კაბა ზედ შემოახია, სულ ნაფლეთ-ნაფლეთებად. ქარების დედოფალმა შუბლი შეკრა და მოიქუფრა.

— მადლობელი ვარ. აჰა, ესეც ჩემგან საჩუქრად გქონდეს, — უთხრა და გოგოს სახეზე დოქით წყალი მიასხა.

გოგოს სახე დაუჩოფურდა.

მერე უბრძანა:

— აიღე შენი მატყლი და შენი ფეხი აქ არ იყოსო.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ნაცემ-ნაბეგვი გოგო შინ მივიდა დაჩოფურებული. რომ ნახა, დედას გული გაუსკდა, ლამის არის გაგიჟდეს.

ბევრი იფიქრა, რა ვქნაო და დედინაცვალმა გადაწყვიტა ზაზაზე, ლამაზ ძროხაზე ჯავრი ეყარა, გერის საყვარელ ძროხას დაკვლა დაუპირა.

ზაზამ გერს შესჩივლა:

— შენმა დედინაცვალმა უნდა დამკლას, — მოკრიფე ჩემი ძვლები, რომ დამკლავენ და ბაღში ვაშლის ხის ქვეშ ჩამარხე.

დაკლა დედინაცვალმა ზაზა, ლამაზი ძროხა. ხორცი ხაშლამად მოხარშეს. დედა-შვილმა, ორივემ მარტოდ შეთქვლიფეს. გერმა ძვლები მოაგროვა და ბაღში ვაშლის ხის ძირას ჩამარხა.

იმ დღის შემდეგ საწყალმა ობოლმა გოგონამ მოსვენება დაკარგა.

— ეს რა ხდება, დღითიდღე შენ კოხტავდები, ჩემი გოგო კი გონჯდებაო, — წყევლიდა და სცემდა დედინაცვალი.

ერთხელაც შევიდა გერი ბაღში, ჩამოჯდა ვაშლის ხის ძირში და დარდისაგან მწარედ ატირდა.

— ნუ ტირი, ჩემო პატარა, ნუ ტირი, — ამოსძახეს ძროხის ძვლებმა, — მითხარი, რა გინდა და შეგისრულებ.

იმ დღეს მეზობელ სოფელში დიდი ზეიმი იყო. ქორწილი ჰქონდათ. გოგოს იქ წასვლა და ქორწილში ცეკვა-თამაში უნდოდა.

იმწამსვე გაჩნდა მშვენიერი კაბა და პორტრეტებიანი ქოშები. გოგო ლამაზად გამოეწყო და ქორწილში წავიდა.

რუზე რომ გადადიოდა, ქვიდან ქვაზე, ერთი ქოში ფეხიდან გასძვრა და წყალმა წაიღო. საწყალი შინ დაბრუნდა, ქორწილში წასვლას ვერ ეღირსა.

იმხანად ყმაწვილი ხანი წყალში კალმახს იჭერდა. ბადეს ოქროსქუსლიანი ქოში გამოჰყვა, ზედ ოქროსთმიანი ლამაზი გოგოს სახე რომ ეხატა. ხანს ქოშის პატრონის ნახვა ძალიან მოუნდა.

დაიარა მთელი ქვეყანა, ეძებდა, ვის მოერგებოდა ქოში და ქოშის პატრონი ვერ ნახა. ბოლოს თავის მსახურებთან ერთად იმ სოფელში მივიდა, სადაც დედინაცვალი, მისი გოგო და გერი ცხოვრობდნენ. კარდაკარ დაიარა და ახლა ამათ კარს მიადგა. როგორც კი ფეხი შედგა, ხედავს, ის გოგოა, ქოშზე რომ ახატია და ვისაც ეძებს. ფეხზე ქოში მოარგო და მშვენივრად მოერგო. გაუხარდა ხანს და დედინაცვალს გერის ხელი სთხოვა. ბოროტმა ქალმა ბოღმა დამალა, ვითომ გაუხარდა, თავი ისე დაიჭირა.

— შვილო, გთხოვ, მამაშენთან დაბრუნდიო, — ეუბნება დედინაცვალი, — გამოვაწყობ შენს საცოლეს და ჩემი ფეხით მოგიყვან.

ასეც მოიქცნენ.

ყმაწვილმა ხანმა, ბოროტ დედაბერს გულში რა ჰქონდა, რა იცოდა?! წავიდა ხანი და დედინაცვალმაც ხელი ჩაავლო გერს, თითქოს ხანთან მიჰყავდა, გაუდგნენ გზას. საგზლად მარილმოყრილი მლაშე პური წაიღო. შორს მიდიან, უდაბნოში. მოშივდა გერს და დედინაცვალს ეხვეწება:

— ლუკმა გამაღეჭინე, ძალიან მშია, — მიაწოდა დედინაცვალმა მლაშე, მარილმოყრილი პურის ქერქი.

შეჭამა გერმა მლაშე პური და ახლა წყურვილისაგან ლამის არის დაიხრჩოს.

— დედი, ძალიან მწყურია, ერთი ყლუპი წყალი გაიმეტე, — ეხვეწება.

— არა გიშავს, მოითმინე, — ეუბნება დედინაცვალი, — მალე ჭასთან მივალთ, ცივ, კამკამა წყალს დაგალევინებ და გულს იჯერებ.

მართლაც, გზაზე შორიახლოს ჭა იყო. დადო გოგომ მიწაზე ბოხჩაში გამოკრული თავისი ოქროს ქოში და წყლის დასალევად ჭისკენ გაიქცა. ის იყო, დაიხარა წყლის დასალევად, რომ მიეპარა ბოროტი დედინაცვალი, ხელი ჰკრა და ჭაში ჩააგდო. აიღო ბოხჩაში გამოკრული ოქროს ქოში და შინ დაბრუნდა. გამოაწყო საუკეთესო კაბაში ღვიძლი შვილი. თავზე აბრეშუმის ფატა დაადგა, სახე ფატით დაუფარა, შესვა თეთრ ცხენზე და ყმაწვილ ხანს მიუყვანა.

ხანის სასახლეში დედა-შვილი დიდი პატივით მიიღეს, მდიდრული ქორწილიც გადაუხადეს. როცა ქეიფი და დროსტარება დამთავრდა, ხანმა

ფატის ქსოვილი სახიდან გადახადა დედინაცვლის ქალს და ხელში ჩოფურა შერჩა.

— ეს არ არის, ვინც მიყვარს! — გაბრაზებით იყვირა, — მომატყუეს!

— თვალები გატყუებს, ჩემო კარგო სიძევ! — ატყუებს გაღიმებული სახით დედინაცვალი. ჩემი ქალი მზეთუნახავია.

შეწუხდა ყმაწვილი ხანი. აქ, ეტყობა, ჯადოქრობაა და თვალი მატყუებსო.

იქ კი, იმ ჭასთან ვაჭრების ქარავანმა ჩაიარა, გაჩერდნენ წყლის დასალევად და დასასვენებლად.

ჭაში გრძელ თოკზე მიბმული დოქი ჩაუშვეს წყლის ამოსაღებად, ეწევიან თოკს ზევით, დოქი ისე ძალიან დამძიმდა, რომ ერთ კაცს ამოწევა გაუჭირდა. ერთმა ვაჭარმა მეორეს გასძახა, მოდი, მომეხმარეო; მიეხმარა და დოქით გოგო ამოიყვანეს.

გოგომ ვაჭრებს მადლობა უთხრა და სთხოვა:

— კეთილო ხალხო, როცა მე ჩემს სურვილს ვიტყვი, თქვენ ამინი მითხარით!

ვაჭრები სიამოვნებით დაეთანხმდნენ სურვილის შესრულებას.

გოგომ დაიძახა:

— მინდა, კაჭკაჭად ვიქცე!

— ამინ — დაუმოწმეს და უცებ გოგონა გაქრა. თეთრ კაჭკაჭად გადაიქცა, აფრთხილდა და გაფრინდა. ვაჭრებმა გაკვირვებისაგან პირი დააღეს და მერე გზას გაუდგნენ. ნიბლია კაჭკაჭი ხანის სახლთან მიფრინდა და ნუშის ხეზე ჩამოჯდა.

— მებაღევ, მებაღევ, — აჭიკჭიკდა ჩიტი, — ისე გახმეს და დაჭკნეს ეს ხე, როგორც მე დავჭკნი და გავხმი. მიდი, და ეს სიტყვები ყმაწვილ ხანს გადაეცი, — უთხრა და გაფრინდა.

ნუშის ხე კი მართლა დაჭკნა და გახმა. ამის შემდეგ ყოველ დილით დააფრინდებოდა ფრინველი რომელიმე ხეს და დასჩხავლებდა:

— მებაღევ, მებაღევ, ეს ხე ისე გახმეს და დაჭკნეს, როგორც მე დავჭკნი და გავხმი. მიდი და ჩემი ნათქვამი ყმაწვილ ხანს უთხარი.

ერთხელ ყმაწვილი ხანი შევიდა თავის ბაღში და ხედავს, რაც კი კარგი ხეხილი ედგა: კომში, ნუში, ლეღვი, თუ მსხალი, დამჭკნარა და გადამხმარა. მებაღეს გაუბრაზდა.

— უსვინდისოვ, ბაღი რა დღეში ჩაგიგდია. არ უვლი?! რაც კარგი ხე იყო, ყველა გადამხმარა!

— მაპატიე, ბატონო, — წაილუღლუღა მებაღემ, — მე ბრალი არა მაქვს. ყოველ დილით მოფრინდება ერთი ჩიტი, აირჩევს კარგ ხეს, დაჯდე-

ბა ზედ და როგორც კი იტყვის: „გახმეს ეს ხე და დაჭკნეს, როგორც მე გავხმი და დავჭკნი“, ხე ხმება. ის ჩიტი თან შენთან მოკითხვას მაბარებს.

ყმაწვილმა ხანმა ჩიტის დაჭერა ბრძანა. მებაღემ კაკანათი დააგო და მომდევნო დღეს, დილით ჩიტი კაკანათში გაება. ხანი ჩიტს ხელით შეეხო და მაშინვე ჩიტი ლამაზ ოქროსთმიან ქალად იქცა. ხანმა იცნო თავისი საცოლე.

— აი, თურმე როგორ მომატყუეს! — გაბრაზებით დაიძახა, — მოჰკიდა ხელი, შინ მიიყვანა, სასახლეში და დაავალა — მოყევი, რაც თავს გადაგხდა.

— სიცოცლე და დღეგრძელობა, ჩემო მბრძანებელო, — უთხრა ქალმა, — რა უნდა მოვყვე?! შენ ხომ თავად ხედავ და გესმის.

— საკუთარი თვალით ნანახი ჯობია, — უპასუხა.

— კარგი! ოღონდ, როცა მოყოლას დავიწყებ, იქ ჩემი დედინაცვალი და მისი ქალიც იყვნენ და მათაც მოისმინონო. თან მინდა, რომ მოვყვები სასახლის გარეთ არავინ გავიდეს.

ქალმა სახე დაიბურა, დამალა. ასე შეიყვანა ხანმა სასახლეში. გაგზავნა ბატონმა მსახური ბოროტი დედინაცვლისა და იმის ქალის მოსაყვანად. მოვიდნენ დედა-შვილნი, ძილგაფრთხობილი და გაავებული. გერმა სათქმელს პირი მოხსნა. წვრილად მოყვა, როგორ ჩააგდო ჭაში ბოროტმა დედინაცვალმა. მოყოლა დაიწყო თუ არა, აკანკალდა და გაფითრდა დედინაცვალი. მერე გაიძურწა შვილთან ერთად კარისკენ. კართან დარაჯები იდგნენ, ხანმა გარეთ არ გაუშვა.

— ტყუილისა და ბოროტებისთვის მკაცრად უნდა დაისაჯოთ, — თქვა ხანმა, გოგონამ მოყოლა რომ დაამთავრა. გადახადა საბურავი სახიდან საცოლეს და დააყოლა:

— ჩემი სიხარული თქვენი დასჯით არ მინდა ჩავიმწარო. დაუბრუნეთ ჩემ საცოლეს ქოშები, ამოიძუეთ კუდი ჩემი ქვეყნიდან და ცხელ გულზე არსად გადამეყაროთ!

გაყარეს იქიდან ლაფდასხმული დედინაცვალი და მისი ქალი.

საცოლემ ხანს სთხოვა, ჩემ მშობლიურ სოფელში გამომყევიო. წამოილო იქიდან სოფელში დატოვებული თავისი ოქრო, მარჯანი და მარგალიტი, რაც მისმა ლამაზმა ძროხუნა ზაზამ არგუნა და შეუნახა. როგორც იქნა, დაქორწინდა ყმაწვილი ხანი თავის საყვარელ ქალზე.

მხიარული ქორწილი გადაიხადეს. უკრავდა ზურნა-დუდუკი, უკრავდა შვიდი დოლი. სვამდნენ და რუმბები არ იცლებოდა, ჭამდნენ და ქვაბები არ იცლებოდა. ცეკვავდნენ, მღეროდნენ და არ იღლებოდნენ.

კარგს კარგი ემართებაო, კარგად დამთავრდა მათი ამბავი. მეც იქ

ვიყავი, კარგადაც მოვილხინე, ისე რომ, დღემდე მახსოვს და არასდროს დამავიწყდება.

ჯადოსნური ჭა

იყო და არა იყო რა. იყო ამსოფლად ერთი ხანი. ჰყავდა ერთადერთი ქალი. ხარბი და ბოროტი იყო ის ხანი, არასდროს, არავინ, არც ერთი გლახა არ განუკითხავს. შვილი კი კეთილი და მოწყალების გამღები იყო. მამას ხშირად ასე ეუბნებოდა:

— განა შენ სალაროს ისეთი რა დააკლდება, მათხოვარს გროში და მშიერს ლუკმა რომ მიაწოდო?!

მამას შვილის ასეთი სიტყვა და საქმე არ ეპიტნავებოდა. ერთხელაც უსმინა, უსმინა და გაბრაზებულმა უთხრა:

— ჩემი ჭკუის დარიგება და მათხოვრების სიბრალული თუ არ დაიშალე, იცოდე, პირველივე მათხოვარს მიგცემ.

არ გავიდა დიდი დრო და ეზოში ახალგაზრდა მათხოვარი გამოჩნდა. გოგომ მამას ისევ უთხრა:

— რა იქნება, ამ საცოდავს ჩვენი სუფრიდან რამე ვუწილადოთ, განა ისეთი რა დაგვაკლდება?!

ხანმა მოთმინება დაკარგა და აღრიალდა:

— ჰეი, ვირი მოიყვანეთ, შესვით ჩემი ქალი ვირზე და მაგ გლახას გააყოლეთ!

ამის შემდეგ ვირზე შემჯდარ და სახლიდან გაგდებულ შვილს უკან დაადევნა:

— ვნახავ, ე მაგ მუცელს რითი გაიძღობ, კუჭი შიმშილით რომ აგიბუყბუყდება!

ხანის შვილსა და მათხოვარ ბიჭს ერთმანეთი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდათ და ცოლქმრობა გადაწყვიტეს.

ვაჟმა გოგოს უთხრა:

— არაფერი ისე არ მაწუხებს, როგორც ერთი რამ — დედაჩემი დიდი ხანია ლოგინად არის ჩავარდნილი, ფეხზე ვერ დგება.

აიყვანა ყმაწვილმა ხანის ქალი მთაში, ერთ პატარა გამოქვაბულში.

— აი, ჩვენ აქ ვცხოვრობთ.

გამოქვაბულში ცარიელი კედლები იყო, იატაკზე თხელი ნალი ეგო და ზედ ავადმყოფი მოხუცი იწვა. ბიჭი დედას მოუყვა, როგორ შეხვდა ხანის ქალს და როგორ შეირთო.

— რა ვქნათ, შვილო, ყოველთვის ასე ღარიბ-ღატაკი კი არ ვიყავით, — ამოიოხრა მოხუცმა, — მამაშენი მდიდარი იყო. ყაჩაღებმა მოკლეს, გაძარცვეს და ჩვენ ამ დღეში ჩაგვყარეს... არ იდარდოთ, მთავარია ჯანი გქონდეთ.

ახლა ყმაწვილს შეეძლო დედასთან ახალი მიყვანილი ცოლი დაეტოვებინა მოსავლელად. შვილი დედამ მამის მეგობართან გააგზავნა და დაავალა:

— სთხოვე, აქლემების მძღოლად აგიყვანოს თავის ქარავანში და წინასწარ ცოტაოდენი გადაგიხადოს.

ყმაწვილი ასეც მოიქცა. ვაჭარს დაუდგა აქლემების მძღოლად. წინასწარ ფულიც გამოართვა.

— მზად იყავი, — დაავალა ვაჭარმა, — მე და ჩემი ამხანაგები სამ დღეში დავიტვირთებით.

მესამე დღეს ყმაწვილი ვაჭრების ქარავანს მიუძღოდა შორეულ გზაზე. ისე დიდხანს მიდიოდნენ, რომ დღეთა სათვალავი აერიათ. ერთხელაც თვალწინ ყვითელქვიშიანი სივრცე გადაეშალათ. უდაბნოში მიდიოდნენ. ასეთი გზა მგზავრებისთვის საშიში იყო. უდაბნოს პირას, ღრმა ჭასთან, ქარავანი წყლის შესავსებად შეჩერდა. ძირს გაშალეს ქსოვილი და ყველამ თითო ქისით ოქრო დააგდო, ასეთი იყო წესი. ფული იმისთვის გროვდებოდა, ვინც ჭაში ჩავიდოდა წყლის ამოსაღებად. ჩასვლით ბევრი ჩასულა, ამოსული კი არავის უნახავს.

ვაჟმა იფიქრა, იფიქრა და გადაწყვიტა ჭაში ჩასულიყო.

— მე ჩავალ, — თქვა, — მოხდეს, რაც მოხდებაო.

— არ გინდა, — ურჩია მამის ამხანაგმა, — თავს საფრთხეში ნუ ჩაიგდებ, დაიღუპები. შენი ავადმყოფი დედა არ გეცოდება?!

— უწყლოდ ყველა დავიღუპებით, — უპასუხა მამის ამხანაგს, აიკიდა ტიკები და ჭაში ჩავიდა წყლის ამოსაღებად. ამოაწოდა ზევით ტიკებით წყალი და, როცა მთელი ქარავნის სამყოფი წყალი აიღეს, ჭაში ყმაწვილს ამოსაყვანად თოკი ჩაუგდეს, ნახევრად ამოსული იყო, რომ ჭის კედელი გაიხსნა, ვიღაცამ შიგ შეითრია და ქვესკნელში ღრმად ჩაიყვანა.

მიწისქვეშეთი განათებული იყო. იქ ხმელი, გაძვალტყავებული კაცი იდგა. მის წინ, კედელზე უსულო გვამების რიგი იყო გამწკრივებული.

— გამათავისუფლე, — შეეხვეწა ყმაწვილი იმ კაცს, — ისეთი რა დავაშავე?! შინ ახალმოყვანილი ცოლი მელოდება.

ჩახედა თვალებში ძვალტყავამ და უთხრა:

— სამ გამოცანას გეტყვი. გამოიცნობ — გაგიშვებ და საჩუქრებსაც გაგატან. თუ ვერ გამოიცნობ, დარჩები იმათთან, ვინც შენამდე მოვიდნენ აქ.

— სხვა რა გზაა, ცდა ბედის მონახევრეა, — დაეთანხმა ყმაწვილი, — მითხარი გამოცანები.

— ქვეყნად ყველაზე ტკბილი რა არის? — ჰკითხა ჩინჩხვარამ.

— საყვარელი ქალის ტუჩებზე ტკბილი ქვეყნად არაფერია, — დაუფიქრებლად უპასუხა ყმაწვილმა.

ჩინჩხვარას სახე გაუნათდა და თითქოს ხორციც მიემატა, მოსუქდა.

— რა არის ქვეყნად ყველაზე საამური? — მეორე გამოცანა უთხრა ჩინჩხვარამ.

— წოლა საყვარლის გვერდით ყველაზე საამოა, — ახლაც დაუფიქრებლად უპასუხა.

ჩინჩხვარას, თითქოს ხორცი უფრო მოემატა და ტუჩზე ღიმილი აუთამაშდა.

— რა არის ქვეყნად ყველაზე ლამაზი? — ეს უკვე მესამე გამოცანა იყო.

— ის, ვინც გიყვარს, — ვაჟმა მტკიცედ თქვა, — მისი სახე ქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე ლამაზია.

ამ სიტყვებზე კუ შეტორტმანდა და ლამაზ ქალად გადაიქცა. ჩინჩხვარა კაცი გაქრა და მის ადგილზე მაღალი, თვალტანადი ჯიგიტი იდგა.

— ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, — უთხრა ჯიგიტმა ვაჟს, — ქორწილის ღამეს ბოროტმა ჯადოქარმა მოგვაჯადოვა. შენ კი სიყვარულის ერთგულებით წყევლა მოგვხსენი. ამის შემდეგ ყველას ამ ჭიდან თავისუფლად შეუძლია წყლის ამოღება და უკან მშვიდობითვე დაბრუნდება. ჰეი, თქვენ, აქ დამწყვდეულო კაცებო, თავისუფალი ხართ, გაიღვიძეთ, — შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ! — დაიძახა ჯიგიტმა.

უსულო გვამები გაცოცხლდნენ და ფეხზე დადგნენ.

— ჩვენ სხვადასხვა გზა გვაქვს, — ეუბნება ჯიგიტი ყმაწვილს, — წაიღე ეს ორი ბროწეული ჩემგან სახსოვრად.

ყმაწვილი ჭიდან ამოიყვანეს. ბიჭი თავის თავგადასავალს მოუყვა ქარავნის კაცებს. ვაჭრებს ძალიან გაუკვირდათ. მისცეს ბიჭს წყლის ამოღების გასამრჯელოდ ჩამოსული ოქროთი სავსე ქისები. ქარავანი უნდა დაძრულიყო, რომ უდაბნოს მოპირდაპირე მხრიდან სხვა ქარავანი გამოჩნდა, წყალს მოწყურებულები უდაბნოში ხეტიალითა და ხვატით.

— წყალი გაგვიყავით, — შეეხვეწნენ ახალი მოსულები იქ მყოფებს.

— ამ ჭიდან ახლა ყველას შეუძლია წყლის ამოღება, — უთხრა ყმაწვილმა.

მოსულ ვაჭრებს ამის დაჯერება არ უნდოდათ. ამათაც მისცეს ყმაწვილს ოქროთი სავსე ქისები და შეეხვეწნენ, წყალი ამოგვიღეო. მათხოვარი ყმაწვილი ახლა მათხოვარი უკვე აღარ იყო, ბლომად ოქრო და ის

ორი ბროწეული ჩააბარა შესანახად უფროსს და სთხოვა, ჩემს დედასა და ცოლს წაუღეო.

ქარავან-ბაში, ქარავნის უფროსი, მივიდა ბიჭის ოჯახში, პატიოსნად მიუტანა და გადასცა ფულიცა და ბროწეულებიც. მანამდე ორმა ღარიბმა ქალმა სტუმრის გამასპინძლება ინდომა. ხანის ქალმა ბროწეული გაჭრა და ნახა, ბროწეული მარცვლის მაგიერ, მარგალიტებით იყო გამოჭედილი.

ახლა, როცა ოჯახში ოქრო და მარგალიტი ბლომად ჰქონდათ, ხანის ქალმა ყველაზე კარგი ექიმი მოძებნა და დედამთილს მოუყვანა. ამის შემდეგ სასახლის აშენებაც მოინდომა, თანაც ისეთის, რომ იმისი მსგავსი არავის არსად არაფერი ენახა. ერთი ქვა თუ ვერცხლის დაიდებოდა, მეორე ოქროსი უნდა ყოფილიყო. სასახლე მამის სასახლის წინ მთაზე წამოჭიმა. ხანმა ხალხი გაგზავნა, გაიგეთ ამ დიდებულ სახლს ვინ აშენებსო. მიდიოდნენ და ამბავი კი ვერ მიჰქონდათ, რადგან ვერ გებულობდნენ.

გაიდა ერთი წელი, სამიც. დაბრუნდა შინ ყმაწვილი, უკან ქარავანი მოჰყვება. დედა და ცოლი შეეგებნენ. შინ მიიყვანეს. ყმაწვილს უკვირს, ეს ჩვენი სახლის გზა არ არის, ჩვენი გამოქვაბული იქითაააო.

ყმაწვილმა მანამდე მთელი ქვეყანა მოიარა და სიმდიდრეც ბევრი დაუგროვდა. ამის შემდეგ დედა-შვილმა და რძალმა დაიწყეს ერთად ცხოვრება ტკბილად და მდიდრულად.

გავიდა დრო და ცოლმა ქმარს სთხოვა:

— მოდი, მამაჩემი დავპატიჟოთ!

ყმაწვილი საჩუქრებით მივიდა ხანთან. ცოლმა წინადაწინ გააფრთხილა:

— იცოდე, მოკლე გზით და მალე დაბრუნდი შინ. მამაჩემი იტყვის, ხვალ მოვალო და იმ დღესვე, უმალ აქ გაჩნდება.

სტუმარს ცოლ-ქმარი სასახლის წინ დახვდა, ფეხქვეშ ხალიჩა უგიათ. ხანმა შვილი ვერ იცნო, რადგან ქალს სახეზე თხელი ქსოვილი ეფარა.

— ასეთი სიმდიდრე როგორ შეიძინეო? — უკვირდა და ათვალიერებდა ხანი სასახლეს.

— მოწყალების გამცემს მუცელი შიმშილით არ უბუყბუყებსო, — მისივე სიტყვები შეუბრუნა და უპასუხა ხანს შვილმა.

— მეც ჩემი შვილი სულ მაგას ჩამჩიჩინებდაო, — ამოიოხრა მამამ, — და ამიტომ, ცხელ გულზე, გლახას გავაყოლე და ორივე შინიდან გავაგდე. ნეტა, ახლა სად არის და როგორ არის?

ქალმა სახიდან პირბადე გადაიგდო და მამას ყველაფერი უამბო. გაიხარა ხანმა. დიდი ქორწილი გადაუხადა შვილსა და სიძეს. მეც იქ ვიყავი, ვსვამდი, ვცეკვავდი. შინ საჩუქრები გამომატანეს. ქორწილი შვიდი დღე და შვიდი ღამე გაგრძელდა. შინ რომ ვბრუნდებოდი, ჩემს ვირს ფეხი

ელრძო, ტიკიდან ღვინო ბოლო წვეთამდე გადაიღვარა. ცხვრის ბარკალიც მომქონდა და მშიერმა ძაღლებმა შემიჭამეს. მხოლოდ ერთი მარგალიტის მარცვალი გადარჩა. ესეც თქვენი ფეშქაში იყოს, გამომართვით — აი, სულ ესაა ის, რაც ვნახე და მოგიყევით.

მშვენიერი ფერია

უძველეს დროში, ინდუსტანში, ქალაქ ჰამადანში ზღვის ნაპირას ღარიბი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ტალღებისაგან გამორიყული ნავების ფიცრებს აგროვებდნენ და შეშად ჰყიდნენ, თავი ასე გაჰქონდათ.

მარტო სიღარიბე არა წყვეტდათ წელში. სხვა დიდი დარდი ჰქონდა ცოლ-ქმარს, ამდენი ხანია შვილი ვერა და ვერ ეყოლათ.

ერთხელაც, როცა კაცი ზღვის ტალღების გამოტანილ ნავების ფიცრებს აგროვებდა, ნაპირზე ქალთევზა მოცურდა: თავი ქალისა ჰქონდა, ტანი — თევზის. ღარიბს დაელაპარაკა:

— გინდა, ისე ვქნა, რომ ვაჟი გეყოლოს? მაგრამ, რომ გაიზრდება, მის ბედს შენ არ გადაწყვეტ. თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ და ძალიანაც მიხარია, — იყვირა კაცმა.

კაცი, ოღონდ შვილი ჰყოლოდა, ყველაფერზე თანახმა იყო, ეშინოდა კერა უშვილძიროდ არ ჩაქრობოდა. გავიდა დრო. ამ კაცის ცოლმა ლამაზი, ჯანმრთელი ვაჟი გააჩინა. ბიჭი გაიზარდა, დავაჟკაცდა. ახლა მამის მაგიერ ის აგროვებდა შეშას ზღვის ნაპირზე. ერთხელაც ნაპირზე ქალთევზა გამოცურდა და ვაჟს უთხრა:

— დროა შენ ბედზე ვიზრუნო, შენთვის საცოლე შევარჩიე. ნაპირ-ნაპირ იარე ზღვის კიდეზე და წინ მაღალი კლდის ძირას შენს საბედოს ნახავ.

ყმაწვილმა დაუჯერა. წავიდა იქით, საითაც ქალთევზამ უთხრა. მართლაც ნახა, მაღალ კლდესთან თეთრი მტრედი მიფრენილიყო. მტრედმა ყმაწვილი ვერ შენიშნა. მიწაზე დაეშვა და ულამაზეს გოგოდ გადაიქცა. ტანთ გაიხადა და ზღვაში გადაეშვა. სანამ ქალი ცურავდა, ვაჟი მიიპარა და ტანსაცმელი მოპარა. ახალგაზრდა ქალმა შენიშნა და ნაპირზე მიცურა:

— კეთილო კაცო, მე შენ არ გიცნობ, დამიბრუნე კაბა! — შეეხვეწა, — მამაჩემთან ასე როგორ მივიდე?

ყმაწვილმა, როგორც ნახა ის გოგო, მაშინვე შეუყვარდა. ტანსაცმლის მიცემას კი არ ჩქარობდა.

— მინდა, ცოლად გამომყვე და უარი არ მითხრა. უარს თუ მეტყვი, კაბას არ დაგიბრუნებ.

გოგოსაც შეუყვარდა ვაჟი და დათანხმდა. ბიჭმა კაბა გადაუგდო და პირისახე უკან მიიბრუნა.

— სად შეგხვდე? — ჰკითხა ყმაწვილმა.

— ამ კლდესთან მოდი, ამ საღამოს. კლდე გაიღება და მიწის ქვეშ გზა გაიხსნება. ქვევით, ბოლო მესამე კარს გააღებ და მეც იქ დაგხვდები, — უთხრა, მტრედად გადაიქცა და გაფრინდა.

ვაჟი ისე მოიქცა, როგორც ქალმა დაარიგა. მიწისქვეშ ჩავიდა, ოქროს ფარდა გადასწია და ის კარი გააღო, რომლის უკანაც მზეთუნახავი ელოდებოდა. გოგო ბიჭს მოეხვია და უთხრა:

— მე ფერია* ვარ, ზღვათა მეფის ქალი. ზღვები და მიწისქვეშეთი მამაჩემს ემორჩილება. ჩვენ ექვსნი დანი ვართ. მამამ საქმროების არჩევანი ჩვენ მოგვანდო. მიდი მასთან, თავი დაუკარი და ჩემი ხელი სთხოვე.

ვაჟი ზღვათა მეფესთან მივიდა.

— თანახმა ვარ, ქალი მოგათხოვო, — უთხრა მეფემ, — ოღონდ მინდა გამოგცადო, მარჯვე ხარ თუ არა. აი, პირველი საქმე ეს იქნება: ეს მინდორი ერთ ღამეში კიდეც უნდა მოხნა, კიდეც დათესო და ხორბლის მოსავალიც აიღო.

დაღონდა ვაჟი. ერთ ღამეში მოსავალი როგორ უნდა აეღო?! მივიდა მშვენიერ ფერიასთან.

— ეგ შენ არ იდარდო! — დაამშვიდა ფერიამ, — დები, ყველანი, მოგეხმარებით.

გაიღვიძა ვაჟმა და ხედავს, მის გვერდით აღებული ყანა ძნებად არის შეკრული და ბეღელში დაბინავებული. ადგა, მივიდა ზღვათა მეფესთან და მოახსენა: ასეა და ასეო, შენი დავალება შესრულებულია, მოდი, თუ გინდა და ნახეო. მეფეს მოეწონა გაკეთებული სამუშაო და ბიჭი შეაქო.

— ყოჩაღ. ახლა ისე, რომ ძნები არ დაშალო, დაფქვი მარცვალი და დააბინავე!

ყმაწვილმა თავად მოიფიქრა, რაც უნდა ეთქვა:

— მომეცი ოცდაათი ათასი თაგვი. მომეხმარებიან მარცვლის არჩევაში.

მეფეს ბიჭის პასუხი მოეწონა:

— კარგი, — დაიძახა მან, — ახლა ბოლო დავალებასაც მოგცემ. ერთ ღამეში ჩემი სახლის გარშემო ათასი ეჟვანი დაკიდე, რომ მათმა წკრიალმა დილით გამაღვიძოს.

— დავკიდებ ეჟვნებს, — დაპირდა ყმაწვილი, — ოღონდ სამი ათასი ჭრიჭინა მომეცი.

ეს პასუხიც მოეწონა მეფეს. კარგი სასიძო მეყოლება, საზრიანი და გონიერიო. დანიშნა ქორწილის დღე, დაპატიჟა ხალხი. სუფრას ჩიტის რძე

არ აკლდა. ცოლ-ქმარი ტკბილად ცხოვრობდა, მაგრამ ფერია გრძნობდა, რომ მის ქმარს რაღაც აწუხებდა. გამოკითხა. ვაჟი გამოუტყდა, დედ-მამა მენატრება და მათი ნახვა მინდაო. მეფის ქალი ჩაფიქრდა:

— მამაჩემი თავისი სამეფოდან გარეთ, ნათელ ქვეყანაში არავის უშვებს. მაგრამ, რახან წასვლა ასე ძალიან გინდა, მეც გამოგყვები, ერთად წავიდეთ.

დაუძახა ფერიამ თავის მოსამსახურეებს და დაავალა:

— როცა სასაუზმოდ დილით დამიძახებენ, უთხარით ჩემს მაგიერ; „ვწევარ და ჯერ არ ავმდგარვარ“. მეორედ რომ მოვლენ, უთხარით „იცვამსო“.

ღამით ფერია ქმართან ერთად მიწისქვეშა გზით ნათელი ქვეყნისკენ გაემართა.

დილით ზღვათა მეფემ შვილს საუზმეზე დაუძახა.

— ჯერ ისევ ვწევარ, — უპასუხა შვილის მაგიერ მოსამსახურემ.

ელოდა მეფე შვილს, შვილი არ მივიდა. გაგზავნა დასაძახებლად კიდევ ერთხელ მსახურნი.

— ვდგები, — ისევ შვილის მაგიერ უპასუხა მოსამსახურემ.

ისევ ელოდა მამა, ისევ არ მივიდა შვილი, ისევ გაგზავნა მსახურები მის დასაძახებლად.

— ვიცვამო, — ფერიას ნაცვლად უპასუხა მესამე მოსამსახურემ.

დიდხანს და ტყუილად ელოდებოდა მეფე შვილს, მიხვდა, რომ შვილი სიძესთან ერთად გაიპარებოდა ქვეყნიდან. აიღო ჯადოსნური სარკე, ჩაიხედა შიგ, დაინახა, ისინი ნათელ ქვეყანაში ჯერ არ გასულიყვნენ.

მეფემ მდევარი დაადევნა.

ნახა ფერიამ მდევრები, მეფის მსახურები, ვაჟს უთხრა:

— მე მეჩეთად* ვიქცევი, შენ — მოლად!*

აღიმართა მეჩეთი იმ ადგილას, სადაც იდგნენ; მეჩეთში იდგა მოლა და ყურანს კითხულობდა.

შევარდნენ მეფის მსახურები მეჩეთში და მოლას ეკითხებიან:

— მოლა, მეფის ქალი და მისი ქმარი ხომ არ გინახავს?

— როგორ არა ვნახე, — ეუბნება მოლა, — სულ ახლახან იმ მთაზე გადავიდნენ.

მოტყუებული მდევრები გაეკიდნენ და, რა თქმა უნდა, უკან ხელცარიელი დაბრუნდნენ.

— გზად ვის შეხვდით? — ჰკითხა მდევრებს ზღვათა მეფემ.

— მოლა შეგვხვდა მეჩეთში, — უპასუხეს მსახურებმა.

— ეხ, თქვე დოყლაპიებო! — გაბრაზდა მეფე, — ახლავე ვეზირს დაუძახეთ.

მეფე და ვეზირი გაეკიდნენ ქალ-ვაჟს. ფერიამ უკან მიიხედა. ხედავს, მამა სადაცაა დაეწევა.

— შენ ქაშაყად* იქეცი, — უთხრა ქალმა ქმარს, — მე ტბად ვიქცევი.

იმ ადგილას ტბა გაჩნდა და ალივლივდა. ტბაში ქაშაყი ცურავს.

მეფეს წყალში ქაშაყის დასაჭერად ჩახტომა უნდა, მაგრამ, როგორც ტბისკენ წავა, ტბა განზე იწევს და შორდება, ქაშაყიც მასთან ერთად მიცურავს, ხელში არ უვარდება.

დაიღალა ზღვათა მეფე, არაქათი გაუწყდა. ჩაიქნია ხელი და უკან დაბრუნდა.

ფერიამ და ვაჟმა გზა გააგრძელეს. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ვინ იცის, მაგრამ ბიჭი ბოლოს დედ-მამასთან, როგორც იქნა, მივიდა. მშობლები სიხარულით ცას ეწიენ. თავიანთ ვაჟს ქორწილი გადაუხადეს. მეც იმ ქორწილში მოვილხინე. გამომატანეს სამი ლოყაწითელი ვაშლი. ერთი მე შევჭამე, მეორე — იმას მივეცი, ვინც ზღაპარს უსმინა, მესამე — იმას, ვისაც ეს ზღაპარი დაამახსოვრდება.

ბაცულაი და კაცულაი

იყო და არა იყო რა. იყო ქვრივი ქალი ბაცულაი და ზრდიდა სამ ობოლ გოგოს.

ერთხელ წისქვილში ხორბლის დასაფქველად უნდა წასულიყო და შვილებს დაუბარა:

— ჩვენს აულს ბებერი ჯადოქარი კაცულაი შეეჩვია. დადის თავის ძაღლით და პატარა ბავშვებს იპარავს. კარი მაგრად ჩარაზეთ და არავის გაუღოთ. მე ხმაზე მიცნობთ და მხოლოდ მე გამიღეთ. ორ სიტყვას გეტყვით და მიხვდებით: მე ვარ, ბაცულაი.

ამ დროს ჯადოქარი კაცულაი ძაღლთან ერთად კუთხეში იდგა და ბაცულაის ნათქვამი გაიგო.

შემოიგდო დედამ მხარზე ტომარა და წისქვილში ხორბალი წაიღო დასაფქვავად. ჯადოქარი ფრთხილად მიუახლოვდა კარს და დედის ხმით შესძახა ბაცულაის შვილებს:

— თქვენთან კაცულაი ხომ არ მოსულა, შვილებო! მალე გამიღეთ კარი! მე თქვენი დედა ბაცულაი ვარ.

ბავშვებმა დაიჯერეს. უფროსმა გოგომ კართან მიირბინა, გააღო, კაცულაის ძაღლი ეცა და გაიტაცა.

მალე დაბრუნდა დედა. ხედავს, უფროსი გოგო არ არის. დიდხანს

ეძება საწყალმა ბაცულაიმ შვილი, მთელი აული შემოიარა, მაღალ მთებზე ავიდა, ჩავიდა ღრმა ხევ-ხუვებში, შვილის კვალს ვერსად მიაგნო.

გავიდა ერთი, ორი თუ სამი თვე, ბაცულაიმ ბაზარში წასვლა დააპირა. ნართი უნდა გაეყიდა და მარილი ეყიდა.

— ფრთხილად, შვილებო, კარი არავის გაუღოთ! — მხოლოდ მე გამიღეთ, როცა გეტყვით, მე დედა ბაცულაი ვარ.

ბავშვები შეჰპირდნენ დედას, რომ კარს არავის გაუღებდნენ. დედა წავიდა. როგორც კი თვალს მოეფარა, კაცულაი მაშინვე იქ გაჩნდა და დედის ხმით უთხრა:

— შვილებო, კაცულაის ხომ არ გამოუვლია? კარი გამიღეთ. მე დედათქვენი ბაცულაი ვარ.

ახლა შუათანა გოგომ გაუღო კარი, კაცულაის ძაღლი ეცა და გაიტაცა.

დედა ბაზრიდან დაბრუნდა. უმცროსი შვილი დახვდა შინ ატირებული. დიდხანს ეძება დედამ შვილი, აული ორჯერ შემოიარა. ავიდა მაღალ მთებზე, ჩავიდა ღრმა უფსკრულებში, ეძახა, ეძება, გზა-კვალს ვერსად მიაგნო.

დადგა ზამთარი. დედა ტყეში შეშის მოსატანად უნდა წასულიყო. შინ მარტო უმცროსი შვილი დატოვა. მკაცრად გააფრთხილა დედამ შვილი:

— იცოდე, არამც და არამც, შვილო, კარი არავის გაუღო. რომ დავბრუნდები გეტყვი: „მე ბუცალაი ვარ“, და მაშინ გააღეო.

საღამოს შინ დაბრუნდა დედა, თან ფიჩხის კონა მოიტანა. ხედავს, კარი გაფრიალებულია, შინ კი არავინაა. სამჯერ შემოიარა მთელი აული. მაღალ მთებზე ავიდა, ღრმა ხევ-ხუვებში ჩავიდა, ვერსად მიაგნო, სულ ტყუილად დაიღალა.

მთებში მოხუცი განდეგილი შეხვდა:

— აქ რამ მოგიყვანა? — ჰკითხა მოხუცმა, — აქ მოსვლას ვერავინ ბედავს.

ბაცულაი ატირდა:

— აქ ჩემმა უბედურებამ მომიყვანა. კაცულაიმ შვილები...

— კაცულაი თავისი ძაღლით ხშირად ნადირობს ამ მხარეს... აქვე კლდით გადაფარულ ხეობაში ცხოვრობს. ის კლდეც ჯადოსნურია. იტყვის და გაიღება, როგორც კარი. უბრძანებს და ჩაიკეტება.

განდეგილმა ბაცულაი ახლო მთაზე აიყვანა და იქიდან ჯადოსნური კლდე აჩვენა, სადაც კაციჭამია კაცულაი ცხოვრობდა.

ქალმა დიდი მადლობა გადაუხადა და უნდა წასულიყო, რომ განდეგილმა შეაჩერა:

— ეს ჯერ კიდევ ყველაფერიარ არის. ახლა ყური დამიგდე. მალე კაცულაი ნადირობიდან დაბრუნდება, უკან მალულად აედევნე და შეჰყევი, როცა კლდე გაიღება. შიგ ნურაფრის გეშინია, კაცულაიცა და მისი ქოფა-

კიც უცებ დაეცემიან და დაიძინებენ. დახოცილებივით იქნებიან სამ დღესა და სამ ღამეს. ამ დროში შენც ჩადი სარდაფებში, გახსენი კარები, დამწყვდეული ბავშვები გამოუშვი და იქიდან თავქუდმოგლეჯით გაიქეცით.

განდეგილმა დოქით ირმის რძე მისცა, ასევე დანასავით მჭრელი კვრინჩხის ტოტი. ბაცულაიმ მადლობა ისევ გადაუხადა მოხუცს და ჯადოსნური კლდისკენ გაემართა. მივიდა და დაიმალა. მალე ქარბორბალა დატრიალდა, ხის კენწეროები ძირს, მიწამდე დაიხარა. ქარის ზმუილს ძაღლის ყეფა მოჰყვა და გამოჩნდა ძაღლზე უკუღმა შემჯდარი კაციჭამია კაცულაი. თან ხურჯინებით ბავშვები მოჰყავდა. კლდეს მიუახლოვდა, გააჩერა ძაღლი, იყვირა ჯადოსნური სიტყვა: „ხალთ!“ და კლდე კარივით გაიღო, შეუშვა შიგ ძაღლიცა და პატრონიც, მათთან ერთად ადევნებული ბაცულაიც. უმალვე შეიკრა კლდე და ბაცულაის კაბის კალთა მოიყოლა. ქალმა კაბის კალთას მოხუცის ნაჩუქარი ბასრი ტოტი დაუსვა, ჩამოჭრა და გათავისუფლდა. მიიხედ-მოიხედა და ხედავს, ჯადოქრის სახლის წინ დგას. სახლი უზარმაზარ ლოდშია გამოკვეთილი. კარზე ჯადოქრის შვიდი ჯურღმულის შვიდი გასაღები ჰკიდია. ბაცულაი დაიმალა, სანამ კაცულაიმ და მისმა ქოფაკმა ხმამაღალი ხვრინვა არ ამოუშვეს. მერე ეცა ჯურღმულებს, დახსნა კარები, გამოუშვა ყველა დამწყვდეული ბავშვი. მათ შორის თავისი სამი გოგონაც მოძებნა. ჩაეხუტა, დაკოცნა, მოეფერა, იტირა. ყველაზე პატარები ბაცულაიმ ხურჯინში ჩასვა, მხარზე გადაიგდო, უფროსებს კი ხელი ხელს ჩააკიდებინა და მომყევითო, — უთხრა. გაიქცნენ. კლდის პირას ბაცულაიმ ხმამაღლა დაიძახა; „ხალთ!“ კლდე გადაიხსნა, ყველა გამოვიდა და კლდეც ჩაიკეტა.

მორბის ბაცულაი ჩქარა, როგორც შეუძლია. გაიხედა ბაცულაის უფროსმა გოგომ, ხედავს კაცულაი და მისი ქოფაკი მოსდევენ. საწყალ დედას მძიმე ხურჯინებით სირბილი უჭირს.

— ჩქარა, ჩქარა, დედიკო, სადაცაა ჯადოქარი დაგვეწევა.

უკან ბაცულაის შუათანამაც მიიხედა, ხედავს, სადაცაა ჯადოქარი ხელში ჩაიგდებს.

— ჩქარა, ჩქარა, გაიქეცი, დედი! — შეეხვეწა დედას, — ჯადოქარი ძალიან ახლოსაა.

უკან მიიხედა უმცროსმა, ხედავს, ჯადოქარი კბილებს აჭრიალებს: „ერთიანად გადაგსანსლავთო!“

— დედა, ძვირფასო, ჯადოქარი ახლა ყველას შეგვჭამს, — ატირდა ბავშვი.

ბაცულაიმ მარჯვენა ხელი წაავლო მჭრელ ტოტს, მოისროლა უკან დ თქვა:

— ასეთი მჭრელი კლდე აღიმართოს ჩვენს შორის!

მჭრელი კლდე მართლა აღიმართა. მირბის ბაცულაი, რაც ძალი და ღონე აქვს. დაღრღნა ძაღლმა მჭრელი კლდეები.

უკან მიიხედა ბაცულაიმ. ხედავს, კაციჭამია ქალი, სადაცაა დაეწევათ. ისროლა განდეგილის მიცემული ტოტის ნაჭერი უკან და დაიძახა:

— ჩვენ შორის ჯაგი და ეკალი გაჩნდეს.

ჯაგ-ეკალი მოედო მათ შორის მანძილს.

კაცულაიმ და მისმა ქოფაკმა კაფეს და დაღრღნეს ეკალ-ბარდი, ისევ დაეწივნენ.

რა ქნან ამათ, საცოდავებმა?! ძალა გამოეცალათ, ბაცულაის უჭირს ხურჯინების თრევა. ველარ გარბის. ისევ გაიხედა უკან. ისევ ჯადოქარი და მისი ქოფაკი მოსდევენ. მათი ხმაც ახლოდან ისმის. ახლა ირმის რძით სავსე ქილას წაავლო ხელი და უკან მოისროლა, თან დაიძახა:

— ჩვენს შორის რძის ტბა გაჩნდეს!

გაჩნდა ზურგს უკან ტბა. ტბის გაღმა კაციჭამია კაცულაი და მისი ქოფაკი დარჩნენ. ჯადოქარ ქალს ცურვა არ შეეძლო. იფიქრა, ტბას შევხვრიპავო, მიადგნენ ძაღლი და ჯადოქარი ტბას ხვრიპეს, ხვრიპეს და იმდენი ხვრიპეს, რომ მუცლები რუმბებივით დაებერათ და გაუსკდათ, გასკდომის ხმა ჭექასავით გაისმა მთებში.

ბაცულაიმაც და ბავშვებმაც დალიეს რძე. ცურავდნენ რძიან ტბაში და უხაროდათ. იქ კარგად დაისვენეს და შინისკენ მშვიდად გასწიეს.

კაცულაისგან გათავისუფლებული ბავშვები ბაცულაიმ მშობლებს ჩამოურიგა. მოკიდა თავის სამ გოგონას ხელი, მიიყვანა შინ და ასე ტკბილად და მშვიდად გაატარეს ცხოვრება.

ხალხმა აქო და ადიდა ბაცულაი ამ გმირობისათვის და ეს ზღაპარიც მათი ნათქვამია.

იზაგურის ქოში

იჯდა მწყერი ბალახში, მთაში, მინდორზე, თავის ბუდეში და ბარტყები დაჩეკა. ყველა ჭრელი. მაგრამ გველი გადაეკიდა ბუდეს. იქვე ბალახებში გარშემო დასრიალებს, საწყალმა მწყერმა მოსვენება დაკარგა.

მივიდა მეზობელ კაჭკაჭთან, შესჩივლა. კაჭკაჭი იქვე, ახლოს ტყეში ცხოვრობდა.

— კაჭკაჭო, კაჭკაჭო, მიშველე რამე, ღორმუცელა გველი ბარტყებს მიჭამს. მითხარი რამე, რა ვქნა, შენ ხომ ძალიან ჭკვიანი ხარ!

— ყველაზე ძალიან მე მეშინია მაგ წყეულების, — გამოუტყდა ფრინველი, — მაგრამ, მოდი, მე მთელი ხმით თავზე დავჭყივლებ, ეგებ შეშინდეს და გაშორდეს იქაურობას.

— წავალ, მელიას ვკითხავ რჩევას.

მიფრინდა კაჭკაჭი მელიასთან.

— შენი ეშმაკობის გუდაში გველის მოსაშორებელი წამალი ხომ არ გექნება? — ჰკითხა.

დიდხანს ქექა იმ გუდაში მელამ, ეძება, ეძება და იპოვა.

— ვიპოვე, — დაიძახა. — ჩქარა ყვავთან მიფრინდი. ყვავს ყველაფერი შეუძლია, — კაჭკაჭმა დაუჯერა.

— მოპაროს იმან იზაგურის ოქროს ქოში და ზევიდან იმ ქვაზე დააგდოს, რომლის ქვეშაც გველი ცხოვრობს, — უთხრა ყვავმა.

ასეც მოიქცნენ. გადაწყვიტეს, როცა იზაგური გარეთ დაწვებოდა და დაისვენებდა, მოსტაცებდნენ ოქროს ქოშს და იმ ქვაზე დააგდებდნენ, გველი თავს რომ აფარებდა. როცა იზაგურმა ოქროს ქოშები გაიხადა, ყვავი ეცა, მოსტაცა ცალი და აფრინდა. სასახლეში დაცვამ განგაში ატეხა:

— ძვირფასი ქოში მოიპარეს! დაიჭირეთ ქურდი!

ყვავი შორს გაფრინდა და ვიღა დაეწეოდა.

ყვავი იმ ქვასთან მიფრინდა, რომლის ქვეშაც გველი ცხოვრობდა და ზევიდან იმ ქვას ქოში ესროლა. სასახლის დაცვა სახურავიდან თვალს ადევნებდა ყვავს, დაინახეს, ქოში ყვავმა სადაც დააგდო და იმ მხარეს მიაწყდნენ. სანამ მივიდნენ ქვასთან, მელა იქვე იყო დამალული, მიცუნცულდა, მოიპარა ქოში და ბუნაგში გადამალა.

ჯარი იმ ქვასთან მივიდა. ნახეს, ქოში არ იყო და ყველა ქვა მიყარ-მოყარეს ქოშის ძებნაში. ქოში ვერსად ნახეს. ერთ-ერთი ქვის ქვეშ მოკეცილ გველს წააწყდნენ და თავი წააგდებინეს.

ამბობენ, დღესაც იმ ქვასთან მიდიან მოხუცები და ძვირფას ქოშს ეძებენ, ეგებ ვინმეს ბედმა გაუღიმოს და იზაგურის ოქროს ქოში აპოვნინოს!

მოდი, ეს ქოში მელიის ბუნაგში მივატოვოთ და მწყერს მივუბრუნდეთ. მწყერმა დაზარდა ბარტყები. ჩვენც მადლობა ვუთხრათ ეშმაკობის გუდას!

სულელი მგელი

ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა საღამო დგებოდა, მშიერი მგელი ტყეტყე დადიოდა, გზაში ვირს შეხვდა.

— ვირო, — ეუბნება მგელი, — უნდა შეგჭამო.

— ეი, შენ, ძმაო, სულელი ხომ არ ხარ? — გაუკვირდა ვირს, — ჩემი ხორცი მშიერ კუჭზე უნდა იჭამოს, საღამოს ვირის ხორცის ჭამა მოგკლავს. თუ სიკვდილი არ გინდა, ჩემს ხორცს ჯერ ნუ შეჭამ. ახლა გამიშვი, მოგიტან ლოგინს, დაწვები, დაიძინებ, დილით ადრე გაგეღვიძება და ჩემი ხორცი წამლად შეგერგება. მანამდე კი — საწამლავია.

— ყოჩაღ! — დაიძახა მგელმა, — ძალიან ჭკვიანურად მოიქეცი. წადი მალე და მოიტანე ლოგინი. მე აქ დაგელოდები.

გაიქცა ვირი შინისკენ, ბაგასთან და იქიდან, რა თქმა უნდა, უკან დაბრუნება არ უფიქრია. მგელი ელოდა დიდხანს, სანამ ძალიან არ დაღამდა და მერე მიხვდა, ვირმა რომ მოატყუა. გაბრაზებული, შიმშილით ძალაგამოცლილი მგელი გალასლასდა.

— ვფიცავ, — აღმუვლდა, — გზაში რაც არ უნდა შემხვდეს, — ცოცხლად გადავყლაპავ.

დილით ადრე გზაზე ციკანს გადაეყარა;

— ო, ციკანო, — წამოიძახა მგელმა, — მე შენ ახლავე შეგჭამ.

— მე შენ ვერსად გაგექცევი, — მორჩილად მიუგო ციკანმა, — ჩემს ხორცს რა გემო უნდა ჩაატანო, როცა სიმწარე და სიცხარე არა აქვს. უგემური და უსიამოვნო საჭმელი იქნება. მიბრძანე, წავიდე შინ და ნიორი და ცხარე საწებელა მოგიტანო.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა მგელი, — გამიგია, ციკნის ხორცი მხოლოდ ცხარე საწებლით იჭმევა. კარგი ქენი, რომ გამახსენე. აბა, შენ იცი, წადი და მალე დაბრუნდი!

ელოდა, ელოდა მგელი ციკანს და სულ ამაოდ. მიხვდა, რომ მოატყუა. მერედა რამ, ისიც ციკანმა. შიმშილზე მეტად სირცხვილი აწუხებდა და კბილებს აკრაჭუნებდა.

ვირმაც ხომ მომატყუა, რა თქმა უნდა, — ფიქრობდა მგელი, — მაგრამ ვირი მაინც ვირია, ციკანი ხომ არ არის. მეტს იწონის, უფრო სერიოზულია, ციკანი კი, ვაი, სირცხვილო, ციკანს როგორ უნდა მოვეტყუებინე?! ამის შემდეგ ჭკვიანურად უნდა მოვიქცე, ფრთხილად უნდა ვიყო. უფრო ჭკვიანურად უნდა მოვიქცე!

ასე აბოდებდა და თავისთვის ბუტბუტებდა მგელი ტყე-ტყე ხეტიალში და ზღვის ნაპირს მიადგა. აქ კამეჩი შემოხვდა. იწვა კამეჩი ტალახიან დიდ გუბეში.

— კამეჩო, აბა, სიცოცხლეს გამოეთხოვე! ისე მშია, ახლავე უნდა შეგჭამო.

— ჰმ-მ-მ, მე შენ ჭკვიანი მეგონე! — ზანტად აზმუვლდა კამეჩი. — შენზე სულელი მხეცი, ეტყობა, მთელ ტყეში არ მოიძებნება.

— მე რა, ჭუჭყიანს მიპირებ შეჭმას? შენს ალაგას, ვიტყოდი, წადი, კამეჩო, შედი ზღვაში, ეგ ტალახი ჩამოირეცხე, მერე მოდი და შეგჭამო. ეს შენი საქციელი ჭკვიანური იქნებოდა.

— მართალი ხარ, — დაიძახა მგელმა, — წადი, იბანავე, ტალახი ჩამოირეცხე. იცოდე, წყალში დიდხანს არ იყო! ძალიან მშია.

— მაგის დარდი ნუ გექნება, — უთხრა კამეჩმა და ზღვისკენ გაემართა.

მგელი ზღვის ნაპირზე დიდხანს იჯდა. კამეჩმა კი გაცურა, გაცურა და გაცურა, შორს წავიდა და დაიკარგა.

— ეჰეი, კამეჩო! — დაუძახა გაბრაზებულმა მგელმა, — გეყოფა ბანაობა, ხომ არ დაგავიწყდა, მშია და გელოდები!

— ეგრე იყავი მთელი შენი დღე და მოსწრება იმის იმედად, რომ მოვიდე და შემჭამ. შენისთანა სულელს როგორ შევეჭმევინები?!

მგელი სიბრაზისაგან მთლად გადაირია. მიხვდა, რომ ნანადირევი ამჯერადაც დაკარგა.

— დაბრუნდი აქ! — წრიალებდა და ხტოდა მგელი. ტალღა ფეხებში ეტყლაშუნებოდა. — შენ რა, მართლა გამექეცი?!

— არა, გეხუმრე! — დასცინა კამეჩმა.

გაშორდა და გაეცალა კამეჩი მგლის ხახას. დარჩა კუდამოძუებული მგელი, მშიერი, მისიკვდილებული, ძლივს მიათრევს ფეხებს, რის ვაი-ვაგლახით ტყეში შევიდა და ბალახზე მიეგდო. უცებ დაინახა, რომ იქვე, ახლოს მინდორში ცხენი ძოვს.

— ჰოო, ძვირფასო, შენ კი ხელიდან ვერ დამისხლტები, — ჯერ კიდევ რაც ძალა შერჩენოდა, მოიკრიბა და ეცა.

— მგელო, ამოილუღლუღა ცხენმა, — იცი, შენ მე ვერაფერს დაგაკლებ, რაც არის, არის, შემჭამე. მაგრამ ერთი თხოვნა გეხვეწები, შემისრულე. მამაჩემმა ანდერძი დამიტოვა.

— რა ანდერძი?! — აღრიალდა მგელი, — მშია, რას მიედ-მოედები?!

— მამაჩემმა ანდერძი დამიტოვა, — უთხრა ცხენმა, — ისე არ მოკვდე, შენი წლოვანება რომ არ იცოდეო. უკანა ფეხის ჩლიქებზე ჩემი დაბადების დღე და წელიწადია ამოჭრილი. ნახე და მითხარი, მერე რაც გინდა ის მიყავი.

— კარგი, ამ თხოვნას შეგისრულებ, მაჩვენე ეგ შენი ჩლიქი თუ ნალი, — ცხენის სურვილის შესრულება მოინდომა მგელმა.

ყარა ცხენმა ტლინკი და ამ საცოდავ მგელს სული გააფრთხობინა.

ძველად, ავზალას* დროს ნართების დიდი და ძლიერი ტომი ცხოვრობდა. ისინი ტანმაღლები და მამაცები იყვნენ. ცხოვრობდნენ კავკასიის მთა-ველებზე. უცხო იყო მათთვის თვალთმაქცობა და ბოროტება, დღეს რომ სჩვევიათ ადამიანებს. მთაში ცხოვრების მძიმე ბუნებრივი პირობებით გაკაჟებულნი, ბრძოლებში თავგანწირულნი და უშიშარნი, გამოირჩეოდნენ მეგობრის ერთგულებით, კაცთმოყვარეობით, უყვარდათ მშობლიური მიწა. ყველაზე მეტად თაყვანს სცემდნენ ღმერთ ბალს და, ამასთანავე, ცეცხლის ღმერთს ცჲუს. ცეცხლის ღმერთმა შრომისა და თავისუფლების სიყვარულისთვის მათ ცეცხლოვანი ხმალი გადასცა საჩუქრად. ამ ხმლის ერთი მოქნევით უამრავი მტერი იხოცებოდა.

ერთხელ ნართებს მრავალრიცხოვანი შავი ტომი დაესხა თავს. ისინი მეტად საზარელნი იყვნენ (ლაკები საზარელ მტერს შავ ტომს ეძახიან, ლაკურად „ლუხი“, „დუშმან“). ნართებმა მტერი ბლომად გაჟლიტეს, მაგრამ მაინც მარცხდებოდნენ, რადგან მტერი მრავალი იყო. დაღლილ-დაქანცული ნართები თავიანთ ღმერთებს შეევედრნენ, დაგვიცავიო. ღმერთებმა ურჩიეს ნართებს, შავი მტრის წინააღმდეგ ცეცხლოვანი ხმალი (პარანდარან თურ) აღმართეთო. ამ ხმლით ნართებმა მრავალი მტერი მოსრეს, გაწყვიტეს. დაღვარეს მათი სისხლი — არა წითელი, არამედ შავი. მტერი იხევდა უკან, გაურბოდა ცეცხლოვან ხმალს დასავლეთისკენ, ზღვის ნაპირამდე. ცეცხლოვანი ხმალი ცელავდა ყველას. ზღვას შავი სისხლის ფერი დიდხანს არ გაშორებია, ამიტომაც დაარქვეს „შავი ზღვა“, რათა გაერჩიათ იგი „მწვანე ზღვისაგან“ (ლაკები კასპიის ზღვას „მწვანე ზღვას ეძახიან). ცეცხლოვანი ხმალი დიდხანს ინახებოდა ციხესიმაგრე გურდას (ლაკები ამ ხმალს „გურდა თურ“-ს ეძახიან) გოდოლში.

მწვანე ზღვის ჩრდილოეთით კასპიის ტომი ცხოვრობდა. მათ ზღვის ღმერთი ხხირი მფარველობდა. კასპები და ნართები მეგობრობდნენ. კასპებმა ნართებს მზაკვრობით მოსტაცეს ცეცხლოვანი ხმალი. ამის შემდეგ მათ შორის ომი გაჩაღდა. იმ ომში ბევრნი დაიხოცნენ. ნართები განდევნეს ზევით, სულ ზევით, მთებისკენ, შეავიწროვეს. ბოლო ბრძოლის დროს ნართებმა თავიანთ ღმერთებს სთხოვეს, არწივებად გვაქციე, რომ ცაში ავიჭრათო. ღმერთებმა თხოვნა შეუსრულეს და, ამის შემდეგ ნართები არწივებად იქცნენ.

მზე-ღმერთი

21 მარტის ღამედან 22 მარტის დილამდე ლაკები გაზაფხულს (ახალ წელს) ეგებებოდნენ. მაღლობებზე კოცონები ენთოთ, ენთო კოცონი სახლების ბანზე. ცეცხლი ეკიდა მთის ფერდობებს. კოცონს ზედ ახტებოდნენ, თან ამას იძახდნენ: „ჩემი ავადმყოფობა ცეცხლში ჩაიწვას“, „ცეცხლის ძალა მექნეს მე!“, „ამ წელს ხვავი და ბარაქა მოეტანოს!“ ამზადებდნენ სარიტუალო კერძებს; კურუნკუსს, ბარტას და სხვას. უძველეს დროში ყმაწვილები, როგორც კი ჩაინავლებდა ცეცხლი, შინ ბრუნდებოდნენ, თბილად იცვამდნენ, ცხენებზე შესხდებოდნენ და აულიდან სადმე შორს მიდიოდნენ. როგორც კი მზის სხივი ამობრწყინდებოდა, მასთან ერთად შინ ბრუნდებოდნენ. პირველ მისულებს მშიშრებს ეძახდნენ, ხოლო ვინც ბოლოს მივიდოდა (ამას აქსაკალები უთვალთვალებდნენ და ამოწმებდნენ) საკუთარი ცხენი და თავისი თავი მსხვერპლად უნდა მიეტანა მზისათვის. იტყოდნენ აქსაკალები, რომ ეს ყმაწვილი ბოლო მოვიდა და დიდი თაფით, სიჩქარით წამოსული ცხენ-კაცი ღრმა ხევში გადაეშვებოდნენ. ღმერთს ასე აამებდნენ, რომ მას ხვავი გამოემეტებინა, ებოძებინა. იმას კი, ვინც სხვების კეთილდღეობას ეწირებოდა, აქებდნენ სახოტბო სიმღერებით.

არინი და ბარხ-ხუ

პნარბაკუს (პნარბაკ ტუ) მთის მწვერვალზე, თოვლის სასახლეში ცხოვრობდა თოვლის ლამაზმანი ფერია. ფერია ორ ნართს ჰყვარებია. ერთს ბარხ-ხუ ერქვა, მეორეს — არინი. თოვლის ლამაზმანს ასე დაებარებინა: „ყოველ დილით ვხედავ, მზე ზღვის მიღმიდან როგორ ამოდის. რომელი თქვენგანიც ზღვას ჩემი მთის ფერხთით გააჩენს, ჩემი რჩეული ის იქნება. მინდა ვტკბებოდე, ჩემი ზღვის მიღმა მზის ამოსვლითო“.

ნართები ფერიის უმძიმესი დავალების შესრულებას შეუდგნენ. ბარხ-ხუმ გადაწყვიტა ზღვისათვის ქვაბული ამოეთხარა და მომავალი ზღვის ნაპირები შეექმნა. მიწა რომ მოთხარა, იმ ადგილიდან ამოიზიდა მთა ვაცულუ, ამ მთას წმინდა მთად მიიჩნევენ. არუს ჩარექებით ზღვიდან ქვიშა ამოჰქონდა და კუმტურკალის კედლების ძირში ყრიდა, რომ მერე იქიდან მთაში წაეღო. ამ ქვიშისაგან აღიმართა ქვიშის მთა-სარი-კუმი. ბარხ-ხუმ ქვაბული ამოთხარა და ზღვისაკენ წავიდა მარილიანი წყლის მოსატანად. მუხლამდე წყალში შევიდა, ტიკების ავსება დაიწყო. არინმა ნახა, ბარხ-ხუ

მჯობნის საქმეშიო. ფერიაც ხედავდა, როგორ მარჯვედ და გულმოდგინედ მუშაობდა ბარხ-ხუ, ამიტომ გადაწყვიტა უპირატესობა მისთვის მიენიჭებინა. გაბოროტებულმა არინმა რომ ნახა, ბარხ-ხუ უკვე წყალს აგროვებს მომავალი ზღვისთვის, მოზიდა მშვილდი და ზღვაში ჩამდგარი მოწინააღმდეგე ისრით განგმირა. ფერია შეესწრო არინის მზაკვრულ საქციელს და ატირდა. ცხარე ტირილითა და ცრემლის ღვრით დადნა ფერია და ამის შემდეგ შეიქმნა მდინარე კაზი-კუმუხის კოისუ. ამ მდინარემ ცუდახარას ქედი შეანგრია და ზღვას შეუერთდა.

ასე შეხვდნენ ერთმანეთს შეყვარებულები. ხალხისგან მზაკვრობისათვის დაწყევლილი არინი კლდე-ღრე, მთის მწვერვალებზე დაყიალობს და დაეძებს დაკარგულ თოვლის ლამაზმანს.

თვალებით ბრმა უბედურია, გულით ბრმა
— უბედურზე უბედურიო.
ვისაც ძაღლის პატრონი უყვარს, იმის ძაღლს
ძვალს მიუგდებსო.
ვალი — ცეცხლის მომდები პერანგია.
თუ კაცი ხარ, იარაღი რად გინდა და თუ კაცი არა ხარ,
იარაღი რად გინდა?
აგვიანებს, ვინცა ჩქარობს (მოჩქარეს დაუგვიანდესო).
ჭკვიანი ვაჟის დედა არ ტირისო.
მდიდარო, თავს ნუ იქებ, ღარიბო, გულს ნუ გაიტეხ!
იმასა სტკივა, ვისაც მოხვდა.
თავი იყოს, ფაფახი მოიძებნებაო.
აქლემი ზურგით ატარებს, თაგვი კი ფლანგავსო.
ქურდი ხანს უგებსო.
ძმას ძმისა არც სიკვდილი უნდა და არც დაწინაურებაო.
თუ ქორწილის ამბავს ვერ გავიგებ, განქორწინებისას
ხომ შევიტყობო.
მუცელს მხოლოდ ერთი არ უყვარს — დანაო.
ათასი მეგობარი ცოტაა, ერთი მტერი კი — მეტისმეტიო.
აძლევენ — იღებენ და პოულობენ — იღებენო.
ცხენს არ კაზმავენ, სანამ ვირს ქანცს არ გაუწყვეტენო.
კატების ქორწილი თაგვების სიკვდილიაო.
შეყვარებულია ლამაზი, თუ შეყვარებულობაა ლამაზი?
სადამდეც კურდღელი მოკურცხლავს, იქამდე ბაყაყიც
მიაღწევს ხტუნვითაო.
ყველაზე კარგი წინადადება — პირველიაო.
ბატონს კეთილი იმდენადვე არ უნდა, რამდენადაც კეთილს
უნდა ბატონიო.
როგორც არ უნდა დასუქდნენ, ძაღლსა და ვირს
არ დაკლავენო.
უსიყვარულო ოჯახი ფესვებგამხმარი ხე არისო.
მეზობლის ქათამი ბატივით მსუქანიაო.
ციცხვმა იცის, როგორია ქოთნის ძირიო.

ჩუმჩუმელა კატამაო დიდი ბოღჩა დაითრიაო.
რაც რომ მშიშარამ დაკარგა, უშიშარმა იპოვაო.
ვისაც გული მართლა სტკივა, მართალ სიტყვას ის იტყვისო.
ნატვრა ფლავს არ მოგიხარშავს, ფლავს ბრინჯი და ერბო უნდაო.
ვისაც ფაფახი ახურავს, თავი დიდი ჰგონიაო.
მგელს ცხვრის ფარა არა ჰყავსო.
მახათს მუშტს დაჰკრავ და ხელი ისევ შენ გეტკინებაო.
სხვისი ხელით ჭინჭრის კრეფა ადვილიაო.

პოეზია

საწესჩვეულებო

ათარ,* ათარ, ღმერთო, დიდებულო,
მოგვფინე შენი თბილი სხივები,
ქალები ჩვენი დაგვიზარდე,
ძროხის ცური რძით იყოს გატიკნილი,
ცხვარი მატყლიანი მოგვეც,
მატყლი — ყვავილისფერი,
ღამით წვიმა მოდიოდეს,
დღისით მზე ანათებდეს,
დიდებულო ათარ, ამოდი,
შენი სხივები მოგვაფრქვიე!

* * *

ცეცხლი მოგვეცი, სხივები მოგვაფრქვიე, ალფან!*
ალფანი ჩვენი სულია, ჩვენი ლომი.
მზის სხივები გამოგვიგზავნე,
ხვავრიელი მოსავალი მოგვივიდეს,
ხოდაბუნები არ დაგვიგვალვო,
უბედურება თავიდან აგვაცილე,
მიწა ნიადაგ დაარწყულე,
პირუტყვს ბალახს ნუ მოაკლებ,
ხორცი მსუქანი გვქონდეს,
პური — კარგად აფუებული,
კოდი ხორბლით იყოს სავსე,
ყოველ სახლში მახარობელი მოდიოდეს,
იქიდან დოლის ხმა გამოდიოდეს,
ერთ დიდ ცხვარს გიზრდით,
დაგიკლავთ და შემოგწირავთ!

* * *

ვინც ჩვენ სიხარულის სულს შთაგვბერავს —გენია!*
ღმერთი, ჩვენი სული, კრავი თვინიერი.
ნანგრევებად აქცევს სასახლეებს,
თუკი განრისხდება!
ნუ აზანზარდები ნურასოდეს,
ზიანს ნუ მოგვაყენებ ნურასოდეს,
მიწას ცის ნამი არ გამოულიო,
პირუტყვს ბალახი არ გამოულიო,
ხორცი ნოყიერი არ გამოგვილიო,
პური მაწიერი არ გამოგვილიო,
კოდ-საბძელში ხორბალი არ გამოგვილიო,
ცხვარ-ძროხა, ცხენი არ გამოგვილიო,
ყოველ სახლს მახარობელი არ გამოულიო,
იქიდან დოლის ხმა გამოდიოდეს,
დიდ ხარს გაგიზრდით და გაგისუქებთ,
დაგიკლავთ და შემოგწირავთ!

* * *

ვინც ჩვენ სიცოცხლეს, სულს შთაგვბერავს —თარია!*
ჩვენი თარი, მზის ფრინველი.
მოსავალი გაგვიმრავლე,
კოდ-საბძელი არ დაგვიცარიელდეს,
გვალვა გვაშორე სამუდამოდ,
უბედურება თავიდან აგვაცილე,
დაე, მიწას ნამი არ მოაკლდეს,
საქონლისთვის მოგვეც ველ-მინდორი,
მსუყე ხორცს ნუ მოგვაკლებ,
პური ფუოდეს და მაწიერი იყოს,
კოდ-საბძელი სავსე მოგვეცი,
ყოველ ოჯახს მახარობელი არ გამოელიოს,
დოლის ხმა ყველგან გაისმოდეს,
ერთ დიდ ცხვარს გაგისუქებთ,
დაგიკლავთ და შემოგწირავთ!

* * *

წყლის პატრონო, სულო ჩვენო, თავარ,*
სიცოცხლის მომნიჭებელო ყვავილო, თავარ!
ხვავრიელი მოსავლი მოგვეც ჩვენ,
საქონელი მსუქანი დაგვიდიოდეს,
დღისით წვიმას ნუ გამოგვიგზავნი,
ჩვენს სახლ-კარს ზიანს ნუ მიაყენებ,
დედამიწას ნამს ნუ მოაკლებ,
მინდვრები მწვანედ ბიბინებდეს,
ხორცი მსუყე მოგვეც,
პური — მაწიერი,
კოდ-საბძელი სავსე იყოს მუდამ,
სახლში მაჭანკალი მოდიოდეს,
სახლიდან სიმღერის ხმა გამოდიოდეს
ბატკანს დაგიკლავთ და შემოგწირავთ!

მზე რომ ამოვიდეს

ეი, თოჯინა, თოჯინა, წითელო თოჯინა, *
თოჯინა ჩავიდა, ამოდი, თბილო მზევ!
მზე და მთვარე — ჩვენ,
ღრუბელი და ქარი — ჩვენგან შორს!
ამინ! — ვუთხრათ ღმერთს,
ღმერთმა გვისმინოს!

ეი, თოჯინა, თოჯინა, წითელო თოჯინა,
თოჯინა ჩავიდა, ამოდი, თბილო მზევ!
თბილი მზე გულებს გვიხარებს,
ყვითელი მარცვალი — ხორბლის თავთავში,
ღამე — წვიმისთვის,
დღე — მზისთვის,
ამინ! დაე, ამოვიდეს მზე!

ოთახი — სტუმრისათვის!
ჩვენი საპატარძლოები ხარობდნენ!

ცხენებს — მდიდრული უნაგირი!
ძროხის ცური — რძით გატიკნილი!
ცხვრის ყველს ერბო სდიოდეს!
ცხვარი — ხშირმატყლიანი!
მატყლი — ყვავილისფერი!
ღამით — წვიმა!
დღისით — მზე!
ამინ! მზე ამოვიდეს!
კეთილი კაცის სახლში მზე შემოვიდეს!
ხარბი კაცის სახლში ყვავი შეფრინდეს!

გაზაფხულის დადგომისას მღერიან

დადგა დიდებული გაზაფხული,
ვიდღეობოთ გაზაფხულის დადგომა.
გალღვა თოვლი და ყინული,
წყლით აივსო მდინარე და ნაკადული,
ირგვლივ ვარდები ყვავიან,
ცაში ფრენენ მერცხლები და მტრედები,
რა მშვენიერი დროა — გაზაფხული!

სატრფიალო

მაღალი მთები

დამწყები:
ამაღლდით, მთებო მაღალო,
მთების ძირს წყალი მიედინება,
ჰეი, თქვენ, მთებო მაღალო!
იწვება ალუბლის ბაღი,
დღეს სატრფო მტოვებს და მიდის.
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!
გუნდი:
ჰეი, თქვენ, მთებო მაღალო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

ჰეი, თქვენ, მთებო მაღალო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

დამწყები:
ცივი არი წყაროს წყალი,
სცივა ფოთოლს წყაროს წყალში,
ჰეი, თქვენ, მთებო მაღალო!
მე ღვთის რჩეული ვარ,
დედამ მიმცა გულისწორსა!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

გუნდი:
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

დამწყები:
ცისქვეშეთში, ქვეყანაზე,
ჩემი ბედის არი ვინმე?
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ნახე იქით, აქეთ ნახე,
საყვარელთან არის ვინმე?
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

გუნდი:
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

დამწყები:
შენ ოცნების საგანი ხარ,
საყვარელო, შენ მიყვარხარ,
ჰეი თქვენ, მაღალო მთებო!
ვერ ვუყურებ მე შენს ტანჯვას,
მირჩევნიხარ მთელ ქვეყანას,
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

გუნდი:
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!
ჰეი, თქვენ, მაღალო მთებო!
ჰეი, თქვენ, ტურფა ბაღებო!

* * *

ერთ ბაღში ორი ვარდი ყვავილობს,
ერთი მათგანი მე ვარ, საყვარელო!
მთელ დუნიაზე მხოლოდ შენ ერთი,
არსებობ ჩემთვის, ჩემო საყვარელო!

* * *

მთის ძირში თოვლის ნამქერი
წყლად იქცეს, წყალმა წაიღოს.
მეზობლის ბიჭო, ვაშლივით
ხელებში ჩამგორებოდე!

* * *

თუ ამოჰყვები მაღალ მთის კალთებს,
ნახავ: მდელოზე ჩუხჩუხებს წყარო.
შემომხედავ და ვხალისობ თითქოს,
სულში ჩამხედავ? წუხილი მიპყრობს.

* * *

ცად მიმოფანტულ ვარსკვლავებს შორის,
ვინ გამოარჩევს საკუთარ ვარსკვლავს?
ცარგუთელ* ლამაზ გოგოებს შორის
ვინ ამოარჩევს თავის გულისწორს?

* * *

საყვარელო, ოთახისთვის,
მე ხალს გიქსოვ საოცარსა.
შენი ტრფობით თუ დავიწვი,
ხომ მასხურებ წყაროს წყალსა?

* * *

ბაღია თვალთუნახავი,
ვარდნი გაშლილან ნეტარად.
პირზე რძე არ შემშრობია,
ავგულ კაცს მიმცეს ნეტა რად?

* * *

შავ ბაღში განა უბერავს ქარი?
შავ ბაღში აღარ ქრიან ქარები.
მე თუ არ მიყვარს, რად მინდა ქმარი,
ძალით მიმცემენ? გავეპარები!

* * *

ამქვეყნად ერთი სიმდიდრე არი,
მხოლოდ სიყვარულს მე ვუერთგულე.
ნუ დაახანებ და მიპასუხე:
გიყვარვარ? — მაშინ შენად მიგულე!

* * *

მთის წვერზე ხუთი აივანია,
აივნებს შორის დაქრის ტაროსი.
მინდა ხუთი დღე ამ დუნიაზე
ჩემს გულისწორთან რომ გავატარო.

* * *

მითხარ, ლამაზო, ვისი ხარ,
ლოყაზე გიჩანს ხალიო.
წითლად მოგიჩანს თავშალი,
ნეტავ მას, ვისიც ხარიო.

* * *

ქუჩაში მოდის ქერემი,*
სიმღერ-სიმღერით მოდის.
ასლი* კი ისევ ქვითინებს:
„ქერემ, ვიწვები ტრფობით.“

* * *

სამოთხის ბაღში დაუჭერიათ,
ოქროს ფრინველი დაუჭერიათ.
უსიყვარულოდ დაურჩენიათ,
ქერემ, არც მე ვარ უკეთეს დღეში!

* * *

მე სასიმღეროდ ნუღარ გამიწვევთ,
ვიდრემდის გული სევდით ივსება.
ვეღარ ჩადგება გული საგულეს,
ვიდრე სატრფო არ დამიბრუნდება.

* * *

მთის წვერზე ფეხი როგორ შემოვდგა,
თუ ზურგის ქარი არ აქარდება?
წყეულ სოფელში როგორ დავბრუნდე,
თუ გულისწორი იქ არ დამხვდება?

* * *

იქ, მთებში ერთი ცივი წყარო დის,
ამ წყაროს შესმა აკრძალულია.
გოგონა გულში ოცნებას მალავს,
რაც სიკვდილამდე დაფარულია.

* * *

ალუბლის ყვავილი წყალში ჩავარდა,
ჩავარდა, უმალ ქარმა დაჰქროლა.
ეს ნაზი გული შენს ფერხთ დავარდა,
შენ კი შორს დგახარ იალბუზივით.*

* * *

თოვლივით თეთრი კბილნი უელავს,
მხარზე შეუდგამს სპილენძის თუნგი.
წელს კი უმშვენებს ვერცხლის ქამარი
და ვარდყვავილობს ლამაზი ქალი.

* * *

დილის ვარსკვლავი სახლში აინთო,
დილის ვარსკვლავი სახლში გვეწვია.
სატრფოსაც გული აჩქროლებია,
წითლდება, როგორც თურაშაული.

* * *

წვიმის წყალი ზღვის მადას ვერ დააცხრობს,
ზღვაში თევზი ცურავს მარტო, ეულად.
თვალში, აბა, ცრემლის ზღვა ვინ დააშროს,
საწყალ გოგოს სატრფომ ვერ უერთგულა.

* * *

საშინელია ორი რამ —
სატრფოს რომ ველარ ხვდებოდე.
მეორე — სიჭაბუკეში,
სიცოცხლეს გაეყრებოდე!

* * *

ცივი არი წყაროს წყალი,
შესვამ, ბიჭოვ, ამ ცივ წყალსა?
იმ წყაროსთან რომ მოვიდე,
შემინახავ ხვაშიადსა?

* * *

მინდორში პური დამწიფდა,
გასალეწია ყანაო,
ბიჭმა გოგონას შეჰფიცა
და წაიყვანა თანაო.

* * *

მიყვარხარ, შენაც გიყვარვარ,
მორწყული არი ყანაო,
მე გულს არ გატკენ ლამაზო,
მეზობლის კარგო ქალაო.

* * *

მწყემსის ბიჭო, მომახურე
ეგ ნაბადი დაქარგული.
შენს გულისწორს ათხოვებენ
თვალთაგან მდის ნაკადული.

* * *

კარგო, ერთად ყოფნის დღენი,
განქარდნენ და ნისლად იქცნენ,
მე თუ აღარ ვიქენ შენი,
მაშინ მტკვრად და მიწად ვიქცე!

* * *

დადგა ტურფა გაზაფხული,
ზღვას ზვირთები ევლებიან.
რა ვქნა, თუკი მე დღეს შენთან,
საუბარი მნებებია!

* * *

ეგებ დასტოვო სოფელი,
ჩემს სოფლად წამოხვიდეო!
ცოტა ხანს ჩემთან იყავი,
ეს გული დამიმშვიდეო!

* * *

მესმის, ჩონგური წკრიალებს,
ჩონგურს მხარს უბამს თარიო,
ეს ჩვენი სიყვარული კი,
იქნება ეგრე მყარიო?

* * *

მინდა ცას კიბე მივადგა,
რომ ვისაუბრო ღმერთთანა,
ჩიტივით ფრთები შემესხას,
გავფრინდე ერთადერთთანა!

სამაჭანკლო სიმღერა

— გამარჯობათ, მასპინძლებო, მასპინძლებო!
— გაგიმარჯოთ, მაჭანკლებო, მაჭანკლებო!
— თქვენთან მოვედით, მასპინძლებო, მასპინძლებო!
— თქვენ რა გნებავთ, მაჭანკლებო, მაჭანკლებო?
— ახლგზრდა ქალი გვინდა, მასპინძლებო, მასპინძლებო!
— თანახმა ვართ, მაჭანკლებო, მაჭანკლებო!
— რას აფსებთ, მასპინძლებო, მასპინძლებო?
— ხუთას მანეთს, მაჭანკლებო, მაჭანკლებო!
— თანახმა ვართ, მასპინძლებო, მასპინძლებო!
როდის გვიბარებთ, მასპინძლებო, მასპინძლებო?
— ორშაბათს და ხუთშაბათს, მაჭანკლებო, მაჭანკლებო!
დაგვანახეთ, ჩვენი სიძე, მაჭანკლებო, მაჭანკლებო!
— საფიხვნოზე დაინახავთ, მასპინძლებო, მასპინძლებო!
— რა ჰქვია მას, მაჭანკლებო, მაჭანკლებო?
— მირზაბეკი, მასპინძლებო, მასპინძლებო!

აძაგებენ პატარძალს

—ქაჩალია (პატარძალი), მაჭანკლებო, მაჭანკლებო,
—თანახმა ვართ, მასპინძლებო, მასპინძლებო.
—კოჭლი არი (პატარძალი), მაჭანკლებო, მაჭანკლებო,
—თანახმა ვართ, მასპინძლებო, მასპინძლებო.
—ცალთვალაა (პატარძალი), მაჭანკლებო, მაჭანკლებო,
—თანახმა ვართ, მასპინძლებო, მასპინძლებო.
—უქნარაა (პატარძალი), მაჭანკლებო, მაჭანკლებო,
—თანახმა ვართ, მასპინძლებო, მასპინძლებო.

საქმროს ულოცავენ

შვიდი ციდან და დედამიწიდან,
ჩვენს „თავადს" (სიძეს) ხმა მოაწვდინეს

ხუთას მანეთად ნაყიდ ქაღალდზე:
თავადს თავადის ქალი მოჰგვარეს!
შორით მოსულა დღეს პატარძალი,
ბედნიერ იყოს მაღალ მთაზედა!
ტახტზე მჯდომ სიძეს ვულოცავთ
ცოლის მოყვანას, იბედნიერეთ!

პატარძალს ულოცავენ

შენი საწოლი, რბილი საწოლი,
ლოგინი იყოს რბილად გაშლილი!
დაგბადებოდეს შვიდი ვაჟკაცი
და უნაბივით გოგო გეყოლოს!

შენი საწოლი, რბილი საწოლი,
ლოგინი იყოს რბილად გაშლილი!
შემოსხდომოდნენ კერას ვაჟები,
კარს უკან — ბევრი ქალამანები!
დაგბადებოდეს მხოლოდ ვაჟები!
გექსოვოს მხოლოდ ხალ-ფარდაგები!
შენი საწოლი, რბილი საწოლი,
ლოგინი იყოს რბილად გაშლილი
და ქმარს სიკვდიმდე შეჰბერებოდე!

როდესაც საპატარძლოს საქორწილოდ რთავენ
სახუმარო

ო, ქალიშვილო, შენს წასაყვანად მოვიდნენ,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
დაღონებულან შენი მეგობრები,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
ო, ღმერთო, მიჰყავთ ჩვენი ქალი,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
შენ ჩვენ გული მოგვიკალი,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,

ისინი უკვე ქედზე გადმოდგნენ,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
მოდიან მტრები ქალის წასაყვანად,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
სკივრზე ახალი მონეტა დევს,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
მოვა გოგონას ბატონი,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
ჭაბუკი მალე მოვა,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
მშვენიერ სახლში წაიყვანს,
ლი—ლა, ლი—ლა—ლი,
სახლს თბილი მზე დაჰნათის,
გოგონას თვალებში ცრემლი კიაფობს.
ცრემლად ნუ იღვრები, ჯეირან-ხანუმ,
ჩვენი ბედიც ეს ყოფილა, ძვირფასო ხანუმ!

როცა პატარძალი საქმროს სახლს უახლოვდება

მოვიდა ქალი ლამაზი,
აბასის მეჯლისზე მოვიდა,
სახლში დიდი ოთახია,
ოთახი ფანჯრიანია.
გამოაღეთ ფანჯარა —
ვაჟკაცს პატარძალსა ჰგვრიან.

როცა პატარძალი გამოსვლას აგვიანებს

სიძის მაყრები:
ცხენს უნაგირი ადგია,
დროა გამოვიდეს პატარძალი!
დაგემტვრეთ ყველა ჯამ-ჭურჭელი,
მაჭანკლების სინსილა გაწყდეს!

პატარძლის მაყრები:
ოთახში შუაცეცხლს შეშას უკეთებენ—
კვამლით გაიბოლოს შენი ოთახი!
ერთი ფარჩის კაბა მოგეტანათ!
ასეთი მაყრების სინსილა გაწყდეს!

სიძის მაყრები:
გამოიყვანეთ, ქალი გამოიყვანეთ,
მაჭანკლებს გამოსტაცეთ პატარძალი!

პატარძლის მაყრები:
სპილენძის სამაჯურები მოუტანიათ,
ბებრუხანები გამოუგზავნიათ!

კინკლაობა მთავრდება სიმღერით:

პატარძლის მაყრები:
თეთრი მონეტები ღილებად ავუსხით,
ჩვენი გოგონა თქვენთვის გვიჩუქნია!
ტანსაცმელი ჩაიცვი ოქრომკედით ნაქარგი!
ბედნიერი იყავი, ჩვენო გოგონა!

სიძის მაყრები:
აი, ამ ცხენზე შევსვამთ პატარძალს,
კარგად იყავით, მაჭანკლებო!

ნუ ტირი, ნუ ტირი, სულიკო, შავთვალებავ

დამწყები: მაჭანკლები მოდიან და მოდიან,
პატარძალს თავბრუ ეხვევა.

გუნდი: ნუ ტირი, ნუ ტირი, შავთვალებავ,
პატარძლის ბედი ეს ყოფილა, შავთვალებავ.

დამწყები: ენგე* მანდილს ჩამოაფარებს,
მამა ქალიშვილს აცილებს.

გუნდი: ნუ ტირი, ნუ ტირი, შავთვალებავ,
პატარძლის ბედი ეს ყოფილა, შავთვალებავ.

დამწყები: პატარძალი ცხენზე ჯდება,
მალე საქმროს სახლში წაიყვანენ.

გუნდი: ნუ ტირი, ნუ ტირი, შავთვალებავ,
პატარძლის ბედი ეს ყოფილა, შავთვალებავ.

დამწყები: საქმრო დაბღვერილი ბრუნდება,
პატარძალს ჩუმ-ჩუმად ეღიმება.

გუნდი: ნუ ტირი, ნუ ტირი, შავთვალებავ,
პატარძლის ბედი ეს ყოფილა, შავთვალებავ.

დამწყები: საქმროს ხელში ჯოხი უჭირავს,
პატარძალი იცრემლება, ცახცახებს.

გუნდი: ნუ ტირი, ნუ ტირი, სულიკო, შავთვალებავ,
პატარძლის ბედი ეს ყოფილა, შავთვალებავ.

საყოფაცხოვრებო სიმღერები

* * *

ხალიჩას ვქსოვდით, ფარდაგსა,
სარკმელს შუქ ადგა მზისაო.
გავიხედე და — მიმზერდა,
თვალები შავარდნისაო.

* * *

ყანა აქვს ხელისგულისოდენა,
ბეგვით დადის გაქსუებული.
დღეს ერთი უყვარს, ხვალე — მეორე,
უქნარაა და მუქთამჭამელი.

* * *

მაღალ მთაზედა გოგო მკის,
მარჯვედა ხმარობს ცელსაო,
ხელქარიანი ყოფილა,
ცოლად მოვიყვან წელსაო.

* * *

მაღალ მთაზედა ცელს იქნევ,
მეც თავს ვდებ ცელის პირსაო.
სად მიხვალ, რად მემალები,
ნაყოფო სამოთხისაო.

* * *

დღეს ახტინის ბაზრობაზე,
ქმარი ქართულ ჩექმებს კერავს.
ჩემს თავსაც კი ვანაცვალებ,
ოჯახის თავს და მარჩენალს.

სატრფომ მუშტი მომიქნია,
გასკდა გული, როგორც ბუშტი.
შენამც ტყვია დაგწეოდეს,
როგორ მომიღერე მუშტი?

* * *

შვიდ ბაღჩა-ბაღს ხელით ვრწყავდი,
ერთი ვარდის გულისთვინა,
უცხო კაცზე მათხოვებენ,
ხუთას მანეთ ფულისთვინა.

* * *

ბაღში ბალახი თუ არა ხარობს,
ხახვი ეთესოს ისა სჯობია!
უსიყვარულოდ კაცთან ცხოვრებას,
სატრფოს საფლავში წოლა სჯობია!

* * *

ცხვრის ფარაში ერთი რუხი თხა დარბის,
ეს რუხი თხა არ დატოვოთ ფარაში,
კრაველის ქუდს მე რას ვაქნევ, ძვირფასო,
არ დამტოვო უცხო ხალხთან ამ სახლში.

* * *

ვაშლი მტყორცნე, შევარდენი აფრინდა,
შევარდენმა გადუქროლა მთა და ველს,
დედავ, უცხოს ცოლად რად გამაყოლე,
შენი სიძე გაწყალდეს და გაღვარდეს!

* * *

კალათაში აბრეშუმის ნაჭი დევს,
მე დღეიდან აღარ მოვქსოვ ხალიჩას,
ბედმა რატომ გადამყარა სულელ ქმარს
დღე და ღამე ცრემლი მცვივა თვალიდან.

* * *

ხელსახოცი ჩაუბღუჯავს გოგონას,
საწყალს თვალზე ცრემლი აღარ აშრება.
ამ სოფელში დარჩა შეყვარებული,
სხვა სოფელში წაიყვანეს მაყრებმა.

* * *

ცაცხვის ხეზე ბუდე არი,
აგერ, მტრედი ამოფრინდა.
უგერგილო ქმართან ერთად,
მე ცხოვრება რად მიღირდა.

სიმღერები შარვილზე

შარვილის* მოსვლა გიარში
სიმღერა

გილოცავთ ამ სიხარულს,
სიხარულს, ხალხო!
დღეს გიარის მიწაზე
მხიარულობენ, ცეკვავენ.
მითხარი ერთი, რა ამბავია,
ეს რა ნათელი მოგვფენია?
შორს იყოს ჩვენგან მწუხარება,
სიხარულში განვლიოთ დღენი!
ვლხინობთ, ვიცინით დღეცა და ღამეც,
დღეცა და ღამეც ნათელი გვადგას,
დღეს ჩვენთან ჩვენი შარვილია,
ბედნიერნი ვართ მისი ნახვით!

როგორ გაათავისუფლა შარვილიმ გიარელები* გეენებისგან
სიმღერა

ჩვენო შარვილ, ჩვენი გოლიათი,
მამაცურად გვიცავდა შავცხვირა გეენებისგან.
ძვირად დაგიჯდა შენ ეს გამარჯვება,
ვიტანჯებოდით ამ მტარვალთაგან.
შინიდან ვერ გამოვდიოდით,
დაღამდებოდა და კართან გვდარაჯობდნენ,

დღისით-მზისით თავს გვესხმოდნენ,
შიშით ქუჩაში ვერ გაგვევლო,
შეყარე ხალხი, მარტოხელები,
ტყვედ რომ იქცნენ საკუთარ სახლში.
მადლობას გიძღვნით ჩვენს მამაც შვილს,
ჩვენი ჭირი რომ გაიზიარე.
ტანჯულთ მხარში ამოდგომა სჭირდებათ.
უპირველესად სიმამაცე გმართებს, იცოდე!

გიარელი ქალების სიმღერა შარვილზე

დამწყები: დაღამდა და ჩამობნელდა ზეცა!
გუნდი: ზეცა, ზეცა ჩამობნელდა!
დამწყები: მიწას თითქოს მზემ მოფინა სხივები.
გუნდი: მზემ მოფინა, მზემ მოფინა სხივები.
დამწყები: შარვილი მოვიდა, ჩვენი მანათობელი.
გუნდი: მანათობელი, ჩვენი მანათობელი.
დამწყები: გილოცავთ, საყვარელო ხალხო.
გუნდი: საყვარელო, საყვარელო ხალხო.
დამწყები: ო, შარვილ, საყვარელო შარვილ.
გუნდი: საყვარელო, საყვარელო გმირო!
დამწყები: მკერდზე ქვეყნის დაგეფრქვიოს ნათელი —,
უკეთესზე უკეთესს, დაგეფრქვიოს ნათელი.
გუნდი: ო, შარვილ, შარვილ,
ბასრი იყოს შენი ხმალი ყველაზე.
დამწყები: მზევ და მთვარევ — დიდებულო ღმერთებო,
დიდებულო ღმერთებო, დაიფარეთ შარვილი,
არ ატკინოთ ალპანელებს გულები,
გულს ნუ გვატკენთ, არ განუდგეთ ღირსეულს.
გუნდი: ო, შარვილ, შარვილ,
ბასრი იყოს შენი ხმალი ყველაზე.
დამწყები: მიწავ, ცაო, ტბებო, მდინარეებო,
მოგვინდია თქვენთვის ჩვენი შარვილი.
მთელ ქვეყანას მოედო ჩვენი სევდა, ვარამი,
ჩვენი გული დარდისგან, საგულედან ვარდება.
გუნდი: ო, შარვილ, შარვილ,

ბასრი იყოს შენი ხმალი ყველაზე.
დამწყები: გამოესხას მას შენი
ფრთები, ცხენო მარალი!*
ზურგს კი შენ გაუმაგრებ,
შენ, ერთგულო თარალი!*

შარვილის დატირება

წებელდის გორაზე ხეები შფოთავენ,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
მდინარის ფსკერზე ქვიშანი ჩხრიალებენ,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
ციდან სეტყვასავით ისრები მოშხუიან,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
მიწას შუბებივით ესობიან,
ვაიმე, შარვილ, გულითქმავ დედის!
დიდრონი ქვები მტრის მანჯალახებიდან
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
ქავ-ციხის კედლებს ეხეთქებიან,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
ციხის გოდოლები უკვე ირღვევიან,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
ქალაქი ტური, შენი საყვარელი ქალაქი,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
იერგიკარი* – იქ, სადაც შენი სასახლე დგას,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
სპარსელებმა მიწასთან გაასწორეს,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
ხალხს აღარა აქვს იმედი გადარჩენის,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
მუხლები მოგკვეთია, გოლიათო,
ვაიმე, შარვილ, გულისთქმავ დედის!
დღეს ღმერთებიც დამწუხრებულან.

ჭაბუკის დატირება

ქოჩორი ძველებურად შუბლზე გაყრია,
ჩოხის კალთებს ნაკეცი არ ატყვია,
ნაბადზე ნამი არ შეგშრობია,
შენი ბედაურის ლაგამს ქაფი არ შეშრობია,
ვაი, შენს დედასა, შვილო!
დადიოდი და მიწა ზანზარებდა,
ყალყზე შემდგარ ცხენს ადვილად იოკებდი,
ჩანთაში პური შემოგრჩენია,
ვაი, შენს დედასა, შვილო!
იმ სოფლად მიდიხარ, გზა რომ არა აქვს,
იმ სახლში შედიხარ, კარი რომ არა აქვს,
ვაი შენს დედასა, შვილო!

დედისგან შვილის დატირება

იქითურ შენისთანა ჯეელებიც არიან.
თუ გკითხეს სააქაოში რა ხდებაო,
— ცა მოღრუბლულია,
გადაუღებლად წვიმს-თქო,
უთხარი!
არც არავინ მინახავს,
არც არავის ვუნახივარ-თქო,
უთხარი!
ვაი, შენს დედასა, შვილო!
სიმართლეს თუ ეტყვი,
სწორ პასუხს გასცემ,
გულები დაეფლითებათ,
ხელებს საფლავის კედლებს შეახეთქებენ,
თავს წამოსწევენ და — სამარის ჭერს შეასკდებიან,
ვაი, შენს დედასა, შვილო!

მწყემსის დატირება

ცა საბნად გექცა,
მიწა — ლოგინად,
სასთუმლად ქვა გედო,
ფეხთ ქალმნები გეცვა,
ხიჭვებს დაესერათ ისინი.
ქალამნები ტალახში ამოგსვროდა.
ოფლად იღვრებოდი მუდამ.
ზურგზე თოფრაკი გეკიდა,
ხელთ კომბალი გეჭირა,
ჩანთაში ხმელა პური გედო,
წყაროსთან ჩაიმუხლებდი და
მუხლიდან ქარს ამოიღებდი,
ვაიმე, მწყემსო!

ყარიბის* სიკვდილი

ფართო, გაყინულ შუბლზე
ხელიც ვეღარ გადაგისვი,
გვერდით ვეღარ მოგიჯექ და
პური ვეღარ გამოგიწოდე,
წყაროს წყალი ვეღარ შესვი,
თვალები დაგაწყდა გზისკენ ყურებით,
მდინარის ხმა გენატრებოდა,
უცხოობაში მოკვდი მარტოსული.
ქაღალდის ნაგლეჯიც ვერ იპოვე
წერილი დაგეწერა,
დედამ ვეღარ მოგაკითხა,
ძმამ ვეღარ მოგაკითხა,
უცხოობაში მოკვდი მარტოსული.

მოხუცის დატირება

ბედნიერი ხარ რომ მოკვდი,
შავ მიწაში წვები,
ასთხუთმეტი წელი იცოცხლე,
მამამთილო!
დაღლილს საბანი გეხურა,
ლოგინში იწექ უფერხორცო,
წამალი აღარ დაგჭირვებია,
საშველად ღმერთი აღარ გიხმია,
მამამთილო!
დაე, შენს კერაზე ცეცხლი გიზგიზებდეს,
საკვამურიდან სქელი კვამლი ამოდიოდეს,
შენი წლები შენს ვაჟს შეემატოს,
მამამთილო!
ჭამდი, ვიდრე კბილი გქონდა,
არ შეგისვენია, ვიდრე მუხლი გიჭრიდა.
სახლში იჯექი და სოფელს პატრონობდი,
სოფელში იყავი და ხალხს პატრონობდი,
სოფლის სიმდიდრე იყავი,
სახლის მარჩენალი იყავი,
მამამთილო!

საქმროს დატირება

სამაჯური და ბეჭედი
თავსაფარში გამოხვეული მიაგდეს სადღაც,
მაყრები, აქეთ მომავალი, გზაში გაჩერდნენ,
საპატარძლო დარჩა ეული,
საქორწინო კაბას ვეღარ ჩაიცმევს.
სამარეში მიდიხარ, ვაი შენს დედას!
სახლი აგიშენებია,
შახს შეშურდება მის ბჭენი,
საცოლე დატოვე, მიწაში წვები.
შენი თოფიდან ბოლი არ ამოვარდნილა,
დოლის დაკვრაზე ბუქი არ დაგიყენებია,
მიწაში წვები, ვაი, შენს დედას!

მამის დატირება

სახლს თუ დედაბოძი მოერყა — ჭერი ჩამოიქცევა,
აგური თუ გამოსძვრა — კედელი ჩამოინგრევა.
სახლისკენ მიმავალი ბილიკი შამბმა დაფარა,
სახლ-კარი თავზე დაგვექცა!
ოჯახის თავკაცო,
მამულის პატრონო,
ოქროს საძირკველო, ქალების მამავ!
ვის დაუტოვე სახლი და კარი?
ვის მოიწვენ საფლავში ნეტავ?
ვის ანაბარა მიგვატოვე,
ვინ გვეყოლება ჩვენ მარჩენალი?
ლუკმა პურისთვის უცხოს მივადგეთ?
სხვის ჩასაცმელზე ჩამოგვწყდეს თვალნი?
ხომ დავქუცმაცდით და მტვრად ვიქეცით?
ლერწმის ტოტივით გადავიმტვრევით.
რად მიგვატოვე, ძვირფასო მამავ?
ოქროს საძირკველო, ქალების მამავ!
ვის დაუტოვე სახლი და კარი?
ვის მოიწვენ საფლავში ნეტავ?
ვის ანაბარა მიგვატოვე,
ვინ გვეყოლება ჩვენ მარჩენალი?
ლუკმა პურისთვის უცხოს მივადგეთ?
სხვის ჩასაცმელზე ჩაგვრჩეს თვალნი?
ხომ დავქუცმაცდით და მტვრად ვიქეცით?
ლერწმის ტოტივით გადავიმტვრევით.
რად მიგვატოვე, ძვირფასო მამავ?

აშუღ აბდულას ნატირლები შვილზე

ჩემი შვილის სამარეზე
ინდის ხურმა ამოსულა,
ქვაზე უდროოდ წასული
შვილის სახელი წერია.

სახლის კარებს შეაღებ და
ისმის მოთქმა და ვაება,
საფლავის ლოდს გადასწევ და
მიწაში წევს ვაჟი-კაცი.

აშუღ აბდულას ყურანი
წყალმა დაანესტიანა,
საცოლისთვის ნაყიდ კაბას
ვერ მოიხდენს ველარავინ.

სასაფლაოსაკენ გზაზე,
ჯოხი ჩემი გაჩონგურდა,
რაღა მეშველება ხალხო,
შვილი აღარა მყავს, ვაჰ მე!

მის საფლავზე რომ მივიდე,
ხმას თუ გამცემს ჩემი შვილი?
სააქაოს ველარ გხედავ,
საიქიოს გნახავ განა?

მიწაში ღრმად დაუმარხავთ
უძვირფასესი სხეული.
ნუ იდარდებ, ჩვენც იქ მოვალთ
იქაც ჩვენი სამშობლოა.

შვილის გვერდით დავიმარხო,
დამეყაროს ლურჯი ქვიშა,
მე სიცოცხლე რაღად მინდა,
გადაგებულს უშვილძიროდ?

სამოთხიდან ჰურიები
ხონჩით ხორაგს მოგართმევენ.
დღე და ღამე მოთქვამს დედა,
ხელთ უპყრია ქუდი შენი.

შარვილი

შარვილი ქალწულ ქალს ეყოლა. ერთ დღეს ეს ქალიშვილი იჯდა და ლოცულობდა, უცებ მუცელი გაეზარდა. მეზობლებმა ეს ამბავი მამას უთხრეს.

— შეუძლებელია! — თქვა მამამ, მერე ქალიშვილს გამოჰკითხა ყველაფერი.

— ვიჯექი და შუადღის ნამაზს* ვასრულებდი, — დაიწყო მოყოლა ქალიშვილმა. — უცებ მომეჩვენა, რომ ჩემს წინ ნიავმა ჩაიქროლა. თუ გინდა დავიფიცებ!

ქალს ვაჟი ეყოლა. ბიჭი დაიბადა თუ არა, მაშინვე წამოდგა. ის დღითი დღე კი არა, საათობით იზრდებოდა. თხუთმეტი წლისა რომ მოიყარა, მონდორში მიდიოდა, კურდღლებს, მელიებს, ჩიტებს და სხვა მხეცებს იჭერდა და ტყიდან უზარმაზარი მორები მოჰქონდა.

ხალხმა მისი მოკვლა დააპირა.

— არ მოვკლავ! — თქვა პაპამ.

სოფლელებმა მაღალ ხიდზე ცერცვის მარცვალი დაყარეს, შარვილს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩააცვეს და ხიდზე გაატარეს. შარვილს მარცვლებზე ფეხი მოუცურდა და მდინარეში გადავარდა.

— ოჰ! — თქვა ხალხმა, — უმიზეზოდ მოვკალით თხუთმეტი წლის ბიჭი!

ღმერთმა მკვლელები სიკვდილით დასაჯა.

როცა შარვილისთვის წესის აგება მოინდომეს, დაინახეს, რომ მიცვალებულის სხეული აღარსად ჩანდა. იქ, სადაც შარვილი დაეცა, ხალიჩა და სუდარა იპოვეს, ბიჭი კი გამქრალიყო. გმირის დედა რომ გარდაიცვალა, მისი სხეულიც ასევე გაქრა.

როცა შარვილის ნათესავი კვდება, მათი სახლიდან გოდება ისმის.

როგორ მოიპოვა ცეცხლი შარვილიმ

ერთხელ, როცა ხალხი მინდორში მუშაობდა, ციდან ნაპერწკალი ჩამოვარდა, დაეცა თივის ზვინს და ცეცხლი გაუჩინა. ხალხს შეეშინდა და გაიფანტა. მათ ჯერ მსგავსი რამ არ ენახათ. დაინახა დევმა ცეცხლი და მიუახლოვდა. ერთხანს კოცონთან იდგა და იგრძნო, რომ ცეცხლი სითბოს

და სინათლეს გამოსცემდა. ბოლოს აიღო მუგუზალი და შინ წავიდა. ხალხმა თავში წაიშინა ხელი. ახლაღა მიხვდნენ, რომ ეს ნაპერწკალი მათ ღმერთმა გამოუგზავნა. — რა ვქნათ, რა ვიღონოთ? როგორ წავართვათ დევს ცეცხლი? — ფიქრობდნენ. შეიკრიბა ყველა, წავიდნენ ახცეში* გოლიათ შარვილთან და გასაჭირი შესჩივლეს. „მე მოგიტანთ ცეცხლს!" — უთხრა მათ გმირმა, შეკრიბა ვაჟკაცები და დევის სახლს შეუტიეს. დევები ბევრნი იყვნენ. ამოწყვიტეს დევები. ველზე სისხლის მდინარეები დიოდა. ყველა დევი ამოხოცეს. აიღო შარვილამ ცეცხლი, გამოიტანა და ხალხს დაურიგა. ამბობენ, რომ იმ დღიდან ლეკები ცეცხლს თაყვანს სცემენ. იმ დღიდან კერაში ცეცხლი არ ჩაუქრიათ.

შარვილის ანდერძი

შარვილამ ხმალი და ხანჯალი აიღო და დევებთან საბრძოლველად წავიდა. გაცოფებული დევები ხალხს არ ასვენებდნენ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მთას მიადგა, მთას ალფანი ერქვა. მიუახლოვდა ამ მთას და შეჩერდა, — საიდანღაც უცნაური ხმები შემოესმა. მიჰყვა ამ ხმებს. მივიდა და ნახა, რომ უზარმაზარი დევები სხედან და საჭმელს შეექცევიან, ლაპარაკობენ, იცინიან, ღრეობენ. ხელში უცნაური საგნები უჭირავთ. ერთი ლელქაშს უბერავს. ლელქაშზე კამეჩის რქაა მიბმული. მეორე დევი კასრზე გადაჭიმულ ტყავს ურტყამს. ერთი უროც უდევთ, უროს მსხვილი ტარი აქვს, ქვემოთ წვრილდება. ამ უროს თოკით ატრიალებენ და სწორედ ის გამოსცემს უცნაურ ხმას. შარვილს ძალიან გაუკვირდა. დევების მოსაკლავად მოსული გოლიათი გაჩერდა. ამ დროს ერთმა დევმა შეამჩნია ვაჟი. ისინი თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ. გოლიათმა დევების დანატოვარი ნივთების დათვალიერება დაიწყო, მაგრამ ვერაფერი გაუგო. ბოლოს აიღო ეს ნივთები და ახცეში დაბრუნდა. ჭიშკარი რომ გამოაღო, ნივთები ადამიანის ხმით ალაპარაკდნენ:

—შენ ხომ შარვილი ხარ? ჩვენ ერთმა ოსტატმა გამოგვთალა, რომ ლეკებს გამოვადგეთ. სანამ ახცეში მოვხვდებოდით, დევებმა მოგვიტაცეს და მერე ქორწილი გადაიხადეს.

— სად არის ის ოსტატი, თქვენ რომ გამოგთალათ?

— დევებს ალფან-მთის გამოქვაბულში ჰყავთ დამწყვდეული.

შარვილი გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ალფან-მთას მიადგა. მისმა მოელვარე მახვილმა თორმეტი დევი მოკლა. დახოცა დევები, წამოიყვანა ოსტატი და ახცეში დაბრუნდა.

— შარვილ, იმ ნივთებს სალამური, დოლი და ჩონგური ჰქვია. ეს ნივთები ვაჟკაცობას და გამძლეობას აძლევენ ხალხს — უთხრა ოსტატმა და შარვილის სალამურზე, დოლსა და ჩონგურზე დაკვრა ასწავლა.

ამბობენ, როცა შარვილი კვდებოდა, ანდერძი დატოვა:

— ლეკებო, სიხარულისა და მწუხარების დროს სალამური, დოლი და ჩონგური დაუკარით. ჩემს ანდერძს თუ შეასრულებთ, სულიერი ძალა და სიმტკიცე გექნებათ. ჩემი სიტყვა არ დაივიწყოთ!

შვიდარშინიანი გოლიათი ზულუმ-მუჰამედი*

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დედაკაცი, ჰყავდა ერთი ვაჟი. ვაჟი თვეობით და წლობით კი არა, დღეებით და საათობით იზრდებოდა. თხუთმეტი წლისა შვიდი არშინის* სიმაღლისა იყო და ჯან-ღონეც სიმაღლის შესაფერისი ჰქონდა. ხალხმა მას შვიდარშინიანი გოლიათი მუჰამედი დაარქვა. ქალს ვერაფრით გამოეკვება თავისი ვაჟი, თუმცა მეზობლებიც ეხმარებოდნენ.

ერთხელ მუჰამედი შინ მშიერი დაბრუნდა.

— დედი, პური მომეციო!

დედამ ოთხი პური დაუდო წინ. მუჰამედმა ოთხივე შეჭამა, მაგრამ ვერ დანაყრდა.

— მეტი არა გაქვსო? — იკითხა.

—გვაქვს საყვარელო, — უთხრა დედამ და, რაც სახლში პური ჰქონდა, მთლიანად გამოუტანა.

— დედა, მეტი არა გაქვს? — ისევ იკითხა მუჰამედმა.

— არა, შვილო.

— მეზობლებსაც არა აქვთ?

— არ ვიცი, შვილო, — უპასუხა დედამ. პურის მოსატანად წავიდა, მაგრამ ვერ იშოვა.

— ფქვილიც არა გაქვს?

— არა, შვილო.

— სად შეიძლება ფქვილის შოვნა?

— წისქვილში, შვილო, — უპასუხა დედამ.

მუჰამედი წისქვილში წავიდა. აიღო ორი დიდი ტომარა ფქვილი, არც უკითხავს, ვისი იყო, იღლიაში ამოიდო და შინ დაბრუნდა. ამ ფქვილით დედას პური გამოაცხობინა, მთლიანად შეჭამა და დაიძინა. დედამ იფიქრა, მეც არ შემჭამოსო და მეზობელთან წავიდა დასაძინებლად.

დილით მუჰამედს ისევ მოშივდა. აქეთ გაიხედა, იქით გაიხედა, როცა შესაჭმელი ვერაფერი ნახა, ადგა და სახლის სახურავზე ავიდა. მეზობლის ეზოში კამეჩი დაინახა. მივიდა, რქებში ხელი ჩაავლო და თავის ეზოში შეიყვანა, დაკლა და შეჭამა. დაინახა მეზობელმა და გაიფიქრა, ორ ტომარა ფქვილს თუ მივცემ, იმდენ შეშას მომიტანს, რომ მთელი სიცოცხლე მეყოფაო. მართლაც ასე მოიქცა. მუჰამედი ურმით ტყეში წავიდა. იმ ფქვილით გამომცხვარი პური გზაში შეჭამა. შევიდა ტყეში, აიღო ნაჯახი, ერთი მხრიდან დაიწყო და მთელი ტყე გაჩეხა. მოშივდა. გაიხედ-გამოიხედა, და როცა შესაჭმელი ვერაფერი ნახა, ურმიდან გამოხსნა ერთი ხარი, დაკლა და შეჭამა, მერე ტყის ჩეხვა განაგრძო. ერთი ხეც არ დატოვა. მივიდა და მეორე კამეჩიც შეჭამა. მოჭრილი ხეები მოაგროვა, მთასავით დაახვავა. ამასობაში მზეც ჩავიდა. ჩამობნელდა. როცა ტყეს ჩეხავდა, მხეცები აქეთ-იქით გაიქცნენ. წავიდა, ორი დიდი ტახი დაიჭირა და ურემში შეაბა. მერე შეშა ურემზე დააწყო. იმდენი შეშა იყო, რომ ურემი აღარ ჩანდა. როგორღაც დაამაგრა და ტახებშებმული ურმით სოფლისკენ გასწია.

შუადღე იყო, შეშის მთამ მზე დაფარა. მთიელებმა იფიქრეს, რომ მზის დაბნელება იყო და ლოცვა დაიწყეს. უცებ დაინახეს, შორიდან კაფ-დახივით* უზარმაზარი რაღაც მოდიოდა და აულს უახლოვდებოდა. დაინახა ხალხმა და იფიქრა, რომ ეს მთა სოფელს მიწასთან გაასწორებდა. ყველა, დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, აქეთ-იქით მიმოიფანტა. ბებერი იქ წავიდა, სადაც შვილი ეგულებოდა და ნახა, რომ მას მთელი ტყე გაუჩეხავს, მთასავით აეგორებინა და სოფლისკენ მოაქვს. ბებერმა შვილს უთხრა: "შვილო, ძალიან გთხოვ, გაჩერდი. ხალხმა იფიქრა, რომ მთა მოდის და შეშინებული აქეთ-იქით გაიქცნენ".

მუჰამედმა დედას დაუჯერა და მთა გააჩერა. ტახები ურმიდან გამოხსნა, ორივე იღლიებში ამოიდო და შინ დაბრუნდა. შინ მისულმა ტახები დაკლა და ღამით შეჭამა. ბებერი ხალხთან წავიდა და უთხრა: „ნუ გარბიხართ, სოფელში დაბრუნდით. ეს მთა კი არ არის, ჩემს ვაჟს შეშა მოაქვს".

შეშინებულმა ხალხმა პირი იბრუნა და სოფელში დაბრუნდა.

დაღამდა. მოლები მეჩეთში შეიკრიბნენ და თათბირი დაიწყეს. ყადიმ* თქვა: „ხალხო, წიგნში წავიკითხეთ, რომ დედაკაცის ვაჟი ერთ დღეს ბაყბაყ დევად იქცევა. წყალს თუ არ გავათბობთ, ყველას დაგვჭამს".

— თქვენ და დედამისი თუ დამთანხმდებით, მე ვიცი, რაც უნდა ვქნა, — თქვა ყადიმ, — არსებობს ერთი ქვეყანა, აფრიკა. იქ, ტყეში ღონიერი ლომები დადიან. მუჰამედი ლომის ხორცის მოსატანად უნდა გავგზავნოთ. იქამდე ორმოცი დღის სავალია. ის ამ გზას ვერ გაივლის. თუ მიაღწევს, ლომები შეჭამენ.

— როგორ გავგზავნოთ? — იკითხა ხალხმა.

— დედამისმა თავი მოიავადმყოფოს და ლოგინში ჩაწვეს. — თქვა ყადიმ. — როცა შვილი ჰკითხავს, როგორ ხარო, უპასუხოს: "შვილო, ჩემს ავადმყოფობას ლომის ხორცი თუ უშველის, მეტი არაფერი." ასე გავგზავნოთ მუჰამედი აფრიკაში.

ყველანი დათანხმდნენ და სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

მეორე დღეს დედაკაცი ლოგინში ჩაწვა და კვნესა დაიწყო. მივიდა მუჰამედი, ხედავს, დედა ავადაა. დედას შუბლზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, დედი?

— ეჰ, შვილო, უცნაური სენი მჭირს, ლომის ხორცის მეტი არაფერი მიშველის, თუ არა და — მოვკვდები.

— დედილო, სად შეიძლება ლომის ხორცის შოვნა?

— მხოლოდ აფრიკის ტყეში.

— სად არის აფრიკა?

— სამხრეთში, ყობლეს* მხარეს საყვარელო შვილო.

შვიდარშინიანი მუჰამედი გზას გაუდგა. ველი გადაიარა, ხევები გაიარა, ორმოცდღიანი გზა სამ დღეში გალია. მგელივით მშიერს თვითონ შეეშინდა თავისი თავის. ტყეში გაჩერდა და იქ დამალული ლომი დაინახა. ეცა, თათში ჩაავლო ხელი და დაითრია. მუჰამედმა მბრდღვინავი ლომი სარზე ააგო, ცეცხლზე შეწვა და შეჭამა. არ ეყო საჭმელი. კიდევ ერთი ლომი დაინახა, სტაცა ხელი კისერში, მხარზე მოიგდო და შინ წამოვიდა.

სამ დღეში შინ იყო. დაკლა ლომი, ერთი ნაჭერი დედას შეუწვა და დანარჩენი თვითონ შეჭამა. დედამ, რა თქმა უნდა, ხორცს პირი არ დააკარა. დაღლილი მუჰამედი დაწვა და დაიძინა.

მეორე დღეს შვიდარშინიანი მუჰამედი მჭედელთან წავიდა და დიდი ხნის შეკვეთილი ორფუთიანი რკინის მახვილი წამოიღო. ხალხი მოედანზე შეიყარა.

— ხალხო, ნახეთ, ეს მახვილი ცაში უნდა ავისროლო! — თქვა და ცისკენ ისროლა.

— ხალხო, ახლა დაიშალეთ და ხვალ, ზუსტად ამ დროს, მოედანზე შეიკრიბეთ!

ხალხი დაიშალა და დამშვიდდა. გავიდა ღამე. გათენდა. ხალხი, როგორც გაფრთხილებული იყვნენ, მოედანზე შეიკრიბა. შვიდარშინიანი მუჰამედი მოედნის შუა დადგა, მოიხადა ქუდი და გაიჭიმა.

— ნახეთ, ხალხო, ახლა მახვილი დაბრუნდება და თავზე დამეცემაო.

მუჰამედს მახვილი თავში მოხვდა და დაიმსხვრა. გოლიათი მჭედელზე გაბრაზდა, მივიდა მასთან და უთხრა: „ძალიან სუსტი მახვილი გამო-

გიჭედავს. აი, ხუთასი მანეთი და ხუთფუთიანი, მტკიცე მახვილი გამომიჭედე.“ მჭედელი დათანხმდა და ახლა ხუთფუთიანი მახვილი გამოუჭედა. მუჰამედმა ისევ შეკრიბა ხალხი მოედანზე. ხალხმა დაინახა, როგორ აისროლა გოლიათმა მახვილი ცაში.

— დაიშალეთ და ხვალ ამ დროს მოდითო ! ხალხი დაიშალა.

მეორე დღეს დანიშნულ დროს მოედანზე შეიკრიბნენ. შვიდარშინიანი მუჰამედიც იქვე იდგა. მალე ისეთი ქარბუქი ამოვარდა, რომ მთები იქცეოდა. მახვილი მუჰამედს დაეცა თავზე. ისევ აიჭრა ცაში, მერე მეხივით ჩამოვარდა და ხუთას მეტრზე გათხარა მიწა.

— აი, ხალხო, ახლა კი მაქვს იარაღი, — თქვა მუჰამედმა, ორი თითით აიღო მახვილი და ხალხს წინ დაუდო. მათ გაუკვირდათ და გაუხარდათ. ერთმა ბერიკაცმა უთხრა:

— ყოჩაღ, შვილო, შეგერგოს დედის რძე!

— ახლა, ხალხო, ჩაგრულთა ქვეყანაში უნდა წავიდე და იქ ვიბრძოლო, — თქვა მუჰამედმა.

— ნებას გაძლევთ, ძვირფასო შვილო, ღმერთი იყოს შენი შემწე, მტერზე გამარჯვებას გისურვებთ. მძიმე წუთებში ჩვენი იმედი გქონდესო, — უთხრა ხალხმა მუჰამედს.

მეორე დღეს გოლიათი მუჰამედი დედამ დალოცა. ისიც გზას გაუდგა. ველი გადაიარა, ხევი გაიარა, მთები გაბურღა თავისი მახვილით, ტყეს მიადგა და უცებ ერთი კაცი დაინახა: ხეს წამოაქცევს, მერე ფესვიანად გლეჯს და ერთ მხარეს აწყობს. გოლიათი გაოცდა.

— ვაჰ, მე კი მეგონა ჩემზე ღონიერი არავინ იყო! — თქვა და მიესალმა.

— ალეიქუმ-სალამ, — უპასუხა კაცმა.

— უჰ, ძმაო, რა ღონიერი ხარ! — უთხრა მუჰამედმა.

— მე ვარ ღონიერი? ერთი გოლიათია, მუჰამედს ეძახიან, ხუთფუთიანი მახვილი ცაში აისროლა და მერე თავი შეუშვირა. აი, ვინ არის ღონიერი.

— მე ვარ მუჰამედი, ძმაო.

— საით გაგიწევია?

— ჩაგრულთა ქვეყანაში.

— მოდი, დავძმობილდეთ!

— სიამოვნებით, ძვირფასო ძმაო. რა გქვია?

— მე ხაიბერს მეძახიან.

მეგობრები ერთად გაუდგნენ გზას. ერთი დღე-ღამე იარეს. უცებ ზარბაზნის ხმა გაიგონეს. ველზე ღრუბელივით ავარდა მტვერი. მიუახლოვდნენ და დაინახეს, რომ ათი მეტრი სიმაღლის და სამი მეტრი სიგანის

კაცი დგას, ერთი ფეხი ერთ მთაზე უდგას, მეორე — მეორეზე, მთებს ხელით აწვება და გზა გაჰყავს.

— სალამ-ალეიქუმ! — მიესალმნენ მგზავრები.

— ალეიქუმ-სალამ! — უპასუხა კაცმა.

— უჰ, რა ღონიერი ყოფილხარ!

— ეჰ, ძმაო, ღონიერი მე კი არა, მუჰამედია. ციდან ხუთფუთიანი მახვილი დაეცა და თავი არც კი დაეჟეჟა.

— ეს ხომ მე ვარ, ძმაო!

— საით გაგიწევიათ?

— სანადიროდ მივდივართ.

— თქვენი მეგობარი ვიქნები.

— კარგია, რა გქვია?

— მე ელ-ბურანს მეძახიან.

სამივემ ერთად განაგრძო გზა. მალე ერთ ტყეს მიადგნენ.

გოლიათმა მუჰამედმა თქვა:

— მეგობრებო, უკვე ჩამობნელდა, ხინკალი გავაკეთოთ!

— ჯერ ვინადიროთ, წყალზე და ფქვილზე კი მერე ვიფიქროთ, როცა დავბრუნდებითო, — თქვა მუჰამედმა. ყველა დათანხმდა. წავიდნენ და ათასამდე ფრინველი დახოცეს, მთასავით დაახვავეს. მუჰამედმა თქვა:

— ხაიბერ, წადი, შეშა მოიტანე. მე და ელ-ბურანი ქვაბს და ფქვილს მოვიტანთო.

წავიდნენ. ხაიბერმა შეშა მოზიდა. ერთ ადგილას, სადაც მთელი სოფელი დაეტეოდა, ცეცხლი დაანთეს. მუჰამედმა და ელ-ბურანმა ხუთი ტომარა ფქვილი და უზარმაზარი ქვაბი მოიტანეს. ხუთი ტომარა ფქვილით ცომი მოზილეს, ხუთასი ფრინველის ხორცი ქვაბში ჩაყარეს, ხინკალი გააკეთეს, ჭამეს და დაწვნენ. მეორე დღეს ორასი ფრინველი შეჭამეს. მუჰამედმა თქვა:

— ხაიბერ, შენ აქ დარჩი და საჭმელი მოგვიმზადე, ჩვენ კი ხვალის საჭმელს ვიშოვითო.

ხაიბერი იქ დარჩა, ისინი კი სანადიროდ წავიდნენ. ხაიბერმა წყალი მოიტანა, ცეცხლი დაანთო, დარჩენილი სამასი ფრინველი ქვაბში ჩაყარა და ხინკალი მოამზადა. უცებ თავს ერთი პატარა კაცი წამოადგა. კაცს ორმეტრიანი წვერი ჰქონდა.

— სალამ-ალეიქუმ, საყვარელო შვილო.

— ალეიქუმ-სალამ, საყვარელო მამა, მოდი დაგვეწვიე! — უთხრა ხაიბერმა.

კაცი მივიდა და დაჯდა. მერე უთხრა: „ცოტა ხორცი მომეციო“.

ხაიბერმა ერთი ფრინველი აიღო და მისცა. შეჭამა კაცმა ფრინველი და კიდევ მოითხოვა. ხაიბერმა კიდევ ერთი ფრინველი ამოიღო ქვაბიდან და მიწოდა. როცა მეოთხედ მოითხოვა, ხაიბერმა უთხრა: „მეტს აღარ მოგცემ, შე უსინდისო! მე ეს ჩემს ამხანაგებს მოვუმზადე, შენ კი არა!“.

სტაცა ხელი ბებერმა ჭაბუკს, წააქცია, თავისი წვერიდან ერთი ღერი ბეწვი ამოიძრო, ხელ-ფეხი გაუკრა და განზე გადააგდო. ხინკალი შეჭამა და წავიდა.

ხაიბერს მუჰამედის შეეშინდა, ხელ-ფეხი გაიქნია, გათავისუფლდა და სასწრაფოდ ხელახლა დაიწყო ხინკლის კეთება. მოვიდნენ ამხანაგები და ხინკალი მზად არ დახვდათ. გაბრაზებულმა მუჰამედმა თქვა:

— დილიდან აქ ზიხარ და ხინკალი ვერ მოხარშე?

— წყალი დამექცა და მეორედ დამჭირდა მოტანა, — მიუგო ხაიბერმა.

დასხდნენ და ხინკალი შეჭამეს.

მეორე დღეს საჭმლის მოსამზადებლად ელ-ბურანი დატოვეს. როგორც კი საჭმლის მომზადებას მორჩა, ისევ ის ბებერი მოვიდა, მიესალმა ელ-ბურანს და იქვე დაჯდა. ელ-ბურანსაც ისე მოექცა, როგორც ხაიბერს — ერთი ქვაბი ხინკალი შეჭამა და წავიდა. ელ-ბურანი ბევრს ეცადა, მაგრამ ამხანაგების მოსვლამდე საჭმლის გაკეთება ვერ მოასწრო.

გოლიათი მუჰამედი ისევ გაბრაზდა. მეორე დღეს ამხანაგები გაუშვა და თვითონ დარჩა. ცეცხლი დაანთო და ხინკლის მომზადება დაიწყო. სანადიროდ წასულები ერთმანეთს მოუყვნენ ქონდრისკაცის ამბავს. გოლიათ მუჰამედსაც თუ შეკრავს და ისე დაგვახვედრებს, აი, სეირიც ეს იქნებაო. ხინკალი უკვე იხარშებოდა, როცა მუჰამედს ბერიკაცი წამოადგა თავს.

— სალამ-ალეიქუმ!

— ალეიქუმ-სალამ! — უპასუხა მუჰამედმა.

— ერთი ნაჭერი ხორცი მომეცი!

მუჰამედმა ერთი ნაჭერი ხორცი მისცა. სტუმარმა შეჭამა და კიდევ მოითხოვა. მუჰამედმა კიდევ მისცა. კაცმა ოთხჯერ მოითხოვა ხინკალი.

— მე შენ კი არა, ჩემს ამხანაგებს ვუმზადებ საჭმელს, — უთხრა მუჰამედმა.

ბებერმა მისი შეკვრა დააპირა, გოლიათმა კი სტაცა ხელი და ცაში აისროლა. ბებერი ციდან ჩამოვარდა, ხის ტოტს ჩამოეკიდა და ქანაობა დაიწყო. დაბრუნდნენ ამხანაგები, დაინახეს, ხინკალი მზად იყო და ძალიან შერცხვათ.

— ნუ გრცხვენიათ, ჭამეთ, ხდება ხოლმე! — უთხრა მათ მუჰამედმა.

შეჭამეს და დანაყრდნენ. ცოტა ხინკალიც დარჩათ.

— ხაიბერ, წადი იმ ვირიშვილს მიეცი, რაც დარჩა, — თქვა გოლიათმა.

ხაიბერი შიშით მიუახლოვდა ბერიკაცს და უთხრა: „ჭამე ხინკალი!“ ქონდრისკაცს შეეშინდა, არ მომკლანო და გაიქცა.

— ადექით ბიჭებო, უკან გავეკიდოთ, აქ რაღაცაშია საქმე! — თქვა მუჰამედმა.

ადგნენ და გაეკიდნენ. ის იყო წამოეწივნენ, რომ ბებერი გაუჩინარდა. მდევრები კლდეს მიადგნენ. ერთი უზარმაზარი ქვა გადაწიეს და ტბა დაინახეს. ამ ტბაში ჩაბუდებული სულდგმული ნამდვილად დევი იქნებაო, — თქვეს.

თოკები უნდა მოვიტანოთ და ქვევით ჩავეშვათ, — თქვა მუჰამედმა.

წავიდნენ, თოკები მოიტანეს, ერთმანეთზე გადააბეს და ჯერ ხაიბერი ჩაუშვეს ტბაში. ოცი მეტრის სიღრმეზე რომ ჩავიდა, ხაიბერმა ყვირილი მორთო: „ვიწვი, მტკივა! ვიწვი, მტკივა!“ ამხანაგებმა ხაიბერი ზევით აიყვანეს. ახლა ელ-ბურანი ჩაუშვეს. ისიც აყვირდა: „ვიწვი, მტკივა!“ ელ-ბურანიც ზევით აიყვანეს.

— ახლა მე ჩამიშვით და რამდენიც არ უნდა ვიყვირო, — „ვიწვი, მტკივა“ — არ ამომიყვანოთო, — თქვა მუჰამედმა.

მუჰამედი ხუთი ათასი მეტრი სიგრძის თოკით ტბაში ჩაუშვეს. ფსკერზე დაეშვა. ამხანაგებმა თოკს ხელი გაუშვეს. მუჰამედმა გაიხედ-გამოიხედა და კარი დაინახა. გააღო კარი და ერთ უკიდეგანო ეზოში აღმოჩნდა. მერე ბაღი დაინახა, სადაც სამი სახლი იდგა. ერთი სახლის კარი შეაღო და შევიდა. ოთახში ქალი იჯდა, რომლის კალთაში სამთავიან დევს ეძინა. ქალს ძალიან გაუხარდა და თან შეეშინდა, რომ დევს არ მოეკლა ვაჟი, თითი ტუჩთან მიიდო და ჩუმად უთხრა:

— აქ როგორ მოხვდი? დევმა რომ გაიგოს, ცოცხალს არ გაგიშვებს. ჩქარა გაეცალე აქაურობას!

— ნუ გეშინია, ამ ეშმაკს სულს ამოვართმევ! — მიუგო გოლიათმა მუჰამედმა და დევს ფეხი წაჰკრა. დევმა არ გაიღვიძა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა. გოლიათმა კიდევ ერთხელ მიარტყა ფეხი და ხმამაღლა შეუძახა:

— ადე, უნდა შემებრძოლო!

დევმა გაიღვიძა. ხედავს, ადამიანია. წამოხტა და მუჰამედისკენ წავიდა. ორივენი გავიდნენ მინდორზე და ბრძოლა დაიწყეს.

— დამარტყი, შენი რიგია! — უთხრა დევს მუჰამედმა.

დევმა დაარტყა და მუხლებამდე ჩასვა მიწაში. გოლიათი განრისხდა, ძალა მოიკრიბა და დევს დაარტყა. დევმა თავი ვეღარ შეიკავა, წაიქცა და მოკვდა. მუჰამედი ბაღში შევიდა, გამოიყვანა ქალი და ჰკითხა:

— კიდევ ვინ არის აქაო.

— აი, იმ სახლში შუათანა ძმაა, ხუთთავიანი დევი. ის ძალიან ღონიე-

რია. მესამე სახლში კი — უფროსი ძმა, შვიდთავიანი დევი ცხოვრობს. ის ყველაზე ღონიერია, ფრთხილად იყავი!

როცა გოლიათმა მუჰამედმა მეორე კარი შეაღო, დაინახა, რომ ქალის მუხლებზე ხუთთავიან დევს ეძინა. მუჰამედმა დევს წიხლი ჩასცხო, მაგრამ ის არც განძრეულა. როცა მუჰამედმა მეორედ ამოარტყა დევს წიხლი, დევი შეიშმუშნა და თქვა: „გააგდე ეს ბუზი!“ გაიგონა მუჰამედმა, გაბრაზდა და კიდევ უფრო მაგრად ჩაარტყა ფეხი. დევმა გაიღვიძა, თვალები გაახილა და ხედავს — სახლში ადამიანია. დევი გაბრაზდა, თმა ყალყზე დაუდგა, აიღო მახვილი და გოლიათი მუჰამედისაკენ წავიდა. გოლიათმა უთხრა:

— აქ არ შეიძლება ბრძოლა, მოედანზე გავიდეთ!

ორივე გავიდა საბრძოლველად. ჯერ დევმა დაარტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო მუჰამედს. გოლიათი კი რამდენსაც დაარტყამდა, იმდენჯერ წააგდებინებდა თავს. „ერთი წამაცალე? მეორე მაქვს!“ — ამბობდა დევი. როგორც იქნა მუჰამედმა ხუთივე თავი წააცალა და მოკლა დევი. მუჰამედმა ქალი გამოიყვანა და პირველს მიუსვა გვერდით.

მუჰამედი მესამე სახლში შევიდა. ქალის კალთაში შვიდთავიან დევს ეძინა.

— აქ როგორ მოხვდი? ეს რომ გაიგოს, შეგისუნთქავს და გაგაქრობს. ჩქარა, გაეცალე აქაურობას! — ჩუმად უთხრა ქალმა.

— არაფერია დაო, — უთხრა გოლიათმა მუჰამედმა და დევს ფეხი წაჰკრა. მან ვერაფერი იგრძნო. გოლიათმა კაუჭიდან შამფური ჩამოხსნა და დევს ფეხში გაუყარა. დევმა გაიღვიძა.

— ადე, დუშმანო, მოემზადე, უნდა ვიბრძოლოთ! — შესძახა მუჰამედმა.

დევს თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა, გაწითლდა და მუჰამედისაკენ წავიდა. შვიდარშინიანმა გოლიათმა წელზე სტაცა ხელი და განზე მოისროლა.

მახვილი დაარტყა, შვიდივე თავი წააცალა და მოკლა.

მუჰამედმა ქალებს ჰკითხა:

— აქ როგორ მოხვდით, დებო?

ქალებმა უპასუხეს:

— საყვარელო ძმაო, ჩვენ მეფეთა შვილები ვართ. ეს დევები ჩვენს მამებს ებრძოდნენ, ჩვენ მოგვტაცეს და აქ ვყავდით დამწყვდეული.

ქალებმა ამ დევების ქონება — ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი აჩვენეს მუჰამედს. მან ყველაფერი ტომრებში ჩაყარა, წამოიყვანა ქალები და ტბასთან მივიდა. ტომარა თოკზე მიაბა და ზევით მსხდომ ამხანაგებს შეუძახა. მათ თოკი ასწიეს და ტომარა ზევით აიტანეს. გახსნეს და ხედავენ, უამრავი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტია. ისევ ჩაუშვეს თოკი.

ასე აიტანეს ყველაფერი ტბიდან. სამი ქალი და გოლიათი მუჰამედი დარჩნენ. ამ დროს თოკი ისევ ტბაში ჩაეშვა. ჯერ ერთი ქალი აიყვანეს, მერე მეორე. „ჩვენი მეგობარი გოლიათი მუჰამედი როგორ არის?“ ჰკითხეს ქალებმა. უპასუხეს: „სამი დევი მოკლა, ჩვენ წამოგვიყვანა, მათი სიმდიდრე წამოიღო. ამ ტომრებში სიმდიდრეა. თვითონ კი ერთ ქალთან ერთად ქვევით დარჩა“. როცა ეს გაიგეს, ისევ ჩაუშვეს თოკი. მუჰამედმა ქალს უთხრა: „ახლა შენი ჯერიაო“. „არაო“, — უთხრა ქალმა, — „ამდენი იბრძოლე, გმირობა გამოიჩინე, ვიცი, რომ მე არ დამტოვებ. შენი მეგობრები მაინც ადამიანები არიან, იქნებ არ აგიყვანონ და რა ვქნა? აქ თუ დაგტოვე, როგორ ვიცხოვრო?“

— არა, არ შეიძლება! ჯერ შენ უნდა ახვიდე!

— თუ ასეა, ერთ საიდუმლოს გეტყვი: აქ თუ დაგტოვეს, როგორც გეტყვი, ისე მოიქეცი. შუადღე რომ მოაწევს, წყაროზე ორი ჯეირანი მოვა, ერთი თეთრი, მეორე — შავი. სადმე დაიმალე და თვალყური ადევნე. როცა წყალს დაეწაფებიან, მიეპარე და თეთრ ჯეირანს ფეხში ჩაავლე ხელი. ის სინათლეზე ამოგიყვანს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ შავს თუ დაიჭერ, ის შავეთში ჩაგიყვანს. აიყვანეს ქალი ზევით. როცა მისი სილამაზე იხილეს, ხაიბერმა და ელ-ბურანმა იფიქრეს, გოლიათ მუჰამედს თუ ამოვიყვანთ, ამ ქალს თვითონ დაიტოვებს და შეიძლება რაიმე უბედურებაც შეგვამთხვიოს, სჯობს ტბის ფსკერზე დავტოვოთო. ტბას ქვა დააფარეს, თვითონ კი წავიდნენ და ქალებიც თან წაიყვანეს. გოლიათი მუჰამედი ერთხანს იჯდა და ელოდებოდა თოკს, როცა თოკი არ ჩამოუშვეს, ქალის სიტყვები გაახსენდა და ძალიან დაღონდა. არ იცოდა, რა ექნა. წავიდა წყაროზე და დაიმალა. შუადღისას, მართლაც, მოვიდა ორი ჯეირანი. წყლის სმა დაიწყეს. ჭაბუკს უნდოდა თეთრი დაეჭირა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, შემთხვევით შავს წაატანა ხელი. როგორც კი ხელი სტაცა, შავმა ჯეირანმა ზურგზე შემოიგდო და ქვესკნელისკენ გააქანა. დილით, განთიადზე ერთ ქალაქში აღმოჩნდა. აქ სხვა ენაზე მოლაპარაკე თეთრკბილება, შავთმიანი ხალხი დაინახა. გზად ერთი დედაკაცი შემოეყარა. გოლიათმა მუჰამედმა ხელით ანიშნა, მე ერთი ყარიბი ვინმე ვარო. დედაკაცი ვერაფერს მიხვდა და ერთი ნატეხი პური მისცა. მუჰამედმა ანიშნა, მე პური არ მინდა, მეძინებაო. დედაკაცი მიუხვდა და თავისთან წაიყვანა. მუჰამედმა ფარი-ხმალი შეიხსნა და ხელ-პირის დაბანა დააპირა. გაიხედ-გამოიხედა, წყალი ვერ დაინახა. მივიდა და დაჯდა მაგიდასთან. დედაკაცმა რაც რამე ჰქონდა, მიუტანა და წინ დაუწყო. პატარა ჭურჭლით წყალიც მიუტანა. გოლიათი მუჰამედი მიხვდა, რომ ქალაქში წყალი არ იყო. ქალს ანიშნა, რომ ეს წყალი ყელსაც ვერ გაუსველებდა. ბებერმა მიახვედრა, რომ წყალს დევი დაჰპატრონებიაო.

— წამოდი, მაჩვენე ის ადგილი! — უთხრა დედაბერს მუჰამედმა.

— თუ წავალთ, ორივეს დაგვხოცავს! — შეეშინდა დედაბერს.

გოლიათმა მუჰამედმა აისხა იარაღი, აიღო დოქი, ბებერი იღლიაში ამოიჩარა და წყაროზე წავიდა. ბებერმა შორიდან დაანახა ის ადგილი, თვითონ კი გაიქცა. მუჰამედმა ყურადღება არ მიაქცია დევს, აავსო დოქი და წამოვიდა. ბებერმა წყლით სავსე დოქი რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა. სიხარულისგან მუჰამედს აკოცა და ჰკითხა:

— აქ საიდან გაჩნდი? იმ ავსულს ყოველდღე ქალს ვუგზავნით ხონჩით თავზე, რომ ერთი დოქი წყალი მოგვცეს.

მეორე დღეს მუჰამედმა ისევ არ მიაქცია დევს ყურადღება და წყალი მოიტანა. მეორედ რომ აიღო წყალი, ხონჩიანი ქალი შემოხვდა. მოშორებით უამრავი ხალხი შეკრებილიყო დოქებით ხელში. ყველა თავის რიგს ელოდა. შვიდთავიანი დევი ფეხზე იდგა და ქალს ელოდა. შვიდარშინიანმა გოლიათმა მუჰამედმა ხელით ანიშნა, რომ გოგო მასთან მისულიყო. გოგოს დევის შეეშინდა და მუჰამედთან მისვლას ვერ ბედავდა. მუჰამედი გოგოსთან მივიდა, ხონჩა გამოართვა და უთხრა, შორიახლოს დადექიო და სიცილით ფლავის ჭამა დაიწყო.

— ეი, კაცო! როგორც სტუმარს ერთი-ორი დღე ხელი არ გახლე! ახლა ჩემი საჭმელიც მიითვისე? ამას კი აღარ გაპატიებ! — უთხრა დევმა.

— მაჩვენე ერთი, რისი ძალა შეგწევს, — მიუგო გოლიათმა მუჰამედმა. ხელ-პირი მოიწმინდა და დევს წინ აესვეტა..

— ახლა კი მოგკლავ, საკმარისია, რაც ჩაიდინე, — ბოროტად გამოსცრა დევმა.

— გამოდი მოედანზე, ავსულო, შენს მოსაკლავად მოვსულვარ! — უთხრა დევს მუჰამედმა.

ორივე საბრძოლველად გამოვიდა. ამასობაში ხალხი დაფრთხა, ზოგი საით გარბოდა, ზოგი —საით. ჯერ დევმა დაარტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. მერე შვიდარშინიანმა გოლიათმა მუჰამედმა ძალა მოიკრიბა, შვიდივე თავი წააცალა დევს თავისი მახვილით. დევი დაეცა და მოკვდა. მუჰამედმა ტუჩები და ლოყები ჩამოათალა დევს, შეახვია ხელსახოცში, ხელები დაიბანა და დაბრუნდა. გოგომ ყველაფერი დაინახა. მუჰამედმა გოგოს უთხრა: „ახლა წადი და ხალხს ყველაფერი მოუყევი. დღეს წყლის აღება არ შეიძლება, სისხლიანი იქნება, ხვალ მოვიდნენ და წაიღონ".

გოგო წავიდა და ხალხს ყველაფერი მოუყვა.

მეფემაც გაიგო ეს ამბავი და ხალხს ჰკითხა, ვინ იყო ის ვაჟკაციო. მერე შეკრიბა ქვეყნის მცხოვრებნი და გოგოს აჩვენა. გოგომ კი თქვა: „ის აქ არ არის, ვინც დევი მოკლა".

მეფემ მსახურებს ჰკითხა:

— კიდევ ვინმე თუ არის ქალაქში?

— ერთ დედაკაცს სახლში უცხო კაცი ჰყავს, მეტი არავინ არის, — უპასუხეს.

— წადით, მოიყვანეთ! — ბრძანა მეფემ.

ხალხი წავიდა და მუჰამედს დაუძახა. ის თავისი იარაღით მივიდა, თან ხელსახოცში გამოხვეული დევის ყურები წამოიღო. როგორც კი დაინახა გოგომ მუჰამედი, მაშინვე იცნო.

— ეს კაცია, თქვენო უდიდებულესობავ, — თქვა მან.

ამასობაში გოლიათმა მუჰამედმა თქვა:

— მე ვარ, მეფეო! — ამოიღო ცხვირსახოცი და მეფეს აჩვენა დევის ყურები.

მეფე თავის ვეზირებთან და ვაჟებთან ერთად დაბრუნდა სასახლეში და უნდოდა თავის ნაზირად გოლიათი მუჰამედი დაესვა.

— არა, მეფეო, — უთხრა მუჰამედმა — ღმერთმა გადღეგრძელოს, მე შენგან არაფერი მინდა.

— რა სურვილი გაქვს?

— თუ შეგიძლია, ზევით, სინათლეზე ამიყვანე!

— ეს მე არ შემიძლია! ამა და ამ ადგილას ჭადრის ხეა, იმ ხეზე ერთი ფასკუნჯია, ის იმ მიფრინავს და მხოლოდ მას შეუძლია შენი ზევით აყვანა.

მუჰამედი იმ ხისკენ გაემართა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, იმ ხესთან მივიდა. ხიდან ფასკუნჯის ბარტყების ჟივჟივი გაიგონა. დიდხანს იჯდა ხის ქვეშ და მალე ფიქრში ჩაეძინა. ისევ აჟივჟივდნენ ბარტყები. მათ ხმაურზე მუჰამედს გაიღვიძა. ხედავს, უზარმაზარი გველი ადის ხეზე და ბარტყების შეჭმა უნდა. წამოხტა მუჰამედი და თავისი მახვილით მოკლა გველი. წავიდა და ისევ წამოწვა. როცა ფასკუნჯი შინ დაბრუნდა, დაინახა, რომ ხის ქვეშ რაღაც შავი წევს. იფიქრა, რომ მისი ბარტყების შესაჭმელად მოსული მხეცი იყო, მოკვლა დაუპირა, მაგრამ ბარტყებმა დედას დაუყვირეს, „რას აკეთებ, ეს კაცი ჩვენი მტერი არ არის. მაგან მოკლა ჩვენი მტერი. სიკეთეს ბოროტებით უხდი?“ ფრინველმა გაიგო ბარტყების ხმა, ქვევით დაეშვა, ფრთები გაშალა და მოუჩრდილა. მალე მუჰამედმა გაიღვიძა. ეგონა, რომ მთა წამოსდგომოდა თავს და შეეშინდა. ფრინველმა უთხრა: „ნუ გეშინია, ადამიანო, მე ფრინველი ვარ. შენს სამსახურში მიგულე. მითხარი, რა გაგჭირვებია?“

— ზევით, იმ ქვეყანაში ამიყვანე, — სთხოვა მუჰამედმა.

— მე შენ ზევით აგიყვან, მაგრამ შენ შვიდი პური, შვიდი კამეჩი, შვიდი ტიკი წყალი უნდა მოიტანო, იმიტომ რომ იქამდე ორმოცი დღის სავალია და ამ ყველაფრის გარეშე, იქამდე ვერ მივაღწევთ.

— სიამოვნებით! — უთხრა მუჰამედმა.

წავიდა მუჰამედი მეფესთან, წამოიღო ყველაფერი, რაც ფრინველმა უთხრა. ფრინველმა შეისვა შვიდარშინიანი მუჰამედი, საგზალი ზურგზე დაიწყო და აფრინდა. ზესკნელში ამოსვლამდე ერთი დღით ადრე საგზალი გამოელიათ. ფრინველმა ყასიდად მოითხოვა ხორცი. იცოდა, რომ საგზალი უკვე აღარ ჰქონდათ. გოლიათმა ბარძაყიდან ხორცი მოიგლიჯა და მისცა. ფრინველმა ხორცი ენის ქვეშ დამალა, არ შეჭამა. როცა ისინი სააქოს ამოვიდნენ ფრინველმა უთხრა:

— ჩამოდი, ადამიანო, მოვედით!

გოლიათი მუჰამედი ჩამოვიდა და დაჯდა.

— არ დაჯდე! წადი! მერე გზას ვეღარ გაიგნებ! — უთხრა ფრინველმა.

— არა უშავს, გზა ვიცი, ახლა შენ წადი!

— არა, წადი, მე შემოგხედავ, — დაიჟინა ფრინველმა.

გოლიათი მუჰამედი ადგა და კოჭლობით გაიარა. ფრინველმა დაუძახა:

— ოჰ, ადამიანო, ასე რატომ მოიქეცი? შიმშილით ხომ არ მოვკვდებოდი? გამოიღო ენის ქვეშიდან ხორცი და მუჰამედს ფეხზე მიადო, მერე ერთი ბუმბული ამოიძრო და ჭრილობაზე მიუსვ-მოუსვა, მოარჩინა და გზას გაუყენა, თვითონ კი მიბრუნდა და შვილებთან გაფრინდა.

შვიდარშინიანი გოლიათი მუჰამედი თავის ქვეყანაში დაბრუნდა. როცა ქალაქს მიაღწია, ერთი კაცი შემოხვდა. იმ კაცს ჰკითხა, ქალაქში რა ამბავიაო. კაცმა უპასუხა:

— მართალი გითხრა, ძმაო, ჩვენს ქალაქში ორი გოლიათი — ხაიბერი და ელ-ბურანი მოვიდნენ. მათ დიდი სასახლეები ააგეს,დღეს კი ხაიბერის ქორწილია.

გაიგონა ეს გოლიათმა მუჰამედმა და ძალიან გაბრაზდა. საიდანაც მუსიკის ხმა ისმოდა, იქით წავიდა. მივიდა და ხედავს, რომ გოგო, რომელიც უყვარდა, იქ ზის. ორივემ იცნო ერთმანეთი და გადაეხვივნენ. ხაიბერმა და ელ-ბურანმა თავი ჩაქინდრეს.

მოვიდა გოლიათი მუჰამედი და ორივეს სახეში შემოჰკრა. მერე ხელი ჩაავლო მათ და მინდორში მოისროლა.

— ვინც სიკეთეს ბოროტებით პასუხობს, მათ აქ არაფერი ესაქმებათ. — თქვა და ორივე დახოცა.

ამის შემდეგ შვიდი დღე და ღამე მუსიკა უკრავდა. შვიდარშინიანი გოლიათი მუჰამედი ამ გოგოზე დაქორწინდა. დანარჩენებიც იმათ გაჰყვნენ, ვინც შეუყვარდათ.

ისინი იქ დარჩნენ, მე აქ დავბრუნდი.

მამა, ქალიშვილი და ჩიგალი*

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი. ამ კაცს ერთი ქალი ჰყავდა. ქალი ყოველდღე ბაღში დადიოდა და თან საქარგავი დაჰქონდა. ერთხელ ქალს ძაფი ბაღში დარჩა. მეორე დღეს, დილაადრიან, ძაფისთვის ბაღში ჩავიდა. ჩავიდა და ხედავს, ხეზე, ფოთლებსა და ბალახზე ნამი ბრწყინავს. რატომღაც ნამზე თვალი მიუვიდა, წამოკრიფა ძაფები და შინ დარდიანი დაბრუნდა.

— შვილო, რატომა ხარ დაღონებული? მითხარი და დანარჩენი მე ვიციო, — უთხრა მამამ.

— მამა, ბაღში ძაფებზე ჩავედი, ხეზე, ფოთლებსა და ბალახზე ნამი ბრწყინავდა, მომეწონა და ნამის შვილი ჩიგალი შემიყვარდა. აი, რატომა ვარ დაღონებული, — უპასუხა შვილმა.

ჩაიცვა მამამ რკინის ქალამნები, ხელში რკინის ჯოხი დაიჭირა და ჩიგალის საძებნელად გასწია. მიდიოდა და თან ხალხს ეკითხებოდა, ჩიგალის ასავალ-დასავალი ხომ არ იცითო, მაგრამ მისი სახელიც კი არავის სმენოდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, გზაზე ქარავანი შემოხვდა. იკითხა, ჩიგალი ხომ არ გინახავთო.

— ჩიგალი ცნობილი ვაჭარია, — უპასუხეს მათ, — ეს მისი ქარავანია, თვითონ კი ხიდიდან აქეთ მრემართება, მალე დაგვეწევაო.

წავიდა მამა და ხიდთან გაჩერდა. მოვიდა ჩიგალი და ბერიკაცს მიესალმა.

— ალეიქუმ სალამ, შვილო ჩემო, — უპასუხა ბერიკაცმა. — ჩიგალის ხომ არ იცნობ?

— მე თვითონა ვარ ჩიგალი, — მიუგო ახალგაზრდამ.

— მე ერთი ქალი მყავს, — თქვა ბერიკაცმა, — იგი ყოველდღე ბაღში დადიოდა და იქა ქარგავდა. ერთხელ ბაღში ძაფები დარჩა, მეორე დღეს, დილით უკან მიბრუნდა და ხეებზე, ფოთლებსა და ბალახზე ნამი დაინახა. მას ნამი შეუყვარდა და ჩიგალი ჩაუვარდა გულში.

ჩიგალიმ ერთი თავსაფარი მისცა ბერიკაცს და უთხრა:

— აი, ეს თავსაფარი შენს ქალს გადაეცი. პირველად როცა გარეცხავს, ნარეცხი წყალი თქვენი სახლის ბანზე მოასხას, მეორედ,როცა გარეცხავს, ის ნარეცხი, მეზობლის სახლის ბანზე მოასხას. შენი სახლის ბანზე ვარდები ამოვა, ხოლო მეზობლისაზე — სარეველა. მაგ ვარდებიან სახლში მაჭანკლებს გამოვგზავნი.

ბერიკაცი შინ დაბრუნდა, თავსაფარი ქალიშვილს გადასცა და უთხრა:

— აი, შვილო, ეს თავსაფარი ჩიგალიმ გამოგიგზავნა. პირველად როცა

გარეცხავ, ნარეცხი ჩვენი სახლის ბანზე მოასხი, მეორედ როცა გარეცხავ, — მეზობლისაზე. შენი სახლის ბანზე ვარდები ამოვა, ხოლო მეზობლისაზე — სარეველა.

მამის ლაპარაკი მეზობლის ქაჩალმა გოგომ გაიგო. როცა ბერიკაცის შვილი თავსაფარს რეცხავდა, ეს ქაჩალი გოგო მივიდა და უთხრა:

— მაწვნის დედა მომეციო.

— აი, იქა დევს, მიდი და აიღეო, — უთხრა ქალმა.

— შენ თვითონ მომიტანეო.

ქალი მაწვნის დედის მოსატანად წავიდა. აიღო ქაჩალმა ტაშტი და წყალი თავისი სახლის ბანს გადაასხა, მერე კი სხვა ჩაასხა და იქვე დადგა. გამოართვა გოგომ მაწვნისდედა და შინ წავიდა. ბერიკაცის ქალმა თავსაფარი გარეცხა, პირველი ნარეცხი თავისი სახლის სახურავს გადაასხა, მეორე კი — მეზობლისას. მისი სახლის სახურავზე სარეველა ამოვიდა, ხოლო მეზობლისაზე — ვარდები.

ერთ დღეს ჩიგალიმ მაჭანკლები გაგზავნა ქალის წასაყვანად. მათ ვარდებიანი სახლიდან ქაჩალი ქალი გამოიყვანეს და საქმროს წაუყვანეს, დაინახა ეს ბერიკაცის ქალმა და მამას უთხრა:

— ოჰ, ღმერთო! მამაჩემო, შავ გველადაც ქცეულხარ, რომ ამ სარეველებში ისრიალო, მე კი მტრედად ვიქცე, რომ ლურჯ ცაში ვიფრინოო.

მამა გველად იქცა და ბალახებში გასრიალდა, ქალი კი მტრედად იქცა და მაყრიონს გაჰყვა. მაჭანკლები სახლში შევიდნენ, მტრედი სახლის წინ დაჯდა. მივიდა ჩიგალის საცოლესთან, ის კი ზის და თავს იქექავს. ჩიგალი ეკითხება:

— რას აკეთებ?

— ყალარსა* ვჭამ.

— ცოტა მეც მომეცი.

— მეტი არა მაქვს, მეზობლის ქალმა მომცა.

კარისწინ კი მტრედი ღუღუნებს:

— ყალარს კი არა ჭამს, ქაჩალიაო.

პატარძალმა ისევ თავის ფხანა დაიწყო. ჩიგალი ეკითხება:

— რას აკეთებო?

— ყალარსა ვჭამო.

— მეც მომეციო.

— მეტი არა მაქვსო.

მტრედი ღუღუნებს:

— ყალარს არა ჭამს, ქაჩალიაო.

ქაჩალმა მტრედს აუქშია. მტრედი ჩიგალის თავს დასტრიალებს და

უნიავებს, ხოლო ქაჩალს თავზე ასკლინტავს.

ერთხელ ქაჩალი ჩიგალის ეუბნება:

— ამ მტრედს თავს თუ არ წააცლი და არ შემაჭმევ, ბავშვი არ მეყოლებაო.

— ეს ერთი მტრედი გვყავს და როგორ დავკლაო? — უპასუხა ჩიგალიმ.

— უნდა დავკლათ, — ისევ თავისას გაიძახის ქაჩალი, — და თან ისე, რომ ერთი წვეთი სისხლი არაფერს მოხვდესო!

როცა ჩიგალი მტრედსა ჰკლავდა, მტრედმა თქვა:

— ო, ღმერთო! ჩემი სისხლის წვეთზე უზარმაზარი ჭადარი ამოიზარდოს, ისეთი, რომ ზედ ვერავინ ავიდესო.

დაკლეს მტრედი, სისხლის ერთი წვეთი მიწაზე დაეცა. ისეთი დიდი ჭადარი ამოიზარდა, რომ მასზე ვერავინ ადიოდა.

გავიდა დრო. ქაჩალმა ბავშვი გააჩინა.

— მოჭერი ეს ხე და ჩემს შვილს აკვანი გაუთალეო. — უთხრა ერთ დღეს ქმარს.

— ერთი აკვნისთვის ამხელა ხე როგორ მოვჭრაო?! — უპასუხა ჩიგალიმ.

— უნდა მოჭრაო, — დაიჟინა ქაჩალმა, — თორემ ჩემი შვილი მოკვდება. თან ისე უნდა მოჭრა, რომ ერთი ნაფოტიც არ დაიკარგოსო.

ჩიგალი ხის მოსაჭრელად წავიდა. როც ხეს ჭრიდა, ერთი დიდი ნაფოტი მეზობლის ეზოში, პირდაპირ ჭინჭრებში ჩავარდა. ამ დროს მეზობლის დედაკაცი ჭინჭარს კრეფდა, დაინახა ნაფოტი, შინ შეიტანა და თაროზე შემოდო, თვითონ კი მეზობელთან წავიდა ნაკვერჩხლის მოსატანად, ჭინჭრის ღვეზელი რომ გამოეცხო. როცა დაბრუნდა, დაინახა, რომ ღვეზელი უკვე მზად იყო. შეჭამა და გარეთ გავიდა. დაბრუნდა და ხედავს — სახლი დალაგებულია. დედაკაცი გაოცდა. ეს ამბავი რამდენჯერმე გამეორდა.

ერთხელ დიასახლისმა გადაწყვიტა, სკივრში დამალულიყო, რომ ენახა, ვინ ულაგებდა სახლს. ხედავს, ნაფოტი ქალად იქცა და სახლს ალაგებს. მიეპარა და ქალს ხელი სტაცა, მან კივილი მორთო:

— გამიშვი, მე ჯინი* ვარო.

— მე — დედა და შენ — შვილიო, — უთხრა დედაბერმა.

ერთხელ ჩიგალიმ თანასოფლელებს თავისი ცხენები ჩამოურიგა შესანახად. ქალიშვილმა დედაკაცს უთხრა:

— დედიკო, მოდი ერთი ფაშატი გამოვართვათ და მოვუაროთო.

წავიდა დედაკაცი ჩიგალისთან და ერთი ჯაგლაგი მოიყვანა. ქალმა ხელ-ფეხი დაიბანა და იქ, სადაც ხელები დაიბანა, წყარომ ამოხეთქა, ხოლო

სადაც ფეხები — მინდორი გაჩნდა. გაუშვა კვიცი მინდორზე და თვითონ შინ დაბრუნდა.

გაზაფხულდა. ჩიგალიმ თავისი ცხენების შეგროვება დაიწყო. ზოგმა ნასუქი ცხენი დაუბრუნა, ზოგმა — გამხდარი. ჩიგალიმ თავისი ნუქერები* დედაკაცთან გაგზავნა:

— წადით, ის ჯაგლაგიც მომგვარეთო.

წავიდნენ და რას ხედავენ, ჯაგლაგი კი არა ბედაურია, რომელსაც ვერავინ ხედნის. დაბრუნდნენ და ჩიგალის უთხრეს:

— ის უმაქნისი ცხენი ისეთ ბედაურად ქცეულა, რომ ვერავინ ხედნისო.

წავიდა ჩიგალი და რას ხედავს: მართლაც ვერავინ ეკარება ცხენს. გადაიძრო დედაბრის ქალმა თავსაფარი, ცხენს ფაფარზე მოეფერა და უთხრა:

— აქამდე მე გზრდიდი, ჩემო კარგო, ახლა შენს პატრონთან დაბრუნდიო.

მსახურებმა ცხენი წაიყვანეს.

მეორე დრეს ჩიგალიმ მსახურებს უბრძანა:

— ამ სოფლის ყველა ახალგაზრდა ქალი ნადზე მოვიდეს, მატყლი უნდა დაჩეჩონო.

მსახურებმა ყველას შეატყობინეს, ბოლოს დედაკაცის სახლში მივიდნენ.

— გინდა მოდი და გინდა — არაო, — უთხრეს მას.

ყველა ქალი მივიდა, ის კი — არა. ჩიგალიმ ისევ გაგზავნა მსახურები და დედაკაცის ქალი მოაყვანინა. ჩიგალი შორიახლო დაიმალა და ქალების ლაპარაკს დაუგდო ყური. მათ თქვეს:

— მოდით, მოვყვეთ რა გვინახავს ცხოვრებაშიო.

ადგა დედაბრის ქალი და მოყვა თავის თავგადასავალს. გაიგო ჩიგალიმ, დატოვა ქალები და დედაკაცთან წავიდა.

— დამითმე შენი შვილობილი და ოქროს მოგცემო. დედაკაცი დათანხმდა.

ჩიგალიმ ოქრო და ქალი წამოიყვანა, ქაჩალი თავის შვილთან ერთად შინიდან გააგდო. ბერიკაცის ქალმა თავისი მამა ისევ კაცად აქცია და თავისთან წაიყვანა. მამა-შვილი ძალიან ბედნიერი იყო. ჩიგალი და მისი ცოლი ჭამდნენ, სვამდნენ და ტკბილად ატარებდნენ წუთისოფელს.

ერთხელ ხელმწიფის, ვაზირისა და ყადის ცოლები სასეირნოდ წავიდნენ. ბილიკზე მიდიოდნენ და საუბრობდნენ, როცა ერთი ბრჭყვიალა საგანი დაინახეს. მივიდნენ იმ ადგილას და ძვირფასი ბეჭედი ოპოვეს. ჩემია, ჩემია, — იჩემებდა სამივე. ხელმწიფის ცოლმა თქვა:

— სამივემ დავინახეთ, სამივე მივედით. ჩვენ სამნი ვართ, ბეჭედი — ერთია. სამ ნაწილად ვერ გავყოფთ. ამიტომ ვინც ჩვენს შორის ყველაზე საინტერესო რამეს გამოიგონებს და იზამს, ბეჭედიც მისი იყოს.

ვაზირისა და ყადის ცოლები დაეთანხმნენ.

ხელმწიფის ცოლმა სამი მუშა იხმო და უთხრა:

— სასახლიდან სასამართლომდე მიწისქვეშა გვირაბი რომ გაიყვანოთ, რამდენი დაგჭირდებათ?

— სამასი ოქრო, — უპასუხეს მათ.

— აი, ოთხასი ოქრო, ოღონდ სწრაფად იმუშავეთ!

მუშებმა სამ დღეში გათხარეს გვირაბი, აიღეს ფული და წავიდნენ. ხელმწიფის ცოლმა ერთი კაცი დაიბარა და უთხრა:

— რასაც გეტყვი, ის გააკეთე!

ქალმა ეს კაცმი სასამართლოში წაიყვანა და ხელმწიფეს უთხრა:

— ეს კაცი შემიყვარდა და ცოლად უნდა გავყვე.

მეფეს ძალიან გაუკვირდა და თავისთვის თქვა:

— ალაჰ აკბარ,* ალაჰ აკბარ! ეს ჩემი ცოლი არ არის? სად იპოვა ეს ღატაკი და როგორ შეიყვარა?

— თქვენ აქ დაიცადეთ, მე სახლში წავალ და მალე დავბრუნდები. — თქვა მან.

ქალი მიწისქვეშა გზით გაიქცა სასახლეში, ხელმწიფეს მიასწრო და თავის ადგილას დაჯდა. როცა ხელმწიფე დაინახა, უთხრა:

— რა მოხდა, შინ რატომ დაბრუნდი?

— არაფერია, პატარა საქმე მაქვს.

სანამ ხელმწიფე სასამართლოში დაბრუნდებოდა, ცოლი თავის ღატაკთან გაჩნდა.

— ხელმწიფევ, თქვენო უდიდებულესობავ, დაგვაქორწინე, თორემ გვაგვიანდებაო, — უთხრა ქალმა.

მეფე დაიბნა, ისევ მიატოვა ორივე და შინ გაიქცა.

ცოლმა ისევ მოასწრო და ისევ თავის ადგილზე დაჯდა. როგორც კი ქმარი სახლში შევიდა, მაშინვე უთხრა:

— რაშია საქმე? რა მოგარბენინებს?

— არაფერია, ცოლო, პატარა საქმე მაქვს, — მიუგო მეფემ და ისევ სასამართლოში გავარდა, ცოლი კი თავის ღატაკთან გაიქცა და კვლავ სთხოვა მეფეს:

— მეფეო, დაგვაქორწინე, გვაგვიანდებაო.

ხელმწიფემ აღარ იცოდა, რა ექნა.ეს ჩემი ცოლი არ არის, უბრალოდ ძალიან გავსო, — თქვა და დააქორწინა ისინი.

ვაზირის ცოლმა ერთ ღარიბს დაუძახა და უთხრა:

— აი, შენ ასი მანეთი და ერთი დღე-ღამე მე უნდა დამემორჩილო.

ღარიბი დათანხმდა. ქალმა კაცს ყელზე ჯაჭვი შეაბა, ძაღლის მაგივრად დააბა და სალაფავით სავსე ჭურჭელი დაუდგა. დაბრუნდა ვაზირი, დაინახა ღარიბი და ცოლს უთხრა:

— ეი, ცოლო, რა დააშავა, რომ ეს კაცი ასეთ ყოფაში გყავს?

— ბოროტი კაცია, ახია მაგაზე!

ვაზირი ცოლს აღარ ჩააცივდა. როცა დაღამდა, ცოლმა ორივეს ძილის წამალი მისცა და დააძინა, მერე ღარიბს ქმრის ტანისამოსი ჩააცვა და ქმრის მაგივრად დააწვინა ლოგინში. ვაზირს ღარიბის ტანსაცმელი ჩააცვა, კისერზე ჯაჭვი შეაბა, ძაღლივით დააბა და სალაფავიც დაუდგა ჭურჭლით. ცოტა ხანში ორივემ გაიღვიძა. ვაზირი ხედავს, რომ ღარიბის ტანისამოსი აცვია, ძაღლივით დაბმულია და ძაღლის სალაფავიც უდგას წინ. მოეჩვენა, რომ გიჟდებოდა და ძალიან შეეშინდა. ღარიბი კი ვაზირის ტანსაცმელში გამოწყობილი, მის საწოლზე წევს და ნებივრობს. დაინახა ცოლმა, რომ ორივეს გაეღვიძა, ისევ მისცა ძილის წამალი და ტანისამოსიც გამოუცვალა ორივეს. როცა გათენდა, ასი მანეთი მისცა ღარიბს და გაუშვა. ვაზირი ცოლს ეკითხება:

— ცოლო, გუშინ რა ჩაიდინე? ის ღარიბი ძაღლივით დააბი, მე კი დამესიზმრა, რომ მე ვიყავი ძაღლივით დაბმული და ძალიან შემეშინდა.

ქალმა გაიცინა, ვეზირი კი გაბრაზდა.

ერთხელ როცა ყადი შინ დაბრუნდა, ცოლმა უთხრა:

— უი, ყადი! ფერი რატომ დაგიკარგავს? ავად ხომ არა ხარ?

ყადი დაეჭვდა და თქვა:

— ჰო, ცოლო, ცოტა შეუძლოდ ვარ, თვითონაც არ ვიცი რა მემართება.

— არა, შენ ძალიან ავად ხარ! — უთხრა ცოლმა, ლოგინი გაუშალა და დააწვინა. მერე ტოლმით სავსე ქვაბი ქურაზე დადგა და ძმებს დაუძახა. ისინი მოვიდნენ, ყადის შუბლზე ხელი დაადეს და სინანულით თქვეს:

— ოჰ, რა საწყენია, რომ ავად გახდი! ექიმბაშს უნდა დავუძახოთ.

ცოლი ექიმბაშის დასაძახებლად წავიდა.

როცა მკურნალი მოვიდა, ცოლმა ყადის ტოლმით სავსე თეფში დაუდ-

გა. ყადიმ ტოლმა პირში ჩაიდო. მოვიდა ექიმბაში და ცოლს ჰკითხა, რა დაემართაო?

— არ ვიცი, როცა შენთან მოვდიოდი, ლოყა დასიებული არ ჰქონდა.

ექიმბაშმა სისხლი გამოურწყა ლოყიდან.

ყადი ყვიროდა.

ცოლებმა ერთმანეთს უამბეს ყველაფერი, მაგრამ მაინც ვერ გადაწყვიტეს, ვის უნდა რგებოდა ბეჭედი. მართლაც, ვის უნდა ერგოს ბეჭედი?!

ხანი და გლეხი

ხანი ყოველ დილით ტყეში მიდიოდა სანადიროდ და ყოველდღე ხვდებოდა გლეხს, რომელიც ხეს ჭრიდა. კაცს იმდენი ხე მოეჭრა, რომ მორები მთასავით აეგორებინა, მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. ხანს გაუკვირდა და ამ გამრჯე კაცს უთხრა:

— გლეხო, ეტყობა ძალიან ღარიბი ხარ და დიდი ოჯახი გაქვს სარჩენი.

— დღეგრძელი იყავ ხანო, — უპასუხა გლეხმა, — დიდი ოჯახი არა მაქვს, მაგრამ რასაც ვშოულობ, სამ ნაწილად ვყოფ. ერთი ნაწილით ვალს ვიხდი, მეორე ნაწილს სესხად ვიძლევი, ხოლო მესამეს კი წყალში ვყრიო.

— ვერ გავიგე, კეთილო კაცო, იქნებ ამიხსნა?

გლეხმა უპასუხა:

— ვალს ჩემ მშობლებს ვუბრუნებ, სესხს საკუთარ ვაჟს ვაძლევ, ხოლო რასაც ქალიშვილებისთვის ვხარჯავ ის წყალში გადაყრილია.

ჭკვიანი ბავშვი

ძველ დროში ერთი ღარიბი კაცი ცხოვრობდა. მთელი მისი სიმდიდრე ერთი კოჭლი ვირი იყო. ერთხელ, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო, შეჯდა ვირზე და სამოგზაუროდ სხვა ქვეყანაში წავიდა. იქ თავი როგორღაც გამოიკვებება, ცოლ-შვილისათვის კი ვერაფერი იშოვა. ვირსაც ფეხი მოსტყდა. სხვა გზა არ იყო, შინ უნდა დაბრუნებულიყო. უკანაგზობას, გზაზე, სადაც ქარავანს უნდა გაევლო, რაღაც ბრჭყვიალა ნივთი დაინახა, აიღო ის ნივთი და ცოლ-შვილთან დაბრუნდა. ნახა ღარიბმა, როგორ ცხოვრობდა მისი წვრილშვილი, ადგა მერე და და წავიდა ფეყისთან:*

— ძვირფასო მოლა რიზა, მე მექას* მივალ საშოვარზე. ერთადერთი

ძვირფასი ნივთი მაქვს, მინდა ის სახლში დავტოვო, მაგრამ მეშინია არ დაიკარგოს. შენს გარდა ვერვის ვანდობ. გთხოვ, საყვარელო ფეყი, შემინახე, ერთ წელიწადში დავბრუნდები და წავიღებ.

ფეყის გაუხარდა:

— ძალიან კარგი, შვილო! ეს რა სალაპარაკოა! ნივთს შეგინახავ, როცა მოინდომებ, წაიღებ.

ღარიბმა ეს ნივთი ფეყის მიაბარა, თვითონ მექასკენ გასწია. ხან ერთს ემსახურა, ხან — მეორეს, როგორღაც თავი გამოიკვება. გავიდა ერთი წელი და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ფეყიმ გაიგო, რომ ღარიბი ბრუნდებოდა, ორი გაიძვერა დაიბარა და უთხრა:

— ამა და ამ ღარიბმა ძვირფასი ნივთი მომაბარა, ახლა დაბრუნდა და უკან მთხოვს! აი თქვენ ფული და დამიმოწმეთ, რომ ეს ნივთი მას დავუბრუნეო!

ყალთაბანდებმა დაინახეს ფული და გაუხარდათ:

— რა ძნელიც ეს არის! მშვიდად იყავი, ფეყი!

ღარიბი მექადან დაბრუნდა. მივიდა შინ, მოიკითხა ცოლშვილი, დაინახა, რა გაჭირვებით ცხოვრობდნენ და გული დაუმძიმდა. გადაწყვიტა ფეყისთან წასულიყო.

— ძვირფასო ფეყი! ჩემი ოჯახი მძიმე მდგომარეობაშია, მომეცი ჩემი ნივთი, რომელიც მოგაბარე.

— რომელი შვილო? რა ნივთი?

— ის, ბრჭყვიალა ნივთი, რომელიც მოგაბარე.

— მე ხომ დაგიბრუნე, შვილო?

— როდის, ფეყი?

— სანამ მექაში წახვიდოდი, ამა და ამ კაცების თანდასწრებით არ მოგეცი?

— არა, ფეყი, როგორ არა გრცხვენია?

— მოშორდი აქედან, უსინდისოვ! რაც გინდა ქენი, სადაც გინდა იჩივლე!

ღარიბმა ხელების მტვრევა დაიწყო. შავ დღეში ჩავარდა. ადგა და მეფესთან წავიდა საჩივლელად. მეფემ ფეყი დაიბარა:

— რატომ არ აძლევ თავის ქონებას?

ფეყიმ თქვა:

— დიდო მეფეო, მე მას თავისი ნივთი ამა და ამ ხალხის თანდასწრებით მივეცი, თუ არა გჯერა, შეგიძლია ჰკითხო.

მეფემ ის კაცები დაიბარა და ჰკითხა.

ყალთაბანდებმა უპასუხეს:

— მეფევ! ფეყი მართალია, ჩვენი თანდასწრებით მისცა ამ კაცს თავისი ქონებაო.

მეფემ დაუჯერა მათ და ღარიბი სიცრუეში დაადანაშაულა. ღარიბი ტიროდა და იტანჯებოდა.

მისი უბედურების შესახებ ყველამ გაიგო.

ერთხელ, როცა ღარიბი კაცი სამუშაოდ მიდიოდა, დაინახა მინდორში ხუთი ბავშვი თამაშობდა. ერთი მეფე იყო, სხვებს ასამართლებდა. იმ ბიჭმა, ვინც მეფეობას თამაშობდა, ღარიბს დაუძახა და ჰკითხა:

— ძია, ვიცით შენი ამბავი, არ შეიძლება, მეფეს ისევ მოსთხოვო შენი საქმის გადასინჯვა? მე ვიქნები მოსამართლე და იმან განსაჯოსო.

— რა თქმა უნდა, შეიძლება — უპასუხა ღიმილით ღარიბმა.

საწყალი კაცი ხავსს ეჭიდებოდა და იფიქრა, ერთხელ კიდევ მივალ მეფესთან, იქნებ რამე გამომივიდესო.

მეფემ ჯერ ცალყბად ჩაიცინა და მერე დაინტერესდა ამ საქმით:

— კარგი, გაგასამართლოს ამ ბავშვმა. — და დანარჩენების მოყვანაც ბრძანა. როცა ყველა მოვიდა, ბავშვს ნება მისცა, რომ თავად გაერჩია საქმე. ბავშვმა ფეყი, მოწმეები და ღარიბი სხვადასხვა ოთახებში დასვა.

ჯერ ფეყი გამოიძახა.

— შენ ამ კაცს ქონება მიეცი?

— დიახ, დავუბრუნე. — თქვა ფეყიმ.

მერე ღარიბი გამოიძახა და ჰკითხა, ფეყიმ ქონება თუ დაგიბრუნაო?

— არ დაუბრუნებია! — უპასუხა ღარიბმა.

ბოლოს ბავშვმა ყალთაბანდები გამოჰკითხა.

— ჩვენი თანდასწრებით დაუბრუნა ფეყიმ ამ კაცს ქონებაო.

ხელმწიფე ყურადღებით უსმენდა.

ბავშვმა ყველანი ისევ თავთავიანთ ოთახებში გაისტუმრა, თან ბრძანა, დიდი ქვაბი მოიტანეთ და შუა ოთახში დადგით, ზევიდან კი სუფრა გადააფარეთო.

ჯერ ფეყის დაუძახა.

— წადი და იმ ნივთისხელა ქვა მოიტანე და ამ ქვაბში ჩადეო.

ფეყიმ მოიტანა ქვა და ჩადო, მერე ღარიბს და ყალთაბანდებს მოატანინა ქვები. ბოლოს გასინჯა ქვები. ისინი, რომელიც ღარიბმა და ფეყიმ მოიტანეს, ერთნაირი აღმოჩნდა, კვერცხისხელა. ყალთაბანდებმა კი სხვადასხვანაირი ქვები მოიტანეს. ბავშვმა ყველას ერთად დაუძახა და ქვები აჩვენა:

— ფეყი და ეს ყალთაბანდები იტყუებიან, ნივთი ფეყის აქვს.

მეფეს ძალზე გაუკვირდა. ფეყის სახლი გაჩხრიკეს და ის ძვირფასი

ქვა იპოვეს. ღარიბმა თავისი ქვა მიიღო, იმ ქვის ფასად ჩასაცმელ-დასახური და სხვა რამეები უყიდა ცოლ-შვილს და კარგად დაიწყო ცხოვრება. ფეყის კი ის ფულიც დაეკარგა, რაც ყალთაბანდებს მისცა.

ფეყი დაღონდა, მე კი მხიარულად დავბრუნდი შინ.

აცი-ბაცი*

იყო და არა იყო რა, იყო ერთი აცი-ბაცი. ერთხელ ერთი გარგარის კურკა იპოვა, კურკა მიწაში დაფლა და თქვა:

— დილამდე ხე ამოვიდეს! — თვითონ კი სიმღერ-სიმღერით ველ-მინდვრებისკენ გასწია. მეორე დღეს აცი-ბაცის შუაგულ მინდორში უზარმაზარი ხე დახვდა.

— ხვალ აყვავებული დამხვდი!— უთხრა აცი-ბაციმ ხეს და სიმღერ-სიმღერით განაგრძო გზა. მეორე დღეს ხე გაფოთლილი და აყვავებული დაუხვდა. — ხვალ გარგარი გამოისხი! — უბრძანა ხეს აცი-ბაციმ. მივიდა მეორე დღეს და ხედავს, ისეთი მწიფე გარგარი ასხია, რომ სულ ანათებს. აცი-ბაცი ხეზე ავიდა, მღერის და თან გარგარსა სჭამს. აცი-ბაცის სიმღერა მთელ ველზე ისმოდა. გაიგონა დევმა, ძალზე გაჯავრდა და ხეს მიადგა. უთხრა:

— აცი-ბაცი, ტოტიდან ტოტზე გადახტი და მამიკოს გარგარი გადმოუყარე!

აცი-ბაციმ ჩაუყარა დევს გარგარი.

— გადახტი, გადმოხტი და მამიკოს გარგარი გადმოუყარე! — ხელმეორედ შეეხვეწა დევი.

იმდენი იხტუნავა აცი-ბაციმ ტოტებზე, რომ ბოლოს მიწაზე მოადინა ზღართანი. სტაცა ხელი დევმა, ჩაისვა აბგაში და შინისაკენ გასწია.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, აცი-ბაციმ დევს უთხრა:

— ამ ტყეში ჩემს გარდა კიდევ ერთი აცი-ბაცია.

— სად არის? — ჰკითხა დევმა.

— აი, იმ ხეზე ზის.

დევმა აბგა მიწაზე დადო და იმ ხისკენ წავიდა.

— სად არის? ვერა ვხედავ! — თქვა დევმა.

— იქით, იქით, ცოტა მოშორებით, იმ მხარეს!

დევი შორს წავიდა. ამასობაში აცი-ბაცი აბგიდან ამოძვრა. ჩანთაში ქვები ჩაყარა, თვითონ კი ჩუმად გაიძურწა.

მოვიდა დევი, აბგა ზურგზე მოიგდო და გზა განაგრძო. როგორც კი სახლში ფეხი შედგა, მაშინვე თავის ქალს გასძახა:

— ჩქარა, შვილო, ქვაბი დადგი, აცი-ბაცი უნდა მოვხარშოთ!

ქალმა ქვაბი ქურაზე დადგა, დევმა კი აბგა მოაპირქვავა და რას ხედავს: ქვაბი ქვებით აივსო.

— უჰ, მომატყუე შე ცრუპენტელა აცი-ბაცი! — გაბრაზდა დევი.

მეორე დღეს დევი ისევ მიადგა გარგარის ხეს.

— აცი-ბაცი გადახტი, გადმოხტი და მამიკოს გარგარი ჩამოუყარე!

აცი-ბაციმ დამპალი გარგარი მოკრიფა და დევს ხახაში ჩაუყარა.

— ამდენი გარგარი ასხია შენს ხეს! ჩამომიყარე, სულ ჩამომიყარე! — შეეხვეწა დევი.

იხტუნა აცი-ბაციმ ტოტიდან ტოტზე, იხტუნა და ჭიანი გარგარი ჩაუყარა დევს. უცებ აცი-ბაცის ტოტი მოუტყდა და მიწაზე დაენარცხა. სტაცა ხელი დევმა, ჩასვა აბგაში და სახლში წავიდა. გზაში დამპალი გარგარისაგან მუცელი ასტკივდა. იარა, იარა, მერე გაჩერდა და აბგა მიწაზე დადო.

— დავიღალე, ცოტა ხანს დავისვენებო.

— ეს მამაჩემის ბაღია, ცოტა იქით დაჯექი. — უთხრა აცი-ბაციმ.

გაიწია დევმა, აცი-ბაცი აბგიდან ამოძვრა, მერე შიგ ქვები ჩაყარა და გაიქცა.

აიღო დევმა აბგა და შინ წავიდა.

— ადე, შვილო ქვაბი დადგი, — უთხრა დევმა ქალს.

ქალმა ქვაბი ქურაზე დადგა. მოაპირქვავა დევმა აბგა და ქვაბში ისევ ქვები ჩაცვივდა.

— ისევ მომატყუა აცი-ბაციმ! — გაბრაზდა დევი.

მეორე დღეს, დილით დევი ისევ გარგარის ხეს მიადგა.

აცი-ბაცი ხეზე იჯდა, მღეროდა და თან გემრიელ გარგარს მიირთმევდა.

— აცი-ბაცი, გადახტი, გადმოხტი და მამიკოს გარგარი ჩამოუყარე!

იმდენი იხტუნა აცი-ბაციმ, რომ ხიდან ჩამოვარდა. სტაცა ხელი გაბრაზებულმა დევმა, ჩასვა აბგაში, ზურგზე მოიგდო და პირდაპირ შინ წავიდა. — ჩქარა, შვილო, ქვაბი დადგი! — დაუძახა ქალს.

ქალმა ქვაბი დადგა. დევმა აცი-ბაცი ქვაბში ჩააგდო, ცეცხლზე შემოდგა და თვითონ სანადიროდ წავიდა. ქვაბში წყალი ადუღდა და თუხთუხის ხმა გაისმა. დევის ქალმა ყური მიუგდო.

— აცი-ბაცი რა კარგად მღერი! — თქვა მან.

— უკეთესად ვიმღერებდი, ქვაბის სახურავი რომ გადაგეწია, — გამოეპასუხა აცი-ბაცი.

ქალმა სახურავი გადასწია. ქვაბში წყალი კიდევ უფრო ათუხთუხდა.

— აცი-ბაცი, ცოტა უფრო ხმამაღლა იმღერე! — შეეხვეწა ქალი.

— მოხადე სახურავი და უფრო ხმამაღლა ვიმღერებ!

"შენ მაინც მოგატყუებ!" — გულში გაივლო აცი-ბაციმ.

ქალმა ქვაბს სახურავი მოხადა.

აცი-ბაცი ქვაბიდან ამოძვრა, ქალი შიგ ჩააგდო, თვითონ კი კარს უკან დაიმალა. მალე მშიერი დევი დაბრუნდა და ქვაბში ჩახარშული საკუთარი შვილის ჭამა დაიწყო. აცი-ბაცი კი კარის უკანაა მიმალული და თავისთვის ბუტბუტებს: "უბედურია, ვინც საკუთარ ხორცსა ჭამს. უბედურია, ვინც საკუთარ ხორცსა ჭამს!"

მიხვდა დევი, რომ აცი-ბაციმ ისევ მოატყუა.

— სადა ხარ, შე ოხერო, აცი-ბაცი?

— წითელი ძროხის მუცელში ვარ!

დაკლა დევმა წითელი ძროხა, ხედავს — აცი-ბაცი შიგ არ არის.

— სადა ხარ, აცი-ბაცი? — ეკითხება დევი.

— ცხენის მუცელში ვარ!

წავიდა დევი, დაკლა ცხენი, ხედავს — აცი-ბაცი არც იქ არის.

"უბედურია, ვინც საკუთარ ხორცსა ჭამს!" — იმეორებს აცი-ბაცი.

— სადა ხარ, საზიზღარო აცი-ბაცი?

— აქა ვარ. დახლზე ვზივარ!

— მანდ რას აკეთებ?

— ჰალვასა ვჭამ!

— ერთი ნაჭერი გადმომიგდე!

აცი-ბაციმ ერთი ნაჭერი გადაუგდო.

— ოჰ, რა გემრიელია! კიდევ გადმომიგდე! ეს რამდენი ჰალვა გქონია, კიდევ გადმომიგდე!

აცი-ბაციმ ერთი ცარიელი ქვაბი ნაკვერჩხლით აავსო და დევს პირში შეაყარა.

დევი გასკდა.

წავიდა აცი-ბაცი, აძვრა თავის გარგარის ხეზე, მწიფე ნაყოფი მიიართვა და კიდევ უფრო ხმამაღლა შემოსძახა სიმღერა. ერთი-ორი გარგარი კიდევა მეც მიწილადა.

წინგილ-წინგილ, ბეგურა ჩიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. ერთხელ ჩიტს ფეხში ხიჭვი შეერჭო. ბევრს ეცადა თუ ცოტას, ხიჭვი ვერ გამოიძრო. ჩიტი მწარედ ატირდა. ეგონა, თუ იტირებდა, ტკივილი დაუცხრებოდა, მაგრამ ის უფრო ძლი-

ერდებოდა. მიხვდა, ტირილი ვერაფერს უშველიდა და ბულბულთან წავიდა დახმარების სათხოვნელად. ბულბულმა ხიჭვი ვერ ამოუღო. ჩიტმა დაანება ბულბულს თავი და მტრედთან გაფრინდა, მაგრამ ვერც მტრედმა უშველა... ჩიტმა პატარა შეშის შეკვრა მოიგდო ზურგზე, ბებერ დედაკაცთან მივიდა და ფეხიდან ხიჭვის ამოღება სთხოვა.

— საყვარელო ბები, მე შეშას მოგცემ, შენ კი ხიჭვი ამომიღე!

დედაკაცმა ხიჭვი ამოუღო და ღუმელში შეაგდო, ღუმელი გაახურა და შვიდი პური გამოაცხო. ჩიტმა კი უთხრა:

— საყვარელო ბები, ჩემი ხიჭვი დამიბრუნეო.

— საყვარელო ჩიტო, მაპატიე, მაგრამ ის ხიჭვი ღუმელში შევაგდე.

გაიგონა ეს ჩიტმა და ბებერს უთხრა:

— ან ხიჭვი მომეცი ან პურიო.

ბებერს მობეზრდა ჩიტის ლაპარაკი და შვიდივე პური მისცა. ჩიტმა პური აიღო, აფრინდა, მინდორში წავიდა და მაღალ ხეზე დაჯდა. ხედავს, მწყემსები ცხვრებს წველიან, პური არა აქვთ და ცარიელ რძეს სვამენ. ჩიტს მწყემსები შეეცოდა, მიფრინდა და უთხრა:

— ძმებო, მწყემსებო, როგორც ვხედავ, ჯერ თქვენთვის პური არ მოუტანიათ, ამიტომ მხოლოდ რძეს სვამთ. მე თქვენ შვიდ პურს მოგცემთ, თქვენ ქვაბები გახეხეთ, რძე ჩაასხით, შიგ პური ჩავფხვნათ და ვჭამოთ.

როცა ჩიტმა მწყემსებთან ერთად დაიწყო რძის სმა, ცაში ქორი გამოჩნდა. ჩიტმა სუფრა მიატოვა და ბუჩქებში დაიმალა. ქორი დიდხანს ტრიალებდა ცაში. მწყემსებმა პური და რძე შეჭამეს. ქორი მთაში გაფრინდა. ჩიტი ბუჩქებიდან გამოძვრა, მწყემსებთან მივიდა. ხედავს, მწყემსებს ყველაფერი შეუჭამიათ. ჩიტი გაბრაზდა და მწყემსებს უთხრა, ან პური მომეცით, ან ცხვარიო. მწყემსები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, შვიდ პურში შვიდი ცხვარი მისცეს და ჩიტი მოიშორეს. ჩიტმა წინ გაიგდო შვიდივე ცხვარი და უკან მიჰყვა. იარეს, იარეს და ერთ სოფელს მიადგნენ. სოფელში ქორწილს იხდიდნენ. დაინახეს, რომ ჩიტი ძღვენით მოვიდა, სახლის პატრონები პატივისცემით მიეგებნენ. ჩიტისთვის საცეკვაო მუსიკა დაუკრეს. ჩიტმა პატარძალთან ერთად ბევრი იცეკვა, ბოლოს სახლის პატრონს უბრძანა, სასწრაფოდ დაკალით ცხვრები და ყველას მწვადები დაურიგეთო. ცხვრები დაკლეს, მწვადი შეწვეს. როცა ჩიტმა და სტუმრებმა ჭამა დაიწყეს, ცაში ქორი გამოჩნდა. ჩიტი ისევ ბუჩქებში დაიმალა. ელოდებოდა, სანამ ქორი გაფრინდებოდა. ქორი კი შეუსვენებლივ თავს დასტრიალებდა იმ სახლს. დიდხანს იტრიალა და მერე ისევ მთისკენ გაფრინდა. ბუჩქებიდან გამოსულ ჩიტს აღარაფერი დახვდა, ხალხი უკვე მიდიოდა. დაინახა ეს ჩიტმა და სახლის პატრონს უთხრა:

— ან ცხვარი, ან — პატარძალიო!

რა უნდა ექნა მასპინძელს. ცხვრის ყიდვის საშუალება არ ჰქონდათ, ადგა და პატარძალი მისცა. წაიყვანა ჩიტმა პატარძალი და გზაზე ჯეელი დაინახა, რომელიც ჩონგურს უკრავდა... ჩიტს მისი ტკბილი სიმღერა ძალიან მოეწონა.

— მოდი, ჯეელო, ასე მოვიქცეთ: შენ ჩონგური მომეცი, მე კიდევ ამ ქალს მოგცემ.

ჭაბუკი მაშინვე დათანხმდა. ყმაწვილმა ქალი წაიყვანა, ჩიტმა აიღო ჩონგური და ხმამაღლა დაამღერა:

ხიჭვი მივეცი, პური მივიღე, ვაი !
წინგილ-წინგილ-წინგ, შვილო!
პური მივეცი, ცხვრები მივიღე, ვაი!
წინგილ-წინგილ, ჩიტო, შვილო!
წინგილ-წინგილ-წინგ, შვილო!
პატარძალი ჩონგურში მივეცი, ვაი!
წინგილ-წინგილ, ჩიტო, შვილო!
წინგილ-წინგილ-წინგ, შვილო,
წინგილ-წინგილ, ჩიტო, შვილო!

ჩიტის სიმღერაზე ქორი გამოჩნდა. შეშინებულ ჩიტს ჩონგური ხელიდან გაუვარდა, იტირა, იყვირა, მაგრამ ხმას ვის მიაწვდენდა!

შიჩან ბიკე*

იყო და არა იყო რა, იყო ერთი თაგვი. ამ თაგვს ერთი ქალი ჰყავდა, ბიკე ერქვა. ბებერი თაგვი შვილს არიგებდა:

— ჩემო კარგო, შინიდან ფეხი არ გადგა, მასტანს* თუ ჩაუვარდი ხელში, ცოცხალს არ გაგიშვებს!

— ნეტა რა ესმის ამ გამოყეყეჩებულ ბებერსო! — ფიქრობდა შვილი.

გავიდა დრო. შიჩან-ბიკე გრძელკუდა, მაღალფეხა, ნამდვილი თაგვი დადგა, მაგრამ ქვეყანაზე რა ხდებოდა, წარმოდგენა არა ჰქონდა. დედის ეშინოდა და გარეთ ცხვირს არა ჰყოფდა.

ერთხელ დედა ბაზარში წავიდა. წავიდა და შიჩან ბიკემაც გაიხარა. „სანამ შინ არ არის, დროს ვიხელთებ, წავალ, გარეთ გავიხედავ და ქმარს ვიშოვიო“, — თქვა და სოროდან ამოძვრა.

შიჩან ბიკე უკვე გასათხოვარი იყო, მაგრამ ვის უნდა გაჰყოლოდა, ჯერ არ იცოდა.

როგორც კი სოროდან ამოძვრა, მაშინვე ძაღლს შეეფეთა. შავი ხავერდის ქურქში გამოწყობილი შიჩან-ბიკეს დანახვაზე ძაღლს თვალები გაუფართოვდა.

— საით გაგიწევია შიჩან-ბიკე? — ჰკითხა მან.

— ქმრის საძებრად მივდივარ.

— მე გამომყევი ცოლად!

— მიმღერე და თუ ტკბილი ხმა გექნება, გამოგყვები.

ძაღლმა ზევით აიხედა და ყეფა დაიწყო:

— ავ, ავ, ავ, ავ!

— ოჰ, რა საშინელი ხმა გქონია! შენც უნდა თქვა, ცხოველი ვარო! შენისთანას ცოლად ვერ გავყვებიო! — თქვა შიჩან-ბიკემ და გზა განაგრძო. ძაღლმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შიჩან-ბიკემ გააწყვეტინა:

— ჩაგიწყდეს ხმა და სულიც ამოგძვრეს მაგ მტვრიან საწოლზე!

შიჩან ბიკემ ეზოში გაიარ-გამოიარა. უცებ ერთმა წითელბიბილოიანმა მამალმა დაინახა და მაშინვე ყივილი დაიწყო, რომ ძვირფას სამოსში გამოწყობილი შიჩან-ბიკეს ყურადღება მიეპყრო.

— საით გაგიწევია შიჩან-ბიკე? — ჰკითხა მამალმა.

— ქმრის საძებნელად მივდივარ! — უპასუხა მან.

— მე გამომყევი ცოლად!

— მიმღერე და თუ ტკბილი ხმა გექნება, გამოგყვები.

მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და მთელი ხმით დაიყივლა:

— ყიყლიყოო! — მერე ქვევით დაიხედა, ჩემი ყივლისგან მიწა ხომ არ დასკდაო.

შიჩან ბიკეს მამლის ხმა არ მოეწონა და როცა უსიტყვოდ აპირებდა გაცლას, მამალმა ჰკითხა:

— რაო, არ მოგეწონა?! ცუდი ხმა მაქვს?

შიჩან-ბიკემ მამალთან ლაპარაკი არ ისურვა.

— ჩაგიწყდეს ეგ ხმა და სულიც ამოგძვრეს მაგ ცივ საწოლზე! — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

შიჩან ბიკემ მეორე მხარეს გაუხვია. უცებ ერთი ტალახში მჯდარი საშინელი ცხოველი დაინახა. ეს ცხოველი კამეჩი იყო. როგორც კი კამეჩმა ასეთ ძვირფას ქურქში გამოწყობილი თაგვი დაინახა, მაშინვე თავი ასწია:

— საით გაგიწევია შიჩან-ბიკე?

— ქმრის საძებნელად მივდივარ!

— მე გამომყევი ცოლად!

შიჩან-ბიკემ პასუხის ღირსადაც არ გახადა ეს ჭუჭყში ჩამჯდარი ცხოველი.

არ მოეწონა მისი გადმოკარკლული თვალები და უზარმაზარი რქები.

— ესეც რომ ცოლად გაყოლასა მთხოვს! ჩაგიწყდეს ეგ ხმა და სულიც ამოგძვრეს მაგ ჭუჭყიან საწოლზე! — თქვა და გზა განაგრძო, თავში კი სულ დედის სიტყვები უტრიალებდა, ველურ მასტანს ერიდეო, ის თაგვს არ დაინდობსო. შიჩან-ბიკემ იფიქრა, რომ ის ტლანქი ცხოველი მასტანი იყო და სასწრაფოდ მოკურცხლა.

იარა, იარა და მტვერში გაგორებული ვირი დაინახა. ვირი ყოველ განძრევაზე მტვრის ბუღს აყენებდა. დაინახა ძვირფას სამოსელში გამოწყობილი შიჩან-ბიკე და მტვრის ჩამობერტყვა დაიწყო.

— საით გაგიწევია შიჩან-ბიკე? — ჰკითხა მან.

— ქმრის საძებნელად მივდივარ!

— მე გამომყევი ცოლად!

— მიმღერე და თუ ტკბილი ხმა გექნება, გამოგყვები.

ვირმა უკანა ფეხები გაფშიკა, ყურები დაცქვიტა და დაიყროყინა:

— ი—ა—ო, ი—ა—ო!

გაიგონა ვირის ყროყინი და შიჩან-ბიკეს გულს შემოეყარა.

— ჩაგიწყდეს ეგ ხმა და შენც სული ამოგძვრეს მაგ მტვრიან საწოლზე! — ჩაილაპარაკა და სოროსკენ გაიქცა. გზაზე მასტანს შეეყარა. მასტანს ფეხები გაეფარჩხა და მზის გულზე ნებივრობდა. ნაცრისფერმა კატამ თაგვის ფხაჭუნი რომ გაიგონა, მაშინვე გამოერკვა, შეხედა შიჩან-ბიკეს და გაოცებისგან კინაღამ თვალები წამოსცვივდა. შიჩან ბიკეს მასტანის ნაცრისფერი სამოსი მოეწონა. მასტანს ზოლიანი, პრიალა ქურქი ეცვა.

„თუ გავთხოვდები, ამისთანას უნდა გავყვე, ალბათ მდიდარია და სახელგანთქმულიცო“, — გაიფიქრა თაგუნამ.

სანამ ასეთ ფიქრებში იყო გართული, მისტანმა ჰკითხა:

— საით გაგიწევია შიჩან-ბიკე?

— ქმრის საძებნელად მივდივარ!

— მე გამომყევი ცოლად!

— მიმღერე და თუ ტკბილი ხმა გექნება, გამოგყვები!

მასტანმა ტუჩები გაილოკა და ხმადაბლა დაიკნავლა:

— მიაუ, მიაუ, მიაუ!

— ოჰ! — თქვა შიჩან ბიკემ, — რა ტკბილი ხმა გქონია! შენ გამოგყვები, მაშ ვის უნდა გავყვე! მე და შენ სამუდამო მეგობრები უნდა გავხდეთ!

სანამ შიჩან-ბიკე მასტანს მიუახლოვდებოდა, ბებერი თაგვის ხმა გაიგონა:

— სად მიდიხარ, ბრიყვო! ჩქარა, სოროში! ეგ მასტანია, შეგჭამს!

როგორც კი დედის სასოწარკვეთილი ხმა გაიგონა, შიჩან-ბიკემ მაშინვე სოროში შეჰყო თავი.

— ეჰ, რა ლუკმა დავკარგე! — ჩაილაპარაკა მასტანმა, როცა შიჩან ბიკე სოროში შეძვრა, — ნეტა რა მამღერებდა, დროს რაღად ვკარგავდი! ვინმემ რომ გაიგოს, ხომ ქვეყანა შეიყარა, — შიჩან-ბიკემ მასტანი მოატყუაო. სჯობს ენას კბილი დავაჭირო.

ასე გადაურჩა შიჩან-ბიკე მასტანს.

არაკაცურად სიცოცხლეს ვაჟკაცად სიკვდილი გერჩიოსო.
ვირს კი გახედნი, მაგრამ ცხენად ვერ აქცევო.
ქარავანს წინ თუ ყვავი მიუძღვის, უეჭველად ნანგრევებთან მიიყვანსო.
ირემს რქები არ ემძიმებაო.
კარგი მეგობარი დიდი სიმდიდრეაო.
კაცი სიტყვით იცნობა და არა სახითო.
მდიდარი სოფელი კვამლით იცნობაო.
რასაც თეფშზე დაასხამ, კოვზსაც ის მოჰყვებაო.
სახელის გატეხას თვალის ამოთხრა გერჩიოსო.
სხვის უბედურებაზე აშენებული სახლი იმ უბედურის ოხვრით დაინგრევაო.
უღონო სახედარს სამი ფუთი ადევს, ღონიერ ცხენს — ცარიელი ხურჯინიო.
შინ უფროსი თუ არა გყავს, რჩევა ლოდსა ჰკითხეო.
ცოდნა სტუმარია, ჭკუა — მასპინძელიო.
ცხენზე მჯდომი ფეხით მოსიარულეზე არ ფიქრობსო.
ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო.

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲛᲘᲯᲜᲣᲠᲗᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ

— წყაროზე მიხვალ, ლამაზო!
შემომიარე მეცაო,
შენითგან გადმონასხლეტი
მზის შუქი საწოლს მეცაო.

— შევუვლი, მოვინახულებ,
ნათესავია შორიო.
ვნახავ და რა სჭირს, გავიგებ,
თუნდ წამომწიონ ჭორიო.

— ავად გამხდარხარ, შევიტყვე,
ღმერთმა გიმაგროს ჯანიო.

— ვეღარაფერი მომარჩენს,
ცუდღა იქნება რჯანიო.
ამაყს არ გწადდა აქ მოსვლა?
იჯექ ახლა შინ, სახლშიო,
ცხედარს ვუტოვებ შავ მიწას,
სული მიფრინავს ცაშიო.

— მამა მიშლიდა აქ მოსვლას,
მქონდა შიში და რიდიო.
ძმებისაც მეკრძალებოდა, —
ნებას არ გვაძლევს რიგიო.
გავიხდი კაბას ალისფერს,
არც როდის გამიხდიაო,
ვერცხლის საკინძეს გავიხსნი,
რო არც როს გამიხსნიაო!

— ნურც წითელ კაბას გაიხდი,
თვალთ უკვე ბინდი მეკვრისო.
ვერცხლის ღილ-კილოსც შეეშვი,
დრო არ გაქვს გახსნა-შეკვრისო...

წამოველ მამის სახლისკენ,
ჭორმა მიმასწრო აქაო,
დანებს ლესავენ მამ-ძმანი,
მელის წვრილ-წვრილად აქნაო.

ჩემს უნაზეს ტანს ას ნაჭრად,
დაჩეხენ ალბათ დანებით,
იმ ნაჭრებს ჩაიჭმუჭნიან
ჯიბეში ჭორიკანები.
დაე, დამაგდონ ას ნაჭრად,
მამისგან მიმოფანტული,
შენ მაინც მემახსოვრები
ვით ნატვრისთვალი ზღაპრული!

სამი ძმის სამი ხანჯალი
მკერდში შეესო მყისაო...
მამის ხმლით თავწაგდებული,
ტანი დავარდა ძირსაო...

ხმალნი დაწმინდეს, კაცობის
სახელი ცამდე ასწიეს.
ვაჟს სული საწოლს ამოხდა,
ქალ ნაკუწებად აქციეს!

ქალ-ვაჟის გასაუბრება

ქალი:
— რა ვქნა, გადავვარდე კლდიდან,
ჭორიკნების ლაფს რომ ავცდე,
თუ ჩვენს გრძნობას, ჩვენს სიყვარულს
უერთგულებ სიკვდილამდე?

თუ გატეხე ჩვენი ფიცი,
თუ მღალატობ, გენაცვალე,
ეგ ფაფახი ვაჟკაცისა
ამ ლეჩაქში გამიცვალე!

ვაჟი:
— ამ წვერს მიტომ დავატარებ,
მიტომ მხურავს ქუდი თავზე,
რომ ვიღაცა ჭორიკნები
ვახარხარო ჩვენს გრძნობაზე?!
დე, ამ ხანჯლით საკუთარი,
ღვიძლი მამის ვიყო მკვლელი,
დე, არ მქონდეს ვაჟკაცური
არც ხანჯალი და არც წვერი,
თუ როდისმე გიღალატო,
გავახარო ჩვენი მტერი.

შენ ხარ მთაში მოღუღუნე,
ჩემი მტრედი...

წუხილი

გაზაფხულის მზეს ყინული ფარავს
გულს კი – სიბნელე დიდი,
— ჩემი მზეთამზე შორ გზაზეაო, —
მღერის პატარა ჩიტი.

მაღლა მთაზე ხარობს ორი
ოქროსფერი ყვავილიო,
სულ ამაოდ აქვთ ერთურთთან
სიახლოვის წადილიო.

ცხრა ნაკადულს ღრმა ხეობის
მორაკრაკეთ ერთ ხმისაო,
სულ ამაოდ აქვს იმედი
შერწყმა – შეერთებისაო...

სიყვარულის ბრალი არის,
კლდე,
წვრილად რომ ირღვევაო?
გული როგორღა მაქვს მთელი,
ბაგეს რად სურს სიმღერაო?

სიმღერა შეყვარებულ მუტაალიმზე

შეიხს* ვეახლვი მექაში,*
ბრძენ ალიმს* — მედინაშიო,*
წიგნებზე ვათენ-ვაღამებ,
ცრემლი ჩამომდის მლაშეო.
ო, ალაჰ!
თუ ნანდაური შემხვდება,
გულის კარი მაქვს ღიაო,
ისეთი იყოს, ხატება
სიზმრად რომ დამსიზმრიაო...
ტანი – ალვის,
ლოყა — ვარდის,
თვალნი — მელნის,
ბაგე — თხელი,
წვრილი წელი.
კბილი როგორც მარგალიტი,
მკერდი — კოკობ ვარდისაო.
მხრები — გლუვი სანთელივით,
ნერწყვი — ტკბილი, თაფლისაო.
ალხამდულა*-ქალი ღმერთმა
ნეტავ ცოლად მაღირსაო.

* * *

ცაზე მთვარე ამოდის და
გულში შხამი მეწვეთება,
ჩადის, ჩადის წითელი მზე,
გულზე ლოდი მეფეთება.

ცხენ-უნაგირიც მომბეზრდა,
უსარგებლოდ მეჩვენება.
ფიქრით მუდამ შენთანა ვარ,
იარაღს ვყრი, ვის ვედავო?
ის მიწაც ჯოჯოხეთია,
რომელზეც შენ ვერ გხედავო,
სამოთხე კი ის ბანია,
შენ რომ ტკეპნი უთენია.

* * *

ლოგინი მე არ ვიცი,
შევაჯერე მთებიო,
სიზმრად მაინც თუ მხედავ,
ან თუ გენატრებიო?
მე კი შენი მანდილით
მთაშიც მელანდებიო.

* * *

თვალიც არ მომიხუჭავს,
რაც დაგტოვე
აულში...
დარდით შეძრულს გამაცალა
უძილობამ
ძალიო.
— ნუ იძინებ, — მითხრა, — როცა,
გვერდით არ გყავს ცალიო.

* * *

გამიფრინდა ფარშევანგი,
სიყვარულიც წლებისა,
მთელ ქვეყანას მოჰფენია
ალი ჩემი ძვლებისა.

* * *

მყინვარ მთებზე ყინულივით
თოვლი მფარავდა,
— უამბე მას, ჯეირანო,
თუ კი დალანდავ.
— როგორ მნახე, რაზმთან ერთად
ხრამის კარავთან,
— ჯიხვო, მოუყევი, როცა
ჩახვალ ბარადა.

* * *

ტყე-ტყე მოარულ ნადირს
ვკითხავ შენს ამბავს ალბათ,
ვერა გაცნობე ჩემი —
გულში ესა გაქვს დარდად.
დაგავიწყდა, რომ ქოხში
ზიხარ ჩარაზულ კართან,
დაგავიწყდა, რომ წერილს
გიფარავს კაბის კალთა!

* * *

ცეცხლი მისი თვალებისა
დაადნობდა ზამთრის ყინვას,
ო, ცოცხალი გნახო ნეტავ,
ღმერთი მომასწრებდეს იმას.
მზეც კი შედგებოდა გზაში,
ალბათ შენი დანახვისას,
შედგებოდა გაოცებით —
ჩასვლისას თუ ამოსვლისას.

* * *

მთაში გზაკვალარეული მხეცი
ან მოკვდება, ან გაიგნებს გზას,
ან გაზაფხულზე ჩაგეხუტები,
ანდა გულზე დამადებენ ქვას.

* * *

მისი ნაზი სახე ჯერაც
მზეს არ უნახავს...
მისმა შემოხედვამ ლამის
მომკლა, მომნუსხა.
მისმა სილამაზემ
მის გულს დამამონა.
ტკბილი საუბარი —
მკერდით ამომსკდარი,
ნეტავ ერთხელ მაინც
კიდევ გამაგონა.

* * *

მეფენი აქ სისხლს ღვრიდნენ,
ბრძოლის ველზე ხალხს ყრიდნენ.
მე კი რის ბრძოლის ველი,
აქვე ვკვდები უბანში,
როცა ბანზე თვალს მოგკრავ —
მოსილს წითელ ჯუბაში;
როცა გხედავ აულში
მოსეირნეს ნარნარად.
შენი ნაზი სურნელით
მკვდარიც ფეხზე დამდგარა.

სულეიმანის და

წავალ, დედილო, ყანაში,
ჩაფლულა მწვანე ბალახში,
— უი, მარტოკა სად წახვალ,
უჩემოდ, თავის ამარა.
ყური არ უგდო დედამისს,
შეუდგა ყანის გამარგვლას.
დაგლიჯა ერთი იღლია,
მწვანე ბალახი მთისაო,
რომ საიდანღაც მის გვერდით
გაჩნდა ძმობილი ძმისაო.
— მშვიდობის დილა, ქალწულო,
—სულ მშვიდობის გზა წინაო.
ჩემი ძმა სადღა ჩამოგრჩა,
რად არ მოვიდა შინაო?
— აღარ გვყავს, მტრისა ნასროლმა,
დღე გაუთენა ავიო,
წუნტის* მიწაზე გაშოტილს
ნაბადი ჰხურავს შავიო!
თვალცრემლიანი, ბედშავი
მყისვე მივიჭერ დედასთან:
— დედა, საგზალი მჭირდება,
წინ დიდი გზა მაქვს სავალი,
ქალებო, კვერი დამიცხვეთ,
ძმის საძებნელად წავალო.
წუნტელთ მიწა-წყალს ვსერავდი,
ჰუნზის* ველ-მინდვრებს ვლახავდი,
რა ვიცოდი, რომ მთის ძირში
ჩემი ძმის ცხედარს ვნახავდი!
ძვლები ეყარა ბუჩქებში,
ქალწულთ ნაფერი სხეულის,
თვალნი არჩივი გამხდარა
კაჭკაჭის, ყორნის წყეულის.
შევხედე, ჩემსკენ ხვანელი*

ვაჟკაცი მოემართება.
ცხენს ფარავს ვაჟის ნასუნთქი,
ცხენს ოხშივარი ვარდება.
— სალამი, ქალო-ქალწულო,
— ხელი შენც მოგემართება!
— ჯერ კაცის ფეხი ამ მიწას
არასდროს დაჰკარებია,
შენ როგორ მოხვდი ამ ადგილს,
ჩანს, თავიც არ გყვარებია!
—მტერი მყვა, სულეიმანი,
მკვლელს ვეძებ, ცოლად გავყვები,
ვისაც ფარ-ხმალი მისი აქვს,
ჰყავს მისი რაში ნაქები.
— ეს მე მოვკალი, მე ვძლიე,
ცხენიც მე დამრჩა, თოქალთოც,*
შემომიჯექი ამ ცხენზე,
თავი მე უნდა მომანდო.
— ცხენს შევჯდე? გურჯი კი არ ვარ,
ან ჰლებებელი ალარდი.*
ვიარეთ...
ცრემლის ტბა დავდგი
ხვანელის სახლის კარამდი.
ცხენმა რომ მიცნო, საბრალოდ
შემჭიხვ-შემომხვიხვინაო.
— დღემუდამ ქერს რომ გაჭმევდი
აქ მოგიყვანა ვინაო?!
— ქერსაც მაჭმევდი, თივასაც,
კარგად მივლიდა ყველაო,
დამჯაბნა უცხო მხედარმა
შენს ძმას მზე დაუბნელაო.
ზემო ოთახის კედელზე
ჩემი ძმის ხმალი ელავდა.
მუდამ წელს ერტყა, საკიდზე
ვინ დაკიდებდა ძველადა...
მოვიდა მოლა და ყადი,
დაგვაქორწინეს ხელადა,
ბევრი ისტუმრეს სტუმარი,

გაუმასპინძლდნენ ქველადა.
დამიწყო ხვანელ ჭაბუკმა
მოფოლორც-მოალერსება,
მე რა ალერსის გული მაქვს,
გული გესლ-ბოლმით მევსება.
— შემეშვი, ჯერ ვარ სტუმარი,
ხვალაც ვიქნებით შინაო.
მანაც იბრუნა ზურგი და
ჩათვლიმა, ჩაიძინაო...
წამოვხტი, დრო არ ვახანე,
ძმის ქუდიც გვერდს არ გადავდე,
კედელს ნაკიდი ძმის ხმალი
ხვანელს სამჯერ ვკარ ვადამდე.
მოვახტი ძმის ცხენს უმალვე,
მტრისას ავკიდე ცხედარი,
დედა მიცდიდა აულში,
მიუველ შვილი-მხედარი.
ძლივს მოდის შესაგებებლად
ცრემლიან, ხელჯოხიანი.
—ნუ სტირ, ნუ მოსთქვამ, დედილო,
მტერსაც დიდი აქვს ზიანი,
აქ თუ ერთის ხარ მოზარე,
იქაურნ მეტის ზიანო.

ხვანელთ მოგვწერეს წერილი:
ვინ იყო, კაც თუ ქალიო.
მსგავსი არც სადმე გვსმენია,
არც სად მოგვიკრავს თვალიო.

აზაინში* საომრად წასული ვაჟის სიმღერა

ჩემი ვაჟი, უმცროსი, გამოვიდა გოდეკანს,*
კვალს მტვერიც არ წაჰყროდა, ისე სწრაფად მობრუნდა,
— რა შეგემთხვა, მითხარი,
ჩემო ნაბოლარაო,
ისე სწრაფად მომიხველ,

კვალიც არ შემშრალაო:
— იქნებ თანატოლებთან
ჩხუბი გქონდა შენაო?
— იქნებ კბილა ბიჭებთან
ჩხუბმა შეგაშინაო?

— ცემა-ტყეპას ავტეხდი
ჩემს სწორფერებთანაო?
— ანდა ჩხუბს გავმართავდი
ჩემთან შეზრდილთანაო?
— არა, დედა, დედილო,
მე არ მიმძიმს ეგაო,
აზაინში საომრად
ყველა ემზადებაო,
პირველობა აულშიც
სწორედ მას დარჩებაო,
ვისი ცხენიც იმარჯვებს,
სხვებს არ ჩამორჩებაო.

— ნუ, ნუ წახვალ აზაინს,
ჩემო შვილო, ჯერაო.
ლეკვი მგელს ვერ დაჯაბნის,
ნაგაზს ჯერ არ გავხარო,
ნუ ედრები ჯიგიტებს,
ჯერ ჯიგიტი არ ხარო.

— თუ ლეკვი მგელს ვერ ჯაბნის,
შენა ფიქრობ ასეო,
თითისტარი მომეცი,
ქალწულებთან დამსვიო;
თუ ჯიგიტებს არ ვგავარ,
არ უნდ ვიჯდე მერანზე,
მაშინ ცომი მომეცი,
მატრიალე კერაზე.
— ვხედავ, ვერ დაგაკავებ,
ვერ დაგიჭერ, მაშინო
გამოიყვა ყველაზე

ცეცხლოვანი რაშიო,
ბოძიდან მოხსენ თოფი,
ჩაჯექ იარაღშიო,
ბასრი, თხელპირა ხმალი
შემოირტყი წამშიო.
გამოვიხმე, შევკაზმე
ცეცხლოვანი რაშიო,
ჩამოვხსენი თოფი და
ჩავჯექ იარაღშიო,
პირბასრი ხმალი წელზე
შემოვირტყი წამშიო,
არ დავახანე, გაველ
აზაინის გზაშიო.

აზაინში მისმა ცხენმა სხვების აგდო არადო,
ვაჟიც იბრძვის ნამდვილი ჯიგიტების დარადო,
სასიკვდილოდ დაიჭრა, ის დღე მისთვის დაიქცა,
მძიმე-მძიმე ჭრილობებს რაშიც ვერსად გაექცა.
— გადმოცვენილ ჩემს ნაწლავთ
უნაგირით ვიმაგრებ,
— ცხენის ნაწლავთ ქვემოდან
თოქალთო აქვთ სიმაგრედ,
გამოვწიე ცოლისკენ,
სახლის კარებს მივადექ:

— დედაკაცო, გულით გთხოვ,
გახსენ კარი წმინდაო,
მეც და ჩემს ცხენს, ორივეს
პატრონობა გვინდაო.
სასიკვდილო ჭრილობამ
ვერ შეიკრა პირიო,
საბრალო ჩემი ცხენიც
მძიმედ არს დაჭრილიო!

— ვფიცავ ღმერთს, ჩემი კარი
არ დაგხვდება ღიაო,
შენნაირი ვაჟი მე
ბევრი მინახიაო,

რიჟრაჟის სიზმარიც კი
შენზე უფრო ტკბილია...

— ახლა ვნახავ, დედაა თუ ღრძო დედობილია!

— დედი, ჩემო დედილო,
გახსენ კარი წმინდაო,
მეც და ჩემს ცხენს, ორივეს
პატრონობა გვინდაო.
სასიკვდილო ჭრილობამ
ვერ შეიკრა პირიო,
საბრალო ჩემი ცხენიც
მძიმედ არს დაჭრილიო!

— ვფიცავ, კარებს არ გავხსნი,
არ მოგიშვებ შენაო,
შემიძლია ასობით
შენ მსგავსთა გაჩენაო,
რიჟრაჟის სიზმარიც კი
შენზე უფრო ტკბილია.

დისკენ გასწევს, რომ ნახოს, დაა თუ დობილია.

— დაო, კარი გამიღე,
შინ შემიშვი გმირიო,
სასიკვდილო ჭრილობამ
ვერ შეიკრა პირიო,
თან მყავს ცხენიც საბრალო,
მძიმედ არს დაჭრილიო!

კარს მივარდა, მართლაც, ჯიგიტის და ისევ,
იცვამს შარვალს, კაბას, თან კარს აღებს მყისვე,
კართან მდგარმა და-ძმამ ერთმანეთი იცნეს.

თივთიკისა ლოგინში ჩააწვინა ძმაო,
მაგრამ, ალაჰის ნებით, გამწარებულმაო
სული, ჯიგიტმა ძმამ, ზეცას აბარაო.

დედამ
რძის წოვების
მოითხოვა წილი!
დანიშნულის წილი
მოითხოვა ცოლმა!

შვილის ცხენი დედამ წაიყვანა წილში,
წაიღო ქამარიც ვერცხლის, ძველთაძველი!
ცოლმა აიტაცა ვაჟის ტანსაცმელი!
საცოდავ დას დარჩა მხოლოდ მწარე ცრემლი...

აზაინელი ქალი

მისმინეთ, ამბავს გიამბობთ,
სული ვისც დაეფლითაო.
სიმღერას გიმღერთ მიჯნურთა
ცხელ ალში ჩაფერფლილთაო.

მიდის სამგზავროდ, შავ-შავ რაშს
ადგამს უნაგირს ჩერქეზულს,
ვერცხლის ხმალ-ხანჯალს წელს ირტყამს,
ნახავს დღეს ფარი-მესედუს.*
— ხუთი დღე არის, აზაინს მოველ,
ერთხელ ვერ ვნახე ფარი-მესედუ,
ცხენი შევკაზმე დასაბრუნებლად,
ავშარ-აღვირიც მზად მქონდა უკვე.
მიწას დავხედე — მშრალია მიწა,
ზეცას შევხედე — მოწმენდილია,
მაგრამ რატომღაც ნაბადი ჩემი,
სველია, ალბათ ვიღაცის ცრემლით.
— რა ხდება ნეტავ? – ავიხედე და
ვხედავ, სარკმელთან მომდგარა ქალი.
— ხუთი დღე არის, აზაინში ვარ
და ვერსაიდან მოგკარი თვალი.
— ძმებმა შეიტყვეს შენი ჩამოსვლა,
და ცხრაკლიტულში გამომამწყვდიეს,

გავიგე, უკან წასვლას აპირებ
და იმ ცხრაკლიტულს თავი ვაღწიე.
შენს დღეგრძელობას, ამდენივე დღე
დარჩი, ნუ წახვალ, ნუ მიმატოვებ,
შენს გახარებას, ამდენივ ღამე,
დარჩი, ნუ წახვალ, ნუ მიმატოვებ!
— ამდენივ ღამე აქ როგორ დავრჩე,
შენი ძმებისა არის სირცხვილი,
— ამდენივ ღამე აქ როგორ დავრჩე,
ჩემი მასპინძლის არის სირცხვილი.
— რაკი არ იშლი, მაინც მიდიხარ,
გთხოვ, ერთი თხოვნა მეც ამისრულე,
სანამდე სოფელს გასცდები, მანამ
შენი მერანი ნელა ატარე,
მერე მათრახი გადაუჭირე,
ნახავ მოედანს, წრე შემოარტყი,
მოსახვევებში, სადაც მოხვდები,
გამიხსენე და ცრემლი დაღვარე.

დაემშვიდობა ვაჟი ქუდმოხდით,
ვერც კი შენიშნა, გული გაუსკდა
დაეცა ქალი იქვე სულმიხდით.

სოფელში ცხენი ნელა ატარა,
მოსახვევებშიც ცრემლი დაღვარა...
მერე მათრახი გადაუჭირა,
მოედანს ყველგან წრე შემოარტყა,
გზადაგზა ყველგან ფარი-მესედუს
იგონებდა და მასზე ნაღვლობდა.
მწვანე მინდორზე დასასვენებლად
ჩამოხტა ვაჟი. ხედავს, შორიდან
უახლოვდება მასპინძლის ვაჟი,
ისე მოქროდა, გეგონებოდათ —
მწვანე ფოთოლი მოქრის ქარდაქარ.
— სალამ ალეიქუმ, მამის სტუმარო!
— ალეიქუმ-სალამ, მასპინძლის ვაჟო!
სოფლად რა ხდება, ხომ მშვიდობაა,

ან რაზე ბჭობენ მამაკაცები?
— გარდაიცვალა შენი მესედუ,
სოფელსაც ეს აქვს ახლა სადარდო.
იქნებ სამძიმრის სათქმელად მაინც
დაბრუნდე ახლავ, საქმე გადადო.

შეხსნა აღვირი ყორნისფერ მერანს,
შეხსნა აღვირი და წინ გაუშვა.
შეიხსნა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი
ხურჯინში ყველა ერთად ჩაუშვა.
თავის ხირიმი, განთქმული სტამბოლს,
დღე-ღამ რომელსაც არ იშორებდა,
გამწარებულმა ძირს დაანარცხა
და გაემართა აზაინისკენ.

მივიდა სახლთან ქალისა,
დგას უბედური მამაო.
— მოხუცო, ნება მომეცი,
უკანასკნელად ვნახავო.
ავიდა, ქალის ძმებს სთხოვა,
მის მკერდს შევავლებ თვალსაო,
დასთანხმდნენ, სახეც ენახა,
მკერდიც შეეხსნა მასაო.
შეხედა ქალს და ვაჟკაცი
მკვდრისფერი გახდა მყისაო.
შეხსნა საკინძე და ელდამ
უსულოდ დასცა ძირსაო.

ბარელებს ჰკითხეს, — მიჯნურებს,
საფლავში როგორ აწვენთო?
მთიელებს ჰკითხეს, — მიჯნურებს
სუდარში როგორ ახვევთო?
— მიჯნურთ საფლავიც ერთი აქვთ, —
მოვიდა ბარელთ სიტყვაო,
— მიჯნურთ სუდარაც ერთი აქვთ, —
მთაშიაც ასე ითქვაო.
გათხარეს ერთი სამარე,

ორივე ჩადეს შიგაო,
— ვერ გაიხარეს ამქვეყნად,
დაე, იხარონ იქაო.
საფლავზე ხე ამოვიდა
ხე ედემისა არიო,
საფლავთან ამოჩუხჩუხდა
უკვდავებისა წყალიო!

ღმერთო, ნურავის არგუნებ
ბედს ასეთ მიჯნურისაო,
გულით მრთელთ, ტანად ლამაზებს
შუქს ნუ ჩაუქრობ მზისაო.

საბრალოთ მიწას აბარეს
კოშკები ოცნებისაო.

ხადარი*

წავიდეთ მუჰამედ-ალი,
დავიცვათ ციხე ურხალი,*
წავიდეთ, იქ ჩალანდარი*
ჩემი ძმადნაფიციც არი.

მოვიდნენ ურხალელები,
ჰაიდარბეგიც მოსულაო.
კოშკის გარეშემო დგანან,
ყველა ერთად მოსულაო.
ყველა ერთხმად გაიძახის,
ჩვენ ვერ გაგვიმაგრდებიო,
— ხადარ, გამო, რას იმალვი,
გამო, ხადარ, დაგვნებდიო!

— რისთვის მოვიდნენ, რა უნდათ, —
უკვირს ხადარს, იხედება.
ხედავს, ალიბეგის მხედრებს,
ხედავს ჩუფანის შავ მხედრებს.

კოშკის გარს შემოჯარულებს.
ეძახიან:
— ხადარ, სად ხარ,
სად ხარ, ხადარ, დაგვნებდიო,
ჩვენ ვერ გაგვიმაგრდებიო.
გასაქცევად მოგცემთ ცხენსო,
წელზე სარტყლად — იარაღსო.
შინ მშვიდობით გაგისტუმრებთ,
არ დაგაჩნევთ იარასო.
— მიტომ გამომგზავნა მაჰდიმ,
რომ დაგნებდეთ თქვენო?
უხუცესმა დამაბარა,
შიშს ნუ დაიჩენო,
ალიბეგი მოკალი და
მისი ცხენი შენო,
ჩუფალანის თოფით ტანი
უნდა დავიმშვენო.
ამ პირობით გამომგზავნა
მაჰდი ვისაც ჰქვია.
უხუცესის მოცემული
მქონდა სულ რვა ტყვია,
ალიბეგმა იცის, ერთიც
ქვას არ მოხვედრია.
ჩერქეზული ცხრა ისარი
მოცემული მაჰდის,
ბალახში არ ჩასობილა, —
თქვეს ყუმუხელთ დარდით.
მათ საშველად ტოლ-ფანდებმა,
ურხლით ამოსულმა,
იარაღი აიხსნეს და
ჩააბარეს უმალ,
ტყვედ ჩაცვივდნენ, ტყვედ ჩაბარდნენ,
დაიბნელეს დღეო.
ვითომ მტრის მძლე ჰაიდარბეგი, —
ხაბნუსარის ძეო,
გარბის ველის კურდღელივით,
ქუსლებს თავში იცემს,

შარვალი ამოჩეჩვია,
სძვრება, ისევ იცმევს,
ომი თვითონ წამოიწყო,
არვინ სთხოვა ისე.

ხარა მაჰდის ხადარი კი მარტო ებრძვის მტერსო,
სავაზნეში ჩაიხედა, ორი ტყვია ძევსო.
ცოტაღა დარჩა წამალიც, საპირისწამლეო,
თოფს სწრაფად უცვლის ფალიას, ყველა დავცალეო,
იქვე ბოძზე მიაყუდა თოფი ხირიმულა,
ალიბეგის ცხენზე მჯდარი გმირი გაჯგიმულა,
ჩოფალისა იარაღით მორთულ-მოკაზმულა.
რომელიღაცა ნუქერი* —
ჩანს წერამ აიტანაო,
წინ გამოიჭრა უცბად და
ტყვიაც მას მიჰყვა თანაო,
ხადარის ბოლო ტყვიები
სამარეს წაიტანაო.

თქვეს: — ფოლადის იარაღი უნდა ვაჩუქოთ მასაო,
ვინც არის კარგი ვაჟკაცი, ვინც კარგა იქნევს ხმალსაო.
— მე ვარო კარგი ვაჟკაცი, — კიარჩისი იღებს ხმასაო.
მისივე თოფი თავს ჩასცხო, ხადარი უქრობს კვალსაო.
უცბად კოშკმა იწყო რყევა, —
როგორც ისარმა ჩარჭმულმა ბარში,
როგორც არყის ხის კენწერომ ქარში,
კოშკის ნანგრევები მოდის
როგორც ქვა-ღორღი წვიმაში,
— რა ხდებაო, — უკვირს ხადარს.
ადის კოშკზე და რას ხედავს;
კოშკში მხოლოდ თვითონღაა!
კოშკი — ცეცხლში გახვეული,
ცეცხლის ირგვლივ — დასეული
გრძელჩოხა ყუმუხელები:
— ყუმუხელებო, მისმინეთ,
ანდერძი გითხრათ ერთიო,
ვიცი, ეს ცეცხლი დამფერფლავს,

უნდა ვახსენო ღმერთიო,
ამ კვამლში გავიგუდები,
არ დავიკვნესებ ერთსაო,
მე შეწყალებას არ ვითხოვ,
თქვენ არ მოგიდრეკთ ქედსაო.

სოფლის ბოლოს რომ ყანა მაქვს,
გიტოვებთ ანდერძითაო,
ხარი ორი მყავს, დაკალით,
საფლავს ვინც გამითხრითაო.
თუ არ გამითხრით, ქვეყანა
აივსოს ღორღით, ქვითაო...

დედა მყავს ერთი, მოხუცი —
სწყალობდეს თავის ბედიო.
ცოლად მყავს ქალი ლამაზი —
უკვდავს უმშვენოს გვერდიო,
ვაჟი მყავს ერთი პატარა,
ჯერ ძლივძლივობით დადისო,
ქუჩაში არ დამიტოვოს, —
ვაბარებ ჰარა მაჰდისო...

ხარაგებს ფარჩა-ატლასი გვგებია მუდამ ლოგინად,
რა მოხდა, ერთი ხადარი თუ მოკვდა, ვერ იბოგინა,
ხავერდს იფენდნენ ნებივრად დასვენებისას თავადო,
სხეული ჩემი კი, დაე, დაიწვას ცეცხლში შავადო!

ხრამში ჩარჩენილი ალი

— ფოლადა კლდისაკენ გაგვიძეხ ალიო,
კვლავ ვნახეთ შევარდნის ბარტყების კვალიო.
— ფოლადა კლდესთან მე, ძმებო, ვერ წამოვალ,
მანდ რაღაც ხაფანგი ან ხრიკი არიო.

— რის ხრიკი, ძმები ვართ,
ძმები ვართ ნამდვილი.
რა ფანდი, ძმები ვართ,

ძმები ვართ ნამდვილი.
— მაშ, რაკი ასეა, ჩემო ძმობილებო,
თან წამოიმძღვარეთ გრძელ-გრძელი საბელი.

გავწიეთ სუყველამ ფოლადა კლდისაკენ.
— მოდი, წილი ვყაროთ, ფაფახში ჩავყაროთ,
ფაფახში ჩააგდო ყველამ თვისი კენჭი.
ალის ერგო წილი, ბედკრულს და საბრალოს.

ალის თოკი მოაბეს,
ალი დაბლა ჩაუშვეს.
— შევარდენი კი არა,
აქ კაჭკაჭი ბუდობდა,
შევარდენს კი არა და,
კაჭკაჭს უდევს აქ ბინა.
ვინა თქვა, რომ აქ მხოლოდ
შევარდენი არიო,
ვინა თქვა, რომ გამქრალა
თითქოს მისი კვალიო,
ვინა თქვა, რომ კაჭკაჭის
ბუდე აქ არ არიო?!
ალის ყურს არვინ უგდებს, მაღლა აჰყავს არავის,
პირქუშად იყურება პირი შავი ქარაფის.
— ძმებო, გემუდარებით, ძმებო, თქვენს გახარებას,
ცხვარი მყავს მამისაგან დატოვილი ხუთასი,
სულ თქვენ ჩამოგირიგებთ, ხუთ-ხუთ წილად გაყოფილს,
ყანას, ახლოს აულთან, დედის წილსაც, თქვენ გჩუქნით,
ოღონდ გემუდარებით, ნუ დამტოვებთ ამ ღრეში.
— მამაშენის ნაბოძვარ
იმ ცხვრებს თვითონ მოვუვლით,
ხუთასივეს გავიყოფთ,
შენ კი მანდვე დაგტოვებთ,
აულის გვერდით ყანას, —
დედისაგან წილხვდომილს,
ჩვენვე დავინაწილებთ,
შენ კი არ ამოგიყვანთ.

ცოტა ხანი გავიდა, ალი ყველამ გაწირა,
მზე კვლავ არეს ანათებს, თვის შუქს მიწას არ აკლებს.
საიდანღაც მოფრინდა წყლის ყორანი შორიდან,
ფრთით ხან მიწას ეხება, ხან ფრინდება ზეცაში.

— ჩიტიც რომ ვერ ბედავდა
აქ მოფრენას, ალიო,
შენ ვინ შემოგიტყუა,
აგიბნია კვალიო?
ჩემს ბუდესთან შიშისგან
ნადირიც ვერ ჯირითობს,
ვისმა ხრიკმა გაცდუნა
შენ, მთიელო ჯიგიტო?
—ჩიტიც ვერა ბედავდა
ფრენას კლდესთან ფოლადის,
ღვიძლმა ძმებმა მიმტრეს, მათ
მომკლეს, მართლა მოკვლამდის.
შენს ბუდესთან ნადირის
კვალიც კი არ ატყვია,
ბედად, შენთა შვილთათვის
არვის უღალატია.
— იდღეგრძელე, ყორანო,
მეც ერთ თხოვნას გავბედავ,
იქნება მომეხმარო,
გამომიხსნა აქედან.

— რაღა შემიძლია, როგორ მოგეხმარო,
ძალა გამელია, ბრჭყალნი დამიბლაგვდა,
ბარტყებზე ზრუნვამაც დამქანცა, დამღალა,
უწინდელი ყორნის ლანდიც აღარა ვარ.

— მაშინ გევედრები,
ღმერთიმც გაგახარებს,
დედაჩემს უამბე
ჩემი განსაცდელი,
ცოლსაც მოასწავლე
ჩემი სამყოფელი.

გაფრინდა მაშინვე ის შავი ყორანი,
ალის სახლის თავზე დაიწყო ტრიალი,
— ყორანო, რად შექმენ ჩემს სახლთან წრიალი,
ალბათ ჩემი ალი მიუვალ კლდეშია,
ეს რამდენს ყრანტალებ, ჰე, შავო ყორანო,
მშიერი ჩემი ძე, ვხვდები რა დღეშია.

შაქრით სავსე პარკი
იღლიით ატარა,
ბუზათი* სავსე თუნგი
ხელში დაიკავა,
მსწრაფლად გაეშურა
ფოლადა კლდისაკენ,
ჩასძახა შვილს: — ალი!
— აქა ვარ, აქ, დედა!
ჩაუგდო პარკი და...
კაცს ბედი არ გინდა?
პარკი შაქრით სავსე
სადღაც შორს დაფრინდა.

— დედი, შენს გახარებას,
მიშველე რამეო,
წამოდგი წინ ფეხი,
მოდი, ხმა გამეო!
დედამ ჩახედა და
ნეტამც არ ენახა,
ნეტა მომკვდარიყო,
ეს არ დაენახა:

შვილის ჭრელ-ჭრელ პერანგს
ქარი აფრიალებს,
ქარი აფრიალებს
სალ კლდეზე ანაზდად,
ხორასნულ ბოხოხს კი —
თავიდან გადამძვრალს,
დიდ-დიდ ლოდებს შორის
ოდნავღა დალანდავთ.

— ა-ვა-ვაი, ამის მნახველს
თვალიმც დამდგომიაო,
ო-ხო-ხოი, ამბის მბობელს
ენამც გამხმობიაო!
გზასაც ვერსად ნახავთ, —
ნაგზაურს კი არა,
შორი ბილიკებით
გავუყევ გზა-შარას!

სადაფისფერ ძვლებზე დამდნარან ხორცები,
წყალივით წანწკარებს სისხლი იმ კლდეებზე.
სპილოს ძვლის სადარი ალის თეთრი ძვლები
ქვებს ეხეთქებიან კლდეთა კიდეებზე...
შაქრის ტომარაში ძვალძვული ჩავყარე,
ბუზას თუნგულაში ძის სისხლი ჩავასხი,
აღარ დავახანე, გულდაძმარებულმა
მყისვე გამოვწიე ალის სახლისაკენ.

შევხედე, ხუთას ცხვარს იყოფენ ის მტრები,
ხუთას ცხვარს, ნაბოძვარს მამისგან ალისთვის,
აულთან ყანას კი — დედისგან ნაბოძებს,
თოკით იზომავენ ის ძმები თავისთვის.

— ეგ თქვენ ვერ გაგაძლობთ, ესეც მიამატეთ, —
ძვლებით სავსე პარკი მივუგდე ფეხებთან,
თუნგიდან დავუსხი სისხლი და ვუთხარი:
— მაშინღა დაძღებით, ამ სისხლს რომ შეხვრეპავთ!

ხუჩბარი

—ხუჩბარს ხუნძთ თემი იბარებს, —
მაცნემ თქვა ეს ამბავიო,
— შვილო, ნუ წახვალ, ნუცალ-ხანს
გულში არ ჰქონდეს ავიო,
ან ხედულელთა არ გიმტრონ,
დღე არ გითენონ შავიო!

— არ წავყვე მაცნეს, რას ამბობ?!
უნდა წავიდე, დედაო,
ნუცალმა არ თქვას — ხომ ვძლიე,
ხედულელთ — შეშინდებაო...

ნუცალ-ხანს ცხენი მიართვა,
მის ცოლს — ლამაზი ბეჭედი,
შიკრიკსაც ცხვარი არგუნა,
დატოვა ჰიდალთოს ქედი.
— სალამი, ხუნძახთ ბატონო!
— სალამი ხუჩბარსაცაო!
— შენ თავად გიჭირს რაიმე,
თუ შენც და შენს თემსაცაო?
— შენ დღეს ორივეს გვჭირდები;
მეცა და ჩემს თემსაცაო.

ხუჩბარს დაადეს ბორკილი,
ბატონთან როგორც მივაო,
პირში ლაგამი ამოსდეს,
სტკივა და როგორ სტკივაო!
— აბა, დავანთოთ კოცონი, —
ნუცალის სოფლელთ თქვესაო,
— ზოგმა სახედრით, სხვამ ზურგით,
მოზიდოს ყველამ შეშაო!
— ხუჩბარ, წავიდეთ კალოზე,
ტალტებს* გართობა უყვართო,
— წავიდეთ, ლხინი მეც მიყვარს,
კარგ ხასიათზე თუ ხართო!

მივიდნენ ტალტის კალოზე
ცას სწვდება ცეცხლის ალიო.
ქვა ტყვრება, მიწა ვარვარებს,
შეგროვდა კაცი, ქალიო...
— იმღერე, ხუჩბარ, — შენზე თქვეს,
მღერის და როგორ მღერისო,
— იცეკვე, ხუჩბარ, მეხოტბე
გვინახავს შენი ცეკვისო.

— ვერც მღერას ვინმე მასწავლის,
პირს რომ არ მქონდეს ლაგამი.
ცეკვასაც ვერ დამასწრებდით,
არ ვიყო ბორკილ ნაბამი.
დაე, დაიფშვნას აღვირი,
როგორც თავთავი ხელზეო,
ფეხზე ბორკილი გასკდეს, ვით
ფეტვი თაკარა მზეზეო!

რაკი არავინ მოეშვა,
იწყო ხუჩბარმა მღერაო:
— ტურფა ქალწულებს აულში,
ვინ ეუფლება ჯერაო,
ცხენებში საუკეთესოს,
ვინ გტაცებთ, როგორც ძერაო?!
თქვენი ნიკორა ხარები
ვინ გადენა და მოსრაო,
ვინ, ვინ ჩააცვა შავები
ამდენ დედას და ცოლსაო.
ვინ გაამრავლა ობლები,
ვინ დაუხოცათ მშობლები...
უმარ-ხანს, ხუნძახის მმართველს,
ვინ მისცა ვერცხლის ჩიბუხი,
ეგ ხომ თვით ხუჩბარის იყო,
ჭარს რომ იყიდა, ის არი,
ან მის ცოლს კაბა დირბისა,*
ვინ, ვინ მოჰპარა, მითხარით!

ნუცალის ორივე შვილი
ტურფამ რომ გააჩინაო,
მივიდნენ, ცალმუხლმოდრეკით
დადგნენ ხუჩბარის წინაო...

ორივე დაიღლიავა,
ისკუპა ცეცხლის გულშია.
— თქვენ რად ქვითინებთ, თქვენს მშობლებს
უნდა გავავლო მუსრია,

კოცონი მათ გააჩაღეს!
ორივ დაიწვა, ხუჩბარს კი
ულვაშიც არ შესტრუსია.
— ხუჩბარ, გაუშვი ბავშვები,
ფეშქაშ შენ ნუცალთ სახანო,
— ვერა, ვერ მოგცემთ, ცეცხლში ვყრი,
  რომ დავწვა, არ დავახანო.

დედას მოკითხვა უთხარით,
ჰიდათლ, არ შევდრკი-შევრცხვიო,
ხომ დავამსხვრიე ხუჩბარმა
შევარდნის ორი კვერცხიო.

ზურნა ზუზუნებს და ტირის
დოლი მოსძახის ბანსაო,
ლამაზი ქალის გაჩენილ
ცეცხლში ჩაფერფლილ ვაჟსაო.

ბაყაყი – მეფის ასული

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ხელმწიფე. ჰყავდა სამი ვაჟი. ცოლი რომ გარდაეცვალა, იხმო ვაჟები და უთხრა:

— შვილებო, თქვენი დაოჯახების დრო დადგა. წადით სოფლის ბოლოს, ისრები სხვადასხვა მხარეს ისროლეთ და სადაც თქვენი ისრები დაეცემა, თქვენი ბედიც იქ იქნებაო.

როგორც მამამ დაარიგა, ძმებიც ისე მოიქცნენ. გავიდნენ სოფლის ბოლოს და ისრები სხვადასხვა მხარეს ისროლეს. უფროსი ძმის ნატყორცნი ისარი ვეზირის სახლის სახურავს დაეცა, შუათანასი – მეფის ნუქერის სახლს, ხოლო უმცროსისა – შიგ შუაგულ ჭაობში არ ჩაეფლო?!

უფროსი ვაჟი ვეზირის ასულზე დაქორწინდა, შუათანამ – ნუქერის ასული შეირთო, უმცროსმა კი ჭაობისაკენ გასწია თავისი ისრის საძებნელად.

ბევრი ეძება თუ ცოტა ეძება, უმცროსმა ვაჟმა იპოვა თავისი ისარი, მაგრამ, ჰოი, საოცრებავ! ისარი რომ ამოაძრო, დამყაყებული ჭაობიდან ბაყაყი ამოხტა და ყიყინი მორთო. რაღას იზამდა! წამოიღო უფლისწულმა თავისი ისარი, წამოიყვანა ბაყაყიც და დაღონებული მივიდა ხელმწიფესთან. ამის დანახვაზე მეფე ძალიან განაწყენდა და შვილს უთხრა:

— შუა ტყეში რომ დანგრეული ქოხი დგას, შენი ადგილი იქ არის. შენ მეტის ღირსი არა ხარ. წაიყვანე შენი ბაყაყი ცოლი და აქედან დამეკარგე, დღეიდან თვალით აღარ დამენახვოო.

რაღას იზამდა ვაჟი, წაიყვანა თავისი ბაყაყი და მივიდა იმ დანგრეულ ქოხში. შევიდნენ თუ არა, ბაყაყმა ენა ამოიდგა და ვაჟს უთხრა:

— მე ბაყაყი არა ვარ, ახლავე გავიძრობ ბაყაყის ტყავს და ნახავ, ვინცა ვარო. მხოლოდ დამპირდი, რომ ამ ტყავს არავითარ შემთხვევაში თითს არ დააკარებ, თორემ უბედურება არ აგვცდებაო.

ვაჟმა შეჰფიცა, რომ თხოვნას შეუსრულებდა. ბაყაყმაც ტყავი გადაიძრო და ისეთ მზეთუნახავ ქალწულად იქცა, რომ ბიჭს ელდა-ფეთებისაგან გული შეუღონდა. როგორც კი გონს მოეგო, სტაცა ხელი ბაყაყის ტყავს და ცეცხლში შეაგდო. ქალი ძლიერ დაღონდა, მაგრამ რაღას უშველიდა!

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ დილითაც უფლისწულმა გაიღვიძა და რას ხედავს! მისი ქოხი უზარმაზარ სრა-სასახლედ ქცეულა, ირგვლივ

ოქროს კოშკები შემოსჯარვია და ისეთი ბაღები აკრავს, რომ ერთ ნახვადა ღირს. უფრო მეტი საოცრება კი ის იყო, რომ ამ ყველაფერს აცისკროვნებდა მისი მზეთუნახავი ცოლის სილამაზე.

ამის დანახვაზე უფროსი ძმები შურით აივსნენ. ეშმაკი ჩაუსახლდათ სულებში და დღე და ღამე მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ მოეშორებინათ თავიდან უმცროსი ძმა და როგორ დაეღუპათ იგი.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ბოლოს გადაწყვიტეს, მისულიყვნენ ხელმწიფესთან და უმცროსი ძმა ისეთ ადგილზე გაეგზავნინებინათ, საიდანაც ვეღარ დაბრუნდებოდა. ასეც მოიქცნენ.

ერთ დღეს უფროსმა ძმებმა ხელმწიფეს უთხრეს: — ცხრა მთას იქით არის ჯადოსნური წისქვილი, მისი დოლაბის ერთი მხრიდან ერბო წვეთავს, მეორე მხრიდან — თაფლი, ხოლო მესამე მხრიდან კი ფქვილი იყრება განუწყვეტლივ, — წავიდეს ჩვენი უმცროსი ძმა და ის დოლაბი მოგართვასო. ძმებმა ისიც იცოდნენ, რომ ამ წისქვილს გარს საშინელი ურჩხული ჰყავდა შემოხვეული, რომელსაც ვერავინ ერეოდა. ბევრი უჩიჩინეს ხელმწიფეს უფროსმა ძმებმა და ბოლოს დაიყოლიეს, რომ უმცროსი ვაჟი გაეგზავნა ამ ჯადოსნური დოლაბის მოსატანად.

ერთ დღესაც იხმო ხელმწიფემ უმცროსი ვაჟი და უბრძანა:

— ცხრა მთას იქით ერთი ჯადოსნური წისქვილია, რომლის დოლაბიდანაც დღე და ღამე თაფლი იღვრება, ერბო წვეთავს და ფქვილი იყრება. ახლავე, დაუყოვნებლივ გაემგზავრე და ის დოლაბი აქ მომიტანეო!

მისცა ეს დავალება ხელმწიფემ უმცროს ვაჟს და თან მკაცრად გააფრთხილა:

— თუ ამას ვერ შემისრულებ, იცოდე, ხმლით წაგაგდებინებ თავსაო.

დაღონდა ვაჟი, მაგრამ რაღას იზამდა, ხელმწიფის ბრძანებას ხომ ვერ გადავიდოდა!

მივიდა ვაჟი სახლში. ისეთი დაძმარებულია, დანა პირს არ უხსნის. ცოლმა შეატყო უგუნებობა და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, რა დაგმართიაო?

— რაღა რა დამმართიაო, — მიუგო ვაჟმა და ყველაფერი უამბო ცოლს.

— ის ბაყაყის ტყავი რომ არ დაგეწვა, ამ დღეში ხომ არ ჩავცვივდებოდითო, — უსაყვედურა ცოლმა, — მაგრამ ეგ არაფერი, თუ ახლა მაინც დამიჯერებ, მაგას ადვილად ეშველებაო, — გაამხნევა ქალმა ვაჟი და თან დაარიგა:

— წადი იმავე ჭაობთან, რომელშიც შენი ისარი ჩაერჭო. როგორც კი მიხვალ, სამჯერ დაიყვირე:

— დედა-სიდედრო, დედა-სიდედრო და დედაჩემიც გამოგხედავს. გკითხავს, — რა გნებავს, შვილოო და შენც ყველაფერი დაწვრილებით უამბეო.

ვაჟი ასეც მოიქცა. მივიდა ჭაობთან და დაიძახა:

— დედა-სიდედრო, დედა-სიდედრო!

ჭაობიდან ვაჟს არავინ გამოხმაურებია. მან ერთხელ კიდევ დაიძახა:

— დედა-სიდედროო!

ამ სიტყვების თქმა იყო და ჭაობიდან ერთი დიდი ბაყაყი გადმოხტა და ვაჟს ჰკითხა:

— რა გინდა, რა გაგჭირვებიაო?

ვაჟმა დაწვრილებით უამბო ბაყაყს თავისი გასაჭირი და დახმარება სთხოვა. უფლისწულს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ დედა-ბაყაყმა ხმამაღალი ყიყინი მორთო და ჰოი, საოცრებავ! ყიყინზე ჭაობიდან დარახტული შავი რაში არ ამოხტა! რაშს ვერცხლის უნაგირი ედგა და ვერცხლისავე ქამარ-ხანჯალი ეკიდა ზედ.

დედა ბაყაყმა ვაჟი დაარიგა:

— აისხი ეს იარაღი, შეჯექი ამ ცხენზე და გასწიე წისქვილისაკენ. რა დაბრკოლებაც გინდა შეგხვდეს, ერთი რამ დაიმახსოვრე, ამ ცხენს მათრახი არ გადაჰკრაო. წისქვილში რომ შეხვალ, აიღე დოლაბი, მიამაგრე უნაგირზე და სასწრაფოდ გამობრუნდიო!

ვაჟიც დაემორჩილა. აისხა იარაღი, შეჯდა ყორნისფერ რაშზე, გამოემშვიდობა სიდედრს და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მიადგა ერთ უღრან ტყეს. ვაჟმა დიდი წვალებით გაიარა ეს ტყე, ცხრა ზღვა გადაიარა, ცხრა მთა გადაიარა და ბოლოს მიადგა ინისა და დინის მდინარეებს. ისინიც გადალახა და ერთი თვის თავზე წისქვილამდეც მიაღწია. გაიხედა და რას ხედავს! წისქვილს უზარმაზარი ურჩხული შემოხვევია გარს. წისქვილში კი ტრიალებს ჯადოსნური დოლაბი და ერთ მხარეს თაფლის ნაკადია, მეორე მხარეს — ერბოსი, მესამე მხარეს კი განუწყვეტლივ იყრება და იყრება ფქვილი.

ვაჟი ჩამოხტა ცხენიდან. ეცა ურჩხულს, დასცა ძირს და თავისი საუცხოო იარაღით უცბად მოჰკვეთა თავი. აიღო დოლაბი, დაჰკიდა ცხენს უნაგირზე და გამოემართა შინისაკენ. გადმოიარა ადიდებული მდინარეები, უღრანი ტყეები და ერთი თვის თავზე, გვიან ღამით, შინამდეც მოაღწია. დოლაბი ეზოში დააგდო, ცხენი კი ჭაობში გაუშვა.

ცოლი მოუთმენლად ელოდა ქმრის დაბრუნებას და მისი დაბრუნება რომ გაიგო, ეზოშივე გამოეგება. მთელი ღამეები ქალს თეთრად ჰქონდა გათენებული და დღე და ღამე ტიროდა ვაჟის მოსვლამდე. ახლა კი სიხარულისაგან ერთიათად გალამაზებულიყო.

დილაადრიან გაიღვიძა ვაჟმა, გამოვიდა ეზოში და რას ხედავს! მთელი ხალხი მისი დოლაბის ირგვლივ შეკრებილა და გაოცებული შეჰყურებს როგორ მოედინება დოლაბიდან ერბოსა და თაფლის ნაკადები, როგორ გადმოდის ფქვილი!

ამ ამბავმა მეფისა და უფროსი ძმების ყურამდეც მიაღწია. სასწრაფოდ მივიდნენ უმცროსი ვაჟის ეზოში და დოლაბი წაიღეს.

გავიდა ხანი. უფროს ძმებს კვლავ შური კლავთ და ბოლმა არ ასვენებთ. რა ქნან, რა გააკეთონ, როგორ მოიშორონ უმცროსი ძმა თავიდან, — დღე და ღამე ამაზე ფიქრობენ. ბოლოს გადაწყვიტეს, ვაჟი საიქიოში გაესტუმრებინათ. მივიდნენ მამასთან და უთხრეს:

— ჩვენი ძმა სასწრაფოდ საიქიოს უნდა გავგზავნოთ, დედაჩვენს ჰკითხოს, სამეფო განძეულობა სად დაფლაო.

მეფეს ჭკვაში დაუჯდა ვაჟების ნათქვამი, სიხარბემ ისე სძლია, იმავ წამს დაიბარა უმცროსი ვაჟი და დაავალა:

— ახლავე წადი დედაშენთან საიქიოს და ათქმევინე, განძეულობა სად შეინახაო. თუ ამას არ შემისრულებ, ჩემი ხმლით მოგკვეთ თავსაო, — დაემუქრა მეფე ნაბოლარა ვაჟს.

დაღონდა, დადარდიანდა ვაჟი და შინ დაძმარებული მივიდა. ცოლმა დაინახა თუ არა, მიხვდა, მათ თავს კარგი არაფერი იყო.

— რა მოხდა, რა დაგმართიაო!

ვაჟმა ყველაფერი უამბო, ისიც გადასცა, თუ ამას ვერ შეასრულებდა, მეფე მოკლავდა.

— ეს უბედურება ხომ არ შეგვხვდებოდა შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა და ბაყაყის ტყავი არ დაგეწვა. ყველას ეგონებოდა, რომ შენი ცოლი ბაყაყია და აღარავის შეშურდებოდა შენიო, — ისევ უსაყვედურა ცოლმა. მერე კი დაარიგა:

— მიდი ისევ იმავე ჭაობთან და ისევ დედაჩემს სთხოვე შველაო.

ვაჟი ასეც მოიქცა. მივიდა ჭაობთან და დაიძახა:

— დედა-სიდედრო, დედა-სიდედრო!

ამოხტა გუბურიდან უზარმაზარი ბაყაყი და ჰკითხა:

— რა გინდა, შვილო, რა გაგჭირვებიაო?

სიძემ დაწვრილებით უამბო ყველაფერი და შველაც სთხოვა.

ბაყაყმა მსწრაფლ ხმამაღლა დაიყიყინა და საიდანღაც ვერცხლისფერი რაშიც გამოჩნდა.

ბაყაყმა სიძეს უთხრა:

— შეჯექი ამ რაშზე, ის ქარზე უსწრაფესია და უცბად გაგაქროლებს. არ შეცდე და მათრახი არ გადაჰკრა. ეს ძალიან ჭკვიანი ცხენია. ჯერ მიგი-

ყვანს ფართო და ყვავილებით მოჩითულ ველზე, შემდეგ კი ერთი გამოქვაბულის კართან ჩამოგსვამს. ცხენი იქ დატოვე და შენ გამოქვაბულში შედი. დანარჩენი კი შენ იციო.

უფლისწული ასეც მოიქცა. დაემშვიდობა სიდედრს, სწრაფად მოახტა ცხენს და ცაში აფრინდა თუ ქვესკნელს ჩავიდა, თვალიც ვეღარავინ მოჰკრა.

ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ზღვა გადაიარა, ინისა და დინის მდინარეებიც გადაცურა და მივიდა ულამაზესი ყვავილებით მორთულ მინდორში. იქ ცხენი გაუშვა და თვითონ ერთ გამოქვაბულში შევიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, საიქიოსაც მიაღწია. დედამ დაინახა თუ არა თავისი ნაბოლარა, გულში ჩაიკრა და აქაური ამბები გამოჰკითხა. შვილი მუხლებზე დაეცა და დედას ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა.

შვილის ამბები რომ მოისმინა, შეწუხებულმა დედამ ტირილი დაიწყო. არ ელოდა ქმრისა და უფროსი ვაჟებისაგან ამგვარ მუხანათობას.

შვილი დედასთან ორ კვირას დარჩა. ბოლოს დადგა გაყრის დღეც.

— ახლა ჩემი შინ დაბრუნების დროაო, — უთხრა შვილმა დედას.

— წადი, არ დაგაყოვნებ, — უთხრა დედამ, — მხოლოდ როგორც გეტყვი, ისე მოიქეციო.

— განძეულობით სავსე ის ყუთი კერიის გვერდით რომ ბოძია, მის ძირშია ჩამარხული. მამაშენსა და შენს ძმებს ჩემი დანაბარები აუცილებლად გადაეციო: — დაე, ისინი იმ ქოფაკებად იქცნენ, დღე და ღამე მთაში რომ წკმუიანო.

გამოეთხოვა შვილი დედას, გამოვიდა გამოქვაბულიდან და ხედავს, რაში გამოქვაბულის პირას დგას და ელოდება! მოახტა რაშს და გამოემართა შინისაკენ.

მოვიდა ვაჟი თავის სახლში. ცხენიდან სწრაფადვე ჩამოხტა. ცხენმა ერთი დაიჭიხვინა და ჭაობში გაუჩინარდა. ვაჟი შევიდა ოთახში და რას ხედავს! ზის თმაგაშლილი მისი ცოლი და მწარედ მოთქვამს. ქმარი რომ უვნებლად დაინახა, სიხარულით ყელზე ჩამოეკიდა და ახლა სიხარულით ატირდა.

მეორე დღეს ვაჟი მამასთან მივიდა და უთხრა სადაც იყო განძი დამარხული. ხელმწიფემ სასწრაფოდ დაიწყო კერის ბოძის ქვეშ მიწის თხრა. გამალებული თხრის და თან შვილს ეკითხება:

— დედაშენს არაფერი დაუბარებიაო?

— როგორ არაო, — მიუგო ვაჟმა, — მთხოვა, გადმომეცა თქვენთვის, რომ დღეის შემდეგ შენცა და ჩემი ძმებიც იმ ქოფაკებად იქცეთ, რომლებიც დღე და ღამე მთებში წკმუიანო.

სიტყვა დამთავრებულიც არა ჰქონდა ვაჟს, რომ ხელმწიფე და მისი ორი უფროსი ვაჟი, ქოფაკებად გადაქცეულნი, წკმუტუნ-წკმუტუნით

გაცვივდნენ გარეთ და უღრანი ტყისაკენ მოკურცხლეს.

მთელი სიმდიდრე და მეფის ავლა-დიდება უმცროს ვაჟსა და მის ცოლს დარჩათ. ისინი ძალიან დიდხანს და ბედნიერად ცხოვრობდნენ, რადგან ქვეყანაზე მოშურნე აღარავინ ჰყავდათ.

მზისა და მთვარის ასული

ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც სახელად ისხაკი ერქვა. ჰყავდა სამი ვაჟი. უფროსს ჰაჯიბექირი ერქვა, შუათანას — მაჰამედი, უმცროსს — სოლმანი.

ისხაკი ყოველ წელს თესავდა ფეტვს, მაგრამ ფეტვი რომ შემოვიდოდა და მამა და ვაჟები იტყოდნენ, ხვალ ან ზეგ ფეტვი ავიღოთო, ღამით ვიღაც იპარავდა მათ მოსავალს და დილით ცარიელი მინდორი ხვდებოდათ. ვერა და ვერ გაიგეს, ვინ იყო მათი დამაქცევარი.

ერთხელაც ფეტვი რომ შემოვიდა, ისხაკმა უფროს ვაჟს უთხრა:

— ჰაჯიბექირ, წადი და ფეტვის ყანას ამაღამ უყარაულე, თორემ ამ წელსაც ცარიელ-ტარიელს დაგვსვამენო.

წავიდა უფროსი ვაჟი საყარაულოდ, აბა, რას იზამდა!

ყანასთან მისული ჰაჯიბექირი წამოწვა და ცოტა ხანში ღრმად ჩაეძინა. გათენდა და რომ გაიხედა, პირკატა ეცა! სადღაა ფეტვი! მისი ნასახიც არსად იყო.

მეორე წელს ფეტვის საყარაულოდ მაჰამედი წავიდა, მაგრამ მასაც, როგორც თავის ძმას, ჰაჯიბექირს, ჩაეძინა. ღამით ვიღაცებმა ფეტვი კვლავ შეჭამეს და ვაჟმა ვერაფერი გაიგო, ვინ იყო მათი მოსავლის ქურდი.

სხვა გზა რომ აღარ იყო, უმცროსმა ვაჟმა, სოლმანმა, არაფრად რომ არავინ აგდებდა, სთხოვა მამას:

— მომავალ წელს მე გამიშვი, ფეტვს მე ვუყარაულებო.

ისხაკს მის სიტყვებზე გაეცინა და უთხრა:

— დაიკარგე, შე ცინგლიანო, შენ ხომ მაშინაც შიშით სული გძვრება, დედაშენის ფეხებთან როცა გძინავს, რა მინდვრის ყარაულად გამოდგებიო.

მოვიდა გაზაფხული, ფეტვი კვლავ დათესეს. ყანა რომ დამწიფდა, ისხაკმა იფიქრა: რაც არის, არის, მოდი, ამ უმცროს ვაჟსაც გამოვცდიო. დაუძახა სოლმანს და უთხრა:

— სოლმან, ამაღამ წადი და ნათესს უყარაულე, ნამდვილი მამაკაცივით მოიქეცი.

სოლმანს გაუხარდა. იფიქრა:

— ახლა კი უკვე კაცი ვარ, ნამდვილი კაცი.

უმცროსმა ვაჟმა ცხენის ძუისგან დაწნა ქამანდა, თან წაიღო და წავიდა. ზის ყანის თავში და ყარაულობს. შუაღამე რომ დადგა, ხმაური შემოესმა. მიიხედა და რას ხედავს! მოქრის ერთი ჭრელი კვიცი და თან მთელი რემა მოჰყვება. ფეტვის ყანას რომ მოუახლოვდნენ, რემა ორ რიგად გაიყო და ცხენები ლამაზად ჩამწკრივდნენ.

კვიცმა უთხრა:

— ძმებო, ეს მინდორი ახლა ისე გადავძოვოთ, რომ ცარიელი მიწაღა დარჩეს, არც კი ეტყობოდეს აქ რამე იდგა თუ არა, და არა ისე, როგორც წინა წლებში.

სოლმანს ხელში ქამანდი უჭირავს და აყურადებს. კვიცმა ისევ დაილაპარაკა: — ცოტა ხანს მოიცადეთ, ერთი დავათვალიერებ, ე მანდ არავინ იყოსო. და მინდვრისკენ დაიძრა. კვიცი როგორც კი მიუახლოვდა ჩასაფრებულ სოლმანს, ვაჟმა ქამანდი ესროლა. ესროლა და დაიჭირა კიდეც.

აქეთ ეცა კვიცი, იქით ეცა, ყალყზეც შედგა, ზურგზეც გადატრიალდა, რა აღარ იღონა, რა ხერხს არ მიმართა, მაგრამ სოლმანი რის სოლმანი იქნებოდა, რომ კვიცს დაეჯაბნა, სოლმანთან რას გახდებოდა. კვიცი იგუდებოდა და უცბად დაილაპარაკა:

— დღემდე ჩემი მომრევი დედამიწის ზურგზე არავინ დაიარებოდა. გემუდარები, ახლა გამიშვი და სანაცვლოდ სამ კარგ ცხენს მოგცემ და თქვენს ფეტვს ახლოსაც აღარ მივეკარებითო.

ვაჟმა გაუშვა. კვიცი მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა კი ფაფარიდან ერთი ძუა გამომაძრე და შეინახე. როცა გაგიჭირდება, ეს ძუა ცეცხლზე მოტრუსე და უმალ შენთან გავჩნდებიო.

სოლმანმაც გამოაძრო ფაფარიდან ძუა და ჯიბეში ჩაიდო, წამოიყვანა სამი ცხენი და დაბრუნდა სახლში.

რაღა თქმა უნდა, მამამისმა დიდად გაიხარა. იმ წელს უხვი მოსავალი აიღეს და ისე დააბინავეს, მარცვალი არ დაჰკლებიათ. ის დღე იყო და ის დღე, მათ ყანას ახლოს არავინ გაჰკარებია.

გავიდა ხანი. ერთხელაც ერთმა დიდებულმა თავისი მსახურები გაგზავნა ცხენების საყიდლად. როცა მათ სოლმანის სამი ცხენი დაინახეს, ხვეწნა დაუწყეს:

— ოღონდაც ეგ ცხენები მოგვყიდე და რამდენსაც იტყვი, იმდენს გადაგიხდითო.

დასთანხმდა სოლმანი. გადაუხადეს, რაც მოითხოვა, წაასხეს ცხენები და წავიდნენ.

ბატონმა ცხენები რომ დაინახა, მსახურებს ჰკითხა:

— სად ნახეთ, საიდან მოიყვანეთ ეს ცხენებიო?

მსახურებმა უამბეს ყველაფერი და ისიც მიასწავლეს, თუ სად ცხოვრობდა სოლმანი.

თავადმა მისწერა სოლმანს:

— როგორც კი მიიღებ ამ წერილს, იდგე, არ დაჯდე, იჯდე, ადექი და სასწრაფოდ ჩემთან მოდიო.

შეფიქრიანდა სოლმანი, მაგრამ რაღას იზამდა! როგორც კი მიიღო წერილი, აიღო ხურჯინი და გაუდგა გზას. გზაში მოაგონდა ცხენის ძუა და ჯიბიდან ამოიღო. ოდნავ შეტრუსა თუ არა ძუა, ქვესკნელიდან იყო თუ ზესკნელიდან, გადმოხტა შეკაზმული კვიცი და ვაჟს წინ დაუდგა.

აბა, სწრაფად შემაჯექი ზურგზე, დროს ნუღარ დავკარგავთო, — უთხრა კვიცმა.

ეს კვიცი თურმე უბრალო კვიცი კი არა, ჯადოსნური რაში ყოფილა და მის დანახვაზე ვაჟმა ძლიერ გაიხარა.

გაუდგნენ გზას. ცოტა რომ გაიარეს, ხედავს ვაჟი, გზაზე რაღაც გდია და ისე ანათებს, ქვეყნიერებას აცისკროვნებს.

— ამას კი ავიღებო, — გაიფიქრა სოლმანმა.

რაშმა უთხრა:

— არ შეცდე და თითი არ დააკარო. ეგ არწივის ბუმბულია და არ აიღო, თორემ კარგს არაფერს მოგიტანსო.

სულწასულმა ვაჟმა არ მოუსმინა, სასწრაფოდ დასტაცა ხელი ბუმბულს და გულის ჯიბეში ჩაიდო. ბუმბულმა იქაურობა გაანათა.

სოლმანმა რაში საჯინიბოში შეიყვანა, თვითონ კი თავადს ეახლა.

თავადი დიდი პატივით შეხვდა სტუმარს და ვაჟიც კარგა ხანს დარჩა მასთან. მსახურებმა იფიქრეს:

— როგორც ჩანს, ეს ჩვენი სტუმარი თავადს გამორჩეულად უყვარს და რაიმე უნდა ვიღონოთ, რომ თავიდან მოვიცილოთო. მივიდნენ დიდებულთან და უთხრეს:

— ის, რაც ჯიბეში უდევს სოლმანს, შენი უნდა იყოს, ეგ მაგის ღირსი არ არის. თუ სოლმანს უყვარხარ, რატომ არ გაძლევს ამ ბუმბულს? ეგ მხოლოდ შენი საკადრისიაო.

თავადმა დაიბარა სოლმანი და უთხრა:

— გულის ჯიბეში რომ გიდევს, ეგ ბუმბული შენ რად გინდა, მე მომეციო.

ვაჟს სიტყვაც არ უთქვამს, ისე გადასცა თავადს ბუმბული.

გავიდა ცოტა ხანი და მსახურები კვლავ აივსნენ შურით, კვლავ მოახსენეს თავადს:

— დიდებულო ბატონო, თუ შენ მართლა უყვარხარ სოლმანს და მართლა პატივს გცემს, რატომ იმ არწივს არ მოგგვრის, რომელსაც ეგ ბუმბული გამოსძვრაო?

თავადმა ისევ დაიბარა სოლმანი და დაავალა:

— ახლავე წადი და მომგვარე ის არწივი, რომლის ბუმბულიც მაჩუქეო.

დაღონდა ვაჟი, მაგრამ რას იზამდა! თავჩაქინდრული დაბრუნდა თავის რაშთან.

რაშმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, რატომა ხარ ასე მოწყენილიო?

სოლმანმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

რაშმა უთხრა:

— ხომ გაგაფრთხილე, არ აიღო ეგ ბუმბული, ხეირს არ დაგაყრისმეთქი, არ მომისმინე და ხომ ნახე, ჯერ სადა ხარ!

მერე კი ვაჟი დაარიგა:

— წადი ახლა თავადთან და უთხარი: — მე მოგიყვან იმ არწივს, მხოლოდ ერთი პირობით, უბრძანე და შვიდი გზის გასაყართან ორმო გათხარონ შენმა მსახურებმა-თქო. ირგვლივ კი დაყარონ ყველა სახის მარცვლეული, რაც კი დედამიწის ზურგზე არსებობს.

— მარცვალს რომ დაყრიან, რაც კი დედამიწის ზურგზე ფრინველია, იქ მოფრინდება. მოფრენით კი მოფრინდებიან, მაგრამ ჭამას არ დაიწყებენ, სანამ ის არწივი არ გამოჩნდება. ის მოფრინდება თუ არა, ირგვლივ ყველაფერს გაანათებს. მისი ფრთების შხუილისაგან კი დიდი ქარბორბალა ამოვარდება. შენ ნუ შეშინდები, ორმოში ჩაიმალე და როგორც კი მოგიახლოვდება, სტაცე ხელი. მერე კი სასწრაფოდ ჩემკენ გამოიქეცი და ზურგზე მომეკვლე. ფრინველები დაინახავენ თუ არა, რომ არწივი დაიჭირე, ყველა მხრიდან დაგიწყებენ კორტნასა და ფრთების ხათქუნს, მაგრამ არ შეცდე და არწივი არ გაუშვაო, — გააფრთხილა რაშმა ვაჟი.

სოლმანს გაუხარდა. წავიდა თავადთან და ყველაფერი ისე მოახსენა, როგორც რაშმა დაარიგა.

სასწრაფოდ გაგზავნა თავადმა მსახურები და შვიდი გზის გასაყართან ორმო ამოათხრევინა. რაც კი მარცვლეული იშოვებოდა დედამიწის ზურგზე, მის ირგვლივ მიმოაბნევინა.

შეჯდა ვაჟი თავის რაშზე და გაუდგა გზას. მივიდა შვიდი გზის გასაყართან. გადამალა რაში, თვითონ ორმოში ჩახტა და არწივს დაუწყო ცდა.

ელოდება ვაჟი არწივს და უცბად საშინელი შხუილი შემოესმა. გაიხედა და რას ხედავს! უზარმაზარი ფრინველი მოფრინავს და გარშემო ისეთი ამბავია ატეხილი, კაცი იფიქრებს, ცა და მიწა ერთად იძვრისო.

ეს სწორედ ის არწივი იყო, რომელსაც ვაჟი ელოდა. როგორც კი ის არწივი მიწაზე დაეშვა, ფრინველებმა მარცვლების კენკვა დაიწყეს. სოლმანსაც მეტი რა უნდოდა! ამოხტა ორმოდან, სტაცა ხელი არწივს და რაშისკენ გაექანა. ფრინველებმა მიატოვეს საკენკი და გამოედევნენ სოლმანს, მაგრამ რაღას დაეწეოდნენ! ვაჟი უმალ მოევლო ზურგზე რაშს ისე, რომ არწივისათვის ხელი არ შეუშვია.

ქარივით მიქროდა რაში და ვაჟი თვალის დახამხამებაში მიიყვანა სასახლეში. სოლმანმა რაში საჯინიბოში შეაგდო, თვითონ კი მივიდა თავადთან და არწივი მიჰგვარა.

მსახურებმა ეს რომ დაინახეს, ნირწამხდრებმა ცხვირები კვლავ ჩამოუშვეს:

— კიდევ გადაგვირჩა ცოცხალი და რა ვქნათ, ახლა რაღა ვიღონოთო!

გამოხდა ცოტა ხანი და შურით გაბერილი მსახურები კვლავ მივიდნენ თავადთან და უთხრეს:

— ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით ერთი დიდი წყალია. იმ წყალში ერთი ერკემალია, რომელსაც ოქროს დუმა აქვს. თუ შენს სოლმანს ასე ძალიან უყვარხარ, რატომ იმ ერკემლის დუმას არ მოგიტანსო?

დაიბარა თავადმა ვაჟი და უთხრა:

— ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით ერთი დიდი წყალია. იმ წყალში ერკემალია. იმ ერკემალს ოქროს დუმა აქვს. წადი ახლავე და იმ ერკემლის დუმა მომიტანეო!

დაღონდა სოლმანი, მაგრამ რას იზამდა! მივიდა თავჩაქინდრული ისევ თავის რაშთან.

— რა იყო, რა დაგმართიაო? — ჰკითხა რაშმა.

— რაღა რა დამმართიაო, — მიუგო ვაჟმა და დაღონებულმა ყველაფერი უამბო.

— ეგ არაფერიო, — უთხრა რაშმა, — მაგას ეშველება, ოღონდ როგორც გეტყვი, ყველაფერი ისე გააკეთეო.

— იმ ერკემალს თავის სიცოცხლეში მარილი არ უჭამია და ყოველდღე, შუადღისას, წყლიდან ამოდის მარილის საძებნელად. თუ ჩვენ ამოსასვლელთან მარილს დავუყრით, ის იმწუთასვე იმას ეცემა და ლოკვას დაუწყებს. მარილნაჭამს წყალიც მალევე მოსწყურდება. სასწრაფოდ მიბრუნდება და პირგამშრალი წყალს ხარბად დაეწაფება. ის ზურგით ჩვენსკენ იდგება, შენც დრო იხელთე, გაიძრე შენი ხანჯალი და დუმა ჩამოათალე. მერე კი სწრაფად მობრუნდი და ზურგზე მომევლე. იცოდე, წამიც არ დაკარგო, თორემ თუ დაახანებ და ცხვარი ჩვენსკენ მობრუნებას მოასწრებს, ორივე დავიღუპებით და ველარავინ გვიშველის დედამიწის ზურგზეო! — გააფრთხილა რაშმა ვაჟი.

— რაკი ასეა საქმე, მიდი თავადთან და უთხარი, მომეცი თორმეტი ფუთი მარილი და იმ ერკემლის დუმას მოგიტან-თქო, — დაუმატა რაშმა.

სოლმანმა ეს უთხრა თუ არა, თავადმა მაშინვე დაავალა მსახურებს და მათაც, გახარებულებმა, ახლა კი მოვიცილებთ ამას თავიდანო, სწრაფადვე მოურბენინეს თორმეტი ფუთი მარილი.

ვაჟმა გადაჰკიდა მარილი რაშს, თვითონაც ზედ მოახტა და გაუდგა გზას.

ცხრა ზღვა გადაიარა, ცხრა მთა გადაიარა და მიადგა იმ წყალს, სადაც ერკემალი ცხოვრობდა. ვაჟმა ბლომად დაყარა მარილი ერკემლის ამოსასვლელთან. თვითონ ხანჯალი მოიმარჯვა, ერთ ქვას ამოეფარა და დაიწყო ლოდინი.

ცოტა ხანში ერკემალიც ამოვიდა წყლიდან. მარილი რომ დაინახა, ხარბად დაუწყო ლოკვა. ლოკავს და ლიკავს, ლოკავს და ლოკავს! მარილმა მალევე მოაწყურა წყალი. მიბრუნდა ერკემალი და წყალს ხარბად დაეწაფა. ვაჟსაც მეტი რა უნდოდა! გამოძვრა სამალავიდან, ეცა ერკემალს და თავისი ბასრი ხანჯლის ერთი დაკვრით დუმა ჩამოათალა. მერე კი, როგორც რაშმა დაარიგა, თვალის დახამხამებაში მოევლო ზურგზე.

რაში ისე მოფრინავდა, ერთი კვირის სავალს ერთ დღეში გადიოდა და ასე უვნებლად მოაღწიეს სასახლეში.

შევიდა ვაჟი თავადთან და მიართვა ერკემლის ოქროს დუმა. მსახურებმა ეს რომ დაინახეს, ელდა ეცათ:

— ისევ ცოცხალი დაბრუნდა, ახლა რაღა ვქნათ, როგორ მოვიშოროთ თავიდანო!

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ისევ მივიდნენ თავადთან და უთხრეს:

— თუ შენი სოლმანი ასეთი სანაქებო ვაჟკაცია, აბა წავიდეს და ორი წყლის შესართავთან, უღრან, გაუვალ ბუჩქნარში ერთმა ძაღლმა ორი ლეკვი რომ დაყარა, ერთ-ერთი მოგგვაროსო.

უფრო მეტად დაღონდა ვაჟი, ისევ რაშთან მივიდა და თავისი გასაჭირი უამბო.

— წადი და თავადს თორმეტი არშინი თეთრი და თორმეტი არშინი შავი მატერია გამოართვიო, — უთხრა რაშმა.

უღრან ტყეში, გაუვალ ბუჩქებთან რომ მივალთ, დაიძახე: — ეს შენ საჩოხედ და ეს შენ სააახალუხედ-თქო! მერე დაკიდე ნაჭრები ბუჩქებზე და მიჰყევი ამ ნაჭრებს, მიგიყვანს იმ ლეკვებთან, სტაცე ერთ-ერთ მათგანს ხელი, ზურგზე მომევლე და მერე მე ვიციო.

სოლმანი მივიდა თავადთან. გამოართვა თეთრი და შავი ნაჭრები, მოაჯდა რაშს და გაუდგა გზას. დათქმულ ადგილს რომ მიაღწიეს, ისე მოიქცა, როგორც რაშმა დაარიგა, დასტაცა ხელი ლეკვს, მოევლო რაშს

ზურგზე და თვალის დახამხამებაში სასახლეში გაჩნდა. ეახლა თავადს და ლეკვიც მიართვა.

— ეს როგორ ვერ უნდა მოვიშოროთ თავიდანო! — სიბრაზით ლამის ცეცხლი წაეკიდათ ბოროტ მსახურებს.

იფიქრეს, იფიქრეს და მოიფიქრეს: — ახლა კი ისეთ ადგილას გავგზავნით, იქიდან ცოცხალი ველარ მოაღწევსო.

მივიდნენ და თავიანთ ბატონს მოახსენეს:

— ჩვენო მწყალობელო, ამდენი ხანია შენი დაცოლშვილების დროა და დედამიწის ზურგზე შენი შესაფერი ქალი არ გამოჩენილა. ერთ დიდ ოკეანეში ცხოვრობს ერთი გველეშაპი, რომლის მუცელშიც მზისა და მთვარის მზეთუნახავი ქალიშვილი ზის. აი, ის არის მხოლოდ შენი ცოლობის ღირსი. გაგზავნე სულეიმანი და მოგგვაროს ის მზეთუნახავიო.

მოუთმენლობისაგან აცმუკებული თავადი სიხარულით ფეხზე აღარ იყო. სასწრაფოდ იხმო სოლმანი და უბრძანა:

— ერთ დიდ ოკეანეში გველეშაპი ბინადრობს. მის მუცელში მზისა და მთვარის მზეთუნახავი ქალი ზის. წადი და ახლავე მომგვარე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩები, თავს წაგაცლიო!

— ახლა კი ნამდვილად დადგა ჩემი აღსასრულის დღეო, — ჩაჰკიდა თავი დაღონებულმა ვაჟმა.

სასოწარკვეთილებისაგან ღონემიხდილი მივიდა რაშთან, რომელიც ქერის ჭამაში იყო გართული:

— რა დაგემართა, რა თავ-პირი ჩამოგტირის, სახელოვანო ვაჟკაცო? — ჰკითხა რაშმა ვაჟს.

— რაღა რა დამემართაო, — მიუგო ვაჟმა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— წადი იმ შენს თავადთან და ქალის ჩასაცმელ-დასახური, მოსართავ-მოსაკაზმი, ფერუმარილი თუ სუნამო, ყველაფერი გამოართვი. გაგზავნოს მსახურები, იმ ოკეანის ნაპირას დუქანი დაადგმევინოს და შიგ ეს ყველაფერი დაალაგებინოსო, — უთხრა რაშმა.

— ყოველდღე, შუადღისით გველეშაპი წყლის ნაპირთან მოვა და ორი საათით თავს ამოყოფს. თავს რომ ამოყოფს წყლიდან, საშინლად აცივდება. პირიდან მზისა და მთვარის ასული გადმოვა, დუქანში შევა და მისი თვალიერებით გაერთობა. მის დანახვაზე შენ რული მოგერევა, მაგრამ არ ჩაიძინო, თორემ ასული მხოლოდ ორ საათს გაჩერდება ნაპირზე. მერე ისევ ჩაუძვრება გველეშაპს ხახაში და გაუჩინარდება.

თავადმა წამსვე შეუსრულა სოლმანს თხოვნა და იმ ოკეანის ნაპირზე მსახურებს დუქანი გაამართვინა.

სოლმანი მოაჯდა თავის რაშს, მივიდა დუქანთან, დამალა რაში და ელოდება, როდის მოვა მზისა და მთვარის ასული.

ამ ლოდინში ვაჟს ისე ღრმად ჩაეძინა, რომ სამ დღესა და ღამეს არ გაჰღვიძებია.

მივიდა რაში და გამოაღვიძა.

— ახლა რა დროს ძილია. სასწრაფოდ გამომაძრე ფაფარიდან ძუა, ჩაიდე ქუთუთოში. რული რომ მოგეკიდება და წამწამი უნებურად დაგეხუჭება, ძუა თვალში შეგესობა, გეტკინება და აღარ ჩაგეძინებაო.

ვაჟს ჭკუაში დაუჯდა რაშის რჩევა და ასეც მოიქცა.

მეორე დღეს შუადღისას ისევ მივიდა მზისა და მთვარის ასული დუქანთან. ის ისეთივე ლამაზი იყო, როგორიც მისი სახელი. გაერთო ქალწული სუნამოების თვალიერებაში. ვაჟმაც დრო იხელთა, სტაცა ხელი, მოევლო რაშს ზურგზე და მიჰგვარა თავადს.

თავადი სიხარულით ფეხზე აღარ იყო. მაშინვე მოიწადინა დაქორწინება, მაგრამ ქალმა შეაჩერა:

— სანამ ჩემს სკივრს არ მომიტანთ, რომელიც იმ გველეშაპის მუცელში დამრჩა, მანამ მე ვერ მოგთხოვდებიო.

ისევ დაიბარა თავადმა სოლმანი და უბრძანა:

— წადი და სასწრაფოდ მომიტანე ის სკივრი, იმ გველეშაპის მუცელში რომ დევს, თორემ ამ წუთას თავს წაგაძრობო.

როცა სოლმანმა რაშს უამბო ეს ყველაფერი, მან უთხრა:

— ეგ ყველაფერი ადვილია, თუ შენ არ შეშინდები. გველეშაპს ხახა ჯერ ისევ დაფჩენილი აქვს, ის მზისა და მთვარის ასულს ელოდება. აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, იმწამსვე უნდა ჩაუძვრე ხახაში, ის მაშინვე წყალში შეცურავს. მეორე დღეს ისევ გამოვა ნაპირთან. აიღე ის სკივრი და ამოძვერიო.

შეაჯდა სოლმანი რაშს და გაუდგა გზას. მალე მიადგა იმ ოკეანეს, სადაც გველეშაპი ბუდობდა. ხახადაფჩენილი გველეშაპი იმავე ადგილზე იწვა გაუნძრევლად. ვაჟი დაემშვიდობა რაშს და ჩაუძვრა ხახაში გველეშაპს, რომელმაც მაშინვე წყალში შესცურა. მეორე დღეს ვაჟი სკივრით ხელში ეახლა თავადს.

რაკი სოლმანი დაბრუნდა და სკივრიც მოიტანა, თავადმა გადაწყვიტა დაქორწინებულიყო. ქალმა ახლაც ცივი უარი განაცხადა:

— მზე და მთვარე ჩემი მშობლები არიან. ჯერ ერთი, მათ აუცილებლად უნდა შევატყობინოთ, მეორეც, ჩემი ოქროს ბეჭედი უნდა წამოვიღოთ იქიდანო.

ვაჟმა ახლა ეს დავალება მიიღო და ისევ რაშთან მივიდა ჭკუის საკითხავად:

— რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

— აქ კი მე უძლური ვარ, ვერაფერში დაგეხმარებიო, — უთხრა რაშმა ვაჟს, — ერთ რჩევას კი მოგცემ: მე მიგიყვან ერთი ზღვის ნაპირას. ზღვაზე ერთი თევზი დაგხვდება წყალზე ხიდად გადებული; ერთ ნაპირზე თავი აქვს, მეორე ნაპირზე — ბოლო. მასზე გავლა არ შეიძლება, მაგრამ შენ ისე მოიქეცი, როგორც გეტყვი. ყველაფერზე დაეთანხმე, მხოლოდ არაფერზე პასუხი არ გასცე, სანამ არ მობრუნდებიო. ივლი, ივლი და შეგხვდებიან მოჩხუბარი ზაფხული და ზამთარი. მათაც ყველაფერში დაეთანხმე, მხოლოდ დაბრუნებისას უთხარი პასუხიო.

— უშენოდ რა მეშველებაო, — უთხრა ვაჟმა რაშს. მერე კი მოაჯდა ზურგზე და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ვაჟი მივიდა ზღვის პირას. აქ კი გადაეხვია რაშს, გადაკოცნა, გამოემშვიდობა და გაუშვა. თვითონ კი მივიდა თევზთან და უთხრა:

— თევზო, შენს გახარებას, გადამატარე მეორე ნაპირზეო.

თევზმა უარი სტკიცა.

ვაჟი არ მოეშვა და მაშინ თევზმა უთხრა:

— გაგიშვებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მზესა და მთვარეს ჰკითხო, კიდევ დიდხანს უნდა ვიყო აქ ხიდად გადებულიო?

ვაჟი შეჰპირდა, რომ პასუხს მოუტანდა და თევზმაც გაუშვა.

იარა, იარა და ახლა მოჩხუბარ ზაფხულსა და ზამთარს გადაეყარა.

ვაჟი მიესალმა და მიუახლოვდა.

— ჩვენს შორის გაგატარებთ იმ შემთხვევაში, თუ მზესა და მთვარეს ჰკითხავ, ასე გაუთავებლად როდემდე უნდა ვიომოთ ჩვენ ერთმანეთში?

ვაჟი ამათაც დაჰპირდა, რომ პასუხს მოუტანდა და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, სოლმანი მივიდა მთვარესთან. მზე ამ დროს სახლში არ იყო და მთვარემ ვაჟს უთხრა:

— ჩემი ქმარი — მზე სახლში არ არის. რომ მოვა, უთუოდ გადაგყლაპავს. რა გიყო, სად გადაგმალო?

სოლმანმა გადასცა ქალის დანაბარები და მთვარემ ძალიან გაიხარა. ვაჟს საკადრისად გაუმასპინძლდა და მზის მოსვლის დრო რომ დადგა, სკივრში დამალა. შემოვიდა თუ არა მზე, ხმამაღლა დაიძახა:

— ვისი სუნი მცემსო?

— არავისი სუნიც არ არისო, — დააწყნარა მთვარემ.

ცოტა ხანში კი მთვარემ უამბო თავისი ასულის შესახებ ყველაფერი, რაც იცოდა. შემდეგ ჰკითხა:

— რომ გაჩვენო ის, ვინც ჩვენი ასული ნახა და ვინც მისი ამბები მიამბო, სიტყვა მომეცი, რომ არაფერს დაუშავებო.

— სიტყვას გაძლევ, რომ არაფერს დავუშავებ და საკუთარ შვილად მივიღებო, — შეჰპირდა მზე.

მაშინ მიბრუნდა მთვარე, გახსნა სკივრი, იქიდან ამოიყვანა ვაჟი და მზესთან მიიყვანა. მზეცა და მთვარეც თავს ევლებოდნენ ვაჟს, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. ვაჟი მათთან ერთ კვირას გაჩერდა. შემდეგ მისცეს ოქროს ბეჭედი და გამოემშვიდობნენ. წამოსვლის წინ ვაჟმა თევზისა და ზამთარ-ზაფხულის დანაბარები ჰკითხა.

—ზამთარ-ზაფხულიც მარად ჩხუბში იქნებიან და თევზიც ყოველთვის ხიდი იქნებაო, — უპასუხეს ვაჟს.

გამობრუნდა ვაჟი და მოაღწია იმ ადგილამდე, სადაც ზამთარ-ზაფხული დაობდა.

— არ გაგატერებთ, სანამ არ გვეტყვი, მზემ და მთვარემ ჩვენს კითხვაზე რა გიპასუხაო.

— გამატარეთ და გეტყვითო, — აღუთქვა ვაჟმა.

მაშინ გაატარეს ვაჟი.

— თქვენ თქვენი სიცოცხლის განმავლობაში მაგ ბრძოლაში იქნებითო, — გადასცა მათი დანაბარები ვაჟმა და გზა განაგრძო.

იარა, იარა და მივიდა თევზთან. თევზი არ ატარებდა. ვაჟმა უთხრა, გადამატარე და გეტყვი შენს კითხვაზე რა პასუხიც გამცესო.

თევზმა გადაატარა.

— შენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მასე იქნებიო, — უთხრა დანაბარები ვაჟმა.

მონახა თავისი რაში, მოაჯდა ზურგზე, მივიდა სასახლეში და მიართვა ბეჭედი თავადს.

მოთმინებადაკარგულმა თავადმა ბრძანა, სასწრაფოდ ექორწინათ.

— მე არ ვამბობ, რომ არ მიყვარს თავადი, მაგრამ მე მზისა და მთვარის ასული ვარ, მთელი სიცოცხლე წყალში ვცხოვრობდი. ავადუღოთ რძე, შიგ ჩახტეს თავადი, იბანაოს და რომ ამოვა, მაშინ ვიქორწინოთო.

თავადს სხვა რა გზა ჰქონდა, დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ სოლმანი განბანილიყო ამ ადუღებულ რძეში.

როცა ვაჟი ადუღებულ რძეში საბანაოდ მიჰყავდათ, ასულმა ხელში ბეჭედი ჩაუდო და უთხრა:

— აჰა, ეს ბეჭედი და ნურავის დაანახვებ. ქვაბთან რომ მიხვალ, ჯერ ეს ბეჭედი ჩააგდე შიგ და მერე შენ ჩახტიო.

ვაჟიც ასე მოიქცა. ჯერ ბეჭედი ჩააგდო და მერე თვითონაც შიგ ჩახტა, იბანავა და ამოვიდა.

ამის შემდეგ თავადი ჩახტა ადუღებულ რძეში. ჩახტა და თქვენს

მტერს, რაც იმას დაემართა! შიგ ჩაიფუფქა. აბა რა მოუვიდოდა!

თავადმა ის მიიღო, რაც დაიმსახურა.

გამოვიდა მზისა და მთვარის ასული და თქვა:

— მე აქ მომიყვანა სოლმანმა. დღეიდან სწორედ ის იქნება ჩემი ქმარი და თქვენი თავადიო.

მზისა და მთვარის ასული და სოლმანი დიდხანს ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობდნენ.

მეფის მეჯინიბე ლუკმანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ჰყავდა ერთი მეჯინიბე, რომელსაც ლუკმანი ერქვა. ეს მეჯინიბე შეუყვარდა ხელმწიფის ასულს. იმდენი ქნა, იმდენი, რომ, გასეირნების დროს მხლებელთა ამალაში ლუკმანიც მოახვედრა. ქალაქის განაპირა ბაღში ისე მიიმალებოდნენ ხოლმე, რომ ვერავინ ხედავდა. როგორც კი ბაღს მიუახლოვდებოდნენ, მეფის ასული ეტყოდა მსახურებს:

—შეგიძლიათ, სადაც გინდათ, წახვიდეთ. მე კი ცოტა ხანს დავტკბები ამ სიმშვენიერითო.

ასე მეორდებოდა ყოველდღე, ქალთან მხოლოდ ლუკმანი რჩებოდა.

ერთხელაც ერთი მხლებელი დაეჭვდა და ჩუმად დაუწყო თვალთვალი. როცა მათი სიყვარულის ამბავი შეიტყო, ყველაფერი ხელმწიფეს ჩაუკაკლა. განრისხებულმა ხელმწიფემ გადაწყვიტა, ლუკმანი ჯალათისათვის გადაეცა, რომ თავი მოეკვეთათ.

მეფის ასულმა იმწამსვე აცნობა ლუკმანს მამის გადაწყვეტილება. ლუკმანსაც სხვა რა გზა ჰქონდა, თავისათვის უნდა ეშველა და იმ ქალაქიდან გადაეხვეწა.

მირბის ლუკმანი უკანმოუხედავად, მირბის, მირბის და უცბად უკან მიიხედა. მიიხედა და რას ხედავს! მეფის მთელი ლაშქარი დასდევნებია და ჰა, სადაც არის, უნდა დაეწიონ. აღარ იცის ვაჟმა, რა ქნას! უცბად ახლომახლო ერთი ჭა შენიშნა. ბევრი აღარ უფიქრია, ისკუპა და შიგ ჩახტა. ზის ჭაში შიმშილისა და სიცივისაგან ახავხავებული. კარგა რომ შეღამდა, ამობობღდა ჭიდან და ისევ მოკურცხლა. ბევრი ირბინა თუ ცოტა, მივიდა ერთი წყლის ნაპირას. დაინახა, წყალში ერთი ძველი ნავი ტივტივებს. ჩაჯდა ნავში და შეცურა წყალში. კარგა რომ იჯერა გული, გადაწყვიტა ნაპირზე გამოეცურა, მაგრამ ბედი არ გინდა? მთელი ნაპირი ისარმომარჯვებული მეფის მეომრებით იყო სავსე. სადღა გამოცურავდა! განაგრძო გზა.

კარგა ხანს იცურა ლუკმანმა და ბოლოს მისი ნავი მიადგა ნაპირს. გადავიდა დამშეული, იქნებ სასმელ-საჭმელი რამე ვიშოვოო და რას ხედავს! იქაურობა შხამიანი გველებით არის სავსე და სისინით მიიწევენ მისკენ, რომ გადაყლაპონ! რაღას იზამდა, ჩახტა ისევ თავის ძველ ნავში და გზა განაგრძო. მიაღწია ერთ ტყეს. გადაწყვიტა, აქ მაინც დაესვენა. ავიდა ერთ ხეზე და ღრმად ჩაეძინა. ამდენი ხნის დაღლილ-დაქანცულსა და უჭმელ-უსმელს ჩაეძინებოდა აბა რა იქნებოდა! რომ გაეღვიძა, გაოცებისაგან პირი დააღო; რაც დედამიწის ზურგზე მაიმუნი იყო, მის ირგვლივ შემოკრებილიყო და ერთი ყაყან-წრიპინი გაჰქონდათ. რომ დაინახეს, კაცმა გაიღვიძაო, ზოგი ზურგზე მოახტა, ზოგი ფეხზე ჩამოეკონწიალა, ზოგი ცხვირზეც კი წაეპოტინა და მოკლედ რომ ვთქვათ, არ ამოასუნთქეს! ჩამოცვივდა და ჩამოცვივდა ხიდან ნაყოფი, ჩამოცვივდა და ჩამოცვივდა. ეცა დამშეული ჩვენი ლუკმანი ამ ხილს და სულმოუთქმელად ჭამს. მაიმუნებმა რომ შეატყვეს, ვაჟს შია, გაცვივდნენ და ახლა სხვა ნუგბარ-ნუგბარი ხილი მოურბენინეს. ეს საჭმელი რას ეყოფოდა მთელი ამდენი ხნის დამშეულ ლუკმანს, მის ცარიელ სტომაქს ეს ისევე ვერ ამოავსებდა, როგორც წვეთი წყალი ძირგავარდნილ კასრს, მაგრამ ცოტა მაინც მოღონიერდა.

მაიმუნებმა ლუკმანი თავიანთ მეფეს მიჰგვარეს. ეს მეფე ჭკვიანი იყო, რომ ნახა ვაჟი ასეთ დღეში, მოატანინა მსახურებს საჭმელ-სასმელი და რამდენიმე დღე ლუკმანს იმდენი აჭამა და ასვა, რამდენიც მოენებებოდა. ასე რომ, ლუკმანი რამდენიმე დღის განმავლობაში მხოლოდ ჭამდა, ისვენებდა და ეძინა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მთლიანად არ მოღონიერდა.

მაიმუნების ქვეყანაში ამ დროს ომი იყო გაჩაღებული. ორი ტომი მაიმუნებისა სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყო გადაკიდებული. მაიმუნების მეფემ გადაწყვიტა, ლუკმანისთვის დაეთმო თავისი ადგილი და ის გაემეფებინა. ყველა დაეთანხმა, რადგან ადამიანის მომრევი დედამიწის ზურგზე არავინ ეგულებოდათ და ის მათ მტერსაც გაანადგურებდა.

უნდოდა თუ არ უნდოდა, ლუკმანიც დათანხმდა. სხვა რა გზა ჰქონდა, მათ ხელში იყო!

ლუკმანი გამეფდა თუ არა, შეკრიბა მაიმუნები, შექმნა მათგან მეომართა რაზმები, შეაიარაღა, ჩაუყენა თავში უფრო გამოცდილი მაიმუნები და გაუყენა გზას მტრის ბანაკისაკენ. მისი მაიმუნები ისროდნენ ტყვიებს, ისრებს და ანგრევდნენ ციხესიმაგრეებს. ბევრი დახოცეს, ბევრიც ტყვედ წამოასხეს და გამარჯვებულები დაბრუნდნენ შინ.

გადის ხანი და ლუკმანს კვლავ სდარაჯობენ მაიმუნები, რომ არსად გაიქცეს, არ წავიდეს. გულშეღონებულმა ლუკმანმა აღარ იცის, რა გზას დაადგეს.

ერთხელაც, სეირნობის დროს, მცველს უთხრა, რომ იქვე ბუჩქებში უნდა გადასულიყო მოსასაქმებლად. სინამდვილეში კი გზას გაუდგა. რომ დარწმუნდა, მაიმუნები რაღაცით გართულიყვნენ და არავინ მისდევდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. ისე გარბოდა, რომ მთა იყო თუ ველი არ დაგიდევდათ, ზედ გადაევლო ტყე-ველს და ერთ სტეპს მიადგა. უკვე შუადღე იყო, მაგრამ არ შეუსვენია, ისევ მთელი ღამე ირბინა.

დილაადრიან შემოესმა მამლის ყივილი. გაიხარა ლუკმანმა, აქ ნამდვილად ადამიანები იქნებიანო და მიჰყვა ამ მამლის ხმას. ბევრი იარა თუ ცოტა, საღამოს, როცა მზე ჩავიდა, მიადგა ერთ ძველ კოშკს. ეს იყო შაჰ-აბასის კოშკი. ვაჟმა ღამე იქ გაათია და დილით ისევ გზას გაუდგა. მივიდა ერთ ქალაქში. ხედავს, ამ ქალაქში არც ერთი ცხენი შეკაზმული არ არის, ყველა უბელოა! გაუკვირდა ლუკმანს. აბა როგორ არ გაუკვირდებოდა, თვითონ ხომ მეჯინიბე იყო და ცხენის შეკაზმვის მეტი რა იცოდა!

დაინტერესდა და ერთ-ერთ გამვლელს ჰკითხა:

— თქვენს ქვეყანაში ცხენს რატომ არ კაზმავენო?

თურმე აქ ცხენის შეკაზმვა რა იყო, არავინ იცოდა!

იყიდა მაშინ ლუკმანმა ტყავი. გამოჭრა მისგან უზანგები, გააკეთა ტახტა და მიართვა იმ ქვეყნის მეფეს. მეფემ რომ დაინახა, გაუკვირდა:

— ეს რა არისო?— ჰკითხა ლუკმანს.

— ეს უნაგირია, — უთხრა ლუკმანმა, ამითი ნამდვილი მხედარი ცხენზე უფრო მოხერხებულად ჯდება.

მართლაც შეჯდა მეფე შეკაზმულ ცხენზე და მოეწონა. გაუხსნა ლუკმანს სახელოსნო და ყველა ცხენოსნისთვის გააკეთებინა უნაგირი. მეფე მიხვდა, რომ ლუკმანი ძალიან ჭკვიანი იყო და ვეზირობა უბოძა. შემდეგ კი თავისი ულამაზესი ასულიც მიათხოვა და ლუკმანმაც იქ დაიწყო ცხოვრება.

გავიდა ხანი. ერთხელაც ხელმწიფის ერთი ვეზირი გარდაიცვალა და დაკრძალვის დღეს ხედავს ლუკმანი, რომ მიცვალებულთან ერთად აკლდამისკენ მიჰყავთ მისი ცოლი, რომელსაც ხელში უჭირავს წყლით სავსე ჭურჭელი და სუფრაში გახვეული პური.

ვაჟმა გაოცებისაგან პირი დააღო.

— ეს რა ხდება? განა შეიძლება ცოცხალი ადამიანის დამარხვა?

— ეს წესი ჩვენ ეგვიპტელებმა გვასწავლეს. ერთ-.ერთი მეუღლე თუ გარდაიცვალა, მას აკლდამაში მეორესაც ვაყოლებთო, — უპასუხეს გაოცებულ ლუკმანს.

ამან ლუკმანი ისე ააფორიაქა, დღე და ღამე არ ეძინა! როგორ, ლუკმანის ცოლს რომ რამე დაემართოს, ისიც თან უნდა ჩააყოლონ!

ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც ლუკმანს ეს აუხდა!

მალე ლუკმანის ცოლი ავად გახდა. ჩაწვა ლოგინში და სულს ღაფავს. ლუკმანმა გადაწყვიტა, გაქცეულიყო. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და ამასობაში მისმა ცოლმა სული უფალს მიაბარა კიდეც.

დადგა წესის აღსრულების დღეც. მოუტანეს ლუკმანს წყლით სავსე ჭურჭელი და სუფრაში გახვეული პური.

— სად მიგყავართო? — ჰკითხა ვაჟმა.

— დასამარხადო! — უპასუხეს მათ.

უკვე გვიანი იყო, სადღა გაექცეოდა ვაჟი მათ და ხვეწნა დაუწყო:

— ძმებო, ნუ იზამთ მაგას, მე ხომ სხვა ქვეყნიდანა ვარ და ჩემთვის ეგ წესი უცხოა.

— რაკი შენ ჩვენი ქვეყნის ქალიშვილზე დაქორწინდი, ეს წესი შენც გეხებაო და უნდა დაემორჩილო ყველა იმ წესს, რომელიც ჩვენს ქვეყანაშიაო, — აუხსნეს ლუკმანს.

რამდენს არ ეხვეწა ვაჟი, რამდენს არ ემუდარა, იყვირა კიდეც, მაგრამ მისი ხვეწნა-მუდარა ყურშიც არავინ შეუშვა. შეაგდეს ლუკმანი მიცვალებულ მეუღლესთან ერთად აკლდამაში თავის წყალთან და პურთან ერთად და იქ დატოვეს.

ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, ლუკმანმა გადაწყვიტა, იქაურობა დაეთვალიერებინა. იქით გაიხედა, აქეთ გამოიხედა, მაგრამ ყველგან უკუნი სიბნელეა და რას დაინახავს, ხელები მხოლოდ მიცვალებულთა გვამებს ხვდებოდა. მივიდა ისევ თავის მიცვალებულ მეუღლესთან, აიღო თავისი წყალი და პური და შეექცა.

რამდენი დღე-ღამე იყო იმ ბნელ აკლდამაში ლუკმანი, ვინ გაარკვევს, მაგრამ მალე აკლდამაში ახალი მიცვალებულები ჩაუშვეს თავიანთი ცოცხალი მეუღლეებით. ლუკმანმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იქიდან გამოეღწია. მოიმარჯვა ერთი მიცვალებულის წვივის ძვალი, დახოცა ყველა ცოცხლად ჩატანებული და მათი წყალი და პური გამოიზოგა.

გავიდა ხანი და ლუკმანის ბედად ამ ქვეყანაში მოხდა მიწისძვრა. ეშველა ლუკმანსაც! აკლდამის ქვები შეტოკდა და მზის მკრთალმა შუქმა მის სადგომშიც ჩააღწია. მეტი რაღა უნდოდა მასაც. მკვდრების ძვლებით თხარა, თხარა მიწა და სამზეოზე ამოვიდა. ამოვიდა თუ არა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი და უკანმოუხედავად მოკურცხლა, რომ რაც შეიძლება შორს გასცლოდა ამ ქვეყანას.

ირბინა, ირბინა, ხან სტეპებს გადაევლო, ხან მთებს და ბოლოს ერთ ძველ კოშკთან მიაღწია. კოშკის გარშემო საუცხოო ბაღი იყო გაშენებული.

მივიდა ახლოს კოშკთან და დაიძახა:

— ეჰეი, ძმებო, გამომხედეთ!

მის ძახილზე ერთი დედაბერი გამოვიდა და შინ შეიპატიჟა.

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ. რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ. თითქოს მზის სხივმა გამოანათაო, გული ისე გამითბო შენმა დანახვამ. რამდენი ხანია აქ კაცის ჭაჭანება არ მინახავსო, — მიეგება მოხუცი ვაჟს.

ცოტა ხნის შემდეგ კი უთხრა:

— აი, შენ ეს სრა-სასახლე, აი, შენ ეს ბაღი-ბაღნარი. იცხოვრე, რამდენ ხანსაც გინდა. თუ მოისურვებ, აქედან ნურსადაც ნუ წახვალ. მე დედა და შენ შვილი. აქ ყველაფერი შენია და შენ გეკუთვნის. მხოლოდ ერთი პირობა უნდა მომცე. არასოდეს გააღო შუა ოთახის კარიო.

დაიწყეს ერთად ტკბილად ცხოვრება.

გავიდა ხანი და ბიჭს არ ასვენებს ცნობისმოყვარეობა:

— ნეტავი რა უნდა იყოს იმ ოთახში ისეთი, რომ დედაბერი შიგ შეხედვის უფლებასაც არ მაძლევსო?

ბოლოს გადაწყვიტა:

— რაც არის, არის, შევალ და ვნახავ, ერთი იმ ოთახში რა იმალებაო.

თქმა და ქმნა ერთი იყო. გახსნა კარი და შევიდა შიგ. შევიდა და რას ხედავს! ოთახია და ოთახს ჭერი არა აქვს. ოთახში ერთი მზეთუნახავი ბანაობს და გვერდით მოახლე უდგას, რომელსაც მისი ტანსაცმელი უკავია ხელთ. ქალმა თვალი ჰკიდა თუ არა ვაჟს, მოისხა ჯადოსნური მოსასხამი, აფრინდა და მსახურთან ერთად გაუჩინარდა. ქალის სილამაზით მონუსხული ლუკმანი კარგა ხანს გონს ვერ მოეგო. ცოტა რომ გამოფხიზლდა, დაკეტა ისევ იმ ოთახის კარი და გასაღები თავის ადგილზე დადო.

ის დღე იყო და ის დღე, ლუკმანს მოსვენება დაეკარგა. დარდისაგან სულ მიიღია.

დედაბერი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— დღითიდღე ილევი და ილევი, უკვე ვეღარც კი გცნობ, ისე შეიცვალე. მითხარი, რა დაგმართია, რა სენი შეგყრიაო.

ლუკმანი ჯერ არ გამოუტყდა დედაბერს, ვერ უთხრა სიმართლე.

—იცოდე, არ დამიმალო, მითხარი, ჩვენი პირობა დაარღვიე და შუა ოთახის კარი გახსენიო? — ჰკითხა მოხუცმა ქალმა.

ვაჟი მუხლებში ჩაუვარდა და პატიება სთხოვა:

— დედაშვილობამ, მაპატიე, ცნობისწადილს ვერ ვძლიეო.

დედაკაცი სიმწრისაგან მუხლებზე ხელებს იტყაპუნებდა და მოთქვამდა:

— ეს რა გიქნია, ეს რა დღეში ჩაგიგდია შენი თავი. ის ხომ ეშმაკების ხელმწიფის ქალიშვილია და შენ დღეიდან მოსვენებას ვეღარ ნახავ, სანამ

იმათთან არ წახვალ. იმათ ქვეყნამდის კი სამასი დღე-ღამის სავალიაო.

— გემუდარები, დედაშვილობამ, რაიმე მირჩიე, რა გზას დავადგე, მასწავლეო, — შეეხვეწა ვაჟი.

— რაც მოხდა, მოხდა, — დაამშვიდა მოხუცმა ქალმა ვაჟი, — იმას ველარაფერს უშველიო. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი, ის ქალი აქ წელიწადში ერთხელ მოდის მხოლოდ. მანამდე კი დიდი ხნის ლოდინი დაგჭირდებაო. მე მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, როდის მოფრინდებაო.

სხვა რა გზა ჰქონდა, იცდის ვაჟი, იცდის და ლოდინში სული ელევა...

და აი, დადგა ის დღეც, როცა ის ქალი უნდა გამოჩენილიყო.

— ამაღამ შედი იმ ოთახში და ერთ კუთხეში, თივის ქვეშ დაიმალე. ღამე ის ქალი მოფრინდება, გაიხდის ტანსაცმელს და მაშინვე დაიწყებს ბანაობას. შენ უნდა იმარჯვო. უნდა მიიპარო, ის ტანსაცმელი წამოიღო, სკივრში ჩაკეტო და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ მიდი ისევ იმ ოთახში და დაუცადე, როდის დაამთავრებს ბანაობას. რომ მორჩება, ტანსაცმელს დაუწყებს ძებნას, შეგეხვეწება, დამიბრუნე ჩემი ტანსაცმელიო. რას აღარ შემოგთავაზებს სანაცვლოდ, მაგრამ შენ არაფრისდიდებით არ დასთანხმდე. ყელზე რომ ავგაროზი ჰკიდია, იმაზე დააფიცე, რომ შენი ცოლი გახდება და მხოლოდ მაშინ დაუბრუნე ტანსაცმელი. დაიმახსოვრე, ჯადოსნური მოსასხამი აღარ აჩვენო, თორემ გაგიფრინდებაო, — დაარიგა დედობილმა ვაჟი.

ვაჟიც ისე მოიქცა, როგორც დედაბერმა დაარიგა; დაიმალა ოთახის კუთხეში და იცდის. შუაღამისას ბაღში ხეები აშრიალდნენ, ამოვარდა ქარიშხალი, ირგვლივ ყურთასმენა აღარ იყო. ეს ქალი მოფრინავდა საბანაოდ! დაფრინდა თუ არა დედამიწაზე, შევიდა ოთახში, დაიხადა ტანსაცმელი და დაიწყო ბანაობა. ვაჟსაც მეტი რა უნდოდა! სტაცა ხელი ტანსაცმელს და სკივრში ჩაკეტა. მერე თვითონ დაბრუნდა და დაიწყო ლოდინი, ქალი როდის მორჩებოდა ბანაობას. ქალი მორჩა ბანაობას და ამოვიდა წყლიდან, უნდა ჩაიცვას, მაგრამ სადღაა ტანსაცმელი. როგორ არ ეხვეწა და ემუდარა ვაჟს, ტანსაცმელი დაებრუნებინა, იტირა კიდეც, მაგრამ ვაჟმა უთხრა:

— შენს ავგაროზზე დაიფიცე, რომ ცოლად გამომყვები და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგიბრუნებო.

ქალმა შეჰფიცა და ვაჟმაც თითქმის ყველაფერი დაუბრუნა, ჯადოსნური მოსასხამის გარდა.

კარგა ხანს ცხოვრობდნენ ტკბილად დედაბერი, ვაჟი და მისი ცოლი. მაგრამ ქალი რის ქალია, თუ რაიმე არ იეშმაკა და ერთხელაც, როცა ვაჟსა და დედაბერს ტკბილად ეძინათ, ჩუმად აიპარა ლოგინიდან, მძინარე ქმარს სკივრის გასაღები ჯიბიდან ამოაცალა, გააღო სკივრი, მოისხა ჯადოსნური მოსასხამი, აფრინდა ცაში და იქიდან ეძახის:

— ლუკმან, ეჰეი, ლუკმან!

ძახილზე ლუკმანს გაეღვიძა. წამოვარდა, ეძებს ცოლს, მაგრამ სადღაა! ეცა მაშინვე სკივრს. სკივრი ღიაა. კვლავ მოესმა ცოლის ხმა. მიჰყვა ამ ხმას, აიხედა მაღლა და ხედავს, ცოლი ცაშია. როგორ არ ეხვეწა, როგორ არ ემუდარა, სულ ცოტა ხნით მაინც დაშვებულიყო დედამიწაზე ქალი, მაგრამ ამაოდ. ცოლმა მის თხოვნას ყურიც არ ათხოვა. ზემოდან მხოლოდ ეს ჩამოსძახა:

— სულ ტყუილად მეხვეწები, მე მიწაზე დამბრუნებელი აღარა ვარ, აღარ დავბრუნდები. ჩემს სამშობლოში უნდა გავფრინდე. შენ თუ ძალიან გიყვარვარ, იქ მოხვალო.

— კი მაგრამ, სად მოვიდე, მე არც შენი სამშობლო ვიცი და არც იქ მისასვლელი გზაო! — შესძახა ვაჟმა.

— ჩემს სამშობლოს ჟიზირ-ბაბილის ქვეყანას ეძახიან და აქედან იქამდე სამასი დღის სავალიაო, — უპასუხა ქალმა და გაფრინდა.

დაბრუნდა დაღონებული ლუკმანი სახლში. დამწუხრებულმა ყველაფერი დედობილს უამბო. მოხუცმა დამშვიდება დაუწყო:

— რას იზამ, შვილო. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ალაჰი ინებებს. კლდეც ვერ გაუმაგრდება მის ნებასო.

— ო, არა, დედი, მის გარეშე ჩემს სიცოცხლეს რა ფასი აქვს. მთელ ქვეყანას მირჩევნია. სიცოცხლეს დავთმობ, მას კი ვერა. უნდა წავიდე და მოვძებნოო.

მეორე დღეს ადგა თუ არა, სამგზავროდ გამოეწყო; დაიჭირა ხელში ჯოხი, მოიგდო ზურგზე გუდა და გასწია იქით, საითაც თავი მიაბრუნა. ცხრა ზღვა გადაიარა, ცხრა მთა გადაიარა, გადაიარა სტეპები და მთები. არც დღე დაუსვენია, არც ღამე, მიდიოდა შეუსვენებლივ. ამ სიარულში ფეხსაცმელი დააცვდა, ტანსაცმელი შემოეფლითა, ფაფახი დაეკარგა. მის დანახვაზე შეშინებული ხალხი ისე გარბოდა, გეგონებოდათ, ნადირი დაინახესო.

ბოლოს, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ქალაქში. ხედავს, ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ქალაქში ერთი მოწივწივე წიწილიც კი არსადაა. სრული სიცარიელე და სრული სიჩუმეა ირგვლივ. ხან იქით წავიდა, ხან აქეთ წამოვიდა, ნახა ხალხი, ცხენები, ფაიტონები, კარშეხსნილი მაღაზიები, მშვილდისრიანი მეომრები და ეს ყველაფერი გაქვავებული! არსად ქათამი, ჩიტი, საქონელი... ყველაფერი გაქვავებულიყო ამ ქალაქში. ლუკმანი გაოგნებული დადიოდა: — შეხედავ — ქალაქიცაა, ხალხიცაა, სიმდიდრეც, — მაგრამ ყველაფერი გაქვავებული.

კარგა ხანს იხეტიალა ვაჟმა გაქვავებულ ქალაქში და ხედავს, ერთ სახლთან ერთი დაჩაჩანაკებული მოხუცი ქალი ზის. ცხვირის კეხზე ერ-

თის მაგიერ ორი სათვალე დაუკოსებია და იატაკზე დაჩოქილი ჩაშტერებია წიგნს. მოსცილდა ფრთხილად იმ სახლს ლუკმანი და ჩაფიქრდა: — ალბათ, ამ ჯადოქარმა ქალმა აქცია ეს ქალაქი ქვად. აბა, როგორ მოხდა, ამდენ გაქვავებულთა შორის მხოლოდ ერთი სულიერია გადარჩენილი. არა, აქ ნამდვილად ამისი ხელი ურევია. სხვა გზა არ არის, ეს ქალი უნდა მოვკლაო, — გადაწყვიტა ვაჟმა. მივიდა ფანჯარასთან, შეიხედა და, სადღაა დედაბერი! იქით ეცა ვაჟი, აქეთ ეცა და დაინახა, დედაბერი გასულა გარეთ და მზეს მიჰფიცხებია. ავიდა მაშინვე ვაჟი ერთი სახლის სახურავზე, აიღო ერთი დიდი ქვა, ესროლა კუდიან დედაბერს, შიგ თავში მოახვედრა და სული გააფრთხობინა. მოკვდა დედაბერი და ჰოი, საოცრებავ, გაცოცხლდა ქალაქი, ახმაურდა, ამოძრავდა.

მივიდა ვაჟი კუდიანი დედაბრის ცხედართან, მისი თავის ნაწილები შეაგროვა, აიღო მისი წიგნი, ეს ყველაფერი გუდაში ჩაიწყო და იმ ადგილს გაშორდა.

ქალაქში ერთი ჟრიამული ატყდა. მთელი ხალხი ზეიმობდა.

— რა ხდება, რა ზეიმია? — ჰკითხა ლუკმანმა ერთ-ერთ ვეზირს.

— ჩვენს ქალაქს მტერი შემოესია, დაიწყო სისხლისმღვრელი ომი. მაშინ, ალაჰის ნებით, ყველა გაქვავდა. გავიდა დრო და ისევ ალაჰის ნებით, ყველა გაცოცხლდა. გახარებულები ამას ვზეიმობთო, — უპასუხა კაცმა.

— ხელმწიფის სასახლეში შემიშვიო, — სთხოვა ამ კაცს ლუკმანმა.

— რა საქმე გაქვს მეფესთანო?

— ეს ქალაქი მე გავაცოცხლე და ეს უნდა ვუთხრაო.

მეფის ვეზირს გაეცინა და უთხრა:

— შენ გააცოცხლე თუ ალაჰმაო?

— რა თქმა უნდა, მე. ალაჰმა თქვენს შესახებ არაფერი იცის. ეს მე გაგაცოცხლე და ამასაც დავამტკიცებო.

მოახსენა ვეზირმა მეფეს ამ კაცის შესახებ და მანაც სასწრაფოდ დაიბარა ლუკმანი სასახლეში. ლუკმანმა ყველაფერი უამბო მეფეს და კუდიანი ქალის თავი და მისი წიგნიც აჩვენა. მეფემ მთელ ქალაქს გააგებინა ლუკმანის შესახებ. შემდეგ კი ეს წიგნი ერთ ბრძენს აჩვენა. წაიკითხა ბრძენმა კაცმა წიგნი და უთხრა:

— ეს ნამდვილად ჯადოქრობის წიგნიაო.

იხმო მეფემ ლუკმანი და უთხრა:

— ჩემო შვილო, შენ ძალიან დიდი სამსახური გაგვიწიე და გვითხარი ახლა, რითი გადაგიხადოთო.

— თქვენი დღეგრძელობის მეტი არაფერი მინდა. მხოლოდ ჟიზირ-ბაბილის ქვეყანა მიმასწავლეთ, საით არისო.

მეფე გაოცდა, — ასეთი ქვეყანა არასდროს გამიგონიაო. ჰკითხა თავის ნაზირ-ვეზირებს, არც იმათ შეეტყოთ რაიმე ამ ქვეყანაზე. შემდეგ შეკრიბა მთელი სამეფოს უხუცესები, მათაც არაფერი სმენოდათ ჟიზირ-ბაბილზე.

— აღარავინ დარჩა მოხუცთაგან? — იკითხა მეფემ.

— არის ერთი დაჩაჩანაკებული მოხუცი. ის სამასორმოცდაათი წლისაა და ადგილიდან ვეღარ იძვრისო, — უპასუხეს მეფეს.

მიიყვანეს მეფესთან ის მოხუცი კაცი. ძლივს ჩააგდეს გონთ და როგორც იქნა გააგებინეს, რაც აინტერესებდათ.

— ვიცი, როგორ არა. ეგ ეშმაკთა ქალაქია და აი, იქითა მხარეს არის ჩვენი ქვეყნიდანო, — მიასწავლა ვაჟს ის ქვეყანა.

მეორე დღესვე მეფემ ლუკმანს რაში აჩუქა და თან გამცილებლებიც გააყოლა. იარა, იარა და როგორც იქნა მიაღწია ჟიზირ-ბაბილის ქვეყანას. საშინლად დაღლილი ლუკმანი ერთი ხის ძირას დაჯდა და ჩაეძინა. ასე მძინარე იპოვა ერთმა ეშმაკმა, დაავლო ხელი და წაიყვანა თავის მეფესთან. სანამ ვაჟი გაიღვიძებდა, ეშმაკებმა გადაწყვიტეს მოეკლათ იგი. გააღვიძეს ვაჟი. იხედება აქეთ-იქით ლუკმანი და ვერაფერი გაუგია რა ხდება. მშვენიერ სასახლეშია, გარს უცნაური არსებები შემოხვევიან და მისთვის გაუგებარ ენაზე ესაუბრებიან.

ლუკმანი ჩუმადაა, ხმასაც ვერ იღებს გაოცებისაგან. ამასობაში ხელმწიფის ასულის ყურამდე მიაღწია ამბავმა, რომ მათ სამეფოში ვიღაც უცხო კაცი შეიპყრეს. მივიდა და თავისი ქმარი არ დაინახა! მაშინ გაახსენა მამას, რომ სწორედ თვითონ სთხოვა ვაჟს, მოენახა იგი, თუ უყვარდა. ხელმწიფემ ვაჟი შეიწყალა და გახარებულმა დიდი ქორწილიც გადაიხადა.

მეორე დღეს ოცდაათ მსახურს აჰკიდეს ქალის მზითევი, გამოემშვიდობნენ ხელმწიფეს და მივიდნენ ლუკმანის მოხუც დედობილთან. იქ ბედნიერად ცხოვრობდნენ, მაგრამ მალე ლუკმანს სევდა მოეძალა. ერთ ღამეს ისე დანაღვლიანდა ვაჟი, რომ თვალი ვეღარ დახუჭა. ადგა საწოლიდან, მივიდა თავის მსახურებთან და უთხრა:

— ახლავე გაფრინდით ჟიზირ-ბაბილის ქვეყანაში და ყველა აქ მომგვარეთო.

— ახლავეო, — უპასუხეს მსახურებმა.

დაწვა ლუკმანი და დაიძინა. დილით გაიღვიძა და ხედავს, ისეა დაფარული ცა ეშმაკებით, როგორც — ყვავებით.

— ახლავე გაფრინდით, დაამსხვრიეთ ასფუთიანი ყინულის მთები და აქ მოიტანეთო, — უბრძანა მათ ლუკმანმა.

ეს ბრძანება რომ შეასრულეს, თავისი მეომრები ამ ყინულის ლოდებით

შეაიარაღა და გაეშურა იმ ხელმწიფისკენ, რომელსაც, თავისი ასულის სიყვარულის გამო, ლუკმანი უნდა დაესაჯა. დაუშინეს ეს ყინულის ლოდები მეფის სასახლეს და დაანგრიეს. დახოცეს ბოროტი ნაზირ-ვეზირები, შემდეგ მეფის მეომრებიც გაჟლიტეს. როცა მტერი საბოლოოდ გაანადგურა, ლუკმანმა დაიკავა მეფის ტახტი და ცოლად მისი ასული შეირთო. შემდეგ წამოიყვანა ხელმწიფის ასული დედობილთან დატოვებულ თავის ცოლთან და ბედნიერად დაიწყეს ცხოვრება.

ლუკმანი ძალიან სამართლიანი ხელმწიფე იყო და დიდხანს მეფობდა.

ადალავი

ხუნძების ერთმა ხანმა სოფლებს დიდძალი ხარკი დაუწესა. უნდოდა, როგორმე ყველა წელში გაეწყვიტა და ისე დაემორჩილებინა. სოფელში ბევრი მის ბრძანებას არაფრად აგდებდა, ეურჩებოდა და ხანი ცდილობდა ასეთებზე შური ეძია, რამენაირად თავიდან მოეშორებინა, დაეხოცა. სწორედ ასეთი იყო ადალავი, სახელგანთქმული ვაჟკაცი, რომელიც ერთერთ აულში, ბალახუნში ცხოვრობდა. ის არც თვითონ ემორჩილებოდა ხანს და სხვებსაც აგულიანებდა, არ გადაეხადათ ხარკი მისთვის.

ხანმა ბევრჯერ სცადა ადალავის მოკვლა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს გადაწყვიტა, თავისთან დაეპატიჟა იგი და მუხანათურად მოეკლა.

ერთ დღესაც გაგზავნა ხანმა თავისი ნუქერი ადალავის მოსაპატიჟებლად. ვაჟი მიხვდა, ხანს კარგი რომ არაფერი ჰქონდა განზრახული, მაგრამ ბევრიც აღარ უფიქრია, მალევე გადაწყვიტა:

— რაც არის, არის. ვიცი, რა მუხანათიც არის, მაგრამ მაინც წავალ, რომ არ იფიქროს, მისი შემეშინდაო. რომ არ წავიდე, მშიშარა ძუკნას დამარქმევს და ასეთი სახელის ტარებას სიკვდილი მირჩევნიაო, — დაასკვნა სახელოვანმა ჭაბუკმა.

სხვა გზა არ ჰქონდა და ადალავიც გამოცხადდა სასახლეში. ხანმა დიდი პატივით მიიღო იგი, სანაქებო სუფრაც გაუშალა და პატივისცემა არ დააკლო.

ვითომ გულთბილმა, სტუმრის ნახვით გახარებულმა მასპინძელმა მალულად ფარდების უკან ნუქერები ჩაასაფრა და უბრძანა:

— როგორც კი ადალავს ხმალს ჩამოვართმევ, ეცით და მოკალითო.

ხანმა იცოდა, რომ ადალავს თუ თავისი ხმალი ხელთ ჰქონდა, ვერავინ მოერეოდა და გადაწყვიტა, ხმალი როგორმე ხელთ ეგდო და ის კი ვერაგულად მოეკლა.

ადალავი მშვიდად შეექცეოდა საჭმელს. უცბად დაინახა, რომ ფარდე-

ბი უცნაურად ირხეოდა და მიხვდა ყველაფერს. მაშინვე ფეხზე წამოხტა, ხელი ხმალს დაავლო და შუა ოთახში დადგა.

— ეს რა კარგი ხმალი გქონიაო, — შეუქო იარაღი ხანმა, — მანახე ერთი როგორ ჭრისო.

იშიშვლა ადალავმა ხმალი, ბეჭები წინ წამოსწია და ხანს უთხრა: — ასეთი ხმლის პატრონს ბეჭებიც ასეთი უნდა ჰქონდესო!

ხანმა შიშისაგან ხმაც ვეღარ ამოიღო და ადალავი შინ უვნებლად გაისტუმრა.

ის დღე იყო და ის დღე! ხანს არამც თუ ადალავისათვის, მისი აულისთვისაც აღარასოდეს გადაუხდევინებია ხარკი.

სურათი

დიდი ხნის წინათ ერთ ქვეყანაში ერთი ხანი ცხოვრობდა. მას ძალიან ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა. ხანის მზეთუნახავ ქალს და ერთ მწყემს ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდათ, გადაწყვიტეს, შეუღლებულიყვნენ, მაგრამ აბა, ხანს ვინ გაუბედავდა ამ ამბის თქმას!

ბოლოს ეს ამბავი ხანმა მაინც შეიტყო. გაბრაზებულმა დაუძახა თავის ასულს, თითით მიანიშნა ერთ-ერთ მთაზე და უბრძანა:

— წადი იმ მთაზე მარტოდმარტო, დილამდე იფიქრე და დილით მითხარი, გადაიფიქრე თუ არა შენი განზრახვაო.

რაღას იზამდა! წავიდა ხანის ქალიშვილი იმ მთაზე და ერთი უფსკრულის პირას გაჩერდა. რა უნდა მოიფიქროს, მას მწყემსი უყვარდა და უარის თქმას გულშიც არ გაივლებდა.

მთაში ცივი, გამყინავი ქარი უბერავდა. შეციებული ქალიშვილი მიწაზე წამოწვა და ჩაეძინა.

დილით მივიდნენ ხანის გამოგზავნილები და რას ხედავენ! ქალიშვილი ქვად ქცეულა!

სატრფო რომ ქვადქცეული ნახა, მწუხარებისაგან მწყემსიც ადგილზე გაქვავდა.

იმ მთაზე დღემდე ყოფილა შემორჩენილი მძინარე ქალის ქვადქცეულ სხეულთან მწუხარებით მოხრილი გაქვავებული ვაჟი.

დიდი წვალებით, მაგრამ მაინც მოახერხეს, იმამი შამილი დაატყვევეს და პეტერბურგში ჩაიყვანეს. მეფემ იცოდა მისი ლეგენდარული გმირობის ისტორია და განიზრახა, თვითონ ენახა შამილი და გასაუბრებოდა. გასცა ბრძანება, იმამი სასახლეში მიეყვანათ. მართლაც, დაუყოვნებლივ მიიყვანეს ხელმწიფესთან დაღესტნელების განთქმული იმამი.

მეფეს მხოლოდ ერთადერთი კითხვა ჰქონდა:

— დიდო იმამო, იქნებ ამიხსნათ, როგორ ახერხებდით და რუსეთთან შედარებით სელის მარცვალივით მცირე ქვეყნის ხალხი, ჩემს ქვეყანას ოცდახუთ წელს როგორ უმკლავდებოდითო.

შამილმა თავი ოდნავ დაუკრა და მოახსენა:

— ოცდახუთი წლის განმავლობაში მე არასოდეს მიღალატია ოთხი ჩვეულებისათვის, რომელიც, როგორც მეომარს, მამა-პაპითგან მომდგამს.

მეფე დიდად დაინტერესდა და შამილმა რომ შეატყო, განაგრძო:

— ჯერ ერთი, ბუმბულის ლოგინის გარდა სხვა ლოგინში არ ვიძინებო.

— მეორეც, ერბოსა და თაფლის გარდა პირს არაფერს ვაკარებო.

— მესამეც, ყოველ თვე ახალ პატარძალთან ვიძინებო.

— მეოთხე და უმთავრესი ის არის, რომ მხოლოდ იორღა ცხენზე ვჯდები, სხვაზე არაფერზეო.

იმამის პასუხმა მეფე გააოცა და დაბნეულმა ჰკითხა:

— გამუდმებით ომში მყოფ კაცს იმდენი ტანჯვა-წვალება ხვდება, რაც რუსეთის მეფესაც კი არ დაესიზმრება და ამ ჯოჯოხეთურად მძიმე პირობებში ასეთი განცხრომით როგორღა ცხოვრობდი, ამ წესებს როგორღა იცავდიო?

შამილმა ოდნავ ჩაიღიმილა და განაგრძო:

— დღე და ღამე ფხიზლად მყოფი მხოლოდ მაშინ ვიძინებდი, როცა უძილობისაგან თვალები მებლიტებოდა და თავი ტყვიასავით მიმძიმდებოდა. მერე კი მიწაზე მიგდებულს სასთუმლად ქვაც რომ მდებოდა, ისეთი განცდით ვიძინებდი, თითქოს ბუმბულის ლოგინში ვნებივრობდიო.

— სანამ ძალიან არ მომშივდებოდა, შიმშილით სანამ გული არ გადამელეოდა, პირში არაფერს ვიკარებდი და ასეთ დროს ყველაფერი თაფლად მეჩვენებოდაო.

— დღემუდამ ომში ვიყავი და თუ ძალიან არ მომენატრებოდა, ცოლთან არასოდეს მივდიოდი და ამიტომ სულ მეჩვენებოდა, რომ ახალმიყვანილ ქალთან ვწვებოდიო.

— როცა დაღლილობისაგან არაქათი გამომელეოდა, დაქანცულო-

ბისაგან ფეხები მეკეცებოდა, ცხენზე მხოლოდ მაშინ ვჯდებოდი და ყველა ცხენი იორღად მეჩვენებოდაო, — უპასუხა ამაყმა იმამმა.

მეფეს შამილის ცხოვრების წესი ძალიან მოეწონა და შამილს უთხრა.

— მთხოვე, რაც გინდა და შეგისრულებო.

— არაბეთში გამგზავნეო, — უთხოვია იმამს.

მართლაც, მეფემ იმამი არაბეთში გაგზავნა, სადაც იგი აღესრულა კიდეც.

დიდი ლოცვანი

(სურა ყურანიდან)

ერთმა ბრძენმა, ყადთან ნამყოფმა კაცმა თანასოფლელებს უთხრა:

— ვინც თერთმეტჯერ არ წაიკითხავს ყურანის დიდ ლოცვანს, იმას ალაჰი მიცვალებულ გიაურებთან ერთად ჯოჯოხეთში მოისვრისო!

რაღას იზამდნენ, ყველამ დაიწყო დიდი ლოცვანის დღეში თერთმეტჯერ კითხვა.

სოფელში ერთი ხუმარა ცხოვრობდა. ის სხვებს არ აჰყვა და ამ კაცს არ დაუჯერა, დიდი ლოცვანი ხელშიც არ აიღო.

ერთ დღესაც ეს კაცი მივიდა სასაფლაოსთან და დაიძახა:

— ეჰეი, მიცვალებულებო, წამოდექით, დიდი ლოცვანის კითხვა დაიწყეთ, თორემ ალაჰი ჯოჯოხეთში გიკრავთ თავსო!

აბა, მკვდრები როგორ ადგებოდნენ და ლოცვას როგორ დაიწყებდნენ! რასაკვირველია, არც განძრეულან!

მაშინ მასხარა იმ სწავლულ კაცთან მივიდა და უთხრა:

— შე დალოცვილო, თუკი მკვდრებიც კი არ კითხულობენ ლოცვანს, მე რაღა ვარო, ალაჰთან ხომ ისინი უფრო ახლოს არიან და თანაც უფრო მეტნი, ვიდრე ცოცხლებიო.

როგორ დადის ცხენი?

ერთი კაცი ცხენის საყიდლად ბაზარში წავიდა. ერთი ცხენი მოეწონა და მის პატრონს ჰკითხა:

— შენი ცხენი როგორ დადის, ოთხით, ჩორთით თუ იორღააო?

— ჩემი ცხენი ისე დადის, როგორც მავლიდზე* მიწვეული დიბირიო, — უპასუხა ცხენის პატრონმა.

ღარიბი კაცის ნატვრა

ორი კაცი დაძმობილდა. გადაწყვიტეს სამოგზაუროდ წასულიყვნენ და ერთ დღესაც გზას გაუდგნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მივიდნენ წალკოტივით ულამაზეს ადგილას. გაშლილი, მწვანედ ახასხასებული მდელოები და ცამდე აზიდული მთები რომ დაინახა, ერთმა მათგანმა ინატრა:

— ნეტავი ეს მთა-ველი ჩემი ცხვარ-ძროხით იყოს სავსეო.

— შენი იყოს ცხვრით სავსე ველებიცა და საქონლით სავსე ფერდობებიც. მე კი ნეტავი მგლად მაქცია, რომ შენი ცხვარ-ძროხა სულ გადამესანსლაო, — მიუგო მეგობარმა.

მელია და მგელი

ერთმა მონადირემ ხაფანგი დააგო და ზედ კაი მოზრდილი დუმის ნაჭერიც დაჰკიდა სატყუარად. იქვე ახლოს მელია დასუნსულებდა, ხედავდა ამ დუმის ნაჭერს, მაგრამ ახლოს არ ეკარებოდა, ფრთხილობდა, ხაფანგში არ გაბმულიყო.

— ჯობია, ცოტა მოვიცადო, იქნებ ვინმე გაებას მახეში და მერე მეც მივალო, — ფიქრობდა თავისთვის მელია.

მართლაც, სად იყო და სად არა, გამოჩნდა ერთი ვეებერთელა დამშეული მგელი. სიხარბისაგან გონებადაფანტული ისე ეცა დუმას, რომ ხაფანგი ვერც კი შენიშნა. უცბად, ჩხაკ და... მგელი ხაფანგში გაება. ხან აქეთ ეწვალა, ხან იქით, მაგრამ ხაფანგიდან თავი ვერაფრით დაიხსნა და სასოწარკვეთილი საცოდავად აყმუვლდა.

გამოვიდა სამალავიდან მელია, მიცუნცულდა მგელთან, კარგი გულშემატკივარივით მიუსამძიმრა და თან დაარიგა:

— ამის შემდეგ მაინც დაიმახსოვრე, რომ ცოტა მეტი სიფრთხილე გმართებსო.

შემდეგ კი დუმის ნაჭერი მგელს ცხვირწინიდან ააცალა და გადასანსლა. ტუჩები მიიილოკ-მოილოკა და ის-ის იყო მგელს უნდა დამშვიდობებოდა, რომ მგელი შეეხვეწა:

— გემუდარები, მელიავ, არ დამტოვო მარტო, ცოტა ხანს მაინც გაჩერდი, ვიმუსაიფოთო.

ხვეწნა-მუდარამ გაჭრა და მგელმა და მელიამ საღამომდე იმასლაათეს.

— ახლა უნდა დაგტოვო, ვაითუ ის კაცი დაბრუნდეს, გაგონილი მაქვს:

ავი კაცი და ხალებიანი ძაღლი არ ინდობაო და ე მანდ, ფათერაკს არაფერს გადავეყაროო.

— ხო, მაგრამ ჩვენ კიდევ სად შევხვდებით ერთმანეთსო? — ჰკითხა სასოწარკვეთილმა მგელმა.

— თუ მეც შენი დღე მელის, ტყავები რომ ჰკიდია, იმ ფარდულშიო, — უპასუხა მელიამ და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

მელია და გველი

ერთი მელია და გველი დაძმობილდნენ. ერთმანეთს ეპირფერებოდნენ, კარგი მეგობრებივით ექცეოდნენ, გული კი ერთმანეთის სიძულვილითა და ბოღმითა ჰქონდათ სავსე.

— რა ვქნა, როგორ ჩავაძაღლო ეს მელიაო, — ფიქრობდა გველი.

— ჯოჯოხეთსა და სატანჯველშიც ჩავარდნილა ეს გველიო, — ნატრობდა მელია.

ასე იყო თუ ისე, ისინი მაინც ერთად ცხოვრობდნენ.

გავიდა დრო. ერთხელაც გველი ეუბნება მელიას:

— ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოდი, ერთად წავიდეთ და წმინდა ადგილები მოვინახულოთ მექაშიო.

მელია დათანხმდა და ორივენი გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ ვეებერთელა მდინარეს.

— რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, — დაიწუწუნა გველმა, — მე ხომ ცურვა არ ვიცი, როგორ გავიდეთ მეორე ნაპირზეო?

— მოდი, ზურგზე შემაჯექი და მე გადაგიყვანო, — შესთავაზა მელიამ.

შეაჯდა გველი მელიას ზურგზე და ასე შეცურეს წყალში.

შუა მდინარეს რომ მიაღწიეს, გველმა მელიის დახრჩობა მოინდომა. გველმა ისე მოუჭირა ყელზე, რომ მელიას ძალა თანდათან გამოელია, ძლივს სუნთქავდა, თვალები მიებლიტა, მაგრამ ქანცგამოცლილი, მაინც ცდილობდა ნაპირამდე მიეღწია. როგორც იქნა მელიამ ფეხები ფსკერს მიაწვდინა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და გველს სთხოვა:

— ჩემო მეგობარო, ხომ ხედავ, სული უკვე მძვრება, სიკვდილის წინ ერთი სურვილი მაინც შემისრულე. თავი ოდნავ წინ გასწიე, რომ ერთგულებით სავსე თვალებში ერთხელ კიდევ ჩაგხედოო.

— კეთილიო, — უპასუხა გველმა და თავი გასწია. მელია იმწამსვე ეცა მოღალატეს, თავი მოაჭამა, ტანი კი მიწაზე დაანარცხა. მერე კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ასეთ მეგობარს ასე გასწორება მოუხდებაო.

კაცის პირობა

ერთი კაცი დაქორწინდა და პირობა დადო, რომ ცოლს თუ გაეყრებოდა, ფუტკრის სკას მისცემდა.

გავიდა დრო. ცოლი და ქმარი ერთმანეთს ვერ შეეწყნენ, დღემუდამ ჩხუბობდნენ და გაიყარნენ.

ცოლმა ქმარს პირობა შეახსენა და სკასთან ერთად ფუტკარიც* მოსთხოვა.

ქმარმა ენამოსწრებულად უპასუხა:

— წადი, სკიდან ერთი ცალი ფუტკარი ამოიყვანე და შენი იყოსო!

ბატი და ბაყაყი

ერთი ბატი გუბურაზე წავიდა. იმ გუბურაში ერთი ბაყაყი ცხოვრობდა.

— როგორ გაბედა და ჩემს გუბურასთან როგორ მოვიდაო, — განაწყენდა ბაყაყი.

გაალმასებული ბატი და ბაყაყი წყევლითა და ლანძღვით იკლებდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ბატმა ამაყად გადმოხედა ბაყაყს და უთხრა:

— ვინა გდიხარ, ერთი გუბურას ბაყაყი ხარ და მეტი არაფერი, მე როგორ მიბედავ ლანძღვას. სად მე და სად შენაო. რას წარმოადგენ, ცურვის გარდა არაფერი შეგიძლია. მე კი ყველა მიცნობს, ვინცა ვარ. ისეთი ძლიერი ვარ, რომ წყალშიც დავცურავ, მიწაზეც დავდივარ და ჰაერშიც დავფრენო.

— ხომ მაგდენი რამე იცი, ღმერთს კი არც ერთ საქმეში არ უქნიხარ, არც ერთი საქმე ხეირიანად არ გამოგდის. ჯობია, ერთი იცოდე და — კარგად, ვიდრე — ბევრი და ცუდადო, — უპასუხა ბაყაყმა.

ანდაზები

უმამულო კაცი უპურო ტომარააო.
ათასნაბიჯიანი გზაც ერთი ნაბიჯით იწყებაო.
შენც მეფე ხარ, მეც მეფე ვარ, ცხენებს ქერს ვინ აჭმევსო?
ძველი თავთავიდან ახალ ხორბალს ვერ მიიღებო.
ალაზანთან ნათქვამიო მთაში დამხვდა ამბავიო.
არ შეიძლება, ყველაფერში ერთი კაცი ტყუოდესო.
სიტყვა გულის გასაღებიაო.
სიბრძნე აუწონავი ოქროაო.
ბუნება სიბრძნეა, ადამიანი – სარკე.
სტუმრის სიძულვილით ბავშვებს ურტყამდნენო.
ვინც სვამს, კარგავს ჭკვას.
ვაჟკაცი უნაგირზე კვდებაო.
ან უზარმაზარი ტანიო, ან უშიშარი გულიო.
ხარი ყრუ-მუნჯმა უნდა დაკლასო.
სილამაზე ჭკნებაო, ხასიათი რჩებაო.
ლამაზებზე მონადირეს ფეხსაცმელიც აცვდებაო, წლებიც ხელში ადნებაო.
წვნიანი სადილიო მუცლისათვის ადვილიო.
გინდა ძილმკვდარაო, გინდა მიმკვდარაო.
სიბრძნეს ვერც გასესხებენ და ვერც გაჩუქებენო.
მოყვარესაც შენ იჩენ და მტერსაცაო.

პოეზია

ბოროტის მქნელი მდიდარი

აღარა ვართ შენი ბოროტებით
ღარიბ-ღატაკი კაცები,
სადამდე უნდა იყოს, მდიდარო,
ქვეყანა ასეთი, ბოროტის მქნელოხ

იცი, მოსავალი როგორ მოდის,
შენ რომ უმუშევრად მიგაქვს?
შენი კვალი, მიწაზე დაჩნეული,
სისხლია, ბოროტის მქნელო.

ყველას რაღაცა უნდა, მართალია,
მაგრამ ვერ გაგიძღა ხარბი გული,
სადამდე უნდა გაგრძელდეს ასე,
ჰოი, ბოროტის მქნელო.

უფრთოდ ცაში როგორ იფრენ,
უნემსოდ კაბას ვერ შეიკერავ.
ჩვენს სახეს სიღარიბე რომ აწერია,
შენ ვერ წაიკითხავ, ბოროტის მქნელო.

ორმოცის ისე შესრულდი,
დრო უსაქმოდ გაატარე,
რაც უსაქმობით დააგროვე,
იმას აქ დატოვებ, ბოროტის მქნელო.

შენგან ჩვენი მოსვენება არ არის,
საქმით სიქას გვაცლი დღე და ღამე,
ერთხელ სიკვდილი შენც მოგიკაკუნებს,
იარაღს აგყრის, ბოროტის მქნელო.

მთა რაც უნდა მაღალი იყოს,
მეხი და ცეცხლი მოუღებს ბოლოს,
ამ ქვეყნით სუდარა გაგყვება მხოლოდ
ხუთი მეტრისა, ბოროტის მქნელო.

სიკეთე შენს სულს რად არ ანათებს?
მობერავ ქარსა, ცივსა და ავსა,
ასეთი საქმე და ზრახვა შენი
არ გიზამს კარგსა, ბოროტის მქნელო.

სისხლსა გვწოვ ხალხსა
და ხარობ ამით, დალპება ყველა,
იყავი ფრთხილად, არ შეგერგება,
მოგივა ჟამი, ბოროტის მქნელო.

სეტყვა, წყალდიდობა ჯებირებს ლახავს,
მჟავე ცომი კი ფუვდება რადგან,
იცოდე, ღარიბ-ღატაკთა ძალით
მოდგება ჟამი და ძრწოდე ამით, ბოროტის მქნელო.

სიღარიბე

კაცი თუ ჭკუით არ არის,
მისი საშველი არ არის,
ძმა ძმას ხელს ვერ გაუმართავს,
თუ სიღარიბეში არის.

შენს სახლს ცეცხლიც რომ მოედოს,
ხელს არავინ წაგაშველებს.
ფარას ჩამორჩენილ ცხვარს ჰგავს
მარტოკაცი, თან ღარიბი.

ლუკმა შრომის გარეშე არ არის,
მდინარის გარეშე ზღვაც ხომ არ არის?!
ტრიალი უდაბნო ოქროთი სავსე,
თუ კაცს არ არგია, კაცი სიღარიბეში არის.

თუ ხალხი ბაზარში არის,
მაყვალზე ეკლები არის,
გული სულ უკმაყოფილო არის,
მიზეზი სიღარიბეში არის.

წყარო უწყლოდ მშრალი არის,
მართლისთვის მეწყვილე არსად არის,
უჭირს და მაინც ტვირთს ეზიდება
კაცი, თუ მისი ოჯახი სიღარიბეში არის.

ღრუბელი წამოვიდა, მზე მოფარებული არის,
ხელი ჩვენი ცარიელი ნუ არის,
ხალხის თვალში კაცი დასაცინი არის,
თუ კაცი სიღარიბეში არის.

ლუკმა პატიოსნად ნაშოვნი არ არის,
საქონელიც და მგელიც მტრების არის.
კაცისთვის ახალი შარვალი
სანატრელი არის, თუ კაცი სიღარიბეში არის.

ბედი თან დაგვდევს კვალშია,
თხელი კაბა მალე შრება ქარშია,
რამდენი წელი ვებრძვით ერთმანეთს,
სიღარიბევ, საქმე რაშია?!

შავი რომ ათეთრო, არ გათეთრდება,
მდიდარი მუდამ თავზე გვადგება,
გული არ გვინათდება,
რადგან სიღარიბე ყელზე გვადგება.

თოვლი თბილი ვინმეს გინახავთ?!
ღარიბი მაძღარი ვინმეს გინახავთ?!
ბოროტების მქნელთ ღარიბი გინახავთ?!

რასაც დღისით ხედავ, ის ღამით არ ჩანს,
ამ გაჭირვების საშველი არ ჩანს,
სიღარიბევ, პატარძალს დააქვრივებ,
შენგან თავის დახსნა არ ჩანს.

კაცო, თვალი მიაპყარი,
ნახე, რა არის ამქვეყნად საპყარი,
ბოროტს საპყარი უნდა შეჰყარო,
და სიღარიბეს შავი დღე აყარო.

შემიყვარდა ერთი ქალი

ცრემლი ღაპაღუპით მომდის,
შემიყვარდა ერთი ქალი,
ქალი არის მზისა დარი,
ძილი ჩემი აღარ არი.

ქალო, რა ლამაზი ხარ,
ჩემი გულის ვარდი ხარ,
გნახავს ვინმე, იტირებს
ჩემებრ გულში დარდითა.

მაღალ ყელზე დალალები
გველებივით გახვევია.
წარბი ახალ მთვარეს გიგავს,
ლოყები – ვარდს ალისფერსა.

მინდა გაქო, როგორ გაქო,
საქებარი რა არ გაქო,
შენ რომ გხედავ, ენა მებმის,
ეს რამდენი მადლი გაქო.

სენემს*

ფეხით გამითელე სიყვარული,
მხოლოდ იმიტომ, რომ ღარიბი ვარ.
განა სიყვარული ფულით არი,
განა სიყვარული იყიდება?!

ქარაფ-ჭიუხებში ბევრსა ნახავ
ბალახ-ყვავილს, სენის წამალს.
სიღარიბე განა სენი არი?
ნახე, მდიდარი ვარ როგორ.

მდიდრის გული სიპი ქვაა,
კერკეტია კაკალივით,
სუნთქვა მისი ცივი არის
თოვლივით და ყინულივით.

ღარიბ-ღატაკ გლეხის ხელით
ნაშენია ეს სოფელი,
მისგან მოდის სიხარული,
სითბო ასკეც მომლხენელი.

მშრომელ კაცის საქებარი
სიტყვაცა და საქმეც არის,
სიყვარულო, შენ არ გაქოს,
კაცი რაღა კაცი არის.

სიყვარულმა დიდი ქერემი დასწვა,
წაჰკიდა ცეცხლი, გენია,
სენემ, შემიბრალე მეცა,
ხელს ნუ მკრავ, მე ხომ შენი ვარ.

ნათელ ფიქრით გულს ვაშუქებ,
შენსკენ ვგზავნი ბრწყინვალებით,
გელოდები, ნუ დამაგდებ,
გოგო, შენ გენაცვალები.

გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

გაიღვიძე ლამაზო, გაიღვიძე!
ედემს შრიალებს ხეთა ფოთოლი,
ვაშლის ტოტები სტვენენ საამოდ,
ტკბილად გალობენ ფრინველნი მათზე
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

ბაღში მოვედი, დიდხანს გელოდე.
მითხარი, მოვალ და დამელოდე,
ვიცოდი, თუმცა რომ მატყუებდი,
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

დღეს გამოვეწყვე ლამაზ სამოსში,
თეთრი — ვალჟაგი,* ქამარი — ვერცხლის.
შავია ის დღე, შენ თუ ვერ შეგხვდი.
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

ზოგჯერ შუბლს შეკრავ, გამიბრაზდები,
გინდა მატკინო გული და მაინც,
მარგალიტივით მომწონხარ.
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

უკურნებელი ტკივილი მიკლავს გულს,
შენი ბაღის ყვავილად ქცეულს,
მომწყვიტე, ჩემო, და სიყვარულის ცეცხლში ჩამაგდე.
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე!

ᲒᲔᲘᲗᲔᲒᲘ

* * *

სალი კლდეები მელოდებიან,
მელოდებიან ზღვისა ზვირთები,
მე შენ გეძახი, ქვეყანავ ტიალო,
გზა გამიმზადე, ბრძანე, ვიარო.

* * *

ეს ქვეყანა დაბინდულა,
ნათელი ბნელმა დაფარა,
ქვეყნად დარდით სავსე დავალ,
სადაც მივალ, იქ არა ხარ.

* * *

რა საბრალოა ცივი წყალი,
უქმად მოჩხრიალე მიწის ქვეშ.
რა დაგიშავე, ტკბილო დედა,
გული რომ აიყარე შენს შვილზე.

* * *

მთელს დუნიაზე ჩემზე უბედური არავინ არის,
ბევრი ტკივილი და დარდი ვნახე,
მე რომ ქვეყანას მოვევლინე,
იმ ღამით ვარსკვლავიც თუ იყო დარდით სავსე?!

* * *

ლურჯი ცის ქვეშ, შავ მიწაზე
ჩემზე უიღბლო თუ არის?
ჩემი ხნისა სადმე ვინმე
ჩემებრ დამწვარი თუ არის?

* * *

სამი წელი შეყვარებული ვიყავ,
სხვა მიყვარდა, ახლა სხვა მიყვარს,
გულს დარდს არ დავაჩაგვრინებ,
თავს ვუთხარი, ფრთხილად იყავ!

* * *

თავჩაქინდვრით მხვდები კარში,
რომ გიღიმი, არ მიღიმი,
მომიბრუნდი, მოდი ჩემთან,
არას გვარგებს გულში დარდი.

* * *

მკითხე: — რატომ დაიღვრიმე?
მეცა გკითხავ,
ჩემო კარგო,
ცეცხლი რატომ წამიკიდე?

* * *

ვინც მე მიყვარს,
ყველა იმ ბიჭს,
ჩემი გულის მოსაგებად,
ფარჩა მოაქვს.

* * *

სად ხარ, ჩემო საყვარელო,
გული რად აიყარეო?
შევრიგდეთ და არ წახვიდე,
ჩემთან გული დაყარეო.

* * *

გზები, რაზეც დავდიოდით,
კვალი არის დღეს ხოჭოთა,
სიტყვა, რასაც ჩვენ ვამბობდით,
ქვად მიექცათ ციხის მცველთა.

* * *

ალუბლის ხეს რომ მოსტეხე ტოტი,
რა ცოდო იყო, თეთრად ჰყვაოდა,
და სატრფოს შენსას, რომ განეშორე,
რა ცოდო იყო, შენა გყვარობდა.

* * *

გოგო, რომელი უბნელი ხარ,
ვინა გშვა და საით მიხვალ,
მე არ გიცნობ, შენც არ მიცნობ,
მაინც ჩემი არჩივი ხარ.

* * *

აქა ვდგავარ, გელოდები,
შენი გზების დარაჯი ვარ.
მითხარ, მოვალ, არ მოხვედი,
სატრფოვ ჩემო, შენს ხელში ვარ.

* * *

მზე ამოდის, მერე ჩადის,
მზის ქვეშეთში რა ქნას კაცმა,
თუ არ გიყვარს, მასთან ყოფნა
ხანგრძლივ დარდით მოსპობს კაცსა.

* * *

კარგი დღე არ ენახოს,
დღე შავად გაუთენდეს,
ვინც მე აქ გამათხოვა,
ცეცხლის ალში დაიწვეს.

* * *

რა ვქნა, რა ვუყო გულსაო,
ვერ ვთმობ ჩემს სიყვარულსაო,
ცოტასა კიდევ დაგაცდი,
დაგშორდები და განგიცდი.

* * *

მამას სახლი ენანება,
დედას მისი ქონებაო,
მე კი თავი მენანება,
ქალი მზად ვარ სარძლოდაო.

* * *

ცაზე შავი ღრუბელია,
წვიმა ხომ არ წამოვაო,
ცუდი სიზმარი რომ ვნახე,
დედავ, ნეტავ რა მოხდაო?

* * *

თეთრ ჭიქაში წითელ ღვინოს
ჩაასხამ და წითლდებაო,
ქალი საყვარელს რომ ნახავს,
ლოყას ცეცხლი ედებაო.

* * *

ჩვენ რომ ერთად დაგვინახონ
რა ვქნა, იჭორავებენ,
პირველ ღამეს, ქორწილის დღეს,
პირსაც ამოიქოლავენ.

* * *

შორი მხრიდან მოვედით,
მასპინძელო, მიგვიღე!
ბანზე ვდგევართ, მოგელით,
მასპინძელო, მიგვიღე!

* * *

შენი ქალი ჩასვი ეტლში,
გაუყენე გზას, სიმამრო.
გაგვახარე მაყრები და
ჩვენს სოფელში გაგვისტუმრე.
ყმაწვილების გასახარად,
ჩვენ კი უკან მოსაყვანად.

* * *

წყლის პირას დგას რასულ-ბეგი,
თავზე ცხვრისა ფაფახითა.
ფეხზე დგანან ყმაწვილები
რასულ-ბეგის ქორწილშია.

* * *

კეთილი მგზავრობა, იალალერ,
ახალი ოჯახი დაგელოცოს, იალალერ,
ბედი ბედნიერი, იალალერ,
გვერდით მუდამ გყავდეს გიულიზარი, იალალერ.

* * *

მწყერი ქვემოთ დაგოგმანობს, იალალერ,
მთვარეს უმზერს თვალნათელი, იალალერ,
შენს გვერდით ყოფნა, იალალერ,
შენი მეგობარი გოგოებისთვის ალალი არის, იალალერ.

* * *

წადი, დაო, გზები დამილოცია, იალალერ,
ახალი ოჯახი ბარაქით გაგევსოს, იალალერ,
დაგვტოვე და ჩვენგან მიხვალ, იალალერ,
სადაც მიხვალ, შეეთვისე, იალალერ.

* * *

ყუბაჩური ვერცხლის ქამარი გარტყია,
ოქრო გასხია ტანზე, სუნა-ბაჯი.
სამი ათასი ვერცხლისა,
მშვენიერო სუნა-ბაჯი.

* * *

ხანარ ხალუ,* სამჭედლოში
თარო გამიკეთე, დოქები დავაწყო.
შენი ღვიძლი ქალი, ხამის ბიკი,
აჩუქე ხაირბეგს.

* * *

გამოიყვანეთ, გარეთ გამოიყვანეთ, მაჭანკლებო,
როდის გამოიყვანთ, მაჭანკლებო.
ქალი კი არა, ეგ ქარვა არი,
ნავია ზღვის ტალღებში მოცურავე.

* * *

პირველ კუთხეში დასვით,
რომ გამოიყვანთ, დასვით, მაჭანკლებო,
ქალი კი არა ქარვა არის,
გემია ზღვის ტალღებზე მოსრიალე.

* * *

ქვემო კუთხეში დავჯდები,
ზემო კუთხეში დავჯდები,
კლდიდან გადავვარდები,
თუ არ მიყვარს, არ გავყვები.

* * *

ყველა ჩვენს სოფელში გაათხოვეს,
მე რად მათხოვებენ სხვაგან.
მოვკვდები, თეთრი სუდარა
თან გამატანე, მამა.

* * *

ჰოი, ქალო, ჰოი, კარიატ ხანუმ,
ვაშლის ხე ხარ, შინ გაზრდილი,
ვაშლს ჰგავხარ ხელით ნაზარდსა,
საქონელს — სხვისთვის მიყიდულსა.

სალამი შენ, ნუ გეწყინება, რასაც გეტყვი,
უნდა გვწყინდეს ჩვენ უბედობის,
არავინ იცის, რა დღეში ვარ.
რა ბედი მერგო, ახალგაზრდა კაცს.

* * *

ჩვენს შუა დიდი მთებია,
აღმოსავლეთით მზე იწვერება,
მტრებმა გზები გადამიჭრეს,
რა ვქნა, ეს ბედი მხვდა, ახალგაზრდას.

* * *

რამ გაგვხადა უბედური,
ყველა ნაბიჯმა უკან დაგვწია.
როდემდე უნდა ავიტანო ეს.
დედას უთხარი, ნუღარ იდარდებს.

* * *

სისხლის ცრემლი ღვარად დამდის,
ყველამ იცის ჩემი დარდი,
ამ ცხოვრებას ღია თვალით
ვერ შევყურებ ყმაწვილკაცი.

* * *

დედი, რატომ გამაჩინე?
ღმერთო, გთხოვ, გადამარჩინე!
ტოლ-ამხანაგს ბედნიერსა,
როცა ვხედავ, ვწყევლი ბედსა.

* * *

ჩემი დარდის გამჩარხველი
ჩემგან კარგ დღეს ნუღარ ელის,
გავუშავებ ნათელ დღესა,
ყმაწვილს ვერას დამაკლებსა.

* * *

მზე ჯერ ისევ ცაზეა,
მე კი არას მარგია,
ბედი მექცა შავბედად,
ყმაწვილს ცრემლად თვალზედა.

* * *

ცა ნათელი ჩემთვის მოქუფრულია,
დარდი ზღვის ფსკერს ჩაკირულია,
მოჯარდება, მოვა, წალეკს იმ ნათელს,
რაც რომ ყმაწვილს აგრერიგად მწყურია.

* * *

ეს რა ხდება ამისთანა,
არ მინახავს სხვაგან, არა,
დამიბნელდა ეს ქვეყანა,
ყმაწვილს რაღა მომცემს ძალას?!

* * *

არ მიყვარდა, ისე შემრთეს,
რა ვქნა ახლა,
მზე გაშავდა,
დავრჩი ავად.

სიმღერები ებელცენის* დადგომამდე, როცა კვერცხებს აგროვებენ

ებელენ ცენ-ცენ.
ბავშვები თუ გყვანან შინ?
ხორციანი ღვეზელი თუ გაქვს შინ?
თხის ჩლიქები თუ გაქვს შინ?
ცეცხლზე შიშხინი თუ ისმის შინ?
განჯინაშიც ცერცვი თუ გაქვს შინ?
დედი, მასპინძელო,
ერთი კვერცხი მოგვეცი.

დასეირნობს ებელცენი,
ბავშვები მასხრობენ, დარბიან.
განჯინაში, დედი,
ცერცვი თუ გაქვს?
ცეცხლზე კეცები თუ
გაქვს შინ?
აჰა, ეს აჭრელებული
ჯოხი შენ.
მოგვე რამე,
კვერცხი ან მწვადი,
ეგებ, მომცე მე.

სიმღერები, ებელცენის დღესასწაულზე ნამღერი დილა-საღამოს

შუა ებელცენია,
ისმის ჩიტთა გალობა,
მოედანზე ვირების კუნტრუშია, ლაღობა.
ცეცხლზე გიდგას სადილი,
დიდედ,
ლუკმა მოგვეც ამ დილით.

დასეირნობს ებელცენი,
კუნტრუშობენ ბავშვები.

ცეცხლზე რაღაც თუხთუხებს,
კვერი ცხვება ბუხარში,
სინზე — ცხელი ხაჭაპურები.
დედი,
ძვირფასი ქსოვილი
გამოგვიტა, მოგვეცი.

გუდილ*

გუდელ, გუდელ, ჰეი, გუდელ,
გუდელ, მოგვე წვიმაო,
წვიმავ, მდელო მოგვირწყე,
ხვავი ხვავრიელიო, ამინ. ყველა ჩვენგანს ხვავიო.

კეგერი*

დედა-სამშობლო დღეს ისევ გვეძახის,
როგორც დედის მკერდს მიკრული ჩვილი;
გვერდი-გვერდით დავდგეთ, დღეს მას სჭირდება,
დავიცვათ მტრისგან სამშობლო ჩვენი.

კარბუკული ნალით დაჭედილი, რაშია შენი,
ჩერქეზული უზანგი გიხდება მეტად.
გმირის სახელი ხალხშია მუდამ.
დრო დადგა დავიცვათ, სამშობლო, კეგერ!

გადაწყდეს უნდა, დაგვიდგა ჟამი,
დრო დღეს გამოგვცდის,
გავწყვიტავთ ნადირ-შაჰის ჯარს
უთვალავს, შენს დასაცავად, სამშობლოვ, კეგერ!

ალმასის ხმალი მიბრწყინავს ხელში,
მტერი ბუზივით გვეხვევა თავზე.
გმირი ბრძოლაში გამოიცადოს,
ლომის ძალისა ხარ ოდითგანვე, კეგერ!

ფალავნისა გაქვს მუხლი, ჯილაგი,
თვალი ორბისა, დაკვესებული,
აოტე მტერი, თავი გვაჩვენე,
მეც სხვასთან ერთად, კალუბელ მირზას, გმირო კეგერ.

მოწოდება

ჰეი, ჩემო მშობლიურო თაბასარან!
ჩემო ძვირფასო მოქალაქენო!
ირანელმა ნადირ-შაჰმა,* დამპყრობელმა ნადირმა
აგვიკლო, აღვდგეთ მის წინააღმდეგ!

ნადირ-შაჰის ჯარი ჩადგა
დიდი დერბენდის ციხესიმაგრეში.
თავს გვესხმიან,
ახალ შეტევას ამზადებენ.
ქუდზე კაცი შევიკრიბოთ,
მთის ლომებივით წინ აღვუდგებით.
ვინც მტერს უფრთხის,
ის ბრძოლის ველს არ გაეკაროს.

დაღესტნის ხალხები ძმები ვართ,
ერთ მწკრივად ჩავდგებით,
ავარელი, ლეკი, დარგუელი და ლაკი
ძმურად დავეხმარებით ერთმანეთს.

ვისაც ხელში იარაღის დაჭერა შეუძლია,
ფეხზე დადგომა, წინააღდგომა,
ვფიცავთ, სამშობლოს ვედგეთ დარაჯად,
ვფიცავთ დედის რძეს, ვექნეთ ფარადა.

კალუკელ მირზას სიტყვა ისმინეთ,
ქვეყანას ჩვენი დაცვა სჭირდება,
წინაპართა გზას გავყვეთ დიდებით,
ჩვენს შვილებს დარჩეთ ჩვენი გმირობა.

იდვან-ხვანი*

იყო და არა იყო რა, იყვნენ შვიდნი ძმანი და ჰყავდათ ერთი და. ყველანი საქმის კაცები იყვნენ. ერთი ერთთავად მიწას ხნავდა, მეორემ კარგი მწყემსის სახელი დაიგდო. შუათანა ძმა ბაღს უვლიდა, სხვა ძმები — დურგალი, მენახირე, ქვისა და რკინის ოსტატები იყვნენ. ოჯახისა და შინაური საქმეების ტვირთი ერთადერთ დას აწვა მხრებზე.

შემოდგომა-ზამთარში ყველა თავის საქმეს აკეთებდა. გაზაფხულზე საგაზაფხულო გადაუდებელ სამუშაოებს მისდევდნენ. ჯერ ნათესებს რწყავდნენ, ეკალ-ბარდს აშორებდნენ.

დადგებოდა ზაფხული და ბალახი იყო მოსათიბი ცხენებისათვის, საქონლისა და ცხვრებისათვის. გაგანია ზაფხულში გადაყვითლებული ყვავილი ხმებოდა და თივად იქცეოდა, რაც იცელებოდა, ზვინებად დგამდნენ. ამის შემდეგ მთაში წავიდნენ, სუბალპურ საძოვარ ვარზაზე,* მერე სათიბს მიადგნენ, უკიდეგანო მინდვრებს, იდვან-ხვანამდე მიაღწიეს, სადაც კაცის სიმაღლე ბალახი იზრდება. ერთ დღეს, დილაადრიან ბალახზე ნამი იდო, ძმებმა საქმეს ხელი მოჰკიდეს, დაუღლელად მუშაობდნენ შუადღემდე, სანამ ვეება მზე თავზე არ დაადგათ. ისადილეს. წყაროს წყალი დალიეს ძალ-ღონის აღსადგენად და მერე ისევ საქმეს მოეკიდნენ.

ამ დროს ჩრდილოეთიდან შავი ღრუბლები წამოვიდა, ირგვლივ ჩამობნელდა. მოქროლილმა ქარმა ბალახი ააფრიალა. ძმებმა თიბვას თავი ანებეს და ცას ახედეს. შემდეგ მოთიბულ მინდორს გადახედეს, სადაც მოთიბული ბალახი ეყარა.

დამ, როცა ნახა, ძმები ცას მისჩერებოდნენ, ხელი ფოცხს წამოავლო. ღრუბლები ჩქარობდნენ, აჩქარდა დაც, ნათიბი უნდა შეეკრა. თმა თავშლით წაიკრა და საქმეს შეუდგა, ფოცხავდა. რაც შეიძლება მალე უნდა შეეგროვებინა ნათიბი, ძმების მოთიბული. არ უნდოდა, რომ ძმების ნაშრომი ქარს წაეღო, დაღლას ვერ გრძნობდა. „შვიდი შრომობს, ერთი ჭამსო", — თითქოს ეს ანდაზა ჩაესმოდა ყურში.

სიჩქარეში ვერ შენიშნა, ფოცხი რაღაცას წამოედო.

— ეს მინდოდა?! — გაიფიქრა, — სად არის ამის დრო, რაღაცას წამოედო, ოხერი; ფოცხი თავისკენ მოქაჩა და ლოდი გრუხუნით ძირს, წყაროს პირას ჩაგორდა. აღარ გაწვიმდა. ნათიბი ერთიანად მოაგროვა, დაა-

ბინავა. საღამოს ყველამ სადგომში მოიყარა თავი. მძიმე შრომის შემდეგ უნდა დაესვენათ.

ხედავენ, მათ პირდაპირ ტრიალ ადგილას დიდი ქვა დევს. გაუკვირდათ რომ ნახეს, ქვას დიდი კვალი ემჩნეოდა. ახლოს მივიდნენ და რას ხედავენ, ქვას ახალდაჩენილი ფოცხის კვალი ეტყობა. თოთხმეტი ნაჭდევი დასტყობოდა. ასეთი რამ მისდღემში არც ენახათ და არც გაეგოთ.

ენა მუცელში ჩაუვარდათ, პირიდან ერთი სიტყვა ვერ დაძრეს. წყაროზე პირი დაიბანეს და მოისვენეს. დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ სამუშაოდ, ამიტომ ადრე ინდომეს დაძინება. დამ სუფრა ბალახზე გაუშალა. დააწყო პური, რძე და ყველი და ძმებს დაუძახა.

ჭამის შემდეგ, მუშაობისაგან დაღლილებს, უცებ ჩაეძინათ. ზემოთ ვარსკვლავები ციმციმებდა, ღამის ფრინველები გალობდნენ. ეძინათ ადამიანებს, ეძინათ ფრინველებსაც, ეძინათ მხეცებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ უფროს ძმას უცნაური ხმაური ჩაესმა. გაიღვიძა და იმ ხმას მიაყურადა. დაინახა ის ქვა როგორ ატოკდა და შუაზე გასკდა. ცისკენ აზიდული ორი ხელივით ეყარა ერთი ქვისაგან ნამსხვრევი ორი ქვა. ქვისაგან უცებ ვერცხლისფერი გადმოიღვარა. ძმა გაშტერდა და ვერაფერი მოიფიქრა. უნებურად ხელი ცისკენ ასწია და დაიძახა:

— სიკეთისათვის, ბედნიერებისათვის, ქვეყნისათვის გაწეული კარგი სამსახურისათვის, ჯილდოდ აჰა, ძმებო, უმჩარი გამოგვეცხადა.

ამ ლაპარაკზე ყველას გაეღვიძა. უფროსი ძმა ისევ ქადაგებდა.

— რაც ხდება, უმჩარის ოინებია, არ მოვტყუვდეთ, ფრთხილად ვიყოთ, ნურავისი შეგვშურდება.

ყველანი ჩუმად უსმენდნენ ძმას. მერე ერთად ადგნენ, მიუახლოვდნენ ქვას კეთილი ფიქრებით და პეშვით ორ-ორჯერ შესვეს იქიდან წამოსული წყლის ნაკადი.

თითქოს ის-ის იყო დედის მუცლიდან იშვნენო, გაუქრათ დაღლა, ძალღონით აივსნენ.

მზის ამოსვლამდე შეუდგნენ საქმეს კეთილები და მამაცები.

იმ დღეს თითოეული შვიდი კაცის საქმეს აკეთებდა. მთელი მინდორი მოთიბეს. ვინც კი ნახა ის და გაიგო ამის შესახებ, ყველას უკვირდა.

დაუღლელად თიბავდნენ ძმები ბალახს, და აგროვებდა და ზვინავდა. ერთხელ ღამით ყველამ ტკბილი სიზმარი ნახა, გემრიელი წყალი რომ იგემეს, იმის შემდეგ.

უფროსმა ძმამ ზღაპრულ თეთრ რაშზე ამხედრებულმა (ცხენი ნესტოებიდან ცეცხლსა ყრიდა) რძის ზღვებში თავი დალანდა, მზე კი სხივებს აგზავნიდა მისკენ. უცებ ჩაესმა საოცარი ხმა, სიტყვები, მანამდე რომ არ სმენია.

— ადექ, დალიე, ადექ, დალიე, ადექ, დალიე, — ასე ეუბნებოდა უცხო ხმა. და როცა ანაზადად თვალი გაახილა, მის თავზე ჯერ ისევ ანთებული ვარსკვლავები შენიშნა. კლდეებიდან წყალი მოედინებოდა, ხმა კი მეტად აღარ ისმოდა.

წყალი ვერცხლისა აღარ იყო, არაჟანს ჰგავდა, თავზე სხივები დასთამაშებდა. ფრთხილად მივიდა იქ, აიღო ხელში ეს, არაჟნის მსგავსი რაღაც, და უმჩარს შეევედრა:

— დე, ნურც ჩემი ძმები, ნურცა დები, ნურც ჩემი ხალხი სამშობლოს ნუ მოსწყდება ნურასოდეს; ნუ მოაკლდება საკვები, მეგობრები, სასურველი სტუმრები, დედა-სამშობლოს, უტკბილესს, ნურასდროს დავკარგავთ. დაე, მოთმინებითა და ჭკუით გავიდეთ ბოლოში. ჩვენი ხალხი, დაე, ნუ დაკარგავს მის დაუმარცხებელ მამულს, ჩვენ კი, ყველანი, ნუ დავკარგავთ ჭკუას, მოთმინებას, საკვებს.

ამ სიტყვებით ინდომა დაჰკონებოდა ტუჩებით იმ არაჟნის მსგავსს, მაგრამ ის კვლავ წყლად გადაიქცა და წვეთებად ცისკენ წავიდა. ჩაფიქრდა და ისევ, ფიქრებით დამძიმებული, დაწვა დასაძინებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ შორს ცა გავარდისფრდა, მთის მწვერვალები პირველი სხივებით განათდა, მოისმა ფრინველთა გალობა და ძმებმა შეიტყვეს, დღე დამდგარიყო.

და-ძმებმა მაშინვე გაიღვიძეს, როცა ვარსკვლავები ცაზე დაიმალნენ. სხეულები ისეთი მჩატე ჰქონდათ, როგორც გამხმარი ნაფოტი, თანაც ტანში ულევი ძალა ჩასდგომოდათ.

ხელი ცელს მოავლეს, მეტად მსუბუქი ეჩვენათ, ჩალასავით, ქვები კენჭებად გადაქცეულიყო, ხშირი ბალახი წყალივით გამქრალიყო, ცელი ერთი მოქნევა ოთხ ნაბიჯზე ცელავდა, ქვები ჩალად ქცეულიყო.

ამგვარად, ძმებმა ერთი თვის საქმე სამ დღეში მოათავეს, მოთიბეს ბალახი და ზვინებად დადგეს...

დედა-შვილის გაიძვერობა

იყო და არა იყო რა, იყო ღარიბი დედა-შვილი. მეტად გაჭირვებულები. დამხმარე არავინ ჰყავდათ. გოგო გაიზარდა, დაქალიშვილდა. მისკენ თვალი არავის გაურბოდა. „რად გვინდა ღარიბ-ღატაკი, ღარიბ-ღატაკის შვილი, ოჯახში რისი მაქნისი იქნებაო“.

— წამო, შვილო, — უთხრა დედამ, — აქ ჩვენი არავის ესმის. სხვა ადგილას გადავიდეთ. ეგებ ბედს იქ ვეწიოთო.

გზას გაუდგნენ.

ბევრი იარეს. ბოლოს გზაში მდიდრულად ჩაცმულ სოვდაგარს გადაეყარნენ.

— გამარჯობა, დედი, საით გაგიწევიათო?

— შვილო, სამუშაოს ვეძებო, — უპასუხა ქალმა.

— ეს გოგო ვინ არისო? — ჰკითხა ეშმაკურად და თვალი ჩაუკრა.

დედამ შვილს შეხედა, შვილმა დაიმორცხვა და თავი დაღუნა. დედაბერმა იფიქრა, ეგებ ბედმა გაგვიღიმაო და პირი მოხსნა:

— ეს გოგო არ არის, შვილო, ვინც ამის ფასი იცის, ოქროს განძია. ერთი ნართიდან ისეთ ხალიჩას მოქსოვს, ხილ-ყვავილებით მოჩითულს, რომ თვალი ზედ დაგრჩებაო.

— მაშ ასე, — იფიქრა სოვდაგარმა, — ამის მოქსოვილ ხალიჩებს თუ მივუმატებ, რასაც მე ვაჭრობით ვშოულობ, კარგ სიმდიდრეს დავაგროვებო.

სოვდაგარმა დედაბერს ჰკითხა:

— ნაკლი ხომ არაფერი აქვსო.

— რას ამბობ. მაჭანკლებმა კარი ამიტალახეს. არ მეთმობა, ეს რომ წავიდეს, მე ვიღა მომხედავს?!

სოვდაგარს საღერღელი უფრო აეშალა.

— მოდი, დავნათესავდეთ, შენი შვილი მომათხოვეო.

— დედისერთა ქალი შენ რომ მოგათხოვო, მე ვინ მომხედავსო?

— შენც დედობას გამიწევ. ერთად ვიცხოვრებთ, ხშირად სავაჭროდ სხვა ქვეყნებში მივდივარ. შინ ორნი იქნებით სანამ ჩამოვალო.

დედამ შვილს ისევ გადახედა. შვილმა თავი ისევ ჩაქინდრა.

„ციცხვზე უკეთ ქოთნის ძირი არავინ იცის“, — მიხვდა დედა შვილის გულში ნადებს.

გვერდზე გადგნენ, ჩუმად მოითათბირეს, დათანხმდნენ.

სოვდაგარმა ისინი შინ მიიყვანა. შვიდი დღე და ღამე ჭამეს და სვეს, იყო ლხინი, ცეკვა-თამაში. სოვდაგარმა შინ ერთი ურემი ნართი მიიტანა. ცოლს დაავალა, ამ ნართით ხალიჩები მოქსოვე, დედა კი საოჯახო საქმეებს მიხედავსო. ეს დაიბარა და გაემგზავრა.

რასა ვყვებოდი? ვყვებოდი დედა-შვილის ამბავს.

ესენი კარგსა ჭამდნენ, კარგსა სვამდნენ. დროს მხიარულებაში ატარებდნენ. ასე გადიოდა დღეები, თვეები, ნართი კი ხელუხლებლად სახლის ერთ კუთხეში ეგდო. ვაჭარი სადაცაა შინ დაბრუნდებოდა. ფიქრობდნენ, რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მდიდარ ქმართან პირი არ შევირცხვინოთო.

იმხანად უფლისწული ავად გახდა. სახეზე ძირმაგარა ამოუვიდა.

დედა-შვილი მეფეს ეახლნენ და მოახსენეს:

— დიდო მეფეო, ახალგაზრდებს ხშირად ვეხმარებით, ამიტომ ხვალ

შუადღისით შენი ვაჟი შენს ბანზე გამოიყვანე და მე იქიდან რაღაცას მოვახერხებო.

მომდევნო დღეს მეფის შვილი ბანზე გავიდა. დედაბერმა ორივე მხარზე ფაფით სავსე ლამბაქები დაიდო, დაისვა წრუწუნა, ეს წრუწუნა ხან ერთი ლამბაქიდან, ხანაც მეორედან ჭამდა ფაფას. ეს რომ მეფის ვაჟმა დაინახა, გაუკვირდა, არ ესიამოვნა ასეთი საქციელი და ჰკითხა:

— დედი, ამას რას შვრებიო?

— ვსადილობ, შვილოო.

—შენს მხრებზე რა დარბისო?

— ჩვენ, შვილო, ძაფი უნდა დავართათ, ხალიჩა გვაქვს მოსაქსოვი. მარტო ერთი რამ მაფიქრებს, შვილო, ეს ძაფი ამ თაგვის კუდზე სქელი თუ უფრო წვრილი დავართაო?

მართალია, უფლისწული იყო, მაგრამ ამ სიტყვებზე თავი ვერ შეიკავა და გაეცინა. გაუსკდა სახეზე ამოსული ძირმაგარა და ყმაწვილმა შვება იგრძნო. დედოფალმა შვილს სახე მოსწმინდა, მეფემ კი დედაბერი თავისთან იხმო.

— შენ ჩემი ერთადერთი ვაჟი განკურნე და სამაგიერო მითხარი, რა გინდა და შეგისრულებო.

— დიდება დიდ მეფეს, შენი ოქრო მე არაფრად მინდა. ერთი თხოვნა კი მექნება, თუ შეიძლება, შენმა კარის მქსოველებმა ამ ჩემი ნართით ხალიჩები მოქსოვონო.

— ამ თხოვნას შეგისრულებო, — უპასუხა მეფემ. მოიხმო ხალიჩის მქსოველი ოსტატები და ხალიჩის მოქსოვა უბრძანა. ოსტატებმა მეფის ბრძანება შეასრულეს. იმ ნართით ხალიჩები მოქსოვეს.

მალე სოვდაგარიც შინ დაბრუნდა, ნახა ხალიჩები მოქსოვილი. იფიქრა, ამისთანა ცოლს გაფრთხილება უნდაო, მერე პირი ცოლისკენ მიიბრუნა და უთხრა:

— შენ მე შენი ხელოვნება მაჩვენე. მე მეტი არაფერი მინდა. ესეც მეყოფა. თავი მუშაობას არ შეაკლა. ჩემი ვაჭრობაც გვეყოფა. შენ მარტო ოჯახს უპატრონე და შვილები გამიზარდეო.

შვიდი ძმა და ერთი და

დღეს რომ სოფელი ხუჩნია, დიდი ხნის წინათ ქალაქი იყო. ცხოვრობდნენ იქ მაშინ ძალიან ძლიერი, მაღალი და ჯან-ღონით სავსე ადამიანები. ხშირად თავს ესხმოდნენ ამ ქალაქსა და თაბასარანს უცხო ქვეყნის დამპყრობლები. მათი ჯარის ნაკვალევზე ყველაფერი ისპობოდა და ნად-

გურდებოდა. აკლებული ჰქონდათ აქაურობა ნადირ-შაჰსა და მონღოლთათრებს. ხუჩნამდე ასე მიაღწიეს. მტერი გზებზე წვავდა დაბებსა და სოფლებს, ძარცვავდა ხალხს და აპარტახებდა. მიჰქონდათ ალაფი და ნადავლი; ახალგაზრდებს მონებად წაასხამდნენ და ისევ მეორდებოდა ხალხის წასხმა, ძარცვა და ყლეტა.

შვიდჯერ გადაწვეს და ერთიანად გადაბუგეს ხუჩნი, მაგრამ ისევ და ისევ აღდგებოდა და ყვაოდა. დიდი ხნის წინათ ხუჩნში ერთი ქვით ხურო ცხოვრობდა, სახელად მუსა. თავის ვაჟებს დაარქვა ისა, კასუ, გამზათი, ალი, რამაზანი, რასული, აბუმუსლიმი, ქალს კი — ნაზ-ხანუმი.

მუსამ შვილებს თავისი ხელობა — ქვის მთლელობა შეასწავლა. მათ ოსტატობით გაითქვეს სახელი იმ მიდამოებში. ძალა დევგმირებისა ჰქონდათ. მამაზე მაღლები და ჯან-ღონით სავსენი იყვნენ. ერთი კამეჩის ტყავი არ ჰყოფნიდათ ქალამნად. ახალუხისთვის შვიდი არშინი ქსოვილი სჭირდებოდათ.

შვილები მამასთან ერთად შრომობდნენ — აშენებდნენ სახლებსა და შენობებს. ნაზხანუმი დღითიდღე მარტო კი არ იზრდებოდა, მშვენდებოდა კიდეც.

ასე გადიოდა წლები. დამპყრობლები ხშირად თავს ესხმოდნენ თაბასარანს. ხუჩნის* აღების მრავალი ცდა მტერს ხელმოცარულს ტოვებდა. როცა ძალა არ ჰყოფნიდათ, მტრები მზაკვრობით და ეშმაკობით იმორჩილებდნენ ადამიანებს, ძარცვავდნენ ქალაქებს, მიჰქონდათ ალაფი და მიჰყავდათ ყმაწვილები მონებად. თაბასარანის ყველაზე მდიდარი მფლობელი, სულეიმან-ხანი, ყველაფერს ცდილობდა, რომ მტრისაგან თავი დაეცვა.

ხანმა შეიტყო შვიდი ძმისა და მათი დის სიმამაცისა და ღირსეული მამულიშვილობის ამბავი. საკუთარი მხარის მტრისაგან დასაცავად სულეიმან-ხანმა გადაწყვიტა, სოფელ იაგდის მახლობლად ციხესიმაგრე აეშენებინა. ამ მიზნით ხანმა მიიწვია ძმები.

— თქვენი ოსტატობის შესახებ, ქვის მთლელობის ამბავი მარტო თაბასარანში კი არა, უფრო შორს არის ცნობილი, — უთხრა ხანმა, — ამიტომ მოგიწვიეთ; მინდა მოგელაპარაკოთ. დერბენდიდან* თაბასარანამდე მომავალი გზა მეტად საშიშია. სხვა გზები მთებით არის გარშემორტყმული. ამ გზაზე კი ციხის აშენება აუცილებელია და ამ ციხის აშენება თქვენზეა. თქვენი თანხმობა მინდა.

ძმები დაუფიქრებლად დათანხმდნენ. თუმცა ხანს პირობა წაუყენეს: შვიდი უღელი ხარი, შვიდი ცხვარი უნდა გადაეცა მათთვის. ციხე კი ორ თვეში აშენდებოდა.

სულეიმან ხანმა შეყარა ჯამაათი* და მოლაპარაკების ამბავი მოახსენა. გადაწყდა, ძმების სურვილი უნდა აესრულებინათ.

შვიდივე ძმა მაშინვე საქმეს შეუდგა. ორი თვის შემდეგ მდინარე რუბასზე, დათქმულ ადგილას, მშვენიერი ციხე აღიმართა. გალავნის გაყოლებით ქონგურები და სათოფეები იყო ჩაყოლებული სარკმლებით და ქონგურებით, ციხე ფუტკრის ფიჭას წააგავდა.

ხალხმა ხანთან ერთად ციხე დაათვალიერა და კმაყოფილი დარჩა. გადაწყვიტეს, შიგ მეციხოვნე ჯარი ჩაეყენებინათ. შვიდმა ძმამ და მათმა დამ პირობა დადეს, დარჩენილიყვნენ და ქვეყანა მტრისაგან დაეცვათ.

ამ მიზნით მიზიდეს ციხეში იარაღი, სურსათი. შემოგარენი ძმებს აჩუქეს, ჩააბარეს.

დღისით ძმები მიწას ამუშავებდნენ და საქონელს უვლიდნენ, ღამით კი მორიგეობით ციხეს ჰყარაულობდნენ. ნაზ-ხანუმი ძმებს საჭმელს უმზადებდა, ურეცხავდა და მათ შინ დაბრუნებას ელოდა.

ნაზ-ხანუმის სილამაზის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდებოდა. ჩვიდმეტი წლისა ისეთი ლამაზი იყო, რომ შეეძლო მზისთვის ეთქვა, ნუ ამოხვალ, დღეს მე გავანათებ შენს მაგივრადო. მისი ბროლივით ყელი ისეთი გამჭვირვალე იყო, რომ ჩანდა, წყალი როგორ ჩარაკრაკდებოდა. თვალები შევარდნისა ჰქონდა, თმა ისეთი შავი და ხშირი, რომ შეეძლო დოქი თმაზე გამოება და მდინარიდან წყალი ამოეღო.

მისი სილამაზის ამბავი რომ იცოდნენ, ხანები და ბეგები შუაკაცებს აგზავნიდნენ, რომ თავიანთი შვილებისთვის მისი ხელი ეთხოვათ. მრავალს უნდოდა ის ქალი საცოლედ, ქალი კი ყველას უარით ისტუმრებდა. მარტო შუაკაცებისადმი სიძულვილის გამო კი არ ამბობდა უარს, უარს ამბობდა ძმებისა და სამშობლოს სიყვარულის გამოც. ეს იყო უფრო მთავარი მისთვის. რაც შეეხება ძმებს, ძმები უმცროსი დისათვის თავს დასდებდნენ.

დადგა უმძიმესი ხანა: დაღესტანს ნადირ-შაჰი დაესხა თავს, თან მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა მოყვანილი. შავი გველივით შეიჭრა დაღესტნის სიღრმეში. ქალაქი დერბენდი აიღეს მისმა ჯარისკაცებმა. შვიდი ძმა დღე-ღამ იცავდა სამშობლოს.

ნადირ-შაჰის ჯარები ნადირ-შაჰის ძმის, კაზიმ-ფაშას მეთაურობით შეიჭრნენ თაბასარანში. ციხის გარშემო მტერს ყველა გზა გადაუჭრეს. სპარსელებს გაუკვირდათ ხუჩნის მახლობლად დიდი ციხესიმაგრის დანახვა. ციხის მიდამოებს ძმები გამუდმებით იცავდნენ. ვინც გზაზე გამოჩნდებოდა, ციხის სამიზნეებიდან შეეძლოთ თოფით მოეკლათ.

სპარსელი მეთაურის, ქაზიმ-ფაშას ვირი ლაფში ჩაეფლო. გაუჭირდათ, იმედი არა ჰქონდათ, რომ ციხეს მიუახლოვდებოდნენ და გერბე-გურანის* მახლობლად დასცეს კარავი და დაბანაკდნენ.

დარწმუნდნენ, რომ ციხის ჯიქურ აღების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდებოდა. ქაზიმ-ფაშამ მცირე რაზმი გაგზავნა ციხის მახლობლად,

იმავ წუთს ერთიანად ამოხოცეს ციხიდან ისინი. ეს რომ ქაზიმ-ფაშამ გაიგო, მრისხანებისაგან მძვინვარებდა. ფიქრობდა, რაც არ უნდა დამიჯდეს, ციხე ხელში უნდა ვიგდოო. ბოლოს, ბევრი ფიქრის შემდეგ, მზაკვრული აზრი მოუვიდა.

ციხის შემოგარენის დასაზვერად ქაზიმ-ფაშამ მოუხშირა ციხისკენ ჯარების გაგზავნას. ერთხელ ციხეს სათოფეზეც მიუახლოვდა. ციხიდან ისროლეს და მისი ნატყვიარი და აალებული ფაფახი ძირს დაეცა. ფაშა უმალ გაეცალა იქაურობას.

ახლა ქაზიმ-ფაშას შესახებ მოგიყვებით. იგი წარმოსადეგი, ტანადი კაცი იყო. შაჰის ჩამომავალი. შეიტყო ნაზ-ხანუმის შესახებ და ჩუმად ნატრობდა მასთან შეხვედრას.

როცა ძმები ისვენებდნენ, ნაზ-ხანუმი ციხეს სდარაჯობდა. მტერი თუ გამოჩნდებოდა, ესროდა და კლავდა. ქაზიმ-ფაშას ფაფახს სწორედ მან მოარტყა თოფი. მიახლოებული ფაშა რომ დაინახა ქალმა, ნახა მისი კარგი აღნაგობა, მოსაკლავად შეებრალა და ფაფახი გაუხვრიტა, რომ სიცოცხლე ამით ეჩუქებინა და თან იქიდან გაეძევებინა.

ქალს კაზიმ-ფაშა ისე მოეწონა, რომ მისი სიყვარული გულში ჩაუვარდა.

კაზიმ-ფაშა გულადი და მამაცი კაცი იყო. ციხეს ხშირად და წარმატებითაც უტევდა. თუმცა მუდამ ფაფახში ხვდებოდა ნასროლი ტყვია და თავიდან სძვრებოდა ქუდი.

ნაზ-ხანუმი რომ მიხვდა, კაზიმ-ფაშას ამით თავიდან ვერ მოიშორებდა, გადაწყვიტა ციხიდან დანახვებოდა, გამოჩენილიყო.

ერთხელ კაზიმ-ფაშამ ციხის ქონგურზე ისეთი სილამაზის ქალი დაინახა, რომ არც მაჭამა, არც მასვა და მარტო იმას მაყურებინაო, იფიქრა. მეტისმეტად მოიხიბლა და ციხის გალავანს როგორ მიუახლოვდა, ვერ გაიგო. ქალმა არ ესროლა. კაზიმ-ფაშა გონს მოვიდა, ნახა, ციხის გალავანს რომ მიახლოებოდა და იქაურობას ჩქარა გაეცალა.

გადიოდა დრო, კაზიმ-ფაშა ციხეს აღარ უტევდა, მხოლოდ ნაზ-ხანუმზე ფიქრობდა, შეუყვარდა ქალი. სპარსელები მეთაურის უკმაყოფილები იყვნენ.

ერთხელ კაზიმ-ფაშა ფიქრს მიცემული იჯდა თავის კარავში. მორიგემ მოახსენა, ვიღაც დედაბერს შენი ნახვა უნდაო. სპარსულ ჯართან ერთად მივიდა ქალთან.

ქალმა ჰკითხა, რატომ ხარ დარდიანი, რა გაწუხებსო?

კაზიმ-ფაშა დაწვრილებით მოუყვა, რაც თავს გადახდა, რარიგ შეუყვარდა ქალი, რომელიც ციხის ქონგურიდან მიზანში ზუსტად ისროდა. გამოუტყდა, ძალიან შემიყვარდა ის ქალიო.

— ნურაფერზე ფიქრობ. მარტო ცოტა დრო მომეცი. მგონი, ის ციხეცა

და ის ქალიც მალე შენი იქნებაო. რაღაცას მოგიხერხებ, ოღონდ აჩქარება არ ივარგებსო, — თქვა მზაკვარმა დედაბერმა.

კაზიმ-ფაშამ უხვად დაასაჩუქრა დედაბერი და შეჰპირდა, თუ ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც მინდა, უფრო მეტად დაგასაჩუქრებო.

მოხუცი დაუბრკოლებლად მიადგა ციხეს, რადგან იცოდა, რომ ძმები ხანდახან ისვენებდნენ და გუშაგად დას ტოვებდნენ.

იმ დროს, როცა ძმები არ ყარაულობდნენ, მიადგა მოხუცი ციხის კარს და დააკაკუნა. ქალმა დედაბერი გლახააო, იფიქრა და კარი გაუღო, გამოუტანა პური. დედაბერმა უთხრა მისვლის მიზეზი. ის, რომ იმ მოხდენილი ყმაწვილის გამოგზავნილია, ვისაც ხშირად ესროდა ნაზ-ხანუმი.

— მე კაზიმ-ფაშას ნათესავი ვარ, ღამით ძილი არა აქვს, დღე საქმეს გულს ვერ უდებს. სულ შენზე ფიქრობს. სხვა გზა აღარ დაგვრჩა და გადავწყვიტეთ შენს ძმებთან სამშვიდობო ხელშეკრულება დავდოთ. თუ წინააღმდეგი არ იქნები, შენი ნახვა უნდა, — დაამთავრა სიტყვა მოხუცმა.

ამ სიტყვებმა შეყვარებულ ქალს გული უფრო მოულბო. ქალს სპარსელი ჯარის მეთაურის წინადადება მოეწონა.

— სპარსელთა ჯარი უკან დაბრუნდება. კაზიმ-ფაშა შენი ძმების დამხმარე იქნება. თუ შენი ძმები კაზიმ-ფაშას მოახლოებას შენიშნავენ, მოკლავენ იმას. ამისათვის საჭიროა შენი ძმის თოფის ლულები მარილით გამოტენო. ასე მოიქეცი და დანარჩენზე შემდეგ მოგელაპარკებიო, — უთხრა ქალს დედაბერმა.

სიყვარულისგან დაბრმავებული ნაზ-ხანუმი ვერ მიხვდა დედაბრის განზრახვას, დაეთანხმა და ძმების თოფები მარილით გატენა.

მომდევნო დღეს სპარსელთა ჯარი დაიძრა ციხის ასაღებად. ძმები მოემზადნენ მტრის მტრულად დასახვედრად. აი, სადაცაა მტერს ცეცხლი უნდა გაუხსნან, თოფს ხელი მოჰკიდეს, მაგრამ დახე მუხანათობას, თოფი არ ისვრის, ტყვია არ ვარდება. მარილმა დაჟანგა ლულები და თოფები გააფუჭა. ნაზ-ხანუმი მიხვდა დანაშაულს. რა უნდა ექნა?! ძმებს ფეხქვეშ ჩაუვარდა და გამოუტყდა. გაბრაზებულმა ძმებმა მიდამო ფეხით გადაქელეს და მდინარე რუბასზე გავლით ტყეს შეაფარეს თავი.

სპარსელები ციხეში შეიჭრნენ. ნაზ-ხანუმი ციხის ერთ-ერთ დარბაზში უგონოდ ეგდო. დედაბერმა წყალი დაასხა და გონს მოიყვანა. ქალი დედაბერს ეცა ვეფხვივით და დაახრჩო. მტერმა დაივიწყა ნაზ-ხანუმის სილამაზე და წარმოთქვა:

— ძმების მოღალატე, მეც მიღალატებ.

თმებში ხელი ჩაავლო და მოისროლა ციხის გალავნის გარეთ.

ხანი ბაზუბაი

ხინაში (ერთხანს იქ დიდი ქალაქი იყო გაშენებული) ცხოვრობდა ხანი ბაზუბაი. მას ჰქონდა თვალუწვდენელი სახნავი მიწა, მინდორი, ტყე, ასევე ჰყავდა ძროხებისა და ცხენების ჯოგები, ცხვრის ფარები. ხანი მკაცრად სჯიდა მათ, ვინც მის სამფლობელოში ფეხს შედგამდა. სოფელ ხინისა და მიმდებარე სოფლებში მცხოვრებთ ეკრძალებოდათ ტყეში შეშის მოჭრა. არც თივა შეეძლოთ მოემკათ. მის სამფლობელოს აულების მცხოვრებთ ევალებოდათ მისი სამსახური. უნდა გაეთიბათ სათიბები და ემწყემსათ ნახირი. დილაუთენიიდან გვიან ღამემდე მუშაობდნენ. სოფელ ხურიგის და გარშემო აულების მცხოვრებნი დიდხანს ითმენდნენ ხან ბაზუბაისგან დამცირებას. მაგრამ ერთხელ, როცა მოთმინების ფიალა აევსოთ, აუჯანყდნენ, ერთობლივი ძალით მოტეხეს მისი ძლიერება. ხანი ტყვედ აიყვანეს. აჯანყების მეთაურებმა შებოჭილ ხანს ჰკითხეს:

— ხინელო ბაზუბაი, სადაა შენი ცხენების რემები?

— ჯოგებს აქედან ყარაულობენ მეზობელი მაგალის გმირები.

— სადაა შენი ცოლების ძვირფასი ქოთნები და სურები?

— ჩემი ცოლების ქოთან-სურები იმავ მაგალის ქალებს მხარზე აქვთ შემოდგმული.

— სად გადამალე შენი ბაგების ცხვრები, რად არის ცარიელი?

— ფარებს სდარაჯობენ იმავე სოფლების ათასობით მამაკაციო, — მიუგო ბაზუბაიმ.

ჟუგაი

ერთ დროს ერთი მდიდარი კაცი ცხოვრობდა, სახელად ჟუგაი, ჰყავდა შვიდი ვაჟი. ხალხს ძარცვავდნენ, ხოცავდნენ და საქონელს წაასხამდნენ ხოლმე. ამ სოფლების მცხოვრებლები ჟუგაის დასაჭერად აღდგნენ. ბრძოლებში იმ კაცის ყველა ვაჟი მოკვდა, მხოლოდ ჟუგაიმ რაღაც სასწაულით მოახერხა ცოცხალი გადარჩენილიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ თაბასარანიდან წავიდა ჟუგაი და ირანის შაჰს ემსახურებოდა. ერთხელ შაჰმა ჟუგაის უბრძანა, მითხარი, რატომ მიატოვე სამშობლო და აქ მოხვდიო. ჟუგაიმ ყველაფერი დაწვრილებით უამბო და შაჰს სთხოვა, ჯარს თუ მომცემ, თაბასარანს დავიპყრობო. შაჰმა თხოვნა შეუსრულა. ჟუგაი ჯარს სათავეში ჩაუდგა და დაღესტნისაკენ დაიძრა. თაბასარანმა რომ გაიგო, თავს გვესხმიანო, მოემზადა დასახვედრად. ირანის ჯარმა შეძლო თაბასა-

რანის სოფლის გარშემორტყმა, აღება კი ვერ მოახერხეს. ჟუგაიმ და სხვა მეთაურებმა ხერხს მიმართეს, სოფელს ყველა გზა მოუჭრეს; წყალი, რომელიც სოფელს სასმელად მისდიოდა, მოწამლეს. სოფლის მცხოვრებნი იძულებული გახდნენ, დანებებოდნენ. შაჰის არმიის მეთაურმა ამის შემდეგ ჟუგაის შეპირებული საჩუქრები მოსთოხვა. ჟუგაიმ აღუთქვა, თორმეტი სოფლის ალაფს მოგართმევო. და რადგან ნაყაჩაღარი ბევრად აღემატებოდა შეპირებულს, ირანის ჯარი შინ დაბრუნდა.

ოსტატი მაჟვადი

ბევრმა ირანელმა ჯარისკაცმა ცეცხლსა და ხმალს მისცა თაბასარანის სოფლები. თაბასარანელები არ ემორჩილებოდნენ და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდნენ. დირჩის, სულაკის და სხვათა მცხოვრებთ სათავეში ოსტატი მაჟვადი ჩაუდგა.

გიუნრანცართან ირანელ იბრაგიმ-ხანის ჯარს წინ აღუდგა მაჟვადი. ერთ ხანს, როცა ჩვენები თითქოს ბრძოლას აგებდნენ, იბრაგიმ-ხანმა დაიძახა:

„თქვენს შორის ვინც გმირია, გამოვიდეს და მოვსპობო!"

— სიკვდილი უნამუსოს, გმირს — ხალხის მადლიო, — დაიძახა მაჟვადმა, წინ წამოდგა და იბრაგიმ-ხანისკენ გაემართა. წამის უმალ ცხენიდან ძირს დასცა იბრაგიმ-ხანი; მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. როგორც იქითა, ასევე აქეთა მხარეს, მრავალი დაიხოცა.

რადგან მტერი უფრო მეტი იყო, თაბასარანელებმა მიატოვეს სოფლები და ნიტრიკის მთებისკენ გასწიეს ძალებისთვის თავის მოსაყრელად. მტერმა ამით ისარგებლა და რომ ჯავრი ეყარა, მოხუცი და ყმაწვილი, ვინც ხელთ იგდო, შეყარა გიუნ-რაცარ-თან და ცხენების ფლოქვებით გადათელა.

ბრძოლა სოფელ ხრეჯთან

დიდი ხნის წინათ, დღეს რომ ხრეჯია, მასთან ახლოს ვერდიშენის ციხე მდგარა. იბრაგიმ ხანმა ციხის ხელში ჩაგდება ინდომა, მაგრამ ხალხმა არ დაანება. მისული ჯარი სოფელ ლიკთან შეაჩერა. ხანმა გამოარჩია შვიდი რჩეული მხედარი და ციხის დასაზვერად გაგზავნა.

ციხესიმაგრეში გამაგრებულებს სიფხიზლე და სიფრთხილე აღ-

მოაჩნდათ. მისულები ციხეში კი შეუშვეს, რადგან თითქოს მშვიდობის დამყარება სურდათ, თუმცა მალევე შეიტყვეს ახსაკალებმა იბრაგიმ ხანის ჩანაფიქრი. „მტერს მტრულად დავხვდებით, ვიცით, რისთვისაც მოსულხართ, ჩავხოცოთ ეგენი“, –თქვეს და თავები წააცალეს და მდინარეში უძახეს.

იბრაგიმ ხანმა ერთხანს უყურა, უყურა და, რომ არ დაბრუნდნენ მისი რჩეული მხედრები, ახლა სხვა შვიდი რჩეული მეომარი გაგზავნა. მათაც იგივე დღე დააყენეს. მესამედაც გაგზავნა ხანმა მეომრები და ისინიც არ დაბრუნდნენ. მდინარე მისი მეომრების სისხლით იღებებოდა.

იბრაგიმ ხანმა ციხეს ჯარი შემოარტყა. იყო გააფთრებული ბრძოლები, მაგრამ ვერდიშენი დიდხანს არ დაცემულა. მედგრად ებრძოდნენ თავდამსხმელებს. მთიელები თანდათან ბრძოლებში წყდებოდნენ და მათი რიცხვი მცირდებოდა, ბოლოს მტრის მრავალრიცხოვანმა ჯარმა მაინც თავისი ქნა, ციხე გატყდა, ხანი ციხეში შეიჭრა და ერთიანად ამოჟუჟა იქ გადარჩენილი მთიელები.

ტრაგახი ისევ შენ დაგლუპავს

ერთმა პატარა ჩიტუნამ ყური მოჰკრა, არწივი ისეთი ძლიერი ფრინველია, რომ მეტად მაღლა შეუძლია აფრენაო. ჩიტუნა არწივს ფრთაზე დააჯდა, არწივმა ეს ვერ იგრძნო და მაღლა ცაში აიჭრა.

ჩიტუნამ იფიქრა, არწივთან ჩემი მეგობრობა მომავალშიც ხეირს მომიტანსო და უთხრა:

— გმადლობ, არწივო, რომ მაფრინე, ახლა დავიღალეო.

ჩემთან რომ მოვიდა, სალამი არ უთქვამს — გაიფიქრა არწივმა — და რაღას მემშვიდობებაო? სხვა რა გზა იყო, არწივიც დაემშვიდობა.

ჩიტი ალაჰთან მიფრინდა.

— სალამ ალეიქუმ, ძია ალაჰ, — მიესალმა ჩიტუნა, — შენი ნახვა მინდოდა და მოვედი.

— კარგია, — უთხრა გახარებულმა ალაჰმა. — მარტო მოხვედი ჩემთან თუ სხვამ მოგიყვანაო?

— მარტო, რა თქმა უნდა. ჩემი ფრთებით მოვფრინდი. აქამდე მოფრენა ჩემთვის განა რა არის. მე მეტისმეტად ძლიერი და ყოჩაღი ჩიტი გახლავარო...

ალაჰი პაწაწინა ჩიტის ნათქვამზე დაეჭვდა, ასეთი ციცქნა ჩიტუნა ასე მაღლა სხვის დაუხმარებლად როგორ ამოფრინდებოდაო?

— თუ ასეა, — თქვა ალაჰმა, — ეჭვი ეპარებოდა ჩიტუნას ნათქვამში, — სხვა დროს რომ მოფრინდები, თან ერთი პატარა ტოტის ღერო გამოიყოლე, რომ დაგიჯეროო.

— კარგიო, — უპასუხა ჩიტუნამ, — აი, ამას შენ, ეს მოგართმევსო, — და ფრთა მკერდზე მიიდო.

ბელურა მაშინ ვერ ხვდებოდა, რამხელა ტვირთის ზიდვა იკისრა.

ზევიდან ქვევით ფრენა იოლი იყო, ამიტომ დიდი ჯაფა არ დასდგომია მიწაზე დაფრენისას. მაშინვე პატარა ტოტის ღერს დაუწყო ძებნა. ხან ერთ ტოტზე დაფრინდებოდა, ხან მეორეზე გადაფრინდებოდა, მერე მიწაზეც ჩამოხტებოდა, ისევ ტოტიდან ტოტზე და ასე გაუთავებლად. ამბობენ, ის ჩიტუნა დღემდე პატარა ტოტს ეძებს ალაჰთან მისატანადო. ერთი ღერო, ნაფოტი მრუდეა, მეორე — გატეხილი, სხვა მსხვილია, ზოგი — წვრილი. გადახტება და არც ეს მოსწონს, შავიაო. დახტუნავს ჩიტუნა მას შემდეგ ტოტიდან ტოტზე, ტოტიდან ღობეზე, ღობიდან ბუჩქებზე და ვერა და ვერ უპოვია კარგი, ალაჰთან მისატანი და მოსაწონი ტოტი.

ჩიტუნა ვერც შეძლებს მიცემული პირობის შესრულებას, რადგან, რომ მოძებნოს კიდეც მოსაწონი, ზევით ვერ აიჭრება, ვერ ავა, ვერ მიფრინდება ალაჰთან, ტრაბახმა ხათაბალაში გახვია.

ურაზა-ბაირამის* მარხვის გასხნილება დროზე ადრეც შეიძლება

მელამ, სასუსნავის საძებრად რომ დაცუნცულებდა, ხორცის ნაჭერი იპოვა. ის იყო პირი უნდა დაევლო, რომ მიხვდა, ხორცი ხაფანგს ჰქონდა გაკეთებული მისატყუებლად და დასაჭერად. დაჯდა მელა შორს და ტუჩებს ილოკავდა.

სად იყო და სად არა, სადღაციდან მგელი მოვიდა. დაინახა მელამ და მოკურცხლა. მგელმა დაუძახა: სად მირბიხარო? —

— როგორ თუ სადაო. საცაა გასხნილდება მარხვა და შინ მივრბივარ, უნდა ვჭამოო; მგელმა გასძახა:

მე რატომ არ მეპატიჟებიო.

მელამ უთხრა:

— ხორცი მანდ დავტოვე და თუ გინდა შეექეციო. მგელმა შეხედა და, მართლაც, ხორცის ნაჭერი ეგდო.

მელას გასძახა:

— რა მიგარბენინებს შინ, როცა ხორცს აქაც შეჭამდიო! — იფიქრა, რაიმე ოინი არ მიყოსო.

მელამ მიუგო:

— ეგ ერთი ნაჭერი ჩვენ ორს არ გვეყოფა და ჩემი წილი შენთვის დამითმიაო.

მგელმა მელას დაუჯერა. ხორცს ეცა და ხაფანგში გაება. მისატყუებლად წამოცმული ხორცი გვერდით გადავარდა. მელა მიცუნცულდა ხორცთან და ჭამა დაუწყო.

— შენ არ მითხარი, ვმარხულობო?

— ვმარხულობ. ურაზა-ბაირამის მარხვის გასხნილება დღეს ცოტა ადრეც შეიძლებაო.

— მაგას შენ იზეიმებ, ჩემი გასხნილება კი ახლა ხაფანგის პატრონის ხელშიაო, — საცოდავად უპასუხა მგელმა.

ვირი ტირის

ერთხელ ერთმა ყმაწვილმა გლეხმა მუშაობით ძალიან დაღლილი ვირი და კამეჩი საძოვრად ტყეში შერეკა.

უხაროდა, რომ მისი ერთადერთი ვირი და კამეჩი გემრიელად სძოვდნენ ბალახს. მალე ვირმა გულამოსკვნილი ტირილი მორთო.

პატრონს გაუკვირდა: „ეს რა ხდება? ჩემი ვირი უმიზეზოდ არ იტირებდაო?“. მიუახლოვდა ვირს და უთხრა:

— ძვირფასო, რა გატირებს, რა მოგივიდა? მითხარი, იქნებ, როგორმე გიშველოო.

— შეხე, ეს თავხედი კამეჩი ქარაფის პირას ყველაზე ხშირ ბალახში დგას და იქა სძოვსო.

— შენ რა, ბალახი გენანებაო?

— ბალახი არა, თავი მებრალებაო.

— რატომ გებრალება თავი, შენ ხომ ამით არაფერი მოგსვლიაო?

— ხო, ჯერ არაფერი მომსვლია, მაგრამ, აი ეგ კამეჩი ბევრს რომ შეჭამს და იმ ქარაფიდან გადავარდება, მერე ნახე ჩემი დღეო!

— შენ რა! თუ გადავარდება, შენ კი არა, ის მოკვდებაო.

— ეგ რომ გადაიჩეხოს და მოკვდეს, მაგისი ხორცი და ტყავი შენ მე უნდა ამკიდო და მათრევინო. შუადღემდე ორივე უღელში ვიყავით შებმულნი, ქანცი გაგვიწყდა მუშაობით. ახლა კიდევ დაღლილ-დაქანცულს მაგის თრევაღა მაკლია, იმის მაგიერ, რომ როგორმე დამესვენაო... — ესა თქვა და უმეტესი ბღავილი მორთო.

პატრონს მარტო კამეჩის დარდი არა ჰქონდა, საბრალო ვირიც ეცოდებოდა. იფიქრა, კამეჩი რამემ თუ დააფრთხო, გადაიჩეხებაო. ამიტომ ვირის გასახარებლად ფრთხილად მიიპარა კამეჩთან და უთხრა:

— ჩემო კარგო, ცოტა უკან დაიხიე, ე მანდედან ქვევით არ გადავარდეო. ასე გაარიდა კამეჩი ხიფათს.

კვასაგაის გაქუცული ხარი

იყო ერთი ღარიბი კაცი. სახელად კვასაგაი. ღარიბს რა ქონება უნდა ჰქონოდა?

მთელი მისი ავლა-დიდება ერთი გაქუცული ხარი იყო. ამ ღარიბ-ღატაკს ხარი რომ ემწყემსა და ეძოვებინა, მინდორ-სათიბი არა ჰქონდა. მიწა მთლიანად მდიდარი ამირებისა* იყო. ხარს აქედან რომ გააგდებდნენ, იქით ისევ სხვასთან მოხვდებოდა, რადგან პატრონს, როგორც ვთქვით, საკუთარი მიწა არ ჰქონდა. ამით გაბრაზებულმა ერთმა ამირმა კვასაგაის უთხრა:

— კვასა, იცოდე, მაგ ხარს ადგილი მიუჩინე, თორემ ყურებს დავაჭრიო.

კუდი მანამდე ხომ უკვე მოეჭრათ ამირას მსახურებს და ახლა თუ ყურებსაც დააჭრიან, მაშინ ხალხი ყბად ამიღებს, დამცინებენო, — იფიქრა კვასაგაიმ.

— დარდი ნუ გაქვს, ადგილს აუცილებლად მივუჩენო, შენს სამფლობელოში აღარ შევაო, — უპასუხა ამირას.

— სად აძოვებ, როცა ირგვლივ, რასაც ხედავ, ყველაფერი ჩემიაო? — ჰკითხა ამირამ.

კვასამ ხარი ტყეში გაუშვა, თვითონ კი შინ დაბრუნდა.

ხარი ბალახს ძოვდა. გავიდა ერთი, ორი, სამი დღე. მომდევნო დღეს, დილით კურდღელი მიუხტა და ეუბნება:

— ხარო, ამას რას შვრები? მთელი ბალახი მოგიძოვია, ეს ბალახი აქ ჩვენთვის ამოდის და ჩვენია. შეგვიბრალე და წადი აქედანო.

ხარმა კისერი კურდღლისკენ მიიბრუნა და ყური გააპარტყუნა, თითქოს ბუზს იგერიებდა. კურდღელს შეეშინდა და გაკურცხლა.

მელამ ამ დროს კურდღელი დაინახა და შეჭმა მოუნდომა. მაგრამ მოშორებით ხარს რომ მოჰკრა თვალი, თავი ანება. ხარისკენ დაიძრნენ მელიები, კურდღლები, დათვები, მოკლედ, ყველა მხეცი იქ მივიდა. ყველა ხარს საყვედურობდა.

მგელმა: — მაგას მე მოვუვლიო.

ეუბნება: — მე რატომ არაფერს მეკითხები, ჩემს უნებურად ჩვენს ტყეში მოსვლა როგორ გაბედეო?!

მგელი ხარს იმ ამირას აგონებდა, მის პატრონს რომ ამცირებდა.

— თქვენი ნებაა, ბატონო, ამირამ ყველა საძოვრიდან გამომაგდო, პატრონმა კი ტყეში შემომაგდო. ამ საერთო საძოვარზე. იფიქრა, რომ აქ მე ისეთივე უფლებები მექნებოდა, როგორც სხვებსა გაქვთ. ტყეები ხომ არავის ეკუთვნის?! მაპატიეთ. არაფერი დამიშავებიაო.

— დააშავე. შენ დიდი დამნაშავე ხარ. პასუხიც ამიტომ უნდა აგოო.

— არაფერი დამიშავებია. და თუ გგონიათ, დავაშავე, გამასამართლეთ.

მგელს ხარისთვის თავის დანებება არ უნდოდა; თავმობეზრებულმა ხარმა ჰკითხა:

— მიბრძანე, მგელო ბატონო, რა დავაშავეო? — მგელმა დანაშაული ვერ მოუძებნა და შარს უდებდა. ბოლოს კი ასე უთხრა:

— ნუთუ შენი ბრალი არ არის, რომ შენი შეჭმა მინდაო?

— თუ ეგრეა, — უთხრა ხარმა, — აქ ნუ შემარცხვენ. შენი მოწმეები აიყვანე და ჩემთან გომურში მოდით, იქ ამისთვის კარგი ადგილია. კარგ დროს გაატარებთ. ჩემთან ერთად ორი თხაც არის და იმათაც შეჭამთო.

მგელი იქ შეკრებილებისაკენ მიბრუნდა და დაიღმუვლა, მათაც იგივეთი უპასუხეს, ეტყობა, ეს ტყის ენაზე თანხმობას ნიშნავდა. წინ ხარი გაუძღვათ, იმას უკან დათვი მისდევდა, მგელი, ტახი, მელია, კურდღელი, ციყვი... ჩამწკრივდნენ.

კვასაგაის გომური მხეცებით აივსო. გაქუცული ხარი იმათ შუაში იდგა და შიშით ცახცახებდა. კვასაგაიმ ეს რომ ნახა, შიგ შევიდა, კარი ჩაკეტა და რკინის კეტით სათითაოდ ყველა ბეგვა და დახოცა. გააძრო ტყავი და მათი ტყავებით ტყაპუჭები შეიკერა.

ამ ტყაპუჭებში გამოწყობილი კვასაგაი აულში თავმომწონედ სეირნობდა. შეხვდა ამირა და შეშურდა:

— ეი, კვასა, ესეთი კარგი ტყაპუჭი სად იშოვეო?

კვასაგაიმ დაწვრილებით მოუყვა, თუ როგორ მიუყვანა მისმა ხარმა მხეცები გომურში. ამირამ ცოლს გადაულაპარაკა:

— ერთ გაქუცულ ხარს ამდენი მხეცის მოყვანა თუ შეუძლია, ჩვენი ხარები — მას კი რვა ხარი ჰყავდა, — უფრო მეტს არ მოიყვანენო.

ამირამ ხარები იმავე ტყეში გარეკა.

გავიდა რამდენიმე დღე. ხარები უკან აღარ დაბრუნდნენ. მიაკითხეს ტყეში და რას ხედავენ?! გზებზე მხოლოდ ძვლები და ჩლიქები ყრია.

— დაიცა, შე წყეულო, კვასა, სამაგიერო გადამიხადე არა?!..

ამირა შინ დაბრუნდა. კვასას დასჯა ბრძანა. კვასა მიხვდა, რომ დასჯიდა, შეჯდა ამირას საუკეთესო ბედაურზე და გაქუსლა.

ამირა მცველებით გამოეკიდა. მირბის კვასა, მისდევს ამირა. კვასა ხედავს, რომ საცაა დაეწევა ამირა. მივიდა მწყემსთან, დიდ ფარას რომ მწყემსავდა, და უთხრა:

— მწყემსო, ხომ ხედავ იმათ, რომ მოდიან, ყაჩაღები არიან. უნდათ მოგკლან და ცხვარი წაასხან. აჰა ცხენი, შეჯექი და იმ ტყეს შეაფარე თავი. მე აქ დავრჩები და ვეტყვი, წისქვილში წავიდა-მეთქი, მოვატყუებ და გზა-კვალს ავუბნევო.

მწყემსმა დაიჯერა. კვასაგაის მიუგდო ბოხოხი, ჯოხი, ფული, შეჯდა ცხენზე და ტყისკენ გაემართა. მივიდა ტყის პირას წყალდაწყალ იარა და მდევრებს კვალი დააკარგვინა. მცველები წისქვილში მივიდნენ, ეძებეს, ეძებეს და კვასაგაის ვერ მიაგნეს.

ეტყობა, მდინარის გავლით ზღვაში გავიდაო, იფიქრა ამირამ. მივიდა ისევ მწყემსთან და ეკითხება:

— საიდან გყავს ამდენი ცხვარი?

— აგერ იმ ზღვიდან გამოვიყვანეო, — უპასუხა.

— ამას ვერ დავიჯერებო, — გაუკვირდა.

მწყემსმა ფიცი-მტკიცი დაიწყო ისე, რომ დაუჯერეს.

— ერთხელ ბანაობა მომინდა და იმ კლდიდან გადავეშვი. წყალში თვალი დავხუჭე, ერთ დიდ ცხვარს რქებში ჩავავლე ხელი, შევჯექი ზედ და, როცა ნაპირზე გამომიყვანა იმ ცხვარმა, თვალი გავახილე და რას ვხედავ?! უკან უამრავი ცხვარი მოგვდევს. როცა იმ ცხვრიდან გადმოვედი, ის ცხვრები, რომლებმაც ნაპირამდე ვერ მოაღწიეს, გაქრნენ. ნაპირს რომლებმაც მოაღწიეს, ისინი ეს ცხვრები არიანო. მე რომ ცხვრიდან არ ჩამოვსულიყავი და უკან არ მიმეხედა, დღემდე წყლიდან ცხვრის ამოსვლა არ დამთავრდებოდაო.

ამ სიტყვების გაგონებაზე ნუკერები და ამირა შურით აივსნენ:

— თუ ასეა, — უთხრა ამირამ თავის მცველებს, — თვალები აიხვიეთ, გადახტით კლდიდან და უკან ნუ მიიხედავთო!

მცველებმა თვალები აიხვიეს. გადახტნენ კლდიდან და დაიხრჩვნენ. ბოხოხები და ტანსაცმელი ამოტივტივდა წყალზე. მიხვდა ამირა, წყლიდან ისინი აღარ ამოვიდოდნენ და მწყემსთან გაიქცა.

— ჩემი მცველები შენ დაღუპე. სასტიკად დაგსჯი, უნამუსო, მე ამირა ვარ!

— ამირა მანამ იყავი, სანამ ამირას ჯარი გყავდა და შენი ბრძანებით, ვისაც გინდა იმას მოკლავდნენ. ბედნიერი დღე დამიდგა, შენ რომ მცველები დაკარგე. აქ ახლა ამირა მე ვარ, ახლა შენს მცველებს მიეწიეო, — უთხრა, ჰკრა ხელი და გადააგდო წყალში.

კვასამ მოძებნა ის მეცხვარე, დაუბრუნა მას ფარა და შინ დაბრუნდა.

ვისაც თვალი სიმდიდრეზე რჩება, ბედი არ ეღირსებაო! — თითქოს გამართლდა ეს ხალხური ანდაზა. ამირა ხელცარიელი დარჩა, — გაიფიქრა კვასამ.

კვასას ახსოვდა ასეთი გამოთქმაც, რაც ამირას დავიწყებოდა, სიკეთეს გადახდა უნდაო. მომცა მე ორი ცხვარი და დამავალა, იარე დუნიაზე და ეს ჩემი ამბავი ქვეყანას გააგებინეო.

ყველას თავისი საქმე აქვს

ერთმანეთის მეზობლად ორი ძაღლი ცხოვრობდა. ერთს რუგანი ერქვა, მეორეს — პარაბი.

ერთხელ რუგანმა პარაბს უთხრა, ჩემთან სტუმრად მობრძანდიო.

პარაბმა უარი უთხრა:

— მე დღეს იმდენი საქმე მაქვს, მოსვლისთვის არა მცალიაო.

— ეგეთი რა საქმე გაქვს, პარაბ? — ჰკითხა რუგანმა.

— ჩემი პატრონი ხვალ შეშის მოსაჭრელად ტყეში მიდის და მე პატრონის წინ უნდა მივრბოდე და ვიყეფოო.

რუგანს არ ეპიტნავა პარაბის ნათქვამი და უთხრა:

— მიზეზებს იგონებ, რაღაცას მიედ-მოედები, როცა გეპატიჟებიან, უარი არ უნდა უთხრაო.

— ე, გინდა ასჯერაც გითხრა, შენ ამას ვერ გაიგებ. ხომ გითხარი, პატრონის გვერდით უნდა ვიყო, ხანაც წინ უნდა მივრბოდე და ვიყეფებოდე. მეტი რა უნდა გითხრაო!

— ეგ რა საქმეა, მარტო ყეფა და ყეფა?!

— ყველას თავისი საქმე აქვს — ჩემი საქმე სწორედ ეგ არის, რომ სულ უნდა ვიყეფებოდეო, — პარაბმა ეს უთხრა და ამის მეტი აღარაფერი.

მარიფათიანი ბელურა

ბელურას, ერთ მშვენიერ დღეს ტყისკენ რომ მიფრინავდა, ერთმა გლეხმა გასძახა:

— ჰეი, ბელურა, კეთილი იყოს შენი მგზავრობა, საით გაგიწევიაო?

— ტყისკენ მივფრინავ, ძიაო. — უპასუხა ბელურამ.

— ტყეში რა გინდაო?

— მორებს შევაგროვებო.
— მორები რად გინდაო?
— სახლს ავაშენებო.
— სახლი რად გინდაო?
— ცოლს მოვიყვანო.
— ცოლი რად გინდაო?
— ხორბალს დამიფქვავსო.
— ფქვილი რად გინდაო?
— ფაფას მოვხარშავო.

ამასობაში ბელურა ტყეში შეფრინდა და, როცა მორებს ჭრიდა, ხიჭვი შეერჭო, ამიტომ ყველაფერს თავი დაანება და უკან, სოფელში გამოფრინდა.

მატას თონესთან მიფრინდა, ჩამოჯდა მატას რძლებთან:

— ჰოი, ლამაზებო, მატას თონესთან რომ ჩამომჯდარხართ, თქვენ გახარებას, ეს ხიჭვი ამომიღეთ ფეხიდანო, — საბრალო ხმით შეეხვეწა ქალებს.

— რა ლამაზები ჩვენა ვართ? მოლას ეზოში შეფრინდი, იქ თონესთან ჩვენზე უფრო ლამაზი რძლები სხედანო.

— ბელურა მოლას ეზოში მიფრინდა. თონესთან ლამაზები ისხდნენ და შესთხოვა:

— ჰოი, ლამაზებო, მოლას ეზოში თონესთან რომ შემომსხდარხართ, რა იქნება, ფეხიდან ხიჭვი ამომიღოთ!

— ჩვენზე უფრო ლამაზები ყაზის რძლები არიან. მიფრინდი იქ, გენაცვალე, ხიჭვს იქ ამოგიღებენო.

„პურრ...“ — დაიძახა ბელურამ და ყაზის შვილების თონესთან დაფრინდა. ეუბნება:

— ჰოი, ლამაზებო, ყაზის ვაჟების თონესთან რომ ჩამომსხდარხართ, თქვენ გახარებას, მოდით, ფეხიდან ეს ხიჭვი ამომიღეთ! არაქათი აღარა მაქვსო.

— ჩვენ რა, ლამაზები ვართ?! მიფრინდი უსტაბაის თონესთან, აი იქ არიან ლამაზი პატარძლებიო.

მეტი რა დარჩენოდა?! ფეხი სულ უფრო აწუხებდა. გაბრაზდა, მიფრინდა და უსტაბაის თონესთან აბუზული დაჯდა.

— ჰოი, ლამაზებო, უსტაბაის თონესთან ჩამომსხდარო რძლებო, ხიჭვი შემერჭო ფეხში, თქვენს გახარებას, ამომიღეთო.

რძლებმა უპასუხეს:

— რა ლამაზები ჩვენა ვართ. ლამაზები გაშბაის თონესთან სხედან. იქ მიფრინდიო.

მიფრინდა ბელურა გაშბაის თონესთან და რძლებს გასძახა:

— ჰეი, ლამაზებო, გაშბაის თონესთან რომ ჩამომსხდარხართ, თქვენ გახარებას, ეს ხიჭვი ამომიღეთ ფეხიდან, ლამის არის მოვკვდეო.

იქ ბელურას ფეხიდან ხიჭვი ამოუღეს და თონეში ჩააგდეს. ხიჭვი დაიწვა. ატყდა ბელურა და აიხირა:

— ან ის ჩემი ხიჭვი მომეცით, ანდა ეგ ერთი თქვენი გამომცხვარი პური უნდა გამატანოთო.

— მოდი და, ამისთანას სიკეთე უყავიო, — გაბრაზდნენ ქალები. აიღეს და ერთი პური მიაშავეს.

პური ბელურამ მწყემსებს მიუტანა. მათთან ერთად იმ პურს ბელურაც შეექცეოდა. ჭამეს, მორჩნენ და ბელურამ ახლა უკვე აქ აიხირა:

— როგორც გინდათ, დამიბრუნეთ ჩემი პური და თუ არ დამიბრუნებთ, მაშინ ერთი ცხვარი უნდა მომცეთო.

— ბელურავ, ამას რაებს ამბობ?! — გაუკვირდათ, — ერთ პურში დიდი თოხლი როგორ უნდა მოგცეთო?!

ბელურამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— მე ეგ არ ვიცი, უნდა მომცეთო.

— ეს რა ხათაბალაში გავეხვიეთო, — იფიქრეს მწყემსებმა. ბოლოს ბელურამ ნისკარტი ჩაავლო ერთ დიდ და მსუქან ცხვარს და გაფრინდა.

ბელურამ ეს ცხვარი ერთ ქორწილში მიიყვანა. მასპინძლებს უთხრა:

— აი, ძმებო, ეს ცხვარი თქვენ მოგიყვანეთ. ნახეთ, რა მსუქანიაო.

ესა თქვა და ქორწილშიც გაერია. შვიდი დღე და შვიდი ღამე ქეიფსა და დროსტარებაში გაატარა. კარგი ჭამა და კარგი სვა. დამთავრდა ქორწილი და ისევ ძველებურად აიჩემა, მასპინძლებს აუხირდა:

— ან ჩემი ცხვარი დამიბრუნეთ, ან იმის მაგიერ ეგ თქვენი პატარძალი მომეციოთო.

— ეგ როგორაო?! — გაუკვირდათ.

ბელურამ დრო იხელთა, ჩაავლო პატარძალს ნისკარტი და ჰაერში გააფრიალა.

გზაში ბელურას ერთი ოსტატი შეხვდა, ჩონგურები გაეკეთებინა და ბაზარში გასაყიდად მიჰქონდა. ის თავისი პატარძალი ბელურამ ოსტატს ჩონგურში გადაუცვალა. ამის შემდეგ აფრინდა მაღალი მთის თავზე, აულთან ახლოს, ჩამოჯდა თუთის ხის კენწეროზე და ჩონგურზე ასე დაამღერა:

„ხიჭვი ფეხში შემერჭო და
ფეხიდან ამოვიღეო,
მერე პურში გადავცვალე,

პური — მსუქან ცხვარშიაო.
ცხვარი — პატარძალშიაო.
ი პატარა პატარძალი —
ამ ჩემ ჩონგურ-ჩონგურ
ჩონგურაშიაო“.

შენ რომელი ბაღდადი* შეგედრება

მთებს შორის, ღრმა ხევში აულის მცხოვრებნი შეკრებილიყვნენ.

არ გვინდა აქ, ამ ორმოში გაჭირვებული ცხოვრება, მოდით, ბაღდადში გადავსახლდეთო.

— მართალიაო, — დაეთანხმა მაღალი, გრძელ და შავჩოხიანი კაცი.

— ამბობენ, იქ ორი შახით ვირს იყიდის კაციო, — თქვა დაბალმა თეთრჩოხიანმა კაცმა.

— ვირს გავყიდით და პირველ ხანებში იმის ფასად როგორმე ვიცხოვრებთო, — თქვა ჯმუხმა, ტყაპუჭიანმა კაცმა.

— მართალია, მართალიაო! — დაიძახა ხალხმა. დაეთანხმნენ და რაც გააჩნდათ, იმ მწირი თანხით ბაღდადის გზას გაუდგნენ.

უკან რჩებოდათ მინდვრები, ტყეები, ბოლოს, როგორც იქნა, ბაღდადს მივიდნენ.

უცხო ადგილები, უცხო ადათები, წეს-ჩვეულებები, გაუგებარი ენა — ყველაფერი საოცარი იყო.

აქ კაცებს ფაფახის მაგიერ ჩალმა ეხურათ, ტყაპუჭისა და ჩოხის მაგიერ თხელი აბრეშუმის კაბა ეცვათ. მსუბუქად დადიოდნენ, დარბოდნენ, მიუხედავად სიცხისა. ჩასულები თბილ ტანსაცმელში იხარშებოდნენ. უხეირო ახალუხის ამარა ყოფნა კი სირცხვილი იყო. შორი გზა ჰქონდათ გამოვლილი, ოფლი ხვითქად გადასდიოდათ.

ირანის ხელისუფლება დაინტერესდა მათი ვინაობით. ეგონათ, ეს შავტუხა ადამიანები ქურთისტანიდან იყვნენ და დაინტერესდნენ მათი უცნაურობით. დამხვდურებმა მათთან სალაპარაკოდ ბევრი კაცი მიიყვანეს, ენების მცოდნეები, მაგრამ არც არაბული, არც სპარსული, არც ქურთული, არც სომხური, არც ინგლისური, არც ფრანგული ჩასულებმა არ იცოდნენ. ბოლოს თათრულ ენაზე დაელაპარაკნენ მხოლოდ მაშინღა გაუგეს რამდენადმე ერთმანეთს. თარჯიმნის დახმარებით მათ ერთი ადგილობრივი ხელისუფალი დაელაპარაკა:

— სხვას ვერაფერს შემოგთავაზებთ, ჩვენი სახელმწიფო მხოლოდ მიცვალებულის დასამარხ ფულს იძლევაო.

მრავალი ხელობა შესთავაზეს და ვერც ერთს ვერ მოერგნენ.

რა უნდა ექნათ, ამოეწურათ სოფლიდან წამოღებული მარაგი. თავი როგორ უნდა გავიტანოთო, წუხდნენ.

— მე ვიცი, როგორცო, — თქვა ერთმა, იბრაგიმმა.

— აბა, გვითხარიო, — უთხრა ერთმა უხუცესმა.

— მაგათ ხომ გვითხრეს, დამარხვის ფულს ვიძლევითო? მოდით და მოვთხოვოთ.

— მაგისთვის მკვდარი უნდა გვყავდეს და დავმარხოთ. გვამი სადა ვნახოთო?

— ვნახავთ და კარგადაც ვნახავთო, — უპასუხა იბრაგიმმა.

— როგორო?

— მორს სუდარა გადავაფაროთ და დავმარხოთ. ხომ არ ამოთხრიან და შეამოწმებენო?

— მართალია, მართალიაო, — დაეთანხმა ყველა.

მართლაც სხვა რა გამოსავალი ჰქონდათ.

ერთხელ დამარხეს, ფული აიღეს. ორჯერ, სამჯერ, ხუთჯერ, ათჯერ, ოცჯერ. ფულსაც იღებდნენ. ცხოვრებას ასე ახერხებდნენ. ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

ახლა ჯერი მიდგა მოგიყვეთ ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ. მათ ნახეს, რომ ბევრი, მართალია, კვდება, მაგრამ სიკვდილით კი არ მცირდებიან, უფრო და უფრო მრავლდებიან. ერთხელაც მივიდნენ და სუდარა ახადეს. ქვეშ მორი ნახეს. გაბრაზდნენ, მატყუარები გაჯოხეს და თავიანთი ქვეყნიდან გაყარეს.

ხალხი ისევ საკუთარ ორმოს დაუბრუნდა. შემოეხვივნენ პანტის ხეს, კოცნიდნენ.

„ჩვენო ხევ, ჩვენო მიწავ, შენ რომელი ბაღდადი გჯობიაო?“

ასე ისწავლეს საკუთარი ქვეყნის ფასი, განუმტკიცდათ სიყვარული. მათთვის რომელი ბაღდადი შეედრებოდა საკუთარ სამშობლოს!

მუქთად გასაღებული სურვილი

„ჩემზე უფრო მოხერხებული, ჩემზე ჭკვიანი არავინ არის; ჩემი მოხერხებულობით შემიძლია ყველა განსაცდელს თავი ავარიდო. ვისაც გინდა, გავაცურებ ისე, რომ იქიდან მართალი ისევ მე გამოვალ. ამ სიტყვებით დასეირნობდა ტყეში ერთი მელა, რომელსაც გარეული კატის იერი ჰქონდა.

გაზაფხულია. ტრიალ მინდორზე ხასხასა ბალახის ხალიჩაა დაფე-

ნილი, ყვავილების სურნელი ადამიანს ათრობს. გაზაფხულის მოალერსე მზე თბილ სხივებს აგზავნის დედამიწაზე, ტყეს ერთიანად ფოთლების კაბა ჩაუცვამს. ამის შემყურე მელას თვალი დიდხანს უშტერდებოდა. დაცუნცულობდა ასეთ სილამაზეში და თავისი ფიქრი და საზრუნავი ჰქონდა. თვალი ფრინველებსა და ქათმებზე რჩებოდა, ტყისპირა სოფლებიდან რომ ისმოდა მათი კრიახი და კაკანი. „ნეტა, ქათმის ხორცით როდის ჩავიტკბარუნებ პირსაო“, და ტუჩებს ილოკავდა.

რას არ ფიქრობდა მელია. დედალს რომ გამოვეკიდო, აკრიახდება, პატრონს გააღვიძებს. სხვა რამე უნდა ვიღონოო.

მელიამ თავი მოიმკვდარუნა, წინა თათებზე მისდო თავი, მოჭუტა თვალი და ქათმის მოლოდინში გაინაბა.

ქათმები საკენკის ძებნა-ძებნაში უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მელიას, სულ ცოტაც და, მელიას გულისნადები აუხდებოდა. ხარბად შესცქეროდა მოჭუტული თვალებიდან მსხვერპლს და ფიქრობდა, კბილი პირველად რომელს გავკრაო.

იმ დროს სხვა ბუჩქთან კატა თაგვს ჩასაფრებოდა. აწურული კატა უცებ გაიშალა და თაგვს გამოუდგა. დაფრთხნენ ქათმები და სოფელში შეცვივდნენ.

მელას თითქოს პირიდან ხორცის ნაჭერი ააცალეს. გაბრაზდა, კატას წყევლა-კრულვა შეუთვალა. გულში ჯავრი ჩაიდო, „კატას სამაგიერო უნდა გადავუხადოო“. ხახამშრალმა ნერწყვმომდგარი ტუჩები გაილოკა და დარდიანი გაეცალა იქაურობას, თან დაგრძელებულ კუდს დაღლილობისაგან მიწაზე მიათრევდა.

ერთხელ მელა ხშირ ტყეში მოსერინე კატას გადააწყდა. კატას შეეშინდა და მაშინვე ხეზე აძვრა. შიშისაგან ცახცახებდა. ახსოვდა მაშინდელი ამბავი, მელა რომ ხელცარიელი დატოვა, მელიასაც კარგად ახსოვდა, როგორ დაუფრთხო კატამ ქათმები და გემოზე უნდოდა დაებეგვა. გადაწყვიტა, ხერხი ეხმარა, უთხრა:

— ჩემო კარგო ფისო, ვკვდები, მუცელი მგვრემს, — მელია ხან ეცემოდა, ხან დგებოდა, დარბოდა, იწლაწნებოდა, — მიშველე, ერთი შენებურად, შენი თათებით დამზილეო, — ამბობდა და კატას ქვემოდან საბრალოდ შესცქეროდა. ვინმეს რომ შორიდან ენახა, მელიის ტყუილს ადვილად დაიჯერებდა.

— კატავ, ძმაო, საყვარელო, მალე ქენი, ვკვდები, ჩამო, დამეხმარე, ვაი, ვაი, მუცელი... ვკვდები, — არ ჩერდებოდა მელია.

— ვიცი შენი მზაკვრობა, გინდა მაშინ ქათმები რომ დაგიფრთხე, იმის სამაგიერო გადამიხადო.

— ფისო, ძვირფასო, ჩვენ ხომ ნათესავები ვართ. ეგ რა ფიქრი მოგს-

ვლია. შენ რომ დაგინახე, ამაზე უკეთესი ჩემთვის არავინაა-მეთქი, ვიფიქრე.

— დაიკო, შენი ნდობა როგორ იქნება?

— იქნება, იქნება, დამიჯერე. ძალიან მომწონხარ. გაჭირვებაში ერთმანეთს არ უნდა გამოვადგეთ? ვაი, ვაი, როგორა მტკივა, ჩამო რა, ფისო.

კატამ იფიქრა, აბეზარი მელია თავიდან როგორ მოვიშოროო. რა თქმა უნდა, მელიას ნათქვამი არა სჯეროდა.

— თუ ასეა, ჩამოვალ, დაგიზელავ მუცელს, გიმკურნალებ, — დაამშვიდა მელია.

კატა მელიას გაეცალა, გაიქცა.

მელია კატაზე უფრო გაჯავრდა.

— მოდი, კაცო, კატავ, ვკვდები, ხომ ხედავ, დამეხმარე.

— არა, ქალბატონო, მე შენ ვერაფრით დაგეხმარები. მე რა ექიმი მნახე?! გინდა თათებში ჩაგივარდე? რომ მოგარჩინოს, სხვა ექიმი მოძებნე, — ეს უთხრა და კატა გზას გაუდგა. მელიას ბრაზის ცეცხლი უნათებდა თვალებს. მელა მიხვდა, რომ მის ტყუილს ყავლი გასული ჰქონდა, არავის სჯეროდა მისი და სხვა რამ უნდა ეღონა.

მელიამ დიდხანს იყიალა, სანამ კოლმეურნეობის ქათმის ფერმამდე არ მივიდა. რამდენიმე შავი წიწილა იოლად იგდო თათებში. გემოზე გავძღებიო, ფიქრობდა და მზის გულზე წამოკოტრიალდა.

ფიქრობდა, ერთ წიწილასაც დავითრევ, პირს ჩავიკოკლოზინებო. იქნებ, ხვალისთვის შევინახო, დღეს ზედმეტიც კი მომივაო. თან ფეხაკრეფით მიიპარებოდა ფერმისკენ.

თურმე იქ ძაღლები არა ჰყოლიათ?! მელიას ძაღლები გარს შემოერტყნენ. ვიღას ახსოვდა ხერხი და ეშმაკობა?! სიკვდილის წინ, სიცოცხლის ბოლო წამს ისღა იფიქრა, მართალი ყოფილან „დღევანდელი კვერცხი თუ წიწილა, ხვალინდელ ქათამს გერჩივნოსო“, რომ ამბობენ.

ორი სტუმარი

იყო და არა იყო რა, ერთ სამეფოში, ერთ არაფრით გამორჩეულ სოფელში იყო ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი. ლუკმაპურის საშოვნად სოფელ-სოფელ დაეხეტებოდა. ერთხელ იმ სოფელში ამოყო თავი, სადაც მისი ძმადნაფიცი ცხოვრობდა.

ძმადნაფიცს არა უჭირდა რა, ოჯახი სავსე ჰქონდა, მაგრამ თვითონ ძუნწი და წუწურაქი იყო.

სადილად რომ დასხდნენ, სუფრაზე ისეთი სიფრიფანა მჭადი მიიტანა, ერთ მხარეს რომ შეგებერა, ჰაერი მეორე მხარეს გავიდოდა, მჭადთან ყველი მიიტანა, ყველი ხმელი და მლაშე, მარილკვერივით.

„ბისმილაჰ",* თქვეს და ჭამას შეუდგნენ. სტუმარს უკვირდა, მასპინძელი პირში ლუკმას როგორც კი ჩაიდებდა, „ბისმილაჰ"-ს ზედ აყოლებდა. სანამ სტუმარი გონს მოვიდოდა, მასპინძელმა, რაც სუფრაზე იყო, გადაჭამა. სტუმარი როგორი მშიერიც მიუჯდა სუფრას, ისეთივე მშიერი წამოდგა. სტუმარი შინ ნაწყენი დაბრუნდა და იმას ფიქრობდა, სამაგიერო რითი გადავუხადოო.

გავიდა დრო და წუწურაქი იმ ღარიბი კაცის სოფელში მოხვდა. ღარიბმა სუფრა გაუშალა და, რაც კი ჰქონდა, სუფრაზე მიიტანა. ახსოვდა, როგორ დასცინა ახლანდელმა სტუმარმა მაშინ და „ბისმალაჰის" მაგივრად, ყოველი ლუკმის პირში ჩადებისას „ჰავ-ჰავს" გაიძახოდა.

— „ჰავ-ჰავ"-ი რას ნიშნავს? — ჰკითხა სტუმარმა, — არ გეწყინოს, სუფრასთან ყეფა რას ნიშნავს. სხვა, ჩემს ადგილზე, დაგცინებდაო.

— სულაც არა, — უპასუხა ღარიბმა, — ვინ დამცინებს. დასაცინი ისაა, ვინც ცარიელ სუფრასთან დასვამს სტუმარს, „ბისმალაჰს" შემოსძახებს წამდაუწუმ და მშიერ სტუმარს სუფრასთან უხეირო მასპინძლობით, ალაჰის ხსენებით, ამარხულებსო.

ვინ უფრო სულელია?

ერთ სოფელში სამი მოლა იყო. როცა მეზობელ სოფელში რაღაცისთვის მიდიოდნენ, ვიღაცა კაცი მიესალმა. თითოეულს ეგონა, საკუთრივ მე მომესალმაო.

— ის კაცი მე მომესალმაო, — თქვა ერთმა.

— ის კაცი მხოლოდ მე მომესალმაო, — თქვა მეორემ.

— არა, — თქვა მესამემ, — ის მე მომესალმაო.

მოჰყვნენ კამათს.

— მოდით, იმ კაცს ვკითხოთ, ვინც მოგვესალმა, — როგორც იქნა, მიხვდა ერთი. სხვებიც დაეთანხმნენ. დაუძახეს იმ კაცს და ჰკითხეს:

— ჩვენს შორის ვის მიესალმეო?

მიხვდა კაცი, რატომაც ჰკითხეს ეს და დაცინვით უპასუხა:

— თქვენს შორის ყველაზე ყეყეჩს მივესალმეო. აბა, ვინ არის ყველაზე სულელი თქვენს შორისო?

ერთ-ერთმა ასე დაიწყო: ერთხელ, როცა გაკვეთილს ვატარებდი,

ერთმა მოწაფემ მითხრა, მიტკლის ფერი გადევსო, მეორემ — თვალებქვეშ ჩაგლურჯებიაო, სხვამ — ფეხზე ძლივს დგახარო. მაშინ ერთი ანდაზა გამახსენდა: სამმა კაცმა თუ გითხრა ბრმა ხარო, კედელ-კედელ უნდა იაროო, ფეხი რომ არაფერს წამოჰკრაო. ხოდა, მეც ფეხი წამოვკარი და დავვარდი.

მოსწავლეებმა ამაყენეს, შინ მიმიყვანეს. ლოგინში ჩამაწვინეს, ცოლმა სადილი მოამზადა. ავადმყოფისათვის ტოლმა გაახვია და წინ დამიდგა. ავადმყოფი კაცი უცებ ხომ ვერ შევჭამდი? პირი არ დავაკარე, თუმცა ძალიან მშიოდა. მხოლოდ მაშინ, ცოლი საქონლის მისახედად რომ გავიდა, ჩუმად მივეპარე და მალულად ვჭამე.

პირში ტოლმის ლუკმა რომ ჩავიდე, შემოსასვლელიდან ხმები მომესმა. ჩემს სანახავად ხალხი მოდიოდა. პირში ცხელი ტოლმა მიდევს, დავწექი და საბანი წავიხურე.

ავადმყოფის სანახავად მოსულებმა მითხრეს, რომ ცალი ლოყაც დასიებული მაქვს. აუცილებელია ექიმბაშის მოყვანაო.

მოიყვანეს ექიმბაში. იმან, ისე რომ არაფერი უკითხავს, დაადგინა, რომ ეს სიმსივნეა და სიმსივნე ყელზეც თუ გადავა, მაშინ მოლას სიკვდილი არ ასცდებაო.

მეც შემეშინდა. ნება დავრთე ამოეკვეთა. ექიმბაშების ამბავი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ ეტყვი თითი მტკივაო, მაშინვე — უნდა მოვკვეთოთო, იტყვიან, რათა რაც შეიძლება მეტი ფული აგაფცქვნან.

ლოყა გადაჭრა, იქიდან ვაზის ფოთოლი ამოიღო, ბრინჯიცა და ხორციც ამოაყოლა. შემდეგ შეკერა. აი, ხომ ხედავთ, მაშინდელი ნაწიბური როგორ მეტყობა, — დაამთავრა სათქმელი ამ მოლამ.

— მართალი ხარ. ახლა მოდით, მოისმინეთ რა სულელური ამბავი გადამხდა: ერთხელ გავცივდი, გაკვეთილის დროს ცემინება ამიტყდა, ხშირ-ხშირად ვაცემინებდი. მოსწავლეები მეუბნებოდნენ, იცოცხლეო. დამთავრდა მეცადინეობა. მოსწავლეებს დავავალე, როცა დავაცემინებ, არაფერი მითხრათ, ტაში შემოჰკარითო.

დამიჯერეს.

ერთხელაც, როცა მეცადინეობა ტარდებოდა, ცოლმა მოირბინა და შემომყვირა: „ჩვენი შავი ქათამი ჭაში ჩავარდაო".

ყველა ჩემი მოწაფე თან წავიყვანე. შემომარტყეს ქამარი და ჩამიშვეს ჭაში. დავაცემინე, ზემოთ ტაში არ დამიკრეს. ვიფიქრე, ეს შტერები, მე არაფრად მაგდებენ, თუ რა-მეთქი?" და გავბრაზდი.

„ამომიყვანეთ", — ვყვირი. ვაგინებ. ამომიყვანეს ზევით. სათითაოდ ყველას სილა გავაწანი და ვეკითხები: „დაყრუვდით, დავაცემინე, თქვენ კი ტაში არ დამიკარით-მეთქი.

ისევ ჩავედი წელზე ქამრით ჭაში. ჭაში ისევ დავაცემინე. მოსწავლეებმა ტაში შემოჰკრეს და ჭის კედლებს მივენარცხე და ჭის ფსკერზე აღმოვჩნდი. თავი ნაწილ-ნაწილ დამემსხვრა ისე, როგორც ქოთანი დაიმტვრევა ხოლმე. ნახეთ, ნაწიბურები როგორ მეტყობა.

— გეყოფათ, თქვენი ნათქვამი არც ისე ტუტუცურია. ახლა ჩემი ამბავი მოისმინეთ:

— ერთხელ ჭასთან მივედი და ჩავიხედე. ვხედავ, შიგ ვიღაც ზის და ზევით იყურება. ყურადღებით მიყურებს. წავედი და ჩემს მოსწავლეებს მოვუყევი ამის შესახებ.

მათ ჯოხებს ხელი წამოავლეს და ჭასთან წამომყვნენ. თავიდან მაშინვე შიგ ჩასვლა და ანგარიშის გასწორება ინდომეს.

— თავი დაანებეთ, — ვუთხარი, — მაგას მე მოვუვლი. როცა თავს გარეთ გამოჰყოფს, მაშინ დაუშინეთ ეგ ჯოხები.

ესა ვთქვი და ჭაში ჩავედი. ბევრი ვეძებე, ვეძებე და ვერ ვიპოვე. ზევით ამოვცურე და ამოსვლა მოვინდომე. უცებ თავში ჯოხები მომხვდა. ისევ წყალში ჩავხტი, წყალქვეშ. პირს რომ გავაღებდი, ვიხრჩობოდი. თავს ამოვყოფდი და ისევ თავში ჯოხი მხვდებოდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მაშინ ჩემი ცოლი მიხვდა, რაც ხდებოდა და იყვირა: რას შვრებით, ქმარს მიკლავთო?! და ჩაეყუდა ჭაში, ხელი მკლავში მომკიდა, ზევით ამათრია და გადამარჩინა.

— აბა განსაჯეთ, ჩვენს შორის ვინ უფრო სულელია?

— რა გითხრათ, ყველანი კარგა სულელები ყოფილხართ, ყველას ერთად მოგესალმეთ.

ასე ორჭოფული პასუხით მიატოვა მოლები და გაეცალა. უკმაყოფილო მოლებმა ერთმანეთს გადახედეს. ფეხიც არ მოიცვალეს. მე კი უკან დავბრუნდი.

ვინც გაბრაზდება, ცხვირს სჭრიან

იყო ერთი ღარიბი კაცი, ჰყავდა სამი ვაჟი. უფროსს ქერიმი ერქვა, შუათანას — სალიმი, უმცროსს — პირიმი. მამა რომ გარდაიცვალა, მაშინვე გაიყარნენ. ქონება, მემკვიდრეობა შვილებს დარჩათ. მალე იქიდან აღარაფერი დარჩა. შეიკრიბნენ შვილები და ითათბირეს, როგორ უნდა ეცხოვრათ.

— წავალ, ვივლი ქვეყნიდან ქვეყანაში, ეგებ ჩვენთვის სარჩო-საბადებელი ვიპოვო, თქვენ კი ჯერჯერობით შინ დარჩითო, — თქვა უფროსმა ძმამ და გზას გაუდგა.

ერთ სოფელში ამოყო თავი. იქ დიდი ცხვრის ფარების, რემებისა და ჯოგების პატრონი მდიდარი კაცი ცხოვრობდა. მას ბევრი ყმა, მოჯამაგირე-აზატი ემსახურებოდა. ეს რომ გაიგო, ქერიმმა ბედი მასთან სამსახურში სცადა.

— იცოდე, — უთხრა მდიდარმა, — მოჯამაგირედ აგიყვან. ვნახავ, როგორ იშრომებ და იმის მიხედვით გადაგიხდი, ოღონდ ერთი პირობით: რაც არ უნდა მოხდეს, ერთმანეთისგან არაფერი უნდა გვეწყინოს და თუ რომელიმეს ეწყინება, იმას ცხვირს მოვაჭრითო.

— თანახმა ვარო, — უპასუხა ქერიმმა. ვერ მიხვდა, ამით მდიდარს რა უნდოდა.

დილაადრიან, მომდევნო დღეს, ქერიმი გააღვიძეს. ხარები მიაბარეს და სახნავად გაგზავნეს. შუადღისას ძალიან მოშივდა, დილითაც პირში ლუკმა არ ჩაედო. ელოდა, როდის მიუტანდნენ სადილს.

მზე ჩადიოდა და ბეგისგან სადილი მაინც არავის მიჰქონდა. ქერიმს გაუკვირდა, აღშფოთდა, რადგან ძალიან დაიღალა და ძალიან მოშივდა. მაგრამ ბეგთან დადებული პირობა გაახსენდა, ბრაზი გულში ჩაიმარხა, ძალა მოიკრიბა და ისევ მუშაობას შეუდგა.

ღამდებოდა. არავინ არაფერს აჭმევდა. ფეხებს ძლივს მიათრევდა, დალასლასებდა. ხარები გამოხსნა და დააბინავა. გაბრაზებული და უკმაყოფილო მიბრუნდა სოფელში. შევიდა ბეგთან. ბეგმა გაჯავრებით შეხედა ქერიმს და ჰკითხა; „რა ხდება, მგონი, უკმაყოფილო ხარ. ჩემგან ხომ არაფერი გეწყინაო?"

ქერიმს ყველაფერი გადაავიწყდა შიმშილისაგან და უპასუხა:

— ოჯახქორო, სხვისი ოფლით ნაშოვნი ქონება ოხრადა გაქვს. როგორი ძუნწი ყოფილხარ. ეგ ქონება სიკვდილში მოგხმარდესო.

— შენ ჩემზე გაბრაზებული ყოფილხარ, მაშ ცხვირი უნდა მოგაჭრათო, — თქვა თავგასულმა ბეგმა და მსახურებს მისი დასჯა უბრძანა. მსახურებმა ქერიმი მოკლეს.

მოდით ახლა ქერიმის მოლოდინში შინ დარჩენილ ძმებს მივუბრუნდეთ — სელიმსა და პირიმს. წელიწადი სრულდებოდა უფროსი ძმის შინიდან წასვლის შემდეგ. ამიტომ ახლა სამუშაოდ, უფროსი ძმის კვალზე, სელიმი წავიდა.

სამწუხაროდ, სელიმსაც იგივე გადახდა თავს. ისიც იმ მდიდარ კაცთან მოხვდა მოჯამაგირედ, იგივე იყო პირობაც, ისიც იმავე პირობის გატეხვის გამო მოკლეს. ამიტომ არც ის დაბრუნებულა შინ.

ორი ძმა შინ რომ არ დაბრუნდა, მათგან არაფერი რომ არ ისმოდა, პირიმი ჩაფიქრდა, ბევრი იდარდა: „ნუთუ ჩემმა ძმებმა ფული იშოვეს და

მე გაჭირვებაში მიმატოვესო? იქნებ, აღარც კი ვახსოვარო? ანდა, იქნებ ხიფათი რამ შეემთხვათო? ვის შეუძლია გამაგებინოს, რა მოხდა?"

რომ დარწმუნდა, ბევრი ფიქრით საქმეს ვერ უშველიდა, პირიმიც ძმების კვალს გაჰყვა და შინიდან წავიდა.

საოცარია, მანაც იმ გზით იარა, ისიც იქ მივიდა თუ აღმოჩნდა, სადაც მისი ძმები იყვნენ მისულნი. იმავე სისხლისმსმელი ბეგის მოჯამაგირედ.

— იცოდე, — გააფრთხილა ბეგმა, — ჩემი პირობა ასეთია, ვნახავ, როგორც იმუშავებ, შრომის საფასურს ისე გადაგიხდი. ოღონდ ჩვენს შორის თანხმობა და მშვიდობა უნდა იყოს. ამიტომ ჩვენს შორის თუ ვინმე განაწყენდება, ცხვირი მოეჭრებაო.

— კარგი, — გაიფიქრა პირიმმა, — ეტყობა, ჩემს ძმებს ამან გამოუყვანა წირვაო. ფრთხილად უნდა ვიყო და ჭკუით ვაჯობოო.

ეს, რაც ვთქვით, იფიქრა, სიტყვით კი მშვიდად უთხრა:

— თანახმა ვარ მაგ პირობაზე, გაბრაზება რა საკადრისია?! ხვალისთვის რას მიბრძანებო?

— ხვალ ხარებს შეაბამ და მიწას მოხნავო.

— მზად ვარო, — უპასუხა ვაჟმა და მისთვის მიჩენილ ოთახში შევიდა.

მეორე დღეს ხარები გამორეკა და მიწის ხვნას შეუდგა. მზე შუბის წვერზე რომ ავიდა, სადილის მოლოდინში, აპეურები დახსნა და ხარები საძოვარზე გაუშვა. თავად წამოწვა და დაისვენა. ლოდინით რომ დაიღალა, ხარები კლდიდან გადაჩეხა და სტვენა-სტვენით სოფლისკენ წავიდა.

— ასე მალე საქმეს როგორ მორჩი? მე შენთვის სადილი უნდა გამომეგზავნაო, — თან ცდილობდა ბრაზი დაემალა.

— მინდორში ყოფნა მომწყინდა, ბეგო, — ხუმრობითა თუ დაცინვით უპასუხა პირიმმა.

— ხარები სად არიანო?

— კლდიდან გადავჩეხე. ხომ არაფერი გეწყინა, ბეგო?

ბეგი გაბრაზებას მალავდა და უთხრა:

— არა, საწყენი აქ რა არისო? — ძალით გაიცინა. თან იმას ფიქრობდა, ჯავრი როგორ ვიყაროო.

მომდევნო დღესაც უღელში შეაბა ხარები და სახნავად წავიდა. ამჯერად პირიმი სადილობას არც კი დაელოდა. ხარები ისევ კლდიდან გადაჩეხა და სოფელში მხიარულად დაბრუნდა.

ბეგმა იფიქრა: „ამ ბიჭმა ისევ რაღაც ოინი მიყოო." ისევ მალავდა გაბრაზებას. ჰკითხა:

— ხარები რა უყავი, რატომ არ მორეკეო?

— ნუ გამიბრაზდები, ბატონო, ეს ხარებიც იმ ხარებს გაჰყვნენ, გუშინ

კლდიდან რომ გადავჩეხეო. ასე ვუთხარი: „თქვენს პატრონს არაფერში არგიხართ-მეთქი“. მე ცუდად ვიმუშავე, მაგრამ შენ მაინც ნუ გამიბრაზდები.

— არა, არა უშავს. ეტყობა, ეგ ყოფილა მაგათი წერა. გაბრაზებით არაფერი ეშველებაო, — თქვა ბატონმა, თუმცა ბრაზით გული ლამის გასკდომოდა. ერთი ფიქრი აწუხებდა, ეს კაცი როგორმე თავიდან უნდა მოვიშოროო.

მესამე დღეს ბატონმა პირიმი ცხვრის სამწყემსად მთაში გაგზავნა. სალამურზე დაკვრით წაასხა ცხვარი. ერთი კარგად დაისვენა. მერე აქლემების ქარავანი დაინახა. მიხვდა, რომ ვაჭრები იქნებოდნენ. გაესაუბრა ვაჭრებს და გაიგო, რომ ვაჭრებს ცხვრის ყიდვა შეეძლოთ.

— ძალიან კარგი, — თქვა პირმმა, — ამ ფარიდან რამდენიც გინდათ, იმდენი ცხვარი ამოირჩიეთო.

— რას აფასებო? — ჰკითხეს ვაჭრებმა.

— რასაც მომცემთ, მადლობას გეტყვითო.

გუნებაში ვაჭრები ფიქრობდენ, ეს ან ძალიან კეთილია, ან გულუხვი, ანდა სულელიო. ერთმანეთს ბევრი კარგი სიტყვა უთხრეს, აქეს და ბოლოს შეთანხმდნენ. გამოართვა ფული მეცხვარემ და ცხვრის ფარისაგან გათავისუფლდა. დარჩა რამდენიმე ცხვარი და ფარის ნარჩენით გახარებული სოფელში დაბრუნდა.

— რა ხდება, პირიმ, დანარჩენი ცხვარი რა უყავიო? — ჰკითხა ბატონმა.

— ვაჭრებს მივყიდე ბევრი ცხვარი. ფული ჯიბეში მაქვს. ხომ არაფერი გეწყინაო?

— შე ურჯულო, შე უნამუსო, ჩემთან საიდან მოხვედიო, — ამის თქმა იყო და პირიმმა დაიძახა: „გაბრაზდი, არა, ბატონო! ხომ კარგად გახსოვს რა პირობით მიმიღე მოჯამაგირედ? ხომ არ დაგავიწყდაო.

იქვე ცული ეგდო, ხელი წამოავლო იმას, დაიძახა: „მითხარი ჩემს ძმებს რა მოუვიდათ? რაც იმათ უყავი, იმას გიზამ შენცო“ და ბატონი ნაჭერ-ნაჭერ აკუწა.

მერე სხვა მსახურებიც გაათავისუფლა, აიღო იმდენი ქონება, რაც სჭირდებოდა, წავიდა და თან წაიღო თავის სოფელში. იცხოვრა გაუჭირვებლად და უზრუნველად.

ცოლი რომ გარდაეცვალა, მამამ შვილის მოსავლელად უნათესავო ქალი შეირთო. თავიდან ის ქალი კეთილი იყო, გულისხმიერი. გავიდა დრო, მანაც ერთი გოგო გააჩინა და ისეთი ავი გახდა, როგორც კრუხი.

მთელ დროს საკუთარ ქალს ანდომებდა, გერისთვის კი ცივი, სლიპინა გველი იყო. გლეხს უნდოდა საქმე მშვიდობიანად მოეგვარებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

— სანამ ჩემი მტერი, შენი შვილი ამ ოჯახშია, ჩხუბი და აყალმაყალი არ მორჩება. თუ არ გინდა ვიჩხუბოთ, თვალიდან მომაშორეო!

— რა უნდა ვქნა, ჩემი შვილია, ხომ არ მოვკლავ, გასაზრდელი მყავსო, — უთხრა ქმარმა.

— ნუ მოკლავ. რაც გინდა, ის ქენი. ოღონდ მომაშორე. მიაბარე ვინმეს გასაზრდელად, დერბენდში წაიყვანე, პატარა ბავშვებს ხელზე მოსამსახურეებად ღებულობენ იქ. როგორც გინდა, ისე მომაშორე. მაგას რომ დავინახავ, საქმე მიფუჭდება, პური ვერ მიჭამიაო.

წაიყვანა მამამ შვილი და წავიდნენ. პატარა ბავშვს ფეხით სიარული უჭირდა, წამდაუწუმ ზურგზე იკიდებდა. ბოლოს ურემი წამოეწიათ და ურმით გააგრძელეს გზა დერბენდამდე.

გოგონა ძალიან პატარა იყო და ყველა ოჯახიდან უარით ისტუმრებდნენ, მოსამსახურედ არ იყვანდნენ.

რა ვქნაო? — იფიქრა მამამ. შვილი ხელში აიყვანა და დარდიანი გზას გაუდგა. შინ თუ მივიყვან, ცოლი ისევ დაამცირებს, მეორე მხრივ, ცოდოა აქ უპატრონოდ დავაგდოო. ჩაფიქრდა ხის ძირას მჯდარი. დაღლილმა გოგონამ მამის მკლავზე თავი დადო და დაიძინა.

იქ მინდვრად ლამაზი ბაღები იყო გაშენებული, ლამაზი იყო მთები. პატარ-პატარა აულები. მამას ფიქრმა გაუელვა. მივატოვებ აქ, ადგება, სადმე სოფელში მივა, შეიბრალებენ, შეიფარებენო. ბავშვს რომ არ გაღვიძებოდა, ჩოხას სახელო მოაჭრა, ბავშვი მიატოვა ჩოხის სახელოზე ჩაძინებული და შინ დაბრუნდა.

ბავშვმა გაიღვიძა. ეძახის მამას და ეძებს. შეხვდა ერთი ქალი, საბრალო გოგონა შეეცოდა და სოფელში თან წაიყვანა. იმ სოფელში მაშინ ქორწილი იყო, მუსიკა და სიმღერები. იმ ქალის ოჯახში პური აჭამეს, ჩააცვეს, დაახურეს და იშვილეს.

ეს სოფელი ბეგების ძალადობისაგან გამოქცეული გლეხების აშენებული იყო.

— გინდა, ჩვენთან დარჩი, თუ ჩვენთან არ გინდა, შეგიძლია შინ დაბრუნდე.

— შინ წამიყვანეთ. მამას ვნახავ. დედინაცვალი თუ გაბრაზდება, რაღაცას მოვახერხებ. თქვენისთანა კეთილი ადამიანები რომ გავიცანი, ახლა აღარაფრის მეშინიაო, — უპასუხა გოგომ.

— თუ ასე გინდა, — თქვა იქაური ჯამაათის უფროსმა, — შეგიძლია წახვიდე. ოღონდ, შვილო, თუ იქ ვერ გაძლებ, დაბრუნდი და მიგიღებთ. როცა არ უნდა მოხვიდე, სიხარულით შეგხვდებითო.

იმ ქალმა, ბავშვი რომ იპოვა, გააცილა გოგონა და ხელით აჩვენა მისი აული, სადაც მამამისი ცხოვრობდა. იქ მცხოვრებ აქსაკალებს* შეატყობინეს, თუ რა პირობით გაუშვეს გოგონა თავის აულში.

ენების მცოდნეები

ორი მეგობარი — ბალი და გაბალი სამოგზაუროდ დერბენდს წავიდნენ. საკმაო გზა გაიარეს და ერთმანეთს ეუბნებიან, ჩვენ იქ რომ მივალთ, მათი ენა — თურქული, არ ვიცით და თავს როგორ გავიტანთო.

— მე რაღაც ვიცი, — თქვა ერთმა.

— აბა რამე მითხარიო, — უთხრა მეორემ.

— მენ,* მენ, მენ, — თქვა გაბალმა.

— „მენ“ რას ნიშნავს? რაღაცა მეც ვიციო.

— თქვი, რა იცი.

— ქეიფ იჩუნ.*

— ქეიფ იჩუნ ხომ მეც ვიცი, ჩვენს ენაზეა.

— არა, თურქულია. მასწავლებელმა მითხრა.

— რახან იმან თქვა, თურქულია. არ დაგავიწყდეს, ეს სიტყვაც დაგვჭირდება.

— მეტი არაფერი იცი?

— რომ მცოდნოდა, გეტყოდი.

— იქნებ, რამე გაგახსენდეს.

— ბელი.* მგონი, ესეც თურქულია.

— მაშ, ეგეც არ დაგავიწყდეს.

— კარგი, — დაეთანხმა მეგობარი, — მართალია, ცოტაა, მაგრამ მაინც რაღაც თურქული სიტყვები ვიცით. როგორმე თავს გავიტანთო.

გახარებულებმა გზა განაგრძეს. ბევრი იარეს, უკან მთები და მინდვრები მოიტოვეს. ერთ ტრიალ მდელოზე გავიდნენ, მდელოს მარილიანი ველი ერქვა. იქ წვეთი რა არის, ერთი წვეთი წყალიც სანატრელი იყო.

მიაბიჯებენ ტრიალ ველზე. თბილი დღეა. გარშემო სიჩუმე. ისეთი დაღლილები არიან, არაქათი აღარა აქვთ.

გზის პირას რაღაც შენიშნეს. შენიშნა თუ არა, ბალმა დაიძახა:

— ეს რა არის?

გაბალმა ისე შეხედა იმ რაღაცას, როგორც ცხენი შეხედავდა გზად შემოყრილ მგელს. უყურა, უყურა და დაადგინა, შიგ რაღაც უნდა იყოსო.

— რაც არ უნდა იყოს, გამოგვადგება. მოდი ახლოს მივიდეთო.

მიირბინეს. ნეტა რა უნდა იყოსო? ტომარა სავსე ოქროთი, ან ხორბლით, ეგებ ხურჯინია ყველით სავსე? მიუახლოვდნენ. ხედავენ, კაცი გდია. არ ინძრევა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. ჯერ ერთმა დაადო ყური.

— მკვდარია.

მეორემაც დაადო ყური, არ სუნთქავდა:

— მკვდარია.

რა ვქნათ? მივატოვოთ? ეგრე როგორ შეიძლება? ამას ფიქრობდნენ და სწორედ მაშინ ქალაქის მხრიდან მომავალი ცხენოსანი წაადგათ თავს. მეგობრებმა მისულს შეხედეს. მისულმა თურქულ ენაზე ჰკითხა:

— ვინ მოკლა?

ბალმა და გაბალმა ერთმანეთს შეხედეს.

— ვინ მოკლა ეს კაცი? — ისევ თურქულად იკითხა.

მეგობრებმა ისევ შეხედეს ერთმანეთს.

— ეს კაცი დერბენდიდან უნდა მოდიოდეს, ალბათ თურქულად გველაპარაკებაო, — იფიქრა გაბალმა და, რომ მისთვის რაღაც თურქულადვე ეთქვა, უთხრა:

— მენ.

— რატომო? — იკითხა თურქმა თურქულად.

მეგობრებმა ისევ გადახედეს ერთმანეთს. ბალსაც რაიმეს თქმა მოუნდა და მანაც:

— მენო.

— რატომ? — ისევ იკითხა თურქმა თურქულად.

— ქეიფ იჩუნო, — ანუ სიამოვნებისთვისო, თურქულად უპასუხეს.

—სიამოვნებისთვის კაცის მოკვლა ვის გაუგიაო! — გაუკვირდა.

— ბელი, — იყო პასუხი, რაც თურქულად „დიახ"-ს ნიშნავდა.

როგორც ნახეთ, რას ამბობდნენ, რას პასუხობდნენ, თავად არაფერი იცოდნენ. ისე კი გამოვიდა, რომ კაცის მოკვლა დაიბრალეს. ამ დროს ცხენზე შემჯდარი ორი ჟანდარმიც გამოჩნდა. ნახეს გვამი და გაუკვირდათ. პირველმა მისულმა ერთ-ერთ ჟანდარმს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ამის შემდეგ ჟანდარმებმა ბალს და გაბალს ხელები შეუკრეს და დერბენდში მიიყვანეს. დიდი ჭიშკარი გააღეს, ეზოში შევიდნენ. ეზოს მაღალი გალავანი ჰქონდა შემორტყმული. ის ჟანდარმები იმის მეტად აღარ გამოჩენილან.

ბნელია ეზო. ბნელია დერეფნები. მათ წინ ბევრი კარი გაიღო. მეგობრებმა იფიქრეს, ვიღაც მდიდარი კაცის თავლააო. ვერ ხვდებოდნენ, რომ ციხეში მოხვდნენ. კარს უკან იყვნენ დამწყვდეულნი და ვერაფერს მიმხვდარიყვნენ.

ორ დღეს რაღაცას ეკითხებოდნენ. შემდეგ თარჯიმანი მოიყვანეს ამბის დასაზუსტებლად. დააზუსტეს, მართალი გაიგეს და კარში გაყარეს. ქუჩაში აღმოჩნდნენ.

გაშტერებული დაეხეტებოდნენ ქუჩებში. ბოლოს დიდ ბაზარში ამოყვეს თავი. ბაზარი უღრან ტყეს ჰგავდა, გავლა ჭირდა. ერთმანეთი დაკარგეს.

რა ვქნათ ახლა? ენა ჩვენ არ ვიცით. თუ, რაც ვიცით, იმას ვიტყვით, ისევ დაგვიჭერენ და ხათაბალაში გავეხვევით. ცალ-ცალკე ჩუმად დადიოდნენ, ერთმანეთს ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. სიარულისაგან ქანცი რომ გაუწყდა, გაბელმა დაიყვირა:

— ეი ბალ, ეი ბალ, ეი ბალ!

ბალი შორს იყო, ხმა ვერ მისწვდებოდა.

„ბალი" თურქულად თაფლია. ზოგს ეგონა, გიჟიაო, ზოგს — თაფლს ჰყიდისო და აედევნენ. ვინც ფიქრობდა გიჟიაო, ისინიც აედევნენ, გიჟია და მაგისი ადგილი საგიჟეთშიაო.

რომ დაინახა, ამდენი ხალხი მისდევდა, გაჩუმდა. საიდანღაც იქ მისი თანასოფლელი ალირაზა გაჩნდა. გაბელს ძალიან გაუხარდა, ცოტა დარჩა, გადახვეოდა.

— ესენი ვინ არიან? რატომ შემომეხვივნენ? რა დავუშავე ამათო? — ჰკითხა ალირაზას.

— შენგან რაღაც უნდათო.

გაბელი შიშისაგან აკანკალდა. საწყალს ახლა უკვე ყველაფერი აშინებდა. თვალიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— ნუ გეშინია, ამათ ჰგონიათ, თაფლს ყიდიო.

— ხალხი არა ხართ, შემიბრალეთ, სადა მაქვს მე თაფლი?! შავი პურის ლუკმაც არ მაქვს, — ამბობდა და ტიროდა.

— მოიცა, გაბალ, აბა თაფლი თუ არა გაქვს, ბალ, ბალიო, რა გაყვირებს.

— მე ჩემს მეგობარს ვეძახი.

ალიმირზა მიხვდა, რაშიც იყო საქმე. აუხსნა გაბალს, რომ თურქულად „ბალ" თაფლია. აუხსნა იქ შეკრებილ ჯამაათსაც, რაშიც იყო საქმე.

ამ დროს ბაზრის მოპირდაპირე მხრიდან ხმა მოისმა: „გაბალ, გაბალ"-ო.

გაბალმა სიხარულისაგან ბალთან მიირბინა. გარშემო ბალს ხალხი ეხვია, გააპო და მიიჭრა, ბალს გაუხარდა.

ალირაზამ ბალს აუხსნა:

— შენ რომ „გაბალს“ იძახი თურქულად „გაბალი“ ჰალვას ნიშნავს. ჰალვა ისეთივე ტკბილია, როგორც თაფლი, ამიტომ აგედევნა ამდენი ადამიანიო.

— რა ხდება?! — თქვა ბალმა, — ჰალვა რად მინდა? მე მეგობარს ვეძახდი. ეს რა ხათაბალაში გავეხვიეთ.


— ენის არცოდნა უბედურებაა, აქ ხეირს ვერაფერს ვნახავთ. კაცად არ ვვარგივართ ამ ქვეყანაში. რა დროს ჩვენი ენის სწავლაა. აქ დამცირებას, შინ, საკუთარ აულში სიკვდილი გვირჩევნიაო.

მეგობრები სოფელში დაბრუნდნენ. გზაში პირველივე ხეს შემოეხვივნენ, ჩაეკვრნენ, ჩაეხუტნენ, როგორც შვილი დედას, მიწას ჰკოცნიდნენ.

— ჩვენი სოფლის ხეო, ჩვენო მიწავ, თაყვანსა გცემთო.

თავიანთ აულში ენა იცოდნენ, როგორც სხვები, ისინიც ამ ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს აგებინებდნენ. ამბობენ, დღესაც მშობლიურ აულში ცხოვრობენ ის მეგობრებიო.

კავკასიაში მცხოვრებ ინდოევროპელ ხალხთა ფოლკლორი



პოეზია

ვაჰაგნის* დაბადება

მშობიარობის ტკივილებით
იტანჯებოდა ცა და ქვეყანა,
იტანჯებოდა ზღვა სისხლისფერი,
გულ-მუცელი სტკიოდა
და იტანჯებოდა.
მშობიარობის ტკივილები
ლალისფერ ლელსაც მოსძალებოდა,
ნითელ ლერწამსაც.
ლერწმიდან ცეცხლი ამოდიოდა,
ცეცხლს მოჰყვებოდა წითური ბიჭი.
თმა ცეცხლის ჰქონდა,
წვერი — ალისა.
მისი თვალები მზესავით ანათებდა...

მჰერი* მამის საფლავთან

მამის საფლავთან მივიდა მჰერი.
შვიდ დღეს იტირა და ივალალა.
მისმა ცრემლმა მიწა დაალბო.
შვიდი დღის შემდეგ გონს რომ მოეგო
შეეხმიანა მამას და უთხრა:
— მამავ, დღეს თოვლი ჩამოყარა,
შენს შვილს ფეხები გაუცივდა.
მამის სახლიდან გამოგდებულს
შენი სასუნი* სიმწარედ მექცა.
მამას ჩაესმა შვილის სიტყვები,
ხმა ამოიღო. აი, რა თქვა:

„შვილო, მე როგორ დაგეხმარო?!
თვალში ნათელი გამქრობია,
სახეზე ფერი გამცრეცია,
თმა-წვერი სულ დამცვენია,
ხელ-ფეხიც დამდუნებია.
მჰერი კიდევ უფრო ატირდა:
— მამავ, მამავ, მამილო,
დღეს ცივი თოვლი ჩამოცვივდა,
შენი შვილი სიცივით ვკვდები.
მამის სახლიდან გამოგდებულს
შენი სასუნი სიმწარედ მექცა.
დავითს* შვილი შეეცოდა.
აი, რა უთხრა: მთა სინამანთზე
ერთი კლდეა, აკრავანთი ჰქვია იმ კლდეს
იქ მიდი, კლდე ღია დაგხვდება.
იქ ყველაფერი მზად არის შენთვის.
შეხვალ და კლდეში მანამ იცხოვრებ,
სანამ ქრისტესგან განკითხვის ჟამი
არ დაგვიდგება...

მჰერი კლდეში იკეტება

ნაწყვეტი

მჰერი წავიდა, კლდეში შევიდა.
კლდე დაიხურა, ჩაიკეტა...
ყოველ აღდგომას ის კლდე იხსნება,
მჰერი კლდეზე გადმოდგება,
გამოვა, შემდეგ კვლავ შებრუნდება,
კლდეში შევა, კლდე ძველებურად
იხურება და იკეტება...

ასლან აღა

იყო ერთი დიდებული ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ვაჟი ასლან აღა ერქვა. გაჩენის დღიდან არ იცოდა, რა იყო სიკვდილი.

მშობლებმა ასლან აღა დააქორწინეს. კარგი გოგო შერთეს. გოგოს მარგრიტ ერქვა. ქორწილში ოცდაოთხი ქვეყნის მეფის შვილი დაპატიჟეს.

ცოლი რომ შეირთო, ასლანი თორმეტი წლისა იყო. ქორწილმა ორმოცი დღე-ღამე გასტანა. უხაროდა პატარძალს, უხაროდა ხეს, ხის ყლორტს, მთას, კლდეს. პურობა, ცეკვა-თამაში არ თავდებოდა.

ერთხელაც ასლანი შინიდან გავიდა, ქუჩაში გაისეირნა, ხედავს, გდია ვიღაც მათხოვარი. თურმე მომკვდარიყო.

იკითხა:

— ვინ მოკლაო?

უთხრეს:

— გაბრიელ ანგელოზმაო.

— ვინ არის ეგ გაბრიელი? მე ასლან აღა ვარ, მეფის შვილი. გაბრიელი როგორ მიბედავს, რომ ქუჩაში მათხოვარს მიკლავსო?!

— გაბრიელი არავის არსად არასოდეს ერიდება. ცალი ფეხი ცაში აქვს, ცალი — მიწაზე. მარტო გლახას კი არა, მეფესაც არად დაგიდევსო.

ასლან აღამ თქვა:

არ მეშინია მაგ გაბრიელ ანგელოზისა!
შევკაზმავ ჩემს ცხენს – ბოზბედავს,
სადაფის ლაგამს ამოვდებ, ოქროს უნაგირს დავადგამ,
ხელში ცეცხლისმფრქვეველი ხმლით
ჩემს ბედს წინ გადავუდგები.
აბა, მოვიდეს ის გაბრიელი,
არავის რიდი რომ არა აქვს.
შევებმევი, დავკრავ და მოვკვლავ...
გაბრიელი ციდან დაეშვა და
ასლან აღას გამოეცხადა.
ასლან აღამ ცხენი შეკაზმა,
ცეცხლისმფრქვეველი ხმალი შეიბა,
წმინდა ანგელოზს შეებრძოლა.
სამი დღე და სამი ღამე გაგრძელდა ბრძოლა.
უფალმა შეიბრალა გაბრიელი, ძალა შემატა.
ხმალმა უმტყუნა ასლან აღას.
გაბრიელ მთავარანგელოზმა არ დაინდო

მიწაზე დასცა ასლან აღა.
დამარცხებული შეეხვეწა:
— გაბრიელ მთავარანგელოზო, გეფიცები,
არ ვიცოდი, ქვეყნად სიკვდილი თუ არსებობდა.
— აღარაფერი გეშველება, სული უნდა ამოგხადოო.
— სულს ნუ ამომხდი. ჯერ ყმაწვილი ვარ,
მხოლოდ ოცი წლის.
— კარგი, ოღონდ მოძებნე ვინმე,
ვინც თავის სულს გაიმეტებს
შენის სანაცვლოდ.
ატირებულმა ასლან-აღამ მამას გასძახა:
— მამა, მამიკო, შენი შვილი ვარ —
ასლან აღა, ყმაწვილი კაცი.
გაბრიელ მთავარანგელოზი სულს მართმევს.
სხვა აღარა დამრჩენია რა, შენ უნდა გთხოვო:
შენი სული გაიმეტე ჩემის სანაცვლოდ.
— ვერა, შვილო, ვერ გავიმეტებ
მეც სიცოცხლე მომწყურებია.
შენ თავს შენვე მოუარეო.
დედას გასძახა ასლან აღამ:
— დედავ, უტკბესო, შენი შვილი ვარ,
გაიმეტე შენი სული ჩემის სანაცვლოდ!
— ვერა შვილო, ვერ გავიმეტებ.
არაფერია, ახალგაზრდა თუ მოკვდები,
ცის სამსჯავროზე მართლად წარსდგები.
გაბრიელ მთავარანგელოზმა ისევ შეხედა ასლან აღას.
მას შიშისაგან სული სძვრებოდა.
— ცოტაც მაცალე, ანგელოზო,
ერთი, ჩემს ცოლსაც ვთხოვო.
იქნებ იმან არ დაიშუროს და მომცეს სული.
თუ არადა — ჩემი წაიღე.
გასძახა ცოლს: — ჰეი, მარგრიტ,
გაბრიელ მთავარანგელოზი სულს ითხოვს ჩემგან.
თუ შენს სულს მივცემ, გადავრჩები!
აი, ცოლმა რა უპასუხა:
— სულ ცოტა ხნის ცოლი ვარ შენი,
მაგრამ სულს აბა, როგორ დაგიჭერ?!

აჰა, წაიღე, გამომართვი, გათავისუფლდი!
ასლან აღას შვება მოეცა.
სენი მის ცოლზე გადავიდა.
ქალი ლოგინად ჩავარდა.
გაბრიელ ანგელოზმა სულის ამოხდა მოუნდომა.
და ამიტომ ზეცას ავიდა.
უფალმა ჰკითხა, რა მოხდაო?
უპასუხა: შენც ხომ იცი,
თავისი ნებით იძლევა სულსო.
უკან დაბრუნდა, ქალს ასე უთხრა:
— ყოჩაღ, ქალო, ქმარი
რა ძლიერ გყვარებიაო.
ამის სანაცვლოდ კიდევ ორმოცი წლის
სიცოცხლე მომიციაო.

ასე დაჰყვეს ქვეყანაზე ორმოცი წელი. ჭამეს, სვეს, გაიხარეს და როცა სიკვდილის დრო დაუდგათ, ღმერთს მადლობა მოახსენეს და უცოდველნი სამუდამო სასუფეველში გადავიდნენ.

შაირები

* * *

როგორი ბაღჩა ხარ, ბარი არა გაქვს?
როგორი ჯეელი ხარ, იარი* არა გყავს?
ცის ფრინველი ხარ და —
ფრთა კი არა გაქვს?

* * *

ვარდი დავკრიფე თმებითა,
ცაში ავყარე სხივითა.
ვნახე, იარი მოსულა,
ფეხქვეშ დავუფენ ლექსითა.

* * *

ვდგავარ. ფეხი ვერ დავძარი,
ვტირი, ცრემლი ვერ დავძარი.
მინდა შენი სახელი ვთქვა,
მაგრამ კრინტი ვერ დავძარი.

* * *

მძიმედ იარე, მთვარეო,
მთას იქით მიეფარეო,
ჩემი ლამაზი იარი
ნახე და აქ მომგვარეო.

* * *

ღრუბელია და თოვლი არ მოდის,
უკვე დაღამდა, ის კი არ მოდის.
ამ ოხერ-ტიალ ბალიშებში
მარტო ვწევარ და ძილი არ მოდის.

* * *

ნუ გგონია, არ მახსოვდე!
დაგივიწყებ მე შენ განა?
გულში ისე ჩამივარდი,
არ მშორდები თვალთაგანა.

* * *

ბაღი თქვენი შორი არის,
ფეხი ცვარით სველი არის,
თვალი შენგან შორი არის,
თვალი ჩემი ცრემლით არის.

* * *

კარგ ცხენს ნალი რად უნდა?
ლამაზს ხალი რად უნდა?
გულის საყვარელი ჰყავდეს,
ბევრი ფული რად უნდა?

* * *

შავი ვარ და ეშხიანი,
ფრთაყვითელი ფრინველი ვარ,
არ გამიშვა, თორემ წავალ,
ფრინველების გუნდს გავყვები.

* * *

ჩინარი ხარ, ნეტავ შევძლო,
ჩემს ეზოში გაგახარო.
საყვარელო, გენაცვალე,
შემიყვარე, არ დამტოვო.

* * *

ქალო, იწამე ღმერთი,
და დაიფარე მკერდი.
შენმა სურვილმა გამაგიჟა,
დავდივარ ხელი.

* * *

ქარო, დაჰბერე, მთაზე თოვლი დადე,
ყარიბი* იარი შინ მომიყვანე.
ისე, რომ ღამით გვერდითა მყავდეს
და ტკბილი ძილი არ გამიმწარდეს.

* * *

ცაში ფრინველს ვენაცვალე,
ქერა სატრფოს ვენაცვალე.
სამი დღეა, ვერა გნახე.
შენს დამნახავს ვენაცვალე.

* * *

მზე ამოფრინდა, ამოვიდა.
ჩვენ კი ერთმანეთს წავეკიდეთ.
ამით რამე მოვიგეთ, განა?
არაფერი. მტერი ვახარეთ.

* * *

მწვანე ყანაში ჯერი წავიღე,
იარი ვნახე, უკან დავბრუნდი.
ვაშლი მომაწოდა, არ გამოვართვი,
რა ბედზე გავჩნდი მე უბედური?

* * *

არა, არა, ვერ ვითამაშებ,
ვარდივით ფეხსაცმელი ამიჭრაჭუნდება,
მშიერი მუცელი ამიბუყბუყდება,
დედამთილი ამიბუზღუნდება.
არა, არა, ვერ ვითამაშებ,
გაშავებული გული ამიბაგუნდება.
ცრემლები თვალს დამწვავს და
ავი დედამთილი გამიდიდგულდება.
არა, არა, ვერ ვითამაშებ.
ჯეელ-ჯეირანი გული დამეწვება,
ყბამოხეული მული შემაღონებს
და მაზლის ცოლიც გულს გამიწყალებს,

არა, არა, ვერ ვითამაშებ,
ჩემი ქოფაკი რძალი მწარე ხახვია,
ვაჟო, გიჟმაჟო, რა დაგემართა?
შენი სიყვარულით გული გამელია.

* * *

უბან-უბან დავიარე, ვიპოვე ქაღალდი,
თლილი თითები კალმად ვიხმარე,
თვალისა ოფლი მელნად ვიხმარე,
გულის დარდები შიგ ჩაგიწერე.
ჩავწერე, გითხარი: ერთი გაიგე,
ძალა აღარა მაქვს, მინდა, გამიგე,
ჩემსკენ მობრუნდი, გული გამიღე,
ცოტა გითხარი — ბევრი გაიგე.
მოგწერე, გითხარი: ყველას ჰყავს უფალი,
შენს გულში როგორი სიყვარული არი?
ჩემი გაიგოს, გული გამითბოს, კაცი არ არი.
კრავი ვარ დაკარგული, ხელში ამყვანი არავინ არი.
გითხარი: ყველა ჩიტს ბუდე თავისი აქვს,
ყველა სულიერს პატრონი თავისი ჰყავს.
მე გზაარეულს კი არავინა მყავს.
მარმარილოს ქვა ვარ, მთლელი არა მყავს.

* * *

მთვარიანი ღამე, ბანი.
სავსე მთვარე, ბანზე მდგარი.
ფქვილს ცრის პატარძალი.
მკერდზე წყვილი უთამაშებს ვაშლი,
ფქვილს ცრის პატარძალი.
მნახველს მასზე რჩება თვალი,
ფქვილს ცრის პატარძალი.
მრავალს დაუბრმავა თვალი.
ფქვილს ცრის პატარძალი.
კისკისებს და ტკბილად მღერის.

დავთვერი, არა მისვამს რა

დავთვერი, არა მისვამს რა,
ვიწვი, ცეცხლი კი არა ჩანს.
სიყვარულის სამოსელით
გულის სწორის კართანა ვარ.
გულის სწორი გამომხედავს,
უბეში წითელ ვაშლს მალავს.
ვუთხარი: „ერთი მაჭამე“.
მან კი ცრემლი გადმოღვარა.
ატირდა და ასე მითხრა;
„დღისით-მზისით ვითამაშოთ?!“
დავითანხმე, დამმორჩილდა.
ძალიან ბევრჯერ ვაკოცე.
ღამით თუნდაც ათას კოცნას
მირჩევნია დღისით ერთი.

* * *

ლამაზი გოგოს ძებნაში
კარი-კარ ჩამოვიარე.
მივედი, ვნახე-ეძინა,
პირს ვარდი გადაეფინა.
ჯიბეში ეწყო ბროწეულები,
ვაშლი კი ხელით ეჭირა.
ქვეშ აბრეშუმის ხალიჩა
ეფინა და ზედ ეძინა.
იქვე იდგა ოქროს ჯამი,
შიგ – ვერცხლი და ბროწეული,
მძინარე გოგოს ვაკოცე.
ვაშლი დამწიფებულიყო,*
მეც ავდექი და დავკრიფე.

* * *

წვიმის ღრუბლად გადავიქცე
და ვაწვიმო შენს ფანჯარას,
მოვუჩრდილო შენს ბროლის მკერდს.
გაიღვიძებ, გაიკვირვებ:
— ეს რა არის, რომ ქათქათებს?
მე ყარიბი, უსახლკარო
შენთან მოვალ, არ გამაგდო...

მთიდან მოვდიოდი

მთიდან მოვდიოდი მე,
შენ კი კარი გამიღე,
ხელი მკერდზე მიიდე,
„ვაი“ თქვი და იტირე.
მე ყინული ვიყავი,
შენ ტირილი დაიწყე.
ცრემლის ტალღით, ლამაზო,
ცივი გული გამითბე.
მე ხე ვიყავ დამზრალი,
შენ — ზაფხულის ცხელი დღე.
გამიფურჩქნე ყვავილი,
ხმელი მიწა დამილბე.
თუ არაფრად გინდოდი,
მაშ რაღად დამიმონე?!
ცეცხლად მექეც, მომედე,
დამწვი და დამანავლე.

ეს დღე ახალი გაახლდა

ეს დღე ახალი გაახლდა,
გაახლდა და გამთლიანდა.
ამ ბადრი მთვარის სხივებმა
გული ამიფორიაქა.

მიხვალ — მთვარე ღრუბლებში,
წყალი მოგაქვს კოკითა,
გოგოვ, შენ გენაცვალე,
რად მომიდე გენია?
წყალო ჩემი სახლისავ,
გულის ცეცხლი ჩამიქრე,
იარო, შენგნით იარა,
შენივ ხელით გამიქრე.

* * *

წეროვ, მაღალ მთებს გასძახე.
ყარიბს ყარიბად ნუ მომკლავთ.
ნუ მიტირებ, დედაჩემო,
ჩემი მიწის ნატრული ვარ.

* * *

ავადა ვარ, არაქათი არა მაქვს,
ყარიბი ვარ, ქვეყნად არავინა მყავს.
დარდის ზღვაში მარტოდმარტო დავცურავ,
თავის დახსნის მცირე ჩარაც არა მაქვს.

* * *

ყარიბს სახლი არა მაქვს,
ღამით ძილი არა მაქვს,
ზამთარ-ზაფხულ ზამთარია,
ზაფხულის დღე არა მაქვს.

* * *

შენი თვალი მომე, წეროვ.
თეთრი მკერდი რომ გაქვს, წეროვ
წყვილად წახვედი, კენტად დაბრუნდი,
ლამაზი ცალი რა უყავ, წეროვ?

წერო

კეთილი იყოს შენი მოსვლა, წერო!
კეთილი იყოს შენი ფეხი, წეროვ!
გაზაფხულის ნიშანია შენი მოსვლა, წეროვ!
წეროვ, დაეშვი ჩვენთან,
ჰე, წეროვ, მოდი ჩვენსა,
ხეზე დაიბუდე ჩვენთან, ლამაზო,
მოდი ჩვენსა.
წეროვ, შემოგჩივლებ,
ჰე, წეროვ, შემოგჩივლებ,
დარდებს შემოგჩივლებ,
ტკივილს შემოგჩივლებ.
ნუ წახვალ, წეროვ,
ჩვენს ხეზე ჩამომჯდარო, წეროვ,
შენგან მიტოვებულს გულს არ მიხარებს
ჩიტების ჭიკჭიკი, წეროვ!
ჟივილ-ხივილი გულსა მტკენს, წეროვ!
ნათელი ცაც კი ბნელია ჩემთვის,
მთებსაც კი ძაძა აცვია ჩემთვის,
ბარში ყვავილობაც კი
ზამთრად ქცეულა ჩემთვის,
ციდან თოვლი მოდის ჩემთვის,
ეს მთების ძაძა მე მომეცა,
ეს თოვლი ციდან მე მომეცა,
ეს გულზე დარდი მე მომეცა,
ეს თვალზე ჭირხლი მე მომეცა.

* * *

ბულბულო, ჩვენსკენ იარე,
მითხარ, რასა იქს იარი?
მომიკითხე ტკბილი ხმითა
წამიყვანეთ მეც იქითა.

* * *

წამავალი ვარ, გზაზე ვდგევარ.
მოდი, გნახო, რომ ჯავრი არ წამყვეს.
ხანუმ ევაჯან, მშვიდობით დარჩი,
მე მივალ გლოვით, ტირილით, დარდით.

შრომის სიმღერები

* * *

ხარო, გასწიე, შავი მიწა გადააბრუნე.
ჰოროველ,* ჰოროველ, ხარო.
ქვეყანას ათასი სიკეთე უყავი,
ჰოროველ, ჰოროველ, ხარო.
მხვნელო, ღონეში გენაცვალე, გენაცვალე,
ღრმა ხნული გაავლე, მიეძალე.
ყანავ, აბიბინდი, ჰოროველ.
ჰოროველ, ჰოროველ, ხარო!
გასწიე, ხარო, გასწიე, ღონე მოიცი, გასწიე.
გოროხი, ბელტი აბრუნე, ჰოროველ,
ჰოროველ, ჰოროველ, ხარო!
მხვნელო, გუთანი დასძარი,
ღრმა ხნული გაავლე, გაჭერი,
ჰოროველ, ჰოროველ, ხარო!

* * *

მუჭანახევარი ხორბალი მაქვს დასათესად,
დასათესად;
ბეღურები შეიყარნენ, დამესივნენ ასაკენკად,
ასაკენკად;
მოვიტანე შურდულის ქვა სასროლელად,
სასროლელად;
აფრიდნენ, ციხის თავს დასხდნენ საჩივლელად,
საჩივლელად;
მალე ყასბებიც მოვიდნენ დასაკლავად,
დასაკლავად;
ბებრებიც მალე მოგროვდნენ გასაპუტად,
გასაპუტად;
პატარძლებიც შეიყარნენ, მოვიდნენ, ბუმბულისათვის
ბუმბულისათვის;
გოგოებიც შეიყარნენ, მოვიდნენ კვერცხებისათვის,
კვერცხებისათვის;
ბერებიც კი შეიყარნენ, დასალოცად,
დასალოცად;
ვაჟებიც ბევრნი მოვიდნენ, მოვიდნენ მწვადებისათვის,
მწვადებისათვის;
ბევრი მგოსანი მოვიდა, მოვიდა შექებისათვის,
შექებისათვის;
ბატონები შეიყარნენ, მოვიდნენ სეირისათვის,
სეირისათვის...

სიმღერა მკის დროს

მამითადი გვაქვს, ყანას ვმკით,
იარო ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
აბა, ბიჭო, მამითადი!
ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ყანა გვაქვს ცელით სამკალი,
ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ოფლი მიწას დავაწვიმოთ.

ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ძალ-ღონე არ დავიშუროთ,
იარო ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ქერ-ხორბალი ბევრი ვცელეთ,
იარო ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ბევრი სვრელი გავიტანეთ.
ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ბარაქა ყანის მომკელებს,
იარო ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
ვენაცვალე მიწის მადლსა
ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
მოვმკათ, შევკრათ ხელეული,
იარო ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!
დავაყენოთ პურის ხვავი,
ჯან ლე-ლე ჰოპ, ლე-ლე ჰოპ!

* * *

ქარო, ქარო, დაუბერე!
ნამგალს პირი აულესე!
ვთესოთ პური;
ვმკათ თავთავი!
ჩემი სატრფო
შინ მომგვარე.
— რამდენი სახლის
კარი გაიღო,
რამდენი სახლი
სისხლით გაივსო.
— ძალიან ბევრი,
ვერც კი დათვლი,
ზღვასავითაა ჩემი თვალები.
ნუ ამატირებ.
ბევრი ხალხი მყავს გამოსაკვები.
ნუ დამაღონებ!
ქარო, დაჰბერე,
ნამგალო, უსტვინე.

თქვენი ლამაზი ხმა
მიმკის ამ ყანას.
სუფთა გულით
გავიტან სვრელს,
ტანზე დავისხამ
სისხლიან ოფლს,
დიდება უფალს!
ცხოვრების ჭაპანს გამაწევინებს
მადლობა ღმერთს, რომ
მწარე ოფლს ქარი
ზედვე შემაშრობს.

* * *

იტრიალე, ჩემო ჯარავ,
შე ხმაჩხრიალაო,
გარტყია ალმასის ხმალი,
ჩემო ჯარაჯანო.
ყველა უილაჯოსათვის
ნატვრის თვალი ხარო.
უპატრონოსთვის პატრონო,
უმამოსათვის მამა ხარ,
ჩემო ჯარაჯანო.
ხმით აშუღო,
ჩემო ჯარავ,
ჩემი დარდის ყურისმგდებო.
ხმა გამეცი, ჩემო ჯარავ,
დარდი მითხარ, ჯარაჯანო.

დედის ნატირალი

შვილო, წითელ მზეს ჩამოტეხილო,
შვილო, წვეთივით ფოთოლს მოწყვეტილო,
შვილო, ფოთოლივით ქარის წაღებულო,
შვილო, წყალ-მეწყერს გაყოლილო,
შვილო, ამ თვალისჩინის წამღებო,
ჩემი გულის ნათელო, შვილო!
შვილო, ჩვენი მიწის მფარველო,
ვაი, შვილო, რა ამბავია?!
უზურნოდ მოსულან მექორწილენი.
შვილო, უმეჯვარეო ქორწილია, შვილო?
უმკლავო სამოსი, ჩაგაცვეს, შვილო.
ვაიმე, შვილო, სასახლე დაგიდგეს,
სასახლე, ბანგადაუხურავი, შვილო!

ბავშვთა სიმღერები

* * *

ჰოი, ბეღურაო,
ჩემო პატარაო,
ჩემო გულთეთრაო.
შენი ენის ჭირიმეო,
გაფრინდი, მეც წამოგყვები,
თან წამიყვანეო.

* * *

კატა, კატა, ჩხავანა,
თავრიზიდან* ვანს* წავა,
ითხოვს კუდაბზეკითა,
ჭიტლაყს იღებს ფეხითა.

უკვდავების ვაშლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ამ ხელმწიფეს სასახლის ირგვლივ მშვენიერი ბაღი ჰქონდა. ბაღში უკვდავების ვაშლის ხე ედგა, მაგრამ რად გინდა?! არ იქნა და, იმ ვაშლის ჭამა არ ეღირსა. ხეს მებაღეები, მცველები უვლიდნენ, სდარაჯობდნენ, ზედ დაჰკანკალებდნენ. შეიფოთლებოდა ხე, გამოიბამდა ნაყოფს, ნაყოფი მწიფობაში შევიდოდა და უცებ, აღარც ფოთოლი, აღარც ნაყოფი — ერთიანად გაშიშვლდებოდა.

ერთ წელიწადს ხელმწიფესთან მისი უფროსი შვილი მივიდა და უთხრა:

— მამავ, მაგ ხეს წელს მე ვუყარაულებ. ეგებ ქურდი დავიჭიროო.

— შენ იცი, შვილო, თუ მოახერხებ და დაიჭერ, უყარაულეო.

ვაშლი უკვე შეთვალებული იყო. მივიდა უფროსი უფლისწული და ხის ქვეშ დაბინავდა. იქ ათენ-აღამებდა. დამწიფდა ვაშლი. მეორე დღეს უნდა დაეკრიფა და მამისთვის მიერთმია, რომ წინა ღამით, გათენების ხანს თვალს რული მოეკიდა, ქუთუთოები დაუმძიმდა. სულ ცოტა ხნით წასთვლიმა და თვალი რომ გაახილა, სახტად დარჩა: ნაყოფს ვინ ჩივის, ხეს ფოთოლიც აღარ ჰქონდა. იდარდა, იჯავრა, მაგრამ რაღას გახდებოდა? შინ მივიდა და მამას ყველაფერი უამბო. მამამაც: რას ვიზამთო.

გავიდა ერთი წელი. ახლა შუათანა უფლისწული მივიდა მამასთან:

— მამავ, წლეულს მე დავუდგები ყარაულად ჩვენს ვაშლს, ეგებ აღარ მოვაპარვინოო.

— შენ იცი, შვილოო.

ეს უფლისწულიც ხის ძირას დაბინავდა. ის იყო ვაშლი დამწიფდა და უნდა დაეკრიფა, რომ წინა ღამეს უფლისწულს ძილი მოერია. თვალის ქუთუთოები დაუმძიმდა. თავი ვეღარ შეიკავა და წასთვლიმა. რომ გაიღვიძა, აღარც ვაშლი, აღარც ფოთოლი! სხვა რა გზა იყო? მივიდა შინ. მამას უთხრა, ასე და ასე მოხდაო. მამამაც: „რას ვიზამთ, შვილო, შენ კარგად იყავიო“.

მესამე წელს მესამე — უმცროსი უფლისწული მივიდა მამასთან:

— მამავ, ეს წელიწადი ჩემი იყოს, დავუყარაულდები ჩვენს ხეს, იქნებ შევძლო ქურდის დაჭერაო.

— სცადე, შვილო, შენ იციო.

წავიდა უფლისწული, დაიდო ბინა ხის ქვეშ და დაიწყო ყარაულობა. დამწიფდა ვაშლი. ის იყო, უნდა დაეკრიფა და მამისათვის ეჭმია, რომ წინა

ღამეს უფლისწულს ძილი მოერია, მაგრამ რომ არ დასძინებოდა, თითზე დანა დაისვა და გადაისერა, თან ჭრილობაზე მარილი დაიყარა. აეწვა და რა აეწვა! რაღა დააძინებდა? ირიჟრაჟა თუ არა, საიდანღაც გამოჩნდა დევი. მივიდა ის დევი ხესთან და დარხევა დაუპირა, უნდოდა ერთიანად შეესანსლა ვაშლი. ამ დროს მოსწია უფლისწულმა მშვილდი და სტყორცნა ისარი. დევი დაფრთხა, გაიქცა. უფლისწული დაედევნა. კარგა მანძილი რომ გაირბინეს, ერთბაშად დევი ორმოში ჩახტა. უფლისწული ორმოს პირს მიადგა, ჩაიხედა, ხედავს — უძირო ორმოა. რას იზამდა? დანიშნა ის ადგილი, გამობრუნდა, მივიდა ხესთან, ვაშლი დაკრიფა და მამას მიუტანა, მამამ გაიხარა. შვილი კი ეუბნება:

— მამავ, საქმე ეგ არ არის. მთავარი ის არის, რომ ის დევი უნდა ჩავაძაღლოთ, თორემ გაისად ისევ შეგვიჭამს ვაშლს. გამაყოლე ჩემი ძმები, მარტო ვერას გავხდებიო.

— თქვენ იცითო, — უთხრა მამამ.

ძმები გაემზადნენ და წავიდნენ. მიადგნენ იმ ორმოს. პირველობა უფროსს ერგო. მოაბეს წელზე თოკი და ორმოში ჩაუშვეს. ოდნავ ჩასცდა თუ არა, იყვირა:

— ვიწვი, ვიწვი, ამწიეთო!

ამოსწიეს. ჯერი შუათანაზე მიდგა. ახლა იმას შეაბეს თოკი და ორმოში ჩაუშვეს.

ისიც აყვირდა:

— ვიწვი, ცეცხლი მიკიდია, ამწიეთო!

ამოსწიეს.

უმცროსმა ძმამ, ორმოში რომ უშვებდნენ, დაიბარა:

— რამდენიც არ უნდა ვიყვირო, ვითომც არც გაგიგიათ. უფრო ღრმად ჩამიშვითო.

მოაბეს თოკი, ჩაუშვეს ორმოში — ყვირის:

— ცეცხლი მიკიდია, ამომიყვანეთო!

ძმები კი უფრო ღრმად უშვებენ. ჩავიდა უმცროსი ძმა ორმოს ფსკერზე, იქიდან ამოსძახა ძმებს:

— ძმებო, უკვე ჩავედი. თოკს მოვიხსნი და დევის მოსაძებნად წავალ, ვიპოვი და გავუსწორდები. მერე თოკი ჩამოუშვით და ამიყვანეთო.

წავიდა უმცროსი ძმა დევის საძებრად. კედელში ჩატანებულ ერთ კარს მიადგა. ფრთხილად შეაღო და შევიდა. ხედავს, ზის ძალიან ლამაზი ქალი და ქარგავს. გვერდით სინი უდგას, სინზე ოქროს მელა დაცუნცულებს. ქალის კალთაში დევს თავი ჩაუდვია და სძინავს. ქალმა ვაჟი დაინახა. გაკვირვებულმა უთხრა:

— ბიჭო, აქ რამ მოგიყვანა?! გველი ხოხვით და ჩიტი ფრენით დღემდე აქაურობას ვერ გაჰკარებიაო?!

ბიჭმა უთხრა:

— აქ შენმა სიყვარულმა მომიყვანაო.

— კარგი ბიჭი ჩანხარ, მეცოდები. ამ დევმა რომ გაიღვიძოს, ლუკმად არ ეყოფი. წადი, გაეცალე აქაურობას, სანამ გვიან არ არისო.

— გაიღვიძოს, მეც ეგ მინდაო, — თქვა უფლისწულმა, იძრო ხმალი, მოუქნია და დევს ცხრა თავი ერთად დააყრევინა.

დევმა ამის თქმაღა მოასწრო:

— ბიჭო, ეგ ხმალი ერთხელ კიდევ დამკარიო.

— არა, მე დედას ერთხელ გავუჩენივარ, ხმლის დაკვრაც ერთხელ ვიციო.

ქალმა გაიხარა:

— მართლა უშიშარი ყოფილხარ! ეგებ, ჩემი დაც დაიხსნა, ამ დევის ძმისაგან. გვერდით ოთახშიაო.

ვაჟმა ფრთხილად შეაღო გვერდითა ოთახის კარი. ხედავს, ზის ულამაზესი ქალი. და ქარგავს. იქვე, ოქროს სინზე ოქროს დედალ-მამალი დაფრთხიალებს. ქალის კალთაში თორმეტთავიან დევს ჩაუწყვია თავისი თავები და სძინავს.

— ვინა ხარ, რა სულიერი. აქ ფრინველს ვერ გადაუფრენია და გველი ვერ გასრიალებულა, შენ როგორ გაბედე მოსვლაო?

— შენმა სიყვარულმა გამაბედვინაო.

— მერე, არ გეშინია? ამ დევს ხომ ხედავ? თუ გაიღვიძა, ლუკმა-ლუკმად გაქცევს, თანაც ყველაზე დიდი ლუკმა შენი ყური იქნებაო.

— მეც მაგის ჯავრის ამოსაყრელად მოვსულვარ, — თქვა უმცროსმა ძმამ, იძრო ხმალი და დევს თორმეტივე თავი დააყრევინა.

— ბიჭო, ერთიც დამკარი ეგ ხმალიო, — შეეხვეწა დევი.

— არა, დედას ერთხელ გავუჩენივარ, ხმლის დაკვრაც ერთხელ ვიციო.

გახარებული ქალი ეუბნება:

— მართლა ვაჟკაცი ყოფილხარ. იქნებ ჩემი დაც დაიხსნა. დევის ძმას გვერდით ოთახში ჰყავსო.

ბიჭმა გააღო იმ ოთახის კარი და რას ხედავს?! ასეთი სილამაზე სხვაგან არსად შეჰხვედრია. ზის ქალი. იმის სილამაზე ენით არ აიწერება. კაცი შვიდი დღე რომ იდგე და ამას უყურებდე, არც ჭამა მოგინდება, არც სმა. იტყვი, არაფერი მინდა, მარტო ამას მაყურებინაო.

ქალი ქარგავს. იქვე, ოქროს სინზე ოქროს მწყერი და კაკაბი დაგოგმანებენ. ქალის კალთაში ოცდაოთხთავიან დევს ჩაუწყვია თავისი თავები და სძინავს.

ქალმა უფლისწული დაინახა და:

— აქ მოსვლა როგორ გაბედე? დღემდე აქ ფრინველს ვერ გადაუფრენია და გველი ვერ გასრიალებულაო.

— აქ შენმა სიყვარულმა მომიყვანაო.

—კვლავაც სიყვარულით გევლოს, მაგრამ ამ დევმა თუ გაიღვიძა, შავი დღე დაგადგება. გირჩევნია, სანამ არ ამდგარა, თავს უშველეო.

— თავს რად უნდა ვუშველო?! მე აქ გასაქცევად კი არ მოვსულვარ! მაგ დევის ჯავრი უნდა ამოვიყაროო.

იძრო ხმალი, მოუქნია და დევს ოცდაოთხი თავი ერთად დააყრევინა.

დევი ეხვეწება:

— ბიჭო, ერთიც დამკარი ეგ ხმალიო.

— არა, დედას ერთხელ გავუჩენივარ, ხმლის დაკვრაც ერთხელ ვიციო.

დევი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩო.

ქალი ვაჟს გადაეხვია, უთხრა:

— მე ახლა შენი ვარ, შენ — ჩემიო.

დასხდნენ, ისიამტკბილეს. ქალი ეუბნება:

— ჩვენ სამი და ვართ, მავანი მეფის შვილები. ამ დევებმა მოგვიტაცეს, აქ მოგვიყვანეს და ცოლებად დაგვისხეს. დღემდე შავი დღე გვადგა. მოხვედი და გვეშველა. შენი მადლობელი ვართო.

უფლისწულმა თქვა:

— კარგია, სამნი რომ ხართ. ჩვენც სამი ძმა ვართ, სამივე — უცოლო. შენს უფროს დას ჩემი უფროსი ძმა წაიყვანს, შუათანას — შუათანა. შენ კიდევ ხომ ჩემი ხარ და ჩემიო.

ქალმა ერთი თილისმა ამოიღო, ბიჭს გაუწოდა და უთხრა:

— აიღე, გამოგადგება. როცა გაგიჭირდეს, დააკვესე. ის სინები, აქ რომ ნახე, შენთან გაჩნდება.

უფლისწულმა თილისმა გამოართვა, მადლობა გადაუხადა. მერე ქალმა იგი თავლაში შეიყვანა. იქ სამი რაში ება: შავი, თეთრი და ქურანი.

— სამივეს თითო ძუა გამოაძრე და შეინახე. როცა ძუას ცეცხლს წაუკიდებ, ცხენი მაშინვე შენთან გაჩნდება. თუ აღარ დაგჭირდება, უკან დაბრუნდებაო, — დაარიგა ქალმა.

ბიჭმა ცხენებს ძუა გამოაცალა და ჯიბეში ჩაიდო: კაცნი ვართ, ეგებ მართლაც რამეში გამომადგესო.

მერე ორივემ ერთად გამოიხურა თავლის კარი, ჩაკეტეს და წავიდნენ, თან დებიც წაიყვანეს და ნადავლიც წაიღეს. მიადგნენ ორმოს პირს. უფლისწულმა ძმებს ასძახა:

— ძმებო, მოვედი, დევები დავხოცე. იმათი ქონება წამოვიღე და იმა-

თი ქალებიც წამოვიყვანე. თოკი ჩამოუშვითო!

ძმებმა თოკი ჩამოუშვეს, აიტანეს ქონება — დევების ავლადიდება. ამის შემდეგ ბიჭმა თოკი უფროს დას ჩააბა და ძმებს ასძახა:

— ასწიეთ, ეს ქალი ჩემი უფროსი ძმისა იყოსო!

მერე შუათანა დას წელზე თოკი მოაბა და ისევ ასძახა ძმებს:

— ჩემო შუათანა ძმაო, ეს შუათანა დაა და შენი იყოსო.

ბოლოს უმცროსი დისთვის უნდა მოება თოკი, მაგრამ ქალმა უარი უთხრა:

— არა, ჯერ შენ ადი და მერე მე ამიყვანეო.

ბიჭმა თავისი არ დაიშალა. გაბრაზდა. ქალს კიდეც უყვირა.

ქალს სხვა რა გზა ჰქონდა?

— კარგი, რახან შენსას არ იშლი, იცოდე, ძმები გიმუხთლებენ. თუ რამე შეგემთხვა, არ შეგეშინდეს. აქ ერთი წყაროა. პარასკევ დღეს ადექი და იმ წყაროსთან მიდი, ჩამოჯექი წყაროს პირას და დაელოდე. სამი ცხვარი მოვა წყლის დასალევად: ერთი შავი, ერთი წითელი, ერთიც თეთრი. მოვლენ, წყალს დალევენ და უკან გაბრუნებას რომ დააპირებენ, ეცი და შავი ცხვარი დაიჭირე. შავი ცხვარი წითელს გამოეკიდება, წითელი — თეთრს. არ გაბედო და თეთრი ცხვარი არ დაიჭირო, თორემ ბნელ ქვეყანაში გაგიყვანსო.

ბიჭმა ჩააბა უმცროს დას თოკი და ძმებს ასძახა:

— ასწიეთ, ეს ჩემი საცოლეაო!

ასწიეს, აიყვანეს და თვალებს არ დაუჯერეს; ეს ქალი თავის დებზე ლამაზი იყო!

ძმებმა იფიქრეს, ჩვენს ძმას ჩვენზე უკეთესი ქალი რად უნდა ჰყავდესო. თანაც მამასთან ის უფრო გამოჩნდება, რადგან გმირობა ჩვენ კი არა, მაგან ჩაიდინა — დევები მარტომ დახოცაო. შეშურდათ ძმისა.

ამასობაში უმცროსმა ძმამ ამოსძახა:

— აბა, ძმებო, ახლა ჩემი ჯერია, ჩამოუშვით თოკი, ამიყვანეთო!

ძმებმა ჩამოუშვეს თოკი. უმცროსმა წელზე მოიბა და — ამწიეთო!

ასწიეს, მაგრამ ბოლომდე არ აზიდეს, შუა გზაზე თოკი გადაჭრეს, უმცროსმა ძმამ ორმოს ფსკერზე მოადინა ზღართანი.

ძმებმა დევების ქონება წაიღეს, ქალებიც წაიყვანეს და შინ დაბრუნდნენ.

მამას გაუხარდა შვილების ნახვა, ქონებაც ეამა, იკითხა:

— უმცროსი ძმა სადღააო?

ძმებმა შუბლი შეიკრეს, ვითომ დარდით აღარ არიან.

— ჩვენი ძმა დევის ლუკმა გახდაო, — მოატყუეს მამა.

მამამ დაიჯერა შვილების ნათქვამი, იდარდა, მაგრამ გულში ეჭვი ჰქონდა. იქნებ, ცოცხალია, იქნებ, დევს არ შეუჭამია, იქნებ სულაც ძმებმა უმუხთლეს და გამოჩნდესო, — ფიქრობდა. შვილებს დაქორწინების უფლება არ მისცა.

ახლა, მოდით, ვნახოთ, რას შვრება ორმოში ჩაგდებული უმცროსი ძმა. იგი მალე მოვიდა გონს. მიხვდა, რომ ქალი მართალი იყო. გაახსენდა მისი ნათქვამი: „პარასკევს წყაროსთან მიდიო“.

დაელოდა პარასკევს. ადგა, მივიდა და წყაროს პირას ჩამოჯდა. არ გასულა დიდი დრო და ხედავს, წყაროსთან სამი ცხვარი მივიდა: ერთი შავი, მეორე თეთრი, მესამე წითელი. ცხვრებმა წყალი დალიეს და ის იყო, უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ ბიჭი ეცა, მაგრამ შავ ცხვარს კი არა, შეცდომით თეთრ ცხვარს მოახტა. თეთრი ცხვარი წითელს მიჰყვა, წითელი – შავს და ბნელ ქვეყანაში ამოჰყვეს თავი.

ბიჭი დარდით აღარ არის, მაგრამ რა უნდა ქნას? იარა, იარა და ერთი დედაბრის სახლს მიადგა:

– დედი, სტუმარს მიიღებო?

დედაბერმა:

– რატომაც არა, შვილო, კეთილი იყოს შენი ფეხიო.

და ბიჭი შინ შეიყვანა. სამი დღე იყო, რაც ბიჭს წყალი არ დაელია, წყურვილისაგან ხახა გაშრობოდა.

– დედი, ენა სასას მიმკვრია, დედაშვილობამ, ერთი ჭიქა წყალი დამალევინეო.

ქალმა წყალი მოუტანა. ბიჭმა ტალახიანი, ამღვრეული წყალი რომ ნახა:

– ეს რანაირი წყალიაო? – ჰკითხა.

– რა ვქნათ, შვილო, წყალს გველეშაპი დაეპატრონა. თუ კაცს არ მივგვრით შესაჭმელად, წყალს არ მოგვცემს. წყურვილით რომ არ დავიხიცოთ, დღეში თითო კაცი მიგვყავს. ხვალ მეფის ასულის ჯერიაო.

– დედი, განა ისეთი რა არის ეგ გველეშაპი, რომ ვერაფერი უქნენითო?

– ვაი და უია, შვილო, ჩვენს თავს. ხელმწიფემ სულ რჩეული ბიჭები შეკრიბა. მთელი ჯარი შეება წყეულს, ამოწყდნენ, მაგრამ ვერაფერი დააკლეს.

რომ ირიჟრაჟა, ბიჭმა დაინახა, რომ ხელმწიფის ასული გველეშაპისკენ მიმავალ გზას დასდგომია. ბიჭიც აედევნა. კვალში ჩაუდგა და ერთად მიდიან. გამოიხედა გველეშაპმა. ხედავს, ორი საჭმელი ერთად მოდის, გაიხარა, – კარგად გამოვძღებიო. მოემზადა, ხელდახელ აილესა კბილები.

ბიჭი მივიდა გველეშაპის სადგომში, იძრო ხმალი, მოუქნია და ერთი

ისეთი დაჰკრა, რომ შვიდი თავი ერთად დააყრევინა.

გველეშაპი შეეხვეწა:

– ბიჭო, რა იქნება, ერთიც დამკრაო.

ბიჭმა:

– არაო, – უთხრა – დედას ერთხელ გავუჩენივარო.

დადგა სისხლის ტბა და მორევი. გველეშაპი იმ სისხლში ჩაიძირა. იფეთქა და მოსკდა წყალი, წამოვიდა. გაიხარა სოფელმა, ხალხი წყლის სმით გაძღა.

ხელმწიფის ქალი გახარებული დაბრუნდა შინ. დედ-მამას გაუკვირდა. ქალმა უთხრა, ერთმა უცხო ბიჭმა გადამარჩინა, უკან გამომყვა და გველეშაპს თავები დააყრევინაო.

– ის ბიჭი რომ ნახო, იცნობო? – ჰკითხა ხელმწიფემ შვილს.

– რატომაც არაო, – უპასუხა ქალმა.

ხელმწიფემ მთელ ქვეყანაში დაგზავნა ხალხი, იმ ყმაწვილის მოსაძებნად.

მთელი ქვეყნიდან მოუყარეს თავი ყმაწვილკაცებს, სასახლის წინ ეზოში დააყენეს.

– კარგად დააკვირდი, – ეუბნება ხელმწიფე შვილს – ეგება ამოიცნო შენი მხსნელიო.

გადახედა ქალმა ხალხს და იმ ყმაწვილს მოჰკრა თვალი.

– აგერ, მამი, ის ბიჭიაო, – უთხრა ხელმწიფეს.

– ის ბიჭი აქ მომგვარეთო! – უბრძანა ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირებს მიჰგვარეს.

— რაც გინდა, მთხოვეო, — უთხრა ხელმწიფემ.

— დიდო მეფეო, ქონებაზე თვალი არა მრჩება, მინდა ნათელ ქვეყანაში გავიდეო.

— ნათელ ქვეყანაში გასვლა ადვილი არ არის, ეგ საქმე მე არ შემიძლია, მაგრამ მავან ადგილას ერთი ხე დგას, იმ ხეზე ერთი ფასკუნჯი ბუდობს. თუ ვინმე ნათელ ქვეყანაში წაგიყვანს, მხოლოდ ეგ ფასკუნჯი წაგიყვანს, სხვა ვერავინო. ის საცოდავი ფასკუნჯი რა ხანია, შემომჩივის, ბარტყებს ვჩეკავ, რის ვაი-ვაგლახით ვზრდი, მაგრამ რა გამოდის? მოვა ერთი გველეშაპი და შემიჭამსო. შენ თუ იმ გველეშაპს მოკლავ, ფასკუნჯს გაახარებ. დაინახავს შენს სიკეთეს, დაგიმადლის, გკითხავს, რით გადაგიხადოო? შენც უთხარი, სხვა არა მინდა რა, ნათელ ქვეყანაში გამიყვანე-თქო.

ბიჭს ხელმწიფის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა. ადგა, წავიდა იმ ალაგას, ეძებნა და იპოვა ის ხე. ჩამოჯდა ხის ძირას და დაუწყო გველეშაპს ლოდინი. მალე ისიც გამოჩნდა. მივიდა ხესთან, უნდა დაარხიოს, ბარტყები ჩამოყაროს და შეჭამოს.

ამ დროს ბიჭმა ხმალი მოუქნია და მოკლა. სულ ლუკმა-ლუკმა აკუწა, მიუტანა და ბარტყებს დაუყარა — ჭამეთ, შეგარგოთ ღმერთმაო. მერე დაღლილი ხის ძირას წამოწვა, თვალს მოვატყუებო, იფიქრა. დაიძინა.

ამ დროს ფასკუნჯიც გამოჩნდა. რას ხედავს?! მისი ხის ძირას ვიღაც წევს და სძინავს. იფიქრა, ალბათ, ჩემი ბარტყების მტერიაო. ის იყო უნდა დასცხრომოდა და ნაფლეთებად ექცია, რომ ბარტყებმა უთხრეს:

— ამან გვიხსნა გველეშაპის ხახიდანო.

ამის გამგონე ფასკუნჯმა გაიხარა, დამშვიდდა, ბიჭს ხელი აღარ ახლო. პირიქით — ფრთები გადააფარა — მზემ არ დასიცხოს, ტკბილად იძინოსო.

გავიდა დრო. ბიჭმა გაიღვიძა. ხედავს, ფასკუნჯს მისთვის ფრთები გადაუფარებია და უჩრდილებს.

— შენ, ეი, მიწის შვილო, — ეუბნება ფასკუნჯი, — რაც გინდა, მთხოვე. შენ მე ისეთი სიკეთე მიყავი, არ იქნება, სიკეთითვე არ გადაგიხადოო.

— ფასკუნჯო, შენი არაფერი მინდა. თუ შეგიძლია, ნათელ ქვეყანაში წამიყვანეო.

— ვაი, რომ დავბერდი, თორემ ადრე ჩემთვის ნათელ ქვეყანაში წასვლა თამაში იყო. ახლა ძალიან გამიჭირდება, მაგრამ უარი როგორ გითხრა. რაც არ უნდა ბებერი ვიყო, შენი ამაგი ჩემი გადასასდელია. წადი, ხელმწიფეს ორმოცი თულუხი* წყალი და ორმოცი ცხვრის დუმა გამოართვი, მოიტანე და ნათელ ქვეყანაში წაგიყვანო.

მივიდა ბიჭი ხელმწიფესთან, ორმოცი თულუხი წყალი, ორმოცი ცხვრის დუმა გამოართვა და ფასკუნჯს მიუტანა.

– მოდი, რაც მოგიტანია, ამკიდე, შენც ზურგზე დამაჯექი და გავფრინდეთ. ვიტყვი „ბუ", წყალი მომაწოდე, ვიტყვი „ღი" – დუმა და ასე გავწიოთ ნათელი ქვეყნისაკენო, – უთხრა ფასკუნჯმა.

შეაჯდა ბიჭი ფასკუნჯს, თან წყალი და დუმა აიტანა და გაფრინდნენ. იტყვის ფასკუნჯი „ბუ" – წყალს ასმევს, იტყვის „ღი" – დუმას აჭმევს.

გზაში ერთი მეცხვარე შეხვდათ. ბიჭი ეტყვის:

– გამარჯობა, ძმაო!

– გაგიმარჯოს, უფლისწულოო.

– ერთი ცხვარი რომ დამიკლა, სამაგიერო რა გინდაო?

– რაც გაგიხარდება, მეფის შვილოო.

მეცხვარემ ერთი ცხვარი დაუკლა. ბიჭმა მხოლოდ ტყავი აიღო, ხორცი მეცხვარეს დაუტოვა და ეუბნება:

– ძმაო, აჰა, ჩემი ტანსაცმელი, შენი მე მომეცი.

გაუხარდა მეცხვარეს. გაიხადა თავისი ტანსაცმელი, უფლისწულისა

ჩაიცვა, უფლისწულმა მწყემსის ტყაპუჭი ჩაიცვა, აიღო ცხვრის ტყავი და გზა გააგრძელეს. ბევრი იფრინეს თუ ცოტა, ბიჭის მამის ქალაქს მიუახლოვდნენ. ბიჭმა მეცხვარისაგან წამოღებული ტყავი ამოიღო, გაპარსა, თავზე გადაიკრა და ქაჩალს დაემსგავსა. ასე შევიდა მამის ქალაქში. მიდ-გა-მოდგა და ერთ დუქანში გაჩერდა.

ერთ დღესაც დგას დუქნის წინ, გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებს. ერთიც ვნახოთ, ვიღაც კაცი მიუახლოვდა.

– ვინა ხარ, საიდან მოსულხარ, რა გინდა, აქ რას უდგახარ? – ეკითხება.

– ყარიბი ვარ, ლუკმაპურის საშოვრად მოვსულვარო.

– მე მეფის ოქრომჭედელი ვარ, თუ გინდა, მოდი, შეგირდად დამიდ-ექი, ხელობას გასწავლიო.

– მაგას რა სჯობია! მეფის ოქრომჭედელს უარს როგორ ვეტყვი, თანაც მაგ ხელობისა რაღაც გამეგებაო.

ახლა სასახლეში მივიდეთ და ვნახოთ, როგორ არიან ბიჭის მამა – ხელმწიფე და მისი შვილები.

ხელმწიფემ შვილებს დევებისაგან წამოყვანილი ქალების შერთვის ნება არ მისცა. გულში ფიქრობდა, იქნებ ჩემი უმცროსი ვაჟი დაბრუნდესო, ეჭვიც ჰქონდა, ძმებმა ხომ არ უმუხთლესო.

ამასობაში გავიდა ერთი წელი, მეორე, გადის მესამეც. ნაზირ-ვეზირე-ბი ეუბნებიან:

– დიდო ხელმწიფევ, სირცხვილია, ხალხი რას იტყვის? შვილებს ცო-ლის შერთვის ნებას არ აძლევსო. დაგძრახავენო.

ხელმწიფეს სხვა რა გზა ჰქონდა? დასწერა უფროს ვაჟს ჯვარი უფროს დაზე, შუათანას – შუათანაზე, მერე უმცროსი და იხმო და ჰკითხა:

– მითხარი, შვილო, ვისზე გინდა რომ გაგათხოვო? შენი დანიშნული არა ჩანს. ვაითუ, ვერც დაბრუნდეს. სამი წელია, ელოდები. როდემდე უნდა ელოდო. მითხარი, ვინც შენს გულს ეკვრის, ვინც გაგიხარდება, იმას გაგაყოლებო.

ქალმა უთხრა:

– დიდო ხელმწიფევ, ჩემთვის სულერთია. ვისაც გინდა, იმას გამაყ-ოლეო.

– კარგი, შვილო, ჩემი ვეზირის ვაჟი კარგი ბიჭია, იმას მიგათხოვებო.

– ნება შენია, დიდო ხელმწიფევ, ოღონდ სამი თხოვნა უნდა შემის-რულოო.

ხელმწიფემ:

– მითხარი, მითხარი, რაც გინდა და უეჭველად შეგისრულებო.

– დიდო ხელმწიფევ, ჩემი სამი თხოვნა ეს არის: მინდა სამი ოქროს

სინი გამიკეთონ. ერთზე ოქროს მელია უნდა დაცუნცულებდეს, მეორეზე – ოქროს დედალ-მამალი ქათმები დაფრთხიალებდნენ, მესამეზე – ოქროს გნოლი და კაკაბი.

ხელმწიფეს გაუკვირდა, მაგრამ მაინც დაიბარა თავისი ოქრომჭედელი და უმცროსი დის სურვილის შესრულება დაავალა. თან დაამატა:

– თუ ვერ გააკეთებ, თავს წაგაცლიო.

ოქრომჭედელი საგონებელში ჩავარდა. მეფეს სამი თვის ვადა გამოსთხოვა და წავიდა. ბიჭმა ოქრომჭედელი ყურებჩამოყრილი რომ ნახა, ჰკითხა, რა მოგივიდაო?

– თავიდან მომწყდი, მე ჩემი დარდი მაქვს, შენთვის არა მცხელაო, – უპასუხა ოქრომჭედელმა და ბიჭი გააგდო. ისიც ადგა და წავიდა.

როგორ არ ეცადა ოქრომჭედელი მეფის დავალების შესრულებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. გამოჭედავდა, ისევ გადააადნობდა. სამი თვე სამ დღეზე რომ მიიყარა, ბიჭი მივიდა ოქრომჭედელთან და უთხრა:

– მითხარი, რა გაგჭირვებია? კაცნი ვართ, იქნებ გიშველო რამეო.

ოქრომჭედელმა იფიქრა, ვეტყვი, ვნახო, რა შეუძლიაო, და ბიჭს ცალყბად მიუგდო ამბავი.

ბიჭმა:

– სულ ეგ არის? მაგას რა უნდა?! მე გავაკეთებ, ოღონდ სახელოსნოში ერთი გოდორი კაკალი და ჩაქუჩი მინდაო.

ოქრომჭედელმა გაიკვირვა, სურვილი კი აუსრულა. ჩაიკეტა იმ ღამით ბიჭი სახელოსნოში, ამტვრევს კაკალს და ჭამს. გარეთ კაკლის მტვრევის ხმა ისმის.

გათენებისას უფლისწულმა ამოიღო უმცროსი დის ნაჩუქარი თილისმა, დააკვესა და დევებთან რომ ქალებს გვერდით ეწყოთ, ის სინები ბიჭთან გაჩნდა.

ოქრომჭედელი კი დარდით აღარ იყო. კაკლის მტვრევისა და ჩაქუჩის ჩაქაჩუქის ხმა ესმის და არც კი იცის, რა ხდება. გულმა ვეღარ გაუძლო და კარზე მიუკაკუნა. ბიჭმა კარი გაუღო. ოქრომჭედელს გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა – სამივე სინი დიდებული ქმნილება იყო! გახარებული მიეჭრა ბიჭს, შუბლზე აკოცა, შეაქო:

– რა კარგი ოსტატი ყოფილხარ და მე კი არ ვიცოდი. ხელმწიფე თავს მომჭრის კი არა – ბევრ ფულს მომცემს. ამ სინებით შენ მე სიცოცხლე მაჩუქე!

გახარებული ოქრომჭედელი სინებს ხელმწიფეს მიართმევს, ის კი უმცროს დას აჩვენებს. ქალი ნახავს და მაშინვე მიხვდება, რომ ეს სინები მისი დანიშნულის მოტანილია.

ხელმწიფე დანიშნავს უმცროს დას. ორი დღის შემდეგ ქორწილი უნდა გადაეხადა.

სასიძომ თავის ტოლ-ამხანაგებთან ერთად სასახლის წინ ცხენებით დოღი და ჯირითი გამართა.

აქ დავტოვოთ მოჯირითეები, იმათ იჯირითონ, ჩვენ კი ვნახოთ, რას აკეთებს ჩვენი ქაჩალი.

ნიშნობის დღეს ოსტატს კამეჩები სთხოვა, წავალ, თივას მოვიტანო. მინდორში რომ გავიდა, ამოიღო წითელი ცხენის ძუა და ცეცხლს მისცა. მაშინვე გაჩნდა დარახტული ქურანა ცხენი* და გვერდით ამოუდგა. ბიჭმა გადაიძრო თავიდან ცხვრის ტყავი, გაიხადა მწყემსის ტყაპუჭი, მოახტა ცხენს და ისიც ხელმწიფის სასახლის წინ გაჩნდა. მის ცხენს ცხენი არ ეთქმოდა. რაში იყო, ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. გაიჭრა და მოჯირითეები აქეთ-იქით მიყარა, მათი ცხენოსნობა და ჯირითი გაახუნა. მათაც მოედანი მიატოვეს და იქაურობას გაშორდნენ. ბიჭი კი დაქროდა, ცხენიდან ჩამოხტებოდა, მიწას ხელს დაჰკრავდა და ისევ ცხენზე იმართებოდა.

ხელმწიფეს მოახსენეს:

– ვიღაც არის, ქურან ცხენზე ზის, აქაურს არა ჰგავს. ისე ჯირითობს, რომ სხვებმა მოედანი მიატოვეს, იმ ცხენისა და მხედრის ჯომარდობას ვერ გაუძლესო.

ხელმწიფემ თქვა, მოდი, გავალ, ვნახავ, როგორი ცხენოსანია, ამდენს რომ აქებენო.

ბიჭი მეფის დანახვაზე ჩამოქვეითდა, ხელმწიფეს ხელზე აკოცა.

– ვინა ხარო? – ჰკითხა ხელმწიფემ.

ისიც ადგა და კაკალ-კაკალ უამბო, ვინც იყო და რაც გადახდა. ხელმწიფეს ყველაფერი ენიშნა.

– ჯალათებო! – დაიძახა. მოვიდნენ ჯალათები.

– რას გვიბრძანებ, დიდო მეფეო?

– ახლავე წადით, ჩემს ორ ვაჟს თავები დააყრევინეთ, და აქ მომიტანეთო!

უმცროსი უფლისწული მამას ფეხებში ჩაუვარდა:

– ნუ იზამ, მამა, აპატიე. ჩემი ძმების სიცოცხლე მე მაჩუქეო.

– კარგი, რახან ასე მთხოვ, შენი ძმების სიცოცხლე შენთვის მიჩუქნია და მიპატიებიაო.

ხელმწიფე ჩამოვიდა ტახტიდან და ზედ უმცროსი ვაჟი დასვა. მოვიდა უმცროსი და, მთელი ეს ხანი დანიშნულის გზაზე რომ ეჭირა თვალი. ხელმწიფემ ვეზირის ვაჟისა და უმცროსი დის ნიშნობა დაარღვია, ქალი უმცროს უფლისწულზე დანიშნა.

შვიდი დღე და შვიდი ღამე ქორწილის სუფრა არ ალაგებულა. იყო ლხინი და ქეიფი, ზურნა და დოლი, ისეთი სიხარული, რომ მეტი არ იქნებოდა.

ისინი ხომ ბედს ეწივნენ, თქვენც სწეოდეთ თქვენს ბედს.

არევჰატი და გველის წიწილი ოძმანუკი

იყო ერთი ხელმწიფე. ერთხელ ხელმწიფე აივანზე გამოსულიყო და ბოლთას სცემდა. დაინახა, გველს თავისი წიწილები ეზოში გამოეყვანა და ეფერებოდა.

– რა იქნებოდა, მეცა მყოლოდა ერთი შვილი, რომ მოვფერებოდი. დალოცვილ ღმერთს ერთი გველის წიწილი მაინც გაემეტებინა ჩემთვისო, – იფიქრა ხელმწიფემ.

მეფეს ნატვრა აუსრულდა და მართლაც მიეცა შვილი. კარისკაცები მეფესთან მივიდნენ:

– მეფეო, გილოცავთ! შენმა ცოლმა მოილოგინა, მაგრამ გველის წიწილი ეყოლა, – უთხრეს.

მეფემ:

– რას ვიზამ, ეგეც შვილიაო.

გველის წიწილი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. ერთ კვირაში გველეშაპს დაემსგავსა. წუხდნენ მეფის მზარეულები – ამას რა გააძღობსო? რასაც მიართმევდნენ, სანსლავდა და ღრიალებდა: „მშია, მშიაო!“ ლამის იყო კედლები დაენგრია.

ხელმწიფემ ბრძანა:

– გველეშაპს საჭმელად ყოველ დღე თითო ყმაწვილი ქალი მიჰგვარეთო.

ხელმწიფის კაცები მოედვნენ ქვეყანას, ეძებდნენ უპატრონო გოგოებს, პოულობდნენ და გველეშაპისათვის მიჰყავდათ.

ერთხელ ხელმწიფეს ერთი გოგო მიჰგვარეს, არევჰატი ერქვა.

– ჩემს ვაჟს მიუყვანეთო! – ბრძანა მეფემ.

წაუყვანეს, მაგრამ გველეშაპის შიშით კარიდან ვერ შევიდნენ, ქალი სხვენზე აიყვანეს და ერდოდან ჩაუშვეს.

– გამარჯობა, უფლისწულო! – მიესალმა არევჰატი გველეშაპს.

ამ სიტყვებზე გველეშაპს პერანგი შემოეხა და მზეჭაბუკად იქცა. გოგო და უფლისწული ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მეფემ ბრძანა:

– მიდით, ნახეთ, შეჭამა ის გოგო თუ არაო.

მივიდნენ, ნახეს, გველეშაპი მზეჭაბუკად ქცეულიყო.

– კარი რატომ ჩამიკეტეთ? გააღეთ! – უთხრა უფლისწულმა ხელმწიფის კაცებს.

გაუღეს. მერე ხელმწიფეს მოახსენეს:

– შენი გველეშაპი მზეჭაბუკად ქცეულა და იმ გოგოს ემუსაიფებაო.

ხელმწიფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. შვილთან მივიდა და უთხრა:

– გამარჯობა, შვილო!

უფლისწული მამას ფეხზე წამოუდგა. არევჰატიც წამოდგა და მეფეს თაყვანი სცა.

ხელმწიფემ ძალზე გაიხარა, შვილი ასე ყველაფრით შემკული რომ ნახა. არევჰატიც ხომ ულამაზესი ქალი იყო!

– აბა, შვილო, მითხარი, რა გინდა, რომ შეგისრულოო. – უთხრა მამამ.

– ღმერთმა სულ გამარჯვებით გატაროს, არევჰატზე ჯვარი მინდა დავიწეროო.

ხელმწიფემ შვილს დიდი ქორწილი გადაუხადა. შვიდი დღე და შვიდი ღამე სუფრა არ ალაგებულა. სვეს, ჭამეს არევჰატისა და ოძმანუკის – გველის წიწილის – სადღეგრძელოები შესვეს.

ქორწილი რომ დამთავრდა, ხელმწიფემ იხმო არევჰატი და უთხრა:

– შვილო, შენი ამბავი მოგვიყევი, გვითხარი, ვისი შვილი ხარ, აქ როგორ მოგიყვანესო.

– ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მე ერთი ოხერტიალი გოგო ვარ. არც დედა მყავს, არც მამა. მხოლოდ დედინაცვალი მყავდა. ყოველ დილას ერთ გირვანქა* მატყლსა და ერთ ნაჭერ პურს მომცემდა, მეტყოდა: „საქონელი მწყემსე, თან მატყლი დაართე. პური ნახევარი ჭამე და ნახევარი უკან მოიტანეო“. ერთხელ ქარაფის თავზე ვიდექი. თითისტარი მეჭირა და ვართავდი. უცებ ქარაფი გადაიხსნა და თითისტარი შიგ ჩამივარდა. გადავიხარე, ჩავიხედე, ერთი დედაბერი დავინახე.

– დედი, თითისტარი ჩამომივარდა, თუ შეიძლება, ამომიგდე-მეთქი, – ჩავძახე.

– შვილო, ადგილიდან ვერ ვიძვრი, ჩამოდი და შენი თითისტარი თვითონ აიღეო.

– როგორ ჩამოვიდე?

– ხევ-ხევ გამოიარეო.

ხევი გავიარე. გამოქვაბულს მივადექი. კარი ღია იყო. თითისტარის ასაღებად შევედი. უცებ კარი გაქრა.

– დედი, კარი რა იქნა?

– მომიახლოვდი, შვილო, რაღაც უნდა გითხრა. კარს მერე გაჩვენებო.

მივუახლოვდი. დედაბერმა მითხრა:

– ცოცხი აიღე და აქაურობა დამიგავეო.

ავიღე ცოცხი და იქაურობა დავგავე.

– შენი სახლი უფრო სუფთაა, თუ ჩემიო? – მკითხა.

– შენი-მეთქი, – ვუთხარი, თუმცა, სუფთა კი არა, ძალიანაც ჭუჭყიანი იყო.

მერე მითხრა:

– შვილო, მოდი, დაჯექი, თავს კალთაში ჩაგიდებ და გამიხილეო.

მივედი, ჩამიდო თავი კალთაში და გავუხილე.

მერე მკითხა:

– მე უფრო სუფთა თავი მაქვს, თუ დედაშენსაო?

– შენა-მეთქი.

– მეძინება, შენს კალთაში თავჩადებული ცოტას დავიძინებ. ამასობაში შავი წყალი ჩამოივლის, ხმა არ გამცე. წითელი წყალი ჩამოივლის, არ გამაღვიძო. როცა ყვითელი წყალი ჩამოივლის, მაშინვე გამაღვიძეო.

– კარგი-მეთქი.

დაიძინა. ვხედავ –შავი წყალი მოდის. ხმა არ ამოვიღე. მერე წითელმა წყალმა ჩამოიარა. ისევ ვიყუჩე. როცა ყვითელი წყალი წამოვიდა დავუძახე:

– დედი, ადექი, ყვითელი წყალი მოდის-მეთქი!

დედაბერი წამოხტა, ჩამავლო ფეხებში ხელი და იმ ყვითელ წყალში ჩამაყურყუმელავა. მაშინვე თმა ოქროსი გამიხდა.

დედაბერმა კარი მაჩვენა და მითხრა:

– მშვიდობით იყავი, ღმერთმა გიშველოსო.

გამოვედი გამოქვაბულიდან. ჩვენს ნახირთან მივედი. საგონებელში ვარ: „რა ვქნა, ამ ოქროს თმით შინ როგორ დავბრუნდე. დედინაცვალი ღერ-ღერად დამაგლეჯს“. ერთ მწყემსს შევეხვეწე:

– დაკალი ცხვარი. ხორცი შენი იყოს, ტყავი მე მომეცი-მეთქი.

მწყემსი ადგა, ერთი ცხვარი მოიყვანა და დაკლა.

— დაო, დაჯექი, მწვადი შევწვათ და წავიხემსოთო.

შეწვა. ვჭამეთ. ტყავი ავიღე და თავზე გადავიკარი, თმა დავმალე. საღამომდე მზის გულზე ვიყავი და ამიტომ ცხვრის ტყავი თავზე მიმახმა.

მოსაღამოვდა. საქონელი შინ მოვასხი. დედინაცვალი გამიწყრა, დღეს მატყლი რატომ არ დაგირთავსო? ერთი-ორი მუჯლუგუნიც მომხვდა.

მერე მითხრა:

— შაბათია, თავი უნდა დაგბანოო.

უარი ვთქვი:

— არ მინდა თავის დაბანა-მეთქი.

ამ დროს ჩემი უმცროსი და — დედინაცვლის ალალი შვილი — გამოქანდა, თავზე მეძგერა და ცხვრის ტყავი გადამაგლიჯა. ოქროს თმები მხრებზე გადამეფინა.

დედინაცვალი გაგიჟდა:

— შე ლირფო, ეს რა არისო?!

რაღა უნდა მექნა? ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— შე ასეთ-ისეთო, დილაზე ჩემს გოგოს წაიყვან და იმ ქარაფს აჩვენებ, რომ იმასაც თმა ოქროსი გაუხდესო.

მეორე დღეს, როგორც კი მზე ამოვიდა, დედინაცვალმა გომურიდან ძროხა გამოუშვა, ერთი გირვანქა მატყლი და ერთი ნაჭერი პური თავის გოგოს მისცა და წავედით.

მივედით. ვაჩვენე ჩემს დას ის ქარაფი. ისიც მივიდა, დადგა, ამოიღო თითისტარი და რთვა დაიწყო. ისევ გადაიხსნა ქარაფი, ისევ ჩავარდა თითისტარი. გოგო დაიხარა, ჩაიხედა. ხედავს, ერთი დედაბერი ზის. გაბრაზებით ჩასძახა:

— დედი, ჩემი თითისტარია მანდ და დამიბრუნეო!

— შვილო, თავად ჩამოდი და აიღე. მოხუცი ვარ, ვერა ვდგებიო.

გოგომ წყრომით ჩასძახა:

— კარი სადა აქვსო?!

— ხევ-ხევ გამოჰყევი და მოხვალო.

გოგომ ხევი გაიარა, კარი ნახა, შევიდა, მაგრამ თითისტარის ასაღებად რომ დაიხარა, კარი გაქრა.

— კარი დავკარგე, როგორ გავიდეო? – ჰკითხა დედაბერს.

— ჯერ აქ მოდი, სიტყვა მაქვს სათქმელიო.

მივიდა.

— ერთი ცოცხს მოჰკიდე ხელი და აქაურობა დაგავეო.

გოგომ დაგავა. როცა მორჩა, დედაბერმა ჰკითხა:

— ჩემი სახლია უფრი სუფთა თუ — შენიო?

გოგო გაჯავრდა:

— ჩვენი სახლი სუფთაა, შენი — მურტალიაო.

— რა ვქნა, შვილო, ხნიერი ვარ, მეტი არ შემიძლია, არავინ მყავს, რომ დამილაგოსო. აბა ერთი აქ მოდი, დაჯექი, თავს კალთაში ჩაგიდებ და გამიხილეო.

გოგო დაჯდა. დედაბერმა თავი კალთაში ჩაუდო. გოგომ გაუხილა. რომ მორჩა, დედაბერმა ჰკითხა:

— მე უფრო სუფთა თავი მაქვს თუ დედაშენსო?

გოგო ისევ გაჯავრდა:

— ვაი შენს თავს! დედაჩემს უფრო სუფთა თავი აქვსო!

მერე მოხუცმა უთხრა:

— შვილო, მეძინება, შენს კალთაში თავჩადებული ცოტას დავიძინებ. ამასობაში ყვითელი წყალი ჩამოივლის, ხმა არ გამცე, წითელი წყალი ჩამოივლის, არ გამაღვიძო, შავი წყალი რომ ჩამოივლის, მაშინვე გამაღვიძეო.

დაიძინა მოხუცმა. გოგომ ნახა, ყვითელმა წყალმა ჩამოიარა, ხმა არ გასცა, არც მაშინ გააღვიძა, როცა წითელი წყალი წამოვიდა. შავი წყალი რომ წამოვიდა, გააღვიძა მოხუცი. იმან კი გოგოს ფეხებში ხელი ჩაავლო და წყალში ჩააყუდა. საწყალი გოგო გაშავდა და გაშავფერდა. თან შუბლზე ტყავი ასძვრა.

მოხუცმა უთხრა:

— შვილო, კარი ღიაა, შეგიძლია, წახვიდეო.

გოგომ დაინახა რომ კარი ღია იყო. აიღო თითისტარი და ჩემთან მოვიდა. ვნახე და გული გამისკდა. ძალიან გაუბედურებულიყო.

— გოგო, ეგ როგორ მოგივიდა? — მეთქი.

— რა ვიცი, დედაბერმა შავ წყალში ჩამაყოფინა თავი და ეს დამემართაო.

წამოვედით და შინ მოვედით. ჩემმა დედინაცვალმა თავისი გოგო ისეთ დღეში რომ დაინახა, ჯოხს წამოავლო ხელი და შინიდან გამომაგდო.

წამოვედი, ხის ძირას დავჯექი, ტირილი დავიწყე. ამ დროს შენმა კაცებმა გამოიარეს, დამიჭირეს და წამომიყვანესო.

ვკითხე: — სად მიგყავართ-მეთქი?

მითხრეს: — მეფის შვილს უნდა მიგათხოვოთო.

მეც ავდექი და მოვედი. სიცოცხლე და გამარჯვება ჰქონდეს ჩვენს მეფეს.

თაფაგიოზის* ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი გლეხი. ამ გლეხს მთელ ქვეყნიერებაზე ერთი თხუთმეტი წლის ბიჭის გარდა არავინ ჰყავდა. ბიჭს დავითი ერქვა.

ერთხელ დავითმა სიზმარში ერთი გოგო ნახა და შეუყვარდა. გოგო კი მეფის ასული იყო. თურმე ნუ იტყვი, გოგოსაც იმავე ღამეს სიზმარში უნახავს ბიჭი და იმას კიდევ ეს შეჰყვარებია.

გოგო თავის ადგილას იყოს, ჩვენ ისევ ბიჭს მივუბრუნდეთ.

ბიჭმა რომ გამოიღვიძა და ნახა, არც გოგო იყო სადმე და არც არაფერი, იმ ღამეს ვერა და ვეღარ დაიძინა ფიქრითა და დარდით.

ასე გავიდა ერთი თვე, მაგრამ ვაი ამ გასვლას! ერთ დღეს უეცრად ზნემ მოუარა ბიჭს, გონი დაკარგა, დაეცა და უგრძნობლად დაეძინა. როდესაც გამოეღვიძა, ერთიანად ოფლში იყო გახვითქული; მკლავში რაღაც უჩვეულო ძალა იგრძნო და გაიფიქრა:

— ღმერთის შემწეობით ღონიერ ფალავნად ვიქეცი, ახლა კი წავალ და ჩემს საწადელს ვეწევიო!

მაგრამ ჯერ თავის გამოცდა მოინდომა, მართლა ვარ თუ არა ფალავანიო? — სოფლის ბოლოზე გავიდა. ხედავს, მეხრეები კამეჩებს აჭიდავებენ. მივიდა, მარჯვენა ხელით ერთ კამეჩს წასწვდა რქებში, მარცხენით — მეორეს, დაიქნია და ორივე კამეჩი აქეთ-იქით გადაყარა. მეხრეებმა ეს რომ დაინახეს, თავზარდაცემულებმა მოკურცხლეს. აქ ბიჭმა შეიტყო, რომ მართლა ფალავანი გამხდარიყო.

რაკი ეს შეიტყო, წავიდა, მჭედელს ერთი ოცდაათლიტრიანი* ხმალი გამოაჭედინა, შეიბა წელზე და დაადგა გზას. ცოტა იარა თუ ბევრი იარა, გზაზე ერთი კაცი შემოეყარა. თურმე ის კაცი ანგელოზი ყოფილიყო, ბიჭს კი მგზავრი ეგონა.

— საით გაგიწევია, ძმობილო? — ეკითხება ანგელოზი ბიჭს.

— შენ რომ დაგიმალო, ღმერთს ხომ არ დაემალება, არაბეთში მავან ადგილას ერთი გოგოა და იმის მოსაყვანად მივდივარო.

— ეგ კარგია, მაგრამ ეგრე სიარულით იქამდე მისვლას ათი წელი მაინც მოუნდები; მოდი მე ერთ რჩევას მოგცემ და ყური კარგად დამიგდე. აგერ, პირდაპირ რომ ხე დგას, იქ ერთი აუზია. წადი, ერთი ცხენის აღვირი იყიდე, მერე მიდი და იმ ხესთან დაიმალე; ზღვიდან ერთი რაში ამოვა და აუზთან წყლის დასალევად მოვა, დაიჭირე, აღვირი ამოსდე, შეჯექი და სადაც გინდა, იქ წაგიყვანსო.

— ძალიან კარგიო, — გაუხარდა ბიჭს, ანგელოზს მადლობა გადაუხადა და წავიდა.

ხესთან მივიდა, მის ძირას მართლაც ერთი კარგი აუზია. წავიდა, იყიდა აღვირი, წამოიღო და დაიმალა ხესთან. ცოტა ხანმა რომ გაიარა, ერთიც ვნახოთ, ზღვა აღელდა, ზღვიდან ერთი ცხენი გამოვიდა, ფრენით მივიდა აუზთან და წყალს დაეწაფა.

ბიჭი საფარიდან გამოვარდა, ცხენს ხელდახელ აღვირი ამოსდო და ზურგზე შეახტა.

— ბიჭო, ჩამოდი, თორემ ცაში აგიყვან, მიწაზე ჩამოგაგდებ და ლუკმა-ლუკმა გაქცევო! — უთხრა ცხენმა.

— ცაში ახვალ და მუცელზე მოგექცევიო! — მიუგო ბიჭმა.

— მუცელზე მომექცევი და — ისეთი წიხლი ჩაგაზილო, მიწაში ჩაიკარგოო!

— მეც გავაზე მოგექცევიო! — არ გატყდა ბიჭი.

ცხენმა რომ ნახა, ეს ბიჭი ვიღაც გუდურა კი არა, უშიშარი ვაჟკაციაო, გულში გაიფიქრა, ამაზე უკეთეს პატრონს ვერსად ვიშოვიო.

— რაკი ეგრეაო, — ეუბნება დავითს, — რაც გინდა მთხოვე და შეგისრულებო.

— მე ის მინდა, სადაც მივდივარ, მალე მიმიყვანოო.

ცხენი ცეცხლოვანი იყო, აფრინდა და წავიდა. ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს, ორ მთას მიადგნენ. ეს მთები უკან-უკან დაიწევენ, წამოვლენ და დაეჯახებიან ერთმანეთს, ისევ დაშორდებიან და ისევ დაეჯახებიან.

აქ ცხენი ბიჭს ეუბნება:

— ბიჭო, ისეთი დეზი მკარი, რომ დედის ნაწოვი რძე სულ ზევით ამომივიდეს, იმ მთებშუა უნდა გავიდეთო.

მთებმა რომ უკან-უკან დაიწიეს, ბიჭმა ცხენს დეზი ჰკრა, ცხენი გაფრინდა და მთებშუა გავარდა. დაჯახებას კი გადარჩა, მაგრამ, ეგ იყო კუდის ძუა მოჰყვა შუაში და მოსწყდა.

კარგა ხანს კიდევ იარეს და ერთ ბაღს მიადგნენ. ბიჭმა ცხენი ბაღში გაუშვა, თვითონ კი პურის საჭმელად დაჯდა. თურმე ნუ იტყვით, ეს დევების ბაღი არა ყოფილა?!

ბაღის ყარაული მივიდა და ბიჭს ეუბნება:

— კაცო, შენ როგორც გატყობ, ამ ბაღის პატრონი დევების სახელი არ გაგიგონია! ამათი შიშით ამ არემარეზე სულიერს ვერ გაუჭაჭანია, შენ ვინღა ხარ, რომ შემოსულხარ და ცხენიც თავისუფლად გაგიშვია! ადექი. წადი აქედან, თორემ დევები მოვლენ და შენგან ყველაზე დიდ ნაჭერს ყურსღა დატოვებენო!

— წადი, ის შენი დევები გამომიგზავნე, ვნახო, რისი შემძლენი არიანო! — ეუბნება ბიჭი.

— გიჟი ხომ არა ხარო, — გადაირია ყარაული, — ადექი, მოუსვი, თორემ მოვიდა კეტი თავშიო!

ბიჭი წამოდგა და ყარაულს ერთი ისეთი სილა გააწნა, კინაღამ სული გააცხებინა.

ყარაული წავიდა და ხელმწიფესთან იჩივლა:

— სამეფო ბაღში ერთი კაცი შესულა, მე ტკბილი სიტყვით მინდოდა გამესტუმრებინა, მაგრამ შენ ხომ გაგინა და გაგინა, მეც ერთი კარგად მცემაო.

დევების ხელმწიფემ ამის გაგონებაზე სულ ცეცხლი ყარა პირიდან. შეყარა ჯარი, წამოუძღვა წინ და წამოვიდა ბიჭზე.

ბიჭი პურის ჭამას მორჩენილიყო და ის იყო მიდიოდა, რომ უცებ თვალი ჰკიდა: იმოდენა ჯარი მოდის, ვარსკვლავებს თვლა აქვს, იმას — არა. ბევრი აღარ უფიქრია, ერთ წამში ცხენს მოევლო, იძრო თავისი ოცდაათლიტრიანი მახვილი და გადაერია ჯარში. ცალკე კიდევ ცხენი ულეტდა ტორებით. ასე რომ, ბიჭმა დევების ლაშქარი ერთიანად ამოჟლიტა და თავის გზას დაადგა.

იარა, იარა და ერთ გამოქვაბულს მიადგა. ხედავს, გამოქვაბულის პირზე ერთი უზარმაზარი სალია* მიყუდებული, ათასი კაცი რომ დაეხვიოს, ძვრას ვერ უზამს.

გამოქვაბულის დანახვაზე ბიჭს ისე გაუხარდა, სიხარულით აღარ იყო. ცხენიდან ჩამოვიდა, ის სალი აიღო, გვერდზე მოისროლა და შევიდა შიგნით.

შევიდა და ხედავს, ხალიჩაზე ერთი მთვარესავით გოგო ზის. ბიჭმა როგორც კი გოგოს თვალი მოჰკრა, თქვა:

— ვისაც ვეძებდი, ვიპოვეო! — და წაუვიდა გული.

გოგომაც, როგორც კი ბიჭი დაინახა, მაშინვე მიხვდა, სიზმარში რომ ბიჭი ვნახე, ეს არისო; გაიქცა, წყალი მოიტანა, ბიჭს სახეზე ასხურა და გონზე მოიყვანა. ამდენი ხნის სიყვარულით დამწვარნი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

საღამომ რომ მოატანა, გოგო ბიჭს ეუბნება:

— დავით-ჯან, მამაჩემმა თაფაგიოზთან საომრად თორმეტი ხელმწიფე შეყარა, მაგრამ თაფაგიოზმა ყველანი დაამარცხა, მე გამომიტაცა და ამ გამოქვაბულში მომიყვანა; ახლა სანადიროდ არის წასული და სადაც არის, მოვა; მოდი, დაგმალო, თორემ შეგჭამსო.

— ეგ თაფაგიოზი რა არის ისეთი, რომ თორმეტმა ხელმწიფემ ვერ დაამარცხაო? — შეეკითხა ბიჭი.

— თაფაგიოზი კაცი არ არისო, — მოუგო გოგომ, — ქვის სულდგმულია და შუბლზე ერთი თვალი აქვსო; თუ თვალში დაჰკრავენ, მოკვდება, თუ არადა — არანაირი ხმლითა და იარაღით მისი მოკვლა არ იქნებაო.

— შენ რა იციო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ადრე არ ვიცოდი, მაგრამ ერთხელ ვკითხე, რა გავნებს-მეთქი და თვითონ მითხრა: თვალში თუ გახურებული შამფური ჩამცეს, მარტო ის მავნებს, თორემ სხვა ვერაფერიო! რაკი ეს გავიგე, ერთხელ, როცა ეძინა, მოკვლა დავუპირე, მაგრამ შემეშინდა; თანაც გზა არ ვიცოდი, აქედან სად წავსულიყავიო.

გოგოს ვარდიშაღი ერქვა. ბიჭი ეუბნება:

— მაშ რა ვქნათ, ვარდიშაღ, როგორ დავაძინოთ ეგ თაფაგიოზიო?

— როგორ და, შენი ცხენი შიგნით შემოვიყვანოთ და დავმალოთ, შენც ერთ მოფარებულ ალაგას დაგმალავ, ოღონდ ჯერ ის სალი აიღე და გამოქვაბულს მიაყუდე, თაფაგიოზი არაფერს მიხვდესო.

ბიჭმა ცხენი შიგნით შეიყვანა და გამოქვაბულის შორეულ, ბნელ კუთხეში დააბა. მერე ის სალი აიღო, ისევ თავის ადგილას მიაყუდა და ტახტის ქვეშ დაიმალა.

კარგა რომ ჩამობნელდა, უცებ გარეთ ისეთი ბრდღვინვა-ღრიალი მოისმა, მთა და ბარი დაზანზარდა. გოგომ გაიჭვრიტა და ხედავს: თაფაგიოზს ოთხი კამეჩი, ათი ცხვარი, რამდენიმე კიდევ ხარ-ძროხა ერთმანეთში არეული მოუდის, ერთი უზარმაზარი ხეც ძირიანად მოუგლეჯია და კეტივით გაუდვია მხარზე.

თაფაგიოზმა გამოქვაბულის კარზე მიყუდებული სალი აიღო, გვერდზე გადადო და საქონელი გამოქვაბულში შერეკა. მერე სამი ცხვარი დაკლა, ტყავები დახადა და ცალკე გადაყარა; ერთი ცხვარი მთლიანად წამოაგო შამფურზე და შეწვა, ის შემწვარი ცხვარი სამ ლუკმად ჩაყლაპა და დაჯდა. აქეთ გაიხედა, იქით გაიხედა და უცებ გოგოს მიუბრუნდა:

— გოგო, ადამიანის სუნი მცემსო!

— რას ამბობ, შენი შიშით აქ ვინ შემობედავსო, — ეუბნება გოგო, — მეც ადამიანი ვარ და ჩემი სუნი გცემს ალბათო.

თაფაგიოზმა დაუჯერა გოგოს, ადგა, ერთი ქვევრი წყალი დალია, მერე ერთი კამეჩი კიდევ შეწვა, ისიც შეჭამა, დაეცა და დაიძინა.

თაფაგიოზმა დაიძინა თუ არა, გოგომ ცეცხლი გააჩაღა, ერთი შამფური ჩადო შიგ, გახურდესო, და ბიჭის მოსაყვანად გავიდა.

ბიჭმა, რომ თაფაგიოზი დაინახა, გაკვირვებით ჩაილაპარაკა:

— პა-პა-პა, თაფაგიოზ! მარტო შენი თავი გამოვა ორმოცდაათი ფუთი, ცხვირი თხუთმეტი ფუთი, თითო კბილი კი ოთხი-ხუთი ფუთიო.

გავარვარებული შამფური ბიჭმა ცეცხლიდან გამოიღო და თაფაგიოზს შიგ თვალში ჩასცა. შამფურის ჩაცემისთანავე თაფაგიოზმა ისე დაიღრიალა, რომ გამოქვაბული კარგა ხანს ზანზარებდა, მცირე ხანს იფართხალა და სული გააცხო.

ბიჭმა წაიღო თაფაგიოზი და ხევში გადააგდო, მერე გამოქვაბულში გოგოსთან ერთად დაბრუნდა და მიეცნენ მხიარულებას. ხუთი-ექვსი დღე ორივენი გამოქვაბულში დარჩნენ, ბოლოს ბიჭი ეუბნება გოგოს:

— ვარდიშაღ-ჯან, მოდი, აქედან წავიდეთ, რა გვინდა ამ უკაცრიელ ადგილასო.

გამოიყვანეს ცხენი, შესხდნენ ორთავენი და წამოვიდნენ. იარეს, იარეს და ერთ ხელმწიფის ქალაქში მივიდნენ. ბიჭი წავიდა და ხელმწიფის ბაღის კარი შეამტვრია. შევიდნენ შიგნით. ცხენი დააბეს, ნაბადი გაშალეს, დასხდნენ ზედ და შეუდგნენ პურის ჭამას.

ბაღის ყარაულიც მოვიდა და ხედავს: ბაღში ვიღაც უცხო კაცია, ცხენი იქვე დაუბამს, დამჯდარა და ქალთან ქეიფობს.

— კაცო, ვინა ხარ და რა კაცი, რომ ხელმწიფის ბაღში შემოსულხარო? — მიადგა ყარაული დავითს.

— მე ისა ვარ, თქვენს ხელმწიფეს რომ თვალში ეკლად ამოუვალო!

ყარაული გაშტერდა. წავიდა და ბიჭის ნათქვამი ხელმწიფეს მოახსენა.

ხელმწიფემ თავის ნაზირს დაუძახა და უთხრა:

— ის ბიჭი შიმშილით იქნება გააფთრებული, ცოტაოდენი პური წაუღეთ, ჭამოს და მოგვშორდესო.

ნაზირმა წაიღო პური და მივიდა ბიჭთან.

— აი, ხელმწიფემ პური გამოგიგზავნა, ჭამე და დაიკარგე აქედანო!

— მე მშიერი არა ვარო, — მიუგო ბიჭმა. მერე ქაღალდი აიღო, ზედ თხუთმეტი დატვირთული აქლემი დახატა და ნაზირს გაუწოდა.

— ეს თქვენს ხელმწიფეს მიუტანეო.

ხელმწიფემ თავის მხრივ ერთი მუჭა ხორბალი დახატა და ბიჭს გამოუგზავნა, ვითომ ამდენ ჯარს გამოვიყვან და დაგამარცხებო.

ბიჭმა ახლა ქათამი დახატა და გაუგზავნა ხელმწიფეს, ვითომ შენს მაგოდენა ხორბალს ჩემი ერთი ქათამი აკენკავსო, ანუ — ერთი კაცი ვარ, მაგრამ მაინც მოგერევითო!

ხელმწიფემ რომ ნახა, არაფერი გამოდის, შეყარა ჯარი და გამოემართა ბიჭთან საომრად.

ბიჭი ცხენს მოევლო, თავისი ოცდაათლიტრიანი ხმლით დაერია იმ ჯარს და სულ სისხლის ღვარი დააყენა.

ხელმწიფე ხედავს, რომ ბიჭმა სულ გაუწყვიტა ჯარი; ადგა და, სამი დევი ჰყავდა, ისინი მიუსია. ბიჭმა იმ დევებსაც თავები დააყრევინა.

სხვა ჩარა აღარ იყო და ხელმწიფემ დარბაზი მოიწვია, რა ვქნათ, ეს ბიჭი როგორ მოვიშოროთო.

— დიდებულო ხელმწიფევ, ვინმე მკითხავ ხუცესს დავუძახოთ, ვნახოთ, რას გვეტყვისო, — ურჩიეს დარბაისლებმა.

დაუძახეს მკითხავს. მკითხავმა წიგნში ჩაიხედა და ხელმწიფეს ჰკითხა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ამ ოცი წლის წინ რომ თაფაგიოზმა ასლანტ ხელმწიფის ქალი გაიტაცა, თუ გახსოვსო?

— მახსოვსო, — მიუგო ხელმწიფემ

— ჰოდა, ეს ბიჭი წასულა, ის თაფაგიოზი მოუკლავს, გოგო წამოუყვანია და ახლა აქ მოსულა. თქვენ თორმეტმა ხელმწიფემ ვერ დაამარცხეთ თაფაგიოზი, ამას კი მარტოს დაუმარცხებია, თქვენ მაგას რას უზამთო!

— თუ ეგ მართალია, თხუთმეტს კი არა, ოცდაათ საპალნე ოქროს მივცემო, — თქვა ხელმწიფემ.

მერე ბიჭს მართლაც ოცდაათ საპალნე ოქრო გაუგზავნა, ასლანტ ხელმწიფესთან კი შიკრიკი აფრინა:

— მოგილოცავ, თაფაგიოზის მიერ გატაცებული შენი ქალი ახლა ჩემს ქვეყანაშია და წამოდიო!

ასლანტ ხელმწიფემ როგორც კი ეს გაიგო, მაშინვე აქეთ გამოეშურა. მივიდა, გოგო და ბიჭი თავის ქალაქში წაიყვანა და ბიჭის მამასაც ხმა აწვდინა, თავისთან დაიბარა.

ასლანტ ხელმწიფემ ბიჭს თავისი გოგო ცოლად მისცა და ხელმწიფობაც მას დაულოცა, მძახალს კი მეჭურჭლეთუხუცესობა ჩააბარა.

ქორწილი შვიდი დღე და შვიდი ღამე გაგრძელდა.

როგორც იმათ მიაღწიეს თავიანთ საწადელს, ისე თქვენც მიაღწიეთ თქვენსას.

ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა: ერთი მთქმელსა, ერთი გამგონებელსა და ერთიც ყურის მგდებელსა.

ჭიკო

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი ღარიბი და-ძმა. ბაზრის მახლობლად მიწური სახლი ჰქონდათ. და შინ რჩებოდა, ძმა ტყეში დადიოდა, თითო გუდურა შეშა მოჰქონდა, ყიდდნენ და იოლად გადიოდნენ.

ერთ დღესაც ძმა ტყეში წავიდა, შეკრა გუდურა, ზურგზე წამოიკიდა და წამოვიდა. ერთ მინდორს რომ მიადგა, ხმა შემოესმა, — ჩემი წამღებიც ინანებს და დამტოვებელიცო. — ვაჟმა მიმოიხედა და მიწაზე დაგდებული გამოფიტული თავის ქალა დაინახა. ჩავარდა საგონებელში, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ არც წავიღო და არც დავტოვოო. ბოლოს თქვა:

— კარგი იქნებოდა, ზედ ცეცხლი დამენთო, დამეწვა და ისე წავსულიყავიო.

მართლაც მოუკიდა ვაჟმა ცეცხლი და თვითონ ხელცარიელი დაბრუნდა შინ.

და შეეკითხა:

— ძმაო, შეშა რატომ არ მოიტანე, ხვალ რა უნდა ვქნათო?

— შეუძლოდ ვიყავი და წამოღება ვერ შევძელიო, — იცრუა ძმამ.

ერთ მშვენიერ დღეს ძმა ისევ წავიდა ტყეში. გუდურა შეკრა, ზურგზე მოიგდო, წამოვიდა და მიაღწია ისევ იმ მინდორს. გაიფიქრა, მოდი, ვნახავ, ხომ არაფერი მომხდარაო. ჯოხით ნაცარი გაქექა და ერთი მწვანე მძივი იპოვა. ვაჟმა მძივი უბის ჯიბეში ჩაიდო, გუდურა ისევ ზურგზე მოიკიდა და შინისაკენ გასწია.

გავიდა ხანი. ერთ დღეს ძმამ დას უთხრა:

— ტანისამოსი გამირეცხე. წავალ სამუშაოზე დავდგები, იქნება ერთიორი ჩანახი* ხორბალი ვიშოვო, დავთესავ და პურს მოვიყვან, თორემ ასე ცხოვრება აღარ შეიძლებაო.

დამ ტანისამოსის რეცხვისას ძმას ჯიბეში ის ლამაზი მძივი უნახა. სახელდახელოდ ადგილი ვერ მოძებნა, აიღო და პირში ჩაიდო. იფიქრა, ენის ქვეშ შევინახავო, მაგრამ მძივი უნებლიედ გადაეყლაპა. დას ძმისთვის არაფერი უთქვამს. ტანისამოსი გაურეცხა და მისცა. ვაჟიც სამუშაოს საძებნელად გაუდგა გზას.

ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, ძმამ ხორბალი იშოვა, ზურგზე მოიკიდა და უკან დაბრუნდა. მოვიდა შინ და რას ხედავს, იმისი და ორსულად არის!

ძმა გაჯავრდა:

— მე კარდაკარ დავდივარ, ვმოჯამაგირეობ, რომ თავი ვირჩინოთ, შენ კი ეგ რა საქმე ჩაგიდენიაო?

დამ შეჰფიცა:

— კაცი თვალითაც არ მინახავს. მხოლოდ შენს ჯიბეში ასეთი და ასეთი მძივი ვიპოვე, რომ არ დამკარგოდა, ენის ქვეშ შევინახე, მაგრამ უნებლიედ გადამეყლაპაო.

ძმამ თითზე იკბინა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ვაჟმა მეზობლისაგან ერთი უღელი ხარი ითხოვა, გუთანი გამართა და მიწის სახნავად წავიდა. როცა მოხნა და რამდენიმე ჩანახი ხორბალი დათესა, სწორედ ამ დროს დას ბიჭი ეყოლა.

ბიჭი აკვანში ჯერ არ ჩაეწვინათ, რომ ლაპარაკი დაიწყო. დედას უთხრა:

— დედი, პური მომეცი, ბიძაჩემს წავუღებო.

დედა გაუწყრა, მაგრამ ბებიაქალმა პური ხელსახოცში გამოუკრა და ბავშვს მისცა. ბიჭი წავიდა და თავისი ბიძის ყანას მიადგა. მივიდა თუ არა, გასძახა:

— ბიძაჩემო, პური მოგიტანე, მოდი, ჭამეო!

თვითონ ბიჭი ხნულში იდგა და არა ჩანდა. კაცს გაუკვირდა, — ეს რა

ამბავია, ჩემთვის პური ვის უნდა მოეტანა, ეშმაკი არ იყოსო?! — შეშინებულმა ხარები გამოუშვა, თუ ეშმაკია და გაქცევა მომიხდა, უღელში არ დამრჩნენო. თანაც კითხულობდა:

— ვინა ხარ, გაინძერი, დაგინახო, სადა ხარო?

ბიჭმა ერთი გოროხი ისროლა და კაცმა მაშინღა დაინახა, ხნულში ბავშვი რომ იდგა. გული მოეცა, ახლოს მივიდა და ნახა, ბავშვს ხელსახოცში გამოკრული პური მოეტანა.

— ვინა ხარო? — ჰკითხა.

— შენი დისწული ვარო.

კაცმა თითზე იკბინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. პური ჭამა, ადგა, ხარები შეაბა და ის იყო ხვნის გაგრძელებას აპირებდა, რომ ბიჭმა სთხოვა:

— მიმიშვი, ხარებს მე გავრეკავო.

მართლაც, დაჯდა ურემზე და გაირეკა ხარები. ბოლოში რომ გავიდა, ბიძამ გასძახა:

— ყოჩაღ, ბიჭოო!

ამის შემდეგ ბიჭს ჭიკო შეერქვა.

მოხნეს, დათესეს, დაფარცხეს და როდესაც მუშაობა დაასრულეს, შინისაკენ გაუდგნენ გზას. სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ჭიკომ ბიძას უთხრა:

— შენ გუთანი წაიღე შინ, მე კი აქ ბავშვებთან ვითამაშებო.

ბიძამ გუთანი შინ წაიღო, ჭიკო ბავშვებთან სათამაშოდ დარჩა. უცებ ორი შავადმოსილი მხედარი დაინახა. ჭიკომ თამაშობას თავი მიანება, მხედრებს წინ გადაუდგა და უთხრა:

— ვიცი, სადაც მიდიხართ, მეფეს ერთი სიზმარი უნახავს, თქვენ კი მისანს ეძებთ. გინდათ, წაიყვანოთ და სიზმარი აახსნევინოთ. მაგრამ ის მისანი სიზმრის ამხსნელი არ იქნება, ეგ საქმე მარტო მე შემიძლიაო.

— სახელად რა გქვიაო? — ჰკითხეს კაცებმა.

— ბიძაჩემმა ჭიკო დამიძახა და შემრჩა ეს სახელიო.

ხელმწიფის კაცებმა ჭიკო არაფრად ჩააგდეს, მის ნათქვამზე მხოლოდ გაიცინეს და წავიდნენ. მივიდნენ მისანთან, წაიყვანეს სასახლეში, მაგრამ იმან, მართლაც, ვერ ახსნა სიზმარი.

ადგნენ მაშინ ხელმწიფის კაცები და მეფეს მოახსენეს:

— მავან და მავან ადგილას ერთმა პატარა ბიჭმა ასეთი და ასეთი რამ გვითხრაო.

მეფემ ბრძანა:

— წადით, ის ბიჭი აქ მომგვარეთო!

მართლაც მიჰგვარეს ჭიკო მეფეს.

ხელმწიფეს უნდოდა სიზმარი ეამბნა, მაგრამ ჭიკომ არ დააცალა, უშენოდაც ვიცი, რაც ნახეო: დაგესიზმრა, ვითომც შენი პალატის თავზე მწვანე და წითელმა შუქმა გაიელვა, ხოლო სასახლის გარშემო ხეები ამოსულიყო. ახლა ერთი შამფური მომეცი და ერთიც მუშა გამაყოლეო.

გავიდა ჭიკო გარეთ, დაასო ერთ ადგილას შამფური და მუშას უბრძანა, აქ გათხარეო!

მუშამ იმ ადგილას მიწა გათხარა და ერთი კოჭობი* ოქრო ამოიღო. ახლა სხვა ადგილას გაათხრევინა და იქიდანაც ერთი კოჭობი ვერცხლი ამოიღო. ჭიკომ ორივე მეფეს მიუტანა.

ხელმწიფეს რაც მისნისათვის ოქრო უნდა მიეცა, ჭიკოს გაატანა, მუშისათვის კი არაფერი გაუმეტებია. მაშინ ჭიკომ დიდი ქეიფი გამართა, ერთი მუჭა ოქროც მუშას მისცა და თავის გზით წავიდა.

მისანს შურისაგან კინაღამ თვალები წამოსცვივდა, ადგა და ჭიკოს უკან გაედევნა. ჭიკო გზაში დაიღალა და ერთ წყაროსთან ჩამოჯდა დასასვენებლად. ამასობაში მისანიც წამოეწია და დაყვავებით უთხრა:

— ბიჭო! უშვილო კაცი ვარ, მოდი, მეშვილეო.

— მე ერთი საწყალი ბიჭი ვარ, თუ გასამრჯელოს მომცემ, მსახურად დაგიდგებიო.

— გასამრჯელოდ რას ითხოვო? — ჰკითხა მისანმა.

— რასა და, ჩემ წონა ოქროსაო.

მისანმა მოაგროვა რაც ოქრო ჰქონდა და ჭიკოს მისცა. ჭიკომ ოქრო თავის დედასა და ბიძას წაუღო, თვითონ კი მისანთან დაბრუნდა.

მისანს ერთი გოგო ჰყავდა, ერთხელ მამამ შვილს დაუბარა:

— მე აბანოში მივდივარ, ჩემ მოსვლამდე ბიჭი დაკალი, ტვინი ამოაცალე, ფლავში მოხარშე, ვჭამ და მეც მაგასავით ჭკვიანი გავხდებიო.

ლესავს გოგო დანას, მაგრამ გუნებაზე ვერ არის, ებრალება ჭიკო.

— გინდა გითხრა, დანას რისთვის ლესავო? — უცებ ჰკითხა ჭიკომ.

— აბა, მითხარიო!

— დანას ჩემ დასაკლავად ლესავ, ტვინი უნდა ამომაცალო და მამაშენს აჭამო, რომ ჭკუა მოემატოს, მაგრამ სულ ტყუილია, მაგითი არაფერი ეშველებაო.

— აბა, მაშ რა ვქნა? მამაჩემი რომ მოვა და ცოცხალს დაგინახავს, მე თვითონ მომკლავსო.

— წადი, ერთი ხბო იყიდე, დავკლათ და იმისი ტვინი მოხარშე, მამაშენი ვერაფერს მიხვდებაო.

გოგომ, მართლაც, იყიდა ხბო. ჭიკომ დაკლა, ტვინი ამოაცალა და მოხარშეს. მერე სკივრში ჩაძვრა და გოგოს უთხრა, დაკეტე და გასაღები ჯიბეში ჩაიდეო.

დაბრუნდა მისანი შინ, ფლავი მზად დახვდა. დაჯდა და ისე შეჭამა, გუმანი არაფერზე აუღია.

გავიდა ორი დღე და მეფემ ახლა სხვა სიზმარი ნახა. ისევ მოვიდნენ ხელმწიფის კაცები და მისანი წაიყვანეს. მეფემ უამბო: წუხელ სიზმარში, ვითომც, შავი და ლურჯი ზღვები ერთმანეთს შერთვოდნენ, ნეტავი რას უნდა ნიშნავდესო?

მისანმა ვერც ეს სიზმარი ახსნა. დაბრუნდა შინ და ერთი ისეთი ამოიოხრა, გული თან ამოატანა:

— ეჰ, რა ოქროსა ვკარგავ, ეხლა ჭიკო აქ რომ იყოს, ხომ მიხსნიდა გასაჭირისგანო!

ჭიკომ სკივრიდან ამოსძახა:

— აქა ვარ, აქა, ნუ გეშინიაო!

გაოცებულმა მისანმა სკივრს ახადა და ჭიკო ამოიყვანა.

— ჭიკო, მეფეს სხვა სიზმარი უნახავს, სამი დღის ვადა მომცა, თუ ვერ ავუხსენი, თავს წამაცლისო.

— აბა, მაშ ჩქარა წავიდეთო.

დარცხვენილმა მისანმა შვილს თვალი ვერ გაუსწორა, ქვეშ-ქვეშ გახედა და წასვლისას უთხრა:

— როცა დავბრუნდები, მაწვნის შეჭამანდს მე თვითონ მოვამზადებო.

ჭიკო და მისანი გაუდგნენ გზას. სასახლეში რომ მივიდნენ, ჭიკომ მეფეს უთხრა:

— ხელმწიფის დღეგრძელობამ, ცოტა ხნით ხელმწიფობა მე მომეცი და სიზმარს აგიხსნიო.

— კარგიო, — დათანხმდა მეფე.

ჭიკომ სამეფო ქოშები ჩაიცვა, ხმალი შემოირტყა და მეფეს სთხოვა:

— ერთი საზამთრო მოატანინე, დაღლილები ვართ, შევჭამთ და სიზმარსაც აგიხსნიო.

მეფემ მსახური გაგზავნა საზამთროს მოსატანად. ჭიკომ საზამთრო მაგიდაზე დადო, გაჭრა, დანა შიგ ჩატოვა და მეფეს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, დანა დაიკარგა, ალბათ ვინმემ მოიპარაო.

— დაიკარგა და მოძებნე. ხელმწიფე ხარ, და, რასაც იზამ, შენი ნებაა, მე დაშლა არ შემიძლიაო.

ჭიკო წამოდგა, ვითომ დანას ეძებო, დედოფალი და ვეზირი გაჩხრიკა, ჩაიცინა, მობრუნდა, დაჯდა და საზამთროს ჭამა დაუწყო.

მეფემ ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— თუ რამე იცი, თქვი, ნუ მალოდინებო!

— მაშ, კარგი, შენ ხომ სიზმრად ნახე, ვითომც შავი და ლურჯი ზღვები ერთმანეთს შერთვოდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი ცოლი მხეცლად ქცეულა, ვეზირთან უქეიფია, ისევ მობრუნებულა და ცოლად დაგჯდომიაო.

— ახლა რა გზას დავადგეო? — ჰკითხა მეფემ.

მაშინ ჭიკო წამოდგა, ხმალი იძრო და მისანს თავი მოჰკვეთა.

— ეგ რა ჰქენიო? — ჰკითხა მეფემ.

— მე ჩემს მტერს სამართალი გავუჩინე, შენ კიდევ შენი მტრისა იცოდეო, — მიუგო ჭიკომ, მერე ქოშები წაიძრო, ხმალიც იქვე დადო, ადგა და დედასთან წავიდა.

ვეზირი ყველაფერს მიხვდა და ჭიკოს მოკვლა გადაწყვიტა. მანამდე კი მეფეს ცოლი მოსტაცა, სხვა ქალაქში წავიდა, ააშენა სასახლე და დიდებულად დაიწყო ცხოვრება.

მეფემ რამდენი ჯარიც არ გაგზავნა ვეზირის წინააღმდეგ, ვერაფერი დააკლო. ვეზირი გლეხებს აწიოკებდა, თვითონ კი განცხრომით ატარებდა დღეებს.

ამასობაში ჭიკო დედასთან მივიდა და ჰკითხა:

— დედი, სადა გვყავს ღარიბი ნათესავები? წავალ, მივეშველები და ბედსა ვწევო.

დედამ უპასუხა:

— შვილო, ამა და ამ სოფელში ერთი მოხუცი დიდედა გყავს, სახელად თელო ჰქვია. თუ შეგიძლია, წადი, იმას მიეხმარე, ღარიბად ცხოვრობსო.

ადგა ბიჭი და წავიდა. იპოვა დიდედა და ჰკითხა:

— ბები, ათასში ერთხელ შვილიშვილი რომ გესტუმროს, რას იზამ, რით გაუმასპინძლდებიო?

— აგრემც მიწა და ფერფლი დამეყაროს თავზე, შვილო, რით გავუმასპინძლდე, როცა არაფერი მაბადიაო.

— აბა რა გარჩენსო?

— ერთი თხა და ერთი კოჭლი ბატი მყავდა, თხა ვეზირმა წამართვა, ახლა ჩემი ბატი ყოველდღე კვერცხსა დებს, ვყიდი და იმითი ვცხოვრობო.

— კარგი ბები, მოიყვანე ის შენი ბატი, გავყიდოთ და დღევანდელ დღეს იმით გადავიაროთო.

— მერე მე რაღა მეშველებაო?

— ნუ გეშინია, მე ვიცოდე და ჩემმა ბიჭობამაო.

— კარგი, როგორც შენ გინდა, ისე მოვიქცეთო.

ჭიკომ ბატი იღლიაში ამოიჩარა და ბაზარში წავიდა. ხედავს, ვეზირი თავის ამფსონებთან დამჯდარა და ქეიფობს.

— აბა, კარგი ბატი, ბატი ვის უნდაო! — ყვირის ბიჭი.

ვეზირმა გაიგონა, ხელი დაუქნია და თავისთან მიიხმო.

— რა მოგცე მაგ ბატშიო? — ეკითხება.

— სამი მანეთიო.

— ხმა გაკმინდე, მანეთიც მეტიაო.

ვეზირმა ბიჭს თავში ჩაარტყა, ბატი ხელიდან გამოგლიჯა და ფული გადაუგდო. ჭიკომ ფული აიღო და ჩუმად უკან გაჰყვა.

ვეზირი მივიდა შინ, ბატი დაკლა და ცოლს უთხრა: — შეწვი, შებრაწე, და გამომიგზავნე, ამხანაგებთან ვქეიფობო.

კარს უკან დამალული ჭიკო მათ ლაპარაკს ყურს უგდებდა.

ქალმა ქმარს ჰკითხა:

— ბატი ვის გამოვატანოო?

— ვინც მოვა და ნეკს გიჩვენებს, იმასაო.

ესა თქვა ვეზირმა და წავიდა. ქალმა ბატი რომ შეწვა, ჭიკოც მივიდა, ნეკი აჩვენა და უთხრა:

— ვეზირი ბატს ითხოვსო.

ქალმა ბატი მისცა. ჭიკომ წასვლისას კარს დააწერა: „მე ჭიკო ვარ, შენ — ვეზირი, ჯერ სადა ხარ, უარესი წინ გელისო".

ჭიკომ შემწვარი ბატი შინ წაიღო. ის და დეიდა დასხდნენ და მადიანად შეექცეოდნენ.

ამასობაში ვეზირმა ერთი ამხანაგი შინ გაგზავნა ბატის მოსატანად.

— ბატი ერთი იყო, ათი ხომ არა, აკი გამოვატანეო?! — გაოცდა ქალი.

ვეზირს ქალის ნათქვამი რომ გადასცეს, ადგა და შინ წავიდა. კარზე ჭიკოს დაწერილი წაიკითხა, თითზე იკბინა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ჭიკომ დიდედას ფული მისცა და უთხრა:

— ერთი ხელი ქალის ტანისამოსი მიყიდე, ჩავიცვამ და ქუჩა-ქუჩა ჩამომატარე, მოახლე ვის უნდა-თქო. სანამ ფეხზე ფეხს არ დაგადგამ, რამდენიც გინდა შემოგაძლიონ ფული, არავის მოურიგდეო.

დედაბერი წავიდა, რაც ბიჭმა დააბარა, ყველაფერი იყიდა, ჩააცვა და ქუჩა-ქუჩა ჩამოატარა. ბევრი შეევაჭრა, მაგრამ ყური არავის უგდო, ამასობაში ვეზირიც გამოჩნდა. ჭიკომ დიდედას ფეხზე ფეხი დაადგა. მაშინ დედაბერი ათ მანეთად მოურიგდა ვეზირს და ჭიკო მოახლედ გააყოლა. იმ დროს ვეზირის ცოლი აბანოში იყო წასული. ვეზირმა გასაღები მოიტანა, გააღო ყველა კარი და მოახლეს სახლი დაათვალიერებინა. ბოლო ოთახში გამართული წნეხი დაანახვა და უთხრა:

— ხომ ხედავ ამ წნეხს, თავზე თმა არა გაქვს იმდენი, რაც მე ამით კაცი გამისრესია. თუ კარგად არ მომემსახურები, შენც ამ წნეხის ქვეშ ამოგძვრება სულიო.

— ერთი მითხარი, მაგითი როგორ გამსრესავ, წნეხით კაცი მოიკვლებაო? — შეეკითხა ჭიკო.

— აი, ამ ხვრელში თავი გაყავ და გიჩვენებო.

ჭიკომ გაუგონა. ნაზირმა წნეხი ნელ-ნელა მოუჭირა. ჭიკომ იყვირა:

— ვაიმე, ვიხრჩობიო!

ვეზირმა წნეხი ასწია და ჭიკო გამოუშვა.

— მოდი, ახლა შენ ჩადე თავი წნეხში, ვნახოთ ერთი, მეც შევძლებ მოჭერასო? — უთხრა ვეზირს ჭიკომ.

ვეზირმა გაუგონა, ჭიკო წნეხს დააწვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. რამდენსაც მეტს ყვიროდა ვეზირი „ვიხრჩობი, გამიშვიო", ჭიკო უფრო უჭერდა. მერე ასე წნეხში თავგამოყოფილი დატოვა, წავიდა და კარს მიაწერა: „მე ჭიკო ვარ, შენ — ვეზირი, ჯერ სადა ხარ, უარესი სხვა გელისო".

დაბრუნდა ვეზირის ცოლი აბანოდან და რას ხედავს, სახლის კარი ღიაა, ვეზირი კი წნეხში იხრჩობა. ქალმა ქმარი გაათავისუფლა. წაიყვანა და ლოგინში ჩააწვინა.

ჭიკომ დიდედას ოქრო მოუტანა და უთხრა:

— რაც ამ სოფელში ღარიბ-ღატაკია, ყველას გაუნაწილე და ცოტა შენთვისაც დაიტოვეო. — მერე ბებია ბაზარში გაგზავნა და დააბარა: — ერთი ხელი ექიმის ტანისამოსი მიყიდე, ერთი სამართებელი, ერთი ნაჭერი საპონი, ცოტა მარილი და ერთიც კალათაო.

დიდედა წავიდა და დანაბარები შინ მოიტანა. ჭიკომ ჩაიცვა, კალათა აიღო და გზას გაუდგა. მივიდა ვეზირის სახლთან და დაიძახა:

— აბა, კარგი ექიმი, აბა კარგი ექიმიო!

ნაზირმა ცოლი გაგზავნა დასაძახებლად. მივიდა ჭიკო.

— მომარჩენო? — ჰკითხა ნაზირმა.

— მოგარჩენ, თუ რასაც გეტყვი, გამიგონებო.

— მითხარი, რას უნდა ვქნა, გაგიგონებო.

— ერთი აბანო უნდა დააცლევინო, აუზი წყლით აავსებინო და შიგ ჩახვიდე. მეც მოვალ და გიმკურნალებო.

როგორც ჭიკომ მოითხოვა, ყველაფერი ისე მოაწყვეს. ბიჭმა კი წინასწარ ხალხი გააფრთხილა, კაცი ავად არის, იკბინება და რაღას არა სჩადის, საშიშია, ახლოს არავინ გაეკაროსო.

ჩასვა ჭიკომ ვეზირი აუზში, ზურგზე საპონი წაუსვა, შემდეგ სამართებლით დასერა და ზედ საპნის ქაფში არეული მარილი დააყარა. გამწარებული ვეზირი ღრიალებს, ჭიკო კი არხეინად განაგრძობს თავის საქმეს, თან ამშვიდებს:

— არა გიშავს რა, მოითმინე, ამაზე ნაკლებად არც შენ გიწამებია ხალხიო.

ამის შემდეგ ჭიკო გარეთ გავიდა და აბანოს კარს დააწერა: „მე ჭიკო ვარ, შენ — ვეზირი, ჯერ სადა ხარ, უარესი სულ სხვა გელისო“.

გავიდა ხანი, მეფემ კვლავ ნახა სიზმარი და ჭიკო ასახსნელად დაიბარა. მივიდა თუ არა ჭიკო, მეფემ უთხრა:

— შევიტყვე შენი ოინები და გულიც მოვიფხანე, ახლა თუ ამ სიზმარსაც ამიხსნი, მომთხოვე, რაც გინდა, შენთვის არაფერს დავიშურებო.

ჭიკომ მიუგო:

— მე შენი არაფერი მინდა, სიზმარში კი მკვდარი გველი ნახე, შენს კართან ეგდოო.

— მერე და რას უნდა ნიშნავდესო? — ჰკითხა მეფემ.

— შენი მტერი თავისი ფეხით მოგადგება კარსაო.

— ეგ როგორაო?

— მოვა და დაინახავო!

მერე ჭიკო წავიდა, შვიდი წლის თხის ტყავი იშოვა, ყოველ შვიდ ბეწვზე თითო ფიფინა ჩამოჰკიდა, შიგ გაეხვია, იქირავა დაფა-ზურნა, ეტლში ჩაჯდა და ვეზირისაკენ გაემართა. ეტლი და მეზურნეები სოფლის ბოლოს დატოვა, თვითონ შუაღამისას ვეზირის სახლში საკვამურიდან ჩაძვრა, ნაზირსა და მის ცოლს თავს წაადგა და ნჯღრევა დაუწყო. ჭიკოს ყოველ განძრევაზე ფიფინები ჟღარუნებდნენ.

ნამძინარევმა ნაზირმა ერთი კი წამოიძახა, ვინა ხარო? — და მერე ენა ველარ დაძრა.

— მეო, — უთხრა ჭიკომ, გაბრიელ მთავარანგელოზი ვარ: რადგანაც ბევრი უდანაშაულოს სისხლი დაგიღვრია, ბევრი გლეხი გიწამებია, ლუკმა პირიდან გამოგიცლია და მტკაველი მიწა აღარ შეგირჩენია, ღმერთი შენს სულსა თხოულობს, უნდა წაგიყვანოო.

ვეზირი შეევედრა, ერთი დღე კიდევ მადროვეო.

— კარგიო, — უპასუხა ჭიკომ, — ხვალამდე მოვიცდი. მანამდე კი სახლის წინ მუხა რომ გიდგას, ის მოჭერი, ერთი დიდი კუბო შეაკვრევინა და შენცა და შენი ცოლიც შიგ ჩაწექით. მე მოვალ და წაგიყვანთო.

ესა თქვა და გაუჩინარდა. მეორე დღეს ნაზირმა მუხა მოაჭრევინა, ერთი დიდი კუბო შეაკვრევინა, შავი ძაძებით შემოსა და გზაზე დაადგმევინა მთავარანგელოზის მოსვლამდე.

როგორც კი შეღამდა, ჭიკომ ეტლი მოიყვანა და ვეზირის ჭიშკართან გააჩერა. ხედავს ჭიკო, რომ ვეზირიცა და მისი ცოლიც შიშისაგან ცახცახებენ.

ჭიკომ უბრძანა კუბოში ჩაწექითო. ჩაწვნენ. ჭიკომ კუბო დაახურვინა და ეტლზე შეადგმევინა. მერე მეზურნეები გვერდით მოისხა და დაფა-ზურნით სასახლის გზას გაუყენა.

იმავე საღამოს სოფელში ხმა გავარდა: გაბრიელ მთავარანგელოზი მოსულა და ვეზირი და მისი ცოლი წაუყვანიაო. ამ ამბავმა ყველა გაახარა. გამართეს ლხინი და მთელი ღამე ღრეობდნენ.

ჭიკომ ეტლი სასახლის კარზე გააჩერა. შეკრიბა ხალხი და კუბოს ახადა. დაინახა ნაზირმა სადაც იყო და გაქცევა დააპირა, მაგრამ იმოდენა ხალხს სად გაექცეოდა?

ჭიკომ ვეზირი და დედოფალი შეკრა და ხალხს მიმართა: — ხომ დაინახეთ, მეფის ცოლი ვისაც ჰყავდა! მეფეს თავისი ცოლის პატრონობა რომ არ შეუძლია, იმან ქვეყანა როგორ უნდა მართოსო?

ხალხმა მეფე ტახტიდან ჩამოაგდო, სამივე ერთად წაიყვანა და მდინარეში გადაყარა.

ამის შემდეგ ჭიკომ მეფისა და ვეზირის ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა, წართმეული მიწებიც ხალხს უკან დაუბრუნა. მოხნეს, დათესეს და დაიწყეს თავისუფლად ცხოვრება.

ბიჭიც ასეთი უნდა, აი!

ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობს?

ერთხელ ერთმა ხელმწიფემ იხმო თავისი ვეზირები და უთხრა:

— ვეზირებო, სამ კითხვას მოგცემთ. თუ ვერ მიპასუხებთ, თავებს დაგაყრევინებთ. პირველი: ღმერთი როდის იბრუნებს პირს? მეორე: ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობდა? მესამე: ცაზე რამდენი ვარსკვლავია?

ვეზირებმა მოახსენეს:

— დიდო ხელმწიფევ, ჩვენ მაგ კითხვების პასუხი არ ვიცით, ეგეთი არაფერი გვსმენია. ერთი თვის ვადა მოგვეცი. წავალთ, ქვეყანას შემოვივლით, გავიკითხავთ-გამოვიკითხავთ, გავიგებთ და პასუხს მოგახსენებთო.

მისცა ხელმწიფემ ერთი თვის ვადა. გაუდგნენ ვეზირები გზას. ერთი თვე იარეს, მაგრამ, გაწბილებულები დაბრუნდნენ, ხელმწიფის კითხვებზე პასუხი ვერ იპოვეს.

— ჩემო ნაზირ-ვეზირებო, ქვეყანა დაიარეთ, რა ქენით, ჩემს კითხვებზე პასუხი იპოვეთო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიდო მეფეო, ბევრი ვიარეთ, მივდექ-მოვდექით, მაგრამ პასუხი ვერ ვიპოვეთო.

გაწყრა ხელმწიფე. ჯალათებს უბრძანა:

— ესენი წაიყვანეთ, ჩამოახრჩეთ, ქვეშ ცეცხლი შეუნთეთ, დაწვით და ფერფლი ქარს გაატანეთო.

წაიყვანეს. ის იყო, უნდა ჩამოეხრჩოთ, რომ გამოჩნდა ვიღაც კაცი. იკითხა:

— მაგ ვეზირებს რატომ ახრჩობთ, რა დაუშავებიათო?

— ამათ ხელმწიფემ სამი კითხვა მისცა და ერთსაც ვერ უპასუხესო.

— რა კითხვებიო?

— ღმერთი პირს როდის იბრუნებსო, ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობსო და ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო?

— ხელმწიფესთან წამიყვანეთ, მაგ კითხვებზე პასუხი ვიცი და ამ კაცებს სახრჩობელიდან დავიხსნიო.

ხელმწიფეს მოახსენეს:

— ერთი კაცია, შენს კითხვებზე პასუხი აქვსო.

მოაყვანინა ხელმწიფემ ის კაცი და ეუბნება:

—მართლა იცი ჩემს კითხვებზე პასუხიო?

— ვიცი და თუ ამ კაცებს აღარ ჩამოახრჩობ, გეტყვიო.

ჰკითხა ხელმწიფემ:

– ღმერთი პირს როდის იბრუნებს? ცაზე რამდენი ვარსკვლავია და ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობდაო?

კაცმა უპასუხა:

– ადამიანი პირს რომ იბრუნებს, ღმერთი მაშინ იბრუნებს პირსო.

– ეგ კარგად მიპასუხე. ახლა ისიც მითხარი, ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო?

– მაგ პასუხისათვის ცოტა დრო მინდაო, – თქვა კაცმა, ადგა, წავიდა, ილოცა. მერე დაბრუნდა და ხელმწიფეს მოახსენა:

– დიდო ბატონო, მიბრძანე თავზე რამდენი თმა გაქვს და მეც გეტყვი, ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო.

– აბა, რა ვიცი, თავზე რამდენი თმაა?! მაგას როგორ დავითვლიო?!

– ჰოდა, მეც ვერ გეტყვი, ცაზე რამდენი ვარსკვლავიაო.

ვეზირებს ამბავი მიუტანეს: იმ კაცმა ხელმწიფის ორ კითხვას უპასუხა, ორი დაგიხსნათო.

ხელმწიფემ ისევ ჰკითხა:

– ახლა ეს მითხარი, ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობსო?

– შენი მეფობა ექვსი საათით დამითმე და მაგაზეც გიპასუხებო.

ხელმწიფემ ღარიბი კაცის ტანსაცმელი ჩაიცვა, თავისი სამოსი იმას ჩააცვა, გვირგვინიც დაადგა.

დაჯდა ის კაცი ხელმწიფის ტახტზე. ხელმწიფე კი მის ადგილზე დადგა და უთხრა:

– აბა, პასუხი მომახსენეო.

მოახსენა:

– ღმერთი დიდხანს ფიქრობდა იმაზე, რომ მეფობა შენთვის წაერთმია და ჩემთვის მოეცაო.

მეფედ ქცეულმა ღარიბმა ბრძანა:

– ჯალათები და ჯარისკაცები საჩქაროდ აქ მოვიდნენო!

მივიდნენ.

– გვიბრძანე რა გინდა და შეგისრულებთო.

– ახლავე მომაშორეთ ეს კაცი! წაიყვანეთ, თავი მოჰკვეთეთ და ტანი დამარხეთო! – ბრძანა.

მართლაც, წაიყვანეს ხელმწიფე, თავი მოჰკვეთეს, ტანი დამარხეს. ვეზირები აღარ ჩამოახრჩეს. ისინიც გვერდით დაუდგნენ ღარიბ კაცს – ტახტზე აიყვანეს და დიდი ამბით მეფედ აკურთეს.

ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდეც საბანი გაგწვდეს

ერთმა ხელმწიფემ მის ქვეყანაში მცხოვრები ყველა თერძი იხმო. უბრძანა, ერთი ისეთი საბანი შემიკერეთ, არც გრძელი იყოს, არც – მოკლეო. ვერც ერთმა თერძმა ვერ შეძლო ამ ბრძანების შესრულება. ამიტომ ყველას თავები დააყრევინეს.

ბოლოს ერთი თერძი გამოჩნდა. მოვიდა და მეფეს მოახსენა:

– სიცოცხლე და დღეგრძელობა დიდ ხელმწიფეს! მე შემიძლია შენი სურვილის შესრულება. ისეთ საბანს შეგიკერავ, არც გრძელი იქნება, არც – მოკლე. მიბრძანე და საქმეს შევუდგებიო.

– კარგი, შეკერე, მაგრამ გაფრთხილებ: ოდნავ გრძელი ან მოკლე თუ გამოვიდა, თავს წაგაცლიო.

– ყაბულსა ვარ, სიცოცხლე და დღეგრძელობა ხელმწიფეს! თუ ვერ შევძელი, თავი მომკვეთეო.

თერძი ჭკვიანი იყო. საბანი ყასიდად ოდნავ მოკლე შეკერა. მიუტანა ხელმწიფეს. თან მათრახი ჰქონდა დამალული.

– სიცოცხლე და დღეგრძელობა ხელმწიფეს! აი, საბანი შეგიკერე, ნახე, მოგეწონებაო.

– აბა, ვნახოთ, ან გრძელი ხომ არ არის, ან მოკლე, – თქვა ხელმწიფემ, დაწვა და საბანი დაიხურა. ფეხები გარეთ დარჩა. თერძმა დამალული მათრახი ამოაძვრინა და ფეხებზე ისე დაჰკრა, ხელმწიფემ ფეხები ხელად საბანქვეშ შეყო.

– სიცოცხლე და გამარჯვება ხელმწიფეს! – თქვა თერძმა. – კაცმა ფეხი იქამდე უნდა გაჭიმოს, სადამდეც საბანი გასწვდებაო.

ხელმწიფეს მოეწონა თერძის საზრიანი ხუმრობა. კრინტი არ დაუძრავს. პირიქით, დიდი ფულით დაასაჩუქრა და ისე გაისტუმრა.

მართლაც, კაცმა ფეხი საბნის კვალობაზე უნდა გაჭიმოს.

კუნძული ახთამარი*

ერთი ყმაწვილი გლეხი ხშირად მოდიოდა ამ კუნძულზე. ლამაზი გოგო უყვარდა, თამარი ერქვა. პირობა ჰქონდათ მიცემული, ღამღამობით ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

თამარი ყოველ ღამე კუნძულის შორეულ ნაპირზე, კიდეზე დადგებოდა, ცეცხლს აანთებდა და გულის ფანცქალით ელოდებოდა თავის შეყვარებულს.

მკლავებით მოაპობდა ყმაწვილი ტალღებს. თამარის სინათლისაკენ, მისი შუქისაკენ მოდიოდა.

ასე გავიდა ერთი კვირა, თვე, თვეები. ახალგაზრდები ბედნიერები იყვნენ ერთმანეთის სიყვარულით. მაგრამ ახლომახლო მცხოვრებლებმა გაიგეს მათი შეხვედრის ამბავი, მათ გზა-კვალს მიაგნეს და ერთ კუნაპეტ ღამეს ცეცხლი დაუშრიტეს, ჩაუქრეს.

მოცურავე ვაჟს ახლა კი, ვაგლახ, გზა აებნა და ტალღებში ჩაიკარგა...

„ახ, თამარ! ახ, თამარ, ეს რა მიყავი?!" – ბუტბუტებდა შეყვარებული ვაჟი და მისი ნათქვამი ექოდ გადადიოდა ტალღიდან ტალღაზე.

იმ დღიდან იმ კუნძულს ახთამარ შეარქვეს.

შიდარი

სომხებს ჰყავდათ მეფე არტავაზდი, მას ჰყავდა ერთი ვაჟი, სახელად შიდარი. არტავაზდმა სიკვდილის წინ თავისი სამეფო შიდარს არ გადასცა, რადგანაც იგი დამთხვეული იყო. ამის გამო ჩვენი ქვეყანა აირია და გაერანდა.

ერთ დღეს შიდარი ცხენს მოახტა, მებუკეებს უბრძანა:

– ბუკი დაუკარით და მთელ ქვეყანას ამცნეთ, რომ მეფობა მინდაო!

თქვა და რჩეული მხედრებით სალაშქროდ წავიდა. მდინარე უნდა გადაეცლო. ხიდზე შედგა თუ არა, ბოროტმა სულმა შეაფართხალა. შიდარმა

თავი ველარ შეიკავა და მდინარეში ჩავარდა. წყალმა წაიღო და დაიკარგა. მისმა მხედრებმა ხმა დაყარეს:

– ღმერთებმა შიდარი შავ მთაში გამოამწყვდიეს. მასში ჯაჭვით დააბეს. ორი ძაღლი მიუჩინეს; ერთი თეთრი, მეორე – შავი. ძაღლები შიდარს ჯაჭვს ულოკავენ. წლის ბოლოს ჯაჭვი ისე გაილევა, ბეწვის ოდენაღა რჩება. ის არის, უნდა გაწყდეს, რომ წლის დასაწყისში, ახალი წლის დილას, მჭედლები უროს სამჯერ დაჰკრავენ გრდემლს, ამ დარტყმით შიდარს ჯაჭვი უმთელდება, ბეწვისხელაღა დარჩენილი ისევ მსხვილდება.

ასე დაუწესებიათ მისნებს, რათა შიდარმა თავი არ აიშვას, არ გამოვიდეს და ქვეყანა არ დაანგრიოს.

ანდაზები

ახლო მეზობელი შორეულ ნათესავს სჯობიაო.
გველი პერანგს გამოიცვლის, ხასიათს – არაო.
ერთი ხელი ტაშს ვერ დაუკრავსო.
იმ წყალს ერიდე, რომელიც არც ჩხრიალებს და არც ჩუხჩუხებსო.
კვერცხის ქურდი ცხენსაც მოიპარავსო.
მდიდარმა გველი შეჭამა, თქვეს, წამალიაო; ღარიბმა შეჭამა, თქვეს, მშიერიაო.
ნათესავთან სვი და ჭამე, ვაჭრობაში შორს იყავიო.
რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო.
რასაც ხელით გასცემ, სულით მიიღებო.
ქურდმა ერთის ცოდვა დაიდო, დამკარგავმა – ათასისაო.
ღარიბი რომ ქათამს შეჭამს, ან ქათამია ავად, ან – ღარიბიო.
ცხენი და ჯორი წაიკიდნენ, შუაში ვირი გაიჭყლიტაო.
ჭკვიანთან ქვა ზიდე, უჭკუოსთან ფლავსაც ნუ შეჭამო.
წყაროში, საიდანაც ხალხი წყალსა სვამს, ქვა არ უნდა ჩააგდოო.
ხალხი მძინარე ლომია, თუ გაიღვიძა, აღარ დაიძინებსო.

პოეზია

ძველი სუფრული

ვუგალობოთ აფსათის,*
ჰეი, ჰეი, ვარი-რარა, ჰოი, ჰოი,
მოგვცემს ირემს — ლამაზრქიანს,
მინდვრის მფარველს ვუგალობოთ —
ყანას მოგვცემს უხვმარცვლიანს,
ბორხვარალდარს* ვუგალობოთ —
მინდორს მოგვცემს ბარაქიანს.
წმინდა ვასთირჯს* ვუგალობოთ —
ის გაავლებს ლამაზ ხნულს,
ნართ სათანას* ვუგალობოთ —
გამოგვიცხობს ხაჭაპურს.
ვუგალობოთ, მოგვართმევს,
მოშიშხინე ნეკნის მწვადს.
სავარძელი — ტახტად აქვს,
ოქროს ქურქი ასხია,
სიმაღლით ჩვენხელაა
მისი შავი ქოთანი.
მოგვიტანე, მოგვართვი,
ღვთისნიერო დიასახლისო!
დაგვლოცე ჩვენს სახლ-კარში,
ღვთისნიერო დიასახლისო!
დაგვლოცე ჩვენს სახლ-კარში
ბედნიერო პატრონო,
სთხოვე ჩვენს მეუფესო
ჩვენთვის საუკეთესო!

ძიქკას* სიმღერა

ციდაიონი ძიქკას ხარშავს,
ვერ ვეღირსეთ ცხიმის გაშლას,
წვიმა მოდის აქაც, იქაც,
ცხიმს არ იგდებს ჩვენი ძიქკა!

ჩვენო ძიქკა, მოფაფავდი!
გარეთ ისევ წვიმს,
ფაფავდება ჩვენი ძიქკა
და იკეთებს ცხიმს.

კარაქის დღვების დროს სამღერი

იქეც ერბოდ,
იქეც ერბო-კარაქად
და ამოდი ჩემი თავისხელა.
იქეც ერბოდ,
იქეც ერბო-კარაქად,
ერბო დადნეს —
გააოცოს ყველა!

ნართული სიმდის* სიმღერა

ჩამოუარეთ წრიული სიმდი,
ო-რაი-და, ო-რაი-და,
წრიული სიმდი, მჭიდრო სიმდი,
ო-რი-ო-რი, ო-რი-ო-რაი-და,
ტანნარნარად, ფეხმსუბუქად,
ო-რი-ო-რი, ო-რი-ო-რაი-და,
ფეხნარნარად, ტანმსუბუქად,
ო-რი-ო-რი, ო-რი-ო-რაი-და,
უფროსი გვყავს ურუზმაგი,*
ო-რაი-და, ო-რაი-და,
უმცროსი კი — აცამაზი,*

ო-რი-ო-რი, ო-რი-ო-რაი-და,
ჩამოუარეთ წრიული სიმდი,
წრიული სიმდი, ნარნარა სიმდი,
ო-რი-ო-რი, ო-რი-ო-რაი-და.

ბარაქიანი შემოდგომის სიმღერა

დადგა უხვი შემოდგომა
მოგვიტანა ხალისი.
რა კარგია შემოდგომა,
ხვავ-ბარაქით ავივსეთ,
ცერის სიმსხო ხორბლითა და
ჭირნახულით ვიხაროთ,
საღვთოს ბევრჯერ გადავიხდით,
დარდიც გადავიყაროთ.
კარგი ვაჟი გაიზრდება,
ცუდი — წავა, მოგვშორდება.
ო, შემოდგომავ, კალთაბარაქიანო,
ო, მდიდარო შემოდგომავ,
ო, მობრძანდი, გვესტუმრე!
ეჰეი, შენც, ვაჟკაცო,
ცელი რომ ფოლადის გქონდეს,
სალესავი — სიპი ქვისა,
დაღლილ-დამაშვრალმა რომ
დაისვენო ლამაზად,
მაშინ, ალბათ, ჩემო მზევ,
მუშაობას კვლავ შეძლებ.
აბა, მაშ, ვიმუშაოთ,
სარჩო დავაბინაოთ.

დოვლათის ფრინველი

მოფრინდა დოვლათის ფრინველი,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
დატკეპნილ კალოზე ჩამოჯდა.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
კეთილი დიასახლისი მიეგება,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ლუდით სავსე ფიალა,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
სამი ხაჭაპური ტაბაკით
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
მიართვა.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
დაუდო წინ,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
შესთხოვა დოვლათის ფრინველს —
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ცვარ-ნამი — ჯეჯილის დასაპურებლად.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
დოვლათის ფრინველი გაფრინდა,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ვარფის* მწვერვალზე ჩამოჯდა,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
მის ირგვლივ შეიკრიბნენ
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ანგელოზები და წმინდანები.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ყველაფერზე ფიქრობენ,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
მსჯელობენ, ბჭობენ —
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
კაცს რით შევეშველოთო.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
კავი გამოთალეს,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
გაიტანეს თაგარსარში,* —

უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ხნულის გავლება უნდოდათ,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ირმებს ვერ მოახვნევინეს.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ისევ გაფრინდა ის ფრინველი,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
და კურფის* მთაზე შემოჯდა.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
გამოჭედეს რკინის გუთანი,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
თუთირის* შავი ხარები
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
იმ გუთანში შეაბეს.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ფართო ხნული გრძლად გაავლეს,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
აი, მაშინ კი მოხნეს.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ისეთი მოსავალი მოვიდა,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
მწყრები სიხარულით სიმდს ცეკვავდნენ.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
თავთავი ურემს სწვდება,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
წელს როგორი მოსავალიც დაგვიდგა,
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
კვლავ ისეთივე მოგვივიდეს.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი,
ამ პურს საღვთოში მოვიხმართ.
უხვად გვაქვს ხორბალი, უხვად გვაქვს ხორბალი.

ნაბდის მთელავთა სიმღერა

I

ეი, ონაი,* ეი, მოთელეთ, მთელავებო,
ეი, ონაი, ეი, მოთელეთ, ჩემო მზენო.
ეი, ონაი, ეი, კარგი კაცის ნაბადია,
ეი, ონაი, ეი, მდიდრის ნაბადია,
ეი, ონაი, ეი, საკლავსაც დაგვიკლავს,
ეი, ონაი, ეი, საკლავი რა ამბავია?
ეი, ონაი, ეი, საკლავი რად გვინდა?
ეი, ონაი, ეი, ხალიფაფა მოგვიმზადოს.
ეი, ონაი, ეი, მოთელეთ, მთელავებო,
ეი, ონაი, ეი, უფრო სწრაფად, ჩემო მზენო,
ეი, ონაი, ეი, მხარ-მკლავი ნუ მოადუნეთ,
ეი, ონაი, ეი, კატის ბეწვზე უფრო
ეი, ონაი, ეი, კარგი მოსათელია,
ეი, ონაი, ეი, მარჯვეს ხელში
ეი, ონაი, ეი, სისქე ემატება,
ეი, ონაი, ეი, ზარმაცის ხელში
ეი, ონაი, ეი, უფრო იცრიცება,
ეი, ონაი, ეი, ხელი გაანძრიეთ,
ეი, ონაი, ეი, დაუჩქარეთ, მთელავებო,
ეი, ონაი, ეი, ჰეი, ღმერთო, ხელი მოგვიმართე,
ეი, ონაი, ეი, კარგი ნაბადი გამოსულიყოს!

II

ონაი, ეი, ონაი, მოთელეთ, მთელავებო,
ონაი, ეი, ონაი, მოთელეთ, მოთელეთ!
ონაი, ეი, ონაი, სანეფოს ნაბადია,
ონაი, ეი, ონაი, სანეფო კი ისეთი
ონაი, ეი, ონაი, თვალცეცხლა ბიჭია,
ონაი, ეი, ონაი, გოგოებს ირჩევს,
ონაი, ეი, ონაი, მათრახის წვერით,
ონაი, ეი, ონაი, გვერდზე მოქცეული ქუდქვეშიდან
ონაი, ეი, ონაი, ღიმილით შეჰყურებს მათ.

III

ონაი, ეი, ონაი, მოთარეშე კაცის ნაბადია,
ონაი, ეი, ონაი, უმთვარო ღამეშიც ისე დათარეშობს, როგორც — დღისით,
ონაი, ეი, ონაი, გოგოებს მათრახის წვერით რომ ირჩევს,
ონაი, ეი, ონაი, გოგოებს ქუდქვეშიდან რომ შესცქერის,
ონაი, ეი, ონაი, კლდის პიტალოებს მკერდით რომ ანგრევს,
ონაი, ეი, ონაი, ხელმწიფის ციხესიმაგრეებს ქუსლით რომ ლეწავს,
ონაი, ეი, ონაი, უვალ ქედებზე გზებს ვინაც იკვალავს,
ონაი, ეი, ონაი, უმთავრო ღამეშიც ისე რომ დადის, ვით დღისით,
ონაი, ეი, ონაი, აი ასეთი მოთარეშეა.
ონაი, ეი, ონაი, მოთელეთ, მოთელეთ,
ონაი, ეი, ონაი, მხარ-მკლავი გაანძრიეთ!

IV

ოი, ონაი, ონაი თქვით,
ონაი თქვით, ქალებო,
ოი, ონაი, ეს ისეთი კაცის ნაბადია,
ოი, ონაი, ვისი მათრახის დარტყმაც ცის ქუხილსა ჰგავს,
ოი, ონაი, ცხვრის ბღავილსა და გოჭის ჭყვირილსა ჰგავს,
ოი, ონაი, ეს ისეთი კაცის ნაბადია,
ოი, ონაი, — ზურგიდან შეხედავ — კოშკი გეგონება,
ოი, ონაი, ცხენზე ამხედრებული მთას ედარება,
ოი, ონაი, ვინც უმცროსია, წამოდგეს და ხომამასთი* მოგვიმზადოს.

როგორ ამზადებენ შავ ლუდს

თუთირის* შობილი შავი ხარები
ო, მათრობელა, ნოყიერო, შავო ლუდო!
მინდორში ხნულს გაავლ-გამოავლებენ,
თეთრწვერა კაცი მითეს-მოთესავს,
გრძელტარა არნადს* გაათრ-გამოათრევს,
მერე კი მითოხნ-მოთოხნიან.
თეთრწვერა კაცი და თეთრთმიანი ქალი მიცელ-მოცელავენ,
თავთუხის ძნებად მიდგამ-მოდგამენ,

უღელი ხარით მიათრ-მოათრევენ,
კალოს პირას დადგამენ,
მამლის ყივილზე მიშლი-მოშლიან,
სადილობისას ააბულულებენ,
თეთრწვერა მოხუცი გრძელტარა ნიჩბით
გაანიავ-გამოანიავებს,
თეთრთმიანი მოხუცი ქალი ხორბალს წაიღ-წამოიღებს,
დიდი ცხრილით* მიიქნ-მოიქნევს,
ნამჯის ქვეშ მარცვლებს მიაბნ-მოაბნევს,
სუფთა კალოზე გაახმობ-გააშრობს,
თეთრდალალა ქალი ცხრილს მიიქნ-მოიქნევს,
წყლის წისქვილზე ხორბალს ჩამოფქვავენ,
ბრტყელძირა სპილენძის ქვაბში მოადუღებენ,
ბრტყელძირა ქვაბში საფუარს მოუკიდებენ,
სხვა ჭურჭელში გადაიღებენ,
დიდ შავ კათხაში გადმოასხამენ,
თეთრწვერა მოხუცი მიილოც-მოილოცება,
თვალებბრიალა ვაჟი ცოტას მოსვამს,
თეთრწვერა ბერიკაცები თავს მოიყრიან,
შავ კათხას ერთმანეთს მიაწვდ-მოაწვდიან.
ასე მზადდება შავი ლუდი,
ო, დიდებულო შავო ლუდო!

ალარდის* სიმღერა

I

ალარდიმ ოქროს კიბე
ჩამოუშვა ზეციდან —
ჩვენსკენ გამოემართა.
შემოხვდა ღვთისმშობელი:
— საით, მთის ანგელოზო?
ალარდიმ უპასუხა:
— მთის ბეჩავი ხალხისკენ.
შეევედრა დედა ღვთის:
— მოიღე მოწყალება —
მხიარულად გვესტუმრე,
მხიარულად დაგვტოვე.

II
ჰოი, ოქროს ალარდო,
გთხოვთ და გემუდარებით,
დღეში თითო ვერძს გწირავთ.
ჰოი, ოქროსფრთიანო,
გთხოვთ და გემუდარებით.
იყავ ჩვენ შვილთ მფარველი,
შენი ანგელოზის ფრთით დაიფარე ისინი.
ოქროს ტახტი გიდგას და
ფარშევანგის ბუმბულით
მორთული საგებელი.
ჰოი, ოქროს ალარდო,
გთხოვთ და გემუდარებით.

ღვთისმშობელი მარიამი

ღვთისმშობელმა მარიამმა
ოქროს კიბე ჩამოუშვა
და ზეციდან ჩამოვიდა.
— ოი, ჩვენო ქალბატონო,
ჩვენო დიდო იმედო,
ღვთისმშობელო მარიამ,
თითოეულ გორაკზე შენი სალოცავია,
შენთვის შესაწირავი რქებიანი ხარია,
უშვილონი შვილს გთხოვენ, ღვთისმშობელო მარიამ.
ყოველ დაბურულ ტყეში შენთვის მოსულა სვია.
ხორბლის ხოდაბუნებში სალუდე მარცვალია,
ყურყვითელა ბატკანი შენთვის დასაკლავია,
შენ ჰფარვიდე ჩვენს შვილებს, ღვთისმშობელო მარიამ,
ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს, ვისაც რა გვიწყალობე,
ვისაც არ ჰყავს, იმასაც ისევ შენა სწყალობდე.

ვასთირჯის სიმღერა

მოდით, წმინდა ვასთირჯიზე ვილოცოთ და ვიმღეროთ,
ის ჩვენი მფარველია, ჩვენ კი — მისი სტუმრები,
ზეციდან გადმოგვხედე, გადმოგვხედე,
ჩვენო ოქროსფრთიანო,
შენს კარს მომდგარ საბრალო სტუმრებს.
სტუმარიც შენ გებარებოდეს, წმინდაო ვასთირჯი.
სტუმარსაც შენ მიხედე,
მასპინძელსაც — ვასთირჯი.
მუდამ მაღლა მყოფო, წინ მიმავალმა
უკან მავალნი შეგვიწყალე,
უკან ყოფნისას, წმინდაო ვასთირჯი,
შენი ფრთით დაგვიფარე.
მაშ, გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა,
ჩვენო ოქროსფრთიანო.
მართალო ვასთირჯი!
მაღლიდან გადმოგვხედე,
დაბლიდან გევედრებით.
მაღლა მყოფო, ვასთირჯი,
შენ დაიფარე,
შენი სამწყსო.

აფსათის სიმღერა

ეჰეი, აფსათ, შეგვეწიე,
მოგვეც ქორბუდა ირემი,
ყველანი, შენზე მლოცველნი,
აგვავსე წყალობით.
გამობრძანდი, გადმოგვხედე
მაღლობიდან დაბლობში მყოფთ.
გამობრძანდი, გადმოგვხედე,
მხცოვანო აფსათ, შეგვეწიე.
დილის ძილი
ყველას უყვარს
და აფსათსაც მთის კალთაზე

დიდი ხის ქვეშ ტკბილად სძინავს.
გარეშემო შვიდი ვაჟი
ფოთლიანი რტოებით ბუზებს უგერიებს.
კიდევ შვიდი მისი ვაჟი
ვახშმის თადარიგს ეწევა.
ხევში თოფმა იგრიალა,
უმალ წამოხტა აფსათი —
„ეჰე-ჰეი, რა ამბავია,
ბიჭებო, რა ხმაურია“.
გავარდა ფეხმარდი ვაჟი,
მოიჩრდილა ხელი, ამბობს:
— ქვემოთ, ხეობის ბოლოდან
შვიდი მხედარი მოიმღერის.
შავ ცხენებზე ამხედრებულთ
თოფი მხარიღლივ გადუგდიათ,
სიმღერით გევედრებიან:
— გამობრძანდი, გადმოგვხედე,
მაღლობიდან დაბლობში მყოფთ.
ჩვენო მხცოვანო აფსათ, შეგვიწყალე.
გვიწყალობე ირმის ჯოგი.
აფსათმა ვაჟებს გასძახა:
— „ეი, ეი, ვაჟებო,
ჩვენი სტუმრები ყოფილან.
პატივი ვცეთ საკადრისი,
წამოასხით ირმის ჯოგი.
უმასპინძლეთ შესაფერად“.

ალაი*

ბედნიერი დღე გათენდა,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
შემოუსვლელი თავთუხი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
კაცთმოყვარე მერცხალი
ოი, ალაი, ოი, ალაი!
მიგვყავს ჩვენთან, ოჯახში.

ოი, ალაი, ოი, ალაი!
ზრდილი გოგონა,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
ოჯახში — თაფლ-კარაქი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
უბანში — ანგელოზი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
იქნება ის,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
ვინც ჩვენ მიგვყავს ოჯახში,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
სვე-ბედნიერი იყოს.
ოი, ალაი, ოი, ალაი!
შვიდ-შვიდი ლეიბი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
რვა-რვა კიდევ საბანი
ოი, ალაი, ოი, ალაი!
მზითევში მოჰყვება.
ოი, ალაი, ოი, ალაი!
სკივრში ცალკე უწყვია,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
დედამთილ-მამამთილისთვის
ოი, ალაი, ოი, ალაი!
აბრეშუმის თეთრი საპერანგე,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
თივთიკისა — საჩოხე.
ოი, ალაი, ოი, ალაი!
უმცროსებსაც საჩუქრად
თითქმის საოცრებანი:
ოი, ალაი, ოი, ალაი!
ტოლაღი თუ ქამარი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
თხის მატყლისა ზონარი,
ოი, ალაი, ოი, ალაი!
დამბაჩისთვის სარტყელი
სულ ბაჯაღლო ოქროსი.
ოი, ალაი, ოი, ალაი!

თაუჩე

ლამაზო ქალო, თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
პირმცინარო თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
ლერწამტანა თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
დედას გოგო თაუჩე,
ოი, რირა-რირა, თაუჩე,
გულკეთილო თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
თმააბრეშუმა თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
ო, ეშხიანო თაუჩე,
ოი, რირა-რირა, თაუჩე,
ო, შავთვალწარბა თაუჩე,
ოი, რირა-რირა, თაუჩე,
ნარნარად მოგოგმანებ.
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
გედის მსგავსო თაუჩე,
ოი, ვარაიდა, თაუჩე,
ლერწამტანა თაუჩე,
ოი, რირა-რირა, თაუჩე,
ო, შავთვალწარბა თაუჩე,
ოი, რირა-რირა, თაუჩე.

ქალ-ვაჟის გასაუბრება

— სიყვარული დარდით მავსებს,
რა ვქნა, თავი ვით ვიცოცხლო,
ქალო, პირობა მომეცი,
და სიცოცხლეს განაცვალებ.
გამხმარ შტოსღა დავემსგავსე,
შენ ვერ დაგთმობ ვერასოდეს —
ვიდრე სული მიდგას პირში.

— მე პირობას შენ ვერ მოგცემ,
ფრთამალ მერცხლად გადვიქცევი.
მდინარეში ჩავეშვები,
მერე რაღას დააპირებ?
— შავ ყორნად გადავიქცევი,
წყლის ნაპირზე გამოგიყვან.
— დიდ დაბურულ ტყედ ვიქცევი...
— წამოვიღებ ალესილ ცულს.
ჩაგთლი, გულდაგულ გაგსხვეპავ,
ღერძად გაგთლი, გაგასწორებ,
ზედ მიგაბამ ჩემს ურემზე,
მისი ბორბლების ტრიალში
დავიწყებ შენთან საუბარს.
— მიმინოდ გადავიქცევი,
ავფრინდები მთის მწვერვალზე
და იქიდან გადმოგხედავ.
— რკინის ქალამანს ჩავიცვამ,
ამოვძვრები მთის მწვერვალზეც,
როგორც მარჯვე მონადირე
გესვრი ზუსტად, აუცდენლად.
— მომაკვდავად გადვიქცევი
დავაპირებ სულის მიხდას.
— ექიმის ხალათს გადვიცვამ,
მომვლელადაც დაგიდგები,
კარგად მოგემსახურები.
— შეშის ნაჭრად გადვიქცევი,
შუა ცეცხლში ჩავვარდები.
— მუგუზლად გადავიქცევი,
კერიაზე დაგანარცხებ,
— ხორბლის მარცვლად გადვიქცევი,
ხნულებში ჩავითესები.
— კრუხ-წიწილად გადვიქცევი
და წამოგკრეფ მარცვალ-მარცვალ.
— გველეშაპად გადვიქცევი,
ირგვლივ ყველაფერს გავწვდები.
— ვასთირჯის ისრად ვიქცევი,
მაგ ენაზე დაგერჭობი.

— საბნის ნემსად გადვიქცევი,
დედა უბეში დამმალავს.
თავშალს ირგვლივ შემომახვევს.
— მე კი აბრეშუმის ძაფად
ვიქცევი, ძირს დავეგდები.
დედაშენი ამიღებს და
ის ამაგებს ნემსზე ფრთხილად.
— ოი, ეშმაკსაც წაუღიხარ!
ალბათ, ჩემი ბედი შენ ხარ,
მაგრამ, აბა, ვაჟკაცობა
მიჩვენე და დამიმტკიცე.
— მინდორს ვხნავ და
სიმინდს ვთესავ...
— ვაითუ, სეტყვა წამოვიდეს,
მუშტის სიმსხო, მსხვილი სეტყვა?
— თუკი სიმინდს მკლავის სიმსხო
ღერო ექნა, რას დააკლებს?

ვისაც კარგი ცოლი ჰყავს

ვისაც კარგი ცოლი ჰყავს,
ის ლხინში რატომ მიდის, რატომ მიდის,
გამუდმებით ლხინი შინ აქვს, ლხინი შინ აქვს, ჰეი.

ვისაც ცუდი ცოლი ჰყავს,
მკვდრის სატირლად რაღად მიდის, რაღად მიდის,
ყოველდღე მკვდარი შინა ჰყავს, ყოველდღე მკვდარი შინა ჰყავს, ჰეი,

ავი ცოლი ვისაცა ჰყავს,
გველის რატომ ეშინია, რატომ ეშინია?
ყოველდღე გველი შინ უზის, ყოველდღე გველი შინ უზის, ჰეი.

ორი ცოლი ვისაცა ჰყავს,
გამშველებლად რაღად მიდის, რაღად მიდის, ჰეი.
ყოველდღე გამშველებელია, გამშველებელია, ჰეი.

მშვენიერი ქალწულის სიმღერა

მშვენიერო ქალწულო, მრავალთ სანატრელო!
შავი მთის ჯიხვივით ლამაზშუბლიანო.
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
თეთრი მთის არჩვივით წარბებმოკალმულო.
ოი, ქალავ, მრავალთ სანატრელო,
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
დაბურული ტყის ირემო — ამაყად მზირალო,
ჩელის დათვის მსგავსად გრძელდალალიანო,
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
შავი ტყის შველივით ლაღად მონავარდევ,
შემოდგომის მელივით მფრთხალად მომზირალო,
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
არიყის˙ ტყის შველივით მოქნილ-ასხლეტილო,
თერგის იხვის მსგავსად მონარნარე ქალო,
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
გულ-მკერდი — თეთრი გედის,
ბაგეები — მერცხლის ფრთის.
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!
თვალები — ვარსკვლავთ სხივის.
ოი, ქალავ, მრავალთ სანატრელო,
ოი, ქალავ, დილა მშვიდობისა!

ბასილების* სიმღერა

ოი, ბასილებო, ბასილებო,
კარგო ბასილებო, ჰოი, ჰოი,
ჰოი, თქვენმა დიასახლისმა ვაჟი შვას,
ჰოი, თქვენი ოჯახის უფროსმა ირემი მოკლას,
ჩვენ საბასილო მოგვეცით, მოგვეცით,
ლურჯი ბოთლით ცხარე არაყი, ცხარე არაყი,
შავი დოქით შავი ლუდი, შავი ლუდი,
მოშიშხინე ღორის ნეკნები, ღორის ნეკნები,
ჩვენი სამი ხაჭაპური, ჩვენი სამი ხაჭაპური,
გამოგვიტანეთ, გამოგვიტანეთ,

ოი, ბათა, თქვენთან მოვდივართ,
თუ ძუნწი ხარ, არ მოვალთ,
გავბრუნდებით უმალ.

ვის მივუტანთ რძეს

წავალ, მივალ სოფელში,
იქ ვიპოვი თმას,
თმაში კიდევ — სავარცხელს,
მას მივართმევ დედას.
დედა მომცემს კვერს,
კვერს მივუგდებ ძაღლს,
ძაღლი მომცემს ლეკვს,
ლეკვს მივუყვან მწყემსს,
მწყემსი მომცემს ერკემალს,
მას შევწირავ ღმერთს,
ღმერთი მოგვცემს წვიმას,
წვიმას მივცემთ მიწას,
მიწა მომცემს ბალახს,
მას მივუტანთ ძროხას,
ძროხა მომცემს რძეს,
რძეს მივუტანთ ვაჟს,
ვაჟი მომცემს შეშას,
შეშას ვუგზნებ ღუმელსა —
დამიცხობს პურისკვერსა.

პაწაწინას ქუდი

დაგე, დაგე, დაგეცა*
შენი ოქროს ქუქუა,
აბრეშუმის პერანგი
ბროლ-სადაფით შემკული.
ფოლადისა ფარი გაქვს,
ხმალი — ბორა ფოლადის.*
შენს საბრძანის ციხე-კოშკს

აქვს დოვლათით მარანი.
ოქროს ტახტი გიგია,
იცოცხლე ჩვენს იმედად,
თვალნი ქორებრ მხედველნი გაქვს,
მკლავნი — ცამდე აწვდილი,
სიმტკიცე — სალ კლდისაო,
ძალ-ღონე — დათვისაო,
სახე — კვერცხზე კრიალა,
გული — მგელზე ძლიერი.
ქარ-ღრუბელთა მეგზურო,
იყავი ბედნიერი!

აკვნის სიმღერები

I

ლო-ლო,* ლო-ლო, ა-ლო-ლო!
ბიჭმა დაიძინძილოს.
აცხა ფისო, მისი ლუკმა
შენ არ გააცუნცულო.
აცალე, დაიძინოს,
სიზმრად მოგეფერება,
მანამდე დაიჭირე
თაგვები და მწყერები.
თაგვი შეახრამუნე,
მწყერი მიეც პაწიას,
ბავშვი მას დააპურებს,
გულში ჩაიხუტუნებს.
შენც მათ გვერდით იქნები,
ზღაპარს ჩაუჩურჩულებ:
ჩუმად როგორ სვლიპე რძე,
ყველი როგორ მოგვპარე,
ანდა როგორ გვწაპნიდი
ქონის ნაჭერს ჭერიდან,
ჩიჩიას — მაგიდიდან,
ბებო რომ დაგიჭერდა
და ცოცხს გადაგიჭერდა.

II

ა-ლო-ლო, პაწაწინა,
დაწექი, დაიძინე.
გამეზრდები, მეყოლები,
მარჩენალი, მომხედი.
აცხა, კატავ, მოშორდი,
შენ კი იწექ, იძინე,
ა-ლო-ლო, დაიძინე,
ჩემო თეთრო ბატკანო,
ხატო ჩემი ცხოვრების
— იყავი ბედნიერი,
მოხუც დედის მიმხედი.
დაწექ, ჩემო ყვავილო,
დედა შენ გენაცვალოს,
ა-ლო-ლო.

ხმით ნატირალი

ვოი, ნურავინ დამცინებს, ნურავინ, ჩემო მზენო,
ასე რომ დამექცა ოჯახი,
ასეთი გლოვის დღე რომ დამიდგა!
ვოი, ვინც ჩემს ჯავრს არავის შეაჭმევდა,
გაჭირვების ჟამს, ვინც ჩემი მარჩენალი იყო,
ის დამელუპა და უპატრონოდ დავრჩი.
ვოი, ჩემი მოსიარულე მთა, მტკიცე ციხესიმაგრე,
საძირკვლიანად მოირღვა
და უპატრონოდ დავრჩი.
ვოი, მიტირეთ, მიტირეთ, ხალხო...
ვოი, რატომ არ ტირით, ვისაც ჩემსავით
მარჩენალი დაგელუპათ,
ან უთვისტომოდ, უმეგობროდ
რომელიც დარჩით!
ან ვინც ობლების ერთადერთი მარჩენალია,
რატომ არ ტირის ისიც ჩემსავით
ამ საცოდავი მკვდრის სასთუმალთან?
ვისაც წვალებით გაზრდილი შვილი

დაეწვა ცეცხლში,
შავად დამწვარი
შავ მიწაში ვინც ჩააწვინა,
რატომ არ ტირის ისიც ჩემსავით
ამ საცოდავი მკვდრის სასთუმალთან?
ვოი, ვისაც ძლივსძლივობით გაზრდილი შვილი,
თავის შემნახველ-დამმარხველი
აღელვებულმა ზღვამ მოსტაცა,
ქვიშა ლეიბად უქცია და წყალი კი — საბნად.
თევზნი უჩინა სამარემდე მიმცილებლებად,
ასე გაგზავნა მოშთობილი
სულთ საუფლოში,
რატომ არ მოთქვამს ისიც ჩემსავით
ამ საცოდავი მკვდრის სასთუმალთან?
ვოი, დაბურულ ტყის შუაგულში,
მარჩენალი რომ ხის ქვეშ მოუყვა,
ცივი თოვლი რომ სუდარად ექცა,
ქარი — მოზარედ,
ხოლო ნადირი კი — ჭირისუფლად,
რატომ არ მოთქვამს ისიც ჩემსავით
ამ საცოდავი მკვდრის სასთუმალთან?
ვოი, ვისი შემნახველ-დამმარხველიც, ვისი პატრონიც
იმ წყეულ ომში წყეული მტრის ნასროლი ტყვიით
ისე გაცივდა, თვალის დამხუჭავიც არ გამოუჩნდა,
წყალიც ვერავინ მიაწოდა, როცა იძახდა: „წყალი, წყალიო“!
ისე წავიდა წყურვილისგან ხახაგამშრალი.
რატომ არ მოთქვამს ისიც ჩემსავით
ამ საცოდავი მკვდრის სასთუმალთან?
მაგრამ დაბნელდეს ჩემთვისაც დღე, დღე დამიბნელდეს
განა ტირილით ვინმე მკვდრეთით
მობრუნებულა?
ამაზე მეტად მოთქმა-გოდებით თუ შეგაწუხოთ,
პირი ამევსოს ქვითა და მიწით.

კარგი კაცი იყო და მოკვდა —
კარგი ცხენი უნდა შევწიროთო.
მის საკადრის ცხენს ვერსად მიაგნეს,
თერქ-თურქის რემაშიც ათვალიერეს,
მარცხნივაც ეძებდნენ,
მარჯვნივაც ჩხრეკდნენ,
მის საკადრის ცხენს ვერსად მიაგნეს.
— ცაში, ყვითელი კლდის ძირას
ვასთირჯის — დიდება მის სახელს, —
სამი რაში ჰყავს:
აქეთ რომელიცაა, ხელს ნუ ახლებ,
იკბინება,
იქითასაც ნუ წამოიყვან:
წიხლი იცის,
შუაში მდგარი აირჩიე,
ზეცას მიჰგვარე ქურდალაგონს* —
ფოლადის ნალებს გამოუწრთობს,
ფოლადის ლურსმნით დაგიჭედავს,
მზის ვაჟი უნაგირს გაჩუქებს,
მთვარისა — აღვირ-მოსართავს.
ამხედრდი ხოლმე შენს ცხენზე,
აღმართზე აგყვება,
დაღმართზე დაგყვება,
ოღროჩოღროზე თოხარიკით გაგარონინებს,
გზაჯვარედინთან მისულს გახსოვდეს:
მარჯვნივ ნუ წახვალ,
მოსისხართა გზა არის ის გზა,
ნურც მარცხნივ წახვალ —
ბოროტმოქმედთა სავალი გზაა.
შუა გზას გაჰყევ,
ერთი ბეწვის ხიდთან მიგიყვანს,
მაგრამ არ შედრკე, არ შეშინდე,
ცხენს მათრახი გადაუჭირე
ისე ძლიერ, რომ ხელისგულზე ტყავი აგასკდეს,
ცხენს კი ბარძაყზე — ხორცი.

და მიადგები
მკვდართა საუფლოს.
კარებს არავინ გამოგიღებს,
„მზე ჩავიდაო“, — ასე გეტყვიან.
ლოცვა წარმოთქვი: „ღმერთო მაღალო,
იყავ მოწყალე, მთის წვერებზე
მზის ნათელი გამოაბრწყინე“.
მთებზე მზის თვალი გამოკრთება,
ქუსლი ჰკარ კარებს
და გაიღება.
კარს იქით ძუკნა ძაღლი იწვება,
ლეკვები, ჯერაც მუცლად მყოფნი,
წკმუტუნ-წკმუტუნით თავს შეგაწყენენ.
ჰკითხე შენს მეგზურს —
მზის ვაჟს — მახამათს —
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ სიცოცხლეში
ყველას ბოროტად ექცეოდა,
აქ, საიქიოს წესით ახლა ასე ისჯება.
იქიდან წახვალ,
ნახავ ცოლ-ქმარს ერთად მწოლარეს,
ქვეშ ხარის ტყავი უგიათ და
საბნადაც ხარის ტყავი ახურავთ.
ერთი თავისკენ ექაჩება,
მეორე — თვისკენ,
და არა ჰყოფნით, არა ჰყოფნით ამხელა ტყავი,
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— მათ სიცოცხლეში ერთმანეთი
არ ჰყვარებიათ.
ასე მიეზღოთ და სასჯელი ასეთი ერგოთ.
კიდევ ივლი და...
ნახავ ცოლ-ქმარს, ერთად მწოლარეს,
ქვეშ კურდღლის ტყავი უგიათ და
საბნადაც კურდღლის ტყავი ჰხურავთ.
მაგრამ ჰყოფნით და კიდეცა რჩებათ.

„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— მათ ერთმანეთი ძლიერ უყვარდათ.
როცა იქ იყვნენ, ასეა აქაც.
კიდევ ივლი და ერთ ქალს შეხვდები,
მას ყელზე გველის ტყავი ჰკიდია,
თავზე ბაყაყის ტყავი ჰხურავს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ მხოლოდ სხვათა დასანახად იცავდა მარხვას,
ჩუმ-ჩუმად იგი მიირთმევდა თურმე ყველაფერს.
საიქიოს კი აი, ასე ისჯება ახლა.
იქიდან წახვალ,
ერთ ქალს ნახავ, ხელში მახათი უჭირავს
და კლდეებს აკერებს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ ქალი თავის ქმრის საკერავს ბლანდავდა უშნოდ,
სხვას კი სულ წმინდად უგვირისტებდა,
ახლა ასეთი ტანჯვა ერგო სამაგიეროდ.
ისევ ივლი და
ერთი ქალი შეგხვდება,
მკერდზე წისქვილის ქვები ჰკიდია და
ბრუნავენ ქვები — კლდის ქიმებს ფქვავენ.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეს ქალი კიდევ მეწისქვილე ყოფილა, თურმე.
მინდს იქ კუთვნილზე მეტს იღებდა, მინდს იპარავდა,
ასეთი ტანჯვა მიეზღო აქ.
კვლავ ივლი, ივლი...
ქალი კასრში რძეს წურავს ბლომად,
ყველი კი ქათმის კვერცხის ტოლა ამოჰყავს მხოლოდ.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— მაგ ქალს კი თურმე არაფერი ჰკლებია იქა,
არავისათვის არაფერი ემეტებოდა.
სულ „არა მაქვს“ და „არა მაქვსო“, — გაიძახოდა.

ასე მიეზღო, ასე იხდის ახლა ეგ სასჯელს.
კვლავ ივლი, ივლი...
შეგხვდება ქალი,
სულ პაწაწინა კოჭობიდან ამოჰყავს ყველი,
მაგრამ იმხელა, ისე დიდი — ჯოხით აბრუნებს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ სიცოცხლეში თავის ლუკმას უყოფდა სხვებსაც.
— ყველაფერი მე ბევრი მაქვსო, — ამბობდა თურმე.
ახლა აქ იმკის იქ დათესილ სიკეთეს იგი.
კვლავ ივლი, ივლი...
ნახავ ერთ კაცს, რომელიც ქვიშას
ძირგავარდნილი გოდრით ზიდავს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ სიცოცხლეში სხვის მიჯნაზე გადადიოდა,
აქაურ წესით ასე მიეზღო.
ივლი, ივლი და...
შეხვდები ერთ კაცს,
რომელსაც ხარი უღეჭავს ულვაშს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეს კაცი თურმე თავის ხარებს თივას აჭმევდა,
ნათხოვარს — ნამჯას.
აქაურ წესით ასე მიეზღო.
კვლავ ივლი, ივლი...
შეხვდები ერთ კაცს,
კვერცხის ნაჭუჭი სახლად რომ აქვს,
კარებად — ნემსი,
გზად — დანის პირი.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
ამ კაცს ამქვეყნად არავინაც არ ჰყვარებია,
გულბოროტს მხოლოდ თავის თავი ერჩია ყველას
და საიქიოს წესით იგი ასე ისჯება.
ივლი, ივლი და
ნახავ: ქალი და კაცი სხედან,

წინ სანოვაგე უწყვიათ ბლომად,
კიდეც სვამენ და კიდეცა ჭამენ,
სხვათაც გულუხვად მასპინძლობენ,
სუფრას კი თურმე არაფერი აკლდება სულაც,
პირიქით, უფრო ემატება.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— სიცოცხლეშივე პურ-მარილით განთქმულნი იყვნენ,
ახლაც ასეთი წესით ცხოვრობენ.
ისევ წამოხვალ,
ერთი კაცი ყინულებში ზის.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— მაგან მეგობრის ცოლი აცთუნა
და ასე იხდის.
ისევ ივლი და
ნახავ ერთ კაცს, ცალი ფეხით ხიდზე დაკიდულს.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგ სიცოცხლეში ბიძაშვილებს გულღრძოდ ხვდებოდა,
საიქიოში ასე ისჯება.
წამოხვალ, ივლი...
ერთგან სამი კაცის ზის სწორად,
სწორად კი სხედან, მაგრამ
მრუდედ ლაპარაკობენ,
სკამებიც ყინულისა უდგათ
და მაგიდებიც,
ხელთაც ყინულის ხელჯოხები დაუჭერიათ.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
— ეგენი მოსამართლეები იყვნენ იმსოფლად,
სამართალს მუდამ ამრუდებდნენ,
ღარიბს სჯიდნენ და მტყუან მდიდარს კი ამართლებდნენ,
ახლა კი ასე ისჯებიან.
ივლი, ივლი და
სამი კაცი ზის. გვერდულად სხედან,
მაგრამ სწორად კი მსჯელობენ და

სკამებიც ვერცხლისა უდგათ,
მაგიდაც — ვერცხლის,
ხელჯოხებიც ვერცხლისა აქვთ.
„ეს ასე რატომ არის,
ეს რას ნიშნავს-თქო?“
ესენიც მოსამართლეები იყვნენ იმსოფლად,
მდიდარს და ღარიბს არ არჩევდნენ,
ჭეშმარიტება იყო მათთვის უპირველესი.
კვლავ ივლი, ივლი,
სამოთხის კარს მიაღწევ ბოლოს,
მოგეგებება ბავშვთა ჯგუფი,
ზოგი ქამარში ქუდგაჩრილი,
სხვა — ხელში ქამრით,
ზოგს ფეხთ ეცმევა, ალბათ, უკუღმა,
ზოგი მამიკოს დაგიძახებს,
ზოგი — დედიკოს.
უთხარი: მე არც მამა ვარ და
არც დედათქვენი.
მაგრამ კი მაინც მიეფერე —
ზოგიერთს ქუდი შეუსწორე,
ზოგს — ფეხსაცმელი,
ზოგსაც ქამარი შემოარტყი წელზე ლამაზად,
გაგიჭირდება სამოთხეში შესვლა ძალიან,
მაგრამ ამ ბავშვთა ხათრით მაინც კარს გაგიღებენ —
იქ, სამოთხეში ბარასთირის*
მარჯვნივ იქნები.
ღმერთმა გამყოფოს ნათელში და
რაც პატივი გცა ხალხმა, ისიც
ალალი იყოს.
ცხენიც შენთვის შემოგვიწირავს
და როგორც ის ჩვენ აქ გვემსახურა,
შენც გემსახუროს,
ნათელში იყავ!

ბადილაანთ ძველი სიმღერა

ბადილაანი თავს იყრიან
ლამაზ, მწვანე მდელოზე,
მდიდრულად შეკაზმული
ცხენები გვერდით უდგათ, ჰეი!
ყარაძაუთი მისირბიმ
უმცროსებს მოუწოდა:
— წავიდეთ, ჩემო კარგებო,
ვალაგირში საალაფოდ.
წამოვასხათ დიდი ჯოგი,
პატივი ვცეთ ჩვენს უფროსებს.
დაასკვნეს, წასულიყვნენ
ბადილაანთ რჩეულები.
ვალაგირში რომ მივიდნენ
ცხენების თამაშ-თამაშით,
ვალაგირელთა ჯოგები
რომ გამოირეკეს,
სიმღერ-სიმღერით რომ მოდიოდნენ
ცხენების თამაშ-თამაშით,
რომ ჩამოაღწიეს
ბიზიდან, გზად მოდიოდა
ბუთაანთ პატარძალი.
ქალი უკან მიტრიალდა,
შინ აირბინა,
თავის უმცროს ვაჟს
ჩასჩურჩულა:
პაპას უთხარი, ჩემო მზეო,
მოძალადენი მოდიან-თქო.
მაშინ მოხუცმა მამამთილმა ვაისადგა* რძალს ასე უთხრა:
— ახლა რაღა დროს უმძრახობაა?
ჩვენი ახალგაზრდები მინდვრებში
სათიბად არიან წასულნი,
მოძალადეებს უდარაჯე, რძალო,
ვაითუ მწყემსებმა თავიანთი ფარები
უკვე მორეკონ, ჩემო მზეო.
მაშინ დაარღვია უმძრახობის წესი* ქალმა

და მოხუცს მიმართა:
— დიდ ჯოგებს ცხენდაცხენ
მიერეკებიან მოძალადენი,
ჩვენს საქონელსაც დაერივნენ
და მიდენიან ჯოგთან ერთად.
ამოეფარა კარებს მოხუცი,
ყირიმული თოფი მოიმარჯვა,
დაუწყო სროლა
მოძალადე ბადილაანთ.
პირველმა ტყვიამ გადმოაგდო
მათი სარდალი ლაღი ცხენიდან.
ბადილაანი ვიწროებში
თავზარდაცემულნი გაიფანტნენ,
დიდი ჯოგები კი იქვე
ბიზის ქვეშ, ვიწრო ხეობაში მიატოვეს.

აიდარუყის სიმღერა

როცა მეგობრის საჩუქრისთვის
დონიფარსშ* ავიდა აიდარუყი,
თულიანთ თულაბეგმა ძმობილს
კარგი მერანი აჩუქა.
ბადელაანთ რჩეულ ვაჟებთან ერთად
როცა წავიდა ამ ცხენით საჯირითოდ,
მხარი რომ გაჰკრა
ყვავ-ყორნებივით
მიმოფანტა ყველა,
ბადელაანთ დიდი ბადელის
მაცუთის შუა სახლში
მცველი რომ დააყენა,
აიდარუყი აი, მაშინ იყო აიდარუყი!
ახლად მოფიფქულ თოვლზე
კურდღელზე სანადიროდ რომ დადიოდა,
ბადელაანთ ქალ-რძალნი
მის ნაკვალევზე ჩუსტების
თარგს რომ ჭრიდნენ,

ხოლო მის ჩრდილზე —
ჩოხის თარგს.
ბადელაანთ ქალებმა
მკერდი მისთვის აიკოკრეს.
მათმა რძლებმა კი
მკერდი წინ წამოიწკიპეს.
აიდარუყი აი, მაშინ იყო აიდარუყი!
ახლა კი დაბერდა იგი,
ფარასკართის* ნიხასში* მყოფს გააჟრჟოლა.
— ეხ, მართლა დავბერებულვარო,
რაკი ბადელაანი რიგში ჩამსხდარანო,
ჰაიტ, დიგორა, თქვენი დაღუპვის დღე დამდგარა.
აიდარუყი იმქვეყნად ხომ
საფლავში გადაბრუნდება,
მის ფაფარაშლილ თეთრ მერანზე
მისი უგერგილო ვაჟი რომ შეჯდება,
შვიდი ვაყაცის დიდ სტონაზე* მის მერანს
დილიდან საღამომდე თოკზე მიბმულს,
მშიერ-მწყურვალს რომ დატოვებს.
შვიდი ვაყაცის ახალგაზრდობა ამ ცხენით
შეუსვენებლივ რომ იჯირითებს,
მისი უზანგებიდან
რკინის ქალამანს რომ გამოჭედენ,
ხოლო სამკერდულს
წვრილ-წვრილ თასმებად რომ დაჭრიან,
იმქვეყნად მყოფი აიდარუყი
ალბათ საფლავში გადაბრუნდება!

აცამაზი და აგუნდა-მზეთუნახავი

ნართ აცას სამი ვაჟი ჰყავდა. აცა რომ გარდაიცვალა, მისმა ვაჟებმა გაყრა მოინდომეს. მომრიგებლებად წარჩინებული, სახელგანთქმული ნართები მოიწვიეს, ძმების გაყრას საშველი ვერც მათ დააყენეს. ნიხასში შვიდჯერ გამოიტანეს საქმე, შვიდჯერ ითათბირეს, მაგრამ ამ ამბავს თავი ვერ მოაბეს. ბოლოს საქმე ნართების უხუცესმა — თვალდავსებულმა მაგურაგმა ასე გადაწყვიტა: უფროს ძმებს პირუტყვი არგუნა, უმცროს ძმას კი — მხოლოდ ოქროს მარადიული სალამური.

უფროსი ძმები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. უმცროსმა აცამაზმაც უსიტყვოდ აიღო კუთვნილი სალამური.

ეს მარადიული სალამური აცას თავისმა ძმობილმა აფსათიმ* აჩუქა. ვასთირჯისა და წმინდა ნიქოლასთან* ერთად სტუმრობის დროს აფსათიმ აცას საჩუქრად რა აღარ შესთავაზა, მაგრამ მან მარადიული სალამურის გარდა არაფერი ინდომა.

გაყრის შემდეგ აცამაზი სავხოხისკენ* გაემართა. მიდიოდა და მისი სილამაზე არემარეს აცისკროვნებდა. ნიხასში მსხდომებმა თქვეს:

— ქედს გადაღმიდან ცისკრის ვარსკვლავმა ამოანათა!

ერთ-ერთმა მათგანმა უპასუხა:

— ეგ ცისკრის ვარსკვლავი კი არ არის, აცას უმცროსი ვაჟი აცამაზი მოდისო.

ერთმა ნიხასში მყოფმა შენიშნა:

— როგორც ეტყობა, აღმოსავლეთიდან ქარდაგის* ვარსკვლავი ამოსულაო!

მას სხვები შეეპასუხნენ:

— ეგ ქარდაგის ვარსკვლავი კი არა, აცას უმცროსი ვაჟი აცამაზია, თავისი სალამურით სავხოხისკენ საინაგ-ალდარის* ქალიშვილ აგუნდასთან მიიჩქარისო.

საინაგ-ალდარი სავხოხის თავზე ცხოვრობდა. ჰყავდა მზეთუნახავი ქალიშვილი, რომელსაც სახელად აგუნდა ერქვა. საინაგ-ალდარს მის გარდა სხვა შვილი არ ჰყავდა და ერთადერთი ასული უსაზღვროდ უყვარდა.

აგუნდა-მზეთუნახავს ოქროსფერი აბრეშუმის კულულები კოჭებამდე სწვდებოდა. წელწვრილსა და მკერდმაღალს შავ-შავი თვალები მზეზე მო-

ციმციმე წვიმის წვეთებს მიუგავდა. საქმის დროს ხელებიდან ცეცხლი გასდიოდა, სიარულით კი გედივით დაგოგმანებდა. დილით წყალზე ნარნარით რომ ჩამოიცლიდა, იტყოდით, მზის ნათელი სწორედ მისი სახიდან იღვრება და მთვარის შუქსაც მისი ყელყარყარა დოქი გამოსცემსო.

ნართი ფეხმარდი ყმაწვილები ქალიშვილის დასანახავად ცხენებს ჯირითში სიქას აცლიდნენ, მაგრამ გუნდა-მზეთუნახავს სავხოხის პიტალოებიდან ერთხელაც არ გადმოუხედავს.

ნართების მოხუცებს სავხოხის მთაზე საინაგ-ალდარის ასულ აგუნდა-მზეთუნახავთან შუამავლად სიარულით ქუსლები დააცვდათ. ნართებში ახალგაზრდა აღარ დარჩენილა, საინაგ-ალდარისთვის აგუნდას ხელი არ ეთხოვა, მაგრამ ქალმა ყველა უარით გაისტუმრა.

აცას ვაჟმა აცამაზმა მამისეული განძი — შავად მოზარნიშებული ოქროს მარადიული სალამური წაიღო და სავხოხზე ავიდა. ყველაზე მაღალი კლდე აირჩია, ჩამოჯდა და სალამური ააკვნესა.

სალამურის ხმაზე ქორბუდა ირმები აყვირდნენ, დატოტვილი რქები ზეასწიეს და ნარნარად აცეკვდნენ. დაბურულ ტყეში ჯიხვებმაც ჩამოუარეს. სავხოხის შავმა თხებმა შავი პიტალოები ჩამოირბინეს და რქაგრეხილ ხარჯიხვებთან მსუბუქი სიმდი გააჩაღეს, ფურირმები და შვლები ლელიანის პირს მოაწყდნენ და ლაღი ჭიდილი გამართეს.

მელიებმა და კურდღლებმაც ცდუნებას ვეღარ გაუძლეს, გახალისებულნი გაშლილ მინდორზე გამოცუნცულდნენ. აფსათის ურიცხვი ჯოგები კლდის ძირს მოასკდნენ, ხოლო ფალვარას* ფარები მინდვრებს მოედვნენ.

აცამაზმა კიდევ უფრო გულში ჩამწვდომად აარაკრაკა სალამური. დათვებმა ბურდღუნ-ბურდღუნით მიატოვეს თბილი ბუნაგები და დაბური ტყის შუაგულში ბაჯბაჯით იწყეს ცეკვა.

მინდვრები ათასფერი ლამაზი ყვავილებით მოიჩითა. ყვავილებს ჭრელი პეპლები დაჰფარფატებდნენ და დამშეული ფუტკრები დაბზუოდნენ. ფრინველებმა უდაბური ტყე სტვენა-ჭიკჭიკით აიკლეს და ნართ აცამაზს ათას ხმაზე ბანს აძლევდნენ. გვიმის ველზე მწვანე სავათებისა და შავი შაშვების გოგმანზე ქვეყანას თვალი რჩებოდა.

ღრუბლის ქულებიც ერთმანეთს წაბმოდნენ და თბილი ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდათ. ცასაც სიხარულის ქუხილი ასტეხოდა და ბალახიც, ჟუჟუნა წვიმით პირდაბანილი, სიამით ყელყელაობდა.

აცამაზი კვლავ ოსტატურად ათამაშებდა თითებს სალამურზე და კიდევ უფრო ტკბილი ხმით არაკრაკებდა. დაბურული ტყე სიხარულით ლამის ცას შესწვდა. შიშველი კორდები და დაშაშრული გორაკები, სადაც ადრე ბალახის ღერიც არ ხარობდა, მწვანედ აბიბინდა.

აცამაზის სალამურის ხმას მთებმა ჯერ ბანი მისცეს, მერე სავხოხი და ურსხოხი* აცეკვდნენ, სავხოხი მოიმზღვლა, ხოლო ურსხოხი თეთრ ქვიშად იქცა.

აცას ვაჟის აცამაზის ხმატკბილმა სიმღერამ არემარე შეძრა: მარადიულმა მყინვარებმა დნობა იწყეს და მთის გიჟმაჟი მდინარეები ვიწრო ხეობებიდან გაშლილი ველებისკენ ხარხარით გაექანენ.

გაზაფხულის მზემ ცისქვეშეთს სიცილით გადმოხედა და ადამიანებმა სუფთა ჰაერი ლაღად, მთელი მკერდით შეისუნთქეს.

აცას ვაჟმა აცამაზმა რვა ხმაზე მომართა თავისი სალამური, ჯადოსნურად ააჟღერა და სავხოხის პიტალოს კარი ოდნავ გაიღო. აგუნდა-მზეთუნახავმა ველარ სძლია ცდუნებას, მიატოვა ხელსაქმე და კლდის ქიმიდან გადმოიხედა.

აცამაზი ძლიერ გაოცდა: — ოჰო, რა ხდება? საინაგ-ალდარის ასული, თვით აგუნდა-მზეთუნახავი, ვისთვისაც მზესაც თვალი არ მოუკრავს, კლდის ქიმიდან იხედება!

აცამაზს სიყვარულის ცეცხლი შემოეგზნო. აგუნდა-მზეთუნახავსაც ვაჟის დანახვაზე სიყვარულის ჟრჟოლამ დაურბინა და კლდის ქიმიდან აცამაზს ჩამოსძახა:

— ეი, კარგო ბიჭო, ნართ აცას ვაჟო აცამაზ! ღმერთმა შენი დედის გულის გასახარად დიდხანს გაცოცხლოს, მე კი შენი სალამური მომცეს!

ამ სიტყვებმა ნართ აცას ვაჟი აცამაზი ძლიერ გააბრაზა, თავისი ოქროს სალამური სავხოხის პიტალოს მიანარცხა, სალამური წვრილად დაიფშვნა. თვით აცამაზი განაწყენებული გამობრუნდა და თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი შინისაკენ გამოემართა.

პირმშვენიერი თამამი ქალიშვილი — საინაგ-ალდარის მემკვიდრე აგუნდა-მზეთუნახავი დაბლა ჩამოვიდა, სალამურის ნამსხვრევები აკრიფა, შინ შეიტანა, ნაბდის მათრახი დაჰკრა და ნამსხვრევები ერთმანეთს მიეწება — სალამური რაც იყო, იმადვე იქცა. აგუნდა-მზეთუნახავმა იგი აბრეშუმში გაახვია და თავის სამზითვო სადაფის სკივრში ღრმად შეინახა.

აცას ვაჟი აცამაზი შინისაკენ დაღვრემილი მიდიოდა.

ამ დროს ცხენებზე ამხედრებული ნიქოლა და ვასთირჯი მოდიოდნენ და თვალისმომჭრელად მოანათებდნენ. ცხენები მფრინავი მერნის ჯიშისა ჰყავდათ, მამაკაცთა მფარველი ღვთაების რემიდან; ქურდალაგონის ნალებით დაჭედილ მერნებს ფლოქვებიდან ნაპერწკლები სცვიოდათ. წინ გაშლილი ველები ედოთ, მარცხნივ — ბესთაუს მაღალი მთა.

შენიშნეს გზაზე მიმავალი აცას უმცროსი ვაჟი აცამაზი და გამოელაპარაკნენ.

— მშვიდობის გზა გქონოდეს, პატარა აცამაზ!

— საით მიდიხარ ეგრე ფეხარეული?

— თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი?

— სად დატოვე შენი ძვირფასი სალამური?

— დიდება თქვენს სახელს, ჩემო ღვთაებებო, მაგრამ საინაგ-ალდართან მისი ასულის აგუნდა-მზეთუნახავის ხელის სათხოვნელად შუამავლებად რომ მიმეგზავნებოდეთ, მაშინ აღარ ვივლიდი თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი, აღარ ვივლიდი ფეხარეული.

ვასთირჯი და ნიქოლა შუამავლობაზე დათანხმდნენ. მივიდნენ საინაგ-ალდართან და უთხრეს:

— ჩვენ ნართ აცას უმცროსი ვაჟის აცამაზის შუამავლები ვართ. ძნელია შუაკაცობა, მაგრამ აცას ვაჟს აცამაზს ვერავინ დაიწუნებს: მამამისი ნართებში სახელოვანი, გავლენიანი კაცი იყო. თვითონ კი ახალგაზრდებში საუკეთესოა, სალამურს ამღერებს — გულს ატყვევებს. სამოყვაროდ და სანათესაოდ უკეთესს ვერ ინატრებთ — ძმასავით მხარში მდგომი და ნამუსიანია. ჩვენო მწყალობელო საინაგ-ალდარ, ასეთი მთხოვნელი უარით არ უნდა გაისტუმრო.

საინაგ-ალდარი შევიდა აგუნდა-მზეთუნახავთან და შუამავლების მოსვლის მიზეზი უთხრა.

აგუნდა-მზეთუნახავმა ასე უპასუხა:

— აცას უმცროსი ვაჟი აცამაზი ჩემი ღირსი მაშინ გახდება, თუ ჩვენს ეზოში ერთ წელიწადს დაბადებულ ას ირემს მორეკავს!

მამამ წარბი მაღლა აზიდა და სახე გაუცისკროვნდა. ქალიშვილის პასუხი შუამავლებს მოახსენა. ვასთირჯი და ნიქოლა დაღონებულები გამობრუნდნენ — სად იპოვოს პატარა აცამაზმა ერთ წელიწადს დაბადებული ასი ირემიო?

აცამაზმა პასუხი რომ მოისმინა, შინისაკენ კი არა, გეზი პირდაპირ უდაბური ტყისკენ აიღო. ძლიერ იწყინა აგუნდა-მზეთუნახავის პასუხი და გადაწყვიტა, სადმე გადაკარგულიყო.

დაეხეტებოდა აცამაზი უდაბურ ტყეში მარტოდმარტო და ფიქრობდა: „ას ირემს ფეხითაც დავიჭერდი, მაგრამ ერთ წელიწადს დაბადებულები სად ვიპოვო?“ ბრაზით თითებს იჭამდა და მამისეულ განძს — ოქროს სალამურს ნატრობდა.

ბევრი იხეტიალა დაბურულ ტყეში, მაგრამ ხელთ ვერაფერი იგდო.

აცამაზმა რომ დაიგვიანა, ნართები ძალიან შეწუხდნენ.

ადგნენ ნართების ახალგაზრდები და თავიანთი უმცროსი თანამოძმის — აცამაზის საძებნელად წავიდნენ. ტყეში, ერთი დიდი ხის ქვეშ ის-ის

იყო ცეცხლი გააჩაღეს და მწვადის შეწვას შეუდგნენ, რომ თავს აცამაზი წაადგათ. ნართმა ყმაწვილებმა თავიანთი ძმის დანახვით ძლიერ გაიხარეს. ჰკითხეს ამბავი და მანაც უამბო თავისი გასაჭირი. ნართ ახალგაზრდებს ძლიერ ეწყინათ, აგუნდა-მზეთუნახავმა უარი რომ უთხრა აცამაზს და საინაგ-ალდარის ციხე-კოშკზე თავდასხმა გადაწყვიტეს.

ხეობის გზით მიმავალ ნართ ახალგაზრდებს წინ აფსათი შემოხვდათ. ის ხომ აცამაზის მამის ძმადნაფიცი იყო და მისმა დანახვამ ყველა ძლიერ გაახარა. აცამაზმა უამბო თავისი გასაჭირი.

— მაგაზე ნუ წუხხარ, ჩემი ძმადნაფიცის მემკვიდრევ, პატარა აცამაზ, მაგას როგორ ვერ მოვახერხებთ, — უთხრა აფსათიმ, — აგერ ადას ხევში ათნი შედით და ერთ წელს დაბადებულ ათ-ათ ირემს ჩაიგდებთ ხელშიო.

ნართი ახალგაზრდები შევიდნენ ადას ხევში, ერთ წელს დაბადებული ათ-ათი ირემი უკანა ფეხებით დაიჭირეს და წინ გამოირეკეს.

ნართ აცას ვაჟმა პატარა აცამაზმა დილაადრიან თავისი ცხენი არიყის საპნით* დაბანა. მზე რომ ამოიწვერა, ნართების ფეხმარდი ახალგაზრდობა და ნართი ძალგულოვნები საინაგ-ალდარის ასულის აგუნდა-მზეთუნახავის წამოსაყვანად სავხოხისაკენ გამოემართნენ. აცამაზს მარჯვნივ ნართულ ცხენზე ამხედრებული სახელოვანი სოსლანი მოჰყვებოდა. იგი უფროსი მაყარი იყო. გზად მაყრიონს გამოუარეს — არჯინარეჯში თათართუფთან* მივიდნენ, ქურიფის მაღლობზე — ველ-მინდვრის ღვთაებასთან, თიბავის ხოხზე — წმინდა ელიასთან, ვაზას მთაზე — დიდებულ ნიქოლასთან, ადას მწვერვალზე — დიდებულ აფსათისთან, ყარივის მთაზე — პირუტყვის ფალვარასთან, ზეციდან კი მაღალი ვასთირჯი ჩამოიყვანეს.

თმაჭაღარა თათართუფი უფროსად წაიმძღვარეს. მას მარცხნივ მამაცი ელია* მიჰყვებოდა, მარჯვნივ კი — მოხუცი ურუზმაგი. ვასთირჯი მათზე უმცროსი იყო და ლურჯ ცხენზე ამხედრებული მისდევდა.

დანარჩენები ჯგუფ-ჯგუფად უკან მიჰყვებოდნენ. მათი ცხენების ხვიხვინზე მთები ზანზარებდნენ, ხოლო მათივე ოხშივარი მიმავლებს თავზე ლურჯ ნისლად ადგა. მოვერცხლილ სადავეებზე დილის მზე დასციმციმებდათ. ანგელოზები, ღვთაებები და ნართების რჩეულები გრძელ გზას მასლაათით იმოკლებდნენ: ბებერმა საინაგ-ალდარმა ბევრი სასიძო ყმაწვილი გაგვიწბილა, თუ ამჯერადაც არ დაგვთანხმდა, როგორ მოვრიგდებით მასთან?

წინდა ვასთირჯიმ მაყრიონს უთხრა:

— მე აცას ვაჟის მეჯვარე ვარ და ყველას გთხოვთ, თუ საინაგ-ალდარი ნებით მოგვცემს თავის ქალს, ხომ კარგი, თუ გაჯიქდა, მით უარესი მისთვის: იმ ბებერ ჯიუტს ამდენი ხალხი მზეთუნახავს მოვტაცებთ.

— სავხოხის კოშკი ძალზე მაღალი და მაგარია. აგუნდა-მზეთუნახავი მამის ერთადერთი მემკვიდრეა და მისი მოტაცება ძალიან გაძნელდება, — თქვა თათართუფმა.

მოღალატეთა რისხვამ, მამაცმა ელიამ თათართუფს სთხოვა:

— ჩვენო უფროსო, ღვთის საყვარელო! ღმერთს ნისლი გამოსთხოვე და მე გიჩვენებთ, სავხოხის კოშკი უფრო მტკიცეა თუ ჩემი ძლიერება.

— ჩვენო წმინდა ელია! სავხოხის დაქცევა შენ გევალებოდეს, საინაგ-ალდარის ასულის აგუნდა-მზეთუნახავის მოტაცება მე და ვასთირჯის მოგვანდე, — უთხრა წმინდა ნიქოლამ.

უსმენდა მათ საუბარს სახელოვანი აფსათი და გაგულისებულმა მანაც თქვა:

— აბა, მეც კაცურად გავირჯები: სავხოხის ძირას ვერცხლის ეტლს დაგახვედრებთ, შიგ შვიდი ქორბუდა ირემი იქნება შებმულიო.

— მე მეგზურად წინ წაგიძღვებითო, — თქვა თავის მხრივ ველ-მინდვრის ღვთაებამ.

— მე კი იმდენ პირუტყვს დაგახვედრებთ, რამდენიც დაგჭირდებათო, — თქვა ფალვარამ.*

— თუ საინაგ-ალდარი დაგვედევნება, ჩემი მშვილდ-ისრით გვერდებს დავუცხრილავო, — თქვა სოსლანმა.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით მაყრიონი სავხოხს მიუახლოვდა. გზის პირას, პანტის ქვეშ ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ, ხეთა ჩრდილებში, მწვანე მოლზე, თეთრი ნაბდები გაშალეს. ხეობიდან მონაბერი ნიავი გრძელ წვერებზე ელამუნებოდათ.

ვასთირჯი და ნიქოლა საინაგ-ალდართან შუამავლებად გაგზავნეს. ის ერთ წელიწადს დაბადებული ასი ირემიც თან გაატანეს. ორი ღვთაება — ვასთირჯი და ნიქოლა საინაგ-ალდარის კარწინ შეჩერდნენ. ირმები ალდარის ეზოში კუნტრუშით შეცვივდნენ. ალდარის მარდი უმცროსები ფიცხლად ეახლნენ სტუმრებს და ცხენებს სადავეებში ხელი წაუვლეს. სტუმრები ჩამოხდნენ.

საინაგ-ალდარმა კუშტად გადმოიხედა. ირმები რომ დაინახა, უარესად დაღონდა და სტუმრებს უხალისოდ გამოეგება. თეთრწვეროსანს, წელწვრილსა და მხარბეჭიანს ლამაზად შეკერილი აქლემის ბეწვის ჩოხა შვენოდა, ხელთ ვერცხლის ჯოხი ეჭირა.

— სტუმრებს სიცოცხლე! — მიესალმა იგი მოსულთ.

— ტკბილი სიბერე გქონოდეს! — უპასუხეს სტუმრებმა სალამზე და ადათის მიხედვით პატივი მიაგეს.

საინაგ-ალდარმა მოსულნი სასტუმრო დარბაზში შეიპატიჟა. ზემოთ,

საპატიო ადგილზე, ორივე სპილოს ძვლის სავარძლებში ჩასხა. სტუმრებმა მოსვლის მიზანი აუწყეს.

— ო, წმინდა სულებო! ჩემო ძვირფასო სტუმრებო, დღევანდელ დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელ დღედ ჩავთვლი. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით; მე თქვენი ნათქვამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს გეტყვით; მაგრამ, წმინდა ღვთაებებო, მოხედეთ საცოდავ ბერიკაცს, საბრალო მამას. სადღაა ჩემი ძველებური ჯანი და ღონე?! სიცოცხლის ზამთარი კარს მომდგომია. ძვალი დამიბერდა, გონება მღალატობს. ცალი ფეხი სამარეში მიდგას. მოღრუბლულ დღეებში მზის ნაცვლად — მადლი უფალს — ჩემი ერთადერთი ქალიშვილის შემოხედვაღა მათბობს. როგორც მისი აზრი ვიცი, იგი მოხუცი მამის მარტოდ დაგდებას არ აპირებს. გასათხოვრად ჯერ ძლიერ ნორჩია.

შუაკაცებმა საინაგ-ალდარს ვეღარაფერი უპასუხეს; უხმოდ ადგნენ და თავიანთ ამხანაგებთან გამობრუნდნენ.

ალვისტანა, მკერდმაღალი აგუნდა-მზეთუნახავი გამოვიდა და მამას ჰკითხა, შუაკაცებს რა პასუხი გაეცით.

მამის პასუხი რომ მოისმინა, აგუნდა-მზეთუნახავი განაწყენდა, წარბშეკრულმა ლამაზი, ქათქათა ხელით კარი გაიჯახუნა და გავიდა.

მამა ქალიშვილს გულისნადებს მიუხვდა, გაიღიმა და უთხრა:

— ე, ჩემო თავნებავ, ჩემო ერთადერთო დამტირებელო, როგორც გატყობ, უსაზღვროდ გყვარებია ოქროს სალამური, ლამაზი სიმღერები და ერთ წელს დაბადებული ქორბუდა ირმები; მაგრამ მათზე ძლიერ აცას უმცროსი ვაჟი პატარა აცამაზი შეგყვარებია.

საინაგ-ალდარს ბევრი აღარ უფიქრია, სტუმრებს მოპატიჟე დაადევნა. სტუმრებიც მობრძანდნენ.

მოხუცმა საინაგ-ალდარმა მაყრიონს მიმართა:

— თქვენი ხათრით ჩემს ერთადერთ ასულს ნებას ვრთავ, ნართ აცას ვაჟს აცამაზს გაჰყვეს ცოლად. ნართები ჩემი შესაფერისი ხალხია. საინაგ-ალდარმა სტუმრები შინ შეიპატიჟა. მერე ყველგან მოპატიჟეები აფრინა და უამრავ ხალხს მოუყარა თავი. ღვთაებებსა და ნართ ხალხს წინ ვერცხლისფეხიანი მრგვალი მაგიდები დაუდგა და კვირიდან კვირამდე უმასპინძლა.

მარიფათიანმა, ზრდილმა ყმაწვილებმა სამი ხაჭაპური და რკინის შამფურზე აგებული მწვადი შემოიტანეს, მაგიდაზე ალუთონ ლუდით* სავსე ვეება ორყურა დოქები შემოდგეს, რონგის* დოქები გაამწკრივეს.

წამოდგა თმაჭაღარა თათართუფი, ქუდი მოიხადა და სადღეგრძელო წარმოთქვა. ქუვაგქაგით* წაიხემსა აცას ვაჟმა აცამაზმა. ამის შემდეგ ქეიფი

გაჩაღდა. სუფრაზე ცხარე რონგი და ალუთონ ლუდი წყალივით უხვად მოჰქონდათ. საჭმელი კიდევ უფრო უხვად იყო მაგიდაზე. მხიარულ სიმღერებს ბოლო არ უჩანდა, მაგრამ უფრო ლამაზი სიმღერების მოსმენა მოინდომეს.

— ჩემო ახალო სიძევ, რატომ არ დაუკრავ შენს ოქროს სალამურს, რომლითაც თავნება ქალიშვილის გული დაიპყარი? — ჰკითხა საინაგ-ალდარმა აცამაზს.

ნართ აცას ვაჟმა, პატარა აცამაზმა საინაგ-ალდარს მოახსენა:

— კაი ხანია, მოაკლდა ჩემს გულს ჩემი განძის ხმა — ოქროს მარადიული სალამური კლდის ქიმს მივანარცხე და წვრილ-წვრილად დაიფშვნა!

აგუნდა-მზეთუნახავმა ეს მოისმინა თუ არა, გამოიტანა აბრეშუმში გახვეული ოქროს სალამური და აცამაზს გაუწოდა. აცამაზს სალამურის დანახვაზე სახე მზესავით გაუცისკროვნდა. გამოართვა და დაუკრა. ვისაც კი სალამურის ხმა მისწვდა, ყველა აცეკვდა. ეზოში ჯგროდ მდგარმა ირმებმა დატოტვილი რქები გაშალეს და როკვა იწყეს.

სტუმრები აცამაზის სალამურს ბანს აძლევდნენ.

წარჩინებულმა ნართებმა სმა-ჭამა მოითავეს და ახლა მრგვალ მაგიდაზე მდგარ ლუდით სავსე ვეება თასის პირზე ცეკვა გააჩაღეს.

კვირიდან კვირამდე ისხდნენ სტუმრები; იქეიფეს, იმღერეს, იცეკვეს და მერე სავხოხიდან გამოემგზავრნენ — მოჰგვარეს აცას ვაჟს აცამაზს აგუნდა-მზეთუნახავი. აგუნდას საქორწილო ეტლი ვერცხლისა იყო და შიგ შვიდი ქორბუდა ირემი ება — იგი აფსათიმ მიართვა საჩუქრად.

მაყრიონს დედოფლის მზითევი შვიდი ურმით გამოატანეს.

აგუნდას ხელისმომკიდედ წმინდა ვასთირჯი ჰყავდა, მაყრად — ნართი ურუზმაგი. მათ წმინდა ნიქოლა მიუძღოდა, დროშა ველ-მინდვრის ღვთაებას მოჰქონდა. წმინდა ელია მაყრიონის წინ ცხენს მოათამაშებდა, მისი მათრახის გატკაცუნება ცის ქუხილსა ჰგავდა, შუბს გაცვენილი ნაპერწკალი — ცის გაელვებას. ცხენის ოხშივარი — ზამთრის ქარბუქს.

აგუნდა-მზეთუნახავი მხიარულად წამოიყვანეს და ნართების სახლში მიიყვანეს. პატარძალმა ნართების უბადლო დიასახლისს თავი მდაბლად დაუკრა. მაყრიონმა სათანას კარიდან მიუმღერა:

ოი, ჩვენო დიდებულო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათით სავსე ცხოვრების სათანა!
ოი, შენ გიმღერითო,
ოი, შენ, ჩვენო დიასახლისო სათანა!
ოი, თუ ბევრი ქონია შენს საკუჭნაოში,
ოი, თუ ბარაქიანი გაქვს ხელი!
ოი, გამოგვიტანე შავი ლუდი!

ოი, შავი ლუდი და ცვრიანი მწვადი,
ოი, შავი ლუდი მოშიშინე,
ოი, ცვრიანი მწვადი მოშიშხინე,
ოი, ჩვენო დიდებულო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათით სავსე ცხოვრების სათანა!
ოი, გამოგვიტანე ხაჭაპურები,
ოი, მსუყე და ერბოიანი.
ოი, გამოგვიტანე რონგის დოქი!
ოი, გამოგვიტანე, აბა, გამოგვიტანე,
ოი, ყველი საუკეთესო!
ოი, ნართო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათით სავსე ცხოვრების სათანა!

ნართებმა დიდი ქორწილი გადაიხადეს. სუფრის თავში თეთრწვერა ურუზმაგი იჯდა და ილოცებოდა:

„ღმერთო დიდებულო, ვასთირჯი სიმართლის დამცველია და ჩვენი ყველა საქმე მართლად და სწორად წაეყვანოს!

ღმერთო, ჩვენს უმცროსებს, რომლებიც ცხოვრების შეძენას ცდილობენ, ხელი მოუმართე. ვინც ჩვენზე ღონის გამოცდას ცდილობს, იმას ძალ-ღონე გამოულიე. ცხოვრება ეძიეთ, ახალგაზრდებო!“

როცა ურუზმაგმა სადღეგრძელო დაასრულა, თათართუფმა სიმღერა წამოიწყო:

სახლი, სახლი, კარგი სახლი,
ოთხკუთხედი, რვაკუნჭულა,
ისე მკვიდრად ნაშენია,
ბოძები უდგას დონბედთირისგან* მოზიდული,
თავხეები — ფარნის ხეობიდან მოტანილი,
ნაჭა ციდან ჩაკიდული.
ნართების უფროსი ურუზმაგია,
დიასახლისი — სათანა,
მერიქიფე — სოსლანი,
ახალგაზრდობა ნართულია,
ისემც დიდხანს უცოცხლიათ,
დათვივით ტორიანი ყოფილიყვნენ,
ირემივით — ქორბუდები,
კრუხივით — წიწილიანნი.
მხიარულად ეცხოვროთ
ოი, ჩვენს საყვარელ ახალგაზრდებს!

ძლევამოსილმა ნართებმა ცხოვრება ბრძოლებში გალიეს. უამრავი მოძალადე დაამარცხეს. ისეთი აღარავინ დარჩათ, ვისთანაც ღონეს გამოსცდიდნენ. დღე და ღამე იმის ფიქრში იყვნენ, ვის შებმოდნენ, ღონე კიდევ ვისთან ეცადათ. მაშინ ეშმაკმა სირდონმა უთხრა მათ:

— ღმერთს რომ ლოცულობთ, ერთი ღონე იმასაც მოუსინჯეთო.

— სად არის მერე, რომ არ ვიცითო? — ჰკითხეს ნართებმა.

სირდონმა ისინი ასე დაარიგა:

— გაარისხეთ და თვითონ გამოგეცხადებათო.

ნართებმა სირდონს ჰკითხეს:

— როგორ გავარისხოთო?

— თქვე გასაწყვეტებო, ნუღარ ილოცებთ, დაივიწყეთ მისი სახელი. სახლს ისეთი მაღალი კარი შეაბით, შიგ შესვლისას თავის დახრა რომ არ დაგჭირდეთ, თორემ ღმერთი იფიქრებს, თაყვანს მცემენო. ასე მოიქეცით და იგი თვითონ მოგნახავთო.

ნართებმა სირდონს დაუჯერეს — სახლს მაღალი კარი შეაბეს და ღვთის ლოცვასაც შეეშვნენ.

ნართებმა ღმერთი რომ მიივიწყეს, მან მერცხალი დაიბარა:

— წადი ერთი და ნართებს ჰკითხე, რაზე შემომწყრნენო?

მერცხალი ნართების ნიხასში მიფრინდა, ხეზე შემოჯდა და მათ ხათიაგურად* დაელაპარაკა:

— ვის სახელზეც ლოცულობდით, თქვენთან შუაკაცად იმან გამომგზავნა და შემოგითვალათ: რა დაგემართათ, ნართებო, რატომ შემომწყერითო?

ურუზმაგი ჩაფიქრდა მერცხლის ნათქვამზე და ნართებს უთხრა:

— ვისაც ვეძებდით, შუაკაცი თვითონ გამოგვიგზავნა. მოითათბირეთ და მითხარით, რა ვუპასუხოთო.

ნართებმა უთხრეს:

— რა მოთათბირება გვინდა, ჩვენ ხომ დიდი ხანია, დავთქვით. ღმერთს ბევრი პატივი ვეცით, ის კი თვალითაც არასოდეს დაგვნახვებია. გამოვიდეს ახლა და დავეჭიდოთო.

ურუზმაგმა ეს პასუხი მერცხალს გადასცა. მერცხალიც გაფრინდა და ნართების პასუხი ღმერთს მოახსენა.

ღმერთმა მერცხალს უთხრა:

— ერთხელ კიდევ დაბრუნდი და ერთი ნართებს ჰკითხე: რომ დაგამარცხოთ, დედაბუდიანად ამოგწყვიტოთ, თუ ცუდი ნაშიერი მაინც დაგიტოვოთ-თქო?

გამობრუნდა მერცხალი, მოფრინდა ნართებთან და ღმერთის დანაბარები გადასცა.

ნართებმა ერთმანეთს გადახედეს და თქვეს:

— თუ ჩვენი გადაშენება სურს, დაე, მთლიანად მოგვსპოსო.

უჭკუოებმა:

— მთლად გადაშენებას, დაე, ცუდი ნაშიერი მაინც დაგვრჩესო.

ურუზმაგმა გააჩუმა ისინი:

— ცუდი ნაშიერის ყოლას უშვილძიროდ გადაშენება ჯობია. რას ვაქნევთ მარად სიცოცხლეს? არ გვინდა მარადი სიცოცხლე, დაე, სამარადისო დიდება მოგვცეს.

ნართებს აღარაფერი უთქვამთ, ურუზმაგს დაეთანხმნენ.

განრისხებულმა ღმერთმა ნართებს ახლა ვასთირჯი მოუგზავნა. ვასთირჯიმ ისინი დასწყევლა: „თქვენი დღიური ნაშრომი ერთ ტომარაზე მეტი არასოდეს გამოსულიყოსო!“

გალეწავდნენ ნართები რამდენიმე ბულულ ქერს და მხოლოდ ერთი ტომარა მარცვალი გამოდიოდა, მაგრამ ნართები განა უჭკუოები იყვნენ! დღეში მხოლოდ ერთ ხელეურს ლეწავდნენ და ყოველი ხელეური თითო ტომარა მარცვალს იძლეოდა, ბულული კი — ათ ტომარას. ამრიგად, ძველებურად, ძღომისად ჭამდნენ. ღმერთი მიუხვდა მათ ეშმაკობას, დასწყევლა ისინი და მას შემდეგ მათი ყანა დღისით მწვანედ ბიბინებდა, ღამით კი მოსამკელი ხდებოდა.

ნართები დღისით რომ სამკალად გავიდოდნენ — ყანა მწვანე ხვდებოდათ. მეორე დღეს ყანა ისევ მწვანე იყო. ადგნენ და ყანებთან ახლოს კარვები დადგეს, ისრებს ორკაპა წვერები გაუკეთეს და თავთავს ესროდნენ. მოჭრილი თავთავი დილამდე ხმებოდა.

თავთავთან ერთად ღეროსაც ფქვავდნენ და ერთი წელი ასე გაატარეს.

მერე თქვეს: „ღმერთს ხომ ჩვენ თვითონ შევუთვალეთ — მარადიულ სიცოცხლეს მარადიული დიდება გვირჩევნიაო“.

საფლავი თვითონვე გაითხარეს და შიგ ჩაცვივდნენ.

ასეთი აღსასრული ერგოთ სახელოვან ნართებს. უვარგისი ნაშიერის ყოლას გადაშენება ამჯობინეს.

რატომ არის ვასთირჯი მამაკაცთა ღვთაება

ვასთირჯი ადამიანთა მფარველი ღვთაება იყო და ანგელოზებთან ერთად ზეცაში ცხოვრობდა. შორეულ წარსულში ზღვათა და მდინარეთა ბატონ-პატრონები გველეშაპები იყვნენ, ამიტომ წყალს ხარკის გარეშე არავის აძლევდნენ. ხარკად კი ქალწულს თხოულობდნენ. ყველა სოფელი ყოველ წელს თითო გასათხოვარ ქალს აძლევდა გველეშაპს წყლის საფასურად.

ეს ამბავი ვასთირჯის ყურამდე მივიდა. ძლიერ ეწყინა ვასთირჯის გველეშაპების საქციელი. შეჯდა თავის თეთრ ცხენზე და ზეციდან დედამიწაზე ჩამოვიდა. მოიარა სოფლები და მოინახულა თავისი ხალხი. ერთგან გზაზე ღარიბ კაცს შეხვდა. ამ კაცს თურმე ტყიდან შეშა მოჰქონდა. მარხილი და ხარები ტალახში ჩაჰფლობოდა და ვეღარ ამოეყვანა. გადაწყვიტა სოფელში წასულიყო და ვინმესთვის დახმარება ეთხოვა. დატოვა ხარები და მარხილი იქვე და ხმამაღლა თქვა:

— ჩემს დაბრუნებამდე, ვასთირჯი, ჩემი ხარები შენ გებარებოდესო!

კაცი გზას გაუდგა. კარგა მანძილი რომ გაიარა და თვალს მიეფარა, ვასთირჯიმ ტალახში ჩაფლული გატეხილი მარხილი გაამთელა, ამოიყვანა, ხარები შეაბა და გზაზე დააყენა. ამ დროს ღარიბ კაცს დასახმარებლად ხალხი მოჰყავდა, რომ დაინახა თავისი ხარები ახალი მარხილით, სიხარულით ცას ეწია.

ვასთირჯიმ გზა განაგრძო. ერთ სოფელში მივიდა და რას ხედავს! — ყველა დღესასწაულობს, ერთ ღარიბ კაცს კი ვაჟი გახდომია ავად და უკვდება. სოფელი თურმე ვასთირჯის დღესასწაულს იხდიდა. ავადმყოფი შვილის პატრონი ღარიბი კაცი კი სადარდებელში იყო ჩავარდნილი — ვასთირჯის სახელზე საკლავი ახლა რომ დავკლა, შვილი რომ მომიკვდება, მერე რაღა ვქნა, ქელეხისთვის სხვა აღარ მყავსო.

ვასთირჯი მოხუც კაცად იქცა; მივიდა ავადმყოფის პატრონთან. გულთბილად გამოეგება მასპინძელი:

— მობრძანდი, სტუმარო, მობრძანდი!დღეს ვასთირჯის დღეობაა. მაგრამ რა ვქნა, აღარ ვიცი. იქნებ შენ მაინც მასწავლო, როგორ მოვიქცე? დღეობაც არის და მომაკვდავი შვილიც მიწევს ლოგინში, რომელს დავუკლა ეს ერთი საკლავი?

— შენ შენი სალოცავი ილოცე, დღესასწაული დაიყენე, მომაკვდავზე ნუ დარდობ, — უთხრა ვასთირჯიმ.

დაუჯერა მასპინძელმა და ბოსელს მიაშურა. ამ დროს ვასთირჯიმ ავადმყოფს სული შეუბერა და ვაჟი რაც იყო, შვიდჯერ იმაზე უკეთესი

გახდა — განიკურნა! წამოხტა გამოჯანსაღებული ვაჟი და მამის მისახმარებლად ბოსელში გავარდა. მამა გაოცდა და თქვა:

— ოქროდ იქეცი, მამაკაცების სალოცავო ღვთაებავ! შენა ხარ ღარიბების შემწე და დამხმარე. დაე, შენი სახელი ჩვენი შთამომავლობის იმედად დარჩენილიყოს.

ვასთირჯი კი კვლავ თავის თეთრ ცხენს მოახტა და გზას გაუდგა. მიადგა მდინარეს და ნაპირ-ნაპირ გაუყვა. ხედავს, მდინარის პირას ერთი ქალიშვილი ზის და ცხარე ცრემლით ტირის.

— რა იყო, ქალო, რაზე ტირიო? — ჰკითხა ვასთირჯიმ.

— როგორ არ ვიტირო. უწყლობით იხოცება მთელი ხალხი, ყოველ წელს გველეშაპს წყლის საფასურად ქალიშვილს აძლევენ. დღეს ჩემი რიგია. ჩემს მშობლებს ჩემს მეტი შვილი არა ჰყავთ. დანიშნული ვარ ერთ ჩემისთანა ღარიბ ვაჟზე, მაგრამ ეს უბედურება გვეწვია. დანიშნულმა მითხრა, წადი, შეეხვეწე გველეშაპს, იქნებ შეგვიბრალოსო, თვითონ კი შორს გამეცალა, რომ ჩემს ტანჯვას არ უცქიროს. ახლა მოვა ის ურჩხული და გადამყლაპავსო.

— წადი შინ, ნუღარ ტირი, გველეშაპს კი მე მოვუვლიო, — უთხრა ვასთირჯიმ.

სიტყვა დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ გველეშაპი გამოჩნდა. ვასთირჯი თავისი თეთრი ცხენიდან ძირს არც ჩამოსულა, ისე ჩასცა შუბი შიგ ბეჭებში, მიწაზე დაანარცხა და სული გააფრთხობინა.

გახარებული ქალი შინისკენ გაიქცა და ეს ამბავი მშობლებს მიახარა. მათ არ დაუჯერეს, ტყუილს ამბობო.

— აბა, მაშ ხარები გავუშვათ წყლის დასალევადო, — თქვეს და ხარები წყალზე გაუშვეს.

ხარებმა იმდენი სვეს წყალი, იმდენი, რომ გაიბერნენ და უკან დაბრუნებულები შუა გზაზევე გასკდნენ.

ახლა კი დაიჯერეს ქალის ნათქვამი, გავარდა ხმა სოფელ-ქალაქში და მიაწყდა ხალხი წყალს. ეზიდებოდნენ, ვისაც რამდენი შეეძლო. ხელმწიფემ ვასთირჯი უხვად დაასაჩუქრა, მან კი ყველაფერი ღარიბებს ჩამოურიგა.

წამოვიდა ვასთირჯი იქიდან და ერთგან, ტყის ახლოს, პატარა მინდორზე ერთი ვაჟი შენიშნა, გულამოსკვნილი ტიროდა. ვასთირჯი რომ მიუახლოვდა, ვაჟი მის ცხენს ფეხებში ჩაუვარდა.

— ჩამომეცალე, თორემ ცხენი ქვეშ დაგიტანსო, — გააფრთხილა ვასთირჯიმ.

— დაე, მომკლას, ჩემს სიცოცხლეს მაინც სიკვდილი სჯობსო! — უთხრა ვაჟმა.

— რად მოგძულებია თავი, შენ ხომ ჯერ ასე ახალგაზრდა ხარო?

— ჩემი ქორწილის დღე ახლოვდება, მე კი შორს გადმოვიხვეწე. აი, აქამდე მოვაღწიე. ჩემი საცოლე კი უკვე დაღუპული იქნება, გველეშაპისთვის უნდა მიეცათ ხარკად. აბა, რაღად მინდა თავი ცოცხალიო? — ამოიგმინა ვაჟმა.

— ნუ დარდობ, შვილო! გასწი შინისკენ, საცოლე შინ უვნებელი დაგხვდება, გველეშაპი კი — აკუწული.

გაიხარა ვაჟმა, მადლობა გადაუხადა და შინისკენ გაეშურა. ვასთირჯი კი ზეცაში აფრინდა. ვაჟი სიხარულით კვირის სავალს ერთ დღეში გადიოდა. მივიდა შინ გახარებული, გადაიხადეს დიდი ქორწილი, სადაც პირველი სადღეგრძელო ვასთირჯისა დალიეს.

ამის შემდეგ ვასთირჯი ღვთის თანასწორი გახდა, მამაკაცთა და მგზავრთა მფარველ ღვთაებად ჩათვალა ხალხმა და მის სახელზე დიდი მოწიწებით ლოცულობენ.

ეშმაკის ოინები

ლაგის ვაჟი ძამბოლათი კარგი მონადირე იყო. ერთ მშვენიერ დღეს სანადიროდ წავიდა. მივიდა ერთ ხეობაში, ინადირა და რქებგაბარჯღული თვრამეტრქიანი ირემი მოკლა. ვაჟს დაუღამდა და ღამის გასათევად იქვე დარჩა. ირემი გაატყავა, მწვადი შეიწვა და მიირთვა. მერე ნაბადი წაიხურა და დასაძინებლადაც იქვე მიწვა.

შუაღამისას ძამბოლათს ხეობის ბოლოდან კივილი შემოესმა. მიაყურადა მონადირემ. ხმა თანდათან უახლოვდებოდა და მალე ვაჟმა ეშმაკის ძახილიც გაიგონა:

— ლაგის ვაჟო ძამბოლათ, მგელმა ბიჭი მომტაცა და, შენს გახარებას, შენი სტუმარი იყოს, მიშველე რამე, ნუ დაანებებ!

ძამბოლათი ბუჩქს მოეფარა და იქიდან უთვალთვალებს. ხედავს, მგელს პირით ბავშვი უჭირავს და მოარბენინებს. ძამბოლათს რომ გაუსწორდა, დასცხო მონადირემ და მგელი გულაღმა ამოატრიალა, ნადირს ბავშვი პირიდან გაუვარდა. ეცა ძამბოლათი ბავშვს, უნდოდა ხელში აეყვანა, მაგრამ მგელმა უთხრა:

— მკლავ, მკლავ, მაგრამ სიკვდილის წინ ერთი თხოვნა მაინც შემისრულე, ხელი არ ახლო, ლაგის ვაჟო, ბავშვს. თუ მაგას შენი ხელი მოხვდება, მე ვეღარ ვიხეირებ.

ლაგის ვაჟმა შეუსრულა მგელს ეს თხოვნა.

ამასობაში მოაღწია დედა ეშმაკმაც. აიყვანა შვილი და უბეში ჩაისვა. მოუბრუნდა ლაგის ვაჟს, ხელი ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა:

— შენ მტერი მომიკალი, წამომყევი შინ. მე დიდი ოჯახის რძალი ვარ. მაზლები და მაზლის ცოლები საკმაოდ მყვანან.

ლაგის ვაჟი შეცბა, გულში გაიფიქრა: „როგორ გავყვე ახლა ეშმაკს შინ?"

ეშმაკი მიუხვდა და უთხრა:

— ნურაფრისა გეშინია, გამომყევიო.

რაღას იზამდა, გაჰყვა ლაგის ვაჟი. მიდიან ერთ ხეობაში, ბნელა. ლაგის ვაჟს მოსწყურდა. დაიხარა მდინარეზე და წყალს დაეწაფა. ეშმაკმა უთხრა:

— ეგრე რატომ სვამ, შე კაი კაცო! პირდაპირ რომ დაეწაფე წყალს, ხარი ხარ თუ ცხენი?

სახელოები აიკაპიწა ეშმაკმა და მისმა შიშველმა მკლავებმა გაანათეს იქაურობა. ეშმაკმა აიღო პეშვით წყალი და შეასვა ძამბოლათს. თვალი წაუგორდა ძამბოლათს და გულში გაუელვა: „რა ლამაზია!"

ეშმაკი მიუხვდა ყველაფერს და უთხრა:

— რაც გულში თქვი, მესმის და ბარემ სურვილზეც უარს არ გეტყოდი, მაგრამ მერე საკუთარი ცოლისაგან კარგს ნუღარაფერს მოელიო.

ლაგის ვაჟს შერცხვა: „აი, საკვირველება, ხმამაღლა სიტყვაც არ დამცდენია და მაინც მიმიხვდა".

მიდიან, მიდიან და მიუახლოვდნენ ეშმაკის სახლს. ეშმაკმა უთხრა ლაგის ვაჟს:

— ნურაფრისა შეგეშინდება, მხოლოდ რასაც გეტყვი, დაიმახსოვრე. მე ბევრზე ბევრი მაზლი და ბევრიც მაზლის ცოლი მყავს. მთელ ღამეს მოგალხენენ, მოგეფერებიან. დილით კი საჩუქრებს შემოგთავაზებენ, მაგრამ ნურაფერს აიღებ. მხოლოდ ასე უპასუხე ხოლმე: „რაც ჩემია, ჩემი იყოს".

ლაგის ვაჟი საგონებელში ჩავარდა: „თუ არაფერი წამოვიღე, რა გამოვა, რაც „ჩემია, ჩემის" ძახილით?

მიიყვანა ეშმაკმა კაცი სახლში. ამოსვა უბიდან ვაჟი და ოჯახის უფროს დიასახლისს ჩაუგორა კალთაში ამ სიტყვებით:

— ლაგის ვაჟმა მტერი მომიკლა და აგერ ისიც მოგგვარეთო.

უფროსუმცროსობის მიხედვით უსხდნენ მაგიდას ოჯახის წევრები, ჭამდნენ და სვამდნენ. ლაგის ვაჟის სტუმრობით ყველამ ძლიერ გაიხარა, მიეფერნენ, მერე უმცროსებს გადასძახეს:

— აბა, ჩვენი სტუმარი ჩვენნაირად მოაქციეთო!

ლაგის ვაჟს გულში შიში შეეპარა: „ნამდვილად თავიანთნაირს გამხ-

დიან!". რომელმა რძალმაც შემოიყვანა ოჯახში, მანვე დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, რაც გაიფიქრე, მაგისი ნუ გედარდება. თქვენში მთვრალ ხალხთან ფხიზელი რომ მოხვდება, მაშინ ხომ ეგრე ამბობთ ხოლმე: „სტუმარიც ჩვენნაირი გახადეთო". ეგენი მთვრალები არიან, შენ ფხიზელი და როცა დაგათრობენ, შენც მათნაირი გახდებიო.

მთელი ღამე დიდ პატივში ჰყავდათ ლაგის ვაჟი.

შუაღამისას კვარი გაუთავდათ და ერთი რძალი მის მოსატანად გაგზავნეს.

ქალს შეაგვიანდა კვარის მოტანა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვიდა და მთელი მუჭა ოსური კვარი შემოიტანა. უფროსებმა ჩხუბი დაუწყეს:

— სად იყავი, შე კაი ქალო, აქამდე, რად დაიგვიანეო?!

— რა მექნა, „აღარ არის" არავინ მეუბნებოდა, ყველა გაიძახოდა. „სავსედ გვაქვსო". ესენიღა იყო — მეც დავავლე ხელი და გამოვიტაცე.

გაუკვირდა ლაგის ვაჟს და გულში თქვა: „ჩვენი ქონება თურმე ეშმაკების ხელთ ყოფილა და როგორ არაფერი ვიცოდითო".

გათენდა დილა და ლაგის ვაჟმა ძამბოლათმა წასვლა დააპირა. მოაქვთ ეშმაკებს ათასგვარი საჩუქრები და სთავაზობენ. ვაჟი კი ერთსა და იმავეს უმეორებს:

— რაც ჩემია, ჩემი იყოს, მეტი არაფერი მინდაო.

ამის გაგონებაზე ეშმაკების დიასახლისი დაღონდა. დაიწყეს მასთან რიგრიგობით ეშმაკებმა მისვლა და თხოვნა:

— მიეცი ლაგის ვაჟს თავისიო.

ქალი არ თანხმდებოდა. ბოლოს მივიდა ქმარი და უთხრა:

— მიეცი ლაგის ვაჟს თავისი, ხოდელ ძუქოთების ბარაქა ჩემს ხელთაა და მიჩუქებია. თუ კაცი ვარ, სხვა ადგილიდანაც მოვიტან ბარაქასო.

ეშმაკების დიასახლისი მიუბრუნდა ლაგის ვაჟს და უთხრა:

— ლაგის ვაჟო, შენი ბარაქა ჩემს ხელშია. ეტყობა, ჩემმა რძალმა გასწავლა ეს, თორემ შენ საიდან გეცოდინებოდა. დღეის შემდეგ შენი იყოს შენი ბარაქა, მე მასთან აღარაფერი მესაქმებაო.

გამოემართა იქიდან ლაგის ვაჟი შინისაკენ. მოდის და გზაში ფიქრი არ ასვენებს: „თან არაფერი გამოუტანებიათ, მარტო სიტყვით — „რაც ჩემია, ჩემი იყოსო", რა უნდა შემემატოს? ეს საქმე თუ არ შევამოწმე, არ იქნებაო".

მივიდა შინ და ცოლს უთხრა:

— ქალო, აბა, ერთი საჩქაროდ პური გამოაცხეო.

ქალმა გაცრა ფქვილი, დაასხა წყალი, ზელს და ცომი ვარცლში აღარ ეტევა. ახლა კი მიხვდა ლაგის ვაჟი, რაშიც იყო საქმე — მის ოჯახს ბარაქა დაუბრუნდა.

მეორე დღეს ვაჟმა ხორბალი წაიღო დასაფქვავად და ფქვილის ზიდვას ველარ აუდიოდა.

შუადღემდე რასაც მოხნავდა, იმ მიწაზე წლის სამყოფი სარჩო მოსდიოდა.

ჩვენი ბარაქა თურმე ეშმაკებს მიაქვთ; ამიტომ „არა მაქვსო" არავინ თქვას, „სავსედ მაქვსო", — მხოლოდ ასე უნდა ვთქვათ ყოველთვის, — დაასკვნა ვაჟმა.

კაცს თურმე ორი ეშმაკი ჰყავს: ერთი კეთილი, მეორე — ბოროტი. ორივენი სულ თან დაჰყვებიან. თუ ბოროტი ეშმაკი უფრო ძლიერია, კაცს საქმე სულ უკუღმა მისდის შინაც და გზაშიც. თუ კეთილი ეშმაკი ჰყავს ძლიერი, მაშინ ყველა საქმეში, შინ თუ გარეთ, ხელი ემართება და ბედნიერად ცხოვრობს.

სამი განძის ზღაპარი

ოდესღაც ერთი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი. მას შრომა არ უყვარდა; ერთთავად ამხანაგებთან დადიოდა, სად რა ეჭამა და ესვა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა. ასე გადიოდა დღეები, წლები.

მშობლები ბერდებოდნენ და დარდობდნენ, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, ამას ვინ შეინახავსო. ერთხელაც მამა ავად გახდა, დაუძახა შვილს და უთხრა:

— მე ვკვდები, მაგრამ შენი დარდი მიმყვება. დაიმახსოვრე: როცა მოვკვდები, შენი ქონება სულ შეჭამე და მერე თავი მოიკალიო.

მოკვდა მამა, დარჩა დედა-შვილი. ვაჟი დღე და ღამე ქეიფობდა და მთელი ქონება გაანიავა.

გავიდა დრო, ვაჟს აღარაფერი დარჩა გასაყიდი. ამხანაგები აღარ დადიოდნენ მასთან, ის კი არადა, ზედაც აღარ უყურებდნენ. ვაჟი ძალზე დადარდიანდა.

— როგორ შევაჭამე მამის ქონება ამხანაგებსო, — ნანობდა.

ერთხელ დედასთან მივიდა და უთხრა:

— როგორც მამაჩემმა მიანდერძა, ისე უნდა მოვიქცე. თავი უნდა მოვიკლაო.

დედას შეეშინდა:

— ოღონდ თავს ნუ მოიკლავ და სამ გადანახულ განძსაც მოგცემ. წაიღე სამივე, გაყიდე, გამოიყენე და მერე რაც გინდა, ისა ჰქენიო.

დედამ ვაჟს სარკე, ბეჭედი და სამაჯური მისცა. რაც კი ქვეყანაზე ხდებოდა, იმ სარკეში ყველაფერი ჩანდა; ბეჭედი და სამაჯური კი ისეთი

იყო, რომ დედამიწის ზურგზე იმისთანა არავის არაფერი ენახა.

ვაჟმა აიღო, დიდხანს უყურა, მერე ჩაფიქრდა და დედას უთხრა:

— მე სამოგზაუროდ მივდივარ და თუ ბედს მაინც ვერ ვეწიე, მაშინ კი თავს მოვიკლავ. სანამ საჭმელ-სასმელი ბლომად მქონდა, ამხანაგიც ბევრი მყავდა, ახლა კი, როცა აღარაფერი მაქვს, აღარავის ვჭირდები. ჰოდა, ახლა აქედან მივდივარ.

დედამ საგზალი გაუმზადა და გაუშვა.

ვაჟმა მრავალი ქალაქი მოიარა. ერთხელაც ერთ დიდ ქალაქში შევიდა. ხედავს, ერთ კოშკთან ხალხი შეგროვილა. გაუკვირდა და იკითხა, რა ამბავიაო. უპასუხეს:

— ამ კოშკში ერთი მზეთუნახავი ცხოვრობს, თორმეტი მოახლე უვლის. ძალიან მდიდარია. ვისაც მისი ნახვა უნდა, ფული უნდა გადაიხადოს, ნახვით კი ბევრს უნდა მისი ნახვაო.

ბიჭმა იფიქრა: ახლა ან ჩემი აღსასრულის დღე დადგა, ან იმ ქალს ვნახავო.

იმ კოშკთან დაიდო ბინა. გათენებამდე უროს ურტყამდა გრდემლს და არ დააძინა არც ქალი, არც მისი მოახლე გოგოები.

როგორც კი გათენდა, მზეთუნახავმა მოახლეები გაგზავნა:

— გაიგეთ, ვინ გაბედა ჩემი შეწუხებაო!

მოახლეები ვაჟთან მივიდნენ და ჩხუბი აუტეხეს. მაშინ ვაჟმა ბეჭედი აჩვენა და უთხრა: მთელი ღამე ამას ვაკეთებდიო.

მოახლე გოგოები განცვიფრდნენ, ასეთი ბეჭედი არასდროს ენახათ. მივიდნენ მზეთუნახავთან და გაკვირვებულებმა მოახსენეს, რაც ნახეს. მზეთუნახავმა უთხრა:

— წადით და რაც უნდა დააფასოს, მაინც იყიდეთო.

გოგოები მივიდნენ ვაჟთან და უთხრეს: მზეთუნახავმა შემოგითვალა, მომყიდეო.

— ყიდვით არა ვყიდი, მაგრამ კარებში ხელი გამოყოს და მე თვითონ გავუკეთებ თითზეო.

მოახლეებმა ვაჟის სურვილი გადასცეს მზეთუნახავს. ქალი ძლიერ გაბრაზდა, მაგრამ მოახლეებმა მაინც დაითანხმეს, ძე-ხორციელი ვერ გაიგებს, ხელს თუ გაყოფ და ვაჟი ბეჭედს გაგიკეთებსო.

ასე გაუკეთა ვაჟმა ბეჭედი მზეთუნახავს და დაბრუნდა.

მეორე ღამესაც დაიწყო ვაჟმა ჩაქუჩის კაკუნი. ვერც ამჯერად დაიძინეს მზეთუნახავმა და მისმა მოახლეებმა. დილით გოგოები მივიდნენ ვაჟთან და უთხრეს: ახლავე ადექი და მოშორდი აქაურობასო.

ვაჟმა გამოაჩინა ოქროს სამაჯური და უთხრა:

— ამ სამაჯურს ვაკეთებდი, ნახეთ, იქნებ მოგეწონოთო!

გოგოებმა რომ დაინახეს სამაჯური, გაოცდნენ. მივიდნენ მზეთუნახავთან და ყველაფერი უამბეს.

— ჩქარა წადით და იყიდეთო, — უთხრა მზეთუნახავმა.

გოგოები მივიდნენ ვაჟთან და გადასცეს მზეთუნახავის სურვილი. ჰკითხეს, რას აფასებო.

ვაჟმა უთხრა:

— არა ვყიდი, თუ მზეთუნახავი ხელს გამოყოფს, მაჯაზე მე თვითონ გავუკეთებ და ვაჩუქებო.

მზეთუნახავი ვაჟის ამ პირობაზეც დაითანხმეს. ვაჟმა გაუკეთა სამაჯური და უკან დაბრუნდა.

ვაჟი დარდობს, ფიქრობს: ბეჭედი და სამაჯური აღარა აქვს, მხოლოდ სარკე დარჩა, მეტი აღარაფერი აბადია.

ახლა იმაზე ფიქრობს, ხელში როგორ ჩაიგდოს მზეთუნახავი, სხვა რა გზა აქვს.

გათენებამდე ისევ ურტყა და ურტყა ჩაქუჩი. ისევ დაუფრთხო ძილი მზეთუნახავს და მის მოახლეებს. მეორე დღეს ისევ მივიდნენ გოგოები და ჩხუბი აუტეხეს. ვაჟმა უთხრა:

— რა ვქნა, ჩემი ხელობა ასეთია, — თან სარკე აჩვენა, — ამ სარკეში თუ ჩაიხედავთ, რაც ქვეყანაზე ხდება, ყველაფერს დაინახავთ. თუ შეგანუხეთ, ბოდიშს ვიხდი, აღარ შეგაწყენთ თავს, ავდგები და ჩემს გზას ვეწევიო.

გოგოებმა მზეთუნახავს მოახსენეს ყველაფერი. მან სარკის საყიდლად გამოგზავნა მოახლეები, ვაჟმა უთხრა:

— სარკეს არა ვყიდი, მაგრამ თუ თქვენს მზეთუნახავს ქვეყნიერების დანახვა სურს, მაშინ გაშიშვლდეს, მეჩვენოს და ამ სარკეს ვაჩუქებო.

გოგოებმა გალანძღეს, გათათხეს და წავიდნენ მზეთუნახავთან, მაგრამ თქმით კი ვერაფერი გაუბედეს.

მზეთუნახავი მოახლეებს არ მოეშვა, რატომ არ იყიდეთო. მაშინ გოგოებმა ყველაფერი დაუფარავად უამბეს. მზეთუნახავს სიბრაზისგან კინაღამ გული წაუვიდა... მაგრამ ბოლოს გაახსენდა რა ნაზად გაუკეთა ვაჟმა ჯერ ბეჭედი, მერე — სამაჯური. რას მიზამსო, გაიფიქრა და ვაჟს პირობაზე დათანხმდა.

ვაჟმა მოახლეები გაუშვა და მაშინვე მზეთუნახავის ოთახში შევიდა. მზეთუნახავი გამოვიდა და ერთმანეთს ჩაეხვივნენ; ორივენი ისეთი ლამაზები იყვნენ, ისეთი ლამაზები, რომ თვალს ვერ მოსწყვეტდით. დიდი ქორწილი გადაიხადეს. მერე კი დაბრუნდა ცოლთან ერთად ვაჟი თავის საცოდავ დედასთან და დღესაც ყველანი ბედნიერად ცხოვრობენ.

ჭკუა და ბედი გზად მიდიოდნენ.

ბედმა ჭკუას უთხრა:

— მე რომ არ გყავდე, მარტო შენ ბევრი ვერაფრის გამკეთებელი იქნებოდიო.

ჭკუამ უპასუხა:

— პირიქით, მე რომ არ გყავდე, შენ თვითონ არაფერი იქნებოდიო.

მიდიოდნენ ასე საუბარ-საუბრით. დაინახეს, მინდორში ერთი მწყემსი ხარებს აძოვებდა.

ბედმა ჭკუას უთხრა:

— ამ კაცს ხომ ხედავ? ეგ უბადრუკია, მაგრამ ახლავე დაგანახვებ, რა ბედსაც ვწევო.

ბედმა უბიდან ოქროს ბურთი ამოიღო და იმ მწყემსს წინ გაუგორა. ოქროს ბურთის ბრწყინვალება მზესაც ჩრდილავდა.

ჭკუა და ბედი იმ ადგილს გაშორდნენ. ამ დროს მანდეთ-ქალაქიდან სამი ვაჭარი მოდიოდა. მწყემსს რომ მიუახლოვდნენ, იმ ბურთის ბრწყინვამ თვალი მოსჭრათ. სულელი მწყემსი ბურთს ბზრიალასავით ათამაშებდა. ვაჭრებს გაუკვირდათ, ნეტავ, ვინ მისცა ამას ასეთი ძვირფასი ბურთიო?

ერთმა ვაჭარმა თქვა:

— მოდი, შევევაჭროთ, იქნებ მოგვყიდოსო.

მეორე გაბრაზდა:

— რას ამბობ? მაგას პატრონმა, ალბათ, იმიტომ მისცა, რომ გაერთოს, არ დაეძინოს და ხარები არ დაეკარგოსო.

მესამემ თქვა:

— ვკითხოთ, კაცო, კითხვით რა დაშავდებაო!

მივიდნენ მწყემსთან და მიესალმნენ:

— დღე მშვიდობისა!

სულელ მწყემსს რა გაეგებოდა მისალმებისა და უკმეხად უპასუხა:

— რას მეკითხებით დღე ცუდია თუ მშვიდი!

ვაჭრებმა კვლავ უთხრეს:

— ნუ გვიწყენ, მაგრამ ხელში რომ ბურთი გიჭირავს, ვერ მოგვყიდიო?

მწყემსი უფრო განაწყენდა.

— როგორ უნდა მოგყიდოთ! ერთი ხარი ძალიან მანანწალა მყავს. ამ ბურთს კისერზე ჩამოვკიდებ და მის შუქზე ბნელშიც მივაგნებ.

ვაჭრები გაოცდნენ: ამას ოქროს ბურთი თუ ხარის კისერზე ჩამოსაკიდებლად აქვს, თვითონ შინ რა აღარ ექნებაო და გაბრუნდნენ.

მწყემსი დაფიქრდა და ინანა, ასე უკმეხად რად მოვექეციო და გადაუგდო ბურთი:

— აჰა, წაიღეთ და მანდეთის მალიქს* მიართვითო.

აიღეს ვაჭრებმა ბურთი და მანდეთის მალიქს მიუტანეს, — თქვენ გამოგიგზავნეს საჩუქრადო.

გაოცდა მალიქი ბურთის დანახვაზე:

— რა არის ეს, ვინ გამომიგზავნა? ეს ბურთი მთელ ჩემს სამეფოს აინონის, მე რაღა გავუგზავნო სანაცვლოდო?

ბოლოს მალიქმა ბრძანა— მომგვარეთ ნაზირ-ვეზირებიო.

მოვიდნენ ნაზირ-ვეზირები. მალიქმა შესჩივლა:

— ეს ბურთი საჩუქრად გამომიგზავნეს, რა ვქნათ, სანაცვლოდ ჩვენ რაღა მივართვათო?

ბურთის დანახვაზე ნაზირ-ვეზირები გაოცდნენ. დაიწყეს ბჭობა: ამ ბურთის გამომგზავნი თუ უცოლო ვაჟია, მაშინ მალიქის ქალიშვილი მივათხოვოთ. თუ ჩვენი მალიქივით ცოლშვილიანია, ასი ვირის საპალნე ოქრო გავუგზავნოთ და ჩვენთან მოვიპატიჟოთო.

გაგზავნეს ბიჭთან ბურთის მომტანი ვაჭრები, ფასი გაატანეს და დააბარეს: წადით და ამ ბურთის გამომგზავნი აქ მოგვგვარეთო.

ვაჭრები საგონებელში ჩაცვივდნენ: რა ვქნათ, რა წყალში ჩავცვივდეთ, საიდან მოვიყვანოთ ის მწყემსი, სულ იმ გზის პირას ხომ არ იქნებაო. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდათ, წავიდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, მიაღწიეს იმ ადგილს და ის ბიჭიც იქ დაუხვდათ. გაიხარეს ვაჭრებმა. შორიდანვე მიახარეს ბიჭს:

— შენ რომ მალიქს ბურთი გაუგზავნე, იმან მიგიპატიჟა. წამო ჩვენთან ერთად და მიგიყვანთო.

ბიჭი გაბრაზდა:

— ვინ ოხრები ხართ, ალბათ ჩემი წითელი ხარის წართმევა გინდათო!

ვაჭრები შეფიქრიანდნენ:

— თუ არ წავიყვანთ, მალიქი დაგვსჯის. თავისით ეს, როგორც ჩანს, არ წამოგვყვება. შევკრათ და ისე ჩავუყვანოთო.

ეცნენ ბიჭს, შეკრეს და მიჰყავთ.

ამ ამბავს ჭკუა შორიდან ადევნებს თვალს.

ბიჭი წაიყვანეს, მიუყვანეს მალიქს ასე დაძონძილ ტანასცმელში გამოხვეული, მალიქმა გაიფიქრა: „ეს, ალბათ, ძალიან მდიდარია და ძვირფას ტანსაცმელს განგებ არ იცვამსო“.

მალიქმა ნაზირ-ვეზირებს ჰკითხა:

— რას მირჩევთ, რითი დავასაჩუქროთო.

ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს:

— ყველაფერს ჯობია, თქვენს ქალიშვილზე დავწეროთ ჯვარიო.

მალიქს ბევრი აღარ უფიქრია, დაიბარა მღვდელი და დასწერეს ჯვარი ამ ბიჭსა და მალიქის ქალიშვილს. ქორწილიც დიდი გადაიხადეს.

გაისტუმრეს ქალ-ვაჟი სანთიობოში. დაწვა ქალი საწოლში. ბიჭი ახლოსაც არ გაეკარა — ხარების დარდით მთელი ღამე უძილოდ გაათენა. დილით ქალიშვილი ადგა, მაგრამ არავისთვის არაფერი უთქვამს. ასე განმეორდა მეორე ღამესაც.

მესამე ღამეს ორივე ისევ ერთ ოთახში მოასვენეს. ბიჭი სულ გადაირია, კარი დალეწა. მალიქის ქალი ადგა და მამასთან მივიდა: ასე და ასეა ჩემი საქმეო. ან გადამარჩინე იმ კაცს, ან არადა, თავს მოვიკლავო.

მალიქმა შეკრიბა ნაზირ-ვეზირები — ასეა ჩემი ქალიშვილის საქმე და რა ეკუთვნის ჩემს სიძეს, გადაწყვიტეთო. მათ ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. გააკეთეს სახრჩობელა და უნდა ჩამოახრჩონ ბიჭი.

ჭკუა თვალყურს ადევნებს — აბა, ერთი ბედი რას დაეხმარებაო. მიხვდა, ბედს აღარაფერი შეეძლო.

ბიჭი წაიყვანეს ჩამოსახრჩობად. უცბად ბიჭს ჭკუა მოემატა და წამოიძახა:

— ორი კვირაა თქვენი სიძე ვარ. სიძე კი მორიდებული უნდა იყოს, — როგორც ვიცი, პირველ სამ ღამეს ქალს არ უნდა მიეკაროს. პირველ ღამეს ღმერთის ხათრით არ გავეკარე, მეორედ — დედის ხათრით, მესამედ კი მამის ხათრით. ეს მამა-პაპათა წესია; მე ხომ ვერ დავარღვევდი და ახლა ამის გამო უნდა ჩამომახრჩოთ?

მივიდნენ ნაზირ-ვეზირები მალიქთან და მოახსენეს ეს ამბავი. მალიქი ვაჟის ჭკვიანურმა პასუხმა ძალიან გაახარა, ხელახლა დაპატიჟა ხალხი, კვლავ გადაიხადა ქორწილი, სიძეს თავისი ტახტი დაუთმო და დალოცა.

ჯადოსნური ფიალა

ოსების წინაპრები ხუთნი ძმანი ყოფილან: აღუზი, სიდამონი, ცარაზონი, ყუსაგი და წახილი.

აღუზის ერთ-ერთი ვაჟი — აზღარი თანატოლებში ყველას სჯობდა. მას ჰყავდა სამი ვაჟი: თომა, აბაი და გაგილო.

გაგილოს არ შეეძლო სისხლის საფასურის გადახდა და თავის ორ ვაჟთან — თუგასთან და ქორთიასთან — ერთად თავის სამშობლო კორადან* კუსჩითაში* გადასახლდა.

ძმებმა ღამე კუსჩითაში გაათიეს. ახალი საცხოვრებელი ადგილი კი ნახეს, მაგრამ დარდით თვალზე რული არ ეკარებოდათ.

დილით ადრე ორმა ძმამ გაიხედა და იქვე ახლოს დაინახა სალოცავი. ვაჟებმა ქუდები მოიხადეს და შეჰღაღადეს: ღმერთო, ო, ღმერთო, დაგვეხმარე! დაგვლოცე!

მიუახლოვდნენ ოქროს სალოცავს და რას ხედავენ — კედლის ნიშში ლუდით სავსე ფიალა დგას!

— რა საოცრებაა, — გაიკვირვეს ძმებმა, — აქ არავინაა და ეს ფიალა ვინ აავსოო?

ფიალა ისევ თავის ადგილზე დადგეს და, რაკი იქაურობა მოეწონათ, აღარსად წასულან. იმ ადგილს კუსჩითა დაარქვეს.

საღამოს ძმები თავიანთ მომავალზე საუბრობდნენ.

დილით რომ ადგნენ, იქაურობა უფრო მეტად მოეწონათ.

სამლოცველოსთან მივიდნენ. ფიალა ისევ სავსე დახვდათ. თუგამ აიღო და დალია. ქორთიას ხმა არ ამოუღია.

მესამე დღეს რომ მივიდნენ, ფიალა ისევ სავსე დახვდათ. შავი ლუდი შხეფებს აქეთ-იქით ისროდა. ქორთია დაწინაურდა და ძმას უთხრა:

— ძმაო, ახლა ჩემი ჯერია, უფროსს ორჯერ პატივისცემა ეყოფა.

თუგამ უთხრა:

— ღვთის გულისათვის, ისევ მე დამითმე. ვაითუ რამე საუბედუროა, დაე, მე მავნოს, შენ კი გვარის გამგრძელებლად დარჩებიო.

ლუდი ამჯერადაც თუგამ დალია.

ძმები მეოთხე დღესაც მივიდნენ და აი, საკვირველება: ფიალა ცარიელია. ვეღარაფერი იღონეს, მაგრამ მაინც იქ დასახლდნენ.

ყესათი* ება

ყესათი ება ექვს ძმაში ყველაზე უფროსი იყო. ძალიან მდიდარი კაცი იყო და სტუმარიც ხშირად მისდიოდა. დღე ისე არ დაღამდებოდა, თორმეტი კაცი არ გაესტუმრებინა. ჩერქეზეთიდან, დიგორიდან — ყველა მხრიდან მოსდიოდა პატივსაცემი ხალხი. დილიდან საღამომდე ება სტუმრებთან ერთად იჯდა და ქეიფობდა.

ერთხელ მისმა ძმის ცოლებმა უთხრეს თავიანთ ქმრებს: ჩვენ მთელი დღე ერთ კაცსა და მის სტუმრებს ვემსახურებით, მეტი საქმე არა გვაქვს ამ სახლში. გადანყვიტეს გაყრილიყვნენ. ებამ უთხრა: დღეს პარასკევია, ერთი კვირის მერე გავიყაროთო. ებამ ცხენი შეკაზმა, თოფი გადაიკიდა და

დიგორში გაემგზავრა. დიგორში ძმობილი ჰყავდა, მოლო ერქვა, მივიდა მასთან. მოლომ ჰკითხა:

— რა დაგემართა, რატომ ჩამოხვედიო?

ებამ უთხრა:

— ვიღუპები და რაიმე მიშველე. სტუმრები ხშირად მოდიან ჩემთან და ძმები მეყრებიან. შენს გახარებას, ისეთი რამე მასწავლე, რომ სტუმარი აღარ მომივიდეს. მასწავლე, როგორ მოვიქცე, რომ სტუმარმა ჩემს სახლში ფეხი აღარ შემოდგასო.

მოლომ უთხრა:

— როგორც კი მზე თავს ამოყოფს, ესროლე თოფი და თქვი: შორს ჩემგან, სტუმარო-თქო. ვიდრე კარგად ამოყოფს თავს მზე, მეორედ ესროლე და თქვი: შორს ჩემგან, სტუმარო. მზეც ჩემი მოწმეა, მთვარეც ჩემი მოწმეა-თქო. როდესაც მთლიანად ამოცურდება, კიდევ ესროლე და თქვი: შორს ჩემგან, სტუმარო, ვარსკვლავებია ჩემი მოწმე-თქო.

მზემ როგორც კი თავი ამოყო, ებამ სამჯერ ესროლა და თქვა: დღეის იქით სტუმარზე ხელს ვიღებ, მზეც ჩემი მოწმეა და ვარსკვლავებიც. მერე შინისკენ გასწია.

ებას აღარავინ ეკარებოდა. ძმებიც აღარ გაეყარნენ. მიწას ხნავდნენ, მაგრამ მოსავალს ვეღარ იღებდნენ. მათ სათიბში ბალახი არ ამოდიოდა და გაღარიბდნენ. მაშინ ძმებმა უთხრეს ებას:

— წადი შენს მოლოსთან, იქნებ რაიმე წამალი გასწავლოსო.

ებამ ისევ შეკაზმა ცხენი, გადაიკიდა თოფი და მოლოსკენ გასწია.

მოლო ეკითხება:

— რა მოგივიდა, ება, რატომ მოხვედიო?

— უბედურება დამატყდა. ძროხა ხბოს აღარ იგებს, ცხვარი — ბატკანს, მოსავალს ვეღარ ვიღებ, ბალახიც აღარ ამოდისო.

— ღმერთს რასაც სთხოვდი, ის მოგცა, ახლა რაღა გიშველოო, — უპასუხა მოლომ.

— თუ რამე შეგიძლია, მიშველე, რომ ჩემი ცხოვრება კვლავ თავის კალაპოტში ჩადგეს, თუ არა, თავს აქვე მოვიკლავო.

მოლომ დაარიგა:

— მზე თავს რომ ამოყოფს, სამჯერ ესროლე და თქვი: „ღმერთო, შევცდი, ჩემს ყეფას ყურს ნუ უგდებ-თქო“.

მზემ როგორც კი თავი ამოყო, ებამ სამჯერ ესროლა და თქვა: „ღმერთო მაღალო, ჩემს ყეფას ყურს ნუ დაუგდებ, ჩემი ცხოვრება ისევ თავის ძველ კალაპოტს დაუბრუნეო“.

ისევ დაიწყეს სტუმრებმა სიარული, ისევ გამდიდრდა ება. ეს

ყველაფერი შეშურდათ ყესაანთ და მოკვლა დაუპირეს. ერთი გლახაკი წააქეზეს, ება მოკალიო. მაშინ მთიდან რაღაც ყვირილი გაისმა: „ყესაანი თავის წილ ვასთირჯის კლავენ, მსმენელს — სიკეთე“. ღამე ებასთან ნაჯახით მივიდა გლახაკი და ეძახის:

— ება, კარი გამიღე, სხვაგან მივემგზავრები და უნაგირი მათხოვე.

ებამ კარები გაუღო და უთხრა:

— შენს წინ დოქი დგას, არაყი ჩამოისხი და დალიე.

გლახაკმა სამი ჭიქა არაყი დალია და ება როგორც კი წამოწვა, ცული თავში ჩაარტყა და მოკლა. ამ ამბავმა ყესაანი ძალზე გაახარა, ლხინის გადახდაც კი დააპირეს.

ლუდის გამოსახდელად ცეცხლზე ქვაბი შემოდგეს, წყალს მილი შეუერთეს. იმ მილიდან გველი გამოძვრა და ქვაბში ჩაძვრა. როგორც კი ქვაბმა დულილი დაიწყო, საიდანაღაც ყვავი შემოფრინდა და მის გარშემო დაიწყო ფრენა. ხან ქვაბის პირზე ჩამოჯდებოდა, ხან ქვაბისკენ იწევდა, გააგდებენ — მოფრინდება, გააგდებენ — მოფრინდება. სხვა რომ ველარა გააწყო რა ყვავმა, ადგა და ქვაბში ჩახტა. ყესაანთ თქვეს, აქ რაღაცაშია საქმეო. ქვაბი გადმოაპირქვავეს და იქიდან ხის სიმსხო გველი გადმოვარდა.

— ღმერთი გვღუპავდა და ყვავმა გადაგვარჩინაო, — გაიფიქრეს ყესაანთ და გადაწყვიტეს ყვავისთვის მადლობის ნიშნად ლხინი გადაეხადათ.

ლუდი ახლა სხვა ქვაბით შემოდგეს და გამოხადეს. საკლავიც დაკლეს და ყველა ეკლესიაში შევიდა სალოცავად. ეკლესიიდან თეთრი ხარი გამოვიდა და ყველაფერი — რაც ხალხს იქ მოეტანა — პური, მწვადი — კისერზე ჩამოიკიდა და წაიღო. მერე ისროლა მწვადი და ხაჭაპური და ვისაც კი მოხვდა, ყველა ავად გახდა და მოკვდა. ხარი გაქრა, ქვესკნელში ჩავარდა.

მაშინ ერთი ათი წლის ბიჭი ქადაგად დავარდა და თქვა:

— ება რომ მოკალით, ღმერთი გაგინაწყენდათ და იმიტომ გხოცავთ. ყვავისათვის კი იმარხულეთ წელიწადში ერთ თვეს. თქვენი ძღვენი სალოცავმა არ მიიღო, ხაჭაპურები და მწვადები იმიტომ გადმოგიყარათო.

ხაჭაპურებიც და მწვადებიც ქვესკნელში დაინთქა. ვისაც არა სჯერა, მივიდეს და ყესაანთ კაცსა ჰკითხოს.

იმ დღის შემდეგ ყესაანი ყვავის გამო მარხულობენ.

ლეკიანობამდე მუზიაანთ გვარი საერთოდ არ არსებობდა. ეს გვარი გვიან წარმოიშვა, ადრე ისინი დოღუზაანი ყოფილან.

დოღუზაანთ გვარის ხალხი ცხოვრობდა ახლანდელი ელხოტის ტერიტორიაზე. ლეკიანობის დროს ბარის სოფლები ძალიან შეაწუხეს ლეკებმა, გაღარიბდნენ ოსები და მთებში გაიხიზნენ. იქ აშენებდნენ ციხესიმაგრეებს ლეკებისაგან თავის დასაცავად.

დოღუზაანთ სოფელში ცხოვრობდა სამი ძმა: ცოფანი, ელხანი და მუზარი. ამ სამ ძმას ჰყავდა ერთი და. ძალიან ლამაზი იყო და ლეკები მოსატაცებლად დასდევდნენ, მაგრამ ხელში ვერ ჩაეგდოთ. ქალი ისეთ ადგილზე დამალეს ძმებმა, რომ არავინ იცოდა მისი სამყოფელი.

ამ დროს მეზობელი სოფლიდან ერთი ყაბარდოელი ვაჟი მოვიდა დოღუზაანთ დის სათხოვნელად. ძმებს დიდი ქონება შეაძლია, მაგრამ ძმებმა „ჩვენ დას ქონებაზე არა ვცვლითო“, — უთხრეს. მაშინ ყაბარდოელმა ვაჟმა ძმები დააბეზღა ლეკების უფროსთან, „ისინი თავიანთი დის შესაფერისად არ გთვლიან და ამიტომაც გიმალავენო“.

მეორე დღეს ლეკების ჯარი მიადგა ძმებს. აბა, ძმები რას გააწყობდნენ ამხელა ჯართან? მისცეს თავიანთი და, მაგრამ დათქვეს: „თუ ჩვენი გამცემი ვერ ვიპოვეთ, დასთან ერთად დავიხოცოთო“.

ყველაზე უმცროსმა, მუზარმა გაიგო, ვინც იყო მოღალატე, მაგრამ ყაბარდოელი ფრთხილობდა, იცოდა, ოსები შურს იძიებდნენ და მცველის გარეშე წყალზეც კი არ დადიოდა.

მაშინ მუზარმა განიზრახა, ეშმაკობა ეხმარა და უთხრა ძმებს:

— გავგზავნოთ ყაბარდოელ ვაჟთან კაცი და შევუთვალოთ. ჩვენი და ლეკებს არ ჩავარდნია ხელში, დავმალეთ, მაგრამ დიდხანს დამალვა არ შეგვიძლია. შენ ძლიერი ხარ და დაიცავ, მოდი, წაიყვანე ცოლად, ქორწილი გავაჩაღოთო.

ასე გადაწყვიტეს და კაციც გაგზავნეს ყაბარდოში.

გახარებული ყაბარდოელი უმალ ძმებთან გაჩნდა. მიიტანა ძვირფასი საჩუქრები, ყველაფერი, რაც ქორწილისთვის იყო საჭირო და მივიდა. ბიჭები კარგად გაუმასპინძლდნენ, გაშალეს სუფრა და აქეიფეს. ყაბარდოელმა საცოლის ნახვა ითხოვა. ბიჭებმა ველარ მოითმინეს და მოკლეს სასიძო, ამხანაგებიც დაუხოცეს. შეკაზმეს ცხენები და გამოიქცნენ თავიანთი სოფლიდან. ბევრი ეძება ყაბარდოელი ვაჟის მამამ ძმები, მაგრამ ამაოდ. ბიჭებმა ქსნის ხეობას მოაღწიეს.

ერთ მთასთან იპოვეს წყარო, დალიეს. ცოტა ხნის შემდეგ წყალთან მი-

ვიდა ლამაზი, საოცარრქებიანი ირემი. შუათანა ვაჟი — ელხანი — მიზანში მარჯვედ ისროდა. სტყორცნა ისარი ირემს და მოკლა. ბიჭებს გაუხარდათ და თქვეს: „ალბათ, ეს ადგილი გვიწყალობა ღმერთმაო“. ცოტა ხანში აიშენეს ბინა და იქ დასახლდნენ.

ბიჭებისათვის აღარ შეიძლებოდა დოღუზაანთ გვარის ტარება. გვარები საკუთარი სახელებიდან მიიღეს.

ცოფანი უშვილო იყო. მუზარისა და ელხანის შვილები მუზიაანად და ელყანაანად იწოდებოდნენ. ახლა იმ ადგილს ჰქვია კუსხათი და იქ ცხოვრობს მუზიაანთ თერთმეტი ოჯახი. მათ ეკლესიაში ახლაც არის ირმის რქები.

მუზიაანი და ელყანაანი რომ მომრავლდნენ, მიწა აღარ ეყოთ და იქიდან გადასახლდნენ: მუზიაანი — ზაყორში, ელყანაანი კი — არმაზში, ზოგნი სხვა სოფელშიც წავიდნენ და მთელი ქსნის ხეობაში გაიფანტნენ. ისინი დღესაც ბიძაშვილებად თვლიან ერთმანეთს.

ასე წარმოიშვა მუზიაანთ გვარი.

პურ-მარილის ფასი

იყო ერთი ღარიბი კაცი. ჰყავდა ერთი ვაჟი და ცხოვრობდნენ თავისთვის. ერთხელ ღარიბმა კაცმა იხმო ვაჟი და უთხრა:

— სანამ ცოცხალი ვარ, წადი ჩემს მეგობართან, ინახულე და ჩემი ვალიც გამოართვი. შორი გზა გაქვს და დაიმახსოვრე: სადაც გინდა მოგიხდეს პურის ჭამა — გზად თუ ბინად — ლუკმა მარტომ არასოდეს გატეხო.

გაუმზადეს ვაჟს საგზალი და წავიდა, აბა, რას იზამდა. იარა, იარა, რამდენი იარა, ვინ იცის? ერთ წყაროს მიადგა.

წყაროსთან ერთი მოხუცი კაცი იჯდა. საჭმელი არა ჰქონდა რა, იჯდა და ისვენებდა. ღარიბი კაცის ვაჟმა ამოალაგა თავისი საგზალი და მოხუციც მიიპატიჟა:

— იკადრე, მოხუცო კაცო, ჩემი ღარიბული სადილი, პურ-მარილი ღმერთს ყველასთვის საერთო მიუციაო.

მოხუცმა მადლობა უთხრა ვაჟს, დაეწვია და ერთად ისადილეს. მერე კი ადგნენ და გზა განაგრძეს. იარეს, იარეს და საღამოს ერთ სოფელს მიაღწიეს. უცბად ღარიბი კაცი სადღაც გაქრა და ვაჟი მარტო მივიდა მასპინძლებთან.

მამის მეგობრებმა ვაჟი კარგად მიიღეს, უხვად გაუმასპინძლდნენ, მისცეს რაც მამამისისა ემართათ და მეორე დღესვე გამოისტუმრეს.

სოფლიდან კარგა მანძილი რომ გამოიარა, ხედავს, ის მოხუცი კაცი მიდის გზაზე. ვაჟი წამოეწია და უთხრა:

— უზრდელობაში ნუ ჩამომართმევ, მოხუცო, მაგრამ უნდა გამოგიტყდე, ძალიან მაწყენინე, რომ მიმატოვე და არ წამომყევი ჩემს მასპინძლებთან, ისინი შენც გულთბილად მიგიღებდნენო.

— მართალი ხარ, ყმაწვილო, მაგრამ მეც ხომ იქ ვიყავი, შენს მასპინძლებთანო.

— აუჰ, აბა, მე რომ არ დამინახიხარო?

— მე კაცი არა ვარ, — უთხრა მოხუცმა, — მე სულთამხუთავი ვარ და შენი მასპინძლის სულის ამოსართმევად ვიყავი. აქამდეც უნდა მივსულიყავი, მაგრამ ღმერთს სულ იმას ეხვეწებოდა: ღმერთო, ვალი მმართებს და სანამ არ გადავიხდი, ნუ მომკლავო.

იდარდა ვაჟმა თავისი მასპინძლის სიკვდილი, მაგრამ დარდით რაღას უშველიდა.

— აბა, მაშ ჩემი სულის წასაღებად როდისღა მოხვალო? — ჰკითხა ვაჟმა.

— გერჩივნა, არ გეკითხა, სულ მაგის ფიქრში იქნები და გაგიჭირდება ცხოვრებაო.

— რაკი შევხვდით, მითხარი, აღარ აქვს ამას მნიშვნელობაო, — ჩააცივდა ვაჟი.

— ცოლს რომ მიიყვან, მთავარანგელოზს შეავედრებ თუ არა, მოვალ და სულს ამოგართმევო, — გამოუტყდა სულთამხუთავი.

ასე დასცილდნენ ერთმანეთს.

ვაჟს დიდი ხანია გადაუცდა ცოლის თხოვნის დრო, მაგრამ დაქორწინებას არ აპირებდა. აუტყდნენ ნათესავები თუ მოკეთეები და აღარ მისცეს საშველი, დაქორწინდიო. რომ აღარ და აღარ მოეშვნენ, რაღა ექნა ბიჭს და დათანხმდა. სულთამხუთავმა რაც უთხრა, იმისი გამხელა ვერ იკადრა.

მოიყვანა ცოლი. როგორც კი პატარძალი შინ შეიყვანეს და სახლის ანგელოზს შეავედრეს, სულთამხუთავიც იქვე გაჩნდა და ვაჟს თავს დაადგა.

— ერთ წამს მადროვე, მამას სიტყვას ვეტყვიო, — სთხოვა სულთამხუთავს ვაჟმა და მამასთან მივიდა. უამბო, სულთამხუთავი რომ მოვიდა მისი სულის წასაღებად.

— ეტყობა, შვილო, ჩემი დარიგება, არ შეგისრულებიაო, — უთხრა მამამ.

— ღმერთია მოწმე, ორჯერ შევხვდი ამ ბერიკაცს და ორჯერვე ერთად ვისადილეთო.

— აბა, მაშ მიდი და უთხარი: — პურ-მარილს არ აფასებ-თქო?

მივიდა ბიჭი და გადასცა მამის ნათქვამი. ველარაფერი უპასუხა სულთამხუთავმა და წავიდა საიქიოსა და ღმერთის მოსამართლეებთან. კვირიდან კვირამდე ითათბირეს, იმსჯელეს და პურ-მარილის ფასი ვერ განსაზღვრეს, ისე ეძვირათ.

ასე გადარჩა ცოცხალი ახალდაქორწინებული ვაჟი.

ხაზნა, ხუგათი მილოს და

ხუგათი მილოს დას ხაზნა ერქვა. დევივით ქალი იყო, წისქვილის ქვები ხელით დაჰქონდა.

ერთხელაც ლეკებმა მძინარე მოიხელთეს, ხელები შეუკრეს და გაიტაცეს. თავიანთ სოფელს რომ მიუახლოვდნენ, ერთი ქართველის ვენახში დაბინავდნენ ღამის გასათევად. ერთ-ერთმა ლეკმა ხაზნა ვენახის შუაგულისკენ წაიყვანა, ღამე იქ უნდა გაეთიათ. ვენახში ღრმად რომ შევიდნენ, ხაზნამ ლეკს თავი წააცალა, თვითონ კი გაიქცა და საქართველოში ერთ ეკლესიას შეეფარა. მღვდელს შეეცოდა ქალი და ეკლესიაში დამალა.

ლეკებმა დილით ამხანაგი მოძებნეს და მკვდარი იპოვეს. ბევრი ეძებეს ხაზნა, მაგრამ რაღას იპოვიდნენ!

მაშინ ხაზნამ წერილი აფრინა კუდარში თავის ძმასთან — მილოსთან. მილო თავის რამდენიმე ბიძაშვილთან ერთად წამოვიდა ქალის საშველად.

მღვდელი მივიდა ხაზნასთან და უთხრა: „შენი ძმა მოვიდა“. ხაზნამ არ დაუჯერა, ეგონა ლეკები არიანო და მღვდელი მატყუებსო.

ხაზნამ მღვდელს უთხრა: — თუ ჩემი ძმა მილო არის, მაშინ მისი ხურჯინი მომიტანე, ჩემი მოქსოვილია და ვიცნობო.

მღვდელმა მიუტანა ხურჯინი. ხაზნამ იცნო და წამოვიდა თავის ძმასთან. მილომ მღვდელს მადლობა გადაუხადა, უხვად დაასაჩუქრა, თავისი და კი თან წაიყვანა და წავიდა.

როგორ იპოვეს ძმებმა დაკარგული ცხენები

იყო სამი ძმა. საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს, არავის აწუხებდნენ. საგაზაფხულო სამუშაოები იყო გაჩაღებული, რომ სამივეს ცხენები მოჰპარა.

დადარდიანდნენ ძმები, აღარ იციან, რა წყალში ჩაცვივდნენ, როგორ მოიქცნენ!

ერთმა თქვა:

— ცხენები უნდა მოვძებნოთო.

მეორემ ურჩიათ:

— ამ გახურებული მუშაობის დროს ცხენების ძებნა რომ დავიწყოთ, დაგვაგვიანდება და თუ დროზე ვერ დავამუშავებთ მინდვრებს, ხომ დავიღუპებითო.

მესამეც დაეთანხმა:

— ჰო, მოვათავოთ საგაზაფხულო საქმეები და მერე შევუდგეთ ძებნასო.

სამუშაო კი გაზაფხულიდან შემოდგომამდე აღარ და აღარ მთავრდებოდა. ერთ საქმეს მორჩებოდნენ, მეორე გამოჩნდებოდა და ამგვარად, გვიან შემოდგომამდე ვერ მოახერხეს ცხენების საძებნელად წასვლა. აცივდა, დილდილობით უკვე თრთვილს დებდა.

ერთ დილითაც ძმებმა შეკაზმეს ცხენები, ადრე გაზაფხულზე მოპარული ცხენების კვალი შემოდგომის თრთვილზე მაინც იპოვნეს და გაჰყვნენ. იარეს, იარეს და ერთი ბატონის სოფელში მივიდნენ. მალე ძმები მიხვდნენ, რომ კვალი ერთი ბატონის გალავანში შედიოდა. მათ ცხენები ბატონის სასტუმროს სახლის წინ ბოძზე დააბეს და სასტუმროში შევიდნენ.

მოახსენეს ბატონს სტუმრების მისვლა. კარგად უმასპინძლა ბატონმა სტუმრებს; საკლავი დაუკლა, პურ-მარილი გაუმართა. მერე კი ღამე ნებისა უსურვა და დილამდე დაემშვიდობა.

შევიდა თუ არა ბატონი თავის ოთახში, მსახური იხმო და დაავალა:

— მიიპარე სასტუმროს კართან და ყური მიუგდე, აბა, რას ილაპარაკებენ. მერე მობრუნდი და მომახსენე, რასაც იტყვიან. იცოდე, მოუთმენლად გელიო.

წავიდა მსახური, დადგა კართან და ყურს უგდებს ოთახში მყოფ ძმებს.

უფროსმა ძმამ თქვა:

— ერთი რამე გამიკვირდა დღეს: ეს ბატონი სავ ლაგს* ჰგავს.

შუათანამ შენიშნა:

— მე კი ვიგრძენი, რომ პურს მკვდრის სუნი ასდიოდა.

მესამემ:

— მე კი მგონია, რომ ხორცს ძაღლის სუნი ასდიოდაო.

ამით დაასრულეს ძმებმა საუბარი და დაიძინეს.

დაბრუნდა ბატონთან მსახური და რაც მოისმინა, თავიდან ბოლომდე დაწვრილებით უამბო.

ბატონი გააბრაზა სტუმრების ნათქვამმა, თავი ველარ შეიკავა და დედას დაუძახა:

— დედაჩემო, რას ნიშნავს ეს, სტუმრები სავ ლაგს რად მამსგავსებენ? მწუნობენ თუ სინამდვილეა, რასაც ამბობენ?

— დედა შემოგეცლოს, შვილო. მამაშენს ჩემს გარდა ნომილუსიც* ჰყავდა. მე სულ გოგოები მიჩნდებოდა, ნომილუსს კი — ბიჭები. შენ რომ გაუჩნდი ნომილუსს, მეც სწორედ მაშინ გამიჩნდა გოგო. ადგნენ და შენ ჩემს ფერხთით დაგაწვინეს, ჩემი გოგონა კი ნომილუსის ფერხთით. აი, ასე იყო ეს საქმე.

— პურზე რაღას იტყვი, რომ უთქვამთ — მკვდრის სუნი ასდიოდაო?

— ერთხელ მეზობელ სოფელში სატირალზე მიმავალ ქალს დავემგზავრე. უკან რომ ვბრუნდებოდით, გზის გადაღმა ბეჭის ძვალზე ამოსული ხორბლის თავთავები დავინახე, უკვე მოსამკალი იყო. დამენანა გასაოხრებლად, მოვკრიფე თავთავები, მოვფშვნიტე, მარცვალი წამოვიღე და შინ რომ მოვედი, სათესლე ხორბალს ზედ გადავაბნიე.

— კარგი, — თქვა ბატონმა. ახლა მწყემსი დაიბარა და ჰკითხა: — მიპასუხე, სტუმრებს რომ საკლავი დაუკალი, რა იყო, რა საქონელი? აბა, მიამბე!

— ერთმა ცხვარმა ბატკანი მოიგო თუ არა, იმ წამს სული გააფრთხო. ბატკანი ობლად დარჩა, ფარეხში ძუკნა ძაღლი გვყავდა. სწორედ იმ ხანებში დაყარა ლეკვები. ბატკანი ძუკნას მიეჩვია, როგორც ლეკვები წოვდნენ, ისიც ეგრევე წოვდა და ასე გაიზარდა ძაღლის რძით.

— ეს რა უბედურ სტუმრებს გადავეყარეო, — გაიფიქრა ალდარმა.

დილით ადრე გამოაყვანინა ის მოპარული ცხენები, დაადგმევინა თავისი უნაგირები, შეაკაზმვინა და ასე უვნებლად გამოისტუმრა ძმები შინ.

ვასთირჯი და მელა

ხალხის მფარველი ღვთაება ვასთირჯი გაჭირვებულ ადამიანს შინ თუ გარეთ ყოველთვის ეხმარება. მას ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც სულ თან დაჰყავდა, რომ ხალხთან ახლოს ყოფილიყო, ადამიანები ჰყვარებოდა, რადგან თვითონ ვასთირჯის ძლიერ უყვარდა ისინი.

ვასთირჯის ვაჟი რომ დავაჟკაცდა, ცეცხლში აწრთობინა ისრები, აიღო მშვილდი და ანგელოზების სამფლობელოში სანადიროდ წავიდა. ერთი მთის ფერდობზე შველი დაინახა; სტყორცნა ისარი და მოახვედრა. შველმა ძლივს მიაღწია შინამდე. სასიკვდილოდ დაჭრილი ცეცხლის პირას დაეცა. სწორედ ამ დროს ანგელოზები საღვთოს იხდიდნენ.

ვასთირჯის ვაჟი დაჭრილი შვლის კვალს გაჰყვა და კვალმა ანგელოზების სამფლობელოში მიიყვანა. გამოუცვივდნენ გაბრაზებული ანგე-

ლოზები ვაჟს და კარგა გვარიანად მიბეგვეს, შუბლზე სამი თითის დადება კანიც ააძრეს.

ვაჟმა ერთი ეს კი მოასწრო ეთქვა: — მოიცათ, მამაჩემი ვასთირჯია, სულერთია, ის ჩემს სისხლს არ შეგარჩენთო და სული განუტევა.

შეშინდნენ ანგელოზები, დაფრთხნენ და ზეცაში აფრინდნენ.

ვასთირჯიმ შვილის სიკვდილი რომ გაიგო, რაღა თქმა უნდა, შეწუხდა, მაგრამ ამას სხვა სადარდელიც დაემატა — შუბლზე კანგადამძვრალ მიცვალებულს საიქიოში არ მიიღებდნენ. დადარდიანებულმა ვასთირჯიმ ხალხს მიმართა:

— ხალხო, რა წყალში ჩავვარდე აღარ ვიცი, ზეცაში ვერ დავმარხავ, რადგან მიწიერი ცეცხლით მყავდა გაზრდილი. მიწასაც ვერ მივაბარებ, რადგან შუბლზე კანი არა აქვს და მიცვალებულები ახლოს არ გაიკარებენ.

ამ გასაჭირისაგან ვასთირჯი მიწიერმა მჭედელმა იხსნა: ბრინჯაო გააბრტყელა და მიცვალებულს შუბლზე მიაჭედა. ცხედარი საერთო აკლდამაში დაასვენეს.

როგორც კი დააბინავა ვაჟი ვასთირჯიმ, შეჯდა თავის რაშზე და ზეცისკენ გასწია სისხლის ასაღებად. აიღო თუ არა შვილის სისხლი, კვლავ დედამიწაზე დაბრუნდა და იმ აკლდამასთან გამოიარა, სადაც მისი შვილი იყო დასვენებული. ხედავს — მისი შვილის საფლავს ერთმა მელამ სამჯერ მიაფურთხა და გაიქცა.

გამოუდგა ვასთირჯი მოსაკლავად. მელა მოუბრუნდა და უთხრა:

— ოღონდ ნუ მომკლავ და გეტყვი ასე რატომაც მოვიქეციო.

შედგა ვასთირჯი და:

— აბა, რას მეტყვიო?

— პირველად იმ მკვდარს მივაფურთხე, ვინც კაცს მოურიგდება და სიტყვას კი გატეხს, რადგან ეს საკუთარი გადაფურთხებულის ალოკვას ნიშნავსო.

მეორედ იმ მკვდარს მივაფურთხე, ვინც სიფიცხით საქმეს წაახდენს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ გაფურთხებენ და შენ კი ილოკავო.

მესამედ იმ მკვდარს მივაფურთხე, ვინც კაცს ჯერ დააიმედებს და მერე კი მოლოდინს გაუცრუებს. ეს იგივეა, ცუდ მკვდარს ცუდი მსხვერპლი შესწიროო.

მოუსმინა ვასთირჯიმ და აღარაფერი უთხრა, გაუშვა მელა. მისი ნათქვამი კი დაიმახსოვრა. განაგრძო გზა. ერთ სოფელში მივიდა და რას ხედავს! შეგროვილა ხალხი, ძაღლის გობში ჩაუსხამთ წყალი და ერთ კაცს ძალით ასმევენ.

გაუკვირდა ვასთირჯის და ჰკითხა ხალხს:

— ხალხო და ჯამაათნო, განა ისეთი რა დააშავა ამ კაცმა, ასე რომ აწვალებთო?

— ამ კაცს ვაჟი მოუკლეს. მან სისხლი აიღო, შემდეგ მოსისხლეებს შეურიგდა. შერიგების მერეც არ დაწყნარდა, სიტყვა გატეხა. მას ამიერიდან სულიერი არავინ მიეკარება და შინაც არავინ შეუშვებს, აღარავინ მიაწვდის ლუკმას და მის პურ-მარილსაც აღარავინ მიიღებსო, — უპასუხეს ერთხმად.

ვასთირჯიმ გაიფიქრა: ეს ხომ მელას პირველი სიტყვა ამიხდაო!

ვასთირჯიმ გზა განაგრძო. იარა, იარა და ახლა სხვა სოფელში მივიდა. ხედავს, ხალხი ერთ კაცს მისდგომია და ზედ აფურთხებს.

— რა გინდათ მაგ კაცისგან, რას ერჩითო? — იკითხა ვასთირჯიმ.

— ამ კაცმა მართალ ადამიანს არ დაუჯერა. სამოგზაუროდ შორს იყო წასული. მისი გამგზავრების შემდეგ ცოლს ვაჟი შეეძინა. შინ მოსულს შვილიანი ცოლი რომ დაუხვდა, არ იკითხა, რაში იყო საქმე, არ დაუჯერა ცოლს და ორივე — ოცი წლის ვაჟი და თავისივე ცოლი სიცოცხლეს გამოასალმა. ახლა ჩვენ ასე გადავწყვიტეთ: ამ კაცს არავინ მიათხოვოს ქალი, არავინ გაუწოდოს დახმარების ხელი და ამიერიდან მისი გვარი წყეულიმც იყოსო, — უპასუხეს ვასთირჯის.

ვასთირჯი აქედან პირდაპირ შინისკენ გამოეშურა. შინ მოვიდა და აი, საოცრება, მისი ცოლის გვერდით ვაჟს არ სძინავს?! სასტიკად გაბრაზდა ვასთირჯი და კარს მუშტი დასცხო. წამოცვივდნენ ცოლიცა და ვაჟიც და გახარებულები მიეგებნენ. ვასთირჯიმ ვაჟს რომ შეხედა, რა თქმა უნდა, მიხვდა შეცდომას, ეს ხომ მისი შვილი იყო და გაიფიქრა, მელას მეორე ნათქვამიც ამიხდაო.

დილით ვასთირჯი კვლავ გზას გაუდგა. მივიდა ერთ სოფელში და რას ხედავს! ერთი კაცისთვის თოკით ყელზე ძაღლი გამოუბამთ, დაატარებენ ნეხვებზე, აღმა-დაღმა და აწვალებენ, მერე მიიყვანეს ეს კაცი სასაფლაოზე და ვიღაცის სამარეზე მსხვერპლშეწირვის წესს უგებენ.

— რა დააშავა ამ კაცმა, რისთვის სწირავთ მკვდარსო? — ჰკითხა შეწუხებულმა ვასთირჯიმ შეგროვილ ხალხს.

— ეს კაცი უცხო ქვეყანას ჩვენს ამბებს ჩუმად ატყობინებდა — საკუთარ ხალხს ჰღალატობდა. ახლა ასეთი განაჩენი გამოვუტანეთ — ცუდ მკვდარს უნდა შევწიროთ. თვითონ განსაჯე, სწორად ვიქცევით, თუ არაო?

— ასეთი ადამიანი ცოფიანი ძაღლივით დაუნდობლად უნდა გადაადგო კლდიდან! — არ დაინდო მოღალატე ვასთირჯიმ.

ხალხს მოეწონა მისი აზრი და მოენე კაცი ყელზე გამობმულ ძაღლთან ერთად მაღალი კლდიდან უფსკრულში გადაჩეხეს.

ვასთირჯიმ გაიფიქრა — მელას მესამე სიტყვაც ამიხდაო და შინ დაბრუნდა.

ერთი მელა და ერთი მწყერჩიტა დაძმობილდნენ.

ერთხელ მელას ქათმის ხორცი, ხაჭაპური და ქადა მოუნდა. სად აღარ იხეტიალეს ძმობილებმა, მაგრამ ვერაფერს წააწყდნენ. ამასობაში შემოაღამდათ. შაბათი საღამო იყო. ხედავენ, მოდიან ჯგუფ-ჯგუფად ქალები და ხელში ხორაგით სავსე ტაბაკები უჭირავთ.

მწყერჩიტამ მელას ურჩია:

— მოდი, შენ აქ ღობის ძირას დაიმალე, მე ფეხს ავითრევ, ფრთასაც ჩამოვიფართხუნებ და ამ ქალებს გზას გადავუჭრი. ქალები ტაბაკებს ძირს დადგამენ და დასაჭერად გამომიდგებიან. მერე შენ იცი და შენმა ბიჭობამ — საჭმელ-სასმელი გააცუნცულეო.

მელა, რასაკვირველია, სიხარულით დათანხმდა.

მწყერჩიტამ კოჭლობით გადაიარა გზაზე.

— შეხეთ, შეხეთ, ფრთამოტეხილი მწყერჩიტა, — შესძახეს ქალებმა, — ბავშვებს ამაზე უკეთესს რას მივუყვანთო?

დადგეს ტაბაკები ძირს და ყველანი მას დაედევნენ. მწყერჩიტამ ჯერ სკუპ-სკუპით იარა და მერე უცბად აფრინდა.

გადმოხტა მელა და ტაბაკებზე რაც კი ეწყო: ხაჭაპური, ქათამი თუ ქადა — სულ გააცუნცულა. მელამ და მწყერჩიტამ კაი გვარიანად იქეიფეს. მეგობრები შინ რომ მივიდნენ, უკვე დაღამებული იყო. მწყერჩიტა მელას ეკითხება:

— გაძღომით კი გაძეხი, მაგრამ ერთი მითხარი, ქრისტიანი ხარ თუ მუსლიმიო?

— მუსლიმი ვარო! — უპასუხა მელამ.

სხედან ორივენი ცეცხლის პირას და თბებიან. მელა ამბობს:

— კი გამაძღე, ძმობილო, მაგრამ თუ შიშსაც გამაგებინებ რა არის, შენზე ძვირფასი არავინ მეყოლებაო.

— კარგი, არც მაგაზე გაწყენინებო, — დაჰპირდა მწყერჩიტა.

მეორე დღეს ერთი ბატონი მელიებზე სანადიროდ გამოსულიყო. ეს ჩვენი მწყერჩიტაც წინ დაუსკუპდა! მეძებრებმა შეამჩნიეს და გამოუდგნენ. ჩიტი მელიისაკენ გაეშურა. ეს რომ მელამ დაინახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა. მეძებრები ახლა მელას გაეკიდნენ. ერთმა მელას ნახევარი კუდი წააწყვიტა. კუდმოგლეჯილმა მელამ ძლივს შეასწრო სოროში.

დაღამდა. ზის მწყერჩიტა ხის ტოტზე, მელა კი ძირს ცეცხლს ეფიცხება, ქშინავს, წკმუტუნებს და ენაგადმოგდებული დაბლიდან შესციცინებს მწყერჩიტას.

დაღლილ-დაქანცულ მწყერჩიტას ამასობაში ჩაეძინა და უცბად ძირს არ მოადინა ზღართანი!

— ახლა კი ვეღარ წამიხვალ და ჩაგახრამუნებო, — უთხრა მელამ.

— ძმობილო, შენ ხომ მუსლიმი ხარ და ბისმილაჰის* უთქმელად როგორ უნდა შემჭამოო? — შეახსენა მწყერჩიტამ.

— ბისმილაჰიო! — დააღო პირი მელამ და მწყერჩიტამაც დრო იხელთა, აფრინდა და ისევ ხეზე შემოჯდა.

სიკეთე სიკეთით არავის გადაუხდია

ერთხელ მინდორ-ველს ხანძარი მოედო. ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. ვისაც შეეძლო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გარბოდა იქიდან. ერთი მხედარი ცხენს მიაჭენებდა, რომ გველი შემოხვდა.

— ღვთის გულისათვის, კეთილო ადამიანო, ოღონდაც გადამარჩინე და მეც რამეში გამოგადგებიო, — შეევედრა გველი.

კაცმა უბეში ჩაისვა გველი და გზა განაგრძო.

ხანძარს რომ თავი დააღწია, გველმა სთხოვა.

— შენს გახარებას, ქენი სიკეთე, შენს უბეში სული მეხუთება და იქნება თავზე დამისვაო.

კაცმა ამოიყვანა გველი უბიდან და თავისკენ მისცა გზა. გველმა დრო იხელთა, კაცს პირში ჩაუძვრა და მის კუჭში ჩასრიალდა.

სამშვიდობოს რომ გავიდნენ, კაცმა ცხენი შეაჩერა და გველს მიმართა:

— ხანძარი აღარ არის, ამოძვერი ახლაო!

— ამოვძვრები იმ შემთხვევაში, თუ ისეთ სულიერს მაჩვენებ, რომელსაც სიკეთე სიკეთით გადაუხდიაო.

მთელი ქვეყანა მოიარა კაცმა, სულიერი არ დარჩენილა, არ ეკითხა, მაგრამ არც არავინ იცოდა, არც არავის გაეგონა, სიკეთისათვის სიკეთე ვინმეს გადაეხადა თუ არა.

ქვეყნიერებაზე არავინ დარჩა გამოსაკითხი კატის გარდა.

— მოდი, ბარემ ამ კატასაც ვკითხავ, გული რომ არ მეთანაღრებოდესო, — იფიქრა კაცმა და მივიდა კატასთან.

— მაშ, რაღა კატა ვარ, ეგ რომ არ ვიცოდეო, — მიუგო კატამ.

— ვინ გინახავსო? — ჰკითხა გველმა.

— ამოძვერი, რომ ჩუმად გითხრა, თორემ კაცი გაიგონებსო, — უთხრა კატამ.

გველმა თავი ამოყო თუ არა, კატამაც ჩაავლო პირი და ამოათრია.

თქვენს მტერს, იმას დღე დააყენა — სული გააფრთხობინა!

ამის შემდეგ დამეგობრდნენ კატა და ადამიანი და ერთად დაიწყეს ცხოვრება.

გაუმაძღარი თვალი

თურმე ერთი მალიქი ისეთი მდიდარი იყო, მისი ქონება დედამიწაზე აღარ ეტეოდა. მაგრამ მაინც წავიდა საალაფოდ. მიადგა მოძალადე ერთ სოფელს. შეხვდა ერთი მოჯამაგირე, რომელმაც გააფრთხილა:

— შენი საქმე კარგად არ დამთავრდება, უკან თუ არ გაბრუნდებიო.

მალიქმა უპასუხა:

— შენ რა გაშინებს, ღარიბი ხარ, წადი და შეძვერი სადმე, დაიმალეო.

მალიქს ჭკვიანი ცხენი ჰყავდა და იმან უთხრა:

— დაუჯერე მაგ კაცსო.

მალიქიც უკან გაბრუნდა, აღარ აიკლო სოფელი, მაგრამ სახლს რომ მიუახლოვდა, თქვა:

— რატომ თავი არ მომიკვდება, მეკითხა მაინც, რად გამომაბრუნაო.

მალიქი უკან გაბრუნდა და ღარიბ კაცს ჰკითხა:

— მითხარი, რატომ გამაბრუნეო?

ღარიბმა კაცმა უთხრა:

— აჰა, აიღე თვალი, აწონე და მაშინ მიხვდებიო.

მალიქი სახლში წავიდა, შეკრიბა სოფელი და თვალის აწონვა დაიწყო, მაგრამ ვერაფრით ვერ აწონა.

მაშინ ერთი კოჭლი კაცი მივიდა და უთხრა:

— მე გასწავლი, ამას რაც გადაწონისო.

კოჭლმა კაცმა სასწორის ერთ მხარეზე თვალი დადო, მეორეზე კი — თავისი დანა, შუბი და ხმალი, მაგრამ სასწორი არც კი შეტოკებულა. მაშინ კოჭლმა ჯოხის წვერით მიწა მოთხარა და თვალს დააყარა. ახლა კი გადაიხარა სასწორი, გადაწონა თვალი. ხალხს ეწყინა ეს ამბავი და კოჭლის მოკვლა დააპირა, კუდიანობაც კი დასწამეს. კოჭლმა უთხრა:

— კუდიანი არა ვარ. მე მხოლოდ წინაპრების დანაბარებიდან ვიცი:

— რაც უფრო მდიდრდება კაცი, მით უფრო ხარბი ხდება და მის თვალს სიკვდილამდე ვეღარაფერი აძღობს, მიწის მეტიო.

იყო ერთი ხარბი კაცი. ერთხელ დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ძილი არა და არ მიეკარა. იწვა და ფიქრობდა, ოცნებობდა. ოცნებაში წასულს ხმა მოესმა:

— თუ გამდიდრება გინდა, აჰა, ქისა. შიგ მხოლოდ ერთი ოქროს კოჭია, მაგრამ რამდენი ამოიღებ, იმდენი მის ადგილზე სხვა გაჩნდება. ამოიღე, რამდენიც გინდა, მერე კი ქისა წყალში ისროლე. თუ ასე არ მოიქცევი, ოქროს ვერ მოიხმარ, რადგან ქვად იქცევა.

ხარბი ლამის სიხარულით გაგიჟდა. დაიწყო ქისიდან ოქროს ამოღება. ამოიღებდა ერთ კოჭს, მის ადგილზე სხვა ჩნდებოდა, ამოიღებდა ერთს, მეორე ემატებოდა: — რა ბედი მენია, — ხარობდა კაცი, — ამაღამ ოქროს მთას დავაყენებ და გავმდიდრდები. დილით კი ქისას წყალში მოვისვრი და არხეინად ვიცხოვრებო.

იჯდა საღამომდე ხარბი, იღებდა ქისიდან ოქროს და აწყობდა. კიდევ ერთი გორა დააყენა. მოსაღამოვდა და ისევ გული დასწყდა ხარბს:

— ახლა ეს ქისა როგორ გავიმეტო წყალში გადასაგდებად? ჯობია, ჯერ ცოტა კიდევ მივუმატო ჩემს ოქროსო, — იფიქრა.

ასე განაგრძო ოქროს დაგროვება — იღებს და აწყობს, იღებს და აწყობს. დილამდე კიდევ ერთი გორა დააყენა. რამდენსაც მეტს იღებდა, მეტის ამოღების სურვილი უჩნდებოდა. მოშივდა, შიმშილით სული ელეოდა, მაგრამ სახლში ხმელა პურის მეტი არაფერი ებადა. ოქროსთვის რომ მოეკლო, ქვად იქცეოდა და შიშობდა!

ხარბი ხანდახან გაღეჭავდა ხოლმე ერთ ლუკმა ხმელა პურს და ისევ ქისას მიუტრიალდებოდა. იღებდა და იღებდა ოქროს. ღამე თითქმის აღარ იძინებდა და დღისით არაფერს ჭამდა. დრო ენანებოდა.

გავიდა კვირა, თვე, წელიწადი. ხარბი ქისას მაინც ვერ ელეოდა.

— სიმდიდრით ვინ გამძღარა, — იმართლებდა თავს ხარბი, — რაც მეტი გაქვს, მეტი გინდება!

აგროვებდა ოქროს ხარბი, გორებს აყენებდა, მაგრამ ვერ ხარჯავდა და ისევ ძველებურად სიღარიბეში ატარებდა დღეებს. ისიც კი დაავიწყდა, რომ ერთ დროს მდიდრულად ცხოვრება სურდა. ხან იფიქრებდა, მეყოფა ახლა, გადავაგდებ ქისას წყალშიო, მერე ისევ დაენანებოდა და იტოვებდა ქისას თავისთან.

ამასობაში დაბერდა ხარბი კაცი, დაჩაჩანაკდა. ქისას მაინც არ ეშვებოდა. იღებდა და იღებდა ოქროს, ხმარებით კი ვერ ხმარობდა, ვერ იმეტებდა.

ოქროს გროვებს შუა ხელში ქისაჩაბღუჯული იჯდა ხარბი კაცი და ასეთ სიღარიბეში ამოხდა სული.

ლაცში* ცხოვრობდა ერთი ხანი, ბარზიყავში* კი — სამი ძმა: აბირაგი, ურუზმაგი და გვირილიყო. ლაცის ხანმა თქვა: „ვინც საუბარში ჩამაძინებს, ჩემი სამი ასულიდან ერთს მივათხოვებო!“ ბარზიყავიდან მასთან მივიდა აბირაგი. ბევრი ელაპარაკა, მაგრამ ვერ დააძინა. ლაცის ხანმა ზურგზე ტყავი სამ პირად ააჭრა. აბირაგიმ ზურგი დაიფარა და შერცხვენილი გაბრუნდა.

ამის შემდეგ მივიდა ურუზმაგი. მასაც იგივე დაემართა.

უმცროსის ჯერიც დადგა. გვირილიყო ლაცის ხანთან მივიდა და უთხრა:

— ჩვენო ხანო! თქვენო უდიდებულესობავ! თქვენთან პატარა საქმე მაქვსო.

ხანმა ის სასახლეში შეიყვანა და უთხრა:

— ახლა, შენი ჯერი დადგა! აბა, დაიწყეო!

გვირილიყომ გაბედულად დაიწყო:

— ბარზიყავში ვცხოვრობდით სამნი ძმანი. მე, ყველაზე უმცროსი, მთაში წავედი მწყემსად და ბარზიყავში, დედაჩემის კერიამდე ღარი გავიყვანე. ცხვარს რომ მოვწველიდი, რძეს ღარში ვასხამდი და დედაჩემს ყველი ამოჰყავდა. ერთ ნისლიან დილას რუში მგელი ჩაწოლილიყო, მე ვერ შევამჩნიე და ღარში რძე ჩავასხი. რძემ მძინარე მგელი გაიყოლა, მგელი საწურავის ნახვრეტშიც გაძვრა და მოხვდა ყველში. მკათათვეში ძმებმა დავიწყეთ მკა... ერთ დღეს დედაჩემმა იმ ყველით ხაჭაპურები გამოაცხო და ამოიტანა კალოზე. მე უმცროსი ვიყავი და როდესაც ხაჭაპურები დავჭერი, იქიდან რუხი მგელი გადმოხტა, ცელი ვესროლე, კისერში ჩაერჭო. ოცდაათი ბულული მოვათიბინე და მერე გავაგდე.

თიბვა რომ დავამთავრეთ, შევჯექი ცხენზე და რემის მწყემსად წავედი. ერთხელ ცხენიდან ჩამოვხტი და დავჯექი. თავზე მწყერმა გადამიფრინა. კომბალი ვესროლე და მოვკალი, გამოვშიგნე და თორმეტი ქოთანი ქონი ამოვართვი. ხომ იცი, ღარიბ კაცს წუღები უხმება ხოლმე და რომ დარბილებულიყო, ის ქონი წავუსვი, მთელი ქონი ერთ წუღაზე გათავდა, მეორე კი გამებუტა და გამექცა. გამოვეკიდე, მივდევ, ვხედავ — კალოს არ ლეწავს ჩემი წუღა! მივითვალე ხორბალი და მართნახევარი* შემხვდა წილად. წამოიღო იმ უვარგისმა წუღამაც თავისი წილი. ხიდთან რომ მოვედით, ვუთხარი:

— მომეცი, მე გადავიტან, შენ ხიდზე არ წაიქცე. არ დამიჯერა, ისეთი ურჩი და უვარგისი იყო. ამასობაში ხიდზე წაიქცა და ხორბალი წყალში ჩაუცვივდა.

კრუხად ვიქეცი და ამოვკენკე. მაგრამ მარცვალნახევარი დონბედთირმა წაიღო. სამი ქვაბი ფაფა იქ მოვხარშე.

იქიდან წამოვედი. ივნისის თვე იყო, რემა გავრეკე წყლის დასალევად. წყარო გაყინული იყო. მდინარისაკენ გავეშურე, ისიც გაყინულიყო. ჩემი მკლავიდან სოლი გავაკეთე, თავის კანისგან — ურო, ყინული ჩავამტვრიე, — ცხენები დავარწყულე და უკან გამოვრეკე.

ვუყურებ და აი, საოცრება: ხის შუაგულში ერთი კაცი თორმეტი კამეჩით კალოზე ხორბალს ლეწავს:

— შენ ამოგიწყდეს კეთილები, ჩვენ გაშლილ მინდორშიც ვერ ვახერხებთ ამას და შენ კი ხის შუაგულში ლეწავ...

— კეთილები შენ დაგეხოცოს! თავის ქალა აღარა გაქვს და თანაც ნახევარ ცხენზე შემჯდარხარო, — მიპასუხა იმ კაცმა.

გავიხედე და ჩემს ცხენს ნახევარი, მართლაც, აღარა ჰქონდა, თავზე ხელი მოვისვი და აი, საოცრება, — სადღაა ნახევარი ქალა.

უკან დავბრუნდი და ჩემი ცხენის ნახევარი ჭყანტობში ჩაფლული ვიპოვე. მივადე ერთმანეთს ეს ნაწილები, ვაშლის ხის ტოტი მოვჭერი, ფოთლები მოვაცილე და ცხენს წელზე შემოვუჭირე. ტოტზე ერთი ღერი მოსაჭრელი დამრჩენოდა და ცხენის ზურგზე ვაშლის ხე ამოვიდა.

ცხენის ზურგზე, ტოტიდან ტოტზე, ვაშლის ჭამა-ჭამით ცამდე ავედი: იქ ქურდალაგონს ფოლადის ქალა გავაკეთებინე. იქიდან წვრილი თოკით გადმოვეშვი, გზად ფეხებზე შემცივდა და ცეცხლი დავანთე; ჩამეძინა ცეცხლის პირას და მიწაზე ჩამოვვარდი, გვერდები ჩამელეწა. თუ არა გჯერა, თვითონ დახედე ჩემს ნეკნებს, ლაცის ხანო.

ხანს ამდენ ლაპარაკში ისე ჩაეძინა, რომ გვირილიყომ ნახევარი ულვაში ჩამოჰპარსა.

ხანს რომ გამოეღვიძა, თქვა:

— წადით და იმ ვაჟკაცს ჩემი ერთი ასული შერთეთო.

გოგო მოიყვანეს. გვირილიყომ ამოიღო დანა და გოგოს სამ ნაწილად გაჭრა დაუპირა. ხანი ეკითხება:

— რას აკეთებ, რა დაგემართაო?

გვირილიყომ უპასუხა:

— სამნი ძმანი ვართ და სამივემ უნდა გავიყოთ შენი გოგოო!

ხანმა თქვა:

— ეს რა ეშმაკს გადავეყარე! წადით და ის ორი გოგოც გაატანეთო!

ასე რომ, გვირილიყომ ლაცის ხანის სამი ასული წამოიყვანა ბარზიყავში. დიდი ქორწილი გადაიხადეს, ხალხი კარგად აქეიფეს. დიდი ქონება ჰქონდათ და ბედნიერები იყვნენ.

თქვენც ბედნიერები იყავით.

გავზი*

ორი ძმა სხვადასხვა სოფელში ცხოვრობდა. ერთი მდიდარი იყო, მეორე — ძალზე ღარიბი.

ერთხელ, ერთ დიდ დღესასწაულზე ღარიბი ძმა ესტუმრა მდიდარს და უთხრა:

— ჩემო ძმაო, დღესასწაულზე მოვედი და აბა, შენ იცი, როგორ გამიმასპინძლდებიო.

— აგერ, ჯამში საშენო სასმელია, მიდი და, რამდენიც გინდა, დალიეო, — მიუთითა წყალზე.

ღარიბმა ძმამ მართლაც წყალი დალია და თავის სახლში წავიდა. მიდის და მიიმღერის ვასთირჯის სიმღერას, ესმის — ვიღაცა ბანს აძლევს, მაგრამ ღარიბი ვერა ხედავს.

— ვინა ხარ? ვინ მაძლევს ბანს?

— მე ვარ, მე!

— შენ ვინა ხარ?

— მე გავზი ვარ, ღარიბის ამხანაგი.

— სად მიდიხარ ახლა?

— შენთან მოვდივარ, შენთან.

— როგორ თუ ჩემთან?

— როგორ და ისე, მე სულ შენთან ერთად დავეხეტები.

— მე როგორც კი სოფელში მივალ, მოვკვდები.

— ჰოდა, მეც შენთან ერთად...

— როგორც კი ღატაკი შინ შევიდა, მაშინვე კუბოს კეთება დაიწყო. გააკეთა და თქვა:

— ახლა კუბო მზადაა და ვკვდები... გავზ, ო, გავზ! შენც ჩემთან ერთად მოდიხარ საიქიოში?

— აბა, რა გგონია?

— მაშ ჩქარა, ჩახტი კუბოში!

მერე ისევ ჰკითხა:

— სიღატაკევ, კუბოში ხარ?

— აქა ვარ, აქ! შენ რაღას უცდი?

ღატაკმა საჩქაროდ დაახურა კუბოს სახურავი, ლურსმნებით მაგრად დაჭედა, სასაფლაოზე წაიღო და მიწაში ღრმად ჩაფლა.

მას შემდეგ ღარიბი გამდიდრდა.

მდიდარმა ღარიბი ძმის გამდიდრების ამბავი რომ შეიტყო, შეშურდა. მივიდა და ჰკითხა:

— როგორ გამდიდრდი, ჩემო ძმაო?

მან ყველაფერი გულახდილად უამბო.

შურიანმა ძმამ გულში თქვა: „დამაცადე, გავზი თუ უკან არ დაგიბრუნო და არ გავაღატაკებინო შენი თავიო!..“

წავიდა სასაფლაოზე, ამოთხარა გავზის საფლავი, ახადა კუბოს თავი და უთხრა:

— გავზ, გავზ! აქა ხარ?

— აქა ვარ, ვ-კ-ვ-დ-ე-ბ-ი, — ამოიკვნესა კუბოდან გავზიმ.

— წამოდი ჩემს ძმასთან, ის ახლა ძალიან გამდიდრდა და ისევ გააღატაკე!

— შენთან რომ ვიარო უკეთესი იქნება, დღეის შემდეგ მე შენ აღარ მოგშორდები, თორემ შენი ძმა მომკლავს!

მას შემდეგ გავზი მდიდარ ძმას გადაეკიდა და გააღატაკა. მეორე ძმა კი ახლაც მდიდრულად ცხოვრობს.

მატყუარა

ერთი კაცი თავისი ტყუილებით მთელს ოსეთში იყო განთქმული. ერთ დღეს ერთმა ცხენოსანმა მგზავრმა შორიდანვე შენიშნა ფეხით მომავალი მატყუარა. გაიფიქრა, აბა, ერთი ჩემს მოტყუებასაც თუ შეძლებსო. ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, მიესალმნენ. მგზავრმა ჰკითხა:

— მატყუარას რომ ეძახიან, შენ ის კაცი არა ხარო?

— ისა ვარ, რაში დაგჭირდიო?

— შენ არაფერში მჭირდები, მაგრამ თუ მართლა მაგარი მატყუარა ხარ, აბა ერთი, მეც მომატყუეო.

მატყუარა ცოტა შეფიქრიანდა, მერე შეწუხებული ხმით უთხრა:

— კი მოგატყუებდი, მაგრამ მოსატყუებლად საჭირო ხელსაწყოები თან რომ არა მაქვს!

— მაგაზე ნუ დარდობ! აგერ ჩემი ცხენი, შეჯექი და მოიტანე. მოხვალ და ვნახოთ ერთი, როგორ მომატყუებო.

— ძალიან მიჭირს შენი მოტყუება, მაგრამ რაკი ასე გულით გინდა, სხვა რა გზა მაქვსო, — უთხრა მატყუარამ, მერე კი შეჯდა მის ცხენზე და გაქუსლა. მგზავრი იმ ადგილზე დარჩა... და დღესაც ელოდება.

ორი ძმა

ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ძმა. ერთი მატყუარა იყო, მაგრამ სოფელში იგი ძალიან უყვარდათ. მის ძმას უკვირდა — ასეთი მატყუარა იყო და ხალხს მაინც ის ერჩია ყველას. გადაწყვიტა, თვითონაც ეცადა ტყუილების თქმა.

ერთ დღეს მივიდა ნიხასში და იქ მყოფთ უთხრა:

— ხალხო, საოცრება უნდა გიამბოთ! დღეს ტყეში ვიყავი, ირემს ვესროლე და ტყვია ყურშიც მოხვდა, რქის წვერზეც და უკანა ფეხის ჩლიქზეც. იმავე დროს ციდან ლეკვის ყეფაც შემომესმა!

ხალხი აჩოჩქოლდა და პირში მიახალეს, ტყუილს ამბობო!

ნიხასში მისი მატყუარა ძმაც იჯდა, წამოდგა და ხალხს მიმართა:

— თქვე კაი ხალხო, ეგ რა გასაკვირია, ანდა რა არის მაგაში დაუჯერებელი? ირემი უკანა ფეხით ყურს იფხანდა და სწორედ მაშინ მოხვდა ტყვიაო.

— მერე ციდან ლეკვი როგორღა დაიყეფებდა? — შეეპასუხა ვიღაც.

— მაგაშიც არაფერია დაუჯერებელი. არწივმა საიდანღაცა ლეკვი აიტაცა ცაში და ის იყეფებოდაო, — ასე გაამართლა მატყუარამ ძმა.

მართალი კაცი

ცხოვრობდა სამი ძმა. ორი ქურდი იყო, მესამე კი — პატიოსანი. ერთხელ პატიოსანს ცოლი ჩააცივდა:

— ვერ უყურებ შენს ძმებს, მიჰბაძე მათ და შენც რამე მოიპარეო.

— კარგიო, — უთხრა კაცმა.

ერთ საღამოს წავიდა და თავისი ძროხა მოიპარა, დაუძახა ცოლს და ნაქურდალი სიბნელეში დაკლეს.

— წადი, ჭრაქი გამოიტანე და გავატყავოთო, — გაგზავნა ქმარმა ცოლი.

ქალმა გამოიტანა ჭრაქი და შუქზე რომ ძროხას დახედა, მიხვდა, რომ თავისი იყო. იკივლა, ლოყები ჩამოიკაწრა.

ქმარი მიუბრუნდა:

— ვისაც ძროხას მოვპარავდი, ისიც ხომ ასე გამწარდებოდა. ასევე დაიწყებდა თავში ცემასა და ღრიალს, ცოდვა არ იქნებოდაო?

ცხენის კარგი პატრონი

ერთხელ ერთ კაცს ცხენი მოჰპარეს და ძალიან დადარდიანდა. ამხანაგებმა ჰკითხეს, ასე რატომ ჯავრობ, ცხენი სხვა დროსაც დაგიკარგავს და ასე არასოდეს გიჯავრიაო.

— უფრო მეტად ისა მწყინს, რომ ჩემი ცხენი დასანალი იყო, — თქვა მან, — და ახლა ქურდები ამას რომ ნახავენ, დამცინებენ, იტყვიან: ეგ ცხენის ღირსი არ ყოფილა, ადრე იყო მაგისი ცხენი მოსაპარავიო.

ორი მეზობელი

ერთ სოფელში ორი მეზობელი ცხოვრობდა. ისინი სულ ერთმანეთს ატყუებდნენ. ისე მიეჩვივნენ ტყუილებს, რომ თავიანთი ნათქვამისა თვითონვე სჯეროდათ.

ერთხელ ერთი მეზობელი უყვება მეორეს:

— მამაჩემს ისეთი გრძელი ბოსელი ჰქონდა, ისეთი, კარებთან რომ ცხვარი დამაკდებოდა, სანამ ბოლოში გავიდოდა, ბატკანს იგებდა.

მეორე უყვება:

— ჩვენ კიდევ ისეთი გრძელი ჯოხი გვქონდა, ისეთი, წვიმა წამოსვლას რომ დააპირებდა, დედაჩემი აიღებდა ხოლმე და იმით ღრუბლებს აქეთ-იქით ფანტავდა.

— კი მაგრამ, ისეთ გრძელ ჯოხს სად ინახავდით ხოლმე? — ვითომ სიტყვა მოუჭრა პირველმა.

— შე დალოცვილო, ნუთუ იმ თქვენი გრძელი ბოსლის თავზე ის ჯოხი არასოდეს შეგიმჩნევიაო? — ეშმაკური ღიმილით მიუგო მეორემ.

ღმერთი და ეშმაკი

ერთ მშვენიერ დღეს ეშმაკს ზადინი* მოესურვა. წაიღო წისქვილში საალაოედ* გამზადებული მარცვალი, დაფქვა და შინ ამოიტანა. ალაო გარეთ მდგარ კასრში ჩაცალა და ზადინის გამოცხობის თადარიგს შეუდგა. სად იყო, სად არა, მოპატიჟე მოადგა კარს — მეზობელ სოფელში ვიღაც გარდაცვლილიყო და ქელეხში ეპატიჟებოდნენ.

წაუსვლელობა არ იქნებოდა, ეშმაკმა მიატოვა ყველაფერი, კასრისთ-

ვის თავსახურიც არ დაუფარებია, ისე გაეშურა გასვენებაზე. წავიდა თუ არა ეშმაკი, წვიმამ დაუშვა და თავღია კასრში წყალი ჩავიდა. დალბა ალაო და გაფუვდა, ზედმეტი წყალიც თავზე მოიგდო.

ეშმაკს იქ კარგა ხანს შეაგვიანდა. როდესაც დაბრუნდა, მივიდა კასრთან, რომ ფქვილი ამოიღოს და ცომი მოზილოს, მაგრამ რას ხედავს — ალაო მთლად დასველებულა და ცხარე სუნიც ასდის! ამოიღო სასმისით ალაოს თავზე მომდგარი წყალი და გემო გაუსინჯა. მოეწონა და ბოლომდე გამოცალა. მეორეც დალია, მესამეც მიაყოლა და თრობა შეეპარა. შემდეგ მოიფიქრა არყის გამოხდა და გამოხადა კიდეც ცხარე არაყი.

ერთხელაც ეშმაკის ეზოსკენ ღმერთმა ჩაიარა. დაინახა ეშმაკმა და წინ გადაუდგა:

— ღმერთო, შეისვენე ცოტა ხანს, სასმელი გამისინჯეო.

ღმერთი შედგა. ეშმაკმა გამოურბენინა თავისი გამოხდილი არაყი, აუვსო ყანწი და მიართვა.

დალია ღმერთმა არაყი და მოეწონა. კიდევ ისურვა და უთხრა:

— ერთი ხომ წყეველაა, ეშმაკო!

მეორედაც შეუვსო ყანწი ეშმაკმა. ისიც გადაჰკრა ღმერთმა.

— ორი არაფერს გვასწავლის, ეშმაკო! — კვლავ უთხრა ეშმაკს.

მესამედაც გაუვსო ყანწი. ესეც დალია ღმერთმა და გახალისდა, მიხვდა, თრობა შეეპარა. გახალისებული ღმერთი მიუბრუნდა ეშმაკს.

— დაე, ეს სასმელი ამქვეყნად დარჩეს. ოღონდ, ვინც სამ ყანწს დალევს, ის მე დამემსგავსოს. ვინც სამზე მეტს, ის — შენაო! — უთხრა ღმერთმა და მხიარულად განაგრძო გზა.

მართლაც და ვინც სამ ყანწ არაყს დალევს, შეზარხოშდება და კარგ გუნებაზე დადგება, ვინც სამზე მეტს — დათვრება, გადაირევა და ჭკუას დაკარგავს.

აი, ასე გაჩნდა ხალხში ეს სასმელი.

ღარიბი კაცი და ეშმაკი

იყო ერთი ღარიბი კაცი. ერთხელ ეშმაკმა ღარიბ კაცს თხები სანახევროდ მიაბარა, ოღონდ გააფრთხილა:

— არც შავი დაკლა, არც თეთრი, არც ნაცარა და არც წითელიო.

ღარიბი მიხვდა, ეშმაკი მოტყუებას რომ უპირებდა და ამანაც თავის მხრივ უთხრა:

— აბა, მაშ, ნურც შენ მომაკითხავ — ნურც ორშაბათს, ნურც სამშაბათს, ნურც ოთხშაბათს, ნურც ხუთშაბათს, ნურც პარასკევს, ნურც შაბათს, ნურც კვირასო.

შეთანხმდნენ. გავიდა ხანი.

ეშმაკი ითვლის დღეებს და აღარ იცის, რომელ დღეს მივიდეს ღარიბ კაცთან. ღარიბი კაციც უყურებს თხებს და რომელი დაკლას, ვერ გადაუწყვეტია. ამგვარად, იმრავლეს თხებმა და ღარიბი კაცი გამდიდრდა.

გაბრაზდა ეშმაკი და კაცს უთხრა:

— კარგი, აბა, და თუ ყოველ კითხვაზე პასუხს გამცემ, თხები შენ დაგრჩება. თუ არა და, თხებიც ჩემი იქნება და მწყემსადაც მუქთად უნდა მემსახუროო.

დაჰყაბულდა ღარიბი, რას იზამდა.

ეშმაკმა დაიწყო:

— ერთი რას ნიშნავსო?

— ერთი მე ვარ და ჩემზე უკეთესი არავინააო.

— ორიო?

— ორი ხომ თვალი მაქვსო.

— სამი რაღააო?

— სამფრთა ისარი ზეცასაც ასწვდება და ქვესკნელშიც ჩააღწევსო.

— ოთხიო?

— ოთხი ნალით დაჭედილი ცხენი ბარშიც დადის და მთაშიცო.

— ხუთზე რაღას მეტყვიო?

— ხუთი თითი მქონდეს და წყალში თევზს არ გავუშვებო.

— ექვსიო?

— ექვსჯერ ოცი შავი ხარ-ძროხა რომ მყავდეს, ღარიბი ხომ აღარ ვიქნებოდიო.

— შვიდიო?

— შვიდნაქმარევი ქალი ჩემს მტერს შეხვდესო.

— რვაო? — ჩააცივდა ეშმაკი.

— რვაზე აქ არ ვყოფილვარ: თერგს გავცილდი, თურქეთს ვიყავიო.

— მდინარეზე რითი გახვედიო?

— კოჭლი კოლო დავიჭირე, წვივსაკრავით უნაგირის მოსართავი დავუმაგრე, ჩემივე ქუდი — უნაგირზე ბალიშად ვიხმარე და ჩემი ქამრიდან — აღვირი გამოვჭერი. მერე კი ზურგზე მოვახტი და იმან გამიყვანაო.

— იქნებ მდინარე იყო პაწაწინაო?

— პატარა როგორ იქნებოდა: იქითა ნაპირზე რომ არწივი აფრინდა,

აქეთა ნაპირს ვერ უწია, წყლის შუაგულში დიდი ლოდი ეგდო და იმაზე ჩამოჯდაო.

— იქნებ არწივი იყო პატარაო?

—პატარა როგორ იქნებოდა: ნართების სოფელს რომ დააწვიმა, ამ არწივმა მთელი სოფელი ცალი ფრთის ქვეშ მოიქცია და ერთი წვეთიც არ დასცემიაო.

— იქნებ სოფელი იყო პატარაო?

— სოფელი პატარა როგორ იქნებოდა: ვირმა შუა სოფელში დაიყროყინა და სოფლის ბოლოს ვერ გაიგონესო.

— იქნებ პატარა ჩოჩორი იყოო?

— პატარა როგორ იქნებოდა: ქალაქიდან მარილის სამი ქვა ამოიტანა, ასე დატვირთულმა წახთების აღმართში კურდღელი შენიშნა, გამოეკიდა და დაიჭირა კიდეცო.

— იქნებ ბაჭია იყო პატარაო?

— ბაჭია პატარა როგორ იქნებოდა: მისი ტყავისაგან ნართების უფროსს ქურქი შეუკერეს და ქუდიც იმითი მოურთესო.

— იქნებ უფროსი პატარა ტანისა იყოო?

— პატარა როგორ იყო: მის ფეხზე მჯდარმა მამალმა რომ დაიყივლა, ხმამ მის ყურამდეც ვერ ააღწიაო.

— იქნებ ყრუ იყოო?

— ყრუ როგორ იქნებოდა, როცა ქვესკნელს რომ ორი ჭიანჭველა ჩხუბობდა, იმათი ხმაც კი ესმოდაო.

— იქნებ ჭკვიანი იყოო?

— რომელი ჭკვიანი ის იყო, თავისი უჭკუობით ჩაკვდაო.

ასე დამარცხდა ეშმაკი, თხების არვე კი ღარიბ კაცს დარჩა.

როგორ ატყუებდა ეშმაკი ხორბალს

ერთხელ ეშმაკმა ხორბალს უთხრა:

— ადამიანები მიწას მოხნავენ და შენ კი ხნულში ჩაგფლავენო.

ხორბალმა მიუგო:

— მერე და რაო, დამფლან, ლამაზ ფესვებს გავიდგამ რბილ მიწაში და მერე კი მწვანედ ამოვღაღანდებიო.

— შენ გგონია, მაგას დაგჯერდებიან? როცა დათავთავდები, დასრულდები, ადგებიან და მოგცელავენო.

— დიდი ამბავი, ჩემს მარცვალს ჩენჩოს მოაცილებენ და ვიქნები თავისუფალიო, — იხტიბარი არ გაიტეხა ხორბალმა.

— შენს თავთავს პირუტყვის ფეხქვეშ გალეწავენ და მერე ბზესა და ნაკმაზში აირევიო, — არ მოეშვა ეშმაკი.

— უფრო კარგი, ქარზე გამანიავებენ, ბზეს ქარი გამაცლის, ნაკმაზსაც მომაცილებენ და გასუფთავებულს დამაბინავებენო, — არ დაიბნა ხორბალი.

— არც მერე მოგასვენებენ, წაგიღებენ წისქვილში, დაგფქვავენ, ვარცლში მოგზელენ, პურად, ხაჭაპურად გამოგაცხობენ, ცხელ ნაღვერდალზე მიგაფიცხებენო, — ჩააცივდა ეშმაკი.

— მერე რა, ლამაზ, გემრიელ პურს მიირთმევენ ადამიანებიო, — მიუგო ხორბალმა.

— მაგასაც არ გაკმარებენ, დილამდე თუ დარჩები, ხელახლა გაგაფიცხებენო, — არ დაინდო ეშმაკმა.

ხორბალმა ვეღარაფერი უპასუხა და მწარედ ატირდა.

მზე და ბაყაყი

უძველეს დროში მზეს ვაჟიშვილი მოუკვდა და დადარდიანებულმა სხივები დამალა, — დედამიწაზე ერთსაც აღარ უშვებდა. ერთ დღეს ბაყაყი დაადგა გზას და ავიდა მზესთან. მივიდა და მიუსამძიმრა:

— ო, მზეო, შენ გგონია, მარტო შენ დაგემართა ასე? არ იცი, რომ ყოველი ადამიანი იბადება და კვდება? შენ კი ვაჟიშვილის სიკვდილის შემდეგ გული ისე გაიტეხე, დედამიწაზე ერთ სხივსაც აღარ უშვებ. შენი შვილი ჩემი ვაჟისნაირი რომ ყოფილიყო, თვალებბრიალა, ოთხივე ფეხით ზღვაში მცურავი, მაშინ რაღას იზამდი, ალბათ თავსაც აღარ იცოცხლებდიო.

მზეს გაეცინა და უთხრა:

— თუ ჩემი ვაჟი შენი შვილისნაირიც კი არ იყო, მაშინ მართლა ტყუილუბრალოდ მომიკლავს ტანჯვით თავიო.

მას შემდეგ მზემ ისევ გამოანათა და თავისი სხივები კვლავ მოჰფინა დედამიწას.

სირდონის ვირი

სირდონთან ერთხელ ერთი მეზობელი მივიდა და სთხოვა:

— სირდონ, შენს გახარებას, ვირი მათხოვე, დღეს თუ არ გჭირდებაო.

— შე დალოცვილო, ცოტა ადრე მაინც მოსულიყავი, ეს-ეს არის ჩემმა ბიჭმა ტყეში წაიყვანა შეშის მოსატანადო, — მიუგო სირდონმა.

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა სირდონს, რომ ბოსლიდან ვირის ყროყინიც მოისმა.

— არა გრცხვენია, სირდონ, ვირი ბოსელში გიბია თურმე, — უთხრა განაწყენებულმა მეზობელმა, — შენ კი ტყუილებს კადრულობ.

— საიდან იცი, რომ ბოსელში მიბიაო?

— მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, ვირის ყროყინი ჩემი ყურით გავიგონეო!

— შენ თვითონ როგორ არ გრცხვენია, ვირისა გჯერა და ჩემი კი — არაო! — ნირშეუცვლელად უპასუხა სირდონმა.

ანდაზები

ბებერ ჩიტს საკენკით ვერ მიიტყუებო.
ბევრ ლაპარაკს ბევრი შრომა სჯობიაო.
გვიან ვახშმობით პურს ვერ დაზოგავო.
გული კლიტეა, ენა — გასაღებიო.
დედამკვდარი ობოლია, მამამკვდარი — საწყალიო.
დიდი პირი ხარსაცა აქვს, მაგრამ ვერ ლაპარაკობსო.
დიდი სული დიდ ტკივილს იტევსო.
დიდს დააპატარავებ, პატარას ვერ გაადიდებო.
ეკალი პანტას ვერ მოისხამსო.
ენა ვისაც უჭრისო, იმას არა უჭირსო.
ენამჭრელი ცხენითაო, ენაბრგვილი — ფეხითაო.
ერთ მელას ორ ტყავს ვერ გააძრობო.
ვინც ბევრს ძრავს, ბევრსაც ჰკიდებენო.
ვისაც კბილები აქვს, ჭამა არ ესწავლებაო.
თავშეკავებულს თავი არასოდეს ასტკივდებაო.
თუ არ არი მგელიო, რისთვის გვინდა მწყემსიო.
კარგ ცხენს კარგი მხედარი შვენისო.
კარგი დიასახლისის თვალი სასწორია, სიტყვა კი სიტკბოო.
კარგი შვილი დედას არავის გაალანძღვინებსო.
კაცს ენა კიდეც ააშენებს, კიდეც დაღუპავსო.
მამის მეგობარი მამის დანატოვარი განძიაო.
მართალი კაცი ბრმა თვალითაც ხედავსო.
მარილს მარილს აღარ უშვრებიანო.
მარტო ხე ყვავების საბუდარიაო.
მზე სამარეშიც გაათბობს კაცსო.
მშიერის წამალი პურიაო.
მძიმე ქვას მსუბუქი სიტყვებით ვერ ასწევო.
მჯდომარეს — მთელი სუფრაო, მდგომარეს — ერთი ლუკმაო.
რა გინდ უხვი იყოს სუფრა, მარილი აუცილებელიაო.
რასაც მშობელს ეუბნები, შვილებისგან მოისმენო.
საქმე ვირივითაა, სახრე აიღე და წინ გაიგდეო.
სინათლის ფასს სიბნელეში გაიგებო.

სტუმარი სტუმართმოყვარესთან მიდისო.
სულის ძლიერება გაჭირვებაში გამოჩნდებაო.
უნაკლო მეგობრის მძებნელი უმეგობროდ დარჩებაო.
უშვილოცა ტიროდა და ცუდი შვილების პატრონიცო.
ჩემი ენა ჩემი მტერიაო.
ცარიელი სიტყვით სტუმარს ვერ დააპურებო.
ცოლის კაი ქალობა ქმარს ეტყობაო.
ცუდ შვილს უშვილობა სჯობიაო.
ძაღლი ძაღლია — შავიცა და თეთრიცაო.
ხე რომ იქცევა, მეზობელს ეყუდებაო.

თათური ფოლკლორი

პოეზია

ხატოლური სიმღერები

* * *

მოაბრუნე პირი ჩემსკენ,
შავთვალებავ, საამურო,
მესმის შენი გულის ძგერა
პურიმ, ჩემო, მეტად ტკბილო.

* * *

თუ მიაწვდი სტუმარს სკამსა,
ისიც მოვა, ზედ დაჯდება,
სიყვარული ისეთია, თუ მოვიდა,
გულს გაგლეჯავს.

* * *

მიყვარხარ როგორც
დას ძმა და
გავშორდით ერთურთს
მტრებადა.

* * *

კასრზე ცარიელი ტოლჩა,
შინ არვინ მყავს

მოდი, ქალო, ჩემთან,
ტოლთან.

* * *

ქვაბიდან სადილს
თეფშზე ვისხამ,
შენზე ძვირფასი
არავინ მყავს.

* * *

ებრაულ სიმღერას
სხვა ვერ იმღერებს,
ჩემს სულს შენი სხეულიდან,
რომც გინდოდეს, ვერ ამოიღებ.

* * *

რომ ვეწევი,
სიგარეტებს ბოლი ასდის.
მე რომ გნახე, შეგიყვარე,
ჩემს სიყვარულს არ დაადგა
ბოლო არსით.

* * *

ხელი გავიჭერ დანითა,
გასივდა დიდი ამბითა,
მე დავამთავრე სათქმელი,
ჯერი დაგიდგა, რამ მითხრა.

* * *

რაშიც ხორცი ირეცხება,
იმას ჰქვია ბადიაო,
მე სიმღერა ვერ ვისწავლე,
მღერა შენ გაბადიაო.

* * *

ჩემო თეთრო საყელო,
არ დამცინო,
თუ მოხვალ,
სირჩით გასმევ არაყსო.

* * *

შენ რომ გაინძრევი და
წინდას მოქსოვ ჩქარ-ჩქარა,
შენისთანა მომღერალს
ვნახავ ბარე ას ცალსა.

* * *

მანქანები ხისაო,
გვერდი შუშებისაო,
ძმაო, დამბრუნებოდი,
მუდამ მშვიდობითაო.

* * *

სუფრა გაშლილია უხვი,
დანა მინდა, არის თუკი.
ნუ დამძრახავთ, მეგობრებო,
ცოლს დავეძებ ძმისთვის თუკი.

* * *

მაშა მინდა ცეცხლისთვისა,
შვილი მინდა მე ძმისთვისა,
ვაჟი ჰყავდეს, საყვარელო,
ხელში ავიყვანდი მაშინ.

* * *

სახლი სადა გაქვს, ქალო,
პატრონი სადა გყავს, ქალო,
კოჭლს დეიდაშენს
მინდა შენი ხელი ვთხოვო.

* * *

შენი ჯიბის ცხვირსახოცი
ამ ჩემს ჯიბეს იდოსა,
შენი ტანი, მშვენიერი,
ჩემს მკლავებზე იყოსა.

* * *

შენს ცხვირსახოცზე
ჩემი სახელია ამოქარგული
ვიცი, ჩემო ლამაზო,
გულში გყავარ და მწყალობ.

* * *

ბანზე ქვიშა დამიყრია,
შენს ღარში ჩაჭედილაო.
მე რომ ვილხენდე,
ვმღეროდე, ამისთვის გული მინდაო.

* * *

ხელზე სამაჯური მაქვს,
ძეწკვზე — საათი.
ეს სიმღერა მომიძღვნია
შენი სულისთვის.

* * *

ტყეში უნდა ფრთხილად იყო,
გველმა რომ არ დაგგესლოს.
ომის ამბავს როცა ვიგებ,
ტანში ჟრუანტელი მივლის.

* * *

ეს ფანჯარა მაღლა არის,
თოკით ავალ და მივაღწევ
გულის წადილს,
სატრფოს ვნახავ.

* * *

მაღაზიაში შევედი,
თოფი ვიყიდე
ფარჩა-ქსოვილი.
ეს ჭუჭყიანი გოგოები
თავს იფასებენ, როგორც ყვავილები.

* * *

ჩაი ლამბაქზე
დავისხი,

გოგოვ, ხელს ნუ მკრავ,
შენი სიყვარულით
დავიწვი.

* * *

სადაც ვზივარ,
სადაც ვდგავარ,
სულ თანა მდევ, ახლოს მყავხარ,
ასე რომ მტანჯავ, დამიწყევლიხარ.

* * *

მივდივარ,
ხინკალი გამიხვიეთ.
სიმღერა თქვენთვის მიჩუქნია,
ნუ დაივიწყებთ.

ქალ-ვაჟის სიმღერა

გოგო:
რად მაღვიძებ დილით
ადრე, მწყემსო ვაჟო,
რატომ დამდევ.

ძილი ისეც გამკრთალი მაქვს,
არ მეძინა წუხელ დიდხანს
შენზე ფიქრი ამედევნა,
სად იყავი, ვაჟო, მითხარ.

დამცინიან მეზობლები:
რად ირჩიეო მწყემსი ბიჭი,
მასთან ყოფნით არ გექნება
ცხოვრება და დღენი კარგნი.

ვაჟი:
მე შენ ასე გიპასუხებ,
იცი, ვისი შრომაც ფასობს:
მებადურის, მეპურის,
მეწაღის და მწყემსი ბიჭის.

გოგო:
დარდს მოეშვი,
შავო ბიჭო,
დაჰკარ დოლს და
დაამღერე.
სიმღერები მიმღერე,
წიგნები წამიკითხე,
ხელი ხელში მომკიდე,
დედასთან მიმიყვანე.

ვაჟი:
ერთს შენ მეტყვი,
ერთს მე გეტყვი.
ხელს ჩავკიდებთ
ერთმანეთს
და წაგიყვან ჩვენსა მე.

გოგო:
ვინც ყოჩაღად არ შრომობს,
ზარმაცია, წელს იწყვეტს
ვერ გამიწევს ქმრობას მე.

ვაჟი:
მითხარ, ჩემო ირიგუზ,
რა გინდა და რას ითხოვ,
რასაცა მთხოვ,
მოგცემ მე.

გოგო:
მე ის მინდა,
ვინც ჩემებრ

ვაზს ფურჩნის
და უბარავს.

შევიყვარებ მე იმას,
გამრჯე, მუყაით
კაცსა,
ვინც ხნავს და
ბარავსა.
შევიყვარებ მე იმას,
ყადრი იცის ვინც შრომის,
ერთი ჭიქა არყისთვის
საქმეს არ უღალატებს.

ვაჟი:
ერთს შენ იტყვი და
ერთს მე და,
ჩემო ლამაზო გოგო,
რასაც მომთხოვ
მოგართმევ, დამრჩები
კმაყოფილი.

სიმღერა ხაიდარზე

ცუდს ნუ იტყვი სიტყვას,
თორემ გაგასილაქებენ.
მინდა, ყური მომიგდოთ და
ლექსი გითხრათ ხაიდარზე.
ბუხარის წყაროები
მოიყინა, დაიფარა ლურჯი შუშით.
მარალმა, შვილმა მავანის
და ხაიდარმა შეიყვარეს ერთმანეთი.
ვინც გამორჩენას ეძებს,
ქვეყნად სიკეთეს ვერ ეწევა.
ძალზე შეიყვარა
მარალ-ხანუმი ხაიდარმა.
მასთან შორი გზებით მოველ,

გზაში ბევრი საფრთხე ვნახე.
ჭიშკარს მივადექ და დარაჯს ვკითხე:
— მარალის კარს სად შევაღებ?
იქვე ხელ-პირი დავიბანე,
შევიმშრალე პირსახოცით.
ხაიდარის ხმა რომ გაიგო,
მარალმა კარი გამიღო.
ხელი ხელში გავუყარე,
და ლაპარაკ-ლაპარაკით,
კიბეები ავიარეთ.
ზემოთ, ოთახში დავსხედით.
მარალმა ხაიდარს სკამი
შემომთავაზა.
დედა შემოვიდა, მარალს ჰკითხა:
— ეს ვინ არისო?
— მერე რა, რომ შინ
მამა არ არის.
ოთახში ვსხედვართ.
ეს მეგობარია ჩემი, დედი.
— იყავი ფრთხილად,
არ აჩქარდე, არ გასულელდე.
ვიცნობ ხაიდარს,
კარგი ბიჭია.
— ხაიდარი ისეთია,
სასაცილო იცის ბევრი.
მე ის მიყვარს
და ვერავინ ვერასდროს დაგვაშორებს.
შორი ვიარე გზებითა,
ცხენი დავღალე ჭენებით,
მინდოდა მეთქვა ამბავი
მარალისა და ხაიდარის შეყრისა.
ხაიდარმა მაღაზიაში
ქსოვილი შეარჩია საყიდლად.
ძმამ რევოლვერი აიღო
და გულში მარალის მოკვლა ჩაიდო.
ცხენი დაღალა ჭენებით,
შეიტყო ხაიდარმა,

რომ მისმა ძმამ
მარალის მოკვლა განიზრახა.
დილიდან საღამომდის დედა
ფქვილსა სცრის სახლში.
ხაიდარმა მარალის ხელი მოჰკიდა
და ქალაქში გამოიქცნენ.
ფქვილი იცრება საცერში,
ცომი იზილება ვარცლში,
ძმაც გაემართა
მარალის საძებრად.
კარტის თამაშში ტუზი
ვერ დაიძებნა.
სამივ შეხვდნენ ერთმანეთს
ხაიდარის მამასთან.
ხაიდარის დაგვიანება
მამას ძალიან ადარდებდა.
სამივე ერთმანეთს შეხვდა,
ბოლო შერიგება ჰქონდათ.
ხაიდარის მამას
ერქვა სახელად მუსა.
რომ შერიგდნენ, მაშინვე
დედას შეატყობინეს.
ამ წერილის წერისას
ფანქარს წვერი სტყდებოდა,
გავიხარე ბარათით,
თქვენგან გამოგზავნილით.

უკვდავი კაცი

ერთ ძველ ქალაქში ორი ამხანაგი ცხოვრობდა — ნისანი და ნემურუმი. ერთი დღითაც რომ არ ენახათ ერთმანეთი, ვერა ძლებდნენ.

ერთხელ ნისანი ავად გახდა. მშობლებმა ვინ არ მიუყვანეს, ექიმიც და ექიმბაშიც, ყმაწვილს კი ვერაფრით უშველეს. დღითიდღე ანთებული სანთელივით ილეოდა და დნებოდა. ტირიფს დაემგვანა. ნემურუმი ავადმყოფი მეგობრის საწოლს წამითაც არ შორდებოდა. ასე თენდებოდა ღამე და ღამდებოდა დღე. ნისანი მოკვდა. დამარხეს მეგობარი. „სიკვდილს კაცი როგორ ვერ მოერიაო? — ფიქრობდა ნემურუმი, — ნუთუ არსად არის ადგილი, სადაც გაექცევა და თავს შეაფარებსო?“ დრო გადიოდა და ეს ფიქრი აჩრდილივით სულ თან დასდევდა. ერთხელ დედას ჰკითხა:

— დედი, შენც ისევე მოკვდები, როგორც ნისანიო?

დედას შვილის შეკითხვა გაუკვირდა და ღიმილით უპასუხა:

— ჩვენი პაპის პაპები, პაპები, ბებიები, მამები და დედები რომ არ მომკვდარიყვნენ, არც მე მოვკვდებოდი. მაგრამ, შვილო, ყველანი მანამ ვცოცხლობთ, სანამ სიკვდილი ჩვენს წასაყვანად არ მოვა. ამ ქვეყანაზე მარად ცოცხალი, მუდმივი, არავინ და არაფერია. გეყოფა, მაგას ნუღარ იდარდებ. სიკვდილს ვერსად გავექცევითო.

ნემურუმმა წამოიძახა:

— არა, არ მჯერა შენი ნათქვამი! მე სულ ცოცხალი ვიქნები, არ მოვკვდები!

— სიკვდილსაც დავიწყებიხარ, მტერი მოგკვდომია! — უთხრა დედამ.

ბიჭი თავისას გაიძახოდა:

— დედი, არ მჯერა, რომ კაცი სიკვდილს ვერ გაექცეს. იქნება სადმე ადგილი, სადაც ხალხი უკვდავია. ვიპოვი ასეთ ქვეყანას.

— არა, შვილო, ვერ ვიპოვი. ამქვეყნად ყველა სიკვდილის შვილები ვართ, — ეუბნებოდა დედა.

შვილმა თავისი არ დაიშალა.

— ხურჯინში საგზალი ჩამილაგე, უნდა წავიდე და ვნახო ის ქვეყანა, სადაც ხალხი არ იხოცებაო! — უკვე მერამდენედ ამბობდა.

დედამ ბევრი უშალა, ეხვეწა, არ წახვიდე, ნუ გასულელდიო. მაგრამ

შვილმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ხურჯინში ჩააწყობინა საგზალი. დედამაც ჩაუწყო და თვალცრემლიანმა გზა დაულოცა.

დილაადრიან გაუდგა გზას.

იარა ნემურუმმა ერთი დღე, ორი დღე... გავიდა ერთი თვე, ორი თვე... გაიარა ბევრი ქალაქი, ბევრი აული, ბევრი ტბა და მდინარე. გავიდა ბევრი თვე, ის კი მიდიოდა და მიდიოდა. გაიარა უდაბნო, სადაც ცოცხალი, სულიერი არავინ და არაფერი იყო. ცაში ფრინველი არ დაფრინავდა. ნემურუმმა მოიწყინა. უცებ ხეზე შემომჯდარი მგალობელი ბულბული შენიშნა. ბიჭს გაუხარდა ბულბულის დანახვა და უთხრა:

— მოდი, დავმეგობრდეთო!

— თანახმა ვარო, — უპასუხა ბულბულმა.

ნემურუმმა ჰკითხა:

— სიკვდილი შენც წამოგეწევა, თუ არა?

ბულბულმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, წამომეწევა. ყოველ წელს თითო ბუმბული მცვივა. ხის ქვეშ მიწა ჩემი ბუმბულებით რომ დაიფარება, მე ზედ დავეცემი და მოვკვდები.

ნემურუმმა დაიძახა:

— არა, თუ ეგრეა, შენთან მეგობრობა არ მინდა! მე იქით მივდივარ, სადაც არავინ არასდროს კვდება.

ბულბულს გაეცინა:

— სადაც წახვალ, სიკვდილი ყველგან მოგეწევა და შენც ისევე მოკვდები. ქვეყნად მუდმივი არავინ და არაფერიაო.

ბიჭმა ბულბულს არ დაუჯერა. ხურჯინი მხარზე გადაიკიდა და ისევ გზას გაუდგა. მზე სამჯერ ჩავიდა და ამოვიდა, როცა ერთ მდინარეს მიადგა. ხედავს, იქვე ერთი დიდი მუხის ქვეშ ირემი წევს.

— მოდი, დავმეგობრდეთო! — უთხრა ნემურუმმა ირემს.

— კარგი, ვიმეგობროთო, — უპასუხა ირემმა.

ბიჭი ეუბნება:

— შენც მოკვდები, თუ არაო?

ირემმა უპასუხა:

— რა თქმა უნდა, მეც მოვკვდები. ყველა ჩემი წინაპარი მოკვდა და მეც სიკვდილი არ ამცდება. აგერ, ყოველ წელს ჩემს რქას თითო ტოტი სტყდება. ამ ხის ქვეშ მიწა ერთიანად ჩემი მოტეხილი რქებით რომ დაიფარება, მეც დავეცემი და მოვკვდებიო.

— აბა, შენთან ჩემი მეგობრობა არ იქნება. მე გზა იქით მიჭირავს, სადაც არასდროს და არავინ კვდებაო! — დაიძახა ბიჭმა და გზას გაუდგა.

გავიდა რამდენიმე დღე და გზაში დიდ ხეზე შემომჯდარი ხოხობი დაინახა.

— ჰეი, ადამიანო, საით გაგიწევია? — ჩამოსძახა ხოხობმა, — აქ საიდან მოხვედი? ჯერ კაცი, ძე სულიერი ამ მხარეს არ გაჰკარებია.

ნემურუმმა უპასუხა:

— სამეგობროს დავეძებ და ვერა ვნახე, მოდი, დავმეგობრდეთო!

ხოხობს გაუხარდა და ეუბნება:

— მეგობარი მეც მინდაო.

ბიჭმა ჰკითხა:

— უკვდავი ხარ, თუ არაო?

ხოხობს გაუკვირდა:

— ამდენი ხანია ვცხოვრობ ამქვეყნად და ასეთი რამ ჩემთვის ჯერ არვის უკითხავს. სიკვდილი რომ კარზე მოგვიკაკუნებს, ყველანი იმას მივებარებით. მეც სიკვდილის შვილი ვარ, ეს ფერადი ბუმბული რომ გამცვივა, სულსაც დავლევო.

ბიჭმა თქვა:

— ჩვენი მეგობრობა არ იქნება. მე ნემურუმი მქვია, რაც უკვდავს ნიშნავსო.

დაემშვიდობა ხოხობს და ისევ გზას გაუდგა.

უდაბურ ადგილას ბევრი იარა, მაგრამ ვერავინ ნახა. ორმოცი დღის შემდეგ დიდსა და ლამაზ სახლს მიადგა.

ხედავს, ფანჯრიდან ლამაზი ქალი იყურება. ისეთი ლამაზია, რომ კაცი ინატრებდა, ერთი წყვილი თვალი, ნეტავ, კიდევ მომცა, ვუყურო და იმისი ცქერით გავძღეო.

— საით გაგიწევია, ყმაწვილო? — ჰკითხა ქალმა.

— იმ მხარეს, სადაც სიკვდილი ვერ მივაო.

ქალმა უთხრა:

— ის მხარეა ესო.

გაიხარა ნემურუმმა, როგორც იქნა, მივაგენი, რასაც ამდენ ხანს ვეძებდიო.

მზეთუნახავს უთხრა:

— შენთან შემომიშვიო.

ქალმა ფანჯრიდან თოკი ჩაუშვა და ნემურუმი შინ შეიყვანა. ცხოვრობდნენ ერთად ისე, კაცი ნატვრითაც რომ ვერ ინატრებდა. რასაც ინდომებდნენ, მაშინვე უსრულდებოდათ. გავიდა დრო. რამდენი? თვლა არ იყო, რადგან უკვდავების ქვეყანაში დროს არ ითვლიან. ქალსა და ნემურუმს შვილები ეყოლათ. გადიოდა დრო და ბავშვები იზრდებოდნენ. დიდხანს

ცხოვრობდნენ ასე ერთად. ცხოვრობდნენ ტკბილად, უყვარდათ ერთმანეთი. გადიოდა დრო, ბევრი დრო, იმდენი, რამდენიც ადამიანთა სიცოცხლეზე ბევრად მეტია. ცხოვრობდნენ და არ ბერდებოდნენ.

ერთხელაც ნემურუმს მშობლიური მხარე და დედა მოენატრა, ისე ძალიან მოიწყინა, იდარდა. ცოლს უთხრა:

— ორიოდე დღით ჩემთან, შინ მინდა დავბრუნდე. ვნახავ დედას და ჩემს ნაცნობ-მეგობრებს.

ცოლმა გაიცინა და უთხრა:

— აქ რომ მოხვედი, იმის შემდეგ იმდენმა ხანმა გაიარა, რომ იქ ვინც დატოვე, იმათგან დღეს ცოცხალი აღარავინ დარჩებოდა. მას შემდეგ ერთი კი არა, რამდენიმე თაობა შეიცვალაო.

ნემურუმმა აიხირა, უნდა წავიდეო.

— რა გაეწყობა, ჩემი ნათქვამი რომ არა გჯერა, წადი და თავად გაიგებ, — უთხრა ცოლმა. გული კი ცუდს ეუბნებოდა. რომ ვერაფერს გახდა, ჩაუწყო ხურჯინში ბლომად საგზალი, თან ოთხი ვაშლიც გაატანა და დაარიგა: — ეს ოთხი ვაშლი გაჭირვებაში გამოგადგება, ოღონდ იცოდე, არც ხელიდან გაგივარდეს და არც პირი დააკარო. წადი და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.

გამოართვა ეს ოთხი ვაშლი ნემურუმმა, ჯიბეებში ჩაიწყო, ცოლს გამოეთხოვა, გადაკოცნა შვილები და გზას გაუდგა.

ბევრი იარა, თუ ცოტა, დაიღალა, თუ არა, ეს თავად უკეთ ეცოდინებოდა. უკან იმავე გზით მიდიოდა, რითაც უკვდავების ქვეყანაში მივიდა.

მივიდა იმ დიდ მუხასთან, ერთხელ რომ ნახა და ხედავს, ხის ქვეშ ბუმბულებს ზემოთ ძვლები ყრია. მიხვდა, ხოხბის ძვლები რომ იქნებოდა. ეს ის ხოხობი იყო, ნემურუმმა მეგობრობაზე უარი რომ უთხრა. დაიხარა ძვლებთან და ჯიბიდან ერთი ვაშლი ამოუვარდა. გადმოუვარდა ვაშლი ჯიბიდან და თმაც გადაუთეთრდა. დაემშვიდობა ნემურუმი ხოხბის ძვლებს და გზა გააგრძელა. ბევრი იარა, გზაში დაიღალა, თუ არა, ეს მან უკეთ იცის. მივიდა ერთგან და ირმის ძვლები დახვდა. დაიხარა ირმის ძვლებთან და ჯიბიდან მეორე ვაშლიც ამოუვარდა. იგრძნო, რომ დაბერდა, ძალა გამოეცალა. ძალაგაცლილი ჩამოჯდა ირმის ძვლებთან, დაისვენა, შემდეგ ადგა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ — ცოტა, დაიღალა, თუ არა, ეს თავად უკეთ იცის. მხოლოდ ის ვიცით, რომ იმ ჭადარს მიადგა, სადაც ერთ დროს ბულბული იჯდა და ტკბილად გალობდა. მივიდა ხის ძირას, ნახა ბულბულის ბუმბულები და ზედ დაყრილი ბულბულის ძვლები.

— ეჰ, მართალს ამბობდნენ ესენი, ქვეყანაზე მუდმივი არავინ და

არაფერია. ვცოცხლობთ, სანამ სიკვდილი არ მოგვაკითხავს, — თქვა ეს, დაიხარა და ბულბულის ძვლებს აკოცა. გადმოუვარდა მესამე ვაშლიც და უცებ იგრძნო, ფეხებს ძალა ისე გაეცალა, რომ სიარული უჭირდა.

ხეს ნემურუმმა ტოტი მოატეხა, ზედ დაეყრდნო და გზა ისე განაგრძო.

როგორც იქნა, მშობლიურ ქალაქს მიადგა, სადაც ერთ დროს მიწას მეგობარი მიაბარა და მოხუცი დედა მიატოვა. შევიდა ქალაქში, გაიარა ქუჩები, მაგრამ ერთ ნაცნობსაც კი ვერ გადააწყდა. იქ ყველაფერი გამოცვლილიყო, სახლები, ხალხი და ჩაცმულობა. ნემურუმმა გამოიკითხა, დედის ნახვა უნდოდა, არავინ არაფერი იცოდა. ბოლოს ორასი წლის მოხუც ქალთან მიაგზავნეს. მოხუცმა უთხრა:

— მე თვითონ შენს მშობლებს არ მოვსწრებივარ, არ მინახავს. მოხუცებისაგან მსმენია, რომ დიდი ხნის წინათ ამ ადგილას ერთ მოხუც ქალს უცხოვრია. საწყალი, თურმე სიკვდილის წინაც თავისი შვილის სახელს ახსენებდა, ეძახდა, ელოდებოდა. ასე ამბობდნენ, ის ბიჭი იმ ქვეყნის საძებრად წასულა, სადაც სიკვდილს ხელი არ მისწვდებაო.

ნემურუმმა ეს რომ გაიგო, ძალიან დაღონდა. „ეხ, რა ტყუილად წამოვედი, ნეტა არ მოვსულიყავი, დამეჯერებინა ცოლისთვის და ცოლშვილს არ დავშორებოდი, მათთან მეცხოვრაო“.

დილაადრიანად გაემზადა სასაფლაოზე წასასვლელად, მოვძებნი დედაჩემის საფლავს და იქიდან ისევ ჩემს ცოლ-შვილს დავუბრუნდები, უკვდავების ქვეყანაშიო.

ნემურუმი დედის საფლავთანაც დაიხარა, აკოცა და აქ უკვე უბიდან მეოთხე, ბოლო ვაშლი გადმოუვარდა და იგრძნო, ძალა იმდენად გასცლოდა, უკან დაბრუნებას ვეღარ მოახერხებდა. ჩამოჯდა იქვე, საფლავზე და აზრაილს — სიკვდილის ანგელოზს შეეხვეწა, სული ამომართვიო. გაიგო მისი თხოვნა ღმერთმა, დაიბარა აზრაილი და დაავალა, წადი იმ მოხუცთან, სული ამოართვი და დაამშვიდეო.

დაეშვა აზრაილი მიწაზე, საფლავისათვის მიწა შეარჩია, დადგა და თხრა დაიწყო. ნემურუმმა ეს რომ ნახა, ფეხზე ძლივს წამოდგა, მილასლასდა აზრაილთან და ჰკითხა:

— მაგას რას შვრებიო?

— ერთი მოხუცი კვდება, იმისთვის საფლავს ვთხრი. შენი ზომისაა, მოდი შიგ ჩაწექი, მინდა ვნახო, მოერგება თუ არა.

ნემურუმი გაჭრილ საფლავში ჩავიდა და დაწვა. აზრაილმა მაშინვე სული მიიბარა. ნემურუმი მოკვდა. მიწაც მიაყარა აზრაილმა, ფრთები აატყლაშუნა და მაღლა ცაში აიჭრა, სადაც ღმერთი ელოდებოდა.

მართლაც, ქვეყნად უკვდავ-უბერებელი არავინაა.

ყრუ, ბრმა და უფეხო

ერთ ძველ აულში სამი ძმა ცხოვრობდა — ყრუ, ბრმა და უფეხო. ცხოვრობდნენ ღარიბად. ერთხელ ტყეში სანადიროდ წასვლა გადაწყვიტეს. სამზადისს დიდი დრო არ დასჭირვებია, რადგან შინ არაფერი ჰქონდათ. შვინდის ტოტებისაგან მშვილდები გააკეთეს, ლერწმები ისრებად მოჭრეს და ნადირობას შეუდგნენ.

ხშირ, ბნელ და ნესტიან ტყეში ძმები პატარა ქოხს გადააწყდნენ. კარზე დააბრახუნეს. კარი ახალგაზრდა ქალმა გააღო. ძმები თავიანთ ამბავს მოუყვნენ და სთხოვეს:

— იყავი ჩვენი და, ჩვენ ვინადირებთ, შენ დიასახლისი იქნები.

ქალი დათანხმდა. დაიწყეს ერთად ცხოვრება.

ერთხელ ძმები სანადიროდ წავიდნენ. დობილი შინ დარჩა საჭმლის მოსახარშად. იმ დღეს ძმებს ცეცხლის გაჩაღება დაავიწყდათ. ქალმა ცეცხლი ვერ გააჩაღა, ავიდა მაღალ მუხაზე, რომ ენახა, ახლომახლო ხომ არავის ენთო ცეცხლი. სადღაც შორს ზევით ასული წვრილი კვამლი შენიშნა. ხიდან ჩამოვიდა და იქით გაეშურა. ბევრი იარა, გაიარა უღრანი და ხშირი ტყე და, როგორც იქნა, მიადგა მარტოდ მდგარ, ნახევრად ჩამონგრეულ ქოხს. ქალმა კარზე დააკაკუნა, კარი დაჩაჩანაკებულმა მოხუცმა გაუღო. თვალები ისე უბრწყინავდა, როგორც მშიერ მგელს, საკბილოს რომ გადააწყდება. თეთრი თმა აწეწილი ჰქონდა, პირიდან ორი ეშვი მოუჩანდა, ხელები კი ჯიქის კლანჭებს მიუგავდა, ხან რომ გამოიშლებოდა, ხანაც კი — დამოკლდებოდა.

— აქ რამ მოგიყვანა? — ჰკითხა ჯადოქარმა ბოხი ხმით. — ჩემ სახლთან გზა ვინ მოგასწავლა?

— ცეცხლი მინდა გთხოვოთ, — უთხრა ქალმა და თავისი ამბავი მოუყვა.

— მაშ, მეზობლები ვყოფილვართ. კარგი, შემოდი. დღეს ჩემი სტუმარი იქნები, — უთხრა ჯადოქარმა და გაიცინა.

შევიდა ქალი ქოხში. დედაბერმა ლურსმნიდან საცერი ჩამოხსნა და შიგ ნაღვერდალი ჩაყარა. ქალმა დედაბერს მადლობა გადაუხადა და გამობრუნდა. შინ რომ მივიდა და ცეცხლს აჩაღებდა, კარზე დაუკაკუნეს. ადგა, კარი გაუღო და ხედავს კარწინ ჯადოქარი დგას.

— მარტოობით მოვიწყინე და შენთან სტუმრად მოსვლა გადავწყვიტე, — უპასუხა უკითხავად.

— მაშ, მობრძანდით.

ჯადოქარი ქოხში შევიდა, დაჯდა იატაკზე, გაშლილ ხალიჩაზე და ეუბნება:

— მეზობელო, გინდა თმას გაგიხილავ?

ქალი დაეთანხმა, დაუჯდა სტუმარს ახლოს და თავი კალთაში ჩაუდო. დედაბერი დიდხანს უხილავდა თმას და როცა ქალმა დაიძინა, ნემსით თავი გაუჩვრიტა, შიგნიდან ტვინს იღებდა და ჭამდა. შემდეგ დედაბერმა ქალს ცხვირში ჩაბერა და ქალმა გაიღვიძა. ჯადოქარმა მადლობა გადაუხადა გაწეული მასპინძლობისთვის. ქალი ფეხზე ვერ დადგა, ძალა ისე გაეცალა.

საღამოს ძმებმა ნანადირევი ბლომად მოიტანეს. ხედავენ მათი და წევს და ფეხზე ვერა დგება. ჰკითხეს, რა მოგივიდაო. მოუყვა ქალი ყველაფერს. მიხვდნენ ძმები, რაშიც იყო საქმე.

უფეხომ თქვა:

— ახლა ის აქ სიარულს მოუხშირებს. ძმებო, თქვენ ხვალ უჩემოდ წადით სანადიროდ, მე შინ დავრჩები ჩვენს დასთან, ქოხში. კარს ზემოთ დავიმალები. როცა ჯადოქარი შემოვა, ზემოდან დავახტები და დავახრჩობ.

მეორე დღეს, ის იყო, დედაბერმა ქოხში ფეხი შემოდგა, რომ ცალფეხა ზედ დაახტა და ყელში წაუჭირა. დედაბერმა იოლად მოიშორა უფეხოს ხელები, ძირს დააგდო, თავი გაუჩვრიტა და ტვინი გამოსწოვა. მერე ასე ძირს დაგდებული დატოვა და ქოხს გაეცალა.

ძმები ნადირობიდან დაბრუნდნენ და უფეხომ და მათმა დამ დაწვრილებით მოუყვნენ, რაც მოხდა.

— ხვალ შინ მე დავრჩები, — თქვა ბრმამ, — თქვენ სანადიროდ წადით, ოღონდ მე კარს ზემოთ შემომსვით.

მეორე დღეს დედაბერი, როგორც კი შემოვიდა, ზედ ბრმა ძმა დაახტა. დიდხანს იჭიდავეს, მაგრამ ჯადოქარი მასაც მოერია, ძირს დააგდო და ტვინი ამოსწოვა, გაძღა და გაეცალა იქაურობას.

დაბრუნდნენ შინ ძმები. და მოუყვა, რაც მოხდა.

— ხვალ ჩემი ჯერია, მე დავრჩები შინ, — თქვა ყრუმ.

ის იყო, ჯადოქარი შევიდა ქოხში, რომ ყრუ დაეცა და ყელში წაუჭირა. დედაბერი შეეხვეწა:

— ეი, შენ, ყრუვ, გესმის ჩემი, ხელი გამიშვი, შემიბრალე და რასაც მთხოვ, შეგისრულებ!

— კარგიო, — უპასუხა ყრუმ, — მაგრამ მაინც გაკოჭა, შეკრა დედაბერი.

ნადირობიდან ბრმა და უფეხო ძმები დაბრუნდნენ, ნახეს ძირს დაგდებული გაკოჭილი ჯადოქარი.

— მთხოვეთ რაც გინდათ, ოღონდ, ნუ მომკლავთ! — ეხვეწება დედაბერი.

— მაშ, კარგი, — უთხრა ყრუმ, — მინდა ჩემმა უფეხო ძმამ ფეხზე გაიაროს.

ჯადოქარმა გადაყლაპა უფეხო და რომ გადმოაფურთხა, ფეხები ჰქონდა მობმული.

— ახლა ჩემს ბრმა ძმას თვალი აუხილე! — უბრძანა ყრუმ.

დედაბერმა გადაყლაპა ბრმა და ამოაფურთხა თვალხილული.

— ახლა ყრუ მოარჩინე, — უთხრეს დედაბერს საღსალამათად ქცეულმა ძმებმა.

გადაყლაპა დედაბერმა ყრუ ძმა და აღარ ამოაფურთხა.

— ჩვენი ძმა სად არის? — ეკითხებიან დანარჩენი ძმები დედაბერს.

დედაბერი კი ხმას არ იღებს. ამასობაში მარცხენა ხელის ცერა თითი გაებერა, მოიკვნიტა და ფანჯრიდან გადააგდო.

— სად არის ჩვენი ძმა? — ისევ ეკითხებიან ძმები. ჯადოქარი კი იცინის და ეუბნება:

— ძმა აღარ გყავთ!

დამ ამ დროს გარეთ გაიხედა, დაინახა ბელურების გუნდი როგორ შეესია ბუჩქს.

— ბუჩქში რაღაცაა, — თქვა ქალმა.

ერთი ძმა გარეთ გაიჭრა და ნახა, გდია ერთი დიდი, უშველებელი თითი, საიდანაც ყრუ ძმა, რომელიც უკვე ყრუ აღარ არის, მოძვრება.

სამმა ძმამ და ერთმა დამ გადაწყვიტეს, მოეკლათ და დაემარხათ ბოროტი დედაბერი. ასეც მოიქცნენ და გათავისუფლდნენ ავი და სასტიკი დედაბერისაგან.

ამბობენ, გავიდა რამდენიმე წელი და ძმები ისე გამდიდრდნენ, რომ სათითაოდ დიდი სახლები აიშენეს, მოიყვანეს ცოლები და დაც გაათხოვეს. ასე ტკბილად და სიხარულით ცხოვრობდნენ ერთმანეთის ახლოს, ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთის გულის გასახარად.

ჭკუა და იღბალი

ერთხელ ჭკუა და იღბალი ერთმანეთს შეხვდნენ. შეხვდნენ და იკამათეს. იღბალმა უთხრა:

— მე შენზე უფრო ძლიერი და საჭირო ვარო.

— შენ კი არა, მე ვარო, — არ უთმობდა ჭკუა.

დიდხანს იკამათეს. ბოლოს მათ კამათს ბოლო არ ექნებოდა, ჭკუას რომ არ ეთქვა:

— მოდი, ჩვენი ძალა ვინმეზე ვცადოთო.

იღბალი დაეთანხმა.

— ფადიშაჰთან ერთი ქაჩალი მსახურობს. ყველა მას დასცინის, უამრავი წკიპურტიც მოხვედრია მოტვლეპილ თავზე. მაგ უბედურს მე გავაბედნიერებ.

ესა თქვეს და ჭკუა და იღბალი ამით დაშორდნენ ერთმანეთს. იღბალი მელოტ კაცში ჩუმად შეიპარა. გავიდა ერთი დღე და ქაჩალმა მხოლოდ ათიოდე დარტყმა იწვნია, მეორე დღეს მხოლოდ სამი, მესამე დღეს კი — არც ერთი. მეოთხე დღეს ფადიშაჰი სანადიროდ გავიდა, შეხვდა ქაჩალი. ხედავს ფადიშაჰი, რომ მოტვლეპილი თავი უამრავი წკიპურტისაგან ჩალურჯებული აქვს, სისხლი აქვს ჩაქცეული. შეეცოდა თავისი მსახური, მიიხმო და უთხრა:

— ჰოი, ჩემო ძვირფასო ქაჩალო, ვიცი, რომ დღეში ასზე მეტი წკიპურტი გხვდება მოტვლეპილ თავზე. ამიტომ დღეიდან მეთულუხჩეობიდან, წყლის მზიდაობიდან, საქონლის მომვლელობაზე გაგამწესებ. დღეიდან გომურს დაასუფთავებ.

ასე იქცა ქაჩალი გომურისა და ძროხების მომვლელად.

ერთხელ გომურთან ფადიშაჰმა ჩაიარა. შევიდა შიგ და ნახა, ქაჩალი გომურში ნეხვს ხვეტავდა.

დაუძახა ფადიშაჰმა ქაჩალს და უთხრა:

— როგორც ვხედავ, ამ საქმით ქანცი გაქვს გაწყვეტილი. დღეიდან, ჩემი გადაწყვეტილებით სასახლეში იმსახურებ.

ქაჩალი ახლა დარაჯად იქცა. ყოველ დღე სტუმრების მიღება-გასტუმრებას ანდომებდა. ზოგს ტანსაცმლის გახდაში ეხმარებოდა, ზოგს — ჩაცმაში, ზოგს სკამს შესთავაზებდა, დაბრძანდითო, ზოგსაც ფადიშაჰთან მისასვლელ გზას ასწავლიდა.

ამ საქმეს ქაჩალმა დიდი დრო მოახმარა თუ არა, არ ვიცი, ოღონდ ის კი ვიცი, რომ ფადიშაჰმა ერთხელაც გადაწყვიტა მისთვის სწავლა-განათლება მიეღებინებინა რაბინთან.*

დიდხანს სწავლობდა ქაჩალი რაბინთან თუ არა, არც ეს ვიცი, ოღონდ, გამიგია, თურმე, როცა ქაჩალმა სწავლა დაამთავრა, ადათის* მიხედვით, ყოველ შაბათს სინაგოგაში* მსახურობდა. როცა კი ამ სამსახურს მორჩა, ფადიშაჰმა თავისი საფადიშაჰოს ერთ-ერთი ქალაქის გამგებლად დანიშნა.

რამდენიმე ხანს ქაჩალი იმ ქალაქს განაგებდა. ამის შემდეგ ფადიშაჰმა ერთ ციხე-ქალაქის სინაგოგაში რაბინად დანიშნა. ამ სამსახურს თავს როგორ ართმევდა, ეს არ ვიცი, ოღონდ, ერთხელ ფადიშაჰმა წაიყვანა და თავის მრჩევლად დანიშნა.

დღე დღეს მისდევდა, კვირა — კვირას, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, რაც ქაჩალი ფადიშაჰის პირად მრჩევლად დადგა. დადიოდა ხალიჩე-

ბით მოფენილ-მოჩარდახული ეტლებით. ფადიშაჰთან დაახლოებული ადამიანები პატივს სცემდნენ, ენდობოდნენ. თავს აღარ შეგაწყენთ, ერთს კი გეტყვით, რომ ქაჩალი ფადიშაჰის საყვარელ და ერთგულ მრჩეველად გადაიქცა. ფადიშაჰის ბევრ ვეზირს შურდა ქაჩლის და ფიქრად ჰქონდათ, როგორმე ძირი გამოეთხარათ.

ერთხელ ფადიშაჰმა ქაჩალი, მრჩეველი და ვეზირები თავისთან ერთ მნიშვნელოვან საქმეზე დაიბარა.

ქაჩალმა ეზოში შემთხვევით ვეზირების ლაპარაკს მოჰკრა ყური. ერთი მეორეს ეუბნებოდა:

— ხედავ, ეს ჩვენი ქაჩალი რა ბედნიერი კაცია, წინათ ვისაც მოეპრიანებოდა, მოტვლეპილ თავზე უთაქებდა, ახლა კი ფადიშაჰთან ყველაზე ახლოს ეგ არისო.

მეორე ვეზირმა უთხრა:

— ხო, მართალი ხარ, ყველა სულელი ბედნიერია.

პირველმა თქვა:

— მოდი, მოვატყუოთ. ვუთხრათ, თუ ვაჟკაცი ხარ, ფადიშაჰს თავზე ხელი წამოჰკარიო. სულელია, დაგვიჯერებს და წამოარტყამს. ფადიშაჰი გაბრაზდება და თავიდან მოიშორებს.

ვეზირები ასეც მოიქცნენ. ქაჩალმა ვეზირებს უთხრა:

— ღმერთმა ჯანი მოგცეთ, ძვირფასო ვეზირებო! თუ ეს ძალიან გინდათ, ფადიშაჰს თავზე ხელი წამოვარტყა, თხოვნას შეგისრულებთ.

ვეზირებს გაუხარდათ.

მალე ფადიშაჰიც მოვიდა. მისულებისთვის სალმის თქმა არ დაესრულებინა, რომ ქაჩალმა თავზე ხელი წამოჰკრა. ფადიშაჰს თავიდან გვირგვინი გადაუვარდა. იმ გვირგვინიდან დიდი გველი გამოძვრა, გასრიალდა და ხვრელში შეძვრა.

ფადიშაჰს ჯერ შეეშინდა, მერე დაწყნარდა, გონს მოეგო და თქვა:

— ჰოი, ჩემო ქაჩალო, შენ მე სიკვდილს გადამარჩინე და ამიტომ ჩემი ქალი უნდა მოგათხოვოო.

ვეზირებმა ერთმანეთს გადახედეს და ორივემ გაიფიქრა:

— ეს რა ხდება, ჩვენ გვინდოდა ფადიშაჰს ამით თავიდან მოეშორებინა ქაჩალი. საქმე კი ისე მობრუნდა, რომ ჩაისიძა.

რამდენიმე დღის შემდეგ ფადიშაჰმა ისევ დაიბარა ქაჩალი და ვეზირები.

ვეზირები ახლაც ადრე მივიდნენ. ეზოში შესულმა ქაჩალმა ისევ შემთხვევით მოჰკრა ყური ერთი მეორეს როგორ ეუბნებოდა:

— მოდი, ქაჩალს ვუთხრათ, ტახტზე ფადიშაჰი რომ დაჯდება, ფეხი ჰკრას. ჩამოვარდება ფადიშაჰი ტახტიდან და ქაჩალს გააგდებს.

მეორემ უთხრა:

— ყოჩაღ, კარგად გიფიქრია!

უთხრეს ქაჩალს. ქაჩალმა:

— ღმერთმა ჯანი და ჯანმრთელობა მოგცეთ, ჩემო კარგო ვეზირებო! ეგრე ძალიან თუ გინდათ, ფადიშაჰი ტახტიდან ჩამოვაგდო, ჩამოვაგდებ.

ვეზირებს გაუხარდათ.

მალე ფადიშაჰიც მოვიდა და მიწვეულები მასთან ოთახში შეიპატიჟა. ის იყო, ტახტზე უნდა დამჯდარიყო, რომ ქაჩალმა ხელი ჰკრა და ძირს დააგდო. იმწამს — ბედი არ გინდა! — საიდანღაც გაშიშვლებული ხანჯალი დაეცა ფადიშაჰის ნაჯდომზე. ფადიშაჰმა, ეს რომ ნახა, დაიყვირა:

— ჩემო მხსნელო, ისევ გადამარჩინე სიკვდილს!

ფადიშაჰმა სასწრაფოდ გადაუხადა ქორწილი მის ქალსა და ქაჩალს. ქორწილში ყველა მისი ახლობელი და ნათესავი დაპატიჟა. სტუმარი ბევრი იყო, ბევრი გემრიელი ხორაგ-საჭმელი ეწყო სუფრაზე. ჭამდნენ, სვამდნენ, ცეკვავდნენ. ყველაფერი ისე ხდებოდა, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა, მაგრამ უცებ — ღმერთი სულელს წერას უბამს — ქაჩალი ყველას მოუყვა, ქაჩალ თავზე როგორ უთაქებდა ყველა, როგორ ხვეტავდა ნეხვს ბოსელში. ეს ამბები ქალის ნათესავებმა გაიგეს და გააგებინეს. ფადიშაჰის ქალმა წამოიძახა:

— მაგ სულელი ქაჩლის ცოლობა არ მინდა!

მამა მივიდა შვილთან, შვილმა მამასაც იგივე უთხრა:

— არ მინდა მაგ გაქაჩლებული სულელის ცოლობა.

ფადიშაჰმა რა არ უთხრა შვილს, როგორ არ შეეხვეწა, მაგრამ ქალმა არაო, ააგდო ქვა და თავი შეუშვირა.

იღბალი ხედავს, რომ ქაჩალის საქმე უკუღმა დატრიალდა, ბედი ხელიდან ეცლებოდა. რა არ იფიქრა, რა არ იღონა, რომ დახმარებოდა ქაჩალს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს ისევ ჭკუას მიმართა:

— რა არ ვიღონე, რა არ ვქენი და ყველა ჩემი ღონეცა და საქმეც წყალში იყრება, მიდი, იქნება მიეხმარო.

შეეცოდა ჭკუას მეგობარი და ქაჩალი სულელი ქაჩალ ჭკვიანად გადააქცია. შევიდა ჭკუა ქაჩალ სულელში და ჭკვიანურად აალაპარაკა. შეიყარნენ მის გარშემო ქორწილში დაპატიჟებული სტუმრები და უსმენდნენ მის ჭკუის დამრიგებლურ სიბრძნეს, თავგადასავლებს. ფადიშაჰმა შვილი მიიყვანა ქაჩალთან, რომ საკუთარი ყურით მოესმინა მისი პირიდან გადმოსული სიბრძნე. ნახა ქალმა, რომ ქაჩალი სულელი არ იყო. შევიდა ქაჩალი ფადიშაჰის შვილთან ოთახში და ასე ეუბნება:

— ჰოი, ჩემო მზეთუნახავო ქალბატონო, მე და შენ ერთადერთი ვაშლი

ვართ, ხოლო ჩვენს შიგნით, ვაშლის თესლი, ჩვენი შვილებია.

ასეთი თქმა მეტად მოეწონა ფადიშაჰის ქალს, ჭკვიანი საქმრო მყოლიაო, სიხარულისაგან სახე გაებადრა. ფადიშაჰმაც სიხარულით წამოიძახა:

— მაშ, მეზურნევ, დაჰკარ, სიმღერა და სიხარულია დღეს ჩემს სასახლეში. ჩემი მზეთუნახავი ქალი ჭკვიან ქაჩალს ცოლად მიჰყვება.

ილხენდნენ სტუმრები, სვამდნენ, ჭამდნენ, ცეკვავდნენ. მეც იქ ვიყავი, ვჭამდი, ვსვამდი, ვცეკვავდი... არ გჯერათ? აბა, მე იქ რომ არ ვყოფილიყავი, საიდან მეცოდინებოდა მათი ამბავი?

ლომის წილი

ტყეში მშიერი ლომი დაეხეტებოდა. გზაში მგელი და მელია შენიშნა, მიეჭრა მათ და უთხრა:

— გინდათ სანადიროდ წაგიყვანოთ და ნანადირევი კი ისე გავყოთ, როგორც წესი და რიგია?

ამაზე როგორ არ დაეთანხმებოდნენ.

მიდიან სამნი სანადიროდ. მოინადირეს პირველად ციყვი, მერე კურდღელი და ბოლოს — ირემი.

— აბა, მგელო, ნანადირევი შენ უნდა გაყო, — უბრძანა ლომმა.

— შენ ხარ ლომი, ჩვენი მბრძანებელი. პირველი ნანადირევი შენ გეკუთვნის, ციყვი შენია, ირემი — ჩემი, მელიას კი...

ლომი გაბრაზდა. მეტად ყური აღარ უგდო მგელს, დაჰკრა ტორი და მგელს კისერი მოულრიცა, მოსწყვიტა.

— აბა, ახლა შენ უნდა გაყო, — უღრიალა ლომმა მელიას.

— დიდება შენ, ლომო, მხეცების მეფევ, ჩვენო ხელმწიფევ, — დაიწყო მელამ, თან ცალი თვალით თავწაწყვეტილ მგელს უყურებდა, — შენ ყველაზე დიდი ხარ ჩვენს შორის და ლომის წილი შენ გერგება. კურდღელი დილით მიირთვი, ირემი — სადილად, ციყვი კი ვახშმად. მე სულ ცოტაც მეყოფა, შენს ნასუფრალზე.

ლომს ჭკუაში დაუჯდა ნათქვამი, მოეწონა, როგორც გაყო მელამ.

— ყოჩაღ, რა ჭკვიანი ყოფილხარ, საიდან ეგეთი ჭკუა და გონება?

— იქიდან, ჩემო ბატონო, რომ ზოგჯერ მგლის ენის ნარჩენიც მრგებია წილად.

იმ დღიდან ლომი და მელია ერთად ნადირობენ. ლომს წილად ლომის წილი ერგება, მელას კი — ლომის ნასუფრალი.

იყო და არა იყო, ერთ ქალაქში ერთი მეწაღე ცხოვრობდა. შრომობდა, კერავდა ფეხსაცმელს. ყოფილა ისეც, ღარიბს ხელობის ფული ვერ გადაუხდია. მას კი ასე უთქვამს: წადი და მშვიდობაში გაგეცვითოს ეგ ჩემი ნაოფლარიო! ხალხი კეთილ მეწაღეს ამ სიტყვებით ლოცავდა: „ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოსო!".

ეგებ ამიტომაც, მეწაღემ დიდხანს იცოცხლა, ასი წლის სიცოცხლეს უსურვებდნენ და ას წელსაც მიაღწია. ან იქნებ, ასე ეწერა. ეყოლა ორმოცორმოცი ქალ-ვაჟი შვილიშვილი, მრავალი შვილთაშვილიც, იმდენი, რომ ვერც კი ითვლიდა. ყველანი კარგები: ზოგი — მეწაღე, ზოგი — თერძი, ზოგი — მექუდე, ჭონი, ყველა — მშრომელი. ერთხელ ღამით მოხუცთან სიკვდილი მივიდა და უთხრა:

— ორი დღე და ორი ღამე რომ გავა, გესტუმრები და შენს სულს მივიბარებო.

— ახლა მარტო მიწის სუნიღა ამდის, — ნაღვლიანად გაიფიქრა მოხუცმა, — წავალ, ვნახავ შვილებს და შვილიშვილებს და მერე ამქვეყნიდან წასვლაც არ გამიჭირდებაო.

მივიდა მოხუცი სამოცი წლის შვილიშვილთან. შვილიშვილმა საქმე გვერდზე გადადო. პაპა შინ შეიყვანა, რბილ ხალიჩაზე დასვა, გემრიელი სადილი მოუმზადა და გაუმასპინძლდა. ერთად ისხდნენ ასი წლის მოხუცი და სამოცი წლის შვილიშვილი. თქვეს აქეთურ-იქეთური, გაიხსენეს წარსული. შემდეგ მოხუცმა შვილთაშვილებთან ითამაშა. გაახსენდა, რომ ორი დღე-ღამის ვადა ჰქონდა მიცემული სულის ამორთმევამდე. ყმაწვილების სიხარული ბედნიერებაა ბებრისა.

ღამით შვილიშვილმა პაპას რბილი ლოგინი გაუშალა, თბილი საბანი გაუმზადა და უსურვა:

— ტკბილი ძილი და მოსვენება, პაპაჩემო.

— არა, შვილო, — უთხრა პაპამ, — ახლა სხვა შვილიშვილებთან უნდა მივიდე, ისინიც უნდა ვნახო.

— მოისვენე ახლა და მერე წახვალ, განა ჩემი სახლი და ოჯახი შენი სახლი და ოჯახი არ არის?!

სხვა რა დარჩენოდა მოხუცს? უმცროსი უფროსს თუ პატივს სცემს, პატივისცემა მართებს უფროსსაც, უმცროსები ხომ უფროსების მაგალითზე უნდა სწავლობდნენ. დარჩა პაპა ღამე შვილიშვილთან. დაწვა რბილ ლოგინში, ზემოდან თბილი საბანი დაიხურა; ძილი კი თვალს ვერა და ვერ მიეკარა. ფიქრობს, ეჰა, სიკვდილი მოვა და ჩემი ჯილაგი ვერ ვინახულოო. ბევრი იწვალა და რომ ინათა, გამოეთხოვა შვილიშვილს და წავიდა.

იმ დღესვე შვილთან მივიდა. შვილს გაუხარდა, მამა დიდი პატივით შენ შეიყვანა და დააბრძანა. რძალმა სუფრა გაუშალა. დასხდნენ სუფრასთან მამა-შვილნი, ჭამეს, ღვინო დალიეს, აქეთურ-იქეთური თქვეს, გაიხსენეს წარსული. შემდეგ მოხუცი შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს ეთამაშა, მოუყვა ზღაპრებს და იმ ღამით სიკვდილის მოლოდინი მთლად გადაავიწყდა. ყმაწვილების ჟრიამული ხომ ბებრის ბედნიერებაა.

ღამით შვილმა მამას თბილი ლოგინი გაუშალა და უსურვა:

— ღმერთმა ჯანი და ღონე მოგცეს, დაწექი, დაისვენე, დაიძინე!

— არა, არ მინდა, უნდა წავიდე.

შვილს ეწყინა:

— თუ წახვალ, შენთან ფეხს არ მოვადგამ. ჩემი სახლი და ოჯახი განა შენიც არ არის?!

რა უნდა ექნა მოხუცს? უმცროსი უფროსს თუ პატივს სცემს, უფროსმაც პატივისცემა უნდა შეიფეროს. ამიტომ ასი წლის მამა შვილთან მეორე დღემდე დარჩა.

დაწვა მოხუცი რბილ ლოგინში, ზევიდან თბილი საბანი დაიხურა, მაგრამ დაძინება ვერ შეძლო. წევს და სიკვდილს ელოდება.

— ეხ, ვერ ვინახულე ყველა ჩემიანი, — ფიქრობს პაპა.

შუაღამეა და სიკვდილი მაინც არ გამოჩნდა, თენდება და სიკვდილი ისევ არ არის, გათენდა და ისევ არ მოვიდა.

— ნეტავ, რატომ აგვიანებს? — ფიქრობს მოხუცი, — ან იქნებ, უკვე მოვკვდი? ლოგინში თავი ასწია, მიხვდა, რომ ცოცხალია. ასწია ერთი ხელი, მეორე: ხო, ცოცხალია! — მადლობა ღმერთს, სიკვდილი ხვალ მომადგება, მე ახლა სხვასთანაც მივალ.

მივიდა მეორე შვილიშვილთან. კარზე დააკაკუნა, კარი შვილთაშვილებმა გაუღეს. გაუხარდათ, დიდი პაპის გარშემო ხტუნაობდნენ, წვერზე ხელს უსვამდნენ. გაიხარა მოხუცმაც და ჰკითხა:

— სად არის მამათქვენი?

— სამუშაოდ, — ეუბნებიან ბავშვები, — ახლავე დავუძახებთ.

ბავშვებმა მამას დაუძახეს. მოვიდა, ნახა პაპა და ძალიან გაუხარდა. გულუხვად გაუმასპინძლდა. შემოუსხდნენ მაგიდას, ჭამეს, სვეს, ილაპარაკეს.

მოხუცი ბავშვებს ეთამაშა, უამბო ზღაპრები. ბავშვები იცინიან, დიდი პაპაც იცინის. მოხუცს სიკვდილის მოსვლა სულ გადაავიწყდა. ყმაწვილების ჟივილ-ხივილი მოხუცის ბედნიერებაა.

დაღამდა. შვილიშვილმა პაპას რბილი ლოგინი გაუშალა თბილი საბნით და ეუბნება:

— დაწექი, დაიძინე, ტკბილი სიზმრები ნახე.

მოხუცი წამოდგა:

— არა, სხვებთან უნდა წავიდე, ისინიც სანახავი მყვანან.

— ბნელა, ხვალ ადგები და წახვალ, — ეუბნება შვილიშვილი, — თუ წახვალ, მაწყენინებ.

რას გააწყობდა მოხუცი? უმცროსი უფროსს პატივს რომ გცემს, პატივისცემა პატივისცემით უნდა გადაუხადო. ასე რომ, დარჩა მოხუცი შვილიშვილთან იმ ღამით. დაწვა რბილ ლოგინში, თბილი საბანი დაიხურა, ძილი კი არ ეკარება. სადაცაა სიკვდილი უნდა მოვიდეს და წაიყვანოს. ყოველ გაფაჩუნებაზე მოხუცი ლოგინში იჭიმება, რომ სიკვდილის შემდეგ ლამაზად გამოიყურებოდეს. თან იმას დარდობს, ვაი, რომ ყველას ნახვა ვერ მოასწრო.

თურმე სიკვდილი წუხელაც მისულა მოხუცის წასაყვანად. მივიდა მასთან შინ, ნახა, რომ იქ არ იყო. ეძება ოთახში და ვერ ნახა.

— დაიცა, ხვალაც მოვალ და ვერსად დამემალებიო, დაემუქრა.

მეორე ღამეს ისევ მიადგა სიკვდილი სახლში, ისევ ცარიელი დახვდა ლოგინი. ისევ დაიარა ოთახი და ვერ იპოვა. გაიგო, რომ შვილიშვილთან წავიდა. ისიც იქით გაემართა. ამასობაში გათენდა. მოხუცი ადგა, ჩაიცვა. ისევ ღმერთს მადლობა შესწირა, დღეს არ მოვიდა სიკვდლი, კიდევ ერთი შვილიშვილის ნახვას შევძლებო.

მივიდა ახლა სხვა შვილიშვილთან, იქ ბიჭის დაბადების დღეს იხდიდნენ. შვილიშვილმა პაპა ნახა, გაუხარდა.

— რა კარგია, რომ მოხვედი. შენთან მოსვლას ვაპირებდიო.

შვილიშვილმა პაპა შინ შეიყვანა, საპატიო ადგილას დასვა, მეზურნეებს შესძახა:

— აბა, ჩაბერეთ! პაპაჩემის სადღეგრძელოდ დაუკარით!

მეზურნეები უკრავენ. სტუმრები ცეკვავენ, ჭამენ და სვამენ. ასი წლის პაპას გულმა ვერ გაუძლო. საცეკვაოდ გავიდა. არის ტაში და ყიჟინა. ცეკვა უფრო ააჩქარა. თითის წვერებზე დგება.

სიკვდილი დგას და უყურებს, ამ მოხუცს სულს ადვილად ვერ ამოვართმევო, ფიქრობს და ისიც ტაშს უკრავს.

— იცეკვე, მოხუცო, იცეკვე; ტაში, ტაში, ტაში, ვერსად გამექცევი. ტაში, ტაში, ტაში. დღესაც თუ ვერ ამოგართვი სული, ხვალ ამოგართმევ. ტაში, ტაში, ტაში.

დაიღალა მოხუცი ცეკვით, დაჯდა მაგიდასთან, სვა, ჭამა, იმღერა. სიკვდილი დგას და უყურებს, თან ფიქრობს:

— ახლა კი ამოვხდი სულს, ხომ უკვე ვიცი, სადაც არის.

დროებით მიატოვა და სხვასთან წავიდა სულის ამოსართმევად.

მოილხინა ასი წლის პაპამ, დაწვა და დაიძინა. დილით გაიღვიძა და გაახსენდა, სიკვდილი უნდა მესტუმროსო. იქ აღარ დარჩა და ახლა სხვა შვილიშვილისკენ გასწია.

მივიდა. შვილიშვილმა დიდი პატივით მიიღო. დასვა, უმასპინძლა. დიდი პაპა აქაც ეთამაშა შვილთაშვილებს, უამბო ზღაპრები და დაწვა დასაძინებლად.

ასე იარა ხან ერთ, ხან მეორე შვილიშვილთან, ყველგან უხაროდათ მისი ნახვა. უხაროდა პაპასაც.

ამბობენ, ის კაცი დღესაც ცოცხალია და სტუმრად შვილთა-შვილთაშვილებთან დადისო. იმათაც ისევე უხარიათ პაპისპაპისპაპის ნახვაო. სიკვდილმა კი დღემდე ხელში ვერ იგდო დაუმორჩილებელი მოხუციო, რადგან იმ მოხუცს გულში სიხარული უდგას; სიხარულთან კი სიკვდილი უძლურია. ხალხი ამბობს: „შვილებთან გაიხარე და იდღეგრძელეო". შვილებით გახარებული კაცი დღეგრძელია. მართალს ამბობენ.

ვუსურვოთ ჩვენც ერთმანეთს შვილების სიხარული და ჩვენც ისევე ვიდღეგრძელებთ, როგორც ეს ჩვენი პაპა გახდა დღეგრძელი.

რუსტამის ომი ჩინმაჩინის ჯარის წინააღმდეგ

ბუმბერაზ ბოლს ჰყავდა ვაჟი რუსტამი. რუსტამი ისეთივე ძლიერი და კეთილი იყო, როგორც მამამისი. ერთხელ მამას უთხრა:

— ყველაფერი ავითვისე. შევჯდები ახლა ჩემს ბედაურზე და ქვეყანას შემოვივლი, ვნახავ, ხალხი სად და როგორ ცხოვრობს. ჩაიცვა ძვირფასი ტანსაცმელი, შეკაზმა თავისი ბედაური, ფეხი უზანგში გაუყარა და უნაგირზე შემოჯდა. ცხენი რუსტამისა სხვების ცხენს არ ჰგავდა. ერთ დღეში იმდენს გადიოდა, სხვისი ცხენი შვიდ დღე-ღამეს რომ მოანდომებდა.

დაიძრა რუსტამი. შვიდი დღე-ღამე იქროლა რაშმა ისე, რომ მიწაზე ფეხი ერთხელაც არ დაუკარებია. შვიდი მთა და ზღვა გაიფრინა ბედაურმა და რუსტამი მთა-კლდესთან მიიყვანა. ყველა ჭიშკარი ღია დახვდა. გაუკვირდა რუსტამს, ეს რა ქალაქიაო? შევიდა ჭიშკარში და ხედავს: ქალაქი ძალიან დიდია. ფეხით შემოვლას ორი-სამი თვე დასჭირდება. ცხენი გააჭენა და შუადღემდე გზა მარტო ქალაქის მისასვლელამდე გაიარა. ხედავს, მის წინ ოთხი უშველებელი აუზია. იმ აუზებში ისეთი გამჭვირვალე წყალია, რომ დალიო, ერბოსავით ჩადის. შიგ ჩაიხედავ და შენს თავს, როგორც სარკეში, ისე დაინახავ.

ამასობაში ნამაზის დროც დადგა. ჩამოხდა ცხენიდან, დაიბანა ხელ-ფეხი* და დაიწყო ნამაზის შესრულება. დაიწყო ხეტიალი ქალაქში. დაათვალიერა ყველა ქუჩა და ქუჩაბანდი, შეიხედა სახლებში, უნდოდა გაეგო, რა ქალაქი იყო ეს და ვინ იყო მისი პატრონი. უცებ თითქოს ყურში მამის ხმა ჩაესმა: „ეს რა ქალაქს გადაეყარე გზად, შვილო, სირცხვილია, სირცხვილია“. მაშინ რუსტამი ისევ შეახტა ცხენს და ისევ შემოიარა ქალაქი. დიდხანს აჭენა. ქუჩებში ერთ კაცსაც ვერ შეხვდა. რუსტამმა ბედაური მთაზე ააჭენა, სადაც ქალაქი მთავრდებოდა. მივიდა მაღალ, უმაღლეს ციხესიმაგრესთან. ამ ციხესიმაგრის ჭიშკარზე უზარმაზარი ბოქლომი ჰკიდია, სხვა ასეთს ვერსად ნახავდა კაცი.

რუსტამმა ციხეს შემოუარა, ყველაფერი დაათვალიერა. არავინ ჭაჭანებს. გაბრაზდა — მამას როგორ უნდა ვეჩვენო, ჯადოქრობის სწავლა რაში გამომადგაო. გაახსენდა, რომ ჯადოქრობასაც სწავლობდა. შვიდი შელოცვა იცოდა. პირველი შელოცვით მთის ძალას ღებულობდა, მეორით — ორი მთისას, შვიდი შელოცვით კაცი შვიდი მთის ძალას იძენდა.

რუსტამმა პირველი შელოცვა თქვა:

— დაე, ისეთი ძალა გადმოვიდეს ჩემზე, რომ ყველა ობოლს, ღარიბს ქომაგად დავუდგე; ისეთი მთის ძალა მქონდეს, დავამსხვრიო ეს საკეტური, ამ ქალაქის კარზე რომ ჰკიდია.

თქვა რუსტამმა ეს შელოცვა და იგრძნო, რომ სხეულში მთის ძალა ჩაუდგა. დაჰკრა საკეტურს და ნაკუწებად აქცია. გაიღო ციხის თუჯის ჭიშკარი. შევიდა შიგ. ხედავს მაღალი სახლი დგას. სახლთან კამკამა წყლით სავსე აუზია. მარჯვნივ სისხლით გასვრილი ისრების გორაა.

რუსტამმა ბედაური ბოძზე მიაბა და იმ სახლში შევიდა. სახლი შიგნით ისეთი ლამაზია, იტყვი, თვალი თვალზე გამომებას და იმას ვუყურო. იატაკსა და კედლებზე ძვირფასი ხალიჩებია. კუთხეებში ოქროს შანდლებზე სანთლები ანთია. მაგიდაზე დიდი ჯამია, შიგ ფლავია და მრგვალად შემწვარი ცხვარი. რუსტამმა ცხვრის ხორცი გაღეჭა და გაიფიქრა: „ეს ფლავიცა და ხორციც ახალი შემწვარ-მოხარშულია, ეტყობა, აქ ვიღაც არის; მოდი, დავიმალები და სახლის პატრონს ვნახავო“.

მიაბა ბედაური ჭიშკრის უკან და იქვე დაიმალა.

ცაზე მთვარე რომ გამოჩნდა, რუსტამმა იგრძნო, მის ფეხქვეშ მიწა დაიძრა. გაიხედა ჭიშკრიდან და ხედავს, მისკენ ცხენოსანი კაცი მოქრის. ის მხედარი მას არაფრით ჩამორჩება, იმ ცხენოსნის ცხენს აქეთ-იქით უამრავი ისარი აქვს გაჩრილი. უკვირს რუსტამს. ამ დროს ის კაცი ჭიშკარს მიუახლოვდა და დამსხვრეული საკეტური და ღია კარი რომ დაინახა, გაიკვირვა:

— ცის ქვეშეთში ვინ არის ისეთი, ჩემი საკეტური ასე რომ დაემსხვრია?

შევიდა ცხენოსანი კაცი ჭიშკრით, ჩამოხტა ცხენიდან. ცხენს სხეულში ჩარჭობილი ისრები ამოაძრო და დოქის პირიდან გადმომსკდარივით იხუვლა სისხლმა. კაცმა ცხენის სადავეს ჩაავლო ხელი და იმ კამკამა წყლით სავსე აუზში ჩავიდნენ ორივენი ჭრილობების ჩამოსაბანად.

მერე კაცი სახლში შევიდა. რუსტამიც სამალავიდან გამოვიდა და ჩუმად გაჰყვა. შევიდა სახლის პატრონი ოთახში და ხედავს, ვიღაცას ფლავისა და ხორცის ნაწილი უჭამია. გაუკვირდა და თქვა:

— ამქვეყნად რუსტამი ხომ არ გამოჩენილაო?

გაიგო რუსტამმა, ჩემი სახელი ახსენაო და იმ ოთახში შევიდა.

— სალამ ალეიქუმ!

— ვაალეიქუმ ასსალამ! — სალამზე სალმით უპასუხა დაბნეულმა ციხის პატრონმა.

რუსტამი ეკითხება, ვინ ხარ და ეს ქალაქი რა ქალაქია, ძე სულიერი რომ არსად ჭაჭანებსო, თანაც ჩემი სახელი რად ახსენეო?

— მოდი, ჯერ ჩამოჯექი, ლუკმა გავღეჭოთ და მოგიყვები ამ ქალაქის ამბავსო, — უთხრა ციხის პატრონმა.

— არა, მაგ შენ სადილს პირს არ დავაკარებ, სანამ სიმართლეს არ მეტყვიო.

— კარგი, იყოს ისე, როგორც შენ გინდა, — დაყაბულდა ციხის პატრონი, — კარგად დამიგდე ყური, ყმაწვილო. მე ამ ქალაქის ფადიშაჰის ერთადერთი შვილი ვარ. მამაჩემს ერთი ულამაზესი ქალიც ჰყავდა. ჩვენს ქალაქში მცხოვრებნი ყველა გამრჯე და მუშა იყო. ერთნი ბაღებს აშენებდნენ, სხვები მიწას თოხნიდნენ და ბარავდნენ, ზოგიც დუქანში იდგა და ვაჭრობდა. ქალაქში სახელოსნოებიც ბევრი იყო. ერთ დღესაც მამაჩემმა შეკრიბა ვეზირები და თათბირი გამართა, უნდოდა ბრძენი კაცებისთვის მივებარებინე სასწავლებლად. თათბირზე გადაწყდა, ჩემი მასწავლებელი შეიხ-ულ-ისლამი* უნდა ყოფილიყო, რომლის სიბრძნესაც მილეთი აღიარებს. თურმე იმ ბრძენ მოხუცს შვიდი მთის იქით უცხოვრია.

გაგზავნა მამაჩემმა შეიხ-ულ-ისლამთან თავისი ელჩები, რომ ჩვენთან მოეწვია. მოვიდა ჩვენთან ბრძენკაცი და მამამ სთხოვა, მინდა შვილი სასწავლებლად შენ მოგაბარო, ასწავლე ყველაფერი, რაც შენ იცი და რასაც მომთხოვ, გადახიდიო.

— დღეგრძელი იყავი, ფადიშაჰო! სწავლის ქირა მე არ მინდა, ერთს კი გთხოვ, შენი შვილი შინ გამაყოლო. ვასწავლი შვიდ წელიწადს, გავწვრთნი და მერე ისევ შენ დაგიბრუნებ.

მამაჩემმა და შეიხ-ულ-ისლამმა პირობა დადეს.

მერე ბუმბერაზის ტანსაცმლით შემმოსეს, შემსვეს კარგ ულაყზე და ჯარის თანხლებით დავიძარით იქითკენ, სადაც შეიხ-ულ-ისლამი ცხოვრობდა. მივედით მის სახლში და სწავლას შევუდექი. დღეს დღე მიჰყვებოდა, კვირას კვირა. მამისგან ყოველ თვე ბარათს ვღებულობდი.

გავიდა ოთხი წელი და მეხუთე წელს მამისაგან ბარათების მიღება შეწყდა. შევწუხდი და შეიხ-ულ-ისლამს შევევედრე, მამაჩემის სანახავად გამიშვი-მეთქი. მან კი ასე მითხრა:

— მე მამაშენთან პირობის ქაღალდი მაქვს დადებული, ვიდრე შვიდ წელს აქ არ გაიწვრთნები, შენი შინ გაშვების უფლება არა მაქვსო.

გავიდა ნახევარი წელიც და ისევ არაფერი ისმის მამაჩემისგან. ისევ ვთხოვე და შევევედრე მოხუც ბრძენს, გამიშვი შინ და მალევე მოვბრუნდები-მეთქი. მან კი მითხრა:

— ჰოი, ძეო ფადიშაჰისა, მე შენი უკან დაბრუნება არ მანაღვლებს. პირობა დავდეთ და ის უნდა შევასრულო.

გულმა ვერ გამიძლო, ამომიჯდა და ავტირდი. ცრემლები რომ შემამჩნია, შეიხ-ულ-ისლამმა მითხრა:

— გარეთ გადი და მერე დაბრუნდი.

მეც გავედი გარეთ და უკან მოვბრუნდი. შეიხ-ულ-ისლამმა მითხრა:

— ახლა დაჯექი და ამ კითხვაზე მიპასუხე: რაც შენ აქედან გახვედი, მიწა შესქელდა თუ შეთხელდა?

დავფიქრდი და ვუპასუხე:

— ბეწვის ხელადაც არ შეცვლილა.

— ბარაქალა, — მითხრა შეიხ-ულ-ისლმმა.

ამიყვანა ხელში ბალიშიდან და მაჩვენა ბალიშქვეშ ბეწვი იდო. მე წვერიდან ეს თმა ამოვიგლიჯე და შენს ბალიშქვეშ ამოვდე. ბარაქალა! წადი, რაც კი შევძელი და ვიცოდი, ყველაფერი გასწავლე. იცოდე ბევრი ისარი ვერაფერს გავნებს. მაგრამ ქვეყნად როცა რუსტამი გამოჩნდება, ყველაზე ძლიერი ის იქნება. თუ ქვეყანა გადაბრუნდა, ის შეძლებს შემოაბრუნოს და ისევ წაღმა დააყენოს. კაცთმოყვარე და ომების რისხვა იქნება. მისი მომრევი არავინ იქნება. შენც თუ ვინმე მოგერევა, — მხოლოდ რუსტამი. წადი, შვილო, გზა დალოცვილი გქონდეს.

შევჯექი ბედაურზე, გავაჭენე და სამი დღე-ღამე ცხენს მიწაზე ფეხი არ დავაკარებინე, ისე გავფრინდი შინისაკენ. მივედი მამაჩემის საფადიშაჰოში. შევედი ქალაქში და ძე სულიერი ვერა ვნახე. მოვედი მამაჩემის ციხესიმაგრეში — აქაც არავინ არის. ცხენი თავლაში შევიყვანე, ვაჭამე და დავარწყულე. ჩამოვჯექი და ფიქრს მივეცი თავი. მაშინ კვნესის ხმა ჩამესმა. მივირბინე იმ ხმისკენ და მამაჩემის მცველი ეგდო და კვნესოდა,

სული ძლივსღა ედგა. რა მოხდა, სად არის მამაჩემი-მეთქი, შევეკითხე. ერთი სიტყვის დაძვრაც ვერ მოახერხა. ავიყვანე, შინ შემოვიყვანე, წყალი დავალევინე, მოვასულიერე და აცრემლებულმა მითხრა:

— ჩინმაჩინმა* მამაშენს ქალის ხელის მთხოვნელები გამოუგზავნა, შენი და თავისი ვაჟისთვის უნდოდა ცოლად.

სანამ ცოცხალი ვარ, ეგ საქმე არ იქნებაო, უთქვამს მამაჩემს.

ის დღე იყო და მეორე დღეს ფადიშაჰის ჯარსა და ქალაქს ჩინმაჩინი დაესხა თავს. დაიწყო ომი, ცისა და მიწის რისხვას ჰგავდა ეს ომი. ჩინმაჩინის ხალხი ჩვენ ხალხს ძარცვავდა. გაიტანეს რაც სახლებსა და დუქნებში ქონება იყო. ამოწყვიტეს მთელი ჩვენი გვარი. ჩემი და მოიტაცეს და ჩინმაჩინის შვილს ძალით შერთეს. დედაჩემიც თან წაიყვანეს. ყველა მოკლეს და ამოწყვიტეს. აი, ასე იყო! — სათქმელი ბოლომდე მიიყვანა ყმაწვილმა, — დღეს ყოველდღე ჩინმაჩინის საზღვრებთან მივდივარ და მარტო-მარტო ვეომები. იმათი ისრები ვერაფერს მაკლებს. ამ აუზის მაცოცხლებელი წყალი ჭრილობებს მიშუშებს. სისხლიან ისრებს რომ ვიძრობ ტანიდან, გორად ვახვავებ. აი, ის, რაც მინდოდა შენთვის მეთქვა. მოგიყევი და გთხოვ, სადილზე დამეწვიო.

დასხდნენ ერთად, ისადილეს და რუსტამმა ასე უთხრა მასპინძელს:

— ჩემო ძვირფასო ყმაწვილო, ფადიშაჰის შვილო, მე ვარ ის რუსტამი, შვილი ზოლისა, ბრძენმა შეიხ-ულ-ისლამმა რომ გითხრა. იმ მოხუცის შეგირდი ერთხელ მეც ვიყავი. ახლა კი მოდი, დავწვეთ, დავიძინოთ და ხვალ რომ ავდგებით, წავალ, მინდა შენი და დავიხსნა.

გათენდა. ოდნავ ინათა თუ არა, რუსტამი ადგა, ცხენი გაამზადა, თუჯის ტანსაცმელი ჩაიცვა და ის იყო ჩინმაჩინისაკენ უნდა დაძრულიყო, რომ ყმაწვილმა შეაჩერა.

— ჩემი და შენ არ დაგიჯერებს, არ გენდობა. თან ეს ბეჭედი წაიღე, აჩვენე და უთხრი, რომ მისი ძმის მეგობარი ხარ და მის დასახსნელად მიხვედი. ასევე უთხარი, რომ შენა ხარ რუსტამი, შვილი ზოლისა. ახლა კი წადი, გზა მშვიდობისა! — დალოცა ყმაწვილმა.

რუსტამმა მადლობა გადაუხადა, თითზე ბეჭედი გაიკეთა და გაქუსლა.

სულ ორჯერ გადაუჭირა მათრახი ცხენს და თვალისდახამხამებაში ჩინმაჩინში გაჩნდა. შევიდა ქალაქში, მივიდა აუზთან, ნახა ორი ახალგაზრდა ქალი. ერთს ხელში დიდი ოქროს სურა ეჭირა, მეორეს — უფრო პატარა და ვერცხლისა. პირველს სურა უკვე აევსო, მეორე ავსებდა. რუსტამი მივიდა მათთან და, რომელსაც სურა ავსებული ჰქონდა, უთხრა:

— ქალო, წყალი დამალევინე.

ქალმა გაბრაზებით უთხრა:

— ამ სურას უცხო კაცის ხელი არ შეეხება.

გაბრაზდა რუსტამი, ქალს სურა გამოჰგლიჯა და ხელიც მოსწყვიტა. მეორეს შეეშინდა და ვერცხლის სურა მიაწოდა. რუსტამმა გამოართვა და ეკითხება:

— შენ ვინ ხარ?

— მე აშარის ქვეყნის ფადიშაჰის ასულის მხევალი ვარ, ჩინმაჩინის ფადიშაჰმა ცოლად რომ შეირთო.

უმალ რუსტამმა თითიდან კბილებით ამოიძრო ბეჭედი, მალულად ჩააგდო სურაში და ასე დაუბარა:

— უთხარი შენს ქალბატონს, რომ ვიღაც ყმაწვილმა ამ დოქიდან წყალი დალია და ასე ბრძანა, გადმოცალე წყალი და ისე დალიეო.

რუსტამმა სურა ქალს დაუბრუნა, მსახურმა ქალმა თავისსა და მეგობრის სურები აიღო და წავიდა. მივიდა ფადიშაჰის ქალთან, უნდა რაღაც უთხრას და ვერ ამბობს.

— რა მოხდა? — ეკითხება ფადიშაჰის ქალი.

მოსამსახურემ არაფერი დაუმალა, მოუყვა, რაც მოხდა.

აშარის ფადიშაჰის შვილი მეტად გონიერი იყო. ცალკე ოთახში შევიდა, გადმოასხა წყალი და ბეჭედი გადმოვარდა. იცნო ძმის ბეჭედი და ბრძანა:

— წადი ჩქარა იმ აუზთან, გამორეცხე ეს სურა და ახალი წყალი მოიტანე.

იმ ყმაწვილს კი ასე შეუთვალა:

— წადი იქიდან, მიხვალ დიდ კლდესთან. კლდის თავზე სასახლეა, სადაც ვცხოვრობ, იქ გელოდები, კლდიდან ჩემთან ჯაჭვი ამოგიყვანს, ამოვწევ და ამოხვალ. აბა, ჩქარა, ოღონდ, იცოდე, არავის არაფერი უთხრა, ვინმემ შემთხვევითაც არ უნდა მოჰკრას ყური ამ ამბავს.

მივიდა მხევალი აუზთან, ნახა რუსტამი და ქალბატონის დანაბარები გადასცა. მერე სურა წყლით გაავსო და გაბრუნდა.

რუსტამი ცხენზე შეჯდა და ტყეში შეიჭრა. მივიდა იმ კლდესთან და დაიცადა. ღამდებოდა. ზევიდან ქალმა ჯაჭვი ჩამოუშვა და ასწია. ფანჯრიდან ფადიშაჰის ქალმა დაინახა, რომ ის ყმაწვილი მის ძმა არ არის, უცხოა და მისი ჩაგდება მოინდომა. ვაჟმა უთხრა:

— მე რუსტამი ვარ, ზოლის ვაჟი და შენი ძმის მეგობარი. შენმა ძმამ გამომგზავნა შენს გასანთავისუფლებლად. დაუჯერა ქალმა რუსტამს და ოთახში შეუშვა.

— დაიკო, მომიყევი, რა მოხდა, — სთხოვა რუსტამმა.

ქალი მოუყვა, რაც თავს გადახდა და დაამატა:

— აქ მომიყვანეს და უნდოდათ ჩინმაჩინის ფადიშაჰის შვილსითვის მივეთხოვებინე. მე ასე ვუთხარი, სანამ ჩემი მშობლების წლისთავი

არ იქნება, ვერ გავთხოვდები-მეთქი. ამ დროს ჩემი ძმა შვიდი მთის იქით შეიხ-ულ-ისლამთან შეგირდად იყო. ვიფიქრე, ამასობაში შინ დაბრუნდებოდა და ტყვეობიდან დამიხსნიდა. გავიდა ერთი წელიწადი. ჩემი ძმა არ გამოჩნდა. ეს ავი სულები დავითანხმე, რომ კიდევ ორმოცი დღე დამლოდებოდნენ. აგერ ოცდაათი დღეა, რაც ჩემი ძმა ჩინმაჩინის ჯარს ებრძვის. დღეს ის არ წამოსულა საომრად, ხომ არაფერი შეემთხვა? ამაღამ იძულებით ჩინმაჩინის ფადიშაჰის ვაჟის სარეცელი პირველად უნდა გავიყო.

— დარდი ნუ გაქვს! — ეუბნება რუსტამი, — ყველაფერი კარგად იქნება. გაიხადე ეგ საქორწილო კაბა, მორთულობა ჩამოიხსენი და ჩადი ქვემოთ, ტყეში დამელოდე. მაგ შენს საქმროს აქ მე გავუსწორდები.

ამის შემდეგ რუსტამმა ქალი ფრთხილად ჩაუშვა ქვემოთ, თვითონ პატარძლის კაბა ჩაიცვა და დაელოდა სიძის მოსვლას.

დაღამდა. ოთახში სიძე შემოვიდა. ცოლის საწოლთან მივიდა, უნდოდა, გვერდით მისწოლოდა, მაგრამ რუსტამმა ხელში ჩაჰკიდა ხელი, დაიქნია და მოაწყვიტა. ის მოწყვეტილი ხელი ერთ კედელზე დაჰკიდა, მერე მეორე ხელიც მოაწყვიტა და ის მეორე ხელი მეორე კედელზე ჩამოჰკიდა. მოაწყვიტა ფეხი და მესამე კედელზე დაჰკიდა, მოაწყვიტა მეორე ფეხი და მეოთხე კედელზე ჩამოჰკიდა. გაიხადა, რაც ეცვა, ჩაიცვა ისევ თავისი ტანსაცმელი, ჩაჯდა იარაღში და ფანჯრიდან ჯაჭვით ქვემოთ დაეშვა, სადაც ფადიშაჰის ქალი ელოდებოდა. შემოისვა ცხენზე და მამის სახლისკენ წაიყვანა. ამასობაში ქალის ძმას ფლავი მოეხარშა და ცხვარი შეეწვა. დარწმუნებული იყო, რომ რუსტამი უვნებელი დაბრუნდებოდა და დას მიუყვანდა. იგრძნო, მიწა როგორ აზანზარდა. მიხვდა, რომ რუსტამი ცხენს მოაგელვებდა, გამოიჭრა დასახვედრად. ძმამ და გულში ჩაიკრა და ატირდნენ. თვალზე ცრემლი რუსტამსაც მოადგა, თავი შეიკავა და დაძმას ასე უთხრა:

— გეყოფათ ტირილი. მოდით, სჯობს, დავსხდეთ და ვიქეიფოთ.

მაძღრისად ჭამეს და დასაძინებლად დაწვნენ.

მოდი, ესენი აქ დავტოვოთ, ტკბილად დაიძინონ. ჩვენ კი მივიდეთ და ვნახოთ, რა ხდება ჩინმაჩინის ფადიშაჰის სახლში.

როცა ფადიშაჰის შვილი, სიძე პირველ ღამეს თავისი ცოლის ოთახში შევიდა, მეგობრები კარს უკან დატოვა, რომ რაღაცა დროის შემდეგ ისევ გასულიყო მათთან. ისინი სიძეს დიდხანს ელოდებოდნენ. სიძე ოთახიდან აღარ გამოვიდა. ერთმა კარზე დაუკაკუნა, არავინ უპასუხა. ისევ დააკაკუნეს, ისევ არავინ გასცა ხმა.

სიძის მეგობრებმა ეს ამბავი ფადიშაჰს შეატყობინეს. ჩინმაჩინის ფადიშაჰი მიხვდა, აქ რაღაც სხვა ამბავიაო. მივიდა რძლის საწოლ ოთახთან,

კარი შეამტვრიეს და შევიდნენ. ოთახში ზღვა სისხლია, სისხლში მუთაქასავით გდია სიძე და აქეთ-იქით, ოთხივე კედელზე მისი ხელ-ფეხი ჰკიდია. აღრიალდა მამა:

— ამას იმისი ძმა იზამდაო.

თქვა და გასცა ბრძანება სამოცდაათ წლამდე კაცები, ხოლო ქალები სამოც წლამდე უნდა ამხედრებულიყვნენ და აშარის ფადიშაჰის ქალაქი ერთიანად გადაეწვათ.

ითქვა და იქმნა. ჩინმაჩინის ფადიშაჰის ჯარი აშარის ფადიშაჰის ქალაქში შევიდა და გზაზე ყველაფერი გადაბუგა.

ის იყო თენდებოდა, რომ რუსტამმა თვალი გაახილა და ხედავს, ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. მიხვდა ყველაფერს. იფიქრა, ვიდრე აშარის ფადიშაჰის ქალ-ვაჟს სძინავთ, ამოვუუჟავ მაგ ჩინმაჩინის ჯარსო. ჩაიცვა ტანსაცმელი, ჩაჯდა ბუმბერაზის თორ-იარაღში. კვამლმა ფადიშაჰის შვილიც გააღვიძა, ნახა, მის ქალაქს ცეცხლი რომ ეკიდა და მანაც ასევე იფიქრა: მოდი, სანამ რუსტამს სძინავს, არ გავაღვიძებ და მტერს ამოვწყვიტავო. ჩაიცვა, შეჯდა ცხენზე და გაემართა.

გაიღვიძა ქალმაც. გააღო ფანჯარა და ხედავს, ქალაქს ერთიანად ცეცხლი უკიდია. შეეშინდა და ძმას გასძახა:

— ძმაო, ქალაქი იწვის!

— ჩუმად, დაიკო, არ გააღვიძო რუსტამი, თავად გავუსწორდებით მაგათ.

გაიგო რუსტამმა და-ძმის ჩანაფიქრი და დაიძახა:

— მე უკვე დიდი ხანია მოვემზადე მტერთან შესაბმელად!

რუსტამი ცხენს შემოახტა და მტრისაკენ უნდა გაჭრილიყო, რომ ფადიშაჰის ვაჟმა შეაჩერა.

— რუსტამ, ვიცით, რა ძალაც გაქვს. შენი ცალი და ბადალი არ არის, მაგრამ ჩვენ გვინდა ვიძიოთ შური, ჩვენ მშობლების სისხლი ავიღოთ. მოდი, შინ დარჩი და გემრიელი ფლავი მოგვიხარშე. ჩვენ ამასობაში ფადიშაჰის ჯარს ამოვწყვიტავთ.

ვაჟმა რუსტამი დაიყოლია. ჩამოვიდა ბედაურიდან და შინ შებრუნდა. მოხარშა რუსტამმა ფლავი, გაიხედა ერთი ფანჯრიდან მთებისკენ და ხედავს, ცოცხალი არავინ არის, ყველა მოკლულია. შემდეგ მეორე ფანჯრიდან ზღვისაკენ გაიხედა და ხედავს, ფეხზე მდგარი არავინ არის, ყველა დახოცილია. აღმოსავლეთით — ყველა მკვდარია, დასავლეთით — აქაც მკვდრები ყრია, ცოცხალები აღარ არიან.

— ფადიშაჰის ქალ-ვაჟი რაღა იქნენ? — შეფიქრიანდა რუსტამი. შეჯდა რაშზე და გააჭენა. სამი დღე და სამი ღამე გაატარა ფადიშაჰის ქალ-

ვაჟის ძებნაში და ვერ იპოვა. მეოთხე დღეს ერთი ხის ქვეშ მიაგნო. ომის ქარცეცხლში ძმას და მოეკლა, დას — ძმა.

იდარდა რუსტამმა. მიაბარა და-ძმა იქვე ხის ქვეშ მიწას: ვაჟი მარჯვნივ, ქალი — მარცხნივ. შეჯდა რაშზე და წავიდა.

ბევრი იარა და მეშვიდე დღეს ერთ ქალაქს მიადგა. ღამდებოდა. რუსტამმა მიაკაკუნა ერთი სახლის კარს ღამის გასათევად.

იმ ქალაქის ფადიშაჰი ფეილამბერი* ყოფილა. თურმე კბილი ძლიერ სტკიებია. დაიბარა მოხუცი ხალხი თავისთან, რომ კბილის ტკივილი გაუყუჩონ. უყვებიან ისინი ათასგვარ ზღაპარს, სასაცილოს, დაუჯერებელს და მასაც დროებით კბილის ტკივილი ავიწყდება.

სწორედ მაშინ, იმ ღამეს, როცა რუსტამი ქალაქში შევიდა, ფადიშაჰს ისე ასტკივდა კბილი, რომ ცრემლებს აღვარღვარებდა. დაუძახა მოხუცებს, მომიყევით ზღაპრები, ან რაიმე სასაცილო ამბავი. ბევრს უყვებოდნენ, მაგრამ კბილის ტკივილმა არ გაუარა. მაშინ ფეილამბერმა შეკრებილებს უთხრა:

— რასაც მიყვებით, ყველა ვიცი, რამე სხვა მომიყევითო!

— ჰოი, დიდო ფადიშაჰო, რა ვქნათ, რაც ვიცოდით, ყველაფერი მოგიყევით, — უპასუხეს მოხუცებმა. — ახალ ზღაპარს ახალი კაცი თუ მოგიყვება, ვისაც ბევრი ქვეყანა უნახავს და თავს ბევრი გადახდენია.

— ესეთი კაცი სად იქნება? — იკითხა ფადიშაჰმა.

ფეილამბერს ერთმა მოხუცმა მოახსენა, ბობოსთან დღეს ერთი კაცი დადგა, იმას ეცოდინება რამეო.

ფეილამბერმა ბობოსთან კაცი გაგზავნა იმ მგზავრისა და ბობოს მოსაყვანად.

მისულები ფადიშაჰს მიესალმნენ. სალამზე ალეიქუმ სალამი მიიღეს. ფადიშაჰმა რუსტამი გვერდით დაისვა.

— აბა, მომიყევი ვინა ხარ და სადაურიო?

ყმაწვილმა უთხრა, რომ რუსტამი ჰქვია, შვილია ზოლისა. ფადიშაჰმა უთხრა:

— ჩემო რუსტამ, მე კბილი ძალიან მტკივა. ესენი ზღაპრებს და სასაცილო ამბებს მიყვებიან და კბილის ტკივილი მიამდება. მაგრამ რაც იცოდნენ, უკვე მომიყვნენ და ახლა კბილის ტკივილს ვერაფრით შველიან; ახალი არაფერი აქვთ მოსაყოლი. იქნება შენ იცოდე რამე და მიშველო?

— ჰოი, დიდო ფადიშაჰო, რაც ჩემი მშობლების სახლ-კარს მოვშორდი, ძალიან დიდმა დრომ გაიარა და თუ რამ ზღაპარი ვიცოდი, ყველა დამავიწყდა, — ეუბნება რუსტამი.

— ეგებ იმის შესახებ მომიყვე, გზაში რა ნახე და თავს რა გადაგხდა, — შეეხვეწა ფეილამბერი.

— კარგი, მოგიყვები, რაც კი ჩემი თვალით ვნახე, — დაეთანხმა რუსტამი და მოუყვა რაც აშარის ქალაქში ნახა. და-ძმის თავგადასავალი. ჩინმაჩინის ფადიშაჰის ვერაგობა. როგორ გაათავისუფლა მან ქალი, როგორ იბრძოდნენ და-ძმა მტრის წინააღმდეგ და როგორ დაიხოცნენ ერთმანეთის ხელით.

უსმენდა ამ ამბავს ფეიღამბერი და კბილის ტკივილი სულ გადაავიწყდა. რუსტამმა დაამთავრა მოყოლა და უნებურად ჩუმად ატირდა.

ფეიღამბერმა რუსტამს უთხრა:

— შეგიძლია იმ და-ძმის საფლავი მაჩვენო?

— შემიძლია.

— მაშ, ჩემო ბრძენკაცებო, ილოცეთ, ღმერთს დახმარება სთხოვეთ. შეჯექით ცხენებზე და წავიდეთ იმ ფადიშაჰის შვილების საფლავთან.

შეჯდა ორმოცივე ბრძენკაცი ცხენებზე და ერთად წავიდნენ. ბევრი თვე გავიდა თუ ცოტა, ვინ იცის. მიადგნენ აშარის ფადიშაჰის ქალაქს. მივიდნენ და-ძმის საფლავთან. ჩამწკრივდნენ საფლავის გარშემო, წაიკითხეს სიბრძნის წიგნები და ფეიღამბერს უთხრეს, მათრახი დაჰკარი საფლავსო. დაჰკრა ერთხელ ფეიღამბერმა და მიწამ მიცვალებულთა ძვლები გამოიღო, დაჰკრა მეორედ და ძვლებმა ხორცი შეისხეს, დაჰკრა მესამედ და მკვდრებს სული ჩაუდგათ, გაცოცხლდნენ.

ამოიყვანეს ქალ-ვაჟი საფლავიდან და ფეხზე დააყენეს. ქალ-ვაჟმა გაიხარა, რომ სიცოცხლე დაუბრუნდათ და ატირდნენ.

— ძმაო, ხომ არ იცი, რუსტამი ახლა სად არის? — ეკითხება და ძმას.

— მისი დარდი ნუ გექნება. აგერ, რუსტამი აქ არის, — უთხრა ფეიღამბერმა.

გაუხარდა და-ძმას და ფეიღამბერს მადლობა გადაუხადეს.

— დიდი მადლობელი ვართ, კეთილო ფადიშაჰო. შენს სიკეთეს არასდროს დავივიწყებთო.

— მადლობა მე კი არა, ბუმბერაზებს ეკუთვნით, — თქვა ფეიღამბერმა. — თქვენ მართალ საქმეს აკეთებდით და ღირსნი ხართ სიცოცხლისა. უნდა იცოცხლოთ! შვილებო, ახლა ჩემს საფადიშაჰოში მინდა ერთად წავიდეთ. რაღაც კარგი რამ ჩავიფიქრე.

როცა ყველანი ერთად მის საფადიშაჰოში მივიდნენ, ფეიღამბერმა თავისი ულამაზესი ქალი იხმო და აშარის ფადიშაჰს უთხრა:

— ჩემი ქალი შენთვის ცოლად მომიცია, ხოლო შენს დას ცოლად ვაძლევ მამაც რუსტამს.

ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ქორწილი არ ჩამცხრალა, ორმოცი საფადიშაჰოდან იყვნენ სტუმრები მოწვეულნი. იქ რუსტამის მამაც იყო —

ზოლი. სვა, ჭამა, დრო გაატარა. ორმოცი დღის შემდეგ შინ დაბრუნდა. მასთან ერთად დაბრუნდა მისი ძეც, ვაჟი რუსტამი და მისი ლამაზი ცოლიც.

აისრულეს ყველა ნატვრა. ჩვენ კი, მოდი, ცოტა შევისვენოთ.

ოქროს სკივრი

ერთ ქვეყანაში, ერთ საფადიშაჰოში, დღეს კი არა, ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი ძალიან მდიდარი კაცი. ამ მდიდარს ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, სიგიჟემდე რომ უყვარდა და, რასაც სთხოვდა, მაშინვე უსრულებდა. ვაჟი თვრამეტი წლის რომ გახდა, მივიდა მამასთან და ასე უთხრა:

— საყვარელო მამა, ღმერთმა ჯანი და ღონე არ მოგიშალოს, ნადირობა მინდა და სანადიროდ გამიშვი. გავიზარდე, მომბეზრდა შინ ჯდომა და მინდა ქვეყანა საკუთარი თვალით ვნახოო.

გაუხარდა მამას, იფიქრა, ბედნიერი კაცი ვარ, შვილის დავაჟკაცებას რომ მოვესწარიო. ეს იფიქრა და თან გულში შიში ჩაუვარდა. შიშიცა და სიხარულიც ორივე ერთად გაუჩნდა. შვილს ასე უთხრა:

— შვილო, ეგ ნადირობა რად გინდა? მე იმდენი ქონება დავაგროვე, ას წელიწადს თავისუფლად გეყოფა. მე ხომ შენს მეტი სხვა შვილი არა მყავს!

ბევრი უშალა და არ დაიშალა:

— დიდი ვარ, ქვეყნის ნახვა მინდაო.

მამას რა უნდა ექნა? სხვა გზა არ ჰქონდა, დაეთანხმა. ოღონდ ეს კი სთხოვა და გააფრთხილა:

— იცოდე, აღმოსავლეთისაკენ არ წახვიდეო!

ვაჟი საჩქაროდ გაემზადა. თავლიდან საუკეთესო ცხენი გამოიყვანა. დედამ ხურჯინი გაუვსო და სანადიროდ გაემართა.

მდიდარი კაცის შვილი მთელი დღე ცხენზე იჯდა და ცხენიდან არ ჩამოსულა. ნახა ბევრი აული;* ტყეში ყველა კუთხე-კუნჭული დაიარა, მაგრამ არც ერთი ნადირი და ფრინველი არ მოუკლავს. დაღამდა. მდიდარი კაცის შვილს გულზე დარდი შემოაწვა:

— მამას თვალებში როგორ შევხედო, ხელცარიელი რომ მიუვალ?! მოდი, აღმოსავლეთისკენ წავალ, მერე რა, რომ მამამ დამიშალაო.

ვაჟმა ცხენით აღმოსავლეთისაკენ გაქუსლა. ბევრი იარა თუ ცოტა, ბევრი აული ჩაიარა თუ ცოტა, ერთი დღე-ღამე მოუნდა თუ ორი, როგორც იქნა, რომელიღაც ტყეს მიადგა. ტყე ძირ-ძირობამდე დაიარა და მოსანა-

დირებელი ვერაფერი ნახა. საგზალი გაუთავდა. ტყეში მოსანადირებელი არც ცაზე იყო და არც მიწაზე. ადგა და უფრო შორს წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა, მშობლიური ქალაქის ქუჩებზე გრძელი გზა კი გაიარა. ბოლოს, როგორც იქნა, ტყიდან გამოვიდა და რომ გამოვიდა, ციხესიმაგრე დაინახა. გადაჰკრა ცხენს მათრახი და ციხის გალავანს მიადგა. რადაც არ უნდა დამიჯდეს, ციხეში უნდა შევიდეო, იფიქრა.

გადმოხტა ცხენიდან და იგრძნო, როგორ დაღლილიყო. მოსწყურდა. შევიდა ციხეში და შიგ აგურის ლამაზი სახლი დახვდა. მიაწვა კარს, შევიდა. ხედავს, ულამაზესი ქალი ხშირი თმითა და გრძელი ნაწნავებით მუხლებზე დგას, ვერცხლის ტაშტში ტილოს ასველებს და იატაკს რეცხავს. ის ადგილი, სადაც ტილოს უსვამს, სარკესავით პრიალებს. მდიდრის შვილმა უყურა და წყურვილისა თუ პრიალა იატაკისაგან თვალები აუჭრელდა და დავარდა. ხმაურზე ქალს შეეშინდა და წამოხტა. დაყვირება უნდოდა, მაგრამ ძირს დავარდნილი ლამაზი ყმაწვილი რომ ნახა, ხმა არ ამოიღო, დაწყნარდა და მიუახლოვდა.

— წყალი! — ამოილუღლუღა მდიდარი კაცის შვილმა.

ქალმა ვერცხლის სურით წყალი მიუტანა და უცნობს დაალევინა. ბიჭმა თვალი გაახილა. ხედავს, თვალწინ ულამაზესი ქალი უდგას. შერცხვა, გული რომ წაუვიდა. დიდხანს იყვნენ ჩუმად ბიჭი და გოგო, ერთმანეთს უყურებდნენ. ბიჭი ქალის სილამაზით იყო გაოცებული. ბოლოს ქალმა ჰკითხა:

— სადაური ხარ? სად მიდიოდიო?

მდიდრის ვაჟმა უამბო თავისი ამბავი. ისიც უთხრა, რომ მამამ აღმოსავლეთისაკენ წასვლა დაუშალა.

ქალმა უთხრა:

— მამამ მართალი გითხრა. ყველა ვაჟი, აქეთ ვინც წამოვიდა, დაიღუპა. ბედი გქონია, რომ მე შეგხვდი. თორემ სიკვდილი არ აგცდებოდა. მინდა იცოდე, ეს ციხესიმაგრე მამაჩემს ეკუთვნის. მამაჩემის ბრძანებით, ყველა მოსული ყმაწვილი უნდა მოეკლათ და ცხედარი ძაღლებისათვის მიეგდოთ საჯიჯგნად, რომ არავის სცოდნოდა ჩემი არსებობა.

გოგო ამას უყვება, ბიჭს კი მისი ნათქვამი არ ესმის, მისჩერებია და ფიქრობს, ნეტავ მთელი ჩემი სიცოცხლე ამის გვერდით მამყოფაო.

ქალმა ბიჭს შეჰყვირა:

— წადი აქედან, მამაჩემმა რომ გაიგოს, აქა ხარ, მოგკლავს!

ქალმა კარი გააღო და ბიჭი მალულად გაიპარა ციხიდან. ბიჭი შეჯდა ცხენზე, გადაჰკრა მათრახი, რაში აფრინდა და გადაფრინდა. მეორედ გადაუჭირა მათრახი ნისლში და რაში ღრუბლებს ზემოდან მოექცა, მესამედაც გადაუჭირა და ცხენი მამის სახლის კარს მიადგა.

დედ-მამას შვილის მშვიდობით დაბრუნება გაუხარდათ. მოეფერნენ, შეაქეს, გამოჰკითხეს, სად იყავი და რა ნახეო. ბიჭი გარშემო ვერავის და ვერაფერს ხედავდა, თვალწინ ის ქალი ედგა. არც ხმა ესმოდა ვინმესი. ამიტომ დედ-მამის შეკითხვებს პასუხს არ სცემდა. ყურში იმ ქალის ხმა ედგა. ასე იწვალა ღამემდე. ღამითაც თავი ვერ დააღწია. გაიწელა და გაგრძელდა ის ღამეც. ყველაფერი იწყება და თავდება. ის ღამეც, როგორც იქნა, გათავდა. გათენდა. გარიჟრაჟდა. ბიჭი ლოგინიდან წამოდგა, წამოდგა და ფეხები არ დაემორჩილა, ისევ დაწვა.

მშობლები დიდი ხანია ფეხზე არიან, შვილი კი ლოგინიდან ჯერაც არ ამდგარა. ბოლოს მზე შუბის წვერზე რომ მოექცა, მამა შეწუხდა, შვილის ოთახში შევიდა და ჰკითხა:

— შვილო, რა იყო, რა დაგემართა, რატომ არ დგებიო?

— მამა, ღმერთმა ჯან-ღონე არ მოგაკლოს, ცუდად ვარ.

მოხუცმა მდიდარმა თითზე იკბინა, მიხვდა, რაც მოხდა. ინანა, შვილი შინიდან რომ გაუშვა. მაგრამ შვილს ამით ვერ უშველიდა. წევს ბიჭი და ვერ დგება. ლოგინში მიტანილ საჭმელ-სასმელს პირს არ აკარებს. მშიერ-მწყურვალია. მდიდარმა კაცმა ყველა ექიმი და ექიმბაში მიიყვანა და ვერაფერი უშველეს. ვაჟი ავადმყოფობის მიზეზს მალავდა.

მდიდრის შვილს ერთადერთი მეგობარი ჰყავდა, ღარიბი კაცის შვილი. ბიჭები უერთმანეთოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდნენ. მდიდრის შვილი ლოგინად რომ ჩავარდა, ღარიბის შვილი მაშინვე მის სანახავად მივიდა. მის ოთახში ტომრით ნაცარი შეიტანა, დაჯდა ძირს და თავზე ნაცარს იყრიდა.* დიდხანს უყურა ამას მდიდრის შვილმა, გულმა ვეღარ გაუძლო და დაიძახა:

— გული გაგისკდეს, რა გულს მიხეთქავ, მაგას რას შვრები?

ამის შემდეგ ღარიბი კაცის ვაჟმა მდიდრის ვაჟს ასე უთხრა:

— განა შენ კი არ მიხეთქავ გულს, შენი სიჩუმით? ხმას რატომ არ მცემ? მეგობარმა მეგობრის ჭირიც და ლხინიც არ უნდა გაიყოს?!

გაეღიმა მდიდრის შვილს და უპასუხა:

— ხო, მართალი ხარ, ყველაფერს მოგიყვები.

ადგა ღარიბი კაცის შვილი, ნაცარი დაიფერთხა, ავადმყოფს ლოგინზე ჩამოუჯდა და მეგობარმა მეგობარს დაწვრილებით უამბო, რაც გადახდა. მოყოლა რომ დაამთავრა, ღარიბი კაცის შვილმა უთხრა:

— ეგ ქალი პირსისხლიანი ფადიშაჰის შვილია და შვილის გათხოვება არ უნდა.

შეყვარებულმა ყმაწვილმა წაილუღლუღა:

— ეგ ქალი თუ ჩემი გახდა, მოვრჩები, თუ არადა, ჩემი მკურნალი არავინაა.

ღარიბი კაცის შვილი შეწუხდა, მაგრამ არ შეიმჩნია და დასამშვიდებლად უთხრა:

— კარგი, დამშვიდდი, რაღაცას ვიზამთ.

ადგა ღარიბი კაცის შვილი, მდიდარ მოხუცთან მივიდა და უთხრა:

— ძვირფასო მდიდარო კაცო, შენი შვილი შეყვარებულია და ავადაც ამიტომ არის.

— მითხრას, ვინ უყვარს და უმალვე დავაქორწინებ.

ღარიბი კაცის შვილმა უთხრა, რაც იცოდა და თან დაუმატა:

— ბევრ ყმაწვილს ვიცნობდი, იმ ციხის პატრონის ხელით რომ დაიღუპნენ. რამე უნდა ვიღონოთ, თორემ ამ საქმეს კარგი პირი არ უჩანს.

დაღონდა მდიდარი კაცი, თავში ხელი შემოირტყა და თქვა:

— აკი ვიცოდი და დავუშალე აღმოსავლეთისაკენ წასვლა. მთელ ჩემს ავლადიდებას მივცემდი იმას, ვინც შვილს გადამირჩენდა. რა ვქნა, მივალ იმ პირსისხლიან ფადიშაჰთან, იქნებ რამე მოვახერხო.

მდიდარმა მსახურებს დაუძახა და წასასვლელად გაემზადა. მსახურებმა ცხენი შეუკაზმეს, ხურჯინში საგზალი ჩაუდეს და რამდენიმე მსახურთან ერთად გაემართა ფადიშაჰთან შესახვედრად. ბევრი იარეს თუ ცოტა, შვიდი დღის შემდეგ მიადგნენ სისხლისმსმელი ფადიშაჰის ციხის კარს. მანამდე მდინარესთან ცოტა ხნით ჩაიმუხლეს, ხელ-პირი დაიბანეს, ცხენები დაარწყულეს, ჭამეს, სვეს და ამის შემდეგღა მიადგნენ ციხის კარს.

მდიდარმა კაცმა თუჯის კარზე დააკაკუნა. კარი სისხლისმსმელმა ფადიშაჰმა გაუღო.

— სალამ ალეიქუმ! — მიესალმნენ მისულები.

— ვაალეიქუმ ასსალამ! — უპასუხა ციხის პატრონმა. — მობრძანდით.

— კეთილი იყოს ჩვენი ფეხი, — თქვა მდიდარმა.

მსახურებმა ცხენები დააბეს, სტუმრები და მასპინძელი სახლში შევიდნენ. ფადიშაჰმა სტუმრების მისაღებად სუფრის გაშლა ბრძანა. სუფრას ჩიტის რძე არ აკლდა. ჩამოარიგეს საუკეთესო ღვინით სავსე სურები. მდიდარი კაცი არ ჩქარობდა, სათქმელი ასე დაიწყო:

— გმადლობთ მასპინძლობისთვის. მე აქ ერთი საქმისთვის მოვედი, თუ ჩვენ ის საქმე ერთად არ გადავწყვიტეთ, საჭმელს პირს არ დავაკარებ.

მასპინძელმა შუბლზე ხელი დაიდო* და უპასუხა:

— თქვი, რაც გინდა.

მდიდარმა უთხრა:

— ამა და ამ დღეს, ამა და ამ თვეს, ერთხელ ჩემმა ერთადერთმა ვაჟმა შენს ციხესიმაგრესთან ჩაიარა და წყლის დასალევად შემოვიდა. წყალი შენმა მზეთუნახავმა ქალმა დაალევინა. ჩემმა შვილმა ერთი ნახვით შეი-

ყვარა და დღემდე ავად არის, ლოგინად ჩავარდა. სამი თვეა ფეხზე არ ამდგარა. დავასიე ექიმი, ექიმბაშები, მაგრამ ვერ განკურნეს. ჩემმა შვილმა თავის მეგობარს უთხრა: იმ მზეთუნახავს თუ შევირთავ, მოვრჩები, თუ არა — არავინ და ვერაფერი მომარჩენსო. ეს არის ჩემი შენთან მოსვლის მიზეზიც და მიზანიც. მინდა, ჩემი ვაჟისთვის შენი ქალის ხელი გთხოვო და ამისთვის არაფერი მენანება.

როგროც წესი და რიგია, მასპინძელმა ბოლომდე მოუსმინა და უთხრა:

— ძვირფასო მდიდარო, იცოცხლე და იდღეგრძელე. მაგ თხოვნით ბევრი მოსულა ჩემთან და ვინც მოსულა, ყველას ასე ვეუბნებოდი, მე ქალი არა მყავს-მეთქი. შენ კი ამას ვერ გეტყვი, შენმა შვილმა ჩემი ქალი ნახა, მაგრამ ჩემს ქალს ვერ მივათხოვებ, რადგან მას პატრონი ჰყავს. იმ პატრონის სახელის თქმის უფლება მე არა მაქვს.

ეწყინა მდიდარს და ძალიან შეეხვეწა ქალის მამას. ქალის მამამ იფიქრა, იფიქრა და ასე უთხრა:

— ერთი პირობით, დღით ქმართან იყოს, საღამოს უკან უნდა დაბრუნდეს.

მდიდარმა დაიძახა:

— ეგ როგორ იქნება, ეგეთი რამ სად გაგონილა?!

აღშფოთდა, მაგრამ სხვა რა გზა იყო, დათანხმდა. სულ არარაობას ეს ხომ მაინც უნდა ერჩია! ერთ დღეს მეორე დღე ხომ მოჰყვება და, რაც არის, არის, იყოს ნება ქალის მამისაო.

სისხლისმსმელმა ფადიშაჰმა და მდიდარმა კაცმა დადეს ხელწერილი, სადაც ჩაწერეს ქალის მამის პირობა. ხელი მოაწერეს. დასხდნენ და ქეიფი გათენებამდე გააგრძელეს.

დილაადრიანად მდიდარი კაცი და მისი მხლებლები შინ დაბრუნდნენ. მოუტანეს ვაჟს სასიხარულო ამბავი.

ამ ამბის გაგონებაზე ვაჟი ფეხზე წამოდგა.

ქორწილის დღეც მალე დადგა. მდიდარმა ყველა მისი ახლობელი და მეგობარი ქორწილში დაპატიჟა. შვიდი დღე და შვიდი ღამე არ გაჩერებულა ბარაბანი და ზურნა, მოილხინეს.

ქორწილის დროს ქალი დღისით იქ იყო, ღამით — მამასთან მიდიოდა.

დამთავრდა ქორწილი, დამთავრდა საქორწილო ლხინი და საზრუნავი. დარჩნენ ორნი, ქალი და ვაჟი, ახალდაქორწინებულები. ვაჟი ცოლს ეკითხება:

— ღამღამობით მამაშენთან რატომ მიდიხარო?

— მაგის თქმის უფლება არა მაქვსო, — უპასუხა ქალმა.

გადიოდა დრო, დღეები და თვეები და არაფერი იცვლებოდა. ქალი დღისით ქმართან იყო, ღამით — მამასთან. ყმაწვილს ეს ამბავი მობეზრდა, თანაც ხალხის რცხვენოდა. ხან იმას ამბობდა, ვითომ ცოლი ბიძასთან წავიდა, ხან მამასთანო, ხან — სად და ხან — სად.

ერთხელ ვაჟი სახლის ჭიშკრის გარეთ ჩაფიქრებული იჯდა. იქვე მოხუცმა ჩაიარა, შეხედა ყმაწვილს და მიხვდა, ამას რაღაც დარდი აქვსო. შეჩერდა მოხუცი და ასე უთხრა:

— საღამო მშვიდობისა გქონდეს, შვილო!

მდიდრის შვილმა უპასუხა:

— შენცა.

მიუჯდა მოხუცი ვაჟს და გამოჰკითხა:

— რა გადარდებს? თუ რამე დარდი გაქვს, მითხარი, იქნებ დაგეხმარო?!

ვაჟმა უპასუხა:

— რომ გითხრა, მაინც ვერაფრით მიშველი.

მოხუცმა ჯიბიდან ქუდი ამოიღო, ვაჟს დაახურა და ეკითხება:

— მხედავ?

— გხედავ.

— მე კი ვერ გხედავ, — უთხრა მოხუცმა. მისცა ქუდი ვაჟს და თან დააყოლა:

— აიღე, გამოგადგებაო!

მდიდრის შვილმა მადლობა უთხრა მოხუცს და ერთმანეთს დაშორდნენ.

დილით ქალი შინ რომ დაბრუნდა, ქმარი გახარებული დახვდა. ქალს გაუხარდა, მთელი დღე ცოლ-ქმარი ხუმრობდნენ, იცინოდნენ. დღე ისე გავიდა, ღამის დადგომა ვერ იგრძნეს. ქალს ეტლმა მოაკითხა. ქალი ქმარს გამოეთხოვა და გარეთ გავიდა. ვაჟმა უჩინმაჩინის ქუდი დაიხურა და გაუჩინარდა. ადგა და ცოლს უკან გაეკიდა. ისიც ეტლში ჩაჯდა და ამჯერად ერთად წავიდნენ.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ეს სულერთია, მივიდნენ სისხლისმსმელი ფადიშაჰის ციხესთან. ქალი ეტლიდან ჩავიდა და სახლისკენ წავიდა. ვაჟიც ფეხდაფეხ მიჰყვა. შევიდა ქალი თავის ოთახში და ქმარიც შეჰყვა. ქალი ტახტზე დაჯდა თუ არა, მაშინვე ინჩეგუზი მივიდა და ეკითხება:

— რა გნებავს?

— სულ ერთია.

გავიდა ინჩეგუზი და ქიშმიშიანი ფლავი მოუტანა, ფლავზე შემწვარი ბატი იდო. ქალმა ხელი დაიბანა და ჭამას შეუდგა. იგივე ქნა ვაჟმაც. ქალი ერთი მხრიდან ჭამს, ვაჟი — მეორედან. ჭამას რომ მორჩნენ, ინჩეგუზი ოთახში შემოვიდა და სუფრა აალაგა. ქალმა გაიხადა და დაწვა დასაძინებლად. ვაჟმაც გაიხადა და მეორე საწოლში დაწვა. ქალი დაწვა და დაიძინა.

ვაჟი თვალსაც არ ახამხამებს, წევს და ელოდება, რა მოხდება.

უცებ, შუაღამისას გრგვინვა გაისმა, მთელი სახლი აზანზარდა. ხედავს ვაჟი, რომ ბანი ისე გადაიხსნა, როგორც კარის დარაბები და ოთახში ოქროს სკივრი შემოფრინდა. როგორც კი იატაკზე დაეშვა, ქალი წამოხტა, ჩაიცვა, ჩაჯდა სკივრში, სკივრის სახურავი ბრახუნით დაიხურა, მაშინვე ზევით აიჭრა და გაუჩინარდა. სახლის ბანი ისევ დაიხურა და ყველაფერი ძველებურად დადგა. მდიდრის შვილი გაკვირვებული წევს და ასეთი საოცრებისა ვერაფერი გაუგია. ფიქრობს: „ახლა ვიცი, შინ რატომ ბრუნდება, მაგრამ ეგ სკივრი სად გაფრინდა და სად წაიყვანა, რომ ვერ გავიგეო?!" წევს და ფიქრობს ამაზე, ფიქრში ჩაეძინა. გრუხუნმა გააღვიძა, სახლი ზანზარებდა გრუხუნისაგან. ისევ გაიხსნა სახურავი, ისევ მოფრინდა ოქროს სკივრი, შიგნიდან ქალი ამოვიდა და სკივრიც ისევ გაფრინდა. უკვე თენდებოდა. ქალმა ოთახი მიალაგ-მოალაგა. ხელ-პირი დაიბანა, გამოეწყო. ერთი სიტყვით, ქმართან წასასვლელად მოემზადა. თავის სახლის კართან ვაჟი ეტლიდან გადმოხტა, თავის ოთახში გაიქცა, უჩინმაჩინის ქუდი მოიხადა და ლოგინში ჩაწვა. ქალი ოთახში შევიდა და მძინარე ქმარი რომ ნახა, დაიძახა:

— რა დროს ძილია, ამდენ ხანს ძილი ვის გაუგია?!

ვაჟმა თვალები გაახილა და უთხრა:

— რატომ გამაღვიძე?! საინტერესო სიზმარი შუაზე გამაწყვეტინე!

ქალს გაეცინა:

— მომიყევი, რას ხედავდი.

ვაჟმა დაიწყო:

— ვნახე, რომ მე და შენ ერთად ჩავსხედით ეტლში და მამაშენის სახლში მივედით. იქ ქიშმიშიანი ფლავითა და შემწვარი ბატით გაგვიმასპინძლდნენ. მერე დავწექით და დავიძინეთ. მალე რაღაც გრუხუნმა გაგვაღვიძა, ყველაფერი ზანზარებდა, სახურავი გადაიხსნა და ოთახში ოქროს სკივრი მოფრინდა, ჩაჯექი იმ სკივრში და გაფრინდი. მერე რა მოხდა, ვერ გავიგე იმიტომ, რომ გამაღვიძე.

ქალს გაუკვირდა სიზმარი, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ადექი, — უთხრა ქალმა, — ჩემზე ფიქრობდი და ეგ აბდაუბდა სიზმარიც ეგ არისო.

ვაჟმა არაფერი უპასუხა. ღამეს დაელოდა. დღე მეტისმეტად გაიწელა. მოსაღამოვდა და ქალიც მამასთან წავიდა. ქმარიც გაჰყვა. მამის სახლში ქალი დედასთან გაიქცა და მოუყვა ქმრის სიზმარი.

— ნუ გეშინია, ასე უთხარი, სიზმარს რა ჭკუა აქვს. რაც სიზმარშია, ის ცხადში ხომ არ ხდება-თქო! — დაამშვიდა დედამ.

ვაჟიც იქა დგას უჩინმაჩინის ქუდით და არა ჩანს.

ქალი თავის ოთახში შევიდა, ისევ ივახშმეს, ისევ ქიშმიშიანი ფლავი და შემწვარი ბატის ხორცი ჭამეს, ისევ გაიხადეს და ისევ დაწვნენ, ქალი ერთ საწოლში, ვაჟი— მეორეში. ისევ მოფრინდა ოქროს სკივრი, როგორც კი თავი აეხადა, ჩახტა ვაჟი შიგ და კუთხეში მიიყუჟა. შიგ ქალიც ჩაჯდა, აფრინდა ის სკივრი და როგორ ფრინავდა მაღლა თუ დაბლა, ბიჭმა არ იცოდა. შეიტყო, რომ შვიდი ზღვა და შვიდი მთა გადაიარა და მეშვიდე ცაში რაღაცა კარით შეფრინდა. როგორც კი სკივრი იატაკს შეეხო, აიხადა სახურავი და ქალ-ვაჟი ამოვიდნენ. ქალი ერთ ოთახში შევიდა, სკივრი — მეორეში. გაუკვირდა ვაჟს. სკივრს უკან გაჰყვა და ხედავს, იქ ორმოცი ერთნაირი სკივრია, ისეთები, ერთმანეთისაგან რომ ვერ გაარჩევ. შეეშინდა ყმაწვილს, სხვა სკივრში ჩვენი სკივრი არ შემეშალოსო. მივიდა და თავის სკივრთან დადგა.

მდიდრის შვილს საზის ხმა ჩაესმა. ისე ტკბილად უკრავდა ვიღაც, რომ შიში მალევე გაუქრა და საზის ხმას გაჰყვა. დიდი ოთახში აღმოჩნდა და ხედავს, ხალიჩებზე ორმოცი ქალი ზის და ხელში საზები უჭირავთ. ერთი ქალი მეორეს სჯობს სილამაზით. შეხმატკბილებით უკრავენ, მათ დაკვრას თვალტანადი ქალი ხელმძღვანელობს. თუ ვინმეს დაკვრა შეეშლება, ის ქალი ხელზე ოქროს ჯოხს არტყამს.

ნახა ბიჭმა ეს და უკვირს. ახლა ის ქალი მის ცოლთან მივიდა, ხელზე ოქროს ჯოხი დაჰკრა და უთხრა:

— რა დაგემართა, რატომ შეგეშალა?

ვაჟს ცოლი შეეცოდა. მივიდა, საზს ხელი მოჰკიდა და სხვების დაკრულს ხმა აუწყო. ქალს შეუმჩნევლად ჩაეძინა. როცა გაიღვიძა, ქმარმა კალთაში საზი ჩაუდო და განზე დადგა. განაგრძო ქალმა დაკვრა და ისევ დაარღვია, ხმა ვერ შეუწყო დანარჩენებს.

ბოლოს ხელმძღვანელმა ბრძანა, ჩასხედით სკივრებში და შინ დაბრუნდითო. ქალები ჩასხდნენ სკივრებში. ვაჟი ცოლის სკივრში ჩახტა და შინ დაბრუნდნენ. სკივრი ოთახში ჩაფრინდა, ამოვიდნენ სკივრიდან. ქალმა ძველებურად ოთახი მიალაგ-მოალაგა, გამოეწყო წასასვლელად და ქმართან ეტლით გაემგზავრა. ვაჟი ძველებურად უმალ ამოხტა სკივრიდან, გაიქცა თავის ოთახში, უჩინმაჩინის ქუდი მოიხადა და ლოგინში ჩაწვა. ქალი შევიდა და ხედავს, ქმარს სძინავს. ეუბნება:

— ამდენ ხანს როგორ გძინავს, ადექი.

ვაჟმა თვალები გაახილა, გაიზმორა და ცოლს უთხრა:

— ისევ გამაღვიძე, სიზმარი შემაწყვეტინე.

ქალმა უთხრა:

— კარგი, ადექი! ბოლო დროს სიზმრების ნახვას დაეჩვიე.

ადგა ვაჟი და, ვითომ სიზმარში ნახა, მოუყვა, რაც თავს გადახდა. ამ ამბავმა ქალი უფრო გააკვირვა, მაგრამ არ შეიმჩნია და არაფერი უთხრა.

ისევ გაიწელა დღე. ისევ დადგა საღამო. ქალი მშობლების სახლში წავიდა. ქმარიც გაჰყვა უჩინმაჩინის ქუდით. ქალი ისევ დედასთან გაიქცა და შესჩივლა:

— სიზმარში ყველაფერს ხედავს, რასაც ღამე ვაკეთებ!

დედამ ისევ დაამშვიდა:

— მერე რა, სიზმარი სიზმარია, ნახოს რაც უნდა!

შევიდა ქალი თავის ოთახში, ქმარიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ისევ დაუდგეს წინ საჭმელი. ჭამის თავი აღარა აქვს. პირი არ დააკარა. ზის და უყურებს ფლავს, ფლავი თავისით გაქრა, შეიჭამა. „ეს რა ამბავია?“ ფიქრობს ქალი. შეშინდა. გაიხადა და ლოგინში დაწვა. დაწვა ვაჟიც. ჩვეულებისამებრ მოფრინდა სკივრი. ქალი ჩაჯდა, ჩაჯდა შიგ ვაჟიც. აფრინდა სკივრი და ისევ იმ სასახლეში გაჩნდა, მეშვიდე ცაზე. ქალმა საზი აიღო, სხვებთან დაჯდა და დაუკრა. სხვები ხმაშეწყობით უკრავდნენ, ისევ ეს უკრავდა არეულად. ხელმძღვანელი მივიდა, ოქროს ჯოხით ცემა დაუწყო, თან უყვიროდა:

— აი, შე უხეირო, გვიღალატე, არა?! შეგიყვარდა ვიღაცა, არა?!

ვაჟმა ველარ მოითმინა, მივიდა იმ ქალთან, ხელი ხელში ჩაავლო და ისე მოუჭირა, რომ ატკინა. ხელიდან ოქროს ჯოხი დაუვარდა და დაიყვირა:

— წყეულიმც იყავი, გამიშვი ხელი!

ვაჟმა ხელი არ გაუშვა. უთხრა:

— დაიფიცე, რომ ცუდს არაფერს გვიზამ!

ხელმძღვანელმა უთხრა:

— ვინცა ხარ, გამიშვი ხელი და ცუდს არაფერს გიზამ, გეფიცები!

ვაჟმა უთხრა:

— ჩვენ ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი გვაქვს. აქ მე ჩემს ცოლთან ერთად მოვფრინდი. წავიყვან მას აქედან და ამის შემდეგ ღამ-ღამობით აქ აღარ მოვა, ქმართან დარჩება!

ხელმძღვანელი ეკითხება:

— ვინ არის ამათგან შენი ცოლი?

მდიდრის ვაჟი მივიდა ცოლთან, ხელი ჩაჰკიდა და თქვა:

— აი, ეს!

თავში შემოიკრა ხელმძღვანელმა და დაიყვირა:

— ჩემს სასახლეში კაცს ფეხი არასოდეს დაუდგამს! ვინ მოგცა უფლება გათხოვილიყავი?! რატომ დაარღვიე ჩვენი კანონი?!

ბოლოს დაწყნარდა და თქვა:

— კარგი, რაც არის, არის. რაღას ვიზამ, საქმეს ვერაფრით ვუშველი!

რახან უკვე ცოლ-ქმარნი ხართ, იყავით ბედნიერი. ახლა ყველანი შინ გაფრინდით!

ოცდაცხრამეტ სკივრში ჩასხდნენ ქალები სათითაოდ, მეორმოცეში კი — მდიდრის შვილი და მისი ცოლი. ხელმძღვანელმა შეულოცა და სკივრები გაფრინდნენ.

შვიდი ცა, შვიდი ზღვა და შვიდი მთა გადაირ-გადაიფრინა იმ ოქროს სკივრმა და ქალის ოთახში დაეშვა. ამოვიდნენ სკივრიდან და დედ-მამას უამბეს, რაც თავს გადახდათ. უთხრეს, რომ მეშიდე ცაზე მყოფმა ხელმძღვანელ-დიასახლისმა, ქალების მუსიკის მასწავლებელმა ყველა საზზე დამკვრელი გაათავისუფლა, დაითხოვა.

სისხლისმსმელმა ფადიშაჰმა თქვა:

— რახან ეს ყველაფერი ასე დამთავრდა, ჩემს ქალს დღეის შემდეგ ღამითაც ქმართან დარჩენა შეუძლია.

მდიდრის შვილმა ცოლს ხელი მოჰკიდა და შინ წაიყვანა.

ამბობენ, ამ ამბის შემდეგ დაწყნარდნენ და უფრო მეტად შეიყვარეს ერთმანეთიო.

მოხუცი ხის მჭრელის ქალები

იყო ოდესღაც ქვრივი კაცი. ჰყავდა სამი ქალი. ცხოვრობდნენ ერთად. ეს კაცი ძალიან ღარიბი იყო. მთელი მისი სიმდიდრე გაცვეთილი ცული იყო. თუმცა ჭკვიანი ხალხის თქმით, მდიდრისთვის ბედნიერება მისი ღარი და სალაროა, ღარიბისა კი — საქმე. მოხუც ხის მჭრელს გული სიხარულით ევსებოდა, როცა შვილებს უყურებდა. სხვისი არაფერი შურდა, არც გაჭირვებას და უქონლობას უჩიოდა. ზოგჯერ ცულს ხელს წამოავლებდა, წავიდოდა, ფადიშაჰის ტყეში წიწვების მოსაჭრელად. თან ქალებიც მიჰყვებოდნენ. წიწვების ნაწილს ყიდდა, ნაწილს — კერიაში ცეცხლის გასაჩაღებლად იტოვებდა. ასე გადიოდა წლები. ერთხელაც ფადიშაჰის კაცებმა შენიშნეს, რომ ბატონის ტყე ნელ-ნელა გამოიხშირა. ვიღაცა ტყეს იპარავსო, იფიქრეს და მოახსენეს ბატონს. ფადიშაჰმა ჩაუსაფრა კაცები ქურდს დასაჭერად და რომ დაიჭერდნენ, მისთვის თავი უნდა მოეჭრათ.

ერთხელ ფადიშაჰმა საუზმის შემდეგ თან ორი მსახური წაიყვანა და ტყეში წავიდა. გზაში ოთხი უცხო კაცი შეხვდა. ოთხივეს თითო შეკვრა წიწვი მიჰქონდა. ესენი იყვნენ მოხუცი ხის მჭრელი და მისი სამი ქალი.

— აი, ქურდები დავიჭირეთ, ჩვენს ტყეს იპარავენ, — დაიძახა ფადიშაჰმა და ცხენი მიუშვა მათზე. — ახლავე თავს წავაცლი!

მიადგა მოხუც ხის მჭრელს და მის გვერდით სამი ქალი რომ დაინახა, გაუკვირდა. თანაც სამივე შეუყვარდა. ბრაზი გაუნელდა და ხის მჭრელს თბილად უთხრა:

— იცი, ჭაღარა მოხუცო, რომ მეფის ქონების, ტყის ქურდობისთვის იქვე თავს აჭრიან?! თუ გინდა ეგ თავი მხრებზე შეგრჩეს, ერთი შენი ლამაზი ქალი ცოლად უნდა გამაყოლო!

მოხუცმა მხრებიდან შეკვრა ძირს დააგდო, ფადიშაჰს თავი მდაბლად დაუკრა და მოახსენა:

— ჩვენო ფადიშაჰო, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს. ვერც ერთ ქალს ცოლად ვერ მოგცემ. ეს იმათი ნებაა, მე მხოლოდ შემიძლია ვკითხო, უნდათ თუ არა შენი ცოლობა.

მოხუცმა უფროს ქალს ჰკითხა:

— ჩვენს ფადიშაჰს ცოლად ხომ არ გაჰყვები?

— არა, — უპასუხა უფროსმა.

იგივე ჰკითხა მამამ შუათანას. შუათანამ, ვიფიქრებო. შემდეგ უმცროსს ჰკითხა. უმცროსმა ასე უპასუხა:

— შენი სურვილი ჩემთვის ბრძანებაა. თანახმა ვარ გავყვე ფადიშაჰს ცოლად.

გაუხარდა ფადიშაჰს, მოჰკიდა ხელი ლამაზ ქალს, შეისვა ცხენზე და სასახლეში წაიყვანა.

ასე დაიწყო უმცროსმა ქალმა ფადიშაჰის გვერდით ცხოვრება. მოხუცი ხის მჭრელი და მისი ორი უფროსი ქალი კი ისევ თავიანთ გამჭვარტლულ ქოხში აგრძელებდნენ ცხოვრებას. ისევ ისე მიდიოდნენ ფადიშაჰის ტყეში და იქიდან ჩამოჭრილი წიწვები მოჰქონდათ, ნაწილს ყიდდნენ, ნაწილით თბებოდნენ.

ერთხელ მოხუცს უმცროსი ქალი მოენატრა და უფროს ქალებს უთხრა:

— წავალ, ვნახავ თქვენს უმცროსს დას. როგორ არის, როგორ ცხოვრობს.

ადგა და წავიდა. მივიდა ფადიშაჰის ქალაქში. დადის ქუჩებში და დაეძებს ფადიშაჰის სასახლეს. ერთ დიდ სახლთან რომ მივიდა, დაინახა აივანზე გადმომდგარი აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ქალი. თვალი ვერ მოაშორა მის სილამაზეს. თურმე ის ქალი მისი შვილი ყოფილა. შვილმა მამა რომ შენიშნა, მამამთილს სთხოვა მამის დაპატიჟება.

— ის კაცი მამაჩემია, — უთხრა.

მამამთილმა ძვირფასი სტუმარი შინ მიიღო.

ხედავს მამა, მის შვილს კარგი აბრეშუმის კაბა აცვია, გარშემო

ხალიჩებია გაფენილ-დაფენილი. მის შვილს გარს მოსამსახურე ევლება. გაუხარდა, მოეხვია ქალს და ასე უთხრა:

— ყოჩაღ, ქალო!

დასხდნენ და ერთმანეთს ამბავი ჰკითხეს, რა უჭირთ, რა ულხინთ.

მალე გასეირნებიდან ფადიშაჰიც დაბრუნდა. ნახა სიმამრი, გაუხარდა, მსახურებს უბრძანა სუფრის გაშლა და სიმამრისთვის ძვირფასი ხალათის მირთმევა.

სამი დღე-ღამე გაატარა ღარიბმა ხის მჭრელმა ქალთან, სიძის ოჯახში. მომდევნო დღეს ასე უთხრა:

— ხვავი და ბარაქა არ მოგეშალოთ, ღმერთმა ჯანი და ღონე მოგცეთ, მე კი გამიშვით და წავალ ჩემს ოჯახში, შვილებთან. ჩემი მოლოდინი ექნებათო.

ფადიშაჰმა სიმამრს ჰკითხა:

— საჩუქრად რა გინდაო?

მოხუცმა უპასუხა:

— თქვენი ჯანმრთელობაო.

— გმადლობთ. მაგრამ საჩუქარი მაინც უნდა მოგცე.

აჩუქა მოხუცს ეჟვანი და ასე უთხრა:

— ეტყვი ამას „ვოკუ ტეპ“ და შენ წინ ათასი ნუგბარი გაჩნდება. ახლა კი შეგიძლია წახვიდე!

გამოეთხოვა მოხუცი თავის სიძეს და ქალს, მძახლებს, მსახურებს და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა, ერთ ბორცვს მიადგა. მოშივდა. ავიდა ბორცვზე, ხურჯინიდან ეჟვანი ამოიღო და უთხრა:

— ვოკუ, ტეპ!

ამის თქმა ჯერ არ დაემთავრებინა, რომ მის წინ ათასი საჭმელი გაჩნდა. იყო პური, ფლავი, ტოლმა, ასევე ტკბილეული. ერთი სიტყვით, რაც გინდა, სულო და გულო!

გაძღა მოხუცი, ცოტა ღვინოც დააყოლა და თქვა:

— სახტობონი, ტეპ, გმადლობთ!

ეს რომ თქვა, გაქრა, რაც გაჩნდა. ჩაიდო ხურჯინში ეჟვანი და გაეშურა შინისაკენ, სადაც ქალები ელოდებოდნენ.

ბევრი იარა თუ ცოტა, ეს მხოლოდ მან იცის; ბოლოს, როგორც იქნა, მივიდა. შევიდა ქოხში, შვილებს გადაეხვია და უთხრა:

— შვილებო, გადით აულში და ყველა სტუმრად დაპატიჟეთ. მინდა ყველას გავუმასპინძლდე. მინდა იცოდნენ, რომ მოხუცი ხის მჭრელიც კაცია და გამასპინძლება შეუძლია.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და ფიქრობენ, მამაჩვენი ჭკუას ხომ არ გადასცდა, თუ გვეხუმრებაო. დგანან და ფეხს არ იცვლიან.

მოხუცმა მამამ გაუმეორა:

— შვილებო, წადით, სტუმრები დაპატიჟეთ.

მხრები აიჩეჩეს ქალებმა, მამას კი სიტყვას როგორ შეუბრუნებდნენ და წავიდნენ სტუმრების მოსაყვანად. დაიარეს სოფელი და ყველას ეუბნებოდნენ:

— მამა გეპატიჟებათ გაშლილ სუფრაზეო.

ხალხი დასცინოდა:

— თავისთვის არაფერი აქვს, სხვას რა უნდა აჭამოსო?!

გულში კი ფიქრობენ, მოდი, წავიდეთ, ვნახოთ, რა აქვს, რითი უნდა გაგვიმასპინძლდესო. ერთი ქოხიდან მეორეში გადადიან და ერთმანეთს ჩუმად ეუბნებიან:

— ბებერი კაცი ხომ არ გაგიჟდა? რა აქვს და რითი გვიმასპინძლდება? იქნებ რამე ახალი ამბავი უნდა გვითხრას?

მოხუცი ხის მჭრელი კი გამოვიდა გარეთ და კითხულობს:

— ყველანი აქა ხართო?

— ყველანიო, — უპასუხეს მისულებმა.

ამოიღო ხურჯინიდან თავისი ეჟვანი და ჩუმად უთხრა:

— ვოკუ, ტეპ, სტუმრებს უმასპინძლე!

თქმა ვერ მოასწრო, რომ ეზოში გაჩნდა მაგიდები, გადაეფარა სუფრა, გაიწყო საჭმელ-სასმელით. სავსეა პური, ფლავი, ქათმის ხორცი, მწვადი, შემწვარ-მოხრაკული, ღვინოც, ნამცხვარიც და ყველაფერი, რასაც კაცი ინატრებს.

— ჭამეთ, სვით, გაიხარეთ, შეგერგოთ, ჩემო კარგო სტუმრებო, — თქვა მოხუცმა და სუფრას შვილებთან ერთად მიუჯდა.

გვიან ღამემდე იქეიფეს და დრო ატარეს ხის მჭრელის ეზოში, მერე ნელ-ნელა დაიშალნენ და ყველანი წავიდნენ. მარტო ერთი მოხუცი კაცი არ წავიდა და ღამით ხის მჭრელთან დარჩა.

ერთად დასხდნენ მოხუცები. იმ მოხუცმა ეს მოხუცი ხის მჭრელი დაათრო, მოპარა ზღაპრული ეჟვანი და გაქრა. ხის მჭრელმა ქურდს ძებნა არ დაუწყო, ჩაქინდრა თავი და გულზე დარდი შემოაწვა. ისევ სიღარიბეში ცხოვრება მერგოო, იფიქრა. ნახეს ქალებმა დარდიანი მამა, მიხვდნენ რაშიც იყო საქმე და უთხრეს:

— კარგი, მამი, ნუ იდარდებ. ეტყობა, ასეთი ბედი გვქონია. სიმდიდრე და ქონება ჩვენი საქმე არა ყოფილაო.

ადგა მოხუცი და შვილებთან ერთად ფადიშაჰის ტყეში წიწვებისთ-

ვის წავიდა. ნაწილს ჰყიდდნენ, ნაწილით — თბებოდნენ. ცხოვრება ისევ ძველებურად მიდიოდა.

გავიდა სამი თვე და მოხუც მამას ისევ მოენატრა უმცროსი ქალი. იფიქრა, წავალ და ვნახავო. დაემშვიდობა უფროს ქალებს და წავიდა.

უმცროს ქალს მამის ნახვა გაუხარდა. გაუხარდა სიმამრის ნახვა სიძესაც. გაიშალა სუფრა. ლხინში დრო ატარეს მოხუცმა ხის მჭრელმა, სიძემ და ხის მჭრელის ქალმა. მეოთხე დღეს მოხუცი შინ წასასვლელად გაემზადა. სიძემ ისევ ჰკითხა:

— საჩუქრად რა გინდაო?

სიმამრმა უპასუხა:

— თქვენი ჯანი და ბედნიერებაო!

ამჯერად ფადიშაჰმა მოხუცს ქისა აჩუქა და უთხრა:

— ქისას უთხარი „სურხე-ზარ“ და შიგნიდან თვალ-მარგალიტი გადმოიყრება.

მადლობა გადაუხადა მოხუცმა ხის მჭრელმა მასპინძლობისა და საჩუქრისათვის; ყველას გამოემშვიდობა და წავიდა. გავიდა ერთი საათი, ორი, სამი, მოხუცს გული არ უძლებს, უნდა ნახოს ქისიდან როგორ გადმოიყრება თვალ-მარგალიტი. მივიდა ისევ ბორცვთან, ამოიღო ქისა და უთხრა:

— სურხე-ზარ!

თქმა არ დაემთავრებინა, რომ ხურჯინი ოქროს ფულით და ბრილიანტით გაივსო. გაუხარდა მოხუცს, ხელში ამდენი განძი ჩაუვარდა. იფიქრა, „ახლა კი მდიდრად ვიცხოვრებო“.

შინ მივიდა მამა და შვილებს ეს მშვენიერი ქისა აჩვენა.

— აბა, მოდით, შვილებო, რა გაჩვენოთ. — ქისას კი უთხრა: — სურხე-ზარ!

ქისის ხალიჩაზე დადება ვერ მოასწრო, რომ შიგნიდან ოქროს ფული და ბრილიანტი გადმოიყარა. დებს გაუხარდათ, ბღუჯა-ბღუჯა ხვეტენ ოქროს და ბრილიანტის ქვებს, იცინიან და მამას ეხვევიან.

სამი დღის შემდეგ მოხუცი აბანოში წასასვლელად გაემზადა, ძვლებს გავითბობო. თან ქისის წაღება ინდომა. ქალებმა დაუშალეს:

— მამა, ქისა შინ დატოვე. ნახავს ვინმე და მოგპარავსო.

მოხუცმა ხის მჭრელმა არ დაუჯერა შვილებს. ქისა ხალათის ჯიბეში ჩაიდო და აბანოში წავიდა.

აბანოში ერთი აბაზი გადაიხადა. გაიხადა და ბანვას შეუდგა. მეაბანოეს ჩვევად ჰქონდა მუშტრის ჯიბეებში ქექვა. ხის მჭრელს ჯიბეში ქისა უპოვა, ამოიღო და დამალა. ნაბანები ხის მჭრელი გამოვიდა, ხალათის

ჯიბეში ხელი ჩაყო და შიგ ქისა რომ ვერ ნახა, ეცა მეაბანოეს, დამიბრუნე ჩემი ქისაო.

იმან კი:

— შენ ხომ არ გაგიჟდი. ღარიბ კაცს ქისა ვინ მოგცა! მე შენი არაფერი მაქვს და მაგას არც ვინმე დაგიჯერებს. სჯობს, შინ წახვიდე, ხათაბალაში არ გაეხვიო.

რა უნდა ექნა საცოდავ ხის მჭრელს. თავჩაქინდრული წავიდა შინ და შვილებს მოუყვა, როგორ დაკარგა ქისა. შვილები გაუჯავრდნენ, არ დაგვიჯერე და იმიტომო. სიტყვით საქმეს ვერ უშველიდნენ და ისევ ძველებურად დაიწყეს ცხოვრება.

სამი თვე ის ოქრო და ბრილიანტი, რაც ქოხში დარჩათ, ხარჯეს, მერე ისევ გავიდნენ ტყეში წიწვის მოსატანად, ნაწილს ჰყიდდნენ, ნაწილს ცეცხლში შესაკეთებლად ტოვებდნენ.

მამას უმცროსი შვილი ისევ მოენატრა. წავალ, ვნახავ, თან ვუჩივლებ ფადიშაჰთან იმ მეაბანოეს და იმ მოხუცს, რომლებმაც ეჟვანი და ქისა— სიძის საჩუქრები მომპარესო. ადგა, დაემშვიდობა შვილებს და წავიდა.

ქალსა და სიძეს მოხუცის ნახვა გაუხარდათ. გაიშალა სუფრა. დასხდნენ სუფრასთან, გავიდა დრო, ცოტა რომ ჭამეს და სვეს, ხის მჭრელი სიძეს მოუყვა იმ მოხუცისა და მეაბანოეს ქურდობის ამბავს. მოუსმინა სიძემ სიმამრს და უთხრა:

— ეგ არაფერია. მთავარი ჯანმრთელობაა. არ იდარდო. ამჯერად ჯოხს გაჩუქებ. შეახებ ამ ჯოხს, ვისაც გინდა, ეტყვი „ზე-კუშ" და მერე რაც მოხდება, ნახავ და მიხვდები, რაც უნდა ქნა.

მოხუცი სიძესთან სამ დღე-ღამეს დარჩა. მეოთხე დღეს მადლობა გადაუხადა მასპინძლობისა და საჩუქრისთვის, აიღო ჯოხი და წამოვიდა.

ბევრი იარა თუ არა, ეს მარტო იმან იცის. მე კი ვიცი, რომ ბორცვთან ჯოხის გამოცდა მოინდომა. ამოიღო ჯოხი, მხარზე დაიდო და თქვა: „ზე-კუშ!".

თქმა არ დაემთავრებინა, რომ ჯოხმა აუჭრელა მხრები, ზურგი და გვერდები ისე დაურბილა ცემით, რომ აყვირდა: მიშველეთო. ბოლოს მოიფიქრა და ჯოხს მადლობა გადაუხადა. ჯოხი გაჩერდა. ხის მჭრელმა ჯოხი ხურჯინში ჩადო და გზა განაგრძო. მივიდა აულში. მიდის და ფიქრობს, მივალ იმ მოხუცთან, ეჟვანი რომ მომპარა და იმ მეაბანოესთან ქისა ჯიბიდან რომ ამომაცალა და ჭკუას ვასწავლიო. ყოჩაღ, ჩემო სიძევ, ასეთი კარგი ჯოხი რომ მაჩუქეო! ჯოხმა მე რომ გვერდები ამიჭრელა, ღირსი ვიყავი, ჩემს ქალებს რომ არ დავუჯერე და არ გავუფრთხილდიო.

შევიდა აულში, ქურდი მოხუცის ქოხთან მივიდა და დაუძახა.

— დამიბრუნე ეჟვანი, ქურდო!

ქურდი გამოვიდა, იფიცება და თან აქეთ იმუქრება. ამოიღო ხის მჭრელმა თავისი ჯოხი, ზურგზე შეახო და უთხრა:

— ზე-კუშ!

დაიწყო ჯოხმა ქურდის ბეგვა, ურტყამს ზურგზე, მხრებზე, გვერდებზე, თავზე. ხის მჭრელი ისევ ეუბნება ქურდ მოხუცს:

— დამიბრუნე ეჟვანი, ქურდო!

ჯოხი კი ურტყამს, ისე სცემს, რომ ძირს დააგდო და ფეხზე ვერ დგება. ბოლოს, ჯოხის პატრონს შეეხვეწა:

— ნუღარ მცემ და დაგიბრუნებ მაგ შენს ეჟვანსო.

ხის მჭრელმა ჯოხს მადლობა გადაუხადა და ჯოხიც გაჩერდა.

ნაცემმა მისცა ეჟვანი და ახლა მეაბანოესთან მივიდა.

— დამიბრუნე ჩემი ქისაო!

მეაბანოემ ხელი ჰკრა და კარს იქით გააგდო. ამოიღო ხის მჭრელმა თავისი მშვენიერი ჯოხი, შეახო ქურდს და უბრძანა:

— ზე-კუშ!

ჯოხი საქმეს შეუდგა. ურტყამს, ძვალ-რბილი გაუერთიანა, ყვირის კაცი, ხალხი არა ხართ?! მოდით, მიშველეთო! გამოცვივდნენ აბანოდან ტიტველი კაცები, უყურებენ სეირს და ვერაფერს ხვდებიან.

ხის მჭრელი გაჰყვირის:

— ქურდო, სხვის ჯიბეში რომ ძვრები, დამიბრუნე ქისა!

ნაცემმა კაცმა ამოილუღლუღა:

— კარგი, ნუ მცემ, მოგცემო.

მადლობა გადაუხადა ხის მჭრელმა ჯოხს და ისიც გაჩერდა.

აიღო ქისა და შავი დღე რომ დააყარა ორივეს, ახლა თავის გამჭვარტლული ქოხისკენ წავიდა. შევიდა და შვილებს ჯოხისა და მისი გმირობის ამბავი მოუყვა. გაუხარდათ შვილებს. ჩვენს უმცროს დას და სიძეს ღმერთმა ჯანი მისცეს და დიდი ხნის სიცოცხლეო, დალოცეს. მამას ასე უთხრეს:

— მამი, რად გვაშიმშილებ, ეჟვანს უთხარი, პური გვაჭამოსო.

ხის მჭრელმა:

— ვოკუ, ტეპ! — თქვა და სუფრა გაიშალა, გაიწყო ნუგბარ-ნუგბარით. ჭამეს, გაძღნენ, დაისვენეს. გავიდა დრო და მოხუც ხის მჭრელს ქისამ ქვითკირის ორი დიდი სახლი აუშენა, შიგნით გაწყობილი, დამშვენებული. შესახლდნენ: ერთ სახლში ერთი ქალი, მეორეში — მეორე. მოხუცი კი ხან ერთთან მიდიოდა სტუმრად, ხან — მეორესთან. ამბობდა:

— ახლა სასიძოები ბუზებივით დამეხვევიან და ფეხებსაც დამიკოცნიან. სანამ ფული არა მქონდა, არავის ვჭირდებოდი. ყველას მდიდარი

უნდა. მე მდიდარი არა მჭირდება, სიძედ ღარიბი და ჭკვიანი ყმაწვილი მინდა, რომ ტკბილად და ბედნიერად იცხოვრონო.

მოხუცი ასეც მოიქცა. შერთო შვილებს ღარიბი და ჭკვიანი ყმაწვილები. მერე ხან ერთთან, ხან მეორესთან და ხანაც მესამესთან დადიოდა სტუმრად. სიძეები დიდი პატივით ხვდებოდნენ, სუფრის თავში სვამდნენ, ქვეშ რბილ ბალიშს უდებდნენ. მოხუცს კი უხარია, იგრიხავს წითურ ულვაშებს და ასე ამბობს:

— არც ისე ცუდი ყოფილა ქალების ყოლაო.

ღარიბის შვილი

რა გითხრათ, ვისზე მოგიყვეთ?

მოგიყვებით ზღაპარსა თუ მართალსა. ეს დიდი ხნის წინათ იყო. ერთ ქალაქში მოხუცი ქალი და მისი ვაჟი ცხოვრობდნენ. ღარიბ-ღატაკები იყვნენ. დილით ადრე ადგებოდა შვილი და ბაზარში მიდიოდა, რომ მდიდარ ვინმეს ან ვაჭარს მუშად დასდგომოდა. რასაც შოულობდა, შინ მიჰქონდა და დედას აძლევდა. ერთხელაც, როცა ბაზარში მივიდა, მთელი დღე უქმად დახარჯა, არავინ აიყვანა სამუშაოდ. დარდიანი ქალაქში გავიდა და ხეტიალში თერძის სახელოსნოსთან აღმოჩნდა. ის თერძი შაჰის შვილის ხელოსანი ყოფილა. თერძმა უცხო ვაჟი სახელოსნოში შეიყვანა. ბიჭი მოუყვა თავის ამბავს. შეეცოდა თერძს ვაჟი და სახელოსნოში მუშაობა შესთავაზა. შეთანხმდნენ. ერთს შუადღემდე უნდა ემუშავა, მეორეს — დაეძინა, შუადღის შემდეგ კი — პირიქით. კიდევ ერთი პირობა დადეს, დროზე ადრე ერთს მეორე არ უნდა გაეღვიძებინა.

დილით ხელოსანი საქმეს შეუდგა, ვაჟი დასაძინებლად დაწვა. სიზმარი ნახა: ვითომ ხელი გაიწვდინა და ცაზე მთვარე დაიჭირა, გაიწვდინა მეორე ხელიც და მზეს მისწვდა. ჩაისვა მზე და მთვარე კალთაში, ეთამაშება და ეფერება.

ამ დროს სახელოსნოს პატრონმა ვაჟი გააღვიძა.

— ადე, ბიჭო, რა დროს ძილია!

ვაჟს გაეღვიძა და ხედავს, რომ შუადღემდე დრო ჯერ არ მისულა.

— რატომ გამაღვიძე, ჯერ ხომ ადრეა? — უსაყვედურა ოსტატს, — ისეთ კარგ სიზმარს ვხედავდი!

ოსტატმა უთხრა, მომიყევი, რა ნახეო.

— მე თვით შაჰსაც არ მოვუყვები ჩემს სიზმარს, არათუ შაჰის შვილის ხელოსანს.

ეწყინა ოსტატს ყმაწვილის თავხედობა და შაჰის შვილს მიჰგვარა.

შევიდნენ შაჰის სასახლეში. ოსტატმა შაჰის შვილს მოუყვა ბიჭის საქციელი. გაბრაზდა შაჰის შვილი და დაუყვირა:

— ვინ მოგცა ნება, ჩემს მსახურს ასე მოექცე?! მოყევი სიზმარი!

— მამაშენი, შაჰ-აბაზიც რომ მოვიდეს და მიბრძანოს, იმასაც არ მოვუყვები ჩემს სიზმარს.

მაშინ შაჰის შვილმა ბრძანა ქალაქგარეთ დილეგში ჩააგდეთო!

ვაჟი დილეგში ჩააგდეს. იდარდა, რა ბედი მქონიაო. მერე დარდიანს ჩაეძინა. რომ გაელვიძა, იფიქრა, შიმშილით ხომ არ უნდა მოვკვდე, რასაც ადამიანები ჭამენ, ყველაფერი მიწაზე მოდის. რა იქნება, მიწა ვჭამოო. ასე დაიწყო მიწის ჭამა, თხრიდა და ჭამდა. ასე გათხარა გრძელი გვირაბი. გვირაბმა მიწის ზევით აიყვანა, ავიდა და ნახა გალავანი. გალავანზე გადაძვრა და მშვენიერ ბაღში აღმოჩნდა. შიგ მშვენიერი სასახლე იდგა. ამისთანა სასახლეში აუცილებლად უნდა შევიდეო, იფიქრა.

ღამით სასახლეში შეიპარა, კართან ოთახში მსახურებს ეძინათ. ვაჟმა ფრთხილად შეაღო კარი და ოთახი გაიარა. შევიდა სხვა ოთახში, შუა ოთახში ოქროს საწოლი იდგა, შიგ ვიღაცას ეძინა, ეხურა ლამაზი საბანი. საწოლის ორივე მხარეს ვერცხლის მაგიდები იყო. ერთზე შემწვარი ბატია, მეორეზე — ფლავი.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, ფლავი უნდა ვჭამო, — თქვა, დაიკაპიწა სახელო და ბატისა და ფლავის ჭამას შეუდგა. შეჭამა ნახევარი ბატი და ნახევარი ფლავი. მოიწმინდა ტუჩები და ოქროს საწოლისკენ წავიდა. ფრთხილად გადახადა საბანი და ხედავს მის წინ მზეთუნახავი წევს, თვალს რომ ვერ მოწყვიტავ. აკოცა ლოყაზე და ჩუმად გავიდა სასახლიდან. მივიდა და ისევ მიწაში დაიმალა.

რა მოგიყვეთ, ვის შესახებ მოგიყვეთ?

მოდით, იმ მზეთუნახავის შესახებ მოგიყვებით, შაჰ-აბაზის შვილის ქალზე.

გაიღვიძა და პურის ჭამა რომ დააპირა და ნახა, მისი საჭმელი სხვას ეჭამა, დაიბარა მეგობარი ქალები და ჰკითხა:

— ჩემს ოთახში ვინ შემოვიდა?

— არავინ, გეფიცებით ჩვენს მამა-პაპებსო.

დაიბარა დარაჯები და ახლა მათ ჰკითხა:

— მითხარით, რომელი იყავით ჩემს ოთახშიო?

— არავინ, გეფიცებით მამა-პაპას, — უპასუხეს დარაჯებმა.

— ჰეი, თქვენ უხეიროებო, რა, დაბრმავდით! — გაბრაზდა მზეთუნახავი.

ქალი სარკესთან მივიდა, თმა უნდა დაევარცხნა და ნახა, რომ იმ ლოყაზე, რომელზეც ვაჟმა აკოცა, კაკლისხელა ლაქა ადევს.

შაჰ-აბაზის შვილის ქალმა დარაჯებს უბრძანა: აბა, იფხიზლეთ და მოსულს თუ დაიჭერთ, მომგვარეთო.

დაღამდა. ამოძვრა მიწიდან ვაჟი და სასახლისკენ გასწია. კართან მივიდა. იფიქრა, მოდი, ჯერ არ შევალ, სანამ გვიანი ღამე არ დადგება. დარაჯებს არ ეძინებათ და გუშინდელი დამნაშავის დაჭერას ეცდებიანო. მართლაც, დიდხანს თვალი არ მოხუჭეს დარაჯებმა. თავზეხელაღებულის დაჭერას ფიქრობდნენ. მაგრამ შუაღამეს რომ გადაშორდა დრო, თავს ძლივს იკავებდნენ, ქუთუთოები დაუმძიმდათ. იფიქრეს, არავინ მოვაო და თვალს მოვატყუებთო.

შაჰის შვილის ქალმაც გადაწყვიტა, არ დაეძინა. ამისთვის თითი დაისერა, ზედ მარილი დაიყარა, ამეწვება და არ დამეძინებაო.

გადავიდა შუაღამე და ოთახში ვაჟმა შემოყო თავი. ქალმა თავი მოიმძინარა. ახურავს საბანი და იქიდან უყურებს, აბა, რას იზამსო. ვაჟმა სახელო აიკაპიწა და ჭამას შეუდგა. მიირთვა ნახევარი ბატი და ნახევარი ფლავი. მოიწმინდა ტუჩები, მივიდა მზეთუნახავთან. ის იყო სახიდან საბანი უნდა გადაეხადა, რომ ქალი წამოხტა, ხელი ხელში ჩაავლო და ძირს დაანარცხა.

— ვინ ხარ, ეშმაკი თუ ანგელოზი? — მკაცრად შეეკითხა ქალი.

— არც ერთი ვარ, არც მეორე, — უპასუხა ვაჟმა, — ისეთი კაცი ვარ, როგორიც შენ.

— იცი, მამაჩემმა რომ გაიგოს შენი აქ მოსვლის ამბავი, მოგკლავს.

— მე შაჰ-აბაზისაც არ მეშინია, — უპასუხა ვაჟმა.

შაჰის შვილის ქალს მოეწონა ვაჟი. ვაჟი მოუყვა ვინ იყო და თავს რა გადახდა. ბოლოს უთხრა:

— ცოლად გამომყევიო.

ქალმა:

— მამაჩემი ღარიბ-ღატაკს როგორ გამაყოლებს, როცა ჩინმაჩინის ფადიშაჰს თავისი შვილისთვის ვუნდოდი და იმას არ მიმცა. ჩინმაჩინის ფადიშაჰმა მამაჩემს გამოცანა უთხრა. მამაჩემმა ის თუ არ გამოიცნო, ჩინმაჩინის ფადიშაჰის ცოლობა არ ამცდება. მამაჩემმა, შაჰის შვილმა გამოაცხადა მთელს ქვეყანაში, ვინც იმ გამოცანას გამოიცნობს, უხვად დავასაჩუქრებო. იმ გამოცანის პასუხი მარტო მე ვიცი და სხვას არავის ეცოდინება. მოდი, ასე ვქნათ, მე გამოცანის პასუხს გეტყვი, შენ მამაჩემთან შედი და უთხარი: გამოცანის პასუხს გეტყვი, თუ შენს ქალს ცოლად შემრთავ-თქო.

შეთანხმდნენ. ვაჟი გამოვიდა სასახლიდან, გამოიპარა და ჩაძვრა ისევ ორმოში.

შაჰის შვილმა გამოცანაზე პასუხი მთელ ქვეყანაში რომ ვერ იპოვა, ბრძანა ის ყმაწვილი მომგვარეთ, დიდი ხნის წინათ ორმოში რომ ჩავაგდე, თუ ჯერ არ მომკვდარაო.

ითქვა და იქმნა. მოუყვანეს ვაჟი შაჰ-აბაზის შვილს.

— მე ჩინმაჩინის ფადიშაჰის გამოცანის პასუხს გეტყვი, — ეუბნება ვაჟი, — ოღონდ შენი ქალი ცოლად უნდა მომცე.

შაჰის შვილს არ უნდოდა ის ვაჟი სიძედ, შეაძლია თავისი სამეფოს ნახევარი, ვაჟმა სიმდიდრეზე უარი უთხრა. ბოლოს შაჰის შვილი დათანხმდა. საბუთზე ხელი მოაწერეს, სადაც ეწერა: „თუ გამოიცნობს ვაჟი გამოცანას, ცოლად შაჰ-აბაზის შვილიშვილს წაიყვანს, თუ არა — თავი წაეცლება!“ გამოცანა ასეთი იყო: ჩინმაჩინის ფადიშაჰმა სამი ვაშლი გამოგზავნა. ერთი ვაშლი წლევანდელი მოსავლისა იყო, მეორე — შარშანდელი, მესამე კი — შარშანწინდელი. გამოსაცნობი იყო, რომელი ვაშლი რომელი წლის მოსავალს ეკუთვნოდა.

ვაჟმა, როგორც ქალმა დაარიგა, მოატანინა ვედროთი წყალი, აიღო სამივე ვაშლი და თითო-თითოდ ჩაუშვა წყალში.

ვაშლზე, რომელიც წყალს ზედაპირზე მოექცა, ვაჟმა თქვა, შარშანწინდელიაო. ვაშლზე, რომელიც ვედროს ძირში აღმოჩნდა, — წლევანდელიაო, ხოლო შუაწყალში გაჩერებულ ვაშლზე კი — შარშანდელიო.

შაჰ-აბაზის ვაჟმა თავში ხელი შემოირტყა და დაუყვირა იქ მყოფთ:

— ჰეი, თქვე დოყლაპიებო. ესეთი ადვილი გამოცანა როგორ ვერ გამოიცანითო.

სხვა რა დარჩენოდა შაჰის შვილს, გაგზავნა ვაჟი თავის ქალთან.

— რა ქენი? — ჰკითხა ქალმა ვაჟს.

მოუყვა ვაჟი, რაც მოხდა.

— მადლობა ღმერთსო! — თქვა ქალმა.

თუმცა სიხარული ერთია და შურიანი ადამიანები კი ბევრნი. გაიგო ქალაქელმა მოლამ, შაჰ-აბაზის შვილი თავის ქალს ვიღაც ღარიბ კაცზე ათხოვებსო, შევიდა შაჰის შვილთან და ეუბნება:

— ჰოი, დიდებულო შაჰის შვილო, შენს ქალს ვიღაც ღარიბ-ღატაკს ცოლად როგორ ატან. განა ის შენი შვილის ღირსია?!

დაეთანხმა მოლას შაჰის შვილი და ასე უთხრა:

— შენ ჯადოქრობით ცნობილი კაცი ხარ. ჰქენი ისე, რომ ესენი ერთმანეთს დავაშოროთ.

იმავე დღეს მოლა მივიდა შაჰის შვილის ქალთან და ბევრს ეცადა

ღარიბი კაცის ცოლობაზე უარი ეთქმევინებინა. ამას რომ ეუბნებოდა, ვაჟი ქალის საწოლ ოთახში იყო დამალული.

მოლა ეუბნება:

— ეგ რა შენი ღირსია?! ცოლად ჩემს შვილს გაჰყევიო.

— მომშორდი თავიდანო! — დაითხოვა ქალმა.

მოლამ კი ყურანი ამოიღო, დაიწყო კითხვა და ჩუმად შეულოცა. ისმინა, ისმინა ვაჟმა მოლას ჩუმი შელოცვა. გულმა ვერ გაუძლო, გამოსტაცა მოლას ყურანი და თავში ჩაარტყა.

მოლამ ვაჟი დაწყევლა. ვაჟმა მოლას ხელი ჩაავლო და გარეთ გააგდო.

გაბრაზებული მოლა მივიდა შაჰის შვილთან და ეუბნება:

— დიდებულო შაჰო. შენ მე მოსაკლავად გამგზავნე, — და მოუყვა, რაც თავს გადახდა.

გაბრაზდა მამა და შვილს წერილი მისწერა:

„ცოლად მოლას ვაჟს უნდა გაგაყოლო. ეგ ღარიბ-ღატაკი კი მანდედან გააგდე!“

წაიკითხეს ეს წერილი ქალ-ვაჟმა და დადარდიანდნენ. ვაჟმა ბევრი იფიქრა, რა ექნა და მოიფიქრა.

როდესაც ჩამოღამდა, ვაჟი მინარეთთან მივიდა, დაელოდა, როდის მოვიდოდა მოლა, მინარეთზე ავიდოდა და დაიყვირებდა: „ალლაჰ აქბარ“. ვაჟი მოლას უკან გაჰყვა და მინარეთის თავზე ზურგიდან თავში ჩაარტყა და გადააგდო.

დილით შაჰ-აბაზის შვილთან ვეზირები მივიდნენ და უთხრეს:

— მოლა მოკვდა, მინარეთიდან გადავარდა!

დამარხეს მოლა და დაივიწყეს.

ორმოცი დღის შემდეგ შაჰ-აბაზის ვაჟის ქალისა და ღარიბი ვაჟის ქორწილი გადაიხადეს. კარგი სუფრა გაიშალა, იმღერეს, იცეკვეს, იმხიარულეს.

ერთი წელიც არ გასულა და ტყუპები ეყოლათ — ქალ-ვაჟი.

ჩინმაჩინის ფადიშაჰის ყურამდე მივიდა, რომ შაჰის შვილმა ქალი ღარიბ ვაჟს მიათხოვა და ის ვაჟი ძალიან ლამაზი და ჭკვიანიაო.

ფადიშაჰმა გულში ძვირი ჩაიდო და შაჰის შვილს წერილი მისწერა, შენი სიძე მასტუმრეო!

ესტუმრა ვაჟი ჩინმაჩინის ფადიშაჰს. დიდი პატივით მიიღო სტუმარი ფადიშაჰმა. ოცდაცხრა დღე გაატარა იქ. ოცდამეათე დღეს, როცა ვაჟი უკან უნდა დაბრუნებულიყო, ფადიშაჰმა მარმარილოს ნაჭერი მიიტანა და ფეხქვეშ დაუგდო.

— მსმენია, — ეუბნება ფადიშაჰი, — შენ განთქმული თერძი ხარ. ამ მარმარილოსგან ბეშმეთი შემიკერე!

ვაჟს გაუკვირდა, ბეშმეთს მარმარილოსაგან როგორ შევკერავო?! ფადიშაჰს კი უთხრა:

— შევეცდები.

ვაჟი თავჩაქინდრული გავიდა. შენიშნა ჩინმაჩინის ფადიშაჰის ქალმა დაღონებული სტუმარი და ჰკითხა:

— შაჰ-აბაზის ვაჟის სიძევ, რა იყო, რად დაღონებულხარ?

— როგორ არ დავღონდე, მამაშენმა მარმარილოს ნაჭრისგან ბეშმეთის შეკერვა მიბრძანაო.

შეეცოდა ქალს ვაჟი და ურჩია:

— ადექი, მდინარიდან კენჭები ამოიტანე და მამაჩემს ფეხქვეშ დაუყარე. გკითხავს, ეს კენჭები რატომ შეგიგროვებიაო? შენ კი ეტყვი, შინ მეჩქარება, ამ კენჭებისაგან ძაფი დამირთე, რომ ბეშმეთის შეკერვა შევძლო-თქო.

ვაჟი ასეც მოიქცა.

— კენჭებით ძაფი ვის დაურთავსო? — გაიკვირვა ფადიშაჰმა.

— კენჭებით ძაფი თუ არავის დაურთავს, მარმარილოთი ბეშმეთი ვის შეუკრავსო? — უპასუხა ვაჟმა.

მიხვდა ფადიშაჰი, რომ ვაჟი მართლაც ჭკვიანი იყო და დაცხრა. გაამზადა ვაჟი სამგზავროდ, გაატანა საჩუქრები, გააყოლა მსახურები საფადიშაჰოს საზღვრამდე მისაცილებლად.

ვაჟი ცოლს დაუბრუნდა. დიდი სუფრა გაშალა ფადიშაჰის შვილმა სიძის დაბრუნების აღსანიშნავად. შუა ლხინში ფადიშაჰის შვილმა სიძეს უთხრა:

— გახსოვს, შენ რომ სიზმარი ნახე, როგორ არ დაგემუქრე და არ მომიყევი. იქნებ, ახლა მაინც მომიყვე?!

ვაჟმა შვილები კალთაში ჩაისვა და მათთან თამაში დაიწყო. ეთამაშება ბავშვებს და შაჰ-აბაზის შვილი კი ეკითხება:

— ეგ რას ნიშნავსო?

— აი, რას, — უპასუხა ვაჟმა, — მაშინ მე სიზმარი ვნახე, ერთ ხელში მზე მეჭირა, მეორეში — მთვარე. ჩავისხი კალთაში და ვეთამაშებოდი. აი, ჩემი მზე და მთვარე — ჩემი სიცოცხლისა და საქმის გამგრძელებლები.

— ბარაქალა, ბარაქალა! — გაუკვირდა ყველას ვაჟის ჭკუა და საზრიანობა. მათ შორის ვაჟის ოსტატი თერძიც იყო, ვინც ოდესღაც ფადიშაჰთან შეგირდის საქციელის საჩივლელად მივიდა.

ერთხელ სამი ბიჭი ტყეში სანადიროდ წავიდა. დიდხანს ჰქონდათ იმედი, რომ ან ფრინველს ან მხეცს მოინადირებდნენ, მაგრამ არც ფრინველი და არც მხეცი მათ თვალწინ არ გაჭაჭანებულა. როცა მზემ გასასვლელი გზა ნახევრად გაიარა, მონადირეებს ფეხში ძალა გამოელიათ.

— მომშივდა, — თქვა ერთმა მონადირემ.

— მეც, — თქვა მეორემ.

დასხდნენ და ჭამას შეუდგნენ. მერე წყაროს წყალი დააყოლეს და სანადიროდ გაემართნენ. ბევრი იხეტიალეს ტყეში და ვერაფერი ნახეს. ამასობაში დაღამდა და დაიღალნენ კიდეც.

— მომშივდა, — თქვა ერთმა მონადირემ.

— მეც, — თქვა მეორემ.

— მეც, — თქვა მესამემ.

გაუთავებელი არაფერია. მონადირეებმა დღისით რომ ჭამეს, დაავიწყდათ, საღამოსთვისაც რაღაც გადაენახათ, ერთიანად მოათავეს და საღამოსთვის მხოლოდ მოგონებაღა შემორჩათ.

დიდხანს დაეხეტებოდნენ ტყეში მშიერ-დაღლილნი. ხმას არ იღებდნენ, შიმშილმა ენა მუცელში ჩაუგდო. შიოდათ, ლაპარაკი რას გააძღობდათ?!

უცებ ერთი მონადირე შეჩერდა.

— საჭმლის სუნი გცემთ? — ჰკითხა მეგობრებს.

— ეგ შიმშილის სუნია, — გაიხუმრეს მეგობრებმა.

— კარგად დააკვირდით, — თქვა ისევ იმან.

მონადირეებმა დაიწყეს ძებნა, რომელი მხრიდან უნდა წამოსულიყო საჭმლის სუნი.

იმ ორმა ყველა მხარეს დაიწყეს საჭმლის სუნის ძებნა, მაგრამ საიდან მოდიოდა, ვერ გაარკვიეს. მაშინ ერთმა ძალა მოიკრიბა და ხეზე ავიდა. ხეზე სუნმა ცხვირში შეუღიტინა. იჯდა და სუნით ძღებოდა. მეგობრები კი არ ასვენებდნენ:

— თქვი, მოჩანს? რას ხარშავენ, თუ წვავენ?

ჩამოვიდა ხიდან და სამივენი იქით გაეშურნენ, საიდანაც საჭმლის სუნი მოდიოდა. ტყიდან რომ გავიდნენ, ნახეს ტყის პირას მწყემსი იჯდა. მაყალში ცეცხლი გაეჩაღებინა, ცეცხლზე ქვაბი შემოედგა და რაღაცას ხარშავდა.

სალამ-ქალამის შემდეგ მონადირეებმა მწყემსს უთხრეს, ვინ იყვნენ და რისთვის იყვნენ წამოსულები ტყეში.

მწყემსმა მოუსმინა და უთხრა:

— ჩემო ყონაღებო, სტუმრებო, რა გითხრათ, სტუმარი ღვთისაა, თუმცა ამ ქვაბში მხოლოდ სამი კარტოფილი იხარშება. თქვენ სამნი ხართ, მე — მეოთხე. რაცა მაქვს, ვახშმად არ გვეყოფა. მოდით, ასე მოვიქცეთ, სამივენი დაწექით და დაიძინეთ. დილით კი კარტოფილი იმას ერგება, ვინც ყველაზე საინტერესო სიზმარს ნახავს.

სხვა რაღა დარჩენოდათ მონადირეებს, დაწვნენ და მაშინვე დაეძინათ.

დილით, ფრინველებთან ერთად გაეღვიძათ მონადირეებს. გაიღვიძა მწყემსმაც.

— აბა, ჩემო სტუმრებო, ვინ რა ნახა? — ჰკითხა მწყემსმა.

წრიულად დასხდნენ მონადირეები, შუაში მწყემსი ჩაჯდა და წინ კარტოფილიანი ჯამი დაიდო.

— წუხელ სიზმარში თვით შეიხ-ულ-ისლამის სტუმარი ვიყავი, — დაიწყო მოყოლა ერთმა მონადირემ, — თან ჯამს თვალს არ აშორებს, — და რა გგონიათ, გვერდიდან არ მშორდებოდნენ და თავს დამტრიალებდნენ მოლები, ვეზირები — ყველა დიდი პატივისცემით შინ მეპატიჟებოდა. ყველასთან ვიყავი სტუმრად. მოვუყევი იმათ მონადირული ამბები. ძალიან მოეწონათ, რაც მოვუყევი. კიდევ მობრძანდიო, დამპატიჟეს. აი, ეს იყო ჩემი სიზმარი.

— ჰოო, ჩემო ყონაღო, მართლაც, საინტერესო ამბავი დაგსიზმრებია, მაგრამ მოდი, შენი მეგობრების სიზმრებიც მოვისმინოთ.

— დამესიზმრა, თითქოს ირანის შაჰთან ვიყავი, — დაიწყო მეორემ. — შაჰს მარჯვნივ გოლიათები ესხდნენ, მარცხნივ — ნაზირ-ვეზირები. ყველამ თავი მდაბლად დამიკრა. ეს რომ შაჰმა ნახა, ამიშენა სასახლე. კედლებზე ერთი ქვა თუ ოქროსი იყო, მეორე — მარმარილოსი. ტახტი სადაფისა მქონდა ბუხარული ხალიჩებით დაფენილი. თავზე ოქროს გვირგვინი მედგა, წინ მწვადი და ღვინო მედო. აი, ეს სიზმარი ვნახე. — დაამთავრა მოყოლა. თან ცალი თვალით ჯამს უყურებდა.

— ძვირფასო სტუმარო, ეგ სიზმარი შენი მეგობრის სიზმარს სჯობდა, — უთხრა მწყემსმა და თან დააყოლა, — ახლა ვნახოთ, თქვენი მესამე მეგობარი რას იტყვის.

მესამე ადგა, თავი მდაბლა დაუკრა და უთხრა:

— ჰოი, სტუმართმოყვარეო და ჭკვიანო მწყემსო, რასაც ესენი მოგიყვნენ, ყველა ეგ სიზმარი მე ვნახე. ვნახე, ერთი ჩემი მეგობარი როგორ იყო საპატიო სტუმრად შეიხ-ულ-ისლამთან. მეორემ როგორ მიიღო საჩუქრად სასახლე, ოქროსა და მარმარილოს აგურებით აშენებული. ვნახე, როგორ სვამდა სასახლეში ძვირფას ღვინოს და მწვადს შამფურს როგორ აგლე-

ჯდა. არც ერთი და არც მეორე არაფრით გამიმასპინძლდნენ. არც ერთმა თავიანთ მეგობარს ძვალიც არ გადმომიგდო, როცა ცხვრის ხორცს გემრიელად შეექცეოდნენ. ამიტომ ისე მომშივდა, რომ ვერ გავძელი, ღამით გავიღვიძე და მაგ ჯამიდან კარტოფილები შევჭამე, — დაამთავრა მოყოლა მესამე მონადირემ და თან მაშინვე დაამატა, — ეს ჩემი მდიდარი მეგობრები მოხარშულ კარტოფილს მაინც არ იკადრებდნენ, რითიც ჩვენ, სტუმართმოყვარე და ძვირფასი მწყემსი უნდა გაგვმასპინძლებოდა.

მონადირეებმა ერთმანეთს ჩუმად გადახედეს, მწყემსმა კი გულიანად გაიცინა, მოეწონა მესამე მონადირის მოხერხებულობა.

რასაც გასცემ, ღმერთი დაგიბრუნებს

ერთ ქალაქთან ახლოს ცხოვრობდა ღარიბი ქვრივი ქალი. ჰყავდა ექვსი შვილი. ის ქალი ყოველდღე ქალაქში სამათხოვროდ დადიოდა. მოწყალების გამცემთ ის გლახა ამას ეუბნებოდა: რასაც გასცემ, ღმერთი დაგიბრუნებსო.

იმხანად იმ ქალაქში ცხოვრობდა წუწურაქი და სასტიკი მდიდარი. ერთხელ იმ ქვრივმა ამ მდიდრის სახლის კარზეც დააკაკუნა. კარი კაცის ცოლმა გააღო.

— რასაც მომცემთ, ღმერთი უკანვე დაგიბრუნებთ! — როგორც ყველას, ამასაც უთხრა გლახამ.

ეს სიტყვები არ მოეწონა მდიდრის ცოლს, გაბრაზდა და გადაწყვიტა, მათხოვარი მასთან არასოდეს მისულიყო.

ერთხელ, როცა საცოდავი გლახა მეორედ მიადგა მდიდრის კარს, მდიდრის ცოლმა მოწამლული პურის ნაჭერი მიაწოდა. გლახამ მადლობა გადაუხადა და ახლა სხვასთან წავიდა. ხურჯინი გაავსო, გავიდა ქალაქიდან და სახლისკენ გაემართა. გზაში ორი ყმაწვილი შეხვდა, ისხდნენ ცხენზე და ნადირობიდან შინ ბრუნდებოდნენ. ერთი მათგანი იმ მდიდრის შვილი იყო, ვინც გლახას მოწამლული პურის ნაჭერი მისცა. მდიდრის ვაჟს გზაში ძალიან მოშიებოდა. მათხოვარი რომ შემოხვდათ, თავის ამხანაგს უთხრა:

— ძალიან მომშივდა. ამ გლახას მინდა ლუკმა პური ვთხოვო. ოღონდ, გთხოვ, ეს ამბავი ჩემს მშობლებს არ უთხრა.

მეგობარმა ურჩია:

— მოითმინე, მალე შინ ვიქნებით.

— ვერ მოვითმენ.

მიუახლოვდნენ მათხოვარ ქვრივს და ვაჟმა პურის ნაჭერი სთხოვა:

— დედი, ძალიან მომშივდა, ლუკმა პური თუ გექნება, მომეცი.

ამისთანა ყმაწვილებს ნაკბეჩი პური როგორ ვაკადროო, გაიფიქრა გლახამ. ხურჯინში ხელი ჩაყო, გადაქექა და სწორედ ის პური ამოიღო და გაუწოდა, რომელიც მდიდრის ცოლმა მისცა.

— ჭამეთ, შვილებო, შეგერგოთ!

მისცა და გზა შინისაკენ განაგრძო.

მდიდარი კაცის შვილმა პური გადატეხა, ნაწილი ამხანაგს მიაწოდა, მეორე — ჩაკბიჩა. ცხენს ათი ნაბიჯიც არ ექნებოდა გადადგმული, რომ ბიჭი ცხენიდან გადმოვარდა. ტკივილისაგან ყვიროდა, მათხოვარს აგინებდა, ღმერთს გადარჩენას სთხოვდა. ვერ გადარჩა და მოკვდა.

მეგობარმა მკვდარი ქალაქში მიიყვანა და მეგობრის სახლის კარზე დააკაკუნა. კარი დედამ გააღო. შვილი მკვდარი რომ ნახა, თმას იგლეჯდა და ტიროდა. ბიჭმა დედას ის პურის ნაჭერი მიაწოდა, რითაც მისი შვილი მოიწამლა და მოუყვა გლახასთან შეხვედრის ამბავი.

მდიდრის ცოლმა, მკვდარი შვილის დედამ, მისი ხელით მოწამლული პური რომ დაინახა და გაიგო, რაც შეემთხვა, გაგიჟდა.

— რასაც მომცემთ, ღმერთი უკან დაგიბრუნებთ! რასაც მომცემთ, ღმერთი უკან დაგიბრუნებთ! რასაც მომცემთ, დაგიბრუნებთ! — ყვიროდა მთელი ღამე გათენებამდე.

როდესაც იმ მდიდრის შვილს მარხავდნენ, ერთმა ჭკვიანმა კაცმა ასე თქვა:

— მართალია, რასაც გასცემ, იმასვე მიიღებ. ვინც სიკეთეს თესავს, სიკეთეს იმკის, ბოროტების მთესველი — ბოროტებას!

ვისაც ყური არა აქვს, საყურე რად ექნებაო.
წყალი წყალთან თუ არ მივა, მაშინ წყალი დაშრებაო.
მარტოხელა ხე ტყეშიც ნუ ყოფილაო.
ფეხი საბნის სიგრძემდე გაშალეო.
ქალო ჩემო, შენ გეტყვი, რძალო, შენ გაიგეო.
ენა ჩემი, მტერი — ჩემი.
ვინც სხვას სამარეს გაუთხრის, შიგ თვითონ ჩავარდებაო.
თავს ნუ იქებ, სხვამ გაქოსო.
ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერიო.
ცოლის ნამუსი, ქმრის სახელიაო.
რასაც დასთეს, იმას მომკიო.
ყველა გველს თავისი შხამი აქვსო.
კამეჩი ზაქს მოიგებს, კაცი ვერ გაიგებს;
ქათამი კვერცხს დადებს, სოფელს ესმისო.
კაცს ფაფახი მხოლოდ სიცხის ან სიცივის გამო არ ხურავსო.
ძველი ძაფისგან კაბა არ იქნება, ძველი მტრისგან — მოყვარეო.
კაპიკის ფასი ვინც არ იცის, ფულის პატრონი ვერ გახდებაო.
ვირზე მჯდომი ვირს ეძებსო.

* * *

დიდი სახლის პატრონია,
ჰყავს შვილები ლეკვუნია.
(ძაღლი)


* * *

ღამით — მსახური,
დღისით — მზის დარი.
(ლოგინი)

* * *

ფარდაგად ფეხთ გეფინებით,
მარილივით ფეხქვეშ ვდნები.
(თოვლი)

კავკასიაში მცხოვრებ თურქულენოვან ხალხთა ფოლკლორი



პოეზია

* * *

მზეო, ამოდი, ამოდი, ამოდი...
შენს ქურან ცხენზე შეჯექი, ამოდი.
ქარაფიდან გადაფრინდა შენი ვაჟი,
ბუხარში ჩაფრინდა შენი ქალი.
ქაჩალი გოგო შინ დატოვე, მზეო.
გრძელთმიანი გოგო გამოგვიგზავნე, მზეო.
მზე წყლის დასალევად წასულა,
წითელი კაბის შესაკერად წასულა.
თოვლის აღებას ეშურება.
ქაჩალი გოგოს წაყვანას ეშურება,
გრძელთმიანი გოგოს გამოგზავნას ეშურება.

სემენი*

სემენო, აი სემენო,
გზრდი, მწვანედ აგაბიბინებ.
შენგან მე სიცოცხლე მინდა,
ძარღვებში სისხლი მინდა,
ის სისხლი სუფთა მინდა.
მეგობრის პატივი მინდა,
პატივი ცოცხალს უნდა.
უშენოდ კი სიცოცხლე არ მინდა,
ჩემი სატკივრის მკურნალო
და გაჭირვების წამალო,
სემენო, ჩემო სემენო,
გზრდი, მწვანედ აგაბიბინებ.
სემენო, მიპატრონე მე.
ყოველ წელს მწვანედ აგაბიბინებ.

* * *

ჩემთვის ცა გაავდარდისა,
გულს რაღა გაუხარდისა,
შევბმივარ სევდის გუთანსა,
მხვნელი ვარ ქვეყნის დარდისა.

* * *

მებაღემ ბაღი შეღობა,
ქურდს უჭირს ცხვირის შეყოფა.
მე სევდის ბაღი ვაშენე,
ღობედაც სევდა ეყოფა.

* * *

ბედმა ისარი მწია რა,
გულს დამაჩინა იარა,
კარგისთვის ხიდად გავედე,
ცუდმაც ზედ გადამიარა.

* * *

რაც უნდ კალამი გავწვერო,
ჩემი შავი დღე რა ვწერო.
ამევსო დარდის დავთარი.
ეს დარდი სადღა ჩავწერო.

* * *

ვაჟკაცს მთაზე თოვლი უყვარს,
მთის ყვავილი შლილი უყვარს,
მე თუ მიყვარს ჩემი შვილი,
ჩემს შვილს თავის შვილი უყვარს.

* * *

ტრიალებს ქვეყნის კევრია,
ეს გული უხმოდ მჭევრია,
დოსტი ათასიც ცოტაა,
მტერი კი ერთიც ბევრია.

* * *

დროო, შენგან მეკადრება,
ისრით გული მეფატრება,
ვირი ნარჩევ ქერსა ჭამს და
ცხენს კი ნამჯა ენატრება.

* * *

მთაზე ციხე ჩანს ჩენითა,
ჩემს დარდს ვინ იტყვის ენითა.
რომელს ქონება ალაღებს,
შვილო, მე ვლაღობ შენითა.

ნატირლები

* * *

ტყვე ვარ რამდენი დარდისა,
სისხლის ცრემლები დამდისა.
გლოვა ატეხეს ბულბულთა
ვინ მოჭრა ტოტი ვარდისა?

* * *

მე მოვკვდი და დედა დამრჩა,
ცეცხლისგან ნაცარი დამრჩა,

ამქვეყნად ვერ გავიხარე,
არც რამე ნიშანი დამრჩა.

* * *

ეს მთები, მაღალი მთები,
წყაროიანი, მაღალი მთები,
აქ ერთი ყარიბი მოკვდა,
ცა ქვითინებს და ღრუბელი ტირის.

* * *

ცხენს შევჯექ, თავი არ ჰქონდა,
წყალს გაველ, ქვები არ ჰქონდა,
აქ ერთი ყარიბი მოკვდა,
გვერდით ძმაკაცი არ ჰყავდა.

* * *

ჩემი ვარდი ჩალად იქცა,
მოვწყვიტე და ჩალად იქცა,
რაც დაგცილდი, რაც დაგშორდი,
ტირილი ხელობად მექცა.

* * *

ბაღს შევხვდი უმებაღოსა,
აქლემს — უმეაქლემოსა,
ქვეყანას წამლად დავედე,
მტოვებენ უწამალოსა.

* * *

ის ნაპირი ამ ნაპირს გამოჰყურებს,
შუა ჩაუდის მდინარე,
დამეთხაროს ეს თვალები,
უშენოდ ქვეყანას უყურებს.

* * *

ვტირი ცხარედ, მტირალივით,
გულს დარდი მაწევს მთებივით.
გადავხმი და გადავყვითლდი
უპატრონო ბაღებივით.

* * *

შავცხენიანო, ნუ წახვალ,
ძალზე შორია შენი გზა.
დედის და დების ცრემლები
შენი მახეა, ნუ წახვალ.

* * *

შავზე შავი იყო შენი ბედაური.
შეჯექი და სათარეშოდ წახვედი.
სანამ იქიდან მობრუნდებოდი,
ძაძა ჩაიცვა დედაშენმა.

* * *

თოფი, რომლის გასროლაც კი
ვერ მოასწარი,
ხანჯალი, რომლის ალესვაც კი

ვერ მოასწარი,
შენი სულის სანაცვლო იყოს.
მთვარესავით ამოდიოდი,
მზესავით ჩადიოდი.
ცხენს შიშით გული უსკდებოდა,
ვიდრე ზურგზე მოახტებოდი.
მტერს ახლოს არ იკარებდი,
შენს დატოვებულ ექვს ბედაურს,
შენს დატოვებულ თოფს,
მხარზე რომ გქონდა გადებული,
შენს ალესილ სიტყვა-პასუხს
ენაცვალოს დედაშენი!
ვაიმე, შვილო!

* * *

მაღლა ციდან რა მოდის?
წვიმის ფარები მოდის.
ბეღელი სავსე, სავსე,
ხელადა წყლით სავსე.
ცას ძალ-ღონე და
მიწას — ბარაქა.
ღმერთო, ღმერთო,
დაუშვი წვიმა!
ღვარად დაუშვი!

ნისლი

ნისლო, წადი და თვალს მიეფარე.
ფარდები ასწიე, მაღლა აიტანე,
თორემ იმ კლდიდან გადაგჩეხავ,
მზის სხივებს მოგისევ, დაგწვავ და დაგდაღავ.

* * *

სატრფოს ბაღს შეველ,
ყვავილები გადაშლილიყო.
სატრფომ შიგ გულში გამიყარა
ვარდის ეკალი და იმ ეკალმა
მძიმედ დამჭრა, სისხლი მადინა.
სიყვარულის ზღვაში შევცურე,
გემი არ მყავდა.
ყმაწვილი ვიყავი, ერთი ქალი
რომ შემიყვარდა.
გვერდით არ მყავდა...
მოდი, ჩემო ფურირემო,
მომიახლოვდი!
მოდი, ჩემო ჯეირანო,
მომიახლოვდი.
მე რომ იღბალი დამყოლოდა,
ჩემი ცოლი შენ იქნებოდი.

სატრფოვ ორგულო

სატრფოვ ორგულო,
დავიჯერო შენი ღალატი?
ბედმა სურვილის ასრულება
აღარ მაღირსა.
მოვშორდი ჩემს ვარდს,
ჩემს ვარდსა და ბულბულს
მოვშორდი.
ჰეი, ორგულო,
ახლა შენს ხელში ჩავარდნილმა
შველა ვის ვთხოვო?
შენზე ვწუხვარ და
შენზე ვდარდობ.
ჩემი საქმე მოთმინებაა.
მეტი რა გზა მაქვს?
თავში წერაქვი უნდა დავიცე.

მე ხომ ფარჰადის*
მოდგმისა ვარ!

* * *

აქეთ რომ მოდის, ის ლამაზი
ჩემს სატრფოსა ჰგავს.
სახე თეთრი აქვს,
სპეტაკ თოვლსა ჰგავს.
ეჰეი, ქალო! შეჩერდი და
ერთი მომხედე!
სახეს წყვილი ხალი უმშვენებს,
რხევით მოდის და მოირწევა.
ქალო, პატარა ხელებით
ამიყვანე და ამისროლე.
მაგ მკლავებში მომიქციე.
ერთი საწყალი ბიჭი ვარ.
ლამაზო, არ შემიბრალებ?

~~გენაცვალე~~
ერთ ჭერქვეშ გვაქვს ბინები,
გვერდიგვერდ — აივნები;
შენ მანდედან გამომხედე,
მტერს დაუყენე თვალები!
ვარდი ხარ და შენი სიტყვაც ვარდია.
შენი თმები სუმბულია გაშლილი.
მაგიდაზე ქოთანი დგას,
ამ გულს შენი ნდომა მიკლავს.
სიკეთე ჰქმენ, მაკოცნინე.
შენც გაუგე კოცნას გემო.
ვარდი ხარ და შენი სიტყვაც ვარდია,
შენი თმები სუმბულია გაშლილი.

* * *

ყარაბაღის ყურძენი,
გზაზე დამრჩება თვალი.
არ ჩანს წამსვლელ-მომსვლელი,
არცა მყავს ხმის გამცემი.
ნუ მოსპობ, ნუ ამოძირკვავ ვენახს.
ისედაც სულ გაჰხმობია ფოთლები.
აქეთ რომ ქალი მოდის,
ის ხომ ჩემი სატრფოა!
ლამაზი აქვს თვალები —
ჯეირნის თვალებს უგავს.
შევხედე — ვერ ვიცანი.
მეორედაც შევხედე —
ჩემი სატრფო გამოდგა.
ნუ მოსპობ, ნუ ამოძირკვავ ვენახს.
ისედაც სულ გაჰხმობია ფოთლები.
კალოზე ფიწალი დარჩა,
სამთითა ფიწალი დარჩა.
ამ ბიჭის ხელსახოცი
ლამაზ გოგოსთან დარჩა. .
ნუ მოსპობ, ნუ ამოძირკვავ ვენახს.
ისედაც სულ გაჰხმობია ფოთლები.
ფირუზისთვლიანი ოქროს ბეჭედი.
ვეხვეწები მამლაყინწას,
არ იყივლოს ამ დილას.
ამაღამ ჩემი სატრფო მოვა.
ნუ მოსპობ, ნუ ამოძირკვავ ვენახს.
ისედაც სულ გაჰხმობია ფოთლები.

* * *

თეთრ ქალს დავუხვდე გზად უნდა,
არადა, გული დადუნდა.
კაცი რომ უნდო არ იყოს,
ამ ბაღს მესერი რად უნდა?

* * *

მიჯნურის სევდა დიდია,
ბაღი მიჯნურთა რიდეა,
იქ ვარდის გამო დასჯილი,
რტოზე ბულბული ჰკიდია.

* * *

სიყვარულის წერილს ველი,
ნაქარგს შენი ოქროს ხელით,
თუ ქაღალდი ვერ იშოვნო,
ჩამოჰგლიჯე ვარდს ფურცელი.

* * *

მაღალი მთის წვერსაო
თეთრი თოვლი ძევსაო.
მე მიყვარს და სხვას მიჰყავს,
დამიხედე ბედსაო.

* * *

მიჯნური ვარ დაისრული,
სისხლის ცრემლით გაბასრული,
მე ჩამაგდეთ გალიაში,
სატრფოს გაუგზავნეთ სული.

* * *

შავ ცხენს ნალი რად უნდა,
შავ წარბს ხალი რად უნდა.
ვისაც სატრფო ერთგულებს,
ოქრო-ლალი რად უნდა?

წყაროზე იყო

წაველ და ვნახე — წყაროზე იყო,
ხელ-პირს იბანდა, წყაროზე იყო,
ოქროს ბეჭედი თითზე ეკეთა,
ასეთი გულქვა სხვა არ იქნება,
შუღლის ჩამომგდები სხვა არ იქნება.
წყაროს ცივი წყლით პირს იბანდა,
თმაში ყაითანს* ჩაიწნავდა, ჩაიკვანძავდა,
მიყურებდა და თავს იწონებდა,
ასეთი გულქვა სხვა არ იქნება.
შუღლის ჩამომგდები სხვა არ იქნება.
წყაროსთან შავი ქვები ყრია
და გულს წვერიც შავი მაქვს,
ასეთი შავთვალწარბა სხვა არ იქნება,
ასეთი გულქვა სხვა არ იქნება,
შუღლის ჩამომგდები სხვა არ იქნება.

ჩემო ზარნიშიანო*

თმებში რეჰანი გაურჭვია,
წარბებზე სურმა გადაუსვია.
ჩემთან მოსულა ეს ახტაჯანა,
ჩემი ზარნიშიანი, ჩემი ზარნიშიანი.
წასულა და ქორწილები მოუვლია,
თვალტანადი ვაჟკაცებიც გაუცვნია,
მთელი ქვეყნის ასავალი, დასავალი გაუგია.
ჩემს ზარნიშიანს, ჩემს ზარნიშიანს.
დილდილაობით გამოდის ბაღში,
ბანაობს წყაროს ანკარა წყალში.
უფრო ილამაზებს წითელ ლოყებს.
ჩემი ზარნიშიანი, ჩემი ზარნიშიანი.

* * *

ეს ქუჩები წყლით მომირწყავს,
სატრფო მოვა, სუფთა იყოს,
ისე მოვა, ისე წავა,
მითქმა-მოთქმა აღარ იყოს.

* * *

სამოვარში ცეცხლი ვყარე,
ჭიქაში შაქარი ვყარე,
სატრფომ როცა მიმატოვა,
მარტო დავრჩი, ცრემლი ვღვარე.

* * *

ცაც კი აჰყვება ხან ჯავრსა, —
წვიმას ცრემლადა ხარჯავსა,
ეს გოგო ამ ბიჭს უხდება,
როგორც რო ვერცხლი ხანჯალსა.

* * *

ასე მგონია, გმირი ვარ,
ჩემი დუშმანის ჭირი ვარ,
საყვარლის გახსენებაზე
ყმაწვილივით კი ვტირივარ.

* * *

არა ვგავარ თუთის ხესა,
სუყველა რომ შეარხევსა,
შენი ვარ და შენ გაკოცებ,
სხვას არ მოვეხვევი ყელსა.

* * *

მიჯნური ვდევარ სულზედა,
სატრფოს დაღი მჭირს გულზედა,
ბაღში არ დარჩა ფოთოლი,
რომ არ დამედოს წყლულზედა.

* * *

ვინა ვარო და რა ვარო, —
ისევ ჩემს თავსა ვგავარო,
სხვისთვის რომ ბატონი ვიყო,
ჩემი საყვარლის ყმა ვარო.

* * *

წყალი მოდის, არხს რა უნდა?
ჩარხს აბრუნებს, ჩარხს რა უნდა?
ტურფამ მე თუ მაწყენინა,
ვერ გავიგე, ხალხს რა უნდა?

* * *

რას მეტყვი და რაისასა,
ქუდისა და თავისასა?
შენც მიყურე, მეც გიყურებ,
ღმერთი იზამს თავისასა.

* * *

თუმც სიყვარული ამოა,
ნაღველიც იმის გამოა.
საქმეში შენს ჭკვას დაენდე,
სხვისი ჭკვით არა გამოვა.

ჩემსკენ მოიხედე, მოიხედე

ფანჯრიდან ქვები ცვივა,
შავ თვალებს ცრემლი სცვივა,
შენ თავს თუ გამომატანენ,
ღმერთსაც ეს მოეწონება.
ერთი, ჩემსკენ მოიხედე, მოიხედე,
ჩემო სულო, მოიხედე, მოიხედე.

ფანჯრებზე გისოსები,
გაშლილა წითელი ვარდები.
გოგოს ტკბილი სიტყვები
ბიჭს გზა-კვალს უბნევს.
ერთი, ჩემსკენ მოიხედე, მოიხედე,
ჩემო სულო, მოიხედე, მოიხედე.

ფანჯარაში ჩიტი მე ვარ,
თუ მეტყვიან, გაფრინდიო,
მე მაინც არ გავფრინდები.
სატრფო თვალს მიკრავს —
ვერაფერს ვხვდები.
ერთი, ჩემსკენ მოიხედე, მოიხედე,
ჩემო სულო, მოიხედე, მოიხედე.

რა ლამაზია!

ბულბული უსტვენს.
ნახე, ერთი, რა ლამაზია!
ეს თაველი ვარდებში ამოსულა.
ნახე, ერთი, რა ლამაზია!
მე შენ მიყვარხარ, მშვენიერო.
აბა, ამ მდელოს გადაჰხედე,
რამდენი ყვავილით მორთულა.
ნახე, ერთი, რა ლამაზია!

ქალი და ვაჟი

ქალი — ჩვენს ორღობეში რომ დგახარ, ბიჭო,
ულვაშს რომ იგრეხ, ბიჭო,
თვალსაც რომ მიკრავ, ბიჭო,
დამიბრუნე ჩემი მოხატული ქოშები,
ქუსლებმოხატული ლამაზი ქოშები.

ვაჟი — თქვენს ორღობეში მე არა ვმდგარვარ,
ულვაშიც არ დამიგრეხია,
მე შენთვის თვალი არ ჩამიკრავს,
მე არა მაქვს შენი მოხატული ქოშები,
ქუსლებმოხატული ლამაზი ქოშები.

ქალი — შენი ბაღნარის ვარდი ვიქნები,
ტკბილი კომში და ბროწეული ვიქნები,
სამუდამოდ შენი სატრფო ვიქნები,
დამიბრუნე ჩემი მოხატული ქოშები,
ქუსლებმოხატული ჩემი ქოშები.

ვაჟი — ჩემი ბაღნარის ვარდი თუ იქნები,
ტკბილი კომში და ბროწეული თუ იქნები,
დაგიბრუნებ შენს მოხატულ ქოშებს,
ქუსლებმოხატულ შენს ლამაზ ქოშებს.

დედა და შვილი

დედა — ნუ წახვალ, შვილო, წყაროზე.
წყაროზე, წყაროს წყალზე, ჩემო გოგოვ.
იქ ერთი შავთვალწარბა ბიჭია,
თავშალს მოგტაცებს, ჩემო გოგოვ.
შვილი — წყაროზე წავალ, დედაჩემო,
წყაროზე, წყაროს წყალზე, დედაჩემო.
იმ შავთვალწარბა ბიჭს, ერთხელ მაინც
თვალს შევავლებ, დედაჩემო.
დედა — ნუ წახვალ, შვილო, წყაროზე.

წყაროზე, წყაროს წყალზე, ჩემო გოგოვ.
ბიჭი, რომელიც თავშალს მოგტაცებს,
შენც მოგიტაცებს და ჩადრს დაგხურავს.
შვილი — წყაროზე წავალ, დედაჩემო,
წყაროზე, წყაროს წყალზე, დედაჩემო.
შეყვარებულისაგან ჩადრის დახურვაზე
არც ერთი ქალი უარს არ ამბობს, დედაჩემო.

რას იზამ?

— ფრთები რომ გამოგესხას
და ცაში რომ გაფრინდე,
მე ნაპერწკლად ვიქცევი და
ცეცხლს წაგიკიდებ.
მაშინ რას იზამ?
— შენ თუ ნაპერწკლად იქცევი და
ცეცხლს წამიკიდებ,
მე ერთ მუჭა ფეტვად ვიქცევი
და მიწაზე გავიფანტები.
მაშინ რას იზამ?
— შენ თუ მუჭა ფეტვად იქცევი
და მიწაზე გაიფანტები,
ნიწილებიან კრუხად ვიქცევი
და სულ აგკენკავ.
მაშინ რას იზამ?
— თუ ნიწილებიან კრუხად იქცევი
და სულ ამკენკავ,
მე ჯეირნად ვიქცევი
და მინდორში გავიჭრები.
მაშინ რას იზამ?
მაშინ რას იზამ?
— თუ ჯეირნად იქცევი
და მინდორში გაიჭრები,
მე მონადირედ ვიქცევი და
მოგინადირებ,
მაშინ რას იზამ?

— თუ მონადირედ იქცევი და
მომინადირებ,
წითელ ვაშლად ვიქცევი და
ზანდუკში ჩავიკეტები.
მაშინ რას იზამ?
— თუ წითელ ვაშლად იქცევი და
ზანდუკში ჩაიკეტები,
მე ჟანგიან გასაღებად ვიქცევი და
ზანდუკს გავაღებ.
მაშინ რას იზამ?
— თუ ჟანგიან გასაღებად იქცევი და
ზანდუკს გააღებ,
საპატარძლოდ მორთულ ქალად
ვიქცევი და ზანდუკიდან ამოვალ.
მაშინ რას იზამ?
— თუ საპატარძლოდ მორთულ ქალად
იქცევი და ზანდუკიდან ამოხვალ,
მე ლამაზ ვაჟად ვიქცევი და
გულში ჩაგიკრავ.
მაშინ რას იზამ?

სონა ხანუმი*

— სონა ხანუმ, კარში გამო,
აივანზე გადმოდექი.
ერთი შეხე ამ ლამაზ ბიჭს,
გამოტყდი და ალალად თქვი,
ხომ ძალიან ლამაზია?
— ეგ ბიჭი მე ნანახი მყავს,
რა ხანია, კიდეც მიყვარს.
სახელიც ვიცი მაგისი —
ხალიანი გაშემია.
მასთან სტუმრად ნამყოფი ვარ.
დედამისიც კარგად შემხვდა,
უხვი სუფრა გამიშალა:
თაფლი, კარაქი მომართვა,

ერბოკვერცხი გამიკეთა.
დიდი დოვლათი ჰქონიათ.
თავლაში ლურჯა უბიათ,
ისე დარბის, როგორც ვეფხვი.
კუდ-ფაფარიც ლამაზი აქვს.
მამაჩემს გამოვუტყდები:
„მეტი აღარ შემიძლია,
თუ გაშემს არ მიმათხოვებ,
ან მოვკვდები, ან ფეხს დავკრავ,
წავალ, გადავიკარგები“.

* * *

ჩემი ხელი შენთვის შრომობს,
ჩემი ხმალი შენთვის ომობს.
ვერ იქცევა ლომად მელა
ლომად კვლავაც ლომი ლომობს.

* * *

თერთმეტი ათსა სჯობია,
ჩოხა სარჩულსა სჯობია.
დუშმანთან ქედის მოხრასა,
რომ მოვკვდე, ისა სჯობია.

* * *

ჩვენს კარზე დგას ჩინარი,
ფოთლებამომჩინარი.
გამიზარდე, გამჩენო,
ეს პატარა მძინარი.

* * *

„ლაილაი“ გითხარ ხმამაღლა,
ხმა ბუხრიდან გავარდა.
ღმერთმა შენამც აგაშოროს
„ყვავილი“ და „წითელა“.

* * *

კარწინ დიდი ჩინარის
ჩურჩულებენ ფოთლები.
ჩემს შვილებს, ჩემს პატარებს
მაღალი ღმერთი ჰფარავდეს.

* * *

სურნელი ვარდისგან მოდის,
ვარდისგან, ბულბულისგან მოდის,
ვარდის აკვანში მიწევს პატარა.
ამიტომ არის, კარგად რომ სძინავს.
აკვანზე ბულბულები სხედან,
დილას გალობით ეგებებიან.
ნუღარ დაუსტვენ, ბულბულო,
ჩემმა შვილმა ენა ამოიდგა.

მწყემსური

ცაზე ღრუბლის ქულები
საბანია მწყემსისა,
ბრტყელ-ბრტყელთავა ბორცვები
ბალიშია მწყემსისა,
მრგვალ-მრგვალთავა კლდეები
მუშტებია მწყემსისა.
ხელთ ნაჭერი კომბალი
ფარ-ხმალია მწყემსისა,
გვერდით ძაღლი რომ დასდევს,
ძმობილია მწყემსისა,
შავხახიანი მგელი
დუშმანია მწყემსისა.

ღარიბი და ვეზირი*

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ბერიკაცი, ამ ბერიკაცს ერთი რამ სჩვეოდა: ვისაც კი შეხვდებოდა, ყველას ეუბნებოდა, კეთილს სიკეთით მიუზღე, ავს თავისი სიავე ეყოფაო.

ერთ დღეს ფადიშაჰი მოგზაურობიდან ბრუნდება და ხედავს, მოდის ბერიკაცი და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებს. ფადიშაჰი მეტად გონიერი კაცი იყო, სწრაფად წამოეწია მიმავალს და გვერდით გაჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ კი შეეხმიანა:

— რას ბუტბუტებ, რა დარდი გაწუხებსო?

ბერიკაცმა ფადიშაჰს აჰხედა და უპასუხა:

— ფადიშაჰო, კეთილს სიკეთით მიუზღე, ავს თავისი სიავეც ეყოფაო.

ფადიშაჰს ეს სიტყვები ძალზე მოეწონა და ბერიკაცი თავისთან დაიბარა, ხვალ ჩემთან მოდი და ეგ სიტყვები გამახსენეო.

მეორე დილით ბერიკაცი მართლაც მიადგა სასახლის კარს. წინადღით ფადიშაჰმა მსახურებს დაავალა, ასეთი და ასეთი გარეგნობის მოხუცი რომ მოვიდეს, შემოუშვითო. მსახურებმა ბერიკაცი სასახლეში შეუშვეს. ისიც ეახლა ფადიშაჰს და მოაგონა:

— კეთილს სიკეთით მიუზღე, ავს თავისი სიავეც ეყოფაო.

ფადიშაჰმა არაფერი უთხრა, აიღო კალამი, ქაღალდზე რამდენიმე სიტყვა დაწერა, ზედ ბეჭედი დაასვა, მერე ბერიკაცს მისცა და უთხრა, ეს წერილი მავან და მავან კაცს წაუღე, ხვალ კი ისევ მოდი და ის სიტყვები გამახსენეო. ბერიკაცი წავიდა, იპოვა ის უცნობი და ფადიშაჰის წერილი გადასცა. წერილში კი თურმე ეწერა: „ვისაც ჩემი სიყვარული აქვს, ამ ბერიკაცს დაასაჩუქრებსო“. იმ კაცმაც ბერიკაცი გულუხვად დაასაჩუქრა და ისე გამოისტუმრა.

ბერიკაცს ჩვეულებად ჰქონდა, რასაც იშოვიდა, ღარიბ-ღატაკებისათვის დაერიგებინა. ახლაც ასე მოიქცა: ყველაფერი, რაც საჩუქრად მიიღო, ღარიბებს დაუნაწილა. მეორე დილით კი კვლავ ეახლა ფადიშაჰს და გაახსენა:

— კეთილს სიკეთით მიუზღე, ავს თავისი სიავეც ეყოფაო.

ფადიშაჰმა კვლავ დაუწერა ქაღალდზე რაღაც და ბეჭედდასმული წერილი გაატანა. თან ადრინდებულად დაუბარა, ხვალ ისევ მოდი და შენი სი-

ტყვები გამახსენეო. ბერიკაცმა ფადიშაჰის წერილი პატრონს ჩააბარა. წერილში ეწერა: „ვისაც ჩემი პატივისცემა აქვს, ამ მოხუცს დაასაჩუქრებსო". იმ კაცმაც გულუხვად დაასაჩუქრა ბერიკაცი. ამანაც არ უღალატა თავის ჩვეულებას და რაც საჩუქრად მიიღო, ყველაფერი ხეიბრებს დაურიგა.

ახლა კარის ვეზირის ამბავს გიამბობთ:

ეს ვეზირი ერთი უსინდისო და გულბოროტი კაცი იყო. მისგან სიკეთე არავის ახსოვდა, მთელ სიცოცხლეს ჭორაობასა და მაბეზღარობაში ატარებდა. ახლაც, რომ დაინახა, ფადიშაჰი მოხუცს კეთილი თვალით უყურებსო, ბოროტება ჩაიდო გულში. მივიდა ფადიშაჰთან და უთხრა:

— ის მოხუცი, შენთან რომ დადის, თურმე ხალხში ლაპარაკობს, ფადიშაჰს პირიდან მყრალი სუნი ამოსდისო.

ფადიშაჰი განრისხდა:

— თუ მართალი გამოდექი, იმ ბერიკაცს ისე დავსჯი, სხვებისთვის კარგი მაგალითი იყოს. თუმცა, არ მგონია, იმ პატიოსან კაცს ასეთი რამ ეკადროსო.

ვეზირმა უთხრა:

— გამოსცადე და, თუ მართალი არ გამოვდექი, მე დამსაჯეო.

მეორე დილით ბერიკაცი ფადიშაჰს უნდა ხლებოდა. გზად მიმავალს წინ ვეზირი დაუხვდა და უთხრა:

— კარგი ადამიანი ჩანხარ, რაკი ფადიშაჰი ასე მოწყალე თვალით გიყურებს. რა იქნება, მეც დამაფასო და ჩემს სახლში გატეხო პურიო.

ბერიკაცი დაეთანხმა და შინ წაჰყვა. ვეზირმა სტუმარს ისეთი ნივრიანი კერძები მიუტანა, ახლოს ვერ გაეკარებოდა კაცი.

ბერიკაცმა მაინც ჭამა ცოტაოდენი საჭმელი და ფადიშაჰს ეახლა. ფადიშაჰმა გამოსაცდელად ბერიკაცი ახლოს იხმო. ის კი მოშორებით გაჩერდა — ფადიშაჰი ნივრის სუნმა არ შეაწუხოსო.

— უფრო ახლოს მოდიო, — უბრძანა ფადიშაჰმა.

ბერიკაცი წინ წადგა და პირზე ხელი აიფარა. ფადიშაჰმა, ეს რომ დაინახა, ვეზირის ნათქვამი ენიშნა და განრისხდა.

ამ ფადიშაჰს ერთი ჩვეულება ჰქონდა: დასჯის ბრძანებას მწერლებს აწერინებდა, მოწყალების ბრძანებას კი — თავისი ხელით წერდა. ამჯერად ჩვევას უღალატა და მოსამართლეს თვითონ მისწერა: „ამ ქაღალდის მომტანი შუაზე გაკვეთეთ, ქალაქის შემოსასვლელთან ჩამოჰკიდეთ და ზედ დააწერეთ: „ყველა ცილისმწამებელს ასეთი სასჯელი ელისო".

ფადიშაჰმა ქაღალდს ბეჭედი დაასვა და ბერიკაცს გაატანა. ვეზირმა ხელში ქაღალდი რომ დაუნახა, იფიქრა, ისევ საჩუქრის მისაღებად მიდისო. სიხარბემ სძლია და უთხრა:

— ეი, ბერიკაცო, ფადიშაჰმა შენ ბევრი პატივი გცა, რა იქნება, ეგ ქა-

ღალდი ახლა მე მომცე და საჩუქარიც ამჯერად მე მერგოსო.

— კარგიო, — უთხრა ბერიკაცმა, — მე სიმდიდრე და ქონება არა მჭირდება. თუ რაიმე მექნება, მაინც ღარიბებს დავურიგებ, დეე, საჩუქარი ამჯერად შენ გერგოსო.

ვეზირმა ქაღალდი წაიღო და მოსამართლეს გადასცა.

მოსამართლემ წერილი გახსნა, წაიკითხა და გაკვირვებულმა ვეზირს შეხედა. ვეზირი კი საჩუქრის მოლოდინში სიხარულით ცქმუტავდა. მაგრამ, როდესაც მოსამართლის ბრძანებით ხელები გაუკრეს, ატირდა და ხვეწნა დაუწყო:

— შეცდომაა, მე ის კაცი არა ვარ, ვინც უნდა დაისაჯოს. ჯერ ფადიშაჰს ჰკითხეთ და ისე მომკალითო.

ამაზე მოსამართლემ უპასუხა:

— მე ფადიშაჰის ბრძანებას ვერ გადავუხვევ. მოვალე არა ვარ, რაიმე ვიკითხო. ფადიშაჰი მწერს, ეს კაცი ორად აქციე და ქალაქის კართან ჩამოკიდეო, მორჩა და გათავდა. ჩემი ვალია, ბრძანება შევასრულოო.

ფადიშაჰის ბრძანება მართლაც შეასრულეს. ვეზირი შუაზე გაკვეთეს, ქალაქის კარიბჭესთან ჩამოკიდეს და დააწერეს: „ყველა ცილისმწამებელს ასეთი სასჯელი ელისო“.

ახლა ფადიშაჰს მივხედოთ.

ფადიშაჰს მოახსენეს ბრძანება შესრულდაო. ფადიშაჰს შეეცოდა ბერიკაცი და ძალიან დადარდიანდა, სინდისის ქენჯნა იგრძნო. მეორე დილით ძალიან უგუნებოდ ადგა. უცებ, ხედავს, ბერიკაცი შემოვიდა და ჩვეულებისამებრ უთხრა:

— ო, ფადიშაჰო, კეთილს სიკეთით მიუზღე, ავს თავისი სიავეც ეყოფაო!

ფადიშაჰი მეტად განცვიფრდა და ჰკითხა:

— მოხუცო, ეს რა ამბავია, განა არ მოგკლესო?

— რატომ უნდა მოვეკალიო? — გაიკვირვა ბერიკაცმა.

— გუშინ ქაღალდი ვის მიეციო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— კარის ვეზირმა მთხოვა და მას მივეციო.

ფადიშაჰი უცებ მიხვდა ყველაფერს და ბერიკაცს ჰკითხა:

— გუშინ რომ გიხმე, რატომ არ გინდოდა ახლოს მოსვლა, ან ცხვირ-პირზე ხელი რატომ აიფარეო?

— გუშინ კარის ვეზირმა ნივრიანი საჭმელი მაჭამა და პირზე ხელი იმიტომ ავიფარე, ნივრის სუნს არ შეეწუხებინეო.

ახლა კი მიხვდა ფადიშაჰი ყველაფერს. მოხუცს თავისი ხაზინიდან დიდძალი ქონება გაატანა და უთხრა:

— მოხუცო, ჩემთან სიარულით ნუღარ შეიწუხებ თავს, შენი სიტყვების სიმართლეში დავრწმუნდიო.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი დედაბერი, ამქვეყნად ერთი ობოლი შვილიშვილისა და ერთი მეწველი თხის გარდა არავინ და არაფერი გააჩნდა. ობოლს ისა ერქვა. ყოველ ცისმარე დღეს დედაბერი თხას ერთ საწველელ რძეს ჩამოსწველიდა ხოლმე, ისას კი რძე ბაზარში მიჰქონდა, ყიდდა, აღებული ფულით პურს ყიდულობდა და ბებიასა და შვილიშვილს იმით გაჰქონდათ თავი. ერთ დღესაც ისამ ბაზარში რძე წაიღო. საიდან იყო და საიდან არა, ტარუღა* წამოადგა თავს, ისას ერთი ფიალა რძე გამოართვა და დალია. ტარუღას რძე ძალზე ეგემრიელა და ჰკითხა:

— ეი, ობოლავ, ეს რძე კამეჩის არისო?

— არა, ერთი თხა გვყავს და იმისიაო! — უპასუხა ისამ.

— ყოჩაღ! — შეაქო ტარუღამ. — ეტყობა, ჯიშიანი თხაა, ასეთ ღალიან* რძეს რომ იძლევაო.

— ჯიშიანია, ის რომ არ გვყავდეს, შიმშილით სული ამოგვძვრებოდაო.

— ობოლავ, ის თხა უნდა მომყიდო, — თქვა უცებ ტარუღამ.

— ვერა და ვერა, ვერ მოგყიდიო.

— თუ შენი ნებითა და სიამტკბილობით არ მომყიდი, მაშინ თხას ძალით წავიყვანო, — დაემუქრა ტარუღა.

ისამ მაინც უარი უთხრა. რძე გაყიდა, შინ დაბრუნდა და ბებიას ყველაფერი უამბო.

— შვილო, ის ტარუღა ერთი ურჯულო, აჯამი კაცია. ვაითუ, თხა წაგვართვას და ულუკმაპუროდ დაგვყაროს, მაშინ რაღა ვქნათო, — შეწუხდა ბებია.

ამასობაში ტარუღა ყადისთან* მივიდა და იჩივლა:

— ყადი აღა*, ერთმა ბიჭმა თხა მომპარა. თუ დამიბრუნებ, შენც გასარგებლებო.

ყადიმ რამდენიმე კაცი გაგზავნა, ისას თხა წაართვეს და ტარუღას მიჰგვარეს. დედაბერმა სიმწრით სულ თმა იგლიჯა, იტირა, ივაგლახა, მაგრამ ტარუღას გული ვერაფრით მოულბო. მაშინ ადგა დედაბერი და კვნესა-ტირილით ყადის მიადგა.

— ყადი აღა, ჩემს ბიჭს თხა არავისთვისაც არ მოუპარავს, ის თხა ჩვენია, ციკანი გავზარდეთო.

— რას ამბობ, თხა მოპარულია და კანონით ტარუღას ეკუთვნისო, — უპასუხა ყადიმ.

ყადიმ ბებია-შვილიშვილი გარეთ გამოყარა. დედაბერმა კვლავ ბევრი იტირა, მუხლებზე ბევრი იცა ხელი, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ. ბოლოს ისევ ისამ დაამშვიდა:

— ნუ ტირი, ბები, ტარუღას და ყადის სამაგიეროს მე გადავუხდიო.

— ყადის დაუძინებელი მტერი ეშმაკია, შვილო, — დაარიგა დედაბერმა, — თუ ეშმაკს მიაგნებ, ის დაგეხმარებაო.

ისა ბებიას გამოემშვიდობა და ეშმაკის საძებნელად გაუდგა გზას. შვიდი დღე და შვიდი ღამე იარა, ბოლოს ერთ უდაბურ ადგილას ერთი კაცი შემოეყარა.

— საით გაგიწევიაო? — ჰკითხა იმ კაცმა.

— საითა და, ეშმაკს დავეძებო, — უპასუხა ისამ.

— ეშმაკი რაში დაგჭირვებია, ხალხს ეშმაკი დაწყევლილი და შეჩვენებული ჰყავს, შენ კი იმას დაეძებო? — გაუკვირდა კაცს.

— ეგ კი ეგრეაო, — უპასუხა ისამ, — მაგრამ მე ეშმაკთან ყადიზე საჩივლელად მივდივარ. გამიგია, ეშმაკი ყადის მტერიაო.

— უცნაურად ლაპარაკობ, გირჩევნია უკან დაბრუნდე! რამდენიც არ უნდა იარო, ეშმაკს ვერა და ვერ მიაგნებო, — უთხრა იმ კაცმა.

— სხვა გზა არა მაქვს, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა ვიპოვო. თუ ჩემს საჩივარს ყურად იღებს, გავუამხანაგდები, თუ არადა, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, მეც დავწყევლი და შევაჩვენებო.

— მაშ კარგი, რაკი არ დაგიშლია, ეშმაკს მე გაპოვნინებ და უამბე შენი გასაჭირიო, — უთხრა კაცმა.

ისა გაჰყვა. იარეს, იარეს და ერთ გამოქვაბულში შევიდნენ. კაცმა უთხრა, ეშმაკის სამყოფელი ეს გამოქვაბულია და, სადაც არ უნდა იყოს, ახლავე აქ გაჩნდებაო.

ისა ქვაზე ჩამოჯდა და კაცისკენ მიბრუნდა. უცებ რას ხედავს — მის წინ იმ კაცის მაგიერ ერთი ჭაბუკი არა დგას?!

— აქ რომ კაცი იყო, რა იქნაო? — იკითხა გაოცებულმა ისამ.

— კაცი რად გინდა, შენ რომ ეშმაკს დაეძებ, მე ვარ. თქვი, რა გაგჭირვებიაო!

— თავს შემოგევლე, ბატონო ეშმაკო, შენთან ყადიზე საჩივლელად მოვსულვარ. ერთადერთი თხა მყავდა, ისიც წამართვა და ტარუღას მისცაო.

მაშინ ჭაბუკმა უთხრა:

— ისა, აი, ამ ჯადოსნურ კომბალს გაგატან. თუ კომბალს ცისკენ აიშვერ, უცებ აენთება, აელვარდება, ცაში აგიყვანს და, სადაც მოისურვებ, იქით გაგაფრენს. ხოლო თუ ვინმეზე მიუშვებ, ერთი მაგრად გაგიტყეპავსო.

ეშმაკმა კომბალი ისას მისცა და გაუჩინარდა. ისა გამოქვაბულიდან გამოვიდა და კომბალი მაღლა ასწია. უცებ კომბლის ბოლო აალდა, აელვარდა, ისა ზევით-ზევით ვარსკვლავებთან აიყვანა. ისამ იფრინა, იფრინა და სწორედ თავისი სოფლის თავზე გაჩნდა. ხალხმა რომ ცაში ცეცხლი დაინახა, სასწაულად ჩათვალა და ყველა ყადის სახლთან შეიკრიბა.

— ხალხო, ილოცეთ, აღაპყარით ხელები, წაიშინეთ თავ-პირში, იგვემეთ, იქნებ უბედურება აგვცდესო, — მიმართა ყადიმ ხალხს.

ხალხი მიწაზე დაემხო. ამ დროს ობოლი ისა ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე. ხალხმა აიხედა და რას ხედავს — ის სასწაული ობოლი ისაა, ხელში კი კომბალი უჭირავს. ეს ამბავი მაშინვე ყადის მოახსენეს. ყადიმ ტარუღა იხმო და უთხრა:

— ტარუღა, ყველა ხრიკი და ფანდი იმ კომბალშია დამალული, როგორმე ხელთ უნდა ვიგდოთო.

ტარუღა შინ დაბრუნდა და იმის ფიქრს მიეცა, კომბალი როგორ ჩაეგდო ხელში.

ამასობაში ისა ტარუღას მიადგა კარზე და უთხრა:

— ტარუღავ, ჩემი თხა დამიბრუნეო.

— რომელ თხასა მთხოვ, — შეუტია ტარუღამ, — ის ხომ ჩემია. თუ ძალიან გინდა, მაგ კომბალში გამიცვალეო.

ისა კომბალს მიუბრუნდა და უთხრა:

— აბა, ჩემო კომბალო, ერთი მაგრად მიბერტყე ტარუღაო.

კომბალი დატრიალდა და იქამდე ურტყა ტარუღას, სანამ მიწაზე გულწასული არ გაშხლართა.

— ახლაც არ მომცემ ჩემს თხასაო? — ჰკითხა ისამ.

— მინდორშია, საღამოს დაბრუნდება და წაიყვანე, ხომ ხედავ, ვკვდები, თავი დამანებეო, — ძლივს ამოიკვნესა ტარუღამ.

ისა წამოვიდა, ახლა ყადის მიადგა კარზე და ჰკითხა:

— ყადი აღა, კანონით თხა ვის ეკუთვნისო?

— ვისა და ტარუღას, მაგრამ თუ კომბალს მომცემ, თხას იმას წავართმევ და შენ ჩაგაბარებო, — უთხრა ყადიმ.

ისამ კვლავ კომბალი დაატრიალა. ყადი ხარივით აბღავლდა, სადაც კი გაიქცა, კომბალი უკან გამოუდგა და იმდენი ურტყა, სანამ თვალთ არ დაუბნელა და არ წააქცია. მაშინ კი ისამ კომბალი აიღო და ყადის ჰკითხა:

— აბა, რას იტყვი, თხა ჩემია, თუ კომბალი კიდევ დავატრიალოო?

ყადი შეეხვეწა:

— შემიბრალე, ისა, კომბალი წაიღე და გამეცალე, თხა კანონით შენ გეკუთვნის, ტარუღას გამოართვი და შინ წაიყვანეო.

ისა პირდაპირ ტარუღასაკენ გაემართა. ტარუღამ კრინტის დაუძვრელად დაუბრუნა თხა. ისამ თხა შინ მიიყვანა.

დედაბერმა ისე გაიხარა, ისე, თხას სულ თავ-პირი დაუკოცნა. ამის მერე, ყოველ ცისმარე დღეს დედაბერი თხას სწველიდა, ისას რძე ბაზარში მიჰქონდა, ან პურში ცვლიდა.

ერთ დღეს ყადიმ თავისთან ერთი კუდიანი დედაკაცი დაიბარა და უთხრა:

— ქვეყნის ქონება-საცხოვრებლით აგავსებ, თუ ჩირაღდნიან ისას იმ კომბალს დასტყუებ და მე მომიტანო.

კუდიანმა დედაკაცმა თავი შორს დაიჭირა, — რას ამბობ, ყადი აღა, მეშინიაო, მაგრამ ყადიმ, როგორც იქნა, მაინც დაითანხმა.

ერთ საღამოს კუდიანი დედაკაცი ჯოხის ბაკუნით ისას სახლს მიადგა და მოწყალება ითხოვა. ისა შინ არ იყო და ბებიამ გამოიხედა. უნდოდა მოწყალება მიეცა, კუდიანმა კი ხვეწნა-მუდარით აიკლო:

— ალაჰის გულისათვის ამაღამ შემიფარეო.

— დაო, ალაჰსაც ვენაცვალე და შენს სტუმრობასაც, შიგნით შემობრძანდიო, — უპასუხა ბებიამ.

შევიდა კუდიანი და ისეთი თავშესაქცევი საუბარი გაუბა, რომ დედაბრის გული უცებ მოინადირა და გაუდობილდა. ამ დროს ისაც დაბრუნდა შინ.

— ეს დედაკაცი ვინ არისო? — იკითხა ისამ.

— სტუმარია, შვილო, ისეთი ტკბილი ლაპარაკი იცის, იმდენი მაცინა, იმდენი, სიცილით ლამის გავიგუდეო.

— სულერთია, თვალში მაინც არ მომდის, კუდიან დედაკაცსა ჰგავსო, — თქვა ისამ.

— რას ამბობ, შვილო, — შეუტია ბებიამ, — შენ და შენი ღმერთი, მაგ სიტყვებს ნუღარ გაიმეორებ. ეს საცოდავი სულ შენს ქებაშიაო.

ისამ ხმა აღარ ამოიღო, დაჯდა და იმ დედაკაცის საუბარს მიუგდო ყური. კუდიანმა იმდენი ილაპარაკა, რომ ისას და ბებიას ძილი მოჰგვარა. დედაკაციც ამას უცდიდა. მაშინვე წამოდგა, ისას სასთუმლის ქვეშიდან კომბალი გამოაძრო, წამოიღო და ყადის მიუტანა. ყადიმ მაშინვე ტარუღა იხმო. ტარუღამ კუდიან დედაკაცს მთელი ერთი სოფლის მოსავალი აჩუქა. როცა დედაკაცი წავიდა, ტარუღას და ყადის დავა აუტყდათ.

— კომბალი ჩემიაო!

— არა, ჩემიაო!

საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთმანეთს მუშტები დაუშინეს, კომბალი კი სულ გადაავიწყდათ.

ამასობაში ისას და მის ბებიას გაეღვიძათ. ადგნენ, მიიხედ-მოიხედეს და ის ბებერი დედაკაცი ველარსად ნახეს. ახლა კომბალი ეძება ისამ, ველარც კომბალი იპოვა. ბოლოს მიხვდა, ის კუდიანი მოიპარავდაო და მაშინვე ყადისკენ გაეშურა. შინ რომ შევიდა, ხედავს, ყადის და ტარუღას მუშტი-კრივი გაუმართავთ. ყადიმ როგორც კი ისა დაინახა, იმწამსვე კომბალი გაახსენდა და უბრძანა:

— აბა, ჩემო კომბალო, ისას იმდენი სცემე, სანამ სული არ გასძვრებაო.

კომბალი მისდგა ისას და იქამდე სცემა, სანამ გულწასული ძირს არ დასცა. ყადი ტარუღას შეეხვეწა:

— ტარუღა, ამ წყეულის გვამი აიღე, სადმე შორს გადააგდე და კომბალს შენ მოგცემო.

გახარებული ტარუღა წავიდა და კაცები მოიყვანა. ამათ ისა ფარდაგში გაახვიეს, წაიღეს და შორს, ერთ უდაბნოში გადააგდეს. კაცებს ეგონათ, ეგ არის, ისა მკვდარიაო და არხეინად დაბრუნდნენ უკან. ტარუღამ ჯერ ისას სახლში შეიარა, თხა წამოიყვანა და შემდეგ ყადისთან მივიდა.

გავიდა სამი დღე. ჩირაღდნიანი ისა გონს მოვიდა. ხედავს, ეშმაკი დასდგომია თავს. ისას უნდოდა წამომდგარიყო, მაგრამ ისე იყო დაჟეჟილი, ვერ შეძლო.

— რა დაგმართნიაო? — ჰკითხა ეშმაკმა.

ისამ თავისი თავგადასავალი უამბო. ეშმაკმა უთხრა:

— ნუ დარდობ, ახლა სხვა კომბალს მოგცემ. ეს კომბალი ისეთია, იქ წაგიყვანს, სადაც მოისურვებ და, თანაც, ყადიმ თავის კომბალს რამდენიც არ უნდა უბრძანოს ისას სცემეო, ახლოს არ გაგეკარება. ასე რომ, იმ კომბალსაც დაიბრუნებ და რასაც მოინდომებ, იმასაც გააკეთებ. მაგრამ კვლავ გიმეორებ — სიფრთხილე ვაჟკაცის მშვენებააო.

ისამ ეშმაკს კომბალი გამოართვა, ცაში აიჭრა და პირდაპირ თავისი სოფლის თავზე დაეშვა. ხალხმა რომ ცაში ალი შენიშნა, ყადის კარზე შეგროვდა. ყადიმ ტარუღა იხმო და უთხრა:

— ჩირაღდნიანი ისას გვამი რა უყავითო?

— ავიღეთ და ერთ უდაბნოში გადავაგდეთო, — უპასუხა ტარუღამ.

— ტარუღა, ისა ცოცხალია, ცაზე რომ ალი მოჩანს, ის უნდა იყოს. როგორმე თავი უნდა დავიძვრინოთო.

ყადიმ და ტარუღამ მოილაპარაკეს, როგორც კი ისა კარებში შევიდოდა, კომბალს მიუშვერდნენ, სიკვდილის პირსაც მიიყვანდნენ და მეორე კომბალსაც დაეპატრონებოდნენ.

ამასობაში ისა ციდან მიწაზე დაეშვა და შინ მივიდა. ხედავს, ბებია ცრემლად იღვრება. ისამ ჯერ ბებია დაამშვიდა, სახე დაუკოცნა და მერე ტარუღას სახლისკენ გაეშურა. ისამ თხა შინ წაიყვანა და მოხუცი გაახარა. დედაბერმა თხა მოწველა და რძე დალია. რძემ უმალ თვალში შუქი და მუხლში ძალა დაუბრუნა. ისა კი ყადისთან წავიდა. როგორც კი კარი შეაღო, ყადიმ კომბალს უბრძანა, ისას სანამ სული არ ამოსძვრება, სცემეო. ისამაც თავისი კომბალი მოიმარჯვა და შესძახა:

— აბა, ახლა კი გაუძელითო.

ორივე კომბალი ყადისა და ტარუღას მიესია და სიკვდილის პირამდე მიიყვანა. ისამ თავმოყრილ ხალხს ყველაფერი უამბო. გაბრაზებულმა ხალხმა ყადი და ტარუღა შეაჩვენა.

ჩირაღდნიანმა ისამ, მისმა ბებიამ და თხამ კი ტკბილად გალიეს დარჩენილი წუთისოფელი.

დრონი მეფობენ...

მტკვრის ნაპირზე ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად ალმარდანი ერქვა. ეს საცოდავი დღესა და ღამეს ასწორებდა, მაგრამ კუჭი მაინც შიმშილით უხმებოდა. დადგებოდა წელი — ეს ხვნაო, ეს თესვაო, ეს ფარცხვაო. უვლიდა, ზედ დაჰკანკალებდა, მაგრამ როგორც კი მოსავალს მოიწევდა, აქედან ბეგი* წამოადგებოდა თავს, იქიდან სხვა მევალე აეტუზებოდა და ყველაფერს კალოზევე წაართმევდნენ ხოლმე, შინ მიტანასაც აღარ აცდიდნენ. დადგებოდა თუ არა შემოდგომა, საწყალი კვლავ კარდაკარ დადიოდა და ვალებს იღებდა.

ერთ დღესაც ალმარდანი ცოლს მოელაპარაკა, მოდი, ქალაქში წავალ, იქნება ბედმა გამიღიმოს და ცოტაოდენი რამ ვიშოვოო. მართლაც, ინათა თუ არა, ალმარდანი გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა, ეშმაკის ხეობას მიადგა. ეშმაკის ხეობას იმიტომ ეძახდა ხალხი, რომ იქით გამვლელი კაცი ერთი რა არის, ერთი აღარ დაბრუნებულა შინ ცოცხალი — ნისლსა და ბურუსში გზა ეკარგებოდა და ბოლოს მხეცების ლუკმა ხდებოდა. ქალაქისკენ კი სხვა გზა არ მიდიოდა.

— გავივლი ამ ეშმაკის ხეობას, — თქვა ალმარდანმა, — რაც მოსახდენია, მოხდეს, რა ბედენაა, შინ შიმშილით გამძვრება სული, თუ აქ მხეცები შემჭამენო.

ალმარდანს თან უბრალო დანაც კი არ ჰქონდა წამოღებული. პურიც შემოელია, დილამდე თუღა ეყოფოდა. შევიდა ხეობაში.

ერთხანს ასე იარა. გზა თანდათან მიხვეულ-მოხვეული და ღორღიანი გახდა. ხეობის ვიწროდან როგორც კი გაშლილ ადგილზე გავიდა, უკანიდან ძახილი მოესმა:

— ალმარდან! ჰეი, ალმარდან, დაიცა, კაცო!

ალმარდანმა ფეხს აუჩქარა. უკანიდან მაინც ვიღაცა ეძახის:

— ალმარდან, მოიცა, კაცო, შენიანი ვარ, მოიცა!

მოხუცმა გული გაიმაგრა, მობრუნდა და გზას გახედა. ვერავინ დაინახა.

— ეტყობა, ეშმაკის ხეობაში ასე იცისო, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — კაცმა თავი არ უნდა დაკარგოს. რაც მოსახდენია, მოხდესო, — და კიდევ უფრო აუჩქარა ნაბიჯს, მაგრამ ის ხმა ახლა ზედ ყურის ძირთან მოესმა. ალმარდანს შიშისგან კრიჭა შეეკრა: ერთი თეთრი გველი კუდზე შემდგარა, გვერდით მოსდევს და არ ეშვება:

— ალმარდან, კაცო, მე ხომ შენიანი ვარ, დაიცაო!

ალმარდანს ხახა გაუშრა, მაგრამ არაფერს იმჩნევს, ვითომცდა არაფერიაო. გველმა სულ ახლოს მიიწია და უთხრა:

— ალმარდან, კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა, ასე სად მიეჩქარებიო?

— სად მივეჩქარები, თავს შემოგევლე, და ქალაქს, იქნებ ცოტაოდენი პურის ფული ვიშოვოო.

— მერე და ამ ხეობაზე გავლისა არ გეშინიაო?

— ეჰ, ჩემო კარგო, უფულო კაცი ქვაზე მაგარია. ჩემთვის სულერთია, შინ შიმშილით მოვკვდები თუ აქ გველ-ბაყაყი შემჭამსო.

— ალმარდან, როგორც ვხედავ, ურიგო კაცი არ უნდა იყო, მოდი, დავმეგობრდეთო.

— დავმეგობრდეთო.

— მაშ, დღეიდან უკვე მეგობრები ვართ. ახლა კი ყური დამიგდე: აქედან პირდაპირ, აგერ, იმ ქალაქში ჩახვალ და ნახავ, რომ ხალხს დუქნებიც დაუკეტავს, ბაზარიც დაუხურავს და ფადიშაჰის მოედანზე მიიჩქარის. იქ ფადიშაჰი მოგიყვებათ, სიზმრად ვნახე, ვითომც ციდან გარეული მხეცები ცვიოდა, მე ისე შემეშინდა, ლოგინიდან წამოვვარდიო. ვისაც ამ სიზმრის ახსნა შეუძლია, წინ გამოვიდესო.

კაციშვილი ხმას არ ამოიღებს. მაშინ შენ დაუძახე, სიზმარს აგიხსნი-თქო. წაგიყვანენ ფადიშაჰის ბაღში, გაჭმევენ, გასმევენ, მერე გამოგიყვანენ ბაღის შუაგულში ტბა რომ არის, იმის ნაპირას. იქ ფადიშაჰი სიზმრის ახსნას მოგთხოვს. შენ ცოტა ხანს ჩაფიქრდი, ტბაში ჩაიხედე, ცას აჰხედე, ვარსკვლავებს დააკვირდი და უთხარი: დღეგრძელი იყოს ფადიშაჰი, დიდი ადამიანის სიზმარსაც დიდი აზრი აქვს-თქო. ეგ სიზმარი იმას ნიშნავს, რომ ცუდი დრო დადგება, ქვეყანა აირ-დაირევა, ხალხი მხეცებს დაემგვანება, ძლიერი უძლურს დაჩაგრავს და გაანდგურებს-თქო.

ამის შემდეგ შენ ხალათს გიბოძებენ, ოქროთი დაგასაჩუქრებენ. რაც არ უნდა მოგცენ, შენი იყოს, მხოლოდ ოქრო შუაზე გამიყავიო.

ალმარდანი წავიდა და პირდაპირ ქალაქს მიადგა. უნდოდა ჩაიხანაში შესულიყო, მაგრამ ხედავს, რომ ხალხი გარეთ გამოდის, ჩაიხანის პატრონიც უკან მოჰყვებათ:

— შვილო, ამ დროს დუქანს რადა კეტავ, საით მიიჩქარიო? — ჰკითხა ალმარდანმა.

— ბიძაჩემო, ფადიშაჰი ხალხს ეძახის და ყველანი იქით მიდიან, თუ გინდა, შენც წამოდიო, — უპასუხა მედუქნემ.

ალმარდანი ხალხს გაჰყვა. მოედანზე იმდენ ხალხს მოეყარა თავი, იმდენს, ნემსიც არ ჩავარდებოდა. ალმარდანი გვერდზე გადგა და ცქერა დაუწყო.

ფადიშაჰი გამობრძანდა, ხალხმა თაყვანი სცა.

— ხალხო და ჯამაათნო! — მიმართა ფადიშაჰმა ხალხს, — წუხელის სიზმარი ვნახე, ვითომ ციდან მხეცები ცვიოდა. შიშისგან ლოგინიდან წამოვხტი. აბა, თუ ვინმეს შეგიძლიათ, ამიხსენით, ჩემი სიზმარი რას ნიშნავსო.

ალმარდანი ხედავს, რომ გველის ნათქვამი ყველაფერი მართლდება.

ფადიშაჰმა კვლავ იკითხა:

— ხალხო, ვისაც შეუძლია სიზმარი ამიხსნას, ზევით ამოვიდესო.

ყველა გაისუსა. მაშინ ალმარდანმა ფაფახი ზემოთ ასწია. ფადიშაჰის კაცებმა მოხუცი მაშინვე ზევით აიყვანეს. ჭამა, სვა, კარგ ხასიათზე დადგა. საღამო ჟამს ფადიშაჰი თავის ნაზირ-ვეზირებით სასეირნოდ გამოვიდა, ტბის ნაპირას ჩამოჯდა და ალმარდანს უთხრა:

— კარგია, რომ სიზმარის ახსნა შეგიძლია. აქამდეც უნდა გამეგო მისი აზრი და მნიშვნელობა, მაგრამ ისე შემაშინა, კითხვას ვერა ვბედავ. მითხარი, რა ამბავია ჩემს თავსო.

ალმარდანმა წვერებზე ხელი ჩამოისვა, ჯერ ძირს დაიხედა და წყალს დააკვირდა, მერე ზემოთ, ცისკენ აწვდილ ხეებს თვალი გააყოლა და უთხრა:

— იდღეგრძელოს ფადიშაჰმა. დიდი ადამიანის სიზმრის აზრიც დიდია. შენი სიზმარი იმას მოასწავებს, რომ ქვეყანა აირ-დაირევა, ადამიანები გამხეცდებიან, რასაც მოახელთებენ, ერთმანეთს ხელიდან წაჰგლეჯენო.

ფადიშაჰი ალმარდანის კმაყოფილი დარჩა. ნაზირ-ვეზირებს უბრძანა, ალმარდანს ხალათი უბოძეთო. აიღეს და მოხუცი კაცი თავით ფეხებამდე შემოსეს. რამდენიმე ქისა ოქროც მისცეს და გამოისტუმრეს.

ბერიკაცი კვლავ ეშმაკის ხეობაში შევიდა. გველის ხვრელს რომ მიადგა, თეთრი გველი ვერსად დაინახა. ნეტავი გველს ოქრო რაში უნდაო, — გაიფიქრა ალმარდანმა, — იმის წილსაც მე წავიღებ, ბავშვები მშივრები მყავს და იმათ მოვახმარო. ასეც მოიქცა.

გავიდა ხანი. ჭამდა, სვამდა ალმარდანი და განცხრომაში იყო. ერთ დღესაც ფადიშაჰს დაებარებინა, ალმარდანი სასახლეში გამოცხადდესო.

ცოლმა ქმარს გზა დაულოცა. ეშმაკის ხეობას დაფიქრებული ჩაუყვა ალმარდანი — ფადიშაჰი ახლო მეგობრებს ან ცამდე ამაღლებს, ან თავს კვეთს. მეც ალბათ ვერ გადავურჩებიო. ახლა რომ უცებ საიდანმე გველი

გამოძვრეს და დამეძგეროს, „ვაისაც“ ვერ მოვასწრებ, ისე გამათავებსო, — ამის გაფიქრება იყო და, გველის ხმაც ჩაესმა ყურში. ალმარდანს შიშისგან ყელი გაუშრა.

— კაცო, სად მიდიხარო? — ეკითხება გველი.

რაღას იზამდა, ალმარდანმა გული გაიმაგრა, პატივით მიესალმა და უპასუხა:

— ფადიშაჰი თავისთან მიხმობს, ალბათ თავს წამაცლისო.

— ნუ გეშინიან, — უთხრა გველმა, — შეხვალ თუ არა ფადიშაჰთან, სიტყვა არ აცალო და უთხარი, სიზმრად გინახავს, ვითომც ციდან ხმალი ჩამოვარდა-თქო. ფადიშაჰი სიზმრის ახსნას მოგთხოვს. შენც უთხარი, დრო დადგება და ქვეყანა ერთმანეთს დაერევა. ერთი ფადიშაჰი მეორეს გადაემტერება და სისხლის მდინარე იდენს. შენ კი თავს გაუფრთხილდი-თქო.

ალმარდანი ფადიშაჰს ეახლა. ფადიშაჰს ჯერ ხმაც არ ამოელო, რომ ალმარდანმა დაასწრო:

— იდღეგრძელოს ფადიშაჰმა, ვიცი რისთვისაც დამიბარე, სიზმარში ნახე, ვითომც ციდან ხმალი ჩამოვარდაო.

ნასიამოვნებმა ფადიშაჰმა ალმარდანს წყალობის თვალით გადაჰხედა და სიზმრის ახსნა სთხოვა:

— დღეგრძელი იყოს ფადიშაჰი! ქვეყანა ძალზე აირ-დაირევა. მთელი ქვეყნის ფადიშაჰები ერთმანეთს დაერევიან და სისხლი მდინარესავით იდენს. შენ კი შენ თავს გაუფრთხილდიო.

ფადიშაჰს ეამა ალმარდანის სიტყვები და ბრძანა:

— ვისაც მე ვუყვარვარ, ამ კაცს ხალათს უბოძებსო!

ალმარდანმა საჩუქრად ხალათები, ოქრო და ვერცხლი მიიღო. ფადიშაჰმა ბრძანა, ალმარდანისთვის შაჰის საჯინიბოდან ერთი კარგი რაშიც მიეცათ, ხაზინიდან კი — ძვირფასად მოჭედილი ხმალი.

ცხენზე გამოჭიმული ალმარდანი თხუთმეტი წლის ჭაბუკს დაემსგავსა. ეშმაკის ხეობას რომ გადიოდა, შორიდან თეთრ გველს მოჰკრა თვალი. ალმარდანმა იმწამსვე ხმალი იშიშვლა და გველს გაუქანდა:

— ამის შემდეგ აღარც ფადიშაჰი ნახავს სიზმარს და აღარც მე დამიბარებს. სულს გაგაფრთხობინებ და ამ სიმდიდრის მენახევრედ კი არ გაგიხდიო, — იყვირა ალმარდანმა, ხმალი მოუქნია და თეთრ გველს კუდი წააწყვიტა, მერე ცხენი გარეკა, შინ მივიდა და მშვიდად განაგრძო ცხოვრება.

ერთ დღეს, როცა ალმარდანი განცხრომას მისცემოდა, ფადიშაჰის ბრძანება მოვიდა, სასახლეში გამოცხადდესო. ალმარდანს მუხლი მოეჭრა:

— ახლა კი სიკვდილს ვეღარსად გავექცევი. ან გველი დამშხამავს, ან

ფადიშაჰი წამაცლის თავს. რა უნდა ვუთხრა ფადიშაჰს, გველი გადავიკიდე და ჭკუას ვინღა დამარიგებსო.

მეორე დღეს ცოლ-შვილმა ალმარდანს გზა დაულოცა. როცა გველის ხვრელს გაუარა, გველმა მიაძახა:

— იცოდე, ფადიშაჰს სიზმარი უნახავს, ვითომც ციდან ცხვარი ჩამოვარდა. თუ სიზმრის ახსნა გთხოვოს, უთხარი — ქვეყანა გამოსწორების გზაზეა, კარგი დროება დადგება. ღარიბ-ღატაკისთვისაც გათენდება, აღარც ომი იქნება და აღარც ხმლის ტრიალი-თქო.

ალმარდანი მიდიოდა და ფიქრობდა: — ამ გველმა რამდენი სიკეთე გამიწია, მე კი სულ ცუდით ვუხდი. თეთრი გველის წყალობით დოვლათი შევიძინე. ახლა აღარც ხალათი მჭირდება და აღარც ოქრო-ვერცხლი. ამ გზობას თუკი რამე მიწყალობეს, ყველაფერს ქისაში მოვუყრი თავს და გველის სოროსთან დავდებ. თავს შევაბრალებ, პატიებას ვთხოვ. თუნდაც მომკლას აღარ ვნაღვლობ, შვილები უჩემოდაც იცხოვრებენო.

ასეც მოიქცა. მიიტანა რაც ოქრო-ვერცხლი აჩუქეს, გველის ხვრელთან დააწყო და დაუძახა. გველი გარეთ გამოძვრა.

ალმარდანი შეევედრა და პატიება სთხოვა.

— ალმარდან, მე შენი არც ოქრო მინდა და არც ვერცხლი. ეგ ყველაფერი შენს ცოლ-შვილს წაუღე. პატიებას კი ნუ მევედრები. არ გამტყუნებ, დრონი მეფობენ და შენც იმის შესაფერისად იქცეოდი. იმ დროს, როცა ხალხი გადაირია და ერთმანეთს ხელიდან სტაცებდა ყველაფერს, შენც ჩემი წილი წამგლიჯე; ამის შემდეგ სისხლისღვრის დრო დადგა, შენც მეომრად იქეცი და კუდი წამაწყვიტე. ახლა კაცური დრო მოდის და შენც დროებას შეეწყვე, ხასიათი შეიცვალე. წაიღე ეს ოქრო-ვერცხლი და წადი. ალალი იყოს შენზე, დედის რძესავით შეგერგოსო, — თქვა გველმა და ხვრელში შეიმალა. ალმარდანი დაბრუნდა თავის ცოლ-შვილში და ტკბილად და ბედნიერად გაატარა წუთისოფელი.

იმათ ჭამეს, სვეს და იმ ქვეყნის გზას გაუდგნენ.

ფადიშაჰი და მჭედელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მდიდარი ფადიშაჰი. ერთ დღეს ფადიშაჰმა ვეზირი იხმო და ჰკითხა:

— იცი, რა უნდა გითხრაო?

— არა, არ ვიცი, სამყაროს ყიბლავ,* — უპასუხა ვეზირმა.

— ჩემზე ხომ ითქმის, ფუფუნებაში ცხოვრობს, ურიცხვი ჯარი და მამა-

ცი ფალავანი ჰყავს, თვალუწვდენელი სამფლობელოს მბრძანებელია და ყველა ფადიშაჰი მას მონებსო, მაგრამ ჭმუნვა მაინც არ მცილდება. დღისით ვიცინი და ვსაუბრობ, ღამით — ფიქრები მაწვალებს. ჭაღარა გამომერია, დღითი დღე სიცოცხლე მაკლდება, სიკვდილი მიახლოვდება და მემკვიდრე კი არ მყავს, რომ ტახტი დავულოცო. აბა მითხარი, განა კიდევ მოიძებნება ადამიანი, ვისაც ჩემდენი სადარდებელი და საფიქრალი ექნებაო!

— ჩემო მბრძანებელო, ქვეყანაზე ერთი კაციც არ მეგულება ისეთი, საფიქრალი და სადარდებელი რომ არა ჰქონდესო, — მიუგო ვეზირმა.

იდავეს, იკამათეს ფადიშაჰმა და ვეზირმა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს ფადიშაჰმა მთელ ქვეყანაში კაცები დაგზავნა და უდარდელი ადამიანის პოვნა დაავალა. ბევრი ეძებეს მსახურებმა, ბევრს ეცადნენ, მაგრამ უდარდელ კაცს ვერა და ვერ მიაგნეს.

მსახურები დაბრუნდნენ და ფადიშაჰს მოახსენეს:

— ქვეყნის ოთხივე კუთხე მოვიარეთ, მაგრამ შენს საწადელ კაცს ვერსად წავაწყდითო.

მაშინ ფადიშაჰმა ვეზირს უთხრა:

— მე მაინც ჩემს სიტყვაზე ვდგავარ. მოდი, სხვა სამოსი გადავიცვათ, მთელი ქვეყანა მოვიაროთ და ასეთი კაცი ჩვენ თვითონ ვეძებოთო.

მართლაც ფადიშაჰმა და ვეზირმა უბრალო სამოსი გადაიცვეს და წავიდნენ. იარეს, იარეს, ბოლოს ერთ დუქანში შევიდნენ და მედუქნეს მიესალმნენ. მედუქნემ სალმითვე უპასუხა და საქონელი შესთავაზა.

— არაფრის ყიდვას არ ვაპირებთ, უბრალოდ შემოვედით, რომ ცოტა წავისაუბროთ და დარდი გავიქარვოთო, — უთხრა ფადიშაჰმა.

მედუქნეს სახე მოეღრუბლა:

— ალაჰის მადლმა, სალაპარაკოდ არა მცხელაო.

— რატომო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— როგორ თუ რატომ? რამდენი ხანია, ვაჭრობა აღარა მაქვს. ხალხს ფული გამოელია და ნისიად მიაქვს ყველაფერი. საწყობი საქონლით მაქვს სავსე, პურის ფული კი მენატრება. აბა, რა ლაპარაკის გუნებაზე უნდა ვიყოო, — უპასუხა მედუქნემ.

ხედავენ ფადიშაჰი და ვეზირი, რომ მედუქნეს მართლაც ჰქონია სადარდებელი და გაეცალნენ. გზაში ერთ მებაღეს შეხვდნენ და საუბარი გაუბეს. მებაღემ ამოიოხრა:

— ეჰ, ძმებო, ისეთ გუნებაზე ვარ, დანა პირს არ მიხსნის, მთელი ჩემი სარჩო-საბადებელი ეს ბაღია. ფადიშაჰის მერებებმა* კი წყალი დაწყვიტეს და ბაღი სულ გადამიხმა. რა მეშველება, არ ვიცი.

ფადიშაჰი და ვეზირი მებაღეს გამოეთხოვნენ და ახლა ერთი მიცვა-

ლებულის სატირალში მოხვდნენ. ვისაც გამოელაპარაკნენ, ყველა თავის გასაჭირს ჩიოდა. ერთი ამბობდა:

— ჩემი ქალიშვილი უდროოდ გამოაკლდა ამ წუთისოფელსო.

მეორე მოთქვამდა:

— ჩემი თვალისჩინი, ჩემი ერთადერთი ვაჟი ფადიშაჰმა ჩამოახრჩოო, — და ვინ იცის, კიდევ რას არ ამბობდნენ.

ფადიშაჰმა ვეზირს უთხრა:

— აქ ყველა მგლოვიარეა მოსული და თავისი დარდი ალაპარაკებსო.

— მაშინ ქორწილში წავიდეთო.

იარეს, იარეს და იმ სახლში შევიდნენ, სადაც ქორწილი ჰქონდათ. ზოგი უკრავდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ცეკვავდა და ზოგიც იცინოდა.

ფადიშაჰმა ვეზირს უთხრა:

— აი, აქ კი ვიპოვით, რასაც ვეძებთო.

— დიდებულო მბრძანებელო, უკეთესია მოვიცადოთ და ვნახოთ, ქორწილის შემდეგ რა ხასიათზე დადგებიანო, — მიუგო ვეზირმა.

უცებ ფადიშაჰმა თვალი მოჰკრა ერთ უცნაურ სტუმარს. მის დანახვაზე კაცი სიცილს ვერ შეიკავებდა. ფეხზე მდგარი კაცი თუ ოდნავ წაიხრებოდა, ხელები ისე გაუქანდებოდა წინ, თითქოს გაფრენას აპირებსო. რამდენჯერაც უთხრეს, ქორწილში ხარ, რამე მიირთვიო, იმდენჯერ უპასუხა, შინიდან ნაჭამი წამოვედი და არა მშიაო. ფადიშაჰი და ვეზირი ხელსაყრელ დროს ელოდნენ, რომ იმ კაცს გამოლაპარაკებოდნენ. უთვალთვალეს, უთვალთვალეს და ხალხი რომ დაიშალა, ამ კაცს გაჰყვნენ. უცნობი ერთ სახლში შევიდა. ფადიშაჰმა და ვეზირმა კარზე დააკაკუნეს. კარი გაიღო:

— აქ უცხოდა ვართ მოსულები, ნაცნობი არავინა გვყავს და იქნებ ღამე გაგვათევინოთო! — სთხოვეს სახლის პატრონს.

სახლის პატრონმა მიუგო:

— ძმებო, სტუმარი ღამე გარეთ არ დაიტოვება, შინ შემობრძანდითო.

ფადიშაჰი და ვეზირი შინ შევიდნენ და სახტად დარჩნენ: — სახლი სულ ძვირფასი ქვებით იყო მოჭედილი, ოთახები — მდიდრულად მორთულ-მოკაზმული. კარებთან მსახურები იდგნენ. ერთი სიტყვით, სახლი იყო ისეთი, თვით ფადიშაჰის სასახლეც კი მასთან სოროდ მოგეჩვენებოდათ. ისხდნენ, საუბრობდნენ. ამასობაში ვახშამიც მოიტანეს. მასპინძელმა სტუმრები სუფრასთან მიიწვია. სუფრას რომ მიუსხდნენ, მასპინძელს ოხვრა აღმოხდა. ფადიშაჰი და ვეზირი განცვიფრდნენ, ამას რაღა აქვს სადარდებელიო, და ოხვრის მიზეზი ჰკითხეს.

— არა, მიზეზს ვერ გეტყვითო, — იუარა მასპინძელმა.

ფადიშაჰი ბევრს ეცადა, მაგრამ, მართლაც, ვერაფერი ათქმევინა.

ბოლოს ვეზირმა უთხრა:

— ძმობილო, ჩვენში სტუმრის პატივისცემა ადათი და წესია. თუ შენს დარდს არ გაგვიმხელ, საჭმელს პირს არ დავაკარებთო.

— მაშინ რა გაეწყობა, გეტყვით, რაც მაწუხებს, — ხელები არ მაქვს და საჭმელს ვერ შევჭამო.

— აბა ეგ მკლავები ვისიაო? — ჰკითხა გაოცებულმა ვეზირმა.

— მკლავები კი არა, თივით გატენილი სახელოებიაო, — კაცმა ჩოხა გადაიძრო და თავის სიმართლეში დაარწმუნა ორივე. ვეზირმა ნეკზე იკბინა.

— ასე ვინ დაგასახიჩრაო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— ვინა და, ჩვენმა უტტვინო ფადიშაჰმაო!

ფადიშაჰს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ თავი დროზე შეიკავა და ჰკითხა:

— ერთი გვიამბე, მიზეზი რა იყოო?

— საკუთარი სამჭედლო მედგა და ოსტატობითაც მთელ ქვეყანაზე ცნობილი ვიყავი. ერთ დღეს ჩემთან ფადიშაჰის გამოგზავნილი ტარუღა მოვიდა და მისი ბრძანება გადმომცა, ისეთი პირბასრი ხმალი გამომეჭედა, ქვა შუაზე გაეპო. მართლაც, მშვენიერი ხმალი გამოვჭედე, დილით ის ვაჟბატონი მოვიდა და ხმალი წაიღო. არ გასულა ერთი დღეც და ვხედავ, თავით ფეხებამდე წითლებში გადაცმული ორი ჯალათი შემოვიდა სამჭედლოში და, სანამ გონს მოვიდოდი, ხმლებით მკლავები ჩამისხიპეს.

ერთმა ჯალათმა თქვა:

— ფადიშაჰის მოტყუებისა და უვარგისი ხმლის გამოჭედვისათვის მოგკვეთეთ მკლავები, ასეთი იყო ფადიშაჰის ბრძანებაო.

ამაზე მე ვუპასუხე:

— ჩემი გამოჭედილი ხმალი ქვას შუაზე აპობდა-მეთქი.

ჯალათებს ეს ამბავი ფადიშაჰისთვის მოუხსენებიათ, მაგრამ მას არ დაუჯერებია. ფადიშაჰის ვეზირი კი, ეტყობა, ჭკვიანი კაცი იყო. დაეჭვებულა, ეგებ ტარუღას ცდუნებამ სძლია, ხმალი შეცვალა და ფადიშაჰს სხვა მოუტანაო, და საქმის ძიება დაიწყო. მეც, ჩემი მხრივ, ვისაც შევხვდებოდი, ყველას ვუამბობდი ფადიშაჰის უსამართლობისა და ბოროტების ამბავს.

აქ ფადიშაჰმა ველარ მოითმინა და ჰკითხა:

— ასეთი დარდი გქონია და სულ მხიარულად ყოფნას როგორ ახერხებო?

— ძმობილო, მოთმინება იქონიე, სათქმელი მათქმევინე და სიტყვას ნუ გამაწყვეტინებ. ფადიშაჰზე ძვირს რომ ვამბობდი, თურმე მის ყურამდე მიუღწევია. ფადიშაჰმა ვეზირი გამომიგზავნა და შემომითვალა, თუ ჩემს აუგად ხსენებას არ მოიშლი, ჩამოგახრჩობ, თუ ქებას დამიწყებ და სულ პირმოცინარი იქლი, თავს დაგანებებო. ვეზირმა ფადიშაჰის ეს ბრძანება გადმომცა და სწორედ ამის შემდეგ არის, რომ ტყუილად ვიცინი. გულში კი

ორმაგად ვწყევლი და ვაგინებ ფადიშაჰს. მოგზავნილი ვეზირი პატიოსან კაცად მომეჩვენა და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ვეზირმა მანუგეშა, სიმართლე არ დაიკარგებაო.

ფადიშაჰმა კვლავ ჰკითხა:

— თუკი ფადიშაჰი მოატყუეს, ბრალს რაღაზე სდებო?

— ძმობილო, რა ბავშვივით ლაპარაკობ? როგორ თუ ბრალს რაზე ვდებ! ვინმე რომ მივიდეს და უთხრას, ჩემი მამალი დღეში ას ოქროს კვერცხს სდებსო, ჭკვიანმა ფადიშაჰმა უნდა დაიჯეროს? მერე რა, რომ მჭედელი ვარ, არ უნდა შეემოწმებინა ჩემი სიმართლე? რა იქნებოდა, ან თვითონ, ან მის რომელიმე კარისკაცს თავისთან დავეძახე და ეკითხათ, რა იყო ჩემი დანაშაული, მეც სიმართლეს ვეტყოდი და ამ სასჯელს ავცდებოდიო.

ფადიშაჰმა და ვეზირმა ერთმანეთს გადახედეს, ამ კაცს მართლაც დიდი დარდი ჰქონიაო. ამასობაში დიდი დრო გასულიყო. ყველა დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ძილი არც ერთს არ მიეკარა.

ვეზირმა ფადიშაჰს ჩუმად ჰკითხა:

— დიდებულო ფადიშაჰო, ეს კაცი გაგახსენდა თუ არაო?

ფადიშაჰმა უპასუხა:

— როგორ არა, ყველაფერი წვრილად გამახსენდა. მართლაცდა, უჭკუო ვყოფილვარ! მარტო ჩემი კარისკაცების მჯეროდა, სხვებს კი არც ვუსმენდი. ისე დამიტანჯავს ხალხი, ყველა ჩემს გინებაში არის თურმე. დღეის იქით ასე აღარ იქნება. განუკითხავად აღარავის დავსჯი. ღარიბ-ღატაკებს, ქვრივ-ობლებს, მოხუცებს და ხეიბრებს ხელს გავუმართავ. მაგრამ, აქედან რომ წავალთ, ტარუღას, მაინც დავსჯიო.

— ჩემო მბრძანებელო, მაშინ მისი შემოწმება მე მომანდეო, — სთხოვა ვეზირმა.

— მაგას რა შემოწმება უნდა, ვიხმობ ჩემთან, მოვატანინებ ხმალს და იმავე ხმლით კისერს გავაგდებინებო, — უთხრა ფადიშაჰმა.

— დიდებულო ფადიშაჰო, დიდ შეცდომას დაუშვებ, თუ იმ გაიძვერას პირდაპირ დაიბარებ და ხმლის მოტანას დაავალებ. ის კაცი ხმალს არ მოიტანს. დაფიქრებაა საჭიროო, — უთხრა ვეზირმა.

ამასობაში გათენდა კიდეც, სტუმრებმა მადლობა მოახსენეს მასპინძელს და წამოვიდნენ.

ფადიშაჰმა ვეზირს ჰკითხა:

— მაშ რას მირჩევ, როგორ მოვიქცეო?

— ჩემო ხელმწიფევ, ბრძანება გაეცი, ხვალ მოედანზე მოეწყოს შეჯიბრი ცხენოსნობაში, ისრის ტყორცნასა და ხმლით კაფვაში. საუკეთესოსთვის ჯილდოც დააწესე. ტარუღა ალბათ გამოაჩენს თავის ხმალსო.

მოედანი დილიდანვე ხალხით გაიჭედა. ყველა მოსულიყო: ფადიშაჰი, ვეზირი, ვექილი,* დიდებულნი. დიდსა თუ პატარას მოეყარა თავი.

დაჰკრეს ბუკი და ნაღარა, მოედანზე ფალავნები შემოვიდნენ. ზოგი ცხენს მოაჭენებდა, ზოგი ხმალს იქნევდა, ზოგიც ფარს იფარებდა. ფადიშაჰი და ვეზირი მხოლოდ ტარუღას უყურებდნენ. ტარუღას ხელში ისეთი ხმალი ეჭირა, კაცს თვალი ზედ დარჩებოდა. რომელ ფარსაც კი მოხვდებოდა, შუაზე აპობდა. ფადიშაჰმა ბრძანა, ტარუღა ხლებოდა. ტარუღა მალე ეახლა. ფადიშაჰმა ხმალი გამოართვა, დაათვალიერა და თავისი შეკვეთილი ხმალი იცნო, ზედ ხომ მისი სახელი იყო ამოკვეთილი. განრისხებულმა ფადიშაჰმა ტარუღას ჰკითხა:

— ეს ხმალი საიდან გაქვსო?

ტარუღას თქმა არ უნდოდა, მაგრამ მიხვდა, ჩემი საქმე წასულია, დანაშაული გამიმჟღავნდაო, და ყველაფერი აღიარა.

ფადიშაჰმა ბრძანა და ტარუღას იმავე ხმლით მოჰკვეთეს თავი.

ქაჩლის ოინები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქაჩალი, სახელად ვალი ერქვა. მთელი მისი ავლადიდება ერთი დეკეული იყო. ერთხელ მამასახლისმა მეზობლები შეაგროვა და უთხრა:

— მოდით, წავიდეთ და ქაჩალს რაიმე ეშმაკობით დეკეული დავაკვლევინოთ. რა ხანია ჩვენს პირს ხორცის გემო აღარ უნახავსო.

სიტყვიდან ხელად საქმეზე გადავიდნენ და წავიდნენ ქაჩალთან.

— ვალი, კაი ხანია ხორცი არ გვიჭამია და, მოდი, ასეთი რამე ვქნათ: ყველა ჩვენთაგანმა კვირაში ერთხელ ჩვენ-ჩვენი დეკეული დავკლათ და ერთად ვიქეიფოთ ხოლმეო.

ასე რომ, დააკვლევინეს ქაჩალს თავისი დეკეული, მოხარშეს და ჭამეს. გავიდა ამის შემდეგ ერთი კვირა, მაგრამ დეკეული აღარავის დაუკლავს. ვალიმ კიდევ იცადა ორი კვირა, სამი... და ნახა, რომ დეკეულის დაკვლას არავინაც არ ფიქრობს. მაშინღა მიხვდა, მომატყუესო და გაიფიქრა: კარგი, მეც დამაცადეთ, რა ოინი გიყოთო!

ვალიმ დეკეულის ტყავი მზეზე გააშრო და შოლტებად დაჭრა. მერე ეს შოლტები ხურჯინში ჩააწყო, ხურჯინი ვირს აჰკიდა და ქალაქის გზას გაუდგა. გზად ერთ წყაროთან დაუღამდა და ღამის გასათევად იქ დარჩა. ერთიც ვნახოთ, ვინმე სოვდაგრის ქარავანი დასასვენებლად ამ წყაროსთან შეჩერდა. ვალიმ სოვდაგარს უთხრა:

— თქვენ ცოტა მოშორებით დასხედით, რომ ჩემი ძვირფასეულობა თქვენსაში არ აირიოსო.

სოვდაგარმა გაიფიქრა: გიჟისაგან სიმართლეო! ადგა ღამე, ქაჩლის ხურჯინი მოიპარა, მის ადგილზე თავისი მაფრაშები* დააწყო და თვითონ თავისი ქარავნით გზას გაუდგა. ქაჩალს თურმე არ ეძინა, თვალები განგებ მიელულა და ყველაფერი დაინახა. მეორე დილას ქაჩალმა სოვდაგრის მაფრაშები ვირს აჰკიდა და უკან, სახლში გამობრუნდა. შინ სოვდაგრის მაფრაშები დახსნა და ნახა, რომ ძვირფასი ფარჩეულობით იყო სავსე. ქაჩალმა მაშინვე ცოლს უთხრა:

— დედაკაცო, წადი, მამასახლისს არშინი* სთხოვე და მომიტანეო.

ცოლი წავიდა და მამასახლისს არშინი სთხოვა.

— არშინი რაში დაგჭირვებიათო? — შეეკითხა ქალს მამასახლისი.

— ქაჩალმა ერთი საპალნე ფარჩა მოიტანა და ასაზომად გვინდაო.

მამასახლისმა არშინი მისცა და თვითონაც უკან მიჰყვა; ხედავს, ქაჩალს მართლაც ბევრი ფარჩა მოუტანია.

— ქაჩალო, ეგ ფარჩა სად გიშოვნიაო? — შეეკითხა მამასახლისი ქაჩალს.

ქაჩალმა მიუგო:

— თქვენ გეგონათ, დეკეულის დაკვლამ ძალიან მაზარალა? სულაც არა! მე იმ დეკეულის ტყავი შოლტებად დავჭერი, ქალაქში წავიღე, თითო-თითო ოქროდ გავყიდე და იმ ფულით ეს ფარჩა ვიყიდეო.

მამასახლისმა ეს ამბავი მეზობლებს უამბო. მათაც მაშინვე თავიანთი დეკეულები დაკლეს, ტყავები გამოიყვანეს, შოლტებად დაჭრეს და ქალაქში წაიღეს გასაყიდად. ქალაქში დადიოდნენ და გაჰყვიროდნენ:

— აბა აქეთ! დეკეულის ტყავის შოლტები, ცალი — ერთ ოქროდაო!

ბაზრის ხალხმა სიცილი დააყარა, — თითო შოლტში თითო ოქროს ვინ მოგცემთო! ბოლოს მიხვდნენ, ქაჩალმა ოინი გვიყოო და გამწარებულები სოფელში დაბრუნდნენ, ქაჩალი მოვკლათო. ესენი რომ ქაჩლის სახლისკენ მოდიოდნენ, ქაჩალი ამათ თურმე თავისი სახლის ბანიდან უთვალთვალებდა; სანამ მივიდოდნენ, ქაჩალი გაიქცა და მდინარის პირას ერთ თავის მეზობელ მწყემსს მიადგა ქაქანით.

— სად გარბიხარ, ქაჩალო, რა მოგივიდაო? — ჰკითხა მწყემსმა.

— რაღა რა მომივიდაო, — მიუგო ქაჩალმა, — ფადიშაჰის ქალსა მრთავენ ძალით, მე კიდევ იმისი შერთვა არ მინდა და იმაზე გავრბივარ. თუ გინდა, ტანსაცმელი გავცვალოთ, შენსას მე ჩავიცვამ, ჩემი შენ ჩაიცვი და ქალს შენ მოგათხოვებენო.

გაცვალეს მწყემსმა და ქაჩალმა ტანსაცმელი. მამასახლისიც მოვიდა,

ქაჩლის ტანსაცმლიანი მწყემსი რომ დაინახა, ქაჩალი ეგონა, ჰკრა ხელი და მდინარეში გადააგდო.

ახლა ისევ ქაჩალს მივუბრუნდეთ. მამასახლისი რომ წავიდა, ქაჩალმა მწყემსის ცხვარი შინ გამოირეკა. გზად მამასახლისი შემოხვდა და ჰკითხა:

— მე ხომ შენ მდინარეში გადაგაგდე, ცხვარი საიდანღა მოგიდისო?

— შენც გადავარდი მდინარეში, დაიყვირე „დრიჯჯო"-თქო და ცხვარიც გამოჩნდება; მეც ეს ცხვარი მდინარიდან მომიდისო, — მიუგო ქაჩალმა.

— მაშ, მდინარეში რომ ჩავვარდე და ვთქვა „დრიჯჯო!", ცხვარი მართლა მოვა? — დაჯერება არ უნდოდა მამასახლისს.

— რაღა თქმა უნდა!

მამასახლისი დილით ადგა და სწორედ იმ ადგილას მივიდა, საიდანაც წინა დღეს თავისი ჭკუით ქაჩალი გადააგდო მდინარეში, თვითონაც გადავარდა, რომ „დრიჯჯო" დაეძახნა, მაგრამ წყალში დაიხრჩო.

მელია და ყარყატი

ერთი მელია და ყარყატი დაძმობილდნენ. ერთხელ მელიამ ყარყატი თავისთან მიიპატიჟა, ერთი ქვაბი ბრინჯიანი დოს შეჭამანდი მოხარშა და სინზე დასხმული ყარყატს მიართვა. შეუდგნენ ჭამას. აბა, გრძელნისკარტა ყარყატი სინიდან რას შეჭამდა, ბრინჯის ერთი მარცვლის აღებაც კი ვერ მოახერხა. მელიამ კი გადმოაგდო გრძელი ენა და დოს შეჭამანდი ხელად მოსვლიპა. დარჩა ჩვენი ყარყატი იმ დღეს მშიერი. ნაწყენი კრუსუნით დაბრუნდა შინ. იმ ღამეს შიმშილისაგან სულ მუცელი უბუყბუყებდა.

გავიდა რამდენიმე დღე და მელიამ ისევ მიიპატიჟა ყარყატი. ყარყატი ძალიან კეთილი ხასიათისა იყო და ძველი წყენა უკვე გადავიწყებული ჰქონდა; თავპატიჟი აღარ დაუდია და ისევ გაჰყვა მელიას. მელიამ ამჯერადაც დოს შეჭამანდი მოხარშა, ისევ სინზე დაასხა და დადო სუფრაზე. ყარყატმა ორიოდე ბრინჯის მარცვლის შეჭმაც ვერ მოახერხა ხეირიანად, რომ მელიამ შეჭამანდი მთლიანად მოლოკა. ისევ მშიერი დარჩა ყარყატი და გულში გაიფიქრა: კარგი, მელიავ, შენ ხომ ასეთი საქმე მიყავი, მაგრამ ერთხელაც სხვანაირად მოგაგონებო, თავი კი ისე დაიჭირა, ვითომდაც ძალიან ნასიამოვნები ვარო და მელიას უთხრა:

— დიდი მადლობა, ძმაო, რომ ჩემთვის ასე შეიწუხე თავი. მეც, ოდესმე, სამაგიერო პატივისცემით გადაგიხდი. ახლა კი, მოდი, ცოტა გავიაროთ და თვალსა და გულს წყალი დავალევინოთო.

— კარგი, გავიაროთ, — მიუგო მელიამ, — შენ დამასწარ, თორემ მეც ეგ უნდა მეთქვა შენთვისაო.

— მაშინ ფრთებზე შემაჯექი, ცაში გავისეირნოთო, — უთხრა ყარყატმა.

მელია შეაჯდა ყარყატს ფრთებზე და ყარყატი აფრინდა. ცოტა ხანი რომ იფრინეს, ყარყატმა მელიას უთხრა:

— ძმაო, ერთი გადაიხედე, აქედან დედამიწა როგორ მოჩანსო?

— კაკლისოდენად მოჩანსო, — მიუგო მელიამ.

ყარყატმა კიდევ უფრო მაღლა აიწია.

— აბა, ახლა როგორ მოჩანსო?

— ახლა სულ არ მოჩანსო.

ყარყატმა კიდევ აიმაღლაურა და მელიას ეუბნება:

— ძმაო, ერთი ფრთა მეტკინა და ძალზე დავიღალე, ცოტა ხანს ჩამოდი, დავისვენოთო.

— რას ამბობ, გენაცვალე, ძმაო, ჰაერში როგორ ჩამოვიდე, მიწაზე დამსვი და ჩამოვალო, — უთხრა მელიამ.

— აბა, ფრთები მეტკინა! არ ჩახვალ და გადაგაგდებო, — დაიჟინა ყარყატმა.

მელია მიხვდა, რომ ყარყატმა მახეში გააბა, ეშმაკობას მიმართა და ხვეწნა-მუდარაზე გადავიდა:

— ძმაო, მაპატიე ჩემი მიქარვა! ნათქვამია, ბოროტს სიკეთით გადაუხადეო. ახლა მაპატიე შეცოდება და სიკვდილამდე შენი მონა-მორჩილი ვიქნებიო.

ყარყატმა მისი მუდარა არად ჩააგდო.

— ბოროტს ბოროტი მიაგე და კეთილს — კეთილიო! აი, ასე არის ნათქვამი და არა ისე, შენ რომ ამბობო, — უთხრა მელიას, — ისიც უთქვამთ: რასაც დათეს, მასვე მოიმკიო; მე შენი მოვალე ვიყავი და ახლა ვალს გიხდიო.

მაგრამ მაინც შეეცოდა ყარყატს მელია. თანდათან დაბლა დაეშვა და ასე, ხუთი-ათი არშინის სიმაღლიდანღა გადმოაგდო ძირს. დაბლა სკოლის მოწაფეები თამაშობდნენ, მელიამ ზედ იმათ შუა მოადინა ტყაპანი. მოწაფეები რომ მისცვივდნენ, ერთს წიგნი გაუვარდა ხელიდან. მელიამ იმწამსვე პირი დასტაცა წიგნს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუსვა. გაიქცა და ერთ მთაში, გამოქვაბულში დაიმალა. რაკი ცალი გვერდი დაბეჟილი ჰქონდა და შორს ვერ მიდიოდა, ამიტომ იქვე, გამოქვაბულის პირას ჩამოჯდა, წიგნი გადაშალა და ღიღინი დაიწყო.

ერთმა დათვმა ჩამოიარა. ხედავს, მელიას წიგნი გადაუშლია და კითხულობს.

— მელა ბატონო, ეგ რა გიჭირავს ხელშიო? — შეეკითხა მელიას.

— როგორ თუ რა მიჭირავსო! ვერა მხედავ, მოლა ვარ და ბავშვებს ვასწავლიო! — იწყინა მელიამ.

— მაპატიე, მოლავ, არ ვიცოდიო, — უთხრა დათვმა, — ორი ბელი მყავს და რო მოგიყვანო, თუ ასწავლიო. ვალში არც მე დაგრჩები, ხორცი შენა და ძვალი მეო.

— რატომაც არ ვასწავლი, მომიყვანეო, — მიუგო მელიამ, — ორ თვეში ყოველგვარ მეცნიერებას შევასწავლიო.

დათვი წავიდა, ბელები მოიყვანა და მელიას ჩააბარა. მელიამ უთხრა:

— ახლა შენ წადი და არხეინად იყავი, ამათი სწავლა ჩემზე იყოსო!

მელიას ბუნაგი წინიდან განიერი იყო, უკან კი ვიწროვდებოდა. მან დათვის ბელები ბუნაგის სიღრმეში, იმ ვიწრო ადგილას წაასხა, ორთავეს ყელი გამოღადრა და ქეიფი გასწია. მათი ხორცი რამდენიმე დღეს ეყო. ბელები რომ შეჭამა, მელიამ მათი ძვლები ერთ ტოპრაკში ჩაყარა და თავი მოუკრა. ორი თვე რომ გავიდა, დათვიც მოვიდა.

— აბა, ერთი ჩემი ბელები გამომიყვანე, ვნახო, როგორი კითხვა ისწავლესო, — უთხრა მელიას.

— ჯერჯერობით ვერ გაჩვენებო, — მიუგო დათვს მელიამ, — ახლა რომ გამოგიყვანო, თვალები აუჭრელდებათ და რაც ახსოვთ, ისიც დაავიწყდებათო. წადი და მერე მოდიო.

დათვი წავიდა და რამდენიმე თვის შემდეგ ისევ მოაკითხა მელიას:

— ძალიან გულით მომინდა შვილების ნახვა, გამომიყვანე, მაჩვენეო.

მელიამ ისევ წინანდებურად უთხრა:

— ვერ გაჩვენებ, მახსოვრობას დაკარგავენო.

დათვი ისევ გამობრუნდა უკან, მაგრამ თვის თავზე ისევ მიადგა მელიას:

— შვილები გამომიყვანე, ეყოფათ სწავლაო!

მელიამ ბელების ძვლებით სავსე პირმოკრული ტოპრაკი გამოუტანა და დათვს წინ დაუდო.

— ეს რა არისო, — შეეკითხა დათვი.

— შენ ხომ მითხარი, ჩემი შვილების ხორცი შენა და ძვლები — მეო; მეც ასე მოვიქეცი: ხორცი შევჭამე და ძვლები კიდევ ეგ არისო, — მიუგო მელიამ.

დათვი მიეტანა მელიას, რომ ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯა, მაგრამ მელია გაუსხლტა და თავისი სადგომის ვიწრო ხვრელში შეიმალა. დათვი ხვრელში ვერ შეეტია, მელია კი სოროს უკანა საძრომიდან გაძვრა და გაიქცა. დათვი რის ვაი-ვაგლახით უკანვე გამოძვრა. წამოვიდა, იარა, იარა და ბოლოს ერთ გლეხთან მივიდა. გლეხი მიწასა ხნავდა.

— ღმერთმა ძალ-ღონე მოგცეს, გუთნისდედაო! — მიესალმა დათვი გლეხს.

— იცოცხლე, ჩემო ძმობილო დათვოო! — სალამი დაუბრუნა გლეხმა.

— მე რომ მელიამ შვილები შემიჭამა, ალბათ გეცოდინებაო? — შეეკითხა დათვი.

— ვიციო, — მიუგო გლეხმა.

— ჰოდა, ნურავის ეტყვი და სამაგიეროდ, ყოველდღე თითო ცხვარს მოგართმევო.

— კარგი, არავის ვეტყვიო, — დააიმედა გლეხმა დათვი.

ამის შემდეგ დათვს ყოველდღე თითო ცხვარი მოჰყავდა გლეხთან. ერთხელაც ცოლი აუტყდა გლეხს:

— ყოველდღე რომ თითო ცხვარი მოგყავს, საიდან და ვისგან არისო?

— რა შენი საქმეა, დედაკაცო, შენ ვინ რასა გკითხავსო! — შემოსწყრა ცოლს გლეხი.

ერთ დღეს, კიდევ რომ მოიყვანა ცხვარი, ცოლმა უთხრა ქმარს:

— თუ არ მეტყვი, საიდან მოგყავს ცხვარი, მე შენს სახლში დამდგომი არა ვარ, მივდივარო.

მაშინ ქმარი ადგა და ყველაფერი უამბო ცოლს.

— დათვი მაძლევსო.

— დათვი თურმე მათ ლაპარაკს გარედან უსმენდა. გაიგონა ყველაფერი ესა და კაცს შესძახა:

— კარგი, ხვალ გიჩვენებ სეირსაო!

ქმარმა კი ცოლს დაუწყო ჯავრობა:

— ეგ ცხვარი რა მუცელსა გგვრემდა, რომ სასიკვდილოდ გამიმეტეო!

მეორე დღეს ის კაცი დათვის შიშით სახნავად აღარ გასულა. ამაზე ნათესავ-მეზობლებმა კაცი საყვედურით აავსეს:

— კაცო, ხვნის დრო ახლაა, რაზე აცდენ მიწას, წადი მოხანიო.

რაღას იზამდა ეს კაცი, ადგა მეორე დილას და დიდის შიშით სახნავად გავიდა.

ამ დროს იმ ჩვენმა ნაცნობმა მელიამ ჩამოიარა.

— გლეხკაცო, ეს ერთი თუ ორი დღეა ამ სახნავში აღარ გამოჩენილხარ, რა ამბავიაო? — შეეკითხა მელია გლეხს.

— ჰე, მელა ბატონო, ერთი დათვი მყავს გადაკიდებული და იმისი შიშით ველარ გამოვდიოდი, — შესჩივლა მელიას გლეხმა.

— რას მომცემ, ის დათვი რომ მოგაკვლევინოო? — უთხრა მელიამ.

— ორ დედალსა და ერთ მამალს მოგცემო, — დაჰპირდა გლეხი.

მელიას გაუხარდა და გლეხს უთხრა:

— ხვალ, აგერ, იმ მთაზე გავალ, კუდზე ცოცხს მოვიბამ, აქეთ-იქით გავიქცევ-გამოვიქცევი და მტვრის კორიანტელს დავაყენებ. დათვი შენ-

თან მოვა და შეგეკითხება: ეგ რა მტვერიაო? შენ უთხარი, ფადიშაჰის შვილი ავად გამხდარა და თურმე ექიმებმა დათვის ნაღველი ურჩიეს-თქო. ახლა ფადიშაჰის ჯარი დათვის საძებნელად მოდის და ეგ მტვერიც იმათი აყენებულია-თქო. დათვს შეეშინდება და გეტყვის, სად დავიმალოო. შენ უთხარი: მოდი, ამ ტომარაში ჩაძვერი და ჯარი რომ მოვა, იფიქრებენ, ტომარაში ხორბალიაო. დანარჩენი ჩემზე იყოს-თქო.

მეორე დილას მელიამ კუდზე ცოცხი მოიბა, მთაზე ავიდა და დაელოდა, სანამ დათვი გამოჩნდებოდა. როცა დათვი გლეხთან მივიდა, მელიამ მთაზე აქეთ-იქით სირბილი დაიწყო და ერთი მტვრის კორიანტელი დააყენა. დათვმა რომ იმოდენა მტვრის ბუღი შენიშნა, გლეხს შეეკითხა:

— ეს რა მტვერი მოჩანსო?

— რაო, ჯერ არ გაგიგია? — ვითომდა გაიკვირვა გლეხმა, — მოდი, ჩქარა დაიმალეო.

— ვითომ რათაო? — შეკითხა ისევ დათვი.

— რათა და, ფადიშაჰის შვილი ავად გამხდარა და ექიმებს მისთვის წამლად დათვის ნაღველი ურჩევიათ; ეგ მტვერიც სწორედ ფადიშაჰის ჯარისაგან არის დაყენებული, დათვს ეძებენო, — უთხრა გლეხმა.

დათვს ახლა კი შიშის ელდა ეცა.

— აბა, სად უნდა დავიმალოო?

— მოდი, ამ ტომარაში ჩაძვერი, მე პირს მოვუკრავ; ისინი რომ მოვლენ, იფიქრებენ, სათესლე ხორბალი უყრიაო, — უთხრა გლეხმა.

დათვი ჩაძვრა ტომარაში და გლეხმა ტომარას მაგრად მოუკრა პირი.

გლეხმა ხელით ანიშნა მელიას და მელიაც მოვიდა. ორთავემ თითო კეტი აიღო და დაუწყეს დათვს ცემა. იმდენი სცემეს, სანამ არ მოკლეს.

— ხვალ კი ქათმებსა და მამალს მოგიყვანო, — დააიმედა გლეხმა მელა.

დილით კაცი მინდორში გავიდა და მელიაც გამოჩნდა.

— ქათმები რა უყავიო? — შეეკითხა გლეხს.

— ვაჰ, დამავიწყდა, ხვალ მოგიყვანო!

მეორე დღეს ისევ მიადგა მელია გლეხს. გლეხს დო ჰქონდა ნაჭამი და მუცელი უჭუყჭუყებდა.

— გლეხო ბატონო, ეგ რა ხმაური გაგიდის, რა არისო? — შეეკითხა მელია.

— რა ვიცი, ამ რამდენიმე წლის წინ დიდი შიმშილიანობა იყო და მაშინ ერთი ძაღლის ლეკვი შევჭამე. ეხლა შენი ხმა რომ გაიგო, გარეთ გამოსასვლელად იწევსო, — მიუგო გლეხმა.

— შენი ჭირიმე, ჯერ არ გამოუშვა, დამაცა, ჯერ გავიქცეო, — შეეხვეწა მელია გლეხს.

— აბა, მაშ, მოცოცხე და გაიქცე, მე კი რაც შეიმძლია დავაკავებ, რომ არ გამოვიდესო! — უთხრა გლეხმა.

მელიამ ხელად მტვერი ააყენა და თვალს მიეფარა. გლეხი გახარებული დაბრუნდა თავის სახლში.

სულელი კაცი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სულელი კაცი. ერთხელ ამ კაცმა თავის თავს უთხრა:

— მოდი, ბედის საძებნელად წავალ, იქნებ ვიპოვო და სხვებივით ბედნიერი გავხდეო.

მეორე დილას მართლაც ადგა და გზას გაუდგა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მთა და ხეობა გადაიარა და ერთ უღრან ტყეში ერთ ლომს შეხვდა.

— კაცო, სად მიდიხარო? — ჰკითხა ლომმა.

— ბედის საძებნელადო, — უპასუხა სულელმა.

— თუ ჩემი ბედიც შეგხვდეს, უთხარი რამე მიშველოს. ზაფხულში ბალანი ამომდის, ზამთარში კი მცვივა. რა გამოდის — ზაფხულში სიცხითა ვკვდები, ზამთარში — სიცივითო.

სულელი ლომს გამოეთხოვა და გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მებაღეს შემოეყარა. მებაღემ ჰკითხა:

— კაცო, სად მიდიხარო?

— ბედის საძებნელადაო.

— რახან ეგრეა, მოდი, ბარემ ჩემი ბედიც იპოვე და ჰკითხე, რატომ არის, რომ ჩემი ვაშლის ბაღი ზაფხულობით კარგად ყვავის, შემოდგომით კი მაჟალოსაც ვეღარ ინარჩუნებსო.

— კარგი შევეკითხებიო, — დაჰპირდა სულელი და გზა განაგრძო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ახლა ერთ ფადიშაჰს შემოხვდა.

— კაცო, სად მიდიხარო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— ბედის საძებნელადო, — უპასუხა სულელმა.

— თუ ჩემი ბედიც ნახე და ჰკითხე, რატომ არის ჩემი გული დღენიადაგ ნაღვლიანი, მუდამ მწუხარე რატომ დავდივარო?

— კარგი ვკითხავო? — დაჰპირდა სულელი და გზა განაგრძო.

იარა, იარა და ერთ ზღვას მიადგა. კაცი ჩამოჯდა ზღვის ნაპირას და ჩაფიქრდა, მეორე მხარეს როგორ გავიდეო.

უცებ ერთმა ლოქომ წყლიდან თავი ამოყო და ჰკითხა:

— კაცო, სად მიდიხარო?

— ბედის საძებნელადაო.

— მოდი, ჩემი ბედიც ინახულე და ჰკითხე, როგორ მოვიქცე, ამოდენა ზღვაში ვარ და წყლით კი ვერ გავმძღარვარო.

— თუ ზღვის მეორე ნაპირზე გამიყვან, შენ ბედს უეჭველად მოვძებნი და ვკითხავო, — უთხრა სულელმა.

— მოდი, ზურგზე შემაჯექიო.

სულელი მაშინვე ზურგზე გადააჯდა ლოქოს. თევზმა ზღვის მეორე ნაპირზე გაიყვანა. სულელი გამოემშვიდობა და გზას გაუდგა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს იმ ადგილს მიაღწია, სადაც ბედი ბუდობდა. ჯერ თავისი ბედი მოძებნა და რას ხედავს — გდია მიწაზე და გორაობს. სულელი დასწვდა და ფეხზე წამოაყენა. მერე ლომის ბედი მოძებნა და დანაბარები გადასცა. ბედმა უთხრა:

— იმ ლომმა ერთი სულელი კაცი უნდა შეჭამოს. ამის შემდეგ ბალანი ზამთარში ამოუვა და ზაფხულში გასცვივაო.

სულელი ახლა მებაღის ბედის სანახავად გაეშურა. იპოვა და იმასაც უთხრა, მებაღის საწუხარი. ბედმა უპასუხა: — მებაღეს უთხარი, ვაშლის ხეების ძირას განძია დამარხული და ხილს იმიტომ არ ისხამს-თქო. ის საუნჯე ვინმეს უნდა ამოათხრევინოს და ბაღი მაშინვე მოისხამსო. იქიდან სულელი ფადიშაჰის ბედთან წავიდა. ბედმა დააბარა: ფადიშაჰს უთხარი, რომ ის ქალია და ვიდრე ამ საიდუმლოს არ გაანდობს ვინმეს, მანამ გულჯავრიანი დარჩება. ერთი მეგობარი უნდა მოძებნოს და დარდი გულიდან გადაეყრებაო.

სულელი კაცი ბოლოს თევზის ბედს მიადგა.

ბედმა უთხრა: — თევზს ხახაში ერთი ვეება ძვირფასი ქვა აქვს გაჩხერილი. ქვის გადმოსაგდებად ერთი მაგარი წამორტყმა უნდა. ამის შემდეგ გაძღება წყლითაო.

ყველას ნახვა რომ მოათავა, სულელი უკან დაბრუნდა. იარა, იარა და ზღვასთან მივიდა. ხედავს, ლოქოს წყლიდან თავი ამოუყვია და იმის გზას გასცქერის.

— ჩემი ბედი ნახეო? — იკითხა ლოქომ.

— წყლის მეორე ნაპირს გადამიყვანე, მერე გეტყვიო.

სულელი ლოქოს ზურგზე გადააჯდა. თევზმა მეორე ნაპირისკენ გაცურა. ნაპირზე რომ მივიდნენ, სულელმა თევზს ერთი მაგარი მუშტი ჩასცხო თავში. თევზს პირიდან ქვა გადმოუვარდა და მიწაზე დაეცა.

— ახლა კი წყლით გაძღებიო, — უთხრა სულელმა.

— აიღე ეს ძვირფასი ქვა და თან წაიღე, გამოგადგებაო, — შეაძლია თევზმა.

— არა, მე ჩემი ბედი მინდაო, — უპასუხა სულელმა და გზა განაგრძო.

იარა, იარა და ფადიშაჰს მიადგა.

— რა ჰქენი, ჩემი ბედი ინახულეო? — ჰკითხა ფადიშაჰმა.

— ვინახულე. თურმე ქალი ყოფილხარ. ბედმა შემოგითვალა, მეგობარი იშოვე, საიდუმლო გაანდე და გულიდან დარდი გადაგეყრებაო.

— ჩემი საიდუმლო შენ უკვე იცი. მოდი და ერთად ვიცხოვროთო, — უთხრა ფადიშაჰმა.

— არაო, — შორს დაიჭირა სულელმა, — მე ჩემს ბედს უნდა ვდიოო, — თქვა და თავისი გზა განაგრძო. იარა, იარა და მებაღესთან მივიდა.

— ჩემი ბედი იპოვეო? — შეეკითხა მებაღე.

— შენმა ბედმა თქვა, რომ ვაშლების ძირას საგანძურია ჩამარხული. თუ ვინმეს მოათხრევინებ, ბაღი მაშინვე დაისხამსო.

— მოდი, კაცო და, ამოვიღოთ ის განძი! ნახევარი ჩემი იყოს, ნახევარი — შენიო, — უთხრა მებაღემ.

— არა, მე ჩემს ბედს უნდა ვეწიოო, — თქვა სულელმა და თავისი გზა განაგრძო.

იარა, იარა და ლომის სამყოფელში მივიდა.

— ჩემი ბედი იპოვეო? — იკითხა ლომმა.

— შენმა ბედმა თქვა, ერთი სულელი კაცი უნდა შეჭამოს, რომ ზამთარში ბალანი ამოუვიდეს და ზაფხულში გასცვივდესო.

— მოდი, ერთი საგანძური ვიცი, გაჩვენებ, ამოიღე და წაიღეო, — უთხრა მადლიერმა ლომმა.

— არა, მე ჩემი საკუთარი ბედი მჭირდება. ეგრე რომ არ ყოფილიყო, ლოქოსგან ძვირფას თვალს წამოვიღებდი, ფადიშაჰს დავუმეგობრდებოდი, არც მებაღისგან შემოძლეული განძის ნახევარს არ გავუშვებდი ხელიდანო.

— აბა, შენზე სულელ კაცს სადღა ვნახავო, — თქვა ლომმა და სულელი გადასანსლა.

ანდაზები

ვაჟკაცს ეყმე, არაკაცს ებატონეო.
თუ კატისა გეშინია, სოროდან რატომ ძვრებიო?
კოკა წყალზე გატყდებაო.
მატყუარას სახლი დაეწვა და არავინ დაუჯერაო.
მგელი ბალანს იცვლის, ხასიათს კი არაო.
მეაქლემეს მეგობარს ალაყაფის კარი დიდი უნდა ჰქონდესო.
მეგობარს საიდუმლოს ნუ გაანდობ, იმასაც ჰყავს თავისი მეგობარიო.
ღვედმა რა იცის, რა ჭირ-ვარამს იტანს გუთანიო.
ძაღლს დაუმეგობრდი და კეტი გადააგდეო.
ჭკუა ასაკში კი არ არის, თავშიაო.

პოეზია

აფსათი*

ორაიდა, მზეო ჩემო, დამაშვრალო,
ქვაბებში ქონი აგვიდუღე,
ცვრიანი ხორცი გვაღეჭვინე,
ბიჭებს ბინაზე ნადირის ხორცს ნუ გამოულევ,
ორაიდა, მზეო ჩემო, დამაშვრალო,
მოგვეც დიდი ჯიხვი ჩვენ.
ორაიდა, მზეო ჩემო, დამაშვრალო,
მოგვეც სქელკისერა ჩვენ!
როგორი ხვავრიელია შენი ჯიხვი!
გადაგვაჭრევინე სათლის სიმსხო მისი კისერი,
დაგვაცხრილვინე მისი გვერდები!
მაღალ ციცაბოზეა ჯიხვის ციხე-კოშკი,
მის კოშკს რკინის კარი აბია,
მის ციკანს ოქროს აკვანი უდგას,
აკვნის არტახიც ოქროსია.
ვინაც გაგლიჯა ოქროს არტახი,
მანვე მოსწყვიტა ჯიხვი ციცაბოს.
თენდება! ადექით, ბიჭებო!
რომელსაც სიკვდილი უწერია, მე შემახვედრე,
ნუმც შეჰხვედრია იგი ჩემს მოსისხლეს.
თუ მაძლევ, ბარემ მომირეკე!
დამალეწვინე მისი სხეულის მძიმე ნაწილები.*
არვე გყავს ყოველ ხეობაში.
მომეცი, აგრემც გენაცვლები!
რომელი ნადირიც გემეტება, მომეცი ბარემ!
რომელიც არ გემეტება, შორს გადარეკე!
მონადირე ღმერთის მამალია — სისხამზე დგება,
ღვიძლის ნაჭერს, ცივ წყალს სჯერდება!

არ არის მასზე უბედური არა სულდგმული.
რკინის უღელი ადგას კისერზე,
დამწვარი ხმიადი უდევს უბეში.
ძნელი სავალია არყნარი ღრანტე.
გვიწყალობე ჯერზე ორი-სამი ნადირი.
რქადაგრეხილია შენი ჯიხვი და თვალმახვილი.
ვინც მოიხელთებს, ბევრს იხეირებს.
ღვედით დამაკიდებინე რქადაგრეხილი.
დაე, ექვსთა შეხვდეთ ექვსტოტი რქიანი.
მთის მწვერვალზე ერთი კუნძია,*
ავსა და კარგს თანაბრად ნუ გაუნაწილებ.
მთასავით არის გარეგნობით,
თოვლივით თეთრი აქვს რცმელები.*
თოვლზე დაიქცეს მისი სისხლი,
ერთად დაჯდეს იქ სამი-ოთხი,
მარჯვედ იწვეს ბებერი ჯიხვი,
გვერდში კარგად დავუმიზნებ შავ თოფს.
რა დამავიწყებს მისი ხორცის გემოს!
რა ხვავრიელია შენი ჯიხვი,
ნაპატივები ციკნები გყვანან,
მათი ხორცი მთელ ქვაბს გაავსებს.
შემოგვეყაროს რქადაგრეხილი!
თენდება, ბიჭებო, წავიდეთ!
ხელიდან არ წაგვივიდეს ჩვენი ნადავლი.
კარგად დააძღე მწყემსის ძაღლები!
იოლია ჯიხვის ხორცის ზურგით ტარება,
სიხარულია იგი მწყემსი ბიჭებისათვის.
თავს შეიქცევენ საფიხვნოზე ბერიკაცები.
ორაიდა, მზეო ჩემო, გვამხიარულე!
ქვაბებით ქონი ჩვენც აგვიდუღე.
ყველა ხეობაში ჯოგები დაგიდის,
მათ შორის ერთი აგვარჩევინე.
შორს მიდის ჯიხვის ნაკვალევი.
აფსათის ასულთ ქერა თმები აქვთ.
მათ კვალს მივყვებით.
აფსათის ქალებიმც გამხდარან ქალბატონები!
ჯიხვებზე მიუშვებენ ისინი ბერწ თხას.

შენი ჯიხვი ყურებდაცქვეტილია,
მისი შუნები ტყუპ-ტყუპ ციკნებს იგებენ ხოლმე.
ტყუპებში ამოგვარჩევინე ჩვენი წილი!
როცა რასმე გამოიმეტებ, რძესავითა ხარ,
როცა წყალობას დაგვიძვირებ, ძაღლებივით მიგვერეკები.
შენა ხარ იგი, ვინც ტყუპების კვალს მიგვასწავლის,
შენა ხარ იგი, ვინც ტუჩზე ქონი შეგვაყინე.*

ბიინოგერი

— გეზოხის ძეო, ვაჟკაცად დაბადებულო ბიინოგერ,
უმარს, შენს უფროს ძმას, ძაღლის სენი შეჰყრია.
— შეჰყრია და რა წამალი უშველის, ნეტავ?
— თეთრი ირმის რძე თუ უშველის.
მისი დამჭერი ბიძაშენის ძაღლია მხოლოდ.
— დედაჩემის ძმებთან ვიყავი და ძაღლი ვთხოვე.
ლეკვიც არ მომცეს,
მათი დისშვილი სტუმარივით როდი მიმიღეს.
— ძაღლად იქცეს, ვინც შენთვის ძაღლი დაინანა.
ამ ქვეყნიდან ისე წავიდეს, როგორც წავიდა ბიინოგერი.
— მერე მივედი, ძაღლი ვთხოვე ყუბაიდიანთ.
სტუმრად მიმიღეს.
ვთხოვე და მომცეს ორი ლეკვი.
წამოვიყვანე, სანადიროდ წავედი.
დიდი ბაქსანის* მთაზე ავედი,
კლდეებზე ბლოტვით დავიქანცე.
კოჭლი ირემი შემომეფეთა,
მტერს გაუთენდეს ასეთი დღე!
სამფეხა ირემს გადავეყარე.
მესამე ფეხი იმ ორ ფეხზე მაღალი ჰქონდა,
საქალამნე სადგისივით ჩლიქები ჰქონდა,
რქები კი ჰქონდა, როგორც შამფური.
წამივიდა, ვერ ვესროლე.
ისე იდგა, ვერ დავუმიზნე.
ვდიე, ვდიე იმ ირემს და ღონე წამერთვა,
ჩავიმუხლე, ბევრი ვიფიქრე.

თოვლის გუნდებით გავივსე ყაბალახი.
კლდეზე ვაკრავდი თოვლის გუნდებს
და საფეხურებს ვაკეთებდი.
ციცაბო კლდის წვერს მივაღწიე.
დარდი დაადგა გეზოხის ძეს!
ოთხივე მხარეს გავიხედე,
ვერ დავინახე ჩემი ირემი.
ცოტაც ვიარე. თვალი მოვკარი.
რომ მივდიოდი, სქელი ნისლი,
როგორც ბოლი, შემომეხვია.
ისევ თვალიდან მიმეფარა თეთრი ირემი.
აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა:
— თუ ნადირი ხარ, დამანებე, გესროლო-მეთქი,
თუ ფური ხარ, მომეწველინე,
ნუ დამიმალავ, გამაგებინე,
ჯინი* ხარ თუ შეითანი?*
— არც ჯინი ვარ, არც შეითანი,
არც ირემი, რომ დამიმიზნო და მესროლო,
არც ფურირემი, რომ გამომწველო.
მე ირემი კი არადა, აფსათის ლამაზი ასული ვარ.
რაკი არ მაძლევ მოსვენებას,
აქედან ცოცხალი ნუმც დაბრუნებულხარ.
ჭამდი და სვამდი, ვერ გაძეხი შენ ჩვენი ხორცით,
არ გვაყენებდი ამ ქარაფებში.
ერთ კარგ რასმე მაინც გისურვებ:
ფეხქვეშ მღელვარე ზღვა გქონოდეს,
თავს ზემოთ — მხოლოდ ცის სიმაღლე,
აქეთ-იქიდან ისე მჭიდროდ მოგადგნენ კლდენი,
შეითანიც ვერ გაეტიოს,
აქ ბევრი დღის გატარება გარგუნოს ბედმა!
რაკი არ გვაძლევ მოსვენებას,
შენამდე კაცი ვერ ამოვიდეს!
შემომეყარა შეითანის მსგავსი ირემი.
როგორც კი თქვა,
აქეთ-იქიდან ისე მჭიდროდ მომადგნენ კლდენი,
რომ შეითანიც ვერ გაივლიდა.
გრძელი იყო ის დღეები,

მე რომ ამ კლდეზე გავატარე.
თხუთმეტი დღე დავყავი კლდეზე.
მკლავებზე ხორცი ავიჭერი და ისა ვჭამე.
როცა ძაღლმა დამინახა, ყმუილი მორთო,
როცა კლდის ქიმზე გარჩენილი ისიც იტანჯა,
კანჭებზე ხორცი ავიჭერი და ის ვაჭამე.
თხუთმეტ დღეს გავაძლებინე ჩემი ხორცით.
სიზმარი უნახავს უმარს, ბიინოგერის ძმას.
მეთექვსმეტე დღეს მიაგნო ძმის სამყოფელს.
ბევრი ეხვეწა, ჩამოდიო,
ვერ მიაწვდინა ხმა ქვემოდან,
ვერაფერს გახდა, ჰოლამს გაიქცა.
შეიყარნენ ჰოლამელები, ჩეგემელები, ბაქსანელები,
დაინახეს, ბიინოგერი ციცაბოზე გარჩენილიყო.
რა არ იღონეს, რას არ ეცადნენ,
ვერაფერს გახდნენ, უკან გაბრუნდნენ.
მხოლოდ უმარი არ შორდება იქაურობას.
ბიინოგერი ყურს არ უგდებს ძმას.
უმარი ამბობს:
— „თუ არ ჩამოხვალ, ნახე, რა გიქნა:
შენს უფროს ასულს მზის ამოსვლის მხარეს გავყიდი,
უმცროს ასულს მზის ჩასვლის მხარეს გაგიყიდი,
შენს ლამაზ ცოლთან დავწვები და გულში ჩავიკრავ!“
— „ვიცი, ფუჭია, არას მარგებს მე ეგ სიტყვები,
ნუ ამბობ მაგას, ნუ გგონია დამიყოლიებ.
ველარ ვიპოვი ჩამოსასვლელს, იმ გზას,
რომლითაც აქ ამოვედი.
მიყვარს სული და აქედან ვერ გადმოვვარდები.
ბაბუგეეში საყვარელი მყავს,
ის რომ მანახა, ვეტყოდი რასმე.
გააგებინეთ ჩემი ამბავი
და რასაც მირჩევს, დავუჯერებ,
თუ მეტყვის, კლდიდან გადმოვეშვები“.
ძმამ შეუსრულა სათხოვარი.
წავიდა და შეატყობინა:
— „ყაბარდოელო ჩემო რძალო,
ჩქარა წამოდი,

შენს შესახვედრად ემზადება ბიინოგერი“.
საყვარელმა გათენებამდე საგზალი ამზადა,
დაიფიცა: „იქ მოვკვდები, სადაც მოკვდება ბიინოგერი“.
და გზას გაუდგა. ფეხები ცხენად ჰქონდა,
ხშირი თმა — ნაბდად.
მწარედ ტიროდა, ცრემლი გულისპირს უსველებდა,
ფეხებზე ხელებს მათრახებად იტყლაშუნებდა,
მიირბინა ბიინოგერთან:
„რომ მოგწვდებოდე, ჩემი ხელით ჩამოგხსნიდიო,
ასრულდეს ჩემი დღევანდელი სათხოვარიო,
ჩამოდი ბარემ. თუ არ ჩამოხვალ,
შენს ლეშს ყორნები დაძიძგნიან.
შეეცოდები შენს მეგობრებს,
სიცოცხლე ტანჯვად გადაექცევათ.
ჩამოხტი-მეთქი, ნუ დატოვებ შენს ცხედარს მაგ კლდეზე,
ნუ დახოცავ შენს მეგობრებს და ნათესავებს.
ჩემი ნაკერი თეთრი პერანგით თვალი აიკარ,
გადმოეშვი ჩემს თეთრ მკერდზე,
რომელსაც ასე ეფერებოდი!“
თეთრი პერანგით თვალები აიკრა,
მოისროლა მოოქროვილი თავისი თოფი,
იმ ქალის წინ გულაღმა დაეცა.
და იმ დღიდან გათავდა ბიინოგერის ნანადირევი მწვადი.
როცა აქედან ადიოდა, კლდეს ჩანგალივით ეჭიდებოდა,
ჩამოვარდა და დაიკეპა, როგორც სახინკლე ხორცი.
მხოლოდ ქოჩორი დაეცა მისი საყვარლის წინ.
ქალმა აიღო მაკრატელი და მუცელი გამოიფატრა,
თურმე ძალიან მაღლა ყოფილა აფსათის ასულის კოშკი!
აი, რა ბედი ეწია გეზოხის მამაც ძეს!

ინაი

ჰაიდა, ინაი!* ინაი!
ინაის ქალი რომ ვყოფილიყავ,
თეთრსა და ცისფერ ტანსაცმელში გამომაწყობდა,
უფალს ჩემს სულს შეაყვარებდა!

„ინაის“ ხმა გავიდეს ჩვენგან!
შორს ტირილის ხმა!
თუ სწრაფად მოთელავ, ტანსაცმელი კარგად დაგადგება,
ვერ მოთელავ და ჭილობი დაგცინებს.
დე, კაბა კარგად დამადგეს,
ჭილობმა კი ჩემს მტერს დასცინოს!

ერირეი

ჰოი, ერირეი,* ძალის მომცემო, მწყალობელო!
ღარიბისათვის ხელის გამართვა ქველი საქმეა,
ღარიბისათვის წყალობის გაღება სულის სარგოა,
მდიდრისათვის რამის მიცემა სიმდიდრეზე წამატებაა.
ჰოი, ხარო, შენი ღირსნი არ არიან ბეგები და მდიდრები.
ერირეის სიმღერაში ჩავიდეს ჩვენი მზე!
ერირეის მღერის მთელი აული.
თან ჭირნახულს ანიავებენ.
ჰოი, ჩემო სულო, ჩემო თვალის ჩინო, შავო ხარებო!
თაფლით დაიბანენ ხელ-პირს ბედნიერები,
ვისაც თქვენ ეყოლებით.
ჭირნახულის ლეწვით, ჭირნახულის ლეწვით
დაღლილი დაწვეს ერთი თქვენგანი.
ბედნიერებით აგვსებოდეთ სახლი და კარი!
ირიჟრაჟებს და ადგებიან.
ბედნიერია, ვისაც ესენი ეყოლება.
ზაფხულში წავლენ საბალახოდ,
იქ ფეხს გაშლიან, დაწვებიან.
წავლენ და იქ იბალახებენ,
სადაც ზამთარში ღრმა თოვლი იდო.
ჰოი, ზარმაცს ცოლად ვინ ითხოვს!
თუ ითხოვა, არ ეყვარება!
ადექით, დადგა განთიადი!
უკვე ჩაშალეს ძნა გასალეწად.
სადილობამდე მოვათავებთ.
ხარები ხელად გალეწავენ!

დოლაი

ოი, დოლაი,* დოლაი, კარაქის დოლაი!
ოი, დოლაი, ესეც კარაქის სადღვებელი!
ძროხები მოდიან, ვით ჩერქეზული ცხენების რემა,
მოდიან თხები — ბუჩქებიდან ჩამოცვენილი ფოთლები.
მთელია ჩემი სადღვებელი, ზადი არა აქვს.
მასში კარაქი დოზე მეტია.
ოი, კარაქს ამოვიღებთ, გობებს დავავსებთ,
წინ დავუდგამთ თამადას* და
ისიც უხვად ჩამოგვირიგებს.
საქმეს გამიჩენს, აქეთ-იქით დამარბენინებს,
თუ გაქცევა დავაგვიანე,
კანჭებს წკეპლით ამიჭრელებს.
ოი, დოლაი, ესეც კარაქის დოლაი!
საპატიო სტუმრები გვყვანან,
ლამის ლოდინით დაიხოცონ.
თუ მოდიხარ, მოდი, კარაქო.
თუ კარაქის ხარ, სადღვებელო, იყავი ბარემ.
თორემ, ყელს გაგიხსნიან,
მეც ყურს მომაჭრიან,
ჩემს ყურს შენს ყელზე გამოაბამენ,
ქვეშ დიდ ცეცხლს შეუნთებენ.
ქარმა დაგბეროს, სადღვებელო, აგაჭანჭყაროს!
მწყემსებს კარგი წილი არგუნონ!
ოი, დოლაი, დგაფუნა სადღვებელო!
მე გიამბობთ დოლაის ჩივილს...
თუ არ მოდის ეს კარაქი, მუცლის გვრემა შენ!
სადღვებელში შავი ძროხის კარაქია.
თავად ყვითელი თხის ტყავისაა.
ოი, დოლაი, დოლაი, კარაქის დოლაი!
ოი, ნაპირზე ბატი თამაშობს,
ლელიანებში წერო იყივლებს,
ოი, ვაჟი ქალს წამოეწევა,
ეთამაშება, ქალი იცინის.
არავინ იცის, გულში რა უდევთ.
ეს მხოლოდ მათ შვილს ეცოდინება,

როცა აკვანში ჩააწვენენ,
მხოლოდ იმ მოხუცს ეცოდინება,
საფიხვნოზე რომ ჩამომჯდარა.
ოი, ნაპირზე ორი ბატია,
ერთი ჭრელია, მეორე — რუხი.
ჭრელი გაუშვი, რუხი დაიჭირე,
დედა ნახე და ქალიშვილი ისე ითხოვე!
ქალიშვილს დედის მარიფათი აქვს,
ვაჟს კი — მამისა.
თუ მამას კარგი ვაჟი ეყოლა,
ტრიალ მინდორში სასახლეს დადგამს,
განძით გაავსებს,
ცხოვრების აზრს ჩაუფიქრდება, მოგებას ნახავს.
თუ მამას ცუდი ვაჟი ეყოლა,
მის დანატოვარ მთელ ქონებას გაანიავებს,
მევალეები წაართმევენ.
თავის ქოჩორს ქალებს დაავარცხნინებს.
დიასახლისი, რომელიც ცუდად ექცევა მწყემსებს,
გაზაფხულზე ჩაწვეს და შემოდგომამდე ვეღარ ადგეს.
ამის შემდეგ მაინც მიხედოს მწყემსებს.
დიასახლისი, რომელიც ავად ჰკიდია მწყემსებს,
მოკვდეს ცუდი სიკვდილით.
სვანური ჯვალოს სუდარა ჰქონდეს,
დიასახლისს, რომელიც კარგად ექცევა მწყემსებს,
კოჭებამდე სწვდებოდეს ეგვიპტური თავსაფარი,
ჯანმრთელად ჰყავდეს ყველა, ვინც უყვარს.
კოჭებზე სცემდეს ყაითნები, რომლებითაც ნაწნავებს იკრავს.
გარს ეხვეოდნენ შავთვალწარბა პატარძლები,
კარგი სიკვდილით მოკვდეს იგი,
წმინდა აბრეშუმის სუდარა ჰქონდეს.

ბელიაუ

ბელიაუ, ბელიაუ, ახლა შეგახვევ.
შვილო, შენს შემდეგ ნუმც მაცოცხლა!
დღეგრძელი იყავ, შენს სიკეთეს მომასწროს ღმერთმა.
გაიხსნას შენი აკვნის არტახი,
თავზე დაგძახოს კეთილმა ყვავმა*
შენს ხელთ არის ყვავების თავშესაფარი.
ალბათ, მოდის მამაშენი, ახლა გზაშია,
შემხვედრთ შვილისას ეკითხება,
ყველა კარგ ამბავს ეუბნება.
რასაც შოულობს, ხურჯინში დებს, შენთვის ინახავს.
თაფლი იგემოს, შვილო, შენმა სასამ.
შენს სოფელს თბილი ნისლი ფარავდეს.
სოფელში ოქროს ხე გაზრდილიყოს,
ფესვი თაშლი სირთაში ედგეს,
კენწეროთი ვარსკვლავებს თვლიდეს,
შორით მოსულ სტუმარს მიებას ზედ ცხენი!
ფოთლები თითო მტკაველი ჰქონდეს,
მის ჩრდილში ათას მგზავრს დაესვენოს,
სულ სავსე იყოს შენი სასტუმრო ოთახი, შვილო,
სტუმრებს დაუკლან ბერწი საქონელი,
დაუკლან ჟღალი საქონელი!
შენგან ნათქვამი სიტყვა წამლად დაედოს შენს ქვეყანას!
შავზე შავი თვალები აქვს ჩემს შვილს.
შვილო, ნათელი ჩაგიდგეს ლამაზ თვალებში,
ბევრი ჰყავდეს დედას შენფერი!
საქონელი და დოვლათი გიმრავლოს, შვილო,
გრძელი დღე მოგცეს, სასმელ-საჭმელი ნუ მოგაკლოს!
შვილო, პერანგის სახელოში ჰალვას ჩაგიდებ,
რათა არ გქონდეს მეგობრის შური,
რათა შენი მეგობრებისთვის სამაგალითო ოჯახი გქონდეს,
რომ სრული იყოს, შვილო, შენი ბედნიერება,
სიხარულში რომ გალიო სიცოცხლის დღენი,
ალიონს მშვიდი ძილით რომ შეხვდე,
შენგან სიკეთე ნახოს, შვილო, მთელმა აულმა!
ჩემი შვილი იყოს ნუგეში ღარიბ-ღატაკთა,

მხიარული და ჯანმრთელი გადმოვიდეს იგი აკვნიდან,
შემოირბინოს ქუჩები პატარა კაცმა!
დაიძინე, შვილო, ბელიაუ, ბელიაუ, ჩაგაწვენ აკვანში.
როცა გღვიძავს, აღარ მასვენებ,
საქმე ველარ მიკეთებია,
როცა გძინავს, სიმშვიდეს ჰპოვებს ჩემი სული,
ორივე ხელით საქმეს ვაკეთებ.

სადღეგრძელო

ღმერთმა კეთილი დღე გაგვიმრავლოს, ბარაქა მოგვცეს,
ღმერთმა დაგვლოცოს, გვწყალობდეს იგი ყველა საქმეში,
სიკეთე მოგვცეს, სიავე გვაშოროს,
ისე გვამყოფოს, როგორც ჩვენ გვინდა,
ბედნიერი ქნას ჩვენს ოჯახში მოსული რძალი,
იყოს იგი პატიოსანი. ფეხმორთხმით იჯდეს
და თითისტრებს სწრაფად ავსებდეს.
გაღიმებული შემოვიდეს, გულმხიარული,
იცოდეს საქმე საოჯახო,
უყვარდეს სახლი, სადაც შემოდის.
პირველად მატყლის მჩეჩველი შობოს,
შემდეგ — ხელში კომბლის დამჭერი,
მატყლის მჩეჩველი საჩეჩელს უჯდეს,
კომბლის დამჭერს კომბალი ჰქონდეს.
ღმერთმა სიკეთე მოგვცეს, სიავე გვაშოროს,
მოგვცეს ცხვარი სქელმატყლიანი, ძროხა — მეწველი.
სიკეთე ნუ მიგვატოვებს, წყევლა ნუ წამოგვეწევა,
ავმა კაცმა ავი ზრახვა ვერ აისრულოს.
ღმერთმა ისმინოს ეს დალოცვა:
ვისაც ვძულვართ, ნუ გამოლიოს მის ოჯახში აურზაური,
იხაროს იმან, ვისაც ვუყვარვართ. ლამაზად ეცვას!
ღმერთმა ისმინოს ეს დალოცვა:
მშვიდობიანი ცხოვრება მოგვცეს, დიდი ქონება.
ღრმა იყოს იგი, როგორც თამის ტბა
და ხშირი, როგორც წვიმა და თოვლი,
როგორც მიწიდან ამოსული ბალახი,

როგორც ჩვენი პატარძლის ნართი,
როგორც სამსხვერპლო ცხვრის მატყლი!
ღმერთმა მისცეს ჩვენს პატარძალს შვილები,
ნაბდის მოთელვაც რომ შეეძლებათ,
ცხენზე ჯდომაც, შოლტის ტყლაშუნიც!
ბარაქიანი თასი სავსეა! მოვსვათ იგი, შიგ თაფლუჭია!
ეს თაფლუჭია, თაფლუჭი, ვაჟკაცთა სასმელი!
მშიერ კუჭს ანაყრებს იგი, სიავეს გვაშორებს.
ხშირი ყანები მოგცემოდეთ, თითო მტკაველი
თავთავი ესხას.
ყანაში გველმა ვერ ისრიალოს.
ავ კაცს ლუკმა გაუწყდეს.
ეს ორნი ისე ამყოფოს ღმერთმა,
როგორც თვითონ გაუხარდებათ!
ახდენოდეთ ყველა ოცნება! ერთიმეორეს გამოსდგომოდნენ!
ისე შეეწყვნენ, როგორც წყალი და ხორბლის მარცვალი!
თქვას, ვისაც ეთქმის სადღეგრძელო, სხვებმა თქვან „ამინ“.
ვინცა თქვა „ამინ“, აუხდეს ოცნება,
ვინც არა, ენა მოიკვნიტოს!

რა უფრო ძლიერია?

— რა უფრო ძლიერია, რა უფრო ძლიერია?
— მზეა ძლიერი, მზეა ძლიერი!
— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
ღრუბელი ველარ დამფარავდა.
— ღრუბელია ძლიერი, ღრუბელია ძლიერი!
— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
ჩემს წვიმას მიწა ვერ შეიშრობდა.
— მიწაა ძლიერი, მიწაა ძლიერი!
— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
ჩემს ბალახს ნერბი ვერ მოწიწკნიდა.
— ნერბია ძლიერი, ნერბია ძლიერი!
— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
ჩემს ბატკანს სტუმარს ვერ დაუკლავდნენ.
— სტუმარია ძლიერი, სტუმარია ძლიერი!

— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
ვერ შემიჭამდა თაგვი ავშარას?
— თაგვია ძლიერი, თაგვია ძლიერი!
— ეჰ, მე რომ ძლიერი ვიყო,
კატა ვერ დამახრჩობდა!
— კატაა ძლიერი, კატაა ძლიერი!
— ჰაი, ჰაი, რომ ძლიერი ვარ!
მაგარი კბილები მაქვს,
გამხმარი ხორცია ჩემი საზრდო,
ადამიანთან ვცხოვრობ,
ბუმბულის ბალიშზე მძინავს!

ჩემი საზი უკრავს, საზი უკრავს

ჩემი საზი უკრავს, საზი უკრავს,
მარტო დავრჩები, ალაჰს ვფიცავ!
ჩემს ხმალს სისხლი რომ სწვეთავდეს,
ვერ გავძლები, ყურანს ვფიცავ!
თუ ჩემს ხმალს სისხლის წვეთი დასცვივა,
ბუჩქად ვიქცევი
და მიწაში ფესვებს გავიდგამ,
მაშინ რას იზამ?
— თუ ბუჩქად იქცევი
და მიწაში ფესვებს გაიდგამ,
მე ბასრ ნაჯახად ვიქცევი
და ამოგძირკვავ. მაშინ რას იზამ?
— თუ ბასრ ნაჯახად იქცევი
და ბუჩქს ამოძირკვავ,
მე ლურჯ მტრედად გადავიქცევი
და გავფრინდები. მაშინ რას იზამ?
— თუ ლურჯ მტრედად იქცევი
და გაფრინდები,
ყვითელ შევარდნად ვიქცევი
და წამოგეწევი. მაშინ რას იზამ?
— თუ გადაიქცევი ყვითელ შევარდნად
და დამეწევი,

მე ყვითელ ფეტვად ვიქცევი
და დავიფანტები. მაშინ რას იზამ?
— თუ ყვითელ ფეტვად იქცევი
და დაიფანტები,
წიწილებიან კრუხად ვიქცევი
და ფეტვს ავკენკავ. მაშინ რას იზამ?
— თუ წიწილებიან კრუხად იქეც,
ფეტვი აკენკე,
მე ყვითელ თევზად ვიქცევი
და წყალში ჩავყვინთავ. მაშინ რას იზამ?
— თუ გადაიქცევი ყვითელ თევზად,
წყალში ჩაყვინთავ,
ხელად ანკესად გადავიქცევი
და ამოგიყვან. მაშინ რას იზამ?
— თუ შენ ანკესად გადაიქცევი
და ამომიყვან,
მე სახნისად ვიქცევი
და მიწაში ჩავალ. მაშინ რას იზამ?
— შენ თუ სახნისად იქცევი
და მიწაში ჩახვალ,
მე გუთნეულად გადავიქცევი
და ამოგიყვან. მაშინ რას იზამ?
— თუ გუთნეულად იქცევი
და მიწიდან სახნისს ამოიღებ,
ალაჰი სენს გამომიგზავნის,
ავად გავხდები, მაშინ რას იზამ?
— თუ ალაჰი სენს გამოგზავნის,
ავად გახდები,
მე შენს ექიმად ვიქცევი
და კარგად მოგივლი. მაშინ რას იზამ?
— თუ ექიმად იქცევი და
კარგად მომივლი.
მოვა სიკვდილი ალაჰისგან
და მე მოვკვდები. მაშინ რას იზამ?
— თუ ალაჰისგან სიკვდილი მოვა
და შენ მოკვდები,
მე თეთრ სუდარად ვიქცევი
და შემოგეხვევი. მაშინ რას იზამ?

სტამბოლს წასულთა სიმღერა

წამსვლელები წავიდნენ სტამბოლს.
ვინც აქ დარჩა, რა სიმწარე გამოიარა!
მაშინ გადაგვხდა გადასახდელი!
ღაწვებს გადასცილდა წითელი ფერი,
ათასი ჯურის მსტოვრებით გაივსო სოფელი.
მეორედ მოსვლის დღე დაგვიდგა.
შვიდი ჯოჯოხეთი იყოს ამის სამყოფელი!
თებერდის დიდი ზეიმები გლოვამ შეცვალა.
ბუუ იოლგენში დარჩენილი ცხვრის ფარები
ბღავილით უკან მიჰყვებოდა უბედურ გათას.
ვიღამ დაგიკლას ახლა სტამბოლში შავი ბატკანი,
როგორც გიკლავდნენ თებერდაში?
მუქთად სახლის ჩრდილშიაც არ შეგაფარებენ.
მოიჩქარიან ხომალდები ჩვენს შესახვედრად,
ჩვენ კი, საწყლები, სიხარულით წავიდოდით
ამ სტამბოლიდან,
თუ ძველებურად მიგვიღებდა ჩვენი თებერდა.
ნეტავ, გვანახა თებერდის წყალი!
პურს შევჭამდით და იმ წმინდა წყალს დავაყოლებდით.
ნეტავ, ინებოს ალაჰმა და
როგორც უწინ, მძიმე დღეებში,
ისევ შვიდ სოფლად დაგვასახლოს.
ეჰ, დედაჩემო, დედაჩემო, გამოგეკეტა სახლის კარი!
თებერდის ხეობა ისეთ მთად იქცეს,
ეშმაკმაც რომ ვერ გაიაროს!
მივალთ, ვაცილებთ მუჰაჯირებს.
ვაი, ზულიჰათ, ჩემო ზულიჰათ! —
მოთქვამს ანისათ, აქ დარჩენილი ბარაქას ქალი.
— ვაი, დედაჩემო, გამოგეკეტა სახლის კარი,
ვაი, მამაჩემო, აისრულე შენი წადილი
და ორი შვილი, საკუთარი სისხლი და ხორცი,
მიუყარე უცხო თესლის ხალხს.
ვაი, დედაჩემო, გამოგეკეტა სახლის კარი!
ტირილით, მოთქმით ჩამომიხმა ლამაზი ტანი!
ჩემთან გაყრილი უბედური ჩემი ორი და

უპატრონო ლეკვივით ყმუის.
სად არის ახლა მამაჩემის ძველი სახლი?
გაღებული ყუბანის მხარეს?
შენი ყმაწვილები, გოგონებზე უფრო ლამაზნი,
მოთქმა-ტირილით ეშვებიან ათჩაფჰანაზე.

გაფალაუ

ობლობაში იზრდებოდი, გაფალაუ!
ბევრი სიმწრის მნახველი იყავი, გაფალაუ,
დაჩაგრულების ქომაგი იყავი, გაფალაუ,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ.
შენ იყავ იმედი ღარიბებისა,
მათ გაბედულად ესარჩლებოდი,
შენ უშენებდი ხიდს საწყლებს,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
სუსტებს, ღარიბებს ესარჩლებოდი,
თქვი, მიეცითო მათ მიწის წილი.
მოკვდი ცხრა ხანჯლით განგმირული, გაფალაუ,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
უკან დასწიე შენი დები,
მაინც მიხვედი იქ, სადაც მიწებს ანაწილებდნენ,
უთხარი: არ დაივიწყოთ საწყლებიო.
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
ცხრა ქვაბი თუხთუხებს ფარეხის ეზოში,
შენს ირგვლივ ელავს ცხრა ხანჯალი!
ვაი, მზეზე ელავს ცხრა ხანჯალი!
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
სახელს უფრთხილდები, უკან არ იხევ,
იბრძვი სისხლით წითლად შეღებილი.
ცხრა კაცმა ალყა შემოგარტყა ყოველი მხრიდან,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
არ დასთმე სული, ვიდრე ცხრა კაცმა არა გცემა,
არ დასთმე სული, ვიდრე არ დაგჭრა ცხრა ხანჯალმა,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
არა გყავს მამა, თვალი დაგიხუჭოს,

არა გყავს დედა, სისხლი მოგბანოს,
არა გყავს და, მოგეხვიოს და დაგიტიროს,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!
ჩაგიქრა ცეცხლი, კერა გაცივდა!
ღარიბი, ობოლი — ყველა დაგტირის.
ჩოთჩაიანთა დარჩა ქალწული — შენი დანიშნული,
ვაჟკაცად დაბადებულო, გაფალაუ!

ქანშაუბიის სიმღერა

ბექმურზა ბიის* ოთხი ვაჟი ჰყავს,
უფროსს ქამგუთბიი ჰქვია,
მის მომდევნოს — ელბუზდუქი,
მასზე უმცროსს — ქანშაუბიი,
ნაბოლარას კი — გილიასთანი.
გილიასთანი სახედრებს მწყემსავდა,
ქანშაუბიიმ კი პატარძლების სანთიობოთა
საიდუმლო იცოდა ყველა.
ძმებში უფროსი — ქამგუთბიი დათარეშობდა.
და ერთხელაც უასაკო გოგოებს შორის
გოშაიახი დაინახა.
ძალზე ლამაზი გოგო იყო, ნაკლი არ ჰქონდა.
ქამგუთბიიმ მოიტაცა და ელჯურთში ძიძას მიჰგვარა.
ასე ფიქრობდა: „დრო მოვა და ცოლად შევირთავ“.
— დედაჩემო, მე რომ გამზარდე, ესეც ისე გამომიზარდე,
თვალი არავის დააკვრევინო.
სარდაფში ზარდე შვიდი წელი, არავინ ნახოს.
ქამგუთბიის ერთგულმა ძიძამ
ქალს გოშაიახ ბიიჩე დაარქვა,
ახლოს არავის აკარებდა, მასთან ეძინა.
ჩვიდმეტი წლისა რომ შესრულდა,
ქამგუთბიიმ მოინახულა.
შეხედა და მაშინვე მიხვდა,
კარგი ცოლი რომ დადგებოდა.
სიხარული ვეღარ დამალა და გაიცინა.
გოშაიახ ბიიჩემაც დაინახა თუ არა იგი, შეუყვარდა.

და მოედო აულებს ხელად
გოშაიახ ბიიჩეს ქება.
გოშაიახ ბიიჩემ ეს ნაღვლიანი სიმღერა თქვა:
„ჯერ იყო და, ქამგუთბიის გავყევი ცოლად,
მალე დავქვრივდი.
ნეტავ, ეს ძმები რას იზამდნენ,
მე რომ ქმარი არ მომკვდომოდა?
მიწამ უყოს პირი ელბუზდუქს,
სანამ მე მისი ცოლი არ გავხდე!
მერე ქანშაუბიის გავყევი ცოლად.
მას შვილობილი ჰყავდა ერთი,
თუ მკითხავთ, გეტყვით იმის სახელს:
ხადაუჯუკიანთ გურქოქბიი.
ქანშაუბიი მისი ხშირი სტუმარი იყო.
ლამაზი იყო ქანშაუბიი.
გურქოქბიის ცოლს შეუყვარდა.
და უთხრა ქალმა ქანშაუბიის:
— ლამაზი ხარ და ძლიერ მომწონხარ,
ვერ მოვრევივარ ჩემს ყმაწვილ გულს,
სულ შენსკენ იწევს.
— ჩემი გაზრდილი შვილის ცოლი ხარ,
შენს სიყვარულს როგორ ვიკადრებ!
ეგეც არ იყოს, გოშაიახს ვერ მივატოვებ,
ვერ ნამოგყვები.
მაშინ თქვა ქალმა ატირებულმა:
ერთმანეთზემც დამხობილა ბაქსანის მთები,
ამ ვიწრო ვაკეს, სადაც მე ვსახლობ,
შავი სისხლის წვიმამ აწვიმოს.
თვალცრემლიანი გოშაიახი ქანშაუბიის ეუბნებოდა:
გურქოქბიისთან ნუღარ დადიხარ,
ხიფათს არას გადაეყარო.
საწამლავის დამზადება სცოდნია მის ცოლს,
ვიდრე საწადელს არ მიაღწევს
და არ გაძღება შენი სისხლით, არ მოისვენებს.
გურქოქბიის ცოლმა, იმედი რომ გადაიწყვიტა,
ქანშაუბიის მოწამლული ბუზა მიართვა.
დალია და ულვაშებზე ხელი გადაისვა,

ხელში შერჩა ულვაშები, სულ მთლად გასცვივდა.
ამის მნახველი შემოახტა გენჯე ტაის
და დაღესტანს გადაიხვეწა.
დაღესტანში ერთ ქალს მიაგნო, მკურნალი იყო.
ამ ქალმა უთხრა: „გიწამლებ და კიდეც მოგარჩენ
ერთი პირობით — ცოლად შემირთავ, ჩემთან დარჩები“.
მართლაც შეირთო და როგორც კი მკერდში ჩაეკრა,
ულვაშები ძველებურად აუბიბინდა.
ტანდაბალი იყო ის ქალი, სკივრსაც კი ვერა სწვდებოდა.
როგორ უნდა მოეხიბლა ქანშაუბიი?
ერთ დღეს ნახა ქანშაუბიიმ,
რომ მისი ცოლი სკივრს ვერ შესწვდა, სიცილი წასკდა.
ქალმა იცოდა, ქანშაუბიის გულში ნადები.
ამიტომ უთხრა: — „რა გაცინებს? გყავს განა ცოლი?
ანდა თუ გყავს, ტანმაღალია?“
— „მყავს ტანმაღალი ცოლი, გოშაიახ ჰქვია სახელად.
გულიდან არ ამომდის მისი გრძელი, შავი თმები.
იმის გამო დაეღუპნენ ბექმურზას ძენი“.
მაშინ ქალმა თქვა: „ახლა შინ წადი,
მოინახულე გოშაიახ, საკუთარ თავს რომ გირჩევნია.
ერთი წლის შემდეგ დამიბრუნდი.
თუ არ დაბრუნდი, ულვაშები ისევ დაგცვივა“.
წამალი მისცა, მხოლოდ ერთ წელს რომ ეყოფოდა
და გაისტუმრა.
ქანშაუბიი შეჯდა თავის გენჯე ტაიზე,*
გააჭენა და ბაქსანში გაჩნდა.
გზაზე შემხვედრმა მგზავრებმა უთხრეს,
გოშაიახ დადის, გეძებსო.
საჩქაროდ ელჯურთში მივიდა,
იქ ნახა თავისი გოშაიახი,
რომელიც სულზე მეტად უყვარდა.
იქ დარჩენა გადაწყვიტა:
„ეს ყოფილაო ჩემი ბედი“.
ერთი წელი ხელად გავიდა.
„ის წამალი შემომელია და ულვაშები
უწინდებურად ხელში შემრჩა.
გაჯავრებულმა მოვისროლე,

ისევ დაღესტანს მივაშურე“.
ქანშაუბიიმ ასე უთხრა გოშაიახს:
„შენთვის ვკვდები, ვერ გავჩერდები დაღესტანში,
თუ სენმა ბოლო არ მომიღო, ისევ ჩამოვალ.
მანამდე კი უნდა გნახო ტანზე გახდილი“.
შერცხვა გოშაიახ ბიიჩეს. ძალიან შერცხვა.
მაგრამ რა ექნა? ტანთ გაიხადა.
მკერდი გრძელი თმით დაიფარა,
ზურგზეც თმები გადაიყარა, ოთახში გაიარ-გამოიარა.
თმები უფარავდა სხეულს, ასე ეგონა ქანშაუბიის:
„შიშველი ქალი თვალისათვის ცუდი სანახავია,
დავინახავ და შემძულდებაო. არ გამოვიდა.
ყველა ქალს ასეთი გრძელი თმა რომ ჰქონდეს,
თავის თმებქვეშ დაიმალებოდა.

ურჩხული

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი ცოლ-ქმარი. ცხრა ვაჟი ჰყავდათ და არც ერთი ქალი. რვა ვაჟი მშობლებთან ცხოვრობდა სოფელში, მეცხრე, ყველაზე უმცროსი კი სხვა სოფელში მოლა იყო. გავიდა ხანი და მეათე შვილიც ეყოლათ — გოგო. გოგოს გაჩენით გახარებული მშობლები ბავშვს დიდი სიყვარულით უვლიდნენ. მეცხრე ვაჟმა გაიგო, ჩემს მშობლებს გოგო მისცემიათო და შინ წავიდა. მივიდა და დედას სთხოვა: „ჩემი და მაჩვენეო“.

— აი, ნახე ჩემი გოგოო, — უთხრა დედამ და ბავშვი აჩვენა.

როგორც კი ძმამ ბავშვი დაინახა, დედას უთხრა:

— ან ეს მოაშორე აქედან, ან მე წავალო.

— ერთ დღესაც გაწყვეტილხართ ყველანი, ვიდრე ამას რამე გაუჭირდებოდესო, — უპასუხა დედამ.

— თუ ეგრეა, ეს სახლ-კარი და საქონელი თქვენთვის დამიტოვებია, ოხრადამც დაგრჩენიათ ყველაფერი. მე კი გზას დავადგები, ის მაპოვნინებს სიკეთესო, — თქვა ვაჟმა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და ერთ საღამოს დაღლილ-დაქანცულმა შორს ბოლი დაინახა. იქით წავიდა. ერთ სახლს მიადგა. იმ სახლში უსინათლო მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა.

— მიშვილეთო, — სთხოვა ვაჟმა.

მოხუცები სიხარულით აღარ იყვნენ:

— ნუთუ ღმერთმა გადმოგვხედაო?

მართლაც, იშვილეს.

— ასი სული თხა გვყავს, სხვა საქონელი არ გვაბადია. თხებს მომწყემსავ, — უთხრა მოხუცმა და თან მიასწავლა ის ადგილი, სადაც უნდა ეძოვებინა. გააფრთხილა: „სხვაგან არსად წახვიდეო“.

დაიწყო ყმაწვილმა თხების მწყემსვა. ერთხელაც, თხები იმ ადგილზე მირეკა, სადაც მამამ დაუშალა. მირეკა და ხედავს — ლამაზი მინდორია. ყველა ხეხილი აქა დგას: ვაშლი, ქლიავი, მსხალი. ვიდრე თხები ბალახობდნენ, თავად ვაშლის ხეზე ავიდა და ჭამა დაიწყო. სად იყო, სად არა — გაჩნდა ხუთთავიანი ემეგენი.*

— დედაც შეგერთოს ცოლად! საიდან მოხვედი, როცა ჩემი შიშით

აქეთ ჩიტსაც ვერ გადმოუფრენიაო? — უყვირა ვაჟს.

მან კი ყურადღებაც არ მიაქცია, ვაშლის ჭამა გააგრძელა. როდის, როდის ჩამოვიდა ხიდან.

— დავეჭიდოთ, თუ ვესროლოთ ერთმანეთსო? — ჰკითხა ემეგენმა.

— სროლა ხომ ქალებსაც შეუძლიათ, დავეჭიდოთო, — უპასუხა ვაჟმა.

დაეჭიდნენ. ვაჟმა აიყვანა ემეგენი, დასცა და ყელამდე ჩაფლა მიწაში. მერე ხუთივე თავი მოჰკვეთა. ერთი თავი შინ წაიღო და სხვენზე შეაგდო.

მეორე დღეს ისევ გარეკა თხები, ისევ იქ მირეკა და როგორც კი ხეზე ავიდა, მოვარდა სხვა ემეგენი. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც წინა დღეს. ბიჭმა ისევ დააჭრა ემეგენს თავები. ერთი თავი შინ წაიღო და სხვენზე შეაგდო.

მესამე დღესაც ისე მოიქცა, მეოთხე დღესაც. როცა მეოთხე დღეს კიდევ შეაგდო ემეგენის თავი სხვენზე, მოხუცმა ქალმა ჰკითხა:

— შვილო, რას აგდებ ყოველ დღე სხვენზეო?

— თქვენი თხების თავებიაო, — უპასუხა ვაჟმა.

— რაო? ჩვენი თხების გაჟლეტა დაგიპირებიაო? — გაჯავრდა ქალი.

ბერიკაცს არ მოეწონა ცოლის სიტყვები:

— რა შენი საქმეა, ქალო, ერთ დღესაც გაწყვეტილანო! — უთხრა ცოლს.

მეხუთე დღეს რომ გარეკა თხები, აღარავის შეუწუხებია. მშვიდად მიჰყვებოდა არვეს. დაინახა, მინდვრის ნაპირზე, მზვარეს მხარეს ბოლი ამოდიოდა. მიუახლოვდა. ხედავს, კოშკია. შიგ ემეგენის ქალი ზის. თმები ზურგზე გადაუყრია, ზის და მატყლს ჩეჩავს. ცეცხლზე ბუზა იხარშება. ვაჟმა დაუძახა:

— ჰეი, დედა! დედა!

— შვილო, კარგ დროს მითხარი „დედა“, თორემ ვიცოდი, რასაც გიზამდიო, — უთხრა ემეგენის ქალმა.

— მეც კარგ დროს გავხდი შენი შვილი, თორემ ვიცოდი, რასაც გიზამდიო, — უპასუხა ვაჟმა.

— შვილო, ცოტა ხანს აქ იჯექი, კარში გავალ, ხორბალს დავფქვავო, — უთხრა ქალმა და გავიდა.

ვაჟმა უთვალთვალა და დაინახა, ქალი დაჯდა და სალესი ქვით კბილების ლესვას მოჰყვა. ვაჟი მიეპარა, მოუქნია ხმალი და თავები დააყრევინა. მხოლოდ ერთი თავი შეარჩინა.

— თუ ამ ერთ თავსაც არ მომაჭრი, რასაცა მთხოვ, შეგისრულებო, — უთხრა ემეგენის ქალმა.

— ემეგენებმა დედ-მამა დამიბრმავესო.

— შვილო, ამ ერთ თავს ნუ მომაჭრი და ყველაფერს გეტყვი. აქ ერთ ოთახში სკივრი დგას, სკივრში ერთი ყუთი დევს, შიგ ვერცხლისწყალი ასხია. ვერცხლისწყალში მამაშენის შავი და დედაშენის თაფლისფერი თვალები აწყვია.

ვაჟი შევიდა სახლში და მართლაც იპოვა დედ-მამის თვალები. გამოვიდა, უკანასკნელი თავიც მოჰკვეთა ემეგენის ქალს და შინ დაბრუნდა. იმ ღამეს დაიძინეს და რომ გათენდა, ვაჟმა ბერიკაცი მზის სინათლეზე გამოიყვანა, თვალები ჩაუსხა, მერე დედა გამოიყვანა, იმასაც ჩაუსხა თვალები.

ამის შემდეგ მოხუცებს კიდევ უფრო შეუყვარდათ ვაჟი. მაგრამ ერთ დღეს მან გამოუცხადა:

— ჩემს სოფელში დაბრუნება მინდაო.

ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა მოხუცები, მაგრამ რას იზამდნენ?

— რაც გზაში დაგჭირდება, წაიღეო, — უთხრეს ვაჟს.

— თუ მომცემთ თქვენს ქისას და რაც შიგ დევს, მეტი არა მინდა რაო.

ქისაში კი ჯაყვა, სალესავი და სადგისი იდო. ვაჟს ისინი ძალიან სჭირდებოდა, რადგან შორ გზას ადგა.

ბევრი იარა თუ ცოტა, მივიდა თავის სოფელში. ხედავს, მათი სახლის გარდა ყველა სახლი დანგრეულია. ძაღლიც კი არსად ყეფს. შინ მხოლოდ და დაუხვდა. ძმა რომ დაინახა, გადაეხვია, უთხრა: „მთელი სოფელი აიყარა, მარტო დამაგდესო“. ვაჟი მიხვდა, რაც მომხდარიყო.

— საჭმელი არაფერი მაქვს, გავალ, ხორბალს დავფქვავო, — უთხრა დამ და გავიდა.

ვაჟმა ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, მისი და კბილებს ილესავდა. მაშინვე გაეცალა იქაურობას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა. დამ გაუგო და დაედევნა. გარბის ვაჟი, ქანცი გამოელია, ამოიღო ქისიდან სალესავი, გადააგდო და ღმერთს შესთხოვა:

— ღმერთო, ეს სალესავი დიდ კლდედ აქციე, რომ გოგომ ვერ გამოიაროსო.

სალესავი მართლაც იქცა დიდ კლდედ, მაგრამ ვაჟს იმედი არ ჰქონდა და ისევ აგრძელებდა სირბილს. ამასობაში კი მისმა დამ კლდე გაღრღნა და ძმას დაედევნა. ის იყო, უნდა წამოსწეოდა, რომ ვაჟმა ქისიდან ჯაყვა ამოიღო, გადააგდო და ღმერთს შესთხოვა:

— ღმერთო, ეს ჯაყვა რკინის კლდედ აქციე, რომ ჩემმა დამ ვერ გამოაღწიოსო.

მართლაც, იქცა ჯაყვა რკინის კლდედ, მაგრამ დამ ისიც გაღრღნა და ის-ის იყო, უნდა დასწეოდა ძმას, რომ მან სადგისი გადააგდო და ღმერთს შესთხოვა:

— ღმერთო, ეს სადგისი მაღალ, რკინის ხედ აქციე, ცხრა-ათმა კაცმა ხელი რომ ვერ შემოუწვდინოს, და მე ხის კენწეროზე დამსვიო.

ღმერთმა ეს თხოვნაც შეუსრულა, მაგრამ და ეცა ხეს და ღრღნა დაუწყო. ამ დროს მოფრინდნენ ყვავები.

— ჩემს დედ-მამას უთხარით, მეძებრები გამოუშვან, — სთხოვა ვაჟმა ყვავებს.

— შენ რომ ფრინველს მოინადირებდი ხოლმე, ჩვენ რას გვაძლევდი? — უპასუხეს ყვავებმა და გაფრინდნენ. დამ ხე ნახევრამდე გადაღრღნა. ამ დროს მოფრინდნენ მტრედები.

— მტრედებო, ჩემს დედ-მამას უთხარით, მეძებრები გამოუშვან, თორემ ჩემი და შემჭამსო, — უთხრა ვაჟმა მტრედებს.

— ახლავე ვეტყვითო, — უპასუხეს მტრედებმა და გაფრინდნენ.

გოგომ გადაღრღნა ხე. ის იყო, ხე უნდა წაქცეულიყო, რომ მოცვივდნენ ძაღლები. მათ დანახვაზე გოგო მოსწყდა მიწას და ცაში აფრინდა. ძაღლებიც თან მიჰყვნენ.

ახლაც, როცა მთვარის ან მზის დაბნელება ხდება, იტყვიან ხოლმე: ამას ის გაუმაძღარი გოგო აკეთებსო.

როგორც ჩვენ ეს არ გვინახავს, ისე ნუ გვენახოს ნურა ავადმყოფობა.

გოგო და ბატკანი

დიდი ხნის წინათ ერთ აულში ცხოვრობდა და-ძმა. დედა მოჰკვდომოდათ, მამაღა ჰყავდათ. დედინაცვალი ავი ქალი იყო და არ უყვარდა გერები. სულ ეჩხუბებოდა, სცემდა. მამა ერთი უენო კაცი იყო და თავისი შვილების ქომაგობა არ შეეძლო. ასე ცხოვრობდნენ. ერთ დღეს დედინაცვალს ავი აზრები მოუვიდა და ქმარს უთხრა:

— რაც გინდა ქენი და ეს შენი შვილები ჩემმა თვალებმა აღარ დაინახონ. თავი ვერაფრით მირჩენია, ამათ რა ვაჭამოო.

— რა ვქნა, სად წავიყვანო ეს უბედურებიო? — უთხრა ქმარმა.

— სადაც გინდა, იქ წაიყვანე, თუ არადა ჩემი ხელით დავკლავ ორივესო.

ამ დროს გოგო და ბიჭი ტახტქვეშ იწვნენ და თავს იმძინარებდნენ. დედინაცვალს ეგონა, სძინავთო. მათ კი ყველაფერი გაიგონეს. საწყალმა მამამ რა არ უთხრა, მაგრამ ავმა დედინაცვალმა დაიყოლია. მამა და დედინაცვალი დასაძინებლად დაწვნენ. ბავშვებმა კი თვალი ვერ მოხუჭეს. სულ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ დაეხსნათ თავი.

გოგომ უთხრა:

— დილას, როგორც კი ავდგებით, ჩემი ზარდახშა მოიტანე და გაიქეცი. მე ვითომ ზარდახშის წასართმევად გამოგიდგები და ასე გავალთ სოფლიდან. მერე სადმე დავიმალებით. თუ ახლა გავიქცით, დედინაცვალი ველარ გვიპოვის და ასე დავაღწევთ თავს სიკვდილს.

მეორე დღეს ისე მოიქცნენ, როგორც მოილაპარაკეს. სოფლიდან რომ გავიდნენ, ერთი მოიხედეს, ნახეს, არავინ მოსდევდათ და მოკურცხლეს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

დიდხანს ირბინეს. კარგა მანძილი გაიარეს. სადილობის დრო იყო დიდ მდინარეს რომ მიადგნენ. ბიჭს ძალიან სწყუროდა.

— იელუკა (დას იელუკა ერქვა) ეს წყალი დაილევა?

— ამ მდინარეში საქონელს გაუვლია. ამიტომ, ვინც ამ წყალს დალევს, ხბოდ იქცევა. შენ რომ ხბოდ იქცე, მე რა მეშველება? ნუ დალევ, გენაცვალე, — შეეხვეწა და.

ბიჭმა დაუჯერა და აღარ დალია. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიადგნენ ერთ მდინარეს.

ბიჭმა უთხრა:

— იელუკა, წყურვილი მკლავს. ამ მდინარის წყალი დაილევა?

— ვინც ამ მდინარის წყალს დალევს, კვიცად იქცევა. შენ რომ კვიცად იქცე, მე რა მეშველება? — უთხრა დამ.

დაუჯერა ბიჭმა და აღარ დალია. განაგრძეს გზა. მალე ისევ მიადგნენ ერთ მომცრო მდინარეს. ბიჭს სიარული აღარ შეეძლო, წყალს თხოულობდა, ლამის ტიროდა.

— ამ წყლის დამლევი ბატკნად იქცევა, შენ რომ ბატკნად იქცე, მე რაღა ვქნაო?

მაგრამ ბიჭს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

— იელუკა, ნელა იარე, დაგეწევიო, — უთხრა დას.

იმანაც დაუჯერა და გზა განაგრძო. ბიჭი კი დაეწაფა წყალს და დიდხანს სვამდა. როგორც კი წყურვილი მოიკლა, ბატკნად იქცა და დას დაედევნა. დამ ბღავილი გაიგონა, მოიხედა და ბატკნად ქცეული ძმა დაინახა. გოგომ გულში ჩაიკრა ბატკანი, დაჯდა და დიდხანს ტიროდა. მერე ადგა, აიყვანა ბატკანი და წავიდა. მიდიოდა და ტიროდა. მიდიოდა და ტიროდა. საღამო ხანს ერთ მინდორში გავიდნენ. შუა მინდორში ვაშლის ხე იდგა. მინდორს უღრანი ტყე ერტყა. მხეცების შიშით გოგო ხის კენწეროზე ავიდა. ტოტებითა და ფოთლებით საგები გააკეთა, ბატკანიც აიყვანა და ის ღამე იქ გაათენეს.

მეორე დილას, ადრიანად ამ ხის ქვეშ დიდი ლაშქარი შეიყარა. გოგო

მათმა ხმაურმა გააღვიძა. დაღლილი მებრძოლები, როგორც კი ჩამოქვეითდნენ, მაშინვე დასაძინებლად მიწვნენ. ყარაულებსაც დაეძინათ.

იელუკა, შეშინებული და გაკვირვებული, ხიდან უყურებდა მებრძოლებს. მერე, როცა ისინი ღრმა ძილში იყვნენ, ჩამოვიდა, მათი საჭმლით საუზმე მოამზადა, ცოტა ხეზე აიტანა, დანარჩენი ძირს დატოვა. დილას გაიღვიძეს მებრძოლებმა, ნახეს, საუზმე მზად იყო. ჯერ გაიკვირვეს, მერე კი გემრიელად შეექცნენ. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. ერთხელაც გოგომ, ხეზე რომ ადიოდა, წითელი ვაშლი დაინახა, მოწყვიტა და შეჭამა. შეჭამა და ერთბაშად გაიზარდა. ძალიან გაუკვირდა, არ იცოდა, რა მოხდა. ვიდრე მებრძოლებს ეძინათ, გოგომ მოუმზადა საჭმელი, დაუკერა ტანსაცმელი და ისევ ხეზე ავიდა. მებრძოლებს ვერაფრით გაეგოთ, ვინ უმზადებდა საჭმელს, ვინ უკერებდა ტანსაცმელს, გარდა იმ მცველებისა, რომლებიც მოშორებით იდგნენ, ახალი მცველები დაიყენეს, უფრო ახლოს. გოგომ ეს არ იცოდა და ძველებურად ჩამოვიდა ხიდან. დაინახეს მცველებმა, დაიჭირეს და ხანის კარავში მიიყვანეს. ხანს გოგო ძალიან მოეწონა.

— ლამაზო გოგო, ცოლად გამომყევიო, — უთხრა.

რა უნდა ექნა საწყალ გოგოს? დათანხმდა, ოღონდ ეს უთხრა:

— თუ ერთ თხოვნას შემისრულებ, მეც შეგისრულებ მაგ თხოვნასო.

— პირობას გაძლევ, არაფერს გაწყენინებო, — უთხრა ხანმა.

— ერთი ბატკანი მყავს, ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემთან უნდა იყოსო.

— კარგიო, — უთხრა ხანმა.

გაუდგნენ გზას. რამდენიმე ხნის შემდეგ ხანის სასახლეში მივიდნენ. გოგო ხანის ცოლი გახდა. ერთხელაც, სასახლე რომ მოიარა, წყლის პირას მივიდა, იქ ერთი ჯადოქარი დედაკაცი წამოეწია. ამ დედაკაცს თვითონ სდომოდა ხანის ცოლობა, ამიტომ უთხრა ბოროტი განზრახვით:

— ხანის ცოლმა ამ წყალში უნდა იბანაოს. ვინც იბანავებს, ყველა სურვილი აუსრულდებაო.

ხანის ცოლმა დაიჯერა, მაგრამ როგორც კი წყლის ნაპირს მიუახლოვდა, ჯადოქარმა ხელი ჰკრა და წყალში ჩააგდო. თვითონ მისი ტანსაცმელი ჩაიცვა და სასახლეში მივიდა. ისე დამსგავსებოდა ხანის ცოლს, რომ ეჭვი არავის აუღია. ასე შეაღწია ჯადოქარმა სასახლეში. გავიდა რამდენიმე დღე.

როცა ჯადოქარმა ხანის ცოლი წყალში გადააგდო, ბატკანიც იქ იყო, მაგრამ რა ექნა? მას მარტო ბღავილი შეეძლო. ჯადოქარსაც ეშინოდა, ბატკანს არ გაეცა მისი საიდუმლო. ამიტომ უნდოდა, როგორმე თავიდან მოეშორებინა იგი. ერთხელაც ხანს მოსთხოვა, ბატკანი დაკალიო. ხანს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ უარი ვერ უთხრა. ხანის მსახურებმა დანების

ლესვა დაიწყეს. მოიკითხეს ბატკანი, მაგრამ ვერსად ნახეს. უფროსი მსახური საძებრად წავიდა. ერთბაშად ბღავილი მოესმა. გაჰყვა ხმას, ხმამ იგი წყლის პირას მიიყვანა. ხედავს, დგას ბატკანი, ბღავის და ტირის. ხანის მსახურმა ცხვრის ენა იცოდა და გაიგო, რას ჩიოდა ბატკანი:

— იელუკა, შავმა ჯადოქარმა ხანს ჩემი დაკვლა მოსთხოვა. მსახურები დანას ლესავენ. დაკლავენ შენს ბატკანს, ვინ უშველის?

მსახური მაშინვე სასახლეში დაბრუნდა და ყველაფერი ხანს უამბო. მივიდნენ წყლის ნაპირას, ჩანგლებით დაუწყეს ძებნა ქალის ცხედარს, იპოვეს, ნაპირზე გამოიტანეს და სასაფლაოზე წაიღეს, დამარხეს. მეორე დღეს მივიდა ხანი ცოლის საფლავზე და ნახა, ოქროს ხე ამოსულიყო. ამოთხარეს, სასახლეში გადაიტანეს და შუა ოთახში დარგეს.

იმ სოფელში ერთი საწყალი ქალი ცხოვრობდა. მივიდა ეს ქალი ხანთან და სთხოვა: „ერთი პატარა ტოტი მომეციო". ხანმა არ მისცა:

— საიდანაც ეს ხე წამოვიღეთ, ფესვი დარჩებოდა, წადი მოთხარე საფლავის ძირი და იპოვიო.

საწყალმა ქალმა ბევრი ეძება და დიდ სიღრმეზე მართლაც იპოვა პატარა ფესვი. გახარებულმა წაიღო შინ და სკივრში შეინახა. მეორე დილას ახადა სკივრი და რას ხედავს! სკივრში ლამაზი ქალი წევს. ძალიან გაუხარდა, ვერ კი გაბედა, ვინმესთვის ეჩვენებინა. მაგრამ რა დაიმალებოდა! „საწყალ ქალთან ძალიან ლამაზი გოგო ცხოვრობსო". ამ ხმამ ჯერ იქაურ ყმაწვილებამდე მიაღწია, მერე მთელმა სოფელმა გაიგო. სოფლის ახალგაზრდობამ ლხინი გამართა და გოგოც მიიწვია. საწყალმა ქალმა მარტო ვერ გაუშვა და თვითონაც გაჰყვა. ხალხი გოგოს ყურებით ვერა ძღებოდა. ცეკვა-თამაშით დაღლილი ახალგაზრდობა დასასვენებლად დაჯდა და, როგორც წესად ჰქონდათ იმ დროში, დაიწყეს სხვადასხვა ამბის მოყოლა. ისიც თავიდან ბოლომდე მოჰყვა, რაც გადახდენოდა.

— თუ სიმართლეს ვამბობ, ხანის ტახტთან რომ ბატკანი დგას, კაცად იქცეს და აქ მოვიდესო, — დაასრულა გოგომ თავისი ამბავი.

მართლაც, კარი გაიღო და ლამაზი ბიჭი შემოვარდა, მიიჭრა გოგოსთან:

— ჩემო იელუკა, საყვარელო დაო, აი, მეც მოვედიო!

მთელს იმ მხარეში გავარდა მათი ამბავი. ცხოვრობდნენ საწყალ ქალთან, დედასავით ჰყავდათ.

ერთ დღეს მათ სახლს სამი მათხოვარი მიადგა. ერთი მათგანი, ბერიკაცი, სისუსტით ფეხზე ძლივს იდგა. მეორე, ასევე დასუსტებული დედაბერი იყო, მესამე — შუახნის ქალი. იელუკა გამოვიდა მოწყალების მისაცემად და იცნო თავისი მამა და დედინაცვალი. ჩაულაგა გუდაში, რაც

გამოუტანა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა და:

— მამა! — იყვირა, გადაეხვია ბერიკაცს.

მამამაც იცნო შვილი, გაახსენდა თავისი ავკაცობა და გაიქცა, იქაურობას გაეცალა. ამის მერე მამა-შვილს შეხვედრა აღარ ეწერათ. ამბობენ, ბოროტების ჩამდენმა ავმა დედინაცვალმა, მამამ და ჯადოქარმა ადამიანის სახე დაკარგეს და მშიერ-მწყურვალნი ღამ-ღამობით ტყე-ღრეში დაეხეტებიანო.

საწყალი ქალი და მისი შვილობილები კი ბედნიერად ცხოვრობდნენ. ეს არის ყველა პატიოსანი და ყველა უნამუსო კაცის ხვედრი.

წრუწუნა და ზანზალაკი

დიდი ხნის წინათ იყო ერთი წრუწუნა. წრუწუნას კისერზე ზანზალაკი ეკიდა. „ძინ! ძინ! ძინ!" — რეკდა ზანზალაკი.

ერთხელ წრუწუნა ხორბლის მოსაპარად ძნაში შეძვრა და ზანზალაკი დაეკარგა. მაშინვე ცეცხლთან მიირბინა:

— ცეცხლო, ცეცხლო, ერთი მუგუზალი მომეცი.

— მუგუზალი რად გინდა?

— ძნაში ზანზალაკი დამეკარგა, უნდა ვიპოვო.

— არასდიდებით. შენისთანებს მუგუზალს როგორ მივცემ?

წრუწუნამ მიირბინა მდინარესთან:

— მდინარევ, ცოტა წყალი მომეცი.

— წყალი რად გინდა? — ჰკითხა მდინარემ.

— ცეცხლმა მუგუზალი არ მომცა და წყალი უნდა დავასხა, უნდა ჩავაქრო.

— არა, შენისთანებს წყალს როგორ მივცემ?

წრუწუნა მივიდა სახედრებთან:

— სახედრებო, გეხვეწებით, მიდით და წყალი აამღვრიეთ.

— რატომ? — ჰკითხეს სახედრებმა.

— ასე და ასე იყო. მივედი, წყალი ვთხოვე და არ მომცაო.

— არა, მაგის გულისთვის წყალს როგორ ავამღვრევთ. ჩვენც მაგ წყალს არა ვსვამთ?

წრუწუნამ აღარ იცოდა რა ექნა და მივიდა ყმაწვილებთან:

— ყმაწვილებო, ერთი ეს სახედრები ისე არბენინეთ, რომ სიქა გასძვრეთ. წყალი აამღვრიეთ-მეთქი ვთხოვე და უარი მითხრეს.

— არა, მაგის გულისთვის როგორ ვარბენინოთ სახედრები. ჩვენც მაგ

სახედრებზე არა ვსხდებით ხოლმე? — უპასუხეს ყმაწვილებმა.

მაშინ წრუწუნა ქალებთან მივიდა და უთხრა:

— ქალებო, გალახეთ თქვენი შვილები, რაღაც ვთხოვე და არ შემისრულეს.

— ერთი ამას უყურეთ! შენი გულისათვის ჩვენს შვილებს რატომ გავლახავთ! — გაწყრნენ ქალები.

ბოლოს იმედგადაწყვეტილი წრუწუნა კაცებს მიადგა:

— კაცებო, თქვენს ცოლებს საჭმელი გადაუმალავთ და უთქვენოდ ჭამენ!

დაიჯერეს კაცებმა, დაავლეს ხელი ცელებს და ეცნენ თავიანთ ცოლებს. ცოლები თავიანთ შვილებს ეტაკნენ, შვილები — სახედრებს, სახედრები — მდინარეში შეცვივდნენ, მდინარე ცეცხლს ეცა, ცეცხლი — ძნას. ძნა დაიწვა და წრუწუნამ თავისი ზანზალაკი იპოვა.

თეთრი ბატკანი

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა ერთი კაცი. კაცს ცხოველ-ფრინველის ენა ესმოდა. ერთხელ მწყემსებთან სტუმრად მიდიოდა. ის იყო ფარეხს მიუახლოვდა, რომ მგლების ყმუილი შემოესმა:

— ხვალ ქარბუქი ამოვარდება და ცხვრებს შეგიჭამთო, — ყმუოდნენ მგლები.

— ამოვარდეს. ერთი იმ ჟღალი ცხვრის დუმა მომაგდებინა პირში და რასაც შემიჭამთ, იმასაც ვნახავო, — პასუხობდა მეცხვარის ძაღლი.

სტუმარმა გაიგო მგლებისა და ძაღლის ლაპარაკი და გუნებაში გაეცინა. შევიდა ფარეხში. მწყემსებმა დიდი პატივით მიიღეს.

— ყველაზე მსუქან ცხვარს დაგიკლავთო, — უთხრეს.

— არაფერიც არ მინდა, მაგრამ რაკი არ იშლით, ის ჟღალი ცხვარი დაკალითო, — უთხრა სტუმარმა.

დაკლეს მწყემსებმა ჟღალი ცხვარი და დუმა სტუმარს მიართვეს. იმან კი აიღო და ძაღლს მიუგდო. მწყემსებმა იწყინეს, მაგრამ სტუმარს რას ეტყოდნენ?! ხორცი მიართვეს. ჭამას რომ მორჩნენ, სტუმარს ლოგინი გაუშალეს, თვითონაც დაწვნენ, დაიძინეს.

დილით ადრე გაიღვიძეს, ხედავენ დიდი თოვლი მოსულა, ქარბუქია. ფარეხში არც ცხვარია, არც ძაღლი.

— ჩვენმა სტუმარმა უბედურება მოგვიტანაო, — თქვეს მწყემსებმა და დაუწყეს ძებნა ცხვარს. მალე იპოვეს — მთელი ფარა ფარეხის სიახლოვეს

შეგროვილიყო. ბეწვიც არ აკლდა. იქვე იწვა ძაღლი და ეყარნენ დახოცილი მგლები. მწყემსები გააკვირვა ძაღლის ძალ-ღონემ. იმასაც მიხვდნენ, რომ ეს ძალ-ღონე სტუმრის წყალობით შემატებოდა.

— სტუმარო, ძალიან საქმე გაგვიკეთე, გვიჩუქნია ნახევარი ფარა, წაიყვანე, შენი იყოსო, — უთხრეს.

სტუმარმა იუარა, მაგრამ მწყემსებმა მაინც მორეკეს ფარა. რომ მოერეკებოდნენ, ერთი თეთრი ბატკანი უკან რჩებოდა.

— რატომ რჩები უკან? — ჰკითხა დედა ცხვარმა.

— როგორ არ დავრჩები, როცა მთელი ფარის ბარაქა ზურგზე მაწევს, ლამის გამსრისოსო, — უპასუხა ბატკანმა.

გაიგო სტუმარმა ბატკნის ნათქვამი და მწყემსებს უთხრა:

— რაკი არ იშლით, მაშინ ის, ფარას ჩამორჩენილი თეთრი ბატკანი მომეციოთო.

მისცეს მწყემსებმა თეთრი ბატკანი. კაცმა ბატკანი შინ მიიყვანა და იმ დღიდან მოკიდებული ემატებოდა და ემატებოდა ქონება. ძალიან გამდიდრდა.

ერთხელ კაცი და მისი ცოლი ერთად ისხდნენ. იქვე ქათმები დადიოდნენ. კაცმა გაიგონა მამლისა და დედლის საუბარი. მამალს ერთი მარცვალი ფეტვი ეპოვა და დედალს სთავაზობდა, ჭამეო. არა, შენა ჭამე, მე არა მშიაო, უარობდა დედალი. კაცს გაეცინა.

— რაზე იცინიო, — ჰკითხა ცოლმა.

— დედლისა და მამლის ლაპარაკი გავიგე და იმაზე გამეცინაო.

— მითხარი, რას ამბობდნენო? — ჩააცივდა ცოლი.

— მართალია, ცხოველ-ფრინველის ენა მესმის, მაგრამ თუ ვისმე რამე ვუთხარი, უეჭველად მოვკვდებიო, — უპასუხა ქმარმა.

— გინდა თუ არა, უნდა მითხრა, მოკვდები და მოკვდიო, — არ მოეშვა ცოლი.

კაცს სხვა ძალა აღარ ჰქონდა და უთხრა ცოლს დედალ-მამლის ნალაპარაკევი. უთხრა და მაშინვე სული დალია.

სიმდიდრე, ბედნიერება და ჭკუა

ერთხელ სიმდიდრე, ბედნიერება და ჭკუა შეიყარნენ.

— მე თქვენზე ძლიერი ვარო, — დაიტრაბახა სიმდიდრემ.

— სადაც ბედნიერება არ არის, იქ სიმდიდრეს რა ძალა აქვსო? — თავი გამოიდო ბედნიერებამ.

— კაცს ჭკუა თუ არ ექნა, ვერც სიმდიდრეს მოიხმარს და ვერც ბედნიერებასო, — თავმომწონედ განაცხადა ჭკუამ.

ბევრი იდავეს და გზას გაუდგნენ. ერთ ღარიბ კაცს გადაეყარნენ. კაცს ყანა მოეხნა და თესდა. სიმდიდრე, ბედნიერება და ჭკუა შორიახლო შეჩერდნენ. მერე სიმდიდრემ ნაბიჯი წადგა, ხელები აღაპყრო და თქვა:

— მიბრძანებია ხნული ოქროთი გაივსოს!

ამის დანახვაზე ჭკუამ, თავისი ძალა რომ ეჩვენებინა, ღარიბს გონი წაართვა. ღარიბი მაშინვე ერთ მდიდარ კაცთან მიიჭრა და უთხრა:

— ჩემს მიწაზე სიმინდის ნაცვლად ქვა ამოვიდაო.

მდიდარს გაუკვირდა და წაჰყვა ღარიბს ყანაში. რომ მივიდა და ნახა, რაშიც იყო საქმე, დათაფლული ენით უთხრა:

— მოდი, ყანები გავცვალოთ, სიმინდით გაბიბინებული ჩემი ყანა შენთვის დამითმია, შენი ქვაღორღიანი მე მომეციო.

გაიხარა საწყალმა კაცმა და თავისი ყანა მდიდარს გაუცვალა.

მდიდარმა ოქრო ურემზე დადო და შინ წაიღო. ღარიბმა კი არ იცოდა, რა ექნა და მიწის ჩიჩქნას მოჰყვა.

მაშინ ბედნიერებამ თავისი ძალის ჩვენება მოინდომა, ასწია ხელები და თქვა:

— იყავ ბედნიერი!

მაშინვე ღარიბს მდიდრულად ჩაცმული სოვდაგრები მოადგნენ. უთხრეს:

— ქარავნის წინამძღოლს ვეძებთ. სწორედ შენისთანა კაცი გვჭირდება, გთხოვთ ჩვენი წინამძღოლი იყავიო.

საწყალმა კაცმა არ იცოდა, რა ეთქვა და თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. სოვდაგრებმა მაშინვე წვერი გაპარსეს, ძვირფას ტანსაცმელში გამოაწყვეს, შავ ცხენზე შესვეს, შუაში ჩაიყენეს და წაიყვანეს.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ სოფელში მივიდნენ და ერთ მდიდარ ბეგს ესტუმრნენ. ამ ბეგს ლამაზი ქალი ჰყავდა. თქვეს, მოდი, ეს ქალი ჩვენს წინამძღოლს შევრთოთო, სთხოვეს ბეგს ქალი.

— თუ თქვენს წინამძღოლს ჩემი ქალი მოსწონს, მე თანახმა ვარო, — თქვა ბეგმა.

შეიყარნენ ბეგის ნათესავ-მეგობრები, დიდი ქორწილი გააჩაღეს და ბეგის ქალი საწყალ კაცს მიათხოვეს.

მთელი სოფელი მოვიდა ბეგის სიძის სანახავად. სიძეს კი შიშისაგან ენა ჩავარდნოდა, რასაც არ ეკითხებოდნენ, პასუხს ვერა სცემდა. შეწუხდა ნათესაობა:

— რატომ ხმას არ იღებს, გვამასხარავებს თუ რა არისო?

ნახეს საქმე ცუდად იყო და სიმდიდრემ და ბედნიერებამ ჭკუას სთხოვეს, საწყალ კაცს გონი დაუბრუნეო. ჭკუამ დაუბრუნა საწყალ კაცს გონი და მანაც მაშინვე ითხოვა, სიტყვა მათქმევინეთო.

— ჩემს პატარობაში ჩვენს სოფელს მტერი შემოესია. მამაკაცებთან ერთად მტერს ქალებიც შეებნენ. მათში ერთი მამაცი გოგონა ერია. კაცის ტანსაცმელი ჩაეცვა, შემჯდარიყო ცხენზე და იბრძოდა, სანამ მტერი სოფლიდან არ გარეკეს. გუშინდელს აქეთ ჩუმად იმიტომ ვიყავი, ამ ქალს იმ გოგოს ვადარებდი და ვფიქრობდი: ნეტავ, ესეც მასავით მამაცი თუა-მეთქი. გთხოვთ, შემინდოთ ჩემი დანაშაული.

— ჩვენ კი გვეგონა, დაგვცინოდიო, — გაუხარდა ბეგს და ლხინი გააგრძელეს.

ამის შემდეგ ის კაცი ვაჭრებს მეთაურობდა, სიღარიბეს თავი დააღწია და გამდიდრდა.

თუ კაცს ჭკუა არ ექნა, ვერც სიმდიდრეს მოიხმარს და ვერც ბედნიერებას.

დათვი, მგელი და მელა

დიდი ხნის წინათ დათვი, მგელი და მელა დაძმობილდნენ. ერთხელაც, საზრდო გამოელიათ და მის საშოვნელად გზაზე გამოვიდნენ. იპოვეს ერთი გუდა ერბოთი სავსე, ვიღაცას დაჰკარგვოდა. აიღეს. „ამ საღამოს ვჭამოთო", — თქვეს და ხეზე დაკიდეს. განაგრძეს გზა და ერთ ფარას წაადგნენ. ძალიან კი უნდოდათ, ფარას დასცემოდნენ, მაგრამ რომ დაინახეს, მწყემსი ფხიზლობდა, იქვე, გამოქვაბულში შეძვრნენ და დაიწყეს ლოდინი, იქნებ ფარას ერთი ცხვარი მაინც ჩამორჩესო. დიდხანს უცადეს. შიმშილით კუჭი აეწვათ. მელამ დააპირა მეგობრებისაგან ნამალევად შეეჭამა ერბო, გუდაში რომ ეგულებოდა. დაფიქრდა, როგორ მოვატყუო ესენიო.

მეორე დილას მელა ადრიანად ადგა.

— გესმით ფეხის ხმა? ვიღაც მოდის. ერთი გავხედავ, ვინ არისო, — თქვა და გამოქვაბულიდან თავი გამოყო. მერე მიუბრუნდა მეგობრებს და უთხრა:

— აქვე, ერთ სოფელში ხანის ვაჟს ბიჭი შესძენია. კაცი გამოუგზავნიათ, მელა ეფენდი, მობრძანდი, ბავშვს სახელი დაგვირქვიო. მივირბენ და ახლავე დავბრუნდებიო.

თქვა და წავიდა. მივიდა იმ ხესთან, რომელზედაც გუდა ეკიდა, ავიდა ზედ, ჩამოუშვა გუდა, გახსნა და კარგად მიაძღა ერბოს. მერე გუდა ისევ ხეზე დაჰკიდა და თავის თანამგზავრებთან დაბრუნდა.

— მელა, უხეიროვ, რა დაარქვი ხანის შვილიშვილსო? — ჰკითხეს მათ.

— რა დავარქვი და ბაშლამიშიო,* — უპასუხა მელამ.

ის ღამეც გამოქვაბულში გაითენეს. დილას ისევ დაინახეს ფარა. ისევ მოინდომეს რამის ხელში ჩაგდება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ორ დღეს იშიმშილეს, ფერდები ჩაუცვივდათ, ძლივს მიიტანეს სული სადილობამდე. მელამ კვლავ იეშმაკა და თავის თანამგზავრებს უთხრა:

— მგონი, ვიღაც იძახის, ერთი გავიხედავ.

გავიდა. ცოტა ხნის მერე დაბრუნდა და თქვა:

— ისევ მეძახიან, მოდი ხანის შვილიშვილის შვილს სახელი დაარქვიო.

— წადიო, — უთხრეს თანამგზავრებმა.

მელა მივიდა გუდასთან, ავიდა ხეზე, გუდა ჩამოუშვა, ერბო ნახევარზე დაიყვანა, ისევ ჩამოკიდა და მიბრუნდა თავის ამხანაგებთან.

— ახლა რა დაარქვიო? — ჰკითხეს მელას.

— ორთამიში* დავარქვიო.

იმ დღეს, საღამო ხანს, მელას თანამგზავრებმა თქვეს:

— თუ დღესაც ვერაფერი მოვწყვიტეთ ამ ფარას, შიმშილით დავიხოცებით, მოდით, ჩვენს ერბოს გუდას მივაკითხოთო.

მელა დაფიქრდა: „როგორ მივასწრო ამათ, რომ ბარემ გამოვცალო ის გუდაო". არ იცოდა, როგორ დაეძვრინა თავი. გავიდა კარში, მერე მობრუნდა და თქვა:

— კიდევ მეძახიან, გამიჭირეს საქმე. წავალ, რაც იქნება, იქნებაო.

გამოვიდა მელა და მოკურცხლა გუდისაკენ. აძვრა ხეზე და მთელი ერბო გამოლოკა. მერე გუდა გაბერა, ისევ დაკიდა და გამოქვაბულში დაბრუნდა. მეგობრებმა ჰკითხეს, ახლა რაღა დაარქვიო?

— რას დავარქმევდი? ჯალამიში* დავარქვიო, — უპასუხა მელამ.

გადაუწყდათ საკბილოს შოვნის იმედი და გვიან ღამით გამოვიდნენ გზაზე ძალზე დამშეულები. თქვეს, ერბო შევჭამოთო, მივიდნენ იმ ხესთან, სადაც გუდა ეკიდა. აქ ჩხუბი მოუვიდათ: „არა შენ ადი ხეზე, არა შენაო".

— მე ვერ ავალ, თქვენ ჩემზე ღონივრები ხართ, თქვენ ადითო, — თქვა მელამ.

ავიდა მგელი ხეზე და გუდა ჩამოუშვა. მოხსნეს თუ არა პირი, „ფშუო" და გუდა დაიფუყა. ნახეს, შიგ აღარაფერია, ცარიელია. აყვირდნენ:

— შენი შეჭმული იქნება!

— მე არ შემიჭამია, შენ შეჭამდი!

— მე არ შემიჭამია. ყველაზე სუსტი რომ ვარ, იმიტომ მიბრიყვებთ. აბა, უთქვენოდ როგორ შევჭამდი? — თავი მოიკატუნა მელამ.

— მე ვიცი, როგორ გამოვიცნოთ, ვინ შეჭამა ერბო, — თქვა მგელმა.

— აბა, თქვი.

— ამაღამ დიდი ცეცხლი დავანთოთ და სამივენი მივეფიცხოთ. კარგად გავითბოთ ზურგები. ქვეშ გობები შევიდგათ და დავწვეთ. დილას უკვე გვეცოდინება, ვინც შეჭამა ერბო და, როცა გვეცოდინება, დამნაშავეს დავკლავთ, ავქნით და შევჭამთ, — თქვა მგელმა.

დაუჯერეს მგელს და ისე დაწვნენ დასაძინებლად, როგორც მან უთხრა. დაწვნენ თუ არა, მგელმა და დათვმა მაშინვე დაიძინეს, მელა კი მოუსვენრად იყო, — მუცელი სტკიოდა. ბევრს ეცადა, მაგრამ მოთმენა ვეღარ შეძლო და გაავსო გობი. აღარ იცოდა, რა ექნა. წამოხტა, დაავლო ხელი თავის გობს და მგელს შეუდგა ქვეშ. მგლის გობი კი თვითონ შეიდგა და დაწვა. დილით ადრე ადგნენ და შეამოწმეს. ნახეს, მელას და დათვს არაფერი აქვთ, მგლის გობი კი სავსეა.

— თურმე მგელს შეუჭამია! ახლა ხომ ვიცით, ვისაც შეუჭამიაო. — თქვეს დათვმა და მელამ და მგელი დაკლეს, გაინაწილეს და წაიღეს: დათვმა თავისი წილი ბუნაგში, მელამ — სოროში.

ერთხელ დილით ადრე გამოვიდნენ დათვი და მელა ბუნაგიდან და შეხვდნენ ერთმანეთს. მელამ დათვის ბუნაგის ჭუჭრუტანაში ჩაიხედა და დაინახა, დაკიდული ქონის ნაჭერი, შეშურდა: „როგორ ავწაპნო ეს ქონიო“, — იფიქრა.

— დათვო, სახლიკაცო, მოდი, ქონი ჩვენი ბუნაგების წინ დავკიდოთ, შორიდან გამოვიქცეთ და შევჭამოთ. ვინც პირველი მოვა, იმას მეორემ იმდენი საზრდო დაუმზადოს, მთელ ზამთარს ეყოსო.

— კარგი, — დათანხმდა დათვი. იფიქრა, მე მელაზე ღონიერი ვარ, ორ ნახტომზე უკან ჩამოვიტოვებო.

წავიდნენ ნიშნისაკენ, საიდანაც უნდა გამოქცეულიყვნენ, მაგრამ მელამ ფეხი აითრია და როგორც კი დათვი დაწინაურდა, ეცა და მოიტაცა მის ბუნაგთან დადებული ქონის ნაჭერი. იმის მაგივრად დიდი თეთრი ქვა დადო.

მივიდნენ დანიშნულ ადგილზე, დაიძახეს „ხარა“! და გამოქანდნენ. ერთდროულად მოირბინეს. მელამ „ჰამ“! და გადასანსლა ქონის რბილი, ფუმფულა ნაჭერი. დათვმა „ღრჭ“! — უკბინა თეთრ ქვას და კბილები დაიმტვრია. ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მელიის სორო ვიწრო იყო და ვერ შეეტია. მელა კი შიშით სოროდან ვერ გამოდიოდა.

მოშივდა დათვს. იფიქრა, იქნებ რამე ვიშოვოო და მოჰყვა ხეტიალს. იარა, ვერაფერი ნახა და შიმშილისაგან გასავათებული რომ ბრუნდებოდა, თავისი სოროს ხვრელიდან დაინახა მელამ. იგი დათვის შიშით სოროდან ვერ გამოსულიყო, თვალებდახუჭული იჯდა და ტუჩებს აცმაცუნებდა.

— დათვო, როგორა ხარ, ძმაო, საიდან მოდიხარ? — დაუძახა მელამ.

— როგორ ვიქნები? შიმშილით ვკვდები. თვალები რატომ დაგიხუჭავს?

— შენი არ იყოს, მეც ძალიან მომშივდა. თვალები დავითხარე, ქონი შევაცალე და ვჭამ. გემრიელი ყოფილა.

— მერე როგორ დაითხარე თვალები? მეც მასწავლე! — სთხოვა დათვმა.

— წინა თათების ფრჩხილები ჩაივლე და მოსწიე, ხელად ამოიგლეჯ თვალებს, მერე ქონსაც ააცლი.

დათვი ისე მოიქცა, როგორც მელამ დაარიგა: ჩაივლო ფრჩხილები, მოსწია და თვალებიდან სითხე გადმოსდინდა. ასე დაბრმავდა დათვი.

მიდის ბრმა დათვი მინდორზე, თვითონაც არ იცის — საით, მიდის და ფიქრობს, როგორ ვიძიო შური მელაზეო. დაინახა მელამ, უშიშრად გამოძვრა სოროდან, გამოეკიდა დათვს, დაეწია და ვითომ კურდღელი იყო, ისე დაუწყო ლაპარაკი:

— დათვო, საით გაგიწევია, რამ დაგაბრმავა?

დათვმა ჰკითხა:

— ვინა ხარ, აქ რას დაეხეტებიო?

— კურდღელი ვარ, ჩემს მეგობრებს ვეძებ. ისინი ვერ ვნახე და შენ კი შეგხვდი, — უპასუხა მელამ.

— კურდღელო, ნურასა მკითხავ, ვერაფერს გეტყვი. ბევრი ჭირი მანახა ცუდმა ამხანაგმა. ხომ ხედავ, ერთი კბილი აღარ შემრჩა, ორივე თვალითაც დავბრმავდიო, — უთხრა დათვმა.

— ჩემი მტერი იყოს ცუდი ამხანაგის იმედად. საწყალო, მელასთან მეგობრობდი. გაგონილი მაქვს მაგ მელას ამბავი, ამქვეყნად უფრო ცბიერი არავინ არის.

მელა წინ მიდიოდა, თან ზანზალაკს აწკარუნებდა, დათვი უკან მისდევდა ზანზალაკის ხმაზე. ასე მიადგნენ მაღალი კლდის ქიმს. მელამ უთხრა:

— დათვო, აქვე ახლოს, სახედრების რემას ვხედავ, თუ მარჯვედ გადახტები, იქნებ ზურგზე დაახტე რომელიმეს. ჯერ მე გადავხტები, მერე შენ მომყევი.

მელამ ჩუმად მოიხსნა კისრიდან ზანზალაკი და კლდიდან გადააგდო. ზანზალაკი რაწკუნით ჩავარდა უფსკრულში. დათვი მიჰყვა ზანზალაკის ხმას და უფსკრულში გადაიჩეხა. მუცელი გაუსკდა და მოკვდა.

მელამ ბილიკით ჩაირბინა და დათვის ლეშს ზედ წაადგა.

როგორც ჩვენ ეს არ გვინახავს, ისე ნუ გვანახოს ღმერთმა ავადმყოფობა და ციმბირის წყლული.

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდნენ ერთი ბერიკაცი და მისი ცოლი. ძალიან ღარიბები იყვნენ, ერთი ცხვრისა და ერთი თხის მეტი არა ებადათ რა. მათ სოფელში თივა ძნელი საშოვნელი იყო. ერთხელ ბერიკაცმა უთხრა ცოლს:

— ქალო, ხომ ხედავ, რა დრო დადგა, თივა არ იშოვება. ჩვენ კი ცხვარიცა გვყავს და თხაც. ერთიერთმანეთზე გაძვალტყავებულები არიან. მაგათგან რა ხეირი გვაქვს? ისა სჯობია, გავრეკოთ, სადაც უნდათ იქ წავიდნენ.

ცოლი დათანხმდა. ქმარმა გამორეკა ეზოდან ცხვარი და თხა:

— წადით, მოშორდით, უკან არ მოიხედოთ, თქვენი ფეხი არ ვნახო ამ ეზოში!

რა უნდა ექნათ ცხვარსა და თხას? დაიკიდეს კისერზე ტყავის აბგები და გზას დაადგნენ.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, მგლის მოჭრილ თავს წააწყდნენ. შიშისაგან კანკალი დააწყებინათ.

ისევ თხამ მოიკრიბა გონება და უთხრა ცხვარს:

— მოდი, მგლის თავი აბგაში ჩავიდოთო.

მართლაც, აიღეს, ჩაიდეს აბგაში და გააგრძელეს გზა. მთელი დღე იარეს, არც სტუმართმოყვარე მასპინძელი შეჰხვედრიათ, არც მეზობელი ვინმე. დაღლილები და მოშიებულები მესამე საღამოს ერთ ხეობას მიადგნენ. გაღმა ცეცხლი დაინახეს და გახარებულებმა ბღავილ-პეტელი მორთეს.

— არც ერთი სულიერისაგან ზიანი არ გველის. ცეცხლთან მივიდეთ, ვესტუმროთო, — თქვეს.

მიუახლოვდნენ ცეცხლს. ხედავენ, სამი მგელი დამჯდარა და ქვაბში რაღაცას ადუღებს. ამის დანახვაზე ცხვარსა და თხას შიშით ფეხები აუკანკალდათ, მაგრამ რა ექნათ? გაქცევით თავს ვერ უშველიდნენ, უკვე გვიან იყო. პირველი თხა მოეგო გონს და მგლებს მიესალმა:

— საღამო მშვიდობისა, მგლებო!

მათ დანახვაზე მგლებმა პირები დააბჩინეს, ლეზვი წამოუვიდათ.

— მშვიდობა თქვენს მოსვლას! საიდან გაჩნდით? გეტყობათ, სიცოცხლე მოგბეზრებიათ. სწორედ ბედზე გამოჩნდით, ქვაბში ცარიელი წყალი გვიდუღსო.

მგლებმა თხასა და ცხვარს შეჭმა დაუპირეს. ცხვარს ფეხები აუკანკალდა, ენა წაერთვა. თხამ გული გაიმაგრა და ცხვარს უთხრა:

— ამოიღე, ერთი, აბგიდან მგლის თავი, მოვხარშოთ და ვჭამოთ!

ცხვარმა ამოიღო და მიაწოდა მგლის თავი.

— ეს არა, ის დიდი თავი ამოიღე, მოვხარშოთ და შევჭამოთ.

ცხვარი მიუხვდა, უკან ჩადო მგლის თავი და ვითომ ყველაზე დიდს ვარჩევო, ხელახლა ამოიღო და თხას მიაწოდა. ცხვარმა ეს ერთი თავი სამჯერ ჩადო აბგაში და სამჯერ ამოიღო. ბოლოს თავი მგლებს მიართვა და უთხრა:

— თუ გშიათ, აბგაში საჭმლის მეტი რა გვაქვს? თქვენც გეყოფათ და ჩვენც. ჯერ ეს ჩააგდეთ მაგ ქვაბში.

ამის მნახველ მგლებს მოეჩვენათ, რომ აბგა სულ მგლის თავებით იყო სავსე. გულში შიში ჩაუდგათ და იმასღა ფიქრობდნენ, აქედან როგორ გავიპაროთო.

უფროსმა მგელმა თქვა:

— წავალ, შეშას მოვიტან, ვაითუ, წყალი არ ადუღდესო, — და ტყეს მისცა თავი.

დიდხანს უცადეს, არ მობრუნებულა. მეორე მგელმაც თქვა:

— ასე რატომ დაიგვიანა? წავალ, დავუძახებო.

წავიდა და აღარც ის დაბრუნებულა.

ახლა მესამე მგელმა თქვა:

— ნეტავ, რა დაემართათ, სად დაიკარგნენ? ფიჩხი რატომ არ მოაქვთ? წავალ, ვნახავ, რატომ დაიგვიანესო, — და გაიპარა.

თხასა და ცხვარსაც ეს უნდოდათ. ხელად შესანსლეს, რაც ქვაბში ფაფა იყო და დასაძინებლად დაწვნენ.

გარიჟრაჟზე შეხვდნენ მგლები ერთმანეთს:

— შევცდით, როგორ შევცდით! სირცხვილი იყო ჩვენი წამოსვლა. თხამა და ცხვარმა როგორ უნდა შეგვაშინონ?! თავის ფეხით მოვიდნენ და ჩვენ იმდენი ვერ ვივარგეთ, დაგვეჭირა და შეგვეჭამა. უსათუოდ უნდა ვიპოვოთ და შევჭამოთო, — გადაწყვიტეს მგლებმა და დაბრუნდნენ თხისა და ცხვრის საძებრად. ისინი კი მგლების შიშით ერთ ბებერ მუხაზე ამძვრალიყვნენ. ცხვარი ერთ ტოტზე, თხა — მეორეზე. მგლები მივიდნენ ხესთან. დრუნჩები ასწიეს, კბილები უკაწკაწებდათ. ცხვარი შიშით აკანკალდა, ტოტზე თავი ვეღარ შეიმაგრა, ჩამოვარდა და „ტყაპ“! ერთ მგელს დაეცა. თხა აყვირდა:

— შენ კი გენაცვალე! ყოჩაღ! არ გაუშვა, ჩქარა, მეორე მგელიც დაიჭირე!

მგლები დაფრთხნენ, მართლა არ დაგვიჭირონო, იფიქრეს და მოკურცხლეს. თხა და ცხვარი კი დარჩნენ უვნებელი და განცხრომით ცხოვრობდნენ.

ქათამი იმას, ვინც ლაპარაკი იცის

ძველ დროში ცხოვრობდა ერთი დიდებული ხელმწიფე. ჰყავდა ერთი ვაჟი და ერთი ქალი. ხელმწიფის სასახლის მახლობლად, სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი ბერიკაცი. ნათქვამია, ვისაც სიცოცხლე უნდა, რბილი ხასიათიც უნდა ჰქონდესო.

ერთხელ, ბერიკაცმა დაკლა ქათამი და ხელმწიფეს წაუღო. იფიქრა, მის გულს მოვიგებო.

— დიდო მბრძანებელო, ამ ქათმის მეტი არაფერი მაბადია და ისიც შენთვის შემომიწირავს. ეგებ, არც კი მიირთვა, მაგრამ მე ჩემი მადლიერების დადასტურება მინდოდაო.

— ბერიკაცო, რაც მოიტანე, იმაზე დიდი მადლობა, მაგრამ რაკიღა მოგიტანია, კიდევაც გაანაწილეო, — უთხრა ხელმწიფემ.

— კარგი, მბრძანებელო, შენ არა მხოლოდ ოჯახის თავი ხარ, არამედ მთელი ქვეყნისაც, ამიტომ ქათმის თავი შენ გეკუთვნის. შენი ცოლი, ოჯახის დიასახლისი, ცოცხივით არის — ყველგან მიდის, ყველაფერს სწვდება მისი ხელი, ამიტომ მისთვის ქათმის ბოლო მიმირთმევია. შენი ქალი საცაა წავა, გაგიფრინდება, ამიტომაც მიმირთმევია მისთვის ქათმის ფრთა. შენმა ვაჟმა კი შენს შემდეგ უნდა მართოს ქვეყანა, უნდა იაროს, ამიტომ მისთვის ქათმის ფეხები მიმირთმევია. დანარჩენი ნაწილები კი მე მქონდესო.

ხელმწიფეს მოეწონა ბერიკაცის სიტყვა-პასუხი, შეაქო იგი და უხვადაც დაასაჩუქრა.

იმ სოფელში ერთი შურიანი კაცი ცხოვრობდა, თავის დღეში სიკეთე არავისთვის ექნა. გაიგო, ხელმწიფემ ქათმის მიმტანი ბერიკაცი უხვად დაასაჩუქრაო. იფიქრა: ამან თუ ერთი ქათამი მიუტანა, მე ოთხს მივუტან და ხელმწიფე ოთხჯერ მეტ საჩუქარს მომცემსო.

მართლაც, დაკლა ოთხი ქათამი, გაპუტა, გაასუფთავა, ხელსახოცში გაახვია და ხელმწიფეს მიართვა:

— დიდო ხელმწიფევ, თქვენი მაღალი ღირსებების პატივსაცემად და ჩემი ერთგულების დასამტკიცებლად ოთხი ქათამი მომირთმევია და ნუ გამირისხდებითო.

— დიდი მადლობა, მაგრამ რაკიღა მოგირთმევია, გაანაწილე კიდეცო, — უთხრა ხელმწიფემ.

— რა გასაყოფია, სულ ინებეთო, — უთხრა კაცმა.

ხელმწიფე განრისხდა:

— არ შეგიძლია, ადამიანურად მიპასუხო? რატომ მოგიტანია ეს ქათმები? ქათამი მაკლია? მე შენი სიტყვა, შენი ადამიანობა მაინტერესებს. წადი და შენი მეზობელი ბერიკაცი მოიყვანე!

კაცს შიშის ოფლმა დაასხა. ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ რა გზა ჰქონდა? გაიქცა ხელმწიფის ბრძანების შესასრულებლად.

ეს ბოროტი კაცი კარგ საქმეზე არ წამიყვანსო, — იფიქრა ბერიკაცმა, მაგრამ მაინც წაჰყვა.

— დიდო ხელმწიფევ, მოვედი, როგორც დამიბარეო.

— კარგია, რომ მოხვედი. ამ კაცმა ოთხი ქათამი მომართვა, შენ იცი, როგორ გაანაწილებო, — უთხრა ხელმწიფემ.

ამის გაგონებაზე ბერიკაცმა გაიხარა, დამშვიდდა, აიღო ქათამი:

— დიდო ხელმწიფევ, თუ ამ ოთხი ქათმიდან ერთს შენა და შენს ვაჟს მოგართმევთ, სამნი გახდებით. მეორე ქათამს შენს ცოლსა და ქალიშვილს მივართმევ, ისინიც სამნი გახდებიან. ორს მე დავიტოვებ და ჩვენც სამნი ვიქნებით. ყველანი სამ-სამნი ვიქნებით და ნაწყენიც აღარავინ დარჩებაო.

ხელმწიფეს ძალიან მოეწონა:

— აი, ესეც ოთხი ქათამი! კაცმა საჭირო სიტყვების პოვნა უნდა შეძლოს.

ხელმწიფემ ბერიკაცი შეაქო და დასაჩუქრებული გაისტუმრა შინ. მეორე კი გააგდო:

— წადი და თვალით აღარ დამენახო! ღმერთმა შენც გაგათავოს, შენი სიტყვაცა და შენი ქათმებიცო!

ვინ უფრო დიდია?

ძველ დროში, როცა ადამიანები და ცხოველები ცოტანი იყვნენ, როცა მთებსა და ველებზე ჯერ კიდევ არ იზრდებოდა ნაძვი და ფიჭვი, როცა ხეობები ისეთი ღრმა არ იყო, როგორიც ახლაა, როცა ჩვენი ჭაღარა მამა-პაპა ჯერ კიდევ არ სახლობდა ბალყარეთის მთებში, ქვეყანაზე სულ სხვა ცხოვრება იდგა.

როგორც გადმოგვცემენ, იმ დროს მთისწინეთში ერთი ხარი ცხოვრობდა, ქვეყანაზე სიდიდით ბადალი არ ჰყავდა. თვალები ურმის თვლებივით ჰქონდა, წამწამები — თითო მხარი; ვიწრო ხეობაში რომ შევიდოდა, რქებით აქეთ-იქით კლდეებს ჩხვერავდა; დადიოდა და მის ფეხთა ქვეშ დიდი ხეები ბალახივით იღუნებოდა; კუდს მოიქნევდა და ხეებს ძირფესვიანად თხრიდა; გორაკზე თუ დაწვებოდა, მისი სიმძიმით გორაკი მიწასთან სწორდებოდა. არც დედა ჰყავდა, არც მამა და არც პატრონი. არავინ იცოდა, საიდან მოვიდა. ცხოვრობდა მარტო, თავისთვის; ბევრს დადიოდა და სიარულის დროს ფეხები მიწაში ეფლობოდა; ველზე იწვა და ენით მყინვარებს ლოკავდა; მოწყურებული მდინარეს რომ დაეწაფებოდა, წვეთს აღარ დატოვებდა, რიყეს გამოაჩენდა ხოლმე. ამ ხარს ჟელმაიუზს ეძახდნენ.

„თუ არ მოკვდები, დაბერდები მაინცო“, — ნათქვამია. გავიდა ხანი და ხარი დაბერდა. ძლიერიცა და სუსტიც, მოხუციცა და ახალგაზრდაც — ყველა სიკვდილის შვილია. ხარსაც ეწვია სიკვდილი. ჰოდა, მოკვდა და გაჭიმა ფეხები. „სიკვდილი ნაჩუქარი საჭმელიაო“, — უთქვამთ. ხარის მძორს ნადირ-ფრინველი დაესია. გაგლიჯეს ტყავი, დაითრიეს ხორცი და ნაწლავები. ბევრი დღე ჭამდნენ. ერთხელაც მოფრინდა უზარმაზარი არწივი. იმხელა იყო, ფრთებით მზეს აბნელებდა. ისარივით დაეცა ხარს, მოაგლიჯა ბეჭი და წაიღო. იფრინა, იფრინა და ორი გამხმარი ხე დაინახა. ერთის კენწეროზე ჩამოჯდა და ბეჭის ძიძგნას მოჰყვა. თავსხმა იყო და არწივი თვალს ვერ ახელდა. ხე დროდადრო ირხეოდა, მაგრამ არწივს ვერ გაეგო, რა არხევდა. ახლომახლო სხვა ხე, ან რამ მცენარე არ იზრდებოდა.

თურმე არწივი სულაც ხეზე როდი მჯდარა! ამ ადგილებში ერთ მწყემსს ფარა უძოვებია. ფარაში ერთი თხა ჰყოლია. წვიმა რომ წამოსულა, ფარა და მეცხვარე თხის მუცელქვეშ შეფარებულან. მეცხვარეს დაუძინია. ფარა კი იწვა და იცოხნებოდა. თხაც იდგა და თვლემდა, დროდადრო თავს შეარხევდა და რქებიც ინძრეოდა.

ბოლოს, მწყემსმა გაიღვიძა, გამოვიდა, უნდოდა გაეგო, წვიმამ გადაიღო თუ არაო. მწყემსის დანახვაზე არწივი დაფრთხა და გაფრინდა. ბეჭი კლანჭებიდან გაუვარდა და მწყემსს თვალში ჩაუვარდა. იმას კი ეგონა, მტვერი ჩამიცვივდაო და თვალი მოისრისა. საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, ვერ გაეგო, რა მოხდა. შეიყარნენ მეზობლები, ჩავიდნენ მწყემსის თვალში და ნიჩბით ამოიღეს იქიდან ხარის ბეჭი. ძლივს გაიტანეს სოფლის გარეთ და გადააგდეს.

ასეული წლები გავიდა. ბეჭს მიწა წაეყარა და ზედ ბალახი ამოვიდა, მინდორი გაკეთდა. მინდორზე სოფელი გაშენდა. ერთხელ, მელა დაეხეტებოდა და დაინახა, მიწიდან რაღაც ამოჩრილა. მიადგა და ღრღნა დაუწყო. თურმე ხარის ბეჭი ყოფილიყო! მანამდე ღრღნა, სანამ ძირი არ გამოუთხარა. შეირყა ბეჭი, შებრუნდა და მასთან ერთად შებრუნდა მთელი სოფელი. დაფრთხნენ სოფლელები, კარში გამოცვივდნენ. მათ დანახვაზე მელა გაიქცა, მაგრამ დაეწივნენ და მოკლეს. გატყავება მოუნდომეს, მაგრამ მხოლოდ ერთ გვერდზე შეაცალეს ტყავი, მეორეზე ვეღარ გადააბრუნეს. ნახევარი მელიის ტყავით მთელმა სოფელმა ქუდები შეიკერა.

ერთხელ იმ სოფლელი ქალი ფიჩხს აგროვებდა. დაინახა ნახევრად გატყავებული მელა, დაავლო ხელი, თითისტარივით მსუბუქად გადაატრიალა, დარჩენილი ტყავიც გააძრო, მაგრამ ის ტყავი მის შვილს საქუდედ არ ეყო.

ვინ უფრო ღონიერია და ვინ უფრო დიდია?

სანიძლაოს დავდებ, თუ გამოიცნობთ.

პოეზია

* * *

თუ ლამაზი ბედაური თავს მოიწონებს,
იტყვის, ბრძოლაში პირველი ვარო,
თუ ორი ქორი თავს მოიწონებს,
„გაფრენილ გედებს ისე ვიჭერთ,
ძაღლი არ გვინდაო“,
თუ ათოლა* თავს მოიწონებს,
იტყვის: ქვეყანა მოვიარე,
მაგრამ ბოლოს მამის კერას დავუბრუნდიო.

* * *

წვიმა წამოვა — დედამიწა გადამწვანდება,
გამოჩნდებიან უკეთურები — ომს დაიწყებენ,
გამოჩნდებიან ლაჩრები და სამშობლოს მიატოვებენ.

* * *

მინდორში ნუმც გაზრდილა მარტოხე,
თუ გაიზრდება, ნუ გაიღუნება, ნუ გადატყდება.
დედას ნუ გაუჩნდება ერთი ვაჟი,
თუ გაუჩნდება, ავად ნუ გაუხდება, ნუ მოუკვდება.

* * *

სიკვდილსამც გაჰქრობია კერა!
შავ მიწასაც გამოჰკეტვია კარი!
რა ახლოს არის წასასვლელად
და რა შორია დასაბრუნებლად!
კარი აქვს, მაგრამ არა აქვს თერი,*
ვერსად იპოვი გამოსასვლელს.
ალბათ, გაშინებს ბნელი სამარე,
დედამიწაზე მარტოობაც მოგბეზრდა, ალბათ.

* * *

უამრავია ლამაზი ქალი,
მაგრამ სხვას ვერვის შევიყვარებ.
შენს დანახვაზე ჩემი თვალები
სისხლს აფრქვევენ ცრემლების ნაცვლად.

* * *

მთებს რომ ესმოდეთ ჩემი ამბავი,
დადნებოდნენ და წყლად იქცეოდნენ,
აბობოქრებულ ზღვად იქცეოდნენ
და წალეკავდნენ ქვეყნიერებას.

კაზაკური მოკლე სიმღერები

თოვლს ჩამოყრის და გატყდება შავი სიცივე.
გზას გალევენ და ბედაურს დაივიწყებენ.
ბედაური რომ დაძაბუნდება,
საჭმელს იქვე დაუყრიან, სადაც იწვება.
წევს. იღეჭება თავჩაღუნული.

* * *

ქვეყანაზე მეგობარი არ ეყოლება.
როცა კაცი დაძაბუნდება.
საბრალო, რასაც ხელს მოჰკიდებს,
ყველაფერი ქვად ექცევა.
როცა გვარი დაკნინდება,
როცა მასში უკეთესნი ამოწყდებიან,
გლოვა დადგება.
როცა ხალხი დაკნინდება,
სათავეში უნამუსონი და
ლაჩრები მოექცევიან.

* * *

ბავშვიო, — ამბობენ შენზე.
იყავი კი როდისმე ბავშვი?
განა სხვა ბავშვებს ჰგავდი რამეთი?
ხოდაბუნებზე დადებული თოვლი იყავი,
ჩრდილში მოსული ბროწეული იყავი!
ნეტავ, რას ვაქნევთ მიწების მოხვნას,
თუ არ იდინა იმ მიწაზე თეთრმა მდინარემ?*
ნეტავ, რას გვარგებს ბიჭების ყოლა,
თუ შემოქმედი აარიდებს მათ მოწყალე თვალს?

* * *

რამდენმა კაცმა მიატოვა წუთისოფელი,
რამდენი ფაფახი დარჩა უპატრონოდ
ლურსმანზე დაკიდებული?
რამდენი ლამაზი დააღონეს სანთიობოში?
სად აღარ დარჩა ვაჟკაცის თავი?
მათ აზრაილი* ტრიალ მინდვრებზე
უხედნავი ცხენებივით დააქროლებდა.
ვის არ მოუსწრაფა მან სიცოცხლე?

უძლიერესი ანგელოზია აზრაილი,
სულის საშოვრად გამოსული
ხელცარიელი არ დაბრუნდება.
როგორ წაიყვანს აზრაილი სულს,
თუ არ დართო ნება ხუდაიმ?*
ჩემმა კაზაკმა როგორ უნდა დაუთმოს სული,
თუ არ დაცალა საპირისწამლე?

* * *

ჩემო კუმუზო* ტირიფის ხისავ, დაგიჭიმავ სიმებს, აგაწყობ.
მოგიყვებით, რაც გადამხდა უთვისტომოს და უპატრონოს:
მამას სამი ვაჟკაცი ვყავდით,
ძმებიც ვიყავით, მეგობრებიც.
როცა ღმერთმა მოინდომა ჩვენი წაყვანა,
ჩემი ორი ძმა წაიყვანა, მე მარტო დავრჩი.
ჰეი, უღირსნო, ნუ დამცინით,
რაკი მარტო ვარ!
აქაოდა უთვისტომო ვარ,
განა ლაქუცს დავუწყებ ვისმე!
ღარიბი რომ ვარ, განა ფეხებში ჩაგივარდებით?
მე ხომ თქვენი მდევნელი ვარ და თქვენი რისხვა!
მგელი ვარ თქვენში გამორეული.
„შავიაო“,* — ამბობენ ჩემზე.
დიახ, შავი ვარ და მარტოხელა!
ზღვაშიც რომ მაბანაოთ, არ გავთეთრდები!
მე გერზელიდან* ამოზრდილი მრუდე ტოტი ვარ,
თუნდ მარწუხებში მომაქციოთ,
არ გავსწორდები!
თუ შემოქმედი არ დამჩაგრავს,
სხვა რას დამაკლებს!
ყველა ჩემს სამტროდ გამოსულა: ედილი,* ელი,*
მემტერებიან ნათესავები და მეგობრები.
ჩემი მტერია მზე, ყოველ დილით ამოსული,
ჩემი მტერია საღამოს მთვარე.
დე, ყველამ მიმტროს, არ მენაღვლება!
გაუმარჯოს ჩემს ორივე ხელს!

ზემირე*

ერთი: ჰეი, ზემირე, ზემირე!
გუნდი: ღალაი!*
ერთი: ზემირეს რა სურს?
გუნდი: ღალაი!
ერთი: დოქებით წყალი!
გუნდი: ღალაი!
ერთი: მწყემსს რაღა უნდა?
გუნდი: ღალაი!
ერთი: ფეხში ეკალი!
გუნდი: ღალაი!
ერთი: რა უნდა მწყემს ბიჭს?
გუნდი: ღალაი!
ერთი: თმაფაფუკი გოგო!
გუნდი: ღალაი!
ერთი: თავზე დავიხუროთ ჭრელი ტომრები!*
გუნდი: ღალაი!
ერთი: რათა მოვიდეს თეთრი წვიმები!*
გუნდი: ღალაი!
ერთი: თავზე დავიხურავთ ლურჯ ტომრებსაც.
გუნდი: ღალაი!
ერთი: ჭექა-ქუხილს თავსხმა რომ მოჰყვეს!
გუნდი: ღალაი!
ერთი: დაე, აგვევსოს ბეღლები!
გუნდი: ღალაი!
ერთი: ჩვენი ბაღების მტერი
გუნდი: ღალაი!
ერთი: ყვითელი გვალვა გადაიკარგოს!
გუნდი: ღალაი!
ერთი: მწვანედ აბიბინდეს ყანა!
გუნდი: ღალაი!
ერთი: თავისი ყანით გახარებული
გუნდი: ღალაი!
ერთი: გლეხი გალაღდეს!
გუნდი: ღალაი!

ნავრუზი*

ერთი: ეს სახლები ლამაზი სახლებია,
ოქროს ლურსმნები აჭედია.
ასსალამუ ალეიქუმ!*
დილა მშვიდობისა თქვენ!
ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
გუნდი: ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
შათმან, შათმან!*
კურთხეულ იყოს ნავრუზის დღე!
ერთი: გაზაფხული მოიხარის,
ცხოველები თამაშობენ,
აწონ-დაწონე შენი გონებით, კარგად იფიქრე,
ხელცარიელს ნურც ჩვენ დაგვტოვებ.
ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
გუნდი: ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
შათმან, შათმან!
კურთხეულ იყოს ნავრუზის დღე!
ერთი: მოვსულვართ „ნავრუზის“ სიმღერით
რამაზანის* თვეს,
თან გოგოებს ვათვალიერებთ,
მდიდრებსაცა და ღარიბებსაც.
ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
გუნდი: ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
შათმან, შათმან!
კურთხეულ იყოს ნავრუზის დღე!
ერთი: ამ სახლში გოგო დავინახე,
კუბურ ვაშლებს* უგავს ლოყები,
დედისა რომ არ ეშინოდეს,
ერთ ლამაზ ქისას გვაჩუქებდა.*
ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
გუნდი: ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
შათმან, შათმან!
კურთხეულ იყოს ნავრუზის დღე!
ერთი: იმ სახლში ფქვილი იცრება,
ამ სახლში — მარილი.
თუ კაკას არ მოგვცემთ,
მოლა გაგვლახავს.

ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
გუნდი: ღმერთმა აკურთხოს ნავრუზის დღე!
შათმან, შათმან!
კურთხეულ იყოს ნავრუზის დღე!

წუხელის, დედავ, სიზმარი ვნახე

წუხელის, დედავ, სიზმარი ვნახე,
უცნაური რამ დამესიზმრა:
ეზოში დათვი შემოსულიყო და ღრიალებდა.
კანცელარიის გზას გამიყენეს.
სამზადში იჭრებოდა თეთრი დარაია,
სასტუმრო ოთახში თაფლუჭსა სვამდნენ.
ვითომ, სახლს უკან თეთრი ტბა იყო,
იმ ტბაში — ერთი შავი იხვი, ფეხმოტეხილი.
ტბის ნაპირას ბროწეულის ხე იდგა ერთი,
ხიდან ცვიოდა ბროწეულები.
მითხარი, დედავ, რა უნდა იყოს?
— შვილო, წუხელის სიზმარი ნახე,
უცნაური რამ დაგესიზმრა:
ეზოში დათვი შემოსულიყო და ღრიალებდა?
შვილო, ეს ხომ აზრაილია!
კანცელარიის გზას გაგიყენეს?
ეს ხომ შენი დაკრძალვა არის!
თუ სამზადში იჭრებოდა თეთრი დარაია,
შვილო, ეს შენი სუდარა არის!
სასტუმრო ოთახში თაფლუჭსა სვამდნენ?
შვილო, ეს შენი ქელეხია!
თუ სახლს უკან თეთრი ტბა იყო,
განა ის შენი განსაბანი წყალი არ არის?
იმ ტბაში ერთი შავი იხვი, ფეხმოტეხილი,
ეს ხომ მოხუცი დედაა შენი!
ტბის ნაპირზე ბროწეულის ხე,
ჩამოცვენილი ბროწეულები
შენი ცოლის ცრემლები არის!
შენ მოკვდები, შვილო, მოკვდები...
შენს მოხუც დედას არ ასცდება უბედურება!

სამმა კაცმა საფიხვნოზე* ვილაპარაკეთ

ჩვენ, სამმა კაცმა საფიხვნოზე ვილაპარაკეთ,
სამივენი ძმები ვართ და ამხანაგები.
წყალიც ერთი დოქიდან შევსვით
და ერთ ყურანზე დავიფიცეთ...
მწვანე მინდორზე გავიდნენ,
თავზარი დასცეს იქაურებს,
ძლიერი ყოფილა მათი მდევარი.
ყველას სახსრები შეუთამაშდა.
საწყალს ცუდ ადგილს მოჰხვდა ისარი,
წყეული ისარი სასიკვდილოდ მოჰხვდა.
ჰაიტ, ბიჭებო, ნუ ჩურჩულებთ,
აქ არ დამტოვოთ, არ წახვიდეთ!
თუ წახვალთ და აქ მიმატოვებთ,
ნუმც დაბრუნდებით შინ მშვიდობით!
ვიდრე აქედან წახვიდოდეთ,
მოვასწრებ სათქმელს:
ჩემი მოხუცი მამა გამოვა თქვენს სანახავად.
ჩემი ამბავი აქვს საკითხავი.
მე დაგაბარებთ, რაც უნდა უთხრათ:
იაბო, მისი ნაჩუქარი, რომ ეგონა
არასოდეს დაიღლებოდა,
ერთ მშვენიერ დღეს დაიღალა. ასე უთხარით!
ვიდრე ცოტათი გასცდებოდეთ იქაურობას,
მოვასწრებ სათქმელს:
ჩემი მოხუცი დედა გამოვა თქვენს სანახავად.
ჩემი ამბავი აქვს საკითხავი.
მე დაგაბარებთ, რაც უნდა უთხრათ:
ხმალი რომ მომცა და ეგონა, არ გატყდებოდა,
ხუთად გადატყდა. ასე უთხარით!
ვიდრე ცოტათი გასცდებოდეთ იქაურობას,
მოვასწრებ სათქმელს:
ჩემი და მოვა თქვენს სანახავად,
ჩემი ამბავი აქვს საკითხავი.
მე დაგაბარებთ, რაც უნდა უთხრათ:
დღეს მის შეკერილ ჩითის პერანგს

ყველა ნახატში ისარი მოჰხვდა.
ყველა გვირისტში სისხლმა გაჟონა.
ვიდრე ცოტათი გასცდებოდეთ იქაურობას,
მოვასწრებ სათქმელს:
ჩემი ყმაწვილი ცოლი მოვა თქვენს სანახავად.
ქმრის ამბის კითხვა ენდომება.
მე დაგაბარებთ, რაც უნდა უთხრათ:
მთებზე ავიდეს, მიმოიხედოს,
მომავალს რომ ვერ დამინახავს,
სათითაოდ დაიგლიჯოს თავის ხშირი თმა.
მლაშობზე გავიდეს, მიმოიხედოს,
იმ მლაშობებზე მომავალს რომ ვერ დამინახავს,
მლაშე ცრემლებით დამიტიროს...
ჩემი მშობლები კვნესა-ტირილით ჩავლენ საფლავში,
ყმაწვილი ცოლი მესამე ღამეს ქმარს კვლავ იშოვის.
ჩემი და თავში ხელს წაიშენს, წესი ასეა,
ძმა გაიხარებს ჩემს ქონებაზე.
იცოდეთ, ბორცვზე ნუ დამმარხავენ.
როცა ღვთის ნებით ქარიშხალი ამოვარდება,
ის დაწყევლილი მიწას დატოვებს და მე წამიღებს.
ესეც იცოდეთ: დაბლობშიც არ დამასაფლავონ.
როცა ღვთის ნებით თეთრი წვიმები წამოუშენს,
ის დაწყევლილი ქვებს დატოვებს და მე წამიღებს.
ესეც იცოდეთ: საფიხვნოზე დამასაფლავონ,
თავთით დამიდგან საფლავის ლოდი,
ვინც მიცნობს, ლოცვით ჩამიაროს,
ვინც არ მიცნობს, პირი იბრუნოს და გაიაროს.

შამილის სიმღერა

დაღესტანში ღუნიბის მთები
ის ადგილია, სადაც იყო შამილის სახლი.
თმაყვითელმა მეფემ ნელ-ნელა ჩამოაცილა
ჩვენს ქვეყანას ის მიწა-წყალი,
სადაც ააგო სიმაგრეები.
იქ ციხეები ააშენა, მოულოდნელად ააშენა.

ააშენა და მისმა შავმა ხელქვეითებმა
ჩვენი ქალაქიც დაიკავეს.
— ჰაჯი-მურატ,* ყაზიყუმუხელთ მეთაურობდი,
ჰაჯი-მურატ, ლაღად ზიხარ ბედაურზე
და ძლიერი გაქვს ხასიათი.
შენ ჩემს ასეულს მეთაურობდი...
ვაგლახ, რამდენი ვილაპარაკეთ,
მაგრამ წაღმა ვერ მოვაბრუნეთ ჩვენი გემები,
ჰაჯი-მურატ, ერთი მტკაველი ტყვია იყავი,
რად გამიმწარე სიცოცხლე?
შენ ხომ ვერავის შეგადარებდი?
ჰაჯი-მურატ, ლაღად ზიხარ ბედაურზე
და ძლიერი გაქვს ხასიათი.
შენ მოუძეხი ბევრ გიაურს,*
იმათ აიკლეს ჩემი ქვეყანა.
ახლა მიჯობს სამშობლოდან გადავიხვეწო.
თუ წავედი, აღარასოდეს დავბრუნდები,
აღარ მექნება დაღესტანი.
განა შეეძლო მტერს აქ შემოსვლა,
ჩემს ნაიბებს* ოქროზე რომ არ გავეცვალე?
სულ ცოტაც ვეღარ მოვითმინეთ,
რომ მოგვეკრიბა ახალი ძალა.
ეჰ, როგორი იმედი მქონდა,
რომ მე, შამილი, ერთიანი სახელმწიფოს
შექმნას შევძლებდი.

ჰაჯი-მურატის სიმღერა

ააფრიალე აბრეშუმის ბაირაღები,
გაიყოლიე უბრალო ხალხი,
შენი რაზმებით გადმოჰყევი ვიწრო ბილიკებს.
ჰაჯი-მურატ, სიწმინდე მოგდგამს წინაპართაგან.
მტრის ჯოგი, მთელი მსოფლიოც რომ ვერ გარეკავდა,
შენ დაიფრინე, შენი წერა გახდა.
შენ აღმართე საკუთარი დროშა,
შენ წაიყვანე ოცდაათი რჩეული ვაჟკაცი.

შამხალის* ციხე-კოშკს მიადექი.
ისე დალეწე რკინის ჭიშკარი,
თითქო ფიცრისა ყოფილიყოს.
გაუხედნელი კვიცებივით გააცეცხლე მეციხოვნენი.
ციხის გუშაგნი ცხვრებივით კაფე...
ჰაჯი-მურატი ნუჰბიკეს* მიეჭრა...
ოჰ, როგორ ჩავარდნოდა გულში იმ ქალს!
არ იკადრე, რომ ქურდულად წაგეყვანა თავადის ქალი,
გინდოდა, გეთქვა შამხალისათვის
და ამიტომ მიხვედი მასთან.
შამხალ ბიიმ* ერთი მძიმედ ამოიოხრა.
— ეჰ, შამხალ ბიი, რატომ ოხრავ?
ან თავი რატომ ჩაგიქინდრავს?
მთიდან იმიტომ ჩამოვსულვარ,
რომ წავიყვანო თავადის ქალი.
თავი მომიკვდეს, თუ დაგიტოვო,
იმასაც ვნახავ, თუ არ გამატან!
ეს უთხრა შამხალს და
ტახტაზე შემოისვა ნუჰბიკე ქალი,
შორს წაიყვანა მთებში, თავისთან.
შამხალს სირცხვილი არგუნა წილად.
სირცხვილი, თან რომ გაჰყვებოდა მთელი სიცოცხლე...
ჰაჯი-მურატმა ამ წერილის დაწერა ბრძანა:
„თუმცა ღარიბმა დედამ მშობა,
თუმც მამაჩემიც ღარიბი იყო,
მე, ჰაჯი-მურატ, ლაღად ვცხოვრობდი.
შამხალო, როგორ არა გრცხვენია,
მთელს დაღესტანში თავმოჭრილი
ისევ ამ ქვეყნის შამხალად რჩები?!
აბა, სიცოცხლის რა ღირსი ხარ?!“
ჰაჯი-მურატ, ნათელი დაადგეს შენს საფლავს!
მტერს თუ სადმე შეეყრებოდი,
თავს წააცლიდი.
შენისთანებს დიდ დღეს როდი აძლევს უფალი.
ამიტომ ხშირად უდგას ხოლმე
ჩვენს ქვეყანას მძიმე დღეები.

სიკვდილით დასჯის დღე გათენდა
და ფანჯრიდან გაიხედა აბდულლათიფმა.
აბდულლათიფმა ფანჯრიდან რომ გადაიხედა,
დაინახა — მოდის ჯალათი,
იღლიაში ამოუჩრია ძუის ქამანდი,
ჯაჭვებს მიწაზე მოათრევს და
მწკრივად მოსდევენ სალდათები.
მოდის ჯალათი, ხელში უჭირავს ძუის ქამანდი,
უკან მოჰყვება უზომო ხალხი.
მტვერი დგას გზაზე.
— ეჰ, აბიი,* ახლა რაღა უნდა ვქნათ?
თავს რით ვუშველოთ?
— ეჰ, ჩემო ძმაო, მთავარია, შიშით არ წავხდეთ.
თუ ვართ, ვიყოთ, როგორც ფოლადი,
თუ არადა, მიწაში ჩავლპეთ!
ჩვენ უთავბოლოდ ვიქცეოდით.
ახლა რას უზამ ნიკოლოზის ჯარს?
ძმაო, გმირულად შევხვდეთ განსაცდელს,
რომელიც ღმერთმა მოგვივლინა,
შუადღისას, როცა ნამაზი შეასრულეს,
ვაჟკაცები სასიკვდილოდ გაემზადნენ.
როცა გამოიყვანეს და წინ გაირეკეს,
როცა ძუის ქამანდებს მიუახლოვდნენ,
აბდულლათიფმა უფროს ძმას თვალი გაუსწორა.
— ძმაო, რას შემომჩერებიხარ?
გული რკინაზე მაგარი მაქვს.
როგორც მავალებს ჩვენი წესი,
გულს არ გავიტეხ!
ვიდრე არ ჩავალ შავ მიწაში
და ვიდრე მკერდით ყვითელ თიხას არ შევეხები,
ვიდრე ჯერ კიდევ სული მიდგას,
შორს იქნება ჩემგან სიმხდალე.
დღეს აქ შეყრილი უბრალო ხალხი
ნუ დაბრუნდება შინ ნაღვლიანი,
დღეს აქ შეყრილმა ოფიცრობამ რუსთ ხელმწიფისა

ვერ უნდა თქვას, რომ სიკვდილით დაგვაშინებენ!
თუ შენზე ადრე მე ავედი სახრჩობელაზე,
შენს სულს გაძლება გაუჭირდება,
სიცოცხლეშივე ნახავ აზრაილს,
გადმოკარკლავს ვაშლივით თვალებს,
ცისკრის ვარსკვლავივით წითლად მოელვარეს.
ვაითუ, გაგიჭირდეს ამის ატანა,
აგიკანკალდეს ტუჩები, ცხვირის ნესტოები,
უზნეო ლაჩარს დაემსგავსო.
ამიტომ ჩემზე ადრე ადი სახრჩობელაზე.
აბდულლათიფი მართლაც პირველი ავიდა სახრჩობელაზე,
უფროსმა ძმამ კი ერთი სამჯერ წაიფორხილა.
— ჰაიტ, ყმაწვილებო, ჩემს თავს რა აღარ დატრიალდა!
ჰაიტ, ყმაწვილებო, ერთხელ კი არა,
მეორედ ვკვდები. აი, ესეც ჩემი სიკვდილი.
ჩემი მშობელი დედის შვილმა, ჩემმა უმცროსმა ძმამ
ჩემს თვალწინ თავი ჩამოიხრჩო ძუის ქამანდზე.
თუმცა არ მედგა სხეულში სენი,
სასიკვდილო სნეულება ახლა ვიგრძენი!
უფროსი ძმაც თავის ფეხით ავიდა სახრჩობელაზე.
ფოლადის ზამბარასავით გაიჭიმა.
ვიწრო სამარე გაუთხარეს.
კვლავ ამწვანდება ბალახი გაზაფხულზე...
როცა ვაჟკაცებს ასეთი ბედი წამოეწევათ,
მათ რჩეულებს რაღა დარჩენიათ? — სახლები გავონ.

წკარუნით რომ ღეჭავ შენს ლაგამს

წკარუნით რომ ღეჭავ შენს ლაგამს,
მათრახის დარტყმით თხასავით რომ შეითამაშებ,
სისვი ბედაურის ღვინისფერთვალება პირმშოვ,
ვიცი, რომ მიაბიჯებ ფეხარეული.
ამის მიზეზი შენი სიგამხდრეა.
თუ საფიხვნოზე შენი ბათირები* მოიწყენენ,
ამის მიზეზი სიღარიბეა.
მითქვამს: სიგამხდრეს ცხენი არ მოუკლავს,

უნაგირმა ზურგი თუ არ გადაუტყავა, არ დაუწყლულა,
მითქვამს: მარტოობას კაცი არ მოუკლავს,
თუ ახლომახლო მტერი არ იქნა.
სიღარიბევ, დაგექცეს სახლ-კარი!
მარტოობავ, ჩაგიქრეს კერა!
სიღარიბე და მარტოობა —
ორივე ერთად წამოგვეწია და გავიტანჯეთ.
მერე რა, რომ მარტოხელა ვარ?
მხდალები ვერ შემაშინებენ!
— რას გახდები, მარტოკაცო, ყველას თუ არ მოეფერე?
თუ საძოვრებს გადაგიწვავენ?
თუ შარბათში სისხლს ჩაგისხამენ?
თუ შენი სისვი ბედაური დაიქანცება?
თუ ხელში ჩაგატყდება სპილენძის მათრახი?
თუ ნაგაზებს დაგადევნებენ?
— თუ საძოვრებს გადამიწვავენ,
აბრეშუმივით ნორჩ ბალახს შევჭამ,
თუ შარბათში სისხლს ჩამისხამენ,
ფსკერზე დარჩენილ შარბათს დავლევ,
თუ ჩემი სისვი ბედაური დაიქანცება,
შევარდენს დავიჭერ და იმას შევკაზმავ,
თუ ხელში ჩამიტყდება სპილენძის მათრახი,
გორაკებიდან ყვითელ გველებს ავიტაცებ,
თუ ნაგაზებს დამადევნებენ,
მე მათთვის ტყავი კი არადა, მგელი ვიქნები.
ცალ მუხლზე წამოვიჩოქებ და
ნემსის ყუნწში გავაძვრენ ტყვიას!
მე ფიჭვის ხის მრუდე ტოტი ვარ,
თუნდ მარწუხებში მომაქციონ, არ გავსწორდები!
მე დედაჩემმა შავი მშობა,
საპნით რომ მბანონ, არ გავთეთრდები!
თუმცა ღარიბი კაზაკი ვარ, ჩემო ბატონო,
მე მხოლოდ შენს ქალს მოვიტაცებ!

სიმღერა აბდულაზე

— ადექი, ჩქარა წამოდექი, ჩემო აბდულა,
აულის თავში მტერი გამოჩნდა.
მოხუცებს შინ დაბრუნებას არ ანებებენ,
ტყვედ მიჰყავთ ჩვენი ქალები და ქალიშვილები!
— ვერ წამოვდგები, დედაჩემო, ვერ წამოვდგები,
თავი ამტკივდა, დედა, ვკვდები,
დღეს თუ მოვკვდი, შენ იქნები ამის მიზეზი!
— თუ თავი გტკივა, წამოწექი და დაიძინე!
გგონია, აკვანში ჩაგათბუნებ?
თუ, პატარა ხარ? გეშინია, არ გადამთვარდე?
კალთაში მეწვინე, გინანავებდი,
ექვს თვეს ჩემი ხელისგულით გაჭმევდი საჭმელს.
ჩემს თავზე ციკანივით გათამაშებდი,
მოკლე ღამეებში ორმოცჯერ ვდგებოდი,
ჩემი ორმოცი ძარღვიდან შენთვის ნაწოვები თეთრი რძე, შვილო,
ჭრილობებიდან ალისფერ სისხლად გადმოგეღვაროს!
ამაღამდელი ჩემი დალოცვა
ყელს ავგაროზად დაგეკიდოს!
— რად არ მასვენებ, დედაჩემო, რად არ მასვენებ?
ჩემი სიკვდილიც ვერ დაგამშვიდებს!
წუხელის, დედა, სიზმარი ვნახე:
თაფლუჭს სვამდნენ ზედა ოთახში,
ქვედა ოთახში სახალათედ ქსოვილსა ჭრიდნენ.
ჭიშკართან იდგა ხის ცხენები,
ზედ ფარჩა ჰქონდა გადაფარებული.
— ზედა ოთახში შარბათს რომ სვამდენ,
სასმელია შენი ქელეხის.
ქვედა ოთახში ქსოვილს რომ ჭრიდნენ,
ეს, ალბათ, შენი სუდარაა,
ჭიშკართან რომ ხის ცხენებია,
ალბათ, შენი ცხედარია სინაჟაზე* დასვენებული!
თუ ზედ ფარჩა აქვს დაფარებული,
დატყვევებაა, ალბათ, შენი.
აბდულას ბრაზი მოერია და რისხვად იქცა.
ლურსმნიდან ჩამოგლიჯა თავისი ფარ-ხმალი.

პაჭიჭისამარამ ცხენი შეკაზმა,
უნაგირს მიეტანა, მაგრამ ვერ შეწვდა.
მივიდა დედა, ზურგში უბიძგა.
აბდულა ცხენს მოევლო და მათრახი დაჰკრა,
სოფლის თავისკენ გააჭენა,
მტერს დაეწია, გააფთრებით ეკვეთა და
რისხვად დაატყდა, არნახული საქმე დაჰმართა.
სისხლის ტბორი უზანგებს მისწვდა,
ხევები აივსო მტრის თავებით!
სუსტ ადგილზე მოჰხვდა ისარი
და სასიკვდილოდ დაიჭრა იგი.
თავი მიაბრუნა, მარჯვნივ გაიხედა —
უფროსი ძმა აღარა ჰყავს, ვერავინ ჰკითხავს,
„როგორა ხარო?“
თავი მიაბრუნა, მარცხნივ გაიხედა —
უმცროსი ძმა აღარა ჰყავს,
ფეხზე ვერავინ წამოაყენებს.
შეეხმიანა ერთგულ მეგობარს,
ისიც მაშინვე მასთან გაჩნდა.
— აიღე, ძმაო, ჩემი სხეული — ყვითელი ოქრო,
ამიყვანე და მომეხვიე,
გადამიჭერი ხერხემალი, ცხენს გადამკიდე,
დედას მიართვი ჩემი ცხედარი!
— ჩემი აბდულას სხეულს — ყვითელ ოქროს
ავიყვან და გულში ჩავიკრავ,
არ გადავუჭრი ხერხემალს, ცხენზე არ გადავკიდებ,
მის ცხედარს დედას არ მივართმევ.
შეჯექი ცხენზე, როგორც ვაჟკაცს შეეფერება,
სისხლით აუვსე მტერს თვალები!
შეჯდა ცხენზე, როგორც ვაჟკაცს შეეფერება,
სისხლით აუვსო მტერს თვალები!
მიადგა თავისი სახლის ჭიშკარს.
— დედა, გამიღე, ნუმც ღირსებია გაღება ამ კარს!
შენს შვილს ისარმა უწია და ველარ ინძრევა.
წყეულიმც იყოს! სასიკვდილოდა ვარ დაჭრილი!
— შვილო, ისარი კიარა და, ბირთვი უნდა მოგხვედროდა.
მიაბრუნე ეგ შენი ცხენი,

სამჯერ მათრახი გადაუჭირე
და ვიდრე შენი ძმაკაცები მოგროვდებიან,
ცხენი ქუჩაში გააჭენე, გამოაჭენე!
აბდულამ ცხენი მიაბრუნა,
სამჯერ მათრახი გადაუჭირა
და ვიდრე მისი ძმაკაცები მოგროვდებოდნენ,
ცხენი ქუჩაში გააჭენა, გამოაჭენა.
ამასობაში აზრაილი მივიდა მასთან და წაიყვანა.
— განა ისეთი მძიმე იყო ჭრილობა, რომ მომკვდარიყავი?
ჩემებრ იკვნესოს იმ მხდალის დედამ,
ვინც ჩემი შვილი დაამარცხა!
— დედავ, ხევებში, ალბათ, უკვე
დაფრინავენ გარეული ბატები, დედავ!
შენი შვილი რომ დაამარცხა, იმ მხდალის დედამ
შენზე ადრე დაიწყო გლოვა.
შენ თუ ერთ დღეს იტირებ და ერთ დღეს მოკვდები,
მათთვის ყოველდღე ცრემლებია, მოთქმა, ტირილი.

ყაფირ-ყუმუხელი* ბუდაიჩის ქალი ვიყავი

ყაფირ-ყუმუხელი ბუდაიჩის ქალი ვიყავი,
შიდა ოთახში* შენახული განძი ვიყავი,
ქორწილში რომ გამოვჩნდებოდი, ყველას თვალი ჩემზე რჩებოდა.
სატირალში გამოვჩნდებოდი, დამფრთხალ ჩიტს ვგავდი.
ყვავილნარი და აყვავებული ხე ვიყავი,
ბაღებში ლაღად გადაშლილი ვარდი ვიყავი,
ხოდაბუნებზე დადებული თოვლი ვიყავი,
ბროწეული ვიყავი, თავისსავე ჩრდილში მოსული.
ყური დამიგდეთ, გიამბობთ ჩემს უბედურებას:
ვინც შემიბრალებს, იტიროს ჩემზე.
ყელზე შებმული მარჯნის მძივები
ყაფირ-ყუმუხის სასახლეში
გამიწყვიტეს და დამიბნიეს,
ულამაზესი ჩემი სხეული
სასტიკი შამხალ-ბიისათვის გადაიხსნა.
შერცხვენილია ჩემი ქალობა.

ერთბაშად გაქრა ყველა ოცნება,
შავ მდინარეში ჩაიძირა ყველა იმედი,
ცეცხლის ზღვაში ჩაიკარგა ჩემი ოცნება,
ქალიშვილობის სახელზე შავი ხუფი დამაფარეს.
შამხალს ბორკილდადებული ვყავდი.
ვიწრო საფლავში ჩაუმარხავთ ქალწულის სული.
სისხლის ცრემლები მდის თვალებიდან.
მცველებად ნუკერები მომიჩინეს,
მოხუცებული მამაჩემი ცხენის საბელზე გამოაბეს,
სულ წამებაში რატომ გადის ჩვენი ცხოვრება,
ისე ვართ სავსე უბედურებით, როგორც სასმელით.
დარდი ზედიზედ დაედო ჩემს გულს.
მძიმე დღეები დამატყდა თავზე.
ყმაწვილქალობის ნათელი დღე
დამიბნელდა და გამიშავდა,
ამ სირცხვილმა გამიწამა სათუთი სული.
დიდხანს ვფიქრობდი, სისხლის ცრემლებით
მევსებოდა შავი თვალები.
გამისკდა ღვიძლი, ნაფლეთებადღა მექცა გული.
ჩემო საბრალო, მოხუცო მამავ,
ღარიბი მოჯამაგირე კი იყავი,
მაგრამ პატიოსნებით განა ბევრი შეგედრებოდა?
მტანჯველებმა თავი მოგჭრეს და
სიცოცხლე შხამად გიქციეს.
აივსო გული, უჭირს ხერხემალს!
შამხალ-ბიიებს ხალხისთვის სირცხვილი მოაქვთ:
ყმაწვილ ქალებს ვაჭრებს ურცხვად მიჰყიდიან,
თივის ზვინივით გადაბუგეს საწყალი ხალხი.
საცოდავებს წივაც არა აქვთ,
ცეცხლიც ვერაფრით დაუნთიათ,
გული აუყრიათ ამ ცხოვრებაზე.
ყმაწვილ ქალებს ცხარე ცრემლებს აღვრევინებენ,
სახეზე შავ მურს ასმევინებენ —
შამხალს თავიანთ სილამაზეს
უმალავენ, პირს არ იბანენ,
ეშინიათ, შამხალ-ბიის არ მოეწონოს ისინი და
ყაფირ-ყუმუხის მაღალი კლდიდან

თავის ანკესი არ ესროლოს.
ნეტავ ცხოველი ვყოფილიყავი,
რომ თავისუფლად მეცხოვრა ტყეში!
შამალის ხელი ამცდებოდა,
ლაღად უნდა მერბინა ტყეში!
ჩიტივით უნდა მეფრინა ცაში!
ნეტავ შემეძლოს უკვალოდ გამაქრო ამქვეყნიდან!
დარდის ბადეში გაება სული, არსაიდან არის ჩემი ხსნა.
აღარ მინახავს მშობელი დედა — არ არის იგი!
უმოწყალოდ მცემს თავადის ცოლი,
პირზე მარფურთხებს,
მთელ დღეს ბაღის კუთხეში ვზივარ,
ღამეს ვატარებ შამხალის მკლავებში.
ჩემი ცხოვრება ჩაილევა ამ ხაფანგში —
შამხალის სახლში, სადაც დიდი ცოდვა ტრიალებს.
ჩვენი სისხლი ცეცხლივით იწვის,
სული წაგვართვეს შამხალ-ბიიებმა,
ზურგზე ტყავი რომ გადამაძრეს,
წვივები გამისისხლიანდა.
ტანჯვად მიქციეს ეს ცხოვრება,
გაუთავებელ ომში გადის ჩემი სიცოცხლე.
ურმის ხელნებივით გრძელი ნაწნავები
მარწუხებით ჩამომაგლიჯეს,
კოკორი მკერდი უთოთი დამიწვა თავადის ქალმა.
რა დრო დაგვიდგა, ცოცხლად წვავენ ადამიანებს,
დები ნამუსახდილები იხოცებიან.
შევარდნებო, მთებისკენ გაფრინდით ჩქარა,
სათავეში ჩაიყენეთ ბელადი, შურის მაძიებელი!
მოემზადეთ და მაგრად გეჭიროთ ხელში თოფები!
გამაგრდით, ჩემო ნათესავებო,
დადგა დრო, უნდა დავიხოცოთ ნამუსისათვის!

სიმღერა რვა მამალზე

გუთანს შევუბი რვა მამალი
და რვა დღეს ვხნავდი.
ბევრი ვიშრომე და მერე
ერთი სათითე ფეტვი დავთესე.
ყარაული დავუყენე
და შინ დავბრუნდი.
ყარაულმა კაცის პირით შემომითვალა:
ფეტვის სამკელად მობრძანდიო.
ხელში ავიღე ნამგალი,
მხრებზე მოვისხი ქურქი,
პირში გავირჭე ჩიბუხი
და ფეტვის სამკელად წავედი.
ყანაში ტახი შემოსულიყო.
„რომ დამინახოს, გამომეკიდოს,
ცუდად იქნება საქმე-მეთქი".
გავიხედ-გამოვიხედე,
ვერა ვნახე რა, რომ დამერტყა.
ბოლოს, ჩიბუხი რომ მეჭირა,
ის მოვუქნიე და ვესროლე.
ტახი გარბის, ფეტვი კი იწვის...
მთელი ყანა გადაიბუგა,
ტახიც გაიქცა,
მომკილი ფეტვი რომ გავლეწე,
ერთი სათითე ძლივს გამოვიდა,
ისიც მწონავს მივეცი და
შინ წამოვედი...

სიმღერა კურდღელზე

არ გამოვკიდებივარ,
ისე დავიჭირე ერთი კურდღელი,
არ დამიჭერია,
ისე დავკალი ერთი კურდღელი.
იმ კურდღელს ათი გირვანქა

ხორცი დასცვივდა,
იმ კურდღელს ორმოცი გირვანქა
ქონი დასცვივდა.
იმ ქონით ცალი ქალამანი
ძლივს გავიპოხე.
მეორე ცალი მომემდურა.
ჩავიცვი მომდურავი ქალამანი.
გზას გავუდექი.
სამი ზღვის ნაპირს მივადექი,
ორი ზღვა სულ დამშრალიყო,
მესამე კი უწყლო იყო.
უწყლოში ბადე გავშალე.
სამი ლიფსიტა ამოჰყვა.
ორი სულმთლად გამომხმარი,
მესამე კი — უსულადო.
უსულადო წამოვიღე,
გზას დავადექ, წამოვედი.
სამი აული შემომხვდა:
ორი სულმთლად დანგრეული,
მესამე — უკაცრიელი.
უკაცრიელში შევედი,
სამი ქვაბი ძლივს ვიპოვე,
ორი ქვაბი დამტვრეული,
მესამე — ძირგავარდნილი.
ძირგავარდნილი ცეცხლზე შემოვდგი,
ჩამქრალ ბუხარში შემოვდგი.
შიგ მკვდარი თევზი მოვხარშე.
ბუხრიდან წყალი გადმოსკდა,
ქვაბი კი თავისთვის დუღდა.
ისე გავძეხი, არ მიჭამია.
იქიდან რომ წამოვედი,
ღრმა ჭაობში ჩავიფალი.
ეკალ-ბარდებიმც ამოვა
ბერბიჭა კაცის საწოლზე.

ხადარ-დუდარხანისა და ინჟილჩარხის ზღაპარი

ერთ კაცს შვიდი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა. ქალს ინჟილჩარხი ერქვა. ერთხელ ქალი ფანჯარასთან იჯდა. დაინახა, ხეზე ძალიან ლამაზი ჩიტი შემოსკუპდა.

— ხალხნო, ქვეყანაზე რამე იქნება ამ ჩიტზე ლამაზიო? — შესძახა ქალმა.

— ხადარ-დუდარხანის სილამაზესთან ჩემი რა სახსენებელიაო, — ადამიანის ენით უპასუხა ჩიტმა.

ამის გაგონება იყო და, ქალს ხადარ-დუდარხანის სიყვარული ჩაუვარდა გულში, დღითიდღე დნებოდა. გადიოდა დღეები, თვეები, ვერავის გაეგო, რა სენი სჭირდა ინჟილჩარხს. ბოლოს მამამ ერთი დედაბერი მოაყვანინა. დედაბერმა ქალი გასინჯა და თქვა:

— თუ ამის ავადმყოფობის მიზეზის გაგება გინდათ, მოუხარშეთ მსუქანი და მჭლე ხორცი, მიართვით და მიაყურადეთ, რას იტყვისო.

ასეც მოიქცნენ. ხორცი რომ მიუტანეს, ქალმა დახედა მსუქან ნაჭერს და თქვა:

— ერთ დროს მეც ამ ხორცივით მსუქანი ვიყავიო; მერე აიღო მჭლე ხორცი და თქვა:

— რაც ხადარ-დუდარხანი შემიყვარდა, ამაზე გამხდარი ვარო.

ამის გაგონებაზე მამამ შვიდივე ვაჟს უხმო:

— ვინ არის ხადარ-დუდარხანი? აუცილებლად მოძებნეთო! — უბრძანა.

წავიდნენ ძმები ხადარ-დუდარხანის საძებრად. ექვსი ძმა უამბოდ დაბრუნდა, უმცროსმა კი გაიგო: ხადარ-დუდარხანი ერთ-ერთი სახანოს პატრონია, დიდ, ლამაზ სასახლეში ცხოვრობს და თავადაც ძალიან ლამაზიაო.

მოძებნა უმცროსმა ძმამ ხადარ-დუდარხანის სახანო, მის სასახლეშიც შევიდა, შეხედა ხადარ-დუდარხანს, მისი სილამაზის შემხედვარემ გონი დაკარგა. როცა მოასულიერეს, ხადარ-დუდარხანმა ჰკითხა:

— ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო?

იმანაც ყველაფერი უამბო. მაშინ ხადარ-დუდარხანმა უთხრა:

— კარგი, ჩემს ტანსაცმელს გამოგიგზავნით, გარეცხეთ, ჭუჭყიანი წყალი სადმე გადაღვარეთ, სუფთა კი თქვენი სახლის გარშემო მოასხით.

სადაც ჭუჭყიან წყალს დაღვრით, იქ შავი ეკალი ამოვა, სადაც სუფთას — ფიჭვები გაიზრდება და იმით მოგაგნებთო.

ძმა გახარებული დაბრუნდა შინ. ტანსაცმელი ერთ დედაბერს მისცეს გასარეცხად. იმ დედაბერს ერთი ქეციანი გოგო ჰყოლოდა. იფიქრა, ჩემს ქალს მივათხოვებ ხადარ-დუდარხანსაო. ამიტომ სუფთა წყალი თავისი სახლის გარშემო მოასხა, ჭუჭყიანი კი ინჟილჩარხის სახლთან დაღვარა. მეორე დღეს მართლა მოვიდა ხადარ-დუდარხანი. ფიჭვებში ძლივს მიაგნო დედაბრის ქოხს და წაიყვანა მისი ქეციანი გოგო. ინჟილჩარხი კი დარჩა შინ, ფანჯარასთან.

— ღმერთო, ლამაზ ჩიტად მაქციეო, — შესთხოვა და მართლაც, იქცა ჩიტად, გაფრინდა და ხადარ-დუდარხანს მხარზე დააჯდა.

— რა ლამაზი ჩიტია, — თქვა ხადარ-დუდარხანმა და მოეფერა.

ქეციანმა გოგომ ეჭვი აიღო და ხანს ჩააცივდა:

— ამ ჩიტს თვალები დასთხარე და გადააგდე, თორემ უკან დავბრუნდებიო.

— რას ერჩი ამ მშვენიერ ჩიტსო? — უთხრა ხადარ-დუდარხანმა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა, დაჰყოლოდა გოგოს ნებას. ქეციანმა გოგომ ჩიტის თვალები ჯიბეში ჩაიწყო. გზა გააგრძელეს. გზაზე დაგდებული თვალებდათხრილი ინჟილჩარხი კი კვლავ ეხვეწებოდა ღმერთს:

— ღმერთო, ოქროსტარიან მათრახად მაქციე და ხადარ-დუდარხანის გზაზე დამდეო.

მართლაც, იქცა მათრახად და ხადარ-დუდარხანის გზაზე დაიდო.

— რა ლამაზი მათრახიაო, — თქვა მან, აიღო, შინ წაიღო და ლურსმანზე დაკიდა. ქეციანი გოგო ისევ ჩააცივდა:

— ძალიან მცივა, თუ მაგ მათრახს არ დაწვავ, ვერ გავთბებიო!

ხანს ბარემ კი ენანებოდა მათრახი, მაგრამ რა ექნა? დაწვა და ნაცარი ეზოში გადაყარა. იმ ადგილას ოქროს ცხენსაბელი ამოვიდა.

ქეციანმა გოგომ ისევ მოიავადმყოფა თავი:

— თუ ამ ცხენსაბელს არ დაწვავ, ვერ გავთბებიო.

ისიც დაწვეს. ნაცარი ერთი სახლის უკან გადაყარეს. იმ სახლში ერთი ღარიბი ქალი ცხოვრობდა, ორი ვაჟი ჰყავდა. ვაჟები მთელ დღეს მუშაობდნენ, საღამოობით შინ ბრუნდებოდნენ და სიხარულით ავსებდნენ დედის გულს. ერთ დღეს გაიღვიძეს ვაჟებმა და დაინახეს, სახლის უკან ძახველი ამოსულიყო. დედას სთხოვეს, ამით ღვეზელი გამოგვიცხეო, თვითონ სამუშაოდ წავიდნენ.

დედამ გამოაცხო ღვეზელი, დადო მაგიდაზე და შვილების დაბრუნებამდე დასაძინებლად წამოწვა.

დაბრუნდნენ საღამოს ვაჟები. ხედავენ, ღვეზელი არ არი. ეძებეს, ვერ იპოვეს. იფიქრეს, ვიღაც შემოსულა და შეუჭამიაო. ცარიელი პურით ივახშმეს, დაწვნენ, დაიძინეს.

დილით ოთახები დაგვილ-დასუფთავებული დახვდათ. გაუკვირდათ, მაგრამ ახლაც ვერაფერს მიხვდნენ და სამუშაოდ წავიდნენ.

მეორე დღესაც სახლი დაგვილ-დასუფთავებული დახვდათ. მესამე დღეს დაუდარაჯდნენ და ნახეს, სკივრიდან ძალიან ლამაზი უსინათლო ქალი ამოვიდა, იქაურობა დაალაგა, დაგავა. გაოცებულმა ძმებმა ჰკითხეს:

— ვინა ხარ, შეითანი* თუ ჯინიო?*

— ალაჰმა დამიფაროს შეითნობისა და ჯინობისაგან! ადამიანი ვარ. ვისაც ქალიშვილი არა ჰყავს, მისთვის ქალიშვილი ვარ, ვისაც ვაჟიშვილი არა ჰყავს, მისთვის ვაჟიშვილი ვარო.

— ვალაჰი,* მე ორი ვაჟიშვილი მყავს, ჩემი ქალიშვილი იყავიო! — სთხოვა ღარიბმა ქალმა. მისმა შვილებმაც ქალი დასავით მიიღეს, ძალიან უფრთხილდებოდნენ და სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. ინჟილჩარხი თმებს რომ ივარცხნიდა, ოქროები სცვიოდა. მოაგროვა ის ოქროები, მისცა ძმებს და უთხრა:

— ხომ ხედავთ, თვალები არა მაქვს. აიღეთ ეს ოქროები და თვალები მიყიდეთ, ოღონდ, ცხვრისასა და ძროხისას ნუ მიყიდით, ჩიტის თვალები მიყიდეთო.

— კარგიო, — უთხრეს ძმებმა და წავიდნენ. ცხვრისა და ძროხის თვალები არ იყიდეს, მაგრამ ჩიტის თვალებიც ვერ იშოვეს. ძებნა-ძებნაში ხადარ-დუდარხანის სასახლეს მიადგნენ. ქეციანი გოგო ოქროს დაეხარბა და ხადარ-დუდარხანს მხარზე რომ დააჯდა, იმ ჩიტის თვალები მიჰყიდა ძმებს. მოიტანეს ძმებმა ჩიტის თვალები და მისცეს ინჟილჩარხს. მანაც ჩაისხა ისინი და მშვენიერ თვალხილულ ქალად იქცა.

ამის შემდეგ ინჟილჩარხის თმის ვარცხნისას მოგროვილი ოქროს ნაწილი ხალხს დაურიგეს, ნაწილით კი დიდი სასახლე ააშენეს. სასახლის კარი ყოველ გაღებაზე „ინჟილჩარხი, ხადარ-დუდარხანის სიყვარულით შეპყრობილიო", — ამბობდა.

ინჯილჩარხს ერთი ცხენი ჰყავდა, ძალიან კარგად უვლიდა. თურმე ხადარ-დუდარხანი კარგ ცხენს ეძებდა, მაგრამ ვერ შოულობდა. ბოლოს გაუგია, ამა და ამ ქალს კარგი ცხენი ჰყავსო. მივიდა ინჟილჩარხის სასახლეში. კარი რომ გააღო და შემოვიდა, მოესმა: „ინჟილჩარხი, ხადარ-დუდარხანზე სევდით შეპყრობილიო". გაუკვირდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო და ცხენის სანახავად წავიდა. ცხენი იწვა. ხანმა მათრახი გადაჰკრა. ცხენი ადგილიდან არ დაიძრა. კიდევ გადაჰკრა, არც ახლა განძრეულა. ბოლოს ერთ-ერთმა ძმამ უთხრა:

— მაგ ცხენს ცემით ვერ წამოაყენებ, ამქვეყნად ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ეგ ემორჩილებაო.

— ვინ არისო?

— ჩვენი და ინჟილჩარხიო, — უპასუხეს ძმებმა და ქალი აჩვენეს.

როცა ინჟილჩარხი სასახლიდან გამოდიოდა, ისევ გაისმა კარის ხმა: „ინჟილჩარხი, ხადარ-დუდარხანის სიყვარულით შეპყრობილიო“. ქალმა ცხენს ხელი შეახო და უთხრა, ადექიო. ცხენი წამოხტა. ხადარ-დუდარხანს ცხენი კიდევაც დაავიწყდა, ქალს თვალი ველარ მოაშორა.

— ეს ქალი ვინ არის და სასახლის კარი რას ამბობსო, — იკითხა.

ყველაფერი წვრილად უამბეს. ხადარ-დუდარხანი განრისხდა: ეს რა ტანჯვა გადახდენია ინჟილჩარხსო.

შინ რომ დაბრუნდა, ცოლს ჰკითხა:

— გაუხედნავი რაში გირჩევნია, თუ გახედნილი ჯაგლაგიო?

— ჯაგლაგი რად მინდა, გაუხედნავი რაში მირჩევნიაო.

— ნურც განშორებიხარ შენს არჩეულ ცხენსო, — თქვა ხადარ-დუდარხანმა, ქეციანი ქალი გაუხედნავ რაშს ფეხზე გამოაბეს და მინდორში გააგდეს.

ამის შემდეგ ხადარ-დუდარხანმა დიდი ქორწილი გადაიხადა და ინჟილჩარხთან ერთად ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

ქილიჩთეში*

იყო ერთი მონადირე. სანადიროდ რომ მიდიოდა, ცოლს უბარებდა:

— არამც და არამც ცეცხლში ღვიძლი არ ჩააგდოო!

ერთხელ ცოლმა იფიქრა:

— ვითომ, რა მოხდება, თუ ჩავაგდებო? და გავარვარებულ ნაკვერჩხლებზე ღვიძლი დააგდო. ცეცხლმა დაიშიშინა და ნელ-ნელა ჩაქრა.

— აი, თურმე რატომ მეუბნებოდა ჩემი ქმარი, ცეცხლში ღვიძლს ნუ ჩააგდებო. ახლა სად ვიშოვო ცეცხლი? ხალხნო, ეს რა ჩავიდინეო! — თქვა ქალმა, აიღო აქანდაზი და ცეცხლის საშოვნელად წავიდა.

იარა, იარა, შორს სინათლე შენიშნა. მიუახლოვდა და რა დაინახა! ცალთვალა ქილიჩთეში მისჯდომია ცეცხლს და საქონლის ბარკალს წვავს. ქალმა გაქცევა დააპირა, მაგრამ ქილიჩთეშმა არ გაუშვა, ცეცხლთან დასვა.

საღამოს ქმარი ნადირობიდან რომ დაბრუნდა, ნახა, სახლს კლიტე ადევს.

— ნეტავ, სად წავიდა ჩემი ცოლიო, — თქვა და თოვლზე დარჩენილ

ნაკვალევს გაჰყვა. იარა, იარა და ქილიჩთეშის სადგომს მიადგა. ხედავს, მისი ცოლი გამოქვაბულში ზის, იქვე ქილიჩთეშს სძინავს. მონადირემ ცოლს ანიშნა, გარეთ გამოიყვანა და გაიქცნენ.

შინ რომ მივიდნენ, ქმარმა უთხრა:

— რატომ არ შეასრულე ჩემი ნათქვამი? ცეცხლში რომ ღვიძლი არ ჩაგეგდო, ეს დღე ხომ არ დაგვადგებოდა. ახლა ქილიჩთეში ჩვენს კვალს გამოჰყვებაო.

— ძაღლი ავუშვათ და ფანჯრებს გისოსები გავუკეთოთო, — უთხრა ცოლმა.

— ქილიჩთეშს შენი ძაღლი და გისოსები რას დააკლებსო? — გაეცინა ქმარს.

რომ დაღამდა, ქმარმა კუნძში ხმალი ჩაარჭო, ნაბადი გადააფარა, თვითონ კი თოფი აიღო, ხეზე ავიდა და ლოდნი დაიწყო.

არ გასულა დიდი ხანი და, ეზოში ქილიჩთეში შემოვიდა. მიიხედ-მოიხედა, რაღაც შავი შეამჩნია. მიუახლოვდა, ხედავს, ნაბადია! იფიქრა, ნაბდის ქვეშ კაცი იქნებაო და მოკვლა დაუპირა, ზედ დააწვა. დააწვა და ხმალს კი წამოეგო! საშინელი ყვირილი მორთო და წამოხტა. ამ დროს მონადირემ ხიდან თოფი დაახალა. ჭრილობებისაგან ძალაგამოლეულმა ქილიჩთეშმა გაქცევით ძლივს უშველა თავს.

დილით ნახეს, მთელი ეზო სისხლით იყო მოსვრილი!

— ნეტავ, რა მოუვიდაო, — იფიქრა მონადირემ და სისხლიან კვალს გაჰყვა. კვალმა ერთ გამოქვაბულთან მიიყვანა. გამოქვაბულიდან ტირილი შემოესმა. შევიდა და ხედავს, ქალი ზის და ტირის.

— ეი, ვინა ხარ, ეშმაკი თუ ადამიანიო? — ჰკითხა მონადირემ.

— ეშმაკი რად ვიქნები? ადამიანი ვარ. დიდი ხნის წინათ ქილიჩთეშმა მომიტაცა და ცოლად დამისვა. ახლა იგი დაჭრილი დაბრუნდა და მოკვდა. აღარ ვიცი, სად წავიდე და ამიტომ ვტირიო, — უპასუხა ქალმა.

მონადირემ ნახა, რომ ქილიჩთეში მართლა მომკვდარიყო. ქალის გვერდით კი ცალთვალა ბავშვი იწვა — ქილიჩთეშისაგან ჰყოლოდა.

მონადირემ ბავშვი მოკლა და ქალი აულში წაიყვანა. ხალხმა ქალი იცნო. ფარაულიდან, დერგელიდან თუ სხვა რომელიღაც აულიდან რამდენიმე წლის წინათ ერთი ქალი დაკარგულა. თურმე ქილიჩთეშს მოუტაცია. ნათესავებს ძალიან გაუხარდათ მისი დაბრუნება.

ფეიმახანი, რომელმაც მამასახლისს აჯობა

ერთ პარასკევს, როცა ქოსთექელები* ლოცვიდან ბრუნდებოდნენ, შემოხვდათ მთვრალი მამასახლისი თოქაი.

— ეი, ჯამაათნო!* მე თქვენ არაფრად მიმაჩნიხართ და აი, რას გეტყვით: თუ ამ სამ დღეში ქოისუს* ნაპირებისათვის ტყავი არ გაგიძვრიათ, თქვენ თვითონ გაგაძრობთ ტყავსო! — უყვირა მამასახლისმა.

ხალხმა ვინ ბარით, ვინ წერაქვით ფლატეების ჩამონგრევა და ქვების ჩამოყრა დაიწყო, მაგრამ განა შეიძლება, მიწას ტყავი გააძრო? მიატოვეს ეს ფუჭი საქმიანობა და დაფიქრდნენ. ამ დროს ხალხს ორი ობოლი ძმა გამოეყო:

— გვიჯობს გავიქცეთ, თორემ თოქაი დაგვხოცავსო, — თქვეს.

გაქცეულებმა ბოთაიურთს* რომ მიაღწიეს, მოშივდათ. ერთ სახლს მიადგნენ და წყალი ითხოვეს. ყმაწვილმა ქალმა გამოუტანა. ამ ქალს ფეიმახანი ერქვა. ფეიმახანმა ძმებს შეხედა და ჰკითხა:

— რა ფერი წაგსვლიათ, მოხდა რამეო?

— ჩვენ ქოსთექელები ვართ. მამასახლისმა ქოისუს გატყავება გვიბრძანა. აბა, როგორ გავატყავებთ?! არადა, დახოცვით გვემუქრებაო, — უპასუხეს ძმებმა.

ფეიმახანმა ურჩია:

— დაბრუნდით, მიდით თოქაი მამასახლისთან და უთხარით: ცოცხალი ბატკნის გატყავებას ჩვეული არა ვართ. ჯერ დაკალი მდინარის ნაპირები და მერე გავატყავებთ-თქო.

დაბრუნდნენ ობლები ქოსთექში. მამასახლისი კი უკვე ყვიროდა:

— სად არის ნაპირების ტყავიო?

ორი ძმა წინ წამოდგა:

— ჰეი, თოქაი, სად გაგონილა ცოცხლის გატყავება? შენ დაკალი მდინარის ნაპირები და გატყავება ჩვენზე იყოსო!

მიხვდა თოქაი, რომ აჯობეს. ხალხი შინ გაუშვა, ობლები კი თავისთან იხმო და ჰკითხა:

— ვინ გასწავლათ ეს პასუხიო?

— ბოთაიურთელმა ფეიმახანმაო.

მეორე დღეს მამასახლისმა თანასოფლელებს ცხრა კევრი მოატანინა და ბიჭებს უბრძანა:

— ეს კევრები ფეიმახანს წაუღეთ, საფუარში ჩადოს, კარგად გამოიყვანოს, მოთელოს და ქურქი შემიკეროსო.

ბიჭებმა კევრები ურემზე შეაწყვეს და ფეიმახანს წაუღეს. ქალი სტ-

უმრებს შეეგება და ჰკითხა:

— რა მოგიტანიათო?

— თოქაიმ გამოგიგზავნა. საფუარში ჩადე, გამოიყვანე, მოთელე და ქურქი შემიკერეო.

— კარგი, ფარდულში დააწყვეთო.

მერე ბიჭები შინ შეიპატიჟა, სუფრა გაუშალა, თვითონ კი ტომარა აიღო და ეზოში გავიდა. სანამ სტუმრები ჭამდნენ, ტომარა კენჭებით აავსო, თავი მოუკრა და ურემზე შეაგდო. სტუმრები წასასვლელად რომ მოემზადნენ, ფეიმახანმა უთხრა:

— თოქაის გადაეცით, შენი გამოგზავნილი კევრებით ქურქს შეგიკერავ, ოღონდ ახლა ძაფი არა მაქვს. აბრეშუმის პარკს ვუგზავნი, ნუ დაიზარებს და ძაფი ამოახვევინოს. როგორც კი ძაფს გამომიგზავნის, ქურქს შევუკერავო.

ქოსთექში მამასახლისმა ბიჭებს ჰკითხა:

— რა მოიტანეთო?

— ფეიმახანმა გამოგიგზავნა, ძაფი ამოახვიე, რომ ქურქი შეგიკეროო, — უპასუხეს ბიჭებმა და კენჭებით სავსე ტომარა მიართვეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფეიმახანი და მამამისი ტყეში შეშის მოსაჭრელად წავიდნენ. გზის პირას ვეებერთელა მუხა იდგა. ფეიმახანმა მისი მოჭრა დაიწყო, მამამისი კი ტყეში შევიდა. ამ დროს თოქაი ჰასავიურთში მიდიოდა. მუხის მჭრელი ქალი რომ დაინახა, ურემი შეაჩერა:

— სადაური ხარ და რა გქვიაო? — ჰკითხა.

— ბოთაიურთელი ვარ და ფეიმახანი მქვიაო, — უპასუხა ქალმა.

— ჰოო, გამიგია, რომ ძალიან ჭკვიანი ქალი ხარო, — უთხრა მამასახლისმა — თუ მართალია, მიპასუხე რამდენჯერ შემოჰკარი ამ ხეს და რამდენი ნაფოტი დასცვივდაო?

ფეიმახანმა უპასუხა:

— მე ერთი საწყალი ქალი ვარ, შენი სახელი კი შორს გავარდნილა. აბა, შენთან სად მოვალ? ჯერ მე გკითხავ და თუ მიპასუხებ, მერე მეც გიპასუხებო.

— კარგი, მკითხეო, — თავმომწონედ ჩაიცინა მამასახლისმა.

— რაც ქოსთექიდან გამოხვედი, რამდენი ნაბიჯი გადადგა შენმა ცხენმა და რამდენი ბრუნი გააკეთა შენი ურმის თვალმაო.

— სჯობს, ამ ქალს მოვეშვაო, — იფიქრა მამასახლისმა და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

ჭრიჭინა ყადი*

ძველ დროში ცხოვრობდა ერთი მწყემსი, ჭრიჭინა ერქვა. საქონლის მწყემსვის გარდა სხვა საქმე არა ჰქონდა რა.

ერთხელ ჭრიჭინას ცოლი ქორწილში წასულა. წასულა, მაგრამ იქ ყურადღება არავის მიუქცევია. კართან ძლივს არგუნეს თურმე ადგილი, ყადის ცოლი კი საპატიო ადგილას გამოუჭიმიათ, იქ, სადაც პატივსაცემი და დასაფასებელი ხალხი მსხდარა.

ქორწილიდან დაბრუნებული ცოლი ჩასცივებია ჭრიჭინას:

— ეი, კაცო, გინდა თუ არა, ყადი უნდა გახდე. ქორწილში რომ მივდივარ, აქაოდა, მწყემსის ცოლიაო, ზედაც არავინ მიყურებს, ყადის ცოლს საპატიო ადგილზე წამოასკუპებენ ხოლმეო!

ჭრიჭინას გაუკვირდა:

— ქალო, მთელი ცხოვრება მწყემსობაში გამიტარებია, ჩემგან რა ყადი დადგებაო?

მაგრამ ცოლი არ მოეშვა: „გახდი ყადი და გახდი ყადიო“. სხვა გზა არ იყო და საღამოს სამწყემსურიდან დაბრუნებულმა ჭრიჭინამ ხალხს შეატყობინა, ხვალიდან თქვენი საქონლისთვის აღარა მცალია, ყადი უნდა გავხდე, სხვა მწყემსი ეძებეთო.

დილით ხალხმა საქონელი გამორეკა, ჭრიჭინა კი არ ჩანს. შინ მიაკითხეს. ხედავენ, წამოწოლილა და არცა ფიქრობს გამოსვლას. რამდენი არ ეხვეწნენ: გამო, გეყოფა ხუმრობა, სადაური ყადი ხარ? შენი საქონელიც გამორეკეო, ვერაფერს გახდნენ.

გავიდა ერთი დღე, მეორე. ჭრიჭინა შინიდან ფეხს არ დგამს. ამ ამბავმა ხანის ყურამდეც მიაღწია. ხანმა, მისმა ვეზირებმა, ყადიმ ბევრი იცინეს. ბოლოს ყადიმ თქვა:

— დიდო ხანო, რა იქნება, უბოძეთ ყადიობა ერთი სამი დღით, გაიგოს ამ ჭრიჭინა მწყემსმა, რომ ყველას არ შეუძლია ყადიობაო.

ხანმა თქვა:

— კარგი, ვსინჯოთ და ვიცინოთო.

დაიბარა სახლში ჭრიჭინა და ყადიობა უბოძა. თან იმაზე ფიქრობდა, როგორ გამოეცადა. გავიდა ერთი დღე, მეორე. მესამე დღეს ხანს აქლემები დაეკარგა. მან იხმო ჭრიჭინა და უთხრა:

— აქლემები დამეკარგა. თუ ყადი ხარ, უნდა გაიგო, სად არიან. ჩაიხედე შენს წიგნებში, გაიგე, რას გეუბნებიან. თუ ხვალამდე იპოვი, იპოვი, თუ არადა, თავს მოგაჭრიო.

შინ მოწყენილი დაბრუნდა ჭრიჭინა. მის ცოლს ქორწილ-ქორწილ სია-

რულში უტარებია დრო და პატივისცემისა და დაფასების ყადრი გაუგია.

— რატომ მოგიწყენია, რა მოგივიდაო? — ჰკითხა ქმარს.

ჭრიჭინამ უამბო, რაშიც იყო საქმე და უთხრა:

— დროზე საგზალი მომიმზადე, იქნებ გაქცევით ვუშველო თავს! იმ წიგნების წაკითხვაც კი არ შემიძლია და აქლემებს როგორ ვიპოვიო?!

აიღო ჭრიჭინამ თავისი საგზალი და სოფლიდან გავიდა. მთელი ღამე იარა. დილით ერთ ღარტაფში ჩავიდა და რას ხედავს?! ხანის აქლემები აქ არა წვანან? ჭრიჭინა მაშინვე შინ დაბრუნდა და, თითქოს არაფერი მომხდარაო, ლოდინი დაიწყო. როცა დრო მოვიდა, აიღო ყურანი* და ხანის სასახლისაკენ გაემართა.

— აბა, ყადი აკამ,* სად არიან ჩემი აქლემებიო? — ჰკითხა ხანმა.

— ვნახოთ, რას გვეუბნება ყურანიო, — უპასუხა ჭრიჭინამ, ჩამოჯდა, აბგიდან ყურანი ამოიღო, ცოტა ხანს ყურადღებით ჩააცქერდა და თქვა:

— დიდო ხანო, როგორც ეს წმინდა წიგნი ამბობს, შენი აქლემები სოფლის ბოლოს რომ ღარტაფია, იქ არიანო.

— კარგი, ვნახოთ, მაგრამ თუ მატყუებ, თავი აღარ შეგრჩებაო, — უთხრა ხანმა და მსახურები გაგზავნა. მათ მართლაც იპოვეს აქლემები და სასახლეში მორეკეს.

ამის შემდეგ ჭრიჭინას სახელი გაუვარდა. მის ცოლსაც ქორწილებში დიდი პატივით იღებდნენ. ქურდობამაც იკლო — ქურდებს ეშინოდათ, ყადი მოგვაგნებსო.

ერთ ღამეს, როცა ჭრიჭინა და მისი ცოლი განცხრომაში იყვნენ, ხანის ხაზინა გაქურდეს. ხანმა ისევ იხმო ყადი და უბრძანა:

— ჭრიჭინა ყადი, წუხელ ხაზინა გამიქურდეს. თუ ქურდები არ გიპოვია, თავს გაგაგდებინებო.

იმ ღამეს ჭრიჭინას სახლის ერდოდან ისევ ამოდიოდა ბოლი: გასაქცევად გამზადებულს ცოლი საგზალს უცხობდა. ის იყო, უნდა წასულიყო, რომ ჭიშკარზე დააკაკუნეს. ჭიშკარი გაუღეს თუ არა, სამი-ოთხი კაცი შემოვარდა. ყადის წინ მუხლებზე დაეცნენ:

— ყადი, გევედრებით ნუ გაგვწირავო!

ყადის ვერ გაეგო, ვინ იყვნენ, რა უნდოდათ.

— ჭრიჭინა ყადი, შეგვიბრალე! უკვე გაგებული გექნება, ვინ გაქურდა ხაზინა. წაიღე ნაქურდალი, ოღონდ ხანს არ უთხრა, რომ ჩვენ ვიყავითო.

ჭრიჭინამ ხელად იაზრა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ დაფიქრდა და თქვა:

— რასაკვირველია, ვიცოდი, ოღონდ ხანისათვის არაფერი მითქვამს. მეცოდებოდით, სასიკვდილოდ ვერ გაგიმეტეთ. ახლა წაიღეთ ეგ

ნაქურდალი და ქალაქს რომ დასჩერებია, იმ კლდეში დამალეთ. ხანი ვერაფერს გაიგებსო.

გახარებულმა ქურდებმა ჭრიჭინას მადლობა გადაუხადეს და წავიდნენ.

დილით აიღო ჭრიჭინამ თავისი დაფლეთილი ყურანი და სასახლისაკენ გაემართა. იქ ხალხი შეკრებილიყო, ყადის ელოდებოდნენ, აინტერესებდათ, იპოვიდა თუ არა ნაქურდალს.

ჭრიჭინა თავის ადგილზე დაჯდა, გადაშალა ყურანი და თქვა:

— აბა, არს გვეტყვის ეს წმინდა წიგნიო? — თან ჩააცქერდა, ვითომ კითხულობდა.

— დიდო ხანო, როგორც ეს წმინდა წიგნი გვატყობინებს, შენი ხაზინიდან წაღებული განძი ქალაქის თავზე რომ დიდი კლდეა, იქ არის დამარხული.

წავიდნენ, მოძებნეს. მართლაც იქ აღმოჩნდა.

ამის შემდეგ მთელ ქვეყანას მოედო ჭრიჭინა-ყადის სახელი. მის ცოლსაც, ვის ქორწილშიც არ უნდა მისულიყო, დიდი პატივი და დაფასება ჰქონდა.

დრო გადიოდა. „ასე ხომ ყადიობასაც დავემშვიდობებიო“, — შეშფოთდა ყოფილი ყადი და ხანს უთხრა:

— დიდო ხანო, ამ ჭრიჭინამ ორჯერვე თავისი ცოდნით კი არა, შემთხვევით გამოიცნო. აბა, სად გაგონილა უსწავლელ მწყემსს ყადიობა შეძლებოდაო?

ხანმა იფიქრა, მესამედაც შევამოწმებ ჭრიჭინასო. შეყარა ხალხი, იახლა და ჭრიჭინას სახლისაკენ წავიდა. გზაში სულ იმაზე ფიქრობდნენ, როგორ შეემოწმებინათ ჭრიჭინა. ამ დროს ფეხებთან პატარა ჭრიჭინა გამოუხტათ. ხანმა რომ დაინახა, თქვა:

— ამ ჭრიჭინას დავიჭერ, მუჭში დავმალავ და ყადის ვკითხავ, მუჭში რა მაქვს-მეთქი. დაიხარა, მაგრამ ჭრიჭინა გვერდზე გახტა.

ხანმა უთხრა:

— ამჯერად გადამირჩი, მაგრამ მეორედაც ვცდიო.

მართლაც, ისევ დააპირა დაჭერა, მაგრამ ჭრიჭინა ისევ გვერდზე გახტა. ხანი განრისხდა:

— მაგ ხტუნაობით თავს ვერ უშველი, მესამედ ველარ გადამირჩებიო! დააფარა ხელი და დაიჭირა, მუჭში დამალა და ჭრიჭინა-ყადისთან მივიდა:

— აბა, თუ მართლა ყადი ხარ, უნდა გამოიცნო, ხელში რა მაქვს. ვერ გამოიცნობ და, თავს მოგკვეთო.

— ეს რა უბედურება მეწვიაო? — იფიქრა ჭრიჭინამ — ორჯერ კი გადავრჩი, მაგრამ მესამედ რაღა გადამარჩენსო? და თავის თავზე ასე თქვა:

„ერთხელ სკუპ-სკუპ, ჭრიჭინავ, — გადარჩი,

მეორედ სკუპ-სკუპ, ჭრიჭინავ, გადარჩი,
მესამედ კი ნამდვილად ჩავარდი, ჭრიჭინავ“.

— დახეთ, ნამდვილად გამოიცნოო, — წამოიძახა ხანმა.

ენა ვერ იტყვის, ამის შემდეგ როგორ გაუვარდა სახელი ჭრიჭინა-ყადის, როგორ პატივში იყო მისი ცოლი!

იმ ქვეყანაში ქურდობა გაქრა, ჭრიჭინა-ყადის შემოწმება შეწყდა და იგი ბედნიერად აგრძელებდა თავის ყადიობას.

ძუნწი ბაიები* და ღარიბი ბამათი

ძველ დროში ერთ აულში* ცხოვრობდა ძუნწი ბაი, სახელად ჰაჯი* ქერიმი. ერთ დღეს ბაზარში წასვლა დააპირა, იფიქრა, საგზლად რა წავიღოო. ცხვარიც ბევრი ჰყავდა, იხვიც და ქათამიც, მაგრამ თავისთვის კი არ ემეტებოდა. „ერთი ცხვარი რომ დავკლა, ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტიღა დამრჩება, იხვი დავკლა და, ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი იხვიღა დამრჩება, ქათამი დავკლა — ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტი ქათამიღა დამრჩებაო“. იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. წავიდა და რჩევა ჰკითხა თავისავით ძუნწსა და ეშმაკ მეზობელს — დავლეთგირეის:

— დავლეთგირეი, მითხარი, რა ვქნა? ბაზარში წასვლა მინდა, მაგრამ არ ვიცი, საგზლად რა წავიღოო.

— ძალიან თავსატეხი კი გაგჩენია, — უთხრა დავლეთგირეიმ — ჩვენს მეზობელს ბამათს მსუქანი ინდაური ჰყავს. ალბათ, ბამათიც წამოვა ბაზარში, ჰოდა, დაკლას თავისი ინდაურიო.

გაიხარა ჰაჯი ქერიმმა, გაიქცა ბამათთან:

— ძვირფასო მეზობელო, გავიგე, ბაზარში წასვლა გადაგიწყვეტია, მე და დევლეთგირეიც წაგვიყვანე. საგზალს წამოვიღებთ. შენც ინდაური დაკალიო.

ბამათი სულაც არ აპირებდა ბაზარში წასვლას, მაგრამ მეზობლებმა აიძულეს. დაკლა ინდაური, მოხარშა, შემოისვა ურემზე ორივე ბაი და გზას გაუდგა.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ღამის გასათევად ერთ ადგილას შეჩერდნენ. „რა ვქნა, რომ ინდაური საკუთრად მე დამრჩესო“, — თავთავისთვის ფიქრობდა სამივე. ბოლოს ღორმუცელა ჰაჯი ქერიმმა თქვა:

— ინდაური იმან შეჭამოს, ვინც ყველაზე კარგ სიზმარს ნახავსო.

დანარჩენებიც დაეთანხმნენ, დაწვნენ და დაიძინეს. დილას, გაიღვიძეს თუ არა, ჰაჯი ქერიმმა სიზმრის მოყოლა დაიწყო:

— ვითომ შინ ვიყავი, დავინახე, ვიღაც კაცი შემოვიდა, ორი ცხენი მოჰყავდა. იკითხა: „ბატონი შინ ბრძანდებაო?“ გამოვედი. „წავიდეთ, ჰაჯი ქერიმ, შენს წასაყვანად მოვედიო“, — მითხრა. შევჯექი ცხენზე და წავყევი. მალე ერთ ბაღში შევედით. საითაც გაიხედავ, ფერად-ფერადი ყვავილები, ნაირნაირი ხეხილი, ხეებზე ჩიტები ჭიკჭიკებენ. ერთი სიტყვით, სამოთხეში ვიყავი. ამ დროს მომიახლოვდა ანგელოზი და მითხრა:

— ჰაჯი ქერიმ, დღეიდან აქ იცხოვრებ. დალიე, რაც გინდა, ჭამე, რაც მოგესურვება, გააკეთე, რაც გინდაო. იცოცხლე, მე იქ მოვილხინე! აი, რა სიზმარი ვნახეო.

შემდეგ დავლეთგირეიმ დაიწყო:

— მე კი მესიზმრა, ვითომ თეთრ ცხენზე შევჯექი და ზეცაში ავფრინდი. დავინახე — ყველა მდიდარს იქ მოუყრია თავი. დიდი პატივით მიმიღეს, ისე, როგორც ეკადრება ჩემისთანა მდიდარ კაცს. რომ იცოდეთ, რა ხალხში ვიყავიო!

ჯერი მიდგა ბამათზე.

— რა მოვყვე? — დაიწყო მან. — მართლაც კარგი სიზმრები გინახავთ, ერთი სამოთხეში ყოფილხართ, მეორე ზეცაში. მე კი აქ მარტოდმარტო დავრჩი. რას ვიფიქრებდი, ასეთი ადგილებიდან მშივრები დაბრუნდებოდით?! ამიტომ წუხელ ინდაური შევჭამეო.

ძუნწმა ჰაჯი ქერიმმა და დევლეთგირეიმ გაკვირვებისაგან პირი დააღეს, მაგრამ სათქმელი არაფერი ჰქონდათ. ხახამშრალები დაბრუნდნენ შინ.

სამი რჩევა

ერთ მთიელს სახედრით ხურმა მიჰქონდა გასაყიდად. ვიღაც მოხუცი დაემგზავრა. მიდიან. მოხუცს ხურმა მოუნდა და მთიელს უთხრა:

— ერთ მუჭა ხურმას თუ მომცემ, რაღაცას გირჩევო.

— მოგცემ, ძმაო, — უთხრა მთიელმა და მისცა ერთი მუჭა ხურმა.

— ყურადღებით იყავი, ყოველთვის იკითხე შენი თანამგზავრის სახელიო, — უთხრა მოხუცმა.

— ვაჰ, განა ყველა ნათქვამი რჩევააო? — გაიფიქრა მთიელმა.

ცოტა რომ გაიარეს, მოხუცმა ისევ უთხრა:

— ერთი მუჭა ხურმა მომეცი და ერთს კიდევ გირჩევო.

მისცა მთიელმა ერთი მუჭა ხურმა. მოხუცმა უთხრა:

— როცა ჯდებოდე, შენს ადგილზე დაჯექიო.

მთიელს გაეცინა, მაგრამ არაფერი უთქვამს. იარეს, იარეს. მოხუცმა ისევ უთხრა:

— ერთ მუჭა ხურმას თუ კიდევ გაიმეტებ, მესამე რჩევასაც მოგცემო.

მისცა მთიელმა ხურმა. მოხუცმა ურჩია:

— როცა არ გეკითხებიან, ჩუმად იყავი, ნურაფერში ჩაერევიო.

— ეჰ, ძმაო, თუ ხურმა გინდა, პირდაპირ მითხარი, რას მიედ-მოედებიო! — გაიფიქრა მთიელმა, ძალიან გაბრაზდა, მაგრამ ისევ შეიკავა თავი, არაფერი უთქვამს.

ცოტა რომ გაიარეს, ერთმანეთს დასცილდნენ. მოხუცი სხვა მხარეს წავიდა, მთიელმა კი სახედარი წყალზე ჩაიყვანა. მივიდნენ თუ არა მდინარესთან, სახედარმა თავი დაადო და შევიდა მდინარეში, შუამდე შევიდა და გაოჩნდა. მთიელმა ხან წინიდან დაუარა, ხან — უკნიდან, ურტყა, მაგრამ ფეხი ვერ მოაცვლევინა. მიიხედ-მოიხედა, მშველელი არავინ იყო. მხოლოდ მისი ნაცნობი მოხუცი მოჩანდა შორს.

— ეი, ძმაო, შეჩერდი! — დაუყვირა. მოხუცი არ შეჩერდა.

— ეი, მოხუცო, მიშველეო! — იყვირა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ ამაოდ.

— ეი, ადამიანო! ეი, მოხუცო! ეი, ძმაო! — არაფერი გამოვიდა. იძულებული გახდა გამოჰკიდებოდა. აქოშინებული დაეწია და უთხრა:

— ეი, ძმაო, სახედარი წყლიდან ვერ ამომყავს, მიშველე. გეძახე, გეძახე, მაგრამ ვერ გაგაგონე.

— ვის ეძახდიო?

— ვისა და შენაო.

— მე სახელი მაქვს. თუ მეძახი, სახელი უნდა დამიძახო. „ძმაო!“ — ყვირის ვიღაც, მე კი ამ მხარეში ძმა არა მყავს. ვიფიქრე, სხვას ეძახიანმეთქი. „ეი, მოხუცო, ეი ადამიანო!“ — ყვირის ვიღაც. ჩემს გარდა ამქვეყნად ბევრი მოხუცი და ბევრი ადამიანაია. მე რომ მეძახდნენ, სახელს დამიძახებდნენ-მეთქი, ვიფიქრე. სახედრის ამოთრევა ადვილია, მაგრამ უფრო ძნელი და სასწრაფო საქმისთვის რომ დაგჭირვებოდი, რას იზამდი? ამიტომ გეუბნებოდი: თუ ვინმე დაგემგზავრა, სახელი ჰკითხე-მეთქი. მე შაჰაბასი მქვიაო.

წავიდნენ, გამოიყვანეს სახედარი და თავთავიანთ გზას დაადგნენ. მთიელმა იარა, იარა და ერთ ქალაქში მივიდა. იქაურ ხანს წვეულება ჰქონოდა. ჩვენი მთიელიც მიიპატიჟეს. ხალხი ის-ის იყო გროვდებოდა. მთიელმა სალამი თქვა და ხანის გვერდით დაჯდა. ამ დროს ერთი კაცი შემოვიდა და დამხვდურებს მიესალმა: „ასსალამ ალეიქუმ!“ „ვა ალეიქუმ ასსალამ“ — უპასუხა ხანმა, წამოხტა და დიდის პატივით მიიღო, მოიკითხა:

— რა ამბავია შენს სახანოშიო? — მოდი, გვერდით მომიჯექიო!

მთიელმა ჩაიწია და მასპინძელმა სტუმარი გვერდით მოისვა. მოგროვდნენ ხანის ნათესავები, მეგობრები, ნაცნობები. ისინი საპატიო ადგილებზე სხდებოდნენ, ხანთა ახლოს, მთიელი კი თანდათან კართან მიეჭყლიტა.

— ეჰ, ყველაზე საპატიო ადგილას რომ არ წამოვსკუპებულიყავი და ნაკლებს დავჯერებოდი, ხომ ვიჯდებოდი ახლა სხვებივით მშვიდად. გამოდის, შაჰაბასის მეორე რჩევაც ჭკვიანურია; საჩემო ადგილი უნდა მეპოვა და იქ დავმჯდარიყავი, — გაიფიქრა მთიელმა.

ამ დროს ერთ კაცს დანა დასჭირდა და თავის ამხანაგს სთხოვა. მთიელმა დაასწრო: — მე მაქვს დანაო, — და ლამაზად გამოყვანილი დანა მიწოდა. ამას თვალი ჰკიდა ყადიმ.

— მოიცათ, ეს დანა ვისიაო? — იკითხა.

— ჩემიაო, — უპასუხა მთიელმა.

— ჩემო ხანო, უბრძანე, ეს არამზადა დილეგში ჩააგდონ! — დაიყვირა ყადიმ — გახსოვთ, შარშან სახლი რომ გამიძარცვეს? მაშინ ეს დანაც მომპარეს. ეტყობა, ამ კაცს გავუქურდივარო!

— ერთი ამ უსირცხვილოს დამიხედეთ! ქურდი ყოფილა და ჩემს გვერდით დაჯდომა კი გაბედა, ახლავე წაიყვანეთ და დილეგში ჩააგდეთო! — ბრძანა ხანმა.

„ხალხნო, ხედავთ, რა ამბავია? ვინა მთხოვდა დანას? ვყოფილიყავი ჩემთვის. აი, თურმე რას მირჩევდა მოხუცი, ეს რა უბედურებაა, ახლა რაღა მეშველებაო?!" — ფიქრობდა მთიელი.

შაჰაბასმა ყველაფერი გაიგო. რას ვერ გაიგებდა?! უცბად მოედო იქაურობას, ყადის ქურდი იპოვესო.

შაჰაბასმა ხანს ნებართვა გამოსთხოვა და მთიელი მოინახულა. მთიელს ისე გაუხარდა, თითქოს საკუთარი მამა დაენახოს. შველა სთხოვა.

— სწორედ მაგიტომ მოვედი, — უთხრა შაჰაბასმა. — ჩემი რჩევა რომ მიგეღო, ეს აღარ დაგემართებოდა. ამის შემდეგ მაინც გაფრთხილდი, ამჯერადაც გიშველი. ყადის უნდა უჩივლო. სასამართლოში ჰკითხე, დანა შენია-თქო? ყადი გეტყვის, ჩემიაო. მაშინ თქვი: „ამ რამდენიმე წლის წინათ მამაჩემი ვნახე ბუჩქებში მოკლული. გულში ეს დანა ჰქონდა გაყრილი. რა ხანია, ვეძებ მკვლელს და ვერ მიპოვია. ახლა თავისით გამოჩნდა. შური უნდა ვიძიო-თქო".

მართლაც, ასე მოიქცა მთიელი. ყადის შეეშინდა, თავი მომეჭრებაო და მთიელს პატიება სთხოვა, ცხენი, ფული და საჩუქრები გაუგზავნა. აღარ იცოდა, რითი ესიამოვნებინა. მთიელმაც აპატია. ამბობენ, ამის შემდეგ აღარასოდეს ავიწყდებოდა შაჰაბასის სამი რჩევაო.

ერთხელ ერთი ბაი თავისი სამი ვეზირით გზაზე მიდიოდა. დაინახა, მოხუცი კაცი ყანას მკიდა. გაჩერდა და ჰკითხა:

— ჰეი, თამაზა,* მგონი, მწვერვალი უკვე თოვლით დაიფარა, არა?

მარტო მწვერვალი კი არა, ბარსაც უკვე ნისლი მოედოო, — უპასუხა მოხუცმა.

— საკვების საქმე როგორა გაქვსო?

— კარგად, პურს ხორცით ვღეჭავო, — უპასუხა მოხუცმა.

— ახლა რას აკეთებო? — ჰკითხა ბაიმ.

— მადლობა ალაჰს, ადრე გავასესხე და ახლა გასესხებულს ვიბრუნებო.

— სამი მსუქანი მამალი იხვი რომ გიწყალობო, რას იზამო?

— ისე გავპუტავ, ერთ ბუმბულსაც არ შევარჩენო.

ბაიმ და მისმა ვეზირებმა გზა გააგრძელეს. ვეზირებმა ამ საუბრისა ვერაფერი გაიგეს. კარგა მანძილი რომ გაიარეს, ერთმა ვეღარ მოითმინა და ბაის ჰკითხა:

— იმ მოხუცს რაზე ელაპარაკებოდით, ვერაფერი გავიგეო.

— ვერც თქვენ გაიგეთო? — მიუბრუნდა ბაი დანარჩენებს.

მათაც ვერაფერი გაეგოთ. ბაი გაჯავრდა:

— რა ვეზირები ხართ, თუ ესეც ვერ გაგიგიათო! ან გაიგებთ, რაზე ვლაპარაკობდით, ან ჩემი ვეზირები აღარ იქნებითო!

ვეზირები განზე გადგნენ. ბევრი იფიქრეს, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს. ბოლოს ერთმა თქვა:

— მივიდეთ იმ მოხუცთან და ვკითხოთ, რაზე ლაპარაკობდნენ ისა და ბაიო.

მართლაც მივიდნენ და ჰკითხეს:

— თამაზა, თქვენი ლაპარაკისა ვერაფერი გავიგეთ. ამის გამო ბაიმ გამოგვყარა. იქნებ გვითხრა, რაზე ლაპარაკობდითო?

— რატომაც არა, გეტყვით, ოღონდ თქვენი ცხენები, ტანსაცმელი და ფული უნდა მომცეთო.

ვეზირებმა ერთმანეთს გადახედეს. ძალიანაც არ ეთმობოდათ ქონება, მაგრამ რაღას იზამდნენ?!

— ქონების გულისთვის ვეზირობა როგორ დავკარგოთო?

ჩამოხდნენ ცხენებიდან, გაიხადეს ტანსაცმელი, ჯიბეზე ხელი გაიკრეს და ყველაფერი მოხუცს მისცეს.

მოხუცმა უთხრა:

— ბაიმ მკითხა: „ჰეი, თამაზა, მგონი მწვერვალი უკვე დათოვლილ-

იაო?" ეს ნიშნავს: „ჰეი, თამაზა, მგონი, თავი ჭაღარით შეგემოსა?" მე ვუპასუხე: „მარტო მწვერვალი კი არა, ბარსაც უკვე ნისლი მოედო", რაც ნიშნავს: „უკვე თვალიც აღარ მიჭრის". „საკვების საქმე როგორა გაქვსო?" — მკითხა ბაიმ. მე ვუპასუხე: „კარგად, პურს ხორცით ვღეჭავ." ამით ვუთხარი, რომ ყველა კბილი დამცვივდა და პურს ღრძილებით ვღეჭავ. „ახლა რას აკეთებო?" — მკითხა ბაიმ. ვუპასუხე: „ადრე გავასესხე, ახლა კი გასესხებულს ვიბრუნებ-მეთქი". ამით ვუთხარი, რომ შემოდგომაზე დათესილ ხორბალს ვიმკი-მეთქი. შემდეგ ბაიმ მკითხა: „სამი მსუქანი იხვი რომ გიწყალობო, რას იზამ?" მე ვუპასუხე: „ისე გავპუტავ, ერთ ბუმბულსაც არ შევარჩენ-მეთქი". განა გაპუტული იხვები არა ხართ?

ქულბაი

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. უმცროსს ქულბაი ერქვა. უფროსი ძმები ყოველდღე ტყიდან სახედრით შეშას აზიდვინებდნენ.

ერთხელ ქულბაიმ, შინ რომ ბრუნდებოდა, ნემსი იპოვა. აიღო და შეშის კონაზე დადო.

შინ ქულბაიმ შეშა გადმოტვირთა და მერე რაღაცის ძებნა დაიწყო.

— რას ეძებო? — ჰკითხეს ძმებმა.

— გზაზე ნემსი ვიპოვე და შეშის კონაზე დავდე. ახლა ვეღარ ვპოულობო.

— უჰ, შე ბედოვლათო! ვინა დებს ნემსს შეშის კონაზეო? — გაუწყრნენ ძმები.

— აბა, სად უნდა დავდოო?

— როგორ თუ სად? არ შეგეძლო, ტანსაცმელზე დაგემაგრებინაო?

— თუ კიდევ ვიპოვი, ეგრე მოვიქცევიო, — უპასუხა ქულბაიმ.

მეორე დღეს ქულბაიმ გზაზე მახათი იპოვა. აიღო მახათი, ტანსაცმელზე დაიმაგრა და მუცლის კანიც ზედ მიაყოლა.

დაბრუნდა შინ, ძმები ხედავენ, პერანგი სულ სისხლითა აქვს მოსვრილი.

— რა დაგემართაო? — ჰკითხეს.

— როგორ თუ რა? თქვენ არ მითხარით, ტანსაცმელზე დაიმაგრეო? ჰოდა, მეც დავიმაგრე და ახლა მუცელი მტკივაო.

— შე საცოდავო, შენა! ჩვენ ნემსის დამაგრება გირჩიეთ, მახათისა კი არა! არ შეგეძლო ნაჭერში გაგეხვია, ჯიბეში ჩაგედო და ისე მოგეტანა შინო?

— კიდევ თუ ვიპოვი, ნაჭერში გავახვევო, — თქვა ქულბაიმ.

მესამე დღეს ქულბაიმ ლეკვი იპოვა, ნაჭერში გაახვია და ძლივს ჩაიტენა ჯიბეში.

შინ, სახედარს ტვირთი რომ მოხადა, ქულბაიმ ძლივს ამოიყვანა ლეკვი ჯიბიდან. საწყალმა ლეკვმა კინაღამ სული გააფრთხო. საცოდავად წმუტუნებდა. ამის დანახვაზე ძმები გაჯავრდნენ:

— შე ბრიყვო, შენა, ეს ხომ ლეკვია! სად გაგონილა, ლეკვს ჯიბით ატარებდნენ? პურის ნატეხი უნდა გადაგეგდო და თვითონ გამოგეკიდებოდა, ან თოკით მიგებია სახედრის კუდზეო.

— თუ კიდევ ვიპოვი, აუცილებლად ეგრე მოვიქცევიო, — თქვა ქულბაიმ.

მეოთხე დღეს ქულბაიმ დიდი ქვაბი იპოვა. მოტეხა მჭადი, დაუგდო ქვაბს წინ და დაუწყო ძახილი: „აჰა! აჰა!“ — ქვაბი ადგილიდან არ იძროდა. მთელი მჭადი გაუთავდა, ქვაბი კი არ იძროდა და არა. მაშინ ქულბაიმ აიღო თოკი, ქვაბი სახედარს კუდზე გამოაბა და ჰაიდა! როცა მთიდან ეშვებოდნენ, ქვაბი სახედარს ფეხქვეშ შეუგორდა, სახედარი დაფრთხა და გავარდა!

— სად გარბიხარ, სახედაროო? — დაიყვირა ქულბაიმ და გაეკიდა. ქვაბის ხმით შეშინებული სახედარი კი სიჩქარეს უმატებდა, ტლინკებს ყრიდა და ბოლოს ეზოში შევარდა. ეზოში ხალხმა მოიყარა თავი. ცოტა ხნის შემდეგ დაფეთებული ქულბაიც მოვარდა. ნაჯახი აიღო, თოკი გადაჭრა და ქვაბს ცემა დაუწყო. მანამდე ურტყა, სანამ ქვაბი ჭიშკრის გარეთ არ გაგორდა.

— რას აკეთებო? — გაუკვირდათ ძმებს.

— რასაც მოვისურვებ, იმას გავაკეთებ! — უწინდელზე მეტად გაბრაზდა ქულბაი. — ათას სისულელეს მასწავლით, მერე კი ყველაფერზე მე უნდა ვიდარდო! მთელი მჭადი ამ ქვაბს მივალიე — არ წამომყვა. მერე სახედრის კუდს მივაბი, როგორც თქვენ მირჩიეთ. ქვაბი სახედარს ეცა და გააჭენა. კიდევ კარგი, რომ ვერ დაეწია. ალბათ, სახედარს შეჭამდა კიდეც! აბა, უყურეთ, საწყალ ცხოველს ფეხებიდან სულ სისხლი ადინაო!

— როგორ დაგვსაჯა ალაჰმა და ამნაირი ძმა მოგვცაო, — შეწუხდნენ ძმები. — განა შეიძლება, ქვაბი სახედარს გამოაბა კუდზე? შეშის კონაზე უნდა დაგედგა, მიგებია და ისე მოგეტანაო.

— კარგი, მეტი რა გზაა, თუ კიდევ ვიპოვი, ეგრე მოვიქცევიო.

მეხუთე დღეს ქულბაი ტყეში წავიდა, იქ უზარმაზარი გამხმარი ხე ნახა და მოჭრა დაუწყო. ხეში ფუღურო აღმოჩნდა, ფუღუროში — სკა, სკაში კი — ფუტკრები. ქულბაიმ ფუღურო გადაჭრა და სახეზე თაფლის წვეთი მოხვდა.

— რას იფურთხებიო! — გაცეცხლდა ქულბაი და ნაჯახით დაუწყო

„ჭკუის სწავლება“ ხეს. შეშინებული ფუტკრები ფუღუროდან გამოფრინდნენ და ქულბაი დაკბინეს.

— მთელი ჯარი დამესხა თავსო! — იფიქრა ქულბაიმ და გაიქცა. შინ ისარივით შევარდა და კარი ჩაკეტა.

— რა მოხდა, ქულბაი, რატომ ჩაკეტე კარიო? — ჰკითხეს ძმებმა.

— ჩვენსკენ ჯარი დაიძრა, დაიმალეთო!

მისი სახე რომ დაინახეს, ძმები ყველაფერს მიხვდნენ.

— აბა, სად არის ჯარიო?

— ტყეში ხეს ვჭრიდი, იქიდან ჯარი გამოვარდა და თავს დამესხაო.

— გვიჩვენე ის ხე, ჩვენ გავყრით იმ ჯარსო, — უთხრეს ძმებმა.

— ვალაჰი, არ გიჩვენებთ! — უპასუხა ქულბაიმ. — არ წამოვალ, თვითონ წადით და გაყარეთო.

მაგრამ ძმებმა ქულბაი მაინც დაითანხმეს და ტყეში წაიყვანეს. ქულბაი ხეს მიუახლოვდა და შეჩერდა:

— აი, ამ ხიდან გამოვარდა ჯარი, თქვენ თვითონ გარეკეთ. მე ერთ ნაბიჯსაც აღარ გადავდგამო.

ხედავენ ძმები — იქ მართლაც სკაა — ფუღუროდან თაფლი გადმოდის.

გააჩაღეს კოცონი, ბოლით გარეკეს ფუტკრები და ქულბაის უთხრეს:

— ჩვენ ჭურჭლის მოსატანად წავალთ, შენ კი თაფლს უდარაჯე, არავინ წაიღოსო.

როგორც კი ძმები წავიდნენ, ქულბაისთან მაშინვე მელა გაჩნდა.

— ქულბაი, ცოტა თაფლი მაჭამეო! — შეეხვეწა მელა.

— არა, არ მოგცემ! — დაუყვირა ქულბაიმ. — ძმები არ დამანებებენ. ვერ მოგცემ. თუ გინდა, შენ თვითონ აიღეო.

მელაკუდამ თაფლით გული იჯერა და მოუსვა. კვალდაკვალ დათვი მოჰყვა.

— ქულბაი, თაფლი მაჭამე, ძალიან მინდაო! — შეეხვეწა.

— ვერ მოგცემ — ძმები არ მანებებენ. თუ გინდა, შენ თვითონ აიღე, პატარა აღარა ხარო.

მიირთვა დათვმაც თაფლი და მერე ჰკითხა:

— ქულბაი, როცა შენი ძმები შინ არ იქნებიან, რომ მოვიდე, თაფლს მომცემო?

— თუ გინდა, თვითონ აიღე, მე არ მოგცემო!

დათვი წავიდა. სკა ვეებერთელა იყო. ამიტომ ძმები რომ დაბრუნდნენ, ვერ შეატყვეს, რომ თაფლი აკლდა. ძმებმა ქილები თაფლით აავსეს და ქულბაისთან ერთად შინ დაბრუნდნენ.

მეორე დილით ძმები ბაზარში წასასვლელად გაემზადნენ და ქულბაის დაუბარეს:

— ყურადღებით იყავი, ჩვენ თაფლი უნდა გავყიდოთ, შინ იჯექი, დარჩენილ თაფლს უყარაულე, არავის მისცეო.

როგორც კი ძმები წავიდნენ, მოვიდა დათვი:

— ქულბაი, თაფლი მომეციო!

— მე ხომ გითხარი: არ მოგცემ, ძმები მიშლიან-მეთქი! თუ გინდა, შემოდი და ჭამეო.

მიირთვა დათვმა თაფლი და ჰკითხა:

— ქულბაი, ხვალ რომ მოვიდე, მომცემო?

— რამდენჯერ უნდა გითხრა! — გაბრაზდა ქულბაი, — არ მოგცემ!

— კარგიო, — თქვა დათვმა და წავიდა.

დაბრუნდნენ ძმები ბაზრიდან, ხედავენ, თაფლს აკლია.

— ქულბაი, ვინ შეჭამა თაფლიო?! — უყვირეს ძმებმა, მან კი მშვიდად უპასუხა:

— დათვი მოვიდა. ეგონა, რომ თაფლს მივცემდი. მე ვუთხარი, თუ გინდა, შენ თვითონ აიღე-მეთქი.

— კარგი, ქულბაი, დათვი ხვალაც თუ მოვა, შემოვიდეს შინ და ჭამოს. ჩვენ დავუდარაჯდებით და იქვე მოვკლავთო.

მეორე დღეს დათვი ისევ მობრძანდა:

— ქულბაი, მომეცი თაფლიო!

— არ მოგცემ, თუ გინდა, თვითონ აიღეო.

როგორც კი დათვმა ზღურბლს გადააბიჯა, ქულბაიმ უთხრა:

— ჰეი, ჰეი, მანდ ჩემი ძმები სხედანო!

დათვი თავპირისმტვრევით გაიქცა, ქულბაი კი მისძახოდა:

— რა დაგემართა, დათვო! მე ხომ გეხუმრეო!

— ეს რა ხუმრობაა? კინაღამ სული გავაფრთხეო, — ეწყინა დათვს, მაგრამ მაინც დაბრუნდა. როგორც კი შინ შევიდა, ძმები ხანჯლებით მისცვივდნენ, მუცელი გაუფატრეს, ტყავი გააძვრეს, გასაშრობად ჩამოკიდეს და დასაძინებლად დაწვნენ. ქულბაი კედელთან დაწვა, სადაც დათვის ტყავი ეკიდა. ტყავიდან სისხლი წვეთავდა და ქულბაის სახეზე ეცემოდა.

— რას იფურთხები! — წამოხტა ქულბაი. — იმიტომ, რომ მუცელზე გაგფატრეს, ხომ? ცოტა თაფლი გეჭამა და მუცელი მთელი გექნებოდაო!

— მორჩი, ქულბაი, ნუღარ ხუმრობ, დაგვაძინეო, — სთხოვეს ძმებმა.

— მე რომ მიშლიან, ეს არაფერი? ვერ ხედავთ, იფურთხებაო?

— მეორე კუთხეში დაწექი და არავინ მოგაფურთხებსო.

ქულბაი ასეც მოიქცა.

ორი დღის შემდეგ ძმები ქორწილში დაპატიჟეს. წასვლისას ქულბაის უთხრეს:

— ყურადღებით იყავი, ძმაო, ჩვენ ქორწილში მივდივართ, კარ-ფანჯარას უმეთვალყუროდ ნუ დატოვებ, შინ იჯექიო.

ცოტა ხანი გავიდა და უცბად სახლის წინ ბავშვების ჯგუფი გამოჩნდა: ზოგს პური ეჭირა ხელში, ზოგს — ხორცი.

— ბავშვებო, სად მიდიხართო? — ჰკითხა ქულბაიმ.

— ვაი, ქულბაი, განა არ იცი, რომ აულში ქორწილია, პურსა და ხორცს არიგებენ. შენც წამოდიო!

ქულბაიმ ნაჯახი აიღო, გამოანგრია კარი და ფანჯრები, კარი კისერზე უღელივით ჩამოიცვა, ხელებში თითო ფანჯრის ჩარჩო დაიჭირა და ასე დატვირთული ბრახაბრუხით ქორწილში გაქანდა.

— ნახეთ, ქულბაი მოდის, ქულბაის უყურეთ! ქულბაის უყურეთო! — ყვიროდნენ ბავშვები და გარს ეხვეოდნენ. ქულბაი კი, კარ-ფანჯრით დახუნძლული პირდაპირ ქვაბებისკენ გარბოდა. ფანჯრის დარაბები ქვაბებს წამოედო, ქვაბები ერთმანეთს მიეჯახა, ცეცხლზე გადაპირქვავდა, მთელი კერია ფლავითა და წვნიანით აივსო და ერთ წამში ჭაობს დაემსგავსა.

— ქულბაის უყურეთ, რასა ჰგავსო! — იცინოდნენ გარშემო.

ძმებმაც მოირბინეს.

— ალაჰმა შეგაჩვენოს, სულელო, ეს რა ჰქენიო?!

— ვალაჰი, თვითონა ხართ ჩემზე სულელებიო! — იწყინა ქულბაიმ. — განა თქვენ არ დამიბარეთ, კარ-ფანჯარა უმეთვალყუროდ არ დატოვოო? ბავშვები ქორწილში გამორბოდნენ და მეც მომინდა წამოსვლა. კარ-ფანჯარა რომ დამეტოვებინა, ხომ წამეჩხუბებოდით! აბა, რა უნდა მექნაო?

ხალხი იცინოდა, მუცლები ხელით ეკავათ.

ქულბაის ძმებმა კარ-ფანჯარა აიღეს და სირცხვილით დამწვრები შინ წავიდნენ.

ღამით ქულბაიმ ძმების ჩურჩული გაიგონა: „მოდი, ყველაფერი ტომრებში ჩავაწყოთ და გავეცალოთ ამ სულელსო!“ ძმებს ეგონათ, ქულბაის ძინავსო, ჩუმად ადგნენ, ტომრებში რაღაც-რაღაცეები ჩააწყვეს და ეზოში გავიდნენ. ქულბაი მაშინვე ადგა და ტომარაში შეძვრა. ძმები დაბრუნდნენ, ტომარაში კიდევ ჩაუმატეს რაღაცა, თავი მოუკრეს, სახედარზე შეაგდეს, გზას გაუდგნენ და თან ამბობდნენ: „ძლივს არ მოვიშორეთ თავიდან ქულბაიო!“

ღამით ერთ სოფელში მივიდნენ. ხედავენ, დუქანია, კარი ღიაა, შიგნით კი არავინაა. ძმებმა თქვეს:

— მოდი, შევიდეთ, იქ ფული ან სხვა რამე იქნება და ავიღოთო.

— ძმებო, მეც მინდა დუქანში, თორემ ფეხები დამიბუჟდა, გამომიყვანეთო! — მოესმათ უცბად ძმებს ქულბაის ხმა ტომრიდან.

მოულოდნელობისაგან ძმებს ტომარა ხელიდან გაუვარდათ, მერე უფროსმა იყვირა:

— დაიქცა შენი სახლ-კარი! ჩვენ გვეგონა, შენგან გავრბოდით და თურმე, შენთან ერთად კი გამოვქცეულვართო!

— ხო, ჩემთან ერთად მირბიხართო.

გაათავისუფლეს ქულბაი, შევიდნენ დუქანში, სხვადასხვა საქონელი და ფული აიღეს. ქულბაიც გამოვიდა, თან წისქვილის დოლაბი მოჰქონდა.

— რად გინდა ეგ ქვა, გადააგდეო, — ურჩიეს ძმებმა.

— არ გადავაგდებ. შინ რომ მივალთ, აულის ბოლოში წისქვილს ავაშენებ, ხალხს ფქვილი რომ გაუთავდება, ხორბალს დავუფქვავო.

— ჩვენ ხომ შინ აღარ ვბრუნდებით, გადააგდე, ნუ ეწამებიო!

— მერე რა? სადაც მივალთ, ხალხი ყველგან იქნებაო.

ძმებმა ხელი ჩაიქნიეს და წავიდნენ, ქულბაიც მათ მიჰყვებოდა და თან დოლაბს მიათრევდა. სოფელს რომ გასცდნენ, დაინახეს, მათ შესახვედრად დიდი ქარავანი მოდიოდა. შეეშინდათ ძმებს, სახედარი სასწრაფოდ ბარდებში შეიყვანეს, თვითონ კი ხეზე აძვრნენ და ქულბაის დაუყვირეს:

— გადააგდე ქვა, ხეზე ამოდი, თორემ დაგიჭერენო!

— არა, არა, დოლაბს არ გადავაგდებო! — არ ეპუებოდა ძმებს ქულბაი და დოლაბიანად გაჭირვებით მიფოფხავდა ხეზე.

როცა ქარავანი ხეს გაუსწორდა, ქარავნის პატრონმა ვაჭარმა თქვა:

— აი, რა კარგი ადგილია დასასვენებლად, აქ შევჩერდეთო.

მექარავნეები შეჩერდნენ, ცეცხლი გააჩაღეს და საჭმლის მომზადება დაიწყეს. ვაჭარი ცეცხლთან დაჯდა, ფეხები ცეცხლს მიუფიცხა.

— ოჰ, ხელები დამეღალა, გადავაგდებ დოლაბსო! — უჩურჩულა ძმებს ქულბაიმ.

— ნუ გადააგდებ, ჩვენ დავიჭერთო! — შეეშინდათ ძმებს.

— ქვა მე წამოვიღე და მევე გადავაგდებო, — უპასუხა ქულბაიმ და დოლაბს ხელი უშვა. ქვა ვაჭარს დაეცა თავში, ქვაბი გადაბრუნდა და ნაპერწკლები ზევით აცვივდა.

— ალაჰმა ჩვენი ცოდვებისთვის ქვები დაგვიშინაო! — დაიყვირეს ვაჭრის მსახურებმა და აქეთ-იქით გაიფანტნენ. კოცონთან მხოლოდ მოკლული ვაჭარი დარჩა.

ძმებმა ცოტა ხანს მოიცადეს, მერე ხიდან ჩამოვიდნენ და უფროსმა თქვა:

— ქულბაი რომ არ ყოფილიყო, ალბათ, სიცოცხლეს გამოვესალმებოდით. ახლა კი აღარ მოვცილდებით ქულბაისო!

ძმებმა აიღეს ვაჭრის მთელი ქონება, შინ დაბრუნდნენ, ცოლები შეირთეს. ახლა ერთი ქვაბიდან ჭამენ და ერთ ეზოში ცხოვრობენ.

აზრაილის გამოცხადება

ერთ კაცს აზრაილი გამოეცხადა და უთხრა:

— აბა, მოემზადე, შენი სული უნდა წავიყვანოო.

— ასე მოულოდნელად მოსვლა გაგონილა? რა იქნებოდა, გაგეფრთხილებინე მაინცო?

— კარგი, მომავალში გაგაფრთხილებო, — უთხრა აზრაილმა და გაფრინდა.

გავიდა ერთი წელი, მეორე, მეხუთე. აზრაილისაგან არაფერი ისმის.

— ეტყობა, კიდევ კარგა ხანს ვიცოცხლებო, — უხარია კაცს. მაგარამ აი, ერთ დღეს ისევ გამოჩნდა აზრაილი:

— აბა, ადამიანო, უკვე დროა, შენი სულისთვის მოვედიო.

— როგორ იქნება! აკი შემპირდი, გაგაფრთხილებო?!

— განა არ გამიფრთხილებიხარო?

— არ გაგიფრთხილებივარო.

— გაგაფრთხილე და ეგრე? სამჯერ გაგაფრთხილე. თმა გაგითეთრდა?

— გაგითეთრდა. ეს ჩემი პირველი გაფრთხილება, კბილები დაგცვივდა?

— დაგცვივდა. ეს მეორე გაფრთხილება. თვალი ადრინდელივით გიჭრის?

— აღარ გიჭრის. ესეც მესამე გაფრთხილებაო.

ალბასლი*

ორას ორმოცდაათი წლის წინათ იყო ორი და: აჟიი და კოჭლი ფათიი.

ერთხელ კოჭლი ფათიი აულიდან გასულიყო და მინდორში ბალახს გლეჯდა. ერთბაშად დიდი ტანის რაღაც არსება წამოიმართა. ფათიი წელში გასწორდა და შეხედა. შეხედა და რას ხედავს?! თურმე ალბასლი ყოფილა! უზარმაზარი ძუძუები დასთრევს. თანაც ცალი ძუძუ მხარზე აქვს გადაგდებული. ფათიი შიშით ადგილზე გაქვავდა, ენა ჩაუვარდა, მიწას დასჩერებოდა და თავის აწევას ვერ ბედავდა.

— ეი, ფათიი, რამდენიც არ უნდა უცქირო, დედამიწა არ გაილევა. ტყუილად ფიქრობ, რომ მაგით თავს უშველი. თუ გინდა, ცოცხალი გადარჩე, არავისთან წამოგცდეს, რომ მნახეო, — უთხრა ალბასლიმ და გაქრა.

გაიქცა შინ კოჭლი ფათიი და ყველაფერი აჟიის უამბო. თურმე ალბასლი ფანჯრიდან ხედავდა ამას. გაჯავრებული შეიჭრა აულში. აჟიიმ და ფათიიმ დაინახეს და კარი ჩაკეტეს. ალბასლიმ ჭიშკარი შეგლიჯა, ეზოში შევარდა. იქ სამი ძაღლი დახვდა. ისინი კუთხეში მირეკა, მერე სახლს მი-

ადგა და დაიძახა:

— ეი, ფათიი, მე რა გითხარი და შენ რა ჩაიდინე?! გგონია, კარს თუ ჩაკეტავ, გადამირჩები? ვერ მოგართვი!

თავსაფარი მოიგლიჯა და სახლის გარშემო ტრიალი დაიწყო.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია და ფათიის ქმარი მოუკვდა.

ბუგლინში დღესაც ცხოვრობენ აჟიისა და ფათიის ჩამომავლები. იმათ ერთი პატარა გოგოც ჰყავთ, აჟიი ჰქვია იმ უფროსი აჟიის პატივსაცემად.

ღმერთმა გვაშოროს ქალის მოტანილი უბედურებაო

ორი ძმა ერთ ოჯახად ცხოვრობდა. ერთხელ ძმები ეზოში ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. უმცროსმა თქვა:

— რა სიამტკბილობითა ვცხოვრობთო.

— სხვანაირად როგორ იქნება, ჩვენ ხომ ძმები ვართო! — გაუკვირდა უფროსს.

ეს გაიგონა მისმა ცოლმა და უთხრა:

— თქვენ რომ შეხმატკბილებულები ხართ, ეს ჩვენი რძლების დამსახურებაა. ჩვენა ვართ დებივით და თქვენც იმიტომა ხართ მეგობრულად, ჩვენი ოჯახებიც იმიტომ ცხოვრობენ თანხმობითო.

— თქვენ მანდ ჩუმად იყავითო! — შეუძახა უფროსმა ძმამ.

მეორე დღეს ძმებმა ცხვარი დაკლეს. უფროსმა რძალმა ცხვრის ერთი თირკმელი თავის შვილს მისცა, მეორე — უმცროსი რძლისას. უფროსმა რძალმა თავის შვილს თირკმელი ხელიდან გამოსტაცა და ეზოში მოისროლა:

— შენს შვილს დიდი თირკმელი მიეცი, ჩემსას კი — პატარა, შე უსირცხვილო, შენაო! მიიჭრა თავის ქმართან და გაცეცხლებულმა უთხრა: ჩვენს შვილს პატარა თირკმელი მისცა, თავისას კი — დიდიო. განაწყენებულმა უმცროსმა რძალმაც შესჩივლა ქმარს, ასე და ასე მოხდაო. მოჰყვნენ რძლები ერთმანეთის ლანძღვას, რა არ თქვეს! საქმეში ქმრებიც ჩაერივნენ, ქალები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ. ძმები თანდათან გაცხარდნენ, აყვირდნენ, ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენეს. ხანჯლებზეც კი გაიკრეს ხელი.

ამ დროს უფროსმა რძალმა თქვა:

— თქვენ კი რა გითხარით! ქვეყანას უნდა გააგებინოთ, რომ სულელები ხართ? სად გაგონილა, ცხვარს სხვადასხვა ზომის თირკმელი ჰქონდესო?

მოიტანეს თირკმელები, შეადარეს, ზუსტად ერთი ზომისა იყო.

— აი, ხედავთ? — თქვეს რძლებმა — ოჯახში თანხმობაცა და ჩხუბიც ჩვენზე ყოფილა დამოკიდებულიო!

ამის შემდეგ გაჩნდა ყუმუხებში თქმა: „ღმერთმა გვაშოროს ქალის მოტანილი უბედურებაო“.

ამბავი იმაზე, თუ როგორ შეარქვეს სახელი ენდირეის

დიდი ხნის წინათ აულ ენდირეის მტრის ლაშქარი მიუახლოვდა. ის-ის იყო, საძირკველს უყრიდნენ. არავინ იცოდა, ვინ იყო ის მტერი. ხან ყალმუხებს ეძახდნენ მათ, ხან — ხაზარებს,* ხან — აზარებს.*

აულს მიახლოებულებმა დაინახეს, სახლების საკვამურებიდან ბოლი ამოდიოდა. მეფემ ერთი სარდალი, სახელად ენდირეი გაგზავნა: გაიგე, იქ ვინ ცხოვრობსო.

სარდალი მივიდა და ნახა, სოფელში სულ ცხრა-ათი კომლი იყო.

— რა ხალხი ხართო? — იკითხა.

— ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც აქ ბინა დაიდოო, — უპასუხეს.

— მე ამა და ამ მეფემ გამომგზავნა. დაპყრობას გიპირებთ, თქვენს აულს დაეპატრონება, — უთხრა ენდირეიმ. — ვერ გაუმკლავდებით, ძალიან ცოტანი ხართო.

— ვერაფრით დავიხსნით თავსო?

— დაიხსნით, თუ ამ აულს ჩემს სახელს დაარქმევთო.

— დავარქმევთ, ოღონდ გვითხარი, რა უნდა ვქნათო.

— მთელი აულის მამაკაცები მოგროვდით, შესხედით ცხენებზე, მოამზადეთ სხვადასხვა ფერის დროშები: ლურჯი, ყვითელი, წითელი, თეთრი, ხან ერთი ფერის დროშა დაიჭირეთ, ხან — მეორე ფერისა და დილიდან საღამომდე ამ მთაზე ადით და ჩამოდით. მე ხანთან მივალ და ვეტყვი, რომ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ხალხი ხართ. ასე ამოძრავებულებს რომ დაგინახავთ, დამიჯერებს, თქვენთან შებმას მოერიდება და წავა. მე კი ჩამოვრჩები, დავბრუნდები და თქვენთან დავრჩები საცხოვრებლადო.

ასეც მოიქცნენ.

ენდირეი ხანთან მივიდა და მოახსენა:

— დიდო ხანო, ძალიან ძლიერი ხალხი ჩანს. თანაც იმდენი არიან, ვერ დათვლიო.

ამ დროს მთის კალთაზე ჯარი დაეშვა, ლურჯ დროშებს მოაფრიალებდნენ. ჯარმა იტრიალა, იტრიალა და მთას მოეფარა. მაშინვე მეორე გუნდი გამოჩნდა. მეომრებს ახლა წითელი დროშები ეჭირათ. ცოტაც

და შავდროშებიანი ჯარი გამოჩნდა, მერე ყვითელდროშებიანი, მერე — თეთრდროშებიანი. მოკლედ, ბოლო არ უჩანდა!

ხაზართა ხანი ხედავდა, რომ უკვე მოსაღამოვდა, ჯარი კი არ ილეოდა.

— არა, ამათთან საბრძოლველად ძალა არ მეყოფაო, — იფიქრა, მიაბრუნა თავის ლაშქარი და ჩრდილოეთისაკენ გაიქცა.

ენდირეი კი ჩამორჩა, აულში დაბრუნდა და იქ დარჩა. სწორედ იმ ენდირეის სახელი შეარქვეს აულს.

მუზაირის კურდღლები

ერთხელ ვინმე მუზაირმა თქვა:

— გუშინ, ტყიდან რომ ვბრუნდებოდი, ერთი ბუჩქის ძირას ასი კურდღელი დავინახეო.

— დაუჯერებელია! — თქვა მისმა ამხანაგმა.

— ასი თუ არა, ორმოცდაათი მაინც იქნებოდაო.

— კარგი ერთი, მუზაირ, ვის უნახავს ერთი ბუჩქის ძირას ორმოცდაათი კურდღელი?

— ორმოცდაათი თუ არა, ათი მაინც ხომ იქნებოდა? — გაჯიუტდა მუზაირი.

— რა უნდა ათ კურდღელს ერთი ბუჩქის ძირას, ტყეში სხვა ადგილი ველარ ნახეს?

— ღმერთმანი, ნამდვილად დავინახე! მაგრამ რა ვიცი, იქნებ ათიც არ იყო, არ დამითვლია. ყოველ შემთხვევაში, ხუთი მაინც იქნებოდა.

— არც ხუთი იქნებოდა.

— როგორ არა, იყო, თვითონ დავინახე ერთ-ერთი.

— არა მგონია, ერთი მაინც გენახა.

— ღმერთმანი, ბუჩქის ძირას რაღაც ფაჩუნი ნამდვილად ისმოდა!

ანდაზები

ავი შვილი ზედმეტი თითივით არის: მოიკვეთავ — გეტკინება, არ მოი-

კვეთავ — გაგაწამებს.

ალმასს ალმასით ჭრიანო.

ლაჩრის ცოლობას გმირის ქვრივობა სჯობსო.

მგელს კრავი შეეცოდა და თვითონ შეჭამაო.

საკუთარ ქვეყანაში გატარებული შავი დღეებიც ზეიმი და ქორწილიაო.

სახედართან ჭვავის ჭამას ცხენთან ქვიშის ჭამა გერჩივნოსო.

უნამუსო სიცოცხლეს ნამუსიანი სიკვდილი სჯობსო.

ხალხის სიტყვა ვაჟკაცის ხმალზე ძლიერიაო.

ხე ნაყოფით ფასდება, კაცი — საქმით.

პოეზია

ყაიდარი და ყიზილ-გული
(ნაწყვეტი)

თუ გინდათ, გეტყვით,
წვრილად გიამბობთ.
რაკილა მთხოვთ,
გასიამოვნებთ.
ამ სიმღერაში არ ჩამიდვია
არაფერი გასართობად ან სახუმაროდ.
დასხედით და ყური დამიგდეთ.
გიამბობთ, როგორ შემიყვარდა
ულამაზესი ყიზილ-გული.
როგორც მიჯნური,
ვეხეტებოდი ჩვენს ველებზე.
ახლა დრო დადგა, ყარაიდარმა თავისი გული გადაგიშალოთ.
მოდით, დასხედით, მოისმინეთ
სიმღერა ორ შეყვარებულზე:
თავზე გიბრწყინავს
ცეცხლისფერი არახჩინი,
სიასამურის ბეწვის ქუდი.
ბავშვობიდან ლამაზი ხარ.
სულ თვალწინ მიდგას
შენი წარბები, წამწამები.
როცა ბნელში გაივლიდი,
სინათლის სხივი დაგყვებოდა.
ყიზილ-გულ, ნეტავ ერთხელაც
გვათამაშა შენს ლამაზ ბაღში, —
გაიფანტებოდა ჩემი ნაღველი.
დავრჩი ამქვეყნად შენთან გაყრილი.
რა მწარეა საყვარელ ქალთან განშორება.

ყიზილ-გულ, შენ ხომ
ბავშვობიდან გეკუთვნოდა
ეს ჩემი გული!
აღარ ვინაღვლებ, რაც გადამხდა,
ოღონდ კეთილი ბოლო ჰქონდეს
ჩვენს დიდ სიყვარულს.
უჩემოდ დარჩა ყიზილ-გული
თეთრ სასახლეში.
ზის, მწარედ მოთქვამს:
„შავია ჩემი ნაღველი და
მთასავით დიდი ჩემი დარდი.
ყარაიდარ, ვინც დაგვაშორა
ჩვენი მტერია...
ვიდრე წახვალ, მიწას გამაკარ,
ხმლით ამკუწე.
მთელი ცხოვრება
შენს ლოდინში უნდა გავლიო.
ამას მიჯობს, დამკლა, ამკუწო“...

ყიზილ-გული ზის მომლოდინე
თავის ქათქათა სასახლეში.
რკინის სავარცხლით თმებს ივარცხნის.
წითური თმები ბეჭებს უფარავს.
თმებს ივარცხნის —
თითქო ნამქერი ტრიალებსო.
ჭრელი თავსაფარი მოუხვევია,
ხელები ინით შეუღებავს.

აზავნური

ყალმურზა ბეგი მთელ დღეს ღრეობდა.
საღამო ხანს კი, მზის ჩასვლის შემდეგ,
აბაზეკს* წასვლა მოიწადინა.
მოიწადინა და აზავნურთან მივიდა იგი.
აი, რა სიტყვებს ეუბნებოდა:
— აზავნურ, ადექ, ცხენს მთებისკენ უქენი პირი,

გააწყვე შენი მშვილდ-ისარი, მტერს დაუმიზნე!
ზავნურმა კი ეს უპასუხა:
— არ ავდგები, არ ავდგები, ჩემო ბატონო,
ცხენს მთებისაკენ პირს არ ვუზამ,
არ გავაწყობ ჩემს მშვილდ-ისარს.
დიდი ნადავლის საშოვნელად მე ხმალს არ ავწევ ჩერქეზებზე!
— აზავნურ, რად გაუჩნდი დედას ლაჩარი?!
ნუ მეურჩები, თორემ წაგართმევ ბედაურს და
ხმალს შენს კისერზე ფხას გავუსინჯავ!
შენს ლამაზ ცოლს, ოთაურში* რომ დაგისვამს, ჩემთან წავიყვან.
სიბერის დღეებს გავუმწარებ შენს მოხუც მშობლებს,
სამათხოვროდ გავუხდი საქმეს.
ეი, აზავნურ, ადექი-მეთქი, გეუბნები!
ცხენს მთებისაკენ უქენი პირი,
მტერს დაუმიზნე შენი ისარი!
— არა მყავს ცხენი, რომ შევკაზმო,
არც ტანსაცმელი გამაჩნია,
არც ისარი მაქვს — კაპარჭში ჩავდო,
არც დენთი მაქვს — თოფი გავტენო.
— მე მოგცემ ცხენს, რომ შეკაზმო,
ტანსაცმელს მოგცემ, რომ ჩაიცვა.
კაპარჭს ისრებით გაგივსებ,
დენთს მოგცემ, რომ თოფი გატენო!
— ჩემო ბატონო, ცხენს შევკაზმავ და გამოგყვები,
მაგრამ არა შენი გულისთვის.
ჩემი დედ-მამის, ჩემი ლამაზი ცოლისათვის.
აზავნური შინ მივიდა მოხუც მამასთან.
აი, რა უთხრა:
— მამაჩემო, კარგად იყავი. ძაღლმა ყალმურზამ
მთელი თავისი ბოროტება ჩვენსკენ მომართა.
თუ ბრძანებას არ შევუსრულებ,
სახლ-კარს დაგვინგრევს, ვერანად გვიქცევს,
თავებს დაგვაჭრის.
ეს რომ არ მოხდეს, ცხენს ვკაზმავ და
მთაში მივყვები.
რას მეტყვი, მამავ?
— წადი, შვილო, კეთილად გეევლოს.

შენს დანახვაზე წიწილებივით გაიფანტოს
შენი დუშმანი.
კარგი ვაჟკაცის გზაზე გევლოს!
შინ უვნებელი დამიბრუნდი!
იმ ოთახში დედაშენი ზის.
ღამით ორმოცჯერ რომ დგებოდა შენი გულისთვის,
თავისი მკერდით რძესა და სისხლს რომ განოვებდა,
მუხლზე ეჯექი და კალთაში, როგორც აკვანში,
ისე გარწევდა.
ვიდრე წახვალ, დედასთან შედი!
ზავნური შევიდა და აი, რა უთხრა:
— დედაჩემო, კარგად იყავი.
ღამით ორმოცჯერ რომ დგებოდი ჩემი გულისთვის,
შენი მკერდით რძესა და სისხლს რომ მაწოვებდი,
ჭეშმარიტ გზაზე რომ მაყენებდი,*
თავს მირჩევნიხარ.
ძაღლმა ყალმურზამ მთელი თავისი ბოროტება ჩვენსკენ მომართა.
თუ ბრძანებას არ შევუსრულებ,
სახლ-კარს დაგვინგრევს, ვერანად გვიქცევს,
თავებს დაგვაჭრის.
ეს რომ არ მოხდეს, ცხენს ვკაზმავ და
მთაში მივყვები.
რას მეტყვი, დედავ?
— წადი, შვილო, სიკეთით გევლოს!
გზაზე მზის სხივი მოგეფინოს!
გზააბნეულს ჭეშმარიტი გზა მიასწავლე,
დაცემულს ხელი გაუწოდე, წამოაყენე.
შენს მოხუც დედას შინ უვნებელი დაუბრუნდი.
იმ ოთახში ზის შენი და,
ვინც დედის საშოს შენთან იყოფდა,
ვისაც ძუძუს ეცილებოდი,
ვისაც ნაფიქრალს უზიარებდი, რჩევას ჰკითხავდი.
ვიდრე წახვალ, შენს დასთან შედი.
აზავნური დასთან შევიდა. აი, რა უთხრა:
— შენ, ვინც მიყოფდი დედის საშოს,
ვინც დედის ძუძუს მეცილებოდი,
ვისაც ნაფიქრალს გიზიარებდი, რჩევას გკითხავდი.

ჩემო დაიკო, კარგად იყავი!
ძაღლმა ყალმურზამ მთელი თავისი ბოროტება
ჩვენსკენ მომართა.
თუ ბრძანებას არ შევუსრულებ,
სახლ-კარს დაგვინგრევს, ვერანად გვიქცევს,
თავებს დაგვაჭრის.
ეს რომ არ მოხდეს, ცხენს ვკაზმავ და
მთაში მივყვები.
რას მეტყვი, დაო?
— წადი, ძმაო, სიკეთით გევლოს!
შენს დას მშვიდობით დაუბრუნდი!
იმ ოთახში შენი ცოლი ზის,
ის, ვინც აკვანში შენზე დაწინდეს,
ვინც ხუთი წლისა შენს საცოლედ გამოაცხადეს,
ვინც ათი წლისა პირველად ნახე,
თხუთმეტი წლისა შენს ოთაუში მოიყვანე,
ვისი შოკანაც* მიწას სწვდება,
ვინც გაგიხედნა ბედაური,
ვის თეთრ თორზე* ჯერ ბუზიც კი არ დაფრენილა,
ვისი წყევლაც ჯერ მიზანს არ ასცილებია.
ვიდრე წახვალ, შენს ცოლთან შედი.
აზავნური შევიდა ცოლთან. აი, რა უთხრა:
— შენ, ვინც აკვანში ჩემზე დაგწინდეს,
ვინც ხუთი წლისა ჩემს საცოლედ გამოგაცხადეს,
ვინც ათი წლისა პირველად გნახე,
თხუთმეტი წლისა ჩემს ოთაუში მოგიყვანე.
ვისი შოკანაც მიწას სწვდება,
ვინც გამიხედნა ბედაური,
ვის თეთრ თორზე ჯერ ბუზიც კი არ დაფრენილა.
ვისი წყევლაც ჯერ მიზანს არ ასცილებია.
ჩემო ცოლო, კარგად იყავი.
ძაღლმა ყალმურზამ მთელი თავისი ბოროტება
ჩვენსკენ მომართა.
თუ ბრძანებას არ შევუსრულებ,
სახლ-კარს დაგვინგრევს, ვერანად გვიქცევს,
თავებს დაგვაჭრის.
ეს რომ არ მოხდეს, ცხენს ვკაზმავ და

მთაში მივყვები.
რაო, რას მეტყვი, ჩემო ცოლო?
მაშინ ცოლმა აი, რა უთხრა:
— აკვნის ბავშვი დამწინდეს შენზე,
ათი წლისამ გაგიცანი,
თხუთმეტი წლისა ვიყავი, როცა
ერთ ბალიშზე დავდეთ თავი.
მე გაგიხედნე ბედაური. აღვირის ნაცვლად
აბრეშუმის ყაითანი ამოვდე და დავიმორჩილე.
ერთ ხელში კარაქს მოგართმევდი, მეორეში — ჩაის.
თავისუფლება მოგანიჭე.
შენზე ავის მთქმელს პირი სისხლით ამოვუვსე.
თავს თაფლით გბანდი,
წელზე დევგმირის სარტყელს გარტყამდი.
ცოტა ხანში შვილს გაგიჩენდი.
რა ვიცოდი, თუ ყალმურზასნაირ გარეწართან
საქმის დაჭერას მოინდომებდი?!
ნადავლის ხელში ჩასაგდებად აბეზეკებს მიადგებოდი?!
რა ვიცოდი, რომ მე უბედურს
ჩამოურეცხავ სირცხვილს მაჭმევდი?
ჩემო ბატონო, შემომხედე, ყური დამიგდე!
მურზები შენი მოკეთეები არ არიან!
ნოღაელები ხომ გვასწავლიან:
„ვერაგობას კარგი ბოლო არ ექნებაო“.
შენნაირი ვაჟკაცები მურზებს ფეხქვეშ რად ეგებიან?!
თუ გაიგონებ, ჩემო ბატონო, აი, ეს არის ჩემი სიტყვა,
თუ არადა — რაღა უნდა ვქნა?
არ წახვიდე, არ წახვიდე, ჩემო ბატონო!
თავს ნუ შეირცხვენ.
თუ გასაჭირში ჩავარდები, მე ვიქნები შენი პატრონი —
ეს იქნება ჩემი პირობა, თუ დამიჯერებ,
თუ არ აჰყვები ყალმურზას სურვილს.
მაგრამ თუ მაინც წასვლას აპირებ,
აი, რას გეტყვი:
— წადი, აზავნურ! შენი ცხენი
ბოროტი ხალხის გზას გაუყენე!
მოხუც მამას ცოცხალი ნუმც დაჰბრუნებიხარ!

ჩემი შეკერილი ბეშმეტის* ყოველ გვირისტში
თითო ისარი მოგხვედროდეს!
ყოველ ღილში კი — თითო ტყვია!
შენს ბედაურს დაეპატრონოს
მთაში მცხოვრები ვინმე ჩერქეზი.
აბეზეკების ცხენთა ჩლიქებით
გაგჩეჩქვოდეს ლამაზი, მაგრამ უჭკუო თავი.
დილას, როცა მე უბედური თავს წამოვწევ და გავიხედავ,
რას დავინახავ?
მურზას კარზე მორეკავენ ნადავლ პირუტყვს,
ჩემთან კი ურმით ცხედარი მოაქვთ.
მხოლოდ ერთ წელს ჩავიცვამ შავებს.
ერთი წლის თავზე გავთხოვდები.
თუ ვერ გავთხოვდი, დედ-მამის სახლში დავბრუნდები,
ატირებული მივადგები უბედურ მშობლებს.
ჩემი ბედიც ესაა ყოფილა.

ამის გამგონე აზავნურმა ჩერქეზეთში ლაშქრობაზე
ხელი აიღო.

ქარების კლდე

I

ქარების კლდეო, ააჟღერე შენი საკრავი!
თუ ქარიანი ამინდია, მზე რას გაგათბობს?!
ყვავილს რა გაზრდის ჩვენს მიწაზე,
თუ მას მუდამ თელავს მტრის ფეხი?!
წყალს ასმევს წვიმა დედამიწას.
მტერს მხოლოდ გმირი შეაჩერებს.
მტერზე მიდიან გულადები,
ლაჩრები კი შინ შეყუჟულან, იმალებიან.
ბატები მშვიდად ველარ იფრენენ,
თუ შევარდენი ცაში ბოინობს.
როცა გმირები მტერზე მიდიან,
სიკვდილსაც არად დაგიდევენ.

II

მიმინო კარგი ფრინველია.
რა ვუყოთ, თუ ფრთები მოკლე აქვს?
იცის, როგორ ჩაიგდოს ხელში ბატი, რომელიც
გადაფრენის დროს გუნდს ჩამორჩა.

შევარდენი კარგი ფრინველია.
რა ვუყოთ, თუ ტანად მომცროა?
იცის, როგორ ჩაიგდოს ხელში გედი, რომელიც
გადაფრენის დროს გუნდს ჩამორჩა.

რა ვუყოთ, თუ ღარიბია
ვაჟკაცი მამის ვაჟკაცი შვილი?!
სისხლიანი შეტაკების დროს
ნაღვლის ბუშტს ისე ამოაცლის მტერს,
რომ მუცელსაც კი არ გაუკაწრავს.*

III

ბედაური სიგამხდრით არ დაიწუნება.
აქაოდა გამხდარიაო,
არ ამჯობინო ნამდვილ ბედაურს
სამი წლის კვიცი!
გულად ვაჟკაცს სიღარიბით
ნუ დაიწუნებ, ნუ დაამცირებ.

მერე რა, თუ ებეს* ცხენი
კარგად სუქდება?
არც კი იფიქრო, ამ ჯიშის ცხენი
სანაშენე ულაყად გყავდეს.
სანაშენედ თუ აირჩევ ამ ჯიშის ულაყს,
უნდა იცოდე — არ გეყოლება ისეთი ცხენი,
ნისლში, ქარბუქში რომ გატაროს,
რომ დალახოს მთის ბილიკები.
სიღარიბეს თავს დააღწევ,
თუ შეირთავ ბატონის ასულს?
მაშინ იცოდე:
ბატონის ქალი ვერ გაგიჩენს

ისეთ ვაჟკაც შვილს,
ხელში იარაღს რომ აიღებს
და გადარეკავს თქვენი მიწიდან
მომხდურს, სისხლისმღვრელს.

IV

კოდის ძირში ყვითელი თაფლი
ღმერთმა შეარგოს გულად ვაჟკაცს.
ის კი, ვინც დედას
მხდალად, ლაჩრად გაუჩენია,
ვინც გინდა იყოს —
ხანის შვილი თუ ბატონისა —
ღმერთმა დასწყევლოს!
კარგი ვაჟკაცი, თუნდაც
ერთადერთი შვილი იყოს
თავის დედ-მამის,
იყოს პირველი ყველაფერში!
განა არა სჯობს ერთი კარგი
ბევრ უხეიროს?
ერთი იყოს და კარგი იყოს,
უერთგულოს ვაჟკაცის სახელს,
მაგარი იყოს,
როგორც ნაგრეხი აბრეშუმი.

აქქერმანელი ლამაზი ქალი

აქქერმანელი ლამაზი ქალი
  საჩექმენე* მატყლს წეწავდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
  საჩექმენე მატყლს ჩეჩავდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
  საჩექმენე ფთილებს აწყობდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
  საჩექმენე ძაფს ართავდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
  საჩექმენე ძაფს ძახავდა;

აქქერმანელი ლამაზი ქალი
საჩექმენე მაუდს ქსოვდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
საჩექმენე მაუდს რეცხავდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
საჩექმენე მაუდს აშრობდა;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
ჩექმენს გამოჭრიდა იმ მაუდიდან;
აქქერმანელი ლამაზი ქალი
ჩექმენს კერავდა იმ მაუდისას;
რომ შეკერავდა, ჩაიცვამდა?

მოშღერალი და მგელი

ჩვიდმეტ ნოემბერს
ცხენს მოვახტი,
აულებს გვერდი ავუარე,
შიგ არ შევედი.
ვიცოდი, რომ ერთ აულში
ქორწილი იყო გაჩაღებული.
იქ მივდიოდი.
ჩამციებოდა ჩემი ცოლი:
„რატომ არ დგები,
ცხენს არა კაზმავ?
რას ჩამომჯდარხარ ამ სახლში,
სადაც ჩაის მეტი არაფერია?!"
ღამე ქორწილში გავატარე.
სისხამ დილით შინ ვბრუნდებოდი.
კარგ ხასიათზე ვიყავი და
ჩორთით მომყავდა ჩემი ტაიჭი.
შუა გზაზე შემომეგება
თვალცრემლიანი ჩემი გოგონა.
„მამა, თხა მგელმა შეგვიჭამაო.
ჰაჯი ქოქოზმა დაცინვით მკითხა:
— სადა ბრძანდება მამაშენიო?
როცა ვუთხარი, სადაც იყავი,

გაიცინა: კარგი ქნა მგელმა,
თქვენი თხა რომ შეახრამუნა".
გულნატკენი ჩამოვქვეითდი,
თავს შევუძახე: კარგად დაფიქრდი,
გახსოვდეს, რომ მომღერალი ხარ!
ჩემს გოგონას კი
ასე ვუთხარი:
— ნუ ტირი, შვილო,
გულბოროტმა ადამიანმა
რაც უნდა, ის თქვას.
მგელს შევეკვრები
და, თუ კაცი ვარ,
ყველას მივუზღავ სამაგიეროს.
მგელმა ყვითელი თხა შეგვიჭამა.
იმ თხის გარდა ჩვენს ეზოში
ერთი პირუტყვიც არ ჭაჭანებდა.
— ეჰეი, მგელო, რა დაგიშავე,
რატომ შევარდი ჩემს გომურში?
რად დამივიწყე ყველა სიკეთე?!
არ გახსოვს, განა? ბავშვობაში
ბურთის თამაშით გავერთობოდი და
ფარის მოვლა მავიწყდებოდა.
რამდენი ცხვარი შეგაჭამე?
შენი სიმარჯვით აღტაცებული
გზას ვუბნევდი და
სულ სხვა მხარეს ვაძლევდი გეზს
შენს დასაჭერად გამოსულ მდევარს.
მგელო, არ უნდა დაგვიწყებოდა
ჩემი ამაგი.
ერთადერთი თხა შემიჭამე?
არ გეღირსება სიხარული!
ახლა მე შენზე ბოროტი ვარ!
ბატონო მგელო,
ჩემი თხის ხორცით გამაძღარი
წევხარ, ნებივრობ.
როგორ მინდა, ეგ ხახა-პირი
სისხლით მოთხვრილი დავინახო!

ცხენს მოვახტები, დაგედევნები,
დაგეწევი და ერთი დარტყმით
სულს ამოგართმევ, ჩაგაძაღლებ.
აი, მგელმა რა მიპასუხა:
— ნუ მიჯავრდები, მომღერალო.
შხამად შემერგოს იმ თხის ხორცი!
რა ვიცოდი, თუ შენი იყო?
საღამომდე არ ვიცოცხლო,
თუ გულში შენი მტრობა მქონოდეს.
— ტყუილად ნუღარ იფიცები,
თავს ნუ ისაწყლებ!
წყეულიმც იყავ!
სამ წუთშიაც გაგძრობია
ეგ მყრალი სული!
— ეჰ, ჩემო კარგო მომღერალო!
ჩემს ერთადერთ ლეკვს გეფიცები,
შენი სახლის სიახლოვეს
აღარ გავივლი.
— ღმერთმა დაგწყევლოთ
შენაცა და ის შენი ლეკვიც!
მოგიკვდეს ლეკვი!
მარტო დარჩენილს
ისე მოგექცეს ყბა,
ყმუილიც ვეღარ შეიძლო!
— მე ტყუილად არ გეფიცები,
ჩემს თავს გაძლევ მოსაჭრელად.
შენი ხმალი და ჩემი კისერი!
გააკეთე, რაც გულმა გითხრას!
მაგრამ იცოდე:
თუ ჩემი სისხლით ხელს არ გაისვრი,
აქედან სულ დავიკარგები.
სადმე შორს წავალ.
ოღონდ, მითხარი, სად წავიდე?
— ერთ რჩევას მოგცემ:
წადი, ჰაჯი კოკოზთან მიდი!
იქ შეგიძლია, კარგად გამოძღე.
ერთი ძველი ფილთა თოფი აქვს.

იმის გატენვას ნახევარი საათი უნდა.
ვიდრე გატენის, კიდეც მოასწრებ —
თერგს გადაცურავ.
კოკოზის ჯავრი ამომყარე,
დიდი ზარალი მიაყენე!

* * *

მადლობელი ვარ, ძმაო მგელო,
ჩემი თხოვნა რომ შეასრულე
და ჰაჯი* კოკოზს
მთელი ფარა რომ დაუგლიჯე.

ბოლათის შვილი ბათირბეკი

დიდი ხნის წინათ ერთ აულში ერთი ბერიკაცი ცხოვრობდა, ბოლათი ერქვა. ერთი ვაჟი ჰყავდა, სახელად ბათირბეკი. ერთი ცხენიც ჰყავდათ. ბათირბეკს ცხენი ყოველდღე დასარწყულებლად დაჰყავდა. ჭა აულიდან კარგა შორს იყო. მთელი აულის ყმაწვილკაცობა იქ იყრიდა თავს. იქიდან წამოსულები ერთმანეთს ცხენის ჭენებაში ეჯიბრებოდნენ. ბათირბეკის ცხენი ყოველთვის უკან რჩებოდა. ბათირბეკს ეს ძალზე ეთაკილებოდა. ერთხელაც ველარ მოითმინა და მამას შესჩივლა:

— მამა, რაც შემიძლია, ვუვლი ამ ცხენს, თვალს არ ვაშორებ, ძღომაზე ვაჭმევ. ის კი ყველას უნდა ჩამორჩეს. რა იქნება, ერთი ფეხმარდი ცხენი მიყიდეო.

მამა შეჰპირდა, უეჭველად გიყიდი კარგ ცხენსო. მოხუცმა იცოდა, თუ კარგი ცხენი ეყოლებოდა, მისი შვილი ყველას დაანახვებდა, როგორი ვაჟკაციც იყო.

მეორე დღეს ბოლათი დილაადრიან ადგა, სიტყვა არავისთან დაუძრავს, ისე წავიდა ხანის მინდორში. იქ ათასი ცხენი ბალახობდა. მწყემსს უთხრა, რა გასაჭირიც ადგა და დაიწყო ცხენის არჩევა. დილიდან საღამომდე არჩია, სათითაოდ სინჯა, მაგრამ მოსაწონი ვერა ნახა.

მწყემსმა უთხრა:

— ხანს რვა საძოვარი კიდევა აქვს, იქაც ნახეო.

წავიდა ბოლათი ხანის მეორე საძოვარზე. მივიდა და იქაც ათას ცხენში ეძება, მაგრამ ვერ იპოვა, როგორიც უნდოდა, ისეთი ცხენი.

ასე იარა ცხრა დღე. ხანის ცხრავე საძოვარი მოიარა, სინჯა და ამოწმა ხანის ცხრა ათასი ცხენი, მაგრამ ერთიც არ გამოდგა ისეთი, ბათირბეგს რომ სჭირდებოდა.

ის იყო, შინ უნდა დაბრუნებულიყო, რომ იფიქრა: აბა, ერთი, მეზობელი ხანის საძოვრებზეც ვნახოო.

დაადგა მეზობელი სახანოს გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა, გზაზე ეტლის ნაკვალევს გადააწყდა. ეტლში შებმული ცხენის კვალს დააკვირდა თუ არა, მიხვდა, რომ ნამდვილი რაში უნდა ყოფილიყო, სწორედ ისეთი, როგორსაც ეძებდა.

მაშინვე გააჭენა ბოლათმა ცხენი, კვალს მიჰყვა და საღამო ხანს რომე-

ლიღაც აულში შევიდა. კვალმა ერთ სახლთან მიიყვანა. ბოლათმა სახლის პატრონს ჰკითხა:

— ვინ იჯდა იმ ეტლში და სად წავიდაო?

— ვიღაც მათხოვარი იჯდა და მეზობელ აულში წავიდაო.

გაიხარა ბოლათმა და ისევ გაჰყვა კვალს. მაშინ წამოეწია მათხოვარს, როცა ის აულის მოედანზე შევიდა და ერთ ჭიშკართან შეაჩერა ეტლი. ბოლათი მიუახლოვდა:

— ცხენს ხომ არ გამიცვლიდიო? — ჰკითხა.

ბოლათის ცხენი ნასუქი იყო, ბალანი უბზინავდა, აბრეშუმივით ფაფარი ჰქონდა. მათხოვრის ცხენს კი ფაფარი გასცვივნოდა, ისეთი გამხდარი იყო, ნეკნები დაეთვლებოდა. მაგრამ ბოლათს ცხენებისა გაეგებოდა. მაშინვე მიხვდა, მის წინ ნამდვილი რაში იდგა.

— დამცინი? — იწყინა მათხოვარმა, — ჩემი ჯაგლაგი თავის თავს ძლივს დაათრევს, სხვას რაში გამოადგებაო.

ბოლათი ეფიცებოდა, არა ვხუმრობო, მაგრამ მათხოვარს გაგონება არაფრისა უნდოდა. მათ გარშემო ხალხი შეიყარა.

— ბედი კარზე მოგდგომია, რატომ უარობ, გაუცვალეო, — ურჩევდნენ მათხოვარს.

როგორც იქნა, დაიყოლიეს.

— კარგი, რაკი არ იშლი, გავცვალოთო.

ჩამოხდა ბოლათი ცხენიდან, მოხსნა უნაგირი და მიუყვანა მათხოვარს. იმანაც გამოუშვა ეტლიდან თავისი ჯაგლაგი და ბოლათს გადასცა.

ლამის ატირდა ბათირბეკი, როცა დაინახა, როგორი ცხენი მოუყვანა მამამ. მეზობლებმაც მასხარად აიგდეს: დაბერდი და ჭკუა გამოგელიაო.

ბოლათმა აიღო არგანი,* მივიდა ხანის სასახლეში. უამბო ხანს, როგორ ეძებდა და არჩევდა შვილისათვის ფეხმარდ ცხენს, ბოლოს როგორ შეხვდა მეზობელ სახანოში ვიღაც მათხოვარს და როგორ გაუცვალა თავისი ცხენი ნამდვილ რაშში.

— მართალია, ჩემი ცხენი უთვალადოა, ჯაგლაგს ჰგავს, მაგრამ თუ მომავლევინებს, ისეთი რაში დადგება, ყველა დოღში გაიმარჯვებს და სახელს მოგიტანსო.

მოეწონა ხანს ეს სიტყვები, ისიც იცოდა, ბოლათს ცხენებისა გაეგებოდა. ბრძანა, მიეცით სუფთა ქერი ჩემი ამბრიდანო.

დაუწყო ბათირბეკმა ცხენს სუფთა ქერის ჭმევა. წყლის მაგივრად, როგორც მამამ დაარიგა, რძეს ასმევდა. ასე გააგრძელა ორი კვირა. ცხენმა თვალსა და ხელს შუა ხორცი შეისხა, მოიხედა. ბათირბეკმა გაიხარა. უხარია ბოლათსაც, რომ არჩევანში არ შემცდარა.

— ერთი თვე, ანუ ოთხი კვირა კიდევ აძლიე ქერიო, — უთხრა შვილს.

აი, ცხენმა მუხლიც გაიმაგრა და ისეთ ლამაზ რაშად იქცა, იმ მხარეში ბადალი არ ჰყავდა.

ბოლათი ხანს ეახლა და ყველაფერი მოახსენა. ხანმა ბრძანა, რაში მომგვარეთ, მაჩვენეთო. მიჰგვარეს. ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა, დოღის მერე ჩემს საჯინიბოში დავიტოვებო.

— ვინ შევსვათ ამ ცხენზეო? — ჰკითხა ბოლათს.

— ამას ჩემი შვილის, ბათირბეკის მეტი თავს ვერავინ დაუჭერსო.

დაბრუნდა მოხუცი შინ და ბათირბეკი დაარიგა, როგორ მოეგო დოღი.

რა დაარიგა? ჯერ სადა ხართ, მერე გაიგებთ!

ხანმა დოღის დღე დანიშნა. მეზობელი აულებიდანაც მოიწვიეს ცნობილი ვაჟკაცები. დათქმულ ადგილზე შეიყარნენ. ბოლათი და მისი შვილიც მოვიდნენ. დოღის მანძილად ერთი დღის სავალი გზა დათქვეს.

სისხამ დილით მხედრებმა თავთავიანთი ადგილი დაიკავეს და ხანის ნიშანზე დოღი დაიწყო.

ბათირბეკმა, როგორც მამამ დაარიგა, ცხენს წინა ფეხებზე მძიმე ქვები დაჰკიდა. ამიტომ გზის დასაწყისში ძალიან ჩამორჩა. ცხენი ამას ვერ ეგუებოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წინ იწევდა. როცა მთელი ტანი თეთრი ქაფით დაეფარა, ბათირბეკი ჩამოქვეითდა, ცხენს ფეხებიდან ქვები მოხსნა, ცოტა გაატარ-გამოატარა და ისევ შეჯდა.

უნდა ვთქვათ, კიდევ რა დაარიგა მამამ ბათირბეკს:

— სადავე სამ ადგილზე გამოკვანძეო.

ვიდრე ხელახლა გააჭენებდა, ბათირბეკმა პირველი კვანძი გახსნა. გახსნა და თვალები დახუჭა. რომ გაახილა, ნახა, უკვე წამოსწეოდა წინ მიმავალ მხედრებს. გახსნა მეორე კვანძი, დახუჭა თვალები და რომ გაახილა, ნახა, რომ მისი ცხენი სხვებზე ადრე მისულიყო იმ ადგილზე, სადაც დოღი მთავრდებოდა.

მამამ გააფრთხილა ბათირბეკი:

— არამც და არამც მესამე კვანძი არ გახსნაო, მაგრამ გამარჯვებით გახარებულს ეს დარიგება აღარც გახსენებია — მესამე კვანძიც გახსნა.

გახსნა თუ არა, რაში ქარივით გაფრინდა — ველარაფერმა შეაჩერა.

მოსაღამოვდა. რაში ზღვის ნაპირზე მიჭენდა და პირდაპირ ზღვას მისცა თავი. ბათირბეკმა ძლივს მოასწრო გადმოხტომა. რაში ზღვაში გაუჩინარდა. რამდენი არ უძახა პატრონმა, ვერ მოაბრუნა.

რა უნდა ექნა უკაცრიელ ნაპირზე დარჩენილ ბათირბეკს?! მოჭრა ლელქაში, პატარა ქოხი აიშენა და დასაძინებლად დაწვა. როცა გაიღვიძა, მზე კარგა ხნის ამოსული იყო. უცებ, ქოხის თავზე რაღაცამ გაიშრიალა,

ჩიტების ფრთების ხმას ჰგავდა. მერე ზღვაში წყლის დგაფუნი ატყდა, თითქოს ვიღაც ბანაობსო. ბათირბეკი ჩუმად გამოძვრა ქოხიდან, ხედავს, ზღვაში სამი ულამაზესი ქალი ბანაობს. მათი ტანსაცმელი — ძალიან ლამაზი და მდიდრული — ნაპირზე ალაგია.

ყმაწვილმა მოხვეტა ტანსაცმელი, ქოხში შეიტანა და ზედ დაწვა. თურმე, ის ქალები ჯადოქარი დები ყოფილან. თავიანთ ტანსაცმელს რომ იცვამდენენ, თეთრ გედებად იქცეოდნენ, თუ გაიხდიდნენ, ჯადოსნურ ძალას კარგავდნენ.

გამოვიდნენ დები ნაპირზე. ხედავენ, ტანსაცმელი აღარ არის!

— ალბათ, ქარმა წაიღოო, — თქვა უმცროსმა დამ.

ამ დროს შუათანამ წამოიძახა:

— ნახეთ, ნახეთ, ქვიშაზე ადამიანის ნაკვალევიაო!

უფროსმა დამ თქვა:

— გამიგონია, ამ ქვეყანაზე ერთი ბათირბეკი ცხოვრობს. ცხენების მცნობის ბოლათის შვილი. მამამისს მისთვის რაში უშოვია. ხომ იცით, დღემდე ჩვენს სამფლობელოში კაცს არ შემოუღწევია. ამას მხოლოდ თავის რაშზე ამხედრებული ბათირბეკი შეძლებდა. ეტყობა, რაში ვერ დაიმორჩილა და ზღვაში გაექცა.

დებმა გაიშალეს გრძელი თმები, შიგ გაეხვივნენ და ქოხთან მივიდნენ:

— ბოლათის ძეო ბათირბეკ, ჩვენი ტანსაცმელი დაგვიბრუნე და სამაგიეროდ, რაც გინდა, გვთხოვეო, — უთხრა უფროსმა დამ.

ბათირბეკი მათ ტანსაცმელს ზედ აწევს, მალავს.

— მინდა, ჩემი ცხენი დამიბრუნდესო.

— ეგ ჩვენს ხელთ არ არის, რაში არ დაგვემორჩილება. სამაგიეროდ, თვალის დახამხამებაში შინ დაგაბრუნებთო, — უთხრა შუათანა დამ.

— ხალხის თვალში შერცხვენილს შინ რა დამაბრუნებს? აულში თავი როგორ გამოვყო, თუ უნაგირზე ჯდომაც კი არ შემიძლიაო? — წამოიძახა ბათირბეკმა.

— მაშინ ერთ-ერთი ცოლად შეგვირთე. ჩვენზე ლამაზ ქალს ქვეყანაზე ვერ ნახავო, — უთხრა უმცროსმა დამ, რომელსაც ბათირბეკი გულში ჩავარდნოდა.

— მართლაც, ლამაზები ხართ, მაგრამ, გამიგონია, ულმეს ხანს ძალიან ლამაზი ქალი ჰყავსო. იმ ქალს, თურმე, დაბადებიდან ხმა არ ამოუღია. ახლახანს უბრძანებია, ჩემს ქალს იმას მივათხოვებ, ვინც აალაპარაკებსო. თუ ხანის ქალს აალაპარაკებთ, ტანსაცმელს დაგიბრუნებთო, — უთხრა ბათირბეკმა.

— კარგი, წაგიყვანთ ხანის სასახლეშიო, — უთხრეს დებმა. თან დაარიგეს, როგორ მოქცეულიყო, რომ ხანის უტყვი ქალი აელაპარაკებინა.

უფროსმა დამ უთხრა:

— ხანის ასულის ოთახში რომ ქათიბი კიდია, იმაში დავიმალები. შენ ქათიბს ჯოხი დაარტყი. ქათიბი ზღაპრის მოყოლას დაიწყებს. ზღაპარში დავა იქნება გადასაწყვეტი. შენ ის დავა არასწორად გადაწყვიტე. ხანის ასული ვერ მოითმენს და შეგედავებაო.

— მე ვერცხლის ზარდახშაში დავიმალები და იქიდან მოვყვები ზღაპარსო, — თქვა შუათანა დამ.

— მე ოქროს თასში დავიმალები. ზღაპარიც მზადა მაქვსო, — თქვა შუათანამ.

დაუბრუნა ბათირბეკმა დებს ტანსაცმელი. დებმა უთხრეს, თვალები დახუჭეო. დახუჭა და როცა გაახილა, უკვე სასახლეში იყო და ულმეს ხანის წინაშე იდგა.

ბათირბეკმა ხანს თაყვანი სცა:

— დიდო ხანო, ამბობენ, ხანი თავის ასულს იმას მიათხოვებს, ვინც აალაპარაკებსო. ნება მიბოძეთ, ბედი ვცადოო.

— მართლია, ჩემს ასულს იმას მივათხოვებ, ვინც აალაპარაკებს, მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ყველას, ვინც ამას ვერ მოახერხებს, თავს ვაჭრი. ბევრი ვაჟკაცის სისხლი დაღვრილა ამ სასახლეში, შენც ეს გინდა, შვილოო?

ბათირბეკმა თავის სურვილზე ხელი არ აიღო და ხანმაც ბრძანა, ჩემი ასულის ოთახში შეიყვანეთ. თან ორი ვეზირი გააყოლეთო.

ორივე ვეზირი გარეთ, კართან დარჩა. ბათირბეკი ოთახში შევიდა და ქალის ფარჩის ქათიბს ჯოხი დაჰკრა:

— ილაპარაკეო!

— რაზე ვილაპარაკო, იმაზე, რისთვისაც ყური მომიკრავს, თუ იმაზე, რაც ჩემი თვალით მინახავსო? — ჰკითხა ქათიბმა.

— ყურმოკრული რამის დაჯერება ძნელია. ისევ იმაზე ილაპარაკე, რაც შენი თვალით გინახავსო.

— მაშ მომისმინე: ერთ აულში სამ ძმას ვიცნობდი. ორიოდე სული ცხვარი ჰყავდათ. რიგრიგობით მწყემსავდნენ. უფროს ძმას ხუროობა უყვარდა და პატარა წალდს სულ თან დაატარებდა. ერთ დღეს ცხვარს რომ აძოვებდა, ძალიან მოეწყინა. იფიქრა, გავერთობიო. მოჭრა ხე და ლამაზი ქალი გამოთალა. საღამოს შინ რომ ბრუნდებოდა, ხის ქალი ტყის პირას თხილის ბუჩქის ძირას დადგა.

მეორე დღეს ცხვარი შუათანა ძმამ გარეკა. თხილის ბუჩქის ძირას ხის ქალი დაინახა. იფიქრა, ვიღაცას არ დასზარებია და ასეთი ლამაზი ქალი გამოუთლია. მოდი, ტანსაცმელს ჩავაცმევ და მთლად ცოცხალს დავამსგავსებო.

გაიქცა აულში, წითელი კაბა იყიდა და ქალი გამოაწყო. რომ მოსაღამოვდა, ქალი თხილის ბუჩქის ძირას დადგა და ცხვარი შინ გარეკა.

მესამე დღეს უმცროსი ძმის ჯერი დადგა. გარეკა ცხვარი საძოვარზე. თხილის ბუჩქის ძირას ხის ქალი რომ დაინახა, იფიქრა: ასე ლამაზად ვინ გამოთალა, ან წითელი კაბა ვინ ჩააცვა? ვცდი, ეგებ ჩემმა წამალმა — ოთხმოცდაცხრამეტი ბალახის ნახარშმა — გააცოცხლოსო.

მართლაც, რამდენიმე წვეთი წამალი აპკურა, ქალი გაცოცხლდა. დიდი ხნის ნამძინარევივით გაიზმორა, თვალები მოიფშვნიტა.

გაიხარა უმცროსმა ძმამ, ქალი შინ წაიყვანა, მაგრამ ნახეთ, რა მოხდა?!

— მე რომ არ გამომეთალა ეს ქალი, რას გააცოცხლებდი? ქალი მე მეკუთვნისო, — თქვა უფროსმა ძმამ.

— შენ მხოლოდ გამოთალე. მე კი წითელი კაბა ჩავაცვი და ადამიანს დავამსგავსე. ამიტომ მე მეკუთვნისო, — თქვა შუათანა ძმამ.

— ვის რაში სჭირდება უსიცოცხლო ხე, თუნდაც წითელკაბიანი? თქვენ გამოთალეთ, თქვენ ჩააცვით, მაგრამ თქვენვე მიატოვეთ ტყეში. ახლაც იქ იქნებოდა, ჩემი წამლით რომ არ გამეცოცხლებინა. ქალი მე მეკუთვნისო, — თქვა უმცროსმა ძმამ.

— ახლა შენ თქვი, ბოლათის ძეო ბათირბეკ, ამ სამი ძმიდან რომელს ეკუთვნის ქალიო?

— რა თქმა უნდა, უმცროს ძმას. ქალი ხომ იმან გააცოცხლაო.

ხანის ასულმა ვეღარ მოითმინა და ხმა ამოიღო:

— მამა-პაპათა ადათით, უმცროსი ძმა უფროსზე ადრე ვერ დაქორწინდება. ეგეც არ იყოს, უფროს ძმას რომ არ გამოეთალა ქალი, უმცროსი რას გააცოცხლებდა? ქალი უფროსი ძმის ცოლი უნდა გახდესო.

ხანის ასულის ხმის გაგონებაზე ბათირბეკის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— თუ ხის ქალი უფროსი ძმის ცოლი უნდა გახდეს, შენ ჩემი ცოლი გახდებიო! და ხანთან გაიქცა, რომ ეხარებინა, შენი ასული ალაპარაკდაო.

ხანმა ვეზირები დაიბარა:

— ეს ყმაწვილი სიმართლეს ამბობსო?

ვეზირებმა იფიქრეს, ხანი ამ მდაბიო მაწანწალას თავის ქალს მაინც არ მიათხოვებსო და უპასუხეს:

— იტყუება, შენს ქალს კრინტიც არ დაუძრავსო.

ბათირბეკმა ხანს გაბედულად გაუსწორა თვალი:

— ჩემს დღეში ტყუილი არ მითქვამს. ახლაც სიკვდილის შიში როდი მალაპარაკებს. თუ ეჭვი გეპარება, ვინმე გამაყოლე, ვისაც უფრო ენდობი. ერთხელ კიდევ ავალაპარაკებ შენს ქალსო.

ისევ შევიდა ბათირბეკი ხანის ასულის ოთახში. ხანმა ორი ვეზირი და თავისი ცოლი გააყოლა. ვეზირები ეზოში, სარკმლის ქვეშ დადგნენ. ხანის ცოლმა კი კარიდან მიაყურადა.

ბათირბეკმა ვერცხლის ზარდახშას ჯოხი დაჰკრა:

— აბა, ზარდახშავ, თქვიო!

— რა ვთქვა, რაც გამიგონია, თუ რაც თვალით მინახავსო?

— თქმულა: „ყურით გაგონილს ნუ დაიჯერებ, თვალით ნანახი დაიჯერეო“. მიამბე, რაც შენი თვალი ნახეო.

— მაშ, მომისმინე: ერთხელ სამი ძმა ვნახე. ერთი ხარი ჰყავდათ. უფროსი ძმა იმ ხარის თავს მწყემსავდა, შუათანა — მუცელს, უმცროსი — ბარკლებს. ერთხელ უმცროს ძმას მოეჩვენა, რომ ხარი ავად იყო. იფიქრა, შუათანა ძმას ვეტყვიო. დილაადრიან დაადგა გზას და საღამო ხანს ხარის მუცელს მიაღწია. ძმებმა ილაპარაკეს და გადაწყვიტეს, უფროს ძმასთან წავიდეთო. გამთენიისას დაადგნენ გზას და ღამით, როგორც იქნა, ხარის თავს მიაღწიეს.

— ჩვენი ხარი ავად ხომ არ არისო? — ჰკითხეს უფროს ძმას.

— არა, მთელი დღეა ძოვს. ახლა წევს და იცოხნის. ეგ არის, კარგა ხანია, წყალი არ დამილევინებია. წამოდით, წყალზე ჩავიყვანოთო, — უპასუხა უფროსმა ძმამ.

ძმებმა ხარი ზღვაზე წაიყვანეს წყლის დასალევად. ხარმა მთელი ზღვა ერთ ყლუპად დალია, მაგრამ წყურვილი ვერ მოიკლა. საცოდავად აბღავლდა.

ძმებმა თქვეს, მოდი, ჩვენი ხარი ზღვაში რომ კუნძული ჩანს, იმაზე ვაძოვოთო. მართლაც, ხეებქვეშ ქორფა ბალახი ბიბინებდა.

დიდი გაჭირვებით მიუახლოვდნენ კუნძულს, მაგრამ კუნძული კი არა, თევზი ყოფილიყო. თევზმა პირი დააღო და ხარი გადაყლაპა. ძმებმა გონს მოსვლა ვერ მოასწრეს, რომ თევზს არწივი დააცხრა, კლანჭები ჩაავლო და ცაში აიტაცა.

არწივი თავისი ნადავლით ერთ ველზე დაეშვა. იმ ველზე მოხუცი მწყემსი ცხვარს აძოვებდა. დაღლილი დამჯდარიყო ყოჩის წვერებქვეშ და ისვენებდა. არწივი იმ ყოჩის რქაზე დაეშვა თავისი ბალახიან-ხეებიანად. რომ ჭამდა, ნისკარტიდან გადმოუვარდა იმ ხარის ბეჭი, თევზმა რომ გადაყლაპა. გადმოუვარდა და მოხუც მწყემსს თვალში ჩაუვარდა. მოხუცმა თვალი მოისრისა:

— ეტყობა, მტვერი ჩამიცვივდაო.

საღამოს მოხუცმა ცხვარი შინ მირეკა:

— შვილო, თვალში რაღაც ჩამივარდა, იქნებ ამომიღოო, — უთხრა თავის ქალიშვილს.

ქალი ჩაჯდა ნავში, მოუსვა ნიჩბები, შეცურდა თვალში, სიგრძე-სიგანით გადასერა იგი, იპოვა ხარის ბეჭი, ფრჩხილი გამოჰკრა, ამოაგდო და ფანჯრიდან მოისროლა.

ბეჭი წყაროსთან დაეცა. მალე იმ წყაროსთან ქარავანი გაჩერდა ღამის გასათევად. ქარავანში ოთხმოცდაათი აქლემი იყო. მექარავნეებმა ვახშმის თადარიგი დაიჭირეს. ერთბაშად მათ ფეხქვეშ მიწა ატორტმანდა. მექარავნეებს შეეშინდათ, საჩქაროდ წამოყარეს აქლემები და იქაურობას გაეცალნენ. ცოტა გაიარეს და მიწისძვრა შეწყდა. იკითხავ, რა მოხდაო? გეტყვი: თურმე ნუ იტყვი, მექარავნეებს ცეცხლი ხარის ბეჭზე დაენთოთ. იქვე მელას გაევლო. შემწვარი ხორცის სუნი სცემოდა, მისულიყო და ბეჭის ღრღნა დაეწყო. ის რომ ბეჭს ძიძგნიდან და აქეთ-იქით აქანებდა, მექარავნეებს მიწისძვრა ჰგონებოდათ.

გვიან ღამით, როცა მექარავნეებს უკვე ეძინათ, წყაროსთან ერთი ქალი მივიდა. მელა რომ დაინახა, მხარიხე* დასცხო და სული გააფრთხობინა. მოკლა, მაგრამ არ გაატყავა, ამ სიბნელეში ტყავი არ გავაფუჭო, გათენდება და გავატყავებო.

გათენდა. მექარავნეებმა გაიღვიძეს. დაინახეს მკვდარი მელა. გასატყავებლად მისდგნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი გვერდი გაატყავეს. მეორე გვერდზე ვერ გადააბრუნეს და იმიტომ. ნახევარი ტყავით ოთხმოცდაათმა მექარავნემ თითო ქურქი შეიკერა. აიყარნენ და წავიდნენ. ამასობაში ქალი მოვიდა, ნახა ნახევრად გატყავებული მელა, წაჰკრა წუღის წვერი, გადააბრუნა და დაფიქრდა: ნეტავ, ჩემს ახალშობილ შვილს ქუდი თუ გამოუვაო?

ახლა მითხარი, ბათირბეკ, ვინ უფრო დიდია? ხარი, რომელმაც ერთ ყლუპად მთელი ზღვა შესვა და წყურვილი მაინც ვერ მოიკლა; თევზი, რომელმაც ხარი გადაყლაპა; ყოჩი, რომლის რქაზეც ჩამოჯდა არწივი; მოხუცი, რომელსაც თვალში ხარის ბეჭი ჩაუვარდა და მტვერი ეგონა; მელა, რომლის ტყავის ნახევარში ოთხმოცდაათი ქურქი გამოვიდა, თუ ახალშობილი ბიჭი?

— რასაკვირველია, თევზიო, — დაუფიქრებლად უპასუხა ბათირბეკმა.

ხანის ქალმა ვერ მოითმინა:

— არა ხარ მართალი! ყველაზე დიდი ის თოთო ბიჭია, ნახევარი ტყავი საქუდედ რომ არ ჰყოფნის, მაშინ, როცა მეორე ნახევარში ოთხმოცდაათი ქურქი გამოვიდაო!

გაიხარა ბათირბეკმა. გაიქცა ხანთან:

— შენი ქალი ალაპარაკდაო!

ხანმა ვეზირებს დაუძახა:

— ეს ყმაწვილი მართლას ამბობსო?

ვეზირებმა უპასუხეს:

— არა, ხანო, იტყუება. შენს ქალს კრინტიც არ დაუძრავსო.

ხანმა ახლა თავის ცოლს ჰკითხა:

— ჩემი ვეზირები სიმართლეს მეუბნებიანო?

— სწორედ ეგენი გატყუებენ. ჩემი ყურით გავიგონე ჩვენი ქალის ხმაო.

ბათირბეკმა დაინახა, ხან ულმესს კიდევ ეჭვი ეპარებოდა, ამიტომ ისევ შევიდა ქალის ოთახში, ოღონდ, ამჯერად მოწმენდ თავად ხანი წაიყვანა.

ხანი, ხანის ცოლი და ვეზირები კართან დადგნენ.

ბათირბეკმა დაჰკრა ჯოხი ოქროს თასს:

— თასო, თქვიო!

— რა ვთქვა, რაც ყურით გამიგონია, თუ რაც თვალით მინახავსო?

— „ყურით გაგონილი კვირტია, თვალით ნანახი — ნაყოფიო“. რაც თვალით გინახავს, ისა თქვიო.

— კარგი, ყური დამიგდეო, — უთხრა თასმა, — ერთი ქვრივი ქალი ვნახე, ცხრა ბიჭის დედა. ერთხელ მისი ბიჭები ქუჩაში კოჭაობდნენ. ყველა კოჭი წააგეს და უმცროსი ძმა შინ შეაგზავნეს კოჭების გამოსატანად. ბიჭმა შინ შეირბინა. ხედავს, დედა ზის და ქუდს კერავს.

— დედა, ამ ქუდს ვის უკერავო?

— შენ გიკერავ, ჩემო სიხარულოო.

დაბრუნდა ბიჭი ძმებთან და დაიტრაბახა, დედა ქუდს მიკერავსო.

უფროსი ძმა შინ გაიქცა, დედას ჰკითხა:

— მაგ ქუდს ვის უკერავო?

— შენ გიკერავ, ჩემო სიხარულოო.

ახლა უფროსმა ძმამ დაიტრაბახა, დედა ქუდს მიკერავსო.

მომდევნო ძმაც გაიქცა დედასთან:

— მაგ ქუდს ვის უკერავო?

— შენ გიკერავ, ჩემო თვალის ჩინოო.

ასე ერთმანეთის მიყოლებით შედიოდნენ ძმები დედასთან და ეკითხებოდნენ, მაგ ქუდს ვის უკერავო? დედაც, შვილებს გული რომ არ დასწყვეტოდათ, ყველას ერთ პასუხს აძლევდა: შენ გიკერავო.

ბიჭებმა კარგა ხანს ითამაშეს. ვახშმობის ხანს შინ მივიდნენ. დედამ სუფრა გაშალა. თან სულ იმის ფიქრში იყო, რა ვქნა, ქუდი რომელ ერთს მივცეო. ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და ქუდი სუფრაზე დააგდო. ძმები ქუდს წაეტანენ;

— ჩემია!

— არა, ჩემია!

ატყდა ჩხუბი და გაწევ-გამოწევა.

— ნუ ჩხუბობთ, ხანთან წადით და ის გაგიჩენთ სამართალსო, — უთხრა დედამ.

მივიდნენ ძმები ხანთან. ყველანი სასტუმრო ოთახში შეიყვანეს.

— სანამ თქვენს საქმეს გავარჩევდე, მითხარით, რისი გაკეთება იცითო? — ჰკითხა ხანმა.

— მე ყველანაირი კვალის ცნობა შემიძლია — ადამიანის იქნება თუ ცხოველისაო, — უპასუხა უფროსმა ძმამ.

— მე მზირი ვარ. ერთი დღის სავალზე ბუზის დანახვა შემიძლიაო, — თქვა მეორე ძმამ.

— მე ისეთი მსროლელი ვარ, გაფრენილ ჩიტს არ ავაცდენ, რაც არ უნდა მაღლა მიფრინავდესო, — თქვა მესამე ძმამ.

მეოთხემ:

— მე მშვილდ-ისრის ოსტატი ვარ. მომეცი ფიჭვის ტოტი. მშვილდსაც გაგიკეთებ და ორმოც წყრთა ისარსაც ზედ დაგიგებო.

მეხუთემ:

— მე ნავის ოსტატი ვარ. მუხის ნაფოტი მომეცი და ისეთ ნავს გამოგითლი, მთელი შენი აული ჩაეტიოსო.

მეექვსემ:

— მე კალატოზი ვარ. ერთი კენჭით ისეთ სასახლეს აგიშენებ, მთელი შენი სახანო დაიტიოსო.

მეშვიდემ:

— მე მზარეული ვარ. ერთ ხონჩაზე იმდენ საჭმელ-სასმელს დავაწყობ, მთელ შენს სახანოს დააპურებსო.

მერვემ:

— მე მიწის მთხრელი ვარ. თუ მტერი თავს დაგესხმის, ისეთ გვირაბებს გაგითხრი, სიკვდილისაგან გიხსნასო.

ხანმა ძმები შეაქო:

— ნათქვამია, გაბედული კაცი ორ განსაცდელს გადაურჩება, მარჯვე კი — სამსაო. ერთი სამსახური გამიწიეთ და მერე გაგიჩენთ სამართალსო. ერთი წლის წინათ ერთადერთი ასული დამეკარგა. დიდხანს ვეძებე, მაგრამ ვერ მივაკვლიე მის ასავალ-დასავალსო. მაპოვნინეთ და საკადრისად დაგასაჩუქრებთ. ქუდი კი იმას დარჩება, ვინც ყველაზე მარჯვე იქნებაო.

კვალის მძებნელმა თქვა:

— ხანის ასულის ოთახში შემიყვანეთო.

შეიყვანეს. მიიხედ-მოიხედა, კვალს გაჰყვა და თქვა:

— ქალი მთაში წაუყვანიათო.

მზირმა მთებისაკენ გაიხედა. ექვსი მთის გადაღმა დაინახა ხანის ასული. კაფის* მთის ძირში ცალთვალა გველეშაპს ტყვედ ჰყავდა.

ხანს ამის გაგონებაზე თავზარი დაეცა, თუმცა კიდევაც გაუხარდა, ჩემი შვილი ცოცხალი ყოფილაო.

უმცროსმა ძმამ, აი, იმან, არაფერი რომ არ იცოდა, ხანს გული დაუამა:

— გველეშაპს ისე მოვტაცებ ქალს, ვერაფერი გაიგოსო.

მართლაც, ცოტაც და, ხანმა თავისი ქალი გულში ჩაიკრა. მამა-შვილი სიხარულით გონს კიდევ ვერ მოსულიყო, რომ მზირმა კაფის მთას შეხედა და თქვა:

— ხანო, ფრთხილად იყავი, გველეშაპმა გაიღვიძა, ერთადერთი თვალი გაახილა და აქეთ-იქით იცქირებაო.

ხანმა არ იცოდა, რა ექნა. მაშინ მოისარმა თქვა:

— ისარს ვესვრი გველეშაპს, ოღონდ, ხანის ასულმა მითხრას, სად დავუმიზნოო.

ქალმა უთხრა:

— ამ სიშორეზე სასიკვდილოდ ვერ დაჭრი. ისარი თვალში უნდა მოარტყა. დაბრმავდება და ვეღარ გამოგვეკიდებაო.

მშვილდ-ისრის გამკეთებელმა აიღო ფიჭვის ტოტი და მშვილდი გააკეთა. ორმოცი წყრთა ისარიც გამოთალა და მშვილდზე დააგო. მოსწია მსროლელმა მშვილდი, გაისროლა და ეს ორმოცი წყრთა ისარი გველეშაპს პირდაპირ თვალში მოარტყა.

ხანის ასულმა თქვა:

— გავიქცეთ! მართალია, გველეშაპი დაბრმავდა, მაგრამ მაინც დაგვიწყებს ძებნასო. წავიდეთ, ზღვის გაღმა გავიდეთ და იქ დავემალოთ, ზღვას ვერ გადაცურავსო.

შეყარა ხანმა თავისი ხალხი და ზღვის ნაპირზე მიიყვანა. ნავის ოსტატმა მუხის ნაფოტისაგან იმხელა ნავი გამოთალა, ყველანი ჩაეტივნენ. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე იცურეს და, როგორც იქნა, მეორე ნაპირს მიაღწიეს.

გაღმა ნაპირზე ხურომ ერთი კენჭით იმხელა სასახლე ააშენა, რომ ყველანი შიგ დაბინავდნენ, მაგრამ, ამოსუნთქვაც ვერ მოასწრეს, რომ ზღვიდან გველეშაპი ამოვიდა.

მიწის მთხრელმა მაშინვე გვირაბი გათხარა. ხანი, მისი ასული, მისი ხალხი და ცხრა ძმა ოთხმოცდაათი დღე და ოთხმოცდაათი ღამე მიდიოდნენ. იქ ტყეებიც იყო, წყლებიც, ნადირ-ფრინველიც, მაგრამ ადამიანს ჯერ ფეხი არ დაედგა.

გახარებულმა ხანმა პურობის გამართვა ბრძანა.

მზარეულსაც თავისი ოსტატობის გამოჩენის დრო დაუდგა. მან ხანს ერთი პატარა ხონჩა მიართვა, ზედ ხელი გადაუსვა და ისეთი საჭმელ-სასმელი გააჩინა, ხანსაც კი თავის დღეში რომ არ ენახა.

იმოდენა ხალხი სამი დღე და სამი ღამე ღრეობდა და სუფრას არაფერი აკლდებოდა.

ახლა, ბათირბეკ, ბოლათის ძევ, თქვი, ვის ეკუთვნის დედის შეკერილი ქუდიო? — დაამთავრა უმცროსმა დამ თავისი ზღაპარი.

— მიწის მთხრელს.

ვერც ახლა მოითმინა ხანის ასულმა:

— რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ ადათის მიხედვით ყველაფერი ჯერ უფროს ძმას ეკუთვნის. ეგეც არ იყოს, ქალის ადგილ-სამყოფელს მან არ მიაგნო?! ქუდი უფროს ძმას უნდა ერგოსო.

— ქუდი უფროს ძმას უნდა ერგოს, შენ კი — მეო! — წამოიძახა ბათირბეკმა.

— ვერც ახლა გაიგონეთ? თურმე ჩემს ქალს პირველად არ ამოუღია ხმა, თქვენ კი ტყუილის თქმას მიბედავდითო! — განრისხდა ხანი.

ვეზირები ხანს ფეხებში ჩაუცვივდნენ, გვაპატიეო. ხანმა აპატია. მაცნეებს უბრძანა, ხალხი ჩემი ასულის ქორწილში შეყარეთო.

მართლაც შეყარეს: მოხუცი თუ ახალგაზრდა, ელამი თუ კოჭლი, ჭკვიანი თუ სულელი. სამი დღე და სამი ღამე ილხინეს. მოხუცები სვამდნენ. ჭკვიანები მღეროდნენ. ახალგაზრდები ჭიდაობდნენ, სულელები დანებს ატრიალებდნენ, კოჭლები აქეთ-იქით დარბოდნენ, ელამთ ბუზა ეღვრებოდათ, ძაღლები ძვლებს ხრავდნენ.

ქორწილი რომ დასრულდა, ბათირბეკმა მამამისი — მოხუცი ბოლათი — თავისთან წაიყვანა და ბედნიერი ცხოვრება დაიწყეს.

ჯინების დედოფალი სარიგიზი

დიდი ხნის წინათ იყო ერთი ფადიშაჰი, ჰყავდა სამი ვაჟი. უფლისწულებს ძალიან უყვარდათ ნადირობა. ერთ დღესაც წავიდნენ სანადიროდ. უმცროსი ძმა უფროსებს დასცილდა და მარტომ დაიწყო ნადირობა. მთელი დღე ინადირა. საღამო ხანს, მზის ჩასვლისას ერთ გორაკთან შეჩერდა. ჩამოხტა ცხენიდან, დაბორკა იგი და საბალახოდ მიუშვა. თავად გორაკზე წამოწვა და დაიძინა. ერთბაშად რაღაცამ გააღვიძა. ყური მიუგდო. გორაკის სიღრმიდან ქალების ლაპარაკი მოესმა.

— რომ გავთხოვდებოდე, — თქვა ერთმა, — ვიდრე ჩემი ქმარი ცხენზე შეჯდებოდეს, ბეშმეთს შევუკერავდი და ღილებსაც დავუკერებდიო.

— რომ გავთხოვდებოდე, ერთი კვერცხით მთელ აულს დავაპურებდიო, — თქვა მეორემ.

— რომ გავთხოვდებოდე, ოქროსთმიან გოგოს და ვერცხლისწარბებიან ბიჭს გავაჩენდიო, — თქვა მესამემ.

უფლისწულმა ყველაფერი გაიგონა. ის გორაკი კარგად დაიმახსოვრა, ცხენს მოახტა, შინ დაბრუნდა და ყველაფერი ძმებს უამბო.

მეორე დღეს ძმებმა წაიღეს ბარები და გორაკთან მივიდნენ. ცხენები დაბორკეს, საბალახოდ გაუშვეს, თავად კი გორაკის გათხრას შეუდგნენ. თხრიან, თხრიან...

თურმე გორაკი კი არა, მიწაყრილი ყოფილიყო, ქვეშ სარდაფი იყო გამართული. გათხარეს ძმებმა სარდაფი და მიადგნენ სამ ქალს.

— ვინა ხართ? გამოქვაბულის ხალხი თუ ჯინებიო, — ჰკითხა უფროსმა ძმამ.

— არც გამოქვაბულის ხალხი ვართ, არც ჯინები. თქვენსავით ადამიანის შვილები ვართო, — უპასუხეს ქალებმა და უფლისწულები თავიანთ მშობლებს მიჰგვარეს.

გაიცნეს უფლისწულებმა ქალების მშობლები, შეექცნენ მათ საჭმელ-სასმელს, მერე სთხოვეს, თქვენი ქალები მოგვათხოვეთო.

მიათხოვეს. მზითვში იმდენი ხარ-ძროხა გაატანეს, მთელი არემარე — იმ მიწაყრილიდან ფადიშაჰის სასახლემდე — დაფარა.

უფლისწულებმა დიდი ქორწილი გადაიხადეს.

გავიდა ხანი. უფროსმა და შუათანა დებმა პირობა ვერ შეასრულეს, უმცროსი კი უკვე ფეხმძიმედ იყო. შეეშინდათ უფროს დებს — ჩვენი და დანაპირებს ასრულებსო.

ბევრი იფიქრეს, რა ვქნათო.

მოიფიქრეს: იპოვეს ერთი ბებია ქალი, დიდძალი ოქრო-ვერცხლი მისცეს და უთხრეს:

— თუ ჩვენი და მართლა ოქროსთმიან ქალსა და ვერცხლისწარბა ვაჟს გააჩენს, როგორმე მოსპე ისინიო.

ბებია ქალი დათანხმდა. მან და უფროსმა დებმა თადარიგი დაიჭირეს და მშობიარობის დაწყებას დაელოდნენ.

გამოხდა ხანი. დადგა ბავშვის გაჩენის დროც. როცა უმცროს დას მუცელი ასტკივდა, უფროსმა დებმა და ბებია ქალმა ყველანი გაიყვანეს ოთახიდან, ფანჯრის დარაბები დახურეს, კარს ურდული გაუყარეს.

დიდხანს არ გაუვლია. უცებ ოთახი გაჩახჩახდა და დაიბადნენ ოქროსკულულებიანი გოგო და ვერცხლისწარბა ბიჭი. მათ დანახვაზე ბებია ქალი და უფროსი დები ლამის გაგიჟდნენ. მაგრამ მალე გონს მოეგნენ, ტახტქვეშიდან გამოათრიეს ყუთი, რომელშიც ორი ლეკვი იჯდა. ლეკვები ამოსხეს, მათ მაგივრად ახლად დაბადებულები ჩასხეს. ბავშვებს პირში

თითო ნაჭერი დუმა ჩაუდეს; ყუთები შეკრეს, დაჭედეს, გაფისეს და ისევ ტახტქვეშ დამალეს. ლეკვები კი მელოგინეს მიუწვინეს. კარი გააღეს.

— ბიჭია თუ გოგო? — იკითხეს კართან შეკრებილებმა.

— ღმერთმა დასწყევლოს უფლისწულის ცოლი! ტყუპი ლეკვი შვაო, — უპასუხეს დებმა და ბებია ქალმა.

რომ დაღამდა, დებმა და ბებია ქალმა ბავშვებიანი ყუთი წაიღეს და მდინარეში გადააგდეს. მათი დედა კი, ფადიშაჰის ბრძანებით, ერთ კასრში ჩასვეს, კასრი კუპრით ნახევრამდე მოყარეს, წაიღეს და შორს გადააგდეს.

ფადიშაჰის სასახლე რომ იდგა, იმ აულის მეზობელ ერთ პატარა აულში მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ერთი გაქუცული ცხენისა და ნახევრად დანგრეული ქოხის გარდა არაფერი ებადათ. არც შვილები ჰყავდათ.

შეკაზმავდა ბერიკაცი ცხენს და წავიდოდა სანადიროდ. ხან კურდღელს მოკლავდა, ხან — რას. ზოგჯერ თევზაობდა. დედაბერი დილიდან საღამომდე მოწყალებას თხოულობდა და ასე გაჰქონდათ თავი.

ერთხელაც, როცა ბერიკაცი ნადირობიდან დაბრუნდა, დედაბერმა აიღო ორი ვედრო და წყალზე წასვლა დააპირა.

— დედაკაცო, გუშინ მდინარეში ანკესები ჩავაგე. ბარემ ისინიც შეამოწმეო, — სთხოვა ბერიკაცმა ცოლს.

მივიდა დედაბერი მდინარესთან, აავსო ვედროები, მერე ანკესების ამოკრეფა დაიწყო. ამოიღო ერთი — ცარიელია, ამოიღო მეორე — ცარიელია. მესამის ამოღება დააპირა, მაგრამ ვერ ამოიღო. ეწევა, ეჯაჯგურება — არაფერი გამოსდის. მივიდა შინ და ყველაფერი უამბო ბერიკაცს. ორივენი წავიდნენ მდინარეზე. დაეჯაჯგურნენ ანკესს, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. მაშინ ბერიკაცი წავიდა და ცხენი მოიყვანა. ჩაუბა ანკესს, გააწევინა. როგორც იქნა, ამოიღეს. ანკესს ერთი დიდი ყუთი ამოჰყვა. ამასობაში მოსაღამოვდა.

მოხუცებმა ყუთი შინ წაიღეს. გახსნეს და რას ხედავენ?! ყუთში ორი ბავშვი ზის. ისეთი ლამაზები არიან, ავ თვალს არ ენახვებიან. პირში დუმის ნაჭრები უდევთ და წვანან! მოხუცები სიხარულით აღარ იყვნენ. ამოიყვანეს ბავშვები, აბანავეს, სუფთა მჩვრებში გაახვიეს და ლოგინში ჩააწვინეს.

ღამღამობით ბერიკაცი თავის სახლში სარდაფს თხრიდა. ამოთხარა და ბავშვები იქ დამალა.

გავიდა დიდი ხანი. ბავშვები წამოიზარდნენ. ერთ დღესაც ბიჭმა უთხრა ბერიკაცს:

— მამა, მომწყინდა უქმად ყოფნა. ცხენსა და თოფს რომ მათხოვებდე, სანადიროდ ვივლიდიო.

მისცა ბერიკაცმა თოფი, ცხენი. თან დაარიგა:

— შვილო, გამთენიისას წადი და შებინდებულზე დაბრუნდიო.

იმ დღიდან ყმაწვილი ყოველ დღე მიდიოდა სანადიროდ. როგორც ბერიკაცმა დაარიგა, ისე იქცეოდა: შინიდან გამთენიისას გადიოდა და შებინდებულზე დიდძალი ნანადირევით ბრუნდებოდა.

ერთ დილას მეზობლის ქალმა თვალი მოჰკრა შინიდან გამოსულ ყმაწვილს. ძალიან გაუკვირდა: „ღმერთო დიდებულო, ნეტავ, ვინ არის ეს ყმაწვილი მარტოხელა მოხუცების ეზოდან რომ გამოვიდაო?"

იმ ქალმა ეს ამბავი თავის ნაცნობს უთხრა, იმან — თავის ნაცნობს და მალე მთელს აულს მოედო. ნათქვამია, „საიდუმლოს ნუ გაანდობ შენს ნაცნობს, გახსოვდეს, იმასაც ჰყავს თავისი ნაცნობიო".

მარტოხელა ცოლ-ქმრის ეზოში გამოჩენილი ყმაწვილის ამბავი აულიდან აულში გადავიდა და ბებია ქალისა და ორი დის ყურამდე მიაღწია. დები შეშინდნენ:

— რაც გინდა, ქენიო, — უთხრეს ბებია ქალს, — ბავშვები გამოჩნდნენ, უკვე დიდები არიან. თუ როგორმე თავიდან არ მოვიშორეთ, შავი დღე გველისო.

ერთ დღეს მოხუცი ცოლ-ქმრის სახლში მათხოვრად გადაცმული ბებია ქალი მივიდა. შინ გოგოს გარდა არავინ იყო. ძმა სანადიროდ წასულიყო, ბერიკაცი — სათევზაოდ, დედაბერი კი მელისა და კურდღლის ტყავების გასაყიდად.

ბებია ქალი გოგოს გამოელაპარაკა. მიხვდა, ვინც იყო და წასვლისას ჰკითხა:

— შენს ძმას უყვარხარო?

— ვუყვარვარ, მაშ არ ვუყვარვარო?

— გასათხოვარი ქალი ხარ და საწოლი არა გაქვს, ძირსა წევხარ. შენს ძმას რომ უყვარდე, წითელი ვერძის რქის საწოლს გაგიკეთებდაო, — უთხრა ბებია ქალმა და წავიდა.

საღამოს დაბრუნდა ძმა შინ. დას კოცნა დაუპირა. იმან კი კოპებშეკრულმა ზურგი აქცია.

— რა მოხდა, რატომ გამირბიხარო?

— როგორ თუ რა მოხდა?! ამხელა ქალი ვარ და ძირსა ვწევარ. რომ გიყვარდე, წითელი ვერძის რქებს მოიტანდი და საწოლს გამიკეთებდიო.

ამის გამგონე ბიჭი ცუდ გუნებაზე დადგა, შინიდან გავიდა და ცხენი წყლის დასალევად წაიყვანა.

გზაში ცხენმა ენა ამოიდგა:

— ყმაწვილო, რა ყურები ჩამოგიყრია, რა სადარდებელი გაგჩენიაო?

— როგორ არ ვიდარდო? ერთადერთი და მყავს და საწოლი არა აქვს, ძირს მიწევსო. წითელი ვერძის რქები უნდა ვიშოვო და საწოლი გავუკეთო, მაგრამ, არ ვიცი, სად ვიშოვოო.

— ენა უნდა გაუსივდეს მაგის მთქმელსაო, — უთხრა ცხენმა, — წითელი ვერძი ხომ გველეშაპია?! თუ ბედი გვწყალობს, გველეშაპის სადგომში მაშინ მივალთ, როცა სძინავს. ბერიკაცს სხვენზე თავისი წინაპრების დანატოვარი ხმალი აქვს. სთხოვე, გათხოვოს. შენთვისაც და ჩემთვისაც შვიდი დღის საგზალი წამოიღე. გამთენიისას გზას გავუდგებით. თუ, როგორც გითხარი, გველეშაპს მძინარს მივუსწრებთ, მივუახლოვდები თუ არა, გავჩერდები. იტყვი „ბისმილას“,* გველეშაპს ხმლით რქებს მოჰკვეთ, დაიძახებ: „ჩემს წინ ნათელი მზე იყოს, ჩემს უკან — შავი ნისლი“-თქო და გამაჭენებო.

ბიჭმა მაშინვე მოამზადა საგზალი, ხმალიც გამოსთხოვა ბერიკაცს და გზას გაუდგა. ბედზე, გველეშაპის სადგომში მაშინ მივიდნენ, როცა მას ეძინა. ბიჭმა რქებში ხელი ჩაავლო, წარმოსთქვა „ბისმილა“, მოუქნია ხმალი და რქები წააცალა. დაიძახა: „ჩემს წინ ნათელი მზე იყოს, ჩემს უკან — შავი ნისლიო!“ და ცხენი გააჭენა.

გველეშაპს გაეღვიძა და დაედევნა, მაგრამ ნისლში გზა აებნა. მიიტანა ბიჭმა შინ რქები, რამდენიმე საღამო იმუშავა და დას საწოლი გაუკეთა.

მეორე დილას, გამთენიისას, სანადიროდ წავიდა.

ერთ დღეს ბერიკაცის სახლში ისევ მოვიდა მათხოვრად გადაცმული ბებია ქალი. შინ გოგოს გარდა არავინ იყო. როცა ბებია ქალი შევიდა, გოგო იჯდა წითელი ვერძის რქის საწოლზე და კერავდა.

— როგორ გშვენის ეგ წითელი გველეშაპის რქის საწოლიო, — უთხრა ბებია ქალმა.

გოგო გაუმასპინძლდა. ბებია ქალი წასასვლელად რომ გაემზადა, გოგოს ჰკითხა:

— შვილო, შენს ძმას უყვარხარო?

— ვუყვარვარ, როგორ არ ვუყვარვარო.

— რომ უყვარდე, მთვარის მხარეს ოქროს ხეს დაგირგავდა, მზის მხარეს — ვერცხლისასაო.

— მერედა, ეგეთი ხეები სად უნდა იშოვოსო?

— წითელი გველეშაპის რქების მშოვნელი სხვა რამესაც იშოვისო, — მიუგო დედაბერმა და წავიდა.

საღამოს შინ დაბრუნებულმა ძმამ დას კოცნა რომ დაუპირა, მან ისევ კოპებშეყრილმა ზურგი შეაქცია.

— რა მოგივიდა, რატომ გამირბიხარო? — გაუკვირდა ძმას.

— როგორ თუ რა მომივიდა?! სულ არ გიყვარვარ. რომ გიყვარდე, მთვარის მხარეს ოქროს ხეს დამირგავდი, მზის მხარეს კი — ვერცხლისასო, — უპასუხა დამ.

ამის გამგონე ბიჭმა ძალიან მოიწყინა. გამოიყვანა ცხენი და წყალზე წაიყვანა. რომ მიდიოდნენ, ცხენმა დაინახა, რომ ბიჭი მოწყენილი იყო და ისევ ამოიდგა ენა:

— ყმაწვილო, რა ყურები ჩამოგიყრია, რაზე დარდობო?

— როგორ არ ვიდარდო, როცა ჩემს ერთადერთ დას მთვარის მხარეს ოქროს ხე უნდა დავურგო მზის მხარეს — კი ვერცხლისა და არ ვიცი, ეს ხეები სად ვიშოვოო.

— ენა უნდა გაუსივდეს მაგის მთქმელსო! — თქვა იაბომ. ეს იმ გველეშაპის ხეებია. თუ ბედი გვწყალობს, მაშინ მივალთ, როცა გველეშაპს სძინავს. მოხუცს ხმალი სთხოვე, საგზალი გაამზადე და გამთენიისას წავიდეთ. მაშინდელივით თქვი „ბისმილა“, მოჭერი ხეები, დაიძახე: „ჩემს წინ ნათელი მზე იყოს, ჩემს უკან — შავი ნისლი“-თქო და გამოიქეციო.

მართლაც, ბიჭმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ცხენმა დაარიგა და დილაადრიან გაუდგნენ გზას.

საბედნიეროდ, გველეშაპის სადგომში მაშინ მივიდნენ, როცა მას ჯერ კიდევ ეძინა. ბიჭმა „ბისმილა“ წარმოსთქვა, ხმლით მოჭრა ხეები და გაიქცა. თან დაიძახა: „ჩემს წინ ნათელი მზე იყოს, უკან — შავი ნისლიო!“

გველეშაპი დაედევნა, მაგრამ ნისლში გზა დაებნა. ბიჭი კი მივიდა შინ და დარგო ხეები — მთვარის მხარეს ოქროსი, მზის მხარეს — ვერცხლისა.

თავად კი მზის ამოსვლამდე სანადიროდ წავიდა.

ერთ დღეს ბერიკაცის სახლში ისევ მივიდა მათხოვრად გადაცმული ბებია ქალი. გაეგო, ბიჭი ამჯერადაც ცოცხალი გადარჩაო. შინ გოგოს გარდა არავინ იყო. ბიჭი სანადიროდ წასულიყო, ბერიკაცი — სათევზაოდ, დედაბერი — მელისა და კურდღლის ტყავის გასაყიდად.

მივიდა ბებია ქალი. გოგო კი ზის და კერავს.

— როგორ გიხდება წითელი გველეშაპის რქის საწოლზე ჯდომა, რა ლამაზად იზრდება შენს სახლთან მთვარის მხარეს ოქროს ხე და მზის მხარეს ვერცხლის ხეო! — პირფერობით უხარებდა დედაბერი გოგოს გულს.

გოგომ აჭამა დედაბერს, ასვა. იმან კი წასვლისას ჰკითხა:

— შვილო, შენს ძმას უყვარხარო?

— ვუყვარვარ, როგორ არ ვუყვარვარო!

— რომ უყვარდე, ფაშატის რძის კუმისს გასმევდაო.

— სად უნდა იშოვოსო?

— ვინც წითელი გველეშაპის რქები, ოქროსა და ვერცხლის ხეები იშოვა, ფაშატის რძის კუმისსაც იშოვისო.

საღამოს ნადირობიდან დაბრუნებულმა ძმამ დას კოცნა დაუპირა. მან კი, კოპებშეკრულმა, ზურგი შეაქცია.

— რა დაგემართა, რატომ გამირბიხარო?

— როგორ თუ რა დამემართა? რომ გიყვარდე, ერთ ჭაკს როგორ ვერ მოიყვანდი, რომ მისი რძის კუმისი მასვაო?

ამის გამგონე ძმამ მოიწყინა, შინიდან გავიდა და იაბო წყლის დასალევინებლად წაიყვანა.

გზაზე ცხენმა დაინახა, რომ ბიჭი დარდიანი იყო და ჰკითხა:

— ყურები რად ჩამოგიყრია, რაზე ფიქრობო?

— როგორ არ ვიფიქრო?! ერთადერთი და მყავს და ფაშატის რძის კუმისი ვერ დამილევინებია, არ ვიცი, სად ვიშოვოო.

— ენა გაუხმეს მაგის მთქმელს! ერთი ულაყია, არავის იკარებს. ვინც მიუახლოვდება, ცოცხალს არავის ტოვებს. ამ ულაყს ათი ჭაკი დაჰყვება. აი, ის ჭაკები უნდა ვრეკოთ. თუ ბედი გვწყალობს, უნდა მივასწროთ და წყლის დასალევად მდინარეზე რომ ჩამოვლენ, იქ უნდა დავხვდეთო. შენს გამზრდელ ბერიკაცს სხვენზე ცვილის დიდი ნატეხი უგდია. სთხოვე, მოგცეს. საგზალიც წამოიღე, უნაგირზე ნიჩაბი და ქამანდი დაიკიდე. რიჟრაჟზე გავუდგებით გზას. მდინარის ნაპირზე რომ მივალთ, იმსიღრმე ორმო ამოთხარე, რომ შიგ ჩავწვე და დავიმალო. ცვილი გაადნე და სქლად წამისვი. თავად აიღე ქამანდი და ჩემს უკან დაიმალე. როცა ულაყი მოვა, ჩვენს სუნს იკრავს, ჭიხვინით მეძგერება და კბენას დამიწყებს. ჩემს ტანზე წასმული ცვილის კბენაში კბილების ძალა დაუცხრება, დაუსუსტდება. მაშინ წამოვხტები, შენც სწრაფად შემაჯექი, ულაყს ქამანდი ესროლე, დაიჭირე და წავიყვანოთ. ათივე ჭაკი იმას გამოჰყვებაო.

ბიჭმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც იაბომ დაარიგა. ცხენს გამდნარი ცვილი წაუსვა, დაიჭირა ხელში ქამანდი და იაბოს უკან დაიმალა.

დიდხანს არ გაუვლია. მოჭიხვინდა ულაყი. მაშინვე დააცხრა იაბოს და კბენა დაუწყო. მანამდე კბენდა, ვიდრე კბილები არ დაუჩლუნგდა. მაშინ იაბო ორმოდან ამოხტა, ყმაწვილიც სწრაფად შეახტა, ქამანდი მოსდო ულაყს და წაიყვანა. ათივე ფაშატი ფეხდაფეხ მიჰყვა. ყმაწვილმა ისინი შინ მირეკა. დილამდე თავლას უშენებდა. დილით კი სანადიროდ წავიდა.

გავიდა დრო. მოხუცების სახლში ისევ მივიდა ბებია ქალი. მათხოვრად გადაცმული. შინ გოგოს მეტი არავინ იყო. ყმაწვილი სანადიროდ წასულიყო, ბერიკაცი — სათევზაოდ, დედაბერი — მელისა და კურდღლის ტყავის გასაყიდად.

მივიდა ბებია ქალი და ხედავს, წითელი გველეშაპის რქის ტახტზე ზის მზესავით გაბრწყინებული გოგო და კერავს.

— როგორ გიხდება წითელი გველეშაპის რქის ტახტზე ჯდომა. შენს ეზოში, მთვარის მხარეს ოქროს ხე შრიალებს, მზის მხარეს — ვერცხლისა. ნიავს კუმისის სუნი მოაქვს. გენაცვალე, ერთი ჯამი კუმისი მომიტანე, გემო გამასინჯე, — ენა დაითაფლა მათხოვარმა.

გოგომ საჭმელი მიართვა, კუმისი დაალევინა. მათხოვარმა ნასვლა რომ დააპირა, გოგოს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შვილო, შენს ძმას უყვარხარო?

— ვუყვარვარ, როგორ არ ვუყვარვარო!

— მართლა რომ უყვარდე, რძლად ჯინების დედოფალს — სარიგიზს მოგიყვანდა, მოგივლიდა, მოგემსახურებოდაო.

— მერე, სად უნდა იპოვოს ჯინების დედოფალიო?

— ვინც ყველაფერი ეს იშოვა, იმას ჯინების დედოფლის შოვნაც არ გაუჭირდებაო, — უთხრა დედაბერმა და წავიდა.

საღამოს, როცა ბიჭი ნადირობიდან დაბრუნდა, დას კოცნა დაუპირა, მაგრამ დამ კოპები შეიკრა და ზურგი შეაქცია.

— რა მოგივიდა, ალთინშაშ?* — გაუკვირდა ძმას.

— რა უნდა მომსვლოდა? სახლს საკუთარი თმებითა ვგვი, საჭმელს ვამზადებ, ნაცარში ამოგანგლული და გამურული ვარ. მართლა რომ გიყვარდე, რძლად ჯინების დედოფალ სარიგიზს მომიყვანდიო.

ბიჭი თავჩაქინდრული გამოვიდა შინიდან; ცხენი წყლის დასალევად წაიყვანა. ცხენმა პატრონი დაღონებული რომ დაინახა, ადამიანის ხმით ჰკითხა:

— ეი, ყმაწვილო, რას ჩამოგიყრია ყურები, რაზე ფიქრობო?

ყმაწვილმა უთხრა, რაც ადარდებდა.

— ენა დაებას მაგის მთქმელსო! — თქვა ცხენმა, — წახვალ და ნახავ, რომ ყველა, ვინც კი სარიგიზთან მისულა, გაქვავებული ისევ იქა დგას. თუ ბედმა გაგვიღიმა და იმ დროს მივედით, როცა თავს იბანს, ხომ კარგი, თუ არადა, უკან დაბრუნება აღარ გვიწერია. საღამო ხანს უნდა მივიდეთ, სასაფლაოზე გავჩერდეთ და საფლავებს შორის დავიმალოთ. ჯინების დედოფალი ყოველ დილით თავს იბანს. სწორედ ამ დროს უნდა მიხვიდე მისი სახლის კარებთან, კიბის პირველ საფეხურზე დადგე და დაიძახო:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, გამოდი!

თუ არ გამოვიდა, მეორე საფეხურზე ახვალ და კიდევ დაიძახებ:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, გამოდი!

თუ კიდევ არ გამოვიდა, მესამე, ბოლო საფეხურზე ახვალ და დაიძახებ:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, თუ ყურებში ბამბა არ გიკეთია, გამოდი!

მაშინ ჯინების დედოფალი სარიგიზ გამოვა და გაჯავრებული გკითხავს:

— რა გინდაო?

შენც გაჯავრებული უპასუხებ:

— შენ მინდიხარ-თქო.

შინ შეგიყვანს. ნურაფრისა შეგეშინდება. რასაც გეტყვის, ყველაფერი შეასრულე, — დაარიგა იაბომ ყმაწვილი.

მეორე დღეს, გამთენიისას, ყმაწვილი ცხენზე შეჯდა და გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა, სასაფლაომდე მიაღწია. ამასობაში კიდეც დაღამდა. ყმაწვილმა ბალახი გაგლიჯა, ნაწილი ცხენს დააყარა, ნაწილი — თვითონ გადაიყარა. ასე დაიფარა თავი და დაფარა ცხენი.

გათენდა. ყმაწვილი ჯინების დედოფლის სარიგიზის სასახლეში მივიდა. კიბის პირველ საფეხურზე შედგა და დაიძახა:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, გამოდიო!

არავინ გამოსულა. ყმაწვილი მეორე საფეხურზე ავიდა და ისევ დაიძახა:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, გამოდიო!

არც ახლა გამოსულა ვინმე.

მაშინ ყმაწვილი მესამე საფეხურზე ავიდა და მესამედ დაიყვირა:

— ჯინების დედოფალო სარიგიზ, გამოდიო!

გამოვიდა ჯინების დედოფალი სარიგიზი და გაჯავრებულმა იკითხა:

— ვინ გინდაო?

— შენ მინდიხარო!

ჯინების დედოფალმა სარიგიზმა ყმაწვილი შინ შეიყვანა, თეთრ ხელსახოცგადაფარებული, თაფლით სავსე ფიალა მისცა და უთხრა:

— აი, ამ კიბეზე ადი. რაც ამ ფიალაშია, არ დაგეღვაროს. არც არა ჩაგიცვივდეს ფიალაშიო. მოხვალ და მიამბობ, რასაც კარს იქით დაინახავო.

ავიდა ყმაწვილი კიბეზე და გაიხედა. დაინახა დიდი აული. ქუჩები ხალხით იყო სავსე, მაგრამ არავინ დადიოდა, გაქვავებულები იდგნენ. შუა ქუჩაში კასრი იდგა, შიგ ქალი იჯდა, წელამდე კუპრში. იმ ქალის დანახვაზე ყმაწვილს ცრემლი წამოუვიდა და ფიალაზე გადაფარებულ ხელსახოცს დაეცა.

დაბრუნდა ნანახით შეწუხებული ყმაწვილი. ჯინების დედოფალმა ხელსახოცზე დაცემული ცრემლი დაინახა და ჰკითხა:

— ეს რა არისო?

ყმაწვილმა უამბო, რაც ნახა. „ის, კასრში მჯდომი ქალი ძალიან შემეცოდა, თავი ვერ შევიკავე და ცრემლები წამომცვივდაო“.

— ეგ ქალი დედაშენიაო, — უთხრა ჯინების დედოფალმა, მერე გარეთ გავიდა, შეიბერტყა ახლად დაბანილი თმები და ყველა გაქვავებული გააცოცხლა. მერე ბრძანა:

— კუპრში რომ ქალი ზის, ამოიყვანეთ, გაბანეთ, სუფთა ტანსაცმელი ჩააცვით და აქ მომგვარეთო.

მართლაც, ჯინების დედოფალ სარიგიზსა და ყმაწვილს მალე მიჰგვარეს ახალგაზრდა, ლამაზი ქალი — ყმაწვილის დედა.

დედა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია. სიხარულისაგან აღარ იცოდნენ რა ექნათ — ხან ტიროდნენ, ხან იცინოდნენ.

პირველი სიხარული ცოტათი რომ შეუნელდათ, სულის მოსათქმელად და დასასვენებლად ჯინების დედოფლის სარიგიზის სასახლეში დარჩნენ. იაბოც საუკეთესო საჯინიბოში შეიყვანეს, წინ აბრეშუმივით ბალახი დაუყარეს, გარჩეული ქერი დაუდგეს. ისიც ძალიან კმაყოფილი იყო.

როცა ყმაწვილმა დედასთან და ჯინების დედოფალთან ერთად შინ დაბრუნება დააპირა, ჯინების დედოფალმა სარიგიზმა უთხრა:

— გზაში სამი მონადირე შეგხვდება. მათ გამორეკილ ნადირს შენ დახოცავ, მაგრამ არ აიღებ, მათ დაუტოვებ. იმ სამი მონადირიდან ერთი მამაშენია. მერე იმ აულში წავალთ, სადაც დაიბადე.

დიდი პატივით შეგხვდებიან, ფეხქვეშ ნოხებსა და თეთრ ფიანდაზებს დაგიგებენ, მაგრამ ზედ არ დააბიჯო, აიღე, გადაყარე და მიწაზე გაიარე. ბუმბულის ბალიშებზე დასმას დაგიპირებენ, მაგრამ არ დაჯდე, გადაყარე და მიწაზე დაჯექი. როცა გაგიმასპინძლდებიან, პირველი ლუკმა მაგიდის ქვეშ რომ კატა ზის, იმას მიეცი. მერე შეყარე მთელი აული, მოაყვანინე შენი გამზრდელი მოხუცები, შენი და, უამბე ყველაფერი, რაც თავს გადაგხდენია.

ყმაწვილმა ჯინების დედოფლის მთელი ქონება ურმებზე დაატვირთვინა, თავად, დედამისი და სარიგიზი ბედაურებშებმულ ეტლში ჩასხდნენ, იაბო ეტლს გამოუბეს და გაუდგნენ გზას.

მართლაც შემოეყარათ გზაში სამი მონადირე. ამ დროს კურდღელმაც გადაურბინათ. მონადირეებმა ესროლეს, მაგრამ ააცილეს. ყმაწვილი გადმოხტა ეტლიდან, მოახტა ცხენს, წამოეწია კურდღელს და მოკლა. აიღო და ერთ-ერთი მონადირის უნაგირზე დაჰკიდა. ასე ხოცავდა, რაც შეხვდებოდა და მონადირეებს ურიგებდა.

ერთმა მონადირემ აულისაკენ გააჭენა ცხენი. მივიდა და ნანახი ფადიშაჰს უამბო. ფადიშაჰმა შეყარა კარისკაცები და უბრძანა, იმ ყმაწვილს შეეგებეთო. ამ ამბავმა დებისა და ბებია ქალის ყურამდეც მიაღწია. შეფიქრიანდნენ. გადაწყვიტეს, ერთხელ კიდევ ჩაედინათ ბოროტება.

შევიდა ყმაწვილის ეტლი აულში. ეტლი მზეზე ისე ბრწყინავდა, ყველას თვალს სჭირდა. ეტლს სარიგიზის ქონებით დატვირთული ურმები მიჰყვა. ყმაწვილი პატივით გადმოიყვანეს ეტლიდან. ბებია ქალმა და დებმა ფეხქვეშ ნოხები, თეთრი ფიანდაზები დაუგეს. ყმაწვილმა ნოხები და ფიანდაზები შორს მოისროლა და რას ხედავს?! მათ ქვეშ უზომო შხამიანი ნემსია დაგებული.

შინ შევიდნენ. ყმაწვილი ხედავს, გაშლილია სუფრა, უხვად ალაგია საჭმელ-სასმელი. იმ სუფრასთან, რომელთანაც ყმაწვილი უნდა დამჯდარიყო, ბალიში დევს. ყმაწვილმა ბალიში შორს მოისროლა და პირდაპირ მიწაზე დაჯდა.

თამადამ ჭამის დაწყების ნიშანი მისცა. ყმაწვილმა აიღო ერთი ნაჭერი ხორცი და კატას მიუგდო. კატამ მაშინვე სული გააფრთხო.

ამის დამნახავი ყმაწვილი მიხვდა, რომ მოკვლას უპირებდნენ. ფადიშაჰს სიტყვის თქმის ნება სთხოვა. ფადიშაჰმა ნება დართო.

— ჩემი გამზრდელი მოხუცები და ჩემი და მოიყვანეთო, — უთხრა ყმაწვილმა.

მოიყვანეს. მაშინ ყმაწვილმა იქ თავშეყრილ ხალხს უამბო, რაც მოხდა.

ყველა სწყევლიდა ბებია ქალსა და დებს. მერე ცხენის კუდზე გამოაბეს და ველზე გაუშვეს.

თუ გაინტერესებთ, რა მოხდა მერე, გეტყვით:

უმცროსი უფლისწული ისევ შეუერთდა თავის ცოლ-შვილს. მისი შვილების გამზრდელი მოხუცები თავის დედობილ-მამობილად გამოაცხადა.

ვერცხლისწარბა ყმაწვილმა ჯინების დედოფალ სარიგიზზე იქორწინა და ბედნიერად ცხოვრობენ.

მოხუცის სიბრძნე

ძველ დროში ერთ ქვეყანაში ახალგაზრდა ხანი ცხოვრობდა. ხანს მოხუცები არ უყვარდა. ერთ დღეს ბრძანა, ყველა მოხუცი მოკალითო. შეასრულეს ხანის ბრძანება — მოხუცები ერთად შეყარეს და თავები დააყრევინეს. მხოლოდ ერთმა ყმაწვილმა ვერ გაიმეტა მამამისი — სარდაფში დამალა.

ერთხელ ახალგაზრდა ხანმა მეზობელ ქვეყანაზე გალაშქრება გადაწყვიტა. შეყარა ლაშქარი — ქვეყნის ყველა მამაკაცი. ის ყმაწვილი, მამა

სარდაფში რომ ჰყავდა გადამალული, ჩავიდა მამასთან გამოსამშვიდობებლად. უთხრა, ხანს ლაშქრობაში მივყვებიო.

მოხუცმა უთხრა შვილს:

— ძალიან შორს მიდიხართ. გზაში შიმშილი და წყურვილი გელით. იძულებული გახდებით, საკუთარი ცხენები შეჭამოთ. უცხენოდ დარჩენილი მოლაშქრეები მოსართავებს გადაყრიან და შინ დაბრუნებდიან. როგორც არ უნდა გაგიჭირდეს ტარება, შენი ცხენის მოსართავები არ გადაყარო. აქეთობას ძალიან ლამაზი ცხენი შეგხვდებათ. ის ცხენი იმასთან მივა, ვისაც მოსართავები ექნება. მივა და კისერს მოიდრეკს. ჰოდა, როცა ის ცხენი შენთან მოვა, შეკაზმე და ხანს მიჰგვარე. მაშინ ხანი თავის პირველ მეგობარდ გაქცევს. ახლა წადი, გზა მშვიდობისაო.

ასე დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

მართლაც, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოხუცმა თქვა. ლაშქარს საჭმელ-სასმელი გამოელია. სხვა გზა რომ არ იყო — ცხენების დაკვლა დაიწყეს. სულ ბოლოს ხანის ცხენი შეჭამეს. ტარება რომ არ გასჭირვებიყოთ, მთელი მოსართავები გადაყარეს და უკან დაბრუნდნენ. დაადგნენ გზას შინისაკენ. მხოლოდ ერთმა არ გადაყარა მოსართავები — დაუჯერა მოხუც მამას.

მიდიან. სად იყო, სად არა, ლაშქარს წინ ულამაზესი ცხენი შემოეყარა. მოლაშქრეებმა დაჭერა დაუპირეს, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამასობაში ცხენი თავად მივიდა იმ ყმაწვილთან, მოსართავები რომ ეჭირა და მხარეზე დაადო თავი. ყმაწვილმა შეკაზმა და ხანს მიჰგვარა. ხანმა სამსახური დაუფასა და უპირველეს მეგობრად გაიხადა.

დიდ დროს არ გაუვლია და, ხანმა თავისი ლაშქარი შეყარა და ზღვის ნაპირზე მიიყვანა გასართობად, დროს სატარებლად. დაინახეს, წყალში რაღაც ბრჭყვიალებდა. ხანმა ბრძანა, ამოიღეთო. ბევრმა მოინდომა ამოღება, ბევრი შევიდა ზღვაში, მაგრამ ვერ ამოიღეს, ყველა დაიხრჩო. მიდგა ჯერი იმ ყმაწვილზე, მამა რომ ჰყავდა დამალული. ბევრი არ უფიქრია. მაშინვე მოახტა ცხენს და შინისაკენ გაქუსლა. მივიდა, ჩაიჭრა სარდაფში და მოხუც მამას ყველაფერი უამბო. მოხუცმა უსმინა, უსმინა და უთხრა:

— შვილო, ზღვის ნაპირზე დიდი ხე იზრდება. იმ ხის კენწეროზე ყორნის ბუდეა. ბუდეში ბრჭყვიალა ქვა დევს. ქვის ელვარებაა ზღვაზე რომ ირეკლება. როცა ზღვაში შესვლის რიგი მოგიწევს, ხანს უთხარი: ხანო, ნება მომეცი, სიკვდილის წინ ამ ხის კენწეროზე ავიდე და იქიდან გადავხედო ჩემს აულს-თქო. ხანი ნებას მოგცემს. შენც ადი ხეზე, ქვა ჩამოიტანე და ხანს მიართვი.

დაბრუნდა ყმაწვილი ზღვის ნაპირზე, თავის მეგობრებთან. როცა მისი ჯერი დადგა, ისე მოიქცა, როგორც მამამ დაარიგა: ხანს სთხოვა, ხეზე ასვლის ნება მომეციო. ხანმაც მისცა ნება. ყმაწვილი ხეზე ავიდა, ქვა აიღო, ჩამოვიდა და ქვა ხანს მიართვა. მაშინვე წყლის ზედაპირზე ბრჭყვიალი გაქრა. ხანს გაუკვირდა:

— ჩემო მეგობარო, როგორ მიხვდი? ანდა ასეთი ჭკვიანი როგორა ხარ? მოსართავები არ გადაყარე, ცხენი შეკაზმე და მომგვარე. ახლა აი, ქვეყნის ხალხი დაიხრჩო. შენ კი ბრჭყვიალის საიდუმლოება გაიგე.

— ხანო, ვთქვა, ძალიან მეშინია, არც უთქმელობა შემიძლია. გინდა დამსაჯე, გინდა — შემიწყალე. სიკვდილისაგან ვიხსენი ჩემი მოხუცი მამა — არ შევასრულე შენი ბრძანება და არ მოვკალი. რაც გავაკეთე, ყველაფერი მისი რჩევით გავაკეთე. მოხუცები რომ არ ამოგეყლიტა, რამდენ სიბრძნეს გაზიარებდნენო, — უპასუხა ყმაწვილმა.

ხანმა უბრძანა ყმაწვილს, ამოიყვანე მამაშენი სარდაფიდან და აქ მომგვარეო. მიჰგვარა. ხანმა ბევრი სიბრძნე მოისმინა მოხუცისაგან. მერე გავიდა თავის ლაშქართან:

— ჩემო მებრძოლებო, დიდი შეცდომა მომივიდა, მოხუცების გაჟლეტა რომ ვბრძანე. დღეიდან გამიუქმებია ჩემი ბრძანებაო.

ასე დაიჭირეს მოხუცებმა ღირსეული ადგილი იმ ქვეყანაში.

ორმოცი ტყუილი

ძველ დროში ერთი ხანი იყო. ძალიან ლამაზი ქალი ჰყავდა. ტუჩები მთვარეს უგავდა, თვალები — მზეს. თუ ამ ქვეყანაზე ორი ლამაზი ქალი იყო, ერთ-ერთი ეს იყო. თუ ქვეყანაზე ერთი ლამაზი ქალი იყო, ის ერთიც ხანის ქალი იქნებოდა.

როცა ქალის გათხოვების დრო დადგა, ხანმა გამოაცხადა:

— ჩემს ქალს იმას მივათხოვებ, ვინც ორმოც ტყუილს მეტყვისო. თანაც ტყუილები ერთმანეთზე დაუჯერებელი უნდა იყოს, ერთიმეორეს არ უნდა ჰგავდეს, ერთმანეთს არ უნდა ემთხვეოდესო.

გაიგეს თუ არა ეს ამბავი, ხანის სასახლეს უამრავი ყმაწვილი მიაწყდა. ყველას უნდოდა ხანის ასულის შერთვა, ყველა ყვებოდა, რაც კი ტყუილი იცოდა, მაგრამ ვერავინ შეძლო ორმოცი ისეთი ტყუილის თქმა, ერთიმეორეს რომ ჰგვანებოდა, ერთი მეორეს რომ არ დამთხვეოდა.

ხანის ბრძანებით ხელმოცარულებს სახრჩობელაზე ჰკიდებდნენ, ხოცავდნენ.

კარგა ხანი გავიდა. აღარავინ ჩანდა.

ერთ დღესაც, როცა ხანი თავის ოქროს სასახლეში აბრეშუმის საგებელზე, გედის გერმის ბალიშებში ჩაფლული იწვა და უსაქმურობით დაღლილი ამთქნარებდა, მის წინ ვიღაც ყმაწვილი დადგა.

ხანმა წარბი შეიკრა:

— რა გინდა, შე მაწანწალავ?

— არა, ხანო, მე მაწანწალა არა ვარ. მერემე* ვარ. მოვსულვარ, რომ ორმოცი ტყუილი გითხრაო.

— თავიდან მომწყდი! შენზე უფროსები იყვნენ და ვერაფერი გააკეთეს. ტყუილად დაიღუპეს თავი. გატყობ, შენც სახრჩობელაზე ასვლა მოგნატრებია, წადი, ვიდრე სული გიდგასო! — უყვირა ხანმა.

— არა, ხანო, ვერაფერსაც ვერ მიზამ, ვერ ჩამომახრჩობ. ორმოც ტყუილს რომ გეტყვი, შენს ქალს მომათხოვებო.

— თქვი, გისმენო.

ყმაწვილმა დაიწყო:

— მე მამაჩემზე ბევრად უფროსი ვარ. დიდი ხანია, პაპაჩემის რემას ვმწყემსავ. რემაში ბევრი ცხენია. თუ ცხენები წვანან, დათვლა რომ დამჭირდება, ყურებს ვითვლი, თუ დგანან — ფეხებს.

ერთ დილას ავდექი. ვხედავ, მთელი რემა წევს. მოვყევი ყურების თვლას. ერთი მაკე ფაშატი აკლია. რემა წამოვყარე და ფეხები დავითვალე. ისევ აკლია ის ფაშატი. იქვე მაღალი კლდე იყო. გავიქეცი და ავედი. მიმოვიხედე. ფაშატი არსად იყო. ავიღე ჩემი კურიკი,* მსხვილი წვერით მიწაში ჩავარჭე და წვრილ წვერზე შედგომა დავაპირე. წვერმა ვერ დამიკავა. მაშინ წვრილი წვერით დავარჭე და მსხვილ წვერზე შევდექი. გავიხედე. ვერაფერი დავინახე.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. დადარდიანებული ვიყავი. ვფიქრობდი: ვაითუ, ველზე მოიგოს და კვიცი მგელმა შეუჭამოს-მეთქი.

თვალცრემლიანი დავადექი ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ბილიკს.

კარგა მანძილი რომ გავიარე, ცხენის გამხმარი ჩონჩორიკი დავინახე. დიდის ვაი-ვაგლახით ავბობღდი ზედ. ოთხი მხრივ მიმოვიხედე: დავინახე, ჩემი ფაშატი მდინარე ვოლგაზე გადასულიყო, მყუდრო ადგილი მოეძებნა და კვიცი მოეგო.

გახარებული ჩამოვხტი ჩონჩორიკიდან და ვოლგისაკენ გავიქეცი. ჩემი კურიკი მდინარეზე ხიდად გავდე და ზედ გადავირბინე.

ხელად შევკაზმე ფაშატი, ზედ შევჯექი, კვიცი ხელში ავიყვანე და ვოლგაში შევცურე. შუამდე რომ მივედი, ვხედავ, ფაშატი ველარ მიცურავს.

იღრჩობა და მეც თან მიმათრევს. მაშინვე გადავჯექი კვიცზე, ფაშატი ხელში ავიყვანე.

მდინარიდან გამოსული ნაპირს გავუყევი. ვხედავ, ვაციწვერას ძირიდან კურდღელი გამოხტა. გადავჯექი კურკიზე და დავედევნე. დავეწიე, კვიცი ვესროლე და მოვკალი.

ხანი მიხვდა, რომ ეს ყმაწვილი მართლა იყო ორმოცი ტყუილის მომყოლი. იფიქრა, ხელს შევუშლიო და:

— შენ რომ კურდღელს ეძახი, ნამდვილად ბაჭია იქნებოდაო, — უთხრა.

— იქნებ ბაჭიაც იყო, მაგრამ მისი ბარძაყის ძვალი ერთ დიდ ოდას* თავხედ გამოადგაო.

— შენ რომ ოდას ეძახი, ოთაუ* იქნებოდაო.

— შეიძლება ოთაუც იყო, მაგრამ ორმოცი ლოინი* ძლივს მიათრევდაო.

— შენ რომ ორმოცი ლოინი გგონია, ორმოცი კოზაკი* იქნებოდაო.

— იქნებ ორმოცი კოზაკიც იყო, მაგრამ რომ მიდიოდნენ, ორმოცი საჟენის სიმაღლის ნაძვის კენწეროებს კვნეტდნენო.

— შენ რომ ორმოცსაჟენიან ნაძვებს ეძახი, ნამდვილად ორმოცი ნაფოტი იქნებოდაო.

— შეიძლება ორმოცი ნაფოტიც იყო, მაგრამ მოხუცები კენწეროზე რომ შეხედავდნენ, თავიდან ქუდები სძვრებოდათო.

— მაშინდელი მოხუცები ჯუჯები იქნებოდნენო.

— შეიძლება ჯუჯებიც იყვნენ, მაგრამ ორმოცი საჟენის სიღრმის ჭაში ჩაეყუდებოდნენ ხოლმე და წყალს ფსკერიდან სვამდნენო.

— ის ჭები კოლბოხებივით იქნებოდაო.

— იქნებ კოლბოხებივითაც იყო, მაგრამ დილით რომ სათლს ჩაუშვებდნენ, საღამომდე ფსკერს ძლივს აღწევდაო.

— მაშინდელი დღეები მოკლე იქნებოდაო.

— იქნებ მოკლეც იყო, მაგრამ დილას დამაკებული დეკეული შუადღისას უკვე იგებდა. საღამოს ხბო უკვე სამი წლის მოზვერი იყო. ურემში აბამდნენ და შეშას ეზიდებოდნენო.

ხანი გაჩუმდა. სათქმელი აღარაფერი ჰქონდა.

ყმაწვილმა კი უთხრა:

— ხანო, ბოლომდე მომისმინე. სათქმელი ჯერ არ დამიმთავრებიაო. ის კურდღელი ბინაზე მივიყვანე, გავატყავე, გამოვშიგნე. ერთი ფუთი ქონი ამოვართვი. ხორცი მოვხარშე, ქონით კი ჩექმების გაპოხვა დავიწყე. ერთი ფუთი ქონი ცალ ჩექმაზე მეყო, მეორე გაუპოხავი დამრჩა.

ხორცი ვჭამე და დასაძინებლად დავწექი. უცებ რაღაც ხმაურმა გამაღვიძა. ყური მივუგდე — ჩემი ჩექმები ჩხუბობენ.

— შენ გაგპოხა, მე კი — არა! — ყვირის ერთი.

— მე გამპოხა, შენ კი — არა! — ყვირის მეორე.

ძლივს გავაშველე. გაპოხილი ჩექმა თავთით დავიდე, გაუპოხავი — ფეხთით. დილას გავიღვიძე და რას ვხედავ?! გაუპოხავი ჩექმა გაბუტულა და წასულა.

სხვა რა გზა მქონდა? ორივე ფეხი ერთ ჩექმაში ჩავყავი და მეორე ჩექმის საძებრად წავედი.

მივდივარ. ვხედავ, ერთ სახლში ქორწილია. ჩემი ჩექმა სტუმრებს ემსახურება. ხონჩით ხაშლამას დაატარებს. ჩემს დანახვაზე ფერფური წაუვიდა — ეგონა, წამეჩხუბება, როგორ თუ გამექეციო. მაგრამ მე თვალი ჩავუკარი. იმანაც ჩამიკრა თვალი და ამის შემდეგ საუკეთესო ნაჭრები სულ ჩემთვის მოჰქონდა. თხუთმეტი ჯამი ხორცი რომ შევჭამე, ისე მომწყურდა, ყველა კასრი გამოვცალე. ვიფიქრე, ვოლგაზე ჩავალ და წყურვილს მოვიკლავ-მეთქი. დავუძახე მეორე ჩექმას, მაგრამ მან ისე შემომიბღვირა, რომ თავი დავანებე. ისევ ერთ ჩექმაში ჩავყავი ორივე ფეხი და მდინარეზე გავიქეცი.

მივდივარ და რას ვხედავ?! ამ შუა ზაფხულში ვოლგა გაყინულა. ქამარში ცული მქონდა გაყრილი. ავიღე და ყინულს მტვრევა დავუწყე. არ იმტვრევა. მოვისროლე ცული, მოვიშვლიპე ქუდი და ყინულს თავი დავუშინე. ყინული დაიმტვრა. ბლომად წყალი დავლიე და კმაყოფილი იქიდან წამოსვლას ვაპირებდი, როცა დავინახე, რომ გზაზე ურემი მოდიოდა, მაგრამ თვლებზე მანები* არა ჰქონდა. ურემი ფეტვით იყო დატვირთული, მაგრამ ფეტვი ტომრებში როდი ეყარა!

ურემზე ყარანოღაელები* ისხდნენ. დამინახეს და დამიძახეს:

— რა ნახე! რა ნახეო!

— თქვენ გნახეთ. ურემზე სხედხართ, მაგრამ ურმის თვლებს მანები არა აქვს. ურემი ფეტვით დაგიტვირთავთ, მაგრამ ფეტვი ტომრებში არ გიყრიათ-მეთქი.

მერე მე ვკითხე:

— თქვენ რაღა ნახეთ-მეთქი?

— ჩვენ ერთი სულელი ვნახეთ, ნახევარი თავით მოდიოდაო.

მოვისვი თავზე ხელი და მივხვდი: იქ, მდინარეზე, ყინულს თავით რომ ვამტვრევდი, თავი ორად გამჩეხია და ერთი ნაწილი იქვე დამრჩენია. უკან დავბრუნდი, ვიპოვე ის ნაწილი და ადგილზე მივიდე. ამ დროს გავიგე, ხანი

თავის ქალს იმას მიათხოვებს, ვინც ორმოც ტყუილს ეტყვისო. მაშინვე აქეთ წამოვედი.

ხანო, ეს არის, რაც ჩემი თვალით ვნახე. ახლა იმის მოყოლა რომ დავიწყო, რაც ჩემი ყურით გამიგონია, მთელი სიცოცხლე არ მეყოფა. ხანი სიტყვის პატრონი უნდა იყოსო, — დაასრულა მერემემ თავისი სათქმელი.

ხანს სხვა რა გზა ჰქონდა? ქორწილის გამართვა ბრძანა.

მერემე ყმაწვილი ხანის ქალის შერთვით ჩაიძირა, როგორც ღვიძლი და ამოტივტივდა, როგორც ფილტვი.

ერთი დღე ერთი თვის ძმააო

ძველ დროში ერთი ძალიან ხარბი ბატონი ცხოვრობდა. სავდიქ-აჟი ერქვა. ბატონმა ზაფხულის მოსავლის ასაღებად ღარიბი ყმაწვილი — სავქათი დაიქირავა. გასამრჯელოდ თვეში თხუთმეტი მერკე* ხორბალი უნდა მიეცა.

— თვეში თხუთმეტ მერკე ხორბალს გადავუხდი, სამაგიეროდ მთელ სამუშაოს ამას გავაკეთებინებო, — იფიქრა შევდიქ-აჟიმ და, მართლაც, საწყალ სავქათს მუშაობით წელში წყვეტდა, სულს არ ათქმევინებდა.

— შვილო, მორჩი ჭამას? ახლა გაინძერი, იმუშავე, თორემ დღე მიდის. ერთი დღე კი ერთი თვის ძმააო, — ეტყოდა ხოლმე და ერთი წუთით არ დასვამდა.

მიხვდა სავქათი: ბატონს უნდოდა, მთელი სამუშაო ერთ თვეში დაემთავრებინა. „მოვა დრო და გაჩვენებ, როგორ არის ერთი დღე ერთი თვის ძმაო“, — იტყოდა ხოლმე გულში.

დამთავრდა მოსავლის აღება. სავქათი ბატონთან მივიდა:

— მომეცი ჩემი გასამრჯელოო.

— მერკე არა მაქვს. მიდი, შვილო, მეზობელსა სთხოვე, მოიტანე და აგირწყავ შენს წილ ხორბალსაო.

წავიდა სავქათი მეზობლებთან, ითხოვა კოდი და ბატონს მიუტანა.

— ბატონო, იმათაც არ ჰქონიათ მერკე და ეს კოდი წამოვიღე. არა უშავს, ამით ამირწყეო.

— შვილო, ეს როგორ იქნებაო?!

— რატომ არ იქნება? როგორც ერთი დღეა ერთი თვის ძმა, ისე კოდი მერკეს ძმა იქნება. ჰოდა, ამით არწყე ჩემთვის მოსაცემი ხორბალიო.

სავდიქ-აჟი მიხვდა, თავისივე სიტყვებით რომ აჯობეს. რაღას იზამდა? მიურწყა სავქათს თხუთმეტი კოდი ხორბალი.

ნამგალი ზღარბის გამოგონილია

უძველეს დროში ადამიანები და ცხოველები ერთად ძოვდნენ ბალახს.

ერთხელაც ცხოველებმა თქვეს:

— ადამიანები ნუ ძოვენ, თორემ მალე საძოვარი აღარ გვეყოფაო.

მაშინ ადამიანებმა თავიანთი საკვები მიწაში ჩაფლეს და ფეტვი, ქერი, ხორბალი მოიყვანეს. მოყვანით კი მოიყვანეს, მაგრამ ის აღარ იცოდნენ, როგორ აეღოთ ეს ზღვად გამსკდარი მოსავალი.

ხანმა შეყარა ადამიანები და ცხოველები და ჰკითხა:

— ჰეი, აქ შეყრილო ხალხო! ჰეი, აქ შეყრილო ცხოველებო! ეს ჩვენი ნათესები ამოვიდა და გაიზარდა. ახლა რა ვქნათ, როგორ ავიღოთ მოსავალიო?

თავმოყრილმა ხალხმა და ცხოველებმა ვერაფერი უპასუხეს. არავინ იცოდა ჭირნახულის აღება.

ბოლოს ხალხს ერთი მოხუცი გამოეყო და თქვა:

— აქ ზღარბს ვერ ვხედავ. ზღარბი რომ ყოფილიყო, რამეს მოიფიქრებდა და გვირჩევდაო.

— ახლავე წადით და ზღარბი მოიყვანეთო! — ბრძანა ხანმა და კაცი გაგზავნა.

როცა კაცი ზღარბის მოსაყვანად წავიდა, მოხუცი თავშეყრილ ხალხს მიუბრუნდა:

— საცაა ზღარბი მოვა. ნაწყენი იქნება, დაგორგოლდება და დაწვება. იცოდეთ, არ დასცინოთ, თორემ არაფერს გვეტყვის, გაიბუტება და წავა. გიმეორებთ — სიცილი არ დააყაროთო.

ზღარბი და მის მოსაყვანად გაგზავნილი კაცი მოვიდნენ.

— რატომ მიბარებენო? — უკითხავს გზაში იმ კაცისთვის.

მართლაც, ზღარბი მოვიდა თუ არა, გაბუტულივით დაგორგალდა და დაწვა.

მოხუცებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ ახალგაზრდებმა თავი ვერ შეიკავეს და გაიცინეს. ამაზე ზღარბი გაჯავრდა და ხმის ამოუღებლად წავიდა.

მაშინ იმ მოხუცმა თქვა:

— ზღარბი ნაწყენი წავიდა. ბუზღუნით მიდის. იქნებ, ვინმე ჩუმად გაჰყვეს და მოუსმინოს, რას ამბობსო.

— მაგას ჩემზე უკეთ ვერავინ შეძლებსო, — თქვა კატამ და გაჰყვა.

ზღარბი მიდის და მიბუზღუნებს:

— ნეტავ, თუა სადმე ასეთი ბრიყვი ხანი?! ვერ მოუფიქრებია, რომ აიღოს ერთი რკინა, მოღუნოს, კბილები გაუკეთესო.* ნეტავ თუა სადმე ასეთი ბრიყვი ხალხი. ხანად გაუხდიათ კაცი, რომელსაც ნამგალიც კი ვერ გაუკეთებია, რომ მოსავალი აიღოსო.

კატა კი მისდევს ზღარბს და წვრილად იმახსოვრებს მის სიტყვებს. მერე ხალხთან ბრუნდება და ზღარბის ნათქვამს გადასცემს.

ის მოხუცი იღებს რკინას, ღუნავს, კიბლებს უკეთებს. ესეც ნამგალი!

ამ დღიდან ხალხი ჭირნახულს ნამგლით იღებს.

SYNOPSIS

The edition presents 19 books of the multivolume corpus of Caucasian Folklore published by the „Caucasian House'' in 1995-2007. The book includes the best specimens of oral tradition of the Caucasian peoples. Although the compiled material is far form being exhaustive, the reader is offered the opportunity of gaining some insight of the close spiritual assinity of the Caucasian peoples that is, among other things, evidenced by the similarity of thems and stories in their folklore.

ა

აბაზეკი//აბეზეკი ადიღეური ტომი.

აბრსკილი აფხაზური ეპოსის — „აბრსკილის“ გმირია.

აბიი (თურქული „აღაბეის“ შემოკლებული ფორმა) 1. უფროსი ძმა; 2. ცოტათი უფროსი მამაკაცისადმი მიმართვის ფორმაა.

ადათი (არაბ.) მამა-პაპათაგან მომდინარე ჩვეულება, რომელიც ხალხში დამკვიდრებულა, როგორც სავალდებულო წესი, და კანონის ძალა მიულია.

ადაგა სოფელია დარგუში.

ადაუ დევი.

ადლი სიგრძის საზომი ერთეული, უდრის დაახლოებით ერთ მეტრს.

ავზალას დრო უხსოვარი დრო.

აზაინი ყუმუხთა ძველი აულია. ახლანდელი ტარკი.

აზარები ხაზარები. (?)

აზრაილი (არაბ.) სიკვდილის ანგელოზი.

ათარი მზის ღვთაება ჩრდილო კავკასიელთა წარმართულ პანთეონში.

ათოლა (ყუმუხ.) კეთილშობილი, დიდგვაროვანი; პატივსაცემი კაცი ყუმუხებში.

აითარი შინაური პირუტყვის მფარველი ღვთაება.

აინიჭვი აფხაზურ-ადიღეური რწმენა-წარმოდგენების ანთროპომორფული არსება. შდრ. დევი.

აკამ (თურქ.-სპარს.) ჩემო ბატონო. (ყუმუხ.) შდრ. „აღამ“ სხვა თურქულენოვან ხალხებში.

ალაბაშა (აფხ.) კვერთხი.

ალაი მისამღერი. მნიშვნელობა უცნობია.

ალაო აქ: გაღივებული, გამხმარი და დაღერღილი მარცვლეული. ხმარობენ ლუდის მოსახარშად, არყის გამოსახდელად.

ალარდი ბავშვთა მფარველი ღვთაება ოსურ წარმართულ პანთეონში.

„ალაჰ აქბარ“ (<არაბ. ალაჰუ აქბარ) დიდ არს ალაჰი.

ალბასლი იხ. ალი.

ალდარი (ოს.) ბატონი.

ალეიქუმ სალამ (არაბ.) მშვიდობა მოგცეთ [ღმერთმა] (პასუხი მისალმებაზე „სალამ ალეიქუმ“//„სელამუნალეიქუმ“ (იხ.).

ალთინშაშ (<თურქ. „ალთინსაჩ“) ოქროსთმიანი.

ალი (იგივე; ალ, ალმის, ალბის, ალ ქარისი — „ალის ქალი“, ალბასთი — „ალმა [ხელი] დაჰკრა“ — დემონი, რომელიც ცნობილია „ჩინეთის კედლებიდან ხმელთაშუა ზღვამდე“ (აბდულკადირ ინანი). აზერბაიჯანელების, თურქების,

თურქმენების, უიღურების, ყაზახების, უზბეკების, ყირგიზების, იაკუტების; სპარსელების, ტაჯიკების, სომხების, ქურთების; ქართველების; ბულგარელების დემონოლოგიაში მისი სახე და ფუნქცია ერთნაირია: ა) ალი მახინჯი, ჭუჭყიანი ქალია; ბ) ენებს მელოგინე ქალებს, ახალშობილებს, საცოლე ვაჟებსა და გასათხოვარ ქალებს, ღამის მგზავრებს; გ) უყვარს საჯინიბოში ცხენის ჭენება, შემდეგ – მისი ფაფრისა და ძუის დაწვნა; დ) ცხოვრობს წყალში, ქვიშიან და ქვიან ადგილებში, ნანგრევებში; ე) მაქციობის უნარიც შესწევს; ვ) ადამიანს შეუძლია ალი დაატყვევოს, კაბის კალთაში ნემსი გაუყაროს და მანამ იმსახუროს, სანამ ვინმე კალთიდან ნემსს არ გამოაცლის. ქართული ალი იშვიათად წარმოგვიდგება ლამაზ, ოქროსთმიან ქალად, რაც მოგვიანო მოვლენა უნდა იყოს და დალ ღვთაების გარეგნობის ჩანაცვლების შედეგი, რასაც მათი სახელების აკუსტიკური მსგავსებაც შეუწყობდა ხელს, თორემ „იადიგარ დაუდი“, „კალმასობა“, „სიტყვის კონა“ მას იმ ნიშნებით იცნობს, რაც საერთოა მახლობელი აღმოსავლეთისათვის.

ალიმი (არაბ.) ბრძენი, სწავლული.

ალიფი // ალპი 1. ზღაპრული ცხენის ჯიში (ადიღ.); 2. გრძნეული ცხენის საკუთარი სახელია. იგი თურქული „ალიფ“ სიტყვიდან უნდა მომდინარეობდეს, რაც „დევგმირს“, „გულადს“ ნიშნავს და ხშირად საკუთარ სახელებშიც გვხვდება.

ალმას იხ. ალი.

ა-ლო-ლო (ოს.) იგივეა, რაც ქართულად ნანა.

ალუთრი ნართების სასმელი და იმავდროულად საჭმელიც: ლუდში მოხარშული მთელი ცხვარი, ან მისი დუმა. მიიღება შესქელებული მასა, რომელსაც ერთი წელი ბნელ ადგილზე ინახავდნენ და მხოლოდ შემდეგ მიირთმევდნენ.

ალფანი ცეცხლის ღვთაება ლეზგიურ წარმართულ პანთეონში.

ალხამდულა (არაბ.) დიდება ალაჰს!

ამარჯაქუა (აფხ.) გამამხნევებელი შეძახილია.

ამირა (არაბ.) მბრძანებელი, მეთაური, მმართველი; არაბთა სახალიფოს პროვინციების მმართველი.

ამუზგური ხმალი მჭედლობით სახელგანთქმულ დაღესტნურ სოფელ ამუზგში დამზადებული ხმალი.

ამუშყი (ადიღ.) ტოპონიმია.

ამჰარა (აფხ.) ნეფე-დედოფლისათვის საგანგებოდ მოწნული ფაცხა, სანთიობო. *შდრ.* ადიღური ლაღუნი.

ანადოლა (ადიღ.) ეპითეტია – ლამაზი.

ანანა ფუტკრის მფარველი ღვთაება აფხაზთა წარმართულ პანთეონში.

„ანდიური ნაბადი“ იგულისხმება დაღესტნის ერთ-ერთი ტომის – ანდიელების ნახელავი ნაბადი.

აშვეიფშაა ნადირთპატრონი აფხაზურ წარმართულ პანთეონში. იგი ლამაზი

ასულების მამაა. მონადირეები სანადიროდ წასვლის წინ სიმღერით მიმართავენ და უხვ ნანადირევს სთხოვენ.

არამი (*არაბ.*) აქ: ისლამის მიერ აკრძალული, დაუშვებელი — მაგ., ღორის ხორცის ჭამა.

არაში ზღაპრული ცხენი აფხაზურ ფოლკლორში. *შდრ.* რაში.

არახლოს ჯალა ადგილია ხევსურეთში.

არახჩინი (*თურქ.*) თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი.

არგანი გრძელი საბჯენი ჯოხი.

არვე „ჯოგი თხათა და ცხოვართა“ (საბა).

არიყი (*ადიღ. ოს.*) ხშირბორცვიანი ტაფობი ადგილი.

არიყის საპონი (*ოს.*) თიხა, რომელსაც არიყებში (*იხ.*) მოიპოვებდნენ და საპნის ნაცვლად ხმარობდნენ.

არმხი მდ. თერგის მარჯვენა შენაკადი.

არნადი კალოზე ბზისა და ხორბლის შესახვეტი ხის იარაღია.

არღუნი მდინარე ჩეჩნეთში.

არშინი ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით 70 სმ.

არხოტიონნი არხოტის თემის მცხოვრებნი. არხოტელები.

ასპანა დღეს ნასოფლარია ჯავახეთში, ფარავნის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ასსალამ ალეიქუმ (*არაბ.*) იხ. სალამ ალეიქუმ.

ასლი თურქულ-აზერბაიჯანული რომანტიკული ეპოსის — „ასლი და ქერემის“ პერსონაჟი ქალი, რომელიც მახლობელი აღმოსავლეთის ფოლკლორში სულიერი და ფიზიკური სილამაზის სიმბოლოდ ქცეულა.

აშარგია სიგრძის ხალხური ერთეული აფხაზებში — მკლავებგაშლილი კაცის ხელის მტევნებს შორის მანძილის ტოლია.

აშლი კავკასიის მთიელთა სოფელი.

„აშაყა, რაშანეი, სირმაჰო“ რიტმული ბგერათკომპლექსია.

აშშერჯი // აშშ ჯერჯე //აშს გერგ — „ბერძენი იესო“, ზოგჯერ წმინდა გიორგი. მეომართა და მხედართა მფარველი ღვთაებაა *ადიღურ* ტომებში. *შდრ.* წმინდა გიორგი.

აშშიგერა სოფლის სახელია.

აფსათი ნადირთპატრონი ოსების, ქართველების (სვანების), ყარაჩაელების, ბალკანელების წარმართულ პანთეონში. მას „ყველა ხეობაში არვე ჰყავს, რქადაგრეხილი ჯიხვები ჰყავს და ციკნები — ნაპატიები. აფსათის კოშკს რკინის კარი აბია“, მას შეუძლია წყალობით ააავსოს მონადირე, ანდა — სულაც დაღუპოს იგი. ოსური ფოლკლორის აფსათი ირმის ჯოგების პატრონია.

აფსნი (*აფხ.*) აფხაზეთი.

აქსაკალი (თურქ.) „თეთრწვერა“ — თემის უხუცესი.

აქქერმანი ადგილის სახელია დაღესტანში.

აღა (*თურქ.*) 1. ბატონი, მემამულე; 2. მიმართვის ფორმა: ბატონო!

აღზევანი ადგილი სომხეთში. ცნობილი იყო სუფრის მარილის საბადოებით.

აშდაგი ურჩხული, გველეშაპი. შდრ. სპარსული „აჟდარჰა“.

აცამაზი ნართების ეპოსის პერსონაჟი.

აცი-ბაცი საბავშვო ზღაპრების პერსონაჟი.

აწანები აფხაზური მითოლოგიით — პატარა ტანის, მაგრამ ძალიან ძლიერი ხალხია.

აწანგურა (აფხ.) აწანების (*იხ.*) მიერ აგებული ყორე.

აჭარაპინი აფხაზური ხალხური სასულე ინსტრუმენტი.

ახთამარი ხალხური ეტიმოლოგია მსოფლიოში ცნობილი სიუჟეტით ხსნის ადგილის სახელს.

ახცი სოფლის სახელია.

ბ

ბათირი (*თურქ.*) დევგმირი; რაინდი.

ბაი (*თურქ.*) 1. ბატონი; 2. მიმართვის ფორმა: ბატონო.

ბაილ მისამღერია. „ბაილ ილბა, ილბა ბაილ“ საკულტო სიმღერებში გვხვდება.

„ბაირაღი და ტყავი“ ცხენოსანთა შეჯიბრი (ადიღეში) ტყავის მოსაპოვებლად. გამარჯვებულს თხილის ბაირაღი გადაეცემოდა.

ბალთა ინგუშების სოფელია საქართველოს სამხედრო გზაზე.

ბალიქესირი ქალაქი დასავლეთ ანატოლიაში (თურქეთი).

ბანგი გამაბრუებელი, ძილის მომგვრელი წამალი.

ბარასთირი ოსური მითოლოგიით საიქიოს გამგებელი, სულეთის მბრძანებელი (бар—უფლება, тыр—დიდი „დიდი უფლებით მოსილი“). მას შეუძლია, მიცვალებულის სული გარკვეული დროით შინაც გაუშვას, ოღონდ, მზის ჩასვლამდე უნდა დაბრუნდეს, სანამ ამინონი — სულეთის მეკარე — კარებს ჩაკეტავს.

ბანდული წვრილი ღვედით ამოსხმული მთაში სასიარულო ქალამანი.

ბარზიყავი ადგილის სახელია.

ბასილები ცნობილი არ არის, ვინ არიან „ბასილები“. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი „წმინდა ბასილის დღესასწაულს უნდა უკავშირდებოდნენ“ (ნ. ბეპიევი).

„ბატონები“ სახადის ანგელოზები. იგულისხმება წითელას, ხუნაგის, ქუნთრუშის, ყივანახველის, ჩუტყვავილის, ყბაყურისა და ყვავილის გამომწვევი „ანგელოზები“, ანუ „ბატონები“. ქართველები მათი გულის მოსაგებად რთულ რიტუალებს ასრულებდნენ, ავადმყოფის სარეცელთან „იავნანას“ მღეროდნენ.

ბაქსანი ქალაქი ყაბარდო-ბალყარეთში. იქვეა ამ სახელის მდინარეც.

ბაღდადი ახლანდელი ერაყის დედაქალაქი. იგი VIII საუკუნეში დააარსა ხალიფა მანსურმა და აბასიანთა სახალიფოს დედაქალაქად აქცია. ბაღდადი — „მშვიდობის ქალაქი“, როგორც მას არაბები უწოდებდნენ, მახლობელი აღმოსავლეთის უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი იყო. ამიტომ მისი სახელწოდება სილამაზის, მდიდრულობის, სიუხვის სიმბოლოდ იქცა ბევრ ხალხში.

ბაშლამი (*ინგუშ.*) მყინვარწვერი; ტაროსის წარმართული ღვთაების — სიელას (*იხ.*) სამყოფელი მითიური მთა.

ბაშლამიში (*თურქ.*) დაწყებული.

ბაშლიქენთი ყუმუხური სოფელია.

ბაშლიყი (*თურქ.*) თავსაბურავი.

ბაძალე (*ადიღ.*) თოფი.

ბაჯი (*თურქ.*) 1. უფროსი და; 2. ახლობელი ქალისადმი მიმართვის ფორმა.

ბეგთარი ჯაჭვის პერანგი.

ბეგი (*თურქ.*) ფეოდალური ტიტული: მემამულე, ბატონი (აზერბაიჯანსა და თურქეთში).

„ბეთქილი“ დაღუპული მონადირის ციკლის ლექსია. წარმოდგენილი ტექსტი სვანურიდან შესრულებული ბწკარედული თარგმანია.

ბელი (*თურქ.* ბელლი) ნათელია, რასაკვირველია, დიახ.

ბელიაშ (*ყარ.*) აკვნის სიმღერის მისამღერია.

ბერხენი ბებერი (ჯიხვი).

ბეშთაშ (*თურქ.* ბეშ — „ხუთი“ და თაუ — „მთა“) ხუთთავა მთა ქ. პიატიგორსკის მახლობლად.

ბეშმეთი მამაკაცის ზედა სამოსი.

ბეჩო იგივეა, რაც ბუნაგი.

ბიი იხ. ბაი.

ბიკე ქალბატონი.

ბისმილა (*არაბ.*) შემოკლებული „ბისმილლაჰი რაჰმანი რაჰიმ“: „სახელითა ალაჰისა მწყალობელისა და მოწყალისა“. ამ ფორმულას წარმოთქვამს მუსლიმი ყოველი საქმის დაწყების წინ.

ბოთაიურთა სოფელია დაღესტანში.

ბორა ფოლადი (*ოს.*) ყვითელი, მაღალი ხარისხის ფოლადი.

ბორხვარალდარი მარცვლეულის ნათესების მფარველი ღვთაება ოსურ წარმართულ პანთეონში.

ბოწახი სოფელია ფშავში.

ბუზა ლუდის მსგავსი სასმელია მთაში.

ბურო ქ. ძაუგის ძველი სახელია (ახლანდელი ორჯონიკიძე).

ბურსა ქალაქი დას. ანატოლიაში (თურქეთი), ოსმალეთის იმპერიის პირველი დედაქალაქი.

ბურსეული თხელი, ძვირფასი აბრეშუმი, შიფონის მსგავსი, სახელწოდება მოდის ქ. ბურსადან (იხ.). ეს ქალაქი მსოფლიოში ცნობილია თავისი აბრეშუმით.

გ

გაგიგავის (დიალ.) გაგიგია.

„გადამიჭერი ხერხემალი“ ბრძოლაში დაღუპული თუ უცხოობაში გარდაცვლილი კაცის ცხედარს კავკასიელები უცხო მიწას არ მიაბარებდნენ. უეჭველად სამშობლოში უნდა დაებრუნებინათ. ადვილი რომ ყოფილიყო მისი ცხენზე გადაკიდება, ხერხემალს გადაუჭრიდნენ.

გავზი ღარიბი, ღატაკი.

გაზი ბრჭყალი, კლანჭი.

გალანჭოჟი ადგილის სახელია.

გაუწარდე (დიალ.) გაუკაფე, გაუწალდე [გზა].

გენი შინაური პირუტყვის მფარველი ღვთაება ლეზგიურ წარმართულ პანთეონში.

გერდა მარცვლეულის ან ფხვიერი ნივთიერების საწყაო ჩეჩნეთსა და ინგუშეთში.

გერზელი ადგილია დაღესტანში.

გიარი ადგილის სახელია.

გიაური არამუსლიმი, ურჯულო; ქრისტიანი (სალანძღაო სიტყვაა არამუსლიმთა მიმართ).

გიერგილ მეფე ამ სახელით იცნობს ინგუშური ფოლკლორი მეფე ერეკლეს.

გირვანქა წონის ძველებური ერთეულია. უდრის დაახლოებით 400 გრამს.

გიტირნავის (დიალ.) გიტირია.

გიყელებს გზას გადაგიჭრის, წინ დაგხვდება.

გრძელფეხება ირმის ტაბუირებული სახელია. მონადირე სანადიროდ წასვლისას ლოცვაში ნადირის სახელს ვერ ახსენებდა – ტაბუ ედო. ამიტომ „მომეცი გრძელფეხებაო“, – შესთხოვდა ნადირთპატრონს.

გოდეკანი იხ. საფიხვნო.

გუაშე (*ადიღ.*) თავადის ქალი.

გუანშირიყი (*ადიღ.*) ქალამანი.

გუდილი ტაროსის ღვთაება ჩრდ. კავკასიელთა წარმართულ პანთეონში.

გურჯი ქართველი.

გუცარი ტაროსის ღვთაება ლეზგიურ წარმართულ პანთეონში.

დაგე, დაგე, დაგეცა (ოს.) მოსაფერებელი სიტყვებია. *შდრ. ქართ.* „დაგენაცვლე, გეცა“ (ქართლში).

დად (აფხ.) მიმართვის ფორმა. ამ სიტყვით მიმართავს მამა ვაჟიშვილს, ან უფროსი მამაკაცი — უმცროსს.

დავითი — ძველი სომხური ეპოსის „დავით სასუნცის“ გმირი.

დალი ნადირობის ქალღვთაება, ნადირთპატრონი ქართულ წარმართულ პანთეონში. იგი ლამაზი ქალია, ცხოვრობს მიუვალ კლდეზე. ჯიხვს, არჩვს, ირემსა და სხვა „წმინდა ნადირთ“ მფარველობს. მონადირე მისი გულის მოსაგებად რთულ რიტუალს ასრულებს, თხოვნით მიმართავს. ზოგჯერ დალი მონადირეებთან სასიყვარულო ურთიერთობასაც ამყარებს.

„**დამალეი**“ სიმღერა ეძღვნება ფშიყან მამსირუყოს, მეტსახელად დამალეის („მხარბეჭიანს“) XVII საუკუნის გლეხთა აჯანყების მეთაურს ყაბარდოში.

დამასკი სირიის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი.

დამასკური ფოლადი უმაღლესი ხარისხის ფოლადად ითვლებოდა.

დარგუ მთიანი დაღესტნის შუა ნაწილი.

დაუგდო დაუტოვა.

დაუშჯერჯი (ადიღ.) წარმართული ღვთაება. მონადირეთა და მოლაშქრეთა მფარველი.

დედილამ მოსაფერებელი, საფიცარი სიტყვაა, როცა შვილი დედას ან დედა შვილს (ან კიდევ დედად ან შვილად მისაჩნევ ადამიანს) მიმართავს.

„**დედის თეთრი რძით გადავუხდიდი**“ იგულისხმება: მისი შვილის ძიძა გავხდებოდი.

დეელა ჩრდ. კავკასიელთა წარმართული პანთეონის ღვთაებაა.

დერბენდი// დარუბანდი (<*სპარს.* დარ — „კარი“, ბანდ — „ზღუდე“) ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის სანაპიროზე.

დერვიში (*სპარს.*) მუსლიმი ასკეტი, რომელიც ამა თუ იმ სექტის (ორდენის) წევრია.

„**დიადი შოლოჰი**“ სიმღერა ეძღვნება ყაბარდოელ თავადს XVI საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეს შოლოჰ თეფსერუყოს და მისსავე სიცოცხლეშია შექმნილი.

დიგორა სოფელია ჩრდილო ოსეთში.

დიდი სტონა ადგილი დიგორის (იხ.) ხეობაში, სადაც იმართებოდა ხეობის მამაკაცთა საბჭო.

დირბა//დიბა (*სპარს.*) სახიანი აბრეშუმის ქსოვილი.

დოლაბი აქ: მრგვალი, შუაში ამოჭრილი ფიცარი, რომელსაც ცურვის დროს მკლავზე წამოიცვამდნენ (მაშველი რგოლივით ხმარობდნენ). *შდრ.:* „ცალ ხელით დოლაბი მიაქვს...“

დოლაი კავკასიელთა უძველესი შრომის სიმღერა, რომელიც სხვადასხვა საქმის კეთებისას სრულდებოდა.

დონბეთირი (*ოს.*) წყალქვეშა სამეფოს მბრძანებელი, მეთევზეთა მფარველი ღვთაებაა — ნახევრად კაცი, ნახევრად — თევზი.

დონიფარსი (*ოს.*) „წყლის ნაპირი“. ადგილის სახელია.

დუბასარი — ქალაქი მოლდავეთში. „დუბასარული მოვი“ მოლდავეთიდან შემოტანილი ერთგვარი ქსოვილია. *იხ.* მოვი.

დუნეი სიტყვასიტყვით: სინათლე. „ეი, დუნეი“ — „ო, სინათლევ“.

დუშვა ქალის სახელია.

ე

ებე ცხენის ჯიშია. მომცრო ტანისაა და ამტანობით გამოირჩევა.

ებელცენი თაბასარანელთა გაზაფხულის დღესასწაული. *შდრ.* ნოვრუზი.

ედილი *იხ.* იდილი.

ელე — ადიღეური წარმართული პანთეონის წვიმის ღვთაება.

ელი (*თურქ.*) ხალხი, ტომი.

ელია წარმართული ღვთაება, წვიმა-სეტყვისა და ჭექა-ქუხილის გამგებელი. ქართული ტრადიციით იგი ბრმაა და ამიტომ, სადაც მოხვდება, იქ უშენს სეტყვას. ქართველები სეტყვის ღრუბელს თოფს ესროდნენ, რათა ელიას გაეგო, რომ იქ ხალხი ცხოვრობდა და სეტყვა აღარ გამოეშვა.

ელტა ჩეჩნურ-ინგუშური ფოლკლორის ზოომორფული არსება. ნადირთპატრონი. *შდრ.* აფსათი.

ემეგენი (*ყარ.*) ანთროპომორფული ბოროტი ზღაპრული არსება. *შდრ.* დევი.

ემირი *იხ.* ამირა.

ენგე (*თურქ.*) ქორწილის გამრიგე ქალი დაღესტანში, მდადე.

ერირეი მოსავლის მფარველი ღვთება ჩრდილო კავკასიელთა წარმართულ პანთეონში. „ერირეი“ კალოსპირული სიმღერაა.

ერკემალი მამალი ცხვარი, ვერძი.

ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1777-1861). რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. კავკასიის მთავარმართებელი 1816-1827 წლებში. ჩრდილო კავკასიის დაპყრობის დროს განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა.

ერცახუ მთა აფხაზეთში.

ერჯიბი — ლეგენდარული ხელოსნის სახელია. იგი გამორჩეული ღირსებების თოფებს აკეთებდა.

ეხი ბუნებრივი გამოქვაბული კლდეში.

ვ

„ვა ალეიქუმ ასსალამ“ პასუხი „სალამ ალეიქუმზე“.

ვაისადგა (*ოს.*) რძალი, რომელიც ვაისადინს (იხ.) იცავს.

ვაისადინი (*ოს.*) უძველესი წესი, რომლის თანახმად ოჯახში შემოსულ რძალს პატივისცემის, მორიდების ნიშნად დედამთილ-მამამთილისა და მაზლებისათვის ხმა არ უნდა გაეცა. ეს უმძრახობა წლები – ზოგჯერ მთელი ცხოვრება გრძელდება.

ვალაჰი (*არაბ.*) *შორისდ.* ღმერთმანი!

ვალი (*თურქ.*) დიდი ადმინისტრაციული ერთეულის (ვილაიეთის) მმართველი ძველ თურქეთში.

ვალჭაბი მამაკაცის ზედა სამოსი.

ვანი აქ: ქალაქი აღმოსავლეთ თურქეთში, ვანის ტბის აღმოსავლეთ ნაპირთან.

ვარანდი ტოპონიმია.

ვარზა ტოპონიმია.

ვარფი ოსური მითოლოგიის წმინდა მთა.

ვასთირჯი მამაკაცთა და მგზავრთა მფარველი ღვთაება ოსურ მითოლოგიაში. ქრისტიანული წმინდა გიორგის ორეულია.

„ვაშლი დამწიფებულიყო“ „დამწიფებული ვაშლი“ შეღერებული ქალის სინონიმია. საერთოდ, ვაშლი სიყვარულისა და ვნების სიმბოლოა ქართულ და სომხურ ფოლკლორში. „ვაშლის დაკრეფა“ სასიყვარულო ურთიერთობას გულისხმობს.

ვახტანგ მეფე იგულისხმება საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალი.

ვაჰანგი შესაქმის სიმბოლო სომხურ ფოლკლორში.

ვეზირი უმაღლესი მოხელე ახლო აღმოსავლეთის მონარქის კარზე.

„ვერ გიამბობთ, ეს ხომ ჩემი ბედია“ იგულისხმება: „თუ სიზმარს მოვყვები, აღარ ამიხდება“.

ვექილი (*არაბ.*) 1. (*ძვ.*) სამოხელეო ტერმინია. სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა: მოხელე, მეფის წარმომადგენელი ვასალურ სახელმწიფოებში; 2. ადვოკატი.

ვეძა//ვერძა მინერალური წყალი (მჟავე ან მლაშე).

ზ

ზადინი – ოსური ნაციონალური კერძი.

ზავთიანი ძლიერი, ომახიანი ხმა.

ზარბაბთი იგივეა, რაც ზარბაბი. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

ზარნიში ლითონის ნაკეთობაზე ამოჭრილი სახეები, რომელიც ოქროთი ან ვერცხლით არის ამოვსებული.

ზელიმხანი ცნობილი ჩეჩენი სახალხო გმირი. მოკლეს 1913 წელს.
ზემირე ყუმუხური წარმართული პანთეონის ღვთაება.
ზილპიპიპი (დარგ.) ბგერათკომპლექსი, მნიშვნელობა არა აქვს.
ზირეგხერანი სოფ. ყუბაჩის (*იხ.*) ძველი სახელწოდება.
ზოვი (დიალ.) ზვავი.
ზულუმი (არაბ.) აქ: ძალუმი, ძლიერი.

თ

თაგარსარი ადგილის სახელია და „მოტიტვლებულს" ნიშნავს.
თავარი წყლის ღვთაება ლეზგიურ წარმართულ პანთეონში.
„თავზარდამცემი ხმები დაირხა" იგულისხმება ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია ყაზახეთსა და შუა აზიაში 1944 წლის 23 თებერვალს.
„თავზე დაგძახოს კეთილმა ყვავმა" ყარაჩაელებისა და ბალყარების რწმენით, არსებობდნენ კეთილი და ბოროტი ყვავები. თუ ახალშობილს კეთილი ყვავი დასძახებს, ბედნიერი ცხოვრება ექნება, თუ ბოროტი — დიდი უბედურება ელის.
„თავზე დავიხუროთ ჭრელი ტომრები" წვიმის დროს ტომარას სიგრძით გაკეცავდნენ — ძირის წვერებს ერთმანეთში ჩადებდნენ და ძაბრივით იხურავდნენ თავზე. არა მარტო თავს იცავდნენ წვიმისაგან, არამედ — ბეჭებსაც.
თავრიზი//თაბრიზი უძველესი ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ ირანში, ირანის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი კერა III საუკუნიდან.
თათართუფი ოსური წარმართული პანთეონის ღვთაება, რომელიც იფარავს მინდვრად მომუშავეთ და მოგზაურებს, უზრუნველჰყოფს დიდ მოსავლიანობას.
თამადა 1. ასაკითა და სოციალური მდგომარეობით უფროსი მამაკაცი: „თამადა ძმა" — უფროსი ძმა და ა. შ. 2. ასეთი მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა. 3. სუფრის ხელმძღვანელი. ფიქრობენ, რომ სიტყვა ადიღეურიდან („თჰამათა") უნდა იყოს შესული კავკასიელ ხალხებში (ყარაჩაელებში, ბალყარებში).
თამაზა (*ყუმუხ.*) მოხუცი კაცისადმი ზრდილობიანი მიმართვა.
თარალი (*ლეზგ.*) ლეგენდარული ძაღლი.
თარი[1] (*სპარს.*) აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.
თარი[2] (*ლეზგ.*) წარმართული ღვთაება, მიწათმოქმედების მფარველი.
თაფაგოზი (<*თურქ.* „ვისაც თვალი თხემზე აქვს"). ცალთვალა, კაციჭამია გოლიათი, რომლის დაბრმავების//მოკვლის სიუჟეტი მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორშია ცნობილი. ანტი აარნეს სიუჟეტების კატალოგში იგი 1137 ნომრით არის შეტანილი.
თაფარავანი დღეს ნასოფლარია ჯავახეთში, ფარავნის ტბის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

„თეთრი მდინარე“ თურქულენოვანი ხალხების მითოლოგიაში თეთრი ფერი სიკეთის, სიწმინდის სიმბოლოა. ეს სიტყვა ხშირად გამოიყენება ტოპონიმებსა და ჰიდრონიმებში. „თეთრი იდილი“ *(იხ.)* ჰქვია მდ. ვოლგას. შეიძლება „თეთრი მდინარეც“ ვოლგას აღნიშნავდეს.

„თეთრი მეფე“ იგულისხმება რუსეთის ხელმწიფე, ოღონდ აქ „თეთრი“ თოვლიანი ქვეყნის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

„თეთრი წვიმა“ წვიმა, რომელსაც სიკეთე, მოსავლის სიუხვე მოაქვს, განსხვავებით „შავი წვიმისაგან“, რომელსაც ნგრევა და წალეკვა მოსდევს.

თეთრონი თეთრი ფერის ცხენი.

თემირ-ხან-შურა ისტორიული ქალაქია დაღესტანში.

თემობა თემის ყრილობა, რომელზეც წყდებოდა თემისათვის საჭირბოროტო საკითხები.

თემურ ლენგი (1336-1405 წწ.) შუააზიელი მხედართმთავარი. ერთ-ერთ ბრძოლაში ფეხში დაიჭრა და დაკოჭლდა. ამიტომ „კოჭლი თემური“ — თემურლენგი შეარქვეს. მან დაპყრობითი ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა მავერანნაჰრი, ხვარაზმი, ხორასანი, ირანი, პენჯაბი, კავკასია...

თერექქემე აქ: დაბლობი დაღესტნის სამხრეთში, სადაც კარგი პურეული მოდის.

თერი/ თორი საპატიო ადგილი ყუმუხურ საცხოვრებელში.

„თვალები“ იგულისხმება სტუმარი. ამით უბიხები მისდამი განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავენ. „ან თვალებს მომცემ, ან — სიცოცხლეს“: ან სტუმარს მომცემ, ან შენს სიცოცხლესო. სტუმართმოყვარე კავკასიელს სტუმრის ღალატს სიკვდილი ურჩევნია.

თლეფში ადიღური წარმართული პანთეონის მჭედელთა მფარველი ღვთაება; მითიური მჭედელი. *შდრ.* ოსური ქურდალაგონი.

„თმაყვითელი მეფე“ იგულისხმება რუსეთის იმპერატორი.

თოქალთო *(სპარს.)* ცხენის ზურგზე, უნაგირის ქვეშ საოფლეზე დასაფენი ქეჩა.

თუთირი ჩრდილო კავკასიელთა წარმათულ პანთეონში მრავალფუნქციური ღვთაებაა. ჩეჩნები, ინგუშები, ყარაჩაელები, ბალყარები და სხვ. მას ნადირთპატრონად, მგლების მბრძანებლად მიიჩნევენ. ამას ოსები შინაური ცხოველების მფარველობასაც ამატებენ.

თულუხი *(თურქ.)* 1. წყლის საზიდავი რუმბი ან კასრი; 2. მთაში გავრცელებული დიდი თუნგი.

თხაბალეჯ ადიღეური მიწათმოქმედების ღვთაება.

თხილის ბაირაღი ბაირაღი, რომელსაც ადიღეები კანაფზე ასხმული თხილით აკეთებენ.

ი

იარი (*თურქ.*) აქ: სატრფო. ამ მნიშვნელობით გვხვდება სომხურ ფოლკლორშიც.

იარმულა ფაშა იგულისხმება ერმოლოვი (*იხ.*).

იდვან-ხვან ადგილია ახლანდელი ხივის რაიონში.

იდი ქალის სახელია.

იდილი//იტილი//ილდარი მდ. ვოლგა.

იერგიკარი ადგილის სახელია დაღესტანში.

იმამი (*არაბ.*) წინ მდგომი; მუსლიმური თემის მეთაური; მუსლიმური თეოკრატიული სახელმწიფოს მმართველი.

ინაი/ონაი ფეიქართა მფარველი ღვთაება ყარაჩაულ-ბალყარულ და ოსურ პანთეონში. „ინაის“ მაუდის ქსოვის დროს მღერიან.

ინდილი *იხ.* იდილი.

ინდუსტანი ინდოეთი.

ინიშები (*ადილ.*) 1. ნართების ეპოსის ხალხი, ნართებთან დაპირისპირებულები. 2. გოლიათები. *შდრ.* დევი.

ისრაფილი კაცის სახელია.

იურთა აქ: მომთაბარეთა გადასატანი საცხოვრებელი.

იფა (*აფხ.*) ძე, შვილი.

„იხოშრებოდა ცრემლითა“ ცრემლად იღვრებოდა.

კ

„კაზაკთა ქვეყანა“ იგულისხმება რუსეთის იმპერიის სამხრეთ საზღვართან განლაგებული კაზაკური (*იხ.*) მოსახლეობა, რომელთაგან ჩრდილო კავკასიელებს უშუალო შეხვედრა თერგის კაზაკურ თემთან ჰქონდა.

კაზაკი (*თურქ.*) თავისუფალი ადამიანი, რომელმაც კავშირი გაწყვიტა თავის სოციალურ გარემოსთან. კაზაკები ეწოდებოდა რუსეთის განაპირა რაიონების მოსახლეობას, რომელიც XVIII-XX სს. რუსეთის სამხედრო ფენას წარმოადგენდა. მათ იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნული თუ სოციალური პროტესტის ჩასახშობად იყენებდნენ. კაზაკთა რაზმები იცავდნენ იმპერიის ინტერესებს კავკასიაშიც.

კაფ-დახი *იხ.* კაფის მთა.

კაფის მთა 1. მითოსური, ლეგენდარული მთა, რომლის მიღმა მახლობელი აღმოსავლეთის მითოლოგიას საიქიო ეგულება; 2. კავკასიონის ქედი.

კებერი (*თაბ.*) ზღაპრული რაში, თავისუფლების სიმბოლო.

კვიბილისი ოჯახის მფარველი სული, მამრობითი სქესისა.

კოდი 1. ხის დიდი, გულამოღებული მორისაგან გაკეთებული ჭურჭელი მარცვლეულისა და ფქვილის შესანახად; 2. მარცვლეულის საწყაო. სხვადასხვა დრო-

სა და სხვადასხვა კუთხეში მისი მოცულობა ორიდან ოთხ ფუთამდე მერყეობდა.

კოჭობი პატარა ქოთანი.

„კუბური ვაშლები“ იგულისხმება აზერბაიჯანის ქ. კუბას ვაშლი.

კუკუშუალი ცხენის ჯიშია.

კუთხვა კუთხოვანი სანადირო თოფია ერთგვარი.

კუმუზი სიმებიანი მუსიკალური საკრავია.

კურიკი (ნოლ.) ყულფით დაბოლოებული გრძელი ჯოხი. ცხენის დასაჭერად იყენებენ.

კურფი მითიური მთის მწვერვალი.

კუსთიჩა ტოპონიმია.

ღ

ღაბა – მდინარეა ადიღეში.

ღაზარე ქართული წარმართული პანთეონის ტაროსის ღვთაება.

ღალურ-ბაი აკვნის სიმღერის მისამღერი ლაკურში.

ღარსი ინგუშების სოფელი საქართველოს სამხედრო გზაზე.

ღაუ, ღიაუ აკვნის სიმღერის მისამღერია. შდრ. ნანა, ნანინა.

ღაცი ტოპონიმია.

ღევაში ქალაქია დაღესტანში.

ღელუნე//ღალუნი (ადიღ.) ახალდაქორწინებულთათვის განკუთვნილი ოთახი, სანთიობო.

ღიაუ//ღიაო აკვნის სიმღერის მისამღერი.

ღიაჩხოი მთიანი ინგუშეთის ერთ-ერთი თემი.

„ღილე“ მზის სადიდებელი. ტექსტს დროთა ვითარებაში ცვლილება განუცდია. მასში ქრისტიანობის ელემენტები გაჩენილა. წარმოდგენილი ტექსტი სვანურიდან შესრულებული პწკარედული თარგმანია.

ღირა (ფული) თურქული ფულის ერთეულია.

ღიტრა აქ: წონის ერთეულია. სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ზომა ჰქონდა – ერთიდან ოთხ კილოგრამამდე.

ღოინი მამალი აქლემი.

ღო-ღო/ა-ღო-ღო აკვნის სიმღერის მისამღერია ოსურ ფოლკლორში.

მ

მაზტლი (ყაბ.) ტყის კაცი.

მათე თავთავის ჩასაყრელი გოდორია.

მაისა – ლეგენდარული, მაღალი ხარისხის ფოლადი. მისგან იყო გამოჭედილი ნართების (იხ.) იარაღი.

მალიქი//მელიქი (არაბ.) მეფე, მბრძანებელი.

მამლუქი (არაბ. თეთრი მონა) არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მონები ეგვიპტესა და ერაყში. ისინი უმეტესად ქრისტიანული ქვეყნებიდან მოტაცებული ბავშვები იყვნენ. მათ საუკეთესო მეომრებად ზრდიდნენ. მამლუქებმა ეგვიპტესა და ერაყში დიდ ძლიერებას მიაღწიეს. ერთხანს (1383-1517 წწ.) ეგვიპტეს *კავკასიური* წარმოშობის მამლუქთა დინასტია მართავდა. XVIII-XIX საუკუნეებში ეგვიპტესა და ერაყს ქართველი მამლუქები განაგებდნენ.

მანა – ურმის თვლის ნაწილია.

მანანო (ოს. ქართ.) მნიშვნელობა უცნობია.

მარალი (თურქ.) ირემ-ლაღი. შარვილის (იხ.) ცხენის სახელია.

მართვე არწივის ბარტყი.

მარჯა (ადიღ.) მიმართვის ფორმაა.

მასტანი აქ: კატის სახელია.

მაფრაშა ფარდაგის ქსოვილისაგან შეკერილი განიერი ტომარა. იხმარება ბარგის (ძირითადად ლოგინის) გადასატანად.

მედინა (არაბ.) ქალაქი საუდის არაბეთში. 622 წელს მექადან მედინაში გადასახლდა ისლამის დამაარსებელი მუჰამედი. აქედან იწყება მუსლიმური წელთაღრიცხვა.

მედრესე (არაბ.) მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი.

მენ (თურქ.) მე.

მერები (სპარს.) უფროსი მერუე, რომელიც სარწყავი წყლის მოხმარებას განაგებს.

მერემე ცხენების მწყემსი.

მერკე მარცვლეულის საწყაო.

მესტი რბილი ტყავისაგან შეკერილი მოკლეყელიანი ფეხსაცმელი მამაკაცისა.

მექა ქალაქი საუდის არაბეთში. ისლამამდეც დიდ როლს თამაშობდა არაბთა რელიგიურ ცხოვრებაში. ისლამის ჩამოყალიბების შემდეგ კი მუსლიმთა წმინდა ადგილია. აქ არის ქააბა (იხ.) მუსლიმთა უპირველესი სალოცავი, აქ დაიბადა მუჰამედი.

მეჩეთი (არაბ.) მუსლიმური საკულტო ნაგებობა, სალოცავი.

„მე ხომ ფარჰადის მოდგმისა ვარ“ იგულისხმება დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პოემა „ხოსროვი და შირინის“ ხალხური ვერსიის გმირი ფარჰადი, რომელმაც წერაქვით მოიკლა თავი.

„მთების ძვეყანა“ ასე ითარგმნება დაღესტნის სახელწოდება.

„მთელი ჰოროლით ბრუნდება“ კავკასიელთა ტრადიციით, ბრძოლიდან მთელი ჰოროლით (იხ.) დაბრუნება სირცხვილი იყო.

„მთიელები ყაჯართან ბრძოლას ეწირებიან“ აქ ადგილი აქვს ფოლკლორისათვის დამახასიათებელ ჩანაცვლებას: ნადირ-შაჰი (იხ.) ყაჯარად

არის მოხსენიებული მაშინ, როცა იგი ავშართა დინასტიას ეკუთვნოდა. ყაჯარები მოგვიანებით განაგებდნენ ირანს.

„მთის მწვერვალზე ერთი კუნძია“ იგულისხმება ჯიხვი, რომლის სახელს მონადირე ვერ იტყვის – ტაბუ ადევს – მოსანადირებელი ცხოველის დასახელებას კრძალავს ნადირობის წესები.

მიშიყვა – ადიღეური პატარა ნავი.

მოალის (დიალ.) მოვა.

მოვი (თურქ.) საპერანგე ქსოვილი იყო ძველად. სახელწოდება მისი ფერიდან მოდის – „მოვი“ ლურჯს ნიშნავს. დროთა ვითარებაში ფერის გაგება დაიკარგა და „მოვი“ ქსოვილის სახეობის აღმნიშვნელად იქცა. აქედან: „წითელი მოვის პერანგი“, „მოვის-ლოგინი“.

მოლა მუსლიმთა კულტის მსახური.

„მოლა გაგვლახავს“ ტაროსის ღვთაებისათვის წვიმის გამოთხოვის რიტუალში მოლაც მონაწილეობს (გვიანდელი მოვლენაა). იგი კარდაკარ მოსიარულეთა მიერ შეგროვილ სანოვაგეს ღარიბებს უნაწილებს.

მუბე აულია დაღესტანში.

მურზა (ნოღ.) ბატონი.

„მუცელსაც კი არ გაუკაწრავს“ ასე გამოხატავენ ომში დიდ სისწრაფესა და გამბედაობას.

მუჰაჯირი (არაბ.) მუსლიმურ სამყაროში: გადასახლებული, ემიგრანტი. XIX საუკუნის შუა წლებში კავკასიაში რუსეთის ექსპანსიის შედეგად ჩრდილო კავკასიიდან და საქართველოდან აყრილი და ოსმალეთში გადახვეწილი მუსლიმი.

მცურავი გველი (ტაბუა).

„მწყრის კაკანათი“ იგულისხმება ხეობის ვიწროები.

მხარიხმ წყლის საზიდარი სპეციალური ძელი, მხარზე გასადები. ორივე ბოლოზე წყლის ჭურჭელი ჰკიდია.

მჰერი ძველი სომხური ეპოსის „დავით სასუნცის“ ერთ-ერთი გმირი – ადამიანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლი არქაული ეპიკური სახე.

ნ

ნაგალი ნახლელი, ნახეთქები.

ნაგულარი საჩეჩლის კბილებში ჩარჩენილი მატყლი.

ნადირ-შაჰ ავშარი ირანის შაჰი 1736-1747 წწ. კავკასია ხშირად გამხდარა მისი დაპყრობითი ომების მსხვერპლი.

ნავრუზი//ნოვრუზი (სპარს.) „ახალი დღე“. ირანული წარმოშობის დღესასწაული. აღინიშნება 22 მარტს. იგი გაზაფხულის დადგომას, აქედან – ახალი წლის შემოსვლას უკავშირდება. კავკასიაში მას აღნიშნავენ ყარაჩაელები, ბალყარები, დაღესტნელები და აზერბაიჯანელები.

ნათიყუაჯები ერთ-ერთი ადიღეური ტომია.

ნაიბი (არაბ. ნაცვალი, მოადგილე) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი დაღესტანში შამილის (იხ.) დროს; პროვინციის გამგებელი შუა საუკუნეების მუსლიმურ ქვეყნებში.

ნამაზი (სპარს.) მუსლიმთა ხუთჯერადი ლოცვა, რომელსაც მკაცრად განსაზღვრული რიტუალი ახლავს: განბანვა, სალოცავი პოზები და ჟესტები.

ნან (აფხ.) დედა, ბებია; მიმართვის ფორმა: დედა! ბები! შდრ. ქართ. ნანა, ნენა.

ნანდაური (დიალ.) სასურველი, საყვარელი ადამიანი.

ნართების დრო უძველესი, ზღაპრული დრო.

ნართი ჩრდილო კავკასიელთა საერთო ეპოსის „ნართების“ გმირთა საერთო სახელია. მათ ეპოსის შემქმნელი ხალხები თავიანთ წინაპრებად მოიაზრებენ. ისინი პირველ ადამიანთა მოდგმას უკავშირდებიან. „ნართ“ სიტყვის ეტიმოლოგია ბევრს უცდია, უფრო სარწმუნოდ მიჩნეულია ვს. მილერის მოსაზრება: „ნართ“ უნდა მომდინარეობდეს ძველი ირანული სიტყვისაგან „ნარა“, რაც „მამაკაცს“, „მეომარს“, „ვაჟკაცს“, „დევგმირს“ ნიშნავს. მეორე მოსაზრებით სახელი მონღოლური „ნარ“ — მზე და ოსური „თა“ აფიქსის შერწყმის შედეგია და „მზის შვილებს“ ნიშნავს (ვ. აბაევი).

ნართ-ორსთხოები ჩეჩნურ-ინგუშური ეპოსის გმირები. ისინი კავკასიის სხვა ხალხთა ნართების ზუსტი ანალოგები არიან. თავად ჩეჩნები ნართებსა და ორსთხოებს ერთმანეთისაგან არც განარჩევენ.

ნარი-დ ეკალ (დიალ.) ნარი და ეკალი.

ნაუღელი (დიალ.) ნაღველი.

ნებისად (დიალ.) ნება-სურვილით, ძალდაუტანებლად.

ნეპსი მამაკაცის თესლი, სპერმა.

ნიბნა ტყეა მდ. ლაბის სათავეში.

ნიქოლა ოსურ ღვთაებათა პანთეონში ვასთირჯისა (იხ.) და ეაცილის (იხ.) გვერდით მდგარი მოსავლიანობის მფარველი ღვთაებაა.

ნიხასი ოსურად საუბარს ნიშნავს. აქედან ადგილი, სადაც თავს იყრიან მამაკაცები და ბჭობენ სოფლის, გვარის საჭირბოროტო საკითხებზე. ნიხასის გადაწყვეტილება ყველასათვის კანონი იყო. ადრე ნიხასში ქალს არ მიესვლებოდა.

ნოვრალაზი ქალის სახელია.

ნომილუსი უკანონო ცოლი. ძველად ოსებში მდიდრებს უფლება ჰქონდათ კანონიერი ცოლის გვერდით ჰყოლოდათ უკანონო ცოლიც. არც ამ ცოლსა და არც მის შვილებს არანაირი უფლება არ ჰქონდათ. იხ. საელაგი.

ნუქერი (მონღ.) თავდაპირველად გაფეოდალებული მონღოლი დიდებულების სამსახურში მყოფი რაზმელი. შუა საუკუნეებში წინა და შუა აზიის ხალხებში მსახურის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ნუჰბიკე სილამაზით განთქმული ქალი, მაჰთულანის ხანის ცოლი, რომელიც ჰაჯი მურატმა მოიტაცა. სიმღერაში იგი შამხალის ცოლად რომ მოიხსენება, სინამდვილეს არ შეეფერება.

ო

ოდა (თურქ.) ოთახი. აქ: სახლი.

ოთაუ (თურქ.) მომთაბარე ტომთა პატარა იურთა (იხ.) ჩვეულებრივად, ლამაზად შემკული.

ოლარი მღვდლის შესამოსელის ნაწილი — კისერზე ჩამოსაცმელი ვიწრო, ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილი.

ონაი იხ. ინაი.

ონჯაყი საკვამური, სადაც ყველს ჰკიდებენ შესაბოლად.

ორთამიში (თურქ.) განახევრებული, შუაზე დაყვანილი.

ორედადე, რიდადე რიტმული ბგერათკომპლექსი, მისამღერი, რომლის მნიშვნელობა უცნობია.

„ოროველა“ ქართული გუთნური სიმღერაა. ფიქრობენ, რომ იგი მზის სადიდებელი გალობაა (დ. შენგელაია). შდრ. სომხური „ჰოროველი“.

ორხოვა ხაოიანი ხალიჩა.

ოქუზ (თურქ.) ხარი.

პ

პაჭიჭი წვივზე წამოსაცმელი, ჩვეულებრივ მსხვილი, ფერადი ნართით ნაქსოვი. მასში შარვლის ტოტი იყო ჩატანებული.

„პირის, ფეხების დასაბანად...“ იგულისხმება მუსლიმთა რიტუალური განბანა ყოველი ლოცვის წინ.

ჟ

ჟაკიახრიცა (აბაზ.) დემონური არსება, გამორჩეული ძალისა და გარეგნობის პატრონი.

ჟამუყი ყაბარდოული კერძია.

ჟვეიფშირყანი იხ. აჟვეიფშა.

რ

რაბინი ებრაული თემის სულიერი მოძღვარი. იუდაისტური რელიგიის კულტის მსახური.

რამაზანის თვე (არაბ.) მუსლიმური კალენდრის მეცხრე თვე, როცა მუსლიმები მარხულობენ. *რამაზან ბაირამი* რამაზანის მარხვის გახსნილება — დიდი დღესასწაულია.

რემა ცხენის ჯოგი.

რიდადე რიტმული ბგერათკომპლექსი.

„რკინას კბილები გაუკეთეს“ ნოღაური ნამგალი დაკბილულია.

რონგი ნართების სასმელად მიჩნეული მაგარი, მაგრამ სასიამოვნო სასმელია.

რცმელი ფერდის ქონი, ნაფერდალი.

ს

საბათმანო მარცვლეულის შესანახი სათავსო.

საე ადიღეური ეროვნული ტანსაცმელი.

საკლაგი „შავი კაცი“. ასე ერქვა ოსებში უუფლებო, ტყვედ მოყვანილ ან ნაყიდ კაცს. ავლაგი იყო უკანონო ცოლისაგან — ნომილუსისაგან (იხ.) შეძენილი შვილიც, რომელსაც მამის ქონებაზე უფლება არ ჰქონდა.

სავხოხი (ოს.) „შავი მთა“ (ტოპონიმია).

საზი აღმოსავლური სიმებიანი საკრავი.

სათანა/სათანეი გუაშა ნართების დედა, ნართების ეპოსის ცენტრალური გმირი.

სალამალეიქუმ (არაბ.) მშვიდობა თქვენდა!

სალამუნალეიქუმ იხ. სალამალეიქუმ!

სალი პიტალო; მაგარი; აქ: მაგარი ქვის ფილა.

სამძალიანი სამლარიანი ფანდური.

სანე (ადიღ.) ღვინო. „სანეს გამოხდა“ ღვინის დაყენება.

საშენი (ძვ.) რუსული სიგრძის ერთეული. უდრის დაახლოებით 2 მეტრს.

სარაჯი (არაბ.) უნაგირისა და ცხენის სხვა საკაზმის ხელოსანი.

სასრიყვა/სოსრიყო//სოშსირიყო ნართების ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური, კულტურული გმირი.

სასუნი ისტორიული მხარე ძველ სომხეთში. მისი მკვიდრნი კარგ მეომრებად ითვლებოდნენ.

სასტუმრო სახლი მუსლიმი ოჯახი უცხო კაცს თავის საცხოვრებელში ვერ მიიღებდა. ამიტომ მდიდრებს სტუმრებისათვის განკუთვნილი სახლიც ეჯგათ ეზოში. სოფლებშიც იყო საერთო სასტუმრო სახლი, სადაც სტუმარს იღებდნენ. სახლს სოფელი მორიგეობით ემსახურებოდა.

საფიხვნო ადგილი სოფელში, სადაც თავს იყრიდნენ სოფლის მამაკაცები და ბჭობდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხებზე. მოგვიანებით საფიხვნოზე ქალებიც დაუშვეს. შდრ. *ოსური ნიხასი.*

საჯი კონუსური ფორმის თუჯის ტაფა, რომელსაც ცეცხლზე დაამხობენ და ზედ ლავაშს აცხობენ.

სემენი ნოვრუზ ბაირამისათვის (გაზაფხულის დღესასწაულისათვის) თეფშზე, ბამბაში დათესილი და აჯეჯილებული ხორბალი.

„სენ ბირ ოჭუზ“ (თურქ.) შენ ერთი ხარი [ხარ].

სერი ნაჭდევი შინაური პირუტყვის ყურზე. სერით ცნობს პატრონი თავის პირუტყვს. ასეთ სერს ადებს ნადირთპატრონი თავის ნადირსაც.

სვრელი მიწის ნაკვეთი ყანის, ვენახის სიგრძეზე, რომელსაც მიწის მუშა ერთ ჯერზე გაიტანს.

სიათა ძველებური თოფია.

სიელა ტაროსის ღვთაებაა ჩრდილო კავკასიელთა წარმართულ პანთეონში.

სიმდი ოსური ეროვნული ცეკვა. ადრე იგი რიტუალური ცეკვა იყო და მხოლოდ ვაჟები ასრულებდნენ. შემდეგ ქალ-ვაჟთა ჯგუფურ ცეკვად ჩამოყალიბდა.

სინაგოგა ებრაელთა საკულტო სახლი; სამლოცველო.

სინაჭა მიცვალებულთა გადასაყვანი ხის საკაცე, მოგრძო ფორმისაა და ფეხებზე დგას.

„სიყვარულმა დიდი ქერემი დაწვა“ იგულისხმება კავკასიაში პოპულარული თურქულ-აზერბაიჯანული ეპოსის გმირი, რომელსაც მიჯნურობის ცეცხლი მოედო და დაიფერფლა.

სოლსა სესძა ნართ-ორსთხოების ეპოსის პერსონაჟი, ღმერთთან მებრძოლი გმირია.

სუნეთი (არაბ.) აქ: წინადაცვეთის მუსლიმური რიტუალი.

სუნიზმი ორთოდქსალური ისლამი.

სუნიტი ისლამის ძირითადი მიმართულების — სუნიზმის (იხ.) მიმდევარი.

სუფია (არაბ.) სუფიზმის (იხ.) მიმდევარი.

სუფიზმი (არაბ.) მისტიკური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა ისლამში. იგი VIII საუკუნეში ჩაისახა თანამედროვე ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე. მალე მთელ ისლამურ სამყაროში გავრცელდა. XI საუკუნიდან იქმნება სუფიური სექტები. თავდაპირველად ორთოდოქსული ისლამი სუფიზმს არ ცნობდა, მაგრამ მალე იძულებული გახდა ეღიარებინა იგი. სუფიზმმა უდიდესი როლი შეასრულა ისლამური ქვეყნების კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. სუფიზმის წიაღიდან ბევრი დიდი მოაზროვნე და პოეტი გამოვიდა.

„სხეულის მძიმე ნაწილები“ (ტაბუ) მონადირე ნადირთპატრონს ჯიხვის ბარკლებს სთხოვს.

ტ

ტაბარშაკი უქონელი, ღარიბი, ღატაკი.

ტაბლა აქ: დაბალი მაგიდა.

ტაი (თურქ.) კვიცი. აქ: „გენჯე ტაი“ „ახალგაზრდა კვიცი“ — ცხენის საკუთარი სახელია. შდრ. „ტაიჭი“.

ტალაფარიშუ უბიზური ხალხური ცეკვის სახეობაა.

ტალტები სოფ. ტალტში მცხოვრები დაღესტნელები.

ტარკი (დაღეს.) დაბაა დაღესტანში. აქედან მოდის გვარი ტარკოვსკი.

ტარშლა (მონღ.) სამოხელეო ტერმინია: მოურავი, გადასახადის ამკრეფი და სხვა.

„ტოტზედა დგებოდა“ (დიალ.) ყალყზე დგებოდა.

ტოტი ზოგი დიდი ცხოველის (ვეფხვის, დათვის) ფეხი, ტორი.

ტუსის/ტრუსის სუნი მატყლის, ბამბისა და მისთ. წვის სუნი.

„ტუჩებზე ქონი უეცვაყინე“ იგულისხმება: „ქონიანი ხორცი გვაჭამე“.

უ

უარა! (აფხ.) მიმართვის ფორმა: კაცო!

უეი დუნეი იხ. დუნეი.

უერჯინი ტოპონიმია.

ულაყი მამალი ცხენი, მამალი ვირი.

ულუსი (მონღ.) სახელმწიფო, ხალხი. აქ: ტომი.

უმზრახობის წესი იხ. ვაისადინი.

უჩმარი ბოროტი სულია.

უნდაური არასასურველი, უნდომი.

უნეშხო რიტმული ბგერათკომპლექსი, რეფრენად გამოიყენება.

უორყი (ადიღ.) აზნაური.

ურაზა ბაირამი იხ. რამაზანი.

ურახი სოფელია დაღესტანში.

ურვადი თანხა, რომელსაც სასიძოს ოჯახი უხდის ქალის ოჯახს. ქალის გამოსყიდვის ტრადიცია კავკასიის მთიელებისათვის ადათის დონეზე დგას.

ურუზმაგი ნართების ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟია.

ურხალი აულია ღაზი-ყუმუხის სიახლოვეს.

ურსხოხი „თეთრი მთა“, ტოპონიმია.

ფ

ფადიშაჰი (სპარს.) მონარქის ტიტული ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

ფაიამბარი იხ. ფეიღამბერი.

ფალვარა წვრილფეხა პირუტყვის — თხა-ცხვრის მფარველი ღვთაება ოსურ მითოლოგიაში.

ფარასკართი სოფელია დიგორის ხეობაში.

ფარი დიდტანიანი ძაღლის ჯიშია.

ფარი-მესედუ ქალის სახელია.

ფარსაგი კარგი, რიგიანი; ფარსაგ კარგად, რიგიანად.

ფარჰადი დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პოემის „ხოს-

როვი და შირინის“ ხალხური ვერსიის გმირი, რომელმაც წერაქვით მოიკლა თავი.

ფეილამბერი (სპარს.) წინასწარმეტყველი.

ფერია 1. გრძნეული, ლამაზი ქალი. 2. გადატ. ლამაზი ქალი.

ფეხონი იგივეა, რაც ქართული საფიხვნო (იხ.), ოსური ნიხასი (იხ.).

ფრანგის ქვეყნები იგულისხმება ევროპის ქვეყნები.

ფსიჟი//ფსიზი (ადიღ.) მდ. ყუბანის სახელწოდებაა.

ფუთი წონის საზომი ერთეული ძველად, უდრის თექვსმეტ კგ-ს.

ფუტკარიც მოსთხოვა იგულისხმება: სკები მოითხოვა.

ფშარიჰი მზარეული.

ფშერიხიშაცე (ადიღ.) მონადირე (ტაბუა).

ფში (ადიღ.) თავადი.

ფში-თამადა (ადიღ.) არისტოკრატი მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა.

ფშიმაზითჰა (ადიღ.) ტყის მბრძანებელი, ნადირთპატრონი.

ფჰაპაკი (ადიღ.) ერთგვარი ფეხსამოსია კაკლის ან მუხის ხისა, ზოგჯერ მდიდრულად ინკრუსტირებული. ხმარობდნენ არისტოკრატი ქალები.

ფჰარმანი მითიური პერსონაჟია. მძლეთამძლე მებრძოლი და კულტურული გმირი.

ქ

ქააბა (არაბ. კუბი, კუბის ფორმის შენობა) მუსლიმთა წმინდა ტაძარი მექაში. მის ერთ-ერთ ნიშაში მოთავსებულია მუსლიმთა უდიდესი სიწმინდე, „შავი ქვა“ (როგორც ფიქრობენ, მეტეორიტი). ქააბა ყველა მუსლიმის ჰაჯის (იხ.) ადგილია და ყიბლა (იხ.).

ქადაგი ხატის მსახური, რომელსაც შეეძლო ხატთან (იხ.) ურთიერთობა. ამ დროს ის, ტრანსში ჩავარდნილი, ხატის ნება-სურვილს აუწყებს მრევლს.

ქათიბი ქალის ზედა სამოსი, ბეწვმოვლებული.

ქარდაგის ვარსკვლავი „მთიბავის ვარსკვლავი“. ალბათ, გამთენიისას მთიბავისათვის შუქმფინარი ვარსკვლავი იგულისხმება (ნ. ბეპიევი).

ქასშრი დანის სალესავი ქვა.

„ქეიფ იჩუნ“ (თურქ.) სიამოვნებისათვის.

ქერემი თურქულ-აზერბაიჯანული რომანტიკული ეპოსის „ასლი და ქერემის“ პერსონაჟი.

ქილიჩთეში ანთროპომორფული ბოროტი არსება ყუმუხურ ფოლკლორში.

ქისის ჩუქება ნავრუზის (იხ.) დღესასწაულზე კარდაკარ მოარულ მომღოცველებს ქალები თავიანთ ნახელავ ნივთებს ჩუქნიდნენ (ლამაზ წინდებს, ნაქარგ ქისებს).

ქმნილების პირველი დღე შესაქმის (ქვეყნიერების გაჩენის) პირველი დღე.

ქოისუ (თურქ. – სოფლის წყალი) მდინარის საკუთარი სახელია.

ქოსთექი სოფელია დაღესტანში.

ქუნი-ხუნული ოჯახის მფარველი კეთილი სული, მდედრობითი სქესისა. ჰგავს ქართულ „ფუძის ანგელოზს“.

ქურანა ცხენი წაბლისფერი ცხენი.

ქურდალაგონი ზეციური მჭედელი, სამჭედლო საქმის მფარველი ღვთაება. იგი ჭედავს საბრძოლო იარაღს, ცეცხლში აწრთობს ადამიანებს, როგორც ამ ქვეყანაზე, ისე სულეთში.

ღ

ღადაღუდა გაუვალი, უგზო და ბნელი ადგილები.

ღალა (არაბ.) აქ: ნაწველი, წველის ბარაქიანობა და ცხიმიანობა.

ღალაი მისამღერია. მნიშვნელობა უცნობია.

„ღმერთმა ველური ვაზის ლერწით გათრიოს“ იგულისხმება: ღმერთმა „ღრმა სიბერემდე მიგაღწევინოს“. მომდინარეობს უძველესი ტრადიციდან: მოხუცებულ, დაუძლურებულ ადამიანს ვაზის ლერწს ჩააბამდნენ, ხევში ჩაიყვანდნენ და დატოვებდნენ.

ღუნიბი აული დაღესტანში, სადაც შამილი დაატყვევეს (1859 წ.).

ყ

ყადი (არაბ.) მოსამართლე მუსლიმურ ქვეყნებში, რომელიც ძირითადად საოჯახო, რელიგიურ და მემკვდირეობით დავას განიხილავს შარიათისა (იხ.) და ადათის (იხ.) საფუძველზე.

ყაითანი წნული ზონარი რამეზე მოსავლებად ან რამის შესაკრავად.

ყაირი ნალის ლურსმანი.

ყალარი მოხალული ხორბალი.

ყალა-ყორეიში შუა საუკუნეების უნიკალური ხუროთმოძღვრული კომპლექსია დარგუში.

ყანი აქ: ქალბატონი.

ყარაბაღი ავტონომიური ერთეული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ყარანოღაი „შავი ნოღაი“. ნოღაური ტომია.

ყარაყაშყატაუ მთა ჩემეყის ხეობაში (ყაბარდო), სადაც XVI საუკუნეში მოხდა დიდი ბრძოლა ყაბარდოელებსა და ყირიმელ თათრებს შორის. ბრძოლა თათრების დამარცხებით დასრულდა. სიმღერა „ყარაყაშყატაუ“ ეძღვნება ამ ბრძოლის გმირებს.

ყარიბი//ღარიბი (არაბ.) უცხოობაში მყოფი, უთვისტომო, გადახვეწილი.

ყაფირ-ყუმუხი აული, სადაც ტარკის შამხალთა რეზიდენცია იყო.

ყესათი ოსური გვარია.

ყიბლა (არაბ.) მხარე, საითაც მექა (იხ.) და ქააბა (იხ.) იგულისხმება და საითაც პირი უნდა ქნას მუსლიმმა ლოცვის დროს. კავკასიელთათვის ყიბლა სამხრეთითაა. „სამყაროს ყიბლა“ ოსმალეთის სულთნისადმი მიმართვის ფორმაა.

ყობლე იხ. ყიბლა.

ყოილი (დიალ.) ყვავილი.

ყონაღი კავკასიაში გავრცელებული მეგობრობის ფორმა, რომელიც ადათით არის გამყარებული.

ყუბაჩი აული დაღესტანში. განთქმულია ოქროსა და ვერცხლზე მომუშავე ოსტატებით.

ყუიცუყო (ყაბ.) ქაჩალი.

ყუმღანი (ადიღ.) სპილენძის თუნგი რიტუალური განბანვისათვის.

ყურათი//ყირათი (თურქ. „ლურჯა ცხენი“) ცხენის საკუთარი სახელია.

ყურო ადგილის სახელია.

შ

შავი იგულისხმება მდაბიო; უპოვარი, უუფლებო.

შათმან გაფოთლილი ტოტები, რომელთაც კარდაკარ დაატარებენ და ყველას ნოვრუზის (ახალი წლის) დადგომას ულოცავენ.

შამი დამასკი.

შამილი (1797-1871) ჩრდილო კავკასიელთა ანტირუსული, ანტიკოლონიური ბრძოლის მეთაური — ჩეჩნეთისა და დაღესტნის იმამი. მან შექმნა თეოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ისლამის რელიგიურ-მისტიკურ მიმართულებას — მიურიდიზმს ეფუძნებოდა. შამილი 1859 წელს დაატყვევეს რუსებმა.

შამხალი ერთ-ერთი ფეოდალური ტიტული დაღესტანში XII ს-იდან 1867 წლამდე. იგი ენიჭებოდა დიდგვაროვანთა თავყრილობაზე ყაზი-ყუმუხში (იხ.). XVII საუკუნიდან ეს ტიტული სამემკვიდრეო იყო.

შარვილი დაღესტნური ფოლკლორის პოპულარული გმირი, რომელზეც ბევრი სიმღერაა შემორჩენილი. მიაჩნიათ, რომ მასზე ერთი დიდი ეპოსი უნდა ყოფილიყო შექმნილი, რომელიც მოგვიანებით ცალკეულ სიმღერებად დაიმსხვრა. პ. ბოგატირევი მათ „ყაჩაღურ ციკლში“ განიხილავს, თუმცა, ჩვენი აზრით, შარვილი უფრო კულტურული გმირია, ვიდრე „კეთილშობილი ყაჩაღი“. ის უბიწოდ არის ჩასახული, ზებუნებრივი ძალით არის დაჯილდოებული, ქვეყნად ცეცხლის მომტანია.

შარიათი (არაბ.) ისლამის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებული. იგი ძირითადად ყურანს ეფუძნება. მოიცავს სახელმწიფო, სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის ნორმებს.

ШАРОЙ ადგილი ჩეჩნეთის მთიანეთში.

ШАТОЙ რაიონული ცენტრი ჩეჩნეთის მთიანეთში.

ШАШИЙ მჭედლობისა და მჭედელთა მფარველი ღვთაება აფხაზურ წარმართულ პანთეონში.

ШАЬЫ ფულის მცირე ერთეული. შდრ. შაური.

ШЕЙТАНИ (არაბ.) ეშმაკი, ბოროტი სული, სატანა.

ШЕЙЬЫ (არაბ.) არაბული თემის მეთაური.

ШЕЙЬ-УЛ-ИСЛАМИ (არაბ.) უმაღლესი სასულიერო პირი ოსმალეთის იმპერიაში.

ШИБИ კლდის წიბო.

ШИБЛЭ ჭექა-ქუხილის წარმართული ღვთაება ადიღეებში.

ШИМША კალატოზის, დურგლის იარაღია. იხმარება საზომად და კედლის სისწორის გასაგებად.

„ШИЧАН БИКЭ“ „ქალბატონი თაგვი“.

ШОКАНА თეთრი თავსაფარი, რომელსაც იხურავენ გათხოვილი ნოღაელი ქალები.

„ШУБЛЪЭ ЬЭЛИ ДАИДЫ“ იგულისხმება: მიესალმა (აღმოსავლური მისალმების ფორმას – „თემენას“ შუბლზე ხელის მიდებაც ახლავს).

ШУНИ დედალი ვიცვი.

ШУРИЛАСИ ყაბარდოული ეროვნული თამაში – ცხენოსნობაში შეჯიბრება.

ШУЖУРЗАРСКЪЛАЗИ ცისკრის ვარსკვლავის (პლანეტა ვენერას) ქართული ხალხური სახელია.

ШУША ქალაქია აზერბაიჯანში.

Ч

ЧАБАНОВ ЖАЛА ადგილია.

ЧАИХАНА (სპარს. „ჩაის სახლი“) საჩაიე.

ЧАЛАНДАРИ აქ: მამაკაცის საკუთარი სახელი.

ЧАМАШЪАДЫЛА (დიალ.) დაუმიზნა.

ЧАНАХИ (თურქ.) აქ: გულამოღებული ხის, ან თუნუქის საწყაო. იხმარებოდა მარცვლეულისა და ფქვილის ასაწყავად. დაახლოებით ნახევარი ფუთი ჩადიოდა.

ЧАНЧХЭШРА ბაწარზე ასხმული წვრილი ნივთები (თვლები, მძივები). აკვანზე კიდებდნენ. ჩხარუნა.

ЧЪЭМЭНИ ქალის ზედა სამოსია.

ЧИБЛАБАСТА (აბაზ.) ღომისმაგვარი საჭმელია ცხენის ხორცზე დამზადებული.

ЧИНМАЧИНИ (ძვ.) ჩინეთი.

ЧОГАЛИ კაცის სახელია. ნიშნავს: „კაცი, რომელსაც ჰქვია ცვარი“.

ც

ცარგუთი სოფლის სახელია.

ცხავი საცრის მსგავსი მსხვილნასვრეტებიანი ხელსაწყო, რომლითაც მარცვლეულს შენარევებისაგან წმენდენ. „ცხავი აცხავებულა“ რიტუალური გამოთქმაა და წვიმის მოსვლას ნიშნავს.

ძაღლისმჭამელები“ თავიანთი საქონელი ყაბარდოელებმა მთაში გადამალეს. დამშეული თათრები მაწანწალა ძაღლებს იჭერდნენ და ჭამდნენ.

ძ

ძიქვა ოსური ეროვნული კერძია, ყველის ფაფა.

წ

წალმა ვერ მოვაბრუნეთ ჩვენი გემები“ ნიშნავს: ვერ ვუშველეთ ჩვენს საქმეს.

წბილა წვრილი და გრძელი ღერო.

წივის აგურები საქონლის ნეხვში გარეული ბზისაგან გაკეთებული აგურის მსგავსი ბრიკეტები, რომელსაც კავკასიის მაღალმთიან აულებში, სადაც ტყეები არ არის (ალპური ზონაა), საწვავად იყენებენ.

„წითელი თოჯინა“ ტაროსის ღვთაებისათვის წვიმის გამოთხოვის მიზნით გაკეთებული თოჯინა. ფოცხებს შეკრავდნენ, ზედ ქალის წითელ კაბას ჩამოაცმევდნენ და სიმღერით კარდაკარ ჩამოატარებდნენ. რომელ სახლთანაც გაჩერდებოდნენ, ოჯახის დიასახლისი „თოჯინას“ წყალს შეასხამდა.

წმინდა აქ: ხორბლის პური.

წრიაპი ფეხზე ამოსაკრავი დაკბილული რკინა. იხმარება კლდეებზე სასიარულოდ.

წუდარახი ?

წუნტა რაიონი დაღესტანში.

ჭ

ჭაფშე ავადმყოფისა თუ დაჭრილის საწოლთან გამართული რიტუალური თავშეყრა — საერთო მხიარულება, სიმღერა, ხუმრობა, რასაც ავადმყოფისათვის ტკივილი უნდა შეემსუბუქებინა (ადიღეში).

„ჭეშმარიტ გზაზე დაყენება“ იგულისხმება ისლამზე მოქცევა ვინმესი.

ჭიუხი//ჭაუხი შიშველი წვეტებიანი კლდე.

ჭიშდვარი სვანური ღვეზელია: ცომში ჩართული ხორცი.

ხ

ხადარი მამაკაცის საკუთარი სახელია.

ხალუ მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა.

ხანი (თურქ.) უმაღლესი ტიტული. მეფე, მთავარი, თურქული და მონღოლური ტომებისა. შდრ. ყაენი.

ხანუმი//ჰანუმი (თურქ.) ქალბატონი. *ხანუმ* მიმართვის ფორმა: „ქალბატონო“.

ხარაჩოი სოფლის სახელია.

ხატი (არაბ.) 1. ღვთაების ან წმინდანის ფერწერული გამოსახულება; 2. ფშავში, ხევსურეთში — წარმართული ღვთაება, რომელიც მფარველობს ამა თუ იმ თემს; 3. ხატის საბრძანებლად მიჩნეული ადგილი, სადაც კულტმსახურება სრულდება.

ხირიმი//ყირიმი ინგლისური კაჟიანი თოფია. საქართველოში ყირიმის სახანოდან შემოჰქონდათ.

ხვანელი (ხვანალ) დიდოელი.

ხომამასთი ოსური კერძია, ყველის, ერბოსა და მოხალული ქერის ან სიმინდის ფქვილისაგან მომზადებული.

„ხორასნული ხალიჩა“ იგულისხმება ირანის ჩრდილო ნაწილში, ისტორიული ხორასნის ოლქში მოქსოვილი ხალიჩა.

ხორონი აქ: ჯიხვების არვე.

ხოჯა//ჰოჯა (სპარ.) აქ: სასულიერო პირი.

ხუდაი (<სპარ. ხუდა) ღმერთი.

ხულეფა აულია დაღესტანში.

ხუნჩი აულია დაღესტანში.

ხუჩბარი//ხოჩბარი ჩეჩენი მოთარეშე, სახელგანთქმული შურისმაძიებელი, რომელიც სიკვდილს თესავდა დაღესტანში. ერთმა ხუნძმა ფეოდალმა მისი შეპყრობა მოახერხა და საქვეყნოდ ცეცხლზე დაწვა რომ დაუპირა, ხუჩბარმა ფეოდალის ბავშვებს ხელი დასტაცა და მათთან ერთად გადაეშვა ცეცხლში. ხუჩბარის სახე ვაჟა-ფშაველამ გამოიყენა პოემაში „სისხლის ძიება“.

ხოხი სიმღერა.

ჯ

ჯალამიში (თურქ.) გამოლოკილი, გალოკილი.

ჯამაათი (არაბ.) 1. რელიგიური თემი; 2. ერთად თავმოყრილი ხალხი.

ჯგვათი ამჟამად ქალაქია მდ. ყუბანის ნაპირას.

ჯეგუ — მხიარული თავყრილობა, ქორწილი, დღეობა.

ჯემანშერიყი — მითიური გრძნეული ცხენი.

ჯიგიტი (თურქ.) ვაჟკაცი, გულადი.

ჯილისტანები მცირე ყაბარდო.

ჯინი (არაბ.) ბოროტი სული, გრძნეული არსება (ზღაპრებში).

ჰ

ჰალტა ყაბარდოული კერძია.

ჰამბარი (სპარ.) ამბარი, ბეღელი.

ჰარციგი?

ჰაჭეში (ადიღ.) სასტუმრო ოთახი.

ჰაჯი (არაბ.) საპატიო ტიტული მუსლიმისა, რომელმაც მექაში (იხ.) პილიგრიმობა აღასრულა.

ჰაჯი-მურატი კავკასიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე, შამილის ნაიბი. 1851 წ. რუსების მხარეს გადავიდა, მაგრამ მალე მათაც გაექცა. გაქცევის დროს მოკლეს.

ჰოგალი ჩეჩენ-ინგუშთა ტაროსის ღვთაება.

ჰოროველი სომხური წარმართული რწმენა-წარმოდგენებით მიწის, მოსავლის ღვთაებად არის მიჩნეული. სომხები „ჰოროველს“ ხვნის დროს მღეროდნენ. გუთნური სიმღერაა ქართული „ოროველაც“.

ჰოროლი ერთგვარი შუბი.

ჰუნძა ადგილი დაღესტანში.

„კავკასიური სახლის“ მიერ „კავკასიური ფოლკლორის“ სერიით გამოსული კრებულები:

ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი, შეადგინა, წინათქმა და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ. რუსული თარგმანი რიმა ორტობაევასი და აზრეთ პალოევისა, ქართული – ლია ჩლაიძისა. I გამოცემა, თბილისი, 1995; II – 2001.

ჩეჩნური ფოლკლორი, თარგმანი ქართულად ნაირა გელაშვილის, როსტომ ფარეულიძისა და ზეზვა მედულაშვილის. I გამოცემა, თბილისი, 1999; II – 2002.

ყუმუხური ფოლკლორი, შეადგინა, წინათქმა და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ. პწკარედული თარგმანი ყუმუხურიდან რუსულად აბდულ ჰაქიმ აჯიევის, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ლია ჩლაიძისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 1999.

დარგუული ფოლკლორი, შეადგინა, შესავალი და კომენტარები დაურთო ფატიმა აბაქაროვამ. პწკარედული და ფილოლოგიური თარგმანი დარგუულიდან რუსულად ფატიმა აბაქაროვასი, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ლია ჩლაიძისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 1999.

ინგუშური ფოლკლორი, შეადგინა როსტომ ფარეულიძემ, წინათქმა ქეთევან სიხარულიძისა და როსტომ ფარეულიძის. ფილოლოგიური თარგმანი ქართულად როსტომ ფარეულიძისა, პწკარედული თარგმანი ინგუშურიდან რუსულად აბუქარ თანქიევის, მაია გაიდაროვასი და როსტომ ფარეულიძისა, ფილოლოგიური თარგმანი რუსულად მაია გაიდაროვასი და აბუქარ თანქიევის. თბილისი, 2001.

უბიხური ფოლკლორი, შეადგინა, წინათქმა და კომენტარები დაურთო რუსუდან ჯანაშიამ. ქართული თარგმანი ელისაბედ ყვავილაშვილისა, რუსული – გივი ორაგველიძისა და რუსუდან ჯანაშიასი. I გამოცემა, თბილისი, 1995; II – თბილისი, 2001.

ადიღური ფოლკლორი, შეადგინეს ჯონდო ბარდაველიძემ და ლია ჩლაიძემ. ქართულად თარგმნა თამარ უჯუხუმ, რუსულად – შამსუდინ

ხუტმა, აბუ სხალიახომ, ასკერ გადაგატლიმ, იუნუს თხარკახომ, ნალბი ყუიეყომ, ადამ გუტოვმა, ლეილა ბეზიკოვამ. თბილისი, 2002.

ოსური ფოლკლორი, შემდგენლები ნაირა ბეპიევი, მერი ცხოვრებოვა, წინათქმა – „ხალხი – სულიერი მუშაკი" ნაფი ჯუსოითისა; ფილოლოგიური თარგმანი ოსურიდან ქართულად ნაირა ბეპიევისა და მერი ცხოვრებოვასი; პწკარედული თარგმანი რუსულად ნაირა ბეპიევისა, ფილოლოგიური თარგმანი მაია გაიდაროვასი; თბილისი, 2002.

აფხაზური ფოლკლორი, შეადგინეს ანა წვინარია–აბრამიშვილმა და ლია ჩლაიძემ. წინათქმა ლია ჩლაიძისა, პოეზიის პწკარედული თარგმანი აფხაზურიდან ქართულად ბორის გურგულიასი, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ლია ჩლაიძისა, რუსულად – გინა ჭელიძისა; პროზის თარგმანი აფხაზურიდან ქართულად და რუსულად ანა წვინარია-აბრამიშვილისა. თბილისი, 2003.

ნოღაური ფოლკლორი, შეადგინა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ლია ჩლაიძისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2003.

აბაზური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ. პწკარედული თარგმანი აბაზური ენიდან ქართულად თეიმურაზ გვანცელაძისა, რუსულად – ვლადიმერ ტუგოვის. ფილოლოგიური თარგმანი ქართულად ლია ჩლაიძისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2003.

ქართული ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ. ფილოლოგიური თარგმანი რუსულად გინა ჭელიძისა და მაია გაიდაროვასი.

აზერბაიჯანული ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ; ქართულად თარგმნეს ზეზვა მედულაშვილმა და გიორგი შაყულაშვილმა; ფილოლოგიური თარგმანი რუსულად მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2004.

სომხური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად გივი ლუარსაბიშვილისა და ზეზვა მედულაშვილის, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2004.

თაბასარანული ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია

ჩლაიძემ; პწკარედული თარგმანი ქართულად ცირა ბარამიძისა, ფილოლოგიური თარგმანი ქართულად გივი ლუარსაბიშვილისა, ფილოლოგიური თარგმანი რუსულად მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2004.

ლაკური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ; ფილოლოგიური თარგმანი ლაკურიდან ქართულად გივი ლუარსაბიშვილის, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2006.

ლეზგიური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ. ფილოლოგიური თარგმანი ლეზგიურიდან ქართულად მიხო ბეროშვილის, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2006.

ხუნძური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ. ფილოლოგიური თარგმანი ხუნძურიდან ქართულად ნაირა ბეპიევისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2006.

თათური ფოლკლორი, შეადგინა და წინათქმა დაურთო ლია ჩლაიძემ. პწკარედული თარგმანი თათურიდან რუსულად ლ. აბრამოვასი; ფილოლოგიური თარგმანი ქართულად გივი ლუარსაბიშვილისა, რუსულად – მაია გაიდაროვასი. თბილისი, 2006.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორი

წინათქმა 5

ქართული ფოლკლორი

პოეზია

მზე, მთვარე და ვარსკვლავები 11
ლილე 11
მზე დაღმა ჩამავალია 12
მზე შინა და მზე გარეთა 12
შუქურვარსკვლავი 13
ლაზარე — წვიმის მომყვანი 13
ლაზარე — დარის მომცემი 13
ბინდისფერია სოფელი 14
* * * წუთისოფელი ასეა 14
წუთისოფლის სტუმრები ვართ 14
* * * „რა ვქნისა“ ციხე ავაგე 15
* * * სახლ გვიდგა საგონებელი 15
* * * ნეტა რო ჩემი სასახლე 15
* * * წუთისოფელი რა არი? 16
სიკვდილი და ობოლი 16
დალი 17
ბეთქილი 18
ლექსი ვეფხისა და მოყმისა 20
ქალსა ვისმე 22
ჯარჯო 23
შვიდს ძმათა, მერვეს ბიძასა 24
გაზაფხულ იყო მაშინა 25
* * * სამშობლოს არვის წავართმევთ 25
ვაჟკაცი 26
ხოგაის მინდი 26
გამაგრდით, არხოტიონნო 27
* * * კიდევაც დაიზრდებიან 27
* * * ვაჟკაცსა — გული რკინისა 27
* * * მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი 27

* * * სალ კლდეში ორბი ბუდობდა..... 28
მთიელი 28
* * * შავი ხარ შავსა ცხენს ზიხარ..... 28
შემომეყარა ყივჩაყი 29
ვახტანგ მეფე 30
თამარ დედოფალი ვიყავ 30
ბატონიშვილ ერეკლესა 30
თავფარავნელი ჭაბუკი..... 31
* * * იამა გშობა შობითა... 32
* * * ხომალდში ჩავჩექ, ზღვას გაველ..... 32
* * * შენ, ჩემო დიდო იმედო... 32
* * * ვერცხლისამც თასაც მაქცია... 33
* * * ნეტავი, მოვკვდე ხის ძირსა... 33
* * * ქალმა თქვა: ნეტავ, მზე ვიყო... 33
* * * მეფეო, შენსა გვირგვინსა... 34
მაყრული 34
ლაზური მაყრული 34
იავნანა 35
* * * იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო... 36
რკინის კარის შეხსნა 37
სიკვდილო, შვილი გაგიზარდე..... 38
* * * ღამეო, შენამც გენაცვლები... 38
* * * დედილამ, შვილო, დედილამა... 39
* * * დედაშენს რა აქვ სატირალი? 39
* * * დავბერდი, ცრემლიც დამიბერდა..... 40
* * * მაჰკვდია, ბეჩაო იერემო... 40
* * * ნეტავ მაქცია სიკვდილადა... 40

შაირები
* * * თქვენებიანთ კამეჩები... 41
* * * ლიახვი ადიდებულა... 41
* * * მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი... 41
* * * ნეტავ, გოგოვ, შენმა ქარმა..... 41

კაფიები
* * * მოდი, ფრუშკავ, ერთ ქალს მოგცემ... 42

ურმული 43
* * * გასწიე, ხარო, გასწიე... 43

პროზა
ლერწმის ქალი 44
ნიქარა 52
დედინაცვალი და გერი 57
მონადირის შვილი 62
მიწა თავისას მოითხოვს 66
ნაცარქექია 69
მელია და მწყერჩიტა 72
ამბავი ხელმწიფის შვილისა, ქალი რომ არ მისთხოვდა,
სანამ ხელობას არ ისწავლიო 73
მეფის შვილობილი 75

ანდაზები 76

აფხაზურ-ადიღური ფოლკლორი

აბაზური

პოეზია
სოსრიყვა და ექვსი კაცი 79
სოსრიყვა და სოთრაში 83
სოსრიყვა და სოსრანფა 84
კტიმის, კტიშისა და კაკანას ამბავი 86
ქინას ქალი მინათი 87
წარაკუჟვი 89

პროზა
აინიჟვფა 90
მზისა და მთვარის ასული 96
ქალების წყალობა 104
საიქიოდან მოსული კაცი 111
სამი ძმის სამი სახედარი 114
ქონება და ჭკუა 116

მერცხალი და ქალები..... 117

ანდაზები..... 118

ადიღურ-ჩერქეზული ფოლკლორი

პოეზია

ძველი ადიღეური სიმღერა..... 119
უძლეველ ნართთა სიმღერა..... 120
ყარაყაშყატაუ..... 121
დამალეი..... 122
გოშაღაღი..... 123
სიმღერა ოშნეუს ბრძოლაზე..... 124
შიბლეს ცეკვა..... 126
ფშიმაზითხა..... 126
სიმღერა აიდამირყანზე..... 127
ღირსეული დედის ორი ვაჟიშვილი..... 128
ლაბისპირელთა ტირილი..... 129
ჰათხის შვილის, მჰამეთ ღუაზას დატირება ცოლის მიერ..... 131
სათანაის მოთქმა..... 132
ადიიფ..... 133
ადიუჰ..... 134
რას იზამ, კარგო?..... 135
მაყრული..... 137
დედოფლის დალოცვები..... 137
საქორწილო სიმღერა..... 139
ცხენზე ჯდება ჩემი შვილი..... 140
მონადირის სიმღერა..... 141
მგზავრთა დასალოცი..... 142
პირველი ხნულის გავლებისას სათქმელი დალოცვა..... 142
კალოური..... 143
თელის ჩივილი..... 143
ნანა..... 144

პროზა

ავყია ფში..... 146
როგორ წაიყვანეს სალაშქროდ ყმაწვილი ანდემირყანი..... 148

თქმულება ანდემირყანზე 149
როგორ მოახდინეს სასწაული შუმახო შოჯენმა და ხარციჟმა 153
შოყოთლი 154
გუდაბერდი 156
ყუიცუყო და ინიჟი 160
დაუშჯერჯი და მაზიტლი 165
ყარბეჩი 168
კაცი, რომელმაც ჭკუა იყიდა 177
ბესლანუყოს ცოლი 182
როგორ იხსნა მეზობელმა მეზობელი გაჭირვებისგან 187
ფშერიხიჟაცე 189
ამბავი იმისა, თუ როგორ მოინდომეს ნართებმა 190
სოუსირიყოს დაბადება 191
როგორ მოკლეს სასრუყო 191
ბუ 192
როგორ გააკეთა პირველად თლეფშმა ნამგალი 193
რატომ ჩერდება მზე საღამოობით 196
თუ ჩვენი სიცოცხლე ხანმოკლეა 196
ვინ უფრო ადრე თვრება 197
ასი მართალი სიტყვა 198

აფხაზური ფოლკლორი

აჟვეიფშაას სიმღერა 202

ხმით ნატირლები

დის ნატირალი 203
ცოლის ნატირალი 204
* * * დედაჩემო, დედაჩემო, ოჩამჩირეს უნდა გამგზავნონ! 204
ურმული 205
აბათაა ბესლანი 206
სალუმან ბღაჟბა 210
ლაშქრული 211
ქალ-ვაჟის გაბაასება 211
ზარმაცი ქალი 213
მამლაყინწას სიმღერა 214

შელოცვები

ავი თვალისა 215
წითელასი 216
გველის ნაკბენისა 216

პროზა
აწანები 217
რიწა 218
გველი, მერცხალი და ხოჭო 219
რატომ არ კლავენ საძბები გველს 221
რატომ ყმუიან მგლები 221
აბრსკილი 223
როგორ მოსწყვიტა სასრიყუამ ცას ვარსკვლავი 228
როგორ იქცა ვაჟად ხელმწიფის ქალი 236
მონადირე და დევების და 244
მიცვალებულისთვის სიკეთის მქნელი 247
ქალიშვილი, რომელმაც მზე შეაჩერა 254
ქალის სიყვარული 256
ხარის გაზრდილი ბიჭი 257
ქურდობაც მრავალნაირია 261
მატყუარა და მართლის მთქმელი 266
რომელს გვეკუთვნის? 271
თანხმობა 274
როგორ გაიყო ორმა ძმამ ქონება 276
აფხაზი და ეშმაკი 277

ანდაზები 279

უბიხური ფოლკლორი

სასრიყვას სიკვდილი 280
ბერიკაცი და დევი 282
აიდემირ ხანი 284
გლეხის შვილი 288
სამი რჩევა 294
კაცი, რომელმაც ირჩია, ახალგაზრდობაში ყოფილიყო უბედური 297
მოხუცთა დახოცვის დასასრული 302
ყელწითელა 303

ქუშიკუ ბეგი 304
ქალის ჭკუა 306
დიღუ დიდარიყუს თავგადასავალი 307
დიდარიყუს ფილოსოფია 307
დიდარიყუს თურქული 307
დიდარიყუს მეგობარი 309
სალოცავად წასული დიდარიყუ 310
დიდარიყუ წისქვილში 310
დიდარიყუ, მისი ვალი და მოწმე 311
უბიხური ანდაზები და სიტყვის მასალა 313

ვაინახთა ფოლკლორი

ინგუშური ფოლკლორი

პოეზია

ჰაი, ჰალა, ჰალა 317
თესვისას 317
ძველი ინგუშური სიმღერა 317
სიმღერა მოჩაყაზე 318
უშიშარი სოსი 319
ხარაჩოელი ზელიმხანი 320
ძველებური დალოცვის სიმღერა 321
გადასახლების დროინდელი სიმღერა 321
დის დატირება ძმაზე 323
დას დავავიწყდები 323
თანხმობის გარეშე გათხოვილი ქალწულის სიმღერა 323
ჭირხლით დაიფარაო 324
ქმართან გაყრილი ქალის სიმღერა 324
ქალწულის ნამღერი ვაჟისთვის 325
ნუ დარდობ, ვაჟკაცო 326
სიმღერა სატრფოზე 326
სიმღერა მერცხლების, ბეღურების 327
საღამოს ბინდივით 327
მთვარე რომ ილევა 327
მეზობლის ბაღიდან 328

მზის ამოსვლას 329
თეთრ კაბას ჩავიცვამ 329
ლურჯ ცაზე გუგუნით 330
ცაზე რომ მიფრინავს 330
დედამიწას რომ არტყია 330
შენი მოსვლის მოლოდინში 331
ძლიერ ქარში 331
გაზაფხულის თბილმა 332
სატრფოს 333
ღამის მნათობივით 333
ხნიერი მამა 334
წუნია პატარძლის სიმღერა 334
მძახლობა 335
ქალიშვილისა და ჭაბუკის პაექრობა 336
სალამ-ქალამი 337
სახუმარო სიმღერა 337
ქალწულის სახუმარო სიმღერა 338

პროზა

როგორ გაჩნდნენ მზე, მთვარე და ვარსკვლავები 339
მზე და მთვარე 339
ალმასი და მონადირე მეთვითონ 340
ბარაქის მომტანი ჩიტი 341
როგორ გაჩნდა სოფელი ერზი 341
ჭაბუკი ბორღა და ქალიშვილი სუვი 342
ორი საფლავი 342
გიერგალ მეფე 343
შამილმა თქვა 344
ღირსება 344
ყველაზე ძნელი 345
ღირსება თუ შურისძიება 346
ჩა და ჩერბაჟი 346
მზე და მთვარე ვერ გაიყვეს 348
მეფეს მეფე რად უნდა? 350
ჯაჭვის პერანგს აღარ მოვქსოვ 351
ვინ დასახლდა პირველად ნესარ-ქერთში 351

რა არის? 353
დედის ხელი 353
კოჭლი თიმარი 354
ცაგენი 357
საბანქვეშ დაზრდილი ძმები 361
ლომ-ედალბი 363
კვალი არ გამოდის 366
როგორ მოატყუა კურდღელმა მგელი 366
ქორი და ყვავი 367

ჩეჩნური ფოლკლორი

პოეზია

* * * იმ ღამეს ვიშვით, როცა ლეკვებს ყრიდა ძუ მგელი... 368
* * * ღამეს გაჰყმუის ბექობიდან ეული მგელი... 369
* * * ჰეი, ბიჭებო, ნუმც დავხოცილვართ... 369
* * * მთის ფერდობებზე 370
* * * აგრემც მოგიკვდეს ჩემი თავი... 371
ჩორას სევდიანი სიმღერა 372
* * * მინდორზე ალამს რომ ააფრიალებ 373
დის ნატირალი ძმაზე 374
* * * ხომ მაგარია რკინა-ფოლადი 374
ირემი 375
* * * როგორც მხარგაშლილ წიფელს სიო არ მოაკლდება... 375
* * * ნუ იტყვი, ძმა არისო, ნუ იტყვი, და არისო... 376
* * * ირგვლივ მთებია, — ასე უთხარი... 376
* * * ნუ იტყვი, დღე ღრუბლიანიაო 377
* * * როგორ გავბედე... 378
* * * სული რისთვის მიწრიალებს, ნეტავ... 378
* * * ლოგინს მიჯაჭვული სნეული არა ვარ 379
* * * მარჟანა 380
* * * წვიმა წამოვა და მიწა შეისრუტავს... 381
* * * ნუ დაეშვები, მწუხრო ლამაზო, მზის მიდრეკისას ბინდი ნუ მოგაქვს 381
* * * შენ, ჰოგალაი, ჰოგალაი... 383
სიმღერა ქვრივის ვაჟიშვილსა და ქართველ ჭაბუკზე 383

პროზა

ფჰარმათი 397
ორეული 402
ნადირთა მფარველები 403
ნადირთა მწყემსი 403
თურს! 403
სოსლა სესქას ძის ამბავი 404
ღონიერი სოსლა 405
მგელი 406
სამი ძმა და გველეშაპი 407
სამი ძმის ამბავი 408
ამბავი სიყვარულისა 413
ჭკუის ხიდი 414
ქარისთვის ნათქვამი მადლობა 416
მცურავის ნათქვამი 418
სესქა სოლსას ოინები 418

დაღესტნის ხალხთა ფოლკლორი

დარგუული ფოლკლორი

პოეზია

დარგუელებზე 421
სულთან-ახმედი 422
მამაცი ბეკბულათი 424
ყუმუხელი ჭაბუკი და აზაინელი ქალი 428
გაყიდული მესედუ 430
კუბაჩელი ბიჭის ამბავი 432
ყალა — ყორეიშელი ქალი 436
ორი მეგობარი 438
მურთუზა ალი და მესედუ 440
მშვენიერი ბიქას ამბავი 444
ნადირ-შაჰი და ხარტუმი 447
მუჭალები 448
შამილი 450
სიმღერა ერმოლოვის ლაშქრობაზე 453

სულეიმანის და 455
* * * ცხელი ტყვია მოგხვდეს... 457

პროზა

ოქროს ფული 459
ზილპიპიპი 462
იღბალი 464
რწყილი 465
ქუნი-ხუნულ 466
აბულის შეხვედრა გოლიათებთან 467
იშბინა ხავა 468
კვიბილისის შურისძიება 468
რაც არ უნდა თქვათ... 469
ოჰ, რა ცუდი იქნება 470
ისმაილის ძროხა 471
გუბდენი და თემური 471
დღისით სიბრმავე, ღამით ჯოჯოხეთი 472
აიდემირის ხმალი 473
ალი-სულთანის ოინები 473
მუგეელი და კუბაჩელი 474
ძუნწი ბუზი 474
ფრთხილი კურდღელი 475
სახედრის სიკვდილი 475
როგორ ჭამდნენ ყურძენს 475
სცადეთ და დამაცდენინეთ 476
ჩამოდი, ლურჯსახიანო! 476
ვინ გითხრა? 476

ლაკური ფოლკლორი

პოეზია

ლალურ-ბაი 478
შენ საით? 479
კაჭკაჭი 479
დასუნსულობს მინდვრის თაგვი 480
ციკნის გამოცანა 481
ბავშვის ბანაობა 481

ჩანგის სიმღერა 482
გლახის ნამღერი 483
მარტო მივიდოდი და 484
შენი ორთავ თვალის მშვილდი 484
მოდის სიყვარული 485
სისხამ დილაზე 485
მხოლოდ ყლუპი 485
წყაროს პირას 486
დილით ტყეში წავალ 487
მე თვითონ ვარ დამნაშავე 488
მომპარე 489
ავი ენით 489
მე რა ვუყო? 489
ჭანგა 490
თუკი თვით ჩანგი ტირის 490
ენძელა 490

პროზა
გუგურჩი 491
ზაზა, ლამაზი ძროხუნა 497
ჯადოსნური ჭა 506
მშვენიერი ფერია 510
ბაცულაი და კაცულაი 513
იზაგურის ქოში 516
სულელი მგელი 517
ნართი — არწივები 520
მზე — ღმერთი 521
არიბნი და ბარხ-ხუ 521

ანდაზები 523

ლეზგიური ფოლკლორი

პოეზია
საწესჩვეულებო
* * * ცეცხლი მოგვეცი, სხივები მოგვაფრქვიე, ალფან! 525
* * * ვინც ჩვენ სიხარულის სულს შთაგვბერავს — გენია! 526

* * * ვინც ჩვენ სიცოცხლეს სულს შთაგვბერავს — თარია! 526
* * * წყლის პატრონო, სულო ჩვენო, თავარ... 527
მზე რომ ამოვიდეს 527
გაზაფხულის დადგომისას მღერიან 528
სატრფიალო 528
მაღალი მთები 528
* * * ერთ ბაღში ორი ვარდი ყვავილობს 530
* * * მთის ძირში თოვლის ნამქერი 530
* * * თუ ამოჰყვები მაღალ მთის კალთებს 530
* * * ცად მიმოფანტულ ვარსკვლავებს შორის 530
* * * საყვარელო, ოთახისთვის... 531
* * * ბაღია თვალთუნახავი... 531
* * * შავ ბაღში განა უბერავს ქარი? 531
* * * ამქვეყნად ერთი სიმდიდრე არი... 531
* * * მთის წვერზე ხუთი აივანია 531
* * * მითხარ, ლამაზო, ვისი ხარ... 532
* * * ქუჩაში მოდის ქერემი... 532
* * * სამოთხის ბაღში დაუჭერიათ... 532
* * * მე სასიმღეროდ ნუღარ გამიწვევთ 532
* * * მთის წვერზე ფეხი როგორ შემოვდგა... 532
* * * იქ, მთებში ერთი ცივი წყარო დის 533
* * * ალუბლის ყვავილი წყალში ჩავარდა... 533
* * * თოვლივით თეთრი კბილნი უელავს... 533
* * * დილის ვარსკვლავი სახლში აინთო... 533
* * * წვიმის წყალი ზღვის მადას ვერ დააცხრობს... 533
* * * საშინელია ორი რამ... 534
* * * ცივი არი წყაროს წყალი... 534
* * * მინდორში პური დამწიფდა 534
* * * მიყვარხარ, შენაც გიყვარვარ 534
* * * მწყემსის ბიჭო, მომახურე 534
* * * კარგო, ერთად ყოფის დღენი... 535
* * * დადგა ტურფა გაზაფხული... 535
* * * ეგებ დასტოვო სოფელი... 535
* * * მესმის, ჩონგური წკრიალებს... 535
* * * მინდა ცას კიბე მივადგა... 535
საქორწილო 536

სამაჭანკლო სიმღერა....536
აძაგებენ პატარძალს....536
საქმროს ულოცავენ....536
პატარძალს ულოცავენ....537
როდესაც საპატარძლოს საქორწილოდ რთავენ....537
როცა პატარძალი საქმროს სახლს უახლოვდება....538
როცა პატარძალი გამოსვლას აგვიანებს....538
ნუ ტირი, ნუ ტირი, სულიკო, შავთვალებავ....539

საყოფაცხოვრებო სიმღერები

* * * ხალიჩას ვქსვოდი, ფარდაგსა....540
* * * ყანა აქვს ხელისგულისოდენა... 540
* * * მაღალ მთაზედა გოგო მკის....541
* * * მაღალ ცაზედა ცელს იქნევ....541
* * * დღეს ახტინის ბაზრობაზე....541
* * * შვიდ ბაღჩა-ბაღს ხელით ვრწყავდი....541
* * * ბაღში ბალახი თუ არა ხარობს... 542
* * * ცხვრის ფარაში ერთი რუხი თხა დარბის....542
* * * ვაშლი მტყორცნე შევარდენი აფრინდა... 542
* * * კალათაში აბრეშუმის ნაჭი დევს....542
* * * ხელსახოცი ჩაუბღუჯავს გოგონას... 542
* * * ცაცხვის ხეზე ბუდე არი....543
სიმღერები შარვილზე....543
შარვილის მოსვლა გიარში....543
როგორ გაათავისუფლა შარვილმა გიარელები გეენებისგან....543
გიარელი ქალების სიმღერა შარვილზე....544
შარვილის დატირება....544

ნატირლები

ჭაბუკის დატირება....546
დედისგან შვილის დატირება....546
მწყემსის დატირება....547
ყარიბის სიკვდილი....547
მოხუცის დატირება....548
საქმროს დატირება....548
მამის დატირება....549

აშუღ აბდულას ნატირლები შვილზე 549

პროზა
შარვილი 551
როგორ მოიპოვა ცეცხლი შარვილიმ 551
შარვილის ანდერძი 552
შვიდარშინიანი გოლიათი ზულუმ-მუჰამედი 553
მამა, ქალიშვილი და ჩიგალი 565
ვის უნდა ერგოს? 569
ხანი და გლეხი 571
ჭკვიანი ბავშვი 571
აცი-ბაცი 574
წინგილ-წინგილ, ბეგურა ჩიტი 576
შიჩან-ბიკე 578

ანდაზები 582

ხუნძური ფოლკლორი

პოეზია
მიჯნურთა სიკვდილი 583
ქალ-ვაჟის გასაუბრება 584
წუხილი 585
სიმღერა შეყვარებულ მუტაალიმზე 586
* * * ცაზე მთვარე ამოდის და... 586
* * * ლოგინი მე არ ვიცი... 587
* * * თვალიც არ მომიხუჭავს 587
* * * გამიფრინდა ფარშევანგი 587
* * * მყინვარ მთებზე ყინულივით 588
* * * ტყე-ტყე მოარულ ნადირს... 588
* * * ცეცხლი მისი თვალებისა... 588
* * * მთაში გზაკვალარეული მხეცი... 589
* * * მისი ნაზი სახე ჯერაც... 589
* * * მეფენი აქ სისხლს ღვრიდნენ... 589

ბალადები
სულეიმანის და 590

აზაინში საომრად წასული ვაჟის სიმღერა 592
აზაინელი ქალი 596
ხადარი 599
ხრამში ჩარჩენილი ალი 602
ხუჩბარი 606

პროზა
ბაყაყი — მეფის ასული 610
მზისა და მთვარის ასული 615
მეფის მეჯინიბე ლუკმანი 625
ადალავი 634
სურათი 635
მეფე და შამილი 636
დიდი ლოცვანი 637
როგორ დადის ცხენი? 637
ღარიბი კაცის ნატვრა 638
მელია და მგელი 638
მელია და გველი 639
კაცის პირობა 640
ბატი და ბაყაყი 640

ანდაზები 641

თაბასარანული ფოლკლორი

პოეზია
ბოროტის მქნელი მდიდარი 642
სიღარიბე 643
შემიყვარდა ერთი ქალი 645
სენემს 645
გაიღვიძე, ლამაზო, გაიღვიძე! 646
ბეითები 647
* * * სალი კლდეები მელოდებიან 647
* * * ეს ქვეყანა დაბინდულია 647
* * * რა საბრალოა ცივი წყალი 648
* * * მთელს დუნიაზე ჩემზე უბედური არავინ არის 648
* * * ლურჯი ცის ქვეშ, შავ მიწაზე 648

* * * სამი წელი შეყვარებული ვიყავ... 648
* * * თავჩაქინდვრით მხვდები კარში 648
* * * მკითხე: — რატომ დაიღვრიმე? 649
* * * ვინც მე მიყვარს... 649
* * * სად ხარ, ჩემო საყვარელო... 649
* * * გზები, რაზეც დავდიოდით... 649
* * * ალუბლის ხეს რომ მოსტეხე ტოტი... 649
* * * გოგო, რომელი უბნელი ხარ... 650
* * * აქა ვდგავარ, გელოდები... 650
* * * მზე ამოდის, მერე ჩადის... 650
* * * კარგი დღე არ ენახოს... 650
* * * რა ვქნა, რა ვუყო გულსაო... 650
* * * მამას სახლი ენანება... 651
* * * ცაზე შავი ღრუბელია... 651
* * * თეთრ ჭიქაში წითელ ღვინოს ჩაასხამ... 651
* * * ჩვენ რომ ერთად დაგვინახონ 651

საქორწინო სიმღერები

* * * შორი მხრიდან მოვედით... 652
* * * შენი ქალი ჩასვი ეტლში 652
* * * წყლის პირას დგას რასულ-ბეგი... 652
* * * კეთილი მგზავრობა, იალალერ... 652
* * * მწყერი ქვემოთ დაგოგმანობს, იალალერ 653
* * * წადი, დაო, გზები დამილოცია, იალალერ... 653
* * * ყუბაჩური ვერცხლის ქამარი გარტყია... 653
* * * ხანარ ხალუ, სამჭედლოში თარო გამიკეთე... 653
* * * გამოიყვანეთ, გარეთ გამოიყვანეთ, მაჭანკლებო... 653
* * * პირველ კუთხეში დასვით... 654
* * * ქვემო კუთხეში დავჯდები... 654
* * * ყველა ჩვენს სოფელში გაათხოვეს... 654
* * * ჰოი, ქალო, ჰოი, კარიატ ხანუმ... 654

სიმღერები ბედზე

* * * სალამი შენ, ნუ გეწყინება, რასაც გეტყვი... 655
* * * ჩვენს შუა დიდი მთებია... 655
* * * რამ გაგვხადა უბედური... 655
* * * სისხლის ცრემლი ღვარად დამდის... 655

* * * დედი, რატომ გამაჩინე? 655
* * * ჩემი დარდის გამჩარხველი 656
* * * მზე ჯერ ისევ ცაზეა 656
* * * ცა ნათელი ჩემთვის მოქუფრულია 656
* * * ეს რა ხდება ამისთანა 656
* * * არ მიყვარდა, ისე შემრთეს 656

სიმღერები ებელცენის დადგომამდე, როცა კვერცხებს აგროვებენ 657
სიმღერები ებელცენის დღესასწაულზე ნამღერი დილა-საღამოს 657
გუდილ 658
კეგერი 658
მოწოდება 659

პროზა
იდვან-ხვან 660
დედა-შვილის გაიძვერობა 662
შვიდი ძმა და ერთი და 664
ხანი ბაზუბაი 669
ჟუგაი 669
ოსტატი მაჟვადი 670
ბრძოლა სოფელ ხრეჯთან 671
ტრაბახი ისევ შენ დაგღუპავს 671
ურაზა-ბაირამის მარხვის გახსნილება დროზე ადრეც შეიძლება 672
ვირი ტირის 673
კვასაგაის გაქუცული ხარი 674
ყველას თავისი საქმე აქვს 677
მარიფათიანი ბეღურა 678
შენ რომელი ბაღდადი შეგედრება 680
მუქთად გასაღებული სურვილი 682
ორი სტუმარი 684
ვინ უფრო სულელია? 684
ვინც გაბრაზდება, ცხვირს სჭრიან 687
დედინაცვლის სილაქი 690
ენების მცოდნეები 691

სომხური ფოლკლორი

პოეზია

ვაჰაგნის დაბადება 697
მჰერი მამის საფლავთან 697
მჰერი კლდეში იკეტება 698
ასლან აღა 699

შაირები

* * * როგორი ბაღჩა ხარ, ბარი არა გაქვს? 701
* * * ვარდი დავკრიფე თმებითა... 701
* * * ვდგავარ, ფეხი ვერ დავძარი 702
* * * მძიმედ იარე, მთვარეო... 702
* * * ღრუბელია და თოვლი არ მოდის... 702
* * * ნუ გგონია, არ მახსოვდე... 702
* * * ბაღი თქვენი შორი არის... 702
* * * კარგ ცხენს ნალი რად უნდა? 703
* * * შავი ვარ და ეშხიანი... 703
* * * ჩინარი ხარ, ნეტავ შევძლო... 703
* * * ქალო, იწამე ღმერთი... 703
* * * ქარო, დაჰბერე, მთაზე თოვლი დადე... 703
* * * ცაში ფრინველს ვენაცვალე... 704
* * * მზე ამოფრინდა, ამოვიდა... 704
* * * მწვანე ყანაში ჯერი წავიღე... 704
* * * არა, არა, ვერ ვითამაშებ... 704
* * * უბან-უბან დავიარე, ვიპოვე ქაღალდი 705
* * * მთვარიანი ღამე, ბანი... 705
დავთვერი, არა მისვამს რა 705
* * * ლამაზი გოგოს ძებნაში... 705
* * * წვიმის ღრუბლად გადავიქცე... 707
მთიდან მოვდიოდი 707
ეს დღე ახალი გაახლდა 707
* * * წეროვ, მაღალ მთებს გასძახე... 708
* * * ავადა ვარ, არაქათი არა მაქვს... 708
* * * ყარიბს სახლი არა მაქვს 708

* * * შენი თვალი მომე, წეროვ... 709
წერო 709
* * * ბულბულო, ჩვენსკენ იარე... 710
* * * წამავალი ვარ, გზაზე ვდგევარ... 710

შრომის სიმღერები
* * * ხარო, გასწიე, შავი მიწა გადააბრუნე... 710
* * * მუჭანახევარი ხორბალი მაქვს დასათესად... 711
სიმღერა მკის დროს 711
* * * ქარო, ქარო, დაუბერე! 712
* * * იტრიალე, ჩემო ჯარავ 713

დედის ნატირალი 714
ბავშვთა სიმღერები 714

პროზა
უკვდავების ვაშლი 715
არევჰატი და გველის წიწილი ოძმანუკი 726
თაფაგიოზის ზღაპარი 730
ჭიკო 736
ღმერთი დიდხანს რაზე ფიქრობს? 745
ფეხი იქამდე გაჭიმე, სადამდეც საბანი გაგწვდეს 747
კუნძული ახთამარი 748
შიდარი 748

ანდაზები 750

ოსური ფოლკლორი

პოეზია
ძველი სუფრული 751
ძიქკას სიმღერა 752
კარაქის დღეების დროს სამღერი 752
ნართული სიმდის სიმღერა 752
ბარაქიანი შემოდგომის სიმღერა 753
დოვლათის ფრინველი 754
ნაბდის მთელავთა სიმღერა 756

როგორ ამზადებენ შავ ლუდს 757
ალარდის სიმღერა 759
ღვთისმშობელი მარიამი 760
ვასთირჯის სიმღერა 760
აფსათის სიმღერა 760
ალაი 761
თაუჩე 763
ქალ-ვაჟის გასაუბრება 763
ვისაც კარგი ცოლი ჰყავს 765
მშვენიერი ქალწულის სიმღერა 766
ბასილების სიმღერა 766
ვის მივუტან რძეს 767
პაწაწინას ქუდი 767
აკვნის სიმღერები 768
ხმით ნატირალი 769
ცხენშეწირვა 771
ბადილაანთ ძველი სიმღერა 777
აიდარუყოს სიმღერა 778

პროზა

აცამაზი და აგუნდა-მზეთუნახავი 780
ნართების აღსასრული 789
რატომ არის ვასთირჯი მამაკაცთა ღვთაება 791
ეშმაკის ოინები 793
სამი განძის ზღაპარი 796
ჭკუა და ბედი 799
ჯადოსნური ფიალა 801
ყესათი ება 802
მუზიაანთ გვარი 805
პურ-მარილის ფასი 806
ხაზინა, ხუგათი მილოს და 808
როგორ იპოვეს ძმებმა დაკარგული ცხენები 808
ვასთირჯი და მელა 810
მელა და მწყერჩიტა 813
სიკეთე სიკეთით არავის გადაუხდია 814
გაუმაძღარი თვალი 815

ხარბი კაცი 816
გვირილიყო და მისი წუღა 817
გავზი 819
მატყუარა 820
ორი ძმა 821
მართალი კაცი 821
ცხენის კარგი პატრონი 822
ორი მეზობელი 822
ღმერთი და ეშმაკი 822
ღარიბი კაცი და ეშმაკი 823
როგორ ატყუებდა ეშმაკი ხორბალს 823
მზე და ბაყაყი 826
სირდონის ვირი 826

ანდაზები 828

თათური ფოლკლორი

პოეზია

ხატოლური სიმღერები 830
* * * მოაბრუნე პირი ჩემსკენ 830
* * * თუ მიაწვდი სტუმარს სკამსა 830
* * * მიყვარხარ როგორც 830
* * * კასრზე ცარიელი ტოლჩა 830
* * * ქვაბიდან სადილს 831
* * * ებრაულ სიმღერას 831
* * * რომ ვეწევი 831
* * * ხელი გავიჭერ დანითა 831
* * * რაშიც ხორცი იხარშება 832
* * * ჩემო თეთრო საყელო 832
* * * შენ რომ გაინძრევი და 832
* * * მანქანები ხისაო 832
* * * სუფრა გაშლილია უხვი 832
* * * მაშა მინდა ცეცხლისთვისა 833
* * * სახლი სადა გაქვს, ქალო 833
* * * შენი ჯიბის ცხვირსახოცი 833
* * * შენს ცხვირსახოცზე 833

* * * ბაქანზე ქვიშა დაგიყრია 833
* * * ხელზე სამაჯური მაქვს 834
* * * ტყეში უნდა ფრთხილად იყო 834
* * * ეს ფანჯარა მაღლა არის 834
* * * მაღაზიაში შევედი 834
* * * ჩაი ლამბაქზე 834
* * * სადაც ვზივარ 835
* * * მივდივარ 835
ქალ-ვაჟის სიმღერა 835
სიმღერა ხაიდარზე 837

პროზა
უკვდავი კაცი 840
ყრუ, ბრმა და უფეხო 845
ჭკუა და იღბალი 847
ლომის წილი 851
სიხარული ყმაწვილებისა — ბედნიერება მოხუცისა 852
რუსტამის ომი ჩინმაჩინის ჯარის წინააღმდეგ 855
ოქროს სკივრი 865
მოხუცი ხის მჭრელის ქალები 874
ღარიბის შვილი 881
სამი მონადირის სიზმრები 887
რასაც გასცემ, ღმერთი დაგიბრუნებს 889

ანდაზები და გამოცანები 891

კავკასიაში მცხოვრებ თურქულენოვან ხალხთა ფოლკლორი

აზერბაიჯანული ფოლკლორი

პოეზია
* * * მზეო, ამოდი, ამოდი, ამოდი 895
სემენი 895
* * * ჩემთვის ცა გაავდარდისა 896
* * * მებაღემ ბაღი შეღობა 896
* * * ბედმა ისარი მწია რა 896

* * * რაც უნდა კალამი გავწვერო 896
* * * ვაჟკაცს მთაზე თოვლი უყვარს 896
* * * ტრიალებს ქვეყნის კევრია 897
* * * დროო, შენგან მეკადრება 897
* * * მთაზე ციხე ჩანს ჩენითა 897

ნატირლები

* * * ტყვე ვარ რამდენი დარდისა 897
* * * მე მოვკვდი და დედა დამრჩა 897
* * * ეს მთები, მაღალი მთები 898
* * * ცხენს შევჯექ თავი არ ჰქონდა 898
* * * ჩემი ვარდი ჩალად იქცა 898
* * * ბაღს შევხვდი უმებაღოსა 898
* * * ის ნაპირი ამ ნაპირს გამოჰყურებს 899
* * * ვტირი ცხარედ მტირალივით 899
* * * შავცხენიანო, ნუ წახვალ 899
* * * შავზე შავი იყო შენი ბედაური 899
* * * თოფი, რომლის გასროლაც კი 899
* * * მაღლა ციდან რა მოდის 900
ნისლი 900
* * * სატრფოს ბაღს შეველ 901
სატრფოვ, ორგულო 901
* * * აქეთ რომ მოდის, ის ლამაზი 902
გენაცვალე 902
* * * ყარაბაღის ყურძენი 903
* * * თეთრ ქალს დავუხვდე გზად უნდა 903
* * * მიჯნურის სევდა დიდია 904
* * * სიყვარულის წერილს ველი 904
* * * მაღალ მთის წვერსაო 904
* * * მიჯნური ვარ დაისრული 904
* * * შავ ცხენს ნალი რად უნდა 904
წყაროზე იყო 905
ჩემო ზარნიშნიანო 905
* * * ეს ქუჩები წყლით მომირწყავს 906
* * * სამოვარში ცეცხლი ვყარე 906
* * * ცაც კი აჰყვება ხან ჯავრსა 906

* * * ასე მგონია, გმირი ვარ 906
* * * არა ვგავარ თუთის ხესა 906
* * * მიჯნური ვდევარ სულზედა 907
* * * ვინა ვარო და რა ვარო 907
* * * წყალი მოდის, არხს რა უნდა? 907
* * * რაც მეტყვი და რაისასა 907
* * * თუმც სიყვარული ამოა 907
ჩემსკენ მოიხედე, მოიხედე 908
რა ლამაზია! 908
ქალი და ვაჟი 909
დედა და შვილი 909
რას იზამ? 910
სონა ხანუმი 911
აკვნის სიმღერები 912
მწყემსური 913

პროზა
ღარიბი და ვეზირი 915
ჩირაღდნიანი ისა 918
დრონი მეფობენ 923
ფადიშაჰი და მჭედელი 927
ქაჩლის ოინები 932
მელია და ყარყატი 934
სულელი კაცი 939

ანდაზები 942

ყარაჩაულ-ბალყარული ფოლკლორი

პოეზია
აფსათი 943
ბიინოგერი 945
ინაი 948
ერირეი 949
დოლაი 950
ბელიაუ 952
სადღეგრძელო 953

რა უფრო ძლიერია? 954
ჩემი საზი უკრავს, საზი უკრავს 955
სტამბოლს წასულთა სიმღერა 957
გაფალაუ 958
ქანშაუბიის სიმღერა 959

პროზა

ურჩხული 963
გოგო და ბატკანი 966
წრუწუნა და ზანზალაკი 970
თეთრი ბატკანი 971
სიმდიდრე, ბედნიერება და ჭკუა 972
დათვი, მგელი და მელა 974
ცხვარი და თხა 978
ქათამი იმას, ვინც ლაპარაკი იცის 980
ვინ უფრო დიდია 981

ყუმუხური ფოლკლორი

პოეზია

* * * თუ ლამაზი ბედაური თავს მოიწონებს 983
* * * წვიმა წამოვა — დედამიწა გადამწვანდება 983
* * * მინდორში ნუმც გაზრდილა მარტოხე 983
* * * სიკვდილსამც გაჰქრობია კერა! 984
* * * უამრავია ლამაზი ქალი 984
* * * მთებს რომ ესმოდეთ ჩემი ამბავი 984
* * * კაზაკური მოკლე სიმღერები 984
* * * თოვლს ჩამოყრის და გატყდება შავი სიცივე 984
* * * ქვეყანაზე მეგობარი არ ეყოლება 985
* * * ბავშვიო, — ამბობენ შენზე 985
* * * რამდენმა კაცმა მიატოვა წუთისოფელი 985
* * * ჩემო კუმუზო ტირიფის ხისავ, დაგიჭიმავ სიმებს, აგაწყობ 986

საწესჩვეულებო სიმღერები

ზემირე 987
ნავრუზი 988
წუხელის, დედავ, სიზმარი ვნახე 989

სამმა კაცმა საფიხვნოზე ვილაპარაკეთ ... 990
შამილის სიმღერა ... 991
ჰაჯი-მურატის სიმღერა ... 992
ასევის შვილების სიმღერა ... 994
წკარუნით რომ ღეჭავ შენს ლაგამს ... 995
სიმღერა აბდულაზე ... 997
ყაფირ-ყუმუხელი ბუდაიჩის ქალი ვიყავი ... 999
სიმღერა რვა მამალზე ... 1002
სიმღერა კურდღელზე ... 1002

პროზა
ხადარ-დუდარხანისა და ინჟილ ჩარხის ზღაპარი ... 1004
ქილიჩთეში ... 1007
ფეიმახანი, რომელმაც მამასახლისს აჯობა ... 1009
ჭრიჭინა ყადი ... 1011
ძუნწი ბაიები და ღარიბი ბამათი ... 1014
სამი რჩევა ... 1015
მოხუცი და ვეზირები ... 1018
ქულბაი ... 1019
აზრაილის გამოცხადება ... 1025
ალბასლი ... 1025
ღმერთმა გვაშოროს ქალის მოტანილი უბედურებაო ... 1026
ამბავი იმაზე, თუ როგორ შეარქვეს სახელი ენდირეის ... 1027
მუზაირის კურდღლები ... 1028

ანდაზები ... 1029

ნოღაური ფოლკლორი

პოეზია
ყაიდარი და ყიზილ-გული ... 1030
აზავნური ... 1031
ქარების კლდე ... 1036
აქქერმანელი ლამაზი ქალი ... 1038
მომღერალი და მგელი ... 1039

პროზა

ბოლათის შვილი ბათირბეკი 1043
ჯინების დედოფალი სარიგიზი 1054
მოხუცის სიბრძნე 1064
ორმოცი ტყუილი 1066
ერთი დღე ერთი თვის ძმააო 1070
ნამგალი ზღარბის გამოგონილია 1070

Synopsis 1073
შენიშვნები 1074
გამოყენებული ლიტერატურა 1101

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ
თბილისი
2008

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support
to the European Foundation HORIZON

წიგნში გამოყენებულია ა. როინაშვილის ფოტოები

ოპერატორი **ნინო პიპინაშვილი**
დამკაბადონებელი **ნიკოლოზ გელაშვილი**

კავშირი — „კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი – კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის 20.